K 138461
3

ქართული საქართველოს ძეგლები

III

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
Академия наук Грузинской ССР

1970

ПАМЯТНИКИ ГРУЗИНСКОГО ПРАВА

Том III

ЦЕРКОВНЫЕ ЗАКОНОДАТЕЛЬНЫЕ ПАМЯТНИКИ
(XI—XIX вв.)

Тексты издал, примечаниями и указателями снабдил
проф. *И. С. Долидзе*

ИЗДАТЕЛЬСТВО „МЕЦНИЕРЕБА"
Тбилиси
1970

ქართული სამართლის ძეგლები

ტომი III

საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები
(XI—XIX სს.)

ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები
დაურთო პროფ. ი. დოლიძემ

K 1378.4b.1
3

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1970

34 (C 41) (02)
34 (47.922) (09)



ისტ. S - 1320 ვ1. 2202. S - 90ვ

წინასიტყვა

ქართული სამართლის ძეგლების III ტომში ქვეყნდება XI—XIX სს. უმნიშვნელოვანესი საეკლესიო საკანონმდებლო აქტები: სჯულდების წიგნები, ტიპიკონები, საეკლესიო კრებათა და სამონასტრო კრებულთა განჩინებები, გამოსავლის დავთრები, სიგელ-გუჯრები და კანონიკური ეპისტოლენი. ტომი მხოლოდ ქართული ორიგინალური საკანონმდებლო აქტებს შეიცავს. მსოფლიო საეკლესიო კრებათა დადგენილებები, რომლებიც ძველადვე ითარგმნა და მოქმედ სამართლად ითვლებოდა ჩვენში, ამ კრებულში შეტანილი არ არის.

ცნობილია, რომ შუა საუკუნეების საქართველოში, ისე როგორც სხვა ქვეყნებში, მწერლობისა და განათლების მძლავრ კერებს ეკლესია-მონასტრები წარმოადგენდნენ: სვეტიცხოველი და ბიჭვინთა, ალავერდი და გელათი, შიომღვიმე და დავით-გარეჯი, ვარძია და ვაჰანი, ათონი და პეტრიწონი, შავი მთა და ჯვარი, აგრეთვე ქართული კულტურისა და განათლების სხვა დიდებული ადგილობრივი თუ საზღვარგარეთული კერები, ის სავანეები იყო, სადაც შეიქმნა მხატვრული და კანონიკური მწერლობის უნიკალური ძეგლები, რომლებიც ხელთასხელ საგოგმანებელ საუხვეს წარმოადგენდნენ ქართული კულტურის საგანძურში.

ეროვნული საეკლესიო სჯულდების უძველესი და ღირსშესანიშნავი წიგნია «ძეგლისწერა დავით-აღმაშენებლის მიერ მოწვეულმა საეკლესიო კრებამ 1103 წელს. დიდია ამ ძეგლის მნიშვნელობა ქართული საეკლესიო, სახელმწიფო, სამოქალაქო და საოჯახო სამართლის ისტორიისათვის. ამასთან მნიშვნელობა ამ ფრიად საყურადღებო სჯულდებისა, რომელშიც ზოგადი კანონიკური ნორმებიც აისახა, სცილდება ქართული სამართლის ფარგლებს.

XI—XIII სს. ქართული სამონასტრო წესწყობილების შესასწავლად ძვირფას ძეგლებს წარმოადგენენ «პეტრიწონის ტიპიკონი» და «განგება ვაჰანის ქუაბთა», აგრეთვე

ფრაგმენტების სახით შემორჩენილი თრიოდე წესი და განგება, რომელთაც წინამდებარე ტომში ვაქვეყნებთ.

საეკლესიო ყმათა სოციალ-ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობის გაშუქებისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს ქუთაისის, ხონის, ბიჭვინთის, ცაიშის, ცაგერისა და სამთავისის ტაძრების გამოსავლის დავთრებს, რომლებიც მდიდარ მასალას შეიცავენ ყმათა საბეგრო გამოსაღების სახეობათა და ოდენობათა შესახებ.

საეკლესიო სჯულმდებლობის ისტორიის შესასწავლად არანაკლებ ძვირფასია ის საკანონმდებლო მასალა, რომელიც შემონახულია ადგილობრივ საეკლესიო კრებათა დადგენილებებსა და ეკლესიის ხელისუფალთა მიერ გაცემულ მრავალრიცხოვან სიგელ-გუჯრებში.

ქართული საეკლესიო სამართლის მნიშვნელოვანი წყაროა კანონიკური ებისტოლენი — კათალიკოს-პატრიარქთა და ცნობილ მოძღვართა მიწერილობანი და განმარტებანი, რომელთაც, მათი ოფიციალური ხასიათის გამო, კანონის ძალა ჰქონდათ.

ცნობილია, რომ სჯულმდებლობის უფლება მარტო საეკლესიო კრებების ან მცხეთისა და ბიჭვინთის საკათალიკოსო კათედრების სჯეთმპყრობელთა პრეროგატივას არ შეადგენდა. ამ საქმეს საეპისკოპოსო სამწყსოთა მამამთავრები და მონასტერთა წინამძღვრებიც განაგებდნენ (ალავერდელი, ბოდბელი, ბოლნელი, გუნათელი, მანგლელი, მაწყუერელი, მროველი, ნიკორწმიდელი, ნინოწმიდელი, რუსთველი, სამთავნელი, ტფილელი, ურბნელი, ქუთათელი, შემოქმედელი, ცაგერელი, ცაიშელი, ჭყონდიდელი, ხინოწმიდელი, ჯუმათელი და სხვ.). ჩვენს გამოცემაში საეკლესიო სამართლის ძეგლად მიჩნეულია ყველა საკანონმდებლო აქტი, რომელიც შედგენილი ან გაცემულია ეკლესია-მონასტრების ხელისუფალთა (კათალიკოსი, ეპისკოპოსი, მოძღვართ-მოძღვარი, წინამძღვარი) ან საკრებულოთა მიერ.

ქართული საეკლესიო სამართლის ისტორიის მკვლევარმა უთუოდ უნდა გაითვალისწინოს ჩვენი სერიის I და II ტომებში დაბეჭდილი ძეგლები: «განგება დარბაზობისა», «წესი და განგება მეფეთ კურთხევისა», «კათალიკოსთა სამართალი», «ბიჭვინტის იადგარი», აგრეთვე მეფეთა მიერ გაცემული ის სიგელ-გუჯრები, რომლებიც სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობას აწესრიგებენ და კანონიკურ ნორმებსაც შეიცავენ.

მსჯველობაში უნდა იქნეს მიღებული აგრეთვე საეკლესიო სასამართლოთა განჩინებები. ასეთი საბუთებიდანაც, როგორც სასამართლო აქტები, შევა ჩვენი სერიის მეოთხე ტომში, რომელიც XVI—XIX საუკუნეების საერთო და სასულიერო სასამართლოთა განჩინებებს შეიცავს. რაღა თქმა უნდა, რომ ხსენებულ საბუთებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართული საეკლესიო სასამართლო წყობილებისა და სასამართლო წარმოების ისტორიისათვის.

ჯამთა სიჭარბის გამო ქართული საეკლესიო სჯულმდებლობის ბევრი ძეგლის ჩვენამდე არ მოუღწევია. მაგრამ ზოგიერთი ცნობა ასეთი ძეგლების შესახებ დაცულია საისტორიო წყაროებში. კლარჯეთის მონასტრების წესისა და განგების მოკლე შინაარსი გადმოცემულია გიორგი მერჩულეს თხზულებაში «ცხორება გიორგი ხანძთელისა», ხოლო ათონის მონასტრისა უფრო ვრცლად — გიორგი მთაწმიდელის თხზულებაში «ცხორება იოანესი და ეფთჳმესი» და გიორგი მცირის თხზულებაში «ცხორება გიორგი მთაწმიდელისა».

ქართული სამართლის ისტორიის მკვლევარმა ეს ცნობები უცილობლად უნდა გათვალისწინოს. მაგრამ ამ ცნობების შემცველი ტექსტები წინამდებარე ტომში არ შესულა, რადგან ისინი წარმოადგენენ არა საკანონმდებლო აქტებს, არამედ აგიოგრაფიული მწერლობის ძეგლებს. ამასთან არსებობს ამ თხზულებების რამდენიმე სრული და საუცხოო გამოცემა, რომელთაგან უახლესია: «ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები», წიგნი I, 1965 წ. და წიგნი II, 1967 წ.

ქართული სამართლის ძეგლების III ტომში შესული საკანონმდებლო აქტების გამოცემის შესახებ უნდა გავიმეორით ის, რაც ნათქვამია მეორე ტომის წინასიტყვაობაში: საბუთების დიდი ნაწილი მოპოვებულია საარქივო ფონდებში და პირველად ქვეყნდება. რაც შეეხება წინათ გამოცემულ საბუთებს, რომელთა ნუსხები დედნებისა თუ პირების სახით შემონახულა, იბეჭდება ხელნაწერების მიხედვით, მაგრამ გათვალისწინებულია დაბეჭდილი ტექსტებიც. დაბოლოს, საბუთების ერთი ნაწილი, რომელთა ხელნაწერები დაკარგულად ითვლება, იბეჭდება არსებული პუბლიკაციების მიხედვით. ამასთან ჩვენი გამოცემა, როგორც მკითხველი დარწმუნდება, ტექსტის წაკითხვის, აღდგენის, გამართვისა და გაგების მხრივ მნიშვნელოვნად განსხვავდება ამ საბუთების წინათ გამოქვეყნებული ტექსტებისაგან. მხოლოდ ორიოდე კარგად გამართული და გამოქვეყნებული ტექსტი უცვლელად იბეჭდება.

რამდენიმე საბუთი ჩვენს გამოცემაში საფუძვლიანად რესტავრირებულია. მაგალითად შეიძლება აღვნიშნოთ სამთავისის სამწყსოს დრამისა და შესავლის წიგნი, რომლის ტექსტი დედნის დაზიანებულობის გამო XVII საუკუნის ხელნაწერებში გადაადგილებულია შეუსაბამოდ და შერწყმულია ერთ საბუთად. ეს ძეგლი ჩვენს გამოცემაში ტექსტის აღდგენის შედეგად ორ დამოუკიდებელ საბუთად იბეჭდება (№№ 32 და 33).

ქართული სამართლის ისტორიის ფუძემდებელი, დიდი მოძღვართ-მოძღვარი აკად. ი. ჯავახიშვილი ოცნებობდა ქართული სამართლის ძეგლების გამოვლენასა, შეკრებასა და რიგიან გამოცემაზე. ჩვენი სერიის პუბლიკაციით, რომლის ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წინამდებარე ტომი შეადგენს, შეძლებისდაგვარად ვასრულებთ დიდი მასწავლებლის ამ ანდერძს. ქართული საეკლესიო საბუთების ასეთი სრული, გამართული და ქრონოლოგიურად დალაგებული ტექსტები პირველად ჩვენ გვაქვს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ტექსტი საბოლოოდ დადგენილად ვერ ჩაითვლება.

საქმეში ჩახედული მაღლიერი მკითხველი ტექსტებისა და შენიშვნების გაცნობისას «განწმედილთა გონების თვალითა» ცხადად დაინახავს იმ შრომას, რაც ჩვენ წინამდებარე ტომში დაბეჭდილი ტექსტების დადგენაზე გავწიეთ და ამის გამო ზოგ შეცდომასაც გვაპატიებს, «რამეთუ ვინმცა კაცთაგანმან უძლო ყოვლისავე უცთომელად წარმოთქუმად».

ტომი სულ 562 საბუთს შეიცავს, მაგრამ №№ 92^1, 92^2 და 92^3 დოკუმენტები სათვალავში ცალკე ერთეულებად შეტანილი არ არის. საბუთები გარდა ორისოდე გამონაკლისისა (№ № 24, 81, 87, 93, 474) დალაგებულია ქრონოლოგიურად.

ტექსტის ქარაგმები ყველგან გახსნილია, ხოლო უ^{ი} კომპლექსი წარმოდგენილია უ-თი.

ტომს ერთვის პირთა, გეოგრაფიულ სახელთა და ტერმინთა საძიებლები. მასალის დიდი მოცულობის გამო პირთა საძიებელში შეტანილი არ არის საშემოსავლო და ხალხის აღწერის დაყთრებისა და აგრეთვე ზოგიერთი სხვა საბუთების მონაცემები.

დასასრულ, სასიამოვნო მოვალეობად ვთვლი, ტექსტის მიმართ ზოგიერთი საყურადღებო შენიშვნისათვის მადლობა მოვახსენო ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატს ნ. შოშიაშვილს.

ი. დოლიძე.

419,
494

[წიგნი, რომელი მოწერა დიდმან ეფთჳმე დიდსა გერსა გიორგისს]*

[1065—1019 წწ.]

[293] [ღმერ]თისმეტყველი სულიერი მაქსიმე გიორგის. მოძმისაებე ღმერთმან წმიდაო ლოცვაჲ თჳნიერ ამათ პირთათჳს, რომელ გეკითხნეს ჩემისა ულირსებისაგან განმარტებაჲ მისი ღმერთმან გამოგიცხადოს და თჳნიერსა კითხჳსათჳს მეცა მაუწყოს წერილითნი პასუხნი.

[წიგნნი რომელთა ეკლესიაჲ არა შეიწყნარებს]

წიგნნი რომელთა ეკლესიაჲ არა შეიწყნარებს არიან ყოველნი, რომელნი მწვალებელთა მიერ დაიწერნეს.

ორიგინეს[1] მწვალებელსა მრავალი წიგნი დაეწერა და არა შეიწყნარებს ეკლესიაჲ.

[ტ]ჲ ევსები პამფილისა წიგნი არს და მრავალთა საქმეთა წარმოიტყჳს და თხ[რ]ობათა თჳთო-სახეთა ფილოსოფობისათა დაწერილ[ნ]ი განწვალებანი ჩაერთვან; ამისთჳს არა შეიწყნარებს ეკლესიაჲ. იგი ქართულად უთარგმნია და უწერიხარეს მრავლისა ვამისა. სიცოცხლესავე მამისა ჩემისადა მოეწერა მუნით სტეფანე ეპისკოპოსსა [294] და ეკითხა: თუ შესაწყნარებელ არს. კარგიცა მრავალი სწერია, გარნა ღუარძლიცა მრავალი ჩაურთავს და მით უჭმარ არს.

ანტიოქისა მოქცეულაჲ არა შესაწყნარებელ არს და სხუაჲ რაამე არს. სწერია თომაჲს[2] სახარებად, იგიცა უცხოჲ არს.

წიგნი, რომელსა აბუკორონა ჰ[რ]ქჳან, წვალებაჲ ცხადი ვპგონებ თუ არაჲ სწერია; გარნა უცხოთა რათმე საქმეთა მეტყუელ არს და ეკლესიაჲ საბერძნეთისაჲ არა შეიწყნარებს.

და სხუაჲ რაამე არს ადამის ცხორებაჲ და არცა მას შეიწყნარებს.

და სხუაჲ არს წიგნი სიყრმე უფლისაჲ და არცა მას შეიწყნარებს.

---

* საითაცა სინგურითა ნაწერი, შეტწილად გადაუკეთებია, იკითხება: „...ეფთჳ მე... დიდსა გერსა გ[ე]ის ბიუს... ამათ პირითათჳს".

1 ორგინეს. 2 თუმაის.

და მოციქულთა ცხორებანი ზოგნი განრყუნულნი არიან მწვალებელთაგან; წმიდისა მათე მახარებელისაჲ სხუაჲ რაჲმე არს, და წმიდისა ანდრიაჲსი იგმაგი (sic)

წმიდისა გიორგისი არს წამებაჲ ჴელმძღუანელი, რომელი ეკლესიათა შინა იკითხვების, და კუალად სხუაჲ რაჲმე არს უცხოჲ და უცხონი რაჲმე საქმენი სწერიან და არა შესაწყნარებელ არს.

[295] და წმიდისა კვრიკეს წამებისა სწერია, ვითარმედ სხუაჲ ვიეთმე დაწერეს წამებაჲ უცხოჲ ქრისტეანთა წესისაგან, და სხუანი ესევითარნი რაჲმე ნატყუევარნი; ზოგისა სახელები არა ვიცი.

აწ ესე ვითარიმე, რომელი სხუათა მწვალებელთა დაეწერია, იგი თჳთ საცნაურ არიან.

ესე კულა მოციქულთა და მოწამეთაჲ მას წყეულსა იულიანეს გაეზრახვით განურყვნიან, რამამცა ყოველი ნაცილად შეჰრაცხეს და არღარამცა საროწმუნო უჩნდეს წამებანი მოწამეთანი, გინა მოციქულთანი. გარნა უფალმან მისი საკსენებელი აყოცა და წმიდათა სახელნი ბრწყინვენ, ვითარცა მზე.

[საუფლოთა დღესასწაულთათჳს]

ხოლო საუფლოთა დღესასწაულთა არცა მუკლთა მოდრეკაჲ* ჯერ-არს და არცა მარხვაჲ; არამედ უკუეთუ ეინმე ეზიარებოდის, ეზიაროს და სამხრად პირი იკსნას და ჰმადლობდეს უფალსა; და უკუეთუ არა ეზიარებოდის, ეგრეთვე სამხრისაჲ ილოცოს, ფსალმუნი წარიქუას და პირი იკსნას.

საბერძნეთისა დაყუდებელსნი[1] ქრისტეს შობასა და განცხადებასა შაგეფსამდე მუკლთა არა მოიდრეკენ და აღსებითგან ვიდრე მა[296]რტჳლიამდე მუკლთა არაჟამ მოიდრეკს და არცა არს.

და სხუათა საუფლოთა დღესასწაულთა თჳთ მათი დღეთა და ხვალისა დღე, თუ არა ეინ მოიდრაკნეს მუკლნი, კეთილ არს.

საზრდელისათჳს** აღსებითგან[2] ამაღ კვრიაკემდე არა ჯერ-არს მარხვაჲ, არამედ სამხრად პირისა კსნაჲ. მიერითგან სენაკსა შინა მჯდომი უკუეთუ იმარხვიდეს, არა აჩს დაკლებაჲ თჳნიერ შაბათ-კვრიაკეთა და ამაღლებისა და შუა ზატიკისა და სხუათა საუფლოთა დღესასწაულთა. ეგრეთვე წმიდისა ღმრთის-მშობელისასა.

---

[1] დ'ბლნი. [2] ახუსებითგან.

* გასწორე მარჯუენა კიდეზე სწერია: „მჴ'ლთა დრეკისათჳს".

** გასწორე მარცხენა კიდეზე სწერია: „საზრდელისათჳს".

და იოანეს შობად ჴსნილ[1] არს თევზი და ღჳნოჲ თაჳს-კუეთ და წმიდათა მოციქულთა პეტრესსა და პავლესსა და ანდრიასი ანე მახარებელისასა და სხუათა მათ დიდებულთა წმიდათასა, რომელთა დღესასწაულნი აწ იდიდებიან: წმიდისა გიორგისსა, თევდორესსა, ნიკოლოზისსა, ფილიპე მოციქულისასა, ფომაჲსსა, დიმიტრისსა და სხუათა წმიდათასა, რომელთა შინა ღამისთევაჲ იქმნების. ესე დღე[297]სასწაულნი ჴსნილ არიან. და რომელნი დაემთხჳნენ მარხვათა შინა, ანუ თთხშაბათ-პარასკეესა, ჴსნილ არს თევზი და ღჳნოჲ მოწესეთათჳს.

არაჯორთა არა ჭერ-არს მარხვაჲ, ჩუენ განეჴსნით და წუელასა ეჭმარებით მწუალებელთათჳს.

ეგრეთვე ქუელიერისა თთხშაბათ-პარასკეეთა წესი არს საბერძნეთს, რომელი ყოველად წუელასაჲ არა ჭამდის, მაშინ მიიღებს მათ მწუალებელთათჳს, რომელთა ჴუელიერი მარხვათა შეჰრთეს.

[ძილსა შინა ოცნებით დაბრკოლებისათჳს]

ძილსა შინა თუ ვისმე ოცნებით დაბრკოლებაჲ შეემთხჳოს, მას დღესა ჯამსა არა ეზიაროს, არცა საკურთხეველად შეიდეს, არცა სახარებასა შეემთხჳოს, არცა ხატთა. თუ კუალა რაჲმე იყოს საჭიროჲ, ანუ უცხოთა ეიეთმე თანა იყოს, ანუ სირცხჳლ უჩნდეს სახარებასა არა შემთხუევაჲ. შიშით შეემთხჳოს, ესოდენ ბრალი არ არს.

[მოძღუართა და მოწაფეთათჳს]

მოძღუართა რომელთა მოწაფენი ესხნენ, უკუეთუ წვალებ[298]სა, ანუ კაცის-კლვასა, ანუ სიძვასა, ანუ გრძნებასა და სხუასა რასმე ბილწებასა აწუეველეს მოძღუარი, არა აქუს ჴელმწიფებაჲ: და მოწაფე იგი თჳთ ცხრ ეგზნას, არა არს ბრალ მისდა. ამათ კუალა საქმეთაგან კიდე სხუაჲ, რაჲცა ამცნოს მოწაფესა, რომელი ეკითხოს, ჴელმწიფებაჲ აქუს მოძღუარსა, და მოწაფესა თანა-აც მორჩილებაჲ.

ხოლო წარსლვაჲ მოძღურისაგან თჳნიერ წამებისა მისისა არა ჴელეწიფების. უკუეთუ კელა მოძღუარი იგი ადგილსა ეგეთსა ჯდეს, საღა ვნებანი იყუნეს და მოძღუარი უვნებელ იყოს და არაჲ ევნებოდეს. ხოლო მოწაფე დაცემასა შთაგორდებოდის. ჰრქუას მოძღუარსა მას და მას არა იზრუნოს ცხორებაჲ სულისა მისისაჲ და ამის პირისათჳს განეშოროს. მოწაფე იგი უბრალო არს.

---

[1] ჴსნილ.

სხუაჲ კულა არარაჲ არს მიზეზი ურჩებისაჲ და განშორებისაჲ მისისაჲ მოძღურისაგან, თუ ურჩებითა[299] და თავქედობითა გან-დგომილი შოროს და არ შეჰრაცხოს მცნებაჲ მოძღურისაჲ. სული თჳსი წარწყმედს წყშიდოს.

[ქრულების დადებისათჳს]

ეგრეთვე ქრულებაჲ უკუეთუ წინამძღურისაგან დაედვას, ანუ მღდელთ-მოძღურისაგან საქმესა ზედა სამართალსა, ვერვინ აჰკდის მას, თჳნიერ მისსა, რომელმან დასდვა ქრულებაჲ იგი.

უკუეთუ კულა უჯეროსა ვინმე საქმესა აწუევდეს და სულსა მაცნებელსა და მრწემი იგი ვერ დაჰმორჩილდა, მისთჳს ქრულებაჲ დასდვას, სულსა თჳსსა აცნებს და ქრულებაჲ იგი ცუდ არს.

და უკუეთუ უცხოსა ვისმე ქალსა დასდვა, რომელ არა მოწაფე მისი იყოს, ესეცა უწესოჲ არს და ფრიად საბრალობელ. ამის პირისათჳს სახენი ბრაჳალნი არიან; წერილი რაჲ მოგაჴსენო.

[სქემის კურთხევისათჳს]

სქემისა კურთხევისა შემდგომად თუ სხუაჲ ბრალი არა შეემთხჳოს, ეზიარებოდის; თუ კულა შეემთხუეოდის, კუალად [300] ქანონნი იპყრან, ვითარცა შეჰგუანდეს.

სქემის-კურთხევაჲ მარხვათა შაბათ-კჳრიაკეთა ქეთილად იქმნებისაჲ. აქა უფროჲს ჴერ-მარხვათა არს სქემის-კურთხევაჲ შაბათსა, ანუ კჳრიაკესა, თუ კულა სხეული ვინმე იყოს და რასაცა დღესა იკურთხოს სქემითა, აუგი არა არს.

[თეოფილესათჳს]

თ ე ო ფ ი ლ ე მწუალებელი არა იყო; ო ქ რ ო პ ი რ ი ს ა მტეროპითა დიდი ცთომანი ქმნნა ამას ჭეუყანასა. არცა ვინ შეაჴუენებს მწუალებელთა თანა და არცა კინ მოსაჴსენებელთა შინა აჴსენებს.

[კჳრილესათჳს]

ხოლო კ ჳ რ ი ლ ე დიდი მნათობი არს ეკლესიისაჲ და ჴსენებულ არს ყოველთა შინა კრებათა; და იგი ხუაჲშნებაჲ წმიდისა ღმრთის-მშობელისაჲ ჭეშმარიტად არს კჳრილესთჳს, და მიერითგან დიდნი შესხმანი დაწერნა ოქროპირისანი წმიდამან კჳრილე.

[თევზის ჭამისათჳს]

თევზისა ჭამაჲ* ერისკაცთათჳს კათოლიკეთა არცა სჯულისაჲ გარდასლვაჲ რაჲ არს და არცა ბრალი. უფროჲსად ეგრე გარდაკუ[801]ეთაჲ და წუელასა თანა შერაცხვაჲ ზომი არს.

ხოლო მონაზონთა და მოწესეთა სხუათა დღეთა კათოლიკეთა არა იჴმარონ, ხარებასა თუ ოდენ ჰქონდის, ჴმარებაჲ ჴორ-არს თევზისაჲ; და არა-ჴმარებაჲ ბრალი არს.

ერისკაცთა...* ხარებად...*** იჴმარონ, არცა ერთი ბრალი არს...*** უფრო ბრალი არს და საკუნებელ; სათნოებელად თევზი თუ იშარხონ კეთილ, თუ არა ესრე გარდაკუეთით სომხური არს წუელისაებრ და არა კეთილ არს, და სჯულის-კანონსაცა სწერია ამის პირისათჳს, მიხი ჴორ-არს; და მეტი არა ჭამს.

[ცოცხალთათჳს ჭამის-წირვაჲ]

ცოცხალთათჳს ჭამის-წირვაჲ ფრიად კეთილ არს და წმიდათა მოციქულთაგან და წმიდათა მამათა დადებული. რამეთუ რომელთა ძალ-უც და სიცოცხლესაცე არა იწირევენ, ცუდად დაიშირევებენ [802] ესეეთარსა კეთილსა დიდსა, რამეთუ ყოველი ქუელის-საქმე და ლოცვაჲ სიცოცხლესა ჴმნილი ბევრწილად უმჯობეს არს.

და ესეცა გუესმა, ვითარმედ: ყურძენსა გამოსწურევენ ჭართველნი და მით ტკბილითა წირვენ ჭამსაო. ამისთჳს ფრიად განუკჳრდა ესე ყოველთა მკვდრთა ამის ქუეყანისათა, რომელსა ფრიადი ვნებაჲ და უწესოებაჲ წეუთქს და ყოველდღე უცხო არს წესისაგან ქრისტეანეთაჲსა.

[მარხვათათჳს]

აღსებითგან ახალ კჳრიაკემდე «დაწესებულნი» არა ითქუმიან; ხოლო მიერითგან ყოველთა კჳრიაკეთა და დღესასწაულთა ითქუმიან; ზატიკთა და სულგლოთა დღესასწაულთა «ა ლ ი ლ უ ი ა ჲ ს ა» ადგილსა «დ მ ე რ თ ი უ ფ ა ლ ი» ითქუმის.

****ახალ კჳრიაკითგან თუ ვიწმე ითხ'შაბათ-პარასკევნი იშარხვნეს, კეთილ არს.

---

* გასწორეც მარცხენა კიდეზე სწერია: „თევზის-ჭამისათჳს დიდთა მარხვათა".

** გასწორეც მარჯვენა კიდეზე სწერია: „ერისკაცთათჳს".

*** ერთი სიტყუა ამოუხეკიათ.

**** გასწორეც მარცხენა კიდეზე სწერია: „დ˘ვ˘თათ˘ს".

ხოლო თუ დიდი დღესასწაული დახუდეს, ჯსნილ არს უეშ[illegible]
ლად.

ვინაჲთგან მარტჳლისა მსგჳესი გარდაჴდეს, რომელ [პტ] არს სულისა წმიდისა მოწევნაჲ, მაშინღა ორშაბათსა დადგებიან მარხვანი მოციქულთანი; წუელაჲ და ღჳნოჲ ყოველად არა ჯერ-არს ქმარებად, რომელთა კანონნი თდენ ძალ-ედვას; ხოლო თევზი და ზეთი იქმარონ, ვითარცა ვის ძალ-ედვას.

ი ო ა ნ ე ს შობად ჯსნილ არს თევზი და ღჳნოჲ.

[პ]ე ტ რ ე ს[ს]ი და პ ა ვ ლ ე ს ი რომელ სრულიად არა ა[ღ]კრიბოს, წუელაჲ იქმებისა; და ვინაჲთგან გარდაჴდეს დღესასწაული მოციქულთაჲ, თდეს დღესასწაული არაჲსი იყოს, ქამთა ლოცვაჲ და მარხვაჲ საეროდცა კეთილ არს და შუენიერ. ხოლო თუ დღესასწაული დახუდეს, ჯსნილ არს.

ქ რ ი ს ტ ე ს შობისა მარხვანი ნოეშბერისა იე დადგებიან. და ესრეთვე უწუელოდ და უღჳნოდ ჯერ-არს მარხვაჲ თჳნიერ დღესასწაულთაჲსა და ქამთა ლოცვაჲ.

დიდსა ხუთშაბათსა «დ ა ვ ი თ ი» არა ითქუმის, არამედ «დაწესებულნი» და «გალობანი»; და დღისა ქამნი ილოცნენ უკანონოდ და აკი[პთ]თხჳდენ ოთხთავსა ენების-კჳრიაკე[სა] ყოველთა ქამთა ზედა.

დიდსა შაბათსა მე-იბ ქამსა დღისასა იწყონ ქამის-წირვად და ოდესცაღა აღასრულონ წესი ქამის-წირვისაჲ, მაშინ პირი იჴსნან. ხოლო მიიღონ სამ-სამი ლეღჳს ჩირი და ჳ კარასუული ღჳნოჲ.

*უწყებულ იყავნ: დიდთა მარხვათა ჯერ-არს, ვითცა ვის ძალ-ედვას, მარხვაჲ და ლოცვაჲ წამებითა სულიერისა წინამძღურისაჲთა; ხოლო თჳგდომობისა და აღვსებისა კჳრიაკესა ჴელთ-საქმარი არა ჯერ-არს, არამედ წიგნის-კითხვაჲ და მარხვაჲ და ლოცვაჲ შეკრძალულად.

ქრისტეს შობასა შწუხრი და განცხადებასა და დიდსა შაბათსა «სერობისაჲ» საეკლესიოდ არა ილოცვების, არამედ თჳთოეულმან თჳსგან ილოცონ მოკლედ.

განცხადებასა** მარხვანი საეროდ არა ჰქუანან, არამედ შემდგომად განცხადებისა ზატიკი არს მსგჳსამდე.

---

* განწერილ მარცხენა კიდეზე სწერია: „დ[ა შ]ო".

** განწერილ მარცხენა კიდეზე სწერია: „განცხადებისათჳს".

უწყებულ იყავნ, ვითარმედ: ეკლესიასა შემდგომად მა[ამასა]
სახლისსა დეკანოზისადმთანა-აქ ძმათა მორჩილებად, და იგი ეტყოდეს თჳითეულსა, უკუეთუ არაწესიერად დგენ, ანუ უწესოდ ილოცვიდენ, ანუ ზრახვიდენ ეკლესიასა შინა, ამხილებდინ და კანონსა მისცემდინ, წიგნის-კითხვასა ეკლესიასა შინა მდუმრიად მოჰველიდინ[1] და მძინარეთა განაღჳძებდინ.

და კუალად იყავნ ერთი სხუადაცა სულიერთაგანი, რომელსა საქმედ ესე ეპყრას: შემდგომად ქამისა რეკისა აწუევდეს ძმათა ეკლესიას ლოცვად და ნუმცა ვის შეუნდობს ქამსა ლოცვისასა უბნობად, ანუ ძილად.

და კუალად შემდგომად სერობისა მოჰველიდეს სენაკებსა ძმათასა და ნუმცა ვის შეუნდობს ცუდსა უბნობად, რამეთუ შემდგომად სერობისა არავის კელეწიფების უბნობად მამასახლისისაგან კიდე; და ეგრეთვე არცა ვის ტაბლასა ზედა კელეწიფების უბნობად, არამედ წიგნის-კითხვასა[306] ისმენდეს; და თუ წიგნი არა იყოს, ეგრეთვე ლმობიერად ჰამდეს და მმადლობდეს. და რაჟამს ტრაპეზით აღდგენ, ნუმცა ვის კელეწიფების გარეშე სენაკისა დადგომად და ცუდად მეტყუელებად.

ხოლო უკუეთუ ძმასა შენსა არა უსმენდენ და წინა აღუდგებოდიან, ამხილოს მიმითა ღმრთისაგთა; და თუ კუალადცა ურჩ ექმნენ, წინამძღუარსა მოაჴსენოს.

[ერისკაცის მონაზონობად მოსლვისათჳს]

უკუეთუ ერისკაცი ვინმე მონაზონობად მოვიდეს, ვიდრე წელიწდამდე, გინა ჲ თუემდე არა ჴერ-აოს კურთხევაჲ, არამედ ბინრველად ორიოდენ მსგეფსი გარეგან ეკლესიისა დაყოს და მერმე იუბნოს ივი წინამძღუარმან.

და უკუეთუ პოოს იგი სათნოდ, განსძარცოს საერისკაცოჲ სამოსელი და შეჰმოსოს ჩოჯაჲ და მოჰკუეცოს თმაჲ. ხოლო უკუეთუ იპოოს მორჩილ, აკურთხონ მონაზონად და შეჰმოსონ სამჭარე და შეჰრაცხონ ძმათა თანა.

ესეცა უწყებულ იყავნ, რამეთუ რომელსა დღესა სა...*

---

1 მოჰველიდენ.

* აქ მთავრდება ხელნაწერის 305-ე გვერდი; 307-ე გვერდი დაწერილია სხვა ხელით და იწყება სიტყვებით: „ბუდსა და სუმწსა და შობასა ღმრთი", რაც ჩვენ ტექსტს არ უდგება; სჩანს, ამ გვერდებს შორის აკლია ერთი რვეული (ტეტრატის 8 ფურცელი).

2. [ქიმთვა-მიგებაჲ, როჲველი მოსცა თეოდორე საბაწმიდელსა ეფთჳმი მთაწმიდელმან]*

[1005—1019 წწ.]

[56ბ] თქუეული წმიდისა მამისა ჩუენისა ე ფ თ ჳ მ ი მ თ ა წ მ ი დ ე ლ ი ს ა ჲ, რომელი იყო ნათესავით[1] ქართველი, რომელმან-იგი მრავალნი წიგნნი თარგმნა საღმრთონი ბერძულისაგან ენისა ქართველთა ენასა[2], რამეთუ გამოიტყოდა იგი ენათა მადლითა სულისა წმიდისაჲთა, [V] და ესე მცირედი კ ი თ ხ ვ ა ჲ-მ ი გ ე ბ ა ჲ მოსცა თ ე ო დ ო რ ე ს ხუცესსა ს ა ბ ა წ მ ი დ ე ლ ს ა, რამეთუ იყო იგიცა ქართველი მდდელი კეთილი.

[წიგნნი, რომელთა კათოლიკე ეკლესიაჲ არა შეიწყნარებს]

1.** კ ი თ ხ ვ ა ჲ ა: გევედრები შენ, ღმერთმოსილო მამაო, მაუწყე, თუ რომელნი წიგნნი არიან, რომელთა იგი წმიდა კათოლიკე ეკლესიაჲ არა შეიწყნარებს?

მ ი გ ე ბ ა ჲ ა: რომელთა კათოლიკე ეკლესია არა შეიწყნარებს წიგნნი არიან ყოველნი, რომელნი მწვალებელთა მიერ აღიწერნეს:

ო რ ი გ ი ნ ე[3] მწვალებელსა მრავალი წიგნნი დაუწერიან[4] და არა შესაწყნარებელ არს.

და კუალად ე ვ ს ე ვ ი პ ა მ ფ ი ლ ე ლ ი ს ა წიგნი არს[5] მრავალთა რათამე საქმეთა და თხრობათა წარმოიტყჳს თჳთო სახეთა, რამეთუ მრავალითა ფიცლასოფოსობითა დაწერილ არს იგი, არამედ წვალებანი მრავალნი ჩაუ[56გ]ჩრთჳიან მასვე და ამისთჳს არა შეიწყნარებს ეკლესიაჲ.

იგი ქართულად გისმე უთარგმნია და ეწერნარეს მრავლისა ქამისა სიცოცხლესა ნეტარისა მამისა ჩუენისა ი ო ა ნ ე ს ს ა, მოეწერა ქართლით ს ტ ე ფ ა ნ ე ე ბ ი ს კ ო პ ო ს ს ა ჰ ყ ო ნ დ ი დ ი ს ა ს ა და ეკითხა, ვითარმედ: შესაწყნარებელ არს წიგნი ესე, გინა თე არაო.

ხოლო ჩუენ მიუწერეთ მას, ვითარმედ: არა შესაწყნარებელ არს. მაგრა კარგნიცა საქმენი მრავალნი სწერიან, გარნა ღუარძლიცა წვალებისა თანა შთაეთესავს და მით უჭმარ არს იგი.

და კუალად იგი ა ნ ტ ი ო ქ ი ი ს მ ო ქ ც ე ვ ა ჲ ა არავე შესა-

---

1 ნათესავი. 2 + ენათა. 3 ორიგინეს. 4 დაუწერნა. 5 არსა.

* ეს საბუთი ანალოგიურია № 1 საბუთისა, მაგრამ რედაქციულად მისგან დიდად განსხვავდება.

** ხელნაწერში ტექსტი მეხლუბად დაყოფილი არ არის.

წყნარებელ არს, რამეთუ ჭეშმარიტი ანტიოქიის მოქცეაჲ იქ ტყუარს, ვითარცა კლემენტოს იტყჳს.

და პაველეს ცათა მოხილვაჲ ნატყუარიეე[1] არს.

და სხუაჲ რაჲმე არს, რომელსა შინა სწერია, თუ თომას[v] სახარებაო, იგიცა უცხოჲ არს ეკლესიისაგან.

და წიგნი აბოკრთფა უცხოჲთა რათამე საქმეთა მეტყუელებს; და ეკლესიაჲ საბერძნეთისაჲ არა შეიწყნარებს.

და სხუაჲ რაჲმე არს ადამის ცხორებაჲ და არცა მას მიითჳალავს ეკლესიაჲ.

და კუალად სხუაჲ არს წიგნი სიყრმე უფლისაჲ და არცა იგი შესაწყნარებელ არს.

და მოციქულთა ცხოვრებანი, რომელნიმე განრყუნილ არიან მწუალებელთაგან: წმიდისა მათე მახარებელისაჲ და წმიდისა ანდრიაჲსი.

კუალად გიორგისი არს წამებაჲ უცხოჲ და უცხონი რაჲმე საქმენი სწერიან, რომელსა დადიანესი ეწოდების.

ხოლო წამებაჲ ჭეშმარიტი წმიდისაჲ გიორგისი, რომელი ეკლესიაჲსა შინა იკითხვების, იგი არს, რომელ დეოკლიტიანეს მიერ იწამა.

და წმიდისა კვრიკეს წამებასა სწერია, ვითარმედ სხუაჲ ვიეთ დაწერეს წამებაჲ კვრიკესი უცხოჲ სჯულისაგან ქრისტეანეთაჲსი.

და [ა64] სხუანი რაჲმე ესეოდითარნი ნატყუარნი მრავალნი არიან, სახელები მათი რად საქმარ არს. ც ესეოდითარ[ნ]ი რომელი სხუათა მწუალებელთა დაუწერია და თჳთ საცნაურ არს.

ხოლო ესე მოციქულთა და მოწამეთა [წამებანი] მას დაწყებულსა ევლიანეს, ვითარცა იყო მტერი უფლისა და ყოველთა წმიდათა, მან გარყუნა, რაჲთამცა ნაკლულად[2] შერაცხეს ყოველი და არამცა ვის[3] სარწმჳნო უჩნდა წამებაჲ წმიდათა მოციქულთაჲ, გინათუ მოწამეთაჲ, არამედ უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან სახელი მისი[4] ა[დ]ქოკა.

ხოლო წმიდათა საკსენებელი ვითარცა მზე გამოაბრწყინვა ყოველსა სოფელსა შინა, რომელთა თანა არ[ს]მცა ნაწილი და სამკჳდრებელი შენი და ჩუენი წმიდაო მამაო.

---

[1] ნატყუაროვე. [2] ნაკლულად. [3] არამცა ვის. [4] მისი.

2. კითხვაჲ: მაუწყე მე, საუფლოთა დღესასწაულთათჳს, ეითარ ჴერ-არს პყრობაჲ?

მიგებაჲ: [V] საუფლოთა დღესასწაულთა არც მუხლთ-დრეკაჲ ჴერ-არს, არცა მარხვაჲ. არამედ, რომელსა ზიარებაჲ აქუნდეს, მოძღურისაგან ეზიარენ ჟამსა სამხრისასა და პირი იჴსნას, რაჲ იღოცოს; გარნა თჳნიერ ლოცვისა უწესოჲ არს მიღებაჲ საზრდელისაჲ.

3. კითხვაჲ: ყოველთა დღეთა არა ჴერ-არს მუხლთა დრეკაჲ?

მიგებაჲ: საბერძნეთისა დაყუდებულნი და ეკლესიანი ქრისტეს შობაჲსა და განცხადებასა შემდგომად, ვიდრე მსგეფსამდე მუხლთა არა იდრეკენ და ეგრეთვე აღსებითგან ვიდრე მარტჳლიადმდე.

ხოლო სხუათა დღესასწაულთა საუფლოსა მას დღესა და ხვალისა დღე უკუეთუ არა იდრეკდენ, კეთილ არს; გარნა საზრდელისათჳს აღსებითგან ვიდრე ახალ კჳრიაკედმდე, ყოვლადვე არა ჴერ-არს [ანა] მარხვაჲ, არამედ სამხრად — პირის-ხსნაჲ.

ხოლო მიერ ჟამითგან სენაკსა შინა მყოფი თუ იმარხჳდეს, კეთილ არს ვიდრე მიმწუხრადმდე, თჳნიერ შაბათ-კჳრიაკეთა და ამაღლებისა და შუა ზატიკისა და სხუათა საუფლო[თა] დღესასწაულთა.

ეგრეთვე წმიდისა ღმრთის-მშობელისა და წმიდათა მთავარანგელოზთასა და წმიდათა ათორმეტთა მ[ო]კიჭულთასა და სხუათა წმიდათა, რომელთა დღესასწაულნი იდიდებიან: წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისი, წმიდისა თეოდორესი, წმიდისა დიმიტრისი[1], წმიდისა ნიკოლაოზისი, წმიდისა იოანე ოქროპირისა და წმიდისა ბასილისი[2], [ე]სე ჴსნილნი არიან.

4. კითხვაჲ: რომელნი იგი სამარადისოდ იმარხჳენ და წუელასა არა [ს]ჭამენ არაჲთრთა, რაჲ ჴერ-არს მათთჳს?

მიგებაჲ: არაჲთრთა განჴსნა ჴერ-არს მათთჳს და წუელისა ჭმარებაჲ მწუალებელთა მათ, რომელთა-იგი [V] არაჲთრი დაღეს; და ეგრეთვე ყოველიერსა ოთხშაბათ-პარასკევითურთ ჴერ-არს, გინ ყოველადვე წუელასა არა [ს]ჭამდეს, მაშინ მიიღებს მათ მწუალებელთათჳს, რომელთა-იგი ყოველიერი მარხვათა თანა შერაცხეს.

5. კითხვაჲ: დიდთა მარხჳათა ეითარ ჴერ-არს ჟამის-წირვაჲ?

მიგებაჲ: კათოლიკეთა მარხჳათა შაბათ-კჳრიაკეთა აღესრულების ჟამის-წირვაჲ; და დიდსა ხჳთშაბათსა და ხარებად და სხუათა დღეთა განაბლებაჲ ჴერ-არს, ხოლო ჟამის-წირვა არა აღესრულების.

---

[1] დიმიტრისა, [2] ბასილისა.

6. კითხვაჲ: რაჲ არს იაკობის ქამის-წირვაჲ, ჰეშმარიტი არს, ანუ თუ არა?

მიგებაჲ: წმიდისა იაკობის ქამის-წირვაჲ უეჭველად ჭეშმარიტი არს და პირველად იგი იყო ეკლესიათა შინა საბერძნეთისათა.

ხოლო ოდეს წმიდამან ბასილი [566] და ნეტარმან იოანე ოქროპირმან ქამის-წირვანი გამოთქუნეს, სიმოკლისათჳს ერმან იგინი [ალირჩია] და წმიდისა იაკობისი მივიწყდა; და აწ ყოველნი ოქროპირისსა [ს]წირვენ [და] დიდთა მარხვათა შინა ბასილისსა.

და ოდესცა ვის უნდეს, ყოველადვე კეთილ არს იაკობისაცა, პეტრესიცა, ბასილისა, ოქროპირისა[ცა].

[ძილსა შინა ოცნებით დაბრკოლებისათჳს]

7. კითხვაჲ: უკუეთუ ოცნებაჲ მოიწიოს, ვითარ ჯერ-არს მას დღესა?

მიგებაჲ: ძილსა შინა ოცნებით თუ დაბრკოლებაჲ ვისმე შეემთხჳს, მას დღესა არა ეზიაროს, არცა საკურთხეველსა შეეხიდეს, არცა სახარებასა შემთხუეულად, არცა ხატსა, არცა ჯუარსა, არცა წმიდათა მარტჳლებსა.

უკუეთუ კუალა საჭირო რაჲმე იყოს და გინათუ ვიეთმე თანა იყოს და სირცხჳლ ჴნდეს სახარებისა არა შემთხუევაჲ და შეემთხჳოს, ესე ზომი ბრალი [V] არა[1] რაჲ არს.

[მოძღუართა და მოწაფეთათჳს]

8. კითხვაჲ: მოუწყე ესეცა, თუ რაზომ თანა[2]-აც მოწაფესა მორჩილებაჲ მოძღუართაჲ, გინა სიტყუათა მათთა[3] შედგომაჲ[4].

მიგებაჲ: მოძღუართა, რომელთა მოწაფენი აკურთხნენ, გინა აღსარებაჲ იტჳრთონ, უკუეთუ წვალებასა, ანუ კაცის-კლვასა, ანუ სიძვასა, ანუ გრძნებასა, გინა მწაღლველობასა აწუევდეს მოძღუარი, არა აქუს ესეთთათჳსა ჴელმწიფებაჲ; და მოწაფე იგი უკუეთუ[5] ურჩ ექმნას, უბრალო არს.

ხოლო ამათ პირთაგან კიდე, სხუაჲ რაჲცა[6] ამცნოს მოწაფესა, რომლისა-იგი აღსარებაჲ ეტჳრთოს, გინა ეკურთხოს, ჴელმწიფებაჲ აქუს მას ზედა მოძღუარსა; და მოწაფესა მას თანა-აც მორჩილებაჲ. და წარსლვად მოწაფესა მოძღურისაგან, თჳნიერ წამებისა მისისა, არა ჴელ-ეწიფების ყოველადვე.

---

[1] არა] არს. [2] რაზომ თანა] რაზომთა. [3] მისთა. [4] შედგმა. [5] + უკუეთუ. [6] რაჲცა] არცა.

[567] არამედ უკუეთუ მოძღუარი იგი ადგილსა ესეგანარჩენ-ჯდეს, სადა ენებანი იყვნენ და მოძღუარსა მას არა ევნებოდეს, ჩვე-ულო მოწაფე იგი დაცემასა შთაეარდებოდეს და უთხრას მოძღუარსა მას, და მან არარაჲ იზრუნვოს ცხორებაჲ სულისა მისისაჲ და მოწაფე იგი განეშოროს, ამის პირისათჳს უბრალო არს იგი.

ხოლო სხუაჲ არარაჲ არს მიზეზი ურჩებისა და მოძღურისაგან განშორებისა მისისაჲ.

უკუეთუ კულა ურჩებითა და თაეკედლობითა განეშოროს და არად შერაცხოს სიტყუაჲ მოძღურისაჲ, სულსა თჳსსა წარსწყმედს.

[კრულების დადებისათჳს]

9. კითხვაჲ: კრულებაჲ რომელთა საქმეთაგან მიეცემის კაცთა?

მოგებაჲ: კრულებაჲ უკუეთუ წინამძღურისაგან დაედვას, გინა მღდელთ-მოძღურისაგან საქმესა ზედა სამართალსა, ვერვინ აჰკდის [V] მას თჳნიერ მისსა, რომელმან იგი დასდვა.

უკუეთუ კულა უჯეროს საქმესა[1] აწუევდეს და სულისა საენებელსა, და იგი ვერ დამორჩილდეს და ამისთჳს კრულ ყოფს, სულსა თჳსსა იენებს და კრულებაჲ იგი ცუდი არს.

და უკუეთუ უცხოსა ვისმე კაცსა, რომელი არა მისი მოწაფე იყოს და არცარა შესცოდოს და კრულებაჲ დასდვას, ესეცა უწესო არს და ცუდი და საბრალობელი. და ამის პირისა სხუანი მრავალნი არიან, წერილით ყოველი რაჲ გაუწყო.

[სქემის კურთხევისათჳს]

10. კითხვაჲ: სქემის-კურთხევისა შემდგომად ზიარებაჲ ვითარ ჴერ-არს?

მოგებაჲ: სქემის-კურთხევისა შემდგომად უკუეთუ სხუაჲ ბრალი არარაჲ შეემთხჳოს, მარადის ეზიარებოდის.

უკუეთუ კულა შე-რაჲმე-ემთხჳოს ც[ო]დვაჲ, კუალად კანონი[2] უზიარებლობისაჲ დაიმარხოს, ვითარცა ცოდვასა მას შეჰგუანდეს.

11. კითხვაჲ: მარხვათა [შინა] სქემის-კურთხევაჲ კეთილ არს, ანუ არა?

მოგებაჲ: სქემის-კურთხევაჲ შაბათ-კჳრიაკეთა კეთილად იქმნების და აქა ჩუენ თანა შაბათ-კჳრიაკეთა აღესრულების უმეტესი კურთხევაჲ სქემისაჲ.

---

[1] საქმისა, [2] კანონი.

უკუეთუ კული სნეულად ვინმე იყოს და დამძიმდეს, რომელსა-ცა დღესა ცხერთხოს სჭამა, კეთილ არს.

[თეოფილესთჳს]

12. **კითხვაჲ:** რაჲ უკუე ვიცოდე თ ე ო ფ ი ლ ე ს თ ჳ ი ს, ჴერ-არსა[1] შერაცხეა სხეათა თანა წმიდათა მღდელთა, ანუ[2] არა?

მიგებაჲ: თეოფილე მწეალებელი არა იყო, ხოლო წმიდისა ი ო ა ნ ე ნ ა თ ლ ი ს მ ც ე მ ე ლ ი ს მტეროაბითა დიდნი ცთომანი ქმნა, და საბერძნეთისა ეკლესიათა შინა არცა ვინ შეასუენებს ეიარცა სხეათა მწეალებელთა, არცა ვინ აჭსენებს მოჭსენებულთა შინა.

[კჳრილესთჳს]

13. **კითხვაჲ:** იტყჳან ვიეთნიმე, ეითარმედ კ ჳ რ ი ლ ე ჰგმობდა წიგნთა ოქროპირისათა და ამის მიზეზისათჳს მიიტაცა სასუფეველსა, ხოლო ოქროპირი არა შეუშეებდეთ და წმიდამან ღმრთისმშო[V]ებელმან იხუეიშნათ.

მიგებაჲ: კჳრილე დიდი მწათობი არს ეკლესიათა და საჭსენებელ არს ყოველთა კრებათა შინა და იგი ყოველი ეგრე იყო პირველად: და ივი სუეიშნებაჲ წმიდისა ღმრთის-მშობელისაჲ ჰეშმარიტი არს კჳრილესთჳს. ხოლო მიერ ქამითგან დიდნი შესხმანი აღწერნა ნეტარისა ი ო ა ნ ე ო ქ რ ო პ ი რ ი ს ა თ ჳ ს კ ჳ რ ი ლ ე.

[თევზის-ჭამაჲ კათოლიკეთა მარხვათა შინა]

14. **კითხვაჲ:** კათოლიკეთა მარხვათა რომელნიმე ბრალად იტყჳან [ჭამასა თევზისასა].

მიგებაჲ: თევზისა ჭამაჲ კათოლიკეთა მარხვათა გულსავსე იყავნ სიყუარული თქუენი, არცა სჯულის გარდასლვაჲ არს, არცარაჲ ბრალი; არამედ უფროსად იგი არს ბრალი დიდი, უკუეთუ ვინმე თევზისა [ჭამაჲ] წუელასა თანა იკ[ა]ლთოს შერაცხეაჲ.

და თუ სადაჲთ ანუ ვინაჲ დათესილ არს ეგე ქუეყანასა ჩუენსა, მიკურს, ვჰგონებ, თუ სომეხთა შიერ. რამეთუ თევზისაჲ მარხვაჲ კათოლიკეთა წესიერად ჴერ-არს [ვით] მონაზონთა და მოწესეთათჳს, დაღაცათუ სხეასა დღესა არა მიიღონ, ხარებად უმიზეზოდ

---

[1] ჴერ-არსა] კრა. [2] ანუ.

მიღება ჯერ-არს; და არა მიღება ბრალი არს, უკეთუ ოდენ ვინ
დენ.

ღვინის სუმაჲ უფროს საღებელ არს და საბრალობელ საბრო-
ბელად, ხოლო თეჳლი უკეთუ იშვარხენ წესიერად, კეთილ არს;
უკეთუ ვერა — რაჲმე მას შინა სჭამონ თუ, არა იქცეს ბრალი.

ხოლო ესე გარდაკეთებით, ვითარცა წუველაჲ მწვალებულთა სო-
მეხთაჲ არს, და არა კეთილ არს. და სჯულის-კანონსაცა წერილ არს
ამის პირისათჳს და მას ჯერ-არს; ხოლო უმეტეს მისცა არა ჯერ-არს.

[ცოცხალთათჳს ქამის-წირვაჲ]

15. [კითხვაჲ:] ვიეთნიმე აყენებენ ცოცხალთათჳს ქამის-წირ-
ვასა, რაჲ უკეთე ჯერ-არს?

მიგებაჲ: რომელნი იგი ქამის-წირვასა აყენებენ ცოცხალ-
თათჳს, [V] ფრიად სცთებიან, რამეთუ ცოცხალთათჳს ქამის-წირვაჲ
კეთილ არს და ფრიადცა და წმიდათა მოციქულთა და მამათა მიერ
დაწესებულ. და ცუდად დაიჭირებენ ესეოდენთარსა დიდსა კეთილსა
და დიდებასა, რამეთუ ვითარცა ყოველი ლოცვაჲ და კეთილი სუ-
ლიერი და ჭეშმარიტი უმჯობეს არს სიცოცხლესა, დაღაცათუ
შესულებულთათჳს იქმნების იგი. ეგრეთვე ქამის-წირვა ცოცხალ-
თათჳს კეთილ არს ფრიად და წმიდათაგან განწესებულ. და ნეტარ
არს კაცისა მის, რომელმან სიცოცხლესა მისსა წარიძღუანოს წინა-
შე მისსა მრავალი ქამის-წირვაჲ. და შესულებულთათჳს ეგრეთვე
კეთილ არს.

3. [დაწერილი მელქიზედეკ კათალიკოზისა] სვეტიცხოვლისადმი]

[1029—1033 წწ.]

ჟ. სახელითა ყოვლადა სახიერისა ღმრთისა მამისა, და ძისა, და
სულისა წმიდისაჲთა, მეოხებითა ყოვლადა წმიდისა ღმრთის-მშობე-
ლისაჲთა, ძლიერებითა ცხოველს-მყოფელისა და პატიოსნისა ჯუა-
რისაჲთა, შეწევნითა ყოველთა ღმრთისა წმიდათა ზეცისა და ჭეშმა-
რიტისათა.

ესე დაწერილი მოვაგსენე და შევსწირე ყოველთაჲ ჩრდილოეთისა კედართა შორის უალრესსა და უაღმატებულეს-
ადიდებულესსა, წმიდასა და კათოლიკე და სამოციქულოსა საყდარ-
სა მცხეთისასა. სალოცველსა და სახლსა ღმრთისა დიდებისასა, და
მას შინა ღმრთივ-აღმართებულსა სვეტსა ცხოველსა, კუართსა სა-
ღეთფოსა და მირონსა ღმერთ-მყოფელსა და წმიდა-მყოფელსა ჩუენ,

ქრისტეს მიერ კურთხეულმან ქართლისა კათალიკოზმა პატრიარქმან მელქიზედეკ. მას ჟამსა, ოდეს უღირსი ესე ლიხს ეკიდნეს საჭეთ პყრობად წმიდისა ამის ტაძრისა კათოლიკოსად. ესე მოციქულოჲსა ეკლესიისა და შევამკევ სალხინებელად სულისა ჩემისა და წარსამართებლად ქრისტიანეთა.

[სამკაულობა]

და შევამკევ ყოველითაცე სამკაულობითა, გარეთითა ბჭითა და გარეშემო სტოითა მოქმნითა და ზედადაბურვითა.
და შევამკევ ყოველითა სამკაულობითა, ოქროჲთა და ვეცხლითა, თუალითა და მარგალიტითა და საღმრთოითა წიგნთა[1] დაწერითა.
და შევ*ბედე სუეტიცხოველი ოქროჲთა და ვეცხლითა;
და შეეჯედე წმიდაჲ საკურთხეველი ო[ქროჲთა] და ვეცხლითა, თუალითა და მარგალიტითა;
და მოეჯედნე კანკელნი და კარნი საკურთხეველისანი ოქროჲთა და ვეცხლითა;
და შევქმნენ ძელნი ცხორებისანი ოქროჲსანი ბ-ნი, თუალითა და მარგალიტითა;
და შეექმენ წმიდაჲ ესე სამარტჳლოჲ ოქროჲთა და ვეცხლითა, თუალითა და მარგალიტითა.
და ამასა შიგან დაესუენნენ ყოველთა წმიდათა ნაწილნი აფრაცხელნი და ძელი ცხორებისაჲ;
და დაესუენე ხატი ოქროჲსაჲ, რომელი მიბოძა კოსტანტი ბერძენთა მეფემან;
და სამარტჳლოსაცე შიგან დაესუენე ხატი ესე წმიდისა ღმრთის-მშობელისაჲ შემკობილი ოქროჲთა, თუალითა და მარგალიტითა, რომელი მიბოძა ბასილი ბერძენთა მეფემან;
და ხატი ესე დიდი მაცხოვრისაჲ საროთითა და გარეშემო თუალითა შემკობილი, და სხუაჲ ხატი მაცხოვრისაჲ ვეცხლისაჲ, ოქროჲთა ცერუებული;
და ხატი ნათლისმცემელისაჲ ა-ი; და თევდორეაჲ ა-ი, და საროთითა შეჰქმნილნი, ოქროჲთა და ვეცხლითა შეჰედილნი;
და სხუაჲ ხატები, საროთითა და ოქროთაფლითა დაწერილნი, ჩემნიცე დასუენებულნი რიცხჳთ ნე;

[1] წიგნებითა.

* აქამდე A ნუსხის ტექსტი აკლია.

და ბარზით-ბეშხეთი ოქროჭასაჲ, თუალითა და მარგალიტითა შემკობილი;
კოვზი ოქ[რ]ოჭას[აჲ] და ხუთნი ოქროჭასანი, თუალითა და ლიტითა შეკაზმულნი;
და სამწერობელნი ოქროჭასანი და მარგალიტითა შემკობილნი;
და საცეცხურნი და სასაკუმველენი ოქროჭასანი ა;
და სხუანი საცეცხურნი დიდნი ვეცხლისანი, სასაკუმველენი დიდნი, ორნივე ოქროჲთა ცურვებულნი;
და სადგამნი საცეცხურნი და სასაკუმველენი ვეცხლისანი დიდნი ა;
და სათანათნი საცეცხურნი და სასაკუმველენი ვეცხლისანი ა;
და ჯუარი ვეცხლისაჲ სათანაოჲ ა;
და ვეცხლისა ტაშტაბრაგი დიდი წყვილი ბ;
და ბერძული ტაშტაბრაგი ვეცხლისაჲ, ოქროჲთა ცურვებული ა;

[წიგნნი საღმრთონი]

და წიგ[ნ]ნი საღმრთონი, რომელთა სახელები ესე არს:
სახარებისა თარგმანი დიდი ა — მათესი, მარკოზისი და ლუკაჲსი;
და იოვანეს თავისა სახარებისა თარგმანი წიგნი ა;
და სახარებანი ოთხთავნი გ;
სათანაოჲ ოთხთავი სახარებაჲ ა, გარე თუალითა და მარგალიტითა შემკობილი;
და მოწამეთა წიგნნი დიდნი, ზამთარი და ზაფხული, გარე ვეცხლითა შეკაზმულნი, ტილოკილოჲთა ვეცხლისაჲთა ბ;
და მღუდელთ-მოძღუართა წიგნი დიდი საწელიწდოჲ ვეცხლითა შეკაზმული ა;
და მარგალიტი წიგნი წინამძღუარი ა;
დეკლოლინი წიგნი ა;
იოვანეს გამოკხადებ[აჲ] წიგნი ა;
დედის ძმისა ჩემსა ანტონის ებოძა ჩემდა ანდრია სალოსი[ს] ცხო[ვრებაჲ] წიგნი ა;
დავითისა თარგმანი წიგნი ა;
სათანაოჲ მრავალთავი ა;
საწელიწდოჲ იადგარი ახალი ა;
და კურთხევანი, რომელსა შინა სწერია ეკლესიისა კურთხევაჲ, ხუცეს-დიაკონთა კურთხეუაჲ, გარე ოქროჲსა სჩ[ა]ტითა და ცუა-

რითა მოჭედილნი ა;
კურთხევანი სხუანი საწელიწადოანი სრ[უ]ლნი ყოველითა ცერ-
თა, გარე ეკლესიისა ცუარითა მოჭედილნი ა;
შჯულის-კანონი ძველი ა;
მარხვანი, რომელ სამეფოს იტყჳან ა;
და სხუაჲ წიგნები თავი ჸ;
და ორად გაყოფილი იადგარი მეხურე, რომელსა შიგან გან-
გებაჲ საწელიწდოჲ სწერია ა;
მატიანენი საშინაონი და საალაბენი ეკლესიითა მოჭედილნი ა;
და მატიანენი სათანაონი ეკლესიითა მოცუარუ[ლ]ნი ა;
ქაღის-წირვანი სათანაონი ა;
ესე წიგნები, რომელ მე დამიწერიან, ჴუმლად არს თავი კე.
საწიგნენი ოქროჲთა და ეკლესიითა ცურვებულ[ნი] ა;

[საკელაპტრენი]

საკელაპტრენი დიდნი სპილენძისანი ა; და შედეგნი ა;
საკელაპტრენი ეკლესიითა ცურვებულნი ბ;
საკელაპტრენი რკინისანი დიდნი ა.

[შესამოსელი]

და შესამოსელი სამღუდელთ-მოძღუროჲ ოქსინოჲ. ულღითა
ანაფორითა, ხატოვანითა, ოქროვან[ითა] და ყოველითაჳე სრუ-
ლი ე;
სამკლავენი ა;
მაზარაჲ ნივანდარი ა, მწუანე ა, და კუერცხის გული მაკანაჲ
ბერძული ოქროჲთა ა;
და ბერძენთა მეფისა რომანოზის ნაბოძვარი შე-
სამოსელი ოქროქსოილი ა;
და მაზარაჲ ოქროქსოჲლი ა;
სან[აწ]ილე ოქსინოჲ გ;
და ზე-ძაბაყრობელი ხატოვანი ოქროჲთა ა;
სადავნი სანაწილენი ბ;
და რომელ ეზონი ჩემნი დაკიდებულნი არიან, ბერძენთა
მეფემან ბასილი მიბოძნა;
დავჰკიდენ ოქსინონი გ;
და სუნდუსნი გ;
კუერცხის გული სუნდუსი ა;

სკარამანგი დიდი გარე შეოლეელნი, ეეცხლისა გრგოლისა შეკაზმულნი წ;
და ბაგრატ კურაპალატის ნამოძეარი დიდი ანკარჩაევა მანგი ა.

და მონასტერნი და სოფელნი, რომელ მე მომიგიან ამის წმიდისა დედაქალაქისათჳს:

გერძენთა მეფემან ბასილ[ი] მიბოძა მონასტერი დიდი, რომლისა საბელი არს კესტორი, რომელსა სოფელი აქუს რე;
და ტაოს ვიყიდე სოფელი ზედკარეკი ხუთითა აგარაჲთა;
და ძაღლის ჴევს ვიყიდე სოფელი ორითა სამითა აგარაჲთა;
ესე ორნივე სოფელნი მათითა აგარაჲთა ძმათა ჩემთა განძითა ვიყიდენ; და დაუდეც ამას წმიდასა დედაქალაქსა შიგან აღაპი დღე ხარებაჲ;
და კლარჯეთს მოვიგე სოფელი ა სბლუანი;
და შავშეთს მოვიგე სოფელი დიდი სბლობანი, აგარაჲ მისი ნაღუარევი;
და ჯავახეთს მოვიგე [სო]ფელი ტონთა;
და კოლას მოვიგე და ავაშენე სოფელი დიდი ორტაბანი აგარაჲთა;
და ფანავრას ავაშენე სოფელი ა მახარობანი;
და საკოეთს შევიპყრენ და ავაშენენ სოფელნი ბ, ნაქალაქევი და ბერდაძორი;
დ[ა] ქართლს მონასტერი პალავრაჲ ითხითა სოფლითა;
და ცუქითი შესავალითი მისითა;
ყანცუისი შესავალითა მისითა;
და შინდებისა ნახევარ[ი];
[და] კურბითს სააზნაურო[ჲ][1] კარგი სოფელი ა;
ჩოჩეთს უბანი ა, მიწაჲ და ვ[ე]ნაკი სასეფოჲ;
ზეგანთა სოფელი ა;
შიდარი სოფელი ა;
და კახეთს ახატანს უბანი ა;

1 სააზნაურო[ჲ] რა აზნაურო[ჲ] A; რა აზნაური B.

და ნოსორნაჲ სოფელი ჲ;
და ვერეთს მონასტერი დიდთა ძალთა ღაგოდეჭიწალა
და ვერეთსვე კათედრისა ეკლესიაჲ. შესაფერ[ი]ძალა
მ[ო]ნ[ა]ია;
და კაკს ვაჭარნი იბ;
და ზიარი სოფელი დიდი ჲ.
ესე ყოველი სოფელი, რომელ მე მოვიგე რლე.
და რომელნი სოფელნი ძველად ჰქონდეს ამას წმიდასა დედაქალაქსა, შესავალნი იყუნეს; დ[ა] მე მოვაკსენე გამზრდელსა ჩემსა ბაგრატ კურაპალატსა და შეუვალად გამიჭაღნეს და მიბოძეს სამტკიცე შეუვალობისაჲ.
და რომელი ქალაქისა გასავალი იყო ამის წმიდისა დედაქალაქისაგან: ცხუარი, ცხენი, ღუნიაჲ ზედანი და რაჭა იყო, ყოველი ალი ამ[ი]რაბან ამოგვგდო და ავჰკადე ამას წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა.
და ყოველნი სოფელნი, რომელნი წმიდისა ამის კათოლიკე ეკლესიისანი არიან, ავაშენენ და დავდგენ ყოველგან სახლნი; და ავაგენ ეკლესიანი რიცხჳთ ყოველნივე.
აწ წმიდანო მღუდელთ-მოძღუართა მთავარნო, რომელნი შემდგომად ჩემსა ღირს იქმნეთ წინამძღურად წმიდასა ამას დედაქალაქსა და იხილნეთ ნაქმარნი ესე ჩემნი, წმიდასა ლოცვასა თქუენსა მომაკსენეთ საწყალობელი ესე სული ჩემი. რაჲთა თქუენცა ღმერთმან სასყიდელი მოგანიჭოს. აწინ. ქრონიკონი იყო სმ.

[ანდერძი]

და ამათ ყოველთა ნაქმართა ჩემთა შემდგომად სამხრით სადიაკონოსა, წმიდათა მოწამეთა სამარტჳლოსა შიგან შევქმენ საფლავი ჩემი და დავდგი საკურთხეველი და ამა საკურთხეველსა ზედა დავაყენე ქამის მწირველად ცოდვილისა სელისა ჩემისათჳს გაზრდილი ჩემი ითეანე საფლავსა ჩემსა ზედა.
და ჳშინე ამა საკურთხეველსა ჩემსა და ქამის მწირველსა და მივსცენ:
თ ქ ს: გლეხნი სამნი ფუძითა სრულითა, და ვენაკი ჲ, მიწაჲ ჲ, წისქჳლნი ჲ, და ჭალაჲ;
და ოტათლოანს გლეხი ჲ; ციხედიდს გლეხი ჲ, ორნივე[1] ფუძითა სრულითა და ვენაკი ჲ;

[1] ორნივეე̄ნაჲ A.

მცხეთას სენანი[1] ა, ბოსელი ა, ყანაჲ ა, და ვენაჯი მცირე
ესე ყოველი თაყასუფლობით შეუვალად ჰქონდის ყოველსავე
საჯალისა სასეფოჲსაგან, დიდისა და მცირისაგან.

და არავის აქუს ამას ზედა ჴელი, თჳნიერ ხუცისა, რომელი საკურთხეველსა ამას ჩემსა ზედა ქამსა წირვიდეს.

ესე სიცოცხლესა ჩემსა გა[ნ]ვაგე. და, ვითა ზემოჲთ დამიწერია, იოვანე საკურთხეველსა ჩემსა საფლავთა ჩემთა ზედა ქამის მწირველად დავადგინე და მიუთუალე ესე გასარომელი.

ვირე ცოცხალ იყოს, დგეს საკურთხეველსა ჩემსა ზედა, ქამსა წირვიდეს და მილოცვიდეს. და შემდგომად მისსა შვილთა და შვილის შვილთა მისთა დაუტეოს და იგი დგეს, ქამსა წირვიდეს და გჳლოცვიდეს.

და შეუცვალებელად ჰქონდის ესე გასარომელი საკურთხეველსა ჩემსა საფლავთა ჩემთა ზედა ქამის მწირველსა ხუცესსა უკუნისამდე ქამთა, ვირემდის წმიდაჲ ესე დედაქალაქი ეგოს.

და ამა სამარტჳლოსა შიგან საკურთხეველი ჩემი შევმოსე სკარამანგითა, მოვჭედე ვეცხლითა, დავდგი ბაორზიმ-ბეშბუემი[2] ვეცხლისაჲ და კოშჴ ვეცხლისაჲ, სანაწილე და ასაყრობელი, და საკეცხურნი, და სასაკმეველენი ვეცხლისანი. წესთმოსელი სკარამანგი ა, ზეწარი ა; და დავჰკიდე ეზოჲ სკარამანგი შეოლვილი ა.

და ამას წმიდასა დედაქალაქსა შიგან დავიდევ ალაბი თჳესა იანვარსა კდ, დღესასწაულსა ყოველთა წმიდათასა; ღამის-თევით და ქამის-წირვით აღესრულებოდის.

აწ წმიდანო მღუდელთ-მოძღუართა მთაჲარნო, რომელნი შემდგომად ჩუენსა და შემდგომითი შემდგომად ღირს იქმნეთ წირვამძღურად წმიდასა ამას კათოლიკე ეკლესიასა და ჰნახნეთ ნაქმარნი ესე ჩემნი, განგებული ესე და გაწესებული, რომელ ცოდვილისა ამის სულისა ჩემისათჳს დამიც და მიჩენია, შეუცვალებელად და თჳცეველად დაამტკიცეთ, რაჲთა შემდგომად თქუენსა სულისა თქუენისათჳს განგებული და განწესებული თქუენი დაემტკიცოს.

და რომელმან ჭართლისა კათალიკოზმან, გინა რამანცა გუარმან კაცმან შემდგომად ჩემსა და შემდგომითი შემდგომად, ვირემდის წმიდაჲ ესე დედაქალაქი ეგოს, ნაქმარი და განწესებული ესე სულისა ჩემისათჳს შეცვალოს, რომელ ზემოჲთგან ჴელმოწერით დაგჳწერია, რასაცა ქამსა რაჲსაცა ბიზეზისა მოღებითა აქცოს და ამა საკურთხეველსა და საფლავთა ჩემთა ხუცესი და ესე გასარომელი

---

[1] სენანი] სენაკი B. [2] ბაორზიმ ბეშბუემი A; ბაორიმ ბეშბიმი B.

მისი მოაკლოს, ანუ ალაბი ჩემი და ძმათა ჩემთაჲ შეცვალოს, მრისხავსმცა მამაჲ, ძე და სული წმიდაჲ და წმიდაჲ კათოლიკჱ[1] ეკლესიაჲ სუეტიცხოველი, სატი ღმრთაებისაჲ, წმიდაჲ ღმრთის-მშობელი, ძელი ცხორებისაჲ და წმიდანი ესე მარტჳლნი, დაკლებულმცა[1] არს წესთაგან საეკლესიოთა, და ნაწილიმცა მისი იუდას თანა არს, რომელმან განყიდა უფალი ჩუენი იესჳ ქრისტე; და და-მცადისაჴებს უარისმყოფელთა ღმრთისათა თანა. ✝

ესე ვითა ზემოჲ დამიწერია, ესე ქუემოჲთ ჴელითა ჩემითა დამიმტკიცებია.

ვინ აქციოს, კრულია დაუსაბამოჲსა ღმრთისა პირითა, წმიდისა ღმრთის-მშობელისა მაჲლითა, წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა მაჲლითა, წმიდათა მოციქულთა მაჲლითა და ყოველთა წმიდათა მაჲლითა; კრულმცა [ა]რს სულით და ჴორცით ორსავე ცხორებასა ამისა გამტეხელი.

და ვინ დაამტკიცოს, ჯუარი და კურთხეჲაჲ აქუს.

თქუენ, წმიდანო მღუდელთ-მოძღუარნო, რომელთა ესე დაწერილი და განგებული სულისა ჩემისაჲ ჰნახოთ, თქუენ სიმტკიცე დაწერეთ. ✝

ღმრთივ-დიდებულნო, ძლიერო ბაგრატ აფხაზთა მეფეო და, ნებითა ღმრთისაჲთა, ყოველისა აღმოსავლეთისა კურაბალატო და ძლიერო მეფეო კვრიკე, არწმუნოს ღმერთმან მეფობასა თქუენსა, ესე დაწერილი და განგებული სულისა ჩემისათჳს ჴელითა თქუენითა დამიმტკიცეთ. ✝

[ხელრთვები]

1.* ესე ვითა ზემოჲთ მელქიზედეკ ქართლისა კათალიკოზსა დაუწერია და საქმე სულისა მისისაჲ გაუგია, მე ბაგრატს, ნებითა ღმრთისაჲთა, აფხაზთა მეფესა და კურაბალატსა ჴელითა ჩემითა დამიმტკიცებია. მტკიცე არს და უქცეველ ნებითა ღმრთისაჲთა.

2. ესე ვითა, დიდებულ ყავს ღმერთმან სული მათი, მელქიზედეკს ქართლისა კათალიკოზსა სულისა მათისათჳს გაუგია და დაუწერია და შედეგად, ადიდენ ღმერთმან, ბაგრატ კურაბალატსა ჴელითა მათითა ჩაურთავს და დაუმტკიცებია,

---

[1] დაკლებულმცა] დაკიდემცა A.

* ხელნაწერში ტექსტი მუხლებად დაყოფილი არ არის.

მეცა კვრიკე მეფესა, დისწულსა კვრიკე მეფისასა, ჴელითა ჩემითა ჩამირთავს და დამიმტკიცებია.

მტკიცე არს და უჭეველი ესე. და ვინ უქცეოს, ესემცა ზემოჴსენებულნი წმიდანი ყოველნი ძრისხვენ. ✝

3. კვრიელეგასონ, ესე ვითა სულდიდებულსა და სულკურთხეულსა გამზრდელსა და შემოქმედსა ჩემსა და, ვიკადრო, მამასა მელქიზედეკ ქართლისა კათალიკოზსა დაუწერია და გაუგია თავისა სულისათჳს, ადიდებ ღმერთმან, ძლიერთა მეფეთა დაუმტკიცებია, მეცა გლახაკსა, უღირსსა, რეცა სახელით კათალიკოზსა დამიმტკიცებია.

ქრისტემან პირმტკიცეჲ ყოე[1] ბრძანებაჲ მათი; და ვინმცა აქცია ანუ შეცვალა ბრძანებაჲ მათი ქრისტეანეთაგანან კაცმან. ✝

4. ესე ვითა სულდიდებულსა მამასა ჩემსა მელქიზედეკს ქართლისა კათალიკოზსა იოვანესდა დაუწერია, და მათისა სულისა მლოცველად ქამის-მწირველად დაუწესებია, და მისი გასაროშელი უჩენია, და თვისი ჴელითა სიმტკიცე დაუწერია, ადიდებ ღმერთმან, ძლიერთა მეფეთა დაუმტკიცებია, და მეცა გლახაკსა ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზსა ოქროპირს ჩემითა ჴელითა დამიწერია და მათი ბრძანებული დამიმტკიცებია.

და მტკიცე არს უკუნისამდე იოვანესთჳს: და ნებიერი არს იოვანე [ღოჳლისა] ამის მათი[ა] ბრძანებულისა ეისთჳსცა იოვანეს უნდეს მიცემად და დატევებად.

და ვინცა ვინ, რამანცა გუარმან კაცმან, რასაცა ქამსა ამისაგანი რაჲცა დააჴლოს და შეცვალოს, ჯრუჭ[მცა არს ღმრთისა პირი]თა[2], წმიდათა მოციქულთა ჯუარითა, წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა მადლითა და ჰუენითა ჯუარითა მკუდარი და ცოცხალი მისი: ჯრუჭმცა არს] ცათა შინა და ქუეყანასა ზედა.

ვი[ნ] კუალა არაჲ უქცეოს, არცა ამისგანი შეცვალოს, არსმცა კურთხეულ ღმრთისაგან და ჩუენგან. ✝

---

[1] ქრისტემას პირმტკიცეჲ ყოე] ქ^ს მტ^ც იყო^ნ A; ქართლისა პატრიარქი მტკიცე იყოვნ B. [2] ღმრთისა პირითა] ღმრთისა და მისითა B.

4. [ნიკოწმიდის იადგარი]

[1071—1080 წწ.]

... შემოსწირია კობასტი[1] ა[2]... ივე[3] შეშანაბან... იცხი[4] ვეცხლისაჲ ა, ...საჲ ა;

ოთანე ლიბარიტს [ძვანი შემოსწირა] სტავრაი[5] ლომთანი[6], ბერძ[ული] და უკიდავს[7];

კახაბერსა... ს ცოლმან ზაზი [შემოსწირა ბა]ლდადური აეი ა; და შეკვე[რეთ] კუართი ა და სასთაული ბ;

ნუშ შემოსწირა კუბასტი ბერძ[ული] ა და კუართად შეკვერეთ, და გლეხი... და ალაბი გარდაეკვეთის სელისა [წმიდ]ისა მოფუნასა;

წორბელმან შემოსწირა ზნაკუას გლეხი ბ და მიწანი; და მისთჳს ალაბი გარდაიკვეთის ჯუარისა გამოჩინებასა;

ეარიზ-ვაჩე შემოსწირა ძისა მისისათჳს ფუთს გლეხი ბ; და ალაბი გარდაეკვეთის დღესა ახალ კვრიაკესა;

წირქუალელისა ძეშან შემოსწირა გლეხი ზ; და მას თანა შემოატანეს ჯორი ა, ძოლოჲ ა, კრმალი ა; და მისთჳს[8] გარდაეკვეთის ალაბი დღე ფერისცვალებაჲ და საფლავთა მისთა ზედა დაგვდგენია ჯამის მწირეველი ა.

და რომელ მე მიყიდიან გლეხნი და მიწანი და მათთჳს გამიცემია ეკლესიისაგან განძად და პირუტყუად:

[მეტეხარას]

მეტეხარას დებორიანის ძისაგან ვიყიდე გლეხი ა; და მისთჳს მიეცეც ძოლოჲ ახალი ერთი და შედეგი ძოლოჲ ა, ტაბასტაი[9] სომხური ბ, ჯაჭვ ა, და ჭარი კარგი ა, სასთაული[10] ხირაითა კარგი ა, და ქაფი ჯაჭვსაჲ ა; და მოწამე[11] არიან კაცნი.

მისვე დებორიანის ძისაგან ვიყიდე პარტახტი ა; და მიეცეც ცხენი ა და ჩაბალახი გუდამაყრული ა; და მოწამე[11] არიან კაცნი.

და მუნვე მეტეხარას კასალის ძისაგან ვიყიდე ვენაჯი ა, და მიეცეც ჭარი ა, და საკნისი ბ; და მოწამე[11] არიან კაცნი.

ჯინჭარაჲს ძისა გლეხისაგან ვიყიდე ნაოთხალი ვენაჯისაჲ, ჩუენ თანა ედგა და გაისაკუთრე და მიეცეც ზროხაჲ ა, და ორმოცისა დრამისა ქმელადი; და მოწამე[11] არიან კაცნი.

მუნვე მეტეხარას ჯინჯინოძისაგან ვიყიდე ვენა-

---

[1] კობასტი A. [2] ა]—BC. [3] ნვე A. [4] ცხი A. [5] ტავრაი A. [6] ლომოანნ BC. [7] და უკიდაუს] დკიდავს A. [8] ამისთჳს BC. [9] ბაბასტაი B. [10] სასთაული BC. [11] მოწმე A.

კი, ჩეენსა გლეხსა თანა ედვა და მიეცა ფური ა, და კმელადა სწ მოცდათხუთმეტისა დრამისაჲ; და მოწამე[1] არიან კაცნი.

და მუნვე მეტეხაროს დაედგა სასაწეხლოჲ ქვითკირი ა, და შიგან ყურძნისა საწნეხი ქვითკირი ა, და შეშისა საწნეხელი ა.

[ზნაკუას]

ზნაკუას შეექმნეს სასაწნეხლოჲ ქვითკირი ა, და შიგან ყურძნისა საწნეხი ბ, და შეშისა საწნეხელი ა, [ქვითკირი ბოსელი ა, და ზედა ხერხული ბეღელი ა, ქვითკირი ფარეხი ა, და ზედა ჰორეთი სახლი ა. და დავჰფალ მარანსა შინა ჭური გ.

და მუნვე ზნაკუას ერისთავთ-ერისთავმან მიქელ[2] წორბელისაგან და ვახტანგისაგან იყიდა მიწაჲ ტყიანი და მათ უბოძა უასად ჯაჭვ ბ; და იგი მიწაჲ წმიდა ნიკოლაოზს შემოსწირა.

და მუნვე ზნაკუას ციყიდე აგარასთანა აბულათაჲს ძისაგან[3] ვენაკი ა და ყანაჲ ა; მისთჳს მიეცა ცხენი კარგი ა; და მოწამე[1] არიან კაცნი.

და მუნვე ზნაკუას ვახტანგის გლეხისაგან ციყიდე ყანაჲ ა; და მიეცა ხუარბალი ვირი გ; და მოწამე[1] არიან კაცნი.

მუნვე ზნაკუას კეპოჲს ძისაგან ციყიდე ყანაჲ ა; და მიეცა ჯარი ერთი, რაინაჲ ლიტრაჲ რვაჲ და ქალამანი ბ; და მოწამე[1] არიან კაცნი.

და მუნვე ზნაკუას ვახტანგის გლეხსა მიეცა სახლი ა; და მისგან ავიღეთ ყანაჲ ა; და მოწამე[1] არიან კაცნი.

გლეხსა ჩუენსა ცხენი მოჰპარეს მუნვე ზნაკუას და სახლავად ავიღეთ მიწაჲ ნაკუეთი ბ; და მოწამე[1] არიან კაცნი.

აგშემოისძისაგან ციყიდეთ მუნვე ზნაკუას ჯუარისას ჩამომართებით ყანაჲ ა; და მისთჳს მიეცა ფასი სრული.

[ნიკოლაოსწმიდას]

ნიკოლაოსწმიდას შეექმნეს სახლი ქვითკირი ა, და ზედა სახლი მუხისაჲ კარგი ა, მარანი ქვითკირი ა. და დავჰფალ შიგან ჭური ნაეარძული ივ.

შეექმნეს სახლი მუხისაჲ ა; და ზედა სახლი ჰორედიანი და სენიანი ა.

სხუაჲ სახლი შეექმნეს ცილოფასა[4] და მუხისაჲ ა.

---

[1] მოწმე A. [2] ერისთავთ-ერისთავმან მიქელ-ეგ-ზე ABC.. [3] მიწაჲ... აბულათაჲს ძისაგან] ნათაჲს ძისაგან A. [4] ცლოფასა A.

სხუაჲ სახლი შეექმენ მუხისაჲ სამზარეულოჲ ა.
სხუაჲ სახლი შეექმენ სახუროჲ მუხისაჲ ა და ნაძვისაჲ აკიდულა
ბეთაბრელსა შეექმენ სახლი სრული, ვითა ჯამს ყრუნჭაკაჲ
თჳე ფერითა ა.

ჭიშკარი შეექმენ ა, ქვითკირი შეექმენ ბოსელი ა, და ზედა სახლი მუხისაჲ კარგი ა; სამეკრეოჲ სახლი შეექმენ გ.

[საჭადს]

საჭადს რომელ ეყიდენ მიწანი: ქველაჲსძისაგან ეყიდე ზაბლეულს მიწაჲ ა; და მისთჳს მიეცეს ჯარი ა, საქნისი ა; და მოწამე[1] არიან კაცნი.

[კაჩაეთს და ჴევკმელს]

შუბავთაგან ეყიდე კაჩაეთს ყანაჲ ა, და ჴევკმელს ა, მისთჳს მიეცეს ჯარი ა, საქნისი ა; და მოწამე[1] არიან კაცნი.

ჴევკმელს მღილა[2] ყანისა ნახევარი შემოსწირა და ნახევარი ფასითა ეყიდე; მოწამე[1] არიან კაცნი.

[შხროს]

შხროს ზედა ნავარჭაისაგან ეყიდე ყანაჲ და მისთჳს მიეცეს ხუარბაღლი ერთი ა, საქნისი[3] ა; და მოწამე[1] არიან კაცნი.

ქველაჲს ძისა შვილთაგან ავიღეთ საზღვედ მიწაჲ შხროს ზედა რუსიძესა თანა; და მოწამე[1] არიან კაცნი.

ცისკარაის ძისაგან[4] ეყიდე შხროს ამოშაროებით ყანაჲ და ტყე და მისთჳს მიეცეს ფასად ძროხანი ა, საქნისი გ.

[ველიჭრულს]

მღილა დაკოდნა ეკლესიისა კაცნი და მისდა საზღვედ ავიღეთ ველიჭრულსა, რაჲცა იყო მისი კერძი; მოწამე[1] არიან კაცნი.

[შხროს]

ქვდილიანისა სელისათჳს შემოსწირეს შხროს ყანაჲ; მოწამე[1] არიან კაცნი.

---

[1] მოწმე A. [2] მღლა AC; მიღლა B. [3] საქნისი AB. [4] ცისკარაის ძისაგან] ცისკარისაგან A.

[ზნაკვსთავს]

ზნაკვსა თავსა კვდილიანმან შემოსწირა სანახევროჲ; მოწამე[1] არიან კაცნი.

[კაჩაეთს]

ნეჩრელთაგან[2] ვიყიდე კაჩაეთს ყანასა ნახევარი და მისთჳს მიეცით ფური ა, ხაჭოჲ კაბიწი ბ, ფეტჳ კაბიწი გ; მოწამე[1] არიან კაცნი.

[შომიეთს]

კლარჯიეთ[3] შემოსწირეს შომიეთს[4] ჩუენ თანა საზიაროჲ ყანაჲ; და მოწამე[1] არიან კაცნი.

[ქუმელოანს]

ქუმელოანს ვიყიდე სგოჯაჲს ძისაგან ყანაჲ ა; და მიეცა რკინაჲ და მატყლი დრამისა ლ-საჲ; მოწამე[1] არიან კაცნი.

[მერნეულისთავს]

მერნეულისა თავსა ვიყიდე თაებრტყელისაგან ყანაჲ და მიეცა ფასად ოცისა დრამისაჲ; და მოწამე[1] არიან კაცნი.

[ხოტევს]

ხოტევს ვიყიდე გაბოშისაგან მიწაჲ და მიეცა ჯარი ა; და ზედა აგარაი[5]; დავდგი სახლი სენაითა და ქუეშე ორითა ბოსლითა; დავდგი ბეღელი სადგი ა, და ზედა შველი ხერხული ა.

ჩაყრიფისაგან[6] ვიყიდე მიწაჲ და მიეცა ოთხმოცისა დრამისაჲ; მოწამე[1] არიან კაცნი.

ეფრემ შემოსწირა ყანაი ბ ხოტევლისა სულისათჳს. იგი და ნასყიდი ერთგან შეეკრიბე და გლეხი დავასახლე აგარასა შინა და ბეგარასა გარდაიჭდიდის[8].

ვიყიდე აგარასაე თანა ყანაჲ ოტაბოჲს ძისაგან და მიეცა ჯარი ა და ქუაბი ა, საქუაბე ა და ჯარის ტყაეი ა; და მოწამე[1] არიან კაცნი.

---

[1] მოწმე A. [2] ნეჩრლთგნ A. [3] კლარჯეთ BC. [4] შიმეთს BC. [5] აგარას C. [6] ჩაყრისისგან BC. [7] გარდაიქდი[დეს] A.

კორონტხისშვილისაგან[1] ვიყიდე ყანაჲ აგარაკსა ქვემო და მივეცი ქარი ა; და მოწამე[2] არიან კაცნი.

ლატკაისაგან ვიყიდე მიწაჲ ხილოანი[3] და მივეცი ქარი ა; ხუარბალი გრივი გ; და მოწამე[2] არიან კაცნი.

[სამთა ჯუართა]

და ვიყიდე სამთა ჯუართა იმერით ყანაჲ ეფრემისძისაგან და მივეცი ლიფაჩაი სტაერისაჲ და მგლის ტყავი შიგან ამოკერებული; მოწამე[2] არიან კაცნი.

ვიყიდე მასვე მიწასა თანა ლომსაჲსგან[4] ყანაჲ და მივეცი ზრონხაჲ ბ; და მოწამე[2] არიან კაცნი.

ვიყიდე მასვე მიწასა თანა იალმაგისაგან ყანაჲ და მივეცი მას დრაჰკანი კოსტანტინატი ბ; მოწამე[2] არიან კაცნი.

[ძირგეულს]

ძირგეულს ვიყიდე სეფესა ყანასა თანა ჭარტლისძისაგან ყანაჲ და მივეცი ორი მოკეთი ზრონხაჲ; მოწამე[2] არიან კაცნი.

მუნვე ძირგეულს მოვიგე ყანაჲ გრივისა ერთისა სათესაჲ; და მოწამე[2] არიან კაცნი.

მუნვე ძირგეულს მოვიგე ყანაჲ[5] ექუსისა კაბიწისა სათესაჲ; და მოწამე[2] არიან კაცნი.

[კაჩაეთს]

კაჩაეთა სქელაეთგან ავიღე ყანაჲ ცხენისა საბლავად და მივეცი ზვაჲსძესა.

[ველიშეულს]

ველიშეულს ფარსმანისძეთაგან ვიყიდე ორი ნაკუეთი ყანაჲ და, მივეცი ჯაჭვ ა და დრაჰკანი კოსტანტინატი ბ, და მოწამე[2] არიან კაცნი.

[ჯივშს]

ჯივშს გუნაფაჲძისაგან ვიყიდე ყენაჭი და მივეცი ქარი ა, ცხოვარი ა, და საჭნისი ა; მოწამე[2] არიან კაცნი; და გლეხთა მივეცი.

---

[1] კორონტხისშვილისაგან BC. [2] მოწმე A. [3] ხლოანი B. [4] ლიმსაჲსგან BC. [5] გრივისა ერთისა... ყანაჲ]—A.

მუნვე კიევშს ზოსქლგლისაგან ვიყიდე ვენაჯი და მეც კარი ა, სჯნისი გ, და ქალამანი შოლტი ა; მოწამე[1] არიან კაცნი და ბიეც გლეხსა საბუგროდ.

ვიცველე კიევშს ვენაჯითა ჩემითა მოგებულითა ოდგილი და ფასად ზედა დაურთეს ულელნი კარნი და რვაჲ აეურაჲ; და მას ზედა დავდგი სასაწნეხლე ქვითკირი ა, და შიგან ყურძნისა საწნეხი ქვითკირი ბ, და შემისა საწნეხელი ა.

[შჭმერს]

და შჭმერს ვიყიდე შჭვლოჲსგან გლეხი ა, და სასეფონი ყანანი; და ფასად მიეც ჯორი ა, ცხენი ა, დრაჰკანი კოსტანტინატი გ, კარი ბ, ფური ა; და მოწამე[1] არიან კაცნი.

[ცხილათს]

ვიყიდე ცხილათს გლეხი აბულაბტარისაგან ა; და მიეც ცხენი ხუადი ორი, სტავრაი კობაჲ[2] ა, დრაჰკანი კოსტანტინატი გ, და ავშარაი რკინისაჲ ა.

მუნვე ცხილათს მოვიგე მიწაჲ და მიეც მათვე საკაბალოდ; და მოწამე[1] არიან კაცნი.

[ჩიხას]

წონელაძან მოჰკიდა ჩიხას სახლი მისი წმიდა ნიკოლაოსს და ყოველთა წელიწადთა მოსცემს მარილსა ლიტრასა ლ-სა.

[ბაჯითს]

ფეთაძან შემოსწირა [ბა]ჯითს[3] ვენაჯი ა; მოწამე[1] არიან კაცნი.

[ოქრიბას?]

[ოქრი]ბასს[4] ვიყიდე აჩეჩილისაგან[5] გლეხი ა ბოთბოთს; და მიეც ცხენი ა, კარი ა, დრაჰკანი კოსტანტინატი გ, ცვლი ლიტრა ოდ და ბოსლაი[6] ა; და ქელის საწერლად მიეც ცვლი ლიტრაჲ თ; და მოწამე[1] არიან კაცნი.

---

[1] მოწმე A. [2] კაბაი BC. [3] [ბა]ჯითს] ჯითს AB. [4] [ოქრი]ბასს] ბას AB. [5] აჩეჩილისაგან BC. [6] გოსაი A.

[საწირეს]

შეექმნენ საწირეს ქვითკირი ბოსელი ა, და ზედა სახლი სამამასახლისოჲ ა, და მარანი მუხისაჲ ა; და დავჰფალ შიგან ჭური ბ; და დავდგი ზედა ბელელი ხერხული ბ; სხუაჲ სახლი ცილოფისაჲ ა და ზედა საჯუარე ა; სხუაჲ სახლი სამზარეულოჲ ა; და შეექმნენ ჭიმკარი ბოსელქორედიანი ა; და შეექმნენ სხუაჲ ბოსელი ქვითკირი ა.

საწირესვე ღმრთის-მშობლისა გლეხისაგან ვიყიდე ვენაჯი და მიევეც ფური ა, აქურიაჲ მ.

მუნვე საწირეს ვიყიდე ეაწაჲ და მიევეც ფური ა, ჯაჭვ ა, ჩაბალახი[1] ეეცხლი დრაჰმაჲ კ; და მოწამე[2] არიან კაცნი.

მუნვე საწირეს ნადარბაზევსა ძელსა უკანაჲთ[3] მოვიგე მიწაჲ; და მიევეც გლეხსა საბეგროდ; და მოწამე[2] არიან კაცნი.

[მუხურას]

და შეექმნენ მუხურას ქვითკირი ბოსელი ა, და ზედა სახლი ა, და ხერხული[4] ბელელი ა; დავდგი ჭიმკარი ზემო-ქუემო ბ.

[ოკრიბას]

ოკრიბს ჯუარისას ვიყიდე ნასრაჲსა ასულისაგან გლეხი, რომელი მიეცა მისდა წირქუალელისძესა, მამამთილსა მისსა, ქე[ლ]წერით უკ[1]ე; და მისთჳს მიევეც ფასად ცხენი ა, დრაჰკანი დუკატი ზ, და ფური ბ; და მოწამე[2] არიან კაცნი.

ერისთავთ-ერისთავმან მირქელ[5] შემოსწირა წიგნი სჯნაქსარი ა.

და მე დამხუდა იადგარი ნახევარ-წერილი ა; და გავაჩრუე ყოველითავე სისრულითა; შევწოსე და მოვეცუარე და შევჰფიდე[6]; და მისისა დაწერისა და შეკაზმვისათჳს მიევეც დრაჰკანი დუკატი იე.

და ვიყი[დე] წიგნი პარაკლიტონი ა; და მიევეც ფასად ცხენისა ნახევარი.

ქართველნი ხუცესნი მოვიყვანენით და დაჰ[ვა]კარგენით, მათ ზედა გაგვკეძია დრაჰკანი კოსტანტინატი ნბ სააღვსებოდ.

ლეონტის ძ[რო?]ზაჲ საჩხეორს სასყესა დაესხა და დაკოდნა[7] და მისთჳს საზღავად აჲ[ღე] საჯადს[8] სახლი ჯვეთა გაეთი და ზედა [ქა]ბალაჲ დავსდევით.

---

[1] ბაბალახი A. [2] მოწმე A. [3] უკანაჲთ A. [4] ხარხული B. [5] ერისთავთ-ერისთავმან მიქელ] ერე მრწ მრქლ AB. [6] შევბეჭდე BC. [7] და დაკოდნა] დედან.. კოდნა A. [8] საჭდს A. საჭიდს B.

რომელ ჩემობასა გლ[ეხნი] შემოწირულ არიან და რომელნი მე თჳთ მიყ[იდიან] რიცხჳთ ოცდაათი, ესე რომელ აქა შინა დაწერილია, ყოველი დაუცლებელად წმიდა ნიკოლაოსს აქუს; და სხუაჲ რომელი გაეითა(sic).

მჳრნეები შემძლებელ ყოფილვარ. ყოველი ერთგულით[1] მიმსახურებია წმიდისა ნიკოლაოსისთჳს და პატრონისათჳს მიმსახურებია, ღმერთი მხედვარ[2] და წმიდა ნიკოლაოს.

[ცხ̣ილათს]

და შემდგომად პირველ დაწერილისა ამის კუალად ვიყიდენ ცხ ი ლ ა თ ს გ[ლე]ხნი ბ-ნი [ა ბ უ ლ ა ხ ტ ა რ ი ს?] ძ ი ს ა გ ა ნ და მივეც ფასად დრაჰკანი დუკატი ლვ.

მერმე ცხ[ი]ლ[ა]თს ვიყიდე გლეხი წ ა...ლ ი ს ა გ ა ნ ა, და ფასად მ[ივეც]...*

---

[1] ერთგულებით BC. [2] მხედვარი A.

* აქ ეტრატი მოხეული ყოფილა.

5. [პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი]

[1084 წ.]

1. [1] დიდებაჲ მაცხოვარსა მპოლოსა ღმერთსა ჩუენსა, დაუსაბამოსა და ძესა მისსა მხოლოდ შობილსა და ცხოველს მყოფელსა ყოვლად წმიდასა სულსა მისსა, რომელი იგი მისცემს სიტყუასა მახარებელთა ძალითა მრავლითა.

2. აწ უკუე ვიწყოთ ჩუენ აღწერად ღმრთისა მიერ განსაზღვრებაჲ ესე საკრებულოჲ და მცნებაჲ კანონისაჲ ერთ-სამყოფად (?) ქმნულთა მათთჳს მონაზონთა, რომელნი მყოფ არიან სახელსა ზედა ყოვლად წმიდისა დედოფლისა[1] ჩუენისა ღმრთის-მშობელისასა აღშენებულსა ქართველთა მონასტერსა პეტრიწონისასა;

რომელი ესე აღიწერა და დაემტკიცა ბრძანებითა ჩემ გრიგოლისითა, ნებითა ღმრთისაჲთა სევასტოსისა და დიდისა დემესტიკოსისაჲ დასავლეთი[ს]ათა, ძისა სანატრელისა ერასთავთა მთავრისა ბაკურიანისაჲთა [2] აღმოსავალელისა და ქართველისაჲთა;

რომელი ესე მებრ მაშენებელი ვარ პირველ-ჴსენებულისა ახალ-შენებულისა მონასტრისა და მას შინა სამარხოჲსა მის განსასუენებელისა ჩემისა, რომელიცა სახელდებით წოდებულ არს სახელსა ყოვლად წმიდისა ღმრთის-მშობელისა მარიამისსა, და შეუნერად შეზავებულისა წმიდისა ტაძრისა და ჭეშმარიტად კარებისა დიდებისა ღმრთისა[სა];

რომელი ესე აღემართა მას შინა შემწედ და შესაველრებელად და საჭირად და შეს[ნდობლად] ჩემდა ცოდვათა განტრდილისა ამის და თანამეჯვალისა ძისა ჩემისა სანატრელისა აბაზ მოვსტროსისა.

3. ვინაითგან უკუე მაქუნდა სიყუარული და ძმობაჲ სულიერი პატიოსნისა მონასტრისა პანაგიისაჲ, რომელი იგი არს შინაგან ღმრთივ-დაცულისა ქალაქისა კოსტან[ჳ]ტინოპოლისა, ახლისა მას

[1] მდედოფლისა. [2] დემესტიკოსისა.

პროშისაჲ, და ფრიად მთნდა და ჯეროვან მიჩნდა მათი იგი წესი დაგანგებაჲ სამონაზონოჲ და საკრებულოჲ და მოქალაქობაჲ, რომელი აქუნდა მათ.

ამისთვსცა ვინებე, რაჲთა ეგრეცე სახედ მითცე წესითა და განგებითა დაუშტიცოს ჩუენია ესე მონაზტერი და ეკლესიაჲ ყოველითცე საეკლესიოჲთა განგებითა.

და რაჲთა ეგრე მოქალაქობდენ წინამძღუარიცა ჩუენი და სხუანიცა ძმანი ყოველნივე, ვითარ იგი არიან ზემოხსენებულისა მონასტრისა პანაგიისანი, ყოველისაებრ წესისა მათისა, რომლისა აღწერაჲ ამისსა შემდგომად გუეგულებს:

4. რამეთუ უკუეთუ იგინი, რომელნი ბუნებით მოქალაქენი ყოფილ არიან ოდესმე და ჩუეულნი კეთილად ცხორებასა და აღზრდილნი ფუფუნებით, და ესევითარსა მას შორის დიდსა და ერმრავალსა ქალაქსა დაჯერებულ არიან, ეგევითარსა მაშინ[4]ნებელისა მათისა დადებულსა წესსა, და უცდომელად უპყრიეს მათდა მიცემული იგი ნამარხევი დადებულისა მის წესისა მათისაჲ.

და აწ ჩუენცა ჳ მამანო და ძმანო, რომელნი ესე მკჳდრ ვართ მონასტერსა ამას შინა, ვინაჲთგან ქ ა რ თ ვ ე ლ ნ ი ვ ა რ თ ნ ა თ ე ს ა ვ ი თ მ ჯ ნ ე ნ ი და მ კ ე დ რ ო ბ ი თ ა ა ღ ზ რ დ ი ლ ნ ი და მ ა რ ა დ ის ჰ ი რ ვ ე უ ლ ს ა ც ხ ო რ ე ბ ა ს ა ჩ უ ე უ ლ ნ ი, ვიდრეცა იგი სოფელსა შინა ვიყვენით, და მოსრულ ვართ აწ სამონაზონოსა ამას წესსა და გარეგან ქალაქისა არს ყოფაჲ ჩუენი*, შორს სოფელთაგან და მსოფლიოთა, ესევითარსა ამას შუენიერსა უდაბნოსა, რომელი აღსავსე არს მრავლითა კეთილითა, ესე იგი არს მრავლითა და ტკბილითა წყლითა და წყაროებითა და მათ შინა მრავლითა და გულის სათქუმელითა თევზითა და თითოსახითა ნაყოფითა, ხილითა და ვენახ[5]ებითა და მხილითა გუარად-გუარადითა და სხჳთა ყოველითაევე, რომელიცა უკმს მონაზონთა, ვითარ უკუე არა უფროჲსად თავს ვიდვათ და დავიმარხოთ წესი მცნებისა მის მათისაჲ.

5. ხოლო და უკუეთუ ეგრეპ რაჲმე არს, რომელ რაჲ-იგი მე არა მწადის, და უმეტეს ჩუენ მიერ დაწესებულისა ამის წესისა პატიოსნისა მონასტრისა პანაგიისა უფაროესი და უმდიდრესი ცხორებაჲ ვისმე ენებოს და უფროჲსი განსუენებაჲ უნდეს, წარვიდენ კეთილად, ვინაჲცა პოთნ გულისთქუმაჲ გულისა მათისაჲ, რაჲმეთუ არცა თუ ნეტართა მათ იწროჲ რაჲმე ცხორებაჲ უქადაგებიეს, არამედ საშუალსა ოდენ გზასა სლვაჲ.

---

* შდრ. ებრაელთა 13, 13—14.

6. აწ უკუე წესი ესე განგებისა სამონაზუნოჲსა მის წიგნისაჲ რაჲ რომელი ესე გამოვარჩიეთ და გარდავთარგმნეთ ზემო ჴსენებულისა პატიოსნისა მონასტრისა პანაგიისა განგებისაგან; და ანუ მცირედი რომელ ჩუენ [6] შევსძინეთ და შთავ[ს]წერეთ მას შინა, ესე არიან, რომელსა თჳთოეულად გამოაჩინებენ თავსა ზედა გამოსახულნი ესე რიცხუნი თავთანი.

რაჲმეთუ ესე ესრეთ განვასწესეთ, რაჲთა ყოველმანვე გამომეძიებელმან რომლისავე პირისამან ჴამსა თჳსსა ადვილად პოოს საძიებელი თჳსა.

[თავნი მთავართანისაჲ]

[7] [1] თავი

თუ ვითარ სახედ აღიწერა, ანუ ვითართა მიერ საჭმართა პატრონსანი ესე მონასტერი ჭართველთაჲ.

[2] თავი

თუ რაჲულნი, ანუ ვითარ სახენი შესაწირავნი და ადგილნი მიეცნეს წმიდასა ამას ეკლესიასა.

[3] თავი

აზნაურებისათჳს მონასტრისა ჩემისა ყოველთაგან სამეუფოთა და სამღდელთმთავროთა ხარკთა და მისაჴდელთაგან გამოსავალთა ჩემთაგან მოწყებათა და ძმისა ჩემისა აბაზისთაგან, რომელ არიან მოძრავნი და უძრავნი და თჳთძრვადნი.

[4] თავი

ერთობისა და ზოგებით ცხორებისა ძმათა მათთა(?) კრებულისათა და დაყენებისათჳს მათსა მო[7]სენაკეობისაგან და თავისა თჳსისათჳს საკუთრად რაჲსამე ზრუნვისა, გინა სუნაცსა შინა თჳსსა საზრდელთა შემზადებისა.

[5] თავი

წინამძღუროსათჳს მონასტრისა. თუ ვითარ ჴერ-არს გამორჩევაჲ და დამტკიცებაჲ, და თუ შეუძდგომად პირველისა ვითარ ჴერ-არს მეორისა დაყენებაჲ მასვე სამსახურებელსა მონასტრისასა.

[8] თავი

რაოდენობისათჳს მონაზონთაჲსა და რიცხჳსა, რომელნი-ვე წესენით, რაჲთა არა დაიკლდენ, არცა ამათგან საჭმარი პურის ფასად გინა ძღუნად იძიოს, და თუ რაოდენთაჲ ჴერ-არს ამათგან მსახურად და ჴელისუფლად დაყენებაჲ, ანუ ვითარ საჴედ.

[7] თავი

მღვდელთათჳს ჟამის შრომელთა, თუ ვითარ ჴერ-არს გამორჩევაჲ და დაწესებაჲ მათი, ანუ თუ მსგუფსსა შინა რაოდენი დღე ჴერ-არს, რაჲთა სასეფოდ ჟამი წირონ.

[8] თავი

ტაბლისა დაგებისათჳს და მსახურთა ღუმილით და სიმშჳდით მსახურებისათჳს.

[8] [9] თავი

შესაჭმელთათჳს გინა სამოსლისა ფასისა, თუ ვითარ ჴერ-არს ანუ რომელსა ჟამსა განყოფაჲ, რაჲთა განუყოს წინამძღუარმან ძმათა.

[10] თავი

სამთავე მარხჳათა სიწმიდით მარხვისათჳს და მარადღე გლახაკთა ღუწისათჳს ჭეშლის საქმითა.

[11] თავი

დღესასწაულისათჳს წმიდისა ეკლესიისა ჩუენისა და სხუათათჳს საღუთლოთა დღესასწაულთა და საჩინოთა წმიდათა, რომელ ბრწყინვალედ აღესრულებოდიან.

[12] თავი

შეჭაბისათჳს და განაბლებისა წმიდისა ეკლესიისა ჩუენისა სანთელთა მიერ და კანდელთაჲ, თუ ვითარ ჴერ-არს ყოფაჲ. და განკრძალულად ლოცვისათჳს, ვითარმედ ჴერ-არს, რაჲთა გულის მოდგინებით იქმნებოდის და მოწიწებით.

[13] თავი

ვითარმედ ჴერ-არს, რაჲთა ყოველთა დღეთა აღუსრულებდენ ძმანი წინამძღუა[9]რსა გულის-ხიტყვათა და საქმეთა და ყოველსავე ბრალსა, რაჲცა შეჰმთხუეოდა მათ.

[14] თავი

ჭელთსაქმეთათჳს და შრომისა და ვითარმედ ჴერ-არს ყოველადვე ფსალმონებაჲ შრომასა შინა.

[15] თავი

ძმათათჳს, რაჲთა არა განვიდოდიან, არცა იქცეოდიან გარეგან მოძღჳრისა თჳნიერ წინამძღურისა ბრძანებისა და მათთჳს, რომელნი ორგულთაებრ მაჩუენებლობით ილოცევდენ შორის კრებულისა.

[16] თავი

ჭელისუფალთათჳს მონასტრისათა, რომელ არიან [ი]კონომოსნი და აბარმაძენი.

[17] თავი

მცნებაჲ განკრძალვისათჳს საჭურისთაგან, რომელ არიან ყუეარულნი, და სხუათაგან ჭაბუკთა მასაკითა.

[18] თავი

აზნაურებისათჳს მონასტრისა და [10] თავისუფლად ყოფისა ყოველთაგან თჳსთა ჩემთა შორიელთა და მახლობელთა და სხუათა ვიეთგანცა, რაჲთა არავის აქუნდეს ზიარებაჲ რაჲგუე რაჲთურთით.

[9] [19] თავი

ვითარმედ უკეთეთ ეცროვოს წინამძღუარი ანუ სხუაჲ ვის ჭელისუფალი აღთჳმასა თჳსსა და იპაროს მონასტრისაჲ გინა ეკლესიისაჲ რაჲმე, აღიწოკოს ეგეცითარი იგი.

იძათთჳს, რომელნი საქმარსა შემოსწირვენ მონასტერსა ეგზარხოსისასა სწირვად მიცვალებულთა მათთათჳს. სწავლიდ, თუ ვიეთგან ჯერ-არს მოღებად ესეეითარისად.

[21] თავი

მცნებად ძმა[თა] მიმართ, თუ ვითარ ჯერ-არს ყოფად საჴსენებელი ჩემი და მიცვალებულთა ჩემთად და ალაპისა ჴსენებისა ჩუენისასა და წყალობისა ყოფად გლახაკთა მიმართ.

[22] თავი

მიცვალებულთათჳს წინამძღუართა და ძმათა მონასტრისათა, თუ ვითარ ჯერ-არს ჴსენებად მათი წმიდითა ყამის-წირვითა და ლოცვითა.

[23] თავი

არა შესლვისათჳს მონასტრად ჩუენდა დედა-კაცისა, არცა სადგუთადსა მონასტრისა შუნებად ოდესმე საზღუართა მისთა.

[24] თავი

არა დაწუებისათჳს შინაგან მონა[11]ტერსა ჩუენსა ბერძნისა ზუცისა და მოხაზონისა, და თუ რად არს მიზეზი ამისი.

[25] თავი

ნათესაეთა და მსახურთა ჩუენთა ქართველთათჳს, რომელნი წესსა მონაზონებისასა მოვიდენ, თუ ვითარ ჯერ-არ[ს] შეწყნარებად მათი მამასახლისისაგან და ძმათა, ანუ თუ მათ ვითარ უკმს ყოფად და მსახურებად კრებულისათა თანა.

[26] თავი

ლოღარიას ქმნისათჳს და ანგარიშის ყოფისა [ი]კონომოსთა და სხუათა მსახურთაჲსა წინამძღურისაგან და წინამძღურისად ძმათაგან.

[27] თავი

ჴსენებისა ყოფისათჳს ზოგად მიცვალებულთა ყოველთა ძმათათჳს, რაჲთა დაუცადებელად იჴსენებოდიან სულნი მიცვალებულნი ლოცვითა და ყამის-წირვითა.

[25] თავი

მონასტერსა შინა სასნეულოთათვს, თუ ვითარ ჯერ-არს[ა] ყოფა ლუნებით და განსუენებით მსახურებაჲ მათი.

[29] თავი

თუ რაჲსათვს აღმენებულ არიან ჩემ მიერ [12] ქესენადომნი, რომელ არიან უკჱთოთა სადგურნი, სტეხმაბისაჲ, მარმარისაჲ და პრილოსგისაჲ და თუ ვითარ განიწესნეს იგინი.

[30] თავი

ჩემ მიერ დადგინებულისათვს პირველისა წინამძღურისა გრიგოლ კანჱლისა, თუ ვითარ ჯერ-არს შედგომად მისი ანუ რომელსა დღესა.

[31] თავი

მოყმეთათვს დიაკონთა, თუ სადა იყვნენ ანუ ვითარ განისწავლვნენ და მერმეღა შევიდენ მონასტრად, და მღედელისათვს, რომელი იყოს ნაკოლწმიდა[ს].

[32] თავი

საკარგავისა არა მიცემისათვს წინამძღურისაგან ძმათაგანსა ანუ თუ სხუასა ვისმე, რაჲთა არა აქუნდეს ჴელმწიფებაჲ, არცა განყიდად მონაგებთაგანი რაჲ ეკლესიისათჳს.

[33] თავი

კრძალულად დამარხვისათვს წიგნისა ამის განსაგებელისა, რომელ არს გუჯარი ტიბიკონისაჲ, და თუ ვითარ ჯერ-არს წარკითხვაჲ [13] ამისი.

* * *

8. კურთხეულ არს ქრისტე ღმერთი ჩუენი ყოველთადვე ჲწ და მარადი და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

[1] თავი

და ხიტყუა შესავალი აღმენებისათვს წმიდისა ამის მონასტრისა

9. რამეთუ ნანდვილვე ჯერ-არს და სამართალ ზოგად ყოველთათვს ქრისტიანეთა მართლმადიდებელთა, რომელნიცა ნათელ ღებულნი არიან სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა. მარადის მოლოდებად ზოგადსა მას ყოველთა კაცთა აღსას-

რულსა და ზრუნვად დღისათჳს სიკუდილისა მათისა სასოებითა-შიშ-
მკუდრეთით აღდგომისადმი და მოგონებად საშინელი იგი დღ. შეს.
საძრწუნებელი განკითხვაჲ სამართალთა მათ სასჯელთა ქრისტეს
ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისათჳს და თითოეულისა და ჩუენისა-
თჳს და თითოეულისა ჩუენისა საქმეთა თჳსთაებრ სამართლად მიგე-
ბაჲ.

რომელისათჳსცა თანა გუაც ყოველთა ყოველითა ძალითა ჩუენი-
თა ამათ ესევითართათჳს ზრუნვაჲ და ღუწოლაჲ, ვიდრეცა ცხო-
რებასა ამას შინა ვართ ყოფით, რაჲთა [14] ყოველითა ძალითა ჩუენი-
თა მოსწრაფებით ვიღუაწოთ განრიყებად საშინელთა მათგან საუ-
კუნეთა სატანჯველთა და ცეცხლისა მისგან გეჰენიისა და ჭმისა მი-
სებრ და სწავლისა წმიდისა სახარებისა მიცემად აქა და მოესხებად
ღმრთისა საჯსრისა კეთილისა თავთა თჳსთათჳს.

რაჲთა იყოს იგი ღმრთისა მიმართ, ვითარცა მკორედთ სწრაჲ
მიზეზი მიცემელი მისდა, რომლითა ღირს ვიქმნეთ მიმთხუევად მი-
უწდომელთა მათ კაცთმოყუარებისა მისისა კეთილთა და ამით სა-
ხითა ქმნად ჩუენდა ყოველადვე საქმეთა კეთილთა ძალისაებრ თი-
თოეულისა და ესრე სახედ ცოლუაწებითა მოგებად ჩუენდა მამოწაჲ-
სა ამისგან სიცროვისა მეგობართა საცნაურთა სახიერებით შემწყნა-
რებელთა ჩუენთა მერმესა მას საუკუნესა*; რაჲთა ამის ყოვლისა
ესრეთ წარმართებითა მათითანა მეცხ ღირს ვიქმნეთ სალმრთოსა
მას მკჳდრობასა მიმთხუევითა ქრისტეს მიერ მოტეევებასა ბრალ-
თასა.

10. რომლისათჳსცა მე გრიგოლ ზემოჴსენებულმან სეევს-
ტოსმან და დიდმან დემესტიოსმან ფრიად ცოდველმან და უღ[15]-
ირსმან მონამან ქრისტესმან ვიხილ[ე] თავი ჩემი სიყრმით ჩემითგან
და ვიდრე სიბერედმდე ამაოდ და ცარიელად ყოველთაგან საქმეთა
კეთილთა ოდენ ღირს ქმნულად ჰეშმარიტსა და მართლმადიდებელ-
სა ქრისტიანეთა სარწმუნოებასა ქართველთასა, რომელთა იგი სწო-
რად აქუს და განუყოფელად მტკიცესა თანა სარწმუნოებასა და აღ-
სარებასა ჳეშმარიტთა ბერძენთა ნათესავისასა.

და დაღაცათუ წადიერებაჲ მიქუნდა პირველითგან და განვიზ-
რახევედ აღმოსავალეთსვე ყოფასა ჩემსა და ვიდრე დასავლეთს დამ-
კჳდრებადმდე აღშენებასა ეკლესიისასა და მონასტრისასა სამარ-

---

* შდრ., ლუკა 16, 9.

ხოდ და განსაძლევნებელად ბრალეულთა ძუალთა ჩემთა, გორა მტერ-
ეალთა მიერ ცოდვათა ჩემთა და ცვალებისაგან ამის სოფლისა საწ-
მეთაჲსა და ჩემისაგან საწუთროჲსა ზრუნვათა შექცეულისა და სასო-
ყუარულისაგან ვერ ღირს ვიქმენ აღსრულებად გულის ზრახვასა
ჩემსა ვიდრე აქამომდე.

11. ხოლო აწ ყამსა სიბერისა ჩემისასა არა თუ მე ჩემ[16]თა სიბრძნითა და მეცნიერებითა. გინა თუ გულის ჭკისყოფითა, არამედ უფროჲსლა აღრაცხელთა და გამოუთქმელითა კაცთ-მოყუარისა ღმრთისა ჩუენისა სახიერებითა და მოწყალებით მოხედვითა უღირსსა ამას და ყოველად უნდოსა მონასა მისსა ზედა მკორედ რაჲმე განვიფრთხვე საწუთროჲსა ამის ზრუნვათაგან.

და მოვიჯსენე რაჲ დღე აღსასრულისა ჩემისაჲ და წინამდებარე იგი საქმეთა ჩემთა მოსაგებელისა ზარი და შიში, და ვითარცა პირველ ვთქუ, განჯიცადე თავი ჩემი, რამეთუ ცუდ ვარ და ცარიელ ყოველთაგან საქმეთა ღმრთისა სათნოთა.

ამისათჳს უკუე შევეცადე მე ჩემსა მას და ყოველთაცე შეცოდებულთა სასოსა და შემდგომად ღმრთისა შესაეედრებელსა და მჴსნელსა ქრისტიანეთასა უმეტეს კერთხეულსა დედასა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისასა, მარადის ქალწულსა მარიამს, ყოველად წმიდასა ღმრთის-შმობელსა, და მის თანა ზეშთა საკჳრველად დიდებულსა, დიდსა მჴს წინამორბედსა და ნათლის-მცემელსა ქრისტესასა, წამომბთა წორის დედათაჲსა უმეტეს უალ[17]რესსა წმიდასა იოვანეს* და ეგრეთვე თავდსა მას ელვარედ ბრწყინვალესა მთავარ მოწამესა და თავსა ქრისტეს მარტჳლთასა ახოვნად მოღუაწესა წმიდასა გიორგის.

და ვყვენ ესენი წინამძღუარ ჩემდა ცხორებისა და მეოხად ქრისტეს მიმართ ღმრთისა ჩუენისა დღესა მას განკითხვისასა ყოველთა თანა წმიდათა სათნოთა და საყუარელთა ქრისტესთა.

12. და აღვაშენენ ყოველითა გულის-მოდგინებითა და დიდითა წარსაგებელითა ეკლესიანი ტაძრად სამკჳდრებელად დიდებისა ერთბამად სახელსა ზედა სამთა ამათ ზეშთა საკჳრველთასა ჰაეროვანსა და დიდად შეუნიერნი ძალისაებრ ჩემისა და ქცეულებისა დაუდგრომელთა მათ და დაუმტკიცებელთა ყამთა ამის საწუთროჲსათა თემსა შინა, ფილიპპოპოლისასა მიმართ სამხრით, კერძო ჴევსა შინა ერთსა ფრიად მაგარსა საზღუართა შინა სოფლისა მის,

---

* შდრ. მაღ. 11,11.

რომელსა პეტრიწონ ეწოდების, რომელი იგი ეპისკოპოსად ჩინებულ არს.

რომელიცა წმიდათა და თჳთმპყრობელთა მეფეთა ჩუენთა თჳსითა წმიდითა სარწმუნოჲსათა და თაყუანის-საცემელითა ოქრობეჭდებითა მო[18]უნიჭებიეს ჩემდა ნაცვალად ჩემთა მათ მრავალთა სისხლითა სარწმუნოებით მსახურებათა.

რომელი ესე ჰასაკითგან სიყრმისა ჩემისაჲთ და ვიდრე სიბერედ ჩემდამდე არა ოდეს უდებ ვიქმენ დათხევად სისხლთა ჩემთა და თჳსთა ჩუენთა, და მრავლისა მის ერისა ჩემისასა სათნო ყოფისათჳს მეფობისა მათისა, ვინაჲცა ვიბრ[ძ]ანე მსახურებად ალმოსავლეთსა სარგებელსა და მსახურებასა, მე ნანდჳლვე და ვიდრე ტყუეობათა შთავრდომადმდეცა თავით ჩემით და ჩემ თანა არა მცირედთა ნათესავთა ჩემთა კელსა წარმართთასა მიცემადმდე მიმსახურებია საბერძნეთსა.

და უკუეთუ ვთქუა თუ. მცირედნიღა ვინ ჩუენნი მომკუდარ არიან საროცელსა ზედა თჳს[სა] მშჯდობით, რომელნი არა კელისაგან საბერძნეთისა და ძელისა ცხორებისა მტერთაჲსა მახჳლითა მომწყდარ არიან, არა ვტყუევი.

13. ხოლო აწ რამეთუ ღირს მყო მე ღმერთმან აღსრულებად გულის-თქმასა გულისა ჩემისასა და განსრულდეს წმიდანი ესე ეკლესიანი გარემოზღუდვილით მონასტრით და სენაკებითურთ ჩემთა მრავალთა სადგასეთა წარგებითა, [19] რომლისათ[ჳ]ს ვიკადრო და ვთქუა, ეითარმედ: არა ვის სხჳსა მიკნინამდე საჭმრისა, გინა ვინაჲცა მონახუეჭისა, ანუ თუ გლეხთა ჩემთა უსასყიდლოდ მოპაბრაკებითა რასამე მსახურებასა შინა, გინა ჭირუებითა მათითა ქმნილ არს შენებაჲ წმიდისა ამის ეკლესიისა და მონასტრისა ჩემისაჲ, არამედ ყოველივე მხოლოდ ჩემისა გებისაგან ქმნილ არს.

[ჲ] თავი

შესაწირავთათჳს და ძღუენთა და ადგილთა, რომელნი მიეცნეს და დაისხნეს ეკლესიასა ამას

14. მიეცა უკუე და დაუმტკიცე წმიდასა ეკლესიასა ჩემსა მეგრიგოლ ნებითა ღმრთისაჲთა სევასტოსმან და დიდმან დემესტიკოსმან ყოვლისა დასავლეთისამან, ძემან სულ კურთხეულისა ბაკურიანისამან ოქრობეჭდებითა ჩემდა მონიჭებულისაგან მონაგებისა და მამულისა ჩემისა, რომელნიცა მაქუნდეს კელწი-

ფებით სრულითა და შეუძრაობითა უფლებითა ღთგისქმნილებისა
ოქრობეჭდებითა.

15. პირველად თჳთგანვე თემსა ფილიპოპოლ ძველსა
ციხედ წოდებული სოფელი პეტრიწონისაჲ, რომელი ვა-
სილისკოსობად წოდებულ არს, სრულიად [20] ყოველითა
აგარაკებითა[1] თჳსითა: იეანოვა აგარაკი, რომელსაც შინა ჳ მო-
ნასტერი ალაშენა, პეტრიწონი აგარაჲ და ვაჩქოვა აგარაჲ,
დობროლონგი აგარაჲ, დობროსტანი აგარაჲ, მოსი-
ნაჲ აგარაჲ, ლაბკოვა აგარაჲ, ლივორთვა აგარაჲ. — ესე
ყოველნი თავეთ ზღვრითა და სინორითა და ყოველითა სამართალი-
თა და პირველითგანვე ქონებულითა ნაქონებითა მათითა და შემო-
საელითა მათდა ქმნილისა მისებრ პერიზმონისა.

16. ეგრეთვე მიეცა დამოკიდებით მისსა ჩემ[ი] დიდი სოფელი
სტენიმახი, ჩემ მიერ აგებულითა ორთავე ციხით მისითურთ
და ეგრეთვე მსგავსად აგარაებითურთ ლიპიწონით და აგარაჲთ
ბარბარე წმიდითურთ, რომელი იგი ფრენაკსა ახ-
ლავს, და სოხასტრებით მისით ნიკოლ წმიდით, ელია წმი-
დით, ზემოჲთ გიორგი წმიდითურთ და ქუემოჲთ რომე-
ლი სოფელსა ახლავს მითვე სახითა სრულებით, თვის[ითა] [21] ყო-
ველითავე პირველითგან გარე შემოწერილითა ზღვრითა და ჩემ მიერ
დადებულითა სინორითა შორის მისსა და მეორისა ციხისა ვო-
ტანაჲსა.

მიეცა კუალად ციხეცა ვანსკაჲ ახალ ციხითურთ ვრი-
სით და სხჳთა ყოველითა სოფლებითა და აგარაებითა მისითა და
პლანინაებითა და ყოველითავე ზღვრითა და პირველითგან ნაქონე-
ბითა მისითა.

17. ეგრეთვე მიეცა თოფოლიწონთა პრეტორად
სახელდებული სოფელი, რომელსა ქელთვა ეწოდების, თავისა
ყოველითა შემოწერილებითა და ზღვრითა და ყოველითა ნაქონებითა
სრულებით.

მიეცა მაგასვე ზემო ჴსენებულსა ეკლესიასა ჩემსა თემსა შინა
ვოლერონისასა ვანდსა მისინოპოლისასა პრას-
ტინი ჩემი ზაუწი თავისა ყოველითა ზღვრითა და პირველითგა-
ნითა ნაქონებითა სრულებით, და ციხესა მისინოპოლისასა შიგნით
ჩემ მიერ განძითა ნასყიდნი სასახლენი ადგილნი, და ჩემგანვე აღშე-
ნებულნი სახლნი მას შინა, და ეგრეთვე ყმისა ჩენისა ვარდან

---

1 აგარაკითა.

პრონოიტისისა ჭელითა განბითა ჩემითა ნასყიდნი სახლი მასვე ციხესა შინა მისინოპოლისასა, და ციხესა გარეგნით მონასტერი გიორგი წმიდისაჲ, რომელი იგი არს პაპ[22]აკისა მთის ძირსა, თავისა ვენაჭებითა და ყანებითა და მტილებითა და ყოველით[ა] სამართალითა და ნაქონებითა.

და მასვე თემსა შინა ვანდსა პერითორისასა მივეც პრასტინი ჩემი სახელით მონა ზედა ნართაულით მიწით და ყანებით მისითურთ, ვითარ იგი საპირადოდ[ე]ოსსა პრახტიკონსა შინა სწერია; ეგრეთვე პერითორისა ციხესა შიგნით აგლინი, რომელი აბსართანის ძმასა, სიძესა ჩუენსა ჰქუენდა, მითვე ყოველითა შენებულებითა და ნაქონებითა.

18. ესე უკუე ყოველნი, რომელნი სახელდებით ზემოდ სწერიან მიმიცემიან ზემოჴსენებულსა მონასტრისა ჩემისა ქართველთა ღმრთის-მშობელსა პეტრიწონისა და ვითა ზემო ვთქუ, თავით ყოველითავე ზღერითა და პირველითგანვე ქონებულითა ძაძულებითა და სამართალითა და თავით უღლებითა ყოველითა და თესულებითა და ყოველითა ალაგებითა და შემოსაგლითა.

19. სანატრელსა უკუე ძმასა ჩემსა აბაზ მაგისტროსსა ესრეთ დაეწერა ანდერძსა შინა მისსა, ვითარმედ: «ცოდაჲ ინებოს ძმამან ჩემმან გრიგოლ აღშენებაჲ ეკლესიისა და საფლავისაჲ, მე მუნ დამმარ[23]ხეთ».

და სხუათა თანა საქმართა დაეწერა და დაეწესა ნაწილად სულისა თჳსისა თავისა სოფელი პრილონგი თემსა შინა სოლონიკისასა, რომელ არს საარხონდოსა სტეფანიანისასა, რომელი იგი აქუნდა მას პატრონსითა და თაყუანისსაცემლითა სარწმუნოჲთა ოჴრობეჭდითა მინიჭებულად მისდა ნაცვალად პრასტინთა მისთა, რომელნი დაეტევნეს ანტიოქიას.

და კუალად ესეც დაეწესა ანდერძსა შინა თჳსსა, ვითარმედ: «უკუეთუ ვერ ეწიფოს ძმასა ჩემსა შენებად ეკლესიისა და მონასტრისა, მაშინაჲ სადაც დავიმარხო, მუნ მიეცეს ესე სოფელი».

გარნა ვიდრეჲთგან წინამძღურებითა ღმრთისაჲთა აღიშენა ჩემ მიერ ზემოთქმული ესე ეკლესიაჲ და მონასტერი ჩემი, ვყავთ ჩუენ ბრძანებისაებრ მისისა და მოვიყვანე ღირსი მისი აქა მონასტერსა და ეკლესიასა სამარხოსა ჩემსა. და მუნ დავდევით საფლავსა შინა გუამი მისი.

და ვითარ-იგი ჯერ იყო და შეჰგვანდა ჩემისა მისგან დიდისა და მრავლისა შეურვებისა და მკურვალედ შემწუეელისა სურვილისაჲ რომელი მაქუნდა მისსა მიმართ, ეგრეთ პატივით და დიდებით ვიღუაწეთ იგი, და განვაწესეთ ყოვლითვე სარგებელი სულისა მის[24]ისაჲ.

და ფრიადიცა გასაყოფელი მივეც ჭელითა ჩემითა საჭმართა და საფასეთა ჩემთაგან. პირველ ოდეს იგი ვიყავ მე თ ე ო დ ო ს ო პ ო ლ ი ს ს.

და აწცა კუალად დასაცველად მოსლეასა ჩემსა, აწ უკუე ვითარცა ვთქუ, სოფელი იგი პ რ ი ლ ო ნ გ ი მისისაებრ განწესებისა მივეცით მონასტერსა ჩუენსა და სამარხოსა მისსა, და განვაწესეთ ყოველად მისთჳს ლოცვისა მრავლისა და ქამის-წირვისა, ვითარ ესე რა ჰუეშმარიტ სწერია. მიგვცემიეს უკუე სოფელი ესე პრილონგი მონასტრისა ჩუენისა და თავისა ძუელითა ციხეებითა და აგარაებითა, ქსენადოშებითა და ყოვლითა ზღვრითა მისითა და პირველითგანითა ნაქონებითა და სამართლითა მისითა.

20. ეგრეთვე დაეწერა ანდერძსა შინა თჳსსა სანატრელსა ძმასა ჩემსა და მოეცა ლეღატად ნაწილად ჩემდა ეგრეთვე სახედ ოქრობეჭდითა მისდა მინიჭებულთა აღგილითაგან სოფელ[ი] ზ რ ა ვ ი კ ი კ ე ს ა რ ო პ ო ლ ი თ ურ თ, რომელ არს თემსა ს ე რ ა ჯ ი ს ა ს ა ვ ა ნ დ ს ა შ ი ნ ა ზ ა ვ ა ლ ტ ო ნ ი ს ა ს ა სათევზითა ტბითა მისითა და აგარაჲთა, რომელსა ტ ლ ა ვ ა ვ[2] ეწოდების; და მე უკმენ უფალ და ჭელმწიფე ამის სოფლისა და ციხისა.

[25] გარნა მე პირველად სურვილისათჳს მისისა და მოწყლედ სიყუარულისა და წერმე რამეთუ არარაჲ მაქუნდა ხუეჭაჲ ამის სოფლისა საკმართათჳს, რამეთუ ნებითა ღმრთისაჲთა და ბედითა[3] წმიდათა და თჳთმპყრობელთა მეფეთაჲთა და ჩემითა მოსწრაფებითა და მოჭირუებითა: არარაჲ მაკლდა, არცა მაქუნდა ხუეჭაჲ რაჲსაეე, რომლისათჳსცა პირველ თქმული ესე სოფელი და ციხე, რომელი ლელატად ჩემდა დაეტეუა მას, განვაწესე და მივეც კუალად იგიცა ამასვე ზემოჴსენებულსა ეკლესიასა და მონასტერსა ჩემსა და სამარხოსა მისსა.

აწ უკუე სახელდებით ზემოთქმულნი ესე ციხენი და სოფელნი და პრაქტონნი ყოველნიეე, რომელნიცა შეგწირენით და მიესცენით წმიდასა ეკლესიასა ჩუენსა და მონასტერსა ქართველთასა პ ე ტ რ ი წ ო ნ ი ს ა ს ა, ყოველთაეე სახელები პატიოსანსაჲ შინა და

---

[1] განწესებისა. [2] ხლაცავ(?). [3] ბედითა(?).

სარწმუნოსა სიმტკიცისა ოქრობეჭედსა, რომელი შეიქმნა ამის-
ნასტრისათჳს, თითოეულად წერილ არიან.

21. მრავალი უკუე სხუაჲცა საქმარი განეწესა პირველ თქუმულ-
სა [26] სანატრელსა ძმისა ჩემსა წონაგებთა და საფასეთა მისთაგან
ქელითა ჩემითა მიცემად სულისათჳს მისისა, ესე იგი არს განძისაგან
ეკლესიისა ჯუარჯელთაგან, შესამოსელთაგან და სხჳსა ყოველისაჲ
საქმრისაგან და ეგრეთვე ოთხფერჴთაგან და ყოველისაგანვე პასაკი-
სა პირთაჲსა, რაჲამეთუ ნებითა ღმრთისაჲთა მდიდარ იყო და აქუნ-
და ყოველივე საქმარი უკლებად.

ჰხდა[1] ჩემიცა არა მცირედი აქუნდა საფასე მისთანა ნამარხე-
ად დადებული, რომელიმე ქელითა ჩემითა მიცემული მისდა, და
სხუაჲ რომელიმე შემდგომად აღმოსავალეთს განმგებელად წარსლ-
ვისა ჩემისა თ ე ო[დ ო]ს ო პ ო ლ ი ს ჩემთა პრასტენთა ყოველ-
თასაცე შემოსავალსა ამათ წელთა ბრძანებითაცე ჩემითა აიღებდა
და დაჰმარხვიდა, რამეთუ არავინ მესუა ცე სხუაჲ ცინ უფროჲს
მისსა მისანდობელი სულისათჳს ჩემისა ვითარ იგი; არცა მას ვინ
ესუა უფროჲს ჩემსა მისთჳს მისანდობელი.

და რომელი იგი იყო ჩემი მისთანა, ყოველივე ძუელი განძი
იყო: რომანატი, მონამახი, დუკატი, ექუსთავევდი და მიხაილატი,
რომლისაგან აღმოსაველეთით რაჲ მოვიქეც, შემდგომად ძმისა ჩე-
მისა დალევნისა [27] არცა ერთი რაჲ ებოვე, გინათუ ჩემისაგან, გინა-
თუ მისისაგან საფასისა, რომელიცა მას სულისა თჳსისათჳს დაეწე-
რა მიცემად.

ხოლო ზემოჴსენებულნი ეგე მონაგებნი ყოველნი, რომელთა-
ცა სახელები თჳთოეულად ზემოჲთ სწერიან, ესრე სახედ მიგჳცე-
მიან სრულებით ყოველითა საქმრითა მათითა, სეფითა, ულლებითა
და ეგრეთვე გლეხებითა, მათითა მთა-ბარითა, ტყითა და პლანინაე-
ბითა და საძოვრითა აღგილებითა, ვენაჯებითა და ხილნარებითა,
წისქჳლებითა და სახლებითა, ზღუდითა და ჭმელითა, ციხეებითა და
ყოველითა შენებულებითა მათითა და ყოველითა ჭონებითა მათითა
და შემოსავლითა შინა და გარე ძრვადითა და უძრავითა და თჳთ
მოძრავითა ყოველითა.

22. ამასთანა შევწირენით და მივსცენით ხატნი პატიოსანნი
ძრაჳალნი და ჴუარნი საუფლონი, საცხენი ნაწილითა ძელისაჲ ცხო-
რებისაჲთა, და სახარებანიცა ქართულნი და ბერძულნი; ამათგანნი
უმრავლესნი დიდძალითა წარსაგებელითა შემკულ ოროთ ოქაღე-

[1] ხოლო და?

ბითა პატიოსნითა და მარგალიტითა მინაჲთა და შემკეტონითა და სხუაჲ საკეთილი მრავალი ფერი ეკლესიისაჲ, რომელ [28] არიან ბარძიმ-უფეშხებები და საცეცხლეებელი ეკლესიაჲ, და ქრისტჱსგანჱ ველნი ეკლესიაჲ და ჰოქანი ბრწყინვალენი პატიოსანნი; და ეგრეთვე სამეუფონი შესამოსელნი პატიოსანნი თჳთ მებრ წმიდისა მეფისა კირუ ალექსისა კომნიანოსისა თჳსისა წმიდისა ტაძრისაგან წარმოცემული ჩემდა ქამსა მას, ოდეს იგი ღმერთმან დიდითა ძალითა თჳსითა და შეწევნითა ძლიერისა მარჯუენისა თჳსისაჲთა და ეგრეთვე მსგავსად ბრძნითა წმიდისა და თვით მპყრობელისა მეფისა ჩუენისაჲთა დაამკჳნა ჩუენ მიერ უწყალოჲა და ფრიად მძლავრი მტერი ქრისტიანეთა და საბერძნეთისაჲ, ნათესავი პეტრინაჲთაჲ, რომელთაცა ძლეულებაჲა და მოსერაჲ წიგნითა აღწერად ვერ ძალ მიც, რომელთასა ეგონებ, რომელ შემდგომად აღსრულებისა ჩემისა მრავალთა მინა ქამთა იქსენებოდის მაშინ ყოველი იგი ღმრთისა მიერ საკჳრველებაჲ.

ეგრეთვე იგიცა შესამოსლები მივეც, რომელ ოდეს კუმანთა ტყეობისაგან გამოჰკსნა ღმერთმან წყალობითა თჳსითა, წარმოეცნეს ჩემდა წმიდასა მეფესა და ძლიერსა სევასტოკრატორსა ძმასა მეფობისა მისისასა, მიღსცენით კუალად სხუანიცა სამოსელნი უკეთჳელნი დიდ ფასისანი და სხუანიცა [ხა]ტნი ფიცრისანი ოქროპეტალოჲთა და წამლითა შეენიერად დაწე[29]რილნი საკმარად და სამკალოდ ეკლესიისა და ეგრეთვე საკანდლენი რვალისანი ჯაჭუებითურ და სასანთლენი კელაპტარი[1] მრავალნი.

და ამათ ყოველთა საზომი და სახე ამისა შემდგომად წიგნსა ამას შინა წულილ-წულილად ქუემო შთაგუწერია, რომელნიცა მიგუცემიან წმიდისა ეკლესიისა ჩუენისადა [იხ. თავი 84].

[8] თავი

აზნაურად ყოფისათჳს მონასტრისა ჩუენისა ყოველისაგანვე სახისა სახარკოჲსა და მსახურებისა

28. შემდგომად ყოველისა ამის განვეწესე წმიდაჲ ეკლესიაჲ ჩემი და სამოღუაწეოჲ სენაკები და უდაბნოსაჲ(?) ესე და მონასტერი საკრებულოჲ ყოფად თჳნიერ ყოველისა მსახურებისა სამეუფოჲსა და სამთავროჲსა ყოველითა ამით ზედა წერილით მონაგებითურთ, რომელი დაგუწერიეს და მიგუცემიეს ამის მონასტრისადა ზემავალითა

---

[1] ვერცხლისანისანი. [2] კელაპტარნი.

და ძუებდებარითა და თუთმეველითა ყოველითა; რაჲთა იყოს [illegible]
სუფეალ ყოველითურთ აზნაურ და თუთეელმწიფე, თუთმფლობელ და
დაუმონებელ და რასაცე ხარესა ქუეშე შეუვრდომელ სამფლობელოსა
სა [80] და საპატრიარქოსა, სამეტროპოლიტოსა და საეპისკოპოსო-
სა და სამამასახლისოსა ყოველსა.

და უფროჲსი მიტროპოლიტისაგან ფილიპპოპოლელ-თაჲსა არს აზნაურ და შეუვალ მიმუნადმდე, ვიდრე არღაცა თუ კეთრეჭსსა შინა იკსენებოდის სახელი მისი, გარნა ამას ხოლო იტყოდიან, ვითარმედ: «მოიკსენენ, უფალო, ყოველნი ეპისკოპოსნი მართლმადიდებელნი» და შემდგომი ამისი.

და ეგრეთვე ყოველთაგან მთავართა და ჴელმწიფეთა მსოფლიოთა არს თავისუფალ მონასტერი ჩემი დიდთაგან ვიდრე მიმცერეთადმდე, ვითარ იგი სარწმუნოთა მიერ სამეუფოთა ოქრობეჭედთა არს დამტკიცებულ[ი] ესე ყოველი.

[4] თავი

ზოგად მცხოვრებელთათჳს კრებულისა ძმათა და განყენებისათჳს მათსა მოსენაკეობისაგან

21. ნებიერთა ღმრთისაჲთა, განწესებისაებრ წმიდათა მარეველთა მამათაჲსა, ვინებე მეცა, უნდომან და უღირსმან მონამან ქრისტესმან, ძველ-ყოფად მონასტრისა ჩემისაჲ და მას შინა დამკვდრებულთა ძმათაჲ, რაჲთა იყვნენ ყოველნი იგი ზოგად მცხოვრებელ ერთობით წინაშ[81]ლეარიცა და ძმანიცა, პრძენცა ორთან და გულისკმის მყოფელ საღმრთოთაცა საქმეთა შინა და კაცობრივთა, ერთგულ და ერთ სიტყუა ყოველით კერძო მყუდროსა მას შინა და დაწყნარებულსა ცხორებასა.

და იყავნ ტაბლაჲ მათი საზოგადო და საერთადო, რამეთუ არა მნებავს, რაჲთაღრთით რაჲთა ორი გუარი პური გინა საჭმელი ანუ სხუაჲ რაჲმე სანოვაგეთაგანი შეიქმნებოდის, ანუ თუ ორი გუარი ღუნოჲ ოწდეოდის, რამეთუ სადაცა ზოგად მცხოვრებელნი იყვნენ, აქა ჴერ-არს, რაჲთა ერთი მეორისა უმჯობესთა საზრდელთა და საუმეელთა იკუმცუდეს, არცაღა თჳთ მეცნ მამამსახლისი, რამეთუ უფროჲსდა მისა ჴერ-არს ჴონებად უმეტესისა სიმდაბლისა და წესიერებისა, რაჲთა ესრეთ შეუძლოს მან სხუათა[1] მათ დაშჯირებად და პყრობად განწესებულსა ამას ცხოვრებასა.

---

[1] სხუათათა.

25. განვაყენებ ამისგანცა, რომელ არს საკუთრად თავისა თჳსი სათჳს აღაგისა რაჲსამე ღუწოლაჲ ძმისაჲ, ანუ თუ ნაშრომისა მისგანცა ოხისფერჯისა მოგებაჲ, ანუ სენაკთა შინა მათთა რაჲსამე დამჯდომაჲ, რამეთუ ამას ყოველსა გარე განვსდგებით.

მარტოდ ჭამასა და სუმასა ფარულად, გინა ცხადად, გი[32]ჯა თუ სხუასა თანა, რამეთუ რომელი ამას იქმოდის, იგი წინა აღუდგების აღთქუმასა მას და მცნებასა, რომელი იგი წინაწე ღმრთისა და კაცთა, არა კაცთა, არამედ ანგელოზთა აღუწერიეს ცათა შინა, რომლისათჳს სიტყჳსა მიცემაჲ მოგუეჯადების წინამე საშინელთა საყდართა ქრისტესთა.

ევრეთუე არცა სად ორისა(?) ჭურჭლისა ჯერ-არს ქონებად, არცა წუენისა ქმნად, გინა კიდეგნად ტაბლისა შემზადებად, ანუ თუ მოღებად რაჲსამე საზიაროსა მას ტრაჲ[3]ეზსა და მუნ შეჭმად, რაჲთა არა პატიოსნისა ტაძრისა წილ და სამოციქულოჲსა ტაბლისა საფარდულ იქმნას ადგილი ესე*.

ხოლო უკუეთუ უძლურებისათჳს გინა სიბერესა დიდსა მიწევნისა მიზეზითა ნუგეშინის-ცემაჲ ჰმდეს ვისიმე, ჯერ-არს. გარნა ქნან ოდენ.

26. ხოლო უკუეთუ მთავართაგანი ვინ, გინა თუ შუებულად ცხორებულთაგანი] მოსრულ აყოს მოსაზონებად და ესეოთარნი იგი მსახურისა გინა მოწაფისა საკუთრად დადგინებასა ინუკეცდენ, არა ესცემთ მიშუებასა.

რამეთუ უკუეთუ მოუშუას ვინ და ადგილი სცეს მათ, არა ხოლო თუ უსწორებლობაჲ და განყოფილებაჲ შეიქმნების ამის მიერ შორის ძმათა და საზიაროსა მის ცხორებისა წესისა [33] შეცვალებაჲ, არამედ დიდიცა სავნებელი და აბალსაბუობაჲ არა სულიერი იპოვნ შორის შემოვალს.

არამედ უფროჲსსა თანა-აც ესეოთართა მათ, რაჲთა ღმრთის ლი ფრიადი შეემთხჳოს[1] და ევნოს მას შინა მყოფთა მათ თჳთრჩულობითა მით და შეძინების მოყუარებითა, რამეთუ განთჳსებით საკუთრად წესისა ძიებითა ზოგად საცხორებელსა მას წესსა და საქმესა უწესოებად და ორგულებად შესწვალებენ და, რაჲთა ესრეთცა ვთქუა, ვითარმედ საჭმისა მის უკმარად გამოაჩინებენ თავკვედობით.

არამედ უფროჲსსა თანა-აც ესეოთართა მათ, რაჲთა ღმრთის მოშიშებით და სიბრძნით სხუათაცა მსახურებისა განგებაჲ თავს

---

* შდრ. ი ო ა ნ ე 2,16.

1 შეემთხვის.

იდგან და არა საჭიროდთა და სასუფევლისთა სენაკთა შინა თჳსთა-
მარხვიდენ და გინა ცხადად, გინა ფარულად ჴამად გული უძჭვნელი
დეს, რამეთუ ამას ყოველსა გარე განვამორებთ კონებად ცეცხლად.

და არა გუნებაეს რაჲთა [31] ძალთა საქმარი რაჲმე აქუნდეს განთჳსებულად ცხადად, გინა ფარულად, დიდი, გინა მცირე. არცა სხუათაგან მოლებად რაჲსამე, გინა მიცემად ვისამე ქველის საქმედ, დაღაცათუ გლახაკიცა იყოს.

და ნუმცა ვინ არა უმეცარ ესეცათარია, ვითარმედ არიანას საქებელ არიან, რამეთუ საეშმაკო არს ესე და გარეგან შჯულისა და კანონისა ეს მოძღურებისა დამჭსნელ.

§7. რამეთუ ოდესცა იგი არავის აქუნდეს ჴელმწიფებაჲ თავისა თჳსისა უფლებად, ვითარ უკუე ეუფლოს სხჳსა საქმართა ვითარცა თჳსთა, და რომელი იგი თჳსთაგან საქმართ[ა] ყოველთა ეჯმნას, ვითარ განაგებდეს სხჳსასა მას და ვითარცა თჳსსა მისცემდეს მოჭენეთა მათ?

რამეთუ რომელსა თავიცა თჳსი ვერ ეყოს ეპოეზის და ნებაჲცა, და სიმართლისადა იყოს დამონებულ, და მერმე თავ-მოთხებით განაგებდეს რასმე, რასამცა სხუასა იქმოდა ეგეცათარი, თჳნიერ რამეთუ სიმართლესა განუყენების და მოხა[ლ] ცოდვისა ჰყოფს თავსა თჳსსა?

და რაჲმცა უკუე სას[35]ყიდელი მისცა ქრისტემან ესეცათარსა მას, რომელი სიმართლესა თჳსსა ეძიებდეს დამტკიცებად და სიმართლესა ღმრთისასა არა დაეშორჩილოს?

გინა რომელიმცა საქმე წყალობისა, გინა ტაძრთ მოყუარებისა იყო ესე, რაჟამს იგი არცა თუ მცირედი ზღუაჲ თავს იდვას ვინ, ვრამედ ნაკლულად მისსა, რომელი იგი გლახაკსა მისცა, სხუასა საქმარსა ითხოვდეს წინამძღურისაგან და ძუელისა წილ ახალსა ანებებდეს და უჴმრისა წილ საქმარსა მოროტად მოვაჭრებითა?

ვითარ უკუე არა ცხად არს, ვითარმედ იქმრვი შენ, რომელი ეგე ამას ჰყოფ არა თუ სტუმართ მოყუარეობისათჳს, გინა გლახაკთ მოწყალებისა, არამედ საფარდულისა[1]... შეძინებითა და ანგარებითა, ოდესცა მათსა მას ზღუასა რეცა ღრმობიერად იბჭყურებ და სიცოცხლისა და სიწიწყლისა თავს დებად ჰმოჩუენებლთა სიყუარულისათჳს მოსწყდები, რაჲთამცა ესრე საბედ არა მიეგებოდე მეცხიერებით დასჯილებასა?

---

1 საფარდულის(?).

[36]. 28. ჯერ-არს უკუე] და სამართალ განკრძალვად ყოველსა და უფროჲსა წინამძღუროსა სწავლათა შედგომად და იგი კრძალულ ცნობად შჯულად და მცნებად და სალმრთოდ პრძანებად, რაჲსაცა რაჲ მას უბრძანოს და არა შთაცრდომად რაჲცა გონება ტკბილობით შჳპართობასა(?) და არა უმეცრებად, ვითარმედ ზიარი არს და ზოგად ყოველთათჳს უცხოდ მოყუარებაჲ იგი და ჭეშტის საქმე, რომელი იქმნების მნეთა მიერ და განშგეთა ეკლესიისათა.

აწ უკუე რომელი წესსა ამას ზედა არა დაადრგეს, არამედ უმეტესსა რასმე კელ ჰყოფდეს და ზეციერსა მას მორჩილებასა ზაკუნებით აღაშფოთებდეს, უკუე არა ინებოს განმართებად თავისა ჯთისა და მოსაგებელ სიმართლესა, ეგეცვითარი იგი ვითარცა კეშებული შეცდებისაგან, უცხოდ შეირაცხენ ძმობასა ამისაგან და იყმენინ და განჳარდინ სალმრთოჲსა ამისაგან სამკჳდრებელისა.

[ა] თავი

წინამძღურისათჳს მონასტრისა ვითარ ჯერ-არს კამორჩევაჲ და დამტკიცებაჲ ანუ [37] შეცდომად პირველისა წინამძღურისა ვითარ ჯერ-არს მეორისა დაყენებაჲ მახვე მსახურებასა მონასტრისასა

29. ჳეშმარიტად უკუე და სამართლად პირველ ყოველსა წინაძღებართა მათ განწესებათაჲსა ჯერ-არს წინამძღუროსა ძმათა მონასტრისათა ყოვად ურჩეულესი და უფრო ცნჳსიერესი, რომელი ემეტეს ყოველსა სასწრაფო არს ჩუენდა ფრიად.

და რომლისათჳს ყოველი ძოგონებაჲ და გულის-მოდგინებაჲ ჩუენი აღეძართ და განვიკითხეთ ურთიერთას გამოცხობით და ესე ვპოვეთ წრფელი და ყოველსა შეთხისაგან თავისუფალი გზაჲ.

რაჲთა ვიდრე მე მაშენებელი ზემოჴსენებულისა მის მონასტრისაჲ ცოცხალ ვიყო, რომელიცა მე დავიწესო წინამძღურად მონასტრისა, იგი იყავნ; და უკუეთუ დაადგრეს წესიერად და სიწრფოებით განწესებულისა ამის ებრ მცნებისა, ეგოს იგი წინამძღურობაჲსა მას შინა ვიდრე დღემდე აღსასრულისა მი[38]სისა.

ხოლო შემდგომად მისსა დაყენებადი იგი წესიერებრ ქმისა წინამძღუარი ქმსა მიცვალებისა მისისა მანვე პირველმან გამოარჩიოს მეორედ წინამძღურად ყოფადი იგი მწყემსად ძმათა, გარნა არა თჳსებისა, გინა მეგობრობისა მიზეზითი, არამედ ძმათა ყოველ-

თა წამებითა და დამტკიცებითა ყოს და რომელი იგი შემძლებელ იყოს ქმნა მას შინა და ურჩეველესი ეფროან ყოველთა განსვენებულ ქმის მყოფელი და თუალ-უბეავი.

ხოლო მისდა ესრე ჯერ-არს ქონებად ჭელმწიფებისა ჭელთ დებულისა მის მამობისასა, რომელი იგი ძმათა წინამძღუარ ყოფად იყოს, რაჲთა არა იყოს ნეფსით თჳსით მოსწრაფე წოდებასა მას, არამედ, ვითარცა ზემო ვთქუ, გაჩინრჩეასა მას და ბრძანებასა მოელოდეს ზედა მდგომელისასა.

რამეთუ ესრე მნებავს ყოფად ყოველთა მათ უეფროჲსეა, რაჲთა ესეცთარ იგი ჭელყოფაჲ ესრე სახედ ყოს, გარნა არა თჳნიერ ნებისა. გიხა დაჯერებისა აღსრულებადისა მის [39] წინამძღურისა.

30. ხოლო შემდგომად ამიერ განსლვისა პირველისა მის წინა-[მძღურისა] მას [მიეცეს] ჭელმწიფებაჲ მთავრობისაჲ მის თანაგანზრახვითა მოღუაწეთა და ჭელისუფალთა მონასტრისათა და რომელ იგი მოერნე სოლისა მიცვალებულისაჲ მის იყვნენ.

კუალად ამასცა ვიტყჳ: შემდგომად მიცვალებულისა მის წინამძღურისა, რომელი ჩემ მიერ გამორჩეულ და დაწესებულ იყოს წინამძღურად, უკუეთუ ესრეთ რაჲმე დახუდეს, რომელ ანასდეულად მიიცვალოს და გერ ეწიფოს ესრეთ განგებად და დაყენებად ვისამე წინამძღურად სამწყსოჲსა მის, მაშინ უკუე გამორჩეეთა და გამოძებითა უმჯობესთა და მოღუაწეთა და მეცნიერთა ძმათა და სოლისა მოერეთაჲთა დაიწესოს ძმათაგანი წინამძღუარად.

და ესე კუალად წესისაებრ პირველ ჩემ მიერ განჩინებულისა, რომელი ვთქუთ, ახლად დადგინებული იგი დგეს და ეგოს ეგრევე სახედ, ვითარცა მიცვალებულისჲ მისგან იყო გამორჩეულ და დადგინებულ.

31. ხოლო დადგისებასა და [40] წარმართებასა მას წინამძღურისასა ესრეთ განვაგებთ: რაჲთა მიიცვალებოდის რაჲ პირველი წინამძღუარი, ესე იგი არს უფლისა რაჲ ვიდოდის, ვიდრე-და ჯერეთ იყოს-და იგი ცხორებასა ამას, შემოკრიბნეს ძმანი ყოველნი ერთად და წარმოადგინოს, რომელი იგი შემდგომად მისსა წინამძღუარ ყოფად იყოს და ამცნოს მას დამარხვად ყოველივე ჩუენ მიერ პირველ-განსახღვრებულისა მის განგებისა წესი, რაჲთა მას ზედა მოჰალაქობდეს, და არა აქუნდეს ჭელმწიფებაჲ თავით თჳსით განგებად რაჲსამე.

და შემდგომად დაფლვისა მიცვალებულისა მას მესამესა დღესა ესე ჯერ-არს ყოფად აღდგისა მის წინამძღურისა, რაჲთა აღასრულონ დამის-თევაჲ და პანაშჳდი და საშჯოდ აღასრულონ რაჲცა [illegible] მრთჲთ საიდუმლოჲთ წმიდისა საკურთხეველისა, დაიდგინონ და ძმათა ყოველთა წესისაებრ თჳთოეულმან ყოველმან მუნ[illegible] მოუდრიკნეს და აძმაროს უყონ.

და მერმე[illegible] შემდგომად ამისა განმზიარებელნი ერთბამად ყოველნი ტრაპეზად იწოდნენ უფლისა მიერ და უხუცებით ტაბლაჲ დაეგოს და ჰმადლობდენ ღმრთისა.

42. რომლისათჳსცა ვაფუცებ და ამასვე ვეტყჳ პირველსა მას წინამძღუარსა და შემდგომთა [41] მისთა, რაჲთა წარმართებელად და სიწრფოებით ჰმწყსიდეს სულიერსა მას სამწყსოსა და სიმართლით იქცეოდეს ძმათა მიმართ და თაყადისა ქრისტჱ იესუჲს მიერ უფლისა ჩუენისა თუალ-უბუაჳისა მის განმკითხველისა გულთა და თირკუმელთასა* და განმკუეთელისა უფროჲს ყოელისა მახვილისა ორპირისა, რომელი ვიდრე განსაყოფელადმდე სამშჯნეველისა და ნაწევართა** მიიწევის და განჰყოფს და მიაგებს თჳთოეულსა საქმეთაებრ***.

და რაჲთა არარაჲ ეღირსებით და საენებელად წმიდასა მას ზედა სამწყსოსა ქმობისასა განაზრახოს, რომელთათჳს არცა ერთი რაჲ შრომაჲ, გიხაჭირი თავს უე, არცა თჳსითა შრომითა მოუგრ(?)...

43. ვითარ-იგი დიდებაჲ მოიქცეულისა პავლესებრ ჯერ-არს თქუმაც ჩუენ[illegible]ებით, ვითარმედ: რომელი ივი არა იქმოდის, ნუცალა ჰაქნ****, ძრისთჳს, რასაცა იქმოდის, ესრეთცა მყოფს, ვითარცა წინაშე თუალთა ძისა ღმრთისათა სახიერველად მისა.

და მისთაჳს ყოველნი ესრეთვე იქმოდინ წესსა მას და განგებასა თჳსსა მართლად და უბიწოდ; რამეთუ კმა არს ძათდა მადელი ესე, რაჲთაცუ [42] რომელსა შინა არა დაშურეს, სუეთა შრომილსა და ნაოფლარსა შინა იშუებენ*****, რომელი იგი სხუათა დიდითა მოსწრაფებითა და მრავლითა ღუაწლითა და რუდუნებითა შემოუკრებიეს, რომელსა იგინი ხოლო იცნობენ, რომელთა გამოც-

---

* შრდ. ფს. 7, 10

** შდრ. ებრაელთა 4,12.

*** შდრ. მათე 16,21.

**** შდრ. თეს. 3,10.

***** შდრ, იოანე 4,38.

დილებით უწყიან. და ამის ყოველისა უშრომელად და თვხვეულ ზღვევისა მშუებელ და მკმარებელ იქმნეს.

ამისთჳს თანა-აც, რაჲთა მარადის ღმერთსა მადლობასა უძღვნიდეთ რისაებრ და ჩუენ დუაკსენებდენ კეთილად, ვითარცა მიზეზ-ჰქონულ-ი მათდა ესეოთარ[ი] მათ კეთილთასა.

და ვითარმცა უკუე არა სამართლად თანა ეძდვა ყოველსავე სიმართლით მავალსა ყოველსა შინა ცხორებასა მისსა მადლობა[ჲ] მჴსნელისა და ღმრთისა ჩუენისაჲ, რომელსა იგი არცა თუ მცირედ რაჲმე დამაშურალ არს რჩეულისა ამის და შუენიერისა იდგილისა ძიებასა?

ჩუენ ვართ უკუე რომელთა თავს ვიდევით ესეოთარი ბრუნვაჲ ზედა ჴუე სლვითა ჩუენითა და ყოველსავე იდგილსა მოსაგებად ჩუენთაჲსა მიმოხილვითა და გამოკითხვითა და განსასუენებელისა ძიებითა სამკჳდრებელად ძმათა, რომელსა უფროჲ უმჯობესი და შემსგავსებული ვერ სადა ვპოვეთ. და ამან ესოდენმან ჩუენმან საქმისა აწინდისა თანა შეშფოთებამან ესრე...

[47] [ი] თავი

რავდენობისათჳს მოწაზონთაჲსა და რიცხჳსა რომელნი დავაწესენით, რაჲთა არა დააკლდენ, არცა ამათგან საკმარი პურის ფასად, გინა ძლუნად იძიოს, და თუ რავდენთაჲ ჯერ-არს ამათგან მსახურად და ჴელისუფლად დაყენებაჲ, ანუ ვითარ სახედ.

84. ... პასჳ ეკლესიისასა, რაჲთა წესისაებრ საჭიროჲსა აღასრულებდეს ყოველსავე. და იყვნენ მღდელნი ჟამის მწირველნი ექუსნი და მთავარ დიაკონნი ორნი, რომელნი საკურთხეველსა მსახურებდენ და სხუაჲ, რაჲცა ებრძანოს მათ, და სხუანი კერძო დიაკონნი ორნი წიგნის მკითხველად და კანონარხად.

ხოლო ერთი, რომელიცა იყოს მისანდობელი და მოშიში ღმრთისაჲ, დაეწესენ მეჭურჭლედ და დამწიაბად ეკლესიისა სამკაულთა და სიწმიდეთა და საკმართა და განძისა მცველად, რაჲთა საღაჲთცა შემოვიდის, წერით აიღებდეს და წერით გასცემდეს.

და ერთი იყოს მნათედ კანდელაკად, რომელ ბრძანებისაებრ დეკანოზისა იმჭირვებდეს ეკლესიისა საკუმეველსა და ზეთსა და სანთელსა, ზედაშესა და მხჳნველსა და შიშთა ღმრთისაჲთა წარაგებდეს ჯეროვნად.

და დიდთა დღესასწაულთა, თდეს მსახურებაჲ ეკლესიისაჲ გამრავლდეს. სხუათაცა ძმათა მისცემდეს მამასახლისი თანა შემწედ მსახურისა.

და ერთი იყოს[1] კელარად, რომელ არს ოსტიგანი წესისაებრ მონასტრისა უზაკუელი და ერთგული, რომელსა ჰქონდეს კელსა თჳსსა პური და უკდური და [48]საწუნე და ზეთი, თაფლი და სხუაჲ ყოველი საჭირველი და თჳთ წარადგებდეს შიშითა ღმრთისაჲთა.

35. და ერთი იყოს მემარხედ ვაჟკაცად მოშიში ღმრთისაჲ მსახურებასა თჳსსა.

და ერთი იყოს მეტრაპეზედ, ერთი მესტუმრედ, ორნი მეუძლურედ მოხუცებულთა და სნეულთა ზედა მხედველად და მფუფუნებელად.

და ერთი რჩეული და ღმრთის-მოშიშთაგანი იყავნ იპატირიტად ძმათა ზედა მხედველად, რაჲთა იქცეოდის მონასტერსა შინა, და რომელნიცა ძმათაგან არა მოსრულ იყვნენ ეკლესიად ყამსა ცისკრისა გალობისასა პირველ დაწესებულთა წართქუმისა. მათ სწავლიდეს და ასწრაფობდეს წარსვლად ეკლესიად, რაჲთა არა უდებ იქმნენ; და სხუასა ძისდა დაწესებულსა წინამძღუართაგან წესსა აღასრულებდეს.

და ერთი იყოს მებაღედ და ერთი მზარაულად და ერთი მეკარედ.

და სხუანი იყვნენ მგალობელად და მემჭრედ და მეფსალმუნედ.

და ესენი იყვნენ ერთ-სულ და ერთ-ზრახვა ნებაჲსი და შიწსა შინა ღმრთისასა და ერთიერთას სიყუარულსა და მორჩილებასა და მსმენელობასა წინამძღურისა მათისა შენებასა შინა და სა[49]რგებელსა მონასტრისასა.

და სუმცა ვინ არს ამათგანი წინააღმდგომ, გინა ერჩ საროგებელისათჳს[1] ეკლესიისა, გინა სწაელისათჳს და მოძღურებისა სულიერისა, გინა ჯორციელისათჳს მსახურებისა მონასტრისა,

[7] თავი

მღვდელთათჳს ყამის მწირველთა, თუ ვითარ ჯერ-არს გამორჩევაჲ მათი, ანუ მათ ვითარ უყმს ყამის-წირვაჲ

38. ღირს არს წინამძღურისა და ძმათა ფრიადითა გამოძიებითა გამორჩეულ მღდელთაჲ და, რომელნიცა წმიდად და სათნოდ და ღირსად იმოვნეს და განსრულებულად შიშითა ღმრთისაჲთა აღსრუ-

---

1 ბრძანებისა.

ლებად საღმრთოსა მას საიდუმლოსა, იგინი დააყენნენ ეკლესიის მწყემსად, რამეთუ მათ მიერ მოგუცემს კაცთმოყუარე ღმერთი[illegible]
მაცხოვარი ჩუენი მჭსნელი იესუ ქრისტე ჯსნასა სულთა ჩუენთა.

ხოლო უკუეთუ წარმდები ვინმე იპოოს მათგანი და სცთეს წესსა მას შინა მღდელობისასა, დადუმენინ ეგეგითარი იგი მღდელობისაგან და მის წილ სხუაჲ დაიწესოს ღირსი კაცი რიცხუსა მას შინა მღდელთასა აღმასრულებელად სა[50]ღმრთოსა მას საიდუმლოსა.

ხოლო ცთომილი იგი გარეგან მონასტრისა სოხასტერთა შინა დაიწესოს და მიცემულისაებრ მისდა მამასახლისისა მიერ კანონისა ინანდეს; და შუნდობასა და წყალობასა ღირს იქნას და ეგრეთცა დაიწესოს დასსა მას თანა ძმათასა, რომელთა იგი არა აქუნდეს მღდელობაჲ.

რომლისათჳს გაფუცებ ღმრთისა ცხოველსა და უბიწოსა დედასა მისსა, მამანო და ძმანო, რაჲთა არავის მიეშუათ ულირსებით ეკლესიის წირვად ეკლესიასა შინა ჩემსა.

კეთილად ნუცა შურისა მიერ შესმენითა, ნუცა სხჳთა რაჲთმე საეშმაკოჲსა ჴტერობისა ძჳრის ზრახვითა განაძებთ ვის მღდელთაგანსა მონასტრით, არამედ ჭეშმარიტითა გამოძიებითა სცნობდით ცთომასა მღდელისასა და ესრეთ განაძებდით.

87. და ეკლიერთგან ყოველსავე საქმარსა თჳსსა კორიელსა ეკლესიისაგან აღიღებს მღდელი, ჴერ ესრეთ იყო, რაჲთა ყოველთა დღეთა წელიწდისათა სასეფოდმცა წირვიდა.

გარნა ჩუენ უმეტესისა საროგებლისა მაოსათჳს ესრეთ განვაწესეთ: რაჲთა ყოველთა საუფლოჲსა და სახელოვანთა დღესასწაულთა სა[51]სუფოდ წირვიდეს და მათთჳს წირვიდენ, რომელთათჳს განსაგებელსა ამას შინა ჩუენსა განგჳწესებიეს, და სხუათა მათ მსგეფსისა დღეთა სამსა დღესა სასეფოდ წირვიდენ — ოთხშაბათსა, პარასკევსა და შაბათსა.

რომელი ჰუენთჳს განგჳწესებიეს, ჩუენთჳს იწირვოდის, და რომელი არა, ვისგანცა ეკლესიასა საწირავად საქმარი აგლოს და წინამძღუარმან და ეკლესიისა მნეთა ებრძანონ და განაწესონ, მათთჳს წირვიდეს.

კჳრიაკე დღე თჳთ საუფლოჲ არს, ხოლო სხუანი დღენი მღდელთანი არიან, ყისაცა ენებოს, მათთჳსცა წირვიდენ.

ტრაპეზისა შემზადებისათჳს და მსახურთა დუმილით ფრთხილად სიმშჳდით მსახურებისა

38. ეგრეთვე ტრაპეზისაცა საქმე და მსახურთაჲ კეთილად აღსრულებადენ საზომსა მას ხედა, რომელიცა საზრდელთათჳს განგჳსაზღვრებიეს, და ვითარ იგი აწ ჩუენგან აღესრულების, და აქა [ა9] განჩინებით დაგჳწერიეს.

გარნა წუთიდა უპირატეს მსახურთათჳს გუნებაცა განცხადებულად თქმად და რომელნი იმსახურებიან. ესე იგი არს, რომელნი დასხდებიან ტაბლასა და რომელნი ზედგანან მსახურებად და ზედა მდგომელთა ძა გამგეთა კეთილად წესიერებისათჳს და სიმტკიცისა.

რაჲთა, რომელნი ზედგომით ჰმსახურებდენ, მიმოსლვასა შათსა მყუდროდ იქმოდიან თჳნიერ რეხუებისა ფერჴიჲსა; და რომელთა ონაჴ-ეიგას ტაბლასა, დაწყნარებულად მიიღებდენ საზრდელსა მათსა, რაჲთა ყოველივე საღიდებელად ღმრთისა იყოს და მარიალითა მადლისაჲთა კეთილად შეზავებულ*.

ხოლო პირველობაჲ და უკანაჲსკნელობაჲ, რომელ არს ერთ-მანეთისა ზემო ყდომაჲ გინა ქუემო ყდომაჲ, არა აქა საძიებელ არს, არამედ თავდმან ღმერთმან განაგოს მერმესა მას ესეეთიცა განკრძალულად.

რაჲთა არა შფოთი და უწესოებაჲ შორის შემოვიდეს, და ნუცა შეურაცხყოფენ ურთიერთას უცხოჲთა რაჲთამე გაზრახვითა გარეგან წესისა საძონაზღუდოჲსა საკუნებელად სულთა თჳსთა[ა10]თჳს, და ურთიერთისცა პატივ სცემენ სიტყჳსაებრ მოციქულისა, ვითარმედ: «თჳთოეული თქუენი ნე ხოლო თჳისა თჳსისა სარგებელსა ეძიებდ, არამედ მოყუასისასაცა»**, და ესრე საჴედ ამაღლდეს სიმდაბლითა შით პრძანებისა მისაებრ საუფლოჲსა, ვითარმედ: «რომელმან დაიმდაბლოს თავი თჳსი, იგი ამაღლდეს»***.

39. ეგრეთვე წესსაცა წიგნის-კითხვისაჲსა ქამსა ჭამისასა მტკიცედცა იპყრობენ და შეუნივრად დუმილსა და სმენასა. და ნუმცა ამას შინა ოდენ აჩუენებენ მტკიცედ წესიერებასა, არამედ ყოველსავე საქმესა შინა და ადგილსა შინა და გარე და ყოველსავე საქმესა მათსა განკრძალულად მოჭალაქობითა.

---

* შდრ. კოლასელთა 4, 6.

** 1 კორინთელთა 10, 24.

*** მათე 23.12; ლუკა 14, 11.

და ნუმცა იქმნების პეტრესა, გინა ღჳნისა და სხუათა მათ დაბრ-
ვაჲთა, რომელ განწესებულ[1] არიან. შეცვალებაჲ უჲულებელ-ყჳ-
ფითა და ჭელტობითა, რაჲთა არა მიზეზ ექმნას მონაზონთა
მიერ შეცვალებად წესსა ამას ზოგად ცხორებისასა და ჩუენ მიერ
განწესებულისა ამის პირველ თქჳ-ელისა წესისა სხუად წესად ცვა-
ლებად.

10. რომლისათჳს [54] განწესებულსა ამას უჴდურისასა და
ყველსა ხუთთა მათ დღეთა შინა მსგჳფსისათა, ვითარ-იგი თჳთგან-
ვე განგებულ არს, ნუმცა დააკლებენ, გინა სრულიად გარდასწყჳე-
დნენ თჳნიერ წარხვეთაჲსა.

და ეგრეთვე ოთხსა საჯეროსა ნუმცა დააკლებენ და სამი საჭ-
მელი იქმნებოდის, რაჲცა ღმერთსა მოეცეს, და ოთხი კრასოვოლი
სრულიად მიეცეს მონაზონთა.

მნებავს, რაჲთა კვრიაკესა დღესა უბრწყინვალესი დაეგებო-
დის ტაბლაჲ, ვიდრე სხუათა მათ დღეთა, რაჲთჳთ ძაშინ ღამესა
ათევენ ძმანი და დაშურებიან საუფლოჲსა აღდგომისა გალობასა
შინა და ფსალმუნებასა.

და ეგრეთვე ზატიკთა შინა აღესებისათა და ათორმეტთა მათ
დღეთა ქრისტეს შობისათა საჭმლისაჲ ჯერ-არს ქმნაჲ, გინა
ოთხისაჲცა, რაჲცა ღმერთსა მოეწიჭოს.

და მწუხრსა ყველი დაეგოს; და თუ სხუაჲ რაჲმე დასაგებელი
იყოს, და ორ კრასოვოლი იწდიოს მათ დღეთა შინა.

უკუეთუ კულა წინაძძღუარმან ჟამისაებან დაბეგდნეს და სხუაჲცა
რაჲმე [55] შესძინოს და ჯერ იჩინოს ესრეთ განგებად, მიშუებაჲ
აქუს ჩუენგან ყოფად ამისა, რაჲთა დაიკსნას ჭუეილი მათი, რომელ-
ნი უნაყოფოვნესრე იყვნენ.

11. და უკუეთუ პრასტეინოაგან ანუ საკჳთეართა, გინათუ
ლჳრთის-მოყუარეთა ვიეთგანმე, ანუთუ თჳსოაგან მაშასახლისისა-
თა, გინა ძმათაჲსა ანუ მეგობართაგან მათთა რაჲცა გუარი ნუგე-
შინის-საცემელი საჭამადი, გინა სასუამადი შემოვიდეს მონასტრად,
ჯერ-არს, რაჲთა ყოველი იგი კელარსა მიეცეს და მან ჯერისაებრ
განწესებულისა ამის წესისა წარიგოს საჭმარად ძმათა, ანუ თუ თჳთ
შეჲნ ძღუნისა მის ეფცლმან მოიღოს საზიაროსა მას ტაბლასა და
ზოგად იქმიონ, და ესე ამისთჳს, რაჲთა არა დაიკსნას საკრებულოჲ
წესი.

და მომრთუმელი იგი ძღუნისაჲ მის და თუ სხუაჲ ვინმე სტუ-
მარი ესტუმროს, ანუ თუ ხილვად მამისა, გინა ძმათა მოვიდეს

[1] განწესებულ.

თჳსთა მათთაგანი, გინა უცხოთაჲ, ანუ მეგობართაგანი, ჯერ-არსჲ-სა მის, რომელისაცა თანა მოსრულ იყოს, რაჲთა უკუეთუ ტაძრისა დაგებისა ჟამსა ესტუმროს მის თანავე საზიაროსა მას [56] ტრაპეზსა მიიყვანოს და, ვითარცა ენებოს, შეჰნ პატივ-სცეს და სიყუარული არუენოს.

ხოლო უკუეთუ არა იყოს ჟამი ტაბლის დაგებისაჲ, ანუ სტუმარი იგი ისწრაფოდეს და არა ელოდის, წარიყვანოს იგი ძმამან მან კელარსა თჳსა და შეჰნ პატივს-სცეს ჯერისაებრ; თუ არა, არა ჯერ-არს, ვინმისა წარყვანებად სტუმარი სენაკსა თჳსსა და შეჰნ სიყუარულისა ყოფად.

და უკუეთუ მოსაზონი კისმე სტუმრად მოვიდეს, ჯერ-არს მისსა საჭ ღღე განსუენებად და მეოთხესა დღესა საგზლისა ჩადებად და წარგზავნად გზასა თჳსსა.

ხოლო უკუეთუ უძლურებაჲ შეემთხჳოს მას, ჯერ-არს დამჭირვებად მისა და ფუჭუნებად ვიდრე სრულიად განმრთელებამდე.

და უკუეთუ მოსასტუმრსა შინა მიიცვალოს, ჯერ-[არს] მისსა ლოცვითა და ფსალმუნებითა დამარხვაჲ წესისაებრ, რაჲთა სასყიდელი მიიღოს ღმრთისაგან.

[9] თავი

შესამოსაჲსათჳს ანუ სამოსლისა ფასისა თუ ვითარ ჯერ-არს განყოფად მამასახლისისაგან ძმათა და საჭმროებლისათჳს

42. შემდგომად ამისა შესამოსლისა ფასისათჳს ვი[57]ხრუნვეთ აღწერად და ჯამლთათჳს დასაფარველთა ჯორკთაჲსა და სხჳსა საჭმრისა ყოველისა.

და ფუჭ-ეება, რაჲთამცა არა იქმნებოდა ესე გაროქვითა, დაღაცათუ წარსაგებელი ფრიად უჭმდა. არამედ რაჲთა მიეცემოდის ესე ყოველი თვითოეულსა წელიწადსა შინა უკლებად ყოველთავე წესისაებრ თჳსისა. რაჲთა არა აჭუნდეს ძმათა მიზეზი განსლვად მონასტრისაგან ამათ ესეეთართა საჭმართათჳს მოსყიდად რაჲსამე, ანუ ჯამლთა ძუებითა ყარითი-ყარად როტინებად, ანუ მეგამლეთა რუდუნებად, ანუ სხუათაგან სადმე წარსლვად და ამათ მიზეზთაგან ენებისა შემთხუევად და ძმათაგან კიდე ყოფად, არამედ რაჲთა ცხორებაჲსად უკთუნებელად დაიდგრენ მსახურებასა ეკლესიისასა და მსახურთა ბრძანებისა თანანადებისა აღსრულებითა.

და თუმცა შესაძლებელ იყო ჩუენგან ზემოთქმულისა მის აღსრულებად, რაჲთამცა წესისაებრ პატრონისა მონასტრისა ეპისკოპოსი გიისა ეპყოფდითამცა განყოფასა შესამოსელთასა არა რაჲმცა უჯეროვნეს და უმჯობეს ამისსა იყო, გარნა შეცვალებისაებრ და მო[58]მართებისა ქამთა ამათ დაუმტკიცებლობისა განეაწესეთ ყოფად ესრეთ, რაჲთა იყუნენ ძმანი სამ დასად განყოფილ და როქსა აიღებდენ.

43. წინამძღუარი მონასტრისაჲ აიღებდეს დრაჰკანსა ორმეოცსა; და ქამის მწირეველნი მღდელნი და ორნი იგი დიდნი იკონომოსნი და დეკანოზი და დიშპიარი და სხუათა უთაესთა ძმათაგანნი, რომელთაგან შეიქმნას რიცხჳ პირველისა დასისაჲ ათხუთმეტი სული, და აიღებდეს თითოეული ამათგანი დრაჰკანსა ოცსა.

ხოლო მეორე დასი იყოვნ ეგრეთვე ათხუთმეტი სული და აიღებდეს თჳთოეული ამათგანი დრაჰკანსა ათხუთმეტსა. ხოლო მესამე დასი იყოვნ რიცხჳთ ოცი სული და თჳთოეული ამათგანი აიღებდეს დრაჰკანსა ათსა, და ყოველი ფანძი როქისაჲ იყოვნ სტამბლონი სრული.

44. დიაკუანთუ შემოსაველი ყოველი ფერი მონასტრისაჲ სეკდენბერისა თუესა შეკრბების და აბეტის იქმნების, და მაშინ ჴმდა, რაჲთამცა აიღეს ძმათა თავიდა წესამოსლისა ფარა. გარნა ამისთჳს, რაჲთა არა უნდეს ძ[59]მათა გაჭრობისა გზითა მისლეაჲ ქალაქად და განშორებად სამსახურებელისაგან მონასტრისა და გამოკუეებად ლოცვისაგან, განვაწესეთ, რაჲთა აიღებდენ განწესებულსა მას შესამოსლისა ჳასსა დიდებულსა ქრისტეს აღდგომისა დღესა დიდსა კვრიაკესსა, რომელ არს აღსებისაჲ, რაჲთა რაჟამს იგი ჩუენ მიერ განსაზღვრებული პანაგირი შეიქმნას პატრონისა მონასტრისა ჩუენისაჲ, მაშინ თჳთოეულმან მათ[გან]მან ვაჭრობაჲ თჳსი ქმნას და პანაგირსა მას იყიდოს, რაოდენი უკჳდეს.

და ეინაჲთგან როქითა იქმნა დაწესებაჲ შესამოსლისა მათისაჲ, ამისთჳს ჯერ-არს მიწუებისა მიცემად, რაჲთა ჴელეწიფებოდის როქსა მათსა და ნაძუელაქსა ზედა ყოფად, ვითარცა ენებოს.

უკეთუ კულა ქამთა ცვალებითა გინათუ რომელსამე ქამსა წინამძღუარმან ეგრეთ ჯერ ეჩინოს, რომელ როქსა წილ შესამოსელსა მისცემდეს ძმათა, იპყრას კულად ზემო დაწერილი წესი პანაგიელთაჲ, რომელი სწერია მეოთხესა თავსა, რაჲთა არა აჭუნდეს ძმათა ჴელმწიფებაჲ ნაძუელაქსა განცემად ეისსაცა, ვარნა მამასახლისსავე შეეძლოს.

სამთა მათ ორმეოცთა მარხვათა წმიდად მარხვისათჳს დასაწყისისა ბაკთა მიმართ წყალობისა ყოფისათჳს ყოველთა დღეთა

45. ხოლო სამთა მათ წმიდათა ორმეოცთა მარხვისა დღეთა უღუნოდ და უზეთოდ ჴერ-ობს მარხვაჲ თჳნიერ შაბათ-კვირიაკეთაჲსა, რომელსა შინა ნუგეშინის-საცემელად ძმათა ქამსა ჰამისასა საჭმელი განწჳსებულ არს, და თჳთოეულსა დღესა საზრდელისა განყოფაჲ კარსა ზედა მონასტრისასა მყოფთა ძმათა ქრისტესთა. რომელ არიან გლახაკნი, რაჲთმეთუ იგინი არიან მიზეზნი ჯანისა ჩუენისანი და მომატყუებელნი მერმეთა მათ კეთილთანი.

დიდთა უკუე მარხვათა შაბათ-კვირიაკეთა შინა იგეც ზომისა [სა]მარხოჲ სანოვაგე დაეგებოდ[ი]ს თჳნიერ თევზისა და კრასაული სრულად მიეცემოდის; ხოლო ხუთთა მათ დღეთა თჳნიერ ზეთისა იმარხვიდენ. ხოლო სამშაბათისა და ხუთშაბათისა თჳთ კრასაულსა სუმიდენ.

[61] 46. ხოლო ქრისტეს შობისა მარხვაჲთა ერთგზის ჭამდენ დღესა შინა და იგიცა მეცხრესა ქამსა, და დღესა, რომელსა შინა «ღმერთი უფალი» ითქუმოდის, ორ-ორსა კრასაულსა სუმიდენ სამხრით და თიითისა მწუხრი [სერობასა], გარნა სამთა მათ დღეთა მსგეფსასა შინა განეყენებით ზეთისაგან.

ეგრეჳე ამითჳე საჴითა წმიდათა მოციქულთა მარხვასა იმარხვიდენ სამთა მათ დღეთა უზეთოდ და ზოგად; ყოველნი ჭამდენ ერთგზის დღესა შინა მეშჳდესა ქამსა და სუმიდენ ორ-ორსა კრასაულსა და თჳთ კრასაულსა მწუხრი სერობასა.

[11] თავი

დღესასწაულისათჳს ეკლესიისა ჩუენისა, და სხუათათჳს საუფლოთა დღესასწაულთა და სახელოვანთა წმიდათასა, რაჲთა გრწყინვალედ დღესასწაულობდენ

47. განვაწესეთ ყოფად დღესასწაული ეკლესიისა ჩუენისაჲ დღესა მიცვალებისა ყოველად წმიდისა ღმრთის-მშობელისასა; და ვნებავს, რაჲთა ყოველნი საუფლონი დღესასწაულნი ესრეთ მოწი-

წებით და ბრწყინვალედ იქმნებოდენ, ვითარცა პრმეენის დიდ[62]
მას და სახელგანთქმულსა ეკლესიასა ჩუენსა.

ეგრეთვე დიდ-დიდთაცა მოწამეთა და წმიდათა საწყაებელი და იგივე გლახაკთა მიბართ ტკბილის საჭმისა მიცემაჲ, რომელი განთჳსებულად ყოველთა დღესასწაულთა განგჳწესებიეს. თჳთოეულსა დღესასწაულსა ნუმცა დაიხრწევის, რომლისა საზომი განთჳსებულად დასასრულსა ამის ტიპიკონისასა დაგჳწერიეს სახელდებით თჳთოეულისა დღესასწაულისაჲ [იხ. ოდგი 35].

48. ხოლო უფროჲსაღი უმეტესად პატივ-იცემებოდენ დღესასწაული მიცვალებისა ყოვლად წმიდისა ღმრთის-მშობელისაჲ, რომლისათჳს ეფუცებ ყოველთა შეხლგომად ჩუენსა მოძაღლთა. რაჲთა არა რაჲთა სმითა არა დაჲაქლებდენ. არამედ შესაძლებელ თუ იყოს მათგან, უმეტეს და უბრწყინვალეს აწინდელისა ამის ჩუენზე ყოფელისა პატივსცემდენ და დღესასწაულობდენ; რამეთუ დღესასწაულის მოყუარენი და რომელნი დღესასწაულობდენ, დიდთა ნიჭთა მიიღებენ ღმრთისაგან და წარუვალთა კეთილთა დაიმკჳდრებენ. და საღმრთოთა მადლთა მიემთხჳევიან.

ეგრეთვე სხეათაცა წმიდათა დღესასწაულსა ჰყოფდენ ბრწყინვალედ.

[63] [12] თავი

კანდელთა მიერ და სასანთლეთა გაბრწყინვებისათჳს წმიდისა ეკლესიისა ჩუენისა, თუ ვითარ ჯერ-არს და ლოცვისათჳს, რაჲთა არა რას შეეძცეოდიან ლოცვასა შინა

49. ჯერ-არს უკუე, რაჲთა მარადღე ყოველთა დღეთა და ღამეთა წინაშე ხატსა წმიდისა ღმრთის-მშობელისასა სამნი კანდელნი დაუსებელად ენთებოდიან და ერთი დიდსა საკურთხეველსა და ერთი წინა კანკელსა ჯუარცმისა ხატსა წინაშე და ერთი ნათლისმცემელისა ხატსა წინაშე ეგუტურისა მისისა კარსა და ერთი წმიდისა გიორგისა და ზედა საფლავსა სამარხოსა ჩუენსა სამი კანდელი

და ყოველთა დღეთა წელიწდისათა ცისკრისა ლოცვისა ქამსა და სამხრისასა და მწუხრისასა ამათ ზემოთქმულთა კანდელთა თანა თჳთ სანთელი ენთებოდის, ვიდრე ლოცვისა განსრულებადმდე. და რაჲ ლოცვაჲ გაასრულონ. სანთელნი დაივსნენ, ხოლო კანდელნი დაუსებელადცა ენთებიან.

ეგრეთვე ყოველთა დღეთა საჭმელთა მათ ჟამთა ლოცვისათა საფუძ-
ლოთა მათ ათორმეტთა დღესასწაულთა წინაშე კანდე[64]ლნი ანთონ
ბოდინ ვიდრე ლოცვის განსრულებამდე.

და ეგრეთვე სახელოვანთა მათ საეფესოთა დღესასწაულთა რაოდენნიცა კანდელნი ეკიდნენ ეკლესიასა შინა, აღენთნენ. და რავდენნიცა სასანთლენი იყვნენ, სანთლითა აღივსნენ.

და დღესასწაულსა ეკლესიისა ჩუენისასა უმეტესადღა იქმნებოდის ალნთებაჲ; და სხეთაცა საეფესოთა დღესასწაულთა იქმნებ[ოდის ლოცვ]ითა და ფსალმუნებითა და სულნელებითა; და ბრწყინვალედ აღსავსე ტრაპეზი დაეგოს, რაჲცა ღმერთსა მოეცეს.

50. ხოლო დიდების მეტყუელებისათჳს ღმრთისა და ლოცვისა, ვითარ-იგი განგებულ არს და განწესებულ, რაჲ საჭმარ არს თქუშად, ვითარმედ, ვითარცა ხარჯსა და თანანადებსა სალმრთოსა, ესრეთ ჴერ-არს გარდაჭდაჲ თანა წარუეალად.

და ვითარცა ღმრთისა მცნებათა აღსრულებაჲ და საუკუნოდ უცდომელად დამარხვაჲ, რაჲთა ურთიერთას მოჰჴდიდენ და მტკიცედ დაიმარხვიდენ პირველ ყოვლისა წესსა წმიდისა მის დიდების მეტყუელებისა ღმრთისასა, კანონისაებრ შჯულის-დებისა ვითარ იგი უბყრიტს[65]ძმათა პატ[ი]ოსნისა მონასტრისა პანაგიისათა ქამსა ცისკრისასა და სამხრძასა, მწუხრისა და სერობისასა; და დღისაცა განწესებულთა ქამთა შემდგომებით მათითურთ, და უფროჲსდა სალმრთოჲსა მის საიდუმლოჲსა შეწირვისა.

გარნა ნუმცა ჰყოფენ ურთიერთას სწრობით ფსალმუნებასა მას, ნუცა პირველ განსრულებისა ერთისა კერძისა მემჭრეთა მიერ გალობისა მეორისა კერძისანი დაიწყებენ, არამედ ჴეროვნად წესსა ზედა მათ მიერ განწესებულსა.

და აქამებრ საცნაურ იქმნას გარდამავალი მცნებათაჲ, და შეეარდეს წყევასა ქუეშე მამათასა, ვითარცა შეურაცხის მყოფელი ბრძანებათა და შინებათა ღმრთისათაჲ; რამეთუ არა ხოლო თუ ჩუენისაგან ოდენ, არამედ შჯულისაგან და მცნებისაც[ა] ღმრთისა გამოჩნდეს უცხო ქმნული.

ხოლო ამას ვიტყჳთ არა მათთჳს, რომელნი მიხჳზითა რაჲთამე ჴეროვნითა საქმესა რასმე შექცეულ იყუნენ ანუ უძღურებასა, ანუ [ნუ]გეშინის-ცემასა ძმათასა, ანუ სტუმა[66]რთა შეწყნარებასა, ვინა თუ ღუწოლასა გლახაკთასა; არამედ განეაფრთხობით უდებთა და განეაშორებით მცონარებისაგან, ვითარცა სრულიად გარდამავალთა შჯულისათა.

51. ხოლო შემსგავსებულად მცნებისა ამის ვამცნებთ მოსიზმრეთა, რაჲთა ამარხვიდენ წესიერად დუმილსა ყოველსა ქამსა ჭამისაჲსა უფროჲსად ქამსა წმიდისა ლოცვისასა; რაჲთა არა ვის მიეშუებს ფქვილობად ერთი ერთისა ჯეროვნად გინა უჯეროდ, ანუ სიცილად, ვიდრემე განლიმებამდეცა, გინა თუ ჴმა მაღლობად რაჲმე უწესოდ და ამის მიერ განრყუნად შეუნიერისა მას გალობისა ჴმისა და სმენისა მჯუდროებასა; და თანაშემწე ეშმაკთა ყოფად, რამეთუ ბნელი არს მებრ ესე საქმე.

ნუცაღა კუალად შეექცევიან სხუასა რას ლოცვასა შინა, არამედ ჯეროვნად და შეუძრეველად სულით და ჴორცით საღმრთოსა მას მსახურებასა შექცეულნი შესწირვენმცა ღმრთისა მიმართ სულიერსა მას გალობასა.

ხოლო უკუეთუ ვინ რაჲთურთით ამას მცნებასა შეურაცხ-ჰყოფდეს, კანონსა მას ჭეშე იყვენ შევრდომილ და წმიდათა მამათა მიერ დადებულითა წესითა განიკანონნენ.

ამასთანა ჯერ-არს კჳრიაკის ძალთა ღამის-თევაჲ ლოცვითა და ფსალმუნითა და წიგნის-კითხვითა.

[67] [18] თავი

ვითარმედ ჯერ-არს ყოველთა დღეთა აღსაარებად ძმათა წინამძღურისა თანა გულის-სიტყუათა და საქმეთა და ყოველთა ცთომათა მათთა, რაჲცა ექმნას

52. ფრიად ჯეროვან და სათნადო არს წინამძღურისა, რაჲთა განიკითხვიდეს ყოველდღე გულის-სიტყუასა ძმათასა და არავის მათგანსა შეურაცხ-ჰყოფდეს, რომელნი იგი შეურვებულ და შეცთომებულ იყვნენ გულის-სიტყუათაგან, არამედ გამოჰკითხვიდეს მარადღე, და ნუგეშინის-სცემდეს სულთა მათთა ყოველისაგან შებღალვისა სულიერისა და ჴორციელისა.

და ეგრეთვე ძმათა თანა-აც სარწმუნოებით შემუსრვილითა გულითა და სულითა წრფელითა გამოცხადებად მისა ყოველთა ცთომათა და წყლულებათა თჳსთა. და არა წარსლვად და აღსაარებად სხუაგან სადა, ვითარცა უცხონი და არა შეილნი მამისანი, და ესრეთ სიცრაგით ზაკულებად აღსაარებისა მიმართ; რამეთუ წინამძღურისა ჯერ-არს, რაჲთა იცოდნის ყოველთა გულის-სიტყუანი და სხუაჲ ყოველი სიმტკიცე საქმისა მათისაჲ და არა სხუასა ვის თანა ჯერ-არს გამოცხადებად გულის-სიტყუათა, [68] თჳნიერ წინამძღურისა ხოლო.

53. და კუალად ნუ ვინ ძმათაგანი თავით თჳსით თჳნიერ ნებისა და გამორჩევისა წინამძღურისა კელ-ჰყოფს საშსახურებელსა ვინმეს, არამედ ყოველი, რაჲთა არა მომატყუებელ სიკუდილისა ექმნას თავსა თჳსსა, ვინაჲთგან იგი არა უწყოდის წინამძღურობასა ნებაჲ გულის-ზრახვათა მისთაჲ, რამეთუ არა უწყის თავით თჳსით გამომრჩეველმან უმჯობესი თჳსი.

რაჲმეთუ რომელსამე ესრეთ სათნო რაჲმე უჩანს და რომელსამე ეგრეთ და არა უწყის გამორჩევაჲ კეთილისაჲ, ვინაჲთგან იგი მას ვისმე ესე ვინმე ჰშუენიან თანა შემწედ საქმისა და მას ვისმე სხუაჲ ვინმე; და ამას ყოველსა სიბრძნე უჴმს და საწინამძღუროჲ განკითხვაჲ, რამეთუ მან უწყის ყოველისაჲვე კეთილად განგებაჲ.

54. აწ უკუე ოდეს იგი ურჩ ვინმე იპოვნენ ძმათაგანნი და ნებისა თჳსისა გამორჩევისა მოყუარე, ვითარ უკუე აზნაურად შვილად იწოდნენ სულიერისა მის მამისა? ვინაჲთგან თჳთ ნეფსით თჳსით უცხო ჰყოფენ თავთა თჳსთა მამულისაგან სამკჳდრებელისა და მტყუვრად [69] გამოჩნდებიან აღთქუმათა თჳსთა ღმრთისა მიბართ; რამეთუ რომელი მცირესა ზედა ურწმუნო იყოს, იგი დიდთაცა მცნებათა ზედა მცთომ და ურწმუნო იქმნებისა*. და მის ზედა სათქუმელ არს ჟამსა თჳსსა სიტყუაჲ მოციქულისაჲ, ვითარმედ: «ურწმუნოჲ იგი გან-თუ-ეყენებოდის, განეყენენა»**, მსგავსად იგიერსა ლეჳჭსა მის, ვითარმედ და ადგილიცა რაჲსაჲთჳს დაუპყრიეს უქმად ცუდითა უხაყოფოებითა***.

რაჲმეთუ არაჲ არს უბოროტესი, ვითარ იგი ურჩ ექმნებოდის ვინ უხუცესსა თჳსსა და უჯეროთა მეტყუელებდეს წინააღმდგომად მისა. ესეეთარი იგი აღიჴოცენ შორის ძმათა, რაჲთა არა მოყუასთა თჳსთა სახე ბოროტისა ექმნას და მოძღუარ ურჩებისა, ოდეს იგი არა ოდეს იქმოდის ნებისაებრ წინამძღურისა, არამედ ნებასა ხოლო თჳსსა აღირჩეოდეს.

55. ხოლო უკუეთუ წინამძღუარი არა იყოს მღდელი, გარნა ლიტონი მონაზონი იყოს, და უმეცარი შჯულსა მას კანონთასა და რამეთუ კელსა შინა მღდლისასა არს შეკერაჲ და განჴსნაჲ, ჯერ-არს წინამძღურისა, რაჲთა გამოირჩიოს მღდელთაგან უმჯობესი და მოღუაწე და მეცნიერი შჯულსა მას კანონთასა და იგი განაჩინოს სულიერად მოძღურა[70]დ ყოველთა ძმათა, რაჲთა წინამძღურისა

---

1 სიასცა.

* შდრ. მათე 25, 21.

** I კორინთ. 7,15.

*** შდრ. ლუკა 13, 7.

წილ მას უთბრობდენ და აღუარებდენ ყოველთა ცთომათა და გულის-სიტყუათა თჳსთა.

[14] თავი

ჴელთ-საქმრისათჳს და შრომისა და ვითარმედ ჯერ-არს ფსალმუნებაჲ შრომასა შინა

56. და მათდაცა, რომელნი იგი ჴორციელად შურებდიან, თანაც ფსალმუნებისა არა დაცადებაჲ, არამედ რაჲთა ჴელთ-საქმარსა მას შინა თანა იღოცევდენ ყოველადვე პირითა, რამეთუ იგი არს საკუმეველი საიდუმლოდ შეწირული ღმრთისა პრძანებისაებრ დიდისა ბასილისა და მომხდელ თანა შემწეობასა მას ანგელოზთასა.

რამეთუ სახლსა შინა სამეუფოსა მრავალი ჭურჭელი არს, რომელიმე ოქროჲსა და ვეცხლისაჲ და რომელიმე ქვაცისაჲ*, ამისთჳს ფრიადი სიბრძნე უკჳს წინაშეძღუარსა ჩუენებად მათდა გზასა ჭეშმარიტებისასა, რამეთუ მრავალ' სახეთა მიერ გზათა ჯერ-არს ჩუენდა შესლვად სასუფეველსა ცათასა, რამეთუ რომელიმე ამას წარჰმართებს სათნოებასა და სხუაჲ — სხუასა, და სხუაჲ რომელიმე — ყოველსავე.

რამეთუ რომელთამე შერისხეაჲ ჯერ-არს უხუცესისაჲ და რომელთამე შერისულეაჲ და რომელთამე წყლულებისა განკეც[71]თაჲ მხილებისა მისჯლითა; და ყოველთაცე საზომისაებრ ჯერ-არს ქმნად და ჟამსა ჯეროვანსა.

და რომელთამე საქმესა და შრომასა ჴორციელსა ჯერ-არს დადგინებაჲ, რომელნი იგი გონებითა დაუმტკიცებელ და ულმობელ იყვნენ, რაჲთა ნეფსით და უნებლიაჲთ შრომითა მიეახლნენ ღმერთსა. რამეთუ სული შრომისმოყუარე მახლობელ არს ღმრთისა და ადრე მიიღებს კურნებასა.

[15] თავი

არა განსლვისათჳს ძმათაჲსა მონასტრით თჳნიერ პრძანებისა უხუცესისა

57. ხოლო რომელნი დაუდგრომელ იყვნენ ძმათაგან, არა მიუშუას მათ წინაშეძღუარმან ნებისაებრ მათისა განსლვად და როდისინებად, ვინაჲცა ენებოს ცნობისა სისუბუქითა. არამედ რომელნი

* შდრ. 2 ტიმოთე 2, 20.

წარმდებობდენ ესეცითარითა ჩუეულებითა, ჯერ-არს დაყენებაჲ მე-
თი ბრძანებისაებრ წმიდათა მათ და ღმრთივ დადებულთა კანონ-
თაჲსა.

და არა ამას შინა ხოლო ჯერ-არს წურთაჲ მათი, არამედ სხუასა ყოველსაცე შინა საქმესა ურჩებისა და უსმენელობისასა, რაჲთა ჯე-
როვნად [72] და სამართლად იქცეოდენ წესისაებრ მოსაზონთაჲსა.

რამეთუ ხარკად ზედა-აც ყოველთა მწყემსთა კრებულისათა არა გარდასლვად მათდა დადებულსა ამას საზღვარსა, არამედ რაჲთა ამით წესითა ჰმწყსიდენ სულიერთა მათ სამწყსოთა მათდა რწმუ-
ნებულთა, ესე იგი არს შეცოდებულთა მათ განკანონებად სინანულითა, და ზრუნვად მათთჳს თანა მოლმეობით ყოველითა გულითა და ყოველითა გონებითა, ვითარცა ასოჲს მოდგამთა თჳსთა, რაჲთა არა შევარდენ სასჯელსა ღმრთისასა.

რამეთუ ყოველი ბრძანებული წინამძღურისაჲ შჯული არს თანა წარუვალი, და ვითარცა შჯულსა ღმრთისასა ესრეთ ჯერ-არს შეწყნარებაჲ მორჩილთა კრებულსა ყოველსაცე მის მიერ ბრძანე-
ბულსა.

და რაჲთა არარაჲთა უდარესად შეჰრაცხონ ღმრთივ-დადე-
ბულსა შჯულსა, რამეთუ არა ჯერ-არს გამოწულილვაჲ ბრძანება-
თა მისთაჲ, არცა წინააღდგომაჲ, გინა ჭდობაჲ; რომელ ესე უწინამ-
ძღურობისა და თავკედრობისაჲ არს სასწაული და უწესოებაჲ, რო-
მელი იგი ალაშფო[73]თებს და დაჰსნის ყოველსავე კეთილსა, რო-
მელთაცა ზედა სასჯელი ღმრთისაჲ სამართალ არს ესეცითარისა მოქმედთა ზედა.

58. ამისთჳს უკუე ამასცა ეტყჳ და განუაჩინებ ნებისაებრ ღმრთისა: არა ვის სხჳსა მნებავს მთავრობად, გინა ჭელმწიფებად მათ ზედა, არცა წესსა მას მორჩილებისასა მნებავს დაჰსნად ოდეს-
ცე, რამეთუ არა ჯერ-არს მოსაზონისათჳს სხუაჲ რაჲმე სიტყუაჲ რქუმად წინამძღურისა გარნა ესე ხოლო, ვითარმედ: «ვცოდე, მო-
მიტევე».

რამეთუ როჲელნი ესრე სახედ მოსაზონებდენ და ამას წესსა ზედა ერთობით ეგნენ, მშჳდობაჲ იყავნ მათ ზედა და წყალობაჲ ღმრთისა მიერ.

59. უკეთუ კაცსა ემხილოს ვისმე ძმათაგანსა და არა ინებოს ყოფად კანონსა მას ქუეშე განსაზღვრებულსა, არამედ წინა აღუდ-
გებოდის და უმეტესად ფიცხოთოდის და ურგებად შეჰრაცხოს მხი-

ლებაჲ იგი უზუცესისაჲ და არა ყოფროჲსდა შესაძრწელად დაიშალ-
ებელად თჳსად გულის-ჴმა ყოს შერისხეაჲ მისი და წინა განუწყვეტელ-
ბოდის მწუემსსა მას და მკურნალსა, და მხილებასა მისსა არა თჳ-
[74]ს იდებდეს და ამისთჳს ცხადად, გინა თუ ფარულად უჴდებო-
დის მას მტერობით, რომელი ესე მე არა მნებავს, რაჲმეთუ სენითა
საშჳნოჲსთა არს სნეულ ესეეთარი, რომელი ასუმიდეს მოყუასსა
თჳსსა მრღვესა, რომლისა ძლით განბძარეაჲ და განყოფაჲ მრავალ
გზის შეემთხუეოს გუამსა მას ეკლესიისასა.

ესეეთარი იგი უკეთეთ შემდგომად ერთგზის, გინა ორგზის
და სამგზისცა შერჩულებისა და განკანონებისა განუმართებელად
ეგოს თჳსსაე ზედა თაეჴედობასა, ვითარცა ასოჲ დაჭრილი განი-
კუეთოს და განეშორენ სამწყსოჲსა მისგან საღმრთოჲსა.

კუალად ამისსა შემდგომად თანა-აც ცნობად მნესა მას სული-
ერსა, რომელ არს წინაშძღუარი, და მოსწრაფებისა ჩუენებად ჴმა-
სა და უჴმოსა და სიტყჳსაებრ სამოციქულოჲსა ყოველითა სულ-
გრძელებითა გამოცდად ყოველისა და გამორჩეეად კეთილისა და
განშორებად ყოველისაგან საქმისა ბოროტისა* და არა უგულებელს
ყოფად მცირეთა ცთომათა ვიეთამე, რაჲთა არა მცირემან მან ცომ-
მან ყოველი აღსტაროლი აღაფუენოს სიბო[რო]ტედ**.

60. და კუალად უკუეთუ დიდ-დიდთა ვინ მოღუაწება[73₁-12]თა
ჴელ-ყოს თაეით თჳსით ჴამორჩევითა და შეურაცხყოს მამათა მიერ
დადებული ესე წესი, რომელი პირველითგან გამოცადეს და გამო-
ირჩიეს, და მოიკეს ჩუენ სალმრთოდ ნამარხეად, ვითარცა ჭეშმარი-
ტად უცდომელი და საშუალი სამეუფოჲ გზაჲ, რომელ არს გან-
შორებაჲ თჳთრჩეულებისაგან, რამეთუ თჳთრჩული ყოველი მა-
რადის მცთომ არს და გამოუცდელ და დაუმტკიცებელ.

ამისთჳს უკუე საცნაურ არს, ვითარმედ ვითარცა იგი მორ-
ჩილი სიტყჳსა და საქმისა მიერ გამოცდილ არს ყოველსავე შინა და
შეურყეველ, ეგრეთვე არა შესაწყნარებელ არს საქმე მათი, რომელ-
ნი იგი გარეგან წესისა ჰყოფდენ რასაცა.

61. მათთჳს, რომელნი იგი მ[74]ჩუენებლობით იღოკეენ შო-
რის კრებულსა ვითარცა იგი ორგულნი.

უკუეთუ იყუნენ ვიეთნიმე, რომელნი გარეგან ნებისა ზოგად
ცხორებათაჲსა და თჳნიერ სწაელისა წინაშძღურისა შორის კრე-

---

* შდრ. 1 თესალონიკელთა 5, 21—22.

** შდრ. 1 კორინთელთა 5,6.

ბულსა სახესა მოღუაწებისასა აჩუენებდენ ლოცვისა მიზეზითა, რაჲთამცა დაარწმუნა მხილველთა, ვითარმედ იგინი არიან ფიცხელნი ტესნი და მოღუაწენი ძმათა შორის, და ესრეთ მოიპარვიან ცხორებასა ბულნი სულთაგან ბოროტთა, რომელთა მიმართ არს ბრძოლაჲ ჩუენი სიტყუაებრ მოციქულისა: რომელი იგი ბნელ არს და ნათელსა იჩემებს*.

და ესე სიტყუაჲ კრა არს სახისა მოცემად ჩუენდა, რაჲთა განვეკრძალნეთ.

62. და კუალად რაჲთუ წმიდისა მის და ყოვლად პატიოსნისა მონასტრისა პანაგიისა წესისაგან განსწავლულ ვართ [78] განცხადებულად და მათგან ჴერ-არს სახისა მოღებად, რომელთა სრულ ყოფაჲ გუნებაჲს.

და კუალადცა ვთქუა: ყოველსავე შინა ჴერ-არს გამოცნობაჲ და ყოველითა სახითა შერჩულებაჲ და კეთილისა მიმართ წარმართებაჲ და გონებისა [ა]ღმაღლებაჲ ქუეყნიერთა ზრუნვათაგან, რაჲთა გამოწულილვისა და ბრძანებისაებრ წინაჲსძღურისა იქმნებოდის ყოველივე, რაჲთუ მის მიერი განწესებაჲ და გამორჩევაჲ ღმრთისა მიერ თჳსებაჲ არს, ვითარცა იგი ამისგან განშორებაჲ ცუდ არს და ამაო.

და ამას ამისთჳს ვიტყჳ, რაჲთუ გონებისაჲ ჴერ-არს მარადის დაცვაჲ გულის-სიტყუათაგან ბოროტთა, რაჲთუ მის გამო იქმნებისა წარმართებაჲ ბოროტისა მიმართ და კეთილისა.

ამისთჳს თანა-აც განშორებაჲ ბოროტისაგან და კეთილისა მიმართ მოსწრაფებაჲ, რომლისა მიერ ესოდენი ნაყოფი სიწმიდისაჲ და სიმართლისაჲ იქმნების. ვითარცა იგი ღალატებს დიდი იგი ქმაჲ [ბ]არსებელისა მის ნესტჳსა პაველესი და გუაუწყებს, თუ რაჲ არს ნაყოფი სულისაჲ: რომელ არს სიყუარული, სიხარული, მშვიდობაჲ, სულ-გრძელებაჲ, სიტკბოებაჲ და შემდგომი ამისა**.

63. ხოლო თჳთრჩულობით მოღუაწებასა [79ᵢ-7] და საჩუენებელად ქმნილსა, რომელსაცა სახილველად კაცთა მაჩუენებლობით იჩემებდენ, შეუდგს მარადის საცთური და აღმოცენებაჲ სიცრუვისაჲ, რაჲთუ გარეშეთა მიმართ ცჩუენების ცუდისა დიდებისა შედგომითა, რომელთა აღსასრული სამჴელსა შინა არს***, რომელნი

---

* შდრ. ეფეს. 6, 12.

** შდრ. გალატელთა 5, 22.

*** შდრ. ფილიპელთა 3, 19.

იგი დიდ-დიდთა დანიზრახვენ თავთა თჳსთათჳს, რომელ ესე უჴვრ[75₁₂]ოის არს უფრ[75₁₂]ოის ყოველისა.

რამეთუ მხილველთა ოდენ ცოიმადლებს მტყუარითა მხრ[75₁₂]ა არა ჰეშმარიტითა მოლუაწებითა, რომელსა-იგი გარეგან მცნებისა მამათასა იქმოდინ, ვითარცა იტყჳ წინასწარმეტყუელი, ვითარმედ: «უკუეთუ მოიქციკო ქედი შენი, ვითარცა გრჴალი და შთაიცუა ძაძაჲ, ანუ თუ ნაცარი დაიროცო ქუეშე შენსა, არცა ესრეთ ვისმინო შენი, რამეთუ არა ესეცითარი მარხვაჲ გამოვირჩიე, იტყჳს უფალი, არამედ დაუნეცუე მშიერთა პური შენი, შეიყუანენ გლახაკნი საართულსა შენსა, შემოსენ შიშუელნი და სახლეულთაგან შენთა თჳალსა შენსა ნუ გა[76]რე მიიქცევ და ესრეთ სათნო გიყოს შენ»*.

რამეთუ რაოდენცა ვინ დაიმდაბლოს, უმრავლესსა წყალთა ზღჳსა უცსკრელთაჲსა მყუდროებით გარდაჰმატოს შრომათა სიმართლისათა.

რამეთუ რაოდენცა ვინ წარჰმართოს თავი თჳსი მოლუაწებითა, ეგოდენცა ამაღლდეს ზეცად მიმართ და მსგავსად არწივისა მაღლად მფრინველისა სიმაღლედ ზეცისად აღვიდეს.

რამეთუ სიმდაბლე მარადის საქმეთა თავისა თჳსისათა გამოიძიებს და თავსა ზოლო თჳსსა მიხედავს და მას დაშჯის.

64. რამეთუ ესრეთ არს მცნებრ შჯულის-დებაჲ წმიდათა მამათა ჩუენთაჲ და მიზეზი შესავალთა მათ სასუფეუელისათაჲ, რომელი მიმიყვანებს ჩუენ განმზადებულთა მათ ადგილთა განსუენებისათა, რომელთაცა არა ხოლო თუ შჯდთა მათ ამის საწუთროჲსა ქამთა, არამედ მერეისა მისთჳსცა საუკუნოჲსა მიეცეს ნაწილი სიტყჳსაებრ სოლომონისა**.

და კუალად ამას თანა საუფლოჲცა იგი მაცხოვრისა მრძანებაჲ, ვითარ იგი ჳუანწ‍ეელს და იტყჳს: ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშჯდ ვარ და მდაბალ გულითა. აღიღეთ უღელი ჩემი თქუენ ზედა, რამეთუ ტკბილ არს და ტჳრთი ჩემი მცირე, და ჰპოოთ განსუენებაჲ სულთა[77₁-ა] თქუენთაჲ***.

რამეთუ არა ხოლო თუ მერმეთა მათ კეთილთა მოგუცებს ჩუენ ღმერთი, არამედ ამასცა ცხოვრებასა მოგუმადლებს და წარგჳმართებს, უკუეთუ ეყოფდეთ ნებასა მისსა.

---

* შდრ. ესაია, 58, 5—7.

** შდრ. ეკლ. 11, 2.

*** შდრ. მათე 11, 29—30.

რომელთა ესე თანა-გუეც, რაჲთა ყოველსავე ქეთილსა ნიჭსა და განმარჯუებასა ჩუენსა ღმერთსა მიეაჩემებდეთ და მას შეჰვედრებდეთ დიდ თაყუა ჩუენთა და მას ეიგონებდეთ მარადის, და იყოს ძღვნად ჩუენი მშჳდობით და სამკჳდრებელი ჩუენი სიონს.

რამეთუ მუნ შემუსრნეს უფალმან ძალნი მშჳ[79ა]ლდთანი, საჭურველი, მახჳლი და ბრძოლაჲ*. მუნ არს სარწმუნოებაჲ, სასოებაჲ და სიყუარული, მუნ საღმრთოჲსა მის სიყუარულისა ტრფიალებაჲ და გაბათლებაჲ, რამეთუ განწმანათლებელ არს იგი საკჳრველად მთათაგან საუკუნეთა**.

65. აწ უკუე ტრაპეზისა სანოვაგეთათჳს და სასწორისათჳს მსახურთაჲსა და ზოგად ყოველთა ძმათა კეთილად წესიერებისათჳს და სიმტკიცისა და სხჳსა ყოველისა განგებისათჳს აქამომდე აღიწერა(?) და განიწესა ჩუენ მიერ.

ხოლო საეკლესიოთა წესთათჳს, ვინაჲთგან ცხად არს ყოველთა მიერ, შემოკლებულად ვთქუა, ვითარმედ ჴერ-არს მსახურებისა მის ფსალმუნებისა შეწირვაჲ, მარადის გულს-მოდგინედ მღჳძარებით და საყუარულით თჳნიერ ყოველისა მცონარებისა, დღე და ღამე მადლისა მისებრ ღმრთისა[80]მიერ მაცხოვრისა მონიჭებულისა, თჳთოეულისა ენისა ჴმობად გალობისა თავადისა ქრისტე იესუჲს მიერ უფლისა ჩუენისა, რომელსაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

[16] თავი

მოურნე[თა]თჳს და მოღუაწეთა მონასტრისათა, რომელ არიან იკონომოსნი და ეპიტროპოსნი

66. კეალად შემდგომად თქმულთა ამათ ამას ვამცნებ და დაწჳრილებით ვასწავლი და განვსაზღვრებ ძმათა ჩუენთა, რომელნი უდაბნოსა ჩუენსა მკჳდრ არიან, რაჲთა არა ოდეს დაუტეონ პატიოსანი ესე სამოწესოჲ ჩუენი. თჳნიერ ეპიტროპოსთა და იკონომოსთა. რომელ არიან განმგენი და აბარმადნი, არამედ რჩეულთაცა და გამოცდილთა დააწესებენ ზედამხედველად და განმგებელად შინა და გარე.

და შემდგომად აღსრულებისა მათისა სხუათა გამოარჩევდენ ეგრეთვე ღმრთის მოშიშთა და წესიერთა, გინა თუ საეკლესიოთა-

---

* შდრ. ფს ად. 75, 3 (4).

** შდრ. შესაქმეთა 49, 26.

განნი იყვნენ, ანუ თუ მსოფლიოთაგანნი ღმრთის მოყუარენი და საცვალად პირველთა მათ დააყენებდენ განმგედ და მოურნედ მეუნასტრისა და თავთა თჳსთა, რომელნიცა უპირატესნი იყვნენ ღირსებითა და შემძლებელნი განმგეობად.

და [81] არა ოდეს მნებავს ყოფად მონასტრისა თჳნიერ წინამძღურისა და განმგეთაჲსა, რამეთუ არა ხოლო თუ სულიერთა წესთა ჴერ-არს დამარხვაჲ, ვითარ ესე ჩუენ მიერ შჯულდებული არს, არამედ კორციელთათჳსცა ჴერ-არს ზრუნვაჲ, რაჲთა მტკიცედ დაჰმარხონ მას შინა მყოფთა მათ მსახურთათჳს, რაჲთა არცა ერთითა რაჲთ იყვნენ მოქცევე საჭიროთა მათ საგმართათჳს.

[17] თავი

მცნებაჲ კრძალვისათჳს საჭურისთაგან და მოყმეთა ჭაბუკთა

67. ხოლო საჭურისთათჳს, რომელნი ყოველად საბჭელდებულ არიან, და უსაკოთათჳს ჭაბუკთა არა ხოლო თუ ჩუენგან, არამედ პირველთაგანცა წმიდათა მამათა დახსრწეულ არს დასაბამითგან ყოფაჲ მათი მონასტერსა შინა, ვითარცა დასაბრკოლებელი საქმე.

და ჩუენცა შეუდეგით განსაზღერებულსა მათსა, რაჲთა ევრეთვე დაადგრეს საღჳთოდ და არცა მიზეზითა სამსახურებელი-საჲთა ეწამებათ ვის შეწყნარებაჲ მათგანსა მოხაზონთა თანა და არცა სხჳთა რაჲთამე მიზეზითა, რამეთუ უწესოებაჲ არს ესე და ეშეერებაჲ.

და რაჲთა უჯეროვნესად ვთქუა, მსგავსად წმიდათა მათ მამათა სჯიტელთა, ვითარმედ: ნუ [82]შემოიყვანებთ აქა ყრმათა ჭაბუკთა, რამეთუ ოხრნი ეკლესიანი მათ მიერ აღაოჴრდეს.

და ამისთჳს არა დაუტეობთ ჩუენ საზეს დაბრკოლებისასა მათთჳს, რომელნი იგი შემდგომად ჩუენსა მომავალ არიან წინამძღუარნი, არცა [რა]ჲთერითიცა რაჲთაცა მიზეზითა მიეშუებთ მათ, ესეეთართა მათ შეწყნარებად, რომელთა მიერ იჭვ საგმობელი შეიქმნებოდეს, რაჲთა არა ვცეთ გზაჲ შესავალი სიბოროტესა.

68. რამეთუ, დალაცაოთუ წინაჲსწარეე განწესებათა მათ შინა ჩუენთა განთჳსებულად გვნეაგეთ ესეეთართა საქმეთათჳს, გარნა არა ხოლო ჩუენ მიერ დადებულ არს შჯულად, ვითარცა ზემოდ ვთქუთ, არამედ საქალაქოთა მათ საერისკაცოთა შჯულთა ეგრეეე

სახედ კეთილად აღუჩნდა ამისი მჯულად დამარხვაჲ, კითარცა დაჯდი და საკმარი საქმე.

ხოლო საცნაურ არს, ვითარმედ გარეგან კანონთაჲსა შორის შეწყნარებულ მოსრული და კანონთაგან განგდებული საქმე არა ჴერ-არს შეწყნარებად ჩუენდა სახედ უკეთურებისა.

ამისთჳს უკუე ვამცნებ განკანონებით ყოველთა, რომელნი შემდგომად ჩუენსა წინამძღუარნი ყოფად [83] არიან და მწყემი, და ყოველსავე ძმობასა და გაფუცებ თაჲადსა უფალსა ჩუენსა იესო ქრისტესა და უხრწნელსა დედაჲსა მისსა, რაჲთა არა ოდეს თაჲს იდვან გარეგან განსაზღვრულისა ამის ჩუენისა კანონისა და მამათა მოცემულისა მცნებისა განგებად რაჲმე, რაჲთაცა მიზეზითა და სახითა, რაჲთა არა სულთა თჳსთა ხოლო წარწყმედისა, არამედ მონასტრისაცა სრულად დაჴცევისა და წარწყმედის მიზეზ არა იქმნენ შეურაცხებითა საუფლოთა ამათ სიტყუაჲთაჲთა და დაწესებულისა ამის ჩუენისა და საშინელისა განკანონებისა დათრგუნვითა.

[18] თავი

აზნაურად ყოფისათჳს მონასტრისა კელმწიფებისაგან თჳსთა და ნათესავთა ჩუენთაჲსა და სხჳსა ყოველისაგან სახარკოჲსა

69. მნებაეს უკუე განსაზღვრებად პატიოსანი მონასტერი ჩემი, რაჲთა იყოს იგი აზნაურ და თავისუფალ ყოველთაგან შორიელთა და მახლობელთა თჳსთა და ნათესავთა ჩემთა, გინა ტომად ჩემდა სახელდებულთა, რომელნი აწ არიან და რომელნი ყოფად არიან, და სულისა ჩემისა მოურავთაგანცა და ყოველთაჳე ამას სოფელსა შინა მყოფ[84]თა კაცთაგან.

არა ვის აქუს ნაწილი, არცა ზიარებაჲ რაჲთურთით, დიდი ანუ მცირე, გინა თუ განთჳსებული რაჲმე ზემოკსენებულსა მონასტერსა ჩემსა და ეკლესიასა თანა, გინა თუ საკმართა და მონაგებთა მისთა თანა არა ვის მიეცეს მიშუებასა, არცა ჴელმწიფებასა რაჲთურთით.

რაჲთამცა ნათესავთა ჩემთა-გინა მსახურთა ლეღატისა ამღებთაგანი მიზეზითა ჩემგან მათდა ლეღატისა დატეობისათა ჴელ-ყოს და ეცადოს მკჳდრად გამოჩინებად, გინა თუ ყოფად მონასტრისა ჩემისა.

70. ხოლო უკუეთუ გამოჩნდეს ვინ და იტყოდის, ვითარმედ: «არა მაქუს ლეღატი», აღიღოს ათორმეტი ფოლი ლეღატად მისა და სხუაჲ სამართალი არარაჲ აქუნდეს.

რამეთუ მე მკვდრად ჩემდა ჩემი ეკლესიაჲ მაქუს და მონასტერი, რომელი იგი ყოველითა ნაქონებითა მისითა, რომელი მე[ვ]ეც[ა]... და დაუმტკიცე მას უღირსებისა ჩემისაგან, ძღუნად შემიწირავსარ... ლმრთისა და საკსრად ცოდვილისა სულისა ჩემისა და ნუ იყოფინ, ვითარცა აქუნდა ვის ჭელმწიფებაჲ ჭელთდებად მისსა.

[85] 71. ნეცა ერთსა ვის მათგანსა დამორჩილებელ არს მონასტერი ჩემი.

რამეთუ ესეეთარი ესე სამკვდრებელი მონაზონთაჲს ხოლო განმისაზღვრებიეს საყოფელად საუკუნოდ და მარადის თავესუფლად და თჳთმფლობელად მათითურთ. რომელნი იგი ქამითქამად წინამძღუარნი და ჭელისუფალნი იყვნენ მას შინა და განმგებლობაჲ ეპყრას განწესებისაებრ ჩუენისა.

რამეთუ არა თუ ვითარ იგი ვიეთნიმე იქმან, რომელ მონასტერთა დაამყარებენ, ანუ თუ სხუასა რასმე პატიოსანთაგანსა მოიგებენ და ნათესავთა თჳსთა ჭელმწიფებასა ქუეშე პყოფენ შემდგომად სიკუდილისა მათისა მენაცვალეობითა ქამთა ცვალებისაებრ, ევრეთვე ჩუენცა ვპყოფდითმცა, გინა განვაწესეთ ნუ იყოფინ ჩუენდა ამისსა ესრეთ ყოფად.

რამეთუ მრავალი საფუძველი და ერთიერთარს ჴდომისა და წინაალდგომისა მიზეზი მორის მათსა შემოჭდების; და მტერობაჲ დაგანდგომილებაჲ ოდეს იგი თჳთოეული მათი თავსა თჳსსა უწოდდეს უფლად ყოველისა, ვითარ იგი მებრ მრავალ გზის საცსჯაროთა შინაგიბილე მე თუალთა ჩემთა.

[86] და ეაე ფრიად უჯერო არს და უკმარ, რამეთუ მრავალგზის უღირსი უფროჲს წარემატების ბჭობასა შინა, ვიდრეცა ღირსი, დაუსაძრთლოჲ მართალსა წარჰჴდის, რომლისა არა მნე[ბავს]... ლისა ღმრთისაჲ ნათესავთა ჩემთა ...ბად გინა უცხოსა.

72. აწ უკუეთუ გამოჩნდეს გინა მტკიცეთა და ჭეშმარიტთა თჳსთა ჩემთაგანი, ანუ თჳსად ჩემდა სახელდებულთაგანი ვინმე, ანუ მსახურთა და ყრმათა ჩემთაგანი წინააღმდგომად ეკლესიისა გამოჩნდეს, გინა მონასტრისა ჩემისა, ანუ სოფელთა, გინა აგარაკთა მისთა, ანუ ცხენთა რაჲთამცა, ანუ სახლი ომენა ამათ შინა, ანუ სახიზნავად თჳსად შექმნა, ანუ დამკვდრებად მას შინა ინებოს, გინა უფლებად მისსა, ანუ რასაცა გუარსა სახესა შემოსავალთა მისთაგანსა თუალ ახუნეს და მიიხუეჭოს, ანუ შეძინების მოყუარეობდეს რასაცა ზედა საკმარსა. დიდსა გინა მცირესა, ანუ მებრ ლიტონთა სიტყჳთა ერთითა ხოლო მიტა[87]-ს[კ]ებად მოიგონოს. — პირველად წყეულ იყავნ და შეჩუენებულ სამას ათორმეტთა წმიდათა მამათა-

ჯან, რომელნი ნიკეას შეკრბეს და განგდებულ იყვენ ყოველისაგან წესისა და სარწმუნოებისა ქრისტეანეთაჲსა. და ნაწილი მისი ეშტვენიერი თანა იყვენ ისკარიოტელ[სა]...

[88$_{6-14}$] 73. და უკუეთუ წინაძძღ[ურთა]განი ვინმე მონასტრისაჲ, გინა თუ ძმათაგანი ვინმე გამოჩნდეს, რომელმან გარდასლვაჲ ინებოს წოწეულისა ამისგან ტიპიკონისა და მოიგონოს განზრახვაჲ ზაკუვისაჲ, და ისწრაფოს შე[დ]გომად ნათესავთაგანსა ვისმე ჩემსა, გინა თუ სხუასა ვისმე უცხოსა დაკლებად რაჲსამე, გინა მიცემად ვისამე თითოეულთა ამათგან, რომელიცა რაჲ მიეცით და დაუმტკიცეთ წმიდასა ეკლესიასა და მონასტერსა ჩუენსა, ანუ თუ უფლებად ვინმე ინებოს მას ზედა, გინა ფერჴისა შედგმად მას შინა, იგივე ზემო წერილი წყეულ[ა]ჲ მიიღენ და განიძიენ მონასტრისაგან და გითარცა შინაგანმცემელი და მზაკუარი დაისაჯენ, ვითარცა გარდამავალი ტიპიკონისა ამის ჩუენისა.

[89] 74. და მერმე რაჲცა მისდა ლელ[ა]ტად მიე[ც]ეს ზეშაეული ანუ ჭუე[შ]აული]...თჳთმოძრავი, ჴელწიფებაჲ აქუს [ეკ]ლესიასა ჩემსა გამოღებად ყოველისა მის და უფ[ლებ]ად დამტკიცებით, რომლისათჳს არა ვეშვე [თ]უმცა ესოდენ ღმადღლო და კეთილის მოვიწყე ვინ იქმნა ჩემთაგან და გარდაჰჴდა მცნებულსა ჩემსა.

რამეთუ ყოველთა თანა კეთილის მოქმედი ყოფილ ვარ, აღმიზარდიან და საზომად მომიწიფებიან, არა თუ ამისთჳს, ვითარმცა საშართალი რაჲმე ვისმე ჰქონებოდა ჩემ თანა მამულისა სამკჳდრებელისა ძლით, არამედ მცნებისათჳს ხოლო ღმრთისა და ჩემისა მათდა მიმართ მოწლედ გულის-ქონებითა.

76. რამეთუ ნეტარი იმაჲ ჩუენი ვინაჲთგან აქრე მიიცვალა და ჩუენ მცირენი დაგუტევნა და პასაჟად ვერ მოწიფულნი, ამისთჳს ყოველი მონაგები და საჭმარი მამისა ჩუენისაჲ დედამან ჩუენმან დედობრიესა ჰირველობასა მიხედვითა სხუათა მათ შვილთა თჳსთა დათა ჩუენთა ზითვად მისცა და ჩუენ შიშუელნი დაგუტევნა ყოველისაგან მამულისა და დედულისაგანცა საჭმრისა; დანი ჩუენნი ...[90] მათითურთ წარვიდე[ს] ჭმართა... განაბნიეს სხუათა და სხუათა შინა... წარიგეს ყოველი.

ევრეთვე მე... [მოღუაწე]ბითა და რუდუნებითა ჩემითა ს[მახე]ს შინა და საქართველოს და სასარკ...ოზეთს მებრ და მერმე ნაბერძნეთსა მოსლვითა საცხოვრებელსა ჩემსა ვეძებდი და მოვიარე წდი; და მრავალთა შინა ჯამთა ვიქეოდე ესრეთ.

და ესე ყოველი გინათუ მონაგები, გინა საჭმარი, ანუ თუ პატივი მთავრობისაჲ მომიგიეს, ყოველივე შეწევნითა ღმრთისაჲთა

ქმნილ არს ჩემდა და მშობელთა ჩემთა ლოცვითა და თჳთ ჩემით მრავლითა ტანჯვითა და მოჭირვებითა და სისხლთა დათხევისაჲთა არა თუ სხჳსა ვისითაცა თანა შეწევნითა, გინა ქველის მეხუთეულ[ისა]თა მოცემულ არს.

უფროჲსღა ყოველნივე თჳსნი და ნათესავნი და ყრმანი ჩემნი ჩემითა მოსწრაფებითა და მსახურებითა და ჩემდა მომართ საყუედურისა დადებითა არიან მიმთხუეულ დიდებასა და კეთილს მოქმედებასა წმიდათა მეფეთა ჩუენთაგან.

და რომელი რაჲ მათდა მიმიცემია, გინა ლე[87$_5$]ლატად დამიც, და რომელი მე მაქუს და რომელი ეკლესიისა ჩემისადა მიმიცემია, და სხუაჲ მიცემად მეგულების, ჩემი არს და თანა სისხლთა ფასი და ჩემისაგან მიმიცემია, რაჲცა რაჲ ვისდამი მიმიცემია და ჩემისა სულისათჳს მიმიცემია სხჳსა მის ყოველისა თანა. რომელი იგი მკუდართა და ცოცხალთა ჩემთა თანა მიქმნია კეთილი და არა სხჳსა ვისისაცა ნაწილისა, გინა ხუედრებულისაგან მჭონებია, გინა მიმიცემია.

და ამას ყოველისათჳს ვინებე მე, რაჲთა მონასტერი ჩემი აზნაურად ეგოს ყოველთაგან თჳსთა ჩემთა და უცხოთა და სამეუფოჲსაგანცა კერძისა და სამაგრიაჭოჲსა და ყოველისა საკელმწიფოჲსა და სამთავროჲსა, ვითარ იგი სარწმუნოთა და თაყუანის-საცემელთა ოქრობეშჳდთა მიერ დამტკიცებულ არს, რომელთა ზედა არა საჭმარ იყო ჩემდა სხჳსა ოქრობეშჳდისა აღებაჲ მონაგებთა ჩემთათჳს გარეშე პირველთა მათ ოქრობეშჳდთა, რომელნი მაქუნდეს.

გარნა ამისათჳს ვითხო[88$_1$-$_5$]ე და ავიღე წმიდათა მეფეთა ჩუენთაგან საკუთრად სხეაჲ ახალი ოქრობეშჳდი, რაჲთა ჩემ მიერ განგებული და განწესებული ყოელი მონასტრისა ჩემისათჳს შეურყეველად და უზრუნველად... [დამა]რხულ იქმნას ვიდრე აღსას-[რულა]დმდე [სო]ფლისა.

[19] თავი

[88$_{20}$]მისთჳს, ვითარმედ უკუეთუ შესცთეს წინამძღუარი და ეცრუოს აღთქუმასა, გინათუ სხუაჲ ვინ კელისუფალთაგანი, და წა[91]რაგოს საჭმარი მონასტრისაჲ, ჴერ-არს ესე ვითართა მათ გარდადგ[ინებაჲ]

76. ხოლო უკუეთუ იქმნას საქმე, რომელსა „იგი მე [არა ექმნა, არცა მოველი, და შეურ[აცხყონ წინა]მძღუართა ჩემ მიერ დადებუ-

ლი ესე სჯულ[ი] და სჯ[ა]ულებელის წილ მავნებელ ძმათა ეწ[ა]მნ[ე]ს მიშუებად აქუს ბრძანებისად დამორჩილებულთა მათ ძმათა, რომელთა[ა] ნიცა უპირატესნი იყვნენ და მოხუცებულნი მამათა შორის, მრწ[ა]ფენი და მეცნიერნი ქამსა მას შინა ჭელისუფალთა და მნეთა თანა განზრახვითა, რომელთა იგი თანა-აც ყოველითა მოსწრაფებითა წარმართებად ესევითართა[ა] მათ და არა მიშუებად, რაჲთა დაირღუას და აღარ[ა]ჴრდეს ესევითარი ესე წუენიერი სამოწ[ე]სეო[ა] სამ[ა]ჴდრებელი, ანუ თუ უჭმარ იქმნეს.

77. ხოლო უკუეთუ დაუთმოს ვინ ეგევითართა მათ მავნებელთა და მიუშუას, არა მცირე დასასჯელი მიიღოს ღმრთისაგან და წმიდისა ღმრთის-მშობელისა, ვითარ იგი ზემოცა ვთქუთ.

დაღ[ა]ცათუ მცირედცა რაჲმე საკუნებელი მინ[ა]ტრისად უგულებელს ყოს და არა იზრუნოს და რაჲთაცა მიზეზითა სც[ჲ2]თეს და მჭურვალითა გულითა არა იღუაწოს დამარხვად საჭმარი ეკლესიის-[აა] უგულებელს ყოფითა და საჭმართა ეკლესიისათა უჯეროდ და ურიდად წარაგებდეს და სამკაულთა და საფასეთა ეკლესიისათა წარწყმედად მიუშუებდეს და საქმესა მჭეცისასა იქმოდის, პირველად უკუე სიტ[ყ]ბოებით და შიშითა ღმრთისაჲთა ჯერ-არს სწავლად მისა მათ მიერ.

და შემდგომად ჯეროვნისა ამის სწავლისა, უკუეთუ არა მოვიდეს განმართებად, წმიდისა ამის ადგილისაგან განეშორენ ერთობითითა წამებითა და განწ[ი]თა ზოგადითა ყოველთა მიერ; და მერმე ამისა შემდგომად ნაცვალად მისა სხუაჲ ღირსი დაიდგინოს ადგილსა მისსა, ყოველთა მიერ განზრახვით გამორჩევითა.

78. ესე ძალისაებრ ჩუენისა ცმა იყავნ აწ თქუმად ამის ჯერისათჳს, რომელი ესე კაცობრივისაებრ გონებისა განვაგეთ და დავამტკიცეთ.

რამეთუ ვინმცა კაცთაგანმან უძლო ყოვლისავე უცოომელად წარმოთქუმად და განგებად? ვინაჲთგან წინამდებარე მომაველი ყოველი უცნაურ არს კაცთაგან.

არამედ თჳთ მებრ მსახურთა და ჭელისუფალთა ადგილისათა ვაფუცებ ღმრთისა მიერ ცხოველისა, რაჲთა არცა ერთითა რაჲთ საზითა[ჲ3] და მიზეზითა არა უგულებელს ყონ ჩუენ მიერ განწესებული ესე.

და უკუეთუმცა რაჲთაცა მიზეზითა განცხადებულად შესცთეს წინამძღუარი და არა იქცეოდის უმჯობესისა გამორჩევითა, არამედ

მწყემსობისა წილ მგელ ექმნეს სამწყსოთა მათ ზედა და საჭმელ მონასტრისასა განლევდეს და მონაგებთა მისთა წა-რაჲ-სწყმედდეს და ტრისა მყოფთა, არამედ პირველად უკუე სიმშჳდით და სიტკბოებით ღმრთის-მოყუარებრ ასწაონ და ამხილონ ძმებრივად.

და უკეთუ არა ინებოს განმაორებად თავი თჳსი და სახე არა განიგოს, დარდიგდოს და განშორებულ იქმნას ყოველთა წამებითა და ჭელისუფალთა თანადგომითა.

და მერმე ამისა შემდგომად ყოველთა ზიარად გამორჩეულთა და ჭელისუფალთა და მოღუაწეთა და მეცნიერთა ძმათა წამებითა, რომელიცა ღირს იყოს შორის, შემოიყვანონ და ნაცვალად მისა განაწესონ.

[21] თავი

მათთჳს, რომელნი საჭმართა მისცემენ ჟამის საწირავად მიცუალებულთა მათთათჳს, და სწავლაჲ ვიეთგან ჯერ-არს აღებაჲ

79. მის ხოლო საქმრისა ჯერ-არს აღებაჲ და შეწყ[94]ნარებაჲ ჟამის მწირველთა, რომელი-იგი არა იყოს მიზეზ მონასტრისა ვნებისა, არცა ახალ სახეობად რაჲმე, არამედ სიმტკიცედ წინამდებარეთა საქმეთათჳს და სისრულედ ღმრთის-მსახურებისა უფროჲსდა, რაჲთა არა დასამძიმებელად, არამედ გულსმოდგინებად წინამდებარისა მის საქმისა და სარგებელად სულისა შეწირველთაჲსა, და რომელთათჳს შეიწირვოდის.

რამეთუ ესე არს მცნებ სათნოჲ ღმრთისაჲ ნაყოფიერებაჲ, რომელსა უდიდებულესი ყოველისაჲ აქუს ნაცვალისა მიგებაჲ და არა მოეაჯრებაჲ სულიერისა ვნებისაჲ ესეოთარისა მის მიერ საქმისა, არამედ შეწირვაჲ სათნოდ სრულებათა საღმრთოთაჲ, რომელნი იგი აღწერილ და განსაზღვრებულ არიან ამათ საქმეთათჳს.

რომლისათჳს ჯერ-არს და სამართალ სრულებითრე თქუმად დასასრულსა ამის წიგნისასა [იხ. თავი 30] და აღწერად მტკიცესა ამას შინა განწესებასა, რაჲთა ცხად იყოს და უმტკიცეს თქუენდა დღე საკსენებელი ზოგად ცხორებულთაჲ ჟამსა მიცვალებისა მათისასა.

მცნებაჲ კუალად ძმათა მიმართ ჩემისა და თჳსთა ჩემთა საჭსენებელისათჳს და ძმათა მიმართ სიყუარულისა ყოფისა და საფასეთა განყოფისათჳს დღესა ჩუენისასა გლახაკთა მიმართ

80. განვაწესეთ უკუე საჭსენებელი ნეტარისა და კეთილად ჭსენებულისა ძმისა ჩემისა ა ბ ა ზ მაგისტროსისაჲ ყოფად დღესა, რომელსა შინა მიიცვალა იგი თუესა სეკდენბერსა ოცსა წმიდისა მოწამისა ევსტათის დღესასწაულსა, რაჲთა დაეგოს მას დღესა შინა ტაბლაჲ ბრწყინვალე და შუენიერი და აღსავსე ყოველითა კეთილითა, რომელიცა მოეცეს ღმერთსა; მწუხრსა სუან ძმათა ორ-ორი კრასაული, სამხრად — ოთხ-ოთხი.

და რაოდენნი ქამის მწირველნი იყვნენ მღდელნი მონასტერსა შინა და გარე სოხასტერთა და სოფელთა შინა მას დღესა, ყოველთა მისთჳს წირონ ქამი.

და მიეცეს მას დღესა გასაყოფელად გლახაკთა დრაჰკანი სამეოცდაათორმეტი და შემდგომად ღამის-თევისა და ქამის-წირვისა კუალად განიყოს დრაჰკანი ოცდაოთხი ძმათა მათ მოსრულთა დღესა ჭსენებისა მისისა.

81. მნებავს კუალად თქუმად ჩემთჳსცა: რამეთუ ვითარცა იგი წერილ არს, კაცად კაცადი თჳსისაებრ შრომისა მიიღებს სასყიდელსა*, არამედ დალაცათუ [96] სიქადული ჴერ-არს, გარნა არადეს სარგებელ არს, «ხოლო რომელი იგი იქადოდის, უფლისა მიერ იქადოდენ»**.

რამეთუ თქუენ თჳთ ჰგებრ, რომელნი ეგე დასაბამითგან მიცნობთ მე, უწყით კეთილად ყოველი ბარკებაჲ და სწრაფაჲ და ოფლითა მრავლითა შრომილებაჲ ჩემი და ნიჭნი ღმრთისანი, რომელნი იგი არა მე, არამედ მადლმან ღმრთისამან ჴნა ჩემთანა***.

და ვიცი სიყუარული თქუენი, რომელ დალაცათუმცა არა გამცენ და მოგახსენე თქუენ, არა დაივიწყებთ, არცა უდებ ჰყოფთ საჭსენებელსა ჩემსა, რომლისაჲ თანა-გაც ყოფად, არამედ ჰყოფდეთ უეჭველად.

---

* შდრ. 1 კორინთ. 3, 8.

** 1 კორინთ. 1, 31.

*** 1 კორინთ. 15, 10.

გარნა მნებავს, რაჲთა უპატიოსნესადღე ჰყოფდეთ და გულსმოდგინედ და სარწმუნოებით მომიჴსენებდეთ მე ყოველსა ეკლესიასა და რომელნი იგი შემდგომად ჩუენსა მოსავალ არიან, ვევედრებით მათ ყოველთა ვითარცა მამათა და ძმათა, რაჲთა არა ოდეს დამიჴწყონ ჩუენ.

82. ხოლო ჴერ-არს დღესა მას ჴსენებისა ჩუენისასა გულის ჴმის ყოფად ძმათა, რომელნიცა ხედეედენ ესოდენსა მას შუენიერებასა სახლისა ღმრთისასა, რომელ არს წმიდაჲ ეკლესიაჲ და წლითა-წლადთა მათ შემოსავალთა მისთა და სხუათა მათ საჭმართა, რომელთა-იგი შემდგომად ღმრთისა [97] ჩუენ ქმნილ ვართ მიზეზ მოგებისა ყოველთა მათ კეთილთაჲსა, და ნუმცა დამიჴწყებთ ჩუენ.

არამედ რომელსაცა დღესა ინებოს ღმერთმან ბრძანებითა მისითა ყოფად აღსასრული ჩემი, გრიგოლისი, მას დღესა ჰყოფდით ჩემსაცა საჴსენებელსა; და მისცენ განაყოფელად გლახაკთა დრაჰკანი სამოცდაათორმეტი და ნუგეშინის-[ს]ცენ ძმათა უბჴად დაგებულითა ტრაპეზითა საჭმელთა მიერ და სასუმელთა.

და ეგრეთვე, რომელნიცა მოსრულ იყვნენ დღესასწაულობად ჴსენებასა ჩუენსა, მათცა ნუგეშინის-სცენ; და შემდგომად ღამის თევისა და ქანან-წირვისა კუალად განუყონ ძმათა მათ მოსრულთა დღესა ჴსენებისა ჩუენისასა დრაჰკანი ოცდაოთხი.

და უკუეთუ მის დღისათჳს განწესებულთა ამათ დრაჰკანთაგან ანუ შემზადებულთა მათ საზრდელთაგან და რაჲ ჰმატდეს სიმცროჲსაგან მოსრულისა მის ერისა, იგიცა მეორესა დღესა გლახაკთა განუყოს და სხუად რად ნუ იჴმარებს.

83. და ეგრეთვე რაჲცა რაჲ ყოველისაგან შემოსავლისა წელიწდისა დაჰმატდეს, ოდეს ყოველივე საჭმარი ეკლესიისაჲ და ძმათაჲ განწესებისაებრ ჩუენისა მიცემულ იყოს; და სხუაჲ ყოველივე სათანადოჲ და საჭიროჲ წარსაგებელი ქმნილ იყოს მის ყოვლი[98]სა ნამეტნაჲისა, რომელი დამთომილ იყოს, ნახევარი კუალად ეკლესიასაცე საჭმარად დაეტეოს საწინაოთა მოულოდებელთა რათმე ჭირთა და წარსაგებელთათჳს.

ხოლო ნახევარი ყოველისა მის ნამეტნავისაჲ ეგრეთვე მსგავსად ქამსა ჴსენებისა ჩემისასა განეყოს კეთილად მსახურთა მიმართ ძმათა ქრისტესთა გლახაკთა და დავრდომილთა და მსახურთა და მოშაკთა მონასტრისათა და გლეხთა მისთა.

და ყოველივე წინამძღუარმან და განმგეთა ცანუყონ თანა-გან-
ზრახვითა და მეცნიერებითა აბარმადთა და ეკონომოსთაჲთა.

ხოლო შიშითა ღმრთისაჲთა და წმიდათა გონებითა და სიყუარულოჲთა ნებითა ჰყოფენმცა განყოფასა მას და უწყიანმცა, თუ ვითარსა სასჯელსა ღირს იპოვა, რომელსა იგი გუადრუცი საუფლოჲ ეტჯრთა და მპარავ და მ[ყ]რეხველ და გამცემელ უფლისა თჳსისა იქმნა*; და კუალად თუ ვითარ დაისაჯა გეეზი კეთროვნებითა ვეცხლის-მოყუარებისა მისისათჳს**.

და ეკრძალებიანმცა, რაჲთა არა რაჲ ესევითარი შე[ე]მთხჳოს განყოფელთა მათ.

84. აწ უკუე ამის ყოველისა უკლებად და უცთომელად მნებავს დამარხვად ყოველთა მიერ, რაჲთა არცა ერთითა რაჲთ მიზეზითა დაეხრწიოს რაჲ ამათგანი.

ხოლო უკუეთუ ძმათა [**99**] შემოწირულისა, ანუ სხუათა ვიეთმე მიერ მოძღუანებულისაგან შემოიკრიბოს დრაჰკანი, არა ჯერ-არს ნამეტნავისაჲ მის სულისათჳს ჩუენისა წარგებად, გარნა დამარხვაჲ ჯერ-არს ძმათაცე საჭმრად და შემოსაცალისაგან მონასტრისა ყოფად ყოველივე საჭმარი ჭსენებისა ჩუცნისაჲ.

ეგრეთცე განვაწესეთ, რაჲთა ყოველთა შინა დღეთა წელიწდისათა სალმრთოსა მას შინა საიდუმლოსა ქამის-წირვისჲსა თანა შეწირულ იქმნას ჭსნისათჳს სულთა ჩუენთაჲსა სამი სეფისკუერი უდიდროვნესი, რომელსა ანაფორაჲ ეწოდების, და ამოკუეთილ იქმნას ერთი სულისათჳს ჩემისა და ერთი ძმისათჳს ჩემისა და ერთი მამისა ჩემისა ბაკურიანისათჳს.

და ორი იგი ამოკუეთილი განეყოს გლახაკთა და უძლურთა კართა ზედა მონასტრისათა მყოფთა და ერთი იგი ძმათა ევლოგიად განეყოს.

და ეგრეთცე ყოველთა შინა ეკლესიათა სოხასტრისათა ერთი სეფისკუერი ამოკუეთილ იქმნას საჭსრად სულთა ჩუენთათჳს თჳნიერ ყოელისა ცილობისა.

და ამას განკანონებით და დაშჯილებით ვამცნებ დამარხვად ყოველსა ძმობასა ჭსენებისათჳს ჩუენისა და სარგებელისათჳს სულთა ჩუენთაჲსა, რაჲთა ესრე სახედ მოონ წყალობაჲ ღმრთისაგან.

85. ჯერ-არს კუალად, რაჲთა დღესასწაულსა წმიდისა ეკლესიისა ჩუენისაჲსა ყოველთაცე მღდელთა ჩუენთჳს წირონ ქამი: ჩემთჳს და ძმისა ჩემისათჳს და მიცვალებულ[**100**]თა ჩუენთათჳს.

---

* შდრ. იოანე 12, 6; 13, 29.

** შდრ. მეფეთა 5, 27.

და ეგრეთვე წმიდასა და დიდებულსა ბარწყინვალესა დღესა ქრისტეს აღდგომისასა აღვსებასა და წმიდასა ამაღლებისა დღესა და სულისა წმიდისა მოსლვასა და ხარებასა და ქრისტესა შობასა და განცხადებასა — ამათ წმიდათა დღესასწაულთა ყოველივე ქამის-წირვაჲ ჩუენთჳსმცა იქმნების. და ეგრეთვე წელიწდისა ყოველნი შაბათნი ჩუენთჳსმცა იწირვიან: ერთი შაბათი ჩემთჳს და ერთი ძმისა ჩემისათჳს.

და ყოველთა დღეთა დიდსა შინა ეკლესიასა ოდეს ზედა მწირეველმან საიდუმლოჲ აღასრულოს და ერი აზიაროს და სიწმიდესა ზე-უკუ-მოიყვანებდეს, მას ჟამსა მღდელმან მოგჳსენნეს ჩუენ სახელდებით, მე და ძმაჲ ჩემი, და მენდობაჲ ითხოვოს ცოდვათა ჩუენთათჳს და ძმანი ყოველნი თანა ეწამნენ მას.

და ეგრეთვე ცისკრისა და მწუხრისა ლოცვისა აღსასრულსა მოგჳსენებდენ მღდელნი და ძმანი ყოველნი მე და ძმასა ჩემსა და ითხოონ ღმრთისაგან და თქუან, ვითარმედ: «შეუნდეენ ღმერთმან ბრალნი მაშენებელთა ჩუენთანი».

ხოლო დღესა დიდსა ხუთშაბათისასა საჭსენებელი აღესრულებოდის [მამი]სა ჩუენისა ერისთავთა ერისთაჲსა ბაკურიანისათჳს ლოცვითა და ქამის წირვითა; და ძმა[101]თათჳს ბარწყინვალე და ჴეროვანი ტაბლაჲ განემზადოს და განეყოს მას დღესა დრაჰკანი ოცდაორი გლახაკთა.

ძმანო, მოიჭსენებდით ჭირთა და რუდუნებათა და შრომათა ჩემთა, რომელ თქუენისა სიყუარულისათჳს დაეშუერ, რომლისათჳს სასყიდელიმცა კეთილი გჳპოვნიეს თქუენ მომჭსენებელთა და ჩუენ ჴსენებულთა ქრისტე იესუჲს მიერ უფლისა ჩუენისა.

[22] თავი

თუ ვითარ ჴერ-არს ჴსენებისა ყოფად მიცვალებულთა წინამძღუართა მონასტრისათა და სხუათა მათ ძმათა ქამის-წირვითა და ლოცვითა

86. ოდეს წინამძღუარი მონასტრისაჲ აღესრულოს, ჴერ-არს ყოველთა მღდელთა და ძმათა ღირსებით და დიდებით პატიჳს-ცემაჲ მისი, სანთლითა და საკუმეველითა, ფსალმუნითა და გალობითა აღსრულებად მის ზედა ყოველივე წესი სამკუდროჲ.

თუ მღდელთაგანი იყოს, სამღდელოჲთა წესითა დაჰმარხონ და თუ ლიტონ[ი მონ]აზონი იყოს, მონაზონთა წესითა. და წარაგონ[ებ]ულ საყოფელად საფლავსა მისსა ზედა ათორმეტი დრაჰკანი დანუგე შინის სცენ ძმათა და უმატონ საჭამადსა და სასუმადსა.

და მესამესა დღესა ყონ მისთჳს პანაშჳდი და ღამის თევაჲ და მღ[102]დელთა ყოველთა ქამი მისთჳს წიროონ; და ეგრეთვე ცხრასა და ორმეოცსა და წელიწდისა აღსრულებასა საეკლესიოჲსა წესისაებრ.

ხოლო ოდეს ძმათაგანი ვინმე აღესრულოს, ესრეჳე ლოცვათა და გალობითა წესისაებრ დაჰმარხონ იგი და იქმნას მისთჳს პანაშჳ[დი] და ღამის თევაჲ სამსა, ცხრასა, ორმეოცსა და წელიწდისა აღსრულებასა.

[23] თავი

რაჲთა არა შევიდეს დედაკაცი ეკლესიასა ჩუენსა, არცა სადედოჲ მონასტერი აღეშენოს ოდესცა საზღვართა შინა მისთა

87. არა ჵნებავს უკუე რაითურთით შესლვაჲ დედაკაცისაჲ ეკლესიასა ჩემსა, გინა მონასტერსა, რაჲთაცა მიზეზითა, არცა ცოლოსნისა კაცისა დამკჳდრებაჲ საზღვართა მისთა, გინა თუ მოყმისა ვისიმე უწუერულისაჲ, რაჲთა არა საძა დასაბრკოლებელ იქმნას, არამედ კიდე ხოლო სოფელთა შინა და აგარაკთა იყვნენ.

დავაყენებ აღშენებისაგანცა სადედოჲსა მონასტრისა საზღვართა შინა მონასტრისათა, და ნუმცა იქმნების ესე ოდესვე მიზეზითა იოვანეს დედისა და ეფრემის დისაჲთა; უფროჲსლა მათცა ჯერ[103]-არს სხუათაგან მიცვალებაჲ მიერ.

რამეთუ დაუთრგუნველად ყოვლითურთ დედათაგან განვაწესეთ ყოფად ადგილი ესე, ეითარ ესე მებრ სიცოცხლესაჳე შინა ჩუენსა განეაგეთ, რომელ ოდენ დღესასწაულსა წმიდისა ეკლესიისა ჩუენისასა მოვიდოდიან ლოცვად და დაჰყოფდენ ვიდრე ქამის-წირვის ქამადმდე და მყის ხოლო მსწრაფლ განვიდოდიან მიერ.

და ამის ჯერისათჳს ვაფუცებ განკანონებით, რაჲთა სხუასა არა რომელსა შინა ქამსა იქმნას ესე.

[24] თავი

რაჲთა არა ოდეს დაიკარგოს მონასტერსა შიგნით ბერძენი ხუცესი ანუ მონაზონი, და თუ რაჲ არ[ს] ამისი მიზეზი

88. კუალად ვამცნებ ამასცა და შჯულდებით დავამტკიცებ, რაჲთა არა ოდეს იყოს მონასტერსა შინა ჩემსა მკჳდრობით ბერძენი ხუცესი, ანუ სონაზონი, თჳნიერ ერთისა ხოლო მონაზუნისა, რო-

მელობან ჭელით-წერილი იცოდის და მწიგნობასა იქმოდის და თავეს-
სა თანა მივლინებოდის წინამძღურისაგან და მონასტრისა საქმეე-
იურეოდის.

ხოლო ამას ამისთჳს განვაწეაებ ესრეთ დამტკიცებით, რომელ ვითა არიან ბუნებით მძლავრნი და ანგაჰარნი და ჭელოვანნი, მეშინის, [104] თუ ნუთუ საენებელი და დასაკლებელი რაჲმე შეამთხჳონ მონასტერსა, ანუ თუ წინააღდგომცა ადგილისა იქმნენ. და სრულიად უფლებად მისსა ეცადნენ მამასახლისობად ჭელყოფითა, ანუ სხჳსა რაჲსმე მიზეზისა სახითა, და თავისდად შეჰქმნად ინებონ მონასტრისა, რომელი ესე მრავალ ჳზის გჳხილავს მათგან ქმნილად ჩუენისა ნათესავისა უმანკოებისა და გულმარტიობისაგან.

თუ არა ნებითა ღმრთისაჲთა. ჴეშმარიტისა მართლმადიდებლობისა მათისა მიმდგომნი ვართ და აღმსარებელნი და მოწაფენი მათნი.

[21] თავი

თჳსთა და ნათესავთა ჩუენთა და ყმათა ჩუენთა ქართველთა, რომელნიცა მონაზონებ[ისა] წესსა მოვიდოდიან, თუ ვითარ ჯერარს შეწყნარებაჲ მათი

89. უკუეთუ იყვნენ სადა მახლობელთა თჳსთა ჩუენთა ცოცხალთაგანნი, მათ ვიტყჳ, რომელნი აღრაცხილებისა წესითა მახლობელ ჩუენდა იყვნენ თჳსებით და წესსა შინა მონაზონებისასა წურთილ და შესწაეებულ იყვნენ და გონიერ და მეცნიერ განმგებელად მონასტრისა და შემძლებელ, ჭეროვნად და სამართლად შემორაცხიეს თავ-ყოფაჲ მათი საწინამძღუროდ, ვიდრე უცხ[106]ოჲ ვინმე და გარეგანი.

უკუეთუ კუალა უცხო იყვნენ იგინი სამღვდელოისაგან წესისა და მოღუაწებისა და არა ხოლო მოღუაწებასა შინა იყუ[ნ]ენ უძლურნი, არამედ შეუძლებელნიცა და უჯმარნი საერისკაცოჲსაებრ განგებისა და არცა თუ გულსაესებით მსახურებაჲ იცოდიან, ნუ იყოფინ მათდა ჭელთ დებად ესეეთთარისა ამის ადგილისა.

რამეთუ სამკჳდრებელი ესე ზოგად ცხორებულთათჳს და წესიერთა განმისაზღვრებიეს საყოფელად, რაჲთა აზნაურად ეგოს უკუნისამდე ყოველთაგან მორიელთა და მახლობელთა თჳსთა და ნათესავთა ჩემთა და არცა ერთსა ვის მათგანსა დაემორჩილოს,

არამცედ მარადის იყოს თვთ-ჴელმწიფე და თვთ-მფლობელ ყოველთა კერძო.

ხოლო უკუეთუ ზემო თქმულთა ამათ ნათესავთა და ჭირნახულისა ჩუენთაგან უსწავლელნი ლიტონნი ხოლო ვინმე იყვნენ ქართველთაგანნი და აღკუეცად ინებონ და განწესებულისა მის რიცხჳსაგან ძმათაჲსა დაკლებულ ვინმე იყოს, მაშა ჴერ-არს მათი უფროჲს პატივცემაჲ და შეწყნარებაჲ და ადგილსა მას დაკლებულისასა დაწესებაჲ აღმავსებელად რიცხუსა ძმათა რაჲდენობისასა; ხოლო იგინი იყვნენ წესისაებრ მონასტრისა და ერთობისა მის ძმათაჲსა მორჩილებასა ჭუეშე წინამძღურისასა და რიცხუსა მას ძმათასა ნუმცა დააკლდების ნუ ოდეს.

[106] [36] თავი

ლოღარიას ქმნისათჳს იკონომოსისა და სხუათა მსახურთაჲსა წინამძღურისაგან და წინამძღურისაჲ ეპიტროპოსთაგან და ძმათა

30. ჴერ-არს და სამართალ, რაჲთა წელიწადსა შინა ორგზის დიდი იკონო[მო]სთა და მსახურთა და ლოღარიასსა უქმოდის, ერთ ჴერ სეკდენბერსა და მეორედ აღესებასა შიშითა ღმრთისაჲთა და სამართალითა. და რაჲცა შემოსავალი იყოს, აიღებდეს მათგან და აპოტიქსსა შეუქმოდის დიდი იკონომოსი და მამასახლისსა მისცემდეს და მისგან იქმნებოდის ლოღარიასად და აპოტიქსსა აიღებდეს მამასახლისი.

ეგრეთვე შიშითა ღმრთისაჲთა ეპიტროპოსთა მეცნიერებითა წარაგებდეს შემოსავალსა საჭმრად ეკლესიისა და მონასტრისა. და დანაშთომსა, რომელი არა წარგებულ იყოს სარგებელად და ჭამსად მონასტრისა, მისცემდეს მეჭურჭლესა და დოშიარსა და მისგან აპოტიქსსა აიღებდეს.

და ყოველთა აღვსებათა მამასახლისი იქნებოდის ლოღარიასად იკონომოსთაგან და მეგანძურისა და სხუათაგან ძმათა.

და ეგრეთვე მეგანძური, რომელ არს დოშიარი, გაიკითხვოდის ლოღარიასობით წელიწადსა შინა ორგზის მამასახლისისაგან და სხუათაგან ძმათა.

და უკუეთუ ამათგანსა ვისმე მოეხუეჭოს ანუ ცუდად წარეგოს საჭმართაგან ეკლესიისა[107]თა ჴერ-არს, რაჲთა დაკლებული იგი და შეჭმული ეკლესიასვე შეუჭციოს და თვთ განიძოს მსახურებისაგან თჳსისა.

და რომელი რაჲმე დაჰმეტდეს ეკლესიისა შემოსაგალთაგან გარეშე ჩუენ მიერ განწესებულისა მის წარსაგებელისა და სხჳსა მრავალ ჯეროვნად წარგებულისა, რომელიცა საქმრად და სარგებელად ეკლესიისა ქმნილ იყოს, იგი ყოველი დამარხულ იყავნ, რაჲთა სხუასა შინა ჟამსა ოდესმე საქმრად და სარგებელად ეკლესიისა წარეგოს.

ამასცა განვაწესებ, რაჲთა არა ოდეს დააკლდეს ვიდრე ათად ლიტრადმდე განძი საფასე მონასტერსა, რაჲთა საწინაუროდ საქმრად ეგოს მონასტრისათჳს მომაქალსა შინა ჟამსა.

და სხუაჲ, რაჲცა ამისსა უმეტესი დაშთეს, მისცენ და აღგილი მოუყიდონ ეკლესიასა

[21] თავი

რაჲთა კსენებასა მყოფდენ ყოვლადვე მიცვალებულთასა ჟამის წირვითა და სამღდელოთა შინა საიდუმლოთა, მოიკსენებდენ სულხა შესვენებულთასა დაუცხრომელითა ლოცვითა

91. ამასცა ყოველად მცნებად მიგცემ თქუენ, მამანო და ძმანო, ყოველითა დამოწმებითა და სიმტკიცითა და კანონებით დაშჯითა და აღვწერ მტკიცედ. რაჲთა ყოველადვე და მარადის დაუხრწუეველად აღასრულებდეთ საიდუმლოსა სამრთოჲსა მის მსხუერპლისასა და და მარადის იხსენიებიანმცა, ჩუეულებისაებრ, სულნი შესვენებულთა ყოველთა ქრისტიანეთა ქრისტეს მიერ ძმათა ჩუენთანი, ვითარ იგი მებრ დასაბამითგან წესად ჴოგჳღებიეს ზეგარდამო და ვიდრე მოაქამდე მაჲდლითა ღმრთისაჲთა [108] დამარხულ არს ყოველთა შინა ეკლესიათა, ეგრეთვე სახედ თქუენცა დაჰმარხეთ, რამეთუ ესე არს საქმე შუენიერი და სათნოჲ უფლისაჲ.

და თანა-აც ყოველთა მორწმუნეთა შეურყეველად დაცვაჲ ამის ესეითარისა მცნებისაჲ, და უფროისცა მონაზონთაგან, რამეთუ ამის მიერ ყოველი ძალი წინააღმდგომისა ჩუენისა ეშმაკისაჲ* დაიჭსნების.

92. და ეგრეთვე ეგუტერსა შინა წმიდისა იოვანე ნათლისმცემელისასა მღდელი ერთი დაიკარგოს, რაჲთა მარადის დაუცხრომელად ჴსენებასა მყოფდეს შესვენებულთასა.

და კუალად აღესრულებოდენ ყოველთა ძმათა საჴსენებელი დამის-თევაჲ და პანაშჳდითა და ჟამის-წირვითა, ვითარცა ზემო წერილ არს.

---

* შდრ. 1 პეტრ. 5, 8.

და არა ესე ოდენ, არამედ უკუეთუ მორწმუნეთაგანმან ვინმე გარეთ მოღმართ ძღუენი შემოწიროს და საჭმართა მიერ საქმითა ჰმსახუროს მონასტერსა ამას და გინათუ ლოცვითა მოჯსენებისა მისისათჳს ყოს ესე, ანუ თუ წლითი-წლად ჯსენების ყოფისათჳს, ჯერ-არს, რაჲთა ყოველთა ულოცონ მას ჴელაპყრობით და ჩუენის ამისებრ და მცნებისა მოჯსენებდენ წმიდათა შინა ჟამისწირვათა.

და ამის ყოვლისა დაუზრწეველად და უქცეველად პყრობად ვამცნებ ყოველთა, რომელნიცა შემდგომად ჩუენსა მომავალ არიან, ვიდრე აღსასრულადმდე ამის საწუთროჲსა.

[21] თავი

მოუძლურებულთა და მოხუცებულთა ძმათათჳს, თუ ვითარ ჯერ-[109]არს განსუენებაჲ და ფუფუნებაჲ მათი

93. ხოლო რომელნი იგი მოუძლურდენ ძმათაგან ჭირვესჯლნი სნეულებითა, გინა თუ სიბერითა, ანუ სხჳთა რაჲთამე მიზეზითა სენთაჲთა, მათი ჯერ-არს უმეტესად ღუწოლაჲ და ფუფუნებაჲ საზრდელითა და სასუმელითა.

და ეგრეთვე მათ თანა-აც მოიმიხებაჲ და არა სულ-მოკლე[ო]ბით დრტჳნვაჲ, და რაჲთა თჳთ მათ თავადთა და რომელნი იგი ჰმსახურებდნენ მათ, ზოგად სასყიდელი მიიღონ მართლ-მსაჯულისა მის მიერ. ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა, რამეთუ ესე არს ნანდჳლვე ნებაჲ ღმრთისაჲ, რომელ არს მოყუასთა მიმართ კეთილისყოფაჲ და სიყუარული მათი და სიტკბოებისა ჩუენებაჲ.

94. და არა ხოლო ესე ოდენ თანა-აც წინამძღუარსა, რაჲთა ჰორციელთათჳს ხოლო ზრუნვიდეს, არამედ სულთაცა მათთაჲ უქმს გამოზრდაჲ სიტყჳთა მით მოძღურებისაჲთა და არა სიტყჳთა ხოლო, არამედ საქმითაცა, რაჲთა მსგავსად მკურნალისა ჴელოვნისა ჰკურნებდეს სულთა მათთა.

რამეთუ ესე არს მებრ საძიებელი ჩუენი, რომლისათჳს ყოველი სიტყუაჲ და საქმე მოღუაწებისაჲ სრულ იქმნების და რომლისა უმეტეს სათნო ღმრთისა არარაჲ არს. ესე იგი არს უწესოთა და ლირწთა წესიერებად მოყუანებაჲ, მომთრვალეთა ბარხჳთა განმჯ-

ნობაჲ, მრისხანეთა სიმშვიდისა და სულგრძელებისა სწავლაჲ, ამპარტავანთა სიმდაბლითა განმუენებაჲ.

4. რომეთუ ესე არს სიბრძნე პირველი, ესე არს სიბრძნის მოყუარებაჲ სალმრთოჲ, ესე არს ხატი და მსგავსებაჲ ღმრთისაჲ კაცობრივისაებ ძალისა, და ბაძვაჲ მისი, რომელმან იგი უძლურებანი ჩუენნი იტვრთნა და [110]სნეულებანი ჩუენნი განკურნნა.

რომეთუ რაჲდაცა სხუაჲ იყო ეგევითარი იგი გარნა პირი ღმრთისაჲ? ვითარცა იტყჳს წინაჲსწარმეტყუელი, ვითარმედ: რომელმან გამოიყვანოს პატიოსანი უპატიოებისაგან, პირ ჩემდა იწოდოს* და ხატ ხატიერებისათჳს პირმშოსა მას სახესა მიმსგავსებითა.

[ჲი] თავი

სამთა მათ ჩემ მიერ აღშენებულთა ქსენადოშთათჳს, რომელ არიან უცხოთ საძგურნი

ჲ. ხოლო რომელი იგი სოფლისა სტენიმახისა ქუემო კერძო ორთა მათ გზათა ზედა აღვაშენეთ ქსენადოში ერთი, განუწესებ და განუსაზღვრებ მას მისვე სოფლისა სტენიმახისა შემოსაველისაგან, რაჲთა მიეცემოდის მგზავრთათჳს და გლახაკთა ყოველთა შინა დღეთა წელიწდისათა დიკაჲ ორი მოდი, ღჳნოჲ ორი მეტროჲ, და საწუნე, რაჲცა ღმერთსა მოეცეს ცერცოთაგან და მზალთა.

განუწესე წისქჳლიცა ერთი სასეფოთა წისქჳლთაგან, რომელ არიან სტენიმახს, რაჲთა სა[ქ]ონსა დაეფქჳოდეს, და გლუხი ერთი უღლისა უფალი თავისუფლად სჱჯსა ყოველისა სამსახურებელისა და ჭირისაგან მასვე სოფელსა შინა, რაჲთა ოდეს სამწიროსა მას ჰმსახურებდეს შეშისა მოღებითა და წყლისაჲთა და სხუაჲ რაჲცა უჴმდეს სამსახურებელი, და კაცი ერთი სარწმუნოჲ მემწირედ შთაზო[ნ]თაგანი, რომლისა ჴელითა განიყოფვოდის დაწესებული ესე საზრდელი გლახაკთა და მოგზაურთა.

და იყვენ იგი წმიდა გონებითა და მოშიში ღმრთისაჲ, რაჲთა შიშითა ღმრთისაჲთა ჰყოფდეს განყოფასა მას შეუორგულებლად და აღიღებდეს ძმათა თანა მონასტრისა[111]თა წესთასა თჳსსა და როჭსა, ვითარცა ერთი მესაძისა დასისაგანი.

და იყვნენ ქსენადოშსა მას შინა ცხედარნი მრაჲალნი და ფურნე და თორნე, განჯურვებულნი ზამთრისა დღეთა სტუმართათჳს სატფობლად და განსაჴმობელად და განსასუენებლად.

---

* შდრ. იერემია 15, 19.

და უკუეთუ დაუძლურდეს ვინ მოსრულთა მგზავრთა და სტუმართა მართაგანი, ჯერ-არს მათი განსუენებაჲ სამ დღე და ეგრეთ აწ[ი]ოს გზავნაჲ. უკუეთუ კაცი სრულიად მოუძლურდეს და ვერ ჰძლოს სლვად, ჯერ-არს მუნამდის დამჭირეაჲ მისი და განსუენებაჲ, ვიდრე სრულიად განმრთელდეს.

აღიშენოს უკუე სამწიროჲსა მის თანა ბორცუსა ზედა კოშკი ერთი, რაჲთა საჭმარი რაჲცა იყოს მას შინა, დაიმარხოს და არა ვის ჰქელეწიფოს მძლავრთა მგზავრთაგანსა უნებლებით მიტაცებად.

96. ხოლო ქსენადოში მარმარისაჲ, რომელ არს კიდსა ზედა, და მეორე ქსენადოში ნიკოლ წმიდისაჲ, რომელ არს ზღუს კიდესა, რომელნი აღვაშენენით საჭსრად ნეტარისა ძმისა ჩუენისა, განვაწესე ეგრეთვე, რაჲთა იყვნენ მსახურად მათ შინა მონაზონნი ორნი: ერთი მუნ და ერთი ნუნ; და აღიღებდენ იგინიცა როგსა, ვითარ იგი აიღებს სტენიმახელი.

და მიეცემოდის სასტუმროსა მარმარიისასა სოფლისა ზრავიკისა შემოსავლისაგან ყოველთა დღეთა დიკაჲ მოდი ერთი და ღვინოჲ მეტროჲ ერთი. და გლეხი ერთი გაუთავისუფლონ მფქველად და მრეშუელად და მერწყულად და სხუა რაჲცა უჭმდეს ქსენადოშა მსახურად.

და ეგრეთვე მიეცემოდის ქსენადოშსა ნიკოლ[112]წმიდისასა შემოსავალისაგან სოფლისა პრილონგისა ყოველთა დღეთა დიკაჲ მოდი ერთი და ღვინოჲ საწყაული ერთი და სხუაჲ საჭუნე, რაჲცა ღმერთსა მოეცეს, გინათუ ცერცჳ, გინათუ მჱალი.

და გლეხი ერთი ჩუენითცა გაუთავისუფლონ, რომელ საფქ[ე]ავსა უფქვიდეს და შეშას მოართუმიდეს და სხუაჲ რაჲცა საჭმახურებელი იყოს ქსენადოშისაჲ, იქმოდის.

რომლისათჳს ვაფიცებ ყოველთა ღმერთსა ცხოველსა და უბიწოსა დედასა მისსა, რაჲთა არა ოდეს დაიხსრწიოს განწესებაჲ ესე სასტუმროთაჲ ამათ, არცა რაჲ დააკლდეს ჩუენ მიერ განჩინებულისა ამისგან მისაცემლისა, დიდი, გინა მცირე კნინ ოდენიცა.

და მრწამს მე ღმრთისაჲ და წმიდათა მისთაჲ, რომელ დაღაცათუ სხჳსა არაოჲსათჳს, გარნა ამისათჳს მებრ უკუეთუ ვინ დაჰმარხოს წესი ესე, ღმერთმანიცა მიზეზმან კეთილისამან დაუჯსნელად და შეუხებელად ყოველთაგან ბოროტთა დაიცვას ადგილი ესე.

და უკუეთუ უმეტესად და უდიდესად აღემატოს შემოსავალი მონასტრისა ჩუენისაჲ, თანა აღემატებოდენ სტუმართმოყუარები-

საცა ესე წესი და უკუეთუ არა, მაშა რომელი ესე განვაჩინეთ, წესი ცა ოდეს დააკლდების, არამედ ღფროჲსდა შეურყეველად დამტკიცებულ ცედ ეგენ ყოველადვე.

უკუეთუ კულა იწებოს ვინ შემდგომად ჩუენსა დაჭნად ესევითარისა ამის სტუმართმოყუარებისა წესი, ბრალად დიდად შეერაცხენ მას და ცოდვათამცა ჩემთა მზი[დ]ველი არს წინაშე ღმრთისა.

[30] თავი

ჩუენ მიერ პირველ წინამძღურად დადგინებულისა გრიგოლ ვანელისადა სა[113]ჴსენებელისათჳს

97. პირველ ადრით ჟამითგან შეყუ[ა]რებულ იყო ჩუენ მიერ მონაზონი ესე სანატრელი გრიგოლ და მასცა სარწმუნოებით და მჯურვალითა გულითა ეშსახურა ჩუენდა და გჳლოცველდა; და უფროჲსდა აწინდელსა ამას ჩუენ მიერ დადებულსა მისდა მსახურებასა და ზედამდგომელობასა შინა ეკლესიისასა და მონასტრისა შენებისასა კეთილად წარმართებითა და უცონილად მისდა რწმუნებულისა მსახურებისაჲთა უმეტესსა მიეგოხჳა ჩუენ მიერ სიტკბოებასა და სიყუარულსა.

ამისთჳს ჩუენცა მისდა მიმართ მოწყლეობითა სიყუარულისაჲთა განჩინებით დავაწესეთ დღე ჴსენებისა მისისაჲ, რაჲთა დღესასწაულსა წმიდასა გრიგოლ ღმრთისმეტყუელისასა აღესრულებოდის საჴსენებელი მისი.

და თანა-აც ყოველთა მღდელთა და ძმათა ბრწყინვალედ დღესასწაულობაჲ ყოველითა განგებითა და მისთჳს ჟამის-წირვითა და ნუგეშინის-ცემად ძმათა უმეტესთა საზრდელთა მიერ და სასუმელთა და მიეცეს მას დღესა შინა წარსაგებელი გასაყოფელად გლახაკთა ექუსი დრაჰკანი.

და ჟამსა მიცვალებისა მისისასა, მესამეს დღესა და მეცხრესა და მეორმოცესა და წელიწდისა აღსრულებასა, ვითარცა ზემო წერილ არს სხუათათჳს მიცვალებულთა წინამძღუართა, ეგრეთვე მის [114] ზედა აღესრულოს ყოველივე.

და უკუეთუ ზემოჴსენებულმან ამან მამა[მა]ნ დაიცვას ყოველივე, რაჲცა მოწევნულსა ამას ტიპიკონსა სწერია, სრულებით შეურყეველად და არა მაოჭრებელ იპოოს მონასტრისა ჩუენისა, დიდითა რაჲთ გინა მცირითა, იყავნ იგი კურთხეულ.

ხოლო უკუეთუ იპოეს ცხოვრებასა შინა თჳსსა, გინა შემდგომად სიკუდილისა ცთომასა რას შინა, საჴსენებელისა წილ წყევაჲ მიიღენ და უცხო იქმენინ წმიდისა ამის მონასტრისაგან და ძმობისაგან მისისა.

[ჲ1] თავი

მოყმეთათჳს დიაკონთა, თუ სადა იყვნენ ანუ ვითარ განისწავლნენ

98. განვაწესეთ უკუე ყოფად მოყმეთა მოსწავლეთად ნიკოლწმიდას, რომელ არს მახლობლად ციხის სოხასტერი, დაიკარგოს მას შინა მღდელი ერთი, წმიდად და მოღუაწე მოხუცებულთაგანი, ღირსად ქამის მწირველი; და აიღებდეს როქსა და საზრდელსა და სხუასა ყოველსა საჭმარსა სწორად სხუათა მათ მღდელთა, რომელნი იყვნენ დიდსა მონასტერსა.

და ჰმსახურებდეს წმიდასა მას ტაძარსა გალობითა და კურთხევითა და მსგუფსასა შინა სამსა დღესა სასეფოდ ქამსა წარვიდეს, ერთსა დღესა მამისა ჩემისა ბაკურიანისათჳს [115] და ერთსა დღესა მამის ძმისა ჩემისა ხუასროვანისათჳს და ერთსა მამის ძმისწულისა ჩემისა ბაკურიანისათჳს.

და განეწესოს დიდისა ეკლესიისაგან და წინამძღურისაგან მიცემად საკუმეველი ზეთი და სანთელი[1] და მხჯმელი და ზედაშე, ვითარცა შეჰგვანდეს ზემო თქმულსა მას ეკლესიასა და ტაძარსა წმიდისა ნიკოლაოზისასა.

და იყვნენ წმიდასა მას ეკლესიასა ნიკოლწმიდისასა მღდელსა მას თანა სასწაულოდ ყრმანი ექუსნი; და აიღებდენ მონასტრისაგან საზრდელსა თჯსსა და სამოსელსა, ვითარ იგი შეჰგვანდეს, ვიდრემდის დაისწავლოს სრულიად ყოველი წესი სამღდელოჲ.

და ოდეს ჰასაკად მოიწრინენ და წუერითა გასრულდენ, მაშინღა, რომელნიცა ღირს მღდლობისა იყვნენ, მათგანნი ხუცად აკურთხნენ და შეწყნარებულ იქმნენ დიდსა მონასტერსა და ქამსა წირვიდენ სხუათა თანა მღდელთა, თუცა თუ არა დაჰკლებოდის რიცხუსა პირველ განწესებულთა მღდელთაჲ. და იღებდენ იგინიცა ყოველსა მისაცემელსა, ვითარ სხუანი იგი ქამის მწირველნი.

ხოლო რომელნი არა ღირს იყვნენ მათგანნი, მღდელობასა განჰხსნენ მიერ, გარნა რიცხუსა ყრმათასა ნუმცა ოდეს დაკლებულა ნიკოლწმიდას სწავლისაგან.

[ჲ2] თავი

საკარგავისა არავისდა მიცემისათჳს არცა განსყიდ[ვ]ისა

99. განვაყენებ ამისგანცა და რაჲთურთით არა მივსცემთ მიშუებასა, ვითარმცა აღმოსავალე[116]თისა, გინა დასავალეთისა მონასტერთა წესისაებრ წინამძღუარნან საკარგაჲი მისცა ეის ძმათაგან-

[1] სანთელი.

სა მონაგებთაგან მონასტრისათა, ანუ გლეხი, ანუ მიწაჲ, ანუ ვენახი, ანუ ბოსტანი, გინა თუ სხუაჲ რაჲცა რაჲ ესეეთარი, რაჲთა ვაჭრობა დაიჭსნას ერთობაჲ ძმათაჲ.

ეგრეთვე განსყიდასა და განიჭებასა ვისსაცა პირსი არა უწყებთ და ამას ყოვლითა სიმტკიცითა ვამცნებთ, რომელი ესე ნუ იყოფინ ყოფაჲ ოდესვე. გარნა გლეხთა ხოლო მიეცემოდის საკარგავი, რომელნი ეკლესიასა ჰმსახურებდენ და თანანადებსა თჳსსა გარდაიჴდიდენ.

[211] თავი

კრძალვით დამარხვისათჳს გუჯარისა ამის განსაგებელისა, რომელ არს ტიპიკონი, და რაჲთა ეკლესიისა ჩუენისა დღესასწაულსა და ხამთავე წმიდათა მარხვათა შემოსლვასა წარიკითხვოდის ტი[პ]იკონი ესე საერთოჲ სრულებით

100. ვაფუცებ უფლისა მიმართ და სიტყუასა დაცდებ ყოველთა თანა, რაჲთა არაჲ ოდეს დააკლოს ვინ ჩუენ მიერ დადებულთა ამათ წესთაგან, არცა გარდაჰჴდეს კანონთა ამათ.

უკუეთუ კაცი ინებოს ვინ დაჴსნად სჯულისა-დებაჲ ესე, ანუ მცნებაჲ განწესებულისაჲ ამის შეცვალოს, ანუ და-რაჲ-აკლოს ამისგანი, ანუ თუ იოტა ოდენი ერთი რჩაჲ გამოიღოს ამისგან, გინა თუ ყოვლითურთ მუნით სრულიად მოპარვაჲ ანუ წარწყმუდაჲ [117] და გამოჴუ[ე]ბაჲ მონასტრისა ამისგან მოიგონოს წინამძღუარმან ანუ ძმათაგანმან ვინმე, ანუ თუ სხუამან რამცა გულმან კაცმან, დაჴჯილ იყავნ ღმრთისაგან და ყოველთა წმიდათა მისთაგან და ბრალთა და ცოდვათა ჩემთა თანამდებ იყავნ წინაშე ქრისტესა.

ხოლო რომელთა განკრძალულად და შიშით დაიცვან წმიდათა მამათაგან გაწწესებული ესე ტიპიკონი და ჩუენ მიერ დამტკიცებული ესე განსაზღვრებაჲ, ბრალობისა ჩუენისაგან თავისუფალ და კურთხეულ იყავნ უფლისა ჩუენისა იესუჲს ქრისტეს მიერ, რომლისა თანა მამასა სულით წმიდითურთ შუენის დიდებაჲ, მთავრობაჲ და პატივი აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

101. სიწმინდისა სამსახურებელთათჳს და ხატთა და ჯუართა და ჴატთჳს და ყოველთავე პატიოსანთა სამკაულთათჳს, რომელნი მიგვცემიან და დაგვმტკიცებიან და დაგვსხმან პირველ თქმულსა ეკლესიასა და მონასტერსა ჩუენსა, და ეგრეთვე ოთხფერჴთათჳს და ყოვლისა ფერისა თჳთო სახეობისათჳს, რომელნი მივსცენით წმიდასა ამას მონასტერსა, რომელ არიან ესე:

ხატნი ოქროჲსანი შემეფტონითა ორნი, რომელთა შინა სუენებიან ნაწილნი ძელისა ცხორებისანი;
და სხუაჲ ხატი ერთი დიდი შემეფტონითაჲ ფერისცვალებისა უფლისაჲ;
და სხუაჲ ხატი ერთი დიდი შემეფტონითა რჳაკედლოჲანი;
და სხუაჲ ხატი ერთი მკერდაჲ კარედი წმიდისა ღმრთის-მშობლისაჲ შემეფტონითაჲ.
ჯუარი პატიოსანი ერთი დიდი შემეფტონითა და თუალები-[118]თა წმიდისა საკურთხეველისაჲ;
და სხუაჲ ჯუარი ერთი ვეცხლისაჲ სადროშოჲ წითლითა თუალებითა;
და ჯუარი ერთი შეშისაჲ ოქროჲთა მოჭედილი და ზედა ხუთი თუალი მჯიე იაგუნდი;
და სხუაჲ ხატი ერთი ქჳისაჲ ექუს კარედი ჯუარცუმისაჲ;
სხუაჲ ხატი ერთი დიდი შეშისაჲ პეტალოჲთა ვეცხლითა შემოჭედილი წმიდისა გიორგისი;
სხუაჲ ხატი ერთი წმიდისა გიორგისი და თედორესი საროთითა და ვეცხლითა მოჭედილი;
და სხუაჲ ხატები შეშისაჲ ოქრო პეტალოჲთა შეკაზმული რიცხჳთ ოცდა შჳდი;
და კანკელი დიდისა კონჭისაჲ, რომელსა აქუს გამოსახულად ათორმეტი სახიერმეტი საიდუმლოჲ განგებულებისა ქრისტესი.
ბარძიმ-ფეშხუემი ვეცხლისაჲ, ოქროთა კურთებული თუალებითა, რომელთაგან აკლს თუალი ათერთმეტი;
ბარძიმი ერთი იასპი ოქროჲთა და შემეფტონითა შეკაზმული;
სხუაჲ ბარძიმ-ფეშხუემი ვეცხლისაჲ ხატოვანი სამი წყვილი;
ქოვზი ვეცხლისაჲ ერთი;
საცეცხურნი ვეცხლისანი სამნი;
სასაკუმეველე ვეცხლისაჲ ერთი;

დერგი ერთი ვეცხლისაჲ;
სანაწილე სიწმიდისაჲ ერთი;
ჭორაკანდელნი ვეცხლისანი ორნი თავეთ ჯაჭუებითა, ცხრათა ლიტრათა მათგანი ოქროჲთა ცურვებული არს.

102. სახარებაჲ ერთი ბეჭდნული ოქროჲთა და შემკეფტონითა შეკაზმული, რომელსა ზედა სხენან თუალნი დიდ ფასისანი;
სხუაჲ სახარებაჲ ერთი ქართულად წერილი [119] ოთხთავი ვეცხლითა შეჭედილი ოქრო ცურვებული;
სხუაჲ სახარებაჲ ერთი მცირე ოთხთავი ვეცხლითა მოცუარული;
სხუაჲ სახარებაჲ დიდი მრგულად წერილი ოთხთავი ეგრეთვე ვეცხლითა მოცუარული;
სხუაჲ სახარებაჲ ერთი გამოკრებული ვეცხლითა შეკაზმული და ოქროჲთა ცურვებული;
სხუაჲ სახარებაჲ ერთი გამოკრებული ლიტონად შემოსილი.
წიგნი ერთი თარგმანებაჲ სახარებისა იოვანეს თაეისაჲ;
წიგნი ერთი ლმრთისმეტყუელი;
წიგნი ერთი წმიდისა ბასილის ითიკაჲ;
სხუაჲ წიგნი ერთი დიდი მრავალთავი;
სხუაჲ წიგნი ერთი ცხორება წმიდისა სჳმეონისი;
სხუანი ორნი წიგნნი წმიდისა მაჭაიმესნი;
სხუანი ორნი წიგნნი კლემაქსნი;
სხუანი ორნი წიგნნი წმიდისა ლმრთის-მშობლისა ცხორებაჲ;
სხუაჲ წიგნი ერთი სტოდიელი;
სხუანი წიგნნი სათუეონი სამნი;
სხუაჲ წიგნი ერთი საგალობელი რვათა ჴმათაჲ;
სხუაჲ წიგნი ერთი სჳნაქსარი;
სხუაჲ წიგნი ერთი კურთხევანთაჲ;
სხუანი ორნი წიგნნი გამოკრებულნი პაველესნი;
სხუაჲ წიგნი ერთი ოცდაოთხთა ქებათაჲ;
სხუაჲ წიგნი ერთი ეკლესიისა კურთხევაჲ ვეცხლითა მოცუარული;
სხუაჲ წიგნი პარაკლიტონი ორხთა ჴმათაჲ;
სხუაჲ წიგნი ერთი წმიდისა ისაიასი;
სხუაჲ წიგნი ერთი გამოკრებული იადგარი;
დაეითნი ერთნი.

103. დურაჲ სამეუფოჲ ოქ[120$_{1-13}$]სიკასტორი ოთხი, ერთი მათგანი ოქროქსოვილი არს;
სედარაჲ ოთხი ოქრო წერილითა ალმითა;
სტავრაჲ სამოსელი უკერავი ოქსიკასტორი ორი;
სკარამანგნი მძიმენი ხუთნი;
სტავრაჲ ერთი სხუაჲ ტროველატი(?);
სხუაჲ საკურთხეველისა საბურავი, შეკერული სკარამანგი დურანგითი წმიდისა წესითა ყოველითა;
სხუაჲ საბურავი საკურთხეველისაჲ ორთა ეგუტერთაჲ სრულებით;
სხუაჲ საკურთხეველისა საბურავი ერთი თეთრი ექსამიტონი, რომელსა აქუს ხატი წმიდისა დმრთის-მშობელისაჲ მარგალიტოვანი;
სამღდელოჲ შესამოსელი რიზისაჲ.

[128$_{15}$]. **104.** დ ა რ ო მ ე ლ ი ს ხ უ ა ჲ მ ი გ ვ ც ი თ პ ა ტ ი ო ს ა ნ ს ა დ ა წ მ ი დ ი ს ა ე კ ლ ე ს ი ი ს ა ჩ უ ე ნ ს ა:
მ ი ხ ა ე ლ მ ე ფ ი ს ა მოგებული ყელსა სასუენებელი ჯუარი პატიოსნისაგან ძელისა ცხორებისა;
და ეგრეთვე ხ ო თ ა თ ო რ ი ს ა მოცემული ჩემდა ლელტად ყელს სასუენებელი ჯუარი პატიოსნისაგან ძელისა ცხორებისა;
და სხუაჲ მისგანვე დატეობილი ჩემდა მცირე ხატი, რომელსა შინა სუენებაა ცხოველს მყოფელისა სისხლისაგან ქრისტეს[129] დმრთისა ჩუენისა და ესენი დაისხნეს ვეცხლ[ი]სა ბუდეთა ოქროვანთა შინა, ვითარ სხუანი იგი პატიოსანნი ჯუარნი, რაჲთა არა ვისი ჭელი შეეხებოდის და ზაკულებაჲ რაჲმე შეემთხჳოს.
მივეც საზოლავროჲ ჯუარი ერთი სხუაჲ ვეცხლისაჲ ოქროჲთა ცურვებული;
მივეც ვეცხლისა კაწინი ერთი დიდი თეთრი;
და სხუაჲ მივეც მცირე კაწინი ერთი ვეცხლისაჲ ოქროცურვებული და კანონი მისი.
მივსცეთ ვეცხლისა აპალარონი სამნი, რაჲთა შეჰჴნენ ზემოთქმულთა წმიდათა შთასასუენებელნი ბუდენი და საწეროებელნი, და სხუაჲ სამსახურებელი ეკლესიისაჲ, რაიცა ჰმდეს.
მივეც ვეცხლისა შრიანიდოქსესტი წყვილი ერთი;
მივსცეთ ჰიქისაცა ჭურჭელნი პატიოსანნი;
ბროლისა ღუდედიკი ერთი გამოქანდაკებული;
ჰიქაჲ ბროლისაჲ ფსკერედი სადაგი დიდი ერთი;

სხუანი ბროლისა ჭიქანი ფსკერედნი გა[მ]ოჭრილნი ორნი;
სხუაჲ ჭიქაჲ ბროლისაჲ მცირე[1] ერთი;
სხუაჲ ბროლისა მცირე კეფი ერთი გამოქანდაკებული;
სხუაჲ ბროლისა წყლის სასუმელი პირცხავი კუტალი ერთი;
მუჭამი კეფი ერთი;
ძუძთანი მაბრუდი ყელიწროჲ კუტალი ერთი;
მახრუდივე ჭიქაჲ დიდი ერთი;
მუჭამი ჭიქაჲ დიდი ერთი;
მახრუდი ორბაგედი ნავის სახე ჭიქაჲ ერთი;
მახრუდი კეფი ერთი სხუაჲ;
ძწუანე მინაჲ კეფი ერთი.

[120$_{14}$]. 103. ... სხუაჲ ოქრობეჭედი ორი ჩემთა პრასტინთათჳს, რომელნი არ ვ ე ნ ა ც თ ა მჭონდეს ერთი ლ ე გ ე ა ც ა ჲ ს ა ჲ ა ჲ ს და ერთი არნაკისა და მ ა რ ტ ი ს პ ა ჲ ს ა ჲ ა.
სხუაჲ ოქრობეჭედი ერთი მონასტრისა კიური ე ვ ფ რ ო ს ი ნ ე ს ი, რომელ არს ხ რ უ ს ო ლ გ ა დ ს ა;
სხუანი ოქრობეჭედნი სამნი მ ი ხ ა ე ლ მ ე ფ ი ს ა ნ ი მ ი ს ი ნ ა პ ო ლ ი ს ა პრასტინთათჳს;
სხუაჲ ოქრობეჭედი ოთხი ფ ი ლ ი პ პ ო ლ ი ს ა პრასტინთათჳს;
სხუაჲ ოქრობეჭედი ერთი ჳბრალოებისათჳს კარს თავადობისა ჩემისა;
სხუაჲ ოქრო[121]ბეჭედი ორ[ი] განუკითხველობისათჳს კ ა რ ნ უ ქ ა ლ ა ქ ს მთავრობისა ჩემისა;
სხუაჲ ოქრობეჭედი თავისუფლად ყოფისათჳს პრასტინთა ჩემთაჲს, რომელ არიან ფილიპპოპოლისს და მისინაპოლისს შინა;
სხუაჲ ოქრობეჭედი ერთი სოფლისა ქ ს ა ნ თ ი ს ა თ ჳ ს;
სხუაჲ ოქრობეჭედი ერთი მარლონაჲსა ჭილსა ზედა წერილი, რომელი იგი წინადად მაქუს;
ლიეველთნი ორ: [ერ]თი მათგანი არს ე ფ დ ო კ ი მ ო ჲ ს ა თ ჳ ს და ერთი სოფლისა კ ო ტ რ ა ჲ ს ა თ ჳ ს.
სიმოსინი ერთი მიხაელ მეფისაჲ ბეწინაგისა ჰარბევისათჳს;
ეგრეთვე სიმოსინი ერთი სხუაჲ მისვე მეფისაჲ ფილიპპოპოლისა მიტროპოლიტისა საქმისათჳს;
სხუაჲ ოქრობეჭედი ერთი ვოტანიატისაჲ, რომელსა შინა არს სიმოსინი პრასტინთათჳს ფილიპპოპოლისათა.

---

[1] მცირაჲ.

სამეუფოჲ წიგნები, რომელნი კატასტროს ქმნილ არიან სა-
რტონთა შინა;
და სხუაჲ წიგნები თჳთოსახეთა პირთათჳს სამოცდაექუსისა
საძთა ოქრობეჭედთა სწორს- აღმოსავალეთისა პრასტინ-
თათჳს.

[36] თავი

**106. ოქრობეჭედთათჳს, რომელნი დაისხნეს ნამარხევად მო-
ნასტერსა ჩუენსა, და არიან ესე:**

ოქრობეჭედი ორი უბრალოებისათჳს მთავრობისა ჩემისა დიდ-
სა შინა დემესტიკოსობასა:
ოქრობეჭედი ერთი სხუაჲ კიბისა კანკაჲსათჳს და სოფ-
ლისა ჩრეჳნაჲსა;
სხუაჲ ოქრობეჭედი ერთი ეკლტიოს ქმნისათჳს [122] პრასტინ-
თა ჩემთაჲსა და მათ შინა კიბის გებისა და სოფლისა და მო-
ნასტრისა შენებისაჲ;
სხუაჲ ოქრობეჭედი ერთი მაგასვე პირისათჳს, და ვითარმედ
უკუეთუ გაბრაველდეს შემოსავალი პრასტინთა ჩემთაჲ, ფურ-
ეობაჲ გუეპყრნდის მე და ყოველთა ჩემთა შენდგომად ჩემსა;
ოქრობეჭედი ოთხი მონასტრისა ჩუენისა პეტრიწონისაჲ,
უფლებისათჳს და თჳთმფლობელობისაჲ და მაგისვე მონასტრი-
საჲ ყოველდღე აზნაურად ყოფისათჳს და პრასტინთა ჩემთათჳს,
რომელსი დაუმტკიცენ მონასტერსა მაგას;
სხუაჲ ოქრობეჭედი ერთი სპაზმაჲსა და ბანკალიწისათჳს;
სხუაჲ ოქრობეჭედი ორი უბრალოდ ყოფისათჳს და ულოდა-
როსოდ დადგრომისა ჩუენისაჲ სამეუფოჲსა განძისათჳს, რო-
მელი წარვაგეთ ქიმანთა გამოყვანებაჲსა შინა;
სხუაჲ ოქრობეჭედი ერთი უბრალოებისათჳს თემისა ზმო-
ლინაჲსა;
სხუაჲ ოქრობეჭედი ორი [ს]აკრიტონისა პრასტინთა ჩემთა
შეკონისა და ქართფრთიკისათჳს;
სხუაჲ ოქრობეჭედი სამკაულთათჳს პრასტინისა მონასტრისა
ხახულისაჲ;
სხუაჲ ოქრობეჭედი ერთი, რაჲთა კელმწიფებაჲ მაქუნდეს პრას-
ტინთა ჩემთა, ვინაჲცა მენებოს ნათესაეთა ჩემთა და მსახურთა
ჩემთა, დაღაცათუ სომეხნი იყვნენ სარწმუნოებითა.

ოქრობეჭედისა ს[128]წორი ერთი პრასტინთათჳს ვოლერთ ნიადი მისინოპოლისათა;
სხუაჲ ოქრობეჭედისა სწორი ერთი ფილიპოპოლისა პრასტინთა ჩემთათჳს;
სხუანი ოქრობეჭედთა სწორნი სამნი ფილი[პო]პოლისა პრასტინთა ჩემთათჳს;
სხუაჲ ოქრობეჭდისა სწორი ერთი კარნუ ქალაქს განგებისა ჩემისათჳს.

107. სამეჯფოჲ პიტაკი ერთი ლოგის ქმნისათჳს ყოველთა პრასტინთა ჩემთაჲსა;
სხუაჲ სამჯუფოჲ პიტაკი ერთი თემის ზმოლინაჲსათჳს;
აბოდიქი (სამი აბოსკედე ფ)* მიხაილ მეფისაჲ სამ[ე]სა კენტინარ[ი]საჲ და ოცდაშჳდისა ლატრისაჲ, რომელ აღიღეთ სამეუფოჲთა ბრძანებითა კრიტისაგან კალიკელისა და ძისაგან პარაფშიფისა;
სხუაჲ აბოდიქსი აბეტისინისა თემისა ზმოლინაჲსაჲ;
აბოდიქსი განძისაჲ სამისა კენტინარისაჲ, რომელი ფილოტიმიად აღღეს ფრანგთა, მაგისვე პირისათჳს პიტაკი ერთი და სხუაჲ მრავალსახე პიტაკები;
სიმეოსინი ხარტოფილაკისაჲ და წიგნი მისი თემისა მის მსაჯულისა მიმართ.

პიტაკი ვოტანიატისაჲ, რომელი გარდაიწერა სიკრიტონსა შინა მიწერილი იკონომოსსა თანა მისინოპოლისასა პრასტინთა ჩემთათჳს, რომელ დალაცათუ ეპისკევტობისაგან იყვნენ პრასტინნი და ბრძანებაჲ გამოვიდა მისვე მეფისაგან, რომელ ვისცა ვისდა ეპისკევტობისაგან მიცემულ იყოს, კუალად ეპისკევტობასავე მიექცეს, გარნა ჩუენნი შეურყეველად დამთენ. და ესე პიტა[124]კი სოფია წმიდაჲს არს სხუათა თჳნა სასაჭართლოთა ნაწერთა.

108. მოხაჯსენებელი წიგნი და აბოდიქსი ოქრობეჭედთა ჩუენთაჲ და სხუათა სასაჭართლოთ ანაწერთაჲ, რომელნი ნაჭარხევად სხენან სოფია წმიდას:

ისოკოდიკონი ზრავიკისაჲ და ჴელით წერილები მისვე სოფლისაჲ;
ისოკოდიკონი სოფლისა პრაილონგისაჲ;
ნასყიდის ნაწერები ვარდანისი აველინისათჳს, რომელი მისინოპოლს არს, და გოთრგი წმიდისათჳს, რომელი პაპიკს არს.

---

* ეს სიტყვები დაწერილია სტრიქონთ შორის.

პრახტიკონი და პერიერეზმონი ფილიპპოპოლისა პრასტინთა თჳს;
პრახტიკონი და პერიერეზმონი მისინოპოლისა პრასტინთა ჩემთა;
და ეგრეთვე აპოტიქსები კონომისაჲ, დიმოსისაჲ და ველიკობისათჳს;
ლოგისიმონობისა წიგნი მისინოპოლისა პრასტინთა ჩემთათჳს;
პრახტიკონი და პარადოდიკონი ლევაკაჲსა;
ჴელით წერილები და აპოდიქსები სტენიმახისა პანაქურიელთაჲ;
იპომნიმაჲ, რომელი შექმნა მისპოტმელმან სამეოცთაჲთა ბრძანებითა ფრენაკსა შორის და ზაქარიაჲს სოფელსა.
პრახტიკონი, რომელი შე[ი]ქმნა მისვე პირისათჳს, რომელი შეიქმნა ბრძანებითა წმიდისა ბეფისა ჩუენისა ალექსიჲთა, ვიდრეცა ჴერეთ დიდად დამესტიკოსად[8] იყო.
პრახტიკონი და პერიერეზმონი პეტ[125]რიწონისაჲ ყოველთა ადგილთაჲ შექმნილი ოფიდოფეაკაგან ბრძანებითა წმიდისა და თჳთმპყრობელისა მეფისა ჩუენისათა.

და ესე ყოველი ოქრობეჭედები და სასამართლოჲ წიგნები, რომელნი სოფია წმიდას ნამარხევად არიან და რომელნი მონასტერს არიან, ყოველნივე იყვნედ ჩუენსა მონასტერსა და ეკლესიასა შინა ჴელსა მუეშე მამასახლისისა, რაჲთა მომავალსა შინა ქამსა, ოდესცა საჭმარ იყოს, გამოიღებდენ და უჩუენებდენ.

[ᲘᲐ ᲗᲐᲕᲘ]

109. დაიწერა უკუე და დაემტკიცა წესი ესე განგებისაჲ ამის პატიოსნისა მონასტრისა ჩუენისაჲ, დმრთის-მშობლისა პეტრიწონისაჲ, ბრძანებითა ჩემ გრიგოლ სევასტოსისა და დიდისა დემესტიკოსისა ყოველისა დასავალეთისა მიდამოჲსა, ძისა ბაკურიანისაჲთა, მაშენებელისა ზემო თქმულისა ამის მონასტრისა და ეკლესიისა წერილითა ბეჭდულითა და ქართულითა თ დეკენბერსა, მეშჳდესა ინდიკტიონსა, დასაბამითგანთა წელთა **ექუს ათას ხუთას ოთხმეოცდა მეათორმეტესა.**

და ქუემოჲთ წარიწერენ ჴელითა ჩემითა ზემო ჴსენებულისა გრიგოლისითა ყოველნივე ესე ტიპიკონნი.

ხოლო ბერძულნი ორნივე წარიწერნეს შემდგომად ჩემისა დაწერილისა წმიდისა პატრიარქისა იწროსალემელისა[126] ღირსისა ეფთჳმესითა დასამტკიცებელად და სარწმუნო ყოფად ყოვ-

[8] დამესტიკოსად.

ლისაგე, რომელიცა ტიპიკონსა ამას შინა წერილ არს დახუდომისა
შისთა ჩუენ თანა; რამეთუ საქმეუფოჲთა პრძანებითა თ ე ს ა ლ ო ნ ი კ ე დ მოსრელ იყო მწყდობილ და სიყუარულისა ყოფაჲ შ ო ვ ი ა ნ ე
რის ფრანგთა ჯა, მოქცევასა მისსა, ჩუენი თანა წარმოვიდა ფ ი ლ ი პ პ ო ლ ი ს ა პრასტინთა ჩუენთა.

და ამისთჳს ღაწერა ბერძულად და ქართულად, [რამეთუ] ქართველნი არიან და არა იციან ბერძული წარკითხვაჲ; და ჴერ-არს, რაჲთა ქართულად წერილსა აღმოიკითხვიდენ და გულის-ქმა ჰყოფდენ აღწერილსა განსაჯლვრებულსა ამას შინა ტ ი პ ი კ ო ნ ს ა.

ხოლო სიმტკიცისა ქონებად უბრძანებთ ბერძულსა წერილსა, რამეთუ დასასრულსა საქმისასა ქუეშე წერილი მას უპყრიეს.

და შეიქმნა სწორი ამისი და დაიწერა ეგრეთვე სასუე და დაიდვა პატრიარქსა მონასტერსა პანაგიისაჲსა, რომელ არს ღმრთაებრივსა ქალაქსა სამეუფოსა, რაჲთა უკუე მუნ დაიმარხოს მასვე მონასტერსა შინა.

[ანდერძი]

110. და ჳკუეთუ, სადა ვითარ-იგი მე არ მჭადს, წინაშეძღოლთა თჳსთაგანი ვინმე მონასტრისა ჩუენისათჳს, ანუ სხუაჲ ვინმე ძმათაგანი მაოჭრებელად ზემო ჴსენებულისა ამის მონასტრისა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა, [130$_5$] გინა პრასტინთა მისთა ანუ საქმართა, იპოოს და შეურაცხყოფად ეცადოს, რომელი რაჲ ტიპიკონსა ამას შინა წერილ არს, ანუ თუ ვებრ დაჭსნად ამისა, გინა წარწყმედად ისწრაფოს ტიპიკონი იგი, რომელი პანაგიისა ნამარხეველად ძეს, გამოიჩინოს და ეცხადოს ესეეთთარსა მას, რომელმან ეგეეთარი იგი ცთომილებაჲ ყოფად იკადროს და ჭმნას!

და ჴელთუნად განიწყალოთოს და, რაჲცა დაეკლოს, ეზღუიოს მას და თჳთ განიძიოს მონასტრისაგან; და ცუალად ტიპიკონი იგი დაიდვას მონასტერსა პანაგიისასავე.

და არა მსგებავს რაჲთუერთაით გარეგან მონასტრისა, გინა საქეუფოჲსა ქალაქისა განსლუაჲ ამისი ანუ თუ დამალუაჲ; რომლისათჳს ეფიცების მამასახლისთა, რომელნი ყოფად არიან მონასტერსა ჩუენსა და მისთა ძმათა ყოველთა თაეადსა წმიდასა ღმრთის-მშობელსა, რაჲთა დაიმარხოს მათ შიგან ნეშაჲ ჩუენი და შ ჯ უ ლ ი ს დ ე ბ ა ჲ ესე. და ამასვე მონასტერსა შინა დამარხულ იქმნას ტიპიკონი ესე მონასტრისა ჩუენისაჲ.

და თუ [131$_{1-11}$] ვისმე უკმდეს გარე განლებაჲ ამისი სასარჩლოჲსა რაჲსამე საქმისათჳს ამისგან, რომელ არს მონასტერსა ჩუენსა, სწორი მისი დაიწეროს და დაიმტკიცოს წინამძღურისა და ძმათაგან და წარიცეს ვითა თაეადივე ტიპიკონი. და ვითარცა ვთქუთ, ნუ

ოდეს ნუმცა განსრულ არს მონასტრისაგან ჩუენისა თავადი ტბაშ-
კონ[ი].

მტკიცე არიან ზემო წერილნი ესე ნებითა ღმრთისაჲთა, სიმრჩქ-
ულნი ყოველნი რეთა ფერცლითა არიან და არა არს მათ შინა აღ-
მოკუეთილი და ნუცალა ვინ იკადრებს აღმოკუეთად.

111. განვაწესებთ უკუე და ვამცნებთ ყოველთა[180ი-ა] შემ-
დგომად ჩუენსა მოძღვალთა წინამძღუართა და სულისა ჩუენისა მო-
ურავთა მკვდართა მონასტრისა ჩუენისათა. რაჲთა წმიდათა ამათ
ათორმეტთ[ა] [127] განგებულებისა საუფლოთა დღესასწაულთა
უბრწყინვალესად დღესასწაულობდნენ დამის თევითა, გალობითა,
ეკლესიისა შეკობითა ბრწყინვალედ სანთელთა მიერ და კანდელ-
თა და საკმეველთა მიერ და სულხელთა განშუენებითა, უხუად
ტრაპეზისა დაგებითა და ძმათა კრებულისათა კეთილად ნეგეშინის
ცემითა, გლახაკთა ღუწოლითა და ჭუელის საქმისა მიცემითა საჭსრად
სულთა ჩუენთათჳს და ყოველთა მიცვალებულთა ჩუენთა ესრეთ
ჰყოფდეს:

ბ ა რ ე ბ ა ს ა დღესა ყოველთა ქამი ჩემთჳს წიროს; მას დღესა
ტრაპეზი დაეგოს უხუებით და გლახაკთა უდონოთა განეყოს დრაჰ-
კანი ათი; და მღდელთა ქამის მწირველთა ექუსთა, ვითა ზემო დაგ-
ჳწერია და განგჳწესებიან, [ს]ამთა და სამთა თჳთო დრაჰკანი.

ქ რ ი ს ტ ე ს შ ო ბ ა დ ყოველთა მღდელთა ქამი ჩემთჳს წი-
როს; [მა]ს დღესა ტაბლაჲ დაეგოს ბრწყინვალე, [დ]ა გლახაკთა
უდონოთა განეყოს დრაჰკანი ათი და ექუსთა ქამის მწირველთა
მიეცეს დრაჰკანი ორი.

მ ი გ ე ბ ე ბ ა[ნ] ყოველთა მღდელთა ქამი ჩემთჳს წიროს;
ტრაპეზი დაეგოს უხუებით მას დღესა და გლახაკთა განეყოს დრაჰ-
კანი ათი და ექუსთა ხუცესთა მიეცეს დრაჰკანი ორი.

[128ი-ს] გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა დ ყოველთა მღდელთა ქამი ჩემთჳს
წიროს; მას დღესა ტაბლაჲ დაეგოს ბრწყინვალე, გლახაკთა განეყოს
დრაჰკანი ათი და ექუსთა ხუცესთა მიეცეს დრაჰკანი ორი.

ე ე ი ს ა ც ვ ა ლ ე ბ ა დ ყოველთა მღდელთა ქამი ჩემთჳს წი-
როს; მას დღესა ტრაპეზი დაეგოს უხუებით და გლახაკთა განე-
ყოს დრაჰკან[ი] ათი და ხუცესთა ექუსთა მიეცეს დრაჰკანი ორი.

ბ ზ ო ბ ა დ ყოველთა მღდელთა ქამი ჩემთჳს წიროს; მას დღე-
სა ტაბლაჲ დაეგოს უხუებით, გლახაკთა განეყოს დრაჰკანი ათი და
ექუსთა ხუცესთა მიეცეს დრაჰკანი ორი.

ესე ექუსნი საუფლონი დღესასწაულნი ჩემ გ რ ი გ ო ლ ი ს-
თ ჳ ს, ზემო ჴსენებულისა ამის მონასტრისა მაშენებელისათჳს, გან-
ძიჩენიან, რაჲთა ჩემთჳს ალაშა ჰყოფდეს ამით სახითა.

[132]. 112. და ესრედ ამასვე პირსა ზედა განვაწესებ და დაუ-
ძლველებ სანატრელისა ძმისა ჩემისა აბაზ[1] მაგისტროსისათჳს:
დიდსა პარასკევსა ტაბლაჲ დაეგოს ჴერისაებრ[illegible]
გლახაკთა განეყოს დრაჰკანი ათი.

და დალაცათუ მას დღესა ყამის-წირვაჲ არა აღესრულების, არა-
მედ უსიბნელოჲსა მის მსხჳერპლისა განბნელებაჲ იქმნების, ჴერ-
არს, რაჲთა ექუსთა ყამის მწირველთა ორი დრაჰკანი მიეცეს.

დიდსა შაბათსა მღდელთა ყამი ძმისა ჩემისა აბაზისთჳს
წირონ; მას დღესა ტაბლაჲ დაეგოს უხუებით, გლახაკთა განეყოს
დრაჰკანი ათი, ექუსთა ხუცესთა მიეცეს დრაჰკანი ორი.

აღსებასა დღესა ყოველთა [მღდელთა] ყამი ძმისა ჩემი-
სათჳს წირონ; ტრაპეზი დაეგოს ბრწყინვალე. გლახაკთა განეყოს
დრაჰკანი ათი, ექუსთა ხუცესთა დრაჰკანი ორი.

ამაღლებად ყოველთა ძმისა ჩემისათჳს წირონ; ტრაპეზი
დაეგოს უხუებით, გლახაკთა განეყოს დრაჰკანი ათი, ყამის მწირ-
ველთა დრაჰკანი ორი.

სულისა წმიდისა მოსლვად ყოველთა ძმისა ჩემი-
სათჳს ყამი წირონ; ტაბლაჲ დაეგოს ბრწყინვალ[ე], გლახაკთა განე-
ყოს დრაჰკანი ათი, ექუსთა ხუცესთა დრაჰკანი ორი.

[133] დიდი ხუთშაბათი ზემო დაიწერა სანატრელისა
მამისა ჩუენისა ბაკურიანისათჳს; და ათ[ი დრაჰკანი] დაგ-
ჳწერია გასაყოფელად გლახაკთა; კუალად მუნითჳცა მიეცეს მღდელ-
თა ყამის მწირველთა ორი დრაჰკანი.

113. და მიცვალებასა წმიდისა დმრთის-მშობელი-
სასა, რომელ არს დღესასწაული წმიდისა ეკლესიისა ჩუენისაჲ,
და თავის-კუეთასა წმიდისა იოვანე ნათლისმცემე-
ლისასა და გიორგი-წმიდობად ძმათა მონასტრისათა გა-
ნეყოს თორმეტ-თორმეტი დრაჰკანი.

ამათ საძმოვე დღესასწაულთა ოცდაათექუსმეტი დრაჰკანი მო-
ნასტრისა ჩუენისა მონაზონთა განეყოს, ყამის მწირველთა და ყო-
ველთა ძმათა ერთობით სწორად, ათორმეტი დმრთის-მშობლისა მი-
ცვალებად, ათორმეტი თავის-კუეთად, ათორმეტი გიორგი-წმი-
დობად.

114. რამეთუ არს უწყებაჲ, უცუეთუ ბარებაჲ დიდსა ხუთშა-
ბათსა მიხუდეს, ექუსთა მღდელთა ყამის მწირველთა საძმო მამისა
ჩუენი[134]საათჳს წირონ და საძმო ჩემთჳს; ხოლო მათი განწესებუ-
ლი არა დაიკლდეს, არცა რომელ ვითარ გლახაკთათჳს განგჳწესებია

[1] + მაგზ.

თიოქოსელისა დღესასწაულისაჲ. არამედ წარსაგებელი ყოველი გ
ნეყოს.

ეგრეთვე დიდსა პარასკევსა და დიდსა შაბათსა და აღდგებასა
უკეთეთ ხარებაჲ მიხუდეს. ესრეთ მყოფდენ.

115. დიდებაჲ ღმერთსა სრულმყოფელსა ყოველთა კეთილთასა.
და დიდებაჲ ყოველად წმიდასა ღმრთის-მშობელსა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

6. [ძეგლისწერაჲ რუის-შრავნისის კრებისაჲ]

[1103 წ.]

[238] ძეგლისწერაჲ წმიდისა და ღმრთივ შეკრებულისა კრებისაჲ, რომელი შემოკრბა ბრძანებითა კეთილად მსახურისა და ღმრთივდაცულისა მეფისა ჩუენისა დავით აფხაზთა და ქართველთა[1] რაჲთა და კახთა მეფისასა, ბირთათჳს რომელნი ქუემო მოჴსენებულ არიან*.

[ზეაბალი]

ყოველისაჲვე ხილულისა და უხილავისა სოფლისა და ყოველთაჲვე საკნაურთა და გრძნობადთა ბუნებათა არაარსისაგან არსებად მომყუანებელმან ღმერთმან ეხილაჳთა მათ და ზესთა სოფლისათა ძალთა ბუნებაჲ უკუდაჲებითა და უხორწნელებითა შეაჰკო; ხოლო ქუენაჲსა ამის სოფლისაგანნი ყოველნი ქმნისა და ხორწნილებისა შორის განაწესნა.

ამისსა შემდგომად მოიგონა ახალი რაჲმე და უცხოჲ დაბადებული, რომელსა თჳთ მის თავადისაცა დამბადებელისა, და სიტყჳერისა და პირუტყჳსა და ყოველისაჲვე აგებულისა ბუნებისა ზიარებაჲ თავსა შორის თჳსსა მოაჭუნდეს. და მის მიერ, ვითარცა საზოგადოჲსა საკრველისა მიერ, შეერთებად ღმრთისა შემოკრბებოდინ ყოველნი დაბადებულნი; და თანად ხუთნივე სახენი ყოველთა არსთა განყოფილებისანი დაიწსნებოდის; რომელი ვითარცა მეორე რაჲმე სოფელი მცირე დიდსა შინა, ანუ დიდი მცირესა შინა, დაადგინა ქუეყანასა ზედა, ღმრთივ შეუნიერი[2] იგი და დიდებული სამოთხე დაასხა აღმოსავალსა ედემისასა.

გარნა ვინაჲთგან მან ნივთად თჳთმფლობელისა მიცემული მისდა სჯული წინაეკუმოდ საღმრთოჲსა ნებისა იჴუმია. და შურითა

---

[1] ქართველთა AB. [2] + რაჲ B.

* სათაური ხელნაწერში სიწვრილითაა დაწერილი.

ეშმაკისაჲთა და განმცდელობითა დედაკაცისაჲთა ცთომილი ძლ[ეს]ა მისგან ცხორებისა და სამოთხისა და ღმრთისა სიბოროტისაჲთჳს ექსორია იქმნა და სიკუდილითა და ხრწნილებითა დასჯილი, ბჭეურულთა ენებათა და ძჳრთა მიერ უფლებულ იქმნა.

რამეთუ პირველად სისხლთა მიერ ძმისათა მეწაღულ მკუდრეთმან ჴელთაგან კაინ კუალად მეორისა ღმრთისა მიერისა წყევისა თანა[ვ]დებულ ყო ქუეყანაჲ.

მერმე სიბოროტემან გჳრთამან შენანებაჲ არწმუნა დამბა[V]დებელსა უცხოჲსა მის ცხოველისა კაცისა ესოდენ[1] საკვირველებით დაბადებისაჲ; და წყლითა რღუნისაჲთა აღჴოცაჲ ყოვლისა აღმდგომისაჲ პირისაგან მიწისა.

ამისსა შემდგომად, სიღალატემან ჴელყოფამან გოდლის მაშენებელთამან, შერევნითა ენათაჲთა და მიმოდაყოფითა ნათესავთაჲთა[2], მეოთხედ დასაჯა ნათესაჲი კაცთაჲ.

ხოლო გაჩინებამან კერპთა[3] სიბოროტილისამან და ნაცვალად დამბადებელისა მსახურებამან დაბადებულისამან სრულიად განაშორა და უცხო ყო კაცი შემოქმედისა ღმრთისაგან.

მერმე ღაღადებამან სოდომელთა სიბილწით სლვისამან წუნწუბასა[4] თანა აღრეულითა ცეცხლითა მოწუვად აიძულა[5] სოფლები[6] ხუთქალაქისაჲ.

კუალად გულფიცხელობასა ფარაოჲსასა და უსახურებასა მეგჳპტელთასა უცხოთა მძლავრებათათჳს უცხოჲ მიეგო მისაგებელი, და გუამთა მათთა — უცხოდ დამმარხველი[7] საფლავები.

ამისსა შემდგომად დიდი მ ო ს ე. შჯული, მღდელობაჲ, მსახურებანი, საღხინებელნი თითო სახენი, მსაჯულნი, მეფობაჲ, წინაჲწარმეტყველებაჲ, ყოფადთა წინაჲსწარი ცნობაჲ, სახის შეცვალებითნი ღმრთის გამოცხადებანი.

მერმეცა კუალად კერპთმსახურებაჲ, თჳთ მის მოსეს მიერ ეგჳპტით გამოყვანებულისა და სჯულდებულისა, და ესოდენთა პატივთა ღირს-ქმნულისა, და პირმშოდ ძედ აღსარებულისა ერისაჲ.

ამისსა შემდგომად კუალად მძლავრებაჲ, კუალად ტყუეობაჲ მრავალგზის მრავალთა ნათესავთა, და უკუანაჲსკნელ ბაბილოვნელთა მიერი, რომელთა მეფისა ღმრთის წინა-აღმდგომსა მოგონებასა საქმით ამხილეს სამთა მათ ჭაბუკთა ისრაიტელთა. რაჟამს საკრველთაჲ რჳნისათა განმლეველმან საჴუმიღმან შეუხებელად დაიცვნა

---

[1] ესოდენ] — B. [2] ნათესავთაჲთა A. [3] კერპთა A. [4] წუნწუნებასა A. [5] აძულა A. [6] სოფელი B. [7] დამარხველი A. [8] საკრველთა A.

მათნი ადვილად განსალევნელნი თმანი და შესამოსელნი, მერმე კუალად ქალაჭი და ტაძარი, კუალად სჯული და მღდელობაჲ-ისრაელისაჲ და რაოდენნი რაჲ იყვნეს სჯულისანი, და საკვრველისა მის სჯულიერისა მსახურებისანი, გარნა ვერცა ერთი რაჲ პირველ თქუმულთა ამათგანი შემძლებელ იქმნა კურნებად ბუნებისა, გინა[239]თუ მტანჯველობითა და საშინელებათა, ანუ ქველის-მოქმედებითთა სიტკბოებათაგანი, რომელთა თანა სჯულნიცა უქმ იყვნეს, ბუნებითსა ვიტყჳ და დაწერილსა, და უძლიერესი საკმარ იყო წამალი სალმობათათჳს უბოროტესთა.

ამისთჳს, თჳთ გუამოვანი იგი სიბრძნე და ძალი და თანა-არსი ღმრთისა მამიაა სიტყუაჲ, რომელი დასაბამად იყო, და ღმრთისა თანა იყო, და მარადის იყო. მოვიდა ხატისა თჳსისა და უხრწნელთა მათგან და ყოველად უბიწოთა სისხლთა ჭეშმარიტებით, და საკუთრად ღმრთის-მშობელისა მარადის ქალწულისათა ჴორცნი შეიმოსნა ჴორცთათჳს, და სულსა გონიერსა და სიტყჳერსა შეეზავა, სულისათჳს ჩემისა მაგჳსითა მსგავსსა განწმედად, რამეთუ მიუღებელი[1] უკურნებელცა არს. და თჳსისა ჭმნულისა წილ თჳთ მიითუალა ბრძოლაჲ.

და ესრეთ, ყოველივე ჴორცთა მიერი განგებულებაჲ, ჯუარისა თანა ენებათა, საფლავსა და ღმრთივ-შუენიერსა აღდგომასა, სრულ ყო რაჲ, ქუეყანასა ზედა დიდებით აღმავალმან ზეცად, წარავლინნა ათორმეტნი მოწაფენი თჳსნი, რომელთაცა მოციქულად უწოდა, რათა ღმრთის ბეცნიერებისა ნათლითა, ყოველით კერძო სოფლისაჲთ განჴადონ ბნელი უღმრთოებისაჲ, და, სახელისა მიმართ წმიდისა სამებისა ნათლის-ცემითა, ასწაონ თაყუანისცემაჲ თანა-არსისა ერთ-ღმრთეებისაჲ, და, დამარხვითა საცხორებელთა მცნებათაჲთა, კუალად აგნენ კაცნი პირველსავე ნეტარებითსა დიდებასა.

ესენი, ვითარცა შარავანდედნი მზისა მის სიმართლისანი, განეფინნეს რაჲ კიდეთა ქუეყანისათა, ყოველი ნიცთი კერპბოროტნეულისა ეღმრთოებისაჲ მახჳლითა სულისაჲთა მოჭრეს და ცეცხლითა სარწმუნოებისაჲთა მოწუეს; და ერქუნითა ჯუარისაჲთა მოითორნატნეს გულნი შეშწყნარებელთა კაცთანი.

და დასთესეს მათ შორის თესლი კეთილად მსახურისა სარწმუნოებისაჲ და მხოლოჲსა და ჭეშმარიტისა ღმრთისა მსახურებითი თაყუანისცემაჲ; მრავალთა და სიცრუვით მოპოვნებულთა ღმერთთა წილ ღმრთივ-შუენიერებით ასწაეს; და საკერპოთა. მათ წილ ტა-

[1] მიღებული B.

ქართა და პომპონთა, სიმრავლენი ეკლესი[ჴ]ათა და საკურთხეველ-
თანი აღეშართნეს ღმერთსა, ყოველით კერძო ქუეყანისაჲთ.

და სიძულილი სოფლისაჲ და მტერობაჲ ჯორცთაჲ რწმუნებსა
ასწავებს მათ, რომელთა-იგი ღმრთად შეერაცხა სოფელი და ჯორ-
ცეელთა გემოთა მძლავრებისაგდა მონად მიეცნეს თავნი; და განცო-
დებული იგი სიბრძნე ელლენებრისა სიჩქარისა ვიეთისაჲმე, სიმარ-
ტივითა ღმრთივ-სწავლულისა მათდა სიბრძნისაჲთა, რომლისათჳს
იგი პაელეს ჰბასრობდეს ათინელნი, ყოვლად სიბრძნით მზილე-
ბულ-ყვეს, და არცა ერთისა სიტყჳსა ღირსად გამოაჩინნეს მათნი
იგი ზღაპართ-მწერლობითნი ჴელოვნებანი.

და დიდისა კლიმინტოსის მიერ დასხნეს კანონნი საეკ-
ლესიონი, რიცხჳთ ოთხმეოცდაჲთნი.

რომელთაგანი ერთი, პირველ-წოდებული ანდრია, ძმაჲ თა-
ვისა მოციქულთაჲსა პეტრესი, ვიდრე ჩუენდამდეცა მოიწია და
ქადაგი საცხორებელი ქადაგებაჲ სახარებისაჲ ყოველსა ქუეყანასა
საქართველოჲსასა; და ურიცხუნი სიმრავლენი ერთანი განაშორნა
საცთურისაგან მრჩობლ ეშმაკეულებისა; და ერთისა ღმრთისაჲ და
ქრისტეს მისისა თანაარსით მათით სულითურთ რწმუნებით თა-
ყუანისცემაჲ ასწავა; დაღათუ უმრავლესმან ერმან ქართლისამან
სიმრავლესა შინა ჟამისასა დაივწყა ქადაგებაჲ იგი მოციქულისაჲ,
და საცთურისავე მიმართ კერპთაჲსა მიაქცია.

ამათისა ქადაგებისა ნაყოფად აღმოეცენნეს ყოველით კერძო
ყოველისა სოფლისაჲთ სიმრავლენი ღუაწლისა დამდებელისა ქრის-
ტეს სიკუდილსა მიმსგავსებულთა წმიდათა[1] მოწამეთანი; ვინაჲთგან
სამასნი, მცირედთა სხუათა თანა, ვიდრე მეფედ ქადაგებადმდე დი-
დისა კოსტანტინესსა შორის გარდაჰქდეს წელიწადნი, რომელი-იგი
პირველად ქრისტიანე იქმნა მეფეთა შორის და თჳთ მოციქულ და
ქადაგ საცხორებელისა ქადაგებისა, და ნათელსა თავისუფლებისასა
მიმფენელ ქრისტეანეთა[2] ღმრთივ-მუენიერისა მოქალაქობისა.

ამისთავე უკუე ჟამთა სრულიად მომზედნა ჩუენცა[3] აღმოსა-
ვალმან მაღლით და დედაკაცისა ვისმე მიერ ტყუექმნულისა, რო-
მელსა-იგი ნუნნაჲ კაპპადოკიელად აქა სადმე პოვნილ[240]ნიცა
ქადაგებენ[4] წიგნნი საეკლესიოთა მოთხრობათანი; სარწმუნოებისა
მიმართ თჳსისა მიიზიდა ყოველი საკსებაჲ ყოვლისა ქართველთა ნა-
თესავისაჲ, საკჳრველთ-მოქმედებითა ნიშებშემოსილთა სასწაულ-
თაჲთა; რაჟამს იგი ქართველთა მეფემან მირიან, მე-

---

[1] წმიდათა]—A. [2] ქ˜ ეანითა A. [3] ჩ˜ნ B. [4] ჰგებენ A.

ფეთა შორის დიდისა კონსტანტინესსა მიცვალებიდა დედ-
მისგან გამოთხოვითა მეფობისა თჳისა, ქალაქად მცხეთად შთასრულა
ვანა ევსტათი დიდი — საყდრის მპყრობელი ანტიოქიელობა-
ეკლესიისაჲ.

და წმიდათა მიერ კელთა მისთა ნათელ-იღო მან და ყოველმან ერმან ქართლისამან. და თჳთ პატრიაქთა შორის სახელგანთქმულმან ევსტათი კელითა თჳსითა შთადვა საფუძველი მაშინ სადმე მცხეთას აღშენებულისა ეკლესიისაჲ, რომელიცა ფრიადისა თანა გულსმოდგინებისა განასრულეს რაჲ მათ განწმედაჲ იგი, და კელთდასხმელ ყო მას შინა მათთჳს ეპისკოპოსი-კათოლიკოსი.

ამან საუკუნოჲ ჴსენებულმან მეფემან კონსტანტინე შეკრიბა პირველი და მსოფლიოჲ წმიდაჲ კრებაჲ ნიკეას სამას ათრევამეტთა წმიდათა მამათაჲ, რომელთა დასხნეს კანონნი რიცხჳთ ოცნი[1]; რომლისა პირველად ქმნილ იყუნეს[2] სხუანიცა აღგილობითნი კრებანი: პირველი ანკჳრიას, რომელსა დაესხნეს კანონნი ოცდათხნი; მეორე ნეოკესარიას, დამპჴმელი კანონთა ათოთხმეტთაჲ.

ხოლო შემდგომად დიდისა მის და მსოფლიოჲსა კრებისა სხუანიცა იქმნნეს აღგილობითნი კრებანი. ვითარ-იგი დანგრისაჲ, რომლისა კანონნი არიან ოც; და კჳალად ანტიოქიისაჲ, დამსხმელი კანონთა ოცდახუთთა; ამათთანა ლაოდიკიისაჲ[3], ფრიგჳისაჲ, და კანონნი მისნი — ოცდაერთნი.

ამათსა შემდგომად მეორე წმიდაჲ და მსოფლიოჲ კრებაჲ — კონსტანტინოპოლის, ასორგასისთა წმიდათა მამათაჲ, რომელთა კანონნი არიან რიცხჳთ შჳდ.

მერმე მესამე — ეფესოჲსა[4] წმიდაჲ და მსოფლიოჲ კრებაჲ, მცირისა თეოდოსი მეფისა[5] მიერ შეკრებული, რომელმან დასხნა კანონნი რჳანი.

მეოთხე — ხალკიდონს, ექუსას ოცდათორმეტ წმიდათა მამათა მსოფლიოჲ კრებაჲ, კეთილად მსახურისა მარკიანე მეფისა მიერ შემოკრებული და განმაწესებელი კანონთა რიცხჳთ[V] ოცდარჳათაჲ.

მერმე — აღგილობითი კრებაჲ კართაგენისაჲ, და კანონნი მისნი ას ოცდათრამეტნი[6].

---

[1] რიცხჳთ ოცნი] მოცემულთანი A. [2] იყუნეს A. [3] ლაოდიკოსაჲ A. [4]~ეფესოჲსაჲ მესამე B. [5] მეფის]—B. [6] ოცდათორმეტნი B.

ხოლო მეხუთემან წმიდამან და მსოფლიომან კრებამან ნიკოლაოზ შეკრებულმან კრებამან მცირედ იზრუნა საქმეთა სიოთია კანონთა განწესებისათჳს.

არამედ მეექუსემან წმიდამან და მსოფლიომან კრებამან, იუსტინიანეს ზე, კეთილად მსახურისა მეფისა, გუმბაზსა შინა საშეუფოჲსა პალატისასა შეკრებულმან, ალაგსო დაკლებული მისი, რამეთუ დასხნა კანონნი რიცხჳთ ას და ორნი.

კუალად ნიკიისა მეორემან წმიდამან კრებამან დასხნა კანონნი ათრეამეტნი.

ამისსა შემდგომად არიან სხუანიცა ორნი მასვე საშეუფოსა ქალაქსა ეკლესიასა შინა წმიდათა და ყოველად ჭეშტელთა მოციქულთასა შეკრებულნი კრებანი, რომელთა განუჩენიან კანონნი, რიცხჳთ ათშჳდმეტნი.

ხოლო წმიდასა და მეშჳდესა წმიდათა ხატთათჳს შეკრებულსა მსოფლიოსა კრებასა განუწესებიან კანონნი, რიცხჳთ საბნი ოდენ.

ამათა წმიდათა კრებათა მიერ განჩინებულთა კანონთა თანა არიან სხუანიცა თითოეულთა მამათა მიერ განწესებულნი და თანა ალრაცხულნი[1] კანონნი:

დჳთჳსიოს ალექსანდრიელ მთავარ-ეპისკოპოსისა კანონნი თთხნი;

პეტრე ალექსანდრიელთა მღდელთ-მთავრისა და მოწამისა კანონნი ათხუთმეტნი;

გრიგოლი ეპისკოპოსისა ნეოკესარიელისა საკჳრველთ-მოქმედისა ეპისტოლე კანონიანი;

დიდისა ბასილის კანონნი ოთხმეოცდახუთნი;

მისივე ეპისტოლე კანონიანი, დიოდორეს მიწართ;

მისივე ეპისტოლე კანონიანი, გრიგოლის მიმართ ხუცისა;

მისივე ეპისტოლე კანონიანი, ხორეპისკოპოსთა მიმართ;

მისივე ეპისტოლე კანონიანი მის ქუეშეთა ეპისკოპოსთა მიმართ;

მისივე, ამფილოქეს მიმართ სელევსა წმიდისათჳს მიწერილთა მათ თავოგან;

გრიგოლი ნოსელისა კანონნი რჳანი;

ტიმოთე ალექსანდრიელისა კანონნი ათხუთმეტნი;

ფილოთეოს ალექსანდრიელისა კანონნი[2], ღმრთის განმცხადებისათჳს თქუმულისაგან;

---

[1] ალრაცხულნი A. [2] კანონნი—A.

მისნიცე სხუანი კანონნი ათნი;

მისიცე ეპისტოლე, ა ფ ი გ ო ნ ი ს მიმართ ეპისკოპოსისა;

მისიცე ეპისტოლე, ა გ ა თ ო ნ ი ს მიმართ ეპისკოპოსისა;

მისიცე ეპისტოლე, მ ი ნ ა ჲ ს მიმართ ეპისკოპოსისა;

[241] კ ვ რ ი ლ ე ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ი ე ლ თ ა მთავარ-ეპისკოპოსისა კანონნი შჳდნი, გ ე ნ ნ ა დ ი წმიდისა პ ა ტ რ ი ა რ ქ ი ს ა კ ო ს ტ ა ნ ტ ი ნ ე პ ო ლ ე ლ ი ს ა და მისთანა წმიდისა კრებისა ეპისტოლე, მიტროპოლიტთა მიმართ გარემოთა სამთავროთაჲსა.

ესე არიან შეკრებანი წმიდათა და საეკლესიოთა კანონთანი, დაბეჭდულნი და დამარხულნი, თჳნიერ ყოველისა შემატებისა და მოკლებისა, და ამათი მეცნიერებაჲ და შედგომაჲ და მტკიცედ პყრობაჲ უჭმს ყოველთა წინამძღუართა ქრისტეანობითისა მადიდებლობისათა: მღდელთ-მთავართა, და მღვდელთა, და დიაკონთა, და ჩუენ შორის მოძღურად სახელდებულთა მათცა მოსაზონთა, და ერთბამად ყოველსა სავსებასა მართლმადიდებელთა ეკლესიისასა.

ხოლო ჩუენ ესე ამისთჳს მოვიჴსენენით, რათა პირველითგან პირი სიტყჳსა ჩუენისაჲ განვჰმარტოთ.

ეინაჲთგან დაჰბადა ღმერთმან დასაბამსა ხატებად და მსგავსებად თჳსსა კაცი, ვითარცა პირველ ვიტყოდეთ, რათა მის მიერ, ვითარცა საზოგადოჲსა საკრველისა მიერ, ხილულთა და უხილავთაჲსა, თავსა თჳსსა შეაერთნეს ყოველნი საცნაურნი და გრძნობადნი დაბადებულნი საბოლოებით რაჲ, საკუთარ ექმნას იგი შემოქმედსა თჳსსა.

ხოლო იგი ეგვეითარისა მის მადლთა სიმდიდრისაგან განშიშულდა ცთომისა მიერ და განდგომილთა და რისხვეულთა მონათა მონებაჲ მოატყუა თავსა, არამედ არა სახიერმანცა დამბადებელმან მისმან, რამეთუ ვითარმცა თავს-იდვა უგულებელსყოფაჲ ესოდენისა ჭელთა მისთა საქმისაჲ, რომელ არს კაცი.

არამედ უბრწნელსა შინა საშოსა ყოველად წმიდისა ღმრთის შობელისა და მარადის ქალწულისასა არღარა პირველისაებრ იჭჳსა მადლით, არამედ გუამოვნებით შეაერთა იგი თავსა თჳსსა და ზესთა ბუნებისა განაღმრთო მის მიერ მიღებული იგი და მისთანა ერთგუამქმნილი კაცი.

და რომელი-იგი იყო პირმშოჲ ყოველისა აგებულისაჲ, თავს იდვა პირმშო მრავალთა ძმათა შორის ყოფაჲ, რაჲთა სახელისა მისისა მიმართ წოდებულნი და მადლით ძმად მისსა აღსაარებულნი,

რომელი-იგი ყრმათაცა ეზიარა ჯოჯოხეთი და სისხლითა და გუემით ეძებისა მის ყოველთა[1]თავესა გამოსრიანებულნი. მუნ აღმოყვანნეს კუალად განჯოჯოხეთებითა თჳსითა, სადა იგი თჳთ არს თავი ხსნულ[1]ებისა ჩუენისაჲ; და თანა-მოქალაქე მყუანეს წმიდათა და სახლეულ ღმრთისა, და სამკჳდრებელად მისსა გამომაჩინნეს სულითა, რაჲთამს თავისა მიმართ შემოკრებულ[2] თითოეულებაჲ[3] ასოთა განყოფილებისაჲ და თჳსა მიმართ გარდაინივთოს ვითარებაჲ ყოველისა აღსუბრულისაჲ.

ვინაჲცა ამისთჳს მოგუეცნეს პირველად ბუნებითი და მერმე დაწერილი სჯული; ამისთჳს იქმნა განკაცებაჲ ღმრთისაჲ; ამისთჳს ქალწულისაგან შობაჲ, ბაგაჲ, წარგრაგნაჲ, ანგელოზნი მადიდებელნი, ვარსკულავისა სრბაჲ, მოგუთა ძღუნის-მომრთუმელობაჲ, წინადაცუეთაჲ, ნათლის-ღებაჲ, ზეცით წამებაჲ, განცდაჲ, ქოლვაჲ ჩუენთჳს და ენებანი უცნებელისანი, განცემაჲ, შემსჭუალვაჲ, დაფლვაჲ, აღდგომაჲ, აღსლვაჲ ზეცად; ამისთჳს — ქადაგებანი მოციქულთანი, სისხლნი მოწამეთანი, სწაულანი მოძღუართანი, თფლნი ღირსთა მამათანი, გულს-მოდგინებანი კეთილად მსახურთა და მორწმუნეთა მეფეთანი, წადიერებანი ღმრთის-მოყუარეთა მთავართანი, კადნიერებანი ღმრთის-სახისა მღდელთ-მთავრობისა რწმუნებულთანი, წინამბრძოლისა თჳსისა თანა სიმჭნით თანა-მბრძოლებანი მღდელთა და სამღდელოთანი, ცოდვისა მიმართ სიმჭნით წინაგანწყობანი, ნივთთაგან განწმენდულებულისა მოხაზონთა დასისანი და მათთანა ერთგმობანი ქრისტეს მოყუარისა ერისანი.

ამისთჳს იქმნნეს ქრისტეს-მოყუარეთა და ღმრთივ-დაცულთა შეჯეთა მიერ ეამად-ყამადნი კრებანი, ღმრთის-მოყუარეთა ეპისკოპოსთა და ღმრთისა საეთნო-ყოფილთა მამათანი, რაჲთა საქმეთა მიერ განსრულებულითა სარწმუნოებითა შეეერთნეს ღმერთსა ქრისტეანენი.

რომელთაჲსა კეთილად ებაძვა შურსა ჩუენიცა ესე გჳრგჳნოსანი, მრჩობლ-მარჯუენე და შეყუარებული, გჳრგჳნი თავისაჲ და სასურველი ძე დ ა ვ ი თ[4]; რომელი-ესე ერთბამად მჭნეცა არს და ბრძენ, მართალ და წმიდა, იგიეე მყუდროცა და მშჳდ, სახიერ და ტკბილ, მოწყალე და ძჳრჯსენებელ და მისგაესებულ სახიერებასა[242] ღმრთისასა, რომელი აღმოუბრწყინვებს მზესა კეთილთა და ბოროტთა, და ზრდის ყოველთა წჳმითა სწორებით.

---

[1] აღუდგინნეს B. [2] შეკრებეს A. [3] თჳთოეულებაჲ B. [4] დ'თს'ი A.

ესე ვინაჲთგან გარეშეთა ბრძოლათა შინა წინადაუდგომელ-ბით უბრძოლელ[1] და გარეშისა სახისა ქმნულებითა სულთა ჩუენთა განშესწორებად შეუძლებელ იყო, რაჲთუ კეთილ დიდ არსებათა ცა გმირი, შუენიერ არს ეითარცა სიძე, პრწყინვალე არს ეითარცა ცისკარი, საყოფიერ არს კეთილთა მიერ ეითარცა ელმოსაფალი, ყუავილოვან წარმატებათა მიერ ეითარცა სამოთხე ღმრთისაჲ. არა თაეს-იდვა, რაჲთა არა უმეტეს მოლუაწე იქმნეს განბრწყინვებად შინაგანთაცა სიკეთეთა სულისათა: ვინაჲთგან იგინი წარმდინარ, ხოლო ესენი დაუსრულებელობასა თანა ღმრთისასა-თანა დაუსრულებელ არიან.

ამისთჳს შემოკრიბა[2] კრებაჲ ღმრთის-მოყუარეთა ეპისკოპოსთა, პატრიარქთა მღდელთა და ღირსთა დიაკონთაჲ, ქრისტეს-მოყუარეთა მონაზონთა. დაყუდებულთა და მეუდაბნოეთაჲ. სახახებათა ქართლისათა, მახლობელად ორთა საეპისკოპოსოთა რუისა და ურბნისისა*; გარნა არა თუ უბიწოებასა ქართველთა სარწმუნოებისასა ბიწი რაჲმე შეხებოდა, ნუ იყოფინ ესე, არა გეცრუენეთ შენ, სიწმიდით მშობელო ჩუენო კათოლიკე ეკლესიაო, არცა განგცეთ შენ, საქადულო ჩუენო მართლმადიდებლობაო, რომლისა არცა განმცემელ ქმნილ ვართ, ვინაჲთგან შემეცნებასა შენსა ღირს ქმნულ[3] ვართ, მოწამე არს ჵ შ მ ა რ ი ტ ე ბ ა ჲ; არამედ სჯულთა საეკლესიოთა და სამღდელოთა, და საქრისტიანოთა ძეგლთათჳს, რომელთა თავ, და წინამძღუარ, და პირწმიდისა მის კრებისა იყო. ღმრთისა მიმართისა საკუთრებისა-თანა სიმშჳდითაცა სულისაჲთა ძიძგაესებული მ ო ს ე ს ი, და მსგავსად დიდისა ა ა მ ო ე ლ ი ს ა[4] წინა მლოცველი ერისაჲ და მცხებელი მაღლით სრულყოფადთაჲ ი ო ვ ა ნ ე — ყოველად ღირსი მთავარეპისკოპოსი, კ ა თ ო ლ ი კ ო ს ი** და ყოველსა საქართველოჲსა დიდი მამათ-მთავარი. და მის თანა სიმრავლე პირველ ჴსენებულთა მათ საკრებისაჲ.

[ქანონთა ტექსტი]

[უღირს ეპისკოპოსთა განკუეთა მღდელობისაგან]

[V] 1***. და პირველად ეპისკოპოსნი ვიხმე ვერ-ღირსებით შემოსრულნი პატრესა მღდელთ-მთავრობისასა და უღირსნი ქრისტეს,

---

[1] +იყო B. [2] შემოკრბა A. [3] ქმნილ A. [4] საჰოელისსა AB.

* მარჯვენა კიდეზე გასწვრივ მხედრულად: „რუისა და ურბნისა კრება დავით მეფისაგან".

** გასწვრივ მარჯვენა კიდეზე მხედრულად: „კ"ზი ათვანე ამ კრების მოქმედი".

*** ხელნაწერში ტექსტი ჴუხლებად დაყოფილი არ არის.

პირველისა მის მწყემსთ-მთავრისანი, განვკუეთენით და უცხო-ყუნ-
ნით მღდელობისაგან, ვინაჲთგან არა-ჭმიდისა შეხებაჲ სიწმიდეა-
არა-ეცთომელობა არს და მახლობელი ღმრთისაჲ მახლობელ-ქცეულ-
ლისა არს, და უკმს, რაჲთა ყოველითურთ ოქრო იყოს;

ხოლო არა კრულ ვყვენით და არცა შევაჩუენენით, ნუ იყოფინ, არამედ ლიტონთა ერისკაცთა[1]-თანა ზიარებად ფლობილ ვყვენით, უკუეთუ ოდეს ამიერითგან მმარხველ იყვნენ სიწმიდისა.

და ნაცვალად მათდა სხუანი დავადგინენით, რომლისა პასკისა-განცა და საქმეთაგან აჭუნდა წამებაჲ და კეთილად განეწუარონეს კორცნი დამარხილებად სულისა.

[განწესება სამღდელოთა ხელთდასხმისა]

2. ამას-თანა სულ-მოკლებაჲცა ჴელთ-დასხმათაჲ, ვითარცა უწესოჲ და უკანოსოჲ, დავჰჭსენით*.

და განვაწესეთ, რაჲთა ამიერითგან არღარა-ვინ[2] იკადროს ქმნად, თჳნიერ ვითარ-იგი განაწესებს კანონი[3]: რამეთუ ეპისკოპოსი ოცდა-ათხუთმეტსა წლისაჲ, მღდელი ოცდათისა წლისაჲ, დიაკონი ოც-დახუთისა წლისაჲ და წიგნის წაკითხველი რჳსა წლისაჲ ჴელთ-დასხმულ იქმნებოდინ.

ამას თანა სხუაცა უწესოჲ[4] წესი ჴელთ-დასხმათაჲ დავსწად განვაჩინეთ: ვითარმცა მასვე და ერთსა დღესა ჴელნი დაესხნეს ვის-მე წიგნის-მკითხველად, კერძო-დიაკონად, დიაკონად და მღდელად, ანუ თუ ეპისკოპოსადცა. რომელი-ესე უკუეთუ იქმნას-და სადა ამიერითგან, ჴელთ-დამსხმელი და ჴელთ-დასხმული ერთბამად განიკუეთნენ მღდელობისაგან, რამეთუ პირველად წიგნის-მკითხვე-ლად და კერძო-დიაკონად ოდენ ჯერ-არს[5] ჴელთ-დასხმაჲ, და ორისა-ვე ამისა ერთსა დღესა შესაძლებელ არს ქმნაჲ და მერმე დიაკო-ნად: და ვითარცა დაყუნეს დღენი დიაკონობასა შინა და პმსახუროს მღდელთა არა მცირედთა დღეთა, მერმეღა მოიყუანონ მღდელობად.

ხოლო უკუეთუ ეპისკოპოსობად მომაჲალ[6] იყოს, შემდგომად შჳდთა დღეთა[7][248] ჟამის-წირვასა[8] მოიყუანონ ჴელთ-დასხმად ეპის-

---

[1] ერისკაცთა] კაცთა B. [2] არღაჲნ B. [3] კანონი B. [4] უწესოჲ]—B. [5] ჯერ-არს] ჯერ არ არს B. [6] მომაჲალი B. [7] დღეთა]+მერმეღა მოიყუანონ მღდელ A. [8] ჟამის-წირვასა] წირვასა A.

* გასწვრივ ნაკლულნა ქიმეზე მხედრულად: «მღდლისა და მთავრის კურთხევა აქ იკითხეთ და ასე ქმნით წესი».

კოპოსობისა, და ამას ვიტყვთ მათთჳს, რომელთა საჭიროჲ რაჲმე ზეშე აწერაფებდეს[1], ხოლო რომელთა არცა ერთი-რაჲ აქუნდეს თანადაჲ მიზეზი მასწრაფებელად[2], მათ წელიწადი და წელიწადი წადნი დაყუნეს თჳთოეულსა ხარისხსა შინა და უფროჲს-და დიაკონობისასა, ვინაჲთგან თჳნიერ დიაკონთა სიმრავლისა, ვერაჲ მიიღებს შეენიერებასა საეკლესიოთა წესთაგანი. ამისთჳს ვამცნებთ ყოველთა ეპისკოპოსთა, რაჲთა უფროჲს-და დიაკონთა განმრავლებისათჳს მოღუაწე იყვნენ ეკლესიათა შინა მათთა.

ხოლო მოინაზონთა, რომელნი მღდელობად და ეპისკოპოსობად მომაცალ იყვნენ, პირველად სრულიად მოინაზუნად[3] დიდითა სჳემითა უბრძანებთ განსრულებასა, და ეგრეთღა მღდელობად მოსლვასა.

3. ხოლო წესი ქელთ-დასხმადთა სრულებისაჲ ეგრეთ აღესრულებოდეს. ეითარცა აბალთა შინა ქერთხეეთა ნეტარებით მოჳსენებელისა მამისა გიორგი მთაწმიდელისათა დაწერილ არს, ეგრეთვე — კერთხეეაჲ ეკლესიისაჲ, და დამყარებაჲ საკერთხეელისაჲ, და წმიდა-ყოფაჲ ღმერთ-მყოფელისა მიჰრონისაჲ, ეგრეთ სრულ იქმნებოდეს, ეითარცა მუნ-შინა მოჳსენებულ არს.

4. ხოლო ქრთამისათჳს* და საფასისა, რომელსა ჴიიღებენ ქელთ-დამსხმელნი, ქელთდასხმადთაგან, ზემოჲსთგანისა წმიდათა მოციქულთა და მამათა მოცემისაებრ, განსჩინებად ვიკადრებთ ჩუენცა, რაჲთა მოისპოს[4] ეგეეითარი-ეგი ეკლესიისაგან და აღიკოს[5] მღდელობისაგან, მაკერთხეეველისა თჳსისა თანა, რომლისა ქმნაჲ აძიერითგან ნუდარამცა-ეის უკადრებიეს, რაჲთა არა-იგიცა შეესჴინოთ, ეითარცა "შეიჴეეოს ეითარცა სჳმონ[6] მოგუ პეტრე მოციქულისაგან" და ნუმცა მიიღებენ რაჲთურთით ნუ-რა-რას, ნუ იდეს ნუცა პირველ ქელთ-დასხმისა, ნუცა თჳთ მას ქელთ-დასხმასა შინა, ნუცა შემდგომად ქელთ-დასხმისა, ნუცა ქრთაჲსა, ნუცა ძღუენსა, ნუცა ეველოგიასა, ნუცა კათოლიკოსი ეპისკოპოსთაგან, გინა ხუცეს-დიაკონთა და ხორებისკოპოსთა[7], ნუცა ეპისკოპოსნი დიაკონთაგან და მღდელთა და ხორებისკოპოსთა, ნუცა [V] რათ სხუათა სამღდელოჲსა დასისაგანთა ანუ რომელთაეე საეკლესიოთა მნეთაგან.

[განწესება სამღდელო სამკაულთა ცმარებისა]

5. მერმეცა სამღდელოთა ჭურჭელთა და ღმრთისადა შეწირულთა სიწმიდეთათჳს, რომელ არიან: ბარძიმ-ფენუჩეჲ, სამწეროებელნი და ყოველითეე ეკლესიათაჲა შეწირული და ეროგზის ღმრთი-

---

[1] აჲწრიალებდეს A. [2] მასწრაფებელად A. [3] მოინაზონად B. [4] მოსპოს A. [5] სიმონ B. [6] გინა... ხორებისკოპოსთა] — B.

* გასწერიე წარჴევით კიდეჳ ზედრულად: „ესი ქრთამ კერთხეესაჲ".

სადა მიცემული, ოქროჲ, ეკლესიაჲ, თუალი, მარგალიტი, ჭიქაჲ, ხატი, რაჲ, ნაქსოვი, სისი, რვალი, რკინაჲ, ძელი, ქვაცარ, შვაჲ, ამას განსაწმიდველსა შინა შედგომითა წმიდათა კანონთაჲთა, რაჲთა არა-ვის ჰქონდეს ჯერ-განსაწმიდველი ქმარებად მისსა არა-რად, არცა ტყუეთა საჭორად, დაღათუ ცოდიცა და ცუდად წდებარე იყვნენ და ფერჴითა დასაორგუნეელად[1] ისხნენ ეკლესიისა შინა და საშჳერჭლესა მისსა.

ხოლო უკეთე ვიწმე იყადროს ამათგანისა რაჲსაცა გარეგნით მის ეკლესიისა, და თჳნიერ მისსა ვითარ-იგი განწესებულ იყოს, და ვითარ სახედაცა სამსახურად ეკლესიისაჲ, ანუ საკურთხეველისა შვჭმნილ იყოს, სრეად რაჲცა ქმარებად, მოელოდედ ჭი უკეთ ბ ი ბ ლ თ ჳ ნ ე ლ თ ა მ ე ფ ი ს ა ბ ა ლ ტ ა ს ა რ ი ს და ა ნ ა ნ ი ა ჲ ს და ს ა პ ი რ ა ჲ ს სასჯელსა: ხოლო მუნ-ცეცხლსა საუკუნესა, განმზადებულსა ეშმაკთათჳს[2] და ანგელოსთა მისთათჳს.

[განწესება გვრგვნთა კურთხევისაჲ]

6. ამასთანა ესეცა მოვიკსენეთ, ვითარმედ თჳნიერ ეკლესიისა და საკურთხეველისა არცა ბათლის-ცემაჲ შესაძლებელ არს, არცა გვრგვნთა კურთხევაჲ, არცა მონაზონისა ეპისტოლითა გინა სქემითა კურთხევაჲ, და არცა მონაზონსა ხუცესსა გვრგვნთა კურთხევად[*] ჭელ-ეწიფების, არცა ერისკაცსა მღდელსა მონაზონისა კურთხევად.

ხოლო შემდგომად გვრგვნთა კურთხევისა პირველთა და მეორეთა ცოლ-ქმართა წმიდათა საჲდუმლოთა ზიარებაჲ უკმს მას დღესა, რომელსა იკურთხნენ უეშჳელად, არა თუ გარდარეულითა რაჲთმე[3] ბილწებითა შებღალულ იყვნენ, დაღათუ უზიარებლობითაცა განკანონებულ იყვნენ, და მერმე აღსრულებაჲ კანონისა უზიარებლობისა მათისაჲ.

ხოლო მეორ[244]ეთა გვრგვნთა მაკურთხეველი ხუცესი სამხრობად ნუ მივალს მათ თანა, სუეამცა მეორეთა ცოლ-ქმართა პირველნი გვრგვნნი ეკურთხევიან.

ხოლო სხჳებრ და არა ესრეთ მოქმედი ამათი ხუცესი უკუე განკუეთისა, ხოლო ერისკაცი უზიარებლობისა თანამდებ იყოს.

7. კუალად ამასცა განვასაზღვრებთ, რაჲთა ამიერითგან არღარა ეკურთხეოდინ გვრგვნნი[4] ჩჩჳლთა ქალ-ყმათა, არამედ უკეთეთ საჭი-

---

[1] დასთრგუნველად A. [2] ეკლესიისა A. [3] ეშმაკისათჳს Ბ. [4] რაჲთმე A. [5] გვრგვნი A.

[*] გასწორივ მარცხენა კიდეზე მხედრულად: გვირგვინთ კურთხევასა პირველსა და მეორესა ზიარება ჯერ არს.

როდ რადმე იყოს, მშობელთა მათთა[1] დიად დაუწინდნენ იგინი უფ-
თიერთას. და რაჟამს ჰასაკად მოვიდენ ორნივე, მაშინ იქორწინონ.

და ქალი ათორმეტისა წლისასა უმცროსი ნუმცა შეყოფენ კა-
ქორწინებით მეუღლისადა. ხოლო ამის განჩინებისა დამჭსნელი, თა-
ნამდებ იყავნ ზემოჭსენებულისა მის განჩინებისა.

[განწესება ჭორებისკოპოზისა]

8. კათოლიკოსისა და ეპისკოპოსთაგან ხორებისკოპოსი სჯუ-
ლისა და სალმრთოთა წიგნთა მეცნიერი გამოირჩეოდეს[2] მღდელი
ანუ დიაკონი და მიშთა ღმრთისაჲთა ეპყნებოდეს მას უბიწოდ და-
ცვაჲ ყოველთავე საქრისტეანოთა წესთაჲ, რაჲთა არა რაჲ მათგანი
განსცეს ქრთამისათჳს, არცარაჲ განყიდოს ვეცხლად, ვითარცა იუდა
უფალი; რაჲთა არა მიშთვილიცა მისი დაიმკვდროს.

[განწესება მოძღუართა]

9. შემდგომად ამათსა ამისიცა სათანადოდ ვჰგონეთ მოჭსენე-
ბაჲ, ვინაჲთგან მოძღურად წოდებულთა მათ მონაზონთაჲ ერიადი
და აღუერიცხველი არს სიმრავლე, და ერთსა მონასტერსა შინა
ხუთი და ათნი, მრავალგზის ოცნიცა და ოცდაათნი იპოვებიან. და-
დი თუ იყოს მონასტერი და მრავლისა შეოთისა და განზეთქილება-
სა მიზეზსა შემოიღებს სიმრავლე მათი, ამისთჳს განვაჩინებთ, რაჲ-
თა ამიერითგან დასცხრეს ესეცითარი ესე უწესოებაჲ.

და პირველად ამას განვასაღზვრებთ, რაჲთა უმღდელოსა არა
ჭელ-ეწიფებოდის განმკითხველობად სულთა. არა თუ ეპისკოპოსი
იყოს, ანუ მღდელი, ანუ დიაკონი, რამეთუ პირველად შეკრებისა და
განჭსნისა ჭელ[ყ]წიფებასა უჭმს ქონებად, და ეგრეთ-ღა განკითხვი-
სა სულთაჲსა ჭელ-ყოფად: ამას თანა, რაჲთა დიდთა მონასტერთა
შინა ორ-ორი, ხოლო[4] მცირეთა[5] შინა თითოჲ ხოლო კმა იყოს მოძ-
ღუარი.

და უკუეთუ ვინმე ამას განჩინებასა გარდაჰხდეს, ეჭჭველად
ესმეს მას, ვითარმედ ხოლო ჭდომისაგანთა მათ და ურჩთა ჭეშმარი-
ტებისათა და მორჩილთა სიცრუჲსათა რისხვაჲ და გულის-წყრომაჲ,
ჭირი და იწროებაჲ და შემდგომი.

---

[1] მათ A. [2] იყო A. [3] გამოირჩევოდეს B. [4] ხოლო] და B. [5] მცირათა A.

10. წესი იგი, რომელსა კრებულთა დასხმად უწესენ, ნუ-ცა კადრებულ არს ქმნად ამიერითგან, ნუცა მონასტერთა შინა შექმნაჲ სიეჯროთა ერის კრებათაჲ, ნუცამცა-რაჲ სხუაჲ სამოქალაქოჲ და სოფლიოჲ წესი ქმნილ არს მონასტერთა შინა ოდეცა, რაჲთა არა სალოცველთა მათი აღგილთა ქუაბ-ავაზაკთა შექმნიათა, სულთაცა თქუენთა საფარდულები სალმრთოჲსა სიტყჳსა მიერ დაიქცეს, ეითარცა მეცერმეთა მათ[1] ტაბლები, და წმიდათა მამათა და კრებათა მიერ განკანონებისა თანამდებ იქმნენეთ.

[განწესება ქამის-წირვისა]

11. ხოლო ერთსა საკურთხეველსა და მასვე და ერთსა წინაღაგებასა ზედა წმიდისა შესაწირაჲსასა მრავალთა სულთათჳს მრავალთა მღდელთა მიერ ქმნაჲ წმიდისა ქამის-წირვისაჲ უწესო არს და განგდებულ, რომელი-ესე ნუდარამცა სადა ქმნილ არს.

უფროჲსდა თავად საკურთხეველსა ზედა დიდისა ეკლესიისასა, საეპისკოპოსოჲსა გინა მონასტრისასა, ერთისა არავისთჳს წეს-არს ქამის წირვად აროდეს, არცა ცოცხლისა, არცა მიცვალებულისათჳს*, თჳნიერ აღდგომა და სულიაჲ საჭუენებელად განჩინებულთა დღეთაჲსა, არამედ მის ეკლესიისა მამუენებელთა და შემოქმედთა.

და ერთბამად ყოველთა სულთა[2] ქრისტეანეთა ცოცხალთა და მიცვალებულთათჳს ჴერ-არს ქამის-წირვაჲ, ხოლო ერთისა კაცისათჳს, ანუ ერთისა სულისათჳს ეგზარტერთა სადმე შინა, ანუ შტოთა ეკლესიისათა ჴერ-არს თითოეულისა ხუცისაგან ქამის-წირვაჲ.

[მწუალებელთა და წარმართთათჳს]

12. რომელნიცა ღმრთის მავნებელობითისა მის წუალებისაგან [246] ხაჩეცართაჲსა, რომელ არიან სომეხნი, მართალსა და უზაკუველსა სარწმუნოებასა მოუქცევიდინ, და წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა შეერთებოდინ, და ბიწსა მას წუალებასა ერთ-ბუნებიანთა, და ერთისა ნებისა და ერთისა მოქმედებისა ღმრთეებისაგან და კაცებისა შეზავებულისა, და არცა სალმრთოჲსა, არცა კაცობრიჲსა, არამედ შერეულისა რაჲსმე და უცხოჲსა, ქრისტეს, ჭეშმარიტისა ღმრთისა ჩუენისა, ზედა სიჩჩუტით მეტყუელთასა შეაჩუენებდენ.

---

[1] მათ] მიერ A. [2] სულთა]—A.

* განსწორეთ მარკანოზ კილეზე მზეგრაულად: „წირვის რიგი მიცვალებულთა და ცოცხალთა“.

ესრეთ განვაწესებთ მათთჳს, რაითა სრულიად ნათელ-სცემდენ ვითარცა წარმძართსა, ვინაჲთგან სხუათაცა დიდთა ეკლესიათა ებრძანებათ მოჴმედად ამისსა, ვითარ იგი არს საპატრიაქოჲ საყდარი ქრისტჱჲ, და ყოველნი მიმდგომნი მისნი ეკლესიანი ყოველისა ადმოსავალისანი.

18. კეთილად განვაწესებთ, რაჲთა არცა მართლმადიდებელი მამაკაცი მწყვალებელსა გინა წარმძართსა დედაკაცსა, ანუ დედაკაცი მამაკაცსა შეეულლნენ. ვინაჲთგან ყოველი მართლმადიდებელი ტაძარი არს ღმრთისაჲ, დამკჳდრებულისა მის მიერ სულისა მისისა ჩუენ მორის; ხოლო ყოველი ბოროტად მადიდებელი, ანუ ყოველად არა-მადიდებელი[1] ტაძარი არს ეშმაკისაჲ*: ხოლო ვითარმედ არცა ერთი ზიარებაჲ არს ტაძრისა ღმრთისაჲ კერპთა თანა, ვითარ-იგი ბნელისაჲ ნათლისა თანა — მოწამე არს საღმრთოჲ წოდებული.

ხოლო რომელმან ამიერითგან იკადროს-ღა ქმნაჲ ამათი, განიკანონოს იგი პირველ თქუმულითა მით კანონითა.

[გჳრგჳნთა კიდეს-კიდე კურთხევისათჳს]

14. ვინაჲთგან ესეცა ეწესოებაჲ მრავალთა მიერ აღსრულებულად გუესმა, უფროჲსცა დიდთა ვიეთმე და წარჩინებულთა და არა ლიტონად კაცთაგან ქმნილად, რომელ არს კიდეს-კიდე და არა ერთგან კურთხევაჲ გჳრგჳნთაჲ ჭორწინებით ერთ-ჴორც ქმნადთა მეუღლეთაჲ, ვითარ-იგი ჰყოფენ უსჯულოებით დედაკაცისასა უკუე სხჳსა ვისმე უკჳრთაჲსა მამაკაცისა თანა კურთხევასა; ხოლო მამაკაცისასა მამაკაცისაჲვე სხჳსა თანა, რომლისასა რაჲმცა იყო სხუაჲ[2] უეწესოესი და უსაცინელესი; ანუ არა ყოველითურთ მსგავს არსა, მარკოზის მწყვალებელთა მიერ მკუდრისა-წილ ნათლისცემასა ცოდ[V]ნეალისასა! რამეთუ ესე ერთგან კურთხეულნი მამაკაცი და[3] დედაკაცი ნუუკუე[4] შეირაცხნენ სახეჲარ-მცირეშედ ცოლ-ქმრად. ვინაჲთგან სხჳსაჲ იქსენების სახელი, და სხუაჲ წარმოდგომილ არს მუნ; ხოლო თრთა მით ერთგან კურთხეულთა მამაკაცთათჳს რაჲ ვინ მოიგონოს სახელი, გარნა თუ ვიმე ვრცელითა სიცილითა განბასროს ესეგითარი ესე სჯულისა, და კეთილისა წესიერებისა ჩუენისა, და კაცობრიჲსა ქცევისა, და ჩუეულებისა გარეგანი უსჯულოებაჲ.

რომლისათჳს ამას განვასაზღერებთ: რომელნიცა მოაჭამდე ესრეთ კურთხეულნი ყოფილ არიან და გარდასრულ არიან, იგინი ჩუნ-

---

[1] არმადიდებელი B. [2] სხეაJ—B. [3] დაJ—B. [4] ნუეკუJ—და B.

* მარჯუენა კიდეზე გასწორებ მხედრულად: „სომეხთ ამბავს ეოგახსენებს".

დობილ არიან უმეცრებისათჳს; ხოლო უკუეთუ აწ სადმე იპოვნეს[1] ვინმე გგუეთაერნის, ივიხი სჯულიერად ცოლ-ქმრად ნუმცა შეჰრიხვალ ცხილ არიან.

ამიერითგან კელა ნულარამცა ვისგანმცა[2] კადრებულ არს ქმნად ამისა. და უკუეთუ იქმნას სადა, ოთხნი იგი კურთხეულნი და ორნი მაკურთხეველნი მათნი ხუცესნი, — ექუსნივე განიკანონნენ[3].

[განჩინება სოდომური ცოდვისათჳს]

15. მერმეცა ღმრთის-მოძაგებულისა მის და ღმრთის-განმაძწარებელისა, ცოდვათა-უბიწოსა სიძაგელებისა სოდომელთაჲსა, რომლისაჲ არა უწყით[4], თუ ვითარ შეეთჳსა იგი უბიწოჲსა ამას ნათესაესა და სრულიად განაშორხა და უცხო-ყუნა ღმრთისაგან, ვეთანაცა პოა თავისა მისადრეკელი.

ამას განვახაზევრებთ სიტყუთა ღმრთისაჲთა და საბოლოქულოჲთა ჴმითა[5] და მამობრივითა განჩინებითა: დაღათუ მრავალგზის ქმნილ არიან მრავალთა ნათესავთა მიერ მრავალნი და რიცხჳსა მძლეუნი ცოდვანი, ვითარ იგი: მტერობანი, შურნი, სიძულილნი[6], კაცისკლვანი, მრუშებანი, ცრუ-ფიცებანი და უკუანაჲსკნელი და თავი ყოველთა ბოროტთაჲ — კერპთ-მსახურებაჲ, და თაყუანისცემისა შეცვალებაჲ დამბადებელისაგან[7] დაბადებულთაჲ მიმართ, გარნა არცა ერთისა მათგანისათჳს აღძრულ არს აღტჳრველი იგი, ვითარცა თჳთ იტყოდა აბრაამის მიმართ, ვითარმედ დალადებაჲ სოდომისა და გომორისაჲ[8] მოიწია ჩემდა და გარდამოვჴედ ხილვად[9], უკუეთუ დალადებისაებრ ძახილისა არიან საქმენი [246] მათნი; რომლისა შემდგომად იხილეთ თუ რაჲ იქმნების, და თუ ვითარ სივანისჯე საძსახურად კაცთათჳს დაბადებულნი[10] ღმრთისაგან, წინაუკუმო ბუნებისა თჳსისა, შესცვალებენ ბუნებითსა ძალსა თჳსსა, და უცხოჲსა ცოდვისა აღსაჴოცელად უცხოსა მოიპოებენ მოქმედებასა.

რაჲთუ ბარადის აღმართ მოძრავი და სუბუქი ბუნებაჲ ეთერისა ცეცხლისაჲ, ვითარცა ზრჴელი რაჲმე და მძიმე, დაღმართ ჰყოფს დაბოდინებასა და, სახედ მბაფრისა წჴმისა, საშინელებით ბჭქეფროჲს[11] აღრეკილი წუნწუბასა[12] თანა, მრისხანედ განსალევნელად უკუეთერთა მათ სიბილწეთა მრავალითა კაცთა.

---

[1] ციხე ცგუეთარნი] ვსცეთარნი ვიხე B. [2] ვისგანმცა] ვისცა B. [3] განიკანონნენ A. [4] უწჯი B. [5] ჴ'თა A. [6] სიძულილი B. [7] დამბადებისაგან A. [8] გომორისაჲ B. [9] ბჩქეფროჲს B. [10] წუნწუბასა A.

[1] შდრ. შეად. 19, 27—28.

ხოლო წყლიერი და თხელი ყოფერული ბუნებაჲ პაერისაჲ, მიზეზი ცხოველთა აღმოფშვნევისა და სიცოცხლისაჲ, სიზრქედ აღმოსრულისა[1] ქმნისა, და ფერად ჭელით საძიებელისა ბნელისად, დაბნელებისა თობელად კუამლად, სასწაულად რისხვისად. შესცვალებს თავსა თჳსსა მათ ზედა.

ამით თანა ქუეყანაჲ, მყარი და მტკიცე და მტჯრთველი სიმძიმესა მას ზედა მდებარეთა გუამთასა, ვერღარა იტჯრთავს სიმეტგრესა ბილწებათა მათთასა, არამედ პირველად შესძრავს საფუძველთა თჳსთა და სიღრმით იატაკთა თჳსთაჲთ აღმომდუღარე, პაერად აღმოიხუამს[2] სიღრმეთა საფუძველისა მათისა სიმტკიცეთასა; და მიწად გარდამოიხუამს სიმაღლეთა გოდოლ-ტაძრებისა მათისა სიმაგრეთასა.

მერმე განაღებს ვიდრე მუნ-ეამადმდე განუღებელსა პირსა და თანად-ქალაქებითურთ და სახლებით შთანთქამს[3] არღარა კაცებსა, არამედ დამწურებსა რასმე ძუალებსა, და ოდესმე ყოფილთა კაცთა საწყაღლობელსა ნეშტებსა.

ხოლო წყალი იგიცა ულხოდ იბიღვების შეცვალებულად მათთჳს და არღარა საშუებელად და საჭმრად, არამედ, სხუათა ნივთთაგან დამშთომილსა ნეშტისა მათისა აღსაწოცელად პირსა ზედა მათეულისა ქუეყანისა, უფროჲსღა საფლავ მათდა ქმნილისა ჯოჯოხეთისა, იბიღვების მოდონებელად, [V]ეგოდენ შეცვალებული სხუათა წყალთაგან ბუნებითა, რაოდენ[4] იგინი სხუათა კაცთა მჰატჟენ[5] ბილწებისა გარდარეულებითა.

ამან უსჯულოებამან ასურასტანელთა იგი უმრავლესთა ნაწილთა ქუეყანიჲსათა დამპყრობელი მეფობაჲ ტკუედ წარუტკა საბარსთა და მიდთა და სრულიად აღმოჰფხურა ქუეყანით საკუსენებელი. არა ხოლო მეფე და მძლავრი, არამედ კაც-ყოფისაცა მათისაჲ.

ამან ცოდვამან დიდი იგი და ყოველით-კერძო ქოველისა ქუეყანისაჲთ ჴმა-განსმენილი ნათესაჲ სომეხთაჲ, მეფობითურთ და მთავრობით მათით, არა ოდენ დაამდაბლა და დაამჭუა, არამედ სრულიად აღგილო კაცთაგან სახელი მათი, რომელთაჲ ვერვინ პოოს დღეს ერთიცა მეფე ანუ მთავარი, მჭონებელი დაუმონებელისა თავისუფლებისაჲ, დაღათუ ყოველიცა ვინ პირი მიწჩისაჲ მოიხილოს[6].

ამან ბილწებამან საბარსთა იგი მალალი, და მარადის ჰრომთა მეფობისა მჭლობა-ფლობაჲ, მკეცის ბუნებათა ვიეთმე კაცთა ავაზაკე-

---

[1] აღმორისა B. [2] აღმოაჭვემს A. [3] შთანსთქამს AB. [4] რაოდენ A. [5]—ჰმატებდეს სხუთა კაცთა B. [6] მოიხილოს A.

რითა ზედა-მოსლვითა, მიწადმდე დამდაბლებულიყო, და ვიდრე მოაქამდე მძლავრებისა მათისა მორჩილ ყო.

ესე არა ეწყოთ, თუ ვინაჲ უკეთურებით შემოეხრწნა[1] მოსახელისაცა[2] ქრისტეს ქრობასა ეროსასა. რამეთუ რაჲ ზიარებაჲ იყო ბელიარისი ქრისტეს-თანა და, ჭელსა უცხო თესლთასა მიცემით დაჰსარულ მახჳლისა მათისა ქმნითა, სეშტნი ოდენღა დამიტევნა ისრაჱლისანი, რომელნი უკუეთუ ვევგნეთ-და მასვე უკეთურებასა ზედა. ოჲ ჩემდა. დავიდუმო ძნელ-სიტყუაჲ, რომელი ყოველთადა ცხად არს. დაღაცათუ ჩუენ ვჰრიდოთ.

ამისთჳს ვამცნებთ ყოველსა დიდსა და მცირესა, მდიდარსა და გლახაკსა, მეფესა და მთავარსა, აზნაურსა და მდაბიოსა, მღდელთა და უმღდელოთა, მოწესეთა და ერისკაცთა, ბერთა და ჭაბუკთა, და შუა-კაცთა ყოველსა პატივსა და ყოველსა წესსა და ყოველსა ჰასაკსა განყენებად ამის ენებისა უფროჲს-და საძაგელისა ბილწებისა.

და ესრეთ დაუმტიცებთ. სახელითა _უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა: ყოველმან სულმან ქრისტეანემან მართლმა[247]დიდებელმან, ამათ სიტყუათა მსმენელმან, რომელმან შემდგომად ამის ე გ ლ ი ს ი წარკითხვისა, არა იჴმნას ბილწისა მის სოდომურისა ცოდვისაგან და, არა ხოლო საქმით ქმნისა მისისა, არამედ რეცა ლაღობით ფერებისა და სიტყჳთ თქუმისა, რათაცა სამისოთა და მისთა დამსახველთა სიტყუათა. და საქმეთაგან, უეჭველად მოიწროს მის ზედა ამას უკუე საწუთოსა სამინელი რაჲმე და ცოცხლივე ჯოჯოხეთად შთამჭდელი რისხვაჲ, მსგაესად წუნწუბასა[3]-თანა აღრეულისაჲ მის სოდომელთა ცეცხლისაჲ.

ხოლო მუნ-იგი მიმთუალველ ექმნეს მას, რომელი ვალს წერაშე პირსა უფლისასა და შესწუევს გარემოჲს მისსა მტერთა მისთა, ვინაჲთგან სიყუარული ჯორცთაჲ მტერობაჲ არს ღმრთისაჲ. და რომელმან განბრწყინას ტაძარი ღმრთისაჲ, განბრწყინეს იგიცა ღმერთმან. და ამას თანა და ჩუენგან, უღირსთა მონათა სალმრთოჲსა მოწყობისა ღირს-ქმნულთაჲსა, ჰი ჩუენდა[4], არღარა კურთხევაჲ, არამედ კდემაჲ და მხილებაჲ დაიმკჳდროს საუკუნოჲ.

16. ხოლო ვინაჲთგან მიზეზად ურთიერთას პატივით თაყუანისცემისა ჩუენ შორის მყოფი ხატებაჲ ღმრთისაჲ აღსაარებული და ქადაგებულ არს დიდთა მოძღუართა და მამათა ჩუენთაგან, ცხად არს, ვითარმედ თაყუანის-მცემელი ხატისა ღმრთისაჲ ღმერთსა თაყუანის-სცემს მის ჰიერ, მაგინებელიცა სალმე ხატისა ღმრთისაჲ ღმერთ-

---

[1] შემოიხრწნა B. [2] მოსახელისა B. [3] წუწუნებასა A. [4] ჩემდა B.

სა აგინებს ცეცხლად, ვითარცა წმიდათა შორის დიდი ბრძოლი ესრეთ დაწერა ამას.

ამისთვს გაბედავსებლებთ, რაჲთა ესეცა ღმრთის-შემწყნარებელი და ღმრთისა შეურაცხისმყოფელი ცოდვაჲ სრულიად მოისპოს ყოველისაგან ენისა და ნათესავისა ჩუენისა.

და რომელმან ამიერითგან შეაგინოს-ღა სული, გონებაჲ და პირი თჳსი ფსახურითა[1] გინებითა, ზემოწერილისა ამის თანამდებ იყოს იგიცა განკანონებისა*.

IV | მეფესა დავითს მოწამეთნი არასენი

ამათდა მოძართ რასა იტყჳ, რომელსა ჰსიბრძნის ჰმოყუარეს შენ უცროჲსად ბრწყინვალეო თუალო ყოველისა სოფლისა მეფეთა ერთგუამობისაო!

რომელი ეგე ჰაეროვან ხარ, ვითარცა სამყაროჲ ხილულისა სოფლისაჲ შორის;

საჩინო, ვითარცა მზე ვარსკულავთა შორის;

ბრწყინვალე, ვითარცა ეთერი ნივთთა შორის;

სათლის-ფერ, ვითარცა ელვაჲ ღრუბელთა შორის;

ცისკრითეან, ვითარცა აღმოსავალი კერძოთა შორის;

ტკბილ, ვითარცა არე ქამთა შორის;

ღმრთის სახე, ვითარცა სიყუარული კერძოთა შორის;

გულის სათქუმელ, ვითარცა ოქროჲ მიწათა შორის;

ელვარე, ვითარცა ჯაჭინთი ქვეთა შორის;

ძალიელ, ვითარცა ფინიკი ნერგთა შორის;

წუენიერ, ვითარცა ვარდი ყუავილთა შორის;

აღმატებულ, ვითარცა საძოთხე ქუეყანისა შორის;

ძლიერ, ვითარცა ლომი მჭეცთა შორის;

მტკიცე, ვითარცა ანდამატი განუკუეთელთა შორის;

სახელგანთქმულ, ვითარცა ნებროთ გმირთა შორის;

აზოეან, ვითარცა ისო წინა მბრძოლთა შორის;

მოშურნე, ვითარცა ფინეზ მღდელთა შორის;

მჭვრე, ვითარცა სამფსონ მსაჯულთა შორის;

ჭაბრძოლელ, ვითარცა აქილლეე ელლენთა შორის;

ბრძენ, ვითარცა სოლომონ მეფეთა შორის;

მშჳდ, ვითარცა დავით ცხებულთა შორის;

---

[1] ფსახრითა A.

* შეგჳწო კიდუჱ ნუსხა-ბეცეურით: „იესო ქრისტე შეიწყალე სული ერისაჲ ცოდვილისა მთხე ღმრთისა ტფილელ-ალაზნელ-“.

შეურის-მეძიებელ, ვითარცა იოსია შარავანდედია შორის
უშიშართ, ვითარცა მაკედონელი მეფეთა შორის
განმადიდებელ ფლობისა, ვითარცა აგვუსტოს კესარიასა
შორის;
ქალთმოყუარე, ვითარცა ჩემი იესე ღმერთია შორის;
ბუნებით ღმერთი, მადლით ღმერთ-ქმნულია შორის;
მწყერვალე, ვითარცა პეტრე მოწაფეთა შორის;
საყუარელ, ვითარცა იოვანე მეგობართა შორის;
მკვრცხლ, ვითარცა პავლე მოციქულთა შორის;
სახე-დაბადებ ეკლესიისა ქრისტეანობისა, ვითარცა დიდი
კოსტანტინე თჳთმპყრობელთა შორის;
სიმტკიცე კეთილად მსახურებისა, ვითარცა თევდოსი სკიპ-
ტრის მპყრობელთა შორის.

[ჯ16]სათნო უჩანან ესენი მუედროებასა შენსა; განსუენებულ არს ამათ ზედა სიბოროტისა სულთაჲ მდევნელი დავითიანი სული შენი, რომელნი ესე აწ ძლუნად მოგართუნა შენ მწყობრმან შენთა ამათ ნაზირეველთა სიმრავლისამან, რათა შენ მიართუნე ესენი ღმერთსა და მოწყალე ჰყო ამათ მიერ წყალობის მოყუარე უფალი, რომელ მოსწრაფებით შემოკრებაჲ უბრძანე შენ, და დიდისა ამის და ღმრთისაჲ საქმისაჲსა წარმართებისა თანა შეუმდგომელად ღმრთისა მიმართ მიიგენ, ვითარცა საკეთარნი მონანი, რაჲთა რომელიმე ღმრთისა საქისა მდდელთ-მსახურობისა მიერ მახლობელ ეგჳნებოდის შენთჳს ღმრთისაჲ; ხოლო რომელიმე მდდელთ-შეუნიერითა მეოხებითა შეესაყეთრებოდის დამბადებელსა; სტუასა სულთქუმანი მოაქუნდეს, სხუასა განდნობაჲ ცრემლთა, სუასა დაბე-ყოველობითნი მღუძარებანი, სხუასა კმელ-სარეცლობაჲ, სხუასა რაჲთურთით არაბას ჭონებაჲ კეთრისასა ყოველსავე ღმრთისასა, ბოლოდ ჭორცთა ოდენ და მათცა მარხვითა განლეველთაჲ; სუასა სიტყუაჲ, დიდებაჲ ძლიბალი და უხდისაჲ, გარნა არავე უერმოჲ, არცა ეშუსიკელოჲ მოძზიდველ ყოფად სწენისა, ამის თანა შემსგავსებულიცა ძალსაჲ, ყოველთა ვედრებაჲ, ყოველთა ლიტანიობაჲ, ყოველთა ერთჳნობაჲ; ვითარმედ დავით კეთილად მსახურისა და ღმრთივდაცულისა მეფისა ჩუენისა მრავალმცა არიან წელიწადნი.

[მოსავსენებელი]

კეთილად მსახურისა და ღმრთივ-დაცულისა მეფისა ჩუენისა გიორგი მეფეთა მეფისა და ყოვლისა აღმოსავალისა და დასავალისა კესაროსისაჲ, მრავალმცა არიან წელნი.

კეთილად მსახურისა და ღმრთის-მოყუარისა დედოფლისა ჩუენისა მართა იელუსტრიანისნი, მრავალმცა არიან წელნი.

დავით ღმრთის-მსახურისა და ღმრთის-დაცულისა ბაგრატოვანისა ჩუენისა ამბანი ქართველთა, რანთა და კახთა თჳთმპყრობელისა, მრავალმცა არიან წელნი.

წმიდისა დედოფლისა და ღმრთის-სულიერისა დედისა ჩუენისა, [V] მარიამ მონაზონისა, საუკუნომცა არს ჴსენებაჲ.

ითვანე წმიდისა მთავარეპისკოპოსისა, ჩუენისა კათოლიკოსისა და ყოვლისა საქართველოჲსა ყოვლად ღირსისა მამათა-მთავრისა, მრავალმცა არიან წელნი.

წმიდისა ბერისა და სულიერისა მამის ჩუენისა ევსტრატი მონაზონისა, მრავალმცა[1].

ღირსისა მეუფისა ჩუენისა და თუალად წმიდისა ამის კრებისა ცნობილისა გიორგი მონაზონისა და მწიგნობართა უხუცესისა, მრავალმცა[2].

ყოველად ღირსთა კრებისა ამის ყოველთა მამათა მღდელმთავართა, მღდელთა და მონაზონთა, მრავალმცაა[3].

სჯულიერისა მოლუაწისა არსენი მონაზონისა კალიპოსელისა, მრავალმცა[4].

ყოველნიმცა მართლმადიდებელნი კერთხეულ არიან, ყოველნი მწუალებელნი შეჩუენებულ არიან.

კეთილად მსახურთა და მართლმადიდებელთა პირველ აღსრულებულთა სანატრელთა მეფეთა ჩუენთა, საუკუნომცა არს ჴსენებაჲ და კურთხევაჲ მათი*.

სანატრელთა და წმიდათა კათოლიკოსთა და ნეტართა მღდელმთავართა და მღდელთა, საუკუნომცა.

საუკუნოჲსა ნეტარებისა ღირსთა და დიდთა მნათობთა ჩუენთა ეფთჳმი და გიორგი მთაწმიდელთაჲ, საუკუნომცა.

ღირსთა მამათა ჩუენთა დავით ტბელისა და სტეფანე სანანოჲს ძისაჲ, საუკუნომცა[5].

დაუსრულებელისა ნეტარებისა მკჳდრთა, ბერთა ჩუენთა. საბა სულაჲს ძისა და ანტონი ტბელისა და ეფრემ

---

* იქ. ქუემო კიდეზე გვიანდელი ხელით მიწერილია პარმოთავრულით: „ილარიონ-ქ“.

[1] მრავალმცა] საუკუნომცა არს ჴსენებაჲ და კურთხევაჲ B. [2] მრავალმცა] საუკუნომცა არს ჴსენებაჲ B. [3] მრავალმცაა] საუკუნომცა არნ B. [4] მრავალმცა] საუკუნომცა არს კურთხევაჲ და B. [5] +არს ჴსენებაჲ B.

მცირეთასაჲ და არსენი მონაზონისა იყალთოელისაჲ საუკუნოჲ[1].

ლირსებით მოკუნებულთა მამათა, ეფთჳმი გრძელისა, იოვანე რეხუელს ძისაჲ შვილითურთ, მიქელ ჭყონისაჲ და გიორგი ბერისაჲ საუკუნომცა[2].

კუალადცა ეტყჳთ:
ყოველნიმცა მწუალებელნი შეჩუენებულ არიან.
ყოველნიმცა მართლმადიდებელნი კურთხეულ არიან.
ყოველთა მართლმადიდებელთა წელნიმცა მრავალ არიან.
ყოველთა მართლმადიდებელთა საუკუნომცა არს კსენებაჲ.
ყოველნი მწუალებელნი საუკუნოდმცა შეჩუენებულ არიან.
ყოველთა მწუალებელთა, საუკუნომცა არს წყევაჲ და დაუსრულებელი შეჩუენებაჲ*.

7. [ᲘᲝᲐᲜᲔᲡ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲠᲘᲡ ᲠᲘᲒᲘ ᲒᲐᲮᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲐᲛᲐ ᲡᲕᲘᲛᲔᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ]

[XII ს. (?)]

... ვითარცა ქრისტეს ღმრთისაჲს[3] დედოფლისა ღმრთისა მშობელისაგან გამორჩეულ არს თქუენდა წინამძღურად მოვლინებულისა, ჰნებავს ღმერთსა და საწინამძღურო კურთხეჳა ჴელთა მიეცით და საჭდომსა და პატივსა დაისუას და იყოს უცვალებელად; და არა თუ გამოჩნდეს მის თანა საქმე წუალებაა, მონასტრისა ორგულებაა, ანუ მეფეთა ღალატი და რჯულისა შეცოდებაა.

თუ მას ეაე არა სჭირდეს, დაემორჩილოს ყოველი, ვითარცა ქრისტესა ღმერთსა; და ვითარცა თჳთ ღმერთსა ეერვინ იკადრებდეს უნებელსა[4] მისსა.

ვინცა იკადროს, წინაალმდგომი არს ღმრთისაჲ[5], ვითარცა თჳთ თავადი ღმერთი ბრძანებს[6], ვითარმედ: «რომელმან თქუენი არა ისძინოს, ჩემი არა ისმინოს; და რომელმან თქუენ შეურაცხყოს[7], მე შეურაცხმყოფსაჲ**. და მოციქული იტყჳს[8], ვითარმედ: «დაემორჩილენით წინაჳძღუართა თქუენთა და ეტყოდით ყოველსა საქმესა».

ეგრეთვე უჭმს წინაჳძღუართა ღმრთისა[4] მიერ ვამორჩეულთა შწყემსაა და მოძღუარსა მათსა.

---

[1] საუკუნოჲ] საუკუნომცა არს წსენებაჲ და კურთხეჳაჲ B. [2]+არს წსენებაჲ და კურთხეჳაჲ B. [3] წ(ა). [4] უნებლი(ა)სა. [5] ღ(ა)სა. [6] ბრძანებ(ა)ს. [7] შეურაცხყოფ-ყოს. [8] იტყჳ(ა)ს.

* ჭყონის კოდეზე ტექსტის ხელით: «დიდება ღ(მრ)თ(ი)სა ყო(ველ)ს(ა)».

** შდრ. ლუკ. 10,16.

ეგრეთვე დეკანოზი მოაკლდეს. შეკრბენ ძმანი წინაშე მამისა და წინამძღურისა და მოძღურისა და გამოარჩიონ იგ[ი]ვე წმიდაჲ ცხოვრებაჲ, რომე ზემო სწერია, ისრე იმას დააყენებს.

და პატივი ორი დეკანოზისა, რომე ღმრთის-მოშიშებითა მს[ა]სურობდეს ეკლესიათა. ეკლესიასა შინა შემაელად, დადგომად ეუბნებოდეს: და ანუ შინა შევა და ლოცვასა იზემებს და სხჳათა ეუბნების და ღმრთისა[ჲ] წინაადმდგომთა და შეურაცხის-მყოფელთა თანა დაისჯების.

ესრეთ ეკლესიად შესრულთა ეუბნების, მათ ლოცვა ჰგონია და ლოცვა არა არს. სოფლითა და კორც[ი]ელთათჳს მოსრულან და ყოველთა ზრახვენ და ეუბნებიან. და ესრეთ იქმნების ღმრთისაგან რისხვა, ზრახვითა და უწესოდ დგომითა ეკლესიათა. გ[ა]ნიდევნოს და იკონ[ო]ი არა მიბუდეს ძმათაგან სამ დღე; და ეკლესიათა კართა მდგომ[ა]რე იყოს სამ დღე და შენდობასა ითხოვდეს ყოველთა ძმ[ა]თაგან სამრთო[თა] კრებულთა. ძმანი შენდობა მისცენ, მწუხარი და იკონ[ო]ი მისცენ.

დეკანოზს მეტისა კაცისაგან საუბარი არა იკადრების, მანც[ა][1] თუ დაჭირება იყოს.

ვინცა ლოცვა მოშ[ა]ლოს, განიკანონოს მოძღურისაგან.

წინამძღურისა, მოძღურისა და დეკ[ა]ნოზისა ჭელთა არს ეკლეს[ი]ისა საქმე და ძმათა სულიერთა. ამათ სამთა ჭელთა არის ეკლესიისა საქმე, რაჲცა დააკლონ, ღმერთმან მ[ა]თ ჰკითხოს.

ეს[ე] გ ა ნ ა ჩ ე ნ ი შე, მ ა მ ა მ ა ნ ს ჳ მ ე ო ნ[ს]...* ხოლე გაეახ[ი]ნე, ვინცა ეს[ე] ზემო წერილი გაათაოს და ისმინოს, ღმერთმან მისი ლოცვა ისმინოს.

დიდმან ანუ პატარამან რამანცა კაცმან მოშ[ა]ლოს: ანუ დიდებულმან, ანუ აზნაურმან, ანუ მოლაზონმან, ანუ ძმათაგანმან დაუჭირებელად მოშალოს. ამა სოფ[ე]ლსა შერკხუეენითა და საკუდილითა ჰკითხოს და საუკუნესა წარწყმედითა ჰკითხოს სულსა მისსა, ამინ.

8. [დაწერილი შიომღვიმის არეგუღისა ტოხაჲსძეებისადმი]

[1190—1204 წწ.]

... აღმსარებელთაჲთა, და ყოველთა ღმრთისათჳს მოღუაწე ნათელთაჲთა, რომელნი...** სათნო ეყუნეს ღმერთსა და უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა, და ამათ ყოველთა-თანა წმიდათა შამათა: იოანე, შიო და გეაგრესითა, რომელთა მადლითა ესე ყოველი იქმნების.

---

[1] ღირს. [2] ჩჩრგს. [3] ღირსი. [4] შჩრკა. [5] მამამან საქართველოს სრნ.

* აქ სამი ასო არ იკითხება.

** ერთი სიტყვა არ იკითხება.

ესე დაწერილი და სომხურად და[გე]წერეთ და მოგვესენეთ ჩუენ, მღვდისა ლავრ[ის]ა კრებულმან ძლიერმან და ცუძლურმან, მ[ე]მდვიმეშან] ბ[ა]ს[ი]ლი]...*, მ ნ ა თ ე მ ა ვ ი ხ ა რ თ ე ვ ა ქართულად ქ ო ლ ო ზ და ყოველმან კრებულმან მა[მათა]...** სრულებითმან თქუენ, ტოხ[ა]ძეთ: იოანეს, ნიკოლოზს და ნიქნიას და ყოველთა მომავალთა [თქუენთა და]...** ნათესავთა მეუკუნისამდე.

და უ[კუე]...** საწირველად გბოძებოდა სიგლახა [მკვდრა]დ...** კვრიაკე კახთა მეფისაგან და ჩუენცა მოგეცით და მოგაჭსენეთ სამამულოდ და მკვდრად.

ამად რომე, თქუენისა გუარისა მოძღუარი ყოფილყო კვრიაკე კახთა მეფისა ბასილი ტოხაძეს; და მას მისითა მოძღურებითა შემოეწირვინა წმიდისა მ ი ო ძ ა თ ჳ ს რჩევით მთათა შინა ღ ა თ თ ი და ბართა შინა რ უ ე თ ი: და გაეჩინა მისისა სულისა სამლოცველად ერთი ფუძე გლეხი დათს — ე ა კ შ ა მ ა ი ს ძ ე და რ უ ე თ ს — უ შ ი შ ა რ ა ძ ე...* ებოძა სამამულოდ ჭიწა მწირე...* გომთა ჰმარილს...* და ჩუენ...*ს[მწირ]ველად მით ორითა ფუძითა...*

და გქონდეს ჩუენგან[ა] შეუვალად[1], [ვითარ]ცა გიხდეს, ეგრეცა იმსახურებდით; და ედვას [ღ]ლად ნაოთხალი თქუენთჳს მოსახუედრებელად; და რაჲზომიცა მსახური გიხდეს, მუნით იმსახურებდით.

და არაოდეს რაჲ საქმე გუედვას არცა ჩუენ და არცა ჩუენთა შემდგომთა, თჳნიერ ამისგან კიდე რომე, ოდესცა მივიდოდეთ, ძლუენი მოგერთმოდეს.

სხუად გიბედნიეროს ღმერთმან თქუენ, ტოხაძეთა და თქუენთა მომავალთა კვრიაკე კახთა მეფისა სამწირველად, მისითა მიმდგომითა შინაითა და გარითა.

უკუეთუ ხუცესი არა იყოს, ტ[რაპე]ზი] გარდაიჭდებოდეს კვრიაკე კახთა მეფისათჳს.

აწ [გიბედნიე]როს ღმერთმან თქუენ, ტოხაძეთა იოანეს, ნიკოლოზს და [ნი]ნიას და ყოველთა ძმათა და შვილთა და მომავალთა მი[სთა] და [უკუნითი] უკუნისამდე ეროგულობასა შინა წმიდისა ამის [უდაბ]ნოჲსსა.

და აწ სრული არს დ ა წ ე რ ი ლ ი ესე ჩუენგან და შემდგომთა ჩუენთაგან.

---

1 ... შეუვალად.

* აკლია ერთი-ორი სიტყვა.

** აკლია ორი-სამი სიტყვა.

მოწამენი და დამამტკიცებელნი ვართ ამას დაწერილსა ზედა ბასილი მემღუიმე, ლუკა წილკანელი, ნიკოლოზ მნათე და ერთობით ყოველი კრებული.

და აწ, ვინცა ვინ ესე ჩუენი დაწერილი შეგიცვალოს: ანუ შინაძან, ანუ გარეშან, ანუ მოძღუართმან, ანუ უდაბნოჲსა* ამის მფლობელმან, ანუ რამეთუც კაცმან შეგიცვალოს; ანუ შინათა [სა]მწირველოჲ, ანუ გარეთ ორი ესე მის[ა] მიმდგომი ორი ფუძე გლეხი, ჰრისხჳსმცა ღმერთი დაუსაბამოჲ, მამა, ძე და სული წმიდაჲ...**

ესე კვრიკე კაბათა მეფისაგან ნაბოძვარი სამწირველოჲ და ჩუენგანცა ამა დაწერილითა დამტკიცებული. შინაჲთა და გარითა მისითა მიმდგომითა ყუელაჲთა, ვინც შეუცვალოს ტოხაჲსძეთა და მოუშალოს მღუმეს ყოფაჲ და ჩუენი განაჩენი, [ჰრის]ხჳსმცა ღმერთი ცხოველი წმიდაჲ...***

დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხნეს. დაიწერა ქელით კვრიკესითა.

[ხელრთვები მხედრულად:]

[1]. ქ. ესე დაწერილი ჩუენ, ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზსა თეოდორეს ქელითა ჩუენთა დაგუამტკიცებია.

შემცვალებელნი ამისნი, რაისაც მიზეზისა მოღებითა, იყუნენ ქრულ, წყეულ და შეჩუენებულ ღმრთისა და ყოველთა წმიდათაგან აქა და საუკუნესა.

დამამტკიცებელი აკურთხენ ღმერთმან და წმიდამან დედაქალაქმან.

[2]. ქ: ესე დაწერილი ჩუენ ქრისტეს მიერ ქართლისა მთავარ ეპისკოპოსსა[1] გიორგის ჩუენითა ქელთა დაგუამტკიცებია.

და ვინცა ქელუოს შლად და ქცევად, დაშცა-იქცევის დათანეთ(?) თანა ყოვლითურთ ტომით მისითურთ და ქრულია ღმრთისა პირითა აქა და საუკუნესა, ცათა შინა და ქუეყანასა ზედა; და ნუ გიკსნას ღმერთმან ნუცა მაშინ, ოდეს ყო[ვ]ელნი ქედდადრეკით წარმოდგენ.

და დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხნეს.

[3]. ქ. ესე, ვითა ზემოით მამათა წმიდათა დაუწერია, თქუენ,

---

[1] მთაუარებისკოპოსსა] მწსსა.

* აჭ მთავრდება პირველი კეფი.

** წყევი 32 სტრიქონს შეიცავს.

*** წყევი 22 სტრიქონს შეიცავს. აჭ მთავრდება მეორე კეფი.

ტოხუასძეთადა, და კვრიკე მეფისა სამწირველოი და სახლი მოუცვ-
მია, ამას მეცა ნიკოლოზ წილკნელი მოწამე და დამამტკი-
ცებელი ვარ.

ვინ ჯელყოს ამისად შლად და ქცევად, რასაცა მიზეზისა შე-
მოღებისათუის, იყოს კაცი იგი კრულ ღმრთისა პირითა და ყოველ-
თა წმიდათა მ[ეო]ხთა მადლითა, ამინ.

და ვინ დაამტკიცოს, უფალმან აკურთხოს.

[4]. ქ. ესე, ვითა წმიდა მამათა მღუმელთა ითანე ტოხასძისა-
თჳს დაუწერია და უბოძებია კვრიკე კახთა მეფისა სამწირველოჲ
ჰამულობით, მე, ლ[უკა მ[ე წ]ი[ო]მე მოწამე და დამამ-
ტკიცებელი ვარ.

[5]. ქ. ესე, ვითა წმიდათა და ღმერთ-შემოსილთა მამათა და
ძმათა ამის უდაბნოჲსათა* ტუხუასძეისადა და ყოველთა მომავალ-
თა მათდა კვრიკე კახთა მეფისა სამწირველოჲ მკუდრად და მამუ-
ლობით უბოძებია, მეცა, უნდოი ულია მემღუიმე მოწამე ვარ.

ვინ შლიდეს, კრულმცა არს, და ვინ დაამტკიცოს, ღმერთმან
აკურთხოს.

[6]. ქ. ესე, ვითა წმიდათა და ღმერთშემოსილთა მამათა და ძმა-
თა მღუმისა უდაბნოჲსათა ითანე ტოხუასძისადა და ყოველთა
მომავალთა მათთადა კუირიკე კახთა მეფისა სამწირველოი მკუიდ-
რად და მამულობით უბოძებია, მეცა, მწერი, ღუდუნა ყო-
ფილი, ნიკოლოზ მოწამე ვარ. ვინ შეუცვალოს, ღმერთმან
იგი შეცვალოს ქრისტეს სჯულისაგან. და ვინ არ დაშალოს, უფალ-
მან აკურთხოს.

[7]. ქ. ესე ვითა ღმერთშემოსილთა წმიდათა მამათა მემღუი-
მელთა შეუწყალებია და კურიკე კახთა მეფისა სამწირველოჲ უბო-
ძებია ითოანე ტუხუასძისათუის და ყოველთა მომავალთა მისთა-
თჳს, მე, ნიკოლოზ მნათე მოწამე ვარ და დამამტკიცებელი.
ვინ რაისაცა მიზეზისა მოღებითა შეგიცვალოს, კრულმცა არს პი-
რითა ღმრთისათჳსა.

verso-ზე სვეტად:

[8]. ქ. მე, მთავარმამი მემღუიმესა იუვანესცა
დამიმტკიცებია, არგოს ღმერთმან სულსა კახთა მეფისა კუირიკესა,
ამინ.

მარცხენა კიდეზე:

[9]. ქ. ესე, ვითა წმიდათა და ღმერთ-შემოსილთა მამათა და ძმა-
თა მღუმისა უდაბნოისათა ითანე ტოხასძესადა და ყოველთა მომა-

* აქ მთავრდება მეხუთე ქვეთ.

ეალთა მათთადა[1] კეირიკე კახთა მეფისა საწირველო...** [ეჰ]ბრძნ-
ბაა, მეცა, [ცოდ]ველი აბრაამ მიხსძ(?)...**
და ეინ დაამტკიცოს, ღმერთმან აკურთხოს.

9. [წესი და განგებაი შინაგანი მონასტრისაჲ]

[1191—1212 წწ.]

...თუ ვინმე დაი[მ]ჭიროს თჳთოჲსა მეტი, მოძღუარი და მოწაფე ორნივე კიდეე გაისხნენ მონასტრით შეუნდობლად.

მწირსა მონაზონსა დიაკუნისა და[მ]ჭირეაჲ არ[ა] კელ-ეწიფოს და არცა ერისგანისაჲ. უკუეთუ დაი[მ]ჭიროს, ორივე კიდე განიკადნენ დედალი არესაგან... უკუეთუ ვინმე დაი[მ]ჭიროს... დაი[მ]ჭიროს... და კაცი გაიძოს, საქე... არს ეგრეთ საწყეო მისაჩენელი არს გ"ნა ამას მონა... ყრმოდ სიცოცხლისა ით... ამის წინამძღურისაგან[2] ფაჩი... ამას მეწირა... ვინცა იკადროს, კაცი კიდე გაიძოს ...სა ემსახუროს.

საპყარნი, რომელნი განჩენილ არიან, ეგრეეე იყოფებოდენ. რომელთაცა ამათი წინამძღუარი უბრძანებდეს ეკლესიისა და მატერისა[3] სამსახურად გაგზავნასა, მორს თუ ახლოს,... ნუმცა უკადრებია უნებელი წინამძღურისაჲ[4].

და წინამძღურისაჲ[5] ესრეთ განჩენილ არ[ს].

საწინამძღრონი ადგილნი და გლეხნი და ზუარნი და ვენაჯნი და სხუაჲ მოსავალი ეგრეთვე ჰქონდეს, ვითარ ესენი... გ[ანმგე]ცა იკლებდა და ჩიოდა, ვითა: პატრონისა და ლამჭართა და სტუმართათჳს ესე მოსავალი არ ეყოფის; და ამისთჳს... ეგრეთვე ბოლნ'ის'ს სალხვე დავდევით.

ესე... ქარცებით ხუარბაღი მოვიდოდეს და ბოლნისა ღუნოჲ მოიღების. ერთი მონასტ[რის] მწირველი, ნაცვალი დ[ა] წინამძღურისა [კაცი] დაიყენებოდის და ერთი წმრი და ერთი ვალ'ანისა[6] ყმაჲ ამას მოსავალსა ზედა.

და გი... არს დიდთა და სრულთა მონასტერთაჲთა მის ღუნისაგან პირველად საბისკუ... რლთნი ჭურნი ალიესებოდიან და მერმე სხუანი, რაედენიცა ეგებოდეს. საბ[ა]ბილოჲ ჭური დღეობასა წაიგებოდეს, ვითა მოსაჭმარებელად საჭ[ე]მსო იყოს; და საკურთაჲ ჭუარ-ამაღლებითგან ვითა წესი და პასექთაჲსაჲ მოგცემდეს.

და ვითა წინამძღუარსა[7] აქაჲდის პატრონნი ღმრთისა სწორნი,

---

[1] ა-და. [2] ჴ-სა გ"ნ. [3] მ"ტრსა. [4] წ"რაჲ. [5] წ"სჲ. [6] ვ"სა. [7] წ"სა.

** რამდენიმე სიტყვის ტექსტი გადასულია.

ლამჭარნი, სტუმარნი დიდნი და მცირენი გაუსტუმრებიან, ეგრეთვე
ვე აწ გაისტუმრებოდენ.

და რაჟამს დააკლდებოდეს პატრონისა ლამჭართა და სტუმართა
თათჳს, აქაჲთ წაეგებოდეს პური და ღუნოჲ. ოდესცა ფ[ა]რი არა
ვის აქაჲთ, ეგრეცა ხადა გუმასპინძლებ მით... ჲარ არა გმო-რ...
დიდთა და მცირეთა ყოველთავე პატივით გაისტუმრებდით.

თუ ქამთა რაჲთმე ცვალებითა, ანუ სეტყჳთა, ანუ თუ... ანუ
სიგლახაკითა და უღონო[ე]ბითა, რაჲთაცა მიზეზითა ამათ განჩენი-
ლი ღუნოჲ მოაკლდეს. რომელი-ესე ღმერთმან ნუ ქნას, რაჲცა
აქაჲთ პური და ღუნოჲ მოჰპრჩეს, ტრაპეზი აქაჲთ გარდაიქცებოდეს.

და სხუებრ წმიდ[ის]ა ტრაპეზისა შესაჳალთა და საქონელთა
ზედა [დაიდებო]დეს წელიწდისა დღეთა აღაბნი: და მოჰრჩა ორ-
მოცდახუთი აღაბი.

ესე მეტი მით განეაჩინე, უკუეთუ დასეტყოს, ანუ რაჲთაცა
თუ ზიანითა წოაკლდეს, ამით მომეტებულითა შეისრულონ. და თუ
ესე ერთიცა მიზეზი არ[ა] იყოს, ზედაჳე დაეყოფჳოდეს ესეცა.

და უხუებით და უნაკლულოდ იყოფებოდენ აქა შინა მყოფნი
ყოველნივე ძჱანი, რაჲთა ღმრთივ-გჳრგჳნოსნისა შჱფეთა მორის
მ ე ფ ე თ ა მ ე ფ ი ს ა თ ა მ ა რ ი ს დღეგრძელობაჲ და წარმარ-
თებაჲ და შენდობაჲ უფროჲსად აღემატოს და ითჳსმოდის, რო-
მელმან დიდი გულს-მოდგინებაჲ აჩუენა და სოფელნი და
აგარაკნი შემოსწირნა, და სხუანი აგარაკნი თჳუენნი შესაჳალობის-
გან და შეულეაღ ყუნა და ყოველი ზარჲა და ბეგარი [ამოჰგჳადა...

მონასტრისა მწყობისათჳს მათისა ყოველთა დღეთა ტრაპეზ-
[სა] თანა იდიდებოდეს საკსენებელი მეფობისა მათისაჲ; და სოკუ-
ნოცა არს და დაბსრულებელ ჴსენებაჲ მათი, ამინ.

ი ე ი ნ ე მ ჯ ა რ გ რ ძ ე ლ მ ა ნ ც ა მ ს ა ხ უ რ თ უ ხ უ ც ე ს-
მ ა ნ დიდი სასოებაჲ და გულს-მოდგინებაჲ აჩუენა ამის დედის
ღმრთისა მიმართ და საყოფ[ე]ლისა მისისა და რომელ მონასტერ-
სა... საბოსტნე და საყუნაჭე, რომელი დიდად ეჴმარ[ნეს], ესე ე ა-
ლ ა ნ ი ს ჭუეშითგან იყოდა. რომელ... უფრო[ჲ]სითა სიფასოჲთა
და დედასა ღმრთისასა შემოსწირა, რათა მოჴსნებული დიდებულ
ყოს ძემან ღმრთისამან და ამან ყოველად წმიდამან დედამან მისმან.

და ამის ადგილისაგან ჰმართებდა, ტრაპეზისათჳს განეაჩინეთ,
რომელ სტუმარსა და ყოველსა მომჳალსა[1] მისსა ეყოფოდა. ეგ-
რეთჳე საწინამძღროდ განეაჩინეთ, რაჲთა წინამძღურისა სტუმარსა

---

[1] ყოველსა მომჳალსა] ყ"ი მომჳალსა.

და მომავალსა ყოველსავე მისსა ეყოფოდა. და ეგრეთვე საშჯოსა
ლოჭსა სახლისა მისისათჳს განვაჩინეთ.

და სხუაჲ, რომელი ამისგან დაჰრჩა, ასევე სახლსა ზედა სა-
ხუცოსა და ს[ამწიროს]სა წესისაებრ ვითა ჰმაართებდა, ზედა გაუყავ
სწორად.

აწ ესე, ვით ყოველივე წესი და განგებაჲ ამის მონას-
ტრისაჲ სიმრთელ[ე] და საკაცოჲ ამას ტჳპიკონსა შინა სრუ-
ლად და უნაკლულოდ დამიწერია, ყოველსავე ეგრეთ აღასრუ-
ლებდენ.

წინამძღუარსა, ვითა ქრისტესა, ჰმორჩილებდენ. ნუმცა რაჲ
იკადრების წინამძღურისა უნებელი, ვითა ქრისტესი. და წინამძღუ-
არი, ვითა ქრისტე მისთა მოწაფეთათჳს ტკბილი და სახიერი არს, ეგ-
რეთვე იგი ყოველთათჳს თჳთეულად ტკბილი, სახიერი და ლმო-
ბიერი იყოს.

წინამძღურისაგან ნუმცა იქმნების ესე, თუ: [რომელთა] კითხ-
ვა[2]-რჩეულით სიყუარული ჰქონდა, რომელთაგან[3] ეშინოდა და
ჰრცხჳნოდა და ნუგეშინის-სცემდა, ასუმევდა და აკუმევდა; და
რომელთა[4] მწირთაგან არცა ეშინოდა და არცა ჰრცხჳნოდა მათი
ყბედი საქ...

---

[1] სიო[თ]ჲ. [2] კ[ი]თ. [3] რომელმან. [4] რათა.

10. განგება ვაჟანის ძუაბთა

[1204—1224 წწ.]

1...* [მო]ნასტერსა ფრიად მც[ირესა]...** [აღგე]შენე მო[ნასტრა]დ ერცელი...*** [და] კმად დამტევნელი სიმრავლესა [მოწე]ულეთასა, რომელი იგი მსოფმედებითა ზეგარდამოთა შეწევნათაჲთ[ა და]...** წყალობითა სრულ-იქმნა.

2. ვინაჲცა გულსვიდგინე აღწერად] და კანონთ[ა] ღმრთივ-გმოანთა საღმრთოთა ჭადაგთა და წ[მიდათა ღმერთშემოს]ილთა მამათაჲსა განეგებვოდის ყოველივე სახე მოღუაწებრისა ჭაბუკისა, რომელ]ნი მკვდრ იყენენ მას შინა.

რამეთუ «არცა კეთილი კეთილ-არსო», თქუმ[ულ არს], «...****ად იქმნებოდის» და ვითარმედ «მცირე იგი არა მცირე არს, უკუეთუ დიდთა მშობელ იქმნებოდის». რომლისათჳსცა დიდითა გულსმოდგინებითა და გამოკვლეთბვითა] აღვწერე განწესებაჲ ესე, მოღუაწეშეუნიერებრისა წეს[ისათჳს]

3. ვინაჲთგან იბოვნეს მას შინა ვიეთნიმე მონაზონთაგანნი, რომელთა [მიეცა] მონასტრისაგან ორნატნი, აგბარაკნი და ვენაკნი, რაჲთა აჭუ[ნდეს]. ამათ საფუძუთაგან ჩემთა მიეცა ს...****და თითო-ეუ[ლსა რაო]დენიცა ენება და ით[ხო]ვა და ყ[ოველი იგ]ი ტრაპეზსა მიუდგინე.

ესე ვითარცა ყოველად უწესო[ჲ დ]ა განგდებული კანონთაგან წ[მიდათა და ღმრთივ-გ[ანბრძნო]ბილთა მოციქულთა და ყოველად მსოფლიოთა კრებათაგან და ვითარცა მ[იზეზი] ნივთთმოყუარებისაჲ და საძაგელისშეძინებისაჲ, ეკჭრობისა და [მოფა]რდულობისაჲ და ვითარცა უკნოჲ და წინააღმდგომი და დამა[რღუე]ველი ყოველისავე სამოღუაწეოჲსა კანონისაჲ და უცალო-მყო[ფელი] ღმრთისმიმაახლებელისა ლოცვისა მიმართ და მარხვისა მო...****უვალობისაგან ერთსულთა ძმათაჲსა.

---

* აქ იწყება მეორე ქვეშ., პირველი დაკარგულია.

** აკლია თრი-სამი სიტყვა.

*** აკლია სამი-ოთხი სიტყვა.

**** აკლია ხუთი-ექვსი ასო.

რამეთუ წერილ-არს: «შეუძლებელ-არს] ორთა უფალთა მსახურებად, ესე იგი არს ღმრთისა და მამონაჲსი»*, და სხვათ იტყჳს: «მორიცალეთ და გულისჴმაყავთ, რამეთუ მე ვარ ღმერთი», და კუალადვე: «[რომელმან არა] იჴმნას ყოველისგანვე მოწაფეებისა თჳსისა, ვერ შე[ძლებელ-არს] მოწაფე-ყოფად ჩემდა»**, და სხვათ წერილ-არს: «ხოლო სიმრავლ[ისა მართლმორ]წმუნეთაჲსა იყო გული და გონებაჲ ერთ და არავინ თქუა [მოწაფეები] მისი თჳსად, არამედ ყოველივე აქუნდა საზოგადოდ»***.

ხოლო ნუმცა ვის თქუენ[თაგანსა] უკადრებიეს ამიერითგან რაჲთუერთით ეწესისა საქმესა ჭელყოფად მონასტერსა ამას შინა ჩემსა სამკჳდრებელსა, მოგებად რასმე განმდებულთაგანსა თჳსაგან, რაჲთა არა წ[აჴ]ვაჲ [იგი] მოსასპოლეველი ანანიაჲსი და საპფირსაჲსი და კეთრი იგი გეზისი დაიმ[კჳდრით].

თავი ბ

რიცხჳსათჳს მღდელთა და მთავარდიაკონთა და მწირთაჲსა; და დადგინებისათჳს სულიერისა მწყემსისა და კელიხუფალთა თუ ვითარ ჴერ-არს, გინა ვითარი სათნადო-არს რაჲთა იყოს თითოეული მათი; და ვითარმედ არც[ა] ვის ძმათაგანსა კელეწიფებაის მოწაფეყოფად სხჳსა მოძღურისა [და ა]რცა მოგებად მოწაფეთა, არცა შინაგან მონასტრისა და არცა გარეთ; და ვითარმედ [ნუ] განი[ყოფებს] ყოველი სავსებაჲ ძმათაჲ; და რაჲთა მემკჳრენი მონასტრისა პატრონთა უთაყუანწე[ბდენ]

1.**** [ხოლო ესეცა] განვაწესე, რაჲთა იყუნენ მონასტერსა ამას ჩუენსა სამკჳდრებელსა [ეპ]ანის ქუაბსა შინა მღდელნი უკუე ვიდრემე და მთავარდიაკონნი ყოვლად სწალნოჲსა] ჳსისხლოჲსა საჲდუმლოჲსა (sic) სრულ-მყოფელნი წმიდანი და პატ[იოსანნი, რი]ცხჳთ: ლ"ჲ:, ესე [იგი] არს: კ"დ: მღდელნი და ზ" დიაკონნი, განწესებისაებრ [მოციქულთა კრებულ]ისა და წმიდათა მამათაჲსა.

ხოლო მწირად წოდებულნი იგი, რომელ-არიან მონაზონნი,

---

* მათე 6,24; ლუკა 16,13.

** ლუკა 14,33.

*** საქმე მოციქ. 4,32.

**** აქ იწყება მესამე კანონი.

იგიცა უეჭველად ღმრთისმოშიშნი და ღმრთისად განმკუთნველნი ყოველისა ცხო[რებ]ისა თჳსისაჲნი და წინაალრჩევისა მიერ ზეშთაჲდებულ სრულნი სოფლისა [ღელვა]თაგან და მსახურებისათჳს მონაბრძანებისა და ძმათაჲსა დიდად მოსწრ[აფებ]ენი და უდრტჳნველად მორჩილნი წამოსყოფასა მწყემსისა და მა[მისა] სულიერისასა, რიცხჳთ: ქ".

ხოლო მსახურნი :ი", რომელნი ყოველსავე ტრაპეზისა და [სამზ]არეულოჲსა და სახაბაზოჲსა სამსახურსა აღასრულებდენ.

ჲ. [სამძართ]ლობელ(?) იყო რიცხჳსა ამის ეპრავლესსა დაწესებაჲ მდდელ[თა და] მოსაზონთაჲ. გარნა ვინაჲთგან ყოველითკერძო უზრუნველობისა [და ჯორციელად] და სულიერად განსუენებისა მათისათჳს მოსწრაფე ვ[იყავ] და რაჲთა სრულო[ბით] აქუნდეს ყოველივე საჭიროდ საგმარი ჯორციჲცა [და უნა]კლულო და უმოქენეო იყვნენ და ყოველადვე მოცალე [მა]რხ[ვისა და ლ]ოცვსათჳს, [მოღუაწებისა] და საღმრთოჲ[სა წერილისა კით]ხვისა და მათ შორის მდებარეთა, რომელთა ზედა..."მა, და ხედვად ხედვეთა მათ მაღალთა, რომელი ესე თანახ[ადებ] სასწრაფო არს და საჭირო მოსაგებელ ყოველთა მოსწრაფეთა საუკუნოჲსა ცხორებისა მეძიებელთა, ამის ჴერისათჳს ქმაჲყავ რიცხჳ ესე, რომელსა მოაკლდების ნემცა ოდეს რიცხუსა ამას [მ]დდელთა და მთავარდიაკონთა და მონაზონთასა.

ჳ. [ამა]ს უკუე ზემოჴსენებულსა დასისაგან მდდელთაჲსა გამოირჩეოდის ერთსტულობისა მიერ ძმათაჲსა კაცი სიტყჳთ და საქმით უაღრესი სხუათა ყოველთაჲ, რომელსა ყოველნივე ერთჴმობით ეწამებოდინ, და მრავალი ჟამი დაეყოს [მონა]სტერსა შინა და უბიწოჲსა ცხორებისა მისისა ყოველნი იყვნენ მოწამე. [მემკ]ობილი ყოველითავე სათნოებათა სიკეთითა სულიერებრისა და ჯორციელებრ[ისა], და შემ[ძლ]ებელი ტჳრთად ესოდენსა სულებსა ძმათასა [და]..." [ჴ]ელისაებრ, და ჟამისა და საქმრისა ღუწად და წულთად და კერძ[ებ]ად კაცად-კაცად[სა] წყალულებასა და შემსლებ"ლსა(?) სალბ...", და რაჲთა უმცირეთა სიტყჳთ, ხოლო უმრავლესთა საქმით [ას]წავებდეს.

ესე იგი არს, რაჲთა თჳთ სახე კეთილის ექმნებოდის ყოველთა კეთილად წარმართებითა თჳსისა ცხორებისაჲთა, ვითარცა წერილ-არს, რომელთა იწყო იესუ ყოფად და სწავლად, რამეთუ მოციქულისაებრ მეტყუელისა: «რომელმან თჳსისა სახლისა კეთილად განგებაჲ არა ეწყოდისო, მას ეკლესიაჲ ღმრთისაჲ ვითარ ერწმუ-

---

" იხილეთ შენიშვნა ასო.

ნოს?»* და ნანდვილად სამართალ, რამეთუ უკეთუ თჳთ წინაალმდგომისა იყოს მოქმედ, ეითარ ასწავოს მან სხუათა კეთილად მოქმედებაჲ არა სამართლად ითქუასა მისსა მიმართ: «მკურნალო, განიკურნე თავი თჳსი»!** არამედ უფროჲსად, რაჲთა ეითარცა სარკესა შინა განიცდიდენ ყოველნი მოსწრაფებითა სათნოებისა მისისათა და შემძლებელ-იყოს წარღებინებად წინაშე უფლისა სამწყსოთა თჳსთა, რომელთათჳს სიტ[ყ]ჳსმიცემაჲცა თანააც თანაწარუვალსა მას სამი[ნ]ნელსა] სასჯელსა ქრისტესსა და თქუმად: «აჰა, მე და ყრმანი, რომელნ[ი] მომცნა მე უფალმან»*** [თ]არვად...****ა წამებაჲ რამეთუ ამ...***** მოკუეთილი...***** რაჲთა არა ძ[მისა] უავნეს დაემართოს და: [შთ]აგარდეს ეშმაკისა და რაჲთა ბრძანებისაებრ უფლისა მი...******რ დადებად სულისა თჳსისა სამწყსოჲსა თჳსისათჳს. წერი[ლისაებრ:] «ყოველმან მწყემსმან კეთილმან სული თჳსი დადვას ცხოვართა თჳსთათჳს»******* და შემდგომ[ი].

4. [ეს]ევითარი კაცი, ღმრთისად განმკუთნველი თავისა თჳსისაჲ, დაიდგრნებოდის წინაშძღურად და მოძღურად სულიერად და ჴორციელად და მას ერ[თსა მიე]ნებოდის სული ყოველთა მონასტერსა შინა მყოფთა ძმათაჲ და ყოველთაჲვე იგი [იყავნ] მწყემს და მოძღუარ და მამა სულიერ და ნუმცა ვის სხუასა უკ[დრებიეს]

[თავი დ]

*******ყოველსა მო...********ანა ტრაპეზი...******** [ერთსულ]ობისათჳს ძმათა [მსა].

1. [ჴ]ერ-აბს რაჲთა ყოველთა ტრაპეზობათა წიგნი იკითხვოდის ყოველ[თა] დღეთა, ჟამსა ძმათა საზრდელისა მიღებისასა. და ნუ [რომელ]სა დღესა იქმნების დახრწეეაჲ წიგნისა კითხვისაჲ ნუ [რომლისა] მიზეზისათჳს. ხოლო იკითხავს იგი, რომელიცა კანონაბობისა მსგე[ფსსა ჰ]მსახურებდეს.

2. ხოლო არაჲს ჭელეწიფებს უბნობად და [შეტყუელებად] ერთიერთას ტრაპეზსა ზედა. არამედ რაჲთა ფრიადითა მყუდროე-

---

* 1 თიმოთე 3,5.

** ლუკა 4,23.

*** ესაია 8,18.

**** აკლია ცხრა-ათი ასო.

***** აკლია შვიდი-რვა ასო.

****** იოანე 10,11.

******* აქ იწყება მეექვსე კანონი, მე-4 და 5 კანონი დაკარგულია.

******** აკლია ერთი სტრიქონი.

ქმითა მიმდე]ბელნი საზრდელისან[ი] ჰმადლობდენ მომცემე[ლ]სა რაჲთურთით არა იყოს საუბნარი.

და თუ [იკადროს] ვინ [უბნობად და] ერთ და ორგზის ცუდ შეცოდა რაპეზისა მიერ [დაყენებულმან] აჩრა [ისმინოს], განყვანებულ-იქმნეს ტრაპეზით და განირჩ[მოდოს]...*

[ხოლო უ]კუეთუმცა მასვე სიგლახპესა ზედა დაადგრ[ეს] ნა...** [რტა]პეზსა ზედა, ესეეითარი** ალმძვრელი და ალმა-[მფოთ]ებელი [საზოგადოჲსა მ]ყუდროებისა ყოვლად-ყოველითურთ მოიკუეთუნ, [ვითარცა] დამპალი, და გარე განითხიენ.

ჲ. ხოლო ჴერ-არს რაჲთა რაჲთურთით განწ[ვალებაჲ] არა იყოს შეკრებასა ძმათასა მიღ[ებაჲ]დ საზრდელისა, [არამედ სწო]რად დაეგებოდის ყოველთა ძმათათჳს ტ[რ]აპეზსა ზედა პური და ღვი-ნო[ჲ და] წუენი მემჭრეთათჳს და მწირველ[თა] და მწირთა.

და ნუმც[ა] უხუცესთა ძმათაგანი, მიზეზითა [ცნებულ]ისა გე-მოთმოყუარების[ა და] ნაყროვანებისა თჳსისაჲთა, ნივთად უკეთუ-რებისად და სახედ ბოროტისად ექმნების სხუათა, დამაბრკოლებე-ლი ყოველთაჲ, არამედ თით[ოეუ]ლი დასჯერდინ საყოველთაოსა ევოლოგიასა.

და ნუმცა ოდ[ეს იკად]რებს კიდეგანისა წუენისა დაგებაჲ ტრაპეზსა ზედა და განწვალ[ვისა და] განხეთქილებისა შემოღებაჲ ერთსა მას შინა გუამსა ძმათა[სა, და ტრაპეზო]ბისას...*** [უ]ხუცესსა ყოველთასა და ყოველთა უდარესსა ერთი და იგი და სწორიმცა [დაე]გების საჭმელიცა და სასუმელი და სხუაჲ ყოველივე[ე].

4. გარნა თუ იშჯთ ოდესმე სტუმართმოყუარებისა მიზეზითა, იქმნას [მო]მატებაჲ საჭმელთა რათაჲმე ბრძანებითა მოძღუარისაჲ-თა, ესე ფრიად[ა] ჴეროან არს და ძუელ-მცნებაჲ, რომლისა მიერ ვიეთმე, ვითარ იგი არა უწყოდეს, ანგელოზნიცა ისტუმრნეს.

განესუენებოდენ უკუე სტუმართა, რომელთა თანა დედაკაცი არა იყოს და უფროჲსსა იშჯთა, გინა შორით მოსრულთა, ცხად-არს ვითარმედ მიზეზითა ლოცვისათა, ერთ და ორ-დღეცა, და მე-საამესა დღესა წარვიდოდენ გზასა თჳსსა.

ა. უკუეთუ ვინ დიდი და საპატიოჲ სტუმარი შემოვიდოდის, გინა ეპისკოპოსი, ანუ აზნაური, ანუ საპატიონი ვინმე მონაზონნი, ამა[თ, ვი]თა წესია, ტრაპეზით ეპასპინძლებოდის.

და თუ ჭეშმ[ოჲ] რ[ომელი] იყოს, მონაზონი გინა ერისკაცი,

---

* აკლია შუიდი-რვა ასო.

** აკლია სამი-ოთხი სიტყუა.

*** აკლია ხუთი-ექუსი ასო.

და არავის თანა საქმე ედგას ძმათაგან თჳნიერ ლოცვისა, დაცტრ
პეზისა გაღებასა არა ღირს-იყოს, [არამედ] ესეცითართა მოძღურ
სა და დეკანოზისაგან ემასპინძლებოდ[ს]: ამ[ისათჳს]ცა განმიჩნ
ბია მათთჳს ნამეტნავად ვასაყოფელი, რაჲთა* ესეცითარ[ნი] სტუ
მართა იგინი გაისტუმრებდენ.

და თუ ნათესავი ანუ მეცნიერი იყოს ვისამე ძმათაგანისაჲ და არა ლოცვისა მი[ზე]ზითა მოსრულ-იყოს, არამედ სხჳსა რაჲსმე საქ მისათჳს, ამას თჳთ მან ეპასპინძლოს, რომლისა თანაცა აქუნდეს საქმე.

ხოლო მრავალ[ნ]რონიენეთა მათ და მიწყივთა მთხოველთა მეკა რე განისტუმრებდეს; არა ჴელეწიფების მიმოველად სახლითი-სახლად შინაგან წონასტრისა.

6. საქმარ-არს რაჲთა ყოველად განკრძალული ეროი და ღმრთისმოშიში წონაზონი მესნეულედცა განიჩინებოდის და უძლურმყოფთა ძმათა ჰმსახურებდეს ყოველსაე საჭმარსა მათსა: დღითი-დღე სქაშ[ჳ]ს მოპკლიდეს და მოიხილვიდეს და საწესოსა მიართუმ[ი]დეს მათსა ტრაპეზით.

და სხუაჲ რაჲცა უჴმდეს სნეულთა და უძლურად მ[ყოფთა] ძმათა, უშურველად მიეცემოდის ტრაპეზით და ნუმცა რაჲ მოაკ [ლ]დების საჭიროდ საჭმართაგანი, რომელიცა იყოს და იპოებოდეს.

7. ცდონა ვინაჲთგან ყოვლითკერძო უზრუნველობისა და უმო ქნეობისა [ძ]ათაჲსა მეძიებელ ვარ, და რაჲთა არა რაჲთ იყვნენ ნაკლულევანნი, გაეჩინე საჭოჭმედცა: რაჲთა მოძღუარსა ვიდრემე ეითარცა მწყემსსა სულიერსა და უცთომელსა წინამძღუარსა, მიე ცემოდის ექსი დუკატი.

ხოლო დეკანოზსა და იკონომოსსა ოთხ-ოთხი დუკატი და რო მელნიცა საშჯროსა ღირსქმნილ-იყვნენ ძმანი და მონასტრისა პატ რონთადა თჳყუანებულ იყვნენ, მათ სამ-სამი დუკატი.

ეგრეთვე მწირველთა, რომელთაცა მკითხველ-კანანაზობაჲცა შეეძლოს მემჭრეთაე თანა, სამ-სამი დუკატი მიეცემოდის.

მეპურჭლესა და მეტრაპეზე[სა] და კანდელაკსა და ივიტირი ტესსა ესრეთვე სამ-სამი დუკატი.

ხოლო მეორისა დასისათა, რომელთაცა წირვისა მეტი სხუაჲ საჭმრობაჲ არაჲ შეეძლო[ს], ამათ [ორ-]ორი დუკატი აქუნდეს.

და მესამესა დასისათა, ესე იგი არს მწირთა, ბოტინატი და დუკატი მიეცემოდის.

---

* აქ იწყება მეორე კუთ.

ხოლო მსახურთა სატანისამოსლეგ მწირთაეე სწორად ჩქონ-
დეს პოტინატი და დოკატი.

8. [ე]გრეთეე და პური და ღვინო გაუჩინე: რაჲთა მიეცემოდის მოძღუარსა რეაჲ გრიგი პური, ოთხი წმიდაჲ და ოთხი ქრთილი და სამი საპალნე ღვინოჲ.

და იკონომოსსა ექუსი გრიგი, სამი წმიდაჲ და სამი ქრთილი და ორი საპალნე ღვინოჲ. ეგრეთეე დეკანოზსა ექუსი გრიგი პური, სამი წმიდაჲ და სამი ქრთილი და ორი საპალნე ღვინოჲ.

ხოლო უთავადესთა ამათა, რომელთა: გ˝:გ˝:დუკატი აქუს საჩოკედ, ამათ პური ორი გრიგი წმიდაჲ და ერთი ქრთილი მიეცემოდის და თჳთო საპალნე ღვინოჲ.

და მეორისა დასისათა, რომელთა წირვისა მეტი არაჲ შეეძლოს, ღვინოჲ თჳთოჲ ცალი მიეცემოდის, გარნა პური ვითა თავადთა ძმათათჳს დაგჳწესებია, ეგრეთეე [ამ]თათჳს.

ხოლო მწირთა პური თჳთოჲ გრიგი წმიდაჲ და თჳთოჲ ქრთილი და ღვინოჲ ოთხთა და ოთხთა თჳთოჲ საპალნე.

[თ]ავი ე

ვითარმედ არავის ძმათაგანსა ჴელეწიფების თავნობად და მოფარდულობად ღვინისა ანუ სხჳსა რაჲსმე, არცა აღნადგინებად მიცემაჲ საქმართაჲ; და რაჲთა გამოუთხოვლად მოძღურისა არავის სადა ჴელეწიფებოდის წარსლვად გარეგან მონასტრისა; და არა ყოფისათჳს მეშფოთეთაჲსა; და არა შესლვისათჳს დედაკაცისა თჳნიერ ჴელმწიფეთაჲსა; და არა ყოფისათჳს დიაკონთაჲსა; და თუ რაჲთა მიზეზთათჳს შეიცვალების მოძღუარი წესისაგან თჳსისა, ანუ ძმაჲ განიჴადების მონასტრით

1. [ა]რავის ძმათაგანსა ჴელეწიფების მონასტერსა ამას შინა ვაჭრობად და თავნობად ანუ მოფარდულობად ღვინისა, გინა რაჲსაცა სხჳსაჲ; არცა ვახშად და აღნადგინებად გაცემაჲ საქმართაჲ მსოფლიოთა, გინა დაჭირებულთა ზედა და სისხლითა გლახაკთაჲთა განმდიდრებაჲ, რომელი ესე დიდისა უწესოებისა არს საზღვარ და [ძ]ძაბრულ ანგაპარებითსა სიბოროტჱსა და ვაჭრ[ობისა უჴჳრეს არს.

ნანდჳლევე სამართლად ითქუას მისსა მიმარ[თ: «სახლსა] შამისა ჩემისასა სახლ სალოცველ ეწოდების, ხოლო თქუენ გიყოფიე[ს იგი ქუაბ] ავაზაკთა**».

---

* აჭ იწყება მწირეე კიდი.

** მათე 21,13; მარკოზ 11,17.

ყოფად. უე[ჭუელად მყოფი] ამისი დაიმკვდრებს კეთრსა გიეზისსა და შიშთვილსა იუ[დაჲსსა].

ვინაჲცა რომელსაცა ძმათაგანსა ემხილოს ღჳნის მოყუარულობაჲ[ბაჲ], გინა მეცხებუობაჲ, მყის განიდევნოს მონასტრით და მოიკუეთოს ყოველითურთ და მისსა ადგილსა სხუა დაიდგინოს.

ჲ. არა რაჲ აღსძრავს და აღაშფოთებს და განამწარებს მყუდრო[ებასა] ერთსულთა ძმათასა, ვითარ მეშფოთე კაცი და ღულარჭნილი. ვ[ითარ]ცა იტყოდის რაჲ მოციქული, ვითარმედ: «ყოველი რისხუაჲ და გულისწყრომაჲ და ჴდომაჲ [და] ღაღადებაჲ და სიძწარე მოისპენ თქუენ შორის ყოველით უკეთურებითურთ, ვითარცა შეუ[ნი]ს ჩუენ ღმერთმან»*.

რასა სხუასა გუასწავებს, თჳნიერ განშორებისა ამის ჩუენის[ა]გან და ესეეითართა კაცთაგან, რომეთუ ერთიცა მათგანი კმა-არს სრულისა და [ე]რმრავლისა ჭალაქისა აღძრვად და აღშფოთებად.

ვინაჲცა რომელმანცა ძმათაგანმან იკადროს გინებად ანუ შეურაცხყოფად რაოდენ უმცირესთაგანისა ვისმე ძმათაგანისა და ლალვად და აბრიხებად, ეგეეითარი იგი მყის მოისპენ და განიდევნენ მონასტრით.

ხოლო ნუ ვინ გამოჩნდ[ე]ბის მეშფოთისა და მომთრეველისა ასაბიად, რაჲთა არა ითქუას მისთჳსცა: «იხილი თუ მბაროვი, თანაურბოდ[ე] მას»** და შემდგომი.

და თუ ჴელყოს ვინ ასაბიობად ესეეითარსა, იგიეე პატიჟი დაითმინოს მანცა, [რომეთუ არს] თაყჳდი და დაუწყნარებელი.

ხოლო გჳნიხილვოდეგ ესე მწყემსის[აგან]; და უკუეთუ ორთაჲვე იყოს ბრალი და ორკერძოვე ცხად-იყოს მე[მ]ფოთეობაჲ, სწორ იყავნ ორთავე კანონიკა, გინა პატიჟი, რომეთუ «მონისა ღმრთისა არა ჴერ-არსო ლალვაჲ»***, თქუმულ-არს.

და რაჲთურთით მეშფოთესა და მაგინებელსა და მომთრეველსა არა აქუს ადგილი და საყოფელი მონასტერსა ამას შინა.

რაოდენცა საჭმარნი იყუნენ ესეეითარნი იგი, განიჯადებიან მონასტრით, არამედ უფროჲსღა ფერჴნი მყუდროთა და მშჳდთანი სტკებ[ნიდენ].

ჳ. არაეის ძმათაგანსა ჴელეწიფების ოდესცა, უკითხაჲად და გამოუთხოვლად მოძღჳრისა, წასულაჲ სადაცა გარეგან მონასტრისა, არა თავისა საქმისა და საურავისათჳს რაჲზომცა დაეჭიროს, არცა რეცა თუ მონასტრისა, არცა თუ ჩემისა სამსახურისა ძლით.

---

* ეფეს. 4,31.

** ფსალ. 49,18.

*** 2 ტიმოთე 2,24.

არამედ თანაწარუვალი თუ და საჭიროჲ საქმე დაემართოს ვისმე ძმათაგანსა, წარვიდეს და აუწყოს მოძღუარსა და გამოეთხოვოს და ლოცვაჲ და კურთხევაჲ მისი მიიღოს; და რაოდენსაცა ძლეუსა უბრძანოს მოძღუარმან, მეტსა არა უკმს დაყოვნებაჲ, რაჲთა არა ფრჩებისა და უწესოებისა კანონსა თანამდებ-ყოს თავი თჳსი, რამეთუ «მცირედ-მცირედ შეჰყვაო ისრაელსა», თქმულ-არს, და სხჳთ იტყჳს, ვითარმედ: «მცირე იგი არა მცირე არს».

ხოლო უკუეთუ ვინ გარდაბრეულებითა ამბარტავნებისაჲთა დამეცა ერთი გამოუთხოველად დაყოს გარეშე მონასტრისა, განიჭადენ მონასტრით ვითარცა თავჯედი და შეურაცხისმყოფელი თჳსისა ცხორებისაჲ.

4. საბრჭე ძლიერ და მსწრაფლ დამაკუეთებელ-არს საჴედველთა მიერი წყლულებაჲ, რომლისა მიერ ვჰპოებთ დაკუეთებულად პირველსაცა მამასა, რამეთუ «შეუნიერ იყოო», თქმულ-არს, «ხილვად» და შემდგომი.

ვინაჲცა პონე უაღჳროჲ ნუ უკუე და მრაჲალგზის კაბანთა შთააბნიის ზედამჴდომელი. ხოლო პაეწუეულნი და აღულაგმველნი თჳალნი მრავალსახეთა სასიკუდინეთა სენთა და ბოროტთა წყლულებათა მოაწუენენ მტჳრთ*ველთა თჳსთა ზედა.

გარნა წინაჲსწარმეტყუელი იტყოდის რაჲ: «ვიდოდეთ ბჭეთა მიმართ ჩუმთა და ქვანი გზისაგან განყარენით»**. სხუაჲსა არა რას გულისჴმავჰყოფ, თჳნიერ რაჲთა ყოველნივე დაბრკოლებისა მიზეზნი მოისპნენ და უჩინო იქმნენ საშუალობისაგან ძმათა კრებულისა.

ვინაჲცა განეაწესებ ამას, რაჲთა ყოველადყოველითურთ უვაღიყოს დედაკაცისაგან მონასტერი და ნუ რაჲს მიზეზსათჳს ნუ შევალს მას შინა, თჳნიერ ჴელმწიფეთაჲსა; და ჩუენსა სახლ-ჲსათა, უკუეთუ საჭირო იყოს თანაწარუვალისა მიზეზისა და ყოველთა თანამდებისა ძლით; და მაშინცა მყის განეშორნენ და ღამესა ნუმცა ვინ დაჰყოფს მას შინა ნუ ოდეს, რაოდენცა დაეჭიროს.

ნუცა ვისსა სენაჲსა შევალს დედაკაცი, დედაჲღა თუ იყოს მისი. ხოლო ამის მიზეზისა გარეშე სხუებრ, არცა ჩუენისა სახლისაგან ჯერ-არს შესლვაჲ დედაკაცისაჲ მონასტერსა შინა.

5. ნუცა დიაკონი იზრდების მას შინა, გინა უწუერული ყრმაჲ. ნუცამცა ვინ იკადრებს თჳსსა ნათესავსა, გინა ძმასა, ანუ შვილსა

---

* აქ იწყება მეცხრე კანონი.

** ესაია 62,10.

უპასაკოსა და უწუერულესა შემოყუანად მონასტერსა შინა, ნუ-
ლისა მიზეზისა მოღებითა.

ხოლო უკუეთუ ვინმე გლისპობდეს და შლიდეს წესსა მონას-
ტრისასა და კელყოს განრყუნად მონაკტრისა და გაბეხად ტ ვ ი-
კონიასა და შემოიყუანოს ყრმაჲ უპასაკოჲ და ერთიცა ღამე
დააყოფიოს, გარემე ყოველსა სუეიშნისა მეყსეულად მიითხრთ გა-
ნიდევნოს მონასტრით და მოიყუეთოს ვითარცა ასოჲ დამწალი.

კუალადცა მასვე დაეამტკიცებ, ვითარმედ ყოველად რაჲთუ-
თით არავის კელეწიფების უწუერულესა ყრმისა, გინა დიაკონისა
შემოყუანად მონასტერსა ამას შინა საყოფად, გინაითუ დიდებულისა
შვილი იყოს აბუ აზნაურისა, არცა თუ ჩემისა სახლისა თუ იყოს.

ნუცა ეისისა შეპოვნებისათჳს დაჰჴსნის ვინ წესსა ამას, ნუცა
თნებისა ძლით კაცობრიჲსა წყუეასა მოიხდის თავსა თჳსსა ზედა.

და განმარტებით ითქუმოდენ, ვითარმედ ეითარცა იგი მდედ-
რისათჳს განმიწესებიეს, ეგრეთვე მსგავსად და უწუერულისათჳს
განეწესებ, რაჲთა ყოველადყოველითურთ უვაღ-იყოს მონასტერი
ესე ესეეითართა პირთაგან.

ხოლო უკუეთუ ვინცა და რამანცა გუარმან კაცმან იმეცადი-
ნოს დაჴსნად კეთილსა ამას წესიერებასა და კანონსა ამის მონას-
ტრისასა, ზეგარდამოჲდთა რისხჳთა დაჰჴსნას იგიცა ღმერთმან გან-
საჯრწნელსა შინა ულხინებელსა და დაუსრულებელსა და დასტეხენ
მას ხუთ-ქალაქიებრ სოდომიანთა და წარმოიკარიელენ საქანელ-
ნი რისხჳისანი მას ზედა, ამენ!

ხოლო რომელმან მტკიცედ იპყრას და დაამტკიცოს, დაიმკჳდ-
რენ შეუძრავი სასუფეველი და უმიწუხროჲ ნათელი.

6. «თქუენ ხართო მარილნი ქუეყანისანი»*, ჴმობს მეუფე წმი-
დათა შინა სახარებათა, რომელი ესე წინამძღუართათჳს ეყჳის და
მოძღუართა, რომელთადა რწმუნებულ-იყოს წინამჴდომელობაჲ
ეკლესიისაჲ.

ვინაჲცა მარილისა თჳთებაჲ ესე არს, რაჲთა დალპოლვად
არა ეტეეებდეს, ესე იგი არს, რაჲთა პირველად თჳთ მწყემსი ყო-
ველთა სახე კეთილის ექმნებოდის, ხოლო ურჩთა და თავქედთა
ძლიერად ამხილებდეს.

და რომელნიცა კურნებასა მიითუალჳდენ ამათ შეიწყნარებ-

---

* მათე 5,13.

დეს, ხოლო უკურნებულად დაღვრომილთა მოიკუეთდეს *დაკვრეტ-
განსთხეველდეს, რაჲთა არა ყოველსა გუამსა განუზოს სიმპალვ.

ვინაჲცა უკუეთუ მოძღუარმან გინა დეკანოზმან თანებისაჲ ვიეთისამე და შეპოვნებისა რაჲსმე კაცობრივისა, ანუ მიზეზითა თჳსებისაჲთა, გინა თუ ვნებულისა შეგობრობისა ძლით, ჰხედვიდენ რაჲ უწესოდ მავალთა და შეურაცხისმყოფველთა ამათ განწესებათასა და არა სწერთიდენ, არცა ამხილებდენ, რაჲთა ანუ განიკურნენ, ინებონ თუ, და უკუეთუ არა, რაჲთა განიჭვდნენ, თჳთ იგინი დაკლებულ-იქმნენ პატივისაგან თჳსისა და ერთად მორჩილთაგანად იქმიენინ.

7. ხოლო უკუეთუ ორგულობაჲ გამოაჩნდეს ვის მონასტრისა პატრონთაჲ, ანუ მოხუეჭაჲ მონასტრისა და ეკლესიისა ნაჭონებთაჲ, ანუ ქრთამისა აღებითა გარდაქცევაჲ ჴელშემარიტებისაჲ, გინა რაჲცა გუარი საძაგელისშეძინებისაჲ და მოხუეჭისაჲ, სრულიად განიკადნენ მონასტრით.

8. და უკუეთუ მოძღუარმან, გინა დეკანოზმან, გინა იკონომოსმან უდებებად გასცენ თავი თჳსი და, სენაკთა შინა მოსუმბრობათა მიდევნებულნი, უგულებელს ჰყოფდენ საქმესა მონასტრისასა და გარეშე საჭიროჲსა მიზეზისა ზედაჲ-ზედა ეკლესიისა ლოცვასა დააკლდებოდენ, გინა ტრაპეზს შესლვასა უდებ ჰყოფდენ, ამათ წარუწყმედიეს თავი თჳსი, ვითარ ძალ-უც-ცხოვნებად სხუათა? ვინაჲცა მყის შეიცვალნენ პატივისაგან თჳსისა.

და უკუეთუ შემდგომად ამისსაცა ეგევითარადვე იქცეოდენ, განიჭვდნენ მონასტრიცა.

9. ტყჳს საღმრთოჲ მოციქული განცხადებულად, ვითარმედ: «არცა მეძავთა, არცა კერპთმსახურთა, არცა მემრუშეთა, არცა ჩუკენთა, არცა მამათმავალთა, არც ანგაჰართა, არცა მპარავთა, არცა მთმობელეთა, არცა მაგინებელთა, არცა მტაცებელთა სასუფეველი ღმრთისაჲ ვერ დამკვიდრონ»**.

ხოლო ნუ იყოფენ, რაჲთამცა იპოა ვინ ესეგვითართა მოქმედი მონასტერსა ამას შინა., გარნა უკუეთუ ემხილოს ვის მცირეთა გინა დიდთაგანსა ერთიცა ამა ზემოთქმულთა ბრალთაგანი, შეუნდობელად განიჭაღოს მონასტრით.

ხოლო ნუ აღტაცებით იქმნების ესე, არამედ გამოძიებითა მრავალითა განიხილეოდენ ესეგვითარნი შესმენანი, ვინაჲთგან მრა-

---

* ეს წყვეტა ნელია ქვეშ.

** 1 კორ. ია თ. 6,9—10.

ცილეზის აღმოხვრებულნი კაცმე ეშმაკისაგან აღიჭურვიან საჭურველ-
კოთა რაიმე შურისტეროზათა ძლით ცილისწამებადცა.

და უკუეთუ ცილი დაეწამოს გისმე, რომლისა გამოჩინებაჲ ვერღარა შეეძლოს, ცილისმწამებელი იგი, ტრიადითა შეურაცხებითა განჭიქებული, განიდევნოს მონასტრით და ნაჭონები მისი ძმათა განიყონ.

10. უკმს მოძღუარსა ტრიადითა კრძალულებითა პეროზაჲ ამით განწესებაჲ და საქმით სრულყოფაჲ ამათ შინა აღწერილთაჲ და რაჲთა თუალუხუეად ამხილებდეს ყოველთაე გარდამდებელთა და თჳთ თავსა თჳსსა სახედ კეთილისად მისცემდეს ყოველთა.

11. *განგუწესებიეს, რაჲთა სასყიდელი ყოველად რაჲათურთით არაჲ ვისგან აღებოდის ძმად დაწესებისათჳს: არა მუქრეთაგან, არა მწირეველთაგან და არცა მწირითგან.

ხოლო უკუეთუ იკადროს მოძღუარმან, ანუ იკონომოსმან, გინა დეკანოზმან, გარდაბრეულებითა ვეცხლისმოყუარებისაჲთა, აღებად ერთიმისა რაჲსმე ფარულად გინა ცხადად და ემხილოს, დაკლებულ იქმნეს თჳსისა პატივისაგან.

რამეთუ სადა «ძირი ყოველთა ბოროტთაჲ რომელ-არს ვეცხლისმოყუარებაჲ»** დამკვდრებულ-იყოს მუნ, ნამეტნაე-არს მიერ მოლოდებაჲ კეთილისა რაჲსმე ოდესცა, რამეთუ «ბოროტთა თესლთაჲ», თქმული-არს, «ბოროტ ნაჭუმაკეენიცაჲ».

12. მორჩილებასა და სიმდაბლესა გჰპოებთ თანაბერგად სათნოებითისა ცხორებისა, რომლისა თჳნიერ შეუძლებელ-არს წარმართებაჲ მონაზონებითისა მოქალაქობისაჲ. საჭიროდ უკუე უკმს ყოველთაე ძმათა მორჩილებაჲ მწყემსისა და მამისა მათისა სულიერისა, კეთილითა სჯნიდისითა და შიშითა ღმრთისაჲთა, ყოველსავე სამსახურსა მონასტრისასა, რომელსაცა უბრძანებდეს, და არა შთავრდომაჲ ბრალსა ურჩებისასა. რამეთუ «ურჩებისა ნაყოფი საკუდილი არსთ», თქმული-არს.

ვინაცა უკუეთუ ვინ, გარდარეულებითა სიმდაბლისაჲთა, ურჩ-ექმნებოდეს მოძღურისა ბრძანებასა, შეპყრობილი ცუდადმზეაობრობისა ჴნებითა, დაეყენოს ტრაპეზს შესლვისაგან და დაეჭიროს საწესოჲცა მისი.

ხოლო უკუეთუ დაადგრეს ურჩებასა ზედა თჳსსა უკურნებელად, განიჴიდოს მონასტრითცა.

---

* აქ იწყება მეორეშეტე ქვი.

** 1 ტიმ. 6,10.

მონაზონთა სოფელსა ქელისუფლად არა დადგინებისათჳს; ვითარმედ მამულოვნობით არავის ქელეწიფების მოგებად ხენაკიხა, გინა ვენაკისა, გინა ეგეთითარიხა რაჲს; და შვილებულ გაზრდილთა ძმად ვერ დაწესებისათჳს; და ვითარმედ არავის ქელეწიფების ხდილობითისა მოხუმურობისა მიდევნებად

1. სოფელთა და აგარათა შინა მონასტრისათა სანიადაგოდ ქელისუფლად ნუმცა ოდეს დაიდგინების მონაზონი, არამედ ერისკაცნი დაიდგინებოდენ, მოძღურისა და კრებულისა ბრძანებითა.

და უკუეთუ ოდესმე ეგეთითარი რაჲმე საქმე დაემართებოდის, რომელ ერისკაცთა არ გაიმართებოდეს და დიდი ეკონომოსი უცალო იყოს სხუათა რათმე საშეშაოთა და საურავთაგან და მონაზონსა დაემართებოდის წასლაჲ, ფრირთაგანი გაიგზავნებოდინ ყოვლითკერძო გამოცდილნი და ყოველთაგან წამებულნი პატიოსნებისათჳს და მოღუაწებითისა ცხორებისა მათისა, მკცოანნი ჰასკითაცა და გონებითა, ესეეთითარნი წარვიდოდენ, უკუეთუ საჭიროდ საქმარ-იყვნენ სამსახურად მონასტრისა.

ხოლო მღდელნი და მთავარდიაკონნი ჴერ-აწს რაჲთა საღმრთოჲსა დიდებისმეტყუელებისათჳს მოცალე და განკრძალულ-იყვნენ და მსახურებისათჳს ეკლესიისა წესთაჲსა უწმიდესად და ღირსად, და ღმრთის მიმაახლებელისა მღდელმსახურებისა. ვითარცა ღირს-არს და ჰშუენის მარადის შინაგან წმიდისა წმიდათაჲსა შემავალთა და სიწმიდისადა ღუანშწმედილებით მიახლებულთა, რაჲთა* სუეც[ლოჲს]ა ბრძანებ[ისა]ებრ ბრწყინვიდენ საქმეთა მიერ საათნო[ე]ა ღმრთისათა, რომლითა მხედველთა აღსძრვიდენ დიდებისმეტყუელებად ღმრთისა [მიმართ.]

2. ამისათჳსცა მოვსცე მამულობით მჭონებაჲ აგარაკთა, ყუნაჭთა და თუხდა ორნატთა, რაჲთა საბითბაჲ (sic) ანგელოზებრივისა მო-ქ[ცლაქო]ბისაჲ [არა მოიშალოს] და [დ]ხრწ[ეეაჲ] ექმნებოდეს ამათგან, ვითარცა წ[მიდათა] მოციქ[ულთა] კანონისაგანცა გან[გდებულისა]...** და ყოველდმოსფლიოჲთა კ[რებათა]განცა, და ვითარცა მიზეზი ს[იდთმოყუარებისაჲ] და საძაგელისმეძინებისაჲ, ეაჭრობისა და მოფარდულობისაჲ.]

3. ეს[რეთ განგუწესებია] მ[ონასტ]ერსა ამა[ს] ჩუენსა [შინა] რაჲთა...**შვილ[ებული] ძმად [ვერ დაი]წესებოდეს...***

---

* აქ იწყება 11! ველი, რომელიც დაწერილია სხვა მელნით.

** აკლია ერთი სიტყვა.

*** აკლია ერთ სტრიქონზე წვდი.

[ნუმც]ა ვი[ს] უკადრები[ეს] მამელობით მოგებად სენაკთა ძმ[ა]-
რაკთა, ვენაჭთა, ანუ ორიანტთა, რაჲთა უცხო იყვნეს ყოველისა ქმ[ა]ვნ[ა]-
[ლ]ისა და გუე[ყ]ანისა საქ[მ]ეთ[აგ]ან, ვითა საქმეთაგან ანგაჰრ[ე]ვ-
ბისა, გინა ვეცხ[ლ]ისმოყუარე[ბ]ისა, რაჲთა ესეცა აღმოიფხვრას,
ვითარცა მიზეზი მრავალთა ბოროტთაჲ.

4. არა[ვის] ძმათაგანსა ჭელეწიფების შემდგომად სჯობის გამ[ო]სლ[ე]ისა] ძმისა შეურისა სენაკსა მ[ო]ს[ლ]ე[ა]ჲ.

ნუმც იქმნების სენაკით[ი]-სენაკად ხდილობითი მოსუმჭრობაჲ, [აწ]უ წესისა(?) შეურილობაჲ(?) და მაძღ[ერი]ე კუმეეაჲ ღუნისაჲ (sic), გინა კადრებაჲ ოდესცა [ძილ]ისპირთა] და დასდებელ[თა თქუმ]ისაჲ და| *ევრიდებ თქუმად თუ საეშმაკოჲსა გალობისაჲ. რა- მეთუ ნამდვილვე ღუნითა განბრძნობილი ვერა რას ირგებს.

და რაჲთა არა ითქუას მათდა მიმართება, ვითარმედ: «ჩემელთა ლმერთ მეცელი არს და დიდებაჲ მათი სიკუხჳსა შინა»**, რამეთუ წერილ-არს: «ნუ დაითრევებით ღუნითა, რომლითა არს სიბილწე»***. და ვითარმედ «მოიმთრველთა სამუფეველი ღმრთისაჲ არა დაიმკჳდრონ»****. და სხუთ იტყჳს: «ყოველი სიტყუაჲ დაბალი ნუ გამოვალნ პირით თქუენით, ვითარცა შუენის წმიდათა»*****.

ხოლო ნაყროვნებასა, დედასა სიბილწისასა, ნუცამცა ადგილი აქუს თქუენ შორის, რამეთუ ვითარცა იგი პირველი განერდომაჲ ჰამისა მიერ იქმნა, უეჭუელად პირველი ხარისხი მოღუაწებითისა მოქალაქობისაჲ, თჳნიერ მარხვისა და კრძალულებისა, პოვნად შეუძლებელ-არს.

ვრნაცა გეუედრები, რაჲთა სრულიად მოისპოს მრავალთაჲ ესე ეშაბი საღმრთოჲსა ამის მწყობრისაგან, რაჲთა რაჲთურთით არა იყოს უქჳსიტყუობაჲ და ენებული მეგობრობაჲ და ხდილობითი მოსუმჭრობაჲ, არამედ თოთოეული თჳსსა სენაკსა შინა შეუეედრენ კრძალულებით ქართსა თჳსსა განწესებულსა და მყუდროებითსა დიდებისმეტყუელებასა, რომლითა მზოლოჲ მზოლოსა მას მიეახლების მიეახლებელსა, და შეეტრფის და აღისურვებს სატრფოსა მას და სასურველსა, არსთა ცხოელობისასა, და ხედვის განწმედილთა გონებისა თუალითა ზეშთაალმატებულთა მათ გონებათაგანცა უხილავსა და მიწდომად შეუძლებელსა, მეტყუელი:

---

* აქ იწყება მეორე ხელი.
** ფს. 3,21.
*** ეფესელთა, 5,18.
**** I კორინთ. 6,10.
***** ეფესელთა 4,29.

«შეეძერწა სული ჩემი შემდგომად შენსა და მე შეგიყვარე მარჯვენე მან შენმან»*.

თავი ზ

შემოხაწირავისათჳს თუ ვითარ ჴერ-არს განყოფაჲ; და ვითარმედ ძმაჲ რაჲ მოიცვალებოდის, ვერ ჴელეწიფების დატევებად თჳსთა და ნათესავთა ნაჭონებისა თჳსისა; და რაჲთა ერთი აღაპი ტრაპეზით გარდაიჴდებოდის ახალმოცვალებულისა ძმისათჳს; და მას დღესა ყოველნივე მღდელნი და დიაკონნი უსახყიდლოდ შეიმოსებოდენ მისთჳს

1. შემოსაწირავსა, რასაცა ვინ საწირავად შემოსწირვიდეს, ვითა წესია, მას მწირველნი გაიყოფდენ და ქამსა უწირვიდენ.

და რასაცა ვინ საერთოდ შემოსწირვიდეს, მისგან ნახევარი საჭურჭლესა საკლესიოდ დაიმარხებოდის, და ნახევარსა სხუასა სწორად გაიყოფდენ მემკჳრენი და მწირველნი და მწირონი, და სწორედ უღოკვიდენ.

ხოლო მღდელყოვილთა და მთავარდიაკონთა მღუელთაცე თანასწორად მიეცემოდის და მთავარდიაკონობისათჳს გინა მღდელყოფილობისა ოდენ ნურაი დაკლდების. სხუაჲ თუ საჭიროჲაჲ შესწევდეს. და თუ არა, ეგევითარისაცე მღდელისა სწორად მიეცემოდის მათცა.

და ბატეანეთა ჩასაწერლად რასაცა ვინ შემოსწირვიდეს, მას მღდელნი და მწირნი სწორად გაიყოფდენ.

2. ხოლო არავის ძმათაგანსა ჴელეწიფების მონასტრით განღებად ნაჭონებისა თჳსისა ქამსა ამიერ მიცვალებისა თჳსისასა, რომელმცა თჳსთა გინა ნათესავთა უანდერძა იგი, რომელთაგან ერთგზის ჴმინილ-არს ქამსა მონაზონად კურთხევისასა.

3. ხოლო ჴერ-არს რაჲთა ყოველთაცე მღდელთა და დიაკონთა მესაძესა დღესა ქამი უწირონ უსასყიდლოდ ძმასა მიცვალებულსა, და აღაპიცა გარდაეჴადოს მასვე დღესა ტრაპეზელთა საჭმრითა. და ყოველთა ძმათა ულოცონ და შეუნდვნეს დმერთმან სულსა მისსა.

4. ძმაჲ რაჲ მიიცვალოს, თუ ანდერძი დაჴწერნოს, მისთჳს ანდერძისა მსგავსად განეგოს ყოველი საქმე მისისა სულისაჲ.

ხოლო უკუეთუ უანდერძოჲ აღესრულოს, რაჲცა იპოოს მისი შუა გაიყოს და ნახევარი მაშინვე აჴმაროს სულსა მისსა. ვითაცა

---

* ფსალ. 62.8.

** იქ იწყება მეექვსე ავი.

მოძღუარმან მრძანოს და განაწესოს, და სახეცარი საეკლესიოჲ დაიდვას საჭურჭლესა შინა მისისაჲ სულისათჳს.

ა. *ჩუენისა სახლისა აზნაურნი და თუნდა მსახურნი შეჩვეულ ზუნდებოდენ, და ჩუენგან და ჩუენისა სახლისა კაცისაგან მონასტერს შეშუებასა და დამკვდრებასა ღირს-იქმნებოდენ, ესე მონასტრისა პატრონთაგან გაიჩინებოდეს: თუ ნამსახური იყოს და საპატიოჲ აზნაურისშვილი, მწირველთაცა თანა დაიწესებოდეს პურითა და ოქროჲთა და ჴელობითა, ყოველთაჲთა.

კუალადცა ესეცა ეთქუათ: თუ დიდად საპატიოჲ და ნამსახური არ იყოს, ნუ იკადრებს მწირველთა თანა დაწესებასა.

და უქუეგანესი ამათი მსახური, რომელიცა მონასტერს შეშუებასა და დამკვდრებასა ღირს-იქმნებოდეს, მწირთა თანა დაწესებოდეს ტანისამოსითა, ოქროჲთა, პურითა და ყოველითა საწესოჲთა საქმითა.

[ანდრძი ერისთავთ-ერისთავ მჭაბგრძელიჲ]

1. სრულითა სასოებითა მეუფისა და მაცხოვრისა და მკსნელისა ჩუენისა ქრისტჱს მოწყალებათაჲთა და მინდობითა წმიდისა მთავარმოწამისა მისისა შეწევნათაჲთა, მიწამან და მონამან მ ჯ ა რ გ რ ძ ე ლ მ ა ნ, დიდითა გულსმოდგინებითა განგებაჲ ესე აღუწერე მონასტრისა ჩემისათჳს, რომელი ესე აწ ვე საქმით სრულქმნილ არს ყოველითურით ჩემ მიერ და უმეტესისა შეძენისათჳს დამიც სასოებაჲ ყოველთა დღეთა ცხორებისა ჩემისათა. და ყოველითურთ უმიზეზო-ქმნილა მონასტერი ესე ჩემი მოღუაწებით და საღმრთოდ შემტკბობელთათჳს მონაზონებისათა.

და რომელნიცა სოფლისა ნივთთადა არ შემსჭუალულ არიან მონასტერსა მყოფნი, ეგეცითართა მათ უდაბნოჲს მოყუარეთა და ყოველად სოფლით განშორებულთა, მათ მიერ უმჱტყოჲთა გონებითა განიხილეთდინ ჩემ მიერ ყოველად სასოებით და გულსმოდგინებით აღწერილი ესე ა ნ დ ე რ ძ ი საღმრთოჲსა განგებისა ამის უდაბნოჲსათჳს და მას შინა საღმრთოჲსა მოღუაწებისა აღმასრულებელთათჳს, რომელ სამეფოსა ჩუენსა უდაბნო-ქმნით და ყოველითურთ საღმრთოდ განწესებით, ზომიერად და ჴეროვნად რაოდენნი მწირველნი და მწირნი მონასტერსა ამას ჩუენსა განჩჩწესებიან სერვილითა ღუწისაჲთა საღმრთოდ განკუთუნილთა მაცილთა მათთაგან, რომელ ჩუენსა სამეფოსა აზნაურსა თჳსისა მონასტრისათჳს არაცის

---

* აქ იწყება მეცამეტე ავი.

დაედვას ესრეთ სასოებაჲ უდაბნოდ განწესებისაჲ და სურვილ-
და წადიერებით ზედამდგომელობაჲ ყოველითა გონებითა, ეითარცა ქ
2. აწ უკუე ვევედრები სიწმიდესა და მადლსა თქუენსა, წმიდანი და ღმერთშემოსილნო მამანო, რომელნიცა წადიერ ხართ მონასტერსა ამას ჩემსა დამკჳდრებად, რაჲთა მტკიცედ ეგოს ა ნ დ ე რ ძ ი და გ ა ნ გ ე ბ ა ჲ ესე ჩემი თქუენ მიერ და შემდგომითი-შემდგომად დამკჳდრებულთა უდაბნოსა შინა ჩემსა. და არა არცხჳნოთ სასოებასა ჩემსა და არღარა შემოიხუნეთ ნივთნი ცოფელისანი სამკჳდრებელსა ამას შინა ჩემსა და ყოველითერთ უდაბნო-ქმნით იქმნეთ მტკიცედ ძეგლი ესე, შეუხებელად ბიწთა ყოველთა. და თქუენდა მომართ მსახურებაჲ ჩემი სრულ-იქმნებოდეს სასოებისა და სიყუარულისა თქუენისათჳს.

3. და რომელნიცა სასოებასა და განგებასა ამას ჩემსა ეცრუვნეთ და რომელნი ძ ე გ ლ ს ა ამას შინა განწესებულან საჭმარნი ტრაპეზისანი, ცხუებით მოუკლებელნი ყოველთა დღეთანი, და კეთილად სატანასამოსლად მიცემულნი და სასტუმროდ მოკუმული პური და ღუინოჲ, თჳნიერ ამისსა რაჲცა ვინ მოიინგაბროს საჭმართაგანი და დაუტეხოს გარეშე ამათ ჩუენგან განჩენილთა და აღწერით დამტკიცებულთაჲსა და *გეზის წყევაჲცა არ მოიგონოს და განცხადნეს ამას შინა. ამა საშინელთა წყევათა ქუეშე იყავნ ქუემოწერილთა და საჭელიმცა მიეჯადების რისხვისა ღმრთისაჲ დაუსრულებელი.

4. და ვინცა ე ს ე გ ა ნ გ ე ბ ა ჲ და გ ა ნ წ ე ს ე ბ ა ჲ უდაბნოჲსა ჩუენისაჲ, დიდითა სასოებითა და წადილითა დაწერილი ჩუენგან, ვინცა და რამანცა გუთარშან ქრისტეანეთან კაცთან, გინა უდაბნოსა შინა ჩემსა მყოფთან, რაჲსაცა მიზეზისა მოღებითა შეცვალოს. შეცვალებულსცა არს სჯულისაგან ქრისტეანეთაჲსა და განურისხდებისმცა ჴელშაკრული ღმერთი მამაჲ, რომელი იქმნა მიზეზ ძისა შობითა და წმიდისა სულისა გამოელინებითა: განურისხდებისმცა ღმერთი ძე, სიტყუაჲ ღმრთისაჲ, რომლისა მიერ ყოველნი წარმოიარსნეს ზეცისა და ჭეყანისანი, ხილულნი და უხილავნი; განურისხდებისმცა ღმერთმთავარი სული წმიდაჲ, რომლისა მიერ სრულ-იქმნეს სრულად და გონებად ,ალბამკნი ზენანი ძალნი და სულნი ყოველთა წმიდათანი;

კრულმცა არს, წყეულმცა არს პაუნებით ერთარსისა თაყუანისსაცემელისა ღმრთეებისა მადლითა;

---

* აქ იწყება მეორისხმეტე ფურც.

კრულმცა არს, წყეულმცა არს, შერისხულმცა არს სიძგულვილ-
ნებით ღმრთისაჲთა და ერთღმრთეებით ქმადაგებულ-
ღმერთად ჭეშმარიტად თაყუანისსაცემელისა მამისა და ძისა და წმიდისა სულისა მადლითა:

კრულმცა არს და შეჩუენებულ ძალითა და მადლითა ყოველთა წმიდათა ზეცისა ძალთაჲთა; კრულმცა არს და წყეულ და შეჩუენებულ წმიდათა და ღმატებულთა საწმიდაობისა დაუცხრომელად გალობისა შემწირველთა ქერობიმთა, სეროფიმთა, საყდართა, უფლებათა, ქელბწიფებათა, ძალთა, მთავრობათა, მთავარანგელოზთა;

კრულმცა არს, განუკსნელმცა არს, შეჩუენებულმცა არს მადლითა ზენათა განწესებათა, მღდელმთავრობითთა, ოცდაოთხთა მღდელთა და შჳდთა დიაკონთა, რომელნი გონიერთა საყდართა ღმრთისათა დაუცხრომელად შესწირვენ ზესთააღმატებულსა დიდებასა;

და მე, სელკურთხეულისა ს ა რ გ ი ს ი ს შვილსა და შვილთა ჩემთა და მოსამაგალთა ცოდვანი და ბრალნი მიეჴადებიან სასჯელისა დღესა;

და ყოველთამცა მგმობართა თანა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისათა და ძისა მისისა და ღმრთისა ჩუენისათა თანადაისჯებიან და შერისხვითა საზარელითა პირისაგან ღმრთისა განეარდებიანმცა სასჯელად საუკუნოდ და ცეცხლად უშრეტად გებენისა უშმაკისა თანა და მსახურთა მისთა.

ა. და რომელთაცა დაამტკიცონ და მტკიცედ იპყრან დიდითა სჯაოებითა და წადიერებითა დაწერილი და გ ა ნ გ ე ბ ა ჲ ეს ე მ ო ნ ა ს ტ რ ი ს ა ჩუენსა ე პ ა ნ ი ს კ ე ა ბ თ ა ჲ, ძენი ღმრთისანი და ყოვლად წმიდამან მშობელმან მისმან ყოველი გაგებული საღმრთოჲ და საკაცოჲ მათი დაამტკიცოს აქა და საუკუნესა, ამენ!

ს. ეს ე ძ ე გ ლ ი და გ ა ნ გ ე ბ ა ჲ წელიწადსა შინა : გ": გზის წაკითხვოდეს ტრაპეზსა ზედა: ე რ თ გ ზ ი ს შემოსლასა წმიდათა მაცხოვართასი. დღესა თევდორობასი: მ ე ო რ ე დ სელისა წმიდისა მოსლვასა: მ ე ს ა მ ე დ ჯუარისაძაღლებასი.

ესე ვითა დაგვწერია, წელიწადსა შინა :გ": გზის წარკითხვაჲ ამის ძეგლისაჲ, რომელმანცა დააკლოს და არსრულებით წარიკითხვოდეს, ანათ ზემოწერილთა ბუნებე იყავნ.

7. და უკუეთუ ვინმე მონაზონი შემოვიდეს და ძმათა თანა დაეწესებოდეს, ესე ძეგლი სრულებით წარეკითხვოდეს: უკუეთუ ყოელითურთ გულსაესე იქმნებოდეს და სიხარულით შეიწყნარებ-

დეს წესთა ამათ, ოვთცა დაეწესებოდეს ძმათა თანა; და უკუნვიქცე არა შეიწყნაროს, ლოცვაჲ აქუს და კურთხევაჲ.

8. დიდნი კარნი ზღუდისანი დიდთა მარხვათა უხარებობდე გაანეხუმიან. ოტთა კართა იარებოდენ თუნიერ კელმწიფე ანუ დიდებული არ შემოვიდოდეს; ქრისტესშობისა მარხვათა და მოციქულთასა უშაბათ-კვრაოდ და უდღესასწაულოდ ნუ გაანეხუმიან; და ამით სხუათა წინუკუანთა დღეთა ოთხშაბათ-პარასკევთა და ორშაბათსა ნუ გაანეხუმიან.

9. და[3] ვითა თუთ სწერია ამაა ძეგლსა სამგზის წაკითხვასა შედეგად, რაჲცა მოშლილიყოს ამის ძეგლისა განგებაჲ, მის ქამისა მოძღუართა, დეკანოზთა და ჭელისუფალთა არა გამართონ, იგინიმცა არიან ამათ წყევათა და კანონთა ქუეშე, რომელნი ზემოჲთ სწერიან**.

[სიგგაიცის ხელთთვა გიორგი კათალიკოზისა]

ქ. უფალსა იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო, რომლისა მიერ სრულ იქმნების ყოველი ჩუენდა მოსაჭებელი მადლი.

მისდობითა შენითა დავსწერ სამტკიცესა წმიდისა ამის მონასტრისასა ჩუენ, ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზი გიორგი, რომელ: ძეგლად ყოველთა მონასტერთაცა კმასაყოფელ არს, სადიდებლად ღმრთისა და სალოცველად ერისთაეთ-ერისთაესა მკარგრძელისათჳს.

ნუმცა დაჰსნებიან წესნი ზემოწერილნი ესე და ნუმცა შემლელს უდებებაჲ განმრყუნელი კეთილთაჲ ყოველთა აგარაკ-სოფელთა.

მაწყენარნი უსამართლოდ წყევასმცა შინა არიან, და ყოველნი მჭნედ მოდუაწნი და აღმასრულებელნი ამის ძეგლისანი აკურთხნეს ღმერთმან და წმიდამან დედა-ქალაქმან.

11. [დაწერილი ეტიუანე კათალიკოზისა ანდელ ხუცესთა სარგოს განწესების შესახებ]

[1218 წ.]

იტყუს კნაჲ საღმრთოჲ: «უსასყიდლოდ მიგიღიეს, უსასყიდლოდ მისცემდითა»***. ესე იგი არს, გატყუა ღმერთი უკუდავი: ჩემდა რაჲ-მე გაცემიეს მადლისა მისთჳს, რომელი ჩემგან მიიღეთ? მაჭუენცა ჰყიდდით დიდსა მადლსა ჩემგან უსყიდელსა. უკეთუ მე

---

* აქ იწყება მეოხებითებე ცვლ.
** დატოვებულია ცარიელი ადგილი 11 სმ სიგრძისა.
*** მათე 10,8.

უსასყიდლოდ მომიცემიეს. არცა თქუენგან ჯერ-არს საყიდელ-
ვითა ერისა მიმართ.

აწ, სასონო ჩემო ა ნ ე ლ ი ო ზეცისანო, ნუ იქნებით[ა]სწადდეს ბრკოლებელ სიტყუათ და ნუცა გარდაჰდებით მოცაქელთ მცნებასა, ცუდისა და წარმავალისათუ[ს].

ყოველად უწყს[ო] არს აღებად თქუენგანცა გუ[ს]რგუ[ს]ნთა ქერთხევისათუ[ს] ასისა დრამისა... [ა]რსთ ძალი ედგას, პური აჭამოს.

ეგრეთვე მკუდრისათუ[ს], რომელი ჰირს... უფრო შესჰირდებას მისისა სულისაჲ. ეგდენიე ასისსა ტფილერისა მიეცეს და... პური აჭამოს და სხუაჲ წაღებაჲ ძალისაებრად. ყოველივე მისაცემელი მღდელთა უბრკოლებელი იყავნ თქუენდა მოსაცემლად.

მკუ[ს]დრსთა ამის ქალაქისანო ქართველნო, რ...ცა... [იგი] პირველად დიდად პატივ-ცემდით, მღდელთაგან გიკჳს ლოცვაჲ და წირვაჲ, ნუ გეწყინების მათთუ[ს] ძა[ლი]საებრი მისაცემელი. უფროსად მსიარულებით მისცემდით, თუნიერ დაჭირებისა. რამეთუ «მხია[რ]ულებით მისაცემელი უყ[ნ]არს უფალსაჲ*.

და თქუენ გეყუარდენ ეროარცა მამანი სულიერნი და მათ ეყუარდით ე[რთარცა] შვილნი სულიერნი.

ლოცვასა ნუცა თქუენ დააკლდებით და ნუცა თქუენ. ყოველსა ზედა უფროსად სალმრთოჲ [იგი] სიყუარული ერთმანერთისაჲ მოიგეთ და ამით მეცით სასუფეო სალმრთოთა მცნებათაჲ.

ესე მე, ე ტ ი ე ნ ე ს კ ა თ ო ლ ი კ ო ზ ი ს ა ჩემითა ჴელითა დამიწერია, ოდეს ა ნ ი ს[ს] ეკლესიანი ეპყრობენ.

ტფილელი ასი დრამა იყოს: დანგი ერთი გ მიეცეს. და ზროხის ტყავი, რომელ ერთიმ წაგიღია აჭამდის, აწ საწირაოდეც მისცემდით თუ[ს]ოო შოლტს.

და ჩუენ საეკლესიოთა წესთაგან რად შეიცვალებით? ეინცა ესე ჩემი გა[გე]ბული შეცვალოს, არ... ბრძანებაჲ ღმრთისაგან და მისთა წმიდათაგან, ქორონიკონსა ჳლჳ**.

12. [ფსალმუნის დაწერილი მიძღვ[ნა] კათალიკოზისა მსახურთუხუცეს ვაჩე გურამაისძისადმი]

[1941 წ.]

[ქ. სახელითა] ღმრთისაითა, მამისა, ძისა და სუ[ლ]ისა წმიდისაითა, უც[ხრ]ოსად კურთხეულისა ღმრთის-მშობ[ე]ლისა მარადის ქა[ლწ]ულისა მარიამისითა; ძლიერებითა [პა[ტიო[სნისა] ცხოველსმყოფელისა ძელისა ცხორების[ათ]ა წმიდ[ისა წინასწ]არმეტყუელი-

* შდრ. 2 კ ო რ ი ნ თ. 9,7.

** ჳლჳ-უდ[ს].

ის წინამორბედისა და ნათლის[მ]ცემელისა [იოანესითა; თ]ანამოქმედებითა წმიდისა კათოლიკე ეკლესიასა შინა] ღმრთივ-აღმართებული ლისა სუეტისა ცხოველისა, ქ[უართ]ისა საეფლოისა და მიპრობისა ღმერთ მყოფე[ლისა]თა:

დაგიწერეთ და მოგეცით დაწერილი ესე ჩუე[ნ]ს ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზმან მიქელ შენ, გუარამაისძესა ვაჩე მსახურთუხუცესსა და შვილთა და მომავალთა შენთა.

მას ქამსა, ოდეს პირველ ხლარაზმელთაგან და მერმე თათართაგან მოოჴრდა ესე სამეფოი და ზოგნი ქუეყანანი და სოფელნი* დიდადრე მოოჴრდეს და შენ და შენნი ძმანი დიდსა უგემუ[რ]ობასა შინა იყვენით: ამისთუის, რომელ რომელნიცა მამულნი გჴონდეს, იგინიცა ამოწყუედილნი იყუნეს და მით ოდენ ვერ დაპრჭებოდით, ერთმანერთსა დიდად რომე ეუგემურებოდით; და მისითა მიზეზითა გუეპაჭენით. რაითამცა შევეწყალენით შენ, ვაჩე გუარამაისძე და-საყდრისა სასამსახურო[დ] სამამულო და სარჩოში გაგეუჭრინა.

ჩუენ დაეხედენით პირველ არაის ჭონებასა და მერმე, რომელნიცა საყდრისა სასამსახუროდ სოფელნი გჴონებოდეს, მოოჴრებულ იყუნეს და ვერარაით დარჩებოდი.

ვისმინეთ ბაჴჴი თქუენი და მოგეცით სამამულოდ შენ, ვაჩე გუარამაისძესა, ჩუენსა მსახურთუხუცესსა, შვილთა და მომავალთა შენთა კათოლიკე ეკლესი[ე]სა სასამსახუროდ ხატი სოფელი ორომა შენი, ყოველითა[ა] მისითა მზღვრითა და მიმდგომითა, მთითა, ველითა, ტყითა, წყლითა, წისქუილითა და ყოველითავე საჭმრითა და უჭმრითა, თუინიერ მუნ შინა მსახდომთა ხუცესთა** სიგლახანთაგან კიდე, რომელნი, სანატრელსა ნიკოლოზს, ქართლისა კათალიკოზსა, გალმა გახუმულნი, საყდრისაკუთნე შინა შემოსულუმან და ღმრთივ-გუირგუინოსანთა მცუეთა და ქათალიკოზთათუის მწირველად უჩენან. სხუებრ ერთობ ყოველად დაუკლე***ბლად მოგეცით, და მათ მწირეელთა, რაიცა ძუელიდგან არა ზედა სდებია, ნურას წყუენასა იქადრებ.

და გჴონდეს სოფელი ორომაშენი ყოველითა მისითა მიმდგომითა, საჭმრითა და უჭმრითა შენ და შვილთა და მომავალთა შენთა. გიბეძნიერენ ღმერთმან, არ შეგეცვალოს დაწერილი ესე

---

* აქ მთავრდება პირველი კანონი.

** „ხუცესთა“ დაწერილია სტრიჭონს ზემოთ.

*** აქ მთავრდება მეორე კანონი.

მოციქულისამდე ერთგულად მსახურებასა შინა კათოლიკე ეკლესი[ი]სა და ქართლისა ქათალიკოზთასა არა ჩუენგან და არცა შემფგრვნელ[ნ]ი ვისგანმე ჩუენთა სულთა ქათალიკოზთაგან.

და ვინ და რაშანცა გუარძან კაცმან, რაისაცა მიზეზისა მოღებითა, ესე ჩუენგან ქმნილი შეგიცვალოს და ახლ რად წყუნად დაცლობად იწყოს, ბრისხავსმცა მამათ, ძე და სული წმიდათ; და კრულმცა არს წმიდისა კათოლიკე ეკლესი[ი]სა მადლითა მუნ შინა ღმრთივ-აღმართებელისა სუეტისა ცხოველისა კუართისა საეფლოისა და მიჰრონისა ღმერთ-მყოფელისაითა, ყოველთა პატრიარქთა და მღდელთმოძღუართა ჯუარითა და მადლითა; და ნუმცა იქსნების სული მისი სატანჯველთაგა[ნ] დღესა მას დიდსა განკითხვასა წინაშე ღმრთისა.

დაიწერა ქელითა დისწულისა ჩუენისა და საჭურჭლისა მწიგნობრისა იოანესითა.

ხელთაგა კათალიკოზი.

[ხელრთვები]

[1]. ქ. ჩვენ, დავით მეფესა დამიხიშნავს.

[2]. ქ. ესე ვითა ზემოთ დაწერია ვახე გუარამ[ი]სძისათუნ და კათოლიკე ეკლესი[ი]სა და კათალიკოზთათუნ სასამსახუროდ სოფელი ორომაშენი მიგუიცემია, ჩუენითაცა ქელითა დავამტკიცებთ.

შემცვალებელნი ამისნი კრულნი სიტყუითა ღმრთისაითა, მადლითა კათოლიკე ეკლესიისაითა, მუნ შინა ღმრთივ-აღმართებულისა სუეტისა ცხოველისა, კუართისა საეფლოისა და მიჰრონისა ღმრთივ-მყოფელისაითა და ყოველთა პატრიაქთა, მღდელთ-მოძღუართა ჯუარითა და მადლითა და ჩუენ გლახაკისა ჯუარითა.

დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხნენ და წმიდამან დედაქალ[ქ]ძა.

[3]. ქ. კირიელეისონ. ესე ვითა სანატრელსა ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზსა მიქელს გუარამაისძე ვაჩე შეუწყალებია და კათოლიკე ეკლესი[ი]სა მკუდრი დმანისა პირს სოფელი ორომაშენი მისთუის სამამულოდ და საყდრისა სასამსახუროდ უბძანებია, მტკიცე ყოს ღმერთმან ნაქმარი და ბძანებაი მათი. მე, მრწემი სიწმიდისა მათისაი, გლახაკი არ-

* აქ მთავრდება მესამე კედი.

სული, ქართლისა კათალიკოზი, ნებითა ღმრთისაჲთა ჩემითაც კელითა დაგამტკიცებ.

და ვინ შეცვალებად ჴელყოს, პრისხავსმცა ღმერთი. მაშაი, ძე და სელი წმიდაი; და კრულ, წყეულ და შეჩვენებულმცა სიტყუითა* შენ მიერითა. ძეო და სიტყუაო ღმრთისაო და სასჯელსამცა დაიმკუიდრებს შენთა უარისმყოფელთასი.

და მტკიცე მყოველნი ყოველნი ღმერთმან აკურთხნეს და[1] წმიდამან დედა-ქალაქმან.

ხელთაჲ კათალიკოზი

[4]. ქ. ამის ღმრთისა სწორთაგან დამტკიცებულისა მოწამე ვარ და დაწერილისა დამამტკიცებელი აგაგ ათაბაგი და ამირსპასალარი**.

[5]. ქ. ამა ღმრთისა სწორთაგან[6] დამტკიცებულისა სიგელისა მე.. შაჰანშა მანდატურთუხუცესიცა დამამტკიცებელი ვარ.

[6]. ქ. ამას ქრისტეს მიერ ქართლისა ქათალიკოზთა დაწერილისა და ღმრთისა სწორთა პატრონთაგან დამტკიცებულისა მოწამე და დამამტკიცებელი ვარ მიწაი და მღოცველი წმიდისა მეფობისა მათისაი ენდრონი და უღირსი იოანე მწყუერელი.

შემცვალებელნი ამისნი, შე-მცა-იცვალებიან სჯულისაგან ქრისტიანეთაისა და კრულმცა არიან ცათა შინა და ჴუეყანასა ზედა ყოველთა მღდელთმოძღუართა ჴუარითა და ათორმეტთა მოციქულთა მაგლითა და მის კათოლიკე ეკლესიისა მაგლითა***.

[7]. ქ. ესე ვითა ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზსა მიჭელს დაუწერია და ზედა ძესა მეფისა დავითს ქელითა მათითა დაუმტკიცებია. მტკიცე და უქცეველ ყაენ ღმერთმან. წეცა უღირსი მასილი მჭონდიდელი და მწიგნობართუხუცესი მოწამე, დამამტკიცებელი ვარ.

[8]. ქ. ესე ვითა ქართლისა კათალიკოზსა დაუწერია ვაჩე გ[უ]არამისძისაგან და ღმრთისა სწორთა მათითა ქნელითა დაუმტკიცებია. მე, გამრეკელი მეჯუარჯლეთ-უხუცესიცა მოწამე ვარ.

---

[1] ჩ-და.

* აქ მთავრდება მცხეთის კანონი.

** აქ მთავრდება ჭიჭუეთ კანონი.

*** აქ მთავრდება მუცუსი კანონი.

13. [წაბალთაგის დაწერილი არსენ ჯუმნდიდელ-მწიგნობარის უხუცესისა მგელა აბულახტარისძისადმი]

[1241—1242 წწ.]

ქ. საჴელითა ღმრთისაითა, მამისა, ძისა და წმიდისა სულისაითა და მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღმრთის-მშობელისაითა, შეწევნითა და თანა მოქმედებითა წმიდათა და ღუაწლ მრავალთა ჭყონდიდისა მარტჳლთაითა და წმიდისა მთავარმოწამისა უბისაითა და ყოველთა წმიდათაითა, რომელნი საუკუნითგან სათნო ეყვნეს უფალსა ჩუენსა იესო ქრისტესა:

ესე დაწერილი მე, უდირსმან არსენი ჭყონდიდელ მწიგნობართ-უხუცესმან დაგიწერე ჩემსა ჭყონდიდისა ქონებასა შიგა შენ, აბულახტარისძესა მგელასა და შვილთა შენთა...* და ფერიზს.

მას ჟამსა, ოდეს ღმერთმან და ეიკადრო გამზრდელმა ჩემმა მეფეთ-მეფემა რუსუდან ბათოისსა გამგზავნეს სამსახურად, შენ მაშინ თანა-მყევ და ძჭიდი მოიჭირე და ჴირნი ბნახენ.

ერდგულად მსახურებისათჳს მეჰაჭე დუერკისი მოცემასა, და მოგეც დუერკი სოფელი, გარეთ უშესაველოდ, მისითა საჭდომითა და მიწა-წყლითა, მთითა, ბაღითა, ტყითა, ველითა, წყლითა, წისქჳლითა და ყოველითა სამართლიანითა ზღურითა მისითა.

გჳთხრეს შენ, მგელასა აბულახტარისძესა, შვილთა შენთა...* ფერიას და ყოველთა შვილთა და მომავალთა შენთა ერდგულად მსახურებასა შინა ჩუენსა და შემდგომად ჩუენსა ჭყონდიდისა საყდრისა მპყრობელთასა ჭეშიდრად, სამამულოდ, თავისუფლად, შეუვალად და შეუცვალებლად ყოვლისა შესავლისა და გამოსავლისაგან.

არა შეგეცვალოს არცა ჩემგან და არცა შემდგო**მთა ჩემთა ჭყონდიდისა პატრონთაგან.

და ვინცა რაისაცა მიზეზისა მოდებითა შეგიცვალოს, შე-მცაცვალებელ არს სჯულისაგან ქრისტიანეთაისა, ჰრისხაესმცა მამაი, ძე და წმიდაი სული: და იგიცა წმიდანი და ღუაწლმრავალნი მარტჳლნი ჭყონდიდისანი და წმიდაი მთავარმოწამე უბისანი

---

* აქ ერთი სიტყვა ამოჭრილია.

** ამით მთავრდება პირველი კეფა.

მტანჯველთა მათთა პატრესა მისგან აძევს; და ნუმცა რაი დამმტკიცებელ დების მისგან ქმნილი.

სეფისა ზარდახნისა[1] მწიგნობრისა თეოდორე ჩორჭუჩელისა ძისა ქელითა დამიწერია.

[ხელრთვები]

[1]. ქ. ესე ვითა ზემოთთ დამიწერია მე, უღირსსა არსენი ჰყონდიდელ მწიგნობართ-უხუცესსა ჩემითაცა ქელითა დამიმტკიცებია.

ვინცა შეცვალოს იყავნ კრულ, წყეულ და შეჩუენებულ ღმრთისა და ყოველთა წმიდათა მისთაგან.

[2]. ქ. მე, რუსუდან მეფისაგანცა დამინიშნავს.

[3]. ქ. ჩემ, დავით მეფისაგანცა მტკიცეთ.

[4]. ქ. კირიელეისონ. ესე ვითა ქრისტეს სწორსა არსენი ჰყონდიდელ მთავარეპისკოპოსსა და მწიგნობართუხუცესსა შეუწყალებია მგელი და შვილნი მისნი და ღუერკი სოფელი ს[ა]მ[ა]ძღლოდ უბოძებია, მოწმე, დამამტკიცებელი ვარ მეცა, გლახაკი ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზი არსენი.

და ვინ შეცვლად ქცეყოს, წყეულ და შეჩუენებულმც არს და მტკიცე მყოფელნი ყოველნი აკურთხნეს ღმერთმან და წმიდამან დედა-ქალაქმან.

[5]. ქ. დაწერილისა ამისა მეცა დამამტკიცებელი ვარ უღირსი ბასილი ჰყონდიდელი მწიგნობართუხუცესი და პროტიპერტიმოსი; მტკიცე ყოს ღმერთმან.

და შემცვ[ა]ლებელთა ამისთა შერისხვითა მისცეს სასჯელი.

[6]. ქ. ესე ვითა არსენი ჰყონდიდელსა მგელი და შვილნი მისნი შეუწყალებიან და ღუერკი სოფელი სამამულოდ უბოძებია, მეცა დიდისა მონასტრისა წინამძღუარი ნიკოლოზ მოწამე ვარ და დამამტკიცებელი.

და ვინცა შეუცვალოს, ღმრთისა დაუსაბამოსა პირითამცა კრულია**.

[7]. ქ. ესე დაწერილი მე, ივაგ ათაბაგსა დამიმტკიცებია.

---

[1] ზარადახნისა.

* ამით მთავრდება მეორე კედი.

** აქ მთავრდება მესამე კედი.

[8]. ქ. მე, შ ა ჰ ა ნ შ ა მ ა ნ დ ა ტ უ რ თ უ ხ უ ც ე ს ი ა [ვ]ი[ქ]ე[ნ]ი მტკიცებია ესე დაწერილი.

[9]. ქ. ღ[ვ]თის სწორთაგან საეკლოითა ჭელითა დამტკიცებული[ა]ა მწიგნობართუხუცესისაგან პოძებულ[ი]ს მ გ ე ლ ი ს ა და მისთა შვილთათჳს სიმტკიცისა მოწამე ვარ ი შ ხ ნ ე ლ ყ ო ფ ი ლ ი და აწ ს ა წ ო ლ ი ს ა და ს ა ჰ უ რ ჭ ლ ი ს ა მ წ ი გ ნ ო ბ ა რ ი ა ნ ტ ო ნ ი. მტკიცე ყოს ღმერთმან.

შემცვალებელნი შეცვალნეს ღმერთმან ყოვლისა კეთილისაგან.

[10]. ქ. ამის ღმრთისა სწორთა პრძანებისაი მოწამე ვარ მე, მიწაი მ[ა]მ[უ]რჩაი(?) მ ე ჰ უ რ ჭ ლ ე თ უ ხ[უ]ც[ე]ს[ა]ი".

14. [განჩინება საეკლესიო კრებისა შიომღვიმის ფეუდალობის შესახებ]

[XIII ს. 40-იანი წ.]

...[ესე ვითა] ზემოთ დაგუიწერია, მე გლახაკსა არსენ ქართლისა კათალიკოზსა, წამე[ბითა]...[ქარ]თლი[სა] ებისკოპოზთათა წმიდისა უდაბნოჲსა მღუდისათჳს... და უბრძანებია ჩუენ ყოველთა შეჰდგომად მათსა... ღუწაი და ზრუნვაი მამათა მემღუიმეთა მათთა, ...[დაწერ]ილი და დაწყეაი... მე, გლაკაკი არსენი ქართლისა კათალიკოზი მათ[ი]... აღმასრულებელი ვარ... ყოველითა ზემოთით დაგუიწერია არა...

ვითა დიდსა და მეფეთა შორის სანატრელსა დ ა ე ი თ ს ენებას... კჳა არს წმიდისა ჴმის უდაბნოისათჳს, და მათნი ღმრთივგჳრგჳნოსანი მეფენი და მოურაედ, ვითა იგი მასვე შინა სწერია გაჩენითაცე ნი... [მწიგნობა]რთუხუცესი ვაზირი ნონაზონი ჴდეს, და მამაჲ მემღუიმე სულიერთა საქმეთა მათთა [განაგებდეს]...

არ უც საქმე მღუიმესა თანა არცა ქართლისა კათალიკოზთა, თუინიერ ლოცვისა და კურთხეჳსაგან, [არცა] ებისკოპოზთა, არცა ვის სხუასა ებისკოპოზსა, არცა მთავარსა ვისმე.

და არს... მწერ ლოცვაჲ წმიდათა მეფეთაი ზედა-აც; და ჟამისწირობანი, ვითა ძუელითგან... უკუეთუ ჩუენ მათნი მოღუაწენი ვიყუნეთ, სახელსა ჩუენსა მოიკსენებდენ პირველად... [მოიკ]სენებდენ.

და ვინც ეს დაწერილი და გაგებული წმიდასა უდაბნოსა მღუიმისასა შეუცვალოს... [უწ]ინდელი წმიდისა მამათმთავრისა იოვე-

---

* აქ მთავრდება მეოთხე კედი-

ნესი ქართლისა კათალიკოზისა, ანუ ოქროპირ[ი] ქართლისა კათალიკოზისა, ანუ გაბრიელ... [ესე] რაო[დენნი სხუანი შემდგომითი-შემდგომად სხენა]ნ, კელთა-წერილნი სანატრელთა... წმიდისა მამათმთავრისა მელიქ-ზედეკისი ვინ შეიცვალოს, ამას ყოველსა შენ... მათ სანატრელითა კელითა დამტკიცებული, გინა დიდისა დავითის ანდერძ[ი და]... სიგლეხი მათი... შეცვალებულ ყოს, პრისხვეს ღმერთი... კრელია ქრისტეს ღმრთისა მიერ... ამენ.

მე, არსენ ქართლისა კათალიკოზმან ჩემითა კელითა დაეწერე ყოველი ესე სიმტკიცე. და სახენი მტკიცე მყოფელნი [აკურთხ]ნეს ღმერთმან და წმიდამან დედა-ქალაქმან.

სხვა ხელით, ჰხედრულად:

[ესე], ვითა წმიდასა კრებასა და წმიდისა მამათამთავარსა ჩუენსა არსენის ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზსა განუჩენია ბჭობითა და დიდთა მამათმთავართა და მოძღუართა ჩუენთა კელით-წერილნი... დაუმტკიცებიან, მეცა გლაკახი: ქართლის მთავარ ეპისკოპოზი საბა კელის-წერით დავამტკიცე...

15. [დადგენილება საეკლესიო კრებისა ულუ-დავითისადმი]

[1208 წ.]

[...გეედრებით და ვრეკთ კარსა მოწყალებისა თქუენისასა, მოიწყიხეთ ჰრტონვა] ჩუენი და სიგლახაკე და უტრონებელი...* ობლად დაჰხსნულნი ეკლესიანი ღმრთისანი შეიწყალეუნით, ვანშიშო[ლებულნი საპარო]ლით შემოსენით, იჭსენით დაწუნებულნი, უსაჯეთ საპარიალი მართალი, რაჲთა მართალთა თანადაეწყვნ...** ებისაგან ძწარისა, ვითარცა იტყუის წი[ნაისწარმეტყუელისა პირითა უფალი საბაოთ, ღმერთი წმიდაჲ ისრაჲლისაჲ: «რომელმან გჰამოიყ[ვანოს პატიოსანი უპატიოებისაგან, ვითარცა პირი ჩემი იყოსა».

რომელთა პირველი არის თაყი სჯულისა და ეკლესიათაჲ მცხე-[თა]: და, უკუეთუ თავსა, ჯერეთცა ნედლსა, ესრეთ ეყოს, ჰელ-ფერჯ-თით-მწუერვალებამან რაჲმცლა ინაყოფესა.

კუალად იტყუის: «აღუთქუ და აღუსრულე უფალსა ყოველი აღსათქუემი შენიოს» და «უმჯობეს არს არა აღუთქუმაჲ, ვიდრე აღთქუმაჲ და არა აღსრულებაჲ»***.

---

* აქ მოხვედრილია ორმხრ-ხეთი სიტყვის აღგილი.
** მოხეედრილია ერთ-ორი სიტყვის აღგილი.
*** შდრ. მეორე სჯული 23, 21—23.

სრულ ყავთ, წმიდათა და ქრისტე-მოსილო მეფეო ბრძანებულ-
ესა, თქუენი სიტყუანი საქმით სრულ-ყუენით: მოალებინეთ სრულ-
ბი და ნიშნები ყუელაჲ ყუელას, ვისთჳსცა გიბოძებია.

[არა] თუ ჩუენთუის რასამე და ჩუენისა შეძენისათუის ვიწყი-
ნებით, მაგრა სალმრთოდ წერილს სალმრთოდვე ჯამს გონებაჲ და
მოყუსებაჲ და თუით საყდართა ქონებაჲ დიდად უფრო თქუენი
ქონებაჲა.

აწ, თუ ერთხელ საჭურჭლესა თქუენსა შინა შემოღებული და
ერთგზის თქუენთუის შემოძღუნებული, თუალთა და მარგალიტთა
და ჭურჭელთა ოქროჲს და ვერცხლისათა თანაჲ რაჲმე მცირე, ანუ
ვინა დიდი საჭურჭლესა შინა თქუენსა მდებარე გამოიღოს ვინმე,
ანუ თქუენვე შემოგწიროს, ანუ წარაგოს სადმე, ნიჭნიმცა მიანიჭე-
ნით, ანუ პატივნი და ქებანი აღუვარენით, არამცა უფროჲს რისხვე-
ულ და პატიჟეულ ჰყავით?

ღმრთისთუის შეწირულთა ადგილთა გაცემის ვაზირი, მაწუეველი, მაქნეველი და მნებებელი გაცემისაი ვითამცა არა ღმრთისაგან რისხვეულ იქმნა; ვინც იკადრებს და გაქნევს, ვითა კეთილის მა-მოქმედებელს კეთილი ნი[ჭ]ი მიენიჭების ღმრთისა მიერ; ეგრეთვე ბოროტისა მიზეზი ბოროტსა მოისთულებს.

ვიცით, რომე მრავალნი კადრებენ ქამისა ძნელბედობასა და საჭიროობასა. მაგრა ამის უძნელბედესნიც ყოფილან მაშინ ქამნი, ოდეს დიდი კათოლიკე ეკლესიაჲ შენებული, ჰასრე რომე ჯ ა ც ა რ ამირად ჯდომილა თ ფ ი ლ ი[ს] და ქალაქი სპარსთა ჰქონები[ა]; და თუით რაჲმცა მიზეზი არავინ კადრა საყდართა ქუეყნის ქონებისა და დარღუევის მნებებელმან. «ყოველი დრკუტ მაცალი მიზეზობად მზა[ა]ო», მაგრა ნუ მისცემთ გზასა მეტყუელთა ესეეითარისა მეტყუელებისათა.

საამოცდამეათხუთმეტენი შვილნი ხართ თქუენთა გუართანი და რომელი მეფე თქუენთა ოდენთა ჰირთა, ღუაწლთა და განსაცდელთაგან არა ჭსნილა, ვითა ღმერთსა, თქუენსა მჭსნელსა, თქუენ უჭსნიხართ, და არცა რომელსა მეფესა თქუენგან უფრო ღმრთისა გზისა დაჭირვაჲ ჰმართებია.

და ამ საამოცდაათხუთმეტთა თქუენთა გარდასრულთა მეფობასა შიგა უფროჲსი და უმრავლესი ქამი ამისაგან უძნელესი და უბოროტესი ყოფილა, ვითა ქართლისა ცხორებაჲ გამოაჩენს.

რომელსა დიდებულსა, ანუ აზნაურსა, ანუ დარბაზის ერსა, ანუ გლეხსა აქუ[ს] სიგელი, თქუენთა გუართაგან ბოძებული და, თუ ვის აქუს, არავინ დაჰმალავს, რად არავინ გამოაჩინა, რომე საყ-

დართა სოფელი ვის ზედა გაცემულ-იყოს და ეწეროს, თუნიერ-/ ამისასა, რომე თქუენ გაგიცემიან და გაგიბოძებიან სიგლითა...ისაა.

ესეც იუწყოს წმიდამან მეფობამან თქუენმან აწ შეკრებულმან ამისა კრებისაგან, წესი სახლისა და პალატისა თქუენისაჲ ესე ყოფილა: ვინცა ვინ დაკრულიყოს, რაჲთაც მიზეზითა და საქმითა, თქუენ მიერცა შერისხული, მამული დასჭირვია და ლაშქართა შიგან არ შეშუებული.

აწ თუ ვის დაჰკრულაყოთ, გამოაჭენებს თქუენს დარბაზსა და თქუენთა ვაზირთა მომმართებს, ბრძანებასა და კაცს უბოძებთ. ჯუარი დასწერეთ, გაწყრომისა და ჰაეად გაჭდის ნაცელად.

ესე უწესოი წესი ნუღაროდეს იქნების, ნუც დაგუემართების; ვისაც დაჰკრულიყოთ, თქუენც შეჰრისხეყოდეთ.

და კრძლითა თანა-უდეგით სჯულთა და წესთა სამღვდელოთა, საღმრთოთა წერილთა მოძღუარებისაებრ.

თუ თქუენსა მეფობასა შიგა არ შეჰკაზმავთ საყდართა და მონასტერთა და არა უბოძებთ ჭელთა მათთა საქონებელთა, ვინმცაღა დაეურჩა, ანუ ვინმცაღა ჰკადრა თქუენთა სიგლებ-ნიშნებთა გატეხაჲ.

ცოდვაჲ ეგრე ბრალი და ცოდვაჲ არ არის, ვითა ცოდვისაჲ საჱდ და იგავად დადებაჲ მომავალთა და ყოფადთა ჟამთა და კაცთათჳს მისათხრობელ-მოსაკსენებლად.

არღარავისგან გუაქუს პატიჟი, არც სჯულსა და არც ებისკოპოსთა, არც მონაზონთა, არც ხუცესთა, არც მღდელთა, არც მიპრონსა, არც კორებისკოპოსთა[1]! ყუელაი ყუელასა უპატიოდ, შეურაცხად, გინებით და ბასრობით ეჰყაენ.

რად დაჰკსნით წესსა საქებელსა, რად უპატიო ჰყოფთ პატიოსნობასა და საკრძალვობასა ამის სახისად საქმისასა? რომელი მეფე იქნების უპატიო-მყოფელი, შეურაცხად მჴსენებელი ებისკოპოსთა და მონაზონთაჲ?

*თქუენ სიყრმითგან ღმრთივ-სწავლულნი ხართ და საღმრთონი წერილნი ზეპირათ უწყნით: რომელთა საქმეთ მოქმედი მეფე იქნების, ანუ რომელთაჲ იყუედრების!

რანიც პატიენი თქუენთა გუართაგან ზედსხმიან ებისკოპოსთა[2] და მონაზონთა, მასვე თქუენგან ვიღირსებოდეთ.

---

[1] კორებისკოპოსთა. [2] ებისკოპასთა.

* აქედან ტექსტი დაწერილია უფრო წვრილად და მკრალი შელნით.

და, თუ თქუენ უპატიოდ გყავთ, ვინმცა არა შეურაცხ-გუყონ, ვინმცა არა გუაგინონა, ვინმცა არა უპატიოდ და პაეიდ დაგუჭიდნეს.

თუით პირად და, ზედაით დალმა ამას გუეუბნებიან მჭოსნელნი და მნებებელნი საყდართა და მონასტერთა საქონებელთა ქონებისანი: «პატრონი არ დაგუადებინებს და არცა წაგუიღებს, რომელს სიგლითა უბოძებია, და თქუენ არცა დაგიდებთ და არც გუეწართლებით დადებინებასა, ქრთამსა მოგცემთო». ამა საქმესა თქუენვე სწამლეთ და დასდევთ ემბლასტროდ საკურნებელი.

ნუცა ვინ ყალნობის მიზეზს შემოიდებს: რაჲცა საყდართა საქონებელთა ყალანი ჰმართებს, მისნიცა მზღველნი ვართ, და არას უკუ ვაღგებით. და თქუენსა თქუენნი თქუენთაგან განაღმცა გმსახურებდით, ძალისაებრ და შეძლებისა ჩუენისა!

ესე ამისა კ რ ე ბ ი ს ა, აწ შეკრებულისა, ძალი ყოველთა შორის საცნაურ იყავნ წმიდისა და თეითმპყრობელისა მეფეთა მეფობისა თქუენისა წინაშე, რომელ, თუ ღმერთი გურისხაეს და მიუდრეკელი და წმიდაჲ გონებაჲ თქუენი ცოდვათა ჩუენთა სიმრავლისაგან მიდრკების და ესე რაჲცა გუიკადრებია და მოგუიკსენებია, არ დაგუეურვების ჩუენითა წესითა, და რაჲცა დაგუპირებია, მისნი მჭმნელნი ვართ: არცა მიპრობსა გაქვჭსნით, საქართველოჲსა ეკლესიათა დავპეჭდავთ, ხუცესთა დაეყენებთ წირვისა და ნათლვისა და სამკუდროთა ზიარებისაგან!

თუნიერ ამისისა ქ[მ]ნისა, სჯეისა ღონისა ყოველისაგან უღონო ვართ, და ნუთუ ამისითა ქ[მ]ნითა, სჯეა სჯულთა და სხუასცათაგან მეფობასა თქუენსა საწყინოჲ რაჲმე შემოუცდეს და სჯულიცა ჩუენი დაკნინდეს!

ეზომის კადნიერებისა და წყენა-კადრებისათუის, ვითა საშინელისა ღმრთისა საშინელებათაგან, ვძრწით და ვიშიშვით; გარნა სალმრთონი სჯულნი მეფეთაცა ზედა მთავრობად ბრძანებულან; და სადა ღმერთი დაგუჭირდების, მუნ ყოველსაცე შეურაცხჰყოფთ; და «მაუნებელი კაცთაჲ ქრისტესცა მონა არ ვიყოო», წმიდაჲ მოციქული პაელე ბრძანებს!

აწ აქა შეყრილნი და გაეყრელნი და მომლოდენი ამისისა დაურევებისანი ყოველნიცე აქა ვართ და ფლობავთ წმიდასა მეფეთ-მეფობასა თქუენსა.

16. [დაწერილი შიომღვიმის კრებულისა ზოსიმე ტოხაელისძისადმი სამწირველოს გოძების შესახებ]

[1260—1270 წწ.]

[ხახელოთა ღმრთისაი]თა მამისა, ძისა და სულისა წ[მიდისაითა, მეოხებითა] და შეწევნითა ყოველად წმიდისა ღმრთის-მშობ[ელისაითა]...* ამათ ყოველთა წმიდათა შეწევნითა და თანადგომითა [ესე დაწერილ]ი დაგიწერეთ ჩუენ, მღვდელთა ერთობით სრულად კრებულ[თა წმიდისა] მამისა შიომღ-შვილთა და მოწაფეთა შენ, ზოსიმეს: კვრიკე კახთა მეფისა სამწირველოდ გქონდაქე ამას საკურთხეველსა მათსა ზედა.

შენ, ზოსიმეს და შენსა გამზრდელსა იოანეს დიდნი ჭირნი გუსახნეს: საკურთხეველისა სახლი დაშლილიყო, აღარ იყო.

და შენ, ზოსიმეს, გამზრდელსა იოანეს ერთნი ნაშვილებნი სახლნი და ერთნი მამულნი ეკლესიასა ქუე-დაუსხენით და მისად სანაცვლოდ თომაურნი სახლნი მოგცენით და სასა[ყუშევლო]ცა ავიღეთ თქუენგან, და თქუენ დიდი ჭირი ჰნახეთ, და სახლი მოაშენეთ, უჯმარი საჯმრად შეჰქმენით, და ესე საკურთხეველსა აქა შესძინეთ.

და კუალა საკურთხეველისა ვენაჭსა ზედა აგარას თორმეტისა დრაჰკნისა ვენაჭი იყიდეთ კვრიკაჲსძისაგან და იგიცა ზედა მოჰკიდეთ.

რუეას საკურთხეველისა საგლეხოსა ვენაჭსა ზედა კაცნი ვინმე სხდომილ-იყვნეს არ-მემამულენი, მიწაჲ ვენაჭად აეშენა, და იგინი კაცნი კიდე წავიდეს, ნაშენებისა მათისა ნაცვლად იოანეს გამზრდელსა გარისელაჲსძესა თექუსმეტი დრაჰკანი მიეცა მათ კაცთათჳს, და მის გარისელაჲსძისა სულისა სალოცავად თორმეტი კოკაჲ გაუყოფელისა ტკბილისაგან აიღების მ[ისა]დ სალოცავად ყოველთა წელიწადთა.

და ამისად სანაცვლოდ შენ, ზოსიმეს გამზდელმან იოანე, გარისელაჲსძისა სულისა სალოცავად, თევდორობისა პარასკევსა თესლი და კუანჩხითა ღუნოჲ ამას ძმათა გაუყოფდა ეკლესიას.

და კუალა მასვე ვენაჭსა საგლეხოსა ზედა იოანეს, შენსა გამზრდელსა, ნაკალოები მჭედლური ეყიდა და ზედავე მოეკიდა.

---

* დაზიანებული ტექსტი 9 სტრიქონს შეიცავს.

და კუალა იოანეს მხთრობელი აუდგა — ი ე ა ნ ბ ე რ ი წ ე ბ ა
გ რ ძ ე ლ ი ს ძ ე. და მიწაჲ დაკარგული უთხრა და მან, მისითაჲ ჰხოლო
ჭირვებითა და საურავითა, ზედავე შესძინა; თჳთ ამისი დაწერილი
ძეს. ესე საკურთხეველისადა აქა შეუძენია.

და კუალა საკურთხეველისა მიწაჲ შალტამი, კოდათა გაუტეხელი, უკმარი საკმრად შეჰქმენით, დიდნი ჭირნი ჰნახენით შენ და შენმან გამზრდელმან იოანე.

ესე ყოველი საკურთხეველისადა შეგიძენია შენ და შენსა გამზრდელსა იოანეს. და ვინაჲთგან ესე ყოველი შენ და შენსა გამზრდელსა იოანეს მოგეჴირვა, შენ, ზოსიმეს, დედფლსა ზითვად მოცემულსა ზედა ს ტ ე ფ ა ნ ე თ მამულისაგან, რომელ სამსახური არაჲ ზედა-აც, მისსა ნაცვალსა ს ტ ე ფ ა ნ ე ს ძ ე გარდაიქცის, საეკლესიოსა და სამეფოსა სამსახურსა: კულუხსა, ღალასა და ყოველსაცე გამოსაღებელსა, ჰაგრე მოცემული არს ესე მიწაჲ ზითვად. ამას მიწასა დედისა შენისა ზითევსა ზედა შენ, ზოსიმე და შენმან გამზრდელმან სახლკარი ააშენეთ და მოკიდებით ვენაჯი კარგი; დიდნი ჭირნი ჰნახენით, და მეტის-მეტად შენ, ზოსიმე.

და კუალა შენისა გამზრდელისა იოანეს მამასა მ უ შ ე რ ა კჳრიაკეული მიწაჲ აჲღო საშენებლად, ხელ-გიორგის ძისა ვენაჯსა გუერდით, დღისა ერთისაჲ; და რაჲ აღეშენა, ორად გაეყო, ნახევარი იოანეს მამასა დაემჭირა — მუშერს. ნახევარი — მიწის პატრონსა; მერმე იგი მათი კერძი აოჴრდა და თქუენ მისვე მამულისაგან იცვალეთ მიწითა — ოთხი ზომაჲ წყალმყინვართა ზედა მიეცით, რ ო ს ტ ო მ ა ს ძ ი ს ა გ ა ნ ეყიდა დღისა და ნახევრისაჲ მიწაჲ შენსა გამზრდელსა იოანეს.

და კუალა მასვე ზედა მოკიდებით მ ა ტ ლ ა ბ ნ ი ს ძ ი ს ა გ ა ნ — დღისა ერთისაჲ, და მასვე ზედა მოკიდებით ზ ჯ ა დ ი ს ძ ი ს ა გ ა ნ — დღისა ერთისაჲ, და ზედავე მოკიდებით დღისა ერთისაჲ — ს ტ ე ფ ა ნ ე ს ძ ი ს ა გ ა ნ. ესე სამისა დღისაჲ შენ ზოსიმეს გეყიდა წყაროთა ზედა.

ამასვე გუერდით, ზედავე მოკიდებით, სამისა დღისაჲ მიწაჲ იყო ეკლესიისაჲ და მისითა სამართლითა სასაკუმეველოჲთა თქუენვე მოგეცით.

და კუალა ეკლესიათა გუერდით ორისა დღისა მიწაჲ შენ, ზოსიმეს გეყიდა სტეფანეს ძეთაგანვე.

და კუალა შენ ზ ო ს ი მ ე ს როეთელისა მ ჰ ე დ ლ ი ს ძ ი ს ა-

განგებულია ორისა დღისა მიწაჲ* ქანდაკისა ქუეშე რუსა.

ესე შენ, ზოსიმეს და შენისა გამზრდელისა ნასყიდ-ნაჭირეები, და დედანი ზითვად მოცემული, ყოველივე ესე თქუენი ამის კვრიაკე ქალთა მეფისა სამწირველოსა ზედა მოპკიდე[თ], თქუენისა სულისა და მშობელთა და გამზრდელთა სულისა სალოცავად**.

არავის საქმე უც ამას ადგილსა ზედა: არცა სამეფოჲ სამსახური ზედა-აც, არცა მდგური, არცა გამოსაღებელი, თჳნიერ ეკლესიისა მამითსადი***; ყოველითურთ უბეგროჲ არს, მით რომელ ნასყიდი არს.

ესე შენ, ზოსიმეს შენოჳს და შენთა მშობელთა და გამზრდელთათჳს სალოცავად, სახლკარითა, ვენაჯითა, წისქუილითა, საკმრითა და უკმრითა შემოგიწირავს ეკლესიისადა საალბედ.

აწ ამას დაწერილსა ჩუენსა მოწამენი ვართ ამას უდაბნოსა შინა მყოფნი ძმანი და მოწაფენი და შვილნი წმიდისა მამისა შიოჲსანი: პირველად წმიდაჲ მამაჲ მემღვრე თევდორე და მოძღუარი იოანე, ბასილი მნათე, ბასილი თევაური, ბასილი ტიმოთეს ძმაჲ, მიქაელ ისაკის მწირველი, ზაქარია, ბრუკუაული ნიკოლოზ, არსენი და არსენი, თევდორე და ნიკოლოზ და ლუკა, გიორგი და მისი შვილი მანგლელი დანიელ, და სჳმონ, ნიკოლოზ საგდუხტისი, იშტიმახი გიორგი, ბერი გინდაბერი, მიქაელ იფხაზი, ბერი თევდორე, ბერი კვრიაკაჲსძე. ყოველნივე ერთობით, მღდელნი და მამანი, მკვდრნი ამის უდაბნოჲსანი.

და აწ, ვინცა-ვინ ესე დაწერილი და გაგებული ჩუენი შეცვალოს და აქციოს, რაჲსაცა მიზეზითა, შინამან ანუ გარემან, დიდმან ანუ მცირემან, რამანცა გუარმან კაცმან, პრისხავსმცა ღმერთი ცხოველი. წმიდაჲ ღმრთის-მშობელი და წმიდანი მამანი ჩუენნი: იოანე, შიო და ევეგრე და ყოველნი წმიდანი ღმრთისანი.

და წყევისამცა იგი კანონი მას ზედა აღესრულებოს და უდაბნოჲსამცა მღვიმისა ლოცვაჲ წყეულ და კრულობად მოექცეს; და

---

* აქ სტრიქონებს შუა ნესხა-ხელნაწერიდან სხვა გვიანდელი ხელით ჩაწერილია: „ამის წჱდლის ძისაგან, რომელთაცა ყოფდა შესამოსლისა დასად ორი გუთანი ვარაისძეთა".

** აქ მთავრდება პირველი ქედი.

*** აქ ორი სიტყვა ამოუხსნელია.

და-მცა-ისაჯების ყოველთა-თანა მგმობართა წმიდისა სამებისაჲ
იუდას და ივლიანეს თანა.

და კრულმცა არს პირველ ღმრთისა დაესაბამოჲსა პირითა წმიდათა ათორმეტთა მოციქულთა მადლითა, და ჯუარითა, და ექუსთა კრებათა მადლითა და ხუთთა პატრიაქთა ჯუარითა, ქართლისა კათალიკოზთა ჯუარითა, და ქართლისა მთავარეპისკოპოსთა ჯუარითა, და ყოველთა მღდელთ-მოძღუართა ჯუარითა აქა და საუკუნესა. ამინ.

და ვინ დაამტკიცოს, ღმერთმან აკურთხენ და ყოველთა წმიდათა მისთა*.

17. დაწერილი კარაჯაძეთა გიორგი მუშრისძისადმი

[1260—1270 წწ.]

ჴ. სახელითა ღმრთისაითა მამისა, ძისა და სულისა წმიდისაითა, მეოხებითა ყოველადწმიდისა ღმრთის-მშობელისა და მარიამ ქალწულისა მარიამისითა, ძძლითა (sic) და მეოხებითა წმიდათა და ღმერთშემოსილთა მამათა ჩუენთა იოანე, შიო და ევაგრესითა ესე დაწერილი დაგიწერეთ ჩუენ კარაჯაძეთა კურიკე და ბასილმან შენ, გიორგის მუშრისძესა.

მას ჟამსა, ოდეს ძმაი შენი ზოსიმე მიიცვალა, ოქროსა გჳედით ჩუენთა მშობელთაგან დანადებსა ზოსიმეს თანა და ამის საქმისათ შენ გიორგის გერჩოდით, ვიძიეთ და ვცან მართალი, რომელი ძმასაცე ჩუენსა იოანე თფილელსა წაეგო, თჳნიერ ამისგან გარეშე, რომელ ზოსიმეს ჭელსა მინდობით შესამოსელი იყო და იგი დაიკარგა და წაჴდა; და ესე შესამოსელი რვა ლარაჭანად ვეჭრულად დაასფასეს[1]. შენ ოქროდ არ ძალგიჩნდა და მოგუეც ორი გუთანი მიწა მჭედლითური.

აწ დღესითგან წალმართ არავინ იყოს ჩუენისა გუარისა, არცა ჩუენ, კურიკე და ბასილი და არცა ჩუენნი შვილნი და მომავალნი ამისა პირისანი[2].

და ვინცა რამანცა გუარმან ჩუენმან დღესით გთხოვოს და ანუ გერჩოდის, კრულმცა არს დაესაბამოისა ღმრთისა პირითა მკუდარი და ცოცხალი.

---

[1] დაიგასტას. [2] პრთისანი.

* აქ მთავრდება დაწერილი შიომღვიმის კრებულისა, აბუკის verso-ზე XIII ს. მხედრული ხელით მიწერილია ორი საბუთი (იხ. №№ 17 და 18).

ესე დაწერილი მე, ბასილსა თუით ჩემითა ჴელითა დამიწერია. ამის მოწამენი არიან ამას დაწერილსა: ბასილი მოძღვარი თავაური, მემღუიმე ზოსიმე, გიორგი ჰყონწყრიდელისა მწირველი ნიკოლაოზ ბუწიასძე(?). მნათელია, არსენი კალმახელთა მწირველი, თევდოსი, ბასილი, გიორგი, გაზრდილი მათე ელიას ძე და ყოველნი კრებულნი.

ესე, ვითა ბასილსა ძმასა ჩემსა დაგიწერია, მეცა მოწამე ვარ კჳრიკე.

18. [დაწერილი ბურჯულთა დემეტრე ტოხაისძისადმი]

[1260—1270 წწ.]

ქ. სახელითა ღმრთისაითა და თავსდებობითა სუეტისა ცხოველისაითა ესე დაწერილი დაგიწერეთ ჩუენ, ბურჯულთა კავთულამა და თევდორამა და ჩუენთა შვილთა ბასილამა და მშუიდამა.

დაგუეჭირვა ჰაეისა ქამისაგან და ხარაჯობისაგან და ავიღეთ თქუენ, მოძღურისაგან დემეტრესაგან ტუხუაისძისაგან სამოცი თეთრი, დეკენბერსა ათსა; და გაგიჩინეთ ოცი კოკაი ტკბილი წელიწადსა შიგა მზაი, რომე უსიტყუელადა ჴელთა მოგაჴსენებდეთ. ვირემდისცადა ამა თეთრსა შენსა ჴელთა მოგაჴსენებდეთ.

ამისნი მოწამენი არიან: კარაისძე ებაი და წამალაისძე იოანე.

XVII საუკუნის ხელით, ზედრელად:

ქ. მღვიმეს რომ კრებულნი ბერები რომ წასულან და ბჭიტებს საყდარი აუშენებიათ, ის კრებულნი ამაშიგან სწერიან. იქ რომ სახელები სწერია საყდარზედა, ისინი არიან ეს კრებულნი.

19. [წუალობის დაწერილი ნიკოლოზ კათალიკოზისა არვანგეგ საბაისძისადმი]

[1281—1282 წწ.]

ქ. სახელითა ღმრთისაითა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისაითა. მეოხებითა ყო[ვ]ლად წმიდის[ა] ღმრთის მშობელისაითა, ძლიერებითა პატი[ოსნისა] და ცხოველ[ი]ს ჯუარისაითა, წმიდათა ზეცისა ძალთაითა, წმიდისა და დიდებულისა წ[ი]ნასწარმეტყ[ე]ველისა წინამორბედისა იოანე ნათლის მცემელისაითა, წმიდისა იოანე მახარებელისა და ღმრთის მეტყუელისაითა და წმიდისა ქათოლიკე

ეკლესი[ი]სა და მუნ შინა ღმრთივ აღმართებულისა სუეტისა-ცხ/
ველისა და კუართისა საუფლოისა და ღმრთ[ი]თ მყოფელისა აბრიმწმიდა
ნისათა;

ესე დაწერილი ჩუენ, გლახაკმან ქართლისა კათალიკოზმან ნიკოლოზ, დაგიწერეთ და მოგეცით თქუენ, საბაისძესა არვანბეგს და შვილთა და მომავ[ა]ლთა ყოველთა სახლისა თქუენისათა.

მათ ყ[ო]ფილა შინა, ოდეს ღმრთისა სწორი დავით მეფე ამა ქუეყანისა ძნელ-ბედობისა და მიჭირვებულობის[ა]გან სიძაგრეთა კლარჯეთისათა მოჰმართა და თქუენ მათისა სამსახურისათუის თავი დასდევით; და მცხეთისა მკუიდრი შეუბაბი თქუენიერის სამამულოდ სიგლახითა მოეპოვა.

და უკანის ჩუენ მოველით და ყოველნივე საქონებელნი მცხეთისანი მოვიკლენით და შეუბანიც დავიჭირეთ.

და თქუენ მოხუედით და ღმრთის სწორთა სიგელნიც მოიხუენით სამამულოდ ბოძებულობისანი. და შეუბანსა აბუსერეთ საერისთაოი და ბეგარი ზედა სდებოდა და იგი მათგან გეყიდა; და გელათისა რომელიმე ცხენი და ბეგარი ზედა სდებოდა. იგი მათგან გეყიდა.

ესე ყველაი წისა დაიდევით* დ[ა] ღარ ეგებოდა ამისი შეცვალებაი, ამად რომე დიდი წუხანაგები ჩანდა თქუენგან: და მონასყიდესიც იყვსით გელათის დ[ა] აბუსერეთაგან.

აწ ესრე განეაჩინეთ, რომე: ძველი ბეგარი ზედა სდებოდა შეუბანსა — თერთმეტი ლიტრაი ცხენი. მას ზედა ცხრა ლიტრაი ცხენი სხუაი მოგიმატეთ და შევქმენით ‘ოც ლიტრად; მით ლიტრითა[1], რომელი ძუელად ყოფილა. და მოგეცით შეუბანი და დაგიმკუ[ი]ლრეთ ამისას გასრულებას შიგა, რომე: ყოველთა წელიწადთა დიდს ხუთშაბათს ესე ოცი ლიტრაი ცხენი ჩუენს ტანუტერს სახლობანს მოეცემოდეს და მოეთვალვოდეს.

და უკეთე რადმე ქამთა სიავისაგან სახლობანი ჩუენ არ გუქონდეს[2] თუ ქამი გქონდეს[3], თქუენ მოიღებდით[4]. და თუ თქუენ ვერადმე ვერ მოიღოთ, ჩუენ მოვიკლებდეთ. და რახთმიც წელიწადი დაეყოვნებოდეს[5] ანგარიშითა წლისა და წლისაი ახალი დაკლებოდეს და უკლებად ჴელთა მოეცემოდეს ესე ოცი ლიტრაი ცხე[ი]ლი.

---

[1] ლიტრითა. [2] გეჭეონდეს. [3] გაქონდეს. [4] მოიღებდით. [5] დაეყოვნებოდეს.

* აქ მთავრდება პირველი კერძი.

და ამისაჰა გასრულებასა შინა გჳონდეს[1] მ ე უ ბ ა ნ ი თჳსებ-
ს ა ბ ა ი ს ძ ე ს ა ა რ ე ა ნ ბ ე გ ს და შვილთა და მომავალთა
ველთა სახლისა იქუენისათა მკუიდრად, სამამულოდ ერძნულე-
ბითა მსახურებასა შინა ქართლიკე ეკლესი[ი]სას და ს[ა]ყდრის
მპყრობელთასა. არ შეგეცვალოს არა ჩუენგან ღ[ა] არ შემდგომთა
ჩუენთა ქართლისა კათალიკოზთაგან.

და ეინ და რაჰანც გუარმან კაცმან, რასგინდა მიზეზის მოღე-
ბითა, შეგიცვალოს, რისხაესმც[ა] მაჰაი, ძე და სული წმიდაი;
კრულმცა არს დაფსაჰამოისა ღმრთის პირითა, ათორმეტთა წმიდა-
თა მოციქულთა ჯუ[ა]რითა და მადლითა, შუიდთა კრებათა მადლი-
თა და ჯუარითა, ხუთთა პატრიაქთა ჯუ[ა]რითა და მადლითა; ქათო-
ლიკე ეკლესი[ი]სა და მუნ შინა ღმრთივ-აღმართებულისა სუ[ე]ტი-
სა ცხოველისა, კუართის საუფლო*ისა და ღმერთ მყოფელისა მი-
რონისა მადლითა ჰდა ჩუენ გლ[ა]ხაკისა ჯუარითა და მადლითა.

და მტკიცედ მპყრობელნი ღმერთმან აკურთხნეს და წმიდამან
დედა-ქალაქმან.

ჩუენის ჯუ[არის] მტუ[ი]რთველისა ზოსიმე ი ვ ა ნ ი ს ძ ი ს ა
ჴელითა დაგუიწერია.

[ხელრთვები]

[1]. ქ. კირიელესთან. ესე ვითა ზემოით ჯუარის მტუირთველის
ჩუ[ე]ნის ჴელითა დ ა წ ე რ ი ლ ი ესე დაგუიწერია, ჩუენცა გლა-
ხაკი ქრისტეს მიერ ქართლისა კ ა თ ა ლ ი კ ო ზ. ნ ი კ ო ლ ო ზ
თავის ჴელითა ვამტკიცებთ ერთგულად მსახურებასა შიგა საყდ-
რისასა.

შემცვალებელნი ამისნი იყვნენ კრულ. წყეულ და შეჩუენე-
ბულ მადლითა კათოლიკე ეკლესიის, მუნ შინა ღმრთივ-აღმართე-
ბულის სუეტის ცხოველისა ღმერთ მყოფელისა მიჰრონისა და
კუართისა საუფლოისაითა და ჩუენ გლახაკის ჯუარითა.

დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხენ და წმიდამან დედა-
ქალაქმან.

[2]. ქ. ამა პატრონისა ბრძანებისა მიწაი ჯ უ ა რ ი ს მ ტ უ [ი]რ-
თ ვ ე ლ ი მოწამე და თანა დამხდური[2] ვარ.

[3]. ქ. ამა [პა]ტრონისა ბრძანებისაი მე, მიწაი მ ა ხ ო ა ნ ი ძ ე(?)
ამის(?) მოწამე ვარ.

---

[1] გეჰონდეს. [2] დამხუდარი.

* აქ ნათქუამია მეორე კედი.

[4]. ქ. მე, მარკოზ თადეოზისი მოწამე ვარ პატრონისა ქათალიკოზისა ბრძანებისაი.

[5]. ქ. ამა ქათალიკოზისა ბრძანებისა მე, ხეხელაშვილმა არსლანმა ვიწამე მოწამე ვარ.

[6]. ქ. ამა ქათალიკოზისა ბრძანებისა მოწამე ვარ მიწაი აწყურისა მსახერთუხუცესი ნიკოლოზ.

[7]. ქ. ესე პატრონისა ნიკოლოზ ქართლისა ქათალიკოზისა ბრძანებაი ჩუენ, ყოველთა აწყურისა საყდრისა შვილთა დემნაისა და ნიკოლოზისა ჭელითა დაგუინიშნავს.

[8]. ქ. ამა პ[ა]ტ[რ]ნისა ბძანების მ[ო]წ[ა]მე დ[ა] თ[ა]ნ[ა] დ[ა]მხდ[უ]რი მე, მ ე ი ბ ო ო ბ ლ ი ს ძ ე.

[9]. ქ. ამა პ[ა]ტრონთა ბრძანებისა მოწამე და თანა დამხდურ[1] ვარ მე, მიწაი საუნჯეს ძმისწული ნიკოლოზ.

[10]. ქ. მე, სარგის ათაბაგი მოწამე ვარ ამა დაწერილისაი.

მარცხენა კიდეზე:

[11]. ქ. მიწაი დემეტრე ფრონშელი ამა პატრონისა ბრძანებისა მოწამე ვარ და თანა დამხდურ[2].

[12]. ქ. ამა პატრო[ნ]თა ბრძანებისაი მოწამე და თანა დამხდურ[3] ვარ მე, ვ[უ]არამისძე გირგინაი.

20. [საყაბიჟოს დაწერილი ცაიშელ დანიელისა ლაგსაელდაშისადმი]

[1271—1280 წწ.]

სახელითა ღმრთისაითა, ცაიშისა ღმრთის-მშობელისაითა, თევისა სეკდემბერსა ათეთხმეტსა, მე, ცაიშელი მთავარებისკოპოსი დანიელი ლაბსყელდისა მივედი, ვაკურთხე მთავარანგელოზი ლაბსყელდაშისა. დემეტრე მეფისა მეფობასა შიგა. ერისთავთ-ერისთვისა დადიანისა ოზბეგისა ბრძანებითა და მოწმებითა.

და ცხმარისა ჭეშმან დაეწერეთ მთავარანგელოზსა ლაბსყელდაშისა საპატიოი:

ზ[ე]ედესა შიგნით საძოცდა[თი] ათასისა თეთ[რ]ი საპატიოი.

ბას გარე საპატიოი, სადა სარეკლისა ჭმაი ისმის, რვაი ათასისა თეთრისა მისი საპატიოი დაგვ[რ]ჩ.

---

[1] დამხედარი. [2] დამხდარი. [3] დამხობილი.

ჭიხეიშისა და ხანსარსა შვა ოთხი ათასისა თეთრის საპატიჟო დაგვიცს.

მე, ცაიშელ მთავარებისკოპოსმან დანიელ ეამტკიცე, და ჩუე ერთობილთა კევთა ცხმარისათა, მეფეთ, დადიანისა ბრძანებითა.

ვინც გაამაგროს, კურთხეულიმც არს. ვინც შესცვალოს, ქრულმც არს ღმრთისა მადლითა.

მე, კაკასატსა დავით დამიწერია, მოწამეც ვარ ამა სიგელისა.

21. [შეწირულების დაწერილი გელათის დეკანოზ იაკობისა ხახულის ღმრთისმშობლისადმი]

[1259—1298 წწ.]

ქ. სახელითა ღმრთისათა და ნებითა ყოვლად წმიდისა ღ[მრთის-მშობელისა]თა. ცხოველსმყოფელისა და პატიოსნისა ჯუარისათა. წმიდათა ზეცისა ძალთათა და ყოველთა წმიდათა ღმრთისათჳს, ღმრთისა სწორთა პატრონთა რუსუდანის ძისა დავით მეფეთ-მეფისა წყალობითა, მათად სადიდებელად და სულისა ჩემისა სალოცველად, მე, დიდის მონასტრისა დეკანოზმან იაკობ გაეაჩინე ესე:

პირველად ხატი მაცხოვრისა მოქედი ბერძული, კერედი ხატი ხახულისა ღმრთის-მშობელისაი, თეალთან მარგალიტე[ბია]ნი, მინითა, მისითა კუბოითა, ესე თჳთ ხახულისა ღმრთის-მშობელსა წინაშე სასუენებელად მომიჭსენებიან.

მამული ჩემი მკუიდრი, პატრონთაგან ბოძებული, მაღლაკს აბანოისა სახლი პირველცა სადეკანოზოდ შემეწმნა, თხუთმეტითა ლიტრითა ზეთითა ხახულის ღთის-მშობელისათჳს შემეწირა: და აწცა, ვითა მოიჭსენებია, განალამც ჰაგრეეე მას ჰმსახურებდეს. მისსა სახლსა აქათ: ქიჯგუსძე ა, ვაშაბერიძე ა.

ფარსმანყანევს—ზაკოსძე ი, მათითა მიწა-წყლითა, ტყითა, ველითა, სანადირითა, საჭმარითა და უჭმრითა ყოველითა; სამნი პარტახნი რომელთაგან გამოსავალნია: გუჯაბაური, დერუცული, ქორაული, ჯისალაური.

ზართს—ღმრთისა სწორთაგან ჩოქითა ბოძებული, ნასყიდი ბოელისძისეული მამული, სასახლე, ზედა ჩემი გაზდილი დავაახლე და მითურთ გლეხნი, კუამლად შეიდნი: არსენიძისა სახლი ა, გოგოლისძისა ა, ტირღილუსძისა ა, დილუსძისა ა, ჯუაროსა ა, ჯაბლოისძისა ა, ეკლე-

სითა, ტყითა, ველითა, წისქვილითა, სანადირითა, საჭმრითა და უჭმრითა ყუელაითა.

არგუეთს — ზენსკანდეს ნასყიდსა მამულსა [illegible] მემშუილდე დავასახლე, კუამლად ა.

ტყირბულს — ბოგუერაისძე ხუცესი, ადბუღოისაგან მისსა პირველად კარგად ყოფასა შიგა მოცემული. მოხნა ზონთაგან არ ვითამე ჯამს, მაგრა მიზეზი იყო ჩემსა და მას შუა შეუყრელობისაი და შესაყრელად მომცა ჭელმოჭსნით სამნი გლეხნი ნასყიდნი რაჭას, ქორთს: დავთუსძე, მიქაისძე და დათუისძე; ორნი მუხურს: ევთქისძე და ბერნისძე. ამათ ყუელათა გლეხთაგან, სხუასა ბეგარასა აქაით, ოცდაოთხი ლიტრა ცუილი გამოვალს.

ზართელთა გლეხთა გამოჰვალს, მოხასტრულითა დიდითა კოკითა, თურამეტი კოკაი ღუინი და ა გრიგი ქურამი(?).

მაღლაქელთა და ფარსმანყამეველთა გლეხთაგან გამოვალს სამი ურემი ღუინი უპარტახტოდ, და ტყისაგან მოდი რაიცღა მოვალს, იფქლი, ფეტვი და ლომი და ამათ ჯუმლათა(?) ოთხ-ოთხი თეთრი საყაჭობოი ზედა-აც.

ამას ჩემგან სასოებით ქმნილსა და ხახულისა ღმრთის-მშობლისათუის მოჯსენებულსა და შეწირულსა, ღმრთისა სწორისა მეფეთ-მეფისა დავითის სადიდებლად და ჩემ, მიწისა მათისა, დეკანოზისა იაკობის სალოცავად და საადამედ გაჩენილსა, ვინცა ამასად შლად ჭელყოს, გინდა დიდებისა მჭონებელმან, ანუ დიდებულმან და აზნაურმან, პრისხვამსცა მამაი, ძე და სული წმიდა, უსე ყოველად წმიდა ღმრთის-მშობელი ხახულისა.

22. [დაწერილი შიომღვიმის კრებულისა გასილ ალავერდელისადმი საძწირველოს გაჩენის შესახებ]

[XIII ს.]

ქ. სახელითა ღმრთისაჲთა, მამისა, ძისა და წმიდისა სულისაჲთა, რომელი ერთ-ღმრთეებით თაყუანისცემული იბყრობს ყოველთა და განაგებს, რომლისა დიდებაჲ და სუფევაჲ აწ და უკუნითა უკუნისამდე. ამინ.

შეწევნითა და მინდობითა ყოველად წმიდისა [უმეტ]ეს კურთხეულისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთის-მშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისითა, რომელი ცხორების მიზეზ გუექმნა ადამის ტომთა; ძალითა პატიოსნისა ჯუარისა, ძელისა ცხორებისაჲთა;

შეწევნითა და მეოხებითა ყოველთა ზეცისა ძალთაჲთა;

მეოხებითა და შეამდგომელობითა წმიდისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესითა;

შეამდგომელობითა მოციქულთა და თავთა მოციქულთა: პეტრე, პავლე და იოანე მახარებელისაჲთა;

მეოხებითა და შეამდგომელობითა წმიდათა მღდელთ-მოძღუართა: ბასილი, გრიგოლი, იოანე ოქროპირისა, ნიკოლოზ და ყოველთა თანამოსაყდრეთა მათთაჲთა;

შეამდგომელობითა და შეწევნითა წმიდათა მოწამეთა: წმიდისა გიორგის, თევდორე, დიმიტრი, პროკოპი, პანტელეიმონ, ეკატერინა: ბარბარა, ირინე და მარინაჲსითა და ყოველთა მათ-თანა მწყობრეთაჲთა;

შეამდგომელობითა წმიდათა მამათა: ანტონი, საბა, ეფრემ, ონოფრე და წმიდათა მამათა ჩუენთა: იოანე, შიო და ევაგრესითა და ყოველთა წმიდათა ღმრთისათა, რომელნი საუკუნითგან სათნო ეყვნეს უფალსა და ღმერთსა ჩუენსა იესუ ქრისტესა.

ყოველთა წმიდათა შეამდგომელობითა და თავსდებობითა დაგიწერეთ დაწერილი ესე თქუენ, ბასილი ალაევრდელ მთავარეპისკოპოსსა ჩუენ, მღუმეს დამკვდრებულთა ყოველთა კრებულთა ერთსულობითა ძმათა, დიდთა და მცირეთა ყოველთაჲვე, ერთმ[ან]ერთისა გამოზრახვითა და ნებისმყოფლობითა ბასილი მოძღუარმან, მე მ[ღ]მემან ელია, და ყოველთავე ამის უდაბნოჲსა ძმათა.

მას ჟამსა, ოდეს დასდევ სასოებაჲ წმიდისა ამის უდაბნოჲსასა მღუმისა მომართ და წმიდათა მამათა ჩუენთა შიო და ევაგრესთჳს, პირველ თჳთ აქან ნაზარდი იყავ, ჩუენ ყოველთა გუერდით და ყოველთაჲვე საკუთრებით ერთსულობდი.

და იწადნიერე, რაჲთამცა საუკუნოჲ სამლოცველოჲ თქუენი ამას უდაბნოსა შინა უკუნისამდე გებულიყო.

და მეღჩიზედეკ მაწყუერელსა, და ბასილი [ალაევრდელისა] და ჴყონდიდლისა მწიგნობრისა იოანე, და სამოელის ხუცესთა]...* რითა ჩუენ, ყოველთაჲვე ძმათა გამოგჳცხადე ჩუენ...* და მომართ სასო...** გუქონდა.

ეგრე გაგიხარუნით და საწერველად თქ[ენ]...** [მო]გაჴსენეთ.

---

* აქ ერთი-ორი სიტყვა გადასულია.

** ეტრატის მარჯვენა ქვემო კიდე მოგლეჯილია.

შლვშეს შინა სახლი და პური უკდეთ...* ფუძითა ქოველითურთ, აგარას ვენაჯი და...** ლი, რომლითა ჩუენ შევსწერდით.
და ვითა დიდ...** რელთა. საკურთხეველთა წესსა დარ...ნათ მწირეველად იქუენთჳს...* ვითა არა...* ჩუენ ეხრე[თ]...**

23. [ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარი]

[1892 წ. 1 დეკემბერი]

...ტფილისს ქალაქს:[1] ეკლესია, სასახლე, ეჯვარნი, მზიფელნი, ბაზარნი, ქელბაქნი და ბაღნი, თჳსითა შესაველითა;
ავლაბარს: მონასტერი მეტეხის ყოველად წმიდისა, მისითა[2] მამულითა, ავლაბრითა და ავლაბრის ჭალითა;
მტკუარის პირს: სოფელი და კონი და ახალუბანი.
ქალაქს ეაჭრებითა კრწანისი,
სოფელი მინდისი,
სოფელი წავკისი, მათითა სამზღურითა,
და მეორე წავკისი მახრაღაჯითა, ზეკარძითა;
და მეტეხს რაც მეტოქია,
დიდომს რაც მცხეთისაა გლეხნი, მამულნი და ზვარნი,
ლიხს ხეთი კომლი კაცი,
სოფელი წინუბანი და სათოგლე მთა,
სოფელი ქუაბნი,
სოფელი უპიტი,
სოფელი თელოვანი,
სოფელი ძაღლაანი და ფაფანი,
სოფელი ნაჭუდბაქევი,
სოფელი მუხათგვერდი,
სოფელი კარსანი,
სოფელი ქართლი,
მონასტერი არმაზისა ციხითა, შესაველითა და ბაქითა;
სოფელი მარტაცი,
სოფელი ციხედიდი,

---

* ეტრატის მარჯვენა ქვემო კიდე მოგლეჯილია.
** ეტრატის ბოლო მოგლეჯილია.
[1] ქალაქს—B. [2] მისის B.

სოფელი ცეგვი,
სოფელი სასხორი,
მონასტერი ლავრა და ქულიეიენი,
წინარეკვს მონასტერი ყოვლად წმიდისა საქადაგო, მათითა მამულითა:
სოფელი ორბეთი[1], მონასტერი მალემწისა,
სოფელი გუდალეთი, და სოფელი ეზატი,
დიდგორზე სოფელი მოხისი,
სოფელი ნიაბი,
სოფელი გომი[2],
სოფელი ჩოჩეთი და სოფელი მეტეხი,
ჰკორს[ა] კომლი კაცი შვიდი,
სოფელი გრაკალი,
და ატენს რაც მცხეთისაა — ეკლესია, ციხე, გლეხნი, მამული და ადარაკნი;
ხვედურეთს სოფელი ცოლოთი, ხვედურეთს შვიდი საკომლო;
იმერკეცს სოფელი სარკის წმიდის გიორგისა, მათითა მამულითა და მარგანიძენი;
სამწევრისს ზეით სოფელი სანებელი;
ნუას საჭხარაძენი,
თრიალეთს: სოფელი ბარეთი და ცოტა ბარეთი,
ჭედის ეზანი,
და გიბეძნიეროს ღმერთმან შენ, მისრის და შენსა შვილსა ზაქარიას და თქუენთა მომავალთა ყოველთაგე ფოსუი და ოროტა მისითა შესავლითა და კუტალას აბნაშვილნი ორნივე განაყოფნი მთითა, ბარითა, წყლითა, წისქუილითა, საბაძბითა, სათიბითა, საჭნავითა და ყოველითაგე მისითა მიმდგომითა საყდრისა და ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შინა.

ძირს ჩრდილოეთით. ასრე, რომე ყოველთა წელთა აღესებოდეს, და რა პირველ მოქცდებოდეს. დეკანოზი ქიმსა სჭირუდეს მისს სულისათჳს და აღაში გარდიცვდებოდეს. ვინც ეს ასე არ ეაითაოს ანუ სამთავნელმან და ანუ სახელიმან[1] ჯაცმან, რისხჳესცა მაში, რც და სულ წმიდაჲ კრულ- წყეულ და შერვენებულ იყოს ამიერ უკუნისამდე ქრისტეს მაცლითა, ამინ".

[1] სხელმნ.

ესე ასრე გაგითავდეს და არა შეგაცვალოს არა ჩუენგან და არა შემდგომად ჩუენსა სხუათა კათალიკოზთაგან.

და ვინცა შეგიცვალოს რისხავ[ს]მცა მამა, ძე და სული წმიდასა და ყოველნ[ი] ღმრთისათუის წამებულნი, რომელნი სჳინაქსარსა შინა აღწერილ არიან.

დამამტკიცებელ და გამთავებელნი ღმერთმან აკურთხნეს.

ამისნი მოწამენი არიან სრულნი მკჳეთის შვილნი.

დაიწერა სიგელი და ბრძანება ესე ჭოროხოკონსა **რნბ**, დეკემბერსა **იგ**.

ხელრთვა: ქ. ჩუენ ქრისტესა ღმრთისა მიერ ქართლისა კათალიკოზი მარკოზ კანუნითა ვამტკიცებთ.

verso

ქ. ემა პატრონთა ბრძანებისა მე, ჯუარის-მტვირთველი ელიოზისძე ელიოზ მოწამე ვარ.

35. [შეწირულების წიგნი კათალიკოზს აბრამ აბალაკისა მცხეთის მეტეხთა ღმრთისმშობლისადმი]

[1467 წ.]

ქ. სახელითა ღმრთისათა სამ[ე]ბოვნად ცნობილისა ერთარსებისა, ერთ-უფლებისა და ერთ-ღმრთაებისა: ღმრთისა მამისა, ღმრთისა ძისა და ღმრთისა სულისა წმიდისათა;

ოხითა და შეწევნითა ყოვლად წმიდისა, უხრწნელისა, უმეტეს კურთხეულისა დედოფლისა ჩუენისა, ღმრთის-მშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისითა;

ძლიერებითა ცხოველს მყოფელისა და პატიოსნისა ჯუარისათა, ძელისა ცხორებისათა, რომელსა ზედა განკუართულ იქმნა ჴორცითა ქრისტე ღმერთი ჩუენი ჴსნისათუის ჩუენისა; თანა-მოქმედება მდგომარეობითა უურულოთა მცველ-მმართებელთა ცხორებისა ჩუენისათა, წამის ყოფით ალმასრულებელთა ღმრთისა ბრძანებათათა დიდთა მთავართა, ზეცისა უჯოროკოთათა და ცხრა არვეთა ყოველთავე ზეცისა ძალთა;

ოხითა და შეწევნითა ყოველთა დედათა ნაშობთა უზენაესისა უდაბნოს ქადაგისა, წინამსრბოლისა, წინასწარმეტყუელისა და ნათლისმცემელისა იოანესითა და თანამეტოქისა მისისა ძედ ჭუხილისა წოდებულისა იოანე ღმრთის-მეტყუელისა საყუარელისა მოწაფისა და ქალწულისათა;

ოხითა შეწევნითა და თანა-მოქმედებითა პეტრე რიტორისა სასუფეველისა კლიტეთ-მპყრობელისა, პავლე სამ ცაღმდე აწევნულისა და არათქმულთა სიტყუათა მსმენელისა, ათორთა მოციქულთა და სამეოცდა ათეულთა ქრისტეს მოწაფეთათა, რომელთა მოძღურებითა მოიბადურნეს ყოველნი კიდენი სოფლისანი;

თანა-მოქმედობე მდგომარეობითა წმიდათა მოწამეთა: გიორგი, დიმიტრი, თევდორე, მერკური, პროკოპი და პანტელეიმონისითა; და წმიდათა ქალწულ მოწამეთა: თეკლა, ეკატერინა, ირინა, მარინა, ბარბარა და ყოველთა მოხაძავთა მათთა, რომელნი დაიკლნეს ქრისტესთუისდა სისხლთა დათხევითა, გუთრგუინოსან იქმნნეს;

და წმიდათა მამათა: განწმორებულთა, მეუდაბნოეთა, მესუეტეთა, მარტოდ მყოფთა ფიჩოსანთა[1], ქრისტეს ნების-მყოფელთა და რომელთა დაჯერეს ღმერთი სათნოთა ცხორებითა, რომელნი საუკუნითგან სათნო ეყუნეს უფალსა ჩუენსა იესოს ქრისტესა და ქუალადცა სათნო ყოფად არიან ყოველთა ღმრთისა წმიდათა ზეცისა და ქუეყანისათა;

ოხითა, შეწევნითა და შეამდგომლობითა სუეტისა ცხოველისა და კუართისა საუფლოსა, მირონსა ღმერთ მყოფელისათა;

ჩუენ ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხეულმან ქ ა რ თ ლ ი ს ი კ ა თ ა ლ ი კ ო ზ მ ა ნ ა ბ რ ა მ ა ბ ა ლ ა კ მ ა ნ ვიჯულვე და ვიგულს-მოდგინე და ძუელითგან თ ა მ ა რ ი ს ჟამისათ დაქცეული საწისქვილო მოვიძიე და მე ახლად რუ[2] გამოვიღე და ორი წისქვილ[3] აღეაშენე; საჯსენებელად სულისა ჩემისა ვილუაწე და შემოგწირე შენ, ყოველად წმიდაჲსა მკჳდრთისა მეტეხთა ღმრთის-მშობელსა ასრე, რომე თქუენ წინაშე ორი კანდელი დღისით და ღამით დაუსუსებელად ენთებოდეს მოსაჯსენებელად ცოდვილისა სულისა ჩუენისა.

და შემდგომად ჩუენსა დადგინებულნო წმიდანო ეპისკოპოსნო, ეეეედრები მადლთა თქუენთა წმიდათა, რათა ესრეთვე აღასრულოთ მცირე[4] ესე ჩემი ნამუშაკევი შესაწირავი, რათა ღმერთმან თქუენაც აღგისრულოს კეთილი ლუაწლი და შრომა თქუენი და მოგაგოს მოსაგებელი ძლეულთა და შრომათა თქუენთა.

და უკეთუ ვინმე ქელმყოს წცირესა ამას ჩუენსა ეგლოგიასა: ანუ ეპისკოპოსმან და ანუ მეფეთა და ანუ მთავართაგანმან ვინმე, რისხვასმცა მაჲა, ძე და სული წმიდა და ამა ზემო წერილთა მადლი: შემ-ცა-ედების კეთრი გეზისი და მიშთეილი იუდასი: ნურა რა-

---

[1] ფერთისანთა. [2] რუე. [3] წისქვილე. [4] მეცირე.

თამცა სინანულითა არის ქსნა სელისა მისისა; და ასდამერყვნეს ფსალმუნისა წყევასა ძუეშე იყოს ნაწილი მისი; ანას და კათალიკოზსა თანამცა არს მკუიდრობა მისი და ჩემთამცა ცოდვათათუის განიკითხვის მეორედ მოსლვასა მას საშინელსა; კრულმცა არის შეცდომა კრებათაგან და ხუთთა პატრიაქთა მადლითა.

დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ქრონიკონსა **რნე** ჯელითა ფრიად ცოდვილისა აბრამისითა.

ხელრთვა: ჩუენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ ქართლისა კათალიკოზი აბრამ აბაღაკი კანონითა ვამტკიცებთ. ჩუენთა ცოდვათ[თ]ჳის განკითხვის, ვინცა ესე ყოვლად წმიდასა მოუშალოს. ✠

36. [წყალობის წიგნი დავით კათალიკოზისა მახარებელ მაღალაძისადმი]

[1470 წ.]

ქ. სახელითა ყოვლად სახიერისა, უსაზღვროსა, გარეშეუწერელისა, თუალთაგანცა ანგელოზისა განუცდელისა მრჩობლითა ბუნებითა ღმერთ-კაცად შეერთებულისა ღმრთისა მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა:

ოხრთა და შეწევნითა და თანა-მოქმედებითა ყოვლად უხრწნელისა, ყოვლად კურთხეულისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთის-მშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისითა, რომლისა მიერ უნივთო სიტყუა განზრქელდა თბითა კაცობრივითა და ესგავს გუექმნა თუანიერ ცოდვისა;

ძლიერებითა და შეწევნითა ჭრისტეს დიდებისა და ბეჭთ სამშუალისა ეშმაკთა მძრწოლარე მყოფელისა ჯუარისა პატიოსნისა ძელისა ცხორებისათა, რომელსა ზედა განიკუართა ქსნა და ცხორება იგი ჩუენი;

ორთა შეწევნითა და თანა-მოქმედებითა დიდთა ერისმთავართა მსახურთა სიტყუისა ღმრთისათა ბრძანებათა მისთა სწრაფით აღმასრულებელთა მიქაელ მჭედართმთავრისა და გაბრიელ ქალწულისა მახარებელისათა და ცხრათავე ზეცისა ძალთა;

შეწევნითა და თანა-ძალმწეობითა ფლაბნოს ქადაგისა ყოველთა სინანულად მომწოდებელისა დედათა ნაშვთა ყოველთა უზენაესისა ჭრისტეს სამოთგამო მკლთოლვარებით თაყუანისმცემელისა წინასწარმეტყუელისა წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იესოსითა და წმიდისა იოანე ღმრთის მეტქუისა და სამღუდისა ქალწულისა და საყუარელ უკუდავისა მოწაფისათაა, რომელმან

მკვრდსა სამეუფოსა მიყრდნობითა აღმოიწრთვნა წყაროთი ღმრთისმეტყველებისანი;

თანადგომითა წმიდათა თუალით მხილველთა და ჭელითა შესახებ ხელთა ღმრთისა განჰკრკელებისათა თავთა მოწაფეთა პეტრე რიტორისა და პაველე სამქალქმდე აღწევნულისა ათორთა და სამეოცდაათთა, რომელთა ქადაგებითა განქქაულდა ყოველი სოფელი და სწავლითა მათითა მოიბადრნეს ყოველნი კიდენი ჭეყანისანი;

ოხითა და თანადგომითა წმიდათა და ჭრისტეს მიბაძვებით სიხარულ-დათხევით წამებულთა მოწამებითა განშუენებით გეორგეწოსან ქმნილთა და წმიდათა ქალწულთა მოღუაწე მოწამეთა დედათა და მამათა მეუდაბნოეთა, მესუეტეთა, ფიჩოსანთა და რომელთა დაჯერეს ღმერთი სათნოთა ცხორებითა მათითა;

ამათ[1] ყოველთა წმიდათა თავსმდებობითა, მიხდობითა და შეამდგომელობითა; და უფროსღა ვთქუათ, თავსმდებობითა, შეწევნითა და თანა-მოქმედებითა ყოვლად სასოსა და განმანათლებელისა და ემბაზისა ყოვლისა საქართუელოსა და აღმოსავლისა კედართასა და პირველ ყოველთა ქამთა სახლად ღმრთისა განკუთვნილისა წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა და მას შინა თანაშობა აღზრდით აღმომოსრჩებულისა სუეტისა ღმრთივ-აღმართებელისა და თანა-წარსადინელსა მისსა და საგრილსა ქუეშე ფრთეთა მისთასა მაწყროებელსა მირონსა ღმერთ-მყოფელისა კუართისა ზეით ქსოვილისა, რომელი შეემოსა ღმრთივ-გუამოქმნათა ჯორეთა;

და ამასთანა შუა შემომყუანებელობითა ჭრისტეს წინასწარმეტყუელისა და მეორისა წინამორბედისა ელიას ხალენისათა, რომელი მკუიდრ არს ამასვე სამოთხეთოსა შინა;

ამათ ყოველთა ღმრთისა წმიდათა და ნებისმყოფელთა ზეცისა და ქუეყანისათა თავსმდებობითა, მიხდობითა და შუა მდგომელობითა ესე წიგნი და სიგელი სამკუიდროდ, სამამულო და აქთ უკუნისა გასათავებელი და გათავებული და რასა გინდა ქამთა გამოცვალებასა და შემოსრულობასა შიგანცა მტკიცე და საქმით გათავებული და უქცეველი დაგიწერეთ და მოგეცით ჩუენ, ჭრისტეს ღმრთისა მიერ ჭართლისა კათალიკოზმან დავით ბრძანებითა და ნებადართვითა ღმრთივ-გუირგუინოსნისა მეფეთა მეფისა ბაგრატისითა და სრულად მცხეთიშვილთა ჩუენგან კითხვითა და დამოწმებითა* თჭუენ, მალალს ძეთა მდრდელსა მახარებელსა და თქუენთა შვილთა გერმა-

[1] +ამათ.

* აქ მთავრდება პირველი კარი.

ნოზს, მარკოზს, ეგნატის და დიმიტრის, შვილსა
და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთაგე.

ვინათგან ადამისთგან უმდგომო ესე სოფელი მსწრაფლ[illegible]
მავალ და ცხინო არის და მისსა ბეგარასა არავისგან დაიკლებს და
ამა ჩუეულებისაებრთა წესთაგან პირველად ივანიასძისა სახ-
ლი მოშლილიყო და უნათესოდ და უძეოდ დარდაეცლინა და შედე-
გად მჴჭირისა ქადაგისა დიმიტრისთუის მიებოძა და იგიცა
უნათესოდ დარჩა, რომელ ესე საქმე ფრიად მძიმედ აღგუიჩნდა
და მისთანასა სახლისა და მცხეთიშვილისა დარდაცლენი ფრიად
ეძუინებოდა სულსა ჩუენსა; და ვინათგან შუნ მცხეთისა და კათა-
ლიკოზთა მცირე ყრმა აღეზარდე და თქუენი სახლი და მამული
ძუელითგან სხუაგნითა მცხეთისა იყო, ივანიასძეთა და ქადაგის
დიმიტრის შედეგად მათსა სახლსა და მამულსა ზედა შეგიყუანეთ და
დაგსუით ივანიასძედ ივანიასძისა და ქადაგის დიმიტრის წესითა,
რიგითა და საქმითა.

და მოგეცით კათოლიკეს სასახლე ეკლესიითა და მისითა
მოწყობილობითა ყუელთა კათოლიკეს მისითა შესავლითა, საკო-
კიაი(?) ჰალითა; კათოლიკეს სასაფლაო მისითა ბოსტნითა
და წალკოტითა, სენაკითა; და ორლაურში ორი კეამლი სვა-
ნიანები მამულთა ივანიასძეთა ჰქონებია: ნიაბს, რაცა ქადაგ-
სა დიმიტრის ჰქონებია გლეხნი და მამული; მეტეხთა ვენაჯი და
ჩოჩეთს, რაცა ივანიასძეთა და დიმიტრის მამული ჰქონებია; და
გორს ფუშრუკაული არმაზი და დიაკონიძენი
მათითა მამულითა; და სხუა რაცა ქადაგსა დიმიტრის ჰქონებია და
სამკუიდროდ მიცემული ყოფილა, არა დაგაკლოთ რა; და კელი მა-
თიეე მკუიდრად საქონებელი ქადაგობა და სამამთავრო სამწყსო,
რაცა და რაგუარაცა ივანიასძეთა ჰქონებია მით წესითა; მცხე-
თა სენაკი სახლი და სამცხეთიშვილო გქონდეს და საქმობდით.

ეს ასრე გაგითავდეს საყდრისა და ჩუენსა ერთგულად სამსა-
ხურსა შინა, გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან თქუენ კათოლი-
კეს სასახლე მკუიდრად, სამამულოდ, უცილებლად, უსარჩელოდ,
მოუდევრად და საქმე-უდებლად, ყოვლისა ადამის ნათესავისაგან
შეძუელებით და ყოვლისა კაცისაგან უსაქმოდ.

და არც მოგეშალოს და არც შეგეცვალოს არას ქამთა გამო-
ცვალებისათუის სადამდის თქუენი ცუარისკაცი ცოცხალი იყოს,
არა ჩუენ, ქართლისა კათალიკოზისა დავითისაგან და არა შემ-
დგომად ჩუენსა საყდრის მპყრობელთა პატრიაქთაგან, არა მეფეთა
და დედოფალთაგან და არა მცხეთის შვილთაგან და არას გუარისა
კაცისაგან არა.

და თუ ვის რა ივანიასძისა მამულისა სიგელი, ნიშანი და დაწერილი ჰქონდეს და გამოჩნდეს, ყოველა სიგლითა ამით გაგუკუღებულ-ია და მტკიცე ესეოდენ არის.

და ვინცა და რამანცა გუარმან კაცმან ამა სიგლისა მოშლად, და მკეცად ჭელყოს, ანუ განგებად მოიღოს, ანუ თუით იყოს, ანუ სხუათათუის სასაყრაოდ და სააჭოდ შევიდეს და საურავსა ეცადოს, მრისხავსმცა დაუსაბამო ღმერთი მამა, ძე და სული წმიდა, ანნას და კაიაფას, ნისტორს და ორიგინეს და მათთანმცა დაიკნების, რომელნი დღეგრძელებდეს ქრისტეანეთუის. ვითარმედ ჯუარს ეცუთ ეგეო. და მათზედამცა განეხუმიან საქანელნი ღმრთისა რისხვისანი; და-მცაისჯების მუხლტეხილობა იანე და იამბრესი, შეამოკიდება სიმონ მოგუისა; იყუნენ დღენი მათნი მცირე* და განსაგებელი მის სხუამან მიიღენ; კრულმცა არის ღმრთისა დაუსაბამოსა მადლითა, ათორმეტთა კრებათა და ხუთ[თ]ავე პატრიაქთა მადლითა და ჩუენ გლახაკისა ჯუარითა.

და ვინ მტკიცედ იპყრას და შეუცვალებლად ღმერთმან ყოველივე კეთილად გაგებული მათი სრულყოს; და საუკუნო ყავნ ღმერთმან ჴსენება მათი.

დაიწერა სიგელი ესე ინდიკტიონსა მეფეთ-მეფისა ბაგრატისა-სა მეზუთესა, ქრონიკონსა **რნჱ.**

ჩუენ, ღმრთისა მიერ ქართლისა კათალიკოზი დავით კანონითა ეამტკიცებ.

ბეჭედი: რომელი განჭსნათ ქუეყანასა ზედა, ჭსნილ იყოს ცათა შინა,

ხელთაჲ: ბაგრატ. ბეჭედი: ბაგრატ.

საჴელთა ღმრთისათა, ჩუენცა ასრე დავამტკიცეთ ეს ბძანება.

ბეჭედი.

37. [წყალობის წიგნი დავით კათალიკოზისა ოძროკჱრ მაღალაზვილისადმი]

[1472 წ. (?)]

ქ. თავდებობათა და შუამდგომლობითა ჩუენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ ქართლისა კათალიკოზმან დავით ესე უკუნისამდე გასათავებელი და რასაგინდავე ქამთა ქცევა-გამოცვალებათა შინა მტკიცე და უცვალებელი წიგნი და სიგელი მოგიბოძეთ ნებითა ღმრთივ-გჳირგვინოსნისა მეფეთ-მეფისა ბაგრა-

* აქ მთავრდება მეორე კეფი.

ტ ი ს ა თ ა და კურთხევითა და ნება დართვითა ყოველთა მცხეთის შვილთათა თქვენ, მცხეთისავე ყმათა მ ა ღ ა ლ ა შ ვ ი ლ ს ა ვასილ რატიარსა და თქვენთა შვილთა მღვდელსა მ ა ხ ა რ ე ბ ე ლ ს ა, ზ ო ს ი მ ე ს ა, ა ლ ე ქ ს ი ს ა, გ ე რ მ ა ნ ო ზ ს, დ ა ვ ი თ ს, გ რ ი გ ო ლ ს და ე გ ნ ა ტ ი ს და ძმათა, შვილთა და მომავალთა სახლის თქვენისათა ყოველთავე.

შეგიწყალეთ და მოგეცით შეძლებით მცხეთისა მკვიდრი და მოუდეველი კ ა ვ თ ი ს ხ ე ვ ს ი ე ა ნ ი ა ს ძ ი ს ე უ ლ ი მამული და სამცხეთიშვილო წილი, რაც ერის ძმათაგანსა მიხვედებოდეს; სამამთავრო მითვე წესითა როგორც ძველთაგან ი ე ა ნ ი ა ს ძ ე თ ა და ქ ა დ ა გ ს ა დ ი მ ი ტ რ ი ს ქონებია; ჩ ო ჩ ე თ ს, რაც იოანიასძისაგან ნასყიდი მამული და მიწანი ზ ე რ ტ ი და ქადაგს დიმიტრის მომზღვრობითი ქონდეს, მისითა სასახლითა, ეკლესიითა, ჰურმარნითა, მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენახითა, მინდვრითა, ტყითა, სანადირითა, ჭალითა, სათიბითა[1], სახმარითა, უხმარითა, საძებრითა და უძებრითა და მისითა მიმდგომითა სამართლიანითა ერთობ ყოველთა; და გ ო რ ს ა ე უ შ რ უ ყ ა უ ლ ი, დ ი ა ყ ე ნ ი ს ძ ე ბ ე თ ლ ე მ ი ს მიდგომითა სამართლითა, სრულად და უკლებრად.

აწ, დღისითგან წალმა გქონდეს, ღმერთმან საყდრისა და ჩვენის ერთგულად და სამსახურსა შინა თქუენ, მაღალაშვილს ოქროპირსა და თქვენთა შვილთა მ ა ხ ა რ ე ბ ე ლ ს ა და თქუენთა შვილსა [ზ ო]ს ი მ ე ს ა, ა ლ ე ქ ს ი ს ა, გ ე რ მ ა ნ ო ზ, მ ა რ კ ო ზ, დ ა ვ ი თ და გ რ ი გ ო ლ ს, ძმათა და შვილთა მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე: კავთისხევს იოანიასძისეული მამული ორი კვამლი კაცი: წ ი ნ ა რ ე ხ ს ი ბორდაჭირ, რაც ძველთაგან იოანიასძეს ქადაგს დიმიტრის ქონებიათ; ჩ ო ჩ ე თ ს, რაც იოანიასძისეულნი მიწანი არიან და ქადაგსა დიმიტრის მომზღვრებითა ქონიდეს, მისითა სახლითა, ეკლესიითა, ჰურ-მარნითა, მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენახითა, საკნავითა, მინდვრითა, სანადირითა, ჭალითა, სათიბითა, სახმარითა და უხმარითა, საძებრითა და უძებრითა და რაც კავთისხევს მთასა და ანუ ბარს მამულნი ქონებიათ, მისითა მიდგომითა სამართლიანითა, სრულები[თ] და უკლებრად.

და თუ ვინმე[ს] ამ მამულის ნიშანი ქონდეს, მტკიცითა ამით საგლით გაგვომტყუენებია, რამეთუ[2] სამუქთოთაცა გაჯერებულნი

---

[1] სახმარითა. [2] დამეროე.

არიან; ვინაღგან სამკვიდროდ ქადაგს დიმიტრის ქონდა, ივი სრულიად უმკვიდრო იქმნა, ესრეთ რომელ არცა რა ნათესავი დაჩნდეს და ეერავინ მოგესარჩლოს, ვერა ადამის ტომის კაცი.

როგორც საყდრისაგან და ჩვენგან მტკიცედ და სამკვიდროდ ბოძებული არის, არა შეგეცვალოს, არა მოგეშალოს არა ჩვენგან და არა შემდგომთა ჩვენთა მომავალთა კათალიკოზთაგან და არას სხვათა მეპატრონეთაგან.

და თუ ვინმე ამისად შლად ხელყოს, შერისხდი შენ, დაღსაბამთ მაძათ და ძე და სული წმინდავ.

დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხნეს და წმინდამან დედაქალწულმან.

დაიწერა წიგნი ესე და სიგელი ქორონიკონს ჩ[ჲ?], ხელითა ფრიად ცოდვილისა ქართლის მთავარეპისკოპოზისა ი[ო ა]ნე სითა.

ხელრთვა: კათალიკოზი.

38. [ერთგულების წიგნი ანჩელ არქიმანდრიტ აბელისძე ჭეროგინისა დავით კათალიკოზისადმი]

[1466—1479 წწ.]

...[სახელითა] ღმრთისა მამისა, ძისა და სულისა წმიდისა: თავსმდებობითა ოხთა და შუამდგომელობითა ყოვლად წმიდისა ჴცხორწნელისა და ემეტეს კეთრისგულისა ღმრთის-მშობელისა და მარიამისითა;

თავსმდებობითა და შუამდგომელობითა პატიოსნისა და ცხოველს მყოფელისა ჯუარისა ძველსა ცხორებისათა, რომელსა ზედა განკუართულ იქმნა ჭორცითა ქრისტე ღმერთი ჩუენი კანისათუის ჩუენისა;

თავსმდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა წმიდათა ზეცისა ძალთა, მიქაელ და გაბრიელისითა, ცხრა არეთა და ცხრათავე დასთა ანგელოზთა და მთავარანგელოზთა;

თავსმდებობითა და შუამდგომელობითა წმიდისა იოანე წინასწარმეტყუელისა, წინამორბედისა და ნათლისმცემლისათა და წმიდისა იოანე მახარებელისა და ღმრთის-მეტყუელისათა;

თავსმდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა წმიდათა თავთა მოციქულთა პეტრეს და პავლესითა, ათორთა მოციქულთა და სამეოცდა ათეულთა მოწაფეთათა და წმიდათა მოწამეთა გიორგი, თეოდორა, დიმიტრი;

და უფროსღა ყოველთა ჩრდილოეთისა კედართა შორის ულირს უზეშთაესისა კათოლიკე დედა-ქალაქისა მცხეთისა საყდრისა და მა[ს] შინა ღმრთივ-აღმართებული სუეტისა ცხოველყოფელისა კუართისა სამეუფოსა და მირონისა ღმერთ მყოფელისათა და ყოველად საშინელისა ანჩისა ხატისა თაესმდებობითა;

ამა ყოველთა ღმრთისა წმიდათა ზეცისა და ქუეყანისათა თავსმდებობითა და შუამდგომელობითა ესე წიგნი და პირი [გ]ჯადრეთ თქუენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ ქართლისა კათალიკოზისა დავითს მე, აბელისძემან ანჩელ არქიმანდრიტმან[1] ქრობინ, მის ჯამისა შედეგად, ოდეს მაწყუერელი და სამცხისა ებისკოპოზნი თქუენგან უჯუარო და შეუნდობელნი იყუნეს საფარის თავზედა; და თქუენ დიდისა ხუაშწითა მაკურთხეთ.

აწ დღეისითგან წაღმა ჩემად დღედ სიკუდილამდი ვიყო თქუენი და თქუენისა საყდრისა ერდგული და მეფეთა მლოცველი; და ყოველთა წირვათა და ლოცვათა შინა თქუენ მოგიჴსენებდეთ.

ვინ თქუენგან უჯუარო და შეუნდობელნი იყუნენ ჩუენგანცა უჯუარო და შეუნდობელი იყოს.

თქუენგან შეუნდობელთა ებისკოპოზთა გუერდი[თ] ქამი არა ეწირონ, სადამდის თქუენგან აჴსნილობისა და შენდობისა ნაშარი არა მოგუიდეს.

ეის სწყალობდეთ, ჩუენცა მისნი მლოცველნი ვიყუნეთ.

და თუ ყუარყუარე მაწყუ[ე]რლობა და ანუ სხუა რამე ჭელი გუაძლიოს და დაგუპატიჟოს კურთხევისა მიზეზითა, სადამდის თქუენსა საყდარსა არა დაეშორჩილნენ და რაზედაცა უწყრებით, თქუენისა საყდრისა წესითა იგი ისრეცე არ დაგეურჩოს, რომგორაცა თქუენ და თქუენსა საყდარსა გმართებს მით წესითა, სხუა ჭელი არ გამოეართუა; და არცა რა ვინდომო თქუენ[ა]დ დაუმოწმებლად და შეუნდობლად.

თქუენი საყდრისა მტერისა მტერნი ვიყუნეთ და ერდგულთა მოყუარენი და მლოცველნი ვიყუნეთ, ვითა წესად ძეს მეძლუნენი და მოსაძსახურენი. ესე ასრე გაგითაოთ ღმერთმან მამამან, ჴემან და წმიდამან სულმან და ამა საშინელმან ხატმან ანჩისამან.

და რასაცა მიზეზისათუის ესე აღთქუმა გიჭყუეოთ და არა გაგითაოთ, თქუენისა კურთხევისა წილ წყევასა ქუეშე ვიყუნეთ ღმრთისა და მისთა წმიდათახა და კათოლიკე ეკლესიისაგან განვისხნეთ, ვითარცა ურჩნი და ძუირის მოქმედნი.

---

[1] ანჩიმაიდრიტმან.

და ვინცა ანუ სამწყსომან, ანუ სხუამა ვინ კაცმან შემოწყ-
როს, იგიმცა კაცი კრულიაი დმრთისა დაუსაბამოსა პირითურ.ეყოთუ
შინა და ქუეყანასა ზედა, სადამდი თქუენვე არ შეიწყალოთ.

ამას გარეთ მაწყუერლობა და ანუ სხუა ჭელი რამე გუაძ-
ლიოს, არა გამოვართუათ ყუარყუარჯს თქუენ[ს]ქე დაეშორ-
მებლად. და ბატონისა ჩემისა ღმიანოთა საქმითა საყდრისა და
თქუენი ერდგულნი ვიყუნეთ. ამა ზემო წერილთა[1] წმიდათა მადლ-
მან და ძალამან.

სხვა ხელით: ესე ასრე გავათლო მამან, ძემან და სულმან წმიდამან

გვიანდელი სათაური: მესხთ-ებისკობ[ო]ზთა.

---

[1] წირილთა

39. [მცნებაჲ სასჯულოჲ]

[1470—1474 წწ.]

*მცნებაჲ ესე სასჯულოჲ[1], ურწმუნოთა მომაქცეველი და მორწმუნეთა განმამტკიცებელი და განმამკნობელი, ყოველთა ქრისტეანეთათვის მოვლენილი ზეცისა ჭალაჭისა იერუსალიმისაგან და ცათა მობაძვისა ანტიოქიისა[2]**

[ც]ის*** მბადისაგან არსთა ყოველთა ღმრთისა მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა, რომელი ჩუენისა კაცთა ცხოვრებისათვის ცათა კამარათაგან განზრახჴთა მამისათა ჴსნისა ჩუენისათჳს გარდამოჴდა. და საშოჲ ქალწულისა დაიმკჳდრა და იშვა უჭმეველად და იკსნნა კაცნილნი ხატად პირისა მისისანი ქალწულისაგან უქორწინებულისა იშვა და დაითმინნა მიზეზნი და ყუელებაჲ, კიცხეეაჲ, ბასრობაჲ, ჴვარცმაჲ და დაფლეაჲ. გუერცა ლახჳრითა მოწყლულმან ღმრთეებაჲ მოგჳცნა უკუდავებაჲ, რომელსა შუენის დიდებაჲ და პატივი დაუსაბამოჲთ თანა მამით, ძით და სულით წმიდითურთ.

[და] ეითარ ანება და იგულსმოდგინა მან, არსებით მიუწდომელმან, და ღმრთეებით მმართებელმან სჯულისა ქრისტეანობისაჲნ, და უბრწყინელად და უბიწოდ მშობელმან მისმან, და მადლმან ზეცისა ქალაქისა იერუსალიმისამან და ცათა მობაძვისა ანტიოქიისამან[3], და მოვიელინე ღმრთისა მიერ მე, ყოველთა ნარჩევი, იერუსალიმისა და ანტიოქიისა[4] პატრიაქი მიხაელ, მოვიწიე დიდსა ციხესა ქრისტეს სამწყსოსა, მაზებელსა იერუსალიმისასა, საქართველოსა.

ვითა სათანადო არს მეფეთა, დედიანთა, ათაბაგთა, ერისთავთა, ამილახორთა, დიდებულთა, აზნა-

---

[1] სარჯულოჲ. [2] ანდიოქიისა. [3] [ანდი]ოქიისამან. [4] ანტაოქიისა.

* აქედან იწყება მეორე კედი, პირველზე ტექსტი არ არის.

** სათაური დაწერილია სინგურით.

*** კაცებში ნასმული ასოები და სიტყვები აღდგენილია Ⴁ ნუსხის მიხედვით.

ურთა და ყოველთა ქრისტეს სჯულისა მოსავთა მორწმუნეთაგან მოკითხეად, განაგეს მოკითხვა სჯულისა. საყდართა, მონასტერთა, თემთა და კათალიკოზ-ებისკოპოსთა.

და მოიკითხეს, ძველით ვიდრე ახლადმდე, ღმრთივგვრგვნოსანმან ბაგრატ და დიდმან ერისთავთ-ერისთავმან დადიან-გურიელმან შამადავლა მისთა თავადთა თანადგომითა და დიდად ღმრთისაგან სათნოდ გამორჩეულისა, პატივ სარვეთანისა (?) ღმერთ-შემოსილისა [ცაიშელ]-ბედიელისა იოვაკიმისა.

იქმნა გამოძიებაჲ და მოკითხვა გუართა, დავთართა, და იადგართა, და ვითარ-იგი პირველად ქართლისა და აფხაზეთისა კათალიკოზნი ანტიოქიისა[1] პატრიარხთაგან იკურ[თ]ხეოდიან, და ჟამთა სიძუელისაგან და ს[ო]ფლისა სიევრაგეთაგან იყუნეს მრავალნი წესნი შეშლით და გარდაქცევით, ვნახეთ და შევემთხვენ მადლსა, ვითარცა მეუფისა, ცაიშელ-ბედიელ მთავარეპისკოპოზისა იოვაკიმისთა.

ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა, და დიდისა და ცათა მობაძავისა იერუსალიმისა მადლითა, და ცათამდის მაღლისა კათოლიკე საყდრისა ანტიოქიისა[1] ღმრთისმშობელისა მეოხებითა*, ვაკურთხეთ კათალიკოზი იოვაკიმ, მარჯუენაჲ იერუსალიმისა, აფხაზეთისა კათალიკოზი და კურთხეულმცა არის, დავაყენე[თ] და დავსჯით აფხაზეთს, საყდართა მათ ანდრია მოციქულისათა, ყოველთა ქრისტიანეთა ლიხთ-ამერსა, ოდიშისა, გური[ი]სა და აფხაზეთისა. ყოველთა ურჩთა და ღმრთისა არა ნებისმყოფელად მყოფთათჳს მომაქცეველად ვაკურთხეთ.

და ურჩჭმნილ იყუნეს ყოველნი[2], და ვითა სათნოებანი უგულებელს-ეყუნეს ებისკოპოზთა და მოძღუართა, მღდელთა და დიაკონთა, ბერთა და ერთა, დიდად ეშრომა მას, მარჯ[უე]ნასა იერუსალიმისასა, კაცსა ღმრთისასა იოვაკიმს. და აფხაზეთი ქრისტეანობისაგან სრულიად მიდრეკილ იყუნეს, ქრისტეს მცნებათაგან განშორებულ იყუნეს.

აწ გამოვნახენით ძველნი შრომანი წმიდათა ნაკელთა მამათაგანი და, ვითარცა [სათ]ნოჲ არს სჯული ღმრთისა, ეგრეთ მორჩილ ეჭმეწით სათნოდ ღმრთისაგან გამორჩეულსა, ვითარცა მოციქულსა პავლეს და ანდრიას დამორჩილდით, ისმინეთ, მოიქეცით და შეინანეთ.

---

[1] ანდრიასი. [2] ყრნაყ.

* აქ მთავრდება მეორე კეფი-

და სათნო ეყვენით ღმერთისა მეფენი სიმართლითა მეფობისათა, სიწმიდით, მოწყალებითა, მშვიდობითა სიყუარულისათა. ყოველნი ვიდნი სიმართლესა ბჭობდით, სიწმიდით დაიცვენით თავნი თქუენნი, ობოლნი და ქურივნი შეიწყალეთ[ნით], ვითარცა იტყჳს წინასწარმეტყუელი დავით: «ობოლი და ქურივი შეიწყალე და გზაჲ ცოდვისა არა იყოს შენ თანა». და ვითარცა გამცნოს [მ]ქადაგებელმან წმიდათა მოციქულთამან, ეგრეთ ვანმჭნდით.

და ეპისკოპოზი ლიხთა ამერისა, ჭოროხსა აქათ, ოვსეთსა აქათ, ზღუაჲ პონტოსა აქათ, სადა დიდისა ბიჭუინტისა სამზღვარი მიაწევს, ეპისკოპოზნი ამა იერუსალიმისა მარჯუენისაგან კათალიკოზისაგან იკურთხეოდინ, [და მიიღებდით] კურთხევასა; და ქადაგებასა მისსა [ა]სმენდით; ჴელი-იყვენით და ნუ ურჩ-ექმნებით, რათა იკურთხნეთ მარჯუენისაგან ღმრთისა.

აწ მამანო, ძმანო და შვილნო! ქრისტეს საფლავისა მარჯუენე, ლიხთ-ამერისა და ატხაზეთისა კათალიკოზი იოვაკიმ ქრისტეანობის სჯულისა მამაგრებელად და დამამტკიცებელად ვაკურთხეთ. სჯულისა და მერჯულეთა უფროს და უხუცესად ვაკურთხეთ მე. დიდისა და ცათა მობაძავისა ანტიოქიისა[1] და იერუსალიმისა პატრიარქმან მიხაილ.

და ესე ქარტა-წერილი თქუენთჳს აღვწერე.

1.* ქრისტეს მოყუარენო, მამანო და ძმანო, ვისცა ქრისტე ღმერთი გუყუარს[2] და სჯულსა ქრისტეანობისასა მორჩილებთ, კათალიკოზისაგან[3] კურთხევას მიიღებდეთ. და ვინცა გულითა მორჩილითა მიიღოთ კურთხევაჲ კათალიკოზისაგან და მორჩილ ექმნეთ**, დიდისა მის დაუსაბამოსაჲ მამისა, ძისა და სულისა და დიდისა მის საპატრიარქოსა, ცათა მობაძავი იერუსალიმისა და ანტიოქიისა[1] მადლითა კურთხეულ იყვენით ამა სოფელსა ჯორცითა და საუკუნოსა — სულითა***; და მათ სჯულისა დამამტკიცებელთა შჳდთა კრებათა მადლითა, და ოთხთა მქადაგებელთა მახარებელთა მადლითა, სულითა და ჯორცითა თავითა და შვილთა შვილითი შვილამდე, ვიდრე უკუნისამდე ამინ იყავენ.

2. ვინცა სჯულისა მსჯულისა ქრისტესსა და ქადაგებულსა მონაქთა მისთასა ურჩ ექმნათ, კურთხევისა წილ მოვიდის თქუენ-

---

[1] ანდრიასი. [2] გიყვარს. [3] კათალიკოზისაგან.

* ხელნაწერში ტექსტი მუხლებად გაკვეთილი არ არის.

** აქ მთავრდება მესამე კედი.

*** პირველად ყოფილა „ჯორცითა", რაც ბაზგადასმულია და სტრიქონს ზემოთ ჩაწერილია „სულითა".

და წყევა იგი სოდომისა და გომორისა; იყავნ დანთქმა დათან აბირონისი; სევრს (sic) ნუმც შეესწრები დაწვასა; ხარი დაგეფლა თქუენ ზედა გუწლბოჲს (sic) მათაებრ; იყვენით წყეულ, შეჩუენებულ ცათა შინა, ქუეყანასა ზედა; კრულ* თქუენ და საცხოვარი თქუენი, სახლი, ყანა, ვენაჯი; საყოველთა თქუენთა ნუმცა იპოების მკვდრი; ცაჲ რისხვით, ქუეყანა მწუხარებით თქუენთჳს. რომელთა არა ირწმუნოთ სიტყუაჲ ქარტად დაწერილი ესე; დაიწყეოს ნაყოფი თქუენი, ვითარცა უნაყოფოჲ იგი ლეღჳ; შეიჩუენენით ვითარცა სიმონ მოგჳ, ვითარცა არიოზ, რომელმან განხია კუართი უფლისა იჯჲსი; და წყეულ ვითარცა მაკედონის სულისა წმიდისა მგმობარი, და ეეთიბიოს და აპოლონიოს[1].

3. და ვიწცა საყდართა, მონასტერთა და ეკლესიათა მამცროებელნი და მეუპჳენი იყვნეთ[2] და კათალიკოზისა ბრძანებასა ურჩ ექმნათ, ვითარცა-იგი პირველნი ჴელწიფებანი ზეცით გარდამოითხინეს და ღმრთისა რისხჳთა ქუესკნელს მთაიყარნეს, ნაწილი მათი იყოს მათ თანა; იქმნებისმცა ნაწილად მათდა ბნელი გარესკნელი, მატლი უძილი, ცეცხლი უშრეტი, ღრჭენაჲ კბილთა, ტირილი, უნეგჳშინიცემოჲ; სადა არს ბნელი გარესკნელი არის-მცა სამკჳდრებელად მათდა გამოუკსნელად სულითა და ჴორცითა უკუნითი უკუნისამდე, აჰინ.

4. ანუ მ ე ფ ე თ ა, ანუ მ თ ა ვ ა რ თ ა, ანუ ა ზ ნ ა უ რ თ ა, ანუ აზნაურის შვილთა, ანუ მ ს ა ხ უ რ თ ა, ანუ გ ლ ე ხ თ ა, ანუ მთავარდიაკონთა, ანუ დიაკ[ო]ნთა, ანუ სახარებაჲ დიაკონთა, ანუ კერძოჲ დიაკონთა, ანუ მოკელეთა, ანუ ჴელის მჭონებელთა, ანუ დიდთა, ანუ მცირეთა ყოველივე ურჩქმნილი წყეულ, შეჩუენებულმცა არის სულითა და ჴორცითა.

5. მორჩილნი სჯულისანი და თანამდგომნი სარწმუნოებისანი კურთხეულ იყავნ უკუნისამდე.

6. ძმანო და მამანო ამისთჳს გამცნებ და გაუწყებ, რათა რომელი ჯუარს-ეცუა, დაეფლა, აღ[ს]დგა, იგი მხოლოჲ უფალი იესო ქრისტე შეიყუაროთ ყოველითა გულითა[3] , თქუენითა, რომელმან სისხლითა თჳსითა მოიყ[ო]ლდა ადამ, ნათესაჲთურთ მისით; და განბრწყინდეთ ვითარცა მზე, ნათლითა ქრისტესითა; საუკუნოდ სუფეველ წინაშე ღმრთისა; ესე სოფელი წარმავალ არს და საუკუნოჲ წარუვალ.

---

[1] აპოლონიოს. [2] იყუნენეთ. [3] გულითაგ.

* აქედან ეტრატის 15 სტრიქონი დასერილია.

აწ ყოველთა შეიყუარეთ ქრისტეს სჯული და ქრისტემან თქუენ შეგიყუარნეს ყოველნი. მოიცეცით ბრძანებასა* და ქადაგებასა ამას ღმრთისა ქრისტეს მარჯუენის, ლიხთა ამერისა ღმრთისა მეორისა მამისა ცისქუელის პაულეს თანამოსაგრის იოვანეს.

7. და ვინაიდგან იგუელსმოდგინა ღმერთმან, და ჯერ-იჩინა ჩუენისა ჴსნისათჳს და სჯულისა ქრისტეანობისა დამკჳდრებისათჳს და დამტკიცებისათჳს, ღმრთისა ბრძანებითა ჩუენ, დიდისა ცათა მთაბაძავისა საყდრისა ანტიოქიისა[1] და იერუსალიმისა პატრიაქმან მიხაილ, ნებითა ღმრთისათა, ვითარცა უფალმან ჩუენმან იესო ქრისტემან ანდრიას მოციქულსა თჳსა საუფლოჲთა ჴელითა შეჰხსა თჳსი სამეუფოჲ ბისონი და აკურთხა, აწ შემდგომად მისსა ვაკურთხეთ კათალიკოზი იოვანე და სჯულისა და მერჭულეთა თავად და უხუცესად დაგჳმტკიცებიეს.

და აღიწერა ქარტა ესე ჩემ ბიერ.

აწ შეილნო, ძმანო და მამანო! გაუწყებთ და გაცნებთ:

8. ვინცა და რამანცა კაცმან ქრისტიანემან, ანუ დიდმან და ანუ მცირემან, პატრონსა უღალატოს, ანუ უსამართლოდ უორგულოს, ქრისტე ღმერთი და სჯული[2] უარუყოფიეს; ეგრეთვე უსამართლოჲ ორგული მეორემან ნუ შეიწყნაროს.

9. ვინცა და რომელმან სჯულისა და კათალიკოზისა ურჩად უხუედრი ცოლი შეირთოს, ანუ სჳნაჲ, ანუ მეყჳსი, ანუ რძალი, ანუ ბიძის[3] ცოლი, ანუ ხუცის ცოლსა ცოდოს, ანუ დიაკონისა ცოლსა თანა ცოდოს, ანუ მთავარ-დიაკუნისა ცოლსა თანა ცოდოს, ანუ სწავლულისა კაცისა ცოლსა თანა ცოდოს და შეგინებულსა საწოლსა ზედა დაწჳნოს. ამათ ყოველთა უსჯულოებათა მოქმედი კრებულ, წყეულ და შერჩუენებულმცა არს სულითა და ჯოკრითა, ამინ.

10. და თუ არ ღმრთისა უარისმყოფელნი ხართ, მეკობრესა ხუცესსა მთარჩობდით.

11. ვინცა ანუ დედის-ნაცუალსა, ანუ დუდობილსა თანა ცოდოს, წყეულ, კრულ და შერჩუენებულმცა აწ და უკუნისამდე.

12. ვინცა ძმა მოკლას, ქრისტე ღმერთი უარუყოფიეს და ნაწილი მათი ალიჭოცნენ უკუნისამდე.

13. ანუ თჳსი და ანუ სხუაჲ მოკლას, კრულ, წყეულ და შერჩუენებულმცა არს.

---

[1] ანდიოქიისა. [2] რჯული. [3] ბიძას.

* აქ მთავრდებოდა მეოთხე კანონი.

14. და რომელმანცა იკადროს მოციქულთა მარხვათა ოთხშაბათ-პარასკევთა, რომელიცა ქსნილი არ იყოს და შერთოს, ანუ მიეცეს ვალებისა მარხვა, მარტვილთა კიდე ვინ ჰკუთხნმან შერთოს წუთლისთა ანუ ჭორცთა ქსნილთაგან კიდე, კრულმცა არს ცათა შინა და მიწაყანასა ზედა.

15. და რომელმანცა წელიწადთა შინა რომელნიც უქმნი განუწესებიეს წმიდათა კრებათა და არა ისმინოს და თვსითა ნებითა უქმობდეს. წყეულმცა არს წმიდათა კრებათაგან.

16. ვინცა შეუნდობელად დაბეჭდილი კათალიკოზისაგან და ქორებისკოპოზისაგან[1] ეკლესია გაქსნას, შეუნდობელად კრულ, წყეულ და შეჩვენებულმცა არს მათი ხუცესი და ერი მათი.

17. რომელმანცა წმიდათა კრებათაგან განაჩენი და განაწესა სჯული მაგრად არა დაიჭიროს და შეცოდება დაუწყოს, ღმერთმან წყეული ძიაგოს საქმეია მათებრ: წყეულმცა არს სჯულისა უარისმყოფელთა თანა.

18. ვინცა სჯულისა შემცოდე პატრონმან არ მისცეს ებისკოპოსსა და ქორებისკოპოზსა[2] სასჯულოდ[3] არ მიანებოს, და სასჯულოდ[3] მოსაკითხავად სოფელი არ დაანებოს, და ძალი არ მისცეს, იმა სოფლისა ცოდვა მან გარდაიჭადოს და შეუნდობელმცა არს.

19. ვინცა ამა მცნებათა არ დასჯერდეთ და კათალიკოზსა და ქრისტეს სჯულსა[4] უარჩ-ექმნათ, კრულ, წყეულ და შეჩვენებულ იყავით ღმრთისა დაუსაბამოჲსა მადლითა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისა მადლითა, იერუსალიმისა მადლითა, ანტიოქიის[5] მადლითა, ამინ, თავითა, შვილითა, ვიდრე შვილით შვილამდე.

20. დამამტკიცებელნი და სჯულისა მამაგრებელნი, და იესო ქრისტეს ერთგულნი, ებისკოპოსთა, მთავრეპართა, მღდელთა და მონაზონთა პატივისმცემელნი და სჯულისა[6] მამაგრებელნი, ობოლთა და ქურიეთა, გლახაკთა და დავრდომილთა მოწყალენი და შემწენი და შემწყნარებელნი კურთხეულმცა არიან ცათა შინა და ქუეყანასა ზედა, სულითა და ჭორცთა თავითა და შვილითა, ვიდრე უკუნისამდე, ღმრთისა დაუსაბამოჲსა პირითა, ამინ.

21. და ამასცა* გამცნებ[7] და გაუწყებთ შვილნო და ძმანო ჩემნო: ვიხეთგან ღმრთის-მოყუარენი, და ერდგულნი, და ღმრთისა მართლმადიდებელ[ნ]ი, და ძრწოლით და შიშით თაყუანისმცემელნი ჭეშმარიტად და მართლმადიდებლობით აღიარებთ და თაყუანის-

---

[1] გეორგეკოპოზისაგან. [2] გეორგეპოზსა. [3] სარჯულოდ. [4] რჯულსა. [5] ანდიოქის. [6] რჯულისა. [7] გაგამცნებ.

* აქ მთავრდება მეხუთე კანონი.

სცემთ სახელსა მის მოსაწერელისა გარე შემოუწერელსა [და] ტკბილსა და ნრაველ-მოწყალესა ღმერთსა დაუსაბამოსა. შემყენებ[ულ]ესა და წმიდასა [სულსა]. ხე თანა-მზრახველ ეკმნებით აწ[ა]ნაკნელისა სიცრუეთა და სივერაგეთა, არამედ მორჩილ ეკმნენით ბრძანებასა ღმრთისასა.

22. ვითარცა ანდრია მოციქულმან ურწმუნონი სარწმუნოებად მოაქცინა და სჯულსა და სარწმუნოებასა ზედა დაამტკიცა, მას ჟამსა ოდეს ქრისტემან დმერთმან ჩუენმან კსნილა ჩუენისა და მოქცეულისათჳს მოაკლიხა თჳსითა საშეუფოთა შესაწოსლი[თა], პორფირა-ბისონ-ოქროვანითა, სამოსლითა ელ[ვარით]ა და შუქმოსაჩრდილებელითა შემოსა და, სახედ და [სა]მუქფოდ მოციქულ, ნათლისა მაბარობელად კათალიკოზად დააყენა, რამეთუ მისისა ბრძანებისა ქადაგებითა მოიქცეს თემნი, ქალაქნი და ქუეყანანი ესე ჩრდილოეთისანი, ვიდრე ნინო ქართ[ლისა] დედამან მოაქცინა ქართლი, მისითა საშზღვართა აქათ წმიდამან ან[დრია მოციქულმან] ნათლითა მიუაჩრდილებელითა განანათლ[ა და განას]უნნელა ყოველნი მორჩილნი სჯულისანი.

აწ, მსგავსად მისსა, ვაკურთხეთ და დავამტკიცეთ სჯულისა თავად კათალიკოზი იოვაკიმ, [ვითარცა] ქრისტე ღმერთი თავი არს ეკლესიათა.

23. აწ, შვილნო, ძმანო და მამანო ჩემ[ნო]! მო[ს]რჩილ ექმენით ნუგეშისსა მის სახიერის ნაცვლად [ღმრთისა მიერ]* მოვლენილსა, თათა მარად პირმეტყუელ[ად] საწყსოდ გამ[ო]სჩნდეთ, და შეიკრიბნეთ ბაკსა ზეცისა [არვი]ხსასა, და არა იქმნეთ [შე]საჭმელ მგელთა მძვნ[ვარეთა], და არა შეგემთხჳოს გან[საცდე]ლი, ვითარცა-იგი მაშინ, რომელნი უ[რჩ ექ]მნნეს ანდრია მოციქულსა, [რომელმანცა] ბოუვ[ლიხა ღ]მრთისაგან მრისხ[ანე] ანგელოზი და წეცვალნა [ყოველთავე მათ უ]რჩთა სახლი ს[აც]ხოვარი, კაცითგან მიპირუტყუებამდე, ვიდრე მოიქცეოდეს.

და შემდგომად სარწმუ[ნოებად] მოყუანებისა მათ[თა მო]ვლინა ღმერთმან ანგელოზი [მშუდობ]ითა და წყალობითა, [და ყოველი] ნათესავი კაცთა ნათლ[ითა გამოეთქმელითა ალღესო. სახლნი დ[ა საყოფე]ლნი მათნი, კეთილითა მო[ეც]ლებელითა. საცხოვარნ[ი სიმრავლითა აღ]ივსნეს და საუკუნე კეთილად [წ]არ[ე]მართნეს, ნათლითა აღს[ა]ვ[სე]დ.

---

1 +და.

* გტრატის მე-6 კუფის ბოლო აქ და კუმთთაც ძლიერ დაცრეცილია.

24. აწ თქუენცა გულსმოდგინებითა, სიმშჳდითჱ და კრძალ-
ლებითა გულს-მოდგინებითჱ აღმსრულებელ ექმენით ბ[ძანებისაჲ]
ღმრთისაჲ და ღმრთისა მოციქულ[ისა] მეორ[ის]ა, აწ, ახლ[ებ]ა იე-
რუსალიმ[ისა მაძაგ[რებე]ლსა და ქრისტეს საფლ[ავისა, და სრუ-
ლიად] ლიხთა ამერის[ა და ა ღ ხ ა ზ ე თ ი ს ა კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ს
ი ო ვ ა ნ ე ს.

25. და ყოველთა შენდობა [და წირ]ვაჲ მი[ი]ღეთ. რათა აქაცა [საუროხეულ] იყვნეთ და საუკუნესცა [საურთ]ხეულ გიწოდოს უფალ-მან ჩუენმან იესო ქრისტემან, დღესა მას განკითხვისა და ზარის ასაკვეთლ[სა, რათა] გამოსჩნდე ძედ ნათლისად...** და განგაძლი-ერნ[ეს თქუენ საარწმუნოებასა ამას და [მტკ]იცესა ზედა მაზებელ-[ისა], აღმასრულებელნი და დაჭ[ე]მტკიცებელნი, [რათა არა მი]გი-გოს თუალუხავმან მან, დღესა მას დიდსა ზარის ასაკვეთლსა, ვი-თარმედ წარკედი[თ ჩე]მგან წყეულნო ბნელსა [გა]რეკნელსა და ცეცხლ[სა] უმრეტსა წყუდიად[ისასა]; არამედ დაიცევით ესე მცნება.

26. [და რომელმან] აჩრა იარწმუნოს და [არ]ა გულსმოდგინედ დაიცვა[ს] მცნება ესე, იყოს წყეულ და შეჩუენებულ მამისაგან, ძისაგან და სულისა წმიდისაგან, ვითარცა ზემოთ წერილ არს, ამენ მეამენეთა, და იყვნეს წმიდანი ანგელოზნი [მიერ] უკუნისამდე და უკუნითი უკუნისამდე.

27. აწ კუალად ისმინეთ ეპისკოპოზთა [და ქორ]ეპისკოპოზთა ვითარცა წმიდათა კრებათა განაჩინეს, [ეგრეთ] უთნეცარად დაღე-გით, ნუ ვის ათხუე, საპწყისოჲ შენი სწავლით და მაგრად დაჭი-რეთ, რათა მეორედ მოსლვასა[1] თქუენგან არ ითხოს სიტყჳს მი-გებაჲ.

28. ეგრეთვე მოძღუართა: წესიერებით, ქრისტეს სიყუარუ-ლითა თქუენ, [საპწყისოდ მ[ო]წოდებით[ე]ნი, შეეყუარეთ სჯული[2] ქრისტჱსი და თავი თჳსი დადუე ცხოვართა თჳსთათჳს, ვითარცა მწყემსმან საჴიერისან, რათა არა ყოველთა ცოდჳა კელთაგან შენთა იძიოს, და უკანასკნელთა მათ ძრწოლა და აღმოფრჴვნვასა და დაი-საჯო.

29. მღდელთა: მართალთა [ნების-მყოფელად ნუ ცრუ-წინას-წარმეტყუელ, [არამედ] დაიცევი თავი შენი სიძვისაგან, ტაცებისა-

---

[1] მოსლ[ვ]ასა. [2] რჯული.

* აქედან იწყება საბეჭდის verso.

** სამი-ოთხი ასოს ადგილი მოგლეჯილია.

გან, სიხარბისაგან, დიდის სიცილისაგან, მთვრალობისაგან დაიგდის დარეცისაგან, რომელი არა ჯერ-არს მოწესეთაგან.

30. მიეც ერსა ცმეცარსა მარხვაჲ, რაჲცა წმიდათა კრებათა გაჩინეს მარხვად, მიეც მტკიცედ და გაუტეხელად უქმი უქმად. კითა სწერია გაჩენით საეკლესიოთა დავთართა შიგან.

31. და რომელმანცა ეპისკოპოზმან, გინა ქორეპისკოპოზმან[1], ანუ მოძღუარმან, გინა ხუცესმან არა გულითა მართლითა დაიცევას მცნებაჲ ესე და ერსა არა უქადაგოს სარწმუნოება და კათოლიკოზისა ბრძანებასა ზედა მომჭირნედ და ძალმიცემით არ იდგეს, კრულ, წყეული და შეჩვენებულმცა არს აწ და უკუნისამდე; კრულმცა არს ღმრთისა დაუსაბამოჲსაგან თქმაჲთა, შეილითა და ყოველთა მისთა, რომელნიცა რაჲ არს სოფლითგან საუკუნოდმდე უკუნისამდე.

32. და უკეთუ ვინცა შეუვეთა, თაყვათა, აზნაურთა[2] და აზნაურისშვილთა, მოკვლეთა, მოურავთა, კელისუფალთა, დიდთა და მცირეთა, მდიდართა და გლახაკთა, ყოველთა, [რომელთა] ესე მცნება, ღმრთისა მიერ წმიდათა კრებათაგან განაჩენი, ქრისტეს ღმრთისა მიერ მართლმადიდებელთა სასჯველი სიმტკიცე და საწადელი, და მწვალებელთაჲს საკდემელი აჯული[3] არა აღიარის, არა ირწმუნოს, და მტკიცედ არ გულისმოდგინოს, და მაგრად არ იპყრას, და სხუათაცა არ უქადაგოს, კრულ, წყეულ და შეჩვენებულმცა არს რისხვათა ღმრთისა დაუსაბამოჲსა მამისა, ძისა და წმიდისა სულისაჲთა.

33. რომელი ხუცესი ცუდად ზღაპრობდეს, ანუ ცუდად მეტყველებდეს, ანუ წესსა აკლებდეს საწყასთა სოფელთა და ქუეყანათა, და მისიცა სამრევლოჲსა ცოდვა კათალიკო[ზ]სა და ქორეპისკოპო[ზ]სა[4] არ გამოუცხადოს, ანუ ნატაცებსა ცოლ-ქმართა გჳრგჳნი ჯუარისაჲსა, ანუ იპაროს, ანუ უხვედრთა ცოლ-ქმართა შენდობა მისცეს, ანუ მისთა სამრევლოთა[5] მარხვაჲ რეცაჲ და უქმისა რეცაჲ შეუნდოს და რაჲცა მღდელობისა საქმე შეცოდებით დაიჭიროს, — წირვისაგან აღიკოცოს და წირვა მისი შეუწირავი იყოს, სადამდის კათალიკოზისა მოკსენებითა და ჴელთ-ნებითა არ განიკანონოს.

34. ეგრეთვე, ვინცა და რამანცა კაცმან მონასტერთა და საყდართა მამული მოიგოს, იყიდოს, ანუ ვინ მოურავად და მოსაქმედ შემოეიდეს, — კრულ, წყეულ და შეჩუენებულ[ლ] ღმრთის დაუსაბა-

---

[1] ქუჱპრეპისკოპოსმან. [2] + აზნაურთა. [3] რჯული. [4] ქიჱპრეპ-სკოპოსი. [5] სამრეველოთა.

მოჰსია პარითა, შვდთა კრებათა მაღლითა; ნუმცა იქსნების სულითა ჯოჯოხეთისაგან, ნუცა წირვითა, ანუცა გლახაკთა მიცემითა. ანუმცა იერუსალემს წარსლვითა[1], იტანჯებოდეს გამოუკსნელად ჟამდე.

35. ვინცა უბუედრი ცოლი შეირთოს, ანუ სჯნასა, ანუ შეცვისა შექცჯოს, ანუ ძმის ცოლსა, ანუ შეირთოს, ანუ ბიძის[2] ცოლი შეირთოს, ანუ რა გინდა უბუედრი ცოლი შეირთოს კათალიკოზისა აღჯუარებლად, ქრისტეს უარისმყოფელთა თანამცა არს ნაწილი მისი, აწ და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

36. ვინცა უქმთა წელიწადისსა და შაბათსა, ცხრა ქამითგან ორშაბათსა განთენებამდე, სცოდებდეს და პარასკევსა მიწას რევდეს, და წმიდათა კრებათაგან განაჩენი უქმნი დღენი კრძალვით და მაგრად არ შეინახნეს, მისთჳს განწესებულ არს რისხჳაჲ ღმრთისა, მატლი ჭიჭილი[3], ცეცხლი უშრეტი, ღრჯენა კბილთა, მრისხანენი ანგელოზნი მას ზედა; და არა აქუს ნაშრომსა მისსა ბარაქაჲ; ნაყოფი მისი მისთჳს ურგებ.

37. კუალად ვინცა შესცოდოს წმიდათა მარხჳათა და ჴელყოს შეცოდება, გინა ოთხშაბათ-პარასკევთა, გინა ქრისტეს შობის მარხჳათა, ანუ ღმრთის-მშობლისა მიცვალებისა მარხჳათა, ვინ გინდა შესცოდოა, გინა პეტრეს და პავლეს, რომელ არს პეტრე-პავლობის მარხვაჲ*, მარტჳლთა რეგუენთა კიდე;

38. და ვინ უბუედრი ცოლი შეირთოს შეუნდობელი და კათალიკოზისა ბრძანებითა არ გაეყაროს და ურჩად დაღდგეს, გინა სასჯულისა[4] საქმესა ზედა ძალი არ მისცეს, და უსჯულოთა შემწე ექმნას, გინა მეყვისობისათჳს, გინა ქრთამისათჳს ანუ შებჳეწისათჳს;

ანუ მარხუ[სა] რევდეს, რაჲცა წმიდათა კრებათა გა[ა]ჩინეს ამას ზედა, მაგრად არ იმარხჳიდეს მართლად, ანუ უქმთა რევდეს, ანუ მართლად არ შეინახოს და წმიდათა კრებათაგან გაჩენილი შეურაცხყოს, და კათალიკოზისა ბრძანებასა არა მორჩილებდეს;

გინა მონასტერთა დამცრობასა მოიჭირვოს თჳისთჳს გინა სხუათათჳს იერჳოს, ანუ სხუათა უერჳოს, ანუ მტერობისათჳს, ანუ მეორისა მოყუროზისათჳს, გინა ქრთამისა აღებისათჳს რაგინდარა გაუმოაჭოს; გინა გლეხი მოსახლე, გინა საჭურჭლე, გინა კაცი, გინა ჯოგი, გინა დიდი, გინა ცოტაჲ, და არ მიღმა შემატებდეს;

კათალიკოზისა სიტყუასა და ბრძანებასა არ დამორჩილდეთ, და უსე მცნებაჲ არა დაიცვაღ, და არა გულითა წმიდათა აღიარო[თ]

---

[1] წასლვითა. [2] ბიძ[ა]. [3] +ჟამილ. [4] სარჯულისა.

* „გინა... მარხვაჲ“ ჩაწერილია სტრიქონს შუა დედნის ხელით.

და ძალმოცემით არ დაიჭიროთ და არა ირწმუნოთ, — გინა მღვდელთა, გინა თავადთა, გინა დიდებულთა, გინა აზნაურთა, გინა ეპისკოპოზთა, გინა ქორეპისკოპოზთა[1] გინა მოძღვართა, გინა მღდელმთავრისა გინა დიაკონთა, გინა მსახურთა, გინა გლეხთა, გინა მამათა, გინა დედათა, გინა დიდთა, გინა მცირეთა, ვინ გინდა ვინ ეს მცნება არ ირწმუნოთ, და კათალიკოზსა არ დამორჩილ ექმნას. და ვითა ესე აღწერილი მოგვითხრობს მარხვათა განაჩენსა და ესრეთ არა იმარხოს:

39. წელიწადთა შინა ოთხშაბათ-პარასკევი ესრეთ განიკსნების: ყოველთა ოთხშაბათ-პარასკევთა, ვითარცა დიდთა მარხ[ვ]თა, ჯერ-არს მარხვად, უკეთუ საუფლოდ დღესასწაული არა დაბუდეს, ანუ საჩინოთა წმიდათა, რომელსა[2] ტაძარსა შინა შეკრებულნი ერნი დღესასწაულობენ; ქრისტეს შობა მსგეფსამდე ჯსნილი არს; ბიგეგება ჯსნილი არს; ზადიკთა განზოგება ჯსნილ არს; ამაღლებისა წინა დღე ჯსნილი არს, ოთხშაბათ-პარასკევი არა; ახალ კვრიაკე ჯსნილი არს მსგეფს[ა]მდე; სულის წმიდისა მოსლვასა[3] მსგეფსამდე ჯსნილი არს; ალაჯორთ კვრიაკე და ჟველიერისა კვრიაკე ჯსნილი არს მონოზონთათჳს და ერისკაცთათჳს.

ამათ გარეთ ოთხშაბათ-პარასკევი არა განიკსნების. და რომელმან განჯსნას, საშინელი სატანჯველნი განმზადებულ არიან მათთჳს ჯჰრითისაგან, და კანონსა ჭეშე იქმნებიან უზიარებელნი, და ეკლესიას არ შეიშვების ვითარცა ურჩი ჯჰრითისა.

ეგრეთვე წმიდისა გიორგისი თავადი დღესასწაული აპრილსა ოცდასამსა მათთჳს ჯსნილი არს, ვინ ეკლესიას მიეიდენ. ვინ არ მიეიდეს, ვერ განჯსნის წოვნბერსა ი.

და უქმნი, წერილსა შინა, ვითარცა საეკლესიოთა წიგნთა კრებათაგან განჩენილმან ამცნოს, ეგრეთ.

40. და ვინ ორი ცოლი ერთად შეირთოს, გინა დედა-შვილი მამა-შვილთა შეირთოს, გინა ორი დანი ორთა ძმათა შეირთონ, ანუ ვის ცოლი მოეკუდეს, ცოლისა ასული შეირთოს, ანუ ვინ ცოლისა დედა, რომელ არს სიდედრი, შეირთოს, ანუ მეყვსი შეირთოს, ანუ ვინ ცოლი უხუედრი შეირთოს, ანუ ვინ რძალი შეირთოს, გინა შე[ე]ჩოს, გინა დობილი ანუ დედობილი შეირთოს, დიდმან გინა მცირემან, გინა ხუცესი პილწი იყოს და შეაგინოს ჯორკნი თჳსნი სხუასა დიაკსა თანა, გინა მჯღაველი ისყას და ყამისწირვად იკადროს. —

---

[1] ეპისკოპოზთა. [2] რ^ლნი. [3] მოსულისა.

ვინ ესე მცნებანი და სწავლანი, სასულიერო და საკოცელებ[1] გულსმოდგინებითა და გულითა უყალბოჲთა და შეუფუძნებელ[ი] ვერითა არა ალიარის, არ დაიცვას და არა მიისახოს, და უარ-ყოფ-ნას ამა სწავლასა წმიდათა კრებათაგან განაჩენსა და დამტკიცებულსა, და კათალიკოზსა ურჩ-ექმნას: მეფენი, გინა თავადნი, აზნაურნი, გინა აზნაურისშვილნი, მსახურნი, გინა გლეხნი, ებისკოპოსნი, გინა ქორებისკოპოზნი, მოძღუარნი, გინა მღდელნი, გინა დიაკონ[ნ]ი, მოკელენი კელისუფალნი, დიდნი გინა მცირენი, ყოველნი ურჩქმნილნი წყეულ და შეჩუენებულმცა არიან ღმრთისა დაუსაბამოჲსა პირითა, რომელმან შექმნა საუკუნენი:

კრულმცა არს საწყვდებელი მათი, სული და ჯორცი მისი: კრულ, წყეულ და შეჩუენებულმცა არს სახლი სამყოფი მისი:

კრულ, წყეულ და შეჩუენებულმცა არს პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისაგან, რომელსა ზედა განიპყრნა უხრწნელნი ჴელნი თჳსნი ჴსნისათჳს ჩუენისა ქრისტჱმან ღმერთმან ჩუენმან:

წყეულმცა არს წმიდათა ზეკისა ძალთაგან: წყეულმცა არს წმიდისა იოვანე სათლის-მცემელისაგან: კრულ, წყელმცა არს წმიდათა და ყოველადქებულთა მოციქულთაგან: კრულმცა არს შჳდთა კრებათაგან;

წყეულმცა არს ყოველთა ღმრთისა წმიდათაგან, რომელნი საუკუნითგან სათნო-ეყუნეს უფალსა ჩუენსა იესო ქრისტესა. და აწცა სათნო ყოფად არიან.

11. ამა მცნებათა ურჩქმნილნი და შეუნდობელნი კრულ და შეჩუენებულმცა არიან ცათა და ქუეყანისაგან, ჯოხითა და სულითა, თჳთა და ცოლითა, შვილითა და შვილის შვილითა, მისითა ერდგულითა:

არისმცა მისთჳს ესე სოფელი მოკლე და უსარგებლო; არისმცა ცოლი მისი ჭურიე და მწუხარე, შვილნი მისნი ობოლ, შერყეულ და დაცჳვნებულ, ვითარცა მართუენი ყორნისანი; უხაყოფომცა არს ყანა, სათესავი არა არს თესლისა გამომღებელ, მამული მისი უნაყოფომცა და ნუ შეიკრებს მისგან ნაყოფსა;

წყეულმცა არის მისი ცხენი, ზროხა და ყოველი საცხოვარი; ნუმცა ეპოების სახლისა მისისაგან სანუგეშინისცემო.

კრულმცა არს თავი მისი მჯართა მისთა ზედა: კრულმცა არს მჭარნი მისნი წელთა მისთა ზედა: კრულმცა არს წელნი მისნი თეძოთა მისთა ზედა: კრულმცა არს თეძონი წყჳლთა მისთა ზედა: კრულმცა არს წყჳლნი მისნი მუჴლთა მისთა ზედა: კრულმცა არს

[1] ქუაბრეებისკოზნი.

მეკლნი მისნი კოჭთა მისთა ზედა: კრულმცა არს კოჭნი მისნი ფერჯთა მისთა ზედა: კრულია ფერჯი მისი მიწათა, აღგილთა და სამყოფთა ზედა: კრულ არს იგი აღგილი მისთჳს, სადა ფერჯნი მისნი; კრულ არს თუალნი მისნი სახედველად და მზედველად: კრულმცა არს პირი მისი პირისა მჭამელად. ენაჲ მეტყუელად, ჴელნი საქნელად, ფერჯნი სავლელად, გული საქმისა გასაგონებლად: კრულმცა არს იგი და მისი გასაგის[ი]. მისი გასაგებელი სხეამან მიიღოს; კრული არს მისი საცოცხლე. კრული არს მისი საქ[ო]დილი; კრულ არს მისი საფლავი, სადა დაეფლვის.

ნუმცა იკნების სულითა და ჴორცითა, თავითა და ცოლითა და შვილითა და ყოველითა მისითა გასაგებელითა; ნუმცა იკნების წირვითა უბისკოპოსთა და მღდელთათა: ნუმცა იკნების იერუსალემს[1] წასლვითაჲ[2], ნეცა ლოცვითა მოლოზონთაჲთა, ნეცა გლახაკთა მიცემითა, ნუცა მშიერთა განძღომითა; არა რა ქუელის საქმე[3] ერგოს მას; ყოველივემცა ფსარგებლოჲ არს მისთჳს.

42. ვინცა ესე მცნება და სწავლაჲ არა აღიაროს, არა იარწმუნოს და არა გეშმარიტებით აღასრულოს, იყოს ნაწილად მისად, სადა არს ტანჯვით სამყოფი, ქრისტეს ცარისმყოფელთა, ბნელი წყუდიადი, განუნათლებელი, ცეცხლი უშრეტი, მატლი ჭმელი, ტარტაროზი, გლოვაჲ უნეგეშინისცემოჲ, და ღრჭენაჲ კბილთა, ნისლი წყუდიადი, საბურველი თუალთა მყოფთა ფსკერთა ჯოჯოხეთისათა; ნუმცა არს კსნა და გამოკსნა მათი მიერ ვიდრე უკუნითი უკუნისამდე. ამინ, ამინ, ამინ.

43. ქრისტიანენი მართლმადიდებელნი, რჯულისა მამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხნეს.

ბეჭედ: მაქვენტისა ღუთის-მშობლისა საქეთ-მპყრობელი კ'ზი.

40. [ეარწო-თიანეთის საეპისკოპოსო გამოსაღების წიგნი]

[XV ს.?]

... არდგომაჲ

...[ქრთ]ილი კაბიწი — ცხურის ტყავ-მჭარი.
...შედგომაჲ, დრამაჲ ე, ქრთილი კაბიწი ა.
...შედგომაჲ, ეცეცხლი დრამაჲ გ, ქრთილი კაბიწი ბ.

რაბჯნს

შედგომაჲ, ეცეცხლი დრამაჲ ამი, ქრთილი კაბიწი ბ.

---

[1] იერსარჭს. [2] წასულია. [3] რა.

ოქლითს

სადგომი არა, დრამად ა.

ბოდავს

შედგომად, ვეცხლი დრამად დ, ქრთილი კაბიწი ე.

*[შე]დგომად არა, დრამად დ.

ქინოვანს

დგომად დღე-დამე გ, ვეცხლი დრამად ლდ, ქრთილი კაბიწი ე.

წირდალს

დგომად არა, დრამად დ.

ქიდარს

შედგომად, დრამად გ, ქრთილი კაბიწი გ, შოლტი ქალამანი ერთი.

წობენს

შედგომად, ვეცხლი დრამად გ, ქრთილი კაბიწი ბ.

გუგუანჯუარს

შედგომად, ვეცხლი დრამად გ, ქრთილი კაბიწი ა, შოლტი ქალამანი ა.

შეყენებულსჯუარს

შედგომად, ვეცხლი დრამად გ, ქრთილი კაბიწი ა.

იკორდნს

შედგომად, ვეცხლი დრამად ა, ქრთილი კაბიწი ა.

აბალდაბას

შედგომად, ვეცხლი დრამად გ, ქრთილი კაბიწი ა, ქალამანი ა.

---

* სიტყვა ხელნაწერში არაა, აღსადგენია.

ნოკორნას

შედგომაჲ, ვეცხლი დრამაჲ ე, ქრთილი კაბიწი ბ, შოლტი ქალა-
ლამანი ა.

ძაგუს

შედგომაჲ დღე-ღამე ბ, ვეცხლი დრამაჲ დ, ქრთილი კაბიწი ბ, ცხენის ტყავ-მჯარი, ქალამანი ა.

ანეშს

შედგომაჲ, დრამაჲ გ, ქრთილი კაბიწი ა, ქალამანი ა.

დაოთს

შედგომაჲ, ვეცხლი დრამაჲ დ, ქალამანი ერთი.

შიგონასძისქედს

შედგომაჲ დღე-ღამესა, დრამაჲ ე, შოლტი ქალამა[ნი] ა.

ჩორდმანს

შედგომაჲ, დრამაჲ გ, ქრთილი კაბიწი ბ, ქალამანი ა.

ნოდოკრას

შედგომაჲ, ქრთილი კაბიწი გ, ქალამანი ერთი[1].

ახალდაბას

შედგომაჲ, ვეცხლი დრამაჲ ბ, ქრთილი კაბიწი ა

ამტანს

შედგომაჲ დღე-ღამესა, დრამაჲ ე, ქრთილი კაბიწი გ.

შეხუეტლას

შედგომაჲ დღე-ღამესა, დრამაჲ გ, ქრთილი კაბიწი ბ, ქალა-
მანი ა.

---

[1] ქალამანი ერთი] ტრიწნი ურთნი.

თრ[ა]ნს

შედგომაჲ დღე-ღამესაა. ვეცხლი დრამაჲ, ქრთილი კაბიწი ა. შოლტი ქალამანი ა.

ვაგრანეთს

შედგომაჲ დღე-ღამესაა, ვეცხლი დრამაჲ ჱ, ქრთილი კაბიწი ჳ. ქალამანი ერთი[1].

ხაჭლიოსძირსა[2]

შედგომაჲ. ვეცხლი დრამაჲ გ, ქრთილი კაბიწი ა.

ღართას[3]

შედგომაჲ დღე-ღამესაა, დრამაჲ ბ, ქრთილი კაბიწი ა.

ონჭალას

შედგომაჲ. დრამაჲ დ, ქრთილი კაბიწი გ, ქალამანი ა.

ხინჭებს

შედგომაჲ, დრამაჲ გ, ქრთილი კაბიწი ა, ქალამანი ა.

ყუდროს

შედგომა[ჲ], დრამაჲ დ, ქრთილი კაბიწი ბ.

ზედიჭურნას

შედგომაჲ. დრამაჲ გ, ქრთილი კაბიწი ა.

ორკევს

შედგომაჲ არა, დრამაჲ გ, ქრთილი გუერდი-

ბუშატს

არდგომაჲ, დრამაჲ გ, ქრთილი კაბიწი ა.

ივლას

შედგომაჲ, დრამაჲ გ, ქრთილი კაბიწი ბ.

წიაბეთს

შედგომაჲ არა, დრამაჲ გ, შოლტი ქალამანი ა.

---

[1] ქალამანი ერთი] ქლმნი ერთი. [2] ხაჭლიოსძისსა. [3] ღართასს.

დგომაჲ დღე-ღამესა, დრამაჲ გ, ქრთილი კაბიწი გ, შოლტ[ვ]ის[ა]ა. ლამპრი ა.

ზედუბანს

შედგომაჲ, დრამაჲ გ, ქრთილი კაბიწი ა.

ივანწმიდას

შედგომაჲ, დრამაჲ გ, ქრთილი კაბიწი ა.

ახალკალოს

არდგომაჲ, დრამაჲ გ, ქრთილი კაბიწი ბ.

თოლეჯს

შედგომაჲ, დრამაჲ გ, ქრთილი კაბიწი ა, ქალამანი ა.

გორანას

შედგომაჲ, დრამაჲ ი, ქრთილი კაბიწი ე.

პიტლოვანს

შედგომაჲ, ქალაქური დრამაჲ ნ, ქრთილი კაბიწი ვ.

41. [ერთგულების წიგნი გაბრიელ ალავერდელისა დავით კათალიკოზისადმი]

[XV ს. II ნახ.]

...[თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა პეტრე] რიტორისა, კლიტეთ მპყრობელ[ისა სასუფეველ]ისა და პავლე სამ-ცამდე ალწეენ[ელ]ისა სა[ჭ]ეოცდაათთა მოწაფე[თ]ა და ათორ-თა [მოციქულ]თა;

თაჳდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა წმიდათა მო-წამეთა გიორგი, თევდორე, დიმიტრი, პროკოპი, მერკური და პან-ტელეიმონისითა;

თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა სვეტის ცხო-ველისა, ქვართისა სამეუფოსა და მიროსხა ღმერთ-მყოფელ[ისა]თა და ყოველთა ჩრდილოეთისა კედართა შორის დედა-ქალაქისა ქრის-ტიანეთა თავისა ჩუენისა ეზიანჭისა მცხეთისა საყდრისათა, —

ამათ ყოველთა ზემოწერილთა ღმრთისა წმიდათა თავსმდებობითა ესე წიგნი და პირი მოგაბსენეთ თქუენ, ქრისტეს ღმრთისმოყუარე მეფეო ქართლისა კათალიკოზსა დავითს ჩუენ, ყოველნი ბა ილაქერდელმან გაბრიელ; ვიყუნეთ დღეს და დღესითგან წადმა თქუენი და თქუენისა საყდრისა ერთგული.

და ვინცა თქუენ და თქუენმან საყდარმან უჯეარო და შეუნდობელნი ქმნათ, ჩუენცა შეუნდობელი და უჯეარო ეჰქმნათ. და რაცა წესი ყოფილა ილაქერდლისაგან საწელიწდოსი, იგი არაოდეს დაგაკლოთ.

ამისა გათავებისა თავდებად ღმერთი და ესე ზემო წერილნი ღმრთისანი მოგვიჯსენებია.

და [თუ] გიტყუოთ, ღმერთმან ჩუენ გვიტყუოს ამა სოფელსა და მას საუკუნოსა; თქუენისა იმფორისა კანონსა ქვეშეცა ვართ. ✝

42. [ერთგულების წიგნი გერასიმე კათალიკოზისადმი]

[1540—1568 წწ.]

...[თავსმდებობი]თა, [მინ]დობითა დ[ა] შუამდგო[მელობითა]...* და მთავარანგელოზთა მიქაელ და გაბრიელისთა [ცხრა ათეთა და ცხრათავე]...** ზეცისა ძალთათა...* იოანე წინასწარმეტყუელისა, წინამორბედისა და ნათლისმცემლისათა და წმიდისა იოანე მახარებელისა და ღმრთის-მეტყუელისათა;

თავსმდებობითა, [მინდობითა და] შუამდგომელობითა წმიდათა თეთრა მოციქულთა პეტრეს და პავლესითა, ათორთა მოციქულთა და სამეოცდაათეულთა ქრისტეს მოწაფეთა და წმიდათა მოწაფეთა გიორგი, თეოდორე, დიმიტრი და პროკოპისითა და ყოველთა ჩრდილოეთისა კედართა შორის უალრეს ჯუარითა ქართლისა კათოლიკე დედა-ქალაქისა მცხეთისა საყდრისა და მას შინა ღირთივ-აღმართებულისა სუეტისა ცხოველისა, კუართისა სამეუფოსა და მირონისა ღმერთ-მყოფელისათა და ყოველად სამოსელისა კუმორდოს ხატისა თავსმდებობითა;

ამათ ყოველთა ღმრთისა წმიდათა ზეცისა და ქუეყანისათა თავსმდებობითა და შუამდგომელობითა, ესე პირი და წიგნი გაგდ-

---

* აკლია სამი-ოთხი სიტყვა. სახეთის მარჯვენა ნახევარი ტექსტი მეტად მჭიდრო და გადასულია.

** აკლია ორი-სამი სიტყვა.

რეთ და მოგახსენეთ თქუენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ ქარ[თლ]სა კათალიკოზსა ევაგრის მე, კუმურდოელ ჩ[ი]ვჩავაძ[ე] ვარებისკაპოზმან გერასიმე, მას ჟამსა, ოდეს [ა]ფხაზ[ე]თ[ა] რონმან მზეჭაბუკ შემიწყალა და კუმურდოსა საყდარი და ჭელი მიბოძა და თქუენს წინაშე საკურთხეველად გამოგუზავნა და თქუენ შემიწყალეთ და მაკურთხეთ.

აწ დღესითგან წილმა ჩემად დღედ საკუდილამდე ვიყო თქუენი და თქუენისა საყდრისა ერთგული და მეფეთა მლოცველი; და ყოველთა წირუათა და ლოცვათა შინა თქუენ მოგიხსენებდეთ.

ვინცა თქუენგან უჯუარო და შეუნდობელნი იყოს, ჩუენგანც უჯუარო და შეუნდობელნი იყუნენ; თქუენგან შეუნდობელთა ეფისკოპოზთა გუერდი ჯამი არა ვწიროთ; ვარძიისა და მისისა შესაველისა დიაკონი არა ვაკურთხოთ და არცა მათსა საწირწყოსა დავეცეროთ.

ვისცა უწყრებოდეთ, ჩუენგანც [შე]უნდობელნი იყუნენ; და ვისცა სწყალობდეთ, ჩუენცა მისნი მლოცველნი ვიყუნეთ;

და თქუენგან შეუნდობელსა შენდობა არა მივსცეთ, სადამდის თქუენგან აკსნილობისა და შენდობისა ნიშანი არა მოგუვიდეს.

რაცა თქუენისა საყდრისა[1] სახასო საწირწყო იყოს, მას ზედა ჭელი არა შევიქცინოთ.

თუ ათაბაგმან ყუარყუარე და მათთა შვილთა მაწყუერლობა ანუ სხუა რამე ჭელი გუაძლიოს და დაგუპატიჟოს კურთხევისა მიზეზითა, სხუა ჭელი არა გამოვართუა და არცარა ვინდომო თქუენად დაუმოწმებლად და შეუნდობლად.

თქუენისა საყდრისა მტერისა მტერნი ვიყუნეთ და ერთგულ[ნ]ი* მოყუარენი და მლოცველნი; და ვითა წესად ძეს, წლითიწლად მეძღუნენი და მოსამსახურენი.

და თუ ესე ასრე არა გაგითაოთ, ღმერთმან შამამან, ძემან და წმიდამან სულმან და იმა საშინელმან ხატმან კუმურდოსმან და რასაცა მიზეზისათა ესე აღთქუმა გიტყუოთ და არა გაგითაოთ, თქუენისა კურთხევისა წილ, წყევასა ქუეშე ვიყუნეთ და ღმრთისა და მისთა წმიდათასა და კათოლიკე ეკლესიისაგან განგვისხნეთ, ვითარცა ურჩნი და ძურისმოქმედნი.

---

[1] +საყდრისა.

* ჯერ დაწერილია: „მოყუარენი“, შემდეგ წაშლილია და ზემოდან დაწერილია „ერთგულნი“.

და ეხება ანუ საწყისთან და ანუ სხეულთან კაცთან შემოწყნარებ-
ებითა კაცი ერთული ღმრთისა დაესაბა[მოისა პირითა ცისა შიგა
და ქუეყა]ნისა ზედა, სადამდის თქუენვე არა შემიწყალოთ. ვარიანტები

ზელრიეა ხუცურად:

ჩუენ, ღმრთისა მიერ მთავარეპისკოპოზი კ უ მ უ რ ც[ო]ე ლ ი გ ე რ ა ს ი მ ე ამა დაწერილისა გამთავებელი ვარ, ამა ზემო [წე]-რილთა მაღლმან.

43. [წიგნი ანტიოქიის პაბრიარქის დოროთეოსისა მაწყუერელისათვის ეპისკოპოსის კურთხევის უფლების მინიჭების შესახებ]

[XVI ს. დასწყ.]

ქ. დიდებაჲ ღმერთსა, მარადის ყოვლისა შემძლებელსა და დიდებულსა, ამინ.

მლოცველი. მოყუარე სულთა თქუენთა წყალობითა ღმრთისათა, დ ო რ ო თ ე ო ს პ ა ტ რ ი ა რ ქ ი დ ი დ ო ს ა ღმრთის ქალაქისა ა ნ ტ ი ო ქ ი ი ს ა და ყოვლისა აღმოსავლეთისა, მოგიმცნობ.

წყალობაჲ და მშვიდობაჲ და შეწევნაჲ უფლისაჲ ჩუენისა იესუსი ქრისტეს მიერ თქუენ ზედა და ყოველსა საბრძანებელსა თქუენსა, რომელმან განამტკიცნა წმიდანი მოციქულნი სიონს ქორწა მას ზედა განყოფითა ცეცხლისა ენათათა.

და მისცა ცნობაჲ ყოველთა ენათა და მათ მიერ მოიხადირნა ყოველნი ნათესავნი, ლოცვაჲ და ქებაჲ გარდამოვედინ სულთა და ჯორცთა თქუენთა ზედა და ყოველსა საბრძანებელსა თქუენსა.

რომლისა ბრძანებითა ვითჳლენით თქუმად ამას დიდ-ს ა პ ა ტ რ ო ნ ი ს ა მ ზ ე ჭ ა ბ უ კ ი ს მიერ, რამეთუ მაგან ოდეს მხოლომან იყურჭუმა ჴეშმარიტად ემბაზსა შინა ნათლისღებასასა.

რამეთუ სადაცა მიიწიოს ღონე მაგისი და დათრგუნოს ქუეყანაჲ მტერთა თჳნიერ შრომისა მოსცეს ღმერთმან ადგილი იგი, ანუ რომელთა იხილონ წუერი პოროლისა მისისა, თჳნიერ კეთებისა[ა] ლტოლვილ ქმენინ ყოველნი წინააღმდგომნი მისნი, პატრონისნისა და ღმრთისა მიერ განმტკიცებულისა და განძლიერებულისა დიდისა მეფისა ჩუენისა და ყოველისა აღმოსავლეთისა ჴელწერითისა პატრონისა მზეჭაბუკისაგან. სამარადისოდ ყოს ღმერთმან პატივი და დიდებაჲ, ძალი და სიმტკიცე მათი უკუნისამდე; და აღამაღლოს პატივი მისი და ბედნ[იერ] ყოს.

და დაანთქნეს მტერნი მისნი და მოსცეს ძლევა მათ ზედა მძ[illegible]
და ყოველსა მჭვდრობასა და ერსა მისსა.

34. უდვინობას კერშიდავას ისრევე იმას მართებს.
35. უდვიმას მჭითავას ისრევე იმას მართებს.
36. ხიხულიას ფურთუხიას მართებს 6 ფოხალი ღვინო, 6 ჯამი ღომი, გოჭკომური.
37. გურმიხილიას თუსმელიას მართებს 1 საჭმელი*.
38. სწლიას მამულის მართებს 1 საჭმელი**.

92². [ხონის საყდრის გამოსავლის ჯუმალი]

[1616—1621 წწ.]

არის წმიდის გიორგის ხონის გამოსავლის ჯუმალი რაც:

840 კოკა ღვინო, ორი ჭური სხვა; 501 კოდი ცეხველი ღომი; 98 საცლავი; 273 ქათამი; 25 ურემი ღომი; არის ყველისა და კვერცხისა და თევზისა საყველიერო და სამაცკობო თეთრის ჯუმალი 429; ორმოცდაორი ურემი თივა და შეშა; 25 კლდითი სამეჯინიბო ან ურიში ან მჭადი***.

ღმერთო შე ამისი დამწერი ბერი ბასილ.

92³. [კათალიკოს მალაქიას მოლაშქრე კაცთა ნუსხა]

[1616—1621 წწ.]

წყალობითა და შეწევნითა ღმრთისათა.

არის მოლაშქრე კაცები კათალიკოზის გურიელის შვილის მალაქიასი:

თავს ნავენახევს ბექან ლაღიძე და იოთამ, მათ-მათის მსახურებითა.

---

* დატოვებულია ცარიელი ადგილი ერთი სიტყვისათვის.

** ამ ზედაზეთის საკათალიკოსო დავთრის ხელნაწერში ამის შემდეგ შეტანილი ყოფილა ხონის საყდრის გამოსავლის დავთარი, რომელსაც დართული ჰქონია ქვემოთმოტანილი ჯუმალი.

*** ხონის საყდრის გამოსავლის დავთრის დედანს (იხ. აქვე, გვ. 368) ჯუმალი დართული არა აქვს.

არის ბარჩაგვატიძე ოთარი მისის მსახურითა, სამი სხვა მსახური.

არის საგენათლოშიან 5 მსახური.

არის ქუთათის[ს] აზნაურისშვილი ბეჟან ლაღიძე და გოჩიაი.

არის ჯიმშტარას: მგალობელი ათანასე, 2 მსახური სხვა.

არის გეგუთს ლაზარე და მისი გნაყოფი ფარცანაყანეგს[1] 1 მსახური.

არის ხონს და ჯუთაბანს 6 მსახური.

არის წიდის გიორგის ხონის 30 მსახური.

არის ქანთხოჯს აზნაურისშვილი და მსახური 19.

არის საქუჩულორიოს 3 მსახური.

არის ნაგვაზაუს 4 მსახური.

არის ხიბულას აზნაურისშვილი და მსახური 30.

არის ჯგალის აზნაურისშვილი და მსახური 38.

არის საცაიშლო აზნაურისშვილები და მსახური 63.

არის დარჩელის აზნაურისშვილი და მსახური 85.

არის ჭალას მსახური 2.

არის ჩოხათს 5 მსახური.

არის ნაქანეულს აზნაურიშვილები და მსახური 35.

არის ხოირს მსახური 22.

არის მუხურს აზნაურისშვილი და მსახური 30.

არის საზაუეკლო 15 მსახური.

არის თილათს და ჭალას მს[ა]ხური 13.

არის ხეთას[2] მსახური 30.

არის წყაროგზას და სენაკს 4 მსახური.

არის ლაჩხუთს და ლესას აზნაურისშვილი და მსახური 30.

არის ჯუმათს და ბა[ი]ლეთს აზნაურისშვილი და მსახური 18.

არის ქობულეთს და ჩაქუს აზნაურისშვილი და მსახური 5.

არის ოცხანას აზნაურისშვილი და მსახური 9.

---

[1] ფარცანანაყანეგს. [2] ხუთას.

ღმერთო და შვიდ კათა ეპისკოპოსისა და ქრისტეშვილისა ღმრთის-მშობელო, და მთავარანგელოზო ჯუმათისაო, და შვიდ წილ ყრილო მხედარო დიდო გოდერძი ხონისაო, შეეწიეთ ორთაენი შინა სუფევათა ამა და უმეტეს სალოცნეთა ყოველისა ჩრდილოეთისა და აფხაზეთისა კათალიკოზი ცაიშელ-ჯუმათელისა ხონელი მთავარეპისკოპოზისა გურიელის გიორგის ძესა ბატონს მალაქი[ა]სა.

მისითა ბრძანებითა აღიწერა წესსა ესე მეფეთ-მეფობასა კოსტანტინეს ძისა ბატონის გიორგისასა და დადიანობასა მანუჩარის ძისა[2] ბატონის ლეონისასა და გურიელობასა გიორგის ძის ბატონის მამიასასა.

ქორთაიკონსა ტი, გათავდა თვესა ნო[ე]ნბერსა რვასა, დღესა ხუთშ[ა]ბათსა*.

93. [საკანონოს წიგნი იესე ერისთავისა იოანე კათალიკოზისადმი]

[1616 წ.]

ქ. ესე წიგნი მოგაწსენეთ ჩვენ ერისთავმა პატრონმა იესე, ერისთავმა ძმამა პატრონმა შანშე, პატრონმა შალვა ასრე და ამა პირსა ზედა, რომე:

ეშმაკის საცდელით ჩვენი ბიძისშვილები დაგვეჭოცნეს და მოგვსენეთ საკანონოდ თქვენ სვეტსა ცხოველსა და კვართს საუფლოსა და [მირონ]სა ღმერთ-მყოფელსა და მათსა საჭვთმპყრობელსა ჭართლისა ქათალიკოზსა პატრონსა იოვანეს.

და მოგვსენეთ ქორდს კაცი [კუე]ლი ექვს[ი]: არჩვაძე შოში[ტა, ბე]რიკაშვილი ნინია, კევსური საგინა, მუჭაური გამიზარდ[ი] და ჩუბინაშვილი ფრიდო-

---

[1] ბატონის. [2] ძესა.

* მინაწერი და მისი თარიღი ეხება მთლიანად აფხაზეთის საკათალიკოსო გამოსვლის დაგეთარს, რომლის ხელნაწერში დაცული ყოფილა ზემოთ დაბეჭდილი საბუთების (№№ 91, 92, 92[1], 92[2], 92[3]) ტექსტები.

ნა და გ ი ც[ხ]ს შ ე ი ლ ი ს მამული. ესე ასრე გავთ[ა]ლოთ მათისა ხელ მართლიანისა [მ]ამულითა, რასაც მამულისა მ[ქო]ნებელნი იყუნენ წინაშე მათა და ან ბარს. ყოველითურთ უნაკლ[უ]ლოდ.

ვინცა და რამანც კაცმან ესე ჩუენგან შეწირული მამული გამოაჭოს საყდარსა, რისხვაჰც ღმ[ე]რთი და ყოველნი წმიდანი ღმრთისანი ზეცისა და ქუეყანისანი, კორკიელნი და უჰორცონი, სვეტიცხოველი და კვართი საუფლო და მირონი ღმერთ–მყოფელი და [ჩ]ვენთამც კოდეგათათვინ გაი[კით]ხვის.

და დამამტკიცებელნი ღმერ[თმან] აკურთხნეს.

დაიწერა წიგნი [და სიგ]ელი ესე ქორონიკონსა ტდ.

ხელრთუა: იესე

94. [წყალობის წიგნი ძრიხტეფორე კათალიკოზისა მაღალაძეებისადმი]

[1624 წ. 17 აგვისტო]

ქ. ჩუენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხეულმან ქართლისა კათ ო ლ ი კ ო ზ მ ა პატრონმან ქ რ ი ს ტ ე ფ ო რ ე მ ესე უკუნისამდე ქამთა გასათაებელი წყალობისა წიგნი და სიგელი შაგიწყალეთ და გიბოძ[ე]თ თქუენ მ ა ღ ა ლ ა ძ ე თ ა ზ უ ც ი ა ს ა და ი ვ ა ნ ეს და ს ე ხ ნ ი ა ს ა და ზ ა [ა]ლს, შვილთა თქუენთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე, ასრე და ამა პირსა ზედა, რომე:

საჭელოს გ[ვ]იჭენით, ავდა და მოხსენება თქუენი შაგიწყალე და მოგიბოძებთ გ ო მ ნ ი სამოურავოდ. მ ი წ ო ბ ა ლ ი ძ ე ს ქონდა გომნი საჭელოდ, ისი სამუშაბოდ შაგიწერეთ; და გომნი სამყუდროდ სამოურავოდ გიბოძეთ.

[გ]ქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან კათოლიკე საყდრისა და ჩუენს სამსახურსა ჭეშ[მ]ე. არა მოგეშალოს და არა შაგეცვალოს, არა ჩუენგან და არა სხუათა კათოლიკოზთაგან.

ამისი დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხნეს.

დაიწერა წიგნი და ბძანება ესე ქორონიკონსა ტიბ, თუესა აგვისთოსა იზ კალთა ფრიად ცოდვილისა მ ა თ ე ს ი თ ა.

ხელრთუა: კათალიკოზი
ბეჭედი

95. [ერთგულების წიგნი მალაქია კათალიკოზისა მოურავ გიორგისადმი]

[XVII ს. I მეოთხედი]

ქ. სახელითა არსებაჲ დაუბადებელისაჲ, დაუსაბამოჲ, დაუსრულებელისაჲ, მოუწოთმელისაჲ, განუზომელისაჲ, მიუთხრობელისაჲ ღმრთისა მამისაჲ, ძისაჲ და სულისაჲ წმიდისათა;

შეოხებითა ყოვლადჲ უბრწყინველისაჲ და უფროსად კურთხეულისაჲ დედოფლისაჲ ჩუენისაჲ ღმრთის-მშობელისაჲ მარადის ქალწულისაჲ მარიამისათა;

თაყუანებითა და მინდობითა, ძლიერებითა ცხოველის მყოფელისაჲ პატიოსნისაჲ ჯუარისათა, რომელსაჲ ზედა განაბყრნა ქრისტემან მეუფემან უხრწნელნი მკლავნი თჳისნი და სისხლითა სიცხოველითა მათ მიერ მეწამულ იქმნა;

თაყუანებითა და მინდობითა წმიდათა ზეცისაჲ ძალთაჲ მიქაჱლ და გაბრიელ და რაფაჱლისათა; თაყუანებითა და მინდობითა წმიდისა წინასწარმეტყუელისაჲ და წინამორბედისაჲ ნათლისმცემლისაჲ იოვანესითა და იოვანე ქალწულ მახარებელისათა;

თაყუანებითა და მინდობითა წმიდათა ათორთა მოციქულთა პეტრე რიტორისაჲ და სასუფეუელისაჲ ცათასა კლიტეთა მპყრობელისა და პაული პირისაჲ ქრისტესისაჲ;

თაყუანებითა და მინდობითა წმიდათა მღდელთ-მოძღუართა ბასილი, გრიგორი და ნიკოლაოზისათა;

თაყუანებითა და მინდობითა წმიდათა მოწამეთა გიორგი, თევდორე და დიმიტრისათა და ყოველთა წმიდათა ღმრთისათა ზეცისა და ქუეყანისათა, ჰორეველთა და უჰორეოთა, —

ამა ყოველთა წმიდათა თაყუანებითა ესე უკუნისამდე ქამთა განათეუებელი ფიცი, პირი და წიგნი მოგებსენეთ ჩუენ, პატრონმან კათალიკოზმა მალაქიამ თქუენ, პატრონს მოურავს გიორგის და თქუენსა შუილსა ავთანდილს და შუილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა, კიდეცა პატრონიშეილს ქაიხოსროს და პატრონს ბარათასა და გიორგის და გერმანოს და ერთობილთ ვინც ვინ თქუენი ერდგულნი და თქუენთან მყოფნი აზნაურშუილნი არიან, დიდნი თუ მცირენი.

ესე საფიცარი მოგებსენეთ ასრე და ემა პირსა ზედა: ვიყუნეთ თქუენთჳნ კარგსა და კარგის მდომნი; არა გაუნოთ, არა გაზიანოთ

არა კაცთა, არას კაცის კაცითა; არა გიკრთეთ, არა გიტკუოთ, არ-
გიჩხუბოთ.

და თუ ჩვენს ალაგს მობძანდეთ, კოდეკ შეგხიბნოთ ტკბილ-
კაცსა საძალოთ და სქელკაცთ არ დაგანებოთ, რაც ძალგვედეს.
და თუ ჩვენის ალაგიდამე წაბძანება მოინდომოთ, ჩვენი ადგილი
უზიანოთ გაგარონინოთ.

ამისად გასათავებლად მოგვაცემია ღმერთი და ყოველნი წმი-
დანი ღმრთისანი, ჯორციელნი და უჯორცონი, ზეცისანი და ქვეყა-
ნისანი; და ჭელიცა ასრე ჩაჭრითოთ.

ფიცის გათავების მეტი სხვა გულში არა ავიაროთ რა. ✝✝

ჩელრთვა: კათოლიკოზი

96. [ერთგულების წიგნი აგალიშვილ მროველ დიმენტისა მოურავ გიორგისადმი]

[1625—1626 წწ.]

ქ. სახელითა არსებითა დაუბადებელის ღმრთისა მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა;

მეოხებითა ყოველად უსრწნელისა და უფროსად კურთხეულისა დედოფლისა ჩვენისა ღმრთის-მშობელისა მარიამისითა;

თავსმდებობითა და მინდობითა და შეამდგომლობითა წმიდათა ზეცისა ძალთა მიქაელ და გაბრიელისითა; ძლიერებითა ცხოველს მყოფელისა ჯვრისათა;

თავსმდებობითა და მინდობი[თა] და შეამდგომლობითა წმიდისა წინამსწარმეტყუველისა და წინამორბედისა ნათლისმცემელისა იოვანესითა და იოვანე ქალწულ მახარებელისათა და წმიდათა თავთა მოციქულთა პეტრესითა და პაველესითა;

თავდებობითა და მინდობითა წმიდათა მოწამეთა გიორგი, თევდორე დიმიტრი და ევსტათისითა და ყოველთა წმიდათა ღმრთისათა ზეცისა და ქვეყანისათა, ჯორციელთა და უჯორცოთა;

თავდებობითა და მინდობითა ესე უკუნისამდე ქამთა გასათავებელი უთუო და უთუმცაო[1] პირი და ფიცი მოგაბსენე ჩვენ, ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ მ ა ნ ჩ რ ო ვ ე ლ მ ა დ ო მ ე ნ ტ ი და ძმისწულმა ჩემ-[მ]ა ქ ა ი ხ ო ს რ ო მ, პ ე ტ რ ე მ და ა ვ ა ლ მ ა თქვენ, მ ო უ რ ა ვ ს პ ა ტ რ ო ნ ს გ ი ო რ გ ი ს და შვილთა თქვენთა ა ვ თ ა ნ დ ი ლ ს, ი ო რ ა მ ს და დ ა ვ ი თ ს ასრე და ამა პირსა ზედა:

ვიყუნეთ თქვენთვის დღეს და დღეის იქით კარგნი და [ვ]ერ შემომნი. არა გაგნოთ, არა გაზიანოთ, არა გიცრუოთ, არა გიმტყუნოთ, არა გიბრუებოთ.

და რაც ღმრთისაგან და კაცთაგან კარგი დაგეშართოს, იმისნი მოსჭირვებნი ვიყუნეთ. თქვენისა მტერისა მტერნი ვიყუნეთ და მოყურისა მოყუცარე.

და თუ ან ტყეე ან სალარო მოგ[ე]ბაროთ, უზიანოთ და უსირცხვილოთ ისრევე მოგებაროთ. და არცა [ს]ხვას კაცს სათაო თქვენზე დავიდეთ.

ამისად გასათავებლად და თავდებად მამიცემია ღმერთი და ყოველნი წმიდანი ღმრთისანი, ზეცისანი და ქვეყანისანი, ჯორცელნი და უჯორკონი. და ჯელიც ასრე ჩაეჯრთოთ.

ამ ფიცის გათავების მეტი სხვა გულში არა ავიარიოთ რა. ++

97. [წყალობის წიგნი ზაქარია კათალიკოზისა პაატა მიწოგლიძისადმი]

[1626 წ.]

[ქ. ჩუენ, ქრისტეს ღმრთისა [მიერ კუ]რთხეულმან ქ ა რ თ [ლ ი-ს ე კ ა თ ო ლ ი კ ო ზ მ ან ზ ა ქ ა რ ი ა] ესე უკუნისამდე ქამთა გასათავებელი წიგნი და სიგელი შეგიწყალ[ე]თ და] გიბო[ძეთ] შენ, მ ი წ ო ბ ლ ი ძ ეს პ ა ა ტ ი ს და შვილთა შენთა ი ო ს ა ფ ა ტ ს და...* ასრე და ამა პირსა ზედ[ა], რომე:

მოგეუდეგით კარსა დარბაზსა ჩვენისასა და მამულისა წყალობასა გუთაჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შეგიწყალეთ და გიბ[ძეთ] სოფელი წ ი რ დ ი ლ ი. პირველადაც შენის განაყოფის ზ ე რ ა ბ ი ს ა ყოფილყო და ქამთა ვითარებისაგან ამოწყვეტილიყო, აწე იმისი სოფელი წირდილი შენისის გვიბოძებია ყოველის კაცისაგან შეუცილებლად და [მოუშლელად მისისა მთისა და ბარითა, წყ[ლითა, ველითა და ვენახითა, საჭნეთა და უჭნეთა ყოველითურთ უნაკლულოდ. ესე ასრე გაგითავდეს და არა მოგეშალოს არა ჩვენგან და არა შემდგომად ჩვენსა სრეთა ქათალიკოზთაგან.

ვინცა და რამანცა კაცმან ეაე ჩვენგან ნაწყალობევი წიგნი და სიგელი მოგიშალოს ჩვენთამცა ცო[დვისათუის] განიკითხოს დღესა მას დიდსა განკითხვისასა.

---

* აქლია ოთხი-ხუთი სიტყვა.

ესე ასრე გაგითავდეს კათოლიკე საბოლოქულოჲსა საქმისა ერდგულად სამსახურსა ჭეშმე.

დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ქორონიკონს ტიდ, ჯულბთა[1] ტეხთა ღმრთისმშობლის დეკანოზისა ესტატესითა.

ხელითვე: ვამტკიცებ ნებითა ღმრთისათა კათალიკოზი ზაქარია.

98. [წყალობის წიგნი ზაქარია კათალიკოზისა თულუჯჩასა და არაქელასადმი]

[1627 წ.]

[ქ. ზეუნ, ქრისტეს ღმრთისა მი]ერ კურთხეულმან ქართლისა კათალიკოზმან პატრიაქმან პატრონმან ზაქარია ესე წყა[ლობ]ისა და ნებადართვის წიგნი და სიგელი გაბოძეთ თქუენ თულუჯჩას[1] და არაქელს თქუენთა შვილთა და მოძავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთაჲ[ვ]. ასრე და ამა პირსა ზედა რომე:

თქუენ წითლისშვილის მამული გეყიდათ და [გ]ქონდათ ჩალაშიგა. აწე რა რიგადაც ამას წინათ ქონებიან[2]. წითლისშვილს მამული და ვენაჯი, ისრეეე სამართლიანისა სამზღურითა ჩუენცა ამ წესით[3] დაგვინებებია. არას კაცს ამ მამულზედ კელი არა აქუს. [გ]ქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან თქუენ თულუჯჩასა და არაქელს თქუენი ნასყიდი მამული.

არიან ამისა დამხდომი ნინოწმიდელი და ნაცულები სრულად გითიბილნი გარეჯელ[ნ]ი.

აგრეეე ძნელაშვილი პაპუჩა და თქუენ სახნავს მიწაზედ იკილებოდით; ჩუენ გაგიჩინეთ და გაგამველეთ: ნახეცარი ამ მიწისა თქუენ დაგრჩა და ნახეცარი პაპუჩასა.

დაიწერა წიგნი და ბძანება ესე ქორონიკონს ტიე.

ხელითვე: კათალიკოზი

---

[1] თულუჯაშას. [2]+და. [3]+ჩუენც.

99. [პატრონყმობის წიგნი ზაქარია კათალიკოზისა დავით ალმატალის შვილისადმი]

[1627 წ.]

ქ. ჩუენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ ქართლის კ ა თ ა ლ ი კ ო ზ მ ა ნ პ ა ტ რ ო ნ მ ა ნ ზ ა ქ ა რ ი ა ესე წიგნი მოგართვი თქუენ, ა ლ მ ა ტ ა ლ ი ს შვილსა დ ა ვ ი თ ს, ასრე და ამა პირსა ზედა:

მოხველ და ჴ ე ლ მ წ ი ფ ი ს პატონის თ ა ი მ უ რ ა ზ ი ს ნებადართულობითა სვეტს ცხოველს ეყმევე და ი ნ თ ო ქ ს დასახლდით. და წელიწადში სვეტს ცხოველს ოთხს საპალნეს ღვინოს და სამს საპალნე პურს მოართმეველდე.

სხუას კაცს თქუენთან ჴელი არა აქუს, არა მოურავსა არა ნაცულებსა და ქეჯებსა და გზირსა, არას მოსაქმეს თქუენთან ჴელი არა აქუს და ნურცავინ ეცილებით. [ჴ]ქონდეს და გიბეძწიეროს ღმერთ[მან] კათოლიკე საყდრისა ერთდგულად სამსახურსა ქუეშე.

... დაიწერა წიგნი ესე ქორონიკონს ტიე.

ხელითა: კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი

100. [წყალობის წიგნი ზაქარია კათალიკოზისა კაატა ჯარმაულისადმი]

[1628 წ.]

ქ. ჩუენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხეულმან ქართლისა კ ა თ ა ლ ი კ ო ზ მ ა ნ პ ა ტ რ ო ნ მ ა ნ ზ ა ქ ა რ ი ა ესე უკუნისამდინ ქამთა გასათავებელი წყალობისა წიგნი და სიგელი შეგიწყალე[თ] და გიბოძეთ თქუენ ჭ ა რ მ ა უ ლ ს ა კ ა ა ტ ა ს ა და შენსა შვილსა ი ე ს ე ს, შვილთაა თქუენთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე, მას ქამსა როდეს მოხუედით და უმამულობასა ჩიოდით.

და შაგიწყალეთ გ რ ე მ ი ს ზ ე გ ს ორი კომლი კაცი: ფ ი ლ ა ძ ე გ რ ი გ ო ლ და მ წ ი ე კ ვ ა ლ ე უ რ ი ო მ ო ს ი კ ა მათის მამულითა, ნასყიდითა და უსყიდითა; რისაც მამულსა მჭონებელნი ყოველან, უკლებად მართლის სამართლიანის მზღურითა თქუენთვის გვიბოძებია; არა მოგე'შალოს ჩუენგან და არა შემდგომად მომაველთა ჩუენად კათალიკოზთაგან.

ამისნი დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხნეს.

დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ქორონიკონსა ტივ.

თუ ვისმე ამ მამულის ნაშთნი ჰქონდეს სიგლითა ამით გაგვიცუდებია.

ხელრთვა: კათალიკოზი

101. [წყალობის წიგნი ზაქარია კათალიკოზისა შიო ეგაძისადმი]

[1629 წ.]

ქ. ჩუენ, ქრისტეს მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოსა მაკურთხეველმან დიდმან მამათ-მთავარმან ქართლისა კათალიკოზმან პატრონმან ზაქარია ესე ჯუკნისამდე ყამთა გასათავებელი წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, საყდრისა და ჩუენსა ერთგულსა და თავდადებით ნამსახურსა ყმასა ეგაძესა მღდელსა შიოს და ძმასა შუენსა ასიტასა და ზაზასა და შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთაგე, ასრე და ამა პირსა ზედა:

შოგუთდეგით კარსა და მამულის წყალობას დგიაგენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და გიბოძეთ ბელტის ციხეს ოცს დღის მიწა სახნავი: იქით ზემბულიძის მახარებლის მიწის საძძლრამდი, აღმოსავლეთისაკენ ბელტის ციხის რუამდ[ი] და დასავლეთისაკენ საფურცლულს რუამდი.

ეს ასრე გაგითავდეს და არაოდეს არ მოგუშალოს არა ჩუენგან და არა შეძდგომად სხვათა კათალიკოზთაგან. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან საყდრისა და ჩუენსა ერთგულად სამსახურსა ქუეშე.

ვინცა და რამანცა კაცმან ესე ჩუენგან ნაბოძები მამული და სიგელი მოგიშალოს, რისხვასმცა ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანი; და საყდრისა და ჩუენსამცა კანონსა ქუეშე არის.

ხილო დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხნეს.

დაიწერა კარისა ჩუენისა მწიგნობრისა მთავარდიაკონისა კოზმანიასითა ქორონიკონს ტიზ.

ხელრთვა: კათალიკოზი

102. [შენდობის წიგნი ზაქარია კათალიკოზისა ციციშვილებისადმი]

[1623—1630 წწ.]

ქ. ჩუენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხეულმან ქართლისა კათალიკოზმან-პატრიარქმან ზაქარია ესე შენდობისა წიგნი [მო]გეც შენ, ციციშვილსა ბა[ა]დურს, მანუჩარს და შვილთა თქუენთა ნასყიდისა, ასრე და ამა პირსა ზედა, რომე:

შენის განაყოფის სისხლში გარეულიყავ და კათალიკოზისაგან შეუნდობელი იყავით. ასლამაზის სისხლშიგანც გარეულ იყავ.

აწე ჩუენ სარჭულო მოგვეცით და საყდარს კარგი ეენაჯი დაუდევით სასჯორს.

აწე ჩუენგან და ჩუენის საწყსოს ეპისკოპოზისაგან და სეეტის ცხოველისაგან განწმინდილ, კურთხეულ და შენდობილ ყოვით; და ალგეთ-წეროლი შეცოდებათა თქუენთა უფალმან ჩუენმა იესო ქრისტე ყოველდი, აწ და მარადის და უკუნისამდე. ამინ, ამინ.

ხელრთა: კათალიკოზი

103. [წყალობის წიგნი ზაქარია კათალიკოზისა გურგენ გარაყანიძისადმი]

[1630 წ.]

ქ. ჩუენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხეულმან ქართლისა კათალიკოზმან პატრიარქმან პატრო[ნ]მ[ან] ზაქარია ესე ჟამთა უკუნისამდე გასათავებელი წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ, გარაყანიძეს საყდრის შვილს ბოქოულთ-უხუცეს[ს] გურგენს, შენს ძმისწულსა ზავარადს და შვილსა შენსა რამაზს, შვილთა და მომა[ვა]ლთა სახლისა შენისათა, ასრე და ამა პირსა ზედა, რომე:

მოგვიდეგით კარსა დარბაზსასა ჩუენსა და მაშ[უ]ლისა საქმეზა გვიაჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და მოკითხული ექენით და ძველადცა თქუენი სამკვი[დ]რო ყოფილიყო და ჩუენცა შეგიწყალეთ და გიბოძეთ სოფელი სამკვიდრო პატრონი

შისისა ძითითა და ბარითა, წყლითა და წისქვილითა ყოვლითურთ უნაკლულოდ რისაც მქონებელი იყოს მისისა სამზღვრით.

ესე ასრე გაგითავდეს და არა მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა სხვათა[1] ჩვენთა შესდგომთა კათალიკოზთაგან.

[გ]ჰქონდეს და გიბეჭდნეროს ღმერთმან ჩუენსა და სვეტიცხოველის ერთგულად სამსახურსა ქვეშე.

დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ქორანიკონსა ტიჱ, ქელითა მთავარეპისკოპოსის კოზმანისითა.

ხელითა: კათალიკოზი

104. [შეწირულების წიგნი ელისე ტფილელისა ტფილისის სიონისადმი]

[1684 წ. 6 ნოემბერი]

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა და მეოხებითა ყოვლად ებრუნელისა უფროსად ქებულისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა შარადის ქალწულისა მარიამისათა; ძლიერებითა პატიოსნისა და ცხოველს-მყოფელისა ჯუარისათა და ყოველთა წმიდათა ღმრთისათა, ჴორციელთა და უჴოროცოთათა;

ამათითა შეწევნითა და მეოხებითა ჩვენ, უღირსმან და ყოველთა კაცთა უნაბრჭეესმან ტფილელ ეფისკოპოზმან ელისე გადრე და შემოგწირე უნდო და მცირე ესე შემოსაწირავი ჩუენისა ცოდვილისა სულის საოხად შენ, საშინელსა და ცათა საყდარსა მობაძავსა ტფილის ქალაქსა სიონთა ღმრთისმშობელისა საყდრისა და მასშინა დამკვიდრებელსა დედასა უფლისასა: ოთხთორი ერთი სირმით შეკერული, და ფილონი ერთი კარგი და ოქროჭსოვილი, და სტიხარი ოქროჭსოვილი, ოლარი ოქროჭსოვილი, საბუკრები ოქროჭსოვილი, და ოთხთორში სადები მომცრო ოთხთავი.

ესენი მოპირსენებია და შემოსწირავს. შეიწირე შენ საშინელო სიონთა ღმრთისმშობელო ვითარცა ძემან შენმან და ღმერთმან ჩუენმან მწყალობი იგი გვრიგისანი და ნაცვალ მაგე დღესა მას, ოდეს ძე შენი დაჯდეს განკითხვად ყოველთა ადამიანთად და მიაგებდეს თვითეულსა მისაგებელსა, მაშინ მითხე და შეწყალებულ მყავ.

აწე ვინცა და რამანც კაცმან: მეფემან ანუ დედოფალმან,

[1] სხვათა.

ეფისკოპოზმან ანუ წინამძღვარმან, თავადმან ანუ აზნაურისშვილ-
მან, მღდელმან ანუ ერისკაცმან ესე მცირე ჩემგან შემოწირული
გაჰოფწიროს და თქუენი თქუენ არ მოგეკმაროს, შერისხული ღუნ ძა-
მათ, ძეთ და სულთ წმიდათ. და შენ ცხოველ მომნიჭებელო სიონთა
ღმრთისმშობელო; და ამ სოფელს ყოველი მისი გაგებული მომმალე;
და მას საუკუნოს იუდასთანა ჭენ ნაწილი და სამკვდრებელი მისი.
ამინ.

აწე ვინცა თქუენი თქუენთვის არა დაიშურვოს და თქუენსა საყ-
დარსა მოაკმაროს, ამ სოფელს დღე-კეთილობით და მას საუკუნოს
ცოდვათა შენდობით ამყოფე[1], ამინ.

ოდეს მე ცოდვილი იერუსალიმს წარსვლას ღირს ვიქმენ, მას
ყამსა შემოგწირე მცირე ესე შენოსაწირავი.

დაიწერა სიგელი ესე ქორონიკონსა ტკბ, თვესა ნოემბერსა
ჩუთსა.

კიდევე ამას გარდაის შემოგწირე ბარამაშვილი პატარა
ასრე, რომე მამას მის ბარამასა შამშილობის წელიწადსა თავი და
შვილი ყორღანას შვილისათვის მიეყიდა; და მე ყორ-
ღანას შვილს კარგი ბიჭი მივეც და დავიხსენ პატარა და შემოგწი-
რე. არას კაცს მასთან ჯალი არა აქვს. და შეწირე სიონთა ღმრთის-
მშობელო მცირე ესე შემოსაწირავი, ამინ.

ამაზე ქორონიკონსა იქნა ესეცა ამისი შემოწირულობა, ამინ.
უფალო შემიწყალე.

ხელითა: ელისე

105. [წყალობის წიგნი ევდემოზ კათალიკოზისა ამირან ამბროსაშვილისადმი]

[1681 წ.]

ქ. ჩუენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხეულნან დიდმან მა-
ძად-ძთავარმან ქართლისა კათალიკოზმა პატრონმა ევ-
დემონ მოგეც ესე წიგნი წყალობისა მტკიცე და შეუცვალებელი,
ყოველისა კაცისაგან მოუდევარ-მოსარჩლელი და უკუნისამდე ჟამ-
თა გასათავებელი თქუენ, ამბროსაშვილსა ამირანს და
თქუენთა შვილთა: პაპუნასა, მამუკასა, მახარებელ-
სა, ამბროსსა, შერმაზანს, გიორგის და ხიზან-

[1] ამყოლე.

სა და ყოველთავე მომავალთა სახლისა თქუენისათა, ასრე და პირსა ზედა:

თქუენის ბიძამკვლის როსტომ შვილის მახარასგან და ბიქტასგან თეითანცა ნასყიდი საველაჯე მიწა გეყიდა და ჩუენცა სიგლითა ამით დაგიმტკიცეთ. გქონდეს მკვიდრად და მოუშლელად და არაოდეს მოგეშალოს არა ჩუენგან და არა შემდგომთა ჩუენთა სხუათა კათალიკოზთაგან.

ვინცა და რამანცა გუარმან კაცმა მოგიშალოს, ჩუენთამცა ცოდვათა მზღუველი არის და ჩუენადმცა მუქაფად განიკითხვის.

არის მოწამე ამისი და დამსდური: სახლისუხუცესი მაღალაშვილი იოვანე, დეკანოზი ესე, კანდელაკი შიო, იახაშვილი გიორგი, ირემაი, ზაქუტამშვილი მახარი და მამასახლისი მამაია.

და მოურავს ბაღდიაშვილს გიორგის დაბეჭდია და მოწამეცა ვარ.

დაიწერა სიგელი და ბრძანება ესე ჩუენი ქორონიკონსა ტკბ.

ხელითა: ევდემონ

106. [წყალობის წიგნი ევდემოზ კათალიკოზისა მაღალაძეებისადმი]

[1624 წ.]

ქ. სახელითა სახიერისა არსება დაუსაბამოსა ღმრთისა მამისა, ძისა და წმინდისა სულისათა; თავდებობითა, მინდობითა და შეამდგომლობითა ყოველად წმინდისა უხრწნელისა და უფროსად კურთხეულისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისითა; თავდებობითა, მინდობითა და შეამდგომლობითა, ძლიერებითა ცხოველსმყოფელისა პატიოსნისა ჯუარისათა, რომელსა ზედან განიპყრნა უხრწნელი მკლავნი თჳისნი ქრისტემან ღმერთმან ჩუენმან ხსნისათჳს ჩუენისა; მინდობითა და შეამდგომლობითა სვეტისა ცხოველისა და კეართისა საუფლოსა და მირონისა ღმრთმყოფელისითა, —

ამათითა მინდობითა და შეამდგომლობითა ჩუენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხეულმან ყოველსა საქართველოსა დიდმან მამათ-მთავარმა ქართლისა კათალიკოზმან პატრონმან ევდემოზ ესე უკუნისამდე ქამთა გასათავებელი მტკიცე და უცვალებელი სამკვიდრო და საბოლო[ო] წყალობისა წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, მაღალაძეთა ნუცაისა და

იოვანესა და შვილსა თქუენსა პაპეასა და პაპუნაზ შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთაგე. ასრე ამა პირსა ზედან, რომე:

არმაზი ძველითგანვე თქუენი ყოფილაყო. ამწე მოგვიდეგით კარსა და არმაზის წყალობასა გვიაჯენით, ვისმინეთ აჯა და მოსწყენა თქუენი და გიბოძეთ სოფელი არმაზი მისითა მთითა და ბარითა, წყლითა და წისქვილითა, ველითა და ვენაჯითა, შესაველითა და გასაველითა და ყოველსა მისსა სამართლიანის მძღვარითა.

იქმნდეს და გიბეძნიეროს ღმერთმან სვეტისცხოველსა და ჩვენსა ერდგულად სამსახურსა ქუეშე. ესე ასრე გაგითავდეს და არა მოგეშალოს, არა ჩვენგან და არა შემდგომად სხვათა მეპატრონეთა კათალიკოზთაგან.

ვინცა და რამანცა კაცმან ესე ჩვენგან ნაწყალობევი წიგნი და სიგელი შლად და ქცევად ჰქნას, იგიცა შეიცვალებას რჯულისა ქრისტიანობისაგან, რისხაჲსცა ღმერთი და ყოველნი მისნი წმინდანი ზეცისა და ქვეყნისანი, ჯოკიელნი და უჯოკოკონი და ჩვენთანცა კოდეათათჳს იგი განიკითხვის.

ხოლო დამამტკიცებელი ამისი ღმერთმან აკურთხნეს.

ასრიან ამისნი მოწამენი და შეჯა დაშხდომანი: დიასამიძე ბოქოლო-უხუცესი ლუარსაბ, შალიკაშვილი როჭიკა, გედევანისშვილი დავით, ქარსიძე თამაზ და ერთობილნი მცხეთელნი.

დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ქორონიკონს ტკბ.

ხელითვე: კათალიკოზი
ბეჭედი

მარკვენა კიდეზე

ქ. ჩვენ, ჰელმწიფემ მეფემ პატრონმან როსტომ ასრე დაუმტკიცეთ.

ბეჭედი: როსტომ

107. [გაჟის ამოკვეთის წიგნი კათალიკოზისა შავერდასა, ფარსადანსა და ხიზანასადმი]

[1636 წ.]

...[ესე წიგნი და სიგელი გიბოძეთ შენ. ... ძმასა შენ]სა შაგერდას, ფარსადანს და შენსა შვილსა ხიზანასა, ასრე და ამა პირსა ზედა, რომე:

ბაღის ამოკვეთას გვეპატენით. ესმინეთ აჯა და მოხსენება თქვენ-
ნი და ამოგაკვეთეთ ბაღი ძარე, რომე ბაღი არ დეთხოვებოდეს
ჩვენგან და არა შემდგომად ჩვენს მომავალთა სხვათა კათალიკოზ-
თაგან. არა მოგეშალოს და არ შეგეცვალოს. გქონდეს და გიბე-
ხეროს ღმერთმა საყდარსა და ჩვენსა ერდგულად სამსახურსა
ქვეშე.

პირველად აწილახორის კათალიკოზის წიგნიც გქონდათ ბაღის
ამოკვეთისა და ახლა ჩვენც ამოგაკვეთეთ ბაღი.

და ვინც მოგიშალოს, ჩვენთანაც ცოდვათთვის გაიკითხვის.

დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ქორონიკონს **ტკდ**.

ხელრთვა: კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი. კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი*

108. [წყალობის წიგნი ევდემონ კათალიკოზისა ელიოზიძეებისადმი]

[1638 წ.]

[ქ. სახელითა...] დაუსაბამოსა ღმრთის მამისა, ძისა და [სული-
სა წმიდისათა; და ყო]ველთა მისთა წმიდათა მინდობითა და შ[ეწე-
ვდგომელობითა] ჩუენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხე[ულმან სა-
ქართ]ველოსა დიდმან მამამთავარმან ქარ[თლისა კ ა თ ა ლ ი კ ო ზ-
მა] პ ა ტ რ ო ნ მ ა ე ვ დ ე მ ო ნ მოგეც ესე წიგნი... შეუცვალებე-
ლი, ყოველისა კაცისაგან მო[უდეველ-მოუსარჩელე]ი და უკუნისამდე
ვამთა გასათაებელი წყალობისა წიგნი და სიგელი, ძარე და ამა
პირსა ზედა:

პირველადცა გქონებოდა და წიგნიცა გქონდა, აწე ჩუენცა შე-
გიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ ე ლ ი ო ზ ი ძ ე თ ა გ ე დ ე ო ნ ი ს
შვილთა დ ა ვ ი თ ს, გ ა ბ რ ი ე ლ ს, პ ე ტ რ ე ს, პ ა პ უ ნ ა ს ა და
ქ ა ი ხ ო ს რ ო ს და ყოველთაცე მომავალთა სახლისა თქუენისათა.

მოგეცით ქორდს მამული, ა ფ ხ ა ზ ა შ ვ ი ლ ი ს ნაქონი
მ ო ზ ე ე რ ა უ ლ ი მამული, მისითა წყლითა, წისქვილითა, ველი-
თა, ვენაჯითა, საჭნავითა და სათესაოთა, მთითა, ბარითა, სასარით
და ჭალითა, საძებრითა და უძებრითა და ყოველის მისის საზღარ-
თლიანით სამზღუროთ; ვენაჯი ბ ე ქ ნ ი ა შ ვ ი ლ ი ს ნაქონი; ამას
წინად ეს მამული ბ ა დ ა შ ვ ი ლ ა შ ო შ ი ტ ა ს მიუცით და წიგ-
ნიცა ჰქონდა, აწე იმ ჩუენს წყალობას ძამულსა სხუაგან ჰყოდდა.

---

*კათალიკოზის ორი ხელრთვაა.

და რაცა შიმიტამა ჩუენ ფეშქაში მოგვიტანა, ეს ფეშქაშის-
ასრეეე მიგგაცემინეთ და მამულის წყალობა თქუენ გიყაეთ.

გქონდეს მკვიდრად და მოეშლელად. ვინცა ან ძეელ[ს]ა[ც]ა ახალი წიგნი გამოაჩინოს სიგლითა ამით გაგვიკუდებია. სუეტის ცხოველისა და ჩუენსა ერთგ[ელ]ად სამსახურსა ქუეშე გაგითაოს და გიბეედნიეროს ღმერთმან.

ამწე ვინცა და რამანცა გუარმა კაცმა დიდმან ანუ მცირემან მოგიშალოს ანუ შემდგომმან ჩუენმა სხუამან კათალიკოზმან, ჩუენსაცა კანონსა ქუეშე არის და ჩუენადმცა მუქაფად განიკითხვის მას მეორედ მისულსა.

ხოლო დამამტკიცებელნი ღმერთმან დაამტკიცოს და სუეტმა ცხოველმა.

არის მოწამე ამისი სახლისუხუცესი მაღალაშეილი იოვანე და სრულიად მკჳეთელნი.

დაიწერა წიგნი ესე კარისა ჩუენისა მდივანმწიგნობრის ბაღდაშვილის გიორგისითა. ქორონიკონსა **ტკვ-**

ხელითა: კათალიკოზი

109. [დავთარი კუჭუხიძეთა საკათალიკოზო გეგრისა]

[1610—1689 წწ.]

1*. ქ. მართებს ბატის ბეგარა ქუეყანასა ანდრიაძესა ღვინო კოკა ოცი, თეთრი ათი.

2. მართებს ზაქარიასა კუჭუხიძესა ოცი კოკა ღვინო, ათი თეთრი, სამაჭრობო საკლავი ერთი, ქათამი ორი, ღვინო კოკა სამი, ღომი ნათხალი ორი.

3. მართებს მეორეს ზაქარიას კუჭუხიძესა ღვინო კოკა ოცდაათი, თეთრი ათი, სამაჭრობო[1] საკლავი ერთი, ქათამი ერთი, ერთი ნათხალი ღომი.

4. მართებს იოვანეს კუჭუხიძესა ღვინო კოკა ათი, თეთრი ხუთი, სამარხო თეთრი ორი, ქათამი ერთი, ღომი ნათხალი ერთი.

5. მართებს ხახუტასა კუჭუხიძესა ღვინო კოკა ათი, თეთრი ხუთი, სამარხო თეთრი ორი, ქათამი ერთი, ღომი ნათხალი ერთი.

---

[1] სამაჭრობა.

* ხელნაწერში ტექსტი ბეხლებად დაფოფილი არის.

6. მართებს წყალობასა კუჭუხიძესა დვინო კოკა ხუთი, თეთრი სამი, ქათამი ერთი, ღომი ნათხალი ერთი.

7. მართებს მახუასა კუჭუხიძესა დვინო კოკა ხუთი, თეთრი სამი, ქათამი ერთი, ღომი ნათხალი ერთი.

ხელთაწერი: ქათალიკოზი მალაქია

verso

დავთარი კუჭუხიძისა ბეგრისა წესსა

110. [მეფირშლების წიგნი მალაქია ქათალიკოზისა გიორგიწმისადმი]

[1616—1689 წწ.]

ქ. შემიწირავს ჩუენ, ა ფ ხ ა ზ ე თ ი ს ქ ა თ ა ლ ი კ ო ზ ს ა გ უ რ ი ე ლ ი ს ძ ს ა ბ ა ტ ო ნ ს ა მ ა ლ ა ქ ი ა ს ბიჭვინტისა ღმრთისმშობლისათვის თავს:

ერთი მერასა ყელსაკიდი ხატი; ერთი მერასა ბარტყუღა; ერთი მერასა სარმუზა; ერთი მერასა ტახტი; ერთი დიდი ნალბაქი ოქროსა ოთხასის ფლურისა; ერთი მძიმედ მოქედილი კონდაკი; ერთი მძიმედ ჩარყვეად შეკერული სტიხარი; ერთი კარგი ეცხლის ჯვარსასთელი; ერთი მომარგალიტული მაზარა, ოთხის მურასას ღილითა; ერთი ოთხთავი; ერთი ძღლისპირი; ერთი აბრეშუმის ომფორის ხალიჩა, შეკერული საბეჭური მისის მურასას ჯვარითა; ერთი სტიხარი ნახლისა სამკლავები მძიმედ მოთვალმომარგალიტული თეთრეტის მუშაბაზის ღილებითა; ერთი მძიმედ შეკერული ოლარი სამი მურასას ღილებითა; ერთი მურასათ ნაქნარი ამბრის ჭამარა თერთმეტის ბალთებითა; ერთი მძიმედ შეკერული ჩარყვეთ ნაქნარი ენკერი მძიმედ მოთვალმომარგალიტული რვა ოქროა გრგოლითა. შვიდს მომარგალიტულის გრგოლითა[1], რვის თორნიშანის ღილითა, ერთი დასაკიდებელის ბროლის ღილითა; ერთი ნაახლის ბისონი მოთვალმომარგალიტული, რვა მურასას ღილებითა, სამის ბროლის ღილითა; ერთი ოქროს ომფორი მძიმედ სირმით შეკერული, მძიმედ მოთვალმომარგალიტული სამი ოქროს ღილითა, მურასათ ნაქნარი მუშაბახისა მისის ნაწოლის ბახჩითა, მისის დახატულის სკივრითა, გარ ჯიბლიგრის ბუდითა და კლიტითა; არის მეორე ჯვარიანის ომფორის იარაღი; ერთი მომარგალიტული ატლასის საბე-

[1] მომარგალიტულის გრგოლითა] ნაძარტარიტული გოძგორითა.

ჭური მისის რუსულის ჯვარითა; ერთი ნახლის სტიხარი, ამით ხატ-ყაფისა აქვს, ერთი სტავრის ოლარი, ერთი ოქროს დიდის ბალღვნით მურასათ ნაქნარი თხუთმეტი ოქროს ღილითა; ერთი შავიწ ზავჭულ-ზედან ნაქნარი მძიმედ მომარგალიტული ქამარი, აბზინდი და წვერი მურასა ოხრის; ერთი მძიმედ სირმით შეკერული მოთვალმომარგალიტული სამკლავე, ექვსის ვეცხლის ღილებითა; ერთი მძიმედ მოთვალმომარგალიტული ენქერი ოთხის ვერცხლის გრგოლითა; ერთი ბისონი სტავრისა მომარგალიტული თვრამეტის ოქროს მუშაბახის ამბრიანის ღილებითა; ერთი მძიმედ მოთვალმომარგალიტული ოფთარი, ორმოცდაექვსი ყირმიზი ია გუნდი და ნიშაური ფეროზა არის ზედა და სხვა მრავალი თვალითა და მარგალიტითა, ოთხი მურასას ჯვარი აგერია ზედან, ორი ოქროს დილი მურასა მუშაბახისა და ერთი სია მისის ნაქსოისა საბეევითა, მისის დახატულის სკივრითა და კლიტითა და ვარე ჯიბლავრის ბუდითა.

111. [მეჯირუღების წიგნი მალაქია კათალიკოზისა ბიჭვინტისადმი]

[1616—1639 წწ.]

ნებითა, შეწევნითა და წყალობითა ღმრთისათა ჩუენ გური-ელ-კათალიკოზმან პატრონმან მალაქიამ შევსწირეთ ბიჭვნტისა ღმრთის-მშობელსა შკირე ესე შესაწირავი:

თავის ერთი წმიდის ანდრია მოციქულის ხატი მომიქედიებია და თორმეტ საუფლოს კუბოში ჩამისვენებია და ბიჭვნტას დამისვენებია და სამი კვამლი ქალი იქ იმისთვს შემოწირაცს;

ამას გარეთ ერთი მძიმედ მოთვალმომარგალიტული ოქროს ომფორი ათასის ფლურისა სრულად პატიოსნის თვალითა და მარგალიტითა შემკობილი და მისი ოქროს ბუშტებითა;

ერთი ამისი შეფერებული მძიმე ოქროს სირმის ჩარყაფათ შეკერული ბისონი ცხრის მურასის ღილითა; და ამ ღილებშიან ნიშაურის ფეროზისა და ყირმიზის იაგუნდის მეტი არა ჩის რაჲ; ეს ღილები თჳთო ას-ას მარჩილათ ნასყიდი არის;

ერთი წყვილი სამკლავები ოქროსა ოთხასის ფლურისა მძიმეთ მოთვალმომარგალიტული;

ერთი პატიოსანი ოლარი ხომიხრის მარგალიტითა მძიმეთ მომარგალიტული;

ერთი მძიმე ოქროს მურასა ჭაბარი პატიოსნის ყირმიზის იაგუნდითა, ლალითა, ნიშაურის ფეროზითა და მარგა]ლიტითა შემკობილი, შვდი ქულეჩა და ორი წინა შესაკრავი აქუს.

ერთი მძიმე ჩარყაფის მოთვალმომარგალიტული ეკქერი;

ერთი მძიმე ჩარყაფათ შეკერული სტიხარი ორის ოქროს ძილითა;

ერთი სირმით შეკერული საბეჭური;

ერთი ოქროთა თვალითა და მარგალიტითა შემკობილი პატიოსნის ძეწითა და ნაწილებითა და ოქროს ჯაჭვთა ყელსაკიდი ხატი;

ერთი სამწირველო ოქროს სარძეზა მურასა პატიოსნის თვალითა* და მარგალიტითა შემკობილი;

ერთი მძიმე ჩარყაფისა მომარგალიტული პოლოვირი;

ერთი შაფის ატლასის მაზარა მოთვალმომარგალიტული სირმისა მდინარებითა და ოქროს მურას[ა] ძილებითა;

ერთი მძიმე ოქროს მურასა ყავარჯენი ოქრო, კურთხეულის ბატონის ეფთვმე კათალიკოზისაგან იყო და ზოგზოგი თვალი და მარგალიტიცა მისგანვე იყო; და მერმე ჩვენ ახლად კიდევ პატიოსნის თვალითა და მარგალიტითა შემიმკვია და გამიკეთებია;

ერთი სირმისა მომარგალიტული გჯრგჯნის ქუდი;

ერთი ოქროს ფეშხუმი ორას სამოცას ფლურისა;

ერთი ოქროსა მძიმეთ თარნიშნით გაკეთებული მოთვალული კოვზი;

საჭი მძიმეთ ხალასათ ყირმიზს ფრანგულს ჭამხაზე შეკერული პერექლები;

ერთი მძიმეთ ვეცხლით მოჭედილი და ოქროთ დაფერული კონდაკი, სამივე კონდაკი შიგან სწერიან მისის ხალასათ შეკერულის რუჟაჭითა;

მეორე სხუა კონდაკი ოქროს ეარაყით დაწერილი;

ერთი პატიოსანი ძილის პირი ჭრელის ნუსხითა;

ერთი ქამნ-დავითი; ერთი კურთხეევანი;

ერთი გულანი კურთხეულის ეფთვმე კათალიკოზისაგან დაწერილი იყო და ხატის შეწირული არ იყო და ბატონს დაჰრიანს წაეღო და მე ვსთხოვე და მიბოძა და აწ მე შემიწირავს;

---

* აქ იწყება მესამე კვეს verso.

ერთი ეტრატის ოთხთავი, თავი დაბატუელ აქუს, მ[ე]ტრ[ა]
ქორთოძისაგან მიმოვნია და შემიწირავს;
ერთი...* აბრეშუმის ხალიჩა, ერთი ხასა ვეცხლის ჯუარ[ს]ც[ე]ა
ერთი მურასა ტახტი სამწირველო;
ერთი მძიმე [მრთველ]მომარგალიტული საშვეური;
ერთი [მურასა] მძიმედ მოთვალმომარგალიტული ჩარყაფის...**
წინ(?) დასადებელი მძიმედ ჩარყაფის შე...** მისის ოქრო-
ქსოვილის ხალიჩითა...** შეკერულისა და მოთვალმომარგა-
ლიტულის...* მისის ვეცხლის გრგოლებითა;
ერთი დიდი ოქრო[ქსოვილი]*... ფარდა;
ოთხი დიდროვანი დიაკონის ორხაო;
ერთი დიდი თაქანაბადი, ორის უფროს-უმცროსი კარვები;
ერთი ალაჩუხი, ერთი წყვილი*... ერთი ყირმიზი ბულღრის
სუფრაჲ; ერთი ტაშტი წურწუმა, ვეცხლისა წურწუმა მუშაბა-
ხათ საქმარი და ტაშტი ჩარხისა;
ერთი საყა თასი;
ერთი დიდი დოსტაქანი;
ორი ჩარა თასები;
ერთი კხრიაჲ ვეცხლისა ღრუბ[ლ]ებნაქმარი ნალბაქები.

ამ ადგილებისა და მამულებისაგან:

სოფელს სასახლე აოხრებული იყო და მოშცრო ადგილი იყო და გარეშემოთ სხვისი ადგილები იყო და ჩემის თეთრითა მიყიდია და გამიმატებია და სასახლე ამიშენებია და ქვთკირისა საყდარი და ქვთკირისა ჯიხური ამიშენებია, დარბაზი დამიდგამს; და ორი მოსახლე კაცი ჩემის თეთრით მიყიდია და დამისახლებია და ჯოგი დამიყენებია.

ამას გარეთ თელითს სასახლე გამიკეთებია, საყდრისათჳს საჭირეცლო ამიშენებია და ქვთკირის[1] მარანი ამიშენებია, ზედა კარგი სახლი დამიდგამს და ტახტი ამიშენებია, ერთი კლამლი კაცი ჯიქია გურიიდალმან მიმიყვანია, მებოსტნეთ დამისახლებია და ჯოგი დამიყენებია, მეორე კვამლი კაცი სურებული გური[ი]დალმან მიმიყვანია და დამისახლებია.

ამას გარეთ ოდიშს, სადაც მე მოვინდომე, დალიძგას, ანაკრიას, ფოთს, ჭალადიდს, წყალიგზას, გულ-

---

[1] ქვთკირის.

* ერთი სიტყვა გადასულია.

** ორი-სამი სიტყვა გადასულია.

ველისკარი, ეკალს, საქუჩელთრიოს, ჩუენი გამო[illegible]
ჩუელი მეთევზენი და სხუა კაცები ოცდაათი მოახლეებითურთ
დიანმან პატრონმან ლეონ მძლა სადღეგრძელობ[illegible]
სის სულისათუს შესწირა და ყოველსა წელიწადსა სულისათუს ტრა-
პეზი გაიჩინა.

ამას გარეთ დღიძგას სასახლე არ იყო ბატონის დადიანისა ძველი გაოხრებული სასახლე იყო და ჩუენცა შეუვეწყეთ და გასოხოვეთ და თჳთან ხატსა შესწირა და ჩუენცა დაგვიძალა. მივპყევით კელი, დაუწყეთ შენება. საყდარი გაგვიკეთებია. დარბაზი და ჯიხური ჩემის თეთრითა მიყიდია და დამიდგამს და გარდამიჭედინებია. აგრეუე ბეღლები, მარანი და რაც სახლები არის ან საყანე, ან საკრეფი მამული და ჭურები, ყველა ჩემის თეთრით მიყიდია. ერთი მოსახლე ბატონმან დედოფალმან მიბოძა და სამი მოსახლე ჩემი [საკეთარი] კაცები მომიყვანია და დამისახლებია....* დღორის ჯოგი დამიყენებია და საბუმთო საქმე ყველა გამიჩენია და გამართებია; ქვაბები დამიდგამს და მეთევზენი დამიყენებია.

ამას გარეთ იალთას ჩხოხოძისაგან ერთი პარტახი მიყიდია და ადგილი წინამძღრისაგანცა მიყიდია და ერთი კვამლი კაცი მომიყვანია იქ მეთევზეთ და დამისახლებია.

ამას გარეთ სუბეიშს სასახლე გამიკეთებია. საყდარი დამიდგამს, დიდი დარბაზი და ჯიხური დამიდგამს და გარდამიჭედინებია, საყანები მიყიდია და ორი კვამლი კაცი ჩემის თეთრითა მიყიდია და დამისახლებია, და ჭარისა და ზრომხისა და ცხენისა ჯოგი დამიყენებია.

ამას გარეთ ხოირს სოფელი იყო და სასახლე არ იყო. მერმე ჩემის თეთრითა სასახლე ადგილი ვიყიდე მეგრელებისაგან და დარბაზი ვიყიდე და დავადგმევინე. ჯიხური დავადგმევინე და გარდავაჭედინე; და რაჲც სახლები დგას, ყველა ჩემის თეთრითა მიყიდია და სხუა საყანეები, საკრეფი მამულები და ჭურებიც მიყიდია და შემომატებია. მოსასახლეები დამისახლებია და ზრახები დამიყენებია.

ამას გარეთ ნაჯანიერს ერთი დიდი სახლი ამიშენებია და გარდამიჭედინებია და ზრახის ჯოგი დამიყენებია და საყანეები ოსათს ჩემის ძმისაგან მიმოვნია და შემომატებია.

---

* ორი სიტყვა გადასულია. აქ მთავრდება წესად კუთს verso.

ამას გარეთ ხიბულას საყდრის იარაღისათვს ციხე სალო-
როთ გამიკეთებია, შიგან ორი კვამლი კაცი დამისახლებია, სა-
რი, სახლი და ჩარდახი დამიდგამს და ერთი სასახლეთ ის გა-
თებია.

ამას გარეთ ხიბულას გამოდმა სასახლისათვს გამომატებია დიდი დარბაზი და დიდი ჯიხური დამიდგამს და გარდამიჭედინებია, ტახტი ამიშენებია და გარდამიჭედინებია და სახლკარი გამიკეთებია[1], შოსასახლენი დამისახლებია. კამბეშისა, ზროხისა, თხისა და ღორის ჯოგი დამიყენებია, სალობი გამიკეთებია და ერთი მოსახლე კაცი ზედ დამისახლებია, ხარდანი გამიკეთებია და შეხარდნე იმერეთიდამან მომიყვანია და დამისახლებია.

ამას გარეთ საქუჩელორიოს ბატონმან დადიანმან ერთი სასახლე ოთხის კვამლის კაცითა მიბოძა მისის საყანითა და საკრეფის მამულითა და მისის ყოვლისფერითა და მე შემიწირავს.

ამას გარეთ ნაგვაზაურის სასახლისათვის ბატონს ლიპარტიანსა შევეხვეწეთ და ცარიელი, ესახლკარო სასახლე ადგილი მომაქრთამა ორის მოსასახლითა და ერთი მოსასახლე მე მიუმატე. მიეჭაე ჭელი და საყდარი ავაშენე და გარდავაჭედინე. დიდი ჯიხური ავაშენე და გარდავაჭედინე; სხვა სახლები, ბეღელი და შარანი და ჭიშჭარი ავაშენებინე და სასახლე გავაკეთებინეთ.

ამას გარეთ ბატონმან დადიანმან ბატონის ლიპარტიანის სელისათვს ხუთი კვამლი კაცი, ზოგი იქვე და ზოგი სხუაგან ხატსა შესწირა და მე მიბოძა და ბე შემიმატებია და ჰყოფილა ავაქიმაგ[ა]ცა სა[ქ]რეფი მამულები მიმოვნია და შემიმატებია. იმ ადგილს ძველის ლიპარტიანებისაგანცა ქონდა ხატსა შეწირული კაცები და აწ ჩვენ კარგი სასახლე გავაკეთებია.

ამას გარეთ ნაგვაზაურს ორი კვამლი კაცი იყო. მარტო ბუგარა ჩვენი იყო და სხე[ა] სამსახური ლიპარტიანისა ედგა. შევეხვეწეთ კეთილშეულსა ბატონსა ლიპარტიანსა და ეს კაცებიცა სრულად მკვდრად დამანება და ახლა ეს მე შემიმატებია.

ამას გარეთ ეკს ორი კვამლი კაცი საკანონოდ[წ]ოდან ჭილაძესა ლომკაცსა დავადებინეთ და შევაწირვინეთ; ერთი კვამლი კაცი რევანოზს დაგვითჭილაძის შვილსა დავადებინეთ ოფისკუჯს და შევაწირვინეთ.

---

[1] დაბოკეთებია.

ამას გარეთ მათხოვს სასახლე გამიკეთებია და შემიკვეთ[ია] საყდრითა, ტახტითა, დარბაზითა, დიდის სეფე[1] სახლითა, საწოლით[ა] სახლითა და ჭიშკრითა და მისის ჯიხურითა. სალობი არ იყო[ს] [ლა] სალობი მე გამიკეთებია და შეთევზეც გამირიგებია და დამიყენებია.

ამას გარეთ ჯიქთებანს სასახლე არ იყო და სასახლე მე აძიშენებია[2] დარბაზითა, ჯიხურითა, მარნითა, ბეღლითა და სხუა სახ[ლებითა]...* და ჭიშკრითა. ადგილები ჰიშოვნია და შემძ[ატე]ბია]...* მეთევზენი გამიჩენია და არიან და რაკა [მათი გამოსაღები არის], ბეგრის ნესხაშიან სწერიან.

ამას გარეთ...* ხეიძისეული გაგეთს მეფესა გიორგის ვსთხოვე და სასახლე და სამი კვამლი კაცი მან მიბოძა და მე შემიწ[ერია].

ამას გარეთ ნავენახეს დიდი სახლი ამიშენებია, [სასაჯ]ლე გამიკეთებია.

ამას გარეთ წყალიგზას ბატ[ონის]...** თეთრითა ვიყიდე და სასახლე აღ[ვაშენე]...*** სხუა კიდევე კურთხეულის ბატონის ძანუჩარ დადიანის წყალობა მჭონდა...* სასახლისათვის შემიმატებია...*

ამას გარეთ გურიას ოცხანას როსტომს გურიელსა კვამლი კაცები შეუწირა და კურთხეულსა ბატონს ჩემსა ძმასა მამია გურიელსაცა შეუწირა კვამლი კაცები, [დგილი] იყო და სასახლე ოქხანას არ იყო და ბერეჟიანი ამოსწყდა. შევეწევწე კურთხეულს ჩემს ძმასა ბატონს მამია გურიელსა და ბერეჟიანისაგული სასახლე დიდის ქრთამითა მოვიპარეთ[ა] საყდრითა, სახლებითა, მოსახლითა, სათიბითა, საყანითა საკრებისა მამულითა, სათევზოთა და მისის ყოველის ფერითა. და მივართვი ქრთამად ერთი მძიმე ჩარყაფი, ორი ოქროს...* ერთი წყვილი ბატისანი ლალის საყურე მისის ღილითა და მარგალიტითა შემკობილი, ერთი ბროლის...**.

---

[1] შედა. [2] ამიშანაბია.

* ერთი სიტყვა გადასულია.

** ერთი სტრიქონი გადასულია. აქ მთავრდება მეორე კედის verso.

*** ორი სტრიქონი გადასულია.

**** ერთი სიტყვა გადასულია.

***** ამას შემდეგ 12—13 სტრიქონი არ იკითხება.

112. [წყალობის წიგნი ქრისტეფორე კათალიკოზისა ქარსიძეებისადმი]

[1810 წ.]

ქ. ჩუენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხეულმან ქ ა რ თ ლ ი-[ს ა კ ა თ ა]ლ ი კ ო ზ მ ა ნ პ ა ტ რ ო ნ ი ს ა ნ ქ რ ი ს ტ ე ფ ო რ ე მ ესე წყალობისამდე ყამთა გასათავებელი წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ქელმწიფის რ ო ს ტ ო მ მ ე ფ ი ს ბრძანებითა, მას ჟამსა, ოდეს [მოგ]ვიდეგით კარსა ქელმწიფესასა და ჩუენცა და მამულ[ი]ს [წყალ]ობაჲ დაგუიჯერნეთ.

ვისმინეთ აჲა და მოჴსენება თქუენი, შეგიწყალეთ და გ[იბოძეთ მ]კუიდრად დ[ა] სამამულედ ძ ე გ უ ს ა[1] კუაბლი კაცი ოთხი: ერთი გჳრგა ბ ა დ რ ი ა შ ვ ი ლ ი ს უ ხ ი ტ ა და მისი სახლისკაცი; ერთი კ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი [ზ ა]ქ რ უ ა, მისი ძმა ა მ რ ა და მისი სახლისკაცი; მესამე შ ა შ უ ტ ა შ ვ ი ლ ი ო ს[ა]ნი და მათი სახლისკაცი ყოველნივე; სუხიტას გიბოძებია ვ ა რ დ ი ა, მისი ძმა პ ა ა ტ ა, მისი სახლისკაცი ყოველნივე გუიბოძებია მკუიდრად და სასამულედ მათის მამულითა [მ]თითა, ბარითა, წყლითა, წისქუილითა, ველითა, ვენახჲთა, საწყლისპირითა, ყოველითურთ უნაკლულოდ.

გიბოძეთ თქუენ საყდრისა და ქელმწიფესა და ჩუენსა ერთგულსა და თავდადებით ნამსახურსა ყმასა ქ ა რ ს ი ძ ე ს თ ა მ ა ზ ს და დ ე ვ ი თ ს და შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენთასა ყოველთავე. არა მოგეშალოს ჩუენგან და არა სხუათა მეპატრონეთაგან.

აწ ვინცა და რამეანცა კაცმან ეს ჩუენგან და ქელმწიფისაგან ნაწყალობეი მამული და სიგელი შლად ქნელყოს, ჩუენსამცა კანონსა ქუეშე არიან დღესა მას დიდსა განკითხვისასა.

და დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხოს და წმიდამან ღმრთის-მშობელმან.

დაიწერა წიგნი და ბრძანება ესე ჩუენი ქ ო რ ო ნ ი კ ო ნ ს ა ტ ყ ს, დაიწერა ქელითა მდივანთ-უფუცესისა ბ ი რ თ ვ ე ლ ი ს ა თ ა.

ხელი: კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი ქ რ ი ს ტ ე ფ ო რ ე

მარცხენა კიდეზე:

ესე წყალობის წიგნი ქარც[იძ]ის თამაზის, მისის ძმის დავითისა და მათთ შვილთათჳს გუიბოძებია; ასრე, რომე არას მოკვლეს ქელი არა ჰქონდა. რაც ამა[მ]ი უწერია, ასრე უნდა გაუთავ[დე]ს და ნურა კათალიკოზი ნუ მოუშლის.

ხელი: რ ო ს ტ ო მ

---

[1] +მკუიდრად და სამამულედ.

113. [წყალობის წიგნი ძრისტეფორე კათალიკოზისა გედევანიშვილებისადმი]

[1640 წ.]

[ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისაითა] ჩუენ, ქრისტეს ღმრთისა ძეცრ კურთხეულმა ქართლისა კ ა თ ა ლ ი კ ო ზ მ ა პ ა ტ რ ო ნ მ ა ქ რ ი ს ტ ე ფ ო რ ე ბრძანებითა და ნებადართვითა მ ე ფ ე თ-მ ე ფ ი ს ა პატრონისა რ ო ს ტ ო მ ი ს ა თ ა და თანამეცხედრისა მათისა დ ე დ ო ფ ა ლ თ ა დ ე დ ო ფ ა ლ ი ს ა პატრონისა მ ა რ ი ა მ ი ს ი თ ა ესე უკუნისამდე ყამთა გასათავებელი მტკიცე და შეუცვალებელი წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ ჩუენთა ერთდგულთა და თავდადებით ნამსახურთა ყმათა გ ე დ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ თ ა დ ა ვ ი თ ს, გ ა ბ რ ი ე ლ ს, პ ე ტ რ ე ს. შვილთა და მომავალთა ყოველთავე სახლისა თქუენისათა.

მას ქამსა, ოდეს მოგუეიდეგით კარსა და ძ ე გ უ ს რომ ქ ა რ ც ი ძ ე ს ოთხი კუამლი ქაცი ჰქონდა, იმის წყალობასა დაგუეჯერებით. ვისძინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ ძეგუს ბ ა დ რ ი ა შ ვ ი ლ ი და ო ქ რ უ ა მათს მამულითა. ყოველითურთ უსაკლულოდ.

და ამისდა სანაცულოდ და სამუქფოდ ქარციძეს მიეცით თქუენი ოთხი კუამლი ქაცი ტ[ი]რძნის[ს]. და ძეგუს ქარციძეს კელი ალარა ჰქონდეს. ამ ორს კუამლს ქაცს გარდაისათ ქარციძეს რომ გლეხები ჰქონდა, ის საჯასოდ დაიდეგა საყდრისათვინ.

ეს ორი კუამლი ქაცი ბადრიაშვილი და ოქრუა და ძეგუის მოურაობა თქუენთვის სამკუიდროდ და საბოლოდ გეიბოძებია ყოველის კაცისაგან უცილებლად.

გქონდეს და გიბუდნიეროს ღმერთმან ჩუენსა ერთგულად სამსახურსა შიგან; ესე ჩუენგან ნაწყალობევი მამული და მოურაობა არა მოგეშალოს, არა ჩუენგან და არა შემდგომთ სხუათა მებატრონეთაგან.

თე კისმე ან მამულისა და ანუ მოურაობისა წიგნი და ნიშანი ჰქონდეს, ყუელა ტყუილი არის და სიგლითა და ბრძანებითა ამითა გაგუეცუდებია და მტკიცე ესე ოდენი არის.

დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე ქ[ორონიკო]ნს ტყჩ, კელითა ქარისა ჩუენისა მდ[ი]ვან-მწიგნობრისა მ ა რ ტ ი რ ო ზ ი შ ვ ი ლ ი ს შ ა ლ ვ ა ს ი თ ა.

ბილთვა: კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი

ბეჭედი: როველი განვსნათ ჭეეყანასა ზედა, ჴსნილ იყოს ოვი ცათა შინა.

114. [შეწირულების წიგნი გენათელ ზაქარია ქვაბიანისა გელათისადმი]

[1614 წ.]

ქ. სახელითა სამებისაჲთა, არსებაჲ დაუბადებელისაჲ, დაუსაბამოსაჲ, სამარადისოსაჲ, გარეშემოუწერელისაჲ, მოუგონებელისაჲ, უხილავისაჲ, ურაბამისაჲ, არაარსისაგან არსად მომყუანებელისაჲ, უკუდავისაჲ, ძალგანუზომელისაჲ, ყოველთა დამბადებელისაჲ, მარტოჲსაჲ, უნივთოსაჲ, მიუახლებელისაჲ, შეუხებელისაჲ, რომელი იყო, არს და იყოს ღმრთისაჲ მამისაჲ და თანაარსისაჲ დაუსაბამოსაჲ, ნათლისაგან ნათლისაჲ წყაროსაჲ, ცხოვრებისაჲ უკუდაჲებისაჲ, მაგალითისაჲ შეუჲუარელისაჲ, ბეჭედისაჲ უცვალებელისაჲ, ხატისაჲ და სახლურისაჲ, ღმრთისაჲ ძისაჲ და თანაარსისაჲ და თანა დაუსაბამოსაჲ ცხოველს მყოფელისაჲ, სიბრძნის მომცემელისაჲ, ყოველთა აღმავსებელისაჲ და განმანათლებელისაჲ, უხილავისაჲ, დაუტევნელისაჲ, უსახოსაჲ, შეუსებელისაჲ, თვით ძოძრავისაჲ, თვით ჭეშმარიტისაჲ, თვით ნათლისაჲ და ნათლის მომცემელისაჲ და ღმერთ-მყოფელისაჲ ღმრთისაჲ სულისაჲ წმიდისაჲთა;

შეწევნითა და მეოხებითა ყოველად წმიდისაჲ, ყოველად მიწმეუნებელისაჲ და უხრწნელისაჲ და უფროსად კურთხეულისაჲ დედოფლისაჲ ჩუენისაჲ ღმრთის-მშობელისაჲ და მარადის ქალწულისაჲ მარიამისაჲთა, რომელი წინასწარმეტყველთა პირველითგან მრავალ სახედ ჰქადაგეს და მოასწავნეს, ხოლო სოლომონ სიბრძნეაჲ შინა თჳსსა შვიდ სვეტ სიბრძნისაჲ სახელსდვა;

მეოხებითა და თანადგომითა წმიდათა ერულთა და მკუელთა ცხოვრებისაჲ ჩუენისაჲთა მიქაელ ძალთა მთავრისაჲ და გაბრიელ ძახარებელისაჲთა, რომელნი ბრწყინვენ ნათლისაჲ მისგან სამარადისოსაჲ და მისსა შინა ელვის სახედ აღასრულებენ ბრძანებასა მეუფისა თჳსისასა;

შეწევნითა და მეოხებითა პატიოსნისაჲ და ცხოველ საქუთველოსაჲ და ღმერთ-მყოფელისაჲ ჯუარისაჲთა, რომელსა ზედა განკვართელ ექმნა ქრისტე ღმერთი ჩუენი ჴსნისათჳს ჩუენისა, და მეწამულობითა სისხლითა მაცხოვრისათა გჳჴსნა ჩუენ ყოველნი კრებით საცთურისაგან;

მეოხებითა და თანადგომითა წმიდისაჲ წინასწარმეტყველისაჲ, წინამორბედისაჲ და ნათლისმცემელისაჲ იოვანესითა, რომელი უმე-

---

[1] მოყვანებულისა.

ტეს იქმნა ყოველთა ნაშობთა დედათასა, რომელმან იკადრა დადგა-
ბად ჭელი თავსა მას საუფლოსა და ჩუენ ყოველნი სინანულით
მივეცწოდა და ზესა თანა დადებითა ცხელისათა და სეხნისა და ძე-
ტობისა მისისა იოვანე ღმრთის-მეთქუესა და მკერდსა მას სიღმრთი-
სა მიმყრდნობელსა, რომელმან დასცნა პოემანი და ქცეთა დიდი და
განთქმული საკვირველად უფსკრულთა შინა დახთქა და ყოველნი
ღმრთისა მიმართ წარუძღვინნა;

მეოხებითა და თანადგომითა წმიდათა თჳესა მოციქულთა პეტ-
რე რიტორისა, რომელი სინანულსა პირმშო ეწინა და კლიტენი იგი
სასუფეველისანი მას პკიდაენ და შეკერა და განხსნა მიეცნჭა მას,
და პავლე სამ ცამდე აღწევნულისა, რომელსა ესმნეს სიტყუანი უთ-
ქუმელნი და საღმრთონი და ჴმურად რჩეულად თწოდა და იქმნა ყოვ-
ლისა სოფლისა მოძღუარ, და სხვათა ათერთა მოციქულთა, რომელ-
თა მიიღეს პრძანება მეუფისაგან თჳისისა და დასპდომა საყდართა
ზედა და განსჯა ათორთა ტომთა ისრაელისათა, და სხვათა სამეოცდა
ექუსთა მოწაფეთა, რომელთა მოიძოწაფნეს ყოველნი წარმართნი
სახელითა წმიდისა სამებისათა;

შეწევნითა და მეოხებითა წმიდათა წინასწარმეტყველთათა, რო-
მელთა პირველ მოასწავნეს ზეცით გარდმოსვლა ღმრთისა და გან-
კაცება და განიცდიდეს არა პირია პირ, არამედ იქმნეს მჴილველ
თჳალთა გონებისათა და სარკითა;

მეოხებითა წმიდათა მღდელთ-მოძღუართა: პასილი, გრიგოლი
და იოვანე ოქროპირისათა, რომელთა განფხურეს ცრო წვალებისა
და მის წილ დასთესეს თესლი ღმრთის-მსახურებისა და იღუწიან
ჩუენთჳს წინაშე სამებისა;

მეოხებითა წმიდათა მამათა ჩუენთა: პახუმი, ანტონი, მაკარი,
ეფთჳმი, არსენი, ონოფრი, პავლე, ჯერასიმე, საბა, სვიმეონ, და-
ნიელ და დაცით გარეჯელისათა, რომელთა თჳით გამოისაჴურისნეს
თავნი თჳისნი, იქმნეს სოფლისაგან და დაშკეიდრეს ანგელოზებრი-
ვი ცხოვრება აღებითა პატიოსნისა ჯუარისათა, იქმნეს მკუდართა
აღმადგინებელ და ეშმაკთა წარმდევნელ;

მეოხებითა წმიდათა მათ დედათა: ანნა, ივდით, დებორა, ქაჯი,
რომელი იქმნა სახე სინანულისა, მარიამ მეგვიპტელისა, რომელი
იქმნა მოძღუარ, და ნინოსითა, რომელმან განათლა ქუეყანა იგი ქარ-
თლისა. სასწაულითა მრავალითა მოქმედებითა[1].

მეოხებითა წმიდათა და ნეტართა მოწამეთა: გიორგი, დიმიტრი,

[1] +-მოქმედებითა.

თევდორე, პროკოპი, მერკურისათა, რომელთა ჯვარს აცუნეს ქრისტ-
ნი მათნი და თვით სახითა ტანჯვითა განიცადნეს და ოხნეს სა-
წმინდოებითა მეუფეთა მეუფისათა.

მეოხებითა და თანადგომითა წმიდათა ქალწულთა მოწამეთა
ირინე და ირინისათა, ეკატერინე, თეკლა და პარასკევისათა, რო-
მელთა დასთხიეს სისხლნი თესლნი სიძისა მის უკუდავისათა და იხა-
რებენ ნათლითა შემოსილნი სასძლოთა მით წინაშე ღმრთისა და
მიელიან სიმართლისა გუირგვინსა;

მეოხებითა და შეუმდგომელობითა ყოველთა წმიდათა ღმრთი-
სათა, ზეცისა და ქუეყანისათა, ჯოჯოხეთელთა და უჯოჯოხეთოთა; თავად
ღმრთისა და მერმე ამათ წმიდათა ყოელთა თავდებობითა, მინდო-
ბითა და შეუმდგომლობითა ესე ეუარებელი და საბოლო[ო]დ გასა-
თაეებელი და მეორედ მოსლვამდის მოუშლელი და ყოელს ადა-
მის ტომის კაცისაგან უცილებელი და უსარჩლავ-მოუდეგარი შეწი-
რულობასა ფიცი, პირი და ნიშანი დაგიდევით მრძანებითა თავად
ღმრთისათა და მერმე მ ე უ ე თ-მ ე უ ი ს ა ი ე ს ქ ს ა ნ დ [რ] ე ს ი-
თ ა და დ ე დ ო უ ა ლ თ-დ ე დ ო უ ლ ი ს ა კ ა ხ თ ა შ ე უ ი ს ა ა ს უ ლ ს ა
ნ ე ს ტ ა ნ დ ა რ ე ჯ ა ნ ი ს ა თ ა, ჩუენ უ ლ ი ო ს მ ა ნ და ყოელთა კაც-
ნა უცოდველესმან მოწამან და მოსავმან ძისა და ღმრთისა შეწირა-
მან გ ე ნ ა თ ე ლ მ ა ნ ქ ე ა რ ი ა ნ მ ა ნ ზ ა ქ ა რ ი ა, თქუენ, სა-
შინელსა და შესაძრწუნებელსა და თუალთაგან მოეერულებელსა გა-
ლათისა ხანელისა და საკურთხეველისა ღმრთისმშობელისა და ტა-
ძარსა თქუენსა გენათს და საძულესა ღმრთივ-ცხებულთაგან და
ღმრთივ-გვირგვინოსანთაგან პანგრატონიანთასა;

მას ეამსა, ოდეს ჩუენის მკუდრის შქმის მაშინდელითა, ა ბ ა შ ი-
ძ ი ს პ ა [ა] ტ ა ს ა გ ა ნ ქ უ თ ა თ ი ს ა ლ ა გ ი ვ ე ყ ი დ ე თ და მაგიერი
გლეხი და პარტახტი გ ე გ უ თ ს მივართვით და დავესახლეთ გუ-
თათის.

და მერმე შეგვიწყალა და შეგვიბრალა ჩუენმა ყოელად მოწყა-
ლემა და მოპრალულმა ჩუენმა გამზდელმა მ ე უ ე თ-მ ე უ ე ნ პატ-
რონმა გ ი ო რ გ ი მ და ეშვილის კაცის ა ბ ე ს ა ლ ა მ მ ა ს ხ ა-
რ ა შ ვ ი ლ ი ს ს ე უ ლ ი ადგილი, ტყე და მიწა გეიბოძა ქ ე ლ ბ ა-
ქ ი ა ნ ი ს საზღურებდის.

და ალვაშენეთ ეკლესია მთავარანგელოზთა და ციხე და სახლ-
კარი და შევმკენით სოფლად უშენი ადგილი ასე, რომე ამაზედ მო-
დგეში კაცი არ[1] სახლებულიყო.

---

[1] + არ.

ანის ვაჭარი ქუთათის ნასყიდა იორდანაშვილს კუამლი ერთი, მისის ალაგით და ძმებით, მეფეთ-მეფის საბრძანისის ანდრეს წყალობა;

ფიჩხაძე დანელა, ერია, კუამლი ერთი;

ლომთაძე გოჩია და მისი შვილი დათუნა ჩუენი მკვიდრი ყმა იყო და აქ დავასახლეთ, კუამლი ერთი;

ქავშიძე დათუკა, მისის ცოლ-შვილით, კუამლი ერთი;

ჩლაჩიძე დათვია და მისი შვილები, კუამლი ერთი;

გოჩია ჭაშიბაძე და მისი შვილები, კუამლი ერთი;

ჩირაძე მამუკა და მისი შვილები: გოჩია, ლომია, პატია და მათი შვილები, კუამლი ერთი;

ნანუა ობოლაძე და მისი ძმისწული მამუკა, კუამლი ერთი;

ჩიკაძე ხახუტა და მისი ძმისწული ნასყიდა, კუამლი ერთი;

გოჩია ლაიყმაძე და მისი შვილი დათუკა, კუამლი ერთი;

სქისახლეში მოჯალაბე დათვია ბერუჩიკაძე და მისი შვილები, კუამლი ერთი.

ამას გარდა ხუცია ქელბაქიანისაგან და მისის განაყოფებისაგან ვიყიდეთ: იქით ქუერაულას დელე, მლაშეს იქით რომ ღელეა და იმას იქით ჰორტიკელაურას ღელემდე, ზეით დამცუიანას დალმა, ვიდრე რიონამდე; და გავაკეთეთ ტუფურიშის ჰალა ზურათ.

ამას გარეთ ნოლას ერთი პარტახტი გაბადაძისეული ვიყიდეთ და ლომთაძეს გოჩიასა აქუს.

ამას გარეთ გლმა კურსებს საკათალიკოზო ადგილი საჭალანგრიძეო ქამთა ვითარებისაგან გაოკრებულ იყო და ჩუენ მაქსიმე კათალიკოზმა ფიცით და ფეშქაშით გუიბოძა საჭალანგრიძეო და კაკაბაური პარტახტი რაც იყო; და ჩვენ იმახედ დავასახლეთ ქოჟუაჰიჭ[ი]ნაძე.

ამას გარეთ ვიყიდეთ ჰოლევს ბიძინას ჩხეიძისაგან სამი გლეხი მათის მამულითა და ცოლ-შვილითა: შოშიტა ოყურეშლიძე კუამლი ერთი, ხახუტა ოყურეშლიძე კუამლი ერთი, ჩუჩხუნაძე გოჩია და ზაზუტა კუამლი ერთი, ჭიჭინაძის გოჩიასა და სელთამასსეული პარტახტები და ჩუჩხუნაძისეული პარტახტები.

ამას გარეთ კიდევ გვიბოძა ჩუენმა გამზდელმა ბატონმა მ ე ფ ე-შ ე ფ ე მ გ ი ო რ გ ი მ ფ ე შ ქ ა მ ი თ ა იქიე ჰოლევს გ ა მ ს ა ხ ი ნ ა რ დ ი ო ყ უ რ ე შ ლ ი ძ ე და მისი ძმის წულები გ ი ო რ გ ი ა ნ ი შვილები, კუამლი ერთი.

ამას გარეთ დიდებულისაგან ვიყიდე ბატონის ბძანებით გ ო ნ ი ა ს ა ბ ე ს ა ლ ა ძ ე ო ს ი ა, მისის შვილებით და მამულით კუამლი ერთი.

ეს ხეთი კუამლი კაცი და კურსებს საჭალანგრიძეს რაც არია სრულა და კაგაბაერი პარტახტი ჭ ი ჭ [ი] ნ ა ძ ე ს ქ ო ქ უ ა ს ი და მის შვილებს: თ ა მ ა ზ ი ს ი, ბ ე ქ ი ს ი და დ ა თ უ ნ ა ს მიგეცით.

ამის გარეთ კიდევ კურსებს დავასახლეთ ჩუენი გაზდილი ბ ა ს ი ლ ი მ ა ხ უ ი ლ ო ძ ე: ადგილი ხახულისა ღმრთის-მშობლისა იყო და კაცი ჩუენ დიგასახლეთ.

ავრეთვე მ ა ნ ა ვ ე ლ ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე ჰოლევს ბატონიშვილს გუნათელს ეშოვნა ნიშანსა და საწირაოში გ ო შ ქ ო თ ე ლ ი ა ნ ი ს ა გ ა ნ და ერთი ბარათი ხახულისა ღმრთის-მშობლისათვის დაედვა და მასუკან ჩუენ გვიბოძა; და ჩუენ კიდევ ახლა ხახულისა ღმრთის-მშობელს შევსწირეთ.

ამას გარეთ შ ე ყ უ რ ს ერთი გლეხი ლ ო მ ს ა ბ ე რ ი ძ ე დ ა თ ე ი ა და მისი შვილი გ ო ჩ ი ა ვიყიდეთ მისის სასულით დიდებულისაგან მ ა მ უ კ ა ს ა გ ა ნ კუამლი ერთი.

ამას გარეთ არგუეთს-ა ლ ი ს უ ბ ა ნ ს ვიყიდეთ დ ი ა კ ო ნ ი ძ ი ს ე უ ლ ი პარტახტი პ ა [ა] ტ ა ს ქ ა რ ი გ ა რ ე თ ლ ი ს ა გ ა ნ და კიდევ ს უ ლ ა ქ ე ე ლ ი ძ ი ს ე უ ლ ი პარტახტი და დავასახლეთ ჩუენი გაზდილი მ ა ხ ა რ ო ბ ე ლ ი კ ა ხ ი ძ ე.

ეს რაც ამ სოგელში სწერია: ანუ სასახლე, ანუ ეკლესია, ანუ ციხე, ანუ აზნაურშვილი, ანუ გლეხი, ანუ პარტახტი, ანუ ზეარი, ანუ მიწა, ანუ ალაგი, ანუ წყალი, და ტყე მათითა სახლკარითა, ეკლესითა, ციხითა, ჭურმარნითა, კალო-საბძლითა, სასაფლაოთა, მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენახითა, საკნე-სათუსითა, შენითა და ოჯრითა, საძებრითა და უძებრითა, სანადიროთა, სასაძვრითა, ჭალითა, სათიბითა, შესავალ-გასავლითა და მათის მართლის სამართლიანის მზღუდითა და საქმით ყოველითურთ უნაკლულოდ, მკვიდრად და სამამულედ და ყოველის ადამის ტომის კაცისაგან მოუდევრად და ესარჩლად თქუენთვის შემოგიწირავს, ცოდვათა ჩუენთა შესანდობელად და მ ე ფ ე თ-მ ე ფ ი ს ა ლ ე ქ ს ა ნ-

დრეს და დედოფლის კახთა მეფისა ასულის ნესტან დარეჯანის საღმრთოდ და ცოდვათა მათთა მოტევებულ-რათა კეთილად დაიცა და მცუელ და მფარველ ექმნა ორსავე ცხოვრებასა შინა.

უწყის მოწყალემა და ძვირფასებელმან ღმერთმან, რომე ამაში რაც ბატონის წყალობა და მართლის სამართლიანის საქმით და ალალის თეთრით ნასყიდი და მონაღვაწები არ არის, სხვა უსამართლო და არამი არა ურევია რა.

აწ შეიწირე კნინი და ცცირე შესაწირავი ესე თქუენ, სამრინელო შვიდთ ცათ უმაღლესო და ქერაბინთ უზეშთაესო ხახულისა და საკურთხეველის ღმრთის-მშობელო და მე უღირსსა და ყოველთა კაცთა უკოდგილეს მოსაგსა ძისა შენისა და მოხსა შენსა ქეთევანს ზაქარიას მეოხ, მცუელ, მფარველ და ცოდვათა მოძტევებელი და აღმომჯოცელ მექმენ აქა და დღესა მას დიდსა განკითხვისასა წინაშე ძისა შენისა და ღმრთისა ჩუენისა; და განსულასა მას სულისა ჩემისასა მიხსენით ბნელთა აერის მცუელთა ჭელისაგან და ძალნი იგი უჩინოს მტერისანი შორს გამოიტნეთ.

აწ ვინცა და რამანც ადამის მონათესავემ ძემან კაცისამან: ანუ დიდმან, ანუ მცირემან, ანუ მაღალმან, ანუ მდაბალმან, ანუ მდიდარმან და ანუ გლახაკმან, ამა ჩუენგან ნაშრომსა და სამართლიანად შეწირულსა ეკლესიისა ცისხესა, სასახლესა, აზნაურაშვილსა, გლეხსა, მიწასა და ალაგს და საგელს შლად, ქცევად და არა გათაეებად ქცეულს და ეს ჩუენგან შეწირული გამოაჭოს ტაძარსა თქუენსა გენათს, მეუფეო მეუფეებათაო, იესუ ქრისტეო ღმერთო და ყოველად წმიდაო ღმრთის-მშობელო მარიამ ქალწულო მარიამ, თქუენ გაერისხდით და ჰკითხეთ საქაქოს დღე მოკლობითა და საიქოს წაწყმედითა და ჯოჯოხეთს გაენიაში ჩაგდებითა;

შეჩვენებულ, წყეულ და კრულ იყოს პირველ ღმრთისაგან და მერმე ყოელთ მისთ წმიდათაგან ზეცისა და ქუეყანისაგან, პორციელთა და უპორციოთაგან, იერუსალემსა და ყოელთა პატრიაქთა ძალდთაგან და საქრისტიანოს ჯვარ-ხატთაგან;

მასმცა ეცვების კეთრი გეზისი, შიშთელი იუდასი, ძრწოლა კაენისა, მეხთდატეხილობა დეოსკორესი, ცოცხლივ დანთქმა დათან და აბირონისი და მისიმც სული ნერას სინანულით, ნერც წირვით, ნერც ლოცვით და ნერც გლახაკთ მიცემით ნუ იხსნების საუკუნოსა სატანჯველისაგან.

ხოლო დამამტკიცებელნი და მართლიანად მპყრობელნი ამისნი და არას დამკლებელნი ღმერთმან და წმიდამან ღმრთის-მშობელმან

და ყოელთან წმიდათან ღმრთისათან კეთილად დაიცას ორსავე ცხოვრებასა შინა. ამინ. ამინ და კირიალეისონ.

დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ქორონიკონსა ოცდა თორმეტსა, თვესა ივნისსა ხუთსა, ჭელითა ყოელთა კაცთა უნარჩეველისა და უცოდველისა, მწუალებელთაგან ახლად მოქცეულისა და ნათლის-ღებულისა, მეფის კარის მდივან-მწიგნობარის გიორგის ქართველისათა. ✝

აგრეთვე ამას გარეთ ჭეთათის ეკჭარი ბემკენისშვილი პაპუა გვიბოძა მეფემ, ქრთამიც მივართვით; და შეგვიწირავს გაენათისა ხახულისა და საკურთხეველისა ღმრთის-მშობლისათვინ. მეფის ალექსანდრეა სადღეგრძელოდ და სულისა ჩუენისა საოხად: შეიწირე შენ, საშინელო და ცათა მობაძაო ხახულისა გაენათისა და საკურთხეველისა ღმრთის-მშობელო.

[დამტკიცების ხელრთვა]

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა და წყალობითა ყოელად წმიდისა ღმრთის-მშობელისათა, ჩუენ ღმრთივ-გვირგვინოსანი მეფეთ-მეფე პატრონი ალექსანდრე და თანამეცხედრე ჩუენი დედოფალთ-დედოფალი კახთა მეფისა ასული პატრონი ნესტანდარეჯან ჩუენად სადღეგრძელოდ და მეფობისა ჩუენისა წარსამართებალად და სულის ჩუენისა საოხად და ცოდვათა ჩუენთა შესანდობელად ვამტკიცებთ სიგელსა ამას. ამინ.

ბაქარ: მეფეალექსანდრე
ხელრთვა: ნესტანდარეჯან ✝✝

[შეწირულების მინაწერი]

ქ. პოი შენ საშინელო და ცათა მობაძაო პატიოსანო ხახულისა გალათისა და საკურთხეველისა ღმრთის-მშობელო! შეიწირე მცირე ქინი ესე შესაწირავი, რათა მლხინებელ მექმენ დღესა მას დიდსა განკითხვისასა.

მე, ფრიად ცოდველმან იაშვილმან ქაიხოსრომ ვიგულეთ და ვიგულსმოდგინეთ[1] და შეშოვწირეთ ერთი შამახური სანთელი ყოველს დიდმარხვაშიდ თედორობის კვირეშიდ თქვენს წინაშეც მოიღებდნეს ქუბლუაშვილი დათუნა და გიორგი, ერთი მარჩილი ემართა ბეგრად და ის შევაწირეთ იმ სანთელშიდ.

[1] ვიგულეთმოდგინე.

აწ ვინცა და რამანცა ძემან კაცისამან: ან შეუვმან, ანუ დაქმნულმან, ანუ დიდმან, ანუ მცირემან ვინცა შლად ამისად ხელყოფდეს შენ გაურისხდი პატრიარქსა ნახულისა გელათისა და საკურთხეველსა სა ღმრთის-მშობელოჲ; და ძე შენი რაჟამს მოვიდეს გა[ნ]კითხვად ცხოველთა და მკუდართა, ჩვენის ცოდვის მაგიერი პასუხი მან გასცეს, ამინ.

ქრონიკონსა სამას ოთხმოცსა დაიწერა წიგნი ესე [ხელითა] ფრიად ჩემ ცოდვილისა ჴიჴინაძისა სვიმონ მგალობელისათა. ✝

recto-ზე სხვა ხელით:

ქ. სამასი კოკა ღვინო გენათელს მოებაროს მისს ძველივნეთუხუცესისაგან ბეგარა.

ქ. ხეთი მარჩილი და სამი რუბი თეთრის ბეგარა ხოხიაშვილისაგან მოგვებაროს.

ქ. ათი რუბი გაღმა კურსების თეთრის ბეგარა მოგვებაროს ხახუტასაგან.

115. [წყალობის წიგნი ჯრისტეფორე კათალიკოზისა რამზოლ რატიაძესადმი]

[1648 წ.]

ქ. ჩვენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხეულმან, ყოვლისა საქართველოსა დიდმან მამად-მთავარმან, ქართლისა კათალიკოზმან, პატრიარქმან პატრონმან ქრისტეფორე, ესე უკუნისამდე ქამთა განსათავებელი წყალობისა წიგნი და სიგელი შეგიწყალე და გიბოძე შენ, რატიაძეს რამზოსა და შენსა ძმასა პაპისა და შაგვრდსა და შენთა შვილთა დაგითასა, აღდგომელსა, ამბროსეს და მოსაცილთა სახლისა თქვენთანათა, ასრე რომე მოგვიდეგით კარსა დარბაზისა ჩვენისასა და მამულისა საქმესა გვიაჯენით.

ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და გიბოძეთ მამული ძმათ[ა]ს შვილისეული მისისა სახლ-კარითა, ტყეერ-მარნითა, მიწა-წყლითა, ჭითითა, ბარითა, წისავლითა და გამოსავლითა და მისის საძართლიანის სამძღუარითა...* [ძმათა]შვილის მამული მოგეცით, რომ არა კაცი არ გეცილებოდეს.

და კიდეც წმიდის დავითის მამული იყო ძმათაშვილის მამულითანა და იმის სანაცლოდ წმიდას დავითს კვირიკასშვი-

* ამის შემდეგ ორი სტრიქონი წაშლილია.

ლის შამული დაუდევით, რამზოსა მქონდა; და ის კვირაკის[1] შვილის შამული წმიდის დავითისათვის დაგვიც; და წმიდის დავითის შამული რამზისათვი[ს] მოგვიცემია.

ჩვენ ასე გაგვისამართლებია.

და ახალდეს არ მოგვეშალოს არა ჩვენგან და არა შემდგომად სხვათა კათალიკოზთაგან. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენსა და სვეტისცხოველის ერთგულად სამსახურსა ქვეშევდომამტკიცებელი ამისი ღმერთმან აკურთხოს.

არიან ამის მოწამენი და შუა დამხდურნი: შ ე ვ ე რ დ ი ნ ა ც ვ ა ლ ი, ს ვ ე ტ ი ს ც ხ ო ვ ე ლ ი ს კ ა ნ დ ე ლ ა კ ი, ნ ა ც ვ ა ლ ი ბ ე რ ი ა, დ ა თ ჯ ნ ა ბ უ ტ უ ლ ი ს შ ვ ი ლ ი, ხ ა ტ რ ო რ ა ფ ე ლ ი ს შ ვ ი ლ ი, რ ო მ ა ნ ო ზ ი კ ვ ე რ ა ს შ ვ ი ლ ი, მ ა მ უ კ ა ქ ო რ დ ი ს შ ვ ი ლ ი, ი ა ნ ვ ა რ ი ა ი და სულ საგარეჯონი.

დაიწერა წელსა და ბძანება ესე ქორონიკონსა ტლვ.

ხელთ[ა]: კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი ქ რ ი ს ტ ე ფ ო რ ე

ბეჭედ[ი]: რომელი განწესნათ ქუეყანასა ზედა ჭსნილ იყოს ივი ცათა შინა.

116. [წყალობის წიგნი ქრისტეფორე კათალიკოზისა პაპუა მალალაშვილისადმი]

[1618 წ.]

ქ. ჩვენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხეულმან, ყოვლისა საქართველოსა დიდმან მამიდ-მთავარმან, ქ ა რ თ ლ ი ს ა კ ა თ ა ლ ი კ ო ზ მ ა პ ა ტ რ ი ა ქ მ ა ნ პ ა ტ რ ო ნ მ ა ნ ქ რ ი ს ტ ე ფ ო რ ე, ეს უკუნისამდე ქამთა გასათვებელი წყალობისა წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ მ ა ღ ა ლ ა ს შ ვ ი ლ ს ა ჩვენს ს ა ხ ლ ი ს უ ხ უ ც ე ს ს ა პ ა პ უ ა ს ა და თქვენთა ძმათა ხ ო ს ი ა ს ა, გ ე დ ა ო ნ ს და ბ ე ქ ა ნ ს და შვილთა შენთა რ ე ვ ა ზ ს და ბ ე რ ს ა დ ა და პაატას და მომავალსა სახლისა შენისათა ყოველთავე.

ასრე, რომე: მოგვიდეგით კარსა დარბაზისა ჩვენისასა და წყალობისა საქმესა გვიაწყენით, ვასძინეთ ადგა და მოხსენება თქუენი და ამოგვიკითხეთ სამალახე თქუენის კერძის შამულის ნიაბური და ჩოჩერი, ზ ე რ ტ ს კაცებს სამალახეს გარდაის, რისაც მქონებელნი

[1] კვირიკა[ს]შვილის] კვირიკის შვილის.

იყოთ. ამწე არაოდეს არა მოგეშალოს არა ჩვენგან და არა სხვათა კათალიკოზთაგან.

გაგითაოს და გაბედნიეროს ღმერთმან ჩვენსა და საყდრისა[*] ლოცვა-კურთხევა.

ხელად სამსახურსა ქუეშე.

ხოლო დამამტკიცებელი ამისი ღმერთმან აკურთხოს.

ვინცა და რამანცა კაცმან მოგიშალოს, ჩვენსამცა კაბონსა ქვეშე არის.

დაიწერა წიგნი და ბძანება ესე ქორონიკონსა ტლზ, ჴელითა კარისა ჩუე[ნ]ისა მდივნის ბაღდადელის ფაარემეზისითა.

მ ა ჯ ა ნ ი ძ ე ე ბ ი ს სამწუხაროდ ეს წყალობა გიყავით.

ხელთუე: კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი ქ რ ი ს ტ ე ფ ო რ ე

პეშტი: რომელი განწესნათ ქუეყანასა ზედა წესი იყოს იგი ცათა შინა.

117. [შენდობის წიგნი ნიკოლოზ მანგლელისა როტინ ჯავახიშვილისადმი]

[1652 წ. 15 მარტი]

...[კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი] ს ა ნ პ ა ტ რ ი ა რ ქ ი ს ა ნ ნ ი კ ო ლ ო ზ ესე შენდობისა წიგნი და პირი მოგართუით თქუენ, ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლს დავანბეგს პატრონს რ ო ტ ი ნ ს, შვილთა თქუენთა ქ ა ი ხ ო ს რ ო ს, წინაძძღუარსა და მომავალთა სახლისა* თქუენისათა ყოველთაგე.

ძალ ჭამსა, ოდეს ცოტას ბანს თქუენი სამკუიდრო მამული მანგლისისა ღმრთისმშობელს ჰქონოდა და თქუენი სამკეიდრო მამული ისრეგბატონისაგან იწოვნეთ.

და ჩუენ ცოტას ხანს თქუენგან გულს შეგუეწყდა; და ვითაც ძარითადი შევიტყევით, რომე თქუენი მკუიდრი მამული იყო, ალარა ვიეშენით რა. და თქუენც ყოველს წელიწადს თრმოცი კოკა ღუინო გაგიმიენეთ ახალზედა.

ამწე ღმერთმან და მანგლისისა ღმრთისმშობელმან ნური გაგაჯონოს რა და ნურცარა დაგიმარცხოს, თავითა და შვილით დიდს ხანს გაგაცოცხლოს და ყმა შვილიც გაგიზრდოს თქუენ გუნებად; და უკანო[ნო]მც იქნებით თრმაცე ცხორებასა შინა, ამინ.

ქორონიკონსა ტმ, მარტის 15.

პეშტი: მ ა ნ გ ლ ე ლ ი ნ ი კ ო ლ ო ზ

---

* აქ სტრიქონებს შუა გვიანდელი ხელით ჩაწერილია: „ურეკაზა, დარეშუზა“.

118. [შეწირულების წიგნი გაბრიელ ცაგერლისა ცაგერის ჭაძრისადმი]

[1666 წ.]

[3v] შენ, ტაძარსა მაგას სიწმიდისასა, რომელი შეგემზადა სოლომონ და დავით პირველმან მაშამან შესმან კიდობნად სიწმიდისად... ლრუბლად სულ მცირედ და კიბედ ცად[1] აღწევნილად, რომლისა მიერ ღმერთი გარდამოხდა ქვეყანად ეზეკიელ პჭედ დაკრძალულად, დანიელ მთად, რომლისაგან ლოდი გამოეკვეთა თვინიერ ჭელისაგან გედეონ საწმიძად, რომლისაგან სიტკბოება აღმოგვიცენდა სხვათა მათ თახა წინასწარმეტყველთა პირად-პირადად ქადაგებულ[2] შენ, შვიდ ცათა უწმინდესო ასულო ადამისო დედასა ღმრთისასა ძველ-ოდესმე მაყუალად მოტყინარად ხილულსა და შეუწევლად დაცულსა არონის კეერთხად აღყვავებულსა, რომელმან გამოიღო ნაყოფად ცხაყოფოსა და ნაყოფიერად ძყოფელი და ყოველისა სოფლისა განმანათლებელი და ადამის ძველისა კაცისა განმაახლებელო და ევას წყევისა და ტრელებისა დამხსნელი და კურთხევად შემცვალებელი.

შენ, სადგერო განსაკენებელო და პალატო კიდობანო საღმრთოსა სჯულისაო, რომელმან დაიტიე ფიცარი იგი საუფლოთა მით თითითა[3] დაწერილი ტაკუკი მანანათა აღსავსე და კეერთხი იგი სასწაულთა მოქმედი მაამისა შენისა და წინასწარმეტყველისა დავით მეფეთა შორის წარჩინებულისა ასულად მოსწავებულად, კოპარცა გიგალობდა ხმითა მით სანატრელითა პირად-პირადად ფესვეციით[4] ოქროვანითა შემკულად და ვინ მოასწავებს შენთა დიდებულების მეტყველებითა მეტყველებად, შენ, ცათა[5] მოპბაძაო, ქერაბინთა და სერაბინთა უმაღლესო ცაგერისაო[6] ღმრთის-მშობელო!

ჩვენ ცვე-თარეთა შენთა მინდობილმან და მოსავმან შენმან, ჩვეს ცაგერელ მამათ-მთავარმან გაბრიელ ბრძანებითა მეფეთა მეფისა ალექსანდრესითა და დედოფალთა დედოფლისა კახთა მეფისა ასულისა ნესტანდარეჯანისათა და ძეთა ჩვენთა, როდეს ჩვენზედა წყალობა ჰყვეს და ცაგერლობა გვიბოძეს და მათი დიდი საყდარი ცაგერისა ღმრთის-მშობელი ჯელთ გვიგდეს და მერმე მათის ძალითა და წყალობითა ჩვენცა ვეცადენით საყდრის სამსახურსა და შემატება-

---

[1] ცაბად. [2] ქადაგეს. [3] თითითია. [4] ფესვეციდითა. [5] ცჲთა. [6] ცაგეურისაო.

სა, რომელიმე ძველთაგან დაკარგული იყო მიწაცა და კაცობაც რომელიმე შიწა საყდრისა იყო და კაცი დაკარგული იყო.

და აწ ამის მეფის ალექსანდრეს[1] ძალითა გეკეთებინა ჩვენ ალიანის საქმითა მოვაგროვეთ სამი კომლი კაცი გელოხანის დანარჩომი: ერთი კვამლი ნინია გოლეთიანი, დღეა რომ სახლობს იმ ალაგითა; ერთი კვამლი ფოჩიანი კაცია და მისი ძმა გიორგი და თათია, დღეს რომ სახლობს იმ ალაგიანათ; ერთი კვამლი მეშველიანი კაცია და მისი ძმა წიწილა, დღეს რომ სახლობს იმ ალაგიანათ; და აყრილი გლეხი სამი სხვა [4] უალაგოთ: ერთი ლაკოზელიანი კაცია და გიორგი; მეორე მუცხვატილაძე კაცია და გონიერი; და მესამე შკვიბლიანი გონიერი და მისი ძმა ყრუაშვილი გიორგი.

აწ ეს დასახლებული სამი კვამლი კაცი და სამი აყრილი ნაძალადევად გელოვანს ჰქონდა, ცაგერისა ღმრთის-მშობლის გამოხართმევი. აწე გელოვანს მეფის ძალატი შეაჩდა გაუწყრა მეფე, გამოართვა და ისევე საყდარს შესწირა მისად სადღეგრძელოდ და სელისა მისისა სათნოდ; ჩვენს დროსა და ეფისკოპოზობაშიდ შესწირა.

სხვა ამასად დარეთად ამავ ჩვენს ბატონის წყალობითა მიბოძა პე[ლ]წიფემ, მამა იმისმან, მეფემ გიორგიმ: ერთი გლეხი ესახელოს ფოჩიანი გუტა და მისი ძმა ძუკლია; ერთი გლეხი ფოჩიანი ითნა და მისი ძმები.

ამასად გარეთად ორი გლეხი კიდევ მახალდიანი გოჩია და ფოჩიანი გიორგი ბატონმა გეიბოძა; და ძუნი ძათს ადგილზედ ალარ დასდგენ, აიყარნენ და სხვაგან დაეასახლეთ; და იმ ადგილზედ შოშიტა გიორგობიანი დაეასახლეთ, მისი ძმა ნასყიდა დაწისი ძისწულები.

აგრევე კიდეე ბატონმა მეფემ გიორგიმ გეიბოძა ოყურე[ს]: მეთევზე ერთი გლეხი მომარდაშვილი ხუცესი შიო და მისი ძმა მათეალი; ერთი გლეხი მომარდაშვილი ლომინა ბატონის მეფის წყალობა; ერთი გლეხი ამბროლიანი მათვალი სულა გელოვანისაგან ეყიდა; ერთი გლეხი დათუა თედორაშვილი ხოხუა

---

1 ალექსანდრის.

ლაშბიშვილისაგან ვიყიდე; ერთი გლეხი გიორგი ქორ-
ბიძე იოვაკიმ ნემსაძისაგან ვიყიდე; ერთი გლეხი ივანე
ჩეძე ივანე ბუდია ყიფიანისაგან ვიყიდე; ერთი
გლეხი ნემაწვერიძე კვირიკე, მისი შვილი და მისი ძმისწუ-
ლები ელყან ყიფიანისაგან ვიყიდე; დაშრიანი გი-
ორგი და გუგუტა მეშველიანის ცოლე და ალაგი ბა-
ტონმა მეფემ ალექსანდრემ მიბოძა;

ოჯოლას: ბოგველიძე მახარა და ქოქუა და ხუ-
ცესი მეფემ ალექსანდრემ მიბოძა.

ჟვანეთს: ჯანელიძე ოტია და მისი შვილები მე-
ფემ ალექსანდრემ მიბოძა.

ამ ესენი მათის ცოლშვილითა, საძღვარითა, პურმარილითა, ტყითა, ველითა, ვენახითა, საყანითა, სათიბითა[1], სასაფლაოთა, სა წმიდაქვილოთა, ნასყიდითა და უსყიდითა, საძებრითა და უძებრითა, მათის ყოვლისფერის სამართლიანის საქმითა. ამ ესენი შეგვიწირავს ცაგერისა ღმრთის-მშობლისათვის. მეფის ალექსანდრეს სადღეგრძელოდ და ცოდვათა მისთა შესანდობელად. შეიწირე ენდო და კნინი ესე შესაწირავი შენ ცათა[2] მოპაძათ ცაგერისა ღმრთის-მშობელო ჩემ ცოდვილსა ცაგერლისა გაბრიელისათვის.

და კიდევ ამას გარეთად ერთი გლეხი იქავ უსახელოს ბა-
ატა გოლეთიანი გიორგი გელ[ო]ვანისაგან ვიყიდე. ერთი სასახლე უსახელოს ალაგი ვიყიდე და სასახლედ გავაკეთე.

ამწე ეს გლეხები და სასახლე მათის ყოვლისფერითა ცაგერისა ღმრთის-მშობლისათვის შვიდ წილ უძღვნელისა და მთავარ მოწა-მისა წმიდის გიორგისათვის შეგვიწირავს.

ამწე და რამანცა ძემან კაცისამან: დიდმან ანუ მცირემან, მეცუ-მან ანუ დედოფალმან, გინა ეფისკოპოსმან ანუ და რამანცა ძემან კაცისამან ამისად შლად და ცრუად ჭელჰყოს და ანუ მოშალოს, ერულმცა არის ჯერ პირველ დაუსაბამოს ღმრთისაგან და მერმე ყოველად წმიდისა დედოფლისა ჩვენისა ღმრთის-მშობელისა და ცხო-ველს მყოფელისა ჯვარისათა, ათორმეტ[V]თა მოციქულთა და ათორ-მეტთა სამოციქულოთა საყდართა, შვიდთა კრებათა მაღლითა და მე-ოხებითა ოთხთა მახარებელთა და პატრიარქთაგან და ხუთთა ქათა-ლიკოზთაგან და ყოველთა წმიდათა ღმრთისათა.

---

[1] სათიბითა. [2] ცათა.

დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხოს და წმიდამან ღმრთის-მშობელმან, ამინ და ამინ.

დაიწერა ბრძანება, წიგნი და სიგელი ესე იხილეთ შეწყალებისა[1] პატრონისა მეფისა ალექსანდრესა აცხრამეტსა. ქელითა ჩემ ცოდვილისა მგალობელისა თამაზისათა, ქორონიკონსა: ტმდ.

ხელთაგა: ცაგერელი გაბრიელ †
ბჭედი: მეფე ალექსანდრე.
ხელთაგა: ნესტანდარეჯან

119. [შეწირულების წიგნი გაბრიელ ცაგერლისა ხვამლის ეკლესიისადმი]

[1656 წ. ახლო]

...[2v]* მინდობილმან და [სა]სოებით მოქუნემან თქუენმან, ყოველთა ადამის ნათესავთა უნარჩეცესმან და უცოდვილესმან დიდისა საყდრისა ცაგერისა ღმრთისა მშობელისა, ცაგერელ მამათ მთავარმან გაბრიელ ეგულვით და ვიგულისმოდგინეთ და შეგოგწირეთ ცრცრე და კნინი ესე შესაწირავი ჩვენდა სახსრად და საოხად სელისა ჩვენისა და ცოდვათა ჩუენთა აღსახოცელად, რათა არა დაგვსაჭიროს ჩვენ მეორედ მოსლვასა მას დღესა დიდსა განკითხვისასა.

შეგოგწირ[3]რეთ ოყუარეშს: ერთი სასახლე გაკეთებული ყოველისფერითა: საჯვარითა, საჯალაბოთა, ზვრითა[2], მისის ყანითა და სათიბითა[3]; ერთი გლეხი სუეტსი მამარდაშვილი მეთევზე; ერთი გლეხი ლომინა მამარდაშვილი მეთევზე და ტბა ბაბუშერი: გიორგი აკობიძე, მათვალი ამბროლიანი, დათუა თედორაშვილი.

აწ ესენი მათის ცოლშვილითა, სახლისკაცითა ერთ არს ძმითა, სახლკარითა, ბერმარნითა, ტყითა, ველითა, გენახითა, მთითა და ბარითა, წყლითა და წისქვილითა, საყდრითა და საფლავითა, საძუბრითა და უძუბრითა და მართლის სამართლიანის ყოველისფერითა;

აწ ესენი ხატსა არც ერთი იყო, სასახლე, ოდიშს რომ ქვარიანი იყო, იმისი დანარჩომი იყო და ტყე იყო დიდი ტუე-

---

[1] შეუბასა. [2] ზრვითა. [3] სათიფთა.

* თავი აკლია.

რი. ვსთხოვე და მ ე ფ ე მ გ ი ო რ გ ი მ მიბოძა და ქრთამი მივართვი; კიდევ ტბა ბ ა ბ უ შ ე რ ი, ორი გლეხი მეთევზე კიდევ მ ე ფ ე მ გ ი ო რ გ ი მ მიბოძა და ქრთამი მივართვი; ა ქ ო ბ ი ს ყ ვ ე ლ ა ფ ე რ გ ი ნემსაძისაგან ვიშოვე; ა მ ბ რ ო ლ ი ა ნ ი მ ა თ ვ ა ლ ი გ ე ლ ო ვ ა ნ ი ს ა გ ა ნ ვიშოვე; თ ე ვ დ ო რ ა შ ვ ი ლ ი[1] დ ა თ უ ა ი ლ ა შ ხ ი ს შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ ვიშოვე.

აწე ესენი თქვენთვის მოშორთმევნია, წმინდაო გიორგი. ვინც ვინმე ჩვენი შემდგომი ეფისკოპოსი დაჯდეს, იმან იმსახუროს და შენდობით ჩვენც მოგვისენებდენ.

დ ა თ უ ა თ ე დ ო რ ა ს შ ვ ი ლ ი ს[2] ბეგარა თემისათვის[3] მიმიცემია: ოყურეშელი მივიდეს გიორგობას დღეს ის გლეხისაა და მისცემდეს ის გლეხი ოყურეშელა თემსა: ერთს კარგს გასუქებულს ტახს, ერთს კარგს ცხვარსა, ხუთს გოროს ღვინოსა, ერთს გოროს ბურსა და ერთს გოროს ღომსა, ერთის თეთრის სანთელსა, ერთი ბიშტის საკმეველსა.

მერმე იმ თემმან ხუცესსა იმ ცხვარზედ ჩემს სელისათვის ცალი აწირვინონ და ტყავი საწირაედ მისცენ. და რაცა ამ წიგნშიდ სასმელი და საჭმელი ეწეროს, ლამაზათ დაამზადონ; ხუცესს კარგა[დ] დახუდეს და მის საწყალოსა ნუ დააკლებენ; და თვითან თემმან ლხინი ნახონ და მე შენდობა მითხრან; და სანთელი ჩამოასხას ხუცესმან და სანთელი და საკმეველი თემს დაუროგოს; მე შენდობა მითხრან.

და იმ თ ე ე დ ო რ ა ს შ ვ ე ი ლ ს ა ცაგერელი ბეგარასა ხუთასა სთხოვს. სხვა ნადობა, ლაწყრობა, სამსახური ცაგერლისა არის.

აწე რამანცა ძემან კაცისაგან ეს ჩვენგან შეწირული და გაჩენილი ალაპი მოიშალოს, ანუ მეფემან, ანუ ეპისკოპოსმან, ანუ დიდმან, ანუ მცირემან, შეჩვენებულმცა არის ოთხთა[ა] პატრიაქთაგან, ოთხ მეტთ[ა] მოციქულთაგან. შვიდთა კრებათაგან და ჩვენად მტკიცედ განიკითხვის აქა და მას დღესა დიდსა განკითხვისასა, ამინ.

დამამტკიცებელნი ამისნი აკურთხნეს ღმერთმან. ამინ.

ხელწერა: ცაგარელი გაბრიელ.

ქ. აგრეთვე ზ ე ბ ი ც ი ხ ე და მისი გლეხები მეფის იყო და მე ვიშოვე. მ ე ფ ე მ ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე მ მიბოძა. მე თქვენთვის შემოვწირავს, პატრონო დიდო წმიდაო გიორგი.

---

[1] თედორას შვილი. [2] დათუას დიდორას შვილისა. [3] თემისათვის.

და ვინც თქვენ ეს გამოგახსენა და მოგიშალოს, მასაც რისხვა-
თავად დაუსაბამო ღმერთი და მერმე თქვენი სახე და მადლი
მასაც ცოდვის მზღველი არის.

მერმე მათვალი მაშარდაშვილი მეფეთადმი მე მიმოვნია მისის ალაგთა, მამულთა, სახლკარითა და იმისის ბეგრისაგან ზუბელებისათვის მიმიცემია: ორი ფოხალი ბერი, ორი ფოხალი ლომი, თორმეტ[V]ის თეთრის საკლავი, ორი გორო ღვინო.

ჟწ ამ სასმელ-საჭმელს ზუბელები წაიღებდეს...*

120. [შეწირულების წიგნი გაბრიელ ცაგერლისა ხვამლის ეკლესიისადმი]

[1650 წ. ახლო]

[ა] ქრისტემან ღმერთმან ჩვენმან ნაცვლად ტანჯვათა მადლი სამას სამეოცდახუთი სალმობათა; ჭი თვალ და ბრწყინვალებაო ყოვლისა სოფლისათ, რომელი წამსა შინა თვალისასა მოიცვლი ცისა ქვეშეთთა, ყოველთა დაბფარავ მოსავთა შენთა, ხოლო ცეცხლთა დასწვავ მტერთა მემტერეთა დიდებასა შენსასთა, ათაისუფლებ ტყვეთა, ჰკურნებ ჭირვეულთა, ზელსა აღუპყრობ უღონოთა, დაიხსნი უსამართლოდ მიმძლავრებულთა.

ეჰა ვარსკვლავო ელვარედ შარავანდედო მზეებრ განმფენელო ცამედეცით ალმობრწყინვებულო, ხოლო კიდით კიდემდე განმანათლებელო: ეჰა თბებო წმინდათაო და მთავარო მოწამეთაო, ახოვანო წმიდაო გიორგი ხვამლისაო;

ჩვენ მსახებელმან თქვენმან და მონდობილმან თარგა-მცველობათა თქვენთამან, მე ცოდვილმან და მონამან ღმრთისამან და სამსახურისა თქვენისა ულირსმან ცაგერელმან მამათ-მთავარმან ჩიქოანმან გაბრიელ შემოგწირე მცირე ესე და ცრემი ესე შესაწირავი ოყურეშს სასახლე გაწყობაღ[ი] საჯვარითა, სახლკარითა, ჭურჭლითა, ზერითა, მისის ალაგითა და ტყითა, მთითა და ბარითა, საწისქვილოთა, სამართლიანის მამის ყოველსაფერითა.

---

* ეს წყდება საბუთის ტექსტი.

ასრე, რომე: ის ალაგი ოდიშა რომ გვარიანი ძველათ იმისი ყოფილა; ტყედ და უკაცურად იყო და მე გადავწყვიტე ვინ იცის, რომ სალაპარაკოთ გავიდეს, ამ გვეყნის ქკარიანს იმასთან ჭელი ართა აქვსე; ამისთვის რომ თემც მე ართა, ასეთი დრო იყო, ის ალაგიც და სრულათ ოყურეში სადადიანოდ შეიქმნებოდა.

გლეხი იაკობიძე გიორგი მისის ცოლშვილითა ბერის ნამსაძისაგან მიშოვნია. ალაგი მისი კიდევე ნემსაძისაგან მიშოვნია.

ამბროლიანი მათვალი დერეკაცად ქუჭიძეს ცაგარელს ლაშხიშვილისაგან ეშოვნა; და მერმე რახან ის ძოკუდა, აიყარა და გელეანს სელას მიეკიდა და სელა გელეანისაგან ჩემი თეთრით ვიშოვნე;

თედორაშვილი დათუე ხოხუა ლაშხიშვილისაგან ვიშოვნე;

მოშარდაშვილი ხუცესი მეთევზე შეფის იყო და ტბა ბაბუშერი; მერმე ეხლა ცოლქმარა კაკო აიყარა და შეფეს შეეხვეწა, ისიც მივართვი და იმითი მიშოვნია;

აგრეცე ლომინა მაშარდაშვილი და მისი ძმა მათვალი მეფესაგან მიშოვნია ჩემის თეთრითა.

და აწ ესენი ყველა მათის ცოლშვილითა, სახლკარითა, ჭერმარნითა, მამულითა, ალაგითა, ტყითა, ველითა, ცენახითა, სათიბითა, საყანითა, წყლითა, წისქვილითა, მთითა, ბარითა, საძებრითა, უძებრითა სამართლიანის ბაძის ყოველს ფერითა, — აწ ეს დიდი წმიდაო გიორგი, თქვენთვის შემომიწირავს ჩემს სულის საოხად და სახსრათ.

აწე ვინცა და რამანცა ძეშან კაცისამან: ანუ დიდმან ანუ მცირემან ამის შლად დაქცევად ჭელყოს, ჩვენდამც მუქიანად გაეკითხვის აქა და მეორედ მოსლვას ორისაც ცხოვრებასა შინა.

დამამტკიცებელი ამისი ალექსოზის ლმერთიმან.

და აწ ესე შენ საშინელო ცაკერისა ღმრთის-მშობელო, წმინდა გიორგი თქვენი შემოწირული არის და მისი მამულიც და ჩემგან შეწირულიც თქვენი იქმნების და გუჯარიც თქვენთვის მომირთმევია.

121. [დავთარი ცაგერის სამდრის მოსაკრებლის გლეხებზე]

[1648—1661 წწ.]

[91a]...* ლაშ[ქრობა და სამსახური].

1. [მართებს] გ ე ო რ გ ო ბ ი [ა ნ ს ა... თავი ბეგარა ღვინო გორო ათი [და სანაადღვომეო ოთხი, ბური თავი ბეგარა [სამი და ნახევარი და ორი სანა[ა]ლდგომ[ე]ო. [ერთი კარგი გასუქებ]ული ტახი სადილის სანა[ა]ლ[დგომეო, ორი სხვა] საღორე ღორი ორთლ ცხვრად[1] [რომ დირდეს], ერთი ცხვარი და ერთი თე[ვზი, ერთი] გასუქებული ყვერული, ორი სხვა [ყვერული], ორმოცი კვერცხი, მუშაობა, ლაშქრობა და სამსახური.

2. მართებს ფ ო ჩ ი ა ნ ს გ უ ტ ა ს ღვინო გორო თავი ბეგარა ექუსი და სანა[ა]ლდგომეო ოთხი, ბური გორო თავი ბეგარა სამი და ნახევარი და ორი სანა[ა]ლდგომეო, ერთი კარგი გასუქებული ტახი სადილის სანა[ა]ლდგომეო, ორი სხვა საღორე[2] ღორი ორთლ ცხვრად რომ დირდეს, ერთი ცხვარი და ერთი თევზი, ერთი გასუქებული ყვერული, ორი სხვა ყვერული, ორმოცი კვერცხი, მუშაობა, ლაშქრობა და სამსახური.

3. მართებს ფ ო ჩ ი ა ნ ს ი ო ნ ა ს ღვინო გორო თავი ბეგარა ექუსი და სანაადღვომეო ოთხი, ბური გორო თავი ბეგარა სამი და ნახევარი და ორი სანაადღვომეო, ერთი კარგი გასუქებული ტახი სადილის სანაადღვომეო, ორი სხვა ღორი საღორე ორთლ ცხვრად რომ დირდეს, ერთი ცხვარი და ერთი თევზი, ერთი გასუქებული ყვერული, ორი სხვა ყვერული, ორმოცი კვერცხი, მუშაობა, ლაშქრობა და სამსახური.

4. მართებს ფ ო ჩ ი ა ნ ს კ ა ც ი ა ს ღვინო გორო თავი ბეგარა ექუსი და სანაადღვომეო ოთხი, ბური გორო თავი ბეგარა სამი და ნახევარი და ორი სანაადღვომეო, ერთი კარგი გასუქებული ტახი სადილის სანაადღვომეო და ორი სხვა საღორე ღორი ორთლ ცხვრად რომ დირდეს, ერთი ცხვარი და ერთი თევზი, ერთი გასუქებული ყვერული, ორი სხვა ყვერული, ორმოცი კვერცხი, მუშაობა, ლაშქრობა და სამსახური.

5. მართებს მ უ ს ე ლ ი ა ნ ს კ ა ც ი ა ს ღვინო გორო თავი ბე-

---

[1] +და. * საღორე]სადღ...ორე.

* თავი აკლია, მეზღვების სათვალავი პირობითია.

გარა[916] ექვსი და სანაადღდგომეო ოთხი. პური გორო თავი-ბეგა-
რა სამი და ნახევარი და ორი სანაადღდგომეო, ერთი კარგი გასუქ-
ბული ტახი სადილის სანაადღდგომეო და ორი სხვა საღორე ღორი
ორთოლ ცხვრად რომ ღირდეს, ერთი ცხვარი, ერთი თევზი, ერთი გა-
სუქებული ყვერული, ორი სხვა ყვერული, ორმოცი კვერცხი, მუ-
შაობა, ლამჭრობა და სამსახური.

6. მართებს გოლეთიანს გიორგის ღვინო გორო თა-
ვი ბეგარა ექვსი და სანაადღდგომეო ოთხი, პური გორო თავი ბეგა-
რა სამი და ნახევარი და სანაადღდგომეო ორი, ერთი კარგი გასუქე-
ბული ტახი სადილის სანაადღდგომეო და ორი სხვა საღორე ღორი
რომ ორთოლ ცხვრად ღირდეს, ერთი ცხვარი, ერთი თევზი, ერთი
გასუქებული ყვერული, ორი სხვა ყვერული, ორმოცი კვერცხი, მუ-
შაობა, ლამჭრობა და სამსახური.

7. მართებს გოლეთიანა ხუცესს გიორგის ღვინო
გორო თავი ბეგარა ექვსი და სანაადღდგომეო ოთხი, პური გორო
თავი ბეგარა სამი და ნახევარი და ორი სანაადღდგომეო, ერთი გასუ-
ქებული ტახი სადილის სანაადღდგომეო და ორი სხვა საღორე ღო-
რი რომ ორთოლ ცხვრად ღირდეს, ერთი ცხვარი, ერთი თევზი, ერთი
გასუქებული ყვერული, ორი სხვა ყვერული, ორმოცი კვერცხი, მუ-
შაობა, ლამჭრობა და სამსახური.

8. მართებს გე[ო]რგობიანს ნასიდას ღვინო გო-
რო თავი ბეგარა ექვსი და სანაადღდგომეო ოთხი, პური გორო თავი
ბეგარა სამი და ნახევარი და ორი სანაადღდგომეო, ერთი კარგი გა-
სუქებული ტახი სადილის სანაადღდგომეო და ორი სხვა საღორე ღო-
რი რომ ორთოლ ცხვრად ღირდეს, ერთი ცხვარი, ერთი თევზი, ერთი
გასუქებული ყვერული, ორი სხვა ყვერული, ორმოცი კვერცხი, მუ-
შაობა, ლამჭრობა [92a] და სამსახური.

9. მართებს ხოჩას გოლეთიანს გიორგის ღვინო
გორო თავი ბეგარა ექვსი და სანაადღდგომეო ოთხი, პური გორო
თავი ბეგარა სამი და ნახევარი და სანაადღდგომეო ორი, ერთი კარგი
გასუქებული ტახი სადილის სანაადღდგომეო და ორი სხვა საღორე
ღორი რომ ორთოლ ცხვრად ღირდეს, ერთი ცხვარი, ერთი თევზი,
ერთი გასუქებული ყვერული, ორი სხვა ყვერული, ორმოცი კვერ-
ცხი, მუშაობა, ლამჭრობა და სამსახური.

10. მართებს გოლეთიანს მათვალოს ღვინო გორო
თავი ბეგარა ექვსი და სანაადღდგომეო ოთხი, პური გორო თავი
ბეგარა სამი და ნახევარი და ორი სანაადღდგომეო, ერთი კარგი გა-
სუქებული ტახი სადილის სანაადღდგომეო, ორი სხვა საღორე

ლობი რომ ორთოლ ცხვრად ღირდეს, ერთი ცხვარი, ერთი დეკა ერთი გასუქებული ყვერული, ორი სხვა ყვერული, ორმოცი კვერცხი, მუშაობა, ლაშქრობა და სამსახური.

11. მართებს გოლეთიანს ვიქელს ღვინო გორო თავი ბეგარა ექუსი და სანაალდგომეო ოთხი, პური გორო სამი და ნახევარი თავი ბეგარა და ორი სანაალდგომეო, ერთი კარგი გასუქებული ტახი სადილის სანაალდგომეო და ორი სხვა საღორე ღორი რომ ორთოლ ცხვრად ღირდეს, ერთი ცხვარი, ერთი თევზი, ერთი გასუქებული ყვერული, ორი სხვა ყვერული, ორმოცი კვერცხი, მუშაობა, ლაშქრობა და სამსახური.

12. მართებს გოლეთიანს სესიას ღვინო გორო თავი ბეგარა ექუსი და სანაალდგომეო ოთხი, პური გორო თავი ბეგარა სამი და ნახევარი და ორი სანაალდგომეო, ერთი კარგი გასუქებული [926] ტახი სადილის სანაალდგომეო და ორი სხვა საღორე ღორი რომ ორთოლ ცხვრად ღირდეს, ერთი ცხვარი, ერთი თევზი, ერთი გასუქებული ყვერული, ორი სხვა ყვერული, ორმოცი კვერცხი, მუშაობა, ლაშქრობა და სამსახური.

13. მართებს გოლეთიანს პა[ა]ტას ღვინო გორო თავი ბეგარა ექუსი და ოთხი სანაალდგომეო, პური გორო თავი ბეგარა სამი და ნახევარი და ორი სანაალდგომეო ერთი კარგი გასუქებული ტახი სადილის სანაალდგომეო და ორი სხვა საღორე ღორი რომ ორთოლ ცხვრად ღირდეს, ერთი ცხვარი, ერთი თევზი, ერთი გასუქებული ყვერული, ორი სხვა ყვერული, ორმოცი კვერცხი, მუშაობა, ლაშქრობა და სამსახური.

14. მართებს ფოჩიანს გოთრგის ღვინო გორო თავი ბეგარა ექუსი და ოთხი სანაალდგომეო, პური გორო თავი ბეგარა სამი და ნახევარი და ორი სანაალდგომეო, ერთი კარგი გასუქებული ტახი სადილის სანაალდგომეო, ორი სხვა საღორე ღორი ორთოლ ცხვრად რომ ღირდეს, ერთი ცხვარი, ერთი თევზი, ერთი გასუქებული ყვერული, ორი სხვა ყვერული, ორმოცი კვერცხი, მუშაობა, ლაშქრობა და სამსახური.

15. მართებს ფოჩიანს გოჩიას ღვინო გორო თავი ბეგარა ექუსი და სანაალდგომეო ოთხი, პური გორო თავი ბეგარა სამი და ნახევარი [და] სანაალდგომეო ორი, ერთი კარგი გასუქებული ტახი სადილის სანაალდგომეო, ორი სხვა საღორე ღორი რომ ორთოლ ცხვრად ღირდეს, ერთი ცხვარი, ერთი თევზი, ერთი გასუქებული ყვერული, ორი სხვა ყვერული, ორმოცი კვერცხი, მუშაობა, ლაშქრობა და სამსახური.

16. მართებს ივანე არჩვაძის ალაგს ღვინო გორელ ძმა-ბური გორთ სამნახევარი, ერთი [93a] კარგი გასუქებული ტახი, ქვა-თი თევზი, ერთი გასუქებული ყვერული, ორი სხვა ყვერულები შაობა, ლაშქრობა და სამსახური.

სხვა ამისი ბეგარა და გამოსავალი რაც ამას აკლია, საალაპოდ ცაგერიანს ბიეცით და ნურც თქვენ მოშლით.

17. აგრეთვე კაცია ლებსწვერიძეს მართებს ცაგერლის შეშაობა, ლაშქრობა და სამსახური.

სხვა მისი ბეგარა და გამოსავალი თემისათვის მიმიცემია: ნახევარი ესახელოველისათვის და ნახევარი ნაკურალევისა და ლახვთელისათვის ჩემად საალაპოდ და ნურც თქვენ მოშლით.

18. აგრეთვე შოშიტა გე[ო]რგობიანს მართებს ცაგერლის ლაშქრობა, სმევა, ჭმევა და სამსახური; სხვა ჩვენი ალაბი მართებს.

აწ ეს გლეხები ამისთვის გავაჩინე მოალაპედ, რომ ხატის [არ]ცერთი არ იყო, რომელი მეფისაგან ვიშოვე[1] ჩემის... თეთრით და რომელი სვანისაგან...

[ვინც ეს ჩუენგან გაჩენილი ალაბები მომალოს, [ჯერმეღა მას საუკუნესა ჩემთამცა] მუქარად გაკითხვით.

122. [წიგნი ქრისტეფორე კათალიკოზისა თბილელ ელისესადმი სამწყსოს მიბარების შესახებ]

[1638—1659 წწ.]

ქ. ჩუენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხეულმან ქართლისა კათალიკოზმა პატრონმა ქრისტეფორე მოგართვით ესე წიგნი და პირი თქუენ პატრონსა თბილელ მთავარეფისკოპოზსა ელისეს, ასრე და ამა პირსა ზედა:

თრიალეთს რაც საწალკელოს სამწყსოში სოფლები აწენდეს და შენობა ჩაეარდეს, ჩუენზედ შორს იყო და თქუენთჳს მოგვებარებია. საწირავს გარდაის რაც რამ იქაური გამოსალებელი იყოს,

[1] ვიშოვე] ვიც...

სარჯულო ანუ დრამა და სარგო. ნახეთ[ა]ის სვეტიცხოველს ნუ დაჰკლებთ და ნახეთარი თქვენთვის მოგკირთმევია. და ერთი ჩვენი ახ[ალ]ი ნაუ[რ]მვილიც გვიახლებია. სანამდისა თქუენს კელთ იყოს, ვერ-ვინაა. რობას სვეტიცხოველს ნუ გარდაუხუალთ.

ხელითა: ქათალიკოზი ქრისტეფორე

123. [ყუალობის წიგნი დიმენტი კათალიკოზისა ხუდადა ხოჯაშვილისადმი]

[1660 წ. 1 მაისი]

წებითა და შეწევნითა ღმრთისათა და მაცხოვრისა ჩვენისა ქრისტეს და ღმრთისმშობლის მარიდის ქალწულისა მარიამის[ათა] და ზეცისა ძალთა ანგელოზთა მიქელ, გაბრიელ და წმინდის იოვანე ნათლისმცემლის და წმინდის თავით მოკუეთილთა პეტრესი და პაელესითა და წმინდის გიორგის მთავარმოწამის...*

ესე ბანთა და ქამთა მოსარჩენი საფიცარი დაგიწერე და მოგეც ჩვენ, ყოვლის საქართველოს დიდმა მამამთავარმა კათალიკოზმა დიმიტრიმ თქუენ, ფრანგ ხოჯაშვილს ხუდადასა და შვილსა შენსა ზურაბისა.

ასე, რომ: პირველის წმინდის ქათალიკოზის და სხუათა შემდგომთა მისთა წმინდა ქათალიკოსთ ამგვარი საფიცარი და წიგნები გქონდა განთავისუფლებისა და შენის სახელოსი და ნასყიდი მამულისა და ყმისა სითარხნისა სიგლები ვიდრე ჩემა[მ]დინ, ყოველივე ჩვენ მოგვართვი და ვნახეთ; რადგან დაძველებული იყო და ჩვენ-ივინაც ეუწყებინათ განახლება, იაევე პირი გაგიახლეთ.

მას ქამს, ოდეს საფრანგეთიდამ მოსულიყო ნათესაი შენი საქართველოში დამდგარიყო დიდათ მიჩნეული ქართლის მეფისაგან და სარდრებისაგან და დარბაზ ბატონთაგან და ყოველთაგან და მეფეს მამულიც უძლია სადიდკაცო, რადგან მამულის მქონებელს ლაშქარი, პირობა და სამსახური მეფისა ქონიათ, ის უნდა...** ნასყიდობას დასჯერებია, ისე ყოფილა.

და მას უკან ბატონს ქათალიკოზს გასწყობია და სვეტისცხოველს ჩრდილს ქვეშ შემოუყვანია და ცხრა კომლი კაცი სვეტისცხოველისათვის მიურთმევია, თავისის საქონლებითა, სიგლებითა ხელთ მიუცია ხუთი ქალაქს და ოთხი გორს და ბატონს ქათალიკოზს სვე-

---

* აკლია სამი-ოთხი სიტყვა.

** აკლია ერთი სიტყვა.

ტისცხოვლის მემკოდრეთ დაეწერია და სახელი და საქმეც[ე] სამსახური დაუძსთ.

ამათი ანუ სხვისა რაც ვაჭარი შეჭულბაკე ყმა ყოფილა[სვეტიცხოველ]ს ცხოველს ქალაქს, ანუ გორს, ანუ ქართლში, ანუ კახეთს, რადგან არავის ჭონიათ ხელი მოურაობა, თქუენთვის მ[ი]ც[ა]თ და მამასახლისი ვისაც გინდოდეს, იმას დაყენებდეთ: ვერც სხუა კაცმი იასაულოს ამათში უშენოს კაცოთ.

ამასდ[ა] გარდა მიეცათ ნიშნის პატრონობა მეფისა და დედოფლისა, ბატონისშვილებისა, დარბაისლებისა და უფლისწულებისა: წასახურავიცა თქუენის ჭელით მიერთმევოდეს და ნიშანიც თქუენ მოგბ[არ]დებოდეს. და ათ წილათ განაყოს: ერთი სვეტიცხოველსა სჯიროს, საკმლისა[1] და ზეთი მიერთმეოდეს, ოთხი ჭათალიკოზმა დახარჯოს, ერთი დეკანოზსა თავისის კრებულითა და წირვა არ დააკლოს, და ოთხი წილი სვეტიცხოველს შეენახოს.

ქალაქს ვინც გინდოდეს, იმას მიაბარებდე, ყმას უყოდდე, ტყავეს ღაიხსნიდე: სვეტიცხოვლის ყმათა ანუ აშენება რამ მოუნდეს, იმაზე დაიხარჯოს, ანუ ავის დროსთვის ჭათალიკოზმა დახარჯოს: ამაში თქუენი სარგო ათის ცხენზე ერთი თქუენია. ეს მეფისა და ყოველის დიდის კაცის გარიგებული[ა].

ამასდა გარდა მეფეს უფლის ცხე საჭილდაოთ მიეცა და არ ენდომებინა, სვეტიცხოველისათვის წეწყირვინებინა; მოურაობას ვერ ვინ გეცილოსთ და რაც ბეგარა მეფის განწესებული აქვანნ, ისე ამსახურებდეთ და რომელიც მოურაობის წესი და მართებული იყოს, ისე იმსახურეთ და სხუა კაცმა მოსაქმედ ვერ გაიაროს.

ამასდა გარდა შენი ნასყიდი ქალაქს — სახლი, კლდის უბანში, ციხისაკენ;
გორს — ლიახვისაკენ, ციხის ძირზე და ვარდის უბანში სახლ-ბაღი და ყმის სახლები;
ცოხს აქეთ — ხოდაბუნი სარბევი;
ჯიგრაშენი, თავისის ჭალითა;
მტკვარზე — წყალთა შეათა საწყლისპირო სანავით;
გორის მხარეზედ — გედგინიძე, ათანესი შვილი, დავითისაგან მოსყიდული;
გორს — ბერაძე დათუნა თავისის შვილებითა, მინბაშისაგან მოსყიდული: კოტოშიძე თანდილა, მახატ-

[1] საკმისა.

ლისაგან მოსყიდული; გოჩიძე[1] ბერეკა თავისის შვილითა, აბაშიძე ბერის მოსყიდული;

ახლდაბას — ზემოაშენდა თავისის გლეხით: ჭრიკიშვილი, მეტრეველი, პაპიძე, მჭედლიძე, ნინიასშვილი, ფუტკარაძე. ძამასშვილი თავისის განაყოფებით, თვრამეტი კომლი წყლით, სამძღვრითა, საყდრითა, წისქვილის ადგილებითა ლიახვის პირზე, სასაროთი, ბაღითა, ჭალითა ცალკანდის შვილის ჯაფარიძისაგან მოსყიდული;

ბერძენაული მინდორი, ბერძნებისაგან ნასყიდი, დავითის შვილისაგან თქუენთვის მოსყიდული ბერძნებისაგან თქუენგან აშენებული თქუენთვის სოფლად;

მოხსენი იმე[რე]ლ მეფისა [იყო] და ცხენი ყოლია დიად გამოჩენილი. ის ცხენი უთხოვნია მეფეს ბატონის ქათალიკოსისათვის: მიშოვნეთ და მიბოძეთ; და ებძანათ მიკუმათ. და მოუხსენებია მას მოვლინებულისა წერეთელთან ქათალიკოზისთვისა: იმერელ მეფე თუ შემოსწირაეს სვეტს ცხო[ვ]ელს მოხსე[ნ]ა, თქუენც უბოძე ცხენი და ორმოცი თუმანი თეთრი, უმამულოთ ხლებასა ჩემს ძრას კელი მიეყობისო; და რა ემხილა სიტყვანი მეფისათვისა, მაშინვე ებრძანა მიცემა. და რადგან სვეტიცხოველი ვახსენეთ, მისი ბეგარა დავიდებთ ამ წოხისზედაო, მეფისა და ბატონისა ქათალიკოზ[ი]სა: თორმეტი ქოდი წმინდა პური, სამი კოკა ღვინო, ერთი მცხვარი, ნახევარი ლიტრა სანთელი, ერთი ჩარექი საკმელი, ერთი ლიტრა ერბო, სამოცი კვერცხი სვეტიცხოველობას ქათალიკოზს მიერთმეოდეს თქუენის კაცის კელით. სხუამ კაცმა ვერ გაიბროს. ცხენი მიეცი და ორმოცი თუმანი თეთრი; არის შენი ნასყიდი.

და ასე განაწესებინა მეფეს და ქათალიკოზსა; და ოთხი პირობა გქონდათ;

ერთი — მამული ესე და სახელო არ გაიყოს და არცა გაისყიდოს, რომელიც უფროსის კაცის შვილი და თვითვან ხნით უფროსი არის, იმისია; თუ უმცროსმა იშოვნოს ეს წიგნები, ანუ სხვა გვარმა კაცმა, ისევ წაართვას და უფრო[ს] უბოძონ.

მეორე — არ მოგიშალონ ეს სახელო და შენი ნასყიდობა.

მესამე — სითარხნე რაგვარათაც ზემო გიწერია, არც ვინ გაგანდეს მოცილე; არც სალთხუცესსა[3] აქვს კელი, არც სარდალს,

---

[1] გოჩიცე. [2] +მაჯის. [3] სალთხუცესისა.

არც მოლარეთ-მოკუმნავესა; თქუენ და თქუენს სახელოსა ჟმსა განთავისუფლება არიდეს: არც დიდსა და ცოტას დაჭირებაშ[ი] სვეტისცხოველისა, არც პატრონისა კათალიკოზისა, არა სახეელი, არა საკმელი, ხარჯი, თოვლი, არა სალარანი, სალბაში, არა ბაჟი, სათათრო.

სამეფო რომე ხარჯი გამოეარდეს რამე, რაგვარათაც[1] სამატონო კაცების ეფლისწულს ვერ სთხოვონ რამე და თუნდა მათ კიდეც გამოართუან რამე, თქუენ სვეტისცხოველის და ჩუენი სიგელი ვერავინ მოგიშალონ; ლაშქარ-წადირობაზე კათალიკოზის მეტმა ვერავინ გაბძანოს და არც ვის ხელი ჰქონია.

მეოთხე — ვინ იცის, მოგუყვანოს და აღარ უნდოდეს ნათესავს შენსა სვეტისცხოველის ჩრდილს ქვეშე და შენდობა ინდომოს, მოხისი და უფლისციხე სვეტსცხო[ვ]ელს დაუდვას. კათალიკოზმა შენდობა მისცეს.

და მე ღმრთის წინაშე დიად დაბალი, და ქვეყანაში წოდებული დიდი კათალიკოზი დომენტი შიგნიერ პატრონს წმინდას კათალიკოზსა და გეუედრები: რა იხილო სიგელი ესე, დაამტკიცო და გაწუაწლე; და აიღე უღელი ეგე ქედის ჩემისაგან; და რაჟამს გამოხვიდე წუთის სოფლიდამ ამიერ სოფლად, ნებით ქრისტესით მოგეგებოთ და ამბორს გაცემდე და მიგხადოთ წინაშე უფლისა და მარადის შენთვის მლოცველი, მარადის ლოცვათა შინა.

დამ[ამ]ტკიცებელი აკურთხოს ღმერთმა და დაამტკიცოს ყოველთა მაკურთხეველთა.

მაისს ა, ქორონიკონს ტმწ.

ჩემსა რამეთუ კაცი ესენი ხეცი, მაგრამ მართალი. დიდ-მა ხთმინო, უსისხლო, უშფოთელი, არც ნათესაი ამათი მთხოვარი, დიდათ ეროვნელი. ავდროს კათალიკოზი ქართველთ და მეპატრონისა მიჩნეულა, ყოფილის დიდის კაცის შვილთაგან ვერც ერთის ავის მქნელის მპოვნელი, ეიდრე აქამდის და ესრეთ მიიჩნიეთ თქუენცა.

ვინ იცის, ავნოს ვინმე, სისხლი ამისი სვეტისცხოველისა არას აღებულა; თუ გაღება მოეხდა, თვითვან გაიღებს; რომლის უფლისწულნი განიღებენ ანუ აიღებენ. ამათიც ასე ყოფილან მწიგნობარნი.

---

1 რაგვარათაც.

ჩვენ, დეკანოზსა ჯვარისასა დანიელს დამწერ-
რია; და რაოდენი მაღწყა წმიდაჲსა დიდჲსა ყოველსა სალოცავსა,
რაჲთუ ნუ ერთი თჳთ ჩემით არც ერთი წინწილი არ ჩამოვიმასოვე.

[მინაწერები]

ლმრთის წინაშე მე, ჯულაბას შვილმა დავითამა ამისი ასლი ვნახე და ეს სავადი გადმოვწერე. ✝

მე, ბაბალაანთ გიორგისა შვილი, ავთანდილმა ამისი ასლი ვნახე, ამ სავადზედ ჭელი მოვაწერე [ავთანდილ]

ამისი ასლი ვნახე და ეს სავადი დავბეჭდე, მე, გაბაკეანთ იოსებამ [ ]

მე, აღალუანთ დავითის შვილი მანუჩარმა, ამისი ასლი ვნახე და ეს სავადი დავბეჭდე [ ]

მე, გორის მამასახლისი ზურაბამ ამისი ასლი ვნახე, ეს სავადი დავბეჭდე[1] [მონა ღთისა მამასახლისი რაბაზ]

მე, თაყაიშვილმა ზაალმა ამისი ასლი ვნახე, ეს სავადი დავწერე [მონა ღთისა თაყაიშვილი ზაალ]

მე, ბარამაშვილმა ღვთისავარ ამის ასლი ვნახე, ეს სავადი დავბეჭდე [მონა ღვთისავარ]

ამ ზემო ნაწერის სიგლის ასლი ვნახე და ეს სავადი[2] დავბეჭდე მე, დავრეშაანთ ფარსადანაშვილმა თომამ.

მე, ამირაღაშვილმა ღვთისავარამ ამის ასლი ვნახე, ეს სავადი დავბეჭდე [ ]

[1] დავბეჭდე] ვნახე. [2] სავადი.

ღვთის წინაშე მე, პაპაანთ გოდერძასშვილმა პაპამ ამის ასლი ვნახე და ეს საცადი ისრე დაებეჭდე



მე, ოქიმუდალაანთ მანდურაშვილმა ამისი ასლი ვნახე, ეს სეცადი ისე დაებეჭდე

... ასლიდგან თანასწორ გარდმოწერილ არს. პეტეგორაია ლუბერსკის სეკრეტარი მიხაილ კანდელაკოვი.

124. [წყალობის წიგნი ზაქარია კათალიკოზისა იოვანესადმი]

(1657—1660 წწ.)

[ჩუენ], ქრისტეს მიერ კურთხეულთან აფხაზეთისა კათალიკოზმან და გენათელმან ბატონმან ზაქარიამ ესე საბოლოოდ გასათავებელი, მტკიცე და ყოველთურთ მიზეზ-მოუღებელი წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და გიბოძეთ შენ, იოვანეს და შენსა ძმასა და შენთა შვილთა და მომავალთა საბლისა შენისათა.

მოგეცით საკანდელაკო კაცი მოსახლე მიქაძე მიხაილა და მისი შვილი თომიხილაი, ქვაჩალაი და მისი ძმა მათითა მიწა-ადგილითა და ყოველისფერითა; ისრე, რომე ქამთა ვითარებისაგან გამორთმეული იყო და მოკითხული ვქენით და ბატონის მამიკ დადიანისა და ლევან დადიანის წიგნები ვნახეთ და დიდი წყევლა და კრულვა ეწერა; და წყევაში ვეღარ შევვარდით და ჩუენსა ასრე დაგვიმტკიცებია.

და გიბედნიეროს ღმერთმან ჩუენსა ერთგულობასა და საყდრის სამსახურში. ჭრთამიც აგართუით, როგორაცა გული შეგუიწერებოდა. გქონდეს მკუიდრად და მოუშლელად და არავდეს არ მოგეშალოს. და ვინცა მოგიშალოს ჩუენთამც მუქუად განიკითხეის.

არის ამისი მოწამე თავად ღმერთი და კაცთაგან: ჯოჯუა ჩიჭიწაძე, მთავარდიაკონი ზებედე, მესტუმრე ოტია ლალიძე, მახარებელი კახიძე; მოკლულნი: ბაბაშია ქავთარია, ბაბაშურაი არჩაია, კიღუ გირგოლაია და თოთაია ქავთარია.

ხელთვე: კათალიკოზი ზაქარია

125. [საკანონოს დადების წიგნი ზაქარია კათალიკოზისა ვამეყ დადიანისა და სვიმონ გურიელისადმი]

[1657—1660 წწ.]

წყალობითა და შეწევნითა ღმრთისათა და მეოხებითა ყოვლად წმიდისა ბიჭვინტისა ღმრთის-მშობლისათა, ჩვენ, მონამან და მოსავმან ღმრთისამან, აფხაზეთისა დედა-ქალაქისა კათოლიკე სამოციქულო ეკლესიისა ბიჭვინტისა საჭეთმპყრობელმან კ ა თ ა ლ ი კ ო ზ მ ა ნ ქ ვ ა რ ი ა ნ მ ა ნ ზ ა ქ ა რ ი ა, მას ჟამსა, ოდეს დაჯდა დადიანად იმავ დადიანის სახლისკაცი ლ ი ბ ა რ ტ ი ა ნ ი ვ ა მ ე ყ, მ ე ფ ე თ-მ ე ფ ი ს ა ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს მიდგომითა გაბატონდა და ამისობაშიგან მრავალი საკანონო საქმე გამოერია.

და ჩვენ დაველაპარაკენით დ ა დ ი ა ნ ს ვ ა ნ ე ყ ს და გურიელის ასულს დ ე დ ო ფ ა ლ ს ა ე ლ ე ნ ე ს; და დიდს ხვეწნითა საკანონოდ დაეადებინეთ და შევაწირვინეთ ბიჭვინტისა ღმრთის მშობლისათვის: ს ე ნ ა კ ს საყდარი მაცხოვრისა, ორის მისის სასახლითა, ლ ე ჯ ი ს ტყითა და ო დ უ ა კ ა თ ა, მისის შეწირულის მამულითა და რაც მის გუჯარსა და დავითარში ეწეროს ყოველის ფერითა.

აგრეევე ს ვ ი მ ო ნ გ უ რ ი ე ლ ი გაბატონდა მეფეთ-მეფემან და გურიელის შვილი ბერი დ ი მ ი ტ რ ი აწვილა და გაბარესა. და სადამდი ა კ ე თ ი საკანონოდ არ დაეადებინეთ, მანამდის ჩვენ შენდობა არ მიეცით და არც ნება დავრთეთ.

და აკეთი საყდარი მისის სასახლებითა და ყოველის ფერითა გ უ რ ი ე ლ ს ს ვ ი მ ო ნ ს და დ ი მ ი ტ რ ი ს შევაწირვინეთ.

აწ ეს ორი პატრონი საყდრები მე ჩემს დროში გამირიგებია და შემიწირვინებია მათის მამულებითა და მათის გამოსაველითა ყოველის ფერითა და სასახლებითა.

დადიანს ს ე ნ ა კ ი ს შესაწირავი წყევა-კრულობით სიგლები დაეადებინეთ. და აგრეევე გურიელს ა კ ე თ ი ს წყევა-კრულობით შესაწირავი საფიცარი სიგლები დაეადებინეთ, რომ ეს ორი საყდარი ბიჭვინტას ღმრთის-მშობელს არაოდეს არ მოეშალოს.

აწ ვინც და რამანცა კაცმან...*

---

* ბოლო აკლია.

126. [საკანონოს მირთმევის წიგნი ვაჩეც დადიანისა კათალიკოს ზაქარიასადმი]

1657—1660 წწ.

...*[ესპა ასული შვენიერო იოვაკიმის ნაყოფო სიტკბოებით აღსავსეო, ანნას მორჩილ რტო გარდაფენილო, სოლომონის ვენახო რჩეო მეწამულო, დავითის ყუ[ავილ]ო დაბადებულ[თა] სურნელმყოფელო, იესეს დი[დებითა აღყუავებულო, იუდას შრომ[ანო, ყოველთა დაბადებულთა სამკაულო, იაკო[ბის კიბეო ზეცად მიმართ აღმართებულო, [ისაკის ვარდო უბი[წოებით აღყუავებულო, აბრაამის კვირტო დ[იდებით აღმოცრჩვენ]ილო, სემის დასაბამო, ნათესავთა დიდებაო, ნ[ოეს სულისა სამოს]ელო დაულპობელო, ევას ნათელო და მწუხ[არებისა უჩინო მყოფველ]ო, ადამის დიდებაო, სამოთხეო პირმეტყუ[ველო, ღმრთისა მამისა მხო]ლოსა წინათვე გამორჩეულო და ძისა ღმრთისა [მხოლოსა პირველ ს]აუკუნეთა მამისაგან შობილისა დედად ქალწუ[ლებით უთესლოდ მ]შობელო, გაწმენდებულად სულისა წმიდისა ტაძა[რო, სამებისა წმიდისა ცნ]ობისა მომატყვებელო, რომელმან ერთი სამებ[ისაგან შეიწყნარე და უა]ღრეს ყოველთასა დაბადებულთა უშევ ძე მხ[ოლოდ შობილი უნ]მობელად და უხრწნელად:

შენ გარდამოიყუანე [ღმერთი ქუეყანად და აღ]იყუანე ადამ ზეცად; შენ აღამაღლენ ბუნება ესე დაცემული და დასვი] საყდართა ღმრთაებისათა, რაჟამს ავასხენ ღმერთმა ბუნება ადამიანთა და შევ] ღმერთი და კაცი ორითა ბუნებითა, ამისთვისცა მიიღო, რომლისა იგ[ი] მიღებად გული უთქმიდა ადამს.

შენ მშვიდობა შეე ორისა[ვე ცა]თა და ქუეყანისა სისხლის ძისა შენისათა; შენ დაჰსენ მტერობა იგი პირველ[ი, რ]ომელი იყო შორის ანგელოზთა და კაცთა, რაჟამს იქმენ ცა ქუეყა[ნა]ა ზედ და მიწისა ცათა შინა;

შენ ღრუბელო ნათლისაო, [რომელმან] ცვარი აიბარულისა და ცვარი ცხოვრებისა და ცვარი სიტკბოებისა აღერიე და აღავსე ქუეყანა ურწყული ნაყოფთა მრავალ ფერითა, რომლისაგან გაუძლომელად სურის ყოველთა დაბადებულთა მიღე[ბ]ად ტკბილთა მათ ნაყოფთა ღმრთის მეცნიერებისათა;

---

* თავი აკლია.

შენ შვიდ ცათათ ე[მ]ალლესო და ქერაბინთა ეზეთაესთ
ჩუენო სასოებავ [და] შუს[ა]ედრებელო, ტკბილო და მოწყალეო
მეოხო და ნუგეშინისმცემელო [ბი]ჭვინტისა ღმრთის-მშობელსა!

ჩუენ ცეა-ფარვათა შენთა მოსდობილმან და მსახებელმან ძისა და შეუფისა შენისამან, ჩუენ, ჯელმწიფემან [და]დიან-შან პატრონმან ვამეყ და თანამეცხედრემან ჩუენმა გურიელ[ის] ასულმან დედოფალმან პატრონმა ელენემ და ძეთა ჩუენთა გ[იორგი] და ბაგრატ ეიგუელეთ და ეიგულსძოეიდგინეთ. [გ]კადრეთ და შემოგწირეთ შენ, ცათა მობაძავსა ბიჭვინტ[ი]სა ღმრთის-მშობელსა გურიას საწინამძღურო მაცხოვარი აკეთისა.

მას ჟამსა, ოდეს დიმიტრი ბერად იყო და შერმე გურიელად დავსვით; და ბერობის დაგდების საკანონოდ შემოგ[წ]ირეთ და[1] მივაბარეთ ბატონს კათალიკოზს ზაქარიას ქუათიანსა მისის შეწირუ[ლობის] მამულითა, გლეხითა, შენითა და ბარტახითა, გასავალითა და გამოსავალითა, სძებრითა და უძებრითა, რომელიც მაცხოვრის აკეთისა ყოფილა ბი[ჭვი]ნტისა ღმრთის-მშობლისათვის შეგვიწირავს.

აწე ვინც[ა] რამანცა ძემ]ან კაცისამან: დიდმან ანუ მცირემან, დადიანმას ანუ დედოფ[ალმა]ნ, ანუ კათალიკოზმან, ანუ სხეა ვინმე ბატონმან ამისად მლად, ქცევ[ად] და გამოსხმად ჭელმყოს, მასმცა რისხვას თავად დაუსაბამო ღმერთი [და] მხოლოდ შობილი უფალი იესო ქრისტე, ძე ღმრთისა [და სული წმ]ინდა ცხოველსმყოფელი მამისაგან გამოსრული.

შე-მცა-ედების ძ[რ]წოლა კაენისა, შიშთეილი იუდასი, მეხდატეხა დიოსკორესი, სირცხ[ვი]ლი კრისკანტი და საბიანესი, დანთქმა დათან და [აბირონისი]; და მაზედამცა მოიწეევის წყევა იგი მეძავთა ფსალმუნისა და [ი]უდას თანამცა დაისჯების სული და ჯორცი ძისი და [ნურორათა] სინანულითა არის ჭანა სულისა მისისა.

და დამამტკიცებელნი ამი[სნ]ი ღმერთმან აკურთხოს და ბიჭვინტისა ღმრთისმშო[ბელმან].

[და მო]ძმლელი ამისი წყეულ, კრულ და შეჩუენებულ იყოს ცათა შინა და ქვეყანასა ზედა.

დაიწერა წიგნი და ბრძანება-სიგელი ესე ქოროხიკოსისა...*

ხელთა: ვამეყ. ელენე.

---

[1] და] რა.

* ბოლო აკლია.

127. [საკანონოს მირთმევის წიგნი სვიმონ და დიმიტრი გურიელებისა კათალიკოს ზაქარიასადმი]

ეროვნული ბიბლიოთეკა

[1657—1660 წწ.]

...*[მინდობითა და შეამდგომელობითა ყოველად ხელმწიფისა და უმეტესად ზესთა აღმატებულისა, უფროსად კურთხეულისა, ყოველად ბიწიერებელისა] ქალწულისა სანატრელისა მარიამ, სიტყუის ღმრთისმშობელისა; ძლიერებითა ცხოველსმყოფელისა, ცხოვრება განმაძლიერებელისა ქრისტეს მეუფისა მკლავ ფერხთა ზედა დამსჭუალვით სისხლმეწამულისა სამეუფოსათა და ყოველთა წმიდათა ღმრთისა, სათანოთა ზეცისა ძალთა, ანგელოზთა და მთავარანგელოზთა, წინამორბედისა იოანე ნათლისმცემლისა და ყოველთა წამებულთა დედათა უმეტესისათა, წმიდათა მოციქულთა და წინასწარ მეტყუელთა, მამათა, მამათ-მთავართა, მღუდელთ-მოძღუართა, მოწამეთა და ყოველთა წმიდათა ღმრთისათა თავდებობითა:

ესე წიგნი და სიგელი მოგართვით თქუენ, ყოველად სანატრელსა და პატიოსანსა ღმრთისა სათნოდ დიდისა და ზესთა აღმატებულსა ბიჭვინტისა ღმრთისმშობელისა ზედამჴედმარესა ა ფ ხ ა ზ ე თ ი ს ა კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ს ა პ ა ტ რ ო ნ ს ზ ა ქ ა რ ი ა ს, ჩუენ, პატრონმან გ უ რ ი ე ლ მ ა ნ ს ვ ი მ ო ნ მან და პატრონმან დ ი მ ი ტ რ ი გ უ რ ი ე ლ მ ა ნ ასრე და ამა პირსა ზედან, რომე:

ბედნიერმან კ ე ლ მ წ ი ფ ე მ ა ნ ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე მ ე ფ ე მ ა ნ შეგვიწყალა და გურიელობა გუიბოძა და ბერად აღთქმული ვიყავით და შენდობა გთხოვეთ და გუიბოძეთ. და მისდა საკანონოთ მოგართვით ა ქ ე თ ი ს საწინამძღრო მისის მამულითა, შესავლითა და გასავლითა, რისაც მჭონებელი იყოს და ამ ყოფილიყოს უკლებლად და ყოველისა კაცისაგან შეუცილებელად.

და შევსწირეთ წმიდასა და ზესთა აღმატებულსა უპატოსნესსა და წმიდათა უწმინდესსა ცათა მობაძავსა ყოვლად პატიოსანსა დედასა და ქალწულსა ბიჭვინტისა ღმრთის-მშობელსა, ჩუენსა სასოებასა და მეოხსა სულისა და ჯორცის ჩუენისასა დამხსნელსა[1] ყოველის ბოროტისაგან, ხილულთა და უხილავთა მტერთაგან და ცოდუათა ჩუენთა შესანდობელად და ბრალთა აღსაჴოცელად.

---

[1] დამხსენელსა.

* თავი აკლია.

აწე თქუენ წმიდაო და ყოველად განწმ[ე]დილო სულო უხ[ილ]ო. ჰეშმარიტი მეუფეო, მატონო კათალიკოზ[ო], წელიწადისა მოქ-
ცევასა თქუენით ყოველად წმიდით და პატიოსნითა თავითა[ვ]ით
გუთხრობდეთ თქუენის კრებულთა და სოფელსა ამას შინა ლოც-
ვას გვიყოფდეთ.

ესე ასრე შეიწირე ყოველად წმიდაო ბიჭვინტის ღმრთის-მშობე-
ლო და ნაკუერალ გუაგე დღესა მას დიდსა განკითხვისასა და სო-
ფელსა ამას დაგუიცველ უშფოთველად, სიმართლით და დღეთა სი-
გრძით.

ხოლო აწ ვინცა და რამანცა კაცმან: ანუ მეფემან, დედუფალ-
მან, დადიანმან, გურიელმან, კათალიკოზმან, ეპისკოპოზმან, თავად-
მან ანუ აზნაუ[რმან შლ]ად და ქცეულად ჴელყოს, რისხაესმცა მამა, ძე
და სული წ[მიდა და ყოველნი წმიდანი ღ]მრთისანი, ჯორკელნი
[და უხორცონი და სამას ათრუაშეტნი მამანი; და ნუ]რარათამცა სი-
ნანული[თა ნუ იქმნების ხსნა სულისა და ჯორცისა მისისა]...*

128. [მეწირულების წიგნი გენათელ-ნიკორწმიდელ გედეონ ლორთქიფანიძისა გელათისადმი]

[1664 წ.]

...**სასწაულთა ...***დავით მეფეთა საჭელდებ[ითა]...*** ქმითა
მით სანატრელითა შე[ვსწირე]...*** მეორედ იელუსალიმად[1] აგე-
ბულ...**** და შიგან მსხდომსა ხახულისა და გაეხათის [ღმრთის-
მშობელსა ე]სევითარი მცირე, უნდო და ქნინი შესაწირ[ავი]...****
მოსავმან და მსასოებელმან ძისა და სახისა თქ[ვენისა...**** ლ ო რ-
ქ ი ფ ა [ნ ი ძ ე მ ან გ ა [ე] ნ ა თ ე ლ-ნ ი კ ო ლ ო ზ წ მ ი დ ე ლ მ ა
გ ე დ ე ო [ნ მ ა]...**** საკუთარ-ქმნილი მამული შენი და წილ-
[ხდომილ]ი...**** ერი(?) ესეთს იწროებასა, ოჯრებასა და მწ[უხარე-
ბასა შინა ი]...****ყო ოთხსა-ხუთს წელიწადს, რომე რა [არაოდეს
მოს]...**** ულიყო, ესეთი შფოთი და ურევა მას აქათ [არავინ ისმი-
ნოს და არცა ვის სმ]...***ენოდა.

და ბძანებითა თქუენითა ტაძრ[ის მიწა-ადგილი]...*** და მეურ-
ნეობა მოგებოძე და ტაძარსა თქუენსა [მოსაყდრე ჴ]ერ-გექმენ; და

---

[1] იელუსალიმად.

* ბოლო აკლია.

** მარცხენა ზემო კიდე მოხეულია.

*** აკლია ოთხი-ხუთი სიტყვა.

**** აკლია ორი-სამი სიტყვა.

ესეთი ცდა და ღონისძიება ექნებით, რომე ერთს მონასა და მეგობარსაც არა ევნო რა ყმასა თქუენსა; და არცა რამე დაკლებულ[ი] ყოფილ[ი]ნა მამულის მის თქუენთვის შემოწირულის[ა].

მას აქათ მოხედვა ჰყო ღმერთმან წყალობისა თვალითა იმერეთსა ზედა და მკუეთრი პატრონი ეიშოვნეთ და ჭეშეყანამ დაწყნარება და დამშვიდება დაიწყეს.

მას აქათ ვიგუ[ლისმო]დგინეთ და ვიგ[ულისმო]დგინეთ და ბძანებითა მეფეთ-მეფისა პატრონისა ბაგრატისათა და დედოფალთ-დედოფლისა ქართველთ მეფისა ასულისა პატრონისა თამარისათა კაცია კუჭაიძისაგან მაჭუტური ვიყიდეთ; [არგუეთის] ველი ციხე იყო და აღშენება დაუწყეთ და გლეხებს დასახლება; და საზღვარი ამისა: მეხური მთამდის სკანდურს დაღმა, სკანდის შარას შემოღმა, აქათ თხილთა წყაროს ღელემდის და იქით სკანდის ღელემდის.

ამ შეაზედ რაც მიწა-ადგილია, ყველა უკლებლად და ჭელშეუვალად ვიყიდე; არას კაცს ამაშიდ ჭელი აღარა აქუს რა. და ბაგრატ მეფის ბრძანებით და ნებადართულობით ხახულისა და გაენათისა[1] ღმრთისმშობელს შეუსწირე, მეფის პატონის ბაგრატისა და დედოფლის პატონის თამარის სადღეგრძელოდ და ნათესავთა მ[ა]თთა განსამრავლებლად, სახსრად და საოხად სულისა ჩემისად.

ამაშიდ, ღმერთმან უწყის, არა ნაძალადევი და არა ნაუსამართლო არა ურევია რა, ჩემის ალალის თვთრით მიყიდია.

ესეთი მცირე და კნინი შესაწირავი შემიწირავს ხახულისა და გაენათისა[1] ღ[ვ]თის-მშობლისათვის. შეიწირე შენ, წმიდაო დედოთალო ღმრთის-მშობელო, ვითარცა შეიწირა ძემან შენმან წვლ[ილ]ი ოგი ქურივი[სა]...*

აწე ვინცა და რამანცა ძემან კაც[ისამან] ამისად შლად, ქცევად და გამოხვეებად ჭელჰყოს: მეფემან ანუ დედოფალმან ანუ სხვამ ვინმე მეპატრონეთაგანმან, [ანუ] ეპისკოპოზმან, ანუ ერისკაცმან, ანუ დიდმან, ანუ მცირემან ამისი გამოწირვა და გამოხვება გენათს ჰკადროს, მასამც რისხვას თავად ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანი ზეცისანი და ქუეყანისანი უპოროცონი და კოროციელნი.

შე-მცა-ედების ძრწოლა კაენის, შიშთვილი[2] იუდა[სი], ქეთრი გ[ე]ზისა, მოშთობა გმირთა, დაწვა სოდომელთა, დანთქმა დათან და

---

[1] გაენათისაა. [2] შიშთვილისა.

* აქლია ორი-სამი სიტყვა.

აბირონისა და დანთქმულება შეგვიპტელთა, მეხდატეხილობა დიოსკორესი, სირცხვილი კრისკენტი და საბიანესი და მას ზედამდგომელი თწეულის წყევა მეასდარვისა ფსალმუნისა; ანნა და კაიაფას თანამშკ... აქუს ნაწილი ცხოვრებისა მისისა.

დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხოს და წმიდამან ღმრთისმშობელმან.

მეშმლული და შემცვალებელი და გამომწირველი ამისი წყეულ, კრულ და შეჩუენებულ იყოს, ამინ და ამინ.

დაიწერა წიგნი ესე ქორონიკონსა **ტნბ**, ქელითა ფრიად ცოდვილისა მღდლისა თ ე ო დ ო ს ი ს ა თ ა.

ბეჭედი ბაგრატ მეფისა
ხელრთვა: თ ა მ ა რ
ხელრთვა: გ ე ნ ა თ ე ლ ი

მარცხენა კიდეზე

ქ. წყალობითა ღმრთისათა დავითიან ბაგრატოანი მ ე ფ ე სრულიად ლიხთამერთა ს ო ლ ო მ ო ნ ვამტკიცებ ნებითა ღმრთისათა.

და შემდგომთა ჩემთა განვაკრძალებ, რათა არავინ იკადროთ შლად ამისა. შჯულეელი ცეცხლით დაითმენეთ და მწუხარებით განბეიდეთ ამიერ და მიეცეთ სატანჯველსაცა დაუსრულებელსა რისხვითა ზეგარდამოთა.

ქრისტეს აქათ **ჩლპბ**.

ბეჭედი: კეთილ ძირთაგან რტოანი მეფედ ვარ ბაგრატოანი ს ო ლ ო მ ო ნ.

129. [ერთგულების წიგნი ნიკოლოზ ნიქოზელისა კათალიკოზისადმი]

[1666 წ. ახლოს]

[სახელითა ღმრთისათა, მამისა], ძისა და წმიდისა სულისა; ძლიერებითა ყოვლად წმიდისა, ყოვლად ბილწ-შეუხებელის დედოფლის ჩვენის ღმრთისმშობელის და მარიამის ქალწულის მარიამისათა; ძლიერებითა ცხოელს მყოფელის ჯვარისათა; მინდობითა და შეამდგომელობითა წმიდის მოწაფისა იოვანესითა და იოვანე ქალწულ მახარებელის ღმრთის მეტყველისათა; მინდობითა და შეამდგომელობითა სვეტისა ცხოველისა და კვართის საფუძვლისითა და მირონის ღმერთ-მყოფელისათა ესე საფიცარი წიგნი მოგართვი მე, ნ ი კ ო ზ ე ლ ე პ ი ს კ ო პ ო ზ მა ნ ი კ ო ლ ო ზ ფ ა ვ ნ ე ლ ი ს შ ვ ი ლ მ ა თქვენ, ბატონისშვილს ბატონს კათალიკოზს.

ასრე, რომე: თქვენ გვაცურთხეთ და ჩვენ ეს საფიცარი მოგვარ-
ვეთ. დღეს და დღეის იქით თქვენი ერდგულნიც ვიყვნეთ დაუძლეველ-
ნის საყდრისაც. არც თქვენი წინა აღმდეგობა ექნა. ჩვენი სამწყსოც
როგორც თქვენ მიბძანოთ, ისრე მწყსოთ; რომელიც ჭელით გამო-
მივიდეს, ისრე გვსაბუროთ.

ხელრთვა: ნიკოლოზ

130 [ზედწირულების შეარვის წიგნი დოვენტი კათალიკოზისა სვეტიცხოველისადმი]

[1068 წ. 12 დეკემბერი]

ჵ. ჩუენ, ქრისტეს მიერ კურთხეულმან, ყოველისა საქართუელოჲსა აღმოსავალისა კათალიკოზმან, ბატონის შვილმან პატრონმან დომენტიმ ესე ქარტა აღვწერეთ და მოგახსენეთ თქუენ, კათოლიკე სამოციქულო ეკლესიასა შეკრვისა და განჭვნისა.

ვითარცა ბრძანებს უფალი ჩუენი იესო ქრისტე: «რომელი განჭვნათ ქუეყანასა ზედა, ჴსნილ იყოს იგი ცათა შინა და რა ოდენი შეჰკრათ, კრულ იყოს იგი ცათა შინა»*, ეგრეთვე ჩემ მიერცა კრულ იყოს და შეჩვენებული შჯდის კრების მადლითა, ოთხთა პატრიაქთა წესითა და კანონითა, სამოციქულო ეკლესიიდამცა განჭობილი იქმნება სული და ჯორცი მისი.

ვინცა და რამანცა კაცმან: მეფემან ანუ დედოფალმან, ანუ უფლისწულმან, ანუ თავადმან, ანუ აზნაურმან, ანუ ებისკოპოზმან, ანუ წინამძღვარმან, ანუ მღუდელმან, ანუ ერისგანმან, ანუ მეფისა კარისა გამგეთა და ევეზირთა, ანუ დედოფლის კარის გამგეთა და ევეზირთა, ანუ კათალიკოზმან და მისმან კარის გამგეთა და ევეზირთა, როგორაცა სულკურთხეულს ბატონს ზაქარიას კათალიკოზს დაედვა ესევითარი შეკრვისა წიგნი, ეგრეთვე ჩუენ მიერცა შეკრულ იყოს და შეჩვენებულ.

ვინცა და რამანცა კაცმან ძეგვი და ციხედიდი შეწირულობისაგან შლად ჭელყოს და გამოაჭოს სუეტსა ცხოველსა ანუ მძლავრმან მძლავრობით, ანუ მეფემან, ანუ დედოფალმან, ანუ უფლისწულმან და თავადმან, ანუ თათარმან, ანუ სომეხმან, ანუ ებისკოპოზმან, ანუ ერისგანმან იეროს და შეამავლობა ქნას, ანუ ქრთა-

---

* მთ. 18, 18.

მის გულისათვის კათალიკოზმან გასცეს და საჭმაურშვილად გაზ-
დოს, იგიცა განიჭდების ორისგანვე ნაწილისაგან.

რომხაესმცა მამა, ძე და სული წმიდა ზეცისა და ქუეყანისანი, ჯორციელნი და უჯორცონი და წმიდა საოციჭულო ეკლესია სუეტი-ცხოველი და მირონი ღმერთ-მყოფელი ვინცა ეს ესე ორი სოფელი აგარაკი სუეტს ცხოველს მოუშალოს ანუ თუ მცხეთას მდგომთ მესაფლავეთ მოსამსახურეთ მისცეა ანუ დედაკაცთა ანუ კაცთა ანუ დიდთ კაცთა შვილთა ანუ მოხაზონთა მცხეთას მყოფთა.

თჳნიერ კათალიკოზისა და სუეტის ცხოველს მეტად ჴელი არას კაცს არა ჰქონდეს სახასოდ.

ვინცა მოშალოს, იგიმც შეიშლების სჯულისა და წესისაგან. ვინც დაამტკიცოს კურთხეულ იყოს.

არიან ამისნი მოწამენი სლულად მცხეთის შვილნი.

მე, მდდელმთავარმან დ ი ო ნ ო ს ი ო ს დამიწერია და მოწამეც ვარ.

დაიწერა წიგნი ესე დეკემბერს იბ, ჭორონიკონა ტნვ.

ხელრთვა: ვამტკიცებ კანონით და ყოველთა დ[ა]მტკიცეთ კათალიკოზი დომენტი

131. *წილკანის ღმრთისმშობლის სამწყსოს სიგელი

[1669 წ.]

[წილკნელის სარგო სამუხრანბატონოში]

რაჟამს წილკნელი მუხრანის ბატონის სახლში მოხძახდეს, მუხრანის ბატონი და მეუღლე მათი წინ წამოეგ[ე]ბნენ და სუზანსა და დორზედ ცოლ-ქმართ შუაზედ დაიწვიონ და დიდის პატივით დაბედენ.

მუხრანის ბატონის კარის[ა] საყდარში წილკნელს არ მოიხსენებენ, ბატონი კათალიკოზი უნდა მოიხსენიონ. თუ წილკნელ[ი] იქ იყოს, ჯერ ბატონი კათალიკოზი მოიხსენიონ, მასუკან მათთანავეობით წილკნელიც მოიხსენიონ.

ვინც იცის, ბატონი კათალიკოზი მუხრანის ბატონის სახლში ხძანდებოდეს, წილკნელის მოხსაუებაა არარა იქნება.

მუხრანის ბატონი რომ მი[ი]ცვალოს, საწირავსა და ნიშანს, ერთსა გარდასახურავს წილკნელს ჰისცემენ. სხვას მთელს ნიშანს დ[ა] როგორც მართებულია, ბატონი კათალიკოზი წაიღებს.

ადრევე თუ მუხრანის ბატონიშვილებს ქართველის ბატონის სახელო ქონდეთ და ის[ი]ნი მი[ი]ცვალნენ, იმათი ნიშანიც ბატონის კათალიკოზის[ა]. ადრ[ე]ვე წილკნელს საწირავსა და ნიშ[ა]ნს, გარდასახურავს მისცემენ.

თუ მუხრანის ბატონი ან მეუღლენი მათი წილკანს დაემარხნენ, მთელს ნიშანს ისევ კათალიკოზი წაიღებს, წილკნელს თავისი საყდრის პატივი არ დაკლდება.

თუ უფლისწული ან უცოლო ყმაწვილი მოკვდეს ვინმე, თუ შეძლოს, ბატონს კათალიკოზს ეამი აწირვინონ; ნიშანი მთელს და გარდას[ა]ხურ[ა]ვს ერთს წილკნელს მიართმევენ.

---

* საბუთის თავში და მარცხენა კიდეზე მიწერილია შ ე ნ ი ე ზ ი ს ა და დ ი მ ე ნ ტ ი კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი ს დაწტკიცება-ხელრთვები, რაც ბოლოს გადავიტანეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭ. წილკანს

სახლკარ და დრამა არ აძევს.
ჭ. მსახურზედ — საწირავი, ცხენი და იარაღი; ავრეთვე მსახურის ცოლის საწირავი.
ჭ. თუ უზიარები მოკვდეს ვინმე, საკანონო — ხარი ერთი.
ჭ. თ[უ] უნათლავი მოკვდეს ვინმე, საკანონო — ხარი.
ჭ. ჯვარდაუწერელი ცოლთან დაწვეს, საკანონო — ცხვარი ორი და ხარი ორი აძეს.
ჭ. თუ ვინმე კაცი მოკლას, იმის საკანონო — ხარი ხუთი. თუ მოიქცეს, დ[ა]ხტეს ცოდვა, იგი შეიწყალეთ ალსარებითა, ეკლესიას ლოცვასა და წირვ[ა]ს ნუ დ[ა]კლდება.

ჭ. ახალდაბას

ღვდელს — ხარი და მარჩილი.
დრამა — კომლზე კოდი ერთი.
მს[ა]ხურზედ, თუ მოკვდეს — საწირავი, ცხენი და იარაღი.
საკანონო რაც იყოს, რაც ზევით დაგვეწეროს, ის გამოართონ მუხრანის მღვდლებს და სხვათა სოფლებისასა.

ჭ. ციხებდავს[1]

ღვდელს სახუცო — ხარი, მარჩილი.
დრამა — კომლზე კოდი ერთი.
თუ მსახურ[ი] მოკვდეს ვინმე — საწირავი, ცხენი, თავისის იარაღითა.
საკანონო თუ რ[ა]მ იყოს, ზევით დაგვიწერია, ის გამოართვით.

ჭ. წყალაურთ კარელთ

ღვდელს სახუცო — ნახევარი ხარი და მარჩილი.
დრამა — კომლზედ კოდი ერთი.
მსახური თუ მოკვდეს — საწირავი, ცხენი და იარაღი. მსახურის ცოლს — ერთი საწირაო.
საკანონო თუ რამ იყოს, როგორც ზევით სწერია, ისე გამოართვით.

---

[1] ციხეგდას.

ზედგენიძე[ე]ბის სახლის უფროსი კაცი მოკვდეს, ან უფროსის კაცის ცოლი, კაცზედ — მთელი ნიშანი, შეკაზმული ცხენი; გარდასახურავი ერთი თავისი, ერთი წილკნელისა; სუფრის იარაღი, თავისის თასით წილკნელს მიართმონ.

აგრევე იმათი მეუღლენი რომ მოკვდენ — კაბა, ტყავი ან ტოლომა, სარტყელი, ღილი, ბეჭედი, თავსახურავი; ერთი გარდასახურავი წილკნელს მიართმონ.

თ[უ] უცოლო ზედგინიძის შვილი მოკვდეს, წილკნელს ერთი საწირავი და ერთი გარდასახურავი მიართმონ; ღვდელს სახუცო — ხარი და მარჩილი.

მსახური თუ მოკვდეს — საწირავი, ცხენი და იარაღი. აგრევე მსახურის ცოლი თუ მოკვდეს, საწირავი მიართმონ წილკნელს.

საკანონო თუ რამ იყოს, როგორც ზევით დაგეწეროს, ისე გამოართვით; თუ სტავრისა და დიბის არ იყოს, ნუ დასჯერდებით*.

ქ. იტყვლიანს

ხუცესს სახუცო** — ხარი და მარჩილი.

მსახური თუ მოკვდეს, საწირავი — ცხენი,** იარაღი. მსახურის ცოლს — ერთი საწირავი.

დრამი — კოდი ერთი კომლზედ.

თუ საკანონო იყოს რამე, როგორც ზემოდ დაგეწეროს, ისე განკანონეთ.

ქ. მჭადიჯვარს

წინამძღვართან წილკნელი თუ სარჯულავზედ დაიდოდეს, თავის მონასტრიდამ მჭადისჯვრის წინამძღვარი კრებულით შემოსილი მოეგებოს — ერთი დღე მასპინძლობა.

სახუცო — ხარი და მარჩილი.

---

* „თუ სტავრისა და დიბის არ იყოს, ნუ დასჯერდებით" მიწერილია სხვა ხელით.

** „ქ. იტყვლიანს ხუცესს სახუცო" დაცულია 5013 ნუსხაში. Ad 526 ფრაგმენტში ამ სიტყვების მხოლოდ ნაშთებია.

*** აქამდე ტექსტი შემონახულია ხელნაწერთა ინსტიტუტის Ad—526 ფრაგმენტში. აქედან იწყება საქ. ცენტრარქივის ფონდი 1448, № 5013 ნუსხა.

თუ წინამძღვარი მოკვდეს — საწირავი, ნიშანი, გარდასახურავი, ცხენი და იარაღი. სუფრის იარაღი, თასი — ესენი წილკნელს მეფისწულის მეურვეობის დროს.

გ. ბერდიაშვილებისა, სახლის უფროსნი კაცნი ან მოახელენი მოკვდეს ვინმე, ან მეუღლენი მათნი, კაცზედ — მთელი ნიშანი, ცხენი შეკაზმული, გარდასახურავი ორი, ერთი თავისი, ერთი წილკნელისა; სუფრის იარაღი, თასი — ესენი წილკნელს მიართმონ.

აგრევე ქალი თუ მოკვდეს — საწირავი, ნიშანი, ტყავი ან ტოლომა, კაბა, სარტყელი, ლილი, ბეჭედი, თავსახურავი, ორი გარდასახურავი, ერთი თავისა, ერთი წილკნელისა.

თუ სხვაროგი უმცროსი მოკვდეს, ან უცოლშვილო, იმის ერთი საწირავი მიართმონ.

ქ. სოფლის კაცმა: ღედელს — ერთს დღეს ჩაყენება, ხარი დ[ა] მ[ა]რჩილი.

კომლზედ დრამა — კოდი ერთი, ერთს დღეს ჩაყენება.

მსახური თუ მოკვდეს — საწირავი, ცხენი დ[ა] იარაღი; აგრევე მსახურის ცოლი თუ მოკვდეს — საწირავი მიართმონ.

საკანონო თუ იყოს რამე, როგორც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით.

ქ. მუმლთურთ კარელთ

ღედელს — ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და მარჩილი. სოფლის კაცს: ერთს დღეს მასპინძლობა.

დრამა — კოდი ერთი კომლზედ.

მსახური თუ ვინმე მოკვდეს — საწირავი, ცხენი, იარაღი. აგრევე მსახურის ცოლს — ერთი საწირავი.

საკანონო თუ რამ იყოს, რაც ზევით დაგვეწეროს, ის გამოართვით.

ქ. გენაფერის

არათანაშვილებს დრამა არ აძევთ. არათანაშვილები, სახლში უფროსი კაცი მოკვდეს, თუ დედაკაცი: კაცზედ — საწირავი მთელი, ცხენი და იარაღი; დედაკაცზედ — ერთი საწირავი და ერთი ნიშანი, ერთ დღეს მასპინძლობა, ღედელს — ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და მარჩილი.

საკანონო თუ რამ იყოს, ზევით დაგვიწერია, ისე გამოართვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვდელს — ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და მარჩილი.
სოფელს: ერთს დღეს ჩაყენება.
დრამა — კომლზედ კოდი ერთი.
მსახური თუ ვინმე მოკვდეს — საწირავი, ცხენი დ[ა] იარაღი.
აგრევე მსახურის ცოლს — ერთი საწირავი.
საკანონო თუ რამ იყოს, ზევით დაგვიწერია, ისე გამოართვით.

ქ. გოგილარს

წ ი წ ი ნ ა შ ვ ი ლ ე ბ ს — მთელი ნიშანი, ცხენი დ[ა] იარაღი, ორი გარდასახურავი — ერთი წილკნელისა, ერთი თავისი. აგრევე იმათი მეუღლენი რომ მოკვდენ — საწირავი, ნიშანი, ტყავი ან ტოლომა, კაბა, სარტყელი, ღილი, ბეჭედი, თავსახურავი, ორი გარ[და]სახურავი.

ღვდელს — ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და მარჩალი.
სოფლის კაცს: ერთს დღეს ჩაყენება.
დრამა — კომლზედ კოდი ერთი.
მსახური თუ მოკვდეს — საწირავი, ცხენი შეკაზმული. თუ მსახურის ცოლი მოკვდეს — ერთი საწირავი მიართონ.
საკანონო თუ იყოს, როგორც ზევით დაგვიწეროს, იმ რიგად გამოართვით.

ქ. ტურისუბანს[1]

ღვდელს — ერთს დღეს ჩაყენება, ხარი დ[ა] მარჩილი.
სოფლის კაცს: ერთს დღეს ჩასპინძლობა.
დრამა — კომლზედ კოდი ერთი.
მსახური თუ მოკვდეს — საწირავი, ცხენი შეკაზმული. აგრევე მსახურის ცოლს — საწირავი ერთი.
საკანონო თუ იყოს რამე, როგორც ზევით დაგვიწეროს, ისე გამოართვით.

ქ. ჯიგრაშენს

ქ ა ვ თ ა რ ძ ე ბ ი, სახლის უფროსი კაცი თუ მოკვდეს, ან მეუღლენი მათნი, კაცზედ — მთელი ნიშანი, ცხენი შეკაზმული, ორი გარდასახურავი — ერთი წილკნელისა, ერთი თავისა; სუფრის იარა-

[1] ტურისუბანს.

დი და თასი წოლკნელს მიართონ. ქალის — საწირავი, ნიშანი, ტყავი ან ტოლობა, კაბა, სარტყელი, დილი, ბეჭედი, თავსახურავი, ფრჩხილი, წასახურავი.

სახლის უფროსი რომ არ იყოს ან უკოლშვილო, ის რომ მოკვდეს, იმის ერთი საწირავი მიართონ წილკნელსა[1].

ღვდელს — ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და მარჩილი.

სოფლის კაცს: კომლზედ დრამა — კოდი ერთი.

მსახური თუ მოკვდეს — საწირავი, ცხენი შეკაზმული. აგრევე მსახურის ცოლი თუ მოკვდეს — ერთი საწირავი.

სოფელს — ერთს დღეს ჩაყენება.

საკანონო თუ იყოს, როგორც ზემოდ დაგვეწეროს, ისე გამოართვით.

ჭ. სუნბიანში

ღვდელს — ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და მარჩილი.

ქართველი ვინც ესახლოს, დრამა — კოდი ერთი.

სომეხს — კომლზედ თითო ძღვენი.

ჭ. დამპალას

ღვდელს — ერთს დღეს ჩაყენება, ნახევარი ხარი და მარჩილი.

სოფელს: ერთს დღეს მასპინძლობა.

კომლზედ დრამა — კოდი ერთი.

მსახურს — საწირავი, ცხენი შეკაზმული. აგრევე მსახურის ცოლი თუ მოკვდეს — ერთი საწირავი.

საკანონო, როგორც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვან.

ჭ. თელოვანს

ღვდელს — ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და მარჩილი.

სოფლის კაცს: ერთს დღეს ჩაყენება.

კომლზედ დრამა კოდი ერთი.

მსახურზედ — საწირავი, ცხენი შეკაზმული. აგრევე მსახურის ცოლი თუ მოკვდეს — ერთი საწირავი;

საკანონო თუ რამ იყოს, როგორც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით.

---

[1] + სოფლის კაცს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატიშვილი თუ მოკვდეს ან მეუღლენი მათნი, ბჭეს ბენს დაემარხნენ, მთელს ნიშანს სამთავნელი გამო[ა]რთმევს, ერთს გარდასახურავს და საწირავს წილკნელს მიართმევენ.

თუ თელოვანს დაემარხა, მთელს ნიშანს წილკნელი წაიღებს, სამთ[ა]ვნელს ერთს საწირავს და ერთს გარდასახურავს მიართმევენ.

ღვდელს — ერთს დღეს ჩაყენება, ხარი, მარჩილი.
სოფლის კაცს: აზნ[ა]ურ[რ]შვილებს — ერთს დღეს მასპინძლობა.
კომლზედ დრამა — კოდი ერთი.
მსახურზედ — საწირავი, ცხენი შეკაზმული. თუ მსახურის ცოლი მოკვდეს — საწირავი რაც შეეძლოს.
საკანონო, როგორც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით.

[ფილანგლის სარგო არაგვის საერისთაოში]

ქ. რ[ა]ჟამს არ[ა]გვის ერისთვის მამულში სარჯულავზედ წილკნელი შებძანდეს, იხმოს მამამთავარი მირზაშვილი, ჯვარის-მტკიცოვნე[ი] და საყდრის კრებულნი, ორმოცნი ცხენოსანი მსახურნი. მიბძანდეს არაგვის ერისთავთან დუშეთს.

არ[ა]გვის ერისთავი და მეუღლე მათი საწოლის კარს მოეგებნენ, წილკნელს ხელი მოკიდონ ცოლ-ქმართა, დორსა და ქვაზედ შუა დაიწვიონ, დიდს პატივით დახვდენ.

არაგვის ერისთვის კარის საყდარს წილკნელს არ მოიხსენებენ, ბატონი კათალიკოზი უნდა მოიხსენონ. თუ წილკნელი იქ ერისთავთან ბძანდება, წილკნელის პატივისათვის მათთანააველობით მოიხსენებენ. ერისთვის სასაფლაოზედ წილკნელი უნდა მოიხსენონ.

არ[ა]გვის ერისთავი ან მეუღლენი მათი თუ მოკვდეს, უწილკნელოთ ვერ დამარხვენ. ამათი წირვანი მთლათ რომ არა აკლდეს რა, ყველას ბატონი კათალიკოზი წაიღებს. წილკნელს საწირავსა დ[ა] ნაშ[ა]ს, წასახურავს მისცემენ.

აგრევე, თუ არ[ა]გვის ერისთვისშვილები გართველის ბატონის მოხელენი იყვნენ და მოკვდეს, იმათი ნიშანიც, როგორც მართებულია, ისიც ბატონის კათალიკოზისაა. წილკნელს საწირავსა და ნაშ[ა]ს, წასახურავს მისცემენ.

უსახელოო არ[ა]გების ერისთვისშვილი ან უცოლო რომ მოკვდეს, თუ შეუძლია, ბატონს კათალიკოზს საწირავს მიართმევინებს, თუ არად[ა], ვერას გამოეკიდება. წილკნელისა არის მთელი ნიშანი და ერთი წასახდერავი.

ქ. ახალუბანს

დედელს — ერთს დღეს ჩაყენება, სახუცო — ხარი და ცხვარი. სოფლის კაცს: ერთს დღეს ჩაყენება.
ქომლის თავზე დრამა — პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი.
მსახურზედ — საწირავი, თუ მოკვდეს — ცხენი შეკაზმული.
მსახურის ცოლი თუ მოკვდეა, საწირაეი მიართონ.
საკანონო, უზიარები თუ მოკვდეს, მოკითხული ქენით, თუ დედელს დაეშავებინოს და არ ეზიარებინოს, საუზიარებლო — ხარი ერთი, თუ პატრონს ქონდეს დანაშ[ა]ული[1], იმას გამოართვიან საკანონო ხარი ერთი.
და თუ ჯვარდაუწერელს დაუწევს, საკანონო — ძროხა ერთი.
თუ უხათლ[ა]ვი მოკვდეს ვინმე, საკანონო — ხარი ორი.
თუ ვისმე ქალი შემოაკვდეს, საკანონო — ხარი თორმეტი.

ქ. მისაქციელს

დედელს — ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და მარხილი.
სოფლის კაცს: ერთს დღეს მასპინძლობა.
დრამა — პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი.
მსახურზედ საწირავი, შეკაზმული ცხენი. მსახურის საწირავი, რაც შეძლოს.
საკანონო თუ იყოს რამე, ზევით დაგეწერია, ისე გამოართვით.

ქ. ხშირს

დედელს — ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი. სოფლის კაცს: ერთს დღეს მასპინძლობა.
დრამა — კომლზედ პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი.
მსახურსა და მოხელეს — საწირავი, ცხენი შეკაზმული. მსახურის ცოლს რაც შეძლოს, ერთი საწირავი.
საკანონო, რაც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით.

---

[1] + და.

ქ. ფრეზეთს

მირზაშვილების სახლში თუ უფროსნი[1] კაცნი მოკვდებიან, ან მეუღლენი მათნი, კაცზედ — მთელი ნიშანი, ცხენი შეკაზმული, ორი გარდასახურავი — ერთი წილკნელისა, ერთი თავისი. სუფრის იარადი და თასი — ესენი წილკნელს უნდა მიართმონ. აგრევე მათის მეუღლის საწირავი, მთელი ნიშანი, ტყავი ან ტოლომა, კაბა, სარტყელი, ღილი, ბეჭედი, თავსახურავი. ორი გარდასახურავი — ერთი წილკნელისა, ერთი თავისი.

თუ უმცროსი ან უცოლო კაცი მოკვდეს, ან მეუღლენი მათნი, რაც შეძლოს, საწირავი მიართმონ, ერთი წასახურავი.

ღვდელს — ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი.

სოფლის კაცს: ერთ დღეს მასპინძლობა.

დრამა — პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი.

მსახური ან მოხელე თუ მოკვდეს — საწირავი და ცხენი შეკაზმული, აგრევე მათის მეუ[ღ]ლისა — საწირავი, რაც შეძლოს. საკანონო, რაც ზევით დაგვიწეროს, ისე გამოართვით.

ქ. ნაოზას

თ ს ი ტ ა შ ვ ი ლ ე ბ ი თუ მოკვდენ, ან მეუღლენი მათნი, კაცზედ — მთელი ნიშანი, ცხენი შეკაზმული, ორი წასახურავი — ერთი წილკნელისა, ერთი თავისი. აგრევე მ[ა]თის ცოლების საწირავი, ნიშანი, ტყავი, ან ტოლომა, კაბა, სარტყელი, ღილი, ბეჭედი, თავსახურავი წილკნელს მიართმონ.

თუ [უ]მცროსი იყოს ან უცოლო — ერთი წასახურავი და ერთი საწირავი წილკნელსა.

ხუცესს — ერთ დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი.

სოფელს: ერთ დღეს მასპინძლობა.

კომლზედ დრამა — პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი.

მსახური თუ მოკვდეს — ცხენი შეკაზმული, და ან მოხელ[ე] კაცი — საწირავი და ცხენი შეკაზმული. ამათ მეუღლისა — ერთი საწირავი, რაც შეძლოს.

საკანონო, რაც ზევით დაგვიწეროს, ისე გამოართვით.

---

[1] უფროსნი] ფონი.

ჭ. საშაბუროს

შ ა ბ უ რ ი შ ვ ი ლ ი, სახლის უფროსნი კაცნი თუ მოკვდნენ, ანუ მეუღლენი მათნი, კაცზედ — მთელი ნიშანი, ცხენი შეკაზმული, ორი წასახურავი — ერთი წილკნელისა, ერთი თავისი; სუფრის იარაღი და თასი. აგრევე მათის მეუღლისა — საწირავი, ნიშანი, ტყავი ან ტოლოშა, კაბა, სარტყელი, ღილი, ბეჭედი, თავსახურავი, მთლად ორი წასახურავი — ესენი წილკნელს უნდა მიართვან.

თუ [უ]მცროსი კაცი ან უკანოლო მოკვდეს, ან მეუღლენი მათნი, რაც შეძლოს, საწირავი და ერთი წასახურავი წილკნელს მიართონ.

ზეცესს — ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი.

სოფელს: ერთს დღეს ჩაყენება.

კომლზედ დრამა — პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი.

მსახური თუ სოფლის მოხელე კაცი თუ მოკვდეს — საწირავი, ცხენი შეკაზმული. აგრევე მათის მეუღლისა, რაც შეძლოს საწირავი მიართონ.

საკანონო, რაც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით.

ჭ. ბშარაძეს

დედელს — ერთ დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი.

სოფელს: ერთ დღეს მასპინძლობა.

საკომლ[ო]ზედ დრამა — პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი.

მსახური ან სოფლის მოხელე თუ მოკვდეს — საწირავი, ცხენი შეკაზმული. აგრევე მსახურის ცოლის — საწირავი, რაც შეძლოს.

საკანონო, რაც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით.

გ ი ლ დ ა შ ვ ი ლ ი, თუ სახლის უფროსი კაცნი თუ მოკვდეს, ან მეუღლენი მათნი, კაცზედ მთელი ნიშანი, ცხენი შეკაზმული, ერთი წასახურავი. აგრევე მათის მეუღლისა — [ნიშანი], ტყავი ან ტოლოშა, კაბა, სარტყელი, თავსახურავი. ერთი წასახურავი წილკნელს მიართონ.

ჭ. ბოდორნის

დეკანოზს — ერთს ჩაყენება, ხარი და ცხვარი. ამიტომ აძევს სახუცო, საყდარს ბევრი შემოსავალი აქვს, ყმაც ყავს.

იმის ყმას დრამა არ [ა]ძევს, თითო ძღვენი.

და საკანონო თუ იყოს რაიე, როგორც ზევით დაგვიწერია, ისე გამოართვით.
საყდრის დეკანოზი თუ მოკვდეს, ან მეუღლე მისი, ნიშანი და კარგი საწირავი წილკნელს მიართონ. აგრევე სხვათა მღვდელთა.

ჭ. არაგვის პირს

მღვდელს — ერთს დღეს ჩაყენება, სახუცო — კარგი ხარი და ცხვარი.
სოფელს: ერთ დღეს ჩაყენება.
დრამა — კომლზედ პინა ერთი პური, ქერი ლიტრა ერთი.
მსახური ან სოფლის მოხელე თუ მოკვდეს — კარგი საწირავი და ცხენი შეკაზმული. აგრევე მათს მეუღლეთა, რაც შეძლოთ, საწირავი მიართვან.
საკანონო, რაც ზევით დაგვიწერია, ისე გამოართვით.

ჭ. არანისს

ზანდუკლები, სახლის უფროსი კაცი თუ მოკვდეს, ან მეუღლენი მათნი, კაცზედ — მთელი ნიშანი, ცხენი შეკაზმული, ორი წასახურავი — ერთი წილკნელისა, ერთი თავისი. აგრევე მათს მეუღლისა — ნიჩანი, ტყავი ან ტოლომა, კაბა, სარტყელი, თავსახურავი; ორი წასახურავი უნდა წილკნელს მიართონ.
თუ სახლის უმცროსი იყოს, ან უკოლო — ერთს საწირავს მიართმევენ, ერთს წასახურავს ბატონს წილკნელს.
არანისელ მღვდელს — ერთ დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი.
სოფლის კაცს: ერთ დღეს ჩაყენება.
კომლზედ — თითო პინა პური, თითო ლიტრა ქერი.
მსახური ან სოფლის მოხელე თუ მოკვდეს — საწირავი და ცხენი შეკაზმული. აგრევე იმათს მეუღლისა, რაც შეძლოს, ერთი საწირავი მიართონ.
საკანონო, რაც ზევით დაგვიწერია, ისე გამოართვით.

ჭ. ეთვალისელს

ღვდელს — ერთ დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი.
სოფელს: ერთს დღეს ჩაყენება.
კომლზედ დრამა — პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი.
მსახური თუ სოფლის მოჭელე თუ მოკვდეს — საწირავი, ცხე-

ნი შეკაზმული. აგრეთვე მათის მეუღლისა, რაც შეძლოს, საწირავი მიართონ.
საკანონო, რაც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით.

ქ. ანანურს

ჩაბძანდეს ბატონი წილკნელი კრებულით, ყამი სწიროს ერისთავისათვის, სასადილო ერისთავისაგან მიეცადეს. ანანურის დეკანოზი ხონჩას მიართმევს. ანანურის დეკანოზი რომ მოკვდეს, რაც შეუძლია, საწირავს მიართმევს. სხვა არა აძევს რა.

ქ. ჭაისხეველებს

არა აძევს რა: არა დრამა, არა სახუცო, არ[ა] ჩაყენება, წილკნელისა თვანიერ.

დვდელი თუ მოკვდეს, ან გამოჩენილი მსახური, რაც შეძლოს, საწირავი მიართონ.

ჭაისხეველებს ამიტომ არა ეძევთ რა, რომ იმათი გული კიდევ მოუჭკვეთარი იყო: ეფისკოპოზის შესვლას წუინობდენ, არც ჰსარებისა იცოდნენ.

ზაალ ერისთავმა რომანოზი წილკნელი შეგზავნა. წილკნელს ჯანდი უყვეს, არ შეუშვეს. ერისთავმა უწყინათ, იასაულები გამოესივათ, ავად მოეპყრა.

აღგნენ და წილკნელს შე[ე]ხვეწნენ და წილკნელმა იბატივა და წილკნელისა საწირავი დაიდვეს. ამას იქით ვინც გასჯულავთ, იმათთვინაც კეთილია და მწყემსისათვინაც პოროტი არა არის რა.

მთაში შესვლა მამამთავრისა და ჯვარისმტირთველისა არ იქმნებას*.

ქ. აფხავს

დვდელს — ერთ დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი.
სოფელს: ერთ დღეს მასპინძლობა.
კომლზედ დრამა — პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი.
მსახურსა და მოხელეს — საწირავი, ცხენი შეკაზმული. აგრეთვე მსახურის ცოლს რაც შეძლოს, ერთი საწირავი წილკნელს მიართონ.
საკანონო, რაც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით.
მამამთავარს — აბაზი საყდრის კურთხევაზედა*.

---

* ეს წინადადება მიწერილია სხვა ხელითა და მელნით.

ჭ. იორს

ღვდელს — ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი.
სოფელს: ერთს დღეს მასპინძლობა.
კომლზედ დრამა — პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი.
მსახური თუ მოკვდეს, ან სოფლის მოხელე — საწირავი, ცხენი შეკაზმული. აგრევე იმათს მეუღლეს, რაც შეძლოს, საწირავი მიართონ[1].
საკანონო, რაც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით.
მამამთავარს — აბაზი*.

ჭ. აშს

ღვდელს — ერთ დღეს ჩაქენება, ხარი და ცხვარი.
სოფელს: ერთ დღეს მასპინძლობა.
კომლზედ დრამა — პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი.
მსახური თუ მოკვდეს, ან სოფლის მოხელე — საწირავი, ცხენი შეკაზმული. აგრევე იმათი მეუღლენი თუ მოკვდენ, რაც შეძლოს, საწირავი მიართონ.
საკანონო, რაც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით.

ჭ. ყვავილს

ღვდელს — ერთ დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი.
სოფელს: ერთ დღეს მასპინძლობა.
კომლზედ დრამა — პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი.
მსახური თუ მოკვდეს, ან სოფლის მოხელე — საწირავი, ცხენი შეკაზმული. აგრეგე მათი მეუღლენი თუ მოკვდეს, რაც შეძლოს, ერთი საწირავი მიართონ.
საკანონო, რაც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართონ.

ჭ. დუშეთს

კ ო მ ი ა შ ვ ი ლ ე ბ ი, თუ საბლში უფროსი კაცი ან მოხელე მოკვდეს, ან მეუღლენი მათნი, კაცზედ — მთელი ნიშანი, ცხენი შეკაზმული, სუფრის თასი, ორი წასახურავი — ერთი წილკნელი-

---

[1] +სოფელს ერთ დღეს მასპინძლობა.
* ეს წინადადება მიწერილია სხვა ხელითა და მელნით.

სა, ერთი თავისი. დედაკაცზედ — ნიშანი, ტყავი ან ტოლობა, კაბა, სარტყელი, ღილი, ბეჭედი, თავსახურავი, მთლად ორი წასახურავი — ესები წილკნელს მიართონ.

თუ სახლის უმცროსი კაცი, ან უცოლო მოკვდეა, ან მეუღლენი მათნი, ერთი საწირავი, ერთი წასახურავი მიართონ.

დუშეთის დედელს — ერთ დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი.

სოფელს: ერთ დღეს მასპინძლობა. კომლზედ დრაშა — პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი.

მსახური თუ მოკვდეს, ან სოფლის მოხელე — საწირავი და ცხენი შეკაზმული. დედაკაცზედ, რაც შეძლოს, ერთი საწირავი მიართონ.

საკანონო, თუ იყოს რამე, როგორც ზევით ეწეროს, ისე გამოართვით.

ქ. ჰილაშვილები ან წიოლიშვილები, სახლის უფროსნი, ან მოხელენი თუ მოკვდეს, ან მეუღლენი მათნი, კაცზედ — მთელი ნიშანი, შეკაზმული ცხენი, ორი წასახურავი, ერთი წილკნელისა, ერთი თავისი. აგრევე იმათი ცოლები თუ მოკვდეს — ნიშანი, ტყავი, ან ტოლობა, კაბა, სარტყელი, ღილი, ბეჭედი, თავსახურავი, ორი წასახურავი წილკნელს უნდა მიართონ.

თუ სახლის უმცროსი, ან უცოლო მოკვდეს, ან მეუღლენი მათნი — ერთი საწირავი და ერთი წასახურავი მიართონ.

ქ. ქართჰიაშვილები*

ქ. არღუნს

დედელს — ერთ დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი.

სოფელს: ერთ დღეს ჩაყენება.

კომლზედ დრაშა — პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი.

მსახური თუ მოკვდეს, ან სოფლის მოხელე — საწირავი, ცხენი შეკაზმული. აგრევე იმათი ცოლების — საწირავი, როგორც შეძლოს.

საკანონო, როგორც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით.

ქ. ბაზალეთს

ჩდილელიშვილი, სახლის უფროსი კაცი თუ მოკვდეს, ან მოხელე, ან მეუღლენი მათნი, კაცზედ — მთელი ნიშანი, ცხენი შეკაზმული, ორი წასახურავი — ერთი წილკნელისა, ერთი თავისი. აგ-

---

1 იმათი ცოლები] იმათის ცოლების.

* ხელნაწერში დატოვებულია ცარიელი ადგილი ორი-სამი სტრიქონისათვის.

რევე იმათი მეუღლენი რომ მოკვდეს — საწირავი, ნიშანი, ტყავი ან ტოლომა, კაბა, სარტყელი, ღილი, ბეჭედი, თავსახურავი[1] წასახურავი[1] მიართონ.

თუ საბლის ეკლესიაში კაცი მოკვდეს ან ყმაწილი, ან მეუღლენი მათნი — ერთი საწირავი და ერთი წასახურავი წილკნელს მიართონ.

ბაზალეულს ღვდელს — ერთ დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი.
სოფელს: ერთ დღეს ჩაყენება.
კომლზედ დრამა — პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი.
მსახური თუ მოკვდეს, ან მოხელე სოფლისა — საწირავი, ცხენი შეკაზმული. აგრეთვე მათის ცოლებისა, რაც შეძლოსთ, საწირავი მიართონ.
საკანონო თუ რამ იყოს, როგორც ზევით დაგვიწეროს, ისე გამოართვით.

ჭ. ჭილურტს

ღვდელს — ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი.
სოფელს: ერთ დღეს მასპინძლობა.
კომლზედ დრამა — პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი.
მსახური მოკვდეს, თუ ან სოფლის მოხელე — საწირავი, ცხენი შეკაზმული. აგრეთვე იმათი ცოლები რომ მოკვდენ, რაც შეძლოს, საწირავი მიართონ.
საკანონო თუ რამ იყოს, როგორც ზევით დაგვიწეროს, ისე აიღეთ.

ხ. ებნისელს

ღვდელს — ერთ დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი.
სოფელს: ერთ დღეს ჩაყენება. კომლზედ დრაჭა — პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი.
მსახური თუ მოკვდეს, ან სოფლის მოხელე — საწირავი, შეკაზმული ცხენი. აგრეთვე თუ მათი ცოლები მოკვდენ, რაც შეძლოს, საწირავი მიართონ წილკნელსა.
საკანონო თუ რამ იყოს, როგორც ზევით დაგვიწეროს, ისე გამოართვან.

---

[1] ცასახურავი.

ქ. გრემისხევს

ტეიარშვილები მიქელისშვილები, უფროსი მამა-
მოხელე თუ მოკვდეს, ან მეუღლენი მათნი, კაცზე[1] — მთელი ნიშა-
ნი, ცხენი შეკაზმული, ორი წასახურავი—ერთი წილკნელისა, ერთი
თავისი. აგრევე მათის მეუღლისა — საწირავი, ნიშანი, ტყავი, ან
ტოლობა, კაბა, სარტყელი, ღილი, ბეჭედი, თავსახურავი, ორი წასა-
ხურავი წილკნელს უნდა მიართვან.

თუ სახლის უმცროსი კაცი, ან უცოლო მოკვდეს, ან მეუღლე-
ნი მათნი, ერთი საწირავი და ერთი წასახურავი წილკნელს მიარ-
თონ.

გრემისხევის ღვდელს — ერთ დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი.
სოფელს: ერთ დღეს მასპინძლობა.
კომლზედ დრამა — პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი.
მსახური თუ მოკვდეს, ან სოფლის მოხელე — საწირავი, ცხე-
ნი შეკაზმული. აგრევე მათის მეუღლისა, რაც შეძლოს, ერთი
საწირავი.
საკანონო თუ რამ იყოს, როგორც ზევით დაგვეწეროს, ისე გა-
მოართვით.

ქ. ტონჩას

ღვდელს — ერთ დღეს მასპინძლობა, ხარი და ცხვარი.
სოფელს: ერთ დღეს მასპინძლობა.
კომლზედ დრამა — პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი.
მსახური თუ მოკვდეს, ან სოფლის მოხელე — საწირავი, ცხე-
ნი შეკაზმული. აგრევე იმათი ცოლები რომ მოკვდენ, რაც
შეძლოს, საწირავი მიართონ.
საკანონო თუ რამ იყოს, როგორც ზევით დაგვეწეროს, ისე გა-
მოართვით.

ქ. გენახმანს

ღვდელს — ერთ დღეს ჩაყენება, ხარი და მარჩილი.
სოფელს: ერთ დღეს მასპინძლობა, კომლზედ დრამა — პური
პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი.
მსახური თუ მოკვდეს, ან სოფლის მოხელე — საწირავი, ცხე-

[1] კაცზე.

ნი შეკაზმული, აგრეთვე მათი ცოლებისა, რაც შეძლოს, საწირავი მიართონ.
საკანონო, როგორც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვებინა.

ქ. ჭაშას

დვდელს — ერთ დღეს ჩაყენება, ხარი და მარჩილი.
სოფელს: ჩაყენება.
დრამა — კომლზედ პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი.
მსახური თუ მოკვდეს, ან[1] სოფლის მთხელენი — საწირავი, ცხენი შეკაზმული. აგრეთვე მათი მეუღლენი თუ მოკვდენ, რაც შეძლოს, საწირავი მიართონ.
თუ საკანონო იყოს რამე, რაც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით.

ქ. დედურისშვილები, სახლის უფროსი, ან მოხელე თუ მოკვდეს — ერთი ნიშანი რაც იყოს, ცხენი შეკაზმული, ერთი გარდასაბურავი წილკნელს მიართონ. აგრეთვე მათის მეუღლისა — საწირავი, ტყავი, ან ტოლომა, კაბა, სარტყელი, ღილი, ბეჭედი მიართონ.

ქ. ჟინვანი

არაგვს გალმა ესახლა, რახან არაგვს[2] გალმა ესახლა, ბატონის კათალიკოზის სამწყსო არის; ჟამთა ვითარებისაგან და ავის დროსაგან არაგვს გამოლმა დასახლდა წილკნელის სამწყსოში.

ჩვენ და ბატონს კათალიკოზს ცილება და ლაპარაკი შეგვექმნა სამართალში. წილკნის ღმრთის-მშობლისა იყო. წილკნელმა რომანოზ ბატონს კათალიკოზს თავი ალარ აწყინა, დავანებეთ; და წილკნელის მამ[ა]მთავრებს ჟინვანთან ხელი არა აქეთ.

ეს გუჯარიც მაშინ დაიწერ[ა].

ქ. ანანურს ზევით

ხევს გარდა ისე წილკნელის ათორმეტთაგანის მოქცეული არის. რახან წმინდის ე[მ]ბაზის შვილნი შექნილიყვენ, იმათი ეფისკოპოზი ვინც ვინ წილკნელი ყოფილან, იმათ სამწყსო ყოფილა. მცირედ[3] ქრისტიანობა შამ[ო]უგდიათ, ხუცესი და დიაკონის დაუდგინებიათ, წმინდის ნათლის-ღების შვილობა გამრავლებულა.

---

[1] + ან. [2] + დ. [3] + ცირედ.

არაგვის ერისთავი არაინ ყოფილა იმის მოქცევამი ერის თავათ, თვინიერ მაბუსრი/მვილის შეტი. იმას ჰერია დაბადება საერისთო.

ანანურს ზევით მთიულ[ე]თს წილკნელისა არა ედვა რა: არა დრამა, არა საწირაო, არა სახუცო, არც ძველს გუჯარში ეწერა.

ახლა ჩვენ, ფრიად ცოდვილმან და ყოველთა ქალთა უნარჩევესმან, წილკნელ ეფისკოპოზმან, რომანოზს გვიბძანა არ[ა]გვის ერისთავმან ზა[ა]ლ დამწყსა და კეთილათ გარჯულვა. ჩვენც არა უდებ ვქმენით ბრძანებასა მწყემსმთავრისასა, რომელმან ბრძანა: «წარვედით და მოიმოწაფენითო»*.

და შემდგომი ამის წარვედით და შეუდეგით კვალსა ისე მამ[ა]ლ-მთავრისასა და მივედით მთიულეთსა. მცირე რამ ქრისტიანობა იყო და ორი ხუცესი, არც ქრისტია[ნ]ობა დ[ა] არც ნათლ[ი]ს-ღების შვილობა მართ[ლ] არ ეწოდებოდა, ისევ[1] კერპის მგზავსი იყვნენ; არც მართლა ნათლის-ღება იცოდნენ, აღსარება სრულიად არ იყო, არც მარხვა იცოდნენ, თვინიერ დიდმარხვის შეტი.

ფრიადითა ჭარითა ვიღაწე: ზოგი ერისთვის ძალი მჭონდა შ[ე]მწეთ, ზოგნი თავისის ნებით მოიქცნენ, აღსარება, ეშმაზით ნათელა გავაჩინეთ; წმინდას ზიარებას ერისკაცს მისცემდა სადმე ღვდელი და ერისკაცი სადმე აზიარებდა; ესეც ამოკვეთეთ, ერისკაცს ღვდელი საიდუმლოს არ მისცემს — თითონ ღვდელმა უნდა აზიაროს ერისკაცი.

ჩვენ, რომანოზ წილკნელი ზა[ა]ლ ერისთვის დროს მთიულეთში სამჯერ ვყოფილვარ[თ], საყდრები ვაკურთხეთ.

იქაურს ღვდელს სახუცო თითო ფური დავადევით ერისთავმა და ჩვენ. სახუცო დაყოფილი არ აქვთ იქაურს ღვდელს. ორი ღვდელია: ორს ფურს მოგვცემდენ, ერთი[2] — ერთსა, ათი ღვდელი რომ გაჩნდეს მთიულეთში, სახუცო ათი ფური გამოართვით.

ჩვენობას ორი ხუცესი იყო. იქაურს ხუცესს მამამთავრისა არა ედვათ რა, არც ერისკაცზედ დრამა ედვათ, არც ეფისკოპოზის წირვა, თუ თავისის ნებით არ უნდოდათ. ახალი მოქცეული იყვნენ, ამიტომ ვერა საეფისკოპოზო გამოსაღები ვერა დავადევით რა.

ვინც ჩვენ შემდგომად წილკნელი ბძანდებოდეთ, ეცადენით კეთილად მოქცევასა და სწავლა და სარწმუნოვება განამრავლეთ, ეკ-

---

[1] იესე. [2] ერთია.

* მარკოზ 16,15.

ლესი[ი]სათა და ეფისკოპოზის სამსახური ასწავეთ, თორემ ღმერთი ეფისკოპოზის ხელიდამ გამოიძიებს თავის სამწყსოს საქმეს; ვსე ბრძანებს სახარებასა შინა: «ასწავებდით და მოძღვრდითო»-ცა ვქუთხრა ეე ამცენით ერთხელ, ორჯელ და ბევრ-გზის[ა]ც: და ვინც თქვენი სიტყვა არ შეიწყნაროს, განიყარეთ მტვერი ფერხთა თქვენთაგან და უბრალო იქნებით.

ზევი ნინოს მოქცეულია, მასუკან ისე წიდკნელი ყოფილა. ქველს გეჯარში ხევისთვინ საეპისკოპოზო სათხოვარი: არა სახუცო, არა დრამა არ ეწერა. არც ჩვენ დავადევით.

[ᲬᲘᲚᲙᲐᲜᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲠᲒᲝ ᲫᲚᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ]

ქ. ქსანზედ ირტოზას

კორინთლები, თუ სახლის უფროსი კაცი ან დედაკაცი მოკვდეს, კაცზედ — მთელი ნიშანი, ცხენი შეკაზმული, ორი წასახურავი — ერთი წილკნელისა, ერთი თავისი. აგრევე დედაკაცზედ — საწირავი, ნიშანი, ტყავი, ან ტოლომა, კაბა, სართყელი, ღილი, ბეჭედი, ორი წასახურავი წილკნელს მიართონ.

თუ სახლის უმცროსი მოკვდეს, ან უცოლო, ან მეუღლენი მათნი — ერთი საწირავი და ერთი წასახურავი მიართონ.

ირტოზელს ღვდელს — ერთს დღეს ჩაყენება, ხარი, ცხვარი.

სოფელს: ერთ დღეს მასპინძლობა.

კომლზედ დრამა — ერთი შული, ქერი ლიტრა ერთი.

მსახური თუ მოკვდეს, ან სოფლის მოხელე — საწირავი, ცხენი შეკაზმული. აგრევე მათის ცოლების, რაც შეძლოს, საწირავი მიართონ.

საკანონო თუ **რამ იყოს, რაც ზევით** ეწეროს, ის გამოართვით.

ქ. ოძისს

ღვდელს — ერთ დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი.

სოფელს: ერთს დღეს მასპინძლობა.

კომლზედ დრამ[ა] — შული ერთი, ქერი ლიტრა ერთი.

მს[ა]ხური თუ მოკვდეს — საწირავი, ცხენი შეკაზმული, სოფლის მოხელესაც. აგრევე მათის ცოლების, რაც შეძლოს, საწირავი მიართონ.

საკანონო რაც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით.

ქ. თავლორაშვილებს, იმათს ცოლებს საწირავი აძღვეს, დრამა არ აღეთ.
საკანონო თუ რამ იყოს, როგორც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით[1].

ქ. სოფას

წამქმძღვარი ვინც იჯდეს, თუ მოკვდეს — საწირავი, ცხენი შეკაზმული, ნაშანი წილკნელს მიართონ.
ქ. იმფორის მოლარეს, ჯვარის მჭირავს — აბაზი ღვდლის ყურთხეევაზე*.

ქ. აბალგორს

დეკანოზს — ერთ დღეს ჩაყენება, ხარი და მარჩილი.
ქართველს კაცს — თითო ძღვენი.
მსახურს — საწირავი, ცხენი შეკაზმული. აგრეთვე იმათი მეუღლის — ერთი საწირავი.
დრამა — კომლზედ თითო შუალო, ქერი ლიტრა ერთი.
საკანონო თუ რამ იყოს, როგორც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით.
სომხები, მაგისთანა კაცი თითო ძღვენს მიართმევს და თითოს შუალოს**.

ქ. ახალსოფელს[2]

ერთ დღეს მასპინძლობა.
საბუკო — ხარი ერთი, მარჩილი ერთი.
მსახური თუ მოკვდეს, ან მოხუცე სოფლისა — საწირავი, ცხენი შეკაზმული.
კომლზედ დრამა — შუალო ერთი, ქერი ლიტრა ერთი.
საკანონო თუ რამ იყოს, რაც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით.

---

[1] + მოხუცეი გაიწესება. [2] ახალი სოფელს.
* ეს წინადადება მიწერილია სხვა მერმინდელი ხელით.
** „და თითოს შუალოს" მიწერილია სხვა მერმინდელი ხელით.

ფიცხელაურები, სახლის უფროსნი კაცნი, ან მოხუცებული [კუ] მოკვდენ, ან მეუღლენი მათნი, კაცზედ — მთელი ნიშანი, შეკაზმული ცხენი, ორი წას[ა]ხურაი — ერთი წილკნელისა, ერთი თავისი; სუფრის იარალი და თასი. აგრეგე იმათი მეუღლისა — საწირავი, ნიშანი, ტყავი, ან ტოლომა, კაბა, სარტყელი, დილი, ბეჭედი, თავსახურავი, მთლად ორი წასახურაი — ესენი წილკნელს უნდა მიართონ.

თუ სახლის უმცროსი, ან უკოლო მოკვდეს, ან მეუღლენი მათნი — ერთი საწირავი და ერთი წასახურავი მიართონ.

დედელმა — ერთს დღეს მასპინძლობა, ხარი და ცხვარი.

სოფელს: ერთს დღეს მასპინძლობა.

კომლზედ დრამა — შელო ერთი, ქერი ლიტრა ერთი.

მამამთავარი და მსახური[1], ან სოფლის მოხელე თუ მოკვდეს — საწირავი, ცხენი შეკაზმული. აგრეგე იმათი ცოლების საწირავი, რაც შე[ე]ძლოთ.

საკანონო თუ რამ იყოს, როგორც ზევით დაგ[ე]წეროს, ისე გამოართვით.

ქ. კორინთას

დედელსა და სოფელს: ერთ დღეს ჩაყენება.

სახუცო — ნახევარი ხარი.

დრამა — კომლზედ შელო ერთი, ქერი ლიტრა ერთი.

მსახური თუ მოკვდეს, ან სოფლის მოხელე — საწირა*ვი, ცხენი შეკაზმული. აგრეგე [მათის ცოლების, რაც შე[ე]ძლოს, საწირავი მიართონ].

[საკანონო თუ რამ იყოს, რ]ოგორც ზევით დაგეწეროს, ისე გამოართვით.

ქ. ალევს

დედელს — ერთ დღეს კარვა მასპინძლობა.

სახუცო — ხარი ორი, ცხვარი ორი.

კომლზედ დრამა — შელო ერთი, ქერი ლიტრა ერთი.

მსახური თუ მოკვდეს, ან სოფლის მოხელე — საწირავი, ცხე-

---

[1] მსახურის.

* სიტყვის რესტავრაციის დროს ასო ი-ის ადგილი ბოლომდე არ ჩანს.

ნი შეკაზმელი. აგრეთვე იმათი მეუღლისა, რაც შეძლოს, უღირსი საწირავი მიართონ.

საქანონო რაც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით.

ამას ზევით წილკნელს ხელი არ[ა] აქვს.

მ ი რ ზ ა ზ ვ ი ლ [ს] ქსანზე საქმე არა აქვს, არც ანანურს ზევით შ თ ა შ ი*.

[რომანოზ წილკნელი გუჯრის დაწერის შესახებ]

ქ. ჩვენ, ფრიად ცოდვილმან და ყოვლად უღირსმან წ ი ლ კ ნ ე ლ ე ფ ი ს კ ო პ ო ზ მ ა ნ რ ო მ ა ნ ო ზ ეს წილკნის ღმრთისმშობლის სამწყსოს გუჯარი მე დავაწერინე, პატონისშვილის კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ის დ ო მ ე ნ ტ ი ს ბძანებითა.

ასე რომე, ქსანზედ რ ა ტ ი შ ვ ი ლ მ ა საწირავად დაგვიპატიჟა. წავედით. ქსანში ბარგი ჩამიცვივდა: ერთი ხელი წირვის იარადი, ბევრი სხვა რ[ა]ვ საქონელი და წილკნის ღმრთისმშობლის სამწყსოს იქ დამეკარგა გუჯარიც.

დიალ, დიდს შეიწროებაში ჩავარდი იმ გუჯარის დაკარგვისათვის. დიალ, დიდის ხნის ნაკურთხი ეფისკოპოზი ვიყავ, ჩემი ეკლესი[ი]ს სამწყსოს ა[მ]ბავი და რიგი კარგა ვიცოდი: აზნ[ა]ურ[შ]ვილს რა ედვა, მსახურს რა ედვა, ან სახუცო, ან დრამა რა ედვათ. ბევრი ნაკლებიც დავწერე აგრეც...** მსახური, ღვდელი სწერია იმათი ცოდვისათვის მე...*** რაც ამ გუჯარში დ[დ]ი კაცი, [აზნაურშვილი, მსახური, ღვდელი, სოფლის კაცი დავწერო და] გავიკითხო, თუ მოშატებული და იმ ძველს გუჯარში რ[ა]ც ეწერ[ა], იმაზედ ნაკლები არ დავწერე. ჩემის მაკურთხეველის კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ის დ ო მ ე ნ ტ ი ს ა გ ა ნ შეჩვენებული ვიყო მე. წ ი ლ კ ნ ე ლ ი რ ო მ ა ნ ო ზ.

რაც ამ გუჯარში ეწეროს, რამანც პატრიაქმან, ანუ მეფემან, ანუ ერისთავმან, ანუ დიდმან, ანუ მცირემან, წილკნის ღმრთისმშობელს ეს, ან იმაზე მჯდომს ეფისკოპოზს, ეს მოეპალოს, მასამც რისხვას იესო ქრისტე და მშობელი მისი ყოვლად უხრწნელი მარიამ.

დაიწერა გუჯარი ესე წილკნის დეკანოზის ხელითა აგვისტოს ე, ქორონიკონს ტნზ.

---

* ეს წინადადება მიწერილია სხვა ხელით.

** აქ არის სამი-ოთხი სიტყვა.

*** იქ წყდება საქართველოს ცენტრარქივის ფ. 1448, № 5013 ნუსხის ტექსტი. აქედან ტექსტი ხელნაწერთა ინსტიტუტის Ad—526 ფრაგმენტშია შემონახული.

ჩვენ, იესიან-დავითიან-ბაგრატონიანმან, მეფემან და ბატონმან ქართველთა მეფემან პატრონმან მანავაზ, ძემან ჩვენმან პატრონმან გიორგი, პატრონმან ლევან, ლუარსაბ და სულეიმან ვამტკიცებ გუჯარსა ამას, ქორონიკონს ტნზ.

ხელთა: მანავაზ. გიორგი. ლევან.

მარცხენა კიდეზე:

ქ. ჩვენ, ყოველისა საქართველოსა დ[ა] აღმოსავლეთისა მაკურთხეველი, ძე მუხრ[ა]ნის ბატონისა, ბატონიშვილი კათალიკოზი დომენტი ვამტკიცებ სიგელსა ამას.

წილკანს მიველით აგვისტოს იწ, ისე წილკნელის მიცვალების დღეს. წილკნელმა რომანოზ თავისი ბარგისა და გუჯრის დაკარგვა შეშოგვჩივლა. ჩვენც ბეე[რ]ჯელ გვენახა ის გუჯარი და რომანოზ წილკნელიც დიდის ხნის ნაცნობი ეპისკოპოზი იყო, წილკნის ღმრთის-მშობლის საძწყისოს ამბავი კარგა იცოდა. ჩვენის ბძანებით ეს გუჯარი დაიწერა.

ერთი ეერკხლით მოჭედილი, ოქროთი დაფერილი სახარებაც შეჰწირე. აგვისტოს იწ, ქორონიკონს ტნზ.

ხელთა: კათალიკოზი

132. [ულუფის წიგნი მათეოზ რუსთველისა იოსებ თბილელისადმი]

[1665—1669 წწ.]

ქ. ჩუენ, ღმრთისა მიერ რჱსთველ არქიეპისკოპოზმან პატრონმან მათეოზ, ესე სამუდამო წიგნი მოგართუთ თქუენ, თბილელ ეპისკოპოზსა იოსებს.

ახრე, რომ: სადამდის ან თქუენ ცოცხალი იყო და ან მე, ყოველს წელიწადს სამი საპალნე ღუინოს მოგართმეველე დაუკლებლად და გაუწყვეტლად.

ამისად გასათაეებლად მამიცემია ხატი ღმრთაებისა[1], და მეფის არჩილის ბძანებით მომირთმეცია.

ხელთა: რუსთველი ✝

ჩვენც ასე დაგვიმტკიცებია, ოთხი საპალნე ღვინო[ს] მოგართომდე.

ხელთა: რუსთველი

---

[1] +ხატ.

133. [ფუძლობის წიგნი ნიკოლაოზ კათალიკოზისა დათუნასადმი]

[1670 წ. 27 მარტი]

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა, სახეთრისა ა[რსება დაუ-საბამოსა სუ]ლისა წმინდისათა; მეოხებითა ყოველად წმიდისა, უხრწნელ[ისა და უმეტ]ესად კერთხეულისა დედოფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელ[ისა მარ]ჯვის ქალწულისა მარიამისითა, [წმიდისა წინასწარ მეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა...* იოანე ქალწულ მახარებელისათა, წმინდათა [ხეცისა] ძალთა ანგელოზთა და მთავარანგელოზთა მიქაელ და გ[აბრიელისითა], წმინდათა თავთა მოციქულთა პეტრესითა და პა[ვლესითა და ათორმეტთა] მოციქულთათა; ძლიერებითა[1] პატიოსნისა და ცხოველს [მყოფელისა ჯუარი]სათა, რომელსა ზედა გაეწირა ჴელნი ჭრისტემან ღმერთმან [ჩუნისა]თვის ჩვენისა, —

ამათითა თაყვანებობითა ჩვენ, ჭრისტეს ღმ[რთისა მიერ] კურთხეულმან ყოველისა საჭართველოსა მაკურთხეველმ[ან მაქმად-მთავარმან] ქ ა რ თ ლ ი ს ა კ ა თ ა ლ ი კ ო ზ მ ა ა ხ ი ლ ა ხ ო რ ი ს [ძ ე ს ა ნ ნ] ი კ ო ლ ა ო ზ შევიწყალეთ და გიბოძეთ შენ ჩვენსა...* საყდრისასა ერთგულსა და თავდადებით ნამსახურსა ყმასა [ჩუენ-სა]...* დ ა თ ო ნ ა ს ა, შვილსა შენსა პ ა ა ტ ა ს ა, ზ ა ი ლ ს ა, გ ა ბ რ ი ე ლ ს...* [ზ უ რ ა] ბ ს ა და გ ა რ ს ე ვ ა ნ ს ა. შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა [ასე და ამა პირს]ა ზედა, რომე:

მოგვიდეგით გარსა და ა ღ ვ ს ე ბ ა ძ ი ს კერძს სამკჳთ[ხმეილს დაგვეა]ჴვნით, ვისმინეთ აჴა და მოხსენება თქუენი და გიბოძეთ ა ღ [ვ ს ე ბ ა ძ ი ს] სამცხეთისშვილო, ყოველის მისის სამართლიანის სარგოთი; [გჳრდეს და გიბედნ]იეროს ღმერთმან ჩვენსა და ჩვენის საყდრის ერთგულობაში და ერთგულა[დ სამსახურში].

ვინცა და რამანცა ქაცმა ესე ასე არ გაგითაოს და ან მოგიშალოს, ი[ქმ]ცა შეიმლების სჯ]ულისაგან და ჩვენთა ცოდვათათჳს ეგი განიკითხების დღესა მას საჯ]ელის[ასა].

[და დამამტ]კიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხოს, ამინ.

არის ამისი [მოწამე: ზ]უ რ ა ბ მ ა ღ ა ლ ა შ ვ ი ლ ი, ნ ი კ ო ლ ა ო ზ გ ე დ ე ვ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ი, გ ი ო რ გ ი ქ ა რ ც ი [ძ ე...* მ ა-

---

[1] ძრიელებითა.

* აქლია ერთი-ორი სიტყვა.

მ]უკა. მგალობელი იორამ, დეკანოზის შვილ-
ადაშა. მე კოზმანს დამიწერია.

დაიწერა წიგნი ესე მარტსა ოცდაშვიდსა, დღესა კვირ[იაკესა, ქორონიკონს] ტნიწ.

ხელოვნება: კათალიკოზ ნიკოლაოზ
ბჭობა: რომელი განჩსნათ ქუეყანასა ზედა, ესნილ იყოს იგი ცათა შინა.

134. [წყალობის წიგნი გრიგოლ ალავერდელისა კირილე კოზმანიშვილისადმი]

[1670 წ.]

[ნებითა და] შეწევნითა ღმრთისაითა, ჩვენ, ღმრთისა მიერ კურთხეულმა დიდისა და ცათა [მობაძავისა ა]ლავერდ[ი]ს წმიდის გიორგის საყდრის საჭეთმპყრობელ-მჭონებელმან...* ძემან სახლისუხუცის რევაზისამან ანბა ალავერდელმა პატრონმა [გრიგოლ ესე] მიზეზმემოუღებელი ყოველს ჩხუბისა, ხლათისა და ილათისაგ[ან უცილო წი]გნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ ბოდბელსა კო[ზმანიშვილსა] ბატონსა კირილეს და რძალსა თქვენსა და დასა და ნათესავსა...* ჩოლოყაშვილის ბატონის თემურაზისა ბატონსა მარიამს და ძეთა [თქვენთა]...* იოვათამს და მიქასა.

ასრე, რომე: მოიყვანე თქვენი რძალი და...*[ალ]აგერდს წმიდის გიორგის საყდარს შემოსწირე და დაუსახლე. [წმიდ]ის გიორგის შემოსამატებელი საქმე იყო, მოგიყვანეთ და დაგასახლეთ წმიდის გიორგის სახოა მიწა-წყალზედა, გიბოძეთ სიგლითა, როგო[რც სი]გელში ეწეროს, — ის არე გაგვითავებია.

ამას გარეთ მოგვიდგეთ [და მამულისა] წყალობისა აჯასა გვიაჯვნით. ვისმინეთ აჯა თქვენი ვითა გარეთ...* ეგებოდა თქვენი გიბოძეთ კორკელში ყოველად წმიდის საყდარი შე[გწიან]...* ბჭიერთ, სასაფლაოთ ყოველს კაცს შემოუცილებლად რომ შიგნ[ით არასდრ]ოს არავინ შემოგეცილოს გარეთ კორკელთა არის და იმაზე კელს ნუ [ჰყოფ, ვინც] ახლა სახლობს, ნუ შეეცილები.

---

* აკლია ერთი-ორი სიტყვა.

ამას გარდაის გიბოძეთ[1] კ ო რ ჯ ე [ლ შ ი]...* სანამდის ცოცხალ-
ლია კ ო ზ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, იმას ჰქონდეს და მასტკან თ[ქვენთვის...
გვიბოძ]ებია საბოლოოთ.

ამას გარეთ კვამლი კაცი ერთი თ ე ო დ ო რ ა შ ვ ი ლ ი ობოლი
ს უ ლ ხ ა ნ ა, რასაც მჭონებელი იყოს, მისის შამულითა, მიწა-
წყლ[ითა];

[ამას გა]რდაის ორი ნაოჯარი ორმოცდაცხრამეტის წლის აოჯრე-
ბული, ერთი...* ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ნასახლები მისის საჭნავითა, უჭნა-
ვითა ნაველნაკობითა სათიბი[თა და ყ]ოველს მისის გასადეგარითა;

მეორე ა წ ყ ვ ე რ ს თ უ ნ ი შ ვ ი ლ ი ს ნასახლები, [მისის] სა-
წნახლითა, თოლა იდგეს, ქვევრითა მარნითა, საჭნავითა, უჭნავითა,
სათიბითა, შესავლითა, გასავლითა, ყოველს მისის გასადეგარითა.
ორივე ნაოჯარი მისის სამართლიანის სამძღურითა გვიბოძებია.

ამას წინათ ა ს ი ტ ა შ ვ ი ლ ი ს...* ო ქ ი ო ს, მისის საჭნავითა,
სათესითა, ქვევრითა, სასახლითა, ნაველნაკობითა [რაც] ო ქ ი ო შ ი
ბეითალმანი მამული იყოს, თქვენთვის გვიბოძებია მიწითა, ნაველნა-
კობითა...* არა გქონდა და ის ისრე გაგვითავებია და მოგვიკვეთია,
რასაც ასიტაშვილი მჭონებე[ლი იყოს] ო ქ ი ო ს.

წერილითა ამით ეს ასრე გაგითავდეს და არა მოგეშალოს არა
ჩვენგა[ნ და არ]ცა შემდგომად სხვათა მეპატრონეთა ალაევრდე-
ლისაგან.

აწე ვინცა და რაშანაც [ადამის მონათ]ესავმან ესე ჩვენგან მოცე-
მული წერილი და გაგებული მოგიშალოს, [მეფემან], ანუ დედოფალ-
მან, ანუ ალაევრდელმან, ანუ ეპისკოპოზმან, ანუ თავადმან, ა[ნუ
მამაცმან], ანუ დედაცმან, ანუ საყდრის შვილმა, აზნაურშვილ-
მან, ანუ მსახურ[მან, ანუ] გლეხმან, ანუ დიდმან, ანუ მცირემან, ანუ
უცხო თესლმან ეს ჩვენ[გან გაგებუ]ლი და მოცემული მამული მოგი-
შალოს შენ ი ო თ ა მ ს და მ ი ქ ა ს ა და მო[მავალსა] სახლისა თქვე-
ნისათა, რისხვასმცა დაესაბამო და დაუსრულებელი ცისა [და ქუ-
ეყან]ისა შემოქმედი ღმერთი მამა, ძე და წმიდა სული და ყო[ვ]ელნი
წმიდან[ი] ღმრთისანი ზეც[ისანი და ქუე]ყანისანი, ჯოცეელნი და
უკორკონი; შე-[მ]ცა-ედების ძრწოლა კაენისა, შიშთვილი იუდასი,
შეხდატეხილობა დიოსკორესი[1], ცოცხლივ დანთქმა დათან და აბი-
რონის[ე]; [ნურა]რათამც ნუ იქნების კუნა სულისა მისისა დღესა
მას დიდსა განკითხვისასა და [ჩვენთა] ცოდვათათვისმცა ივინი გა-
ნიკითხვიან.

---

[1] + გიბოძეთ. * დიოსკორესი.

* იკლია ერთი-ორი სიტყვა.

ვინც და რამანცა ადამის მონათესავემა კაცმან...* კაცმან, ანუ
აღაევრდელმან ანუ საყდრისშვილმა ანუ აზნაურისშვილმა, ანუ
[მსახურმა] ამას წინათ რომ სიგელი მოგეცით და ან ახლა ეს სიგელი
მოგიშალოს და ...რიოს ან ძალი მისცეს, მაზედამცა აღესრულების.
რაც შეასდა რვას ფს[ალმუნ]ი წყევლა სწერია.

ხოლო დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხოს და [წმიდამან]
ღმრთისმშობელმან.

მამშვლულნი ღმერთმან მოშალოს და ღვაწლით შემოს[ილმან
მკ]ნეთან მკუდარმან, შეიდწილ უძლეველმან წმიდამან გიორგი.

დაიწერა მტ[კიცე და მ]ოუშლელი სიგელი ესე ქორონიკონსა
ტნჱ.

არიან ამისნი მოწამენი: სა[ხნი ძმანი] მგალობლის შვილები —
ბეჟანა, ათანასე და პეტრე, ამირეჯიბი ქაიხოსრო, ბოქოულო[უხუც]ესი მამუკა, კირაულა პაპუნა, აბელაშვილი ეგიტა, ჭორჭელთ მოკელე ფიროს[მან]ი დემეტრე და სული ერთობილნი ჭორჭელნი და საყდრის შვილები; ჭე...* მდივანი ონანაც გაერივა და მოწამეც არის.

აგრევე ჭორჭელში ყოველ[და წმიდის] საყდარსა თაგვინაურიასაგან ერთი კვამლი კაცი ჰქონია შეწირული, კაის ყამ[ის შკაი] კაცი კი ამოვარდნილაყო. იმისი ნაოჯარი ორმოცის წლის აოჯრებული თქვე[ნთვის გვიბო]ძებია ამაე წესითა, მაშინც ასრე სდებია; იმაზე მსახლობელს კაცსა არც ლა[შქრობა სდ]ებია, არც ნადირობა, არც აღაევრდლის სამსახური. მარიამობას დღეს ზედა..* საყდრისათვის ჭმსახურებია; და ვინც საფლავებულან ჭორჭელნი. იმას...*რება თუ აშენდეს და კაცი და სახლი, ისევე იმსახუროს და სხვარიგ[ი თქუენთ] ჭელთ იყოს.

აწე ვინცა და რამანცა კაცმან ადამის მონათესავემან ანუ[ალაევრდ]ელმან, ანუ საყდრის ყმამან, ანუ დიდმან, ანუ ცოტამან ამ ჩვენგან მოცემული და გაგებუ]ლი და წყალობის სიგელი მოგიშალოს, რისხვასმცა დაუსაბამო ღმერთი [მამა, ძე და] სული წმიდა, ზეცისა ძალნი ჭორციელნი და უჭორცონი, ყოველნი წმიდანი [ღმრთის]ანი, ჩვენთა ცოდვათათვისმცა იგინი განიკითხვიან.

დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან [აკურთხო]ს; და მამშვლენი ღმერთმან მოშალოს, ამინ.

ხელთაჲ: აღაევრდელი გრიგოლ. ბექადი**

---

* აქლია ერთი-ორი სიტყვა.

** ბექადის ლიგუნდა კარგად არ იკითხება: „ითაბრის"?

135. [სამართალი დომენტი კათალიკოზისა ციცი-შვილების სადაო მიწის გამო]

[1671 წ.]

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა, ესე წიგნი მოგეცათ ჩუენ, ბატონისშვილმა ბატონმა ქათალიკოზმა დომენტი თქუენ, ციციშვილს, ჩემს დისწულს, ზაზასა და ზაალსა.

ასრე, რომ: როდესაც კურთხეული ჩემი და, დედათქუენი, დედისიმედი მიიცვალა და თქუენ ყინცვის[ს] წასასვენებლად მოიხდომეთ და ასე მოგეახსენეთ, რომ: ან ყინცვის[ს] წავასვენებთ და ან სხვაგან მივიღებთ ბიწათ, ჩუენ ეს მოვიხდომეთ, რომ ნიჩბი[ს] თქუენის სასახლის სიახლეს აგეშენებინათ საყდარი და იქ მიგეღოთ მიწათ.

რაჟამს ჩუენ მოვიხდომეთ, თქუენც დაგეუჯერეთ. საყდრის აშენებას საფიცრის წიგნი გამოგართუთ, რომ ავაშენებთ და საძირკველი გაკურთხეთ და ჩუენვე გავაჭრევინეთ.

მას უკან შენობას რომ მიგაყოფინეთ ჭელი, კარგროგად რომ დაეწყეთ შენობა და მესამედი რომ აშენდა, მას უკან თქუენი განაყოფი ციცი წამოგეედავა, რომ ჩემის ყმის მიწაში აშენებო.

ჩუენ მოკითხული ვქენით და ის მიწა ციცის ყმისა არ იყო. ის საყდარი სადაც დაიდგა, შენის ყმისა იყო, ამის სამართალი ჩუენ გაესინჯეთ და არას გემართლებოდა და არცა რა ჭელი ჰქონდა. შენობა დაგაწყებინეთ და ჭელიც მოგიმართეთ. და ღმერთმან შრომაში გაგათაეებინოს, ჭელი მოგიმართოს.

ჩუენ ეს საქმე გარდაგეწყვეტია, რომ ამ საქმეზედ სალაპარაკოდ და სასარჩლოდ ჭელი აღარაცას აქუს.

დაიწერა ქორონიკონს ტნთ.

ხელრთვა: ქათალიკოზი.

ჩუენ, ბატონიშვილი ბატონი ბაგრატ და ბატონიშვილი ბატონი ამითომ ამ საყდრის მოწამე და დამხდომნი ვართ.

ჩვენ მთავარეპისკოპოზი ნიკოლოზ ჩხეიძე ამ საყდრის საძირკველის კურთხევაში დაეზედი და ამ სამართალში და მოწმე და გარდამწყუეტელნი ვართ.

ხელრთვა: მთავარეპისკოპოზი ნიკოლოზ

ქ. ჩვენ ტფილელ ეპისკოპოზი იოსებ ამისი მოწმე და დამხდომნი ვართ.

ხელრთვა: იოსებ ტფილელი

136. [წყალობის წიგნი დომენტი კათალიკოზისა პაპუა მაღალაძისადმი]

[1672 წ. 1 მაისი]

ქ. სახელითა სახიერისა, პრსება დაუსაბამოსა ღმრთისა[ა], მამისა ძისა და სულისა წმიდისა;

თაყდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა ყოველად წმიდისა უხრწნელისა უფროსად კურთხეულისა დედოფლისა ჩვენისა ღმრთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისათა;

თაყდებობითა და მინდობითა, ძლიერებითა ცხოველის მყოფელისა პატიოსნისა ჯვარისათა, რომელსა ზედან განიპყრნა უხრწნელი მკლავნი თვისნი ქრისტემან ღმერთმან ჩვენმან ჯსნისათვის ჩვენისა;

თაყდებობითა და მინდობითა და შუამდგომელობითა წმიდათა მათ უხორცოთა ანგელოზთა და მთავარანგელოზთა მიქაელ და გაბრიელისათა და ცხრათაყე დასთა ანგელოზთათა;

თაყდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა წმიდათა თაყთა მოციქულთა პეტრესითა და პაულესითა და ათორმეტთა მოციქულთათა;

თაყდებობითა და მინდობითა წმიდათა წინასწარმეტყუელთა, მღდელთ-მოძღუართა, მოწამეთა, მამათ-მთავართა ქალწულთათა, მეუღლებნოეთა და ერთობითა ყოველთა წმიდათა ღმრთისათა;

თაყდებობითა და მინდობითა სვეტისა ცხოველისა, კუართისა საუფლოსა და მირონისა ღმერთ-მყოფელისათა;

ჩუენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხეულმა ყოველისა საქართუელოსა დიდმან მამათ-მთავარმან, ქ ა რ თ ლ ი ს ა კ ა თ ა ლ ი კ ო ზ მ ა ნ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ მ ა ნ პ ა ტ რ ო ნ მ ა ნ დ ო მ ე ნ ტ ი, ესე უკუნისამდე ქამთა გასათუებელი, სამკუიდრო და საბოლოო წყალობისა წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა ერთგულსა და თაყდადებით ნამსახურს მ ა ღ ა ლ ა ს ძ ე თა ს ა ხ ლ თ-უ ხ უ ც ე ს ს პ ა პ უ ა ს ა, შუილთა თქუენთა რ ე ვ ე ზ ს, ნ ი კ ო ლ ო ზ ს, მ ა მ უ კ ა ს ა, ა დ ა მ ს, ზ უ რ ა ბ ს და დ ე მ ე ტ რ ე ს, შუილთა და მომაგალთა ყოველთაუე სახლისა თქუუნისათა ასრე, რომე:

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი ჩემი დიწრული, ბატონი ც ი ც ი ჩამოიყუანეთ შუა და ც ი ხ ე დ ი დ ი ს მოურაობის წყალობას გუეპყნით; იმ ჰელად ვერ მოგეცით, ამისთუის რომე ცოტა რამე სხუა მამული გაძლიეთ და თქუენ არ ინდომეთ.

კიდევე ცოცი შუა ჩამოიყუანეთ და გიბოძეთ ცხედიდის მოუ-
რაობა და არმაზი ყოვლის კაცის მოუდეგარი და უცალეშლილი.

კიდევე სვეტისცხოველის და სამცხეთოს სახლთ-უხუცოება შე-
რთომ მეფისა და დიასამიძის კათალიკოზი-
საგან გეშოვნა და წიგნებიც გქონდათ.

აწე ჩვენცა სიყვლითა ჰქით დაგიმტკიცეთ და გიბოძეთ სახლთ-
უხუცობა ქართლით კახეთამდი სამცხეთოსი ასრე, რომე:

ღვინისა, პურისა ცხურისა და ძროხისა, ბაყისა და მაღლის
თეთრისა ოცისთავი არ დაგაკლდეს. ჩემ[მ]ა ძმამ მეფემ შა ვ ნა-
ოზც წიგნი გიბოძა და ჩვენც ასრე დაგიმტკიცეთ.

ვინცა და რამანცა კაცმან ანუ კელმწიფემან და ანუ კათალი-
კოზმან, დიდმან ანუ მცირემან ეს ჩვენგან დამტკიცებული წიგნი
და სახლთუხუცობა და სვეტის ცხოველის რიგება მოვიშალოს, წყეუ-
ლიმც არის და შერჩენებულ ღმრთისაგან და ყოველთა მისთ წმიდა-
თაგან აჭაცა და მას საუკუნოსა ჩვენგანცა შერჩენებული იყოს და
კათოლიკე ეკლესიისაგანცა.

ბოლო დამშტკიცებელი ამისი ღმერთმან აკურთხოს.

ამრიან ამისნი მოწამენი ჩემი მოძღვარი დ ი ო ნ ო ს ე, მღდელ-
მთავარი ფ ი ლ ი პ ე, ნაცვალი ბ ე ქ ი ტ ა.

დაიწერა წიგნი ესე და ბრძანება ქელითა ბ ა ღ დ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს
ი ე ს ე ს ი თ ა ქორონიკონსა **ტნი**, თვესა მაის[ს]ა ერთსა.

დაგვიმტკიცებია ბრძანება ესე და თქვენცა ესრეთ დაუმტკი-
ცეთ. [redacted]

ხელრთვა: 1. კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი დ ო მ ე ნ ტ ი
2. შ ა ნ ა ო ზ

ქ. ჩვენ, ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ მ ა გ ი ო რ გ ი და ბ ა ტ ო ნ ი-
შ ვ ი ლ მ ა ლ ე ვ ა ნ ასრე დაუმტკიცეთ ბატონის კათალიკოზის
ბძანება თქვენ, სახლთ-უხუცესსა და შვილთა თქუენთა.

ხელრთვა: 1. გ ი ო რ გ ი
2. ლ ე ვ ა ნ
3. . . . . .
4. არჩილ

ქ. მთნა ღ[თისა], ძე მეფის შაჰნავაზის ს უ ლ ე ი მ ა ნ ვამტკი-
ცებ ქორონიკონ[ს] **ტნიდ**.

ხელრთვა: ს უ ლ ე ი მ ა ნ

ე. ბატონიშვილი თეიმურაზ მოწა ღ[მრთისა.

ხელრთვა: თ ე ი მ უ რ ა ზ

ბეჭედი: სახლის ხუცესი ც ი ც ი. ხელრთვა.

ზემო ველაზე:

... ნურვინ [3] ყოფს შლად

ორი ხვედელ: 1. ბერძნული წარწერით
2. კათალიკოზ მამამთავარი დომენტი ქრისტეს აქათ ჩლე

137. [კათალიკოზის სახლთუხუცესის რიგი და შესავალი]

[1800—1076 წწ.]

ქ. სახლთხუცის რიგი და შესავალი ასე იყოს:

[სახლთხუცის რიგი]

1*. ქ. ყოველის მამულის გამოსავალი იმას ეკითხოდეს, რაც ან სახასო მამული არის და ან სოფელი, ან აზნაურშვილისა და ან მსახურის გამოსაღები და მოსავალი არის, სულ უკლებლად სახლთხუცესმა შემოაგროვოს პური თუ ღვინო რაც რამ ფერი.

2. მერმე მოვიდეს და ბატონს იახლოს და თან წაიყუანოს ნაცვალი და მამასახლისი და მდივანიც ბატონთან დაიბეჭდოს და ანგარიში მოართვას ბატონსა.

3. თაეილები მდივანმა დაწეროს. ერთი თაეილი ბატონს მოართვას და ერთი თაეილი მუჯირსა დ[ა] მემარნეს მისცეს.

4. ახლა ეს რაც დადგეს და მოვიდეს, სახლთხუცესმა უკლებლად უნდა მოაბაროს ნაზირს თავისის წერგნითა და ბეჭდითა.

5. მერმე ნაზირმა დაწეროს ეს მოსავალი უკლებლად და დაბეჭდოს.

6. მერმე კიდევ სახლთხუცესმა იმაზედაც ბეჭედი დასვას და ისე ქარხნის მოკელეებს მიაბაროს: მელვინესა, აუმტარსა და მუჯირსა.

7. სახლთხუცის შეკითხვით ნაზირმა უნდა გაახარჯოს და რაც დაიხარჯოს, ან რაც მოვიდეს, იმას ბარათზედ ჯერ ნაზირმა დასვას

---

* ხელნაწერში ტექსტი მუხლებად დაყოფილი არ არის.

ბეჭედი და მერმე სახლთხუცესმა, მასუკან ბატონმა. და თუ სახლთხუცესა და ნაზირის ბეჭედი არ იჯდეს, ბატონი ნერას იყაბულებდეს.

8. ანგარიში რომ იქნას დანახარჯისა და დაიტყდეს მოჯულეში, სახლთხუცესი თავს დაადგეს და აზღვევინოს და ქარხანაში ნაზირა შიაბაროს სახლთხუცესმა თავის ბეჭდითა.

9. მცხეთის კონი და ფიჩხული სახლთხუცესმა დეკანოზს უთხრას და დეკანოზმა ჩაადგმევინოს; და თავს ბატონის კაცი ნაზირმა დააყენოს, ვინც უნდოდეს და ისე უკლებლად მოებარებოდეს. სხვას კონსა და ფიჩხულს სახლთხუცესი ჩაადგმევინებდეს და იმაზედაც ვინც უნდოდეს, ნაზირი ბატონის კაცს დააყენებდეს და ისე მოებარებოდეს.

10. სოფელში საქართამო იყოს თუ ჯურღმი ან სხვა რაც გასაირიგებელი ანუ კაცი დასაახლებელი იყოს, ანუ სხვა რაც გასაირიგებელი იყოს, სოფლის მოურავმა და მოჭელეებმა სახლთხუცესს[ს] გაასინჯოს; და სახლთხუცესმა ბატონს მოახსენოს და ისე გააირიგონ.

11. რაც ბატონმა მამული და საჭელო გასცეს — ან დიდისა ან ცოტასი ან მსახურისა ან აზნაურიშვილისა გაიცეს რამე, ტყუილს ნურას მოახსენებენ, რიგიანი მოახსენონ და ისე გაასინჯონ და გააირიგებინონ.

12. სოფლის საქმე ნაზირმა ასე იკითხოს: ჩვენი მოსავალი მოიკითხოს და ვისაც უსამართლო ექნას მოურავთა თუ მოჭელეთა თუ სახლთხუცეს[ს]ა, ნაზირმა ბატონს შეატყობინოს.

13. თუ ბატონისა მოიპაროს ვინმე, კაცი გაგზავნოს, სახლაური იყოს, აზღვევინოს, და წართმეული იყოს ვისიმე უსამართლოდ, გაჩოართვას ნაზირმა. ბატონს მიერთმეოდეს — ბატონს მიართვას, თუ არა, ბატონს მისცეს.

14. სახლთხუცესი წავიდეს სოფელში და ნაზირიც დახუდებოდეს, ისევე მუშაობაშია, ისე სოფელს იქმოდენ და ისე შეიმუშავებდენ.

15. რაც სოფელს ძალა და უსამართლო სჭირდეს, ბატონს შეატყობინოს, რაც არა სდებოდეს სოფელსა, ნურც სახლთხუცეს[ს] მისცემენ და ნურც სხვათ მოჭელეთა. რაც არ ყოფილიყოს ნუ იქმონენ. რაც სდებოდეს, გლეხნი კაცნი უარს ნუ იტყვიან; არცა[1] სდებია სასახლთხუცესო ტაბილი, არცა პური სოფელსა, და ნურცა ართმევენ.

---

[1] არცა.

16. რაც გარედამ შემოსავალი არის ნაზირს მიებარებოდეს და საბატონოდ გვაბარებდეს.

17. სოფელს რაც შეეწიროს: ან საბსნილო, ან სამარხო, ან სამასპინძლო, საალდგომო თუ სამობაო, ან რაც გამოსაღები არის — სახლთხუცესმა და მდივანმა შეწიროს და ნაზირი იქ დაიხვედროს ბატონის შეკითხულობითა და რაც მოვიდოდეს ყველა ნაზ[ი]რს მიებაროს.

სახლთხუცის სარგო:

18. თევზია, პურისა, ბაკისა* ოცისთავი შეუცილებლად სახლთხუცისაა.

19. ღვინიაც ოცისთავი მელვინეთხუცესმა და სახლთხუცესმა შეა გაიყონ.

20. შიშლიკი, ათისთავი, ოცისთავი, საბალახე[1] სამთ გაიყონ**.

21. საბალახის ოცისთავი მესტუმრემა, მებალახემა და სახლთხუცესმა სწორად გაიყონ.

22. ერთმა სახლთხუცესმა ისახლთხუცესოს და ერთმა ნაზირმა ინაზიროს, ან სახელოებშია ერთი მეორეს ნუ დაუწყებს ცილობასა.

23. ბატონთან სადილი თუ ვახშამი მოიტანონ, სახლთხუცესი თავს დაადგეს; და როგორც წესია სახლთხუცისა, ისე კაისგეარად მართებულად ვაარიგოს და იმსახუროს. მერმე მოვიდეს და პირდაპირ მის ალავს დაჯდეს.

24. თუ ბატონი სადგომს ბძანდებოდეს სადილ-ვახშმად, ბატონს ნუ გაეყრება სახლთხუცესი. ნაზირმა და სახლთხუცესმა, ბატონმა რაც ბძანოს სასადილო თუ სავახშმო, ის მესტუმრეს გააკეთებინოს; და ნაზირისა და სახლთხუცის კაცი თავს ადგეს, რომე არცა ვინ რამ წი[ა]ღებინოს და არცა ვინ[2] ურიგო რამ ქნას და არც არაფერს წააღებინონ რამე.

ბატონს სუფრა კარგა მიერთვას.

25. და თუ სახლთხუცესმა ბატონს ტყუილად ვაასინჯოს რამე და მოახსენოს, და ან სოფელსა და მოსავალს ძალი უყოს რამე, და ან უსამართლო და უმართებულო ქნას რამე, შვიდეულად ზღოს.

---

[1] საბალახეს. [2] + რამ.

* აქ ჩამატების ნიშანია +, ხოლო გასწვრივ, მარჯვენა კიდეზე მიწერილია: «[ყოე]ლი ოცისთავი». ხვეულად: კათალიკოზი დომენტი.

** ეს მუხლი მიწერილია მარცხენა კიდეზე, კათალიკოზის ხელნაწერით; ტექსტში კი ჩამატების ნიშანია.

26. და თუ ბატონი სხვაგან იყოს, ან მეფესთან და ან დაბატ[ყ]ებული ვისიმე, ბატონის სადგომს სახლთხუცესი დაჰდეს, დგეს[ა]ხ აზნაურშვილები იახლოს ბერხნი და მღდელნი და იქე კაი სადილი აჭამოს.

27. ძღვენსა და ფეშქაშს სახლთხუცესი ნუ მოუძღვება. ბოქაულთხუცესსა არის მართებული.

28. ქ. სახლთხუცეს[ს] ეჭუსის კაცის პური, ჯორისაგან საქაჭკაჭე, დღეში ლიტრა ღვინო ერთი.

29. სახლთხუცესი სახასოს საბატონოს კაცს ნუ იახლებს.

30. და ვინ იცის, ავრე საქმე მოუჭდეს სახლთხუცეს[ს]ა და სადგომს დაჰდეს, ნაზირმა მიართვას უკლებლად ერთი მურასა პური. სხვა ნაზირმა მიართვას: საჭელგო ღვინო ლიტრა ერთი, ატენური ღვინო ნახევარ ლიტრა, რაც გაკეთდეს — თითო ბოშხაბი საჭმელი.

ხელთა: კათალიკოზი დომენტი.

verso:

ქ. სიველი სალთხუცობისა შანავაზ კელმწიფისა. მისის შვილის კახთა მეფისა არჩილისა და ლევანისა და სხვათა ბატონისშვილთა და უფლისწულთა ნაბოძები, მართალი და ჭეშმარიტი.

138. [ერთგულების წიგნი ჯვარის მამის ნიკოლოზ წულუკიძისა შაჰნავაზისა და დომენტი კათალიკოზისადმი]

[1675 წ. 8 თებერვალი]

ქ. სახელითა ყოვლად სახიერისა, არსება დაუსაბამოსა ღმრთისა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისა, სამგვამო[ე]ნისა, სამებისა, ერთ-ღმრთეებისა, რომლისა მიერ შეიქმნეს ცანი და ქუეყანა და რომლისა მიერ შეიმზადნეს ხილულნი და უხილავნი, რომლისა ბრძანებითა აღმოსცენდეს ყოველნი მცენარენი და რომლისა მიერ ბრძანებითი დაებადნეს ყოველნი აღნაგნი, რომელმან სიტყუით დაბადნა ზეცისა ძალნი ანგელოზნი და მთავარანგელოზნი, სერაბინნი და ქერაბინნი.

რომელმან დაბადა ადამ, პირველი ჩვენი, ხატითა მსგავსებისა თუისისათა და შემზადა ნივთთა ოთხკეცთა, რომელსა შინა ცა ქველობა და სუფევდა და დაადგინა სამოთხესა შინა საშუებელად და რომელსა უბძანა, ვითარმცა: «ყოველისა ხისაგან სჭამო, ხოლო ხისა ამის ერთისაგან არა სჭამო»*.

ხოლო მან არა დაიმარხა ბძანება დამბადებელისა, სჭამა ნაყოფისა მისგან და წარწყმიდა თავი თვისი და ყოველნი ტომნი მისნი, რომელმან მოაყენა ძე თუისი სოფლად შემოსად თბილისა ადამისა და განხორციელდა ქალწულისა მარიამისაგან და ჴსნად ცოდვისა ადამისა და კუალად შესლვად სასუფეველსა ცათასა, რომელმან გვიხსნა მახეთაგან ეშმაკისათა და კვალად გვაგნა პირველსავე პატივსა;

მეოხებითა ყოვლად წმიდისა, ყოველად ბიწშეუხებელისა მარადის ქალწულისა მარიამისითა; შეწევნითა და მეოხებითა ყოველად ძლიერისა ქრისტიანეთა სიქადულისა მეცეთა მორწმენეთა მფარველ-მამტკიცებელისა ძელისა ცხოველისა პატიოსნისა ჯუარისათა, რომელი სხურებულ იქმნა სისხლითა ძისა ღმრთისათა;

თავსმდებობითა წმიდისა წინასწარმეტყველისა და წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოვანესითა და იოვანე ქალწულ მახარებელისა და ღმრთისმეტყველისა იოვანესითა, წმიდათა თავთა მოციქულთა პეტრესი და პავლესითა და სხვათა ათთა მოციქულთა;

თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა წმიდათა დიდთა მღრდელთ-მოძღვართა: ბასილ, გრიგოლ, იოვანე, ოქროპირი და ნიკოლაოზ;

თავდებობითა, მინდობითა და შეამდგომლობითა ღვაწლმრავალთა გიორგი, დიმიტრი, თევდორე და არტემისი თა;

თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა სვეტისა ცხოველისა[1] და მიროსისა ღმერთ-მყოფელისა და წმიდათა ქალწულ მოწამეთა: ეკატერინა, მარინა და თეკლასითა;

თავდებობითა, მინდობითა და შეამდგომლობითა წმიდისა მეათცამეტისა და ქართველთ განმანათლებელისა ნინოსითა, — ამათ ყოველთ წმიდათა ღმრთისათა;

---

[1] +ცხოველისა.

* შდრ. შესაქმეთა, 2, 16—17.

ესე ფიცი და პირი და საერდგელო სიტყუა გაცდოთ და მოგაბრ-
სენეთ თქუენ, ყოველთა მეფეთა მფლობელსა, ძლიერსა და უძლეველსა
ველსა საბელ-ალმატებელსა ჯელმწიფესა პატრონსა ვახტანგ
ნაოზს და ჯელმწიფესა ყოვლად საქებლად სადიდებლად ენა,
ვთნება მიეუწდომელსა ძესა თქუენსა პატრონსა არჩილსა და
ყოველსა საქართველოსა მაკურთხეველსა ბატონისშვილსა პატრონს
კათალიკოზსა დომენტის ჩუენ, ჯვარის მამამან
წელუკიძემ ნიკოლაოზ ასრე და ამა პირს ზედან, რომე:

ჯუარის მამა თქუენის ბძანებით დადგომილა ნიადაგ ქართვე-
ლის ბატონისაგან და კათალიკოზისაგან. და ჩუენცა გიახელით და
გთხოვეთ ჯუარის მამობა და გეიბოძეთ სრულ საქართველოს ჯვა-
რის მონასტრის მამულები.

აწე ვიყოთ თქუენი ერდგული და თქუენის სიყუთის მომჭირნე,
რაც ჩემის ჯულითა და სიტყუით გამოვიდეს. და რაც საერესალიმო
ეშოვნო ამ ოთხს საბატონოში, სრულა მონასტრისათუის შევი-
ნახო; და არც ჩემს შვილსა და ჩემს ნათესავს მივსცე უსყიდლად
და თქუენ ბატონს კათალიკოზს მოგაბარო. და რაც ვიშოვნო მონას-
ტრისათუის და სანამდი ჯვარის ნამობა მჭონდეს, ეს ასრე გაგი-
თაოთ პატრონო[1].

დაიწერა ხელითა მაღალაძის ნიკოლაოზისითა,
ქორონიკონსა ტნიგ, ფებერუალსა ჱ.

ხელრთვა: მამა ჯუარისა ნიკოლაოზ

139. [წყალობის წიგნი ნიკოლოზ კათალიკოზისა ძეგველთადმი]

[1878 წ. 12 აპრილი]

ჭ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა, ჩუენ, ქრისტეს ღმრთისა
მიერ კურთხეულმან, ყოვლისა საქართველოსა დიდმან მამამთავარ-
მან, ქართლისა კათალიკოზმან ამილახორი შვილმან
პატრონმან[2] ნიკოლოზ ესე უკუნისამდე ყამთა გასათავე-
ბელი, მტკიცე და უცვალებელი წყალობის წიგნი და სიგელი შეგი-
წყალეთ და გიბოძეთ თქუენ, სვეტისცხოვლისა და ჩუენსა ერთგულ-
თა და თავდადებით ნამსახურთა ყმათ ერთობილთ ძეგველთა, ას-
რე და ამა პირსა ზედა, რომე:

დიდის კოკით კულეხს გართმეცვეუნ და კოკით ძალი გჰირდათ;
მოგვიდეგით კარსა და კოკის მოკლებას დაგვიჯენით. ეისმინეთ აჯა

[1] პაატორონო. [2] ბატრონმან.

და შეხსენება თქვენი და დიდი ყოჩა მოვიძულეთ და თორმეტიანს ყოჩა დაგიდგეთ; კულუხს თორმეტიანის ყოჩით გამოგართმევდეთ.

ძეგვისთავს სახახლე მოვიძულეთ და ის აღარი თქვენ გაჩუქებიეთ; და რახახ ძეგვს ჩვენს ცხენებს დავაბემდეთ, ცხენს ჩვენს ქერს ვაჭმევდეთ, მეჯინიბეს ჩვენს პურს ვაჭმევდეთ; ესამართლოდ არც ქერი გამოგართვათ, არც მეჯინიბისთვი[ს] პური გაჭმევინოთ. როგორაც მაღრ[ა]ლვისთვის გემსახუროსთ, ისრევ მსახურეთ; სხვა ძალი და ესამართლო არცა რა იმან გიყოს.

გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან სვეტის ცხოველისა და ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შინა. ესე ძარე გაგითავდესთ და არა მოგეშალოსთ არა ჩვენგან, არა შემდგომთა სხვათა მეპატრონეთა კათალიკოზთაგან.

დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხნეს.

არიან ამისნი მოწამენი და შუა დამხდომნი: სახლისხუცესი პაპუა, გედეანისშვილი გიორგი, ქარსიძე დავით, სახლისხუცის შვილი ნიკოლოზ, დეკანოზი ზაქარია, დეკანოზისშვილი რამაზ, თაზიშვილი პა[ქ]ტა; და მე, რევაზს დამიწერია და მოწამეცა ვარ.

დაიწერა წიგნი და სიგელი ესე აპრილსა თორმეტსა, ქორონიკონსა ტნივ.

ხელთაწერი: კათალიკოზი ნიკოლოზ
ბეჭედი: როშელი განჭვნით ქუეყანასა ზედა, ჭსნილ იყოს ორი ცათა შინა.

140. [ჯვალობის წიგნი ნიკოლოზ კათალიკოზისა ათენელისადმი]

[1678 წ.]

ჭ. ნებითა ღმრთისათა, ესე უკუნისამდე ყოფათა განათლებელი წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ, ბატონმან კათალიკოზმან ამილახორის შვილმან პატრონმან ნიკოლოზ, თქვენ, დიდმცელს წმინდის გიორგის დეკანოზს ათანელსა, ძმასა შენსა გედიასა, ელისბარასა, ქეშთელასა, თთარახა, ბერსა, მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთაევე.

ძარე, როცა: წმინდის გიორგის დეკანოზობას შემოგეცილნენ; მოხვედით, ჩვენ შემოგევსვეწენით. ჩვენ მოკითხული ვქენით, ჭელ-

მწიფის სათარხნის წიგნები გქონდათ და ბატონისშვილის კათალიკოზის წიგნი გქონდათ, სამკვიდროთ თქვენი იყო და არას გემართლებოდათ; ჩვენც გიყავით წყალობა და სიგლითა ამით დაგიმტკიცებთ და გიბოძეთ ყოველის კაცის მოუდეგრად და უცილებლივ.

შენთან არც ზებედეს ჰქონდეს ჭელი და არც სხვას კაცსა. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან. ესე ასრე გაგითავდეს და არა მოგეშალოს არა ჩვენგან და არა შემდგომთა სხვათა კათალიკოზთაგან.

არიან ამისნი მოწამენ[ი] და შუა დამხდურნი: სახლისხუცესი პაპუა, ქარსიძე დავით, თანიაშვილი ელისბარ, კანდელაკისშვილი პეტრე. მე, რევაზს დამიწერია და მოწამეცა ვარ.

დაიწერა წიგნი ესე ქორონიკონსა ტნივ.

ხელთუა: კათალიკოზი ნიკოლოზ

ქ. ჩუენ, ბატონმა კათალიკოზმან დიასამიძემ ევდემოზ ეს წიგნი და ბძანება დავამტკიცეთ და გაგითავეთ. ნუ მოეშლების, რომელიც ყოფილა და ან ქონებია ამ დეკანოზსა და მის[ს]ა სახლსა.

ბეჭედი: კათალიკოზი ევდემოზ.

141. [წყალობის წიგნი ნიკოლოზ კათალიკოზისა რევაზ სახლთხუცესისადმი]

[1678 წ.]

ქ. ჩვენ ღმრთისა მიერ კურთხეულმან და მწყემსმან ქრისტიანეთამან ქართლ[ისა], კახეთისა, სამცხე-საათაბაგოსა მაკურთხეველმან, ითთან ამილახვრის ძმამ კათალიკოზმან ბატრონმან ნიკოლაოზ ესე ამიერ უკუნისამდე ქამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და უცილებელი წიგნი გიბოძეთ თქვენ სვეტის ცხოვლის მქნელიდრთა ჩვენს ერთგულთა, ძველთ შეყვარებულთა მადალაძეს სალთხუცეს რევაზსა ჭადაგს წინამძღვარსა ბატონს ნიკოლაოზს, მდივანს ადამს, ზურაბს, დემეტრეს, ამილბარს და დემეტრეს, შვილთა და მოსამავალთა სახლისა თქვენისა ყოველთავე.

ასე რომე, მოგვადეგით კარსა[1] და თქვენისავე ყმობით ირჩიოდით ზერტს კაცებსა. ვისმინეთ მოხსენება თქვენი და მოკითხუ-

[1] +თქვენისა ყოველთავე ასე რომე მოგვადეგით კარსა.

ლი ექენით; რადგან ძველად[1] თქვენი ყმანი ყოფილ[ე]ნენ, ჩვენ გიბოძეთ ზერტს მიქელაშვილი ხეჩა, მირქაშ გიორგის მამული, დღეს რისაც მჭონებელნი იყუნენ მისის ყოველ[ნ]ი შვილთა თქვენთვის გვიბოძებია ყოველის კაცის უცილებლად.

გჭონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენსა და სეეტიცხოველის სამსახურსა შინა: არა მოგეშალოს ჩვენგანა და არცა შემდგომსა ჩვენსა სხვათა მეპატრონეთაგან.

უკეთუ დიდმან[2] ანუ მცირემან ეფისკოპოზმა ანუ კათალიკოზმან ხელყოს[3] შლად ამისა, მასცა რისხ[ვ]ას დაუსაბამო ღმერთი და ყოველნი წმინდანი ზეცაე[ნ]ნი და ქვეყანისანი].

[და]მამტკიცებელი ამისი აკურთხოს ღმერთმან.

არიან ამისი დამ[ს]წერნე და გამრიგ[ე:ბ]ოქოლთ-ხუცესი გარეგინძე გიორგი, მეღვინეთ-ხუცესი ხახუტა, ჭარმეული ბა[ა]ლტა, დეკანოზი [მ]კხეთის ზუბიტა და სრულად ერთობილნი [მ]კხეთელნი.

მე, ნიკოლოზ იშხნელს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა ბძანება ესე ივლისს ე, ქორონიკონს ტ[ი]ვ.

ხელრთა: კათალიკოზი

კიდეზე:

ეს სგელ[ი] ჩვენც ასე დაგვმტკიცებია ნებითა ღმრთისათა. ქორონიკონს ტჟᲔ(?)

142. [შეწირულების წიგნი ჯუღნდიდელ-ცაგარელ-გედიელ გაგრიელ ჩიქვანისა მარტვილის ტაძრისადმი]

[1680 წ. ახლო]

[6a] ქ. ჩი შენ ცათა უმაღლესო, ქერაბინთა უწმინდესო, ადამის პროლთა დამხსნელო და ევას კრულებათა ქელის წერილის განმხეთქელო, სასოებაო და ტაძარო სიწმინდისაო და ყოვლისა სოფლისა განმანათლებელო; შენ, დიდო და საშინელო მარტვილისა ღმრთისმშობელო და მისო დიდო და პატიოსანო ახოვანო და მზნეო და მზედარო, დიდო მთავარმოწამეო წმინდაო გიორგი სუჯუნისაო!

---

[1] + ძველთ. [2] + უკეთუ დიდმან. [3] + მას.

ჩვენ, ცვა-ფარვათა თქვენთა მონდობილმან და მოსავმან და მეუღლებელმან სიწმინდისა თქვენისამან, ქრისტეს მიერ კურთხეულმან, ჰყონდიდელ-ცაგარელ-ბედიანელმან ჩიქვანმან გაბრიელ ვიგულეთ და ვიგულისხმისმოდგინეთ, შემოგწირეთ მცირე ესე შემოსაწირაული: ოდიშარია ხუხუ თუთარია, ხუხუს შვილი გოგილა და გელი და ბიძუა და მიამია მათის ცოლშვილით და შენ შემოგწირეთ.

ძე, რომე: პირველად ეს ოდიშარია პეპუნა ჭილაძეს შემოეწირა თქუენთვის მესანთლეთ და მესაკმეველეთ. მერმეთ ეს ხუხუა ოდიშარია ბანძის ომზედ დაკარგულიყო და კაცია ჭილაძეს დაეხსნა. კაცია ჭილაძე მოკუდა და მე ნიშნისათვის კარს მოვადექი და ნიშანი ვკითხოვე. ნიშანი კარგი მომცა. მას ეკადრებოდა იმისათანა, მაგრამ არ ვინდომე და ეს ხუხუა ოდიშარია მისი ცოლშვილით ნიშანში გამოვართვი. ეს გლეხი ისრე ვე გაგისრულე. ხატს მარტო ალაგის ბეგარა ეძლეოდა, თვარამ კაცი ყველა კაცია, ჭილაძეს მსახურებდა.

ამე რადგან ხუხუ და მისი ძმა და შვილები ამოვიყვანე მათის ცოლშვილითა, საბლყარითა, ჭურჭამეულითა, ალაგითა, ტყითა, ველითა, საყანითა, სასაფლაოთა, ეკლესიის კარითა, ისრე მისი ყოველისფერიანად შემოგწირეთ ჩვენდა აქა სადღეგრძელოდ და სულისა საბსრად და სათნოდ მას დღესა დიდსა განკითხვისასა.

მართებს ხატის ათი ლაღარიკონი სამთელი, ერთი ნარგისი ზეთი, ერთი ნალბაქი საკმეველი; სხვა ამის მეტი არადერი ამას არ მართებს: არც ლამპრობა, არც ნადობა, არც შინაყმობა, არც მუახლობა, არც სხვა საქმარობა, არადერი სხვა ფლიერობა ხატის სამსახურის მეტი არა მართებს რა; სხვა კაცისაგან ხელი არ ქონდეა.

რამასც კაცმან: ანუ ხელმწიფემან, დიდმან კაცმან, ანუ აზნაურმან, ანუ გლეხმან ეს ჩვენგან შემოწირული და გარიგებული საქმე წმინდა გიორგის და ანუ ამ გლეხის. ანუ კაცის გაყიდვით, ანუ სხვა ესამართლო წართმევით ამ ოდიშარიას მოეკიდოს, მასამც გაურისხდება თავად ღმერთი და ყოველნი მისნი წმინდანი ზეცისანი [66] და ქვეყნისანი, სოროველნი და უხოროცონი, დიდი წმინდა გიორგი.

ეს საქმე კვირიაკეს მოშალოს, იესო ქრისტე გაურისხდება: ორმაბათს შეშალოს, მთავარანგელოზი რისხავს; სამშაბათს შეშალოს, ნათლისმცემელი რისხავს; ოთხშაბათს შეშალოს, ყოველად წმინდა ღმრთისმშობელი რისხავს; ხუთშაბათს შეშალოს, თორმეტი მოციქულები რისხავს; პარასკევს შეშალოს, ცხოველმყოფელი ჯვარი

რისხვეს; შაბათს შეშალოს, ყოველთა წმიდათა სულთა[1] გაუხარისხ-
დება.

ამ წიგნისა მომშლელს და ამ საქმისას დაემართება ძრწოლა კაენისა, დანთქმა აბირონისა, შიშთვეღი იუდასი; ამას მომშლელს რისხვეს წმინდა გიორგი.

დამიწერია სეხნია ქვარიანს და მოწამეცა ვარ ამისა.

დამამტკიცებელი ამისი დაამტკიცოს ღმერთმან; ამისი შემშლელი შეშალოს ანგელოზთ და ხორცით ქრისტემან ქრისტიანობისაგან.

ბეონდიდელ ცვარელი გაბრიელ

143. [წიგნი იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსისა მთაწმინდის მამულების მოვლის თაობაზე]

[1681 წ. 8 სექტემბერი]

წყალობითა ღმრთისათა, პატრიარქი წმიდა ქალაქის იერუსალიმის და კოვლისა პალესტინისა.

ქ. პატრიარქი დოსითეოს ვიკადრებ ჩემთ სულიერნო შვილნო ეფისკოპოზნო, თავადნო, აზნაურისშვილნო სულისა წმიდისა მეყვარებულნო, მშვიდობა, მადლი და წყალობა ცხოველს მყოფელისა სიფლაისა და ჯვარისა პატიოსნისა მიერ, ხოლო ჩემ მიერ ლოცვა-კურთხევა იყავნ თქვენზედან.

მერმე ეს მოგახსენოთ: წმიდასა ალავს ბევრს ალავს აქვს მამულები, მაგრამ არავინ ერჩის, ვისაც სული უყვარს და ან ღმერთი სწამს, ღმდა შეუმატოს წმიდის ალაგის მამულსა და თქვენ აოხრებთ.

აწ ვინცა და რამანცა ქმან კაცსამან: თავადმან, ეფისკოპოზმან, აზნაურისშვილმან, დიდმან [ანუ] მცირემან სელი მოუმართოს და მოუპროს მთაწმინდის ალავსა შეხდომიელმცა ხართ მამა, ძე და სული წმინდისაგან და ჩემგანიცა კურთხეულმცა ხართ.

და ვინც ერჩოლოს ან აწყინოს მთაწმინდის მამულსა, რისხვეს თავად დაუსაბამო, დაუსრულებელი ღმერთი; შეჩვენებულმცა ხართ სამას თვრამეტთა მამათაგან; შეჩვენებულმც ართს, კრულ, წყეულ ჩემ მიერ და სხვათა პატრიარქთაგან.

და დამამტკიცებელნი ამისნი აკურთხოს ღმერთმან.

ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ათას ექვსას ოთხმოცდაერთსა, თვესა სექტენბერს რვასა-

[1] ხელთა.

144. [შეწირულების წიგნი კათალიკოს დავით ნემსაძისა გიფვინჩისადმი]

[1682 წ.]

ქ. ჩვენ, ქრისტეს მიერ კურთხეულთა კურთხეულმან, ჩრდილოსა და აფხაზეთისა კათალიკოზმან ნევსაძემ პატრონმან დავით შემოგწირეთ მცირე და კნინი ესე შესაწირავი თქუენ, სამშენელსა ცათა მოქმედისასა და ქერაბინთა უწმიდესსა ბიჭვინტისა ღმრთისა მშობელსა ეჯიბია კაკალი და მისი ცოლი.

ასრე რომე ფარემუზს ანთიას ყვანდა ჯერ მინახდვი და მერმე ფირან მხეიძემ დაიჭირა და გასაყიდლად მოინდომა. და წ[ა]მოუვიდა და ბიჭვინტისა ღმრთისმშობელს და ჩვენ შემოგვეხვეწა. გავსინჯეთ და ყმათ არც ანთიასა იყო და არც ფირანის, სადღეისთო კაცი იყო და ავიყვანეთ და ბიჭვინტისა ღმრთისმშობელს შევსწირეთ, მას ყამსა, ოდეს გიორგიმ გურიელმან იმერეთი, ოდიში დაიჭირა; და არც მან დაგვიჭირა და მისის ბრძანებითა შეგვიწირავს.

აწე ვინცა და რაჲცა ძემან კაცისამან: ანუ დედაკმან, ან დიდმან და ან მცირემან შენ, ბიჭვინტისა ღმრთისმშობელს შლად და ქცევად და გამოხმად ქელეხს, წასამც რისხვეს თავად[2] დაუსაბამო დამბადებელი ღმერთი, მამა, ძე და წმიდა სული და ყოველნი ანგელოზნი მისნი.

არისმცა ესე სოფელი მისთვის მოკლე და უსარგებლო; არისმცა ნაწილი მისი ქრისტეს უარისმყოფელთან, სადა არიან ტანჯვით სამყოფი მისი: შე-მცა-ედების კეთრი გეზისა, მიშთვილი იუდასი, მეხისტეხა დიოსკორესი, ცოცხლით დანთქმა დათან და აბირონისი; ნუმცა იხსნების წირვითა და ლოცვითა, ნეცა გლახაკთ მიცემითა, ნეცა იერუსალიმს წასულითა, ნურარა ქველის საქმე ეროგების.

წყაელს კოელ და შეჩვენებულიმც იქნების მისი სელი და ხორცი აქა და მას საეკუნოს ათორმეტთ მოციქულთაგან, შვიდთა კრებათაგან, ოთხთა პატრიარქთაგან და ყოველთა წმიდათა ღმრთისათა; ნუმცა იქნების ჩსნა და გამოხსნა მისი აწ და უკუნისამდე, ამინ.

---

[1] ხეთდა. [2] დავად.

დამშვიდებელი ამისნი ღმერთმან აღუთხოს; ხოლო მოიშვლილი ამისი თორსაღე სოფელსამც მოიშვლების.

არის ამისი მოწამენი სრული საკათალიკოზო აზნაურებისშვილები. და მე, იესე მდივანსა დამიწერია და მოწამეცა ვარ.

დაიწერა წიგნი ესე ქორახევრსა ათას ექვსას ოთხმოცდაორსა.

ხელრთვა: კათალიკოზი.

145. [სოფელ მეთრევანის გამოსაღების წიგნი ევდემონ მანგლელისა]

[1678—1688 წწ.]

ქ. სახელითა ღმრთისათა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა და მეოხებითა ყოვლად წმიდისა დედოფლისა ღმრთისმშობელისათა, მარადის ქალწულისა მარიამისა. ოდეს განიგებდა სამეფოსა და ტახტსა მამისა თვისისა ძე დ[ი]დისა მეფის შანაზის, ძე მორწმუნე და ღმრთის მოყვარე, [სა]ხელოვანი და სახელდიდი მეფე გიორგი, ქამსა მას თვისსა შეწოსწირა მანგლისისა ღმრთისმშობელსა და ძელსა ცხოველსა სამჭვალსა თრიალეთზედ სოფელი მეთრევანა.

და ჩვენ ფრიად ცოდვილმან ყოველთა ქაცთა უნარჩევესმან ჩსნის ერისთვის სახლისა ძემან მანგლელ მთავარეფისკოპოზმან ევდემონ ასრე გავბეგრეთ და გამოსაღები დავსდევით. ასრე ამაზედ ვერამ ეფისკოპოზმა ვერ მიუმატოს და ვერც დააკლოს.

ღუნდა გამოაღონ, მოვიდეს თუ არ მოვიდეს: ოცი კოდი ანეულის გუთანზედ და ოცი შემოდგომის გუთანზედ; რამდენიც გუთანი გაებას, ვუთნის თავს თორმოც-თორმოცი კოდი პური, რისაც კოდით თრიალეთზედ მეფისათვის იღებენ იმ კოდით, სადაც უნდა იქ მიატანონ.

ნაბურდალი ხუთეულად უნდა ზღონ.

საბალახე როგორც თრიალეთზედ იღების, ასრე იმ წესით გამოიღონ. ულაყი თუ იქ ტაბიღი მი[ი]ტანოს მანგლელმა, ამათ უნდა მი[ი]ტანონ, და მას გარეთ ერთი გზა ულაყი სადაც მანგლელს გაბრიანებოდეს, სთველზედ იქ გაგზავნოს.

თავისგასატეხი: ჯარი — მანგლელს, აბაზი — მოურავს.

ფური თუ მიაბაროს ბატონმა, ორი ლიტრა ერბო ფურზე და კამბეჩზედ ერბო ლიტრა სამი. თუ საფეველთ მიაბაროს კამბეჩზედ ლიტრა ყველი თორმეტი.

თუ ჯელმწიფე ჩამოედგეს, ცოტას სამასპინძლოთ შემეწევნეს.
ამას გარეთ არც ღალა არც ნახირის თავი არც კოდის პურიაბლა
ეთხოვებოდეს, არც გუთნის ჯღა არ ეთხოვებოდეს.

რომელმაც ეფისკოპოზმა ამაზედ მიუმატოს, ჩვენთამც ცოდვათაგან განიკითხვის.

გ. მოურავს უნდა მისცენ საჭექმე მარწ[ილი], შაური — მოურავს, ორი შაური — მამასახლის[ს].

სხვა რაც წესი და სამართალი მოურავისა და მამასახლისისა, თრიალეთზედ იყოს, ისა ქნან.

ხელრთვა: მანგლელი ევდემოზ

146. [ღალის ამოკვეთის წიგნი ნიკოლოზ გოლნელისა დოლმაზა შანშიაშვილისადმი]

[1685 წ. ოქტომბერი]

გ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა ესე უკუნისამდი ყამთა და ხანთა გასათავებული წიგნი და ნიშანი გიბოძეთ ჩვენ, მუხრანის ბატონიშვილმა ბოვნელ ეფისკოპოზმა პატრონმა ნიკოლოზ შენ, შანშიაშვილს დოლმაზას, შვილთა შენთა ნასყიდას, როსტომას, ხოსროს, დათუნას, მანდენას და მომავალთა სახლისა შენისათა.

ასე რომ, შენ ტერტერაშვილისაგან ყოჩის მიწა გეყიდა. როდისაც ჩვენ ბოლნის[ს] სიონთა ღმრთისმშობლის ალთარისმყროზელად მოვედით, მისის მამულებისა მოკითხული ვქენით. და ძველითგან ის ყოჩის მიწა საყდრისა ყოფილაყო; ჩვენ საკვმრეოთ გავყიდეთ; და ჯეშუიფემ იმ მიწაზედა ღალა დასდვა და ჩვენ ღალას ვიღებდით.

და საყდრის ყმას ბარბარაშვილს შენი ვალი ემართა. ვალისაგან დიალ გატეხილი იყო, რომ დონე არა დაედებოდა რა. მე შენ იმ მიწის ღალა ამოგაკუეთე და შენ იმისი ვალის თამასუქი დაუხიე და ის ვალი გარდუწყვიტე. და იმ მიწის ღალის მაგიერი სამსახური ამ ბარბარაშვილს დავადევით.

ამ წესით ამ მიწის ღალა შენთვის გვიპატივებია. რამანც ეფისკოპოზმა ან ერისგანმა ეს ამოგიშალოს, მასამც რისხვას დაუსაბამო მამა, ძე და სული წმიდა, გამთავენი და დამამტკიცებელნი ამისნი ლმერთმან აკურთხოს.

არიან ამისნი მოწამენი თავად ღმერთი და ყოველნი მისნი წმინდანი; კაცთაგან: მუსხელაშვილი სახლთუხუცესი ზაქარია, ძიძაშვილი შიუკა, მელვინეთუხუცესი შიო, შავერდაშვილი დუშია, ეჯუბაშვილი ხეჩიკა, მამასახლისი ეართიანა, მახარაშვილი გიგოლა, მე და სულ ერთობილნი საყდრისა ყმანი ამისი მოწამენი არიან.

მე, სიონთა ღმრთისმშობლის დეკანოზს ოქროპირს დამიწერია და მოწამეც[1] ვარ.

დაიწერა ღვინობისთვის გასულს, ქრონიკონს ტოგ.

ხელთვა: ნიკოლოზ ბოვნელი

147. [ალთქმის წიგნი მარილელთა ნიკოლოზ ალავერდელისადმი]

[1658 წ. ახლო]

ქ. ესე წიგნი მოგართვით ჩვენ, მარილელთ ასათაშვილმა მდდელმა გაბრიელ და პაპიმ და ეჯუგაშვილმა და სულ ერთობილთ მარილელთ თქვენ ბატონს ალავარდელს ენდრონიკაშვილს ნიკოლოზს.

ასრე, რომე: სარჯულავზედ მობრძანდით და რჯულის დამტკიცება გვიბძანე. თქვენა ქადაგისა და რჯულის გარდამავალი საქმე დაგხვდათ, გეწყინათ თქვენცა. თუცა რჯულის გარდამავალი საქმე იყო, ეს წიგნი მოგართვით ასრე, რომე: დღეს ამას უკან ღმერთი და ყოველნი წმიდანი[ნ] მოწმად მოგართვით; ამას უკან არც მარხვის ჭამს ვინმე შეეიძინოთ, და არც ლამპრის ჯვარის მარანში ვინმე ვაჭადაგოთ, და არც არა სალოცავი რამ[1] გავაკეთოთ.

თუ ამას უკან ან ერთი შეგვეჩნდეს, როგორც გვპრიანებას, ისე გარდაგვაჭდევინეთ. და ან მთისა და ან ბარისა კიდამ ქადაგი გამოჩნდეს. ჩვენ ვეცადნეთ გაგდებას. და თუ არ დაიშალონ, თქვენ და ბატონს ჩვენს მოვახსენოთ, რომელიც გეპრიანებოდეს, ის გარდაბდევინეთ. + + + + +

---

[1] მოცამეც. [2] +ლა.

148. [წყალობის წიგნი კათალიკოზ ნიკოლოზ ამილახვარისა რევაზ მაღალაძისადმი]

[1656 წ.]

ქ. სახელითა ღმრთისა სამგვაროვნად ცნობილისა, ერთ-არსებისა, ერთ-უფლებისა და ერთ-ღმრთაებისა მამის, ღმრთისა ძისა და ღმრთისა სულისა წმიდისათა;

ოხითა და შეწევნითა ყოვლად წმიდისა, ყოვლად უხრწნელ, ყოველად ბიწშეუხებელისა დედოფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა და მარიამისითა;

ძლიერებითა ცხოველსმყოფელისა და პატიოსნისა ჯვარისა ძელისა ცხოვრებისათა, რომელსა ზედა განკვართულ იქმნა ხორცითა ქრისტე ღმერთი ჩვენი ძლევით შემუსვრად ბჭეთა ჯოჯოხეთისათა;

ოხითა და შეამდგომლობითა ურიცხოთა მცველ-მმართებელთა ცხოვრებისა ჩვენისათა წამისყოფით აღმასრულებელთა ღმრთისა ბძანებათათა დიდთა მთავართა, ზეცისა უხორცოთათა და ცხრა ათეული ყოველთავე ზეცისა ძალთათა;

თანამოქმედობა მდგომარეობითა ყოველთა დედათა სამეთა უზენაესისა მუცლით გამო დედისათა ქრისტეს თაყვანისცემით მეუფედ მცნობელისა, უდაბნოს ქადაგისა, ერთად სულისა მაჩვენებელისა, წინასწარმეტყველისა და ნათლისმცემელისა იოვანესთა და სუნის მობაძავისა და თანა მეტოქისა მისისა ძედ ჭეხილისა წოდებულისა იოვანე ღმრთის მეთქვისა და ღმრთისა ძმისათა;

თანამოქმედობა მდგომარეობითა წმიდათა მოციქულთა პეტრე და პავლესითა და რომელნი წმიდასა სეინაქსარსა შინა სახელ მოხსენებულ იქმნეს;

და ყოველთა ჩრდილოეთისა კედართასა შორის უალრეს უზენაესისა დედა ქალაქისა მცხეთისა და მას შინა სვეტისა ღმრთივ აღმართებულისა კვართისა სამეუფოსა და მირონისა ღმერთ-მყოფესისათა, —

ამათ ყოველთაგე წმიდათა თაყვანმდებობითა და შეამდგომლობითა ჩვენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხეულმან ამილახორი იოთამის ძემან, ქართლის კათალიკოზ-პატრიარქმან პატრონმა ნიკოლოზ, ესე უკუნისამდე გასათავებელი და რაჲსა გინდაგე ჟამთა ჭეშმარიტთა და გამოცვლილებათა შინა მტკიცე და უქცეველი წიგნი და სიგელი მოგებოძეთ ბრძანებითა ღმრთივ-

გეირგეანოსნისა მეფეთ-მეფისა გიორგისითა და კათხ-
თა და ნება დართვითა ყოველთა მცხეთის შვილთათა თქვენ
ღალაძეთ ქადაგთა სახლთხუცეს[ს] რევაზს, ძმისა
თქვენსა წინამძღვარს ნიკოლოზს, კარისა ჩვენისა მდივან
ადამს, ზურაბს, დემეტრეს, შვილთა [და] მომავალთა
სახლისა თქვენისათა ყოველთაგე.

ასე, რომე: მოგვადეგით კარსა და წყალობას დაგვეჯენით. ვის-
მინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, მოგიბოძეთ სოფელი ციხე მდი-
ვი მისის სახლითა, ეკლესი[ი]თა, ჭურ-მარნითა, მთითა, ბარითა,
წყლითა, წისქვილითა, ველითა, საჭნავითა, გუნჯთა, მინდრითა,
ტყითა, სანადიროთა, ჭალითა, სათიბითა, საკრძითა და უკრძითა,
საძებრითა და უძებრითა და მისითა მიმდგომითა სამართლიანთათა
სრულად და უკლებად.

კიდევ ციხ[ე]დიდს თქვენი ნასყიდი ვენაჯი წაგართვით რომ-
ლითამე საქმითა და აგრევე თქვენი ნასყიდი ვენაჯი თქვენვე გიბო-
ძეთ მისის სამძღვრითა და სამართლიანის საქმითა.

აწ დღეისიდგან წალმი გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან
საყდრისა და ჩვენსა ერდგულად სამსახურსა შინა, თქვენ, ქადაგთა
სახლთხუცეს[ს] რევაზს, წინამძღვარს ნიკოლოზს, მდივანს ადამს,
ზურაბს და დემეტრეს ყოვლის კაცის უცილებელ, მოუდეგარი,
ულაპარაკო, უმიზეზო.

აწე ვერავინ ვერ მოგესარჩლოს ვერა ადამის ტომი კაცი, რო-
გორაცა საყდრისაგან და ჩვენგან მტკიცედ და სამკვიდროდ ბოძე-
ბული არის, არა შეგეცვალოს და არცა მოგეშალოს არა ჩვენგან და
არა შემდგომად ჩვენსა მომავალთა მეფეთა და კათალიკოზთაგან და
არა სხვათა შებატონეთაგან.

და თუ ვინმე ამისად შლად და ქცევად ხელყოს, შერისხდი შენ,
დაესაბამოვო ღმერთო, მამათ ძეო და სულო წმიდაო; და შენ, ყოე-
ლად წმიდაო ღმრთისმშობელო, მისგან იძიე შური ჯვარისმცემელ-
თა ძისა შენისათა. შე-მცა-ედების ძრწოლა ცენისა, კეთრი გეზისი,
შიშთეილი იუდასი, მეხდატეხილობა დიოსკურესი და სემეშისი, დან-
თქმა დათან და აბიროსისი და კვინოპისი, კრულმც არს ცათა შინა
და ქვეყანასა ზედა შვიდთა კრებათა და ხუთთა პატრიარქთა მად-
ლითა და ყოველთა ეფისკოპოზთა და ჩვენ გლახაკისა ჯვარითა.

ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხნეს და წმი-
დამა დედაქალაქმა მცხეთის საყდარმა.

დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ქორონიკონს ტოდ, სელ-
ფრიად ცოდვილისა იშხნელის ძმისწულის ნიკოლაზისა
სითა.

ველრთვე: კათალიკოზი ნიკოლოზ
ორი ბეჭედი: 1. კათალიკოზი ნიკოლოზ
2. . . . . .

ქ. ჩვენ, დავითიან პატრიარქიოსს ბატონს კათალიკოზ-პატრიარქს დომენტის ასე გუთავეთ და დაუმტკიცეთ.

ბეჭედი: კათალიკოზმა-მათმთავარი დომენტი ქ"ესაქეთ ჩლე.

149. [მეწყრულების წიგნი ნიკოლოზ კათალიკოზისა სვეტიცხოველისადმი]

[1687 წ.]

ქ. ევა ადამისა აღმართებაო და ევას მწუხარებისა დამხსნელო, უხილაო და გონებამიუწდომელო, დაუსაბამო, დაუსრულებელო ღმერთო, რომელსა მართალი გიყუარს და ცოდვილთა სწყალობ.

მას ქამსა ოდეს წყალობითა შენითა ძე მაღლისა ჯელმწიფისა, მეფე პატრონი გიორგი საჯელმწიფოსა თჳისსა საქართველოსა ტახტსა ზედა მჯდომარე იქმნა და ჯელმწიფედ ეკურთხა, ზეგარდმო შენი ალარებელი წყალობა ჩუენ აჭილაბორის შვილს პატრონს ნიკოლოზზედ გარდმოფენილ იქმნა და მოგვევბოძა ჯელმწიფის მეჳის პატრონის გიორგისაგან სრულიად საქართველოსა კათალიკოზობა; და დედა-ქალაქსა მცხეთისასა სამეუფოსა კათოლიკე ეკლესიასა ტახტსა ზედა მჯდომარე ვიქმენით და კათალიკოზად ვეკურთხენით ქორონიკონსა ტჟვ.

და ვიწყევით ქამსაცე ამა ქრონიკონისასა ტაძრისა ამისა შეწირვა შემკობა და შემატება. ხოლო უწყით, ვითარ კნინ საჩინო არს ესოდენი მცირე შესაწირავი წინაშე თქუენსა, მაგრამ უწყის საჩიერ კაცთმოყუარებან თქუენმან, გულმხურვალედ აღვძრულევარ სამსახურებლად თქუენდა.

და მივჰყავით ჯელი და ძველითგან დაუჭნებული კედელი სუეტის ცხოვლის ტაძრისა მჭარსა სამჭრეთისასა ახლად აღვაშენეთ; კიდევე ხეთი სამხრო გამოეცვალეთ და ჯელახლად აღვაშენეთ; კიდევე სუეტზედ სადაფქარის ჩარდახი გავაკეთეთ და მის გარშემო

ხომლითა და კანდლით შევამკევით; ძირს მავთულის ფანჯარა შევმკ-
ვაცლეთ და სვეტი გარეშემო მოვპფინეთ; ამავე სამრონისა და სა-
ტის პირდაპირ ჩრდილოეთის კერძ დავახატვინეთ და ერთი ხომლი
დავჰკიდეთ;

აგრევე საყდრის იარაღისაგან შევსწირე: ერთი თეთრის დიბის ბისონი; შვიდი მურასა ბისონის ოქროს ღილი; ერთი ისფერი ზარა ზარბაბის სტიხარი; ერთი წყუილი მურასა საბუჯარი შევაკერვინე-გავაკეთებინე: ვერცხლის ლიტრა ერთი, ვერცხლის ამპარიში ერთი, დიდი ვერცხლის ჯამი ერთი, ვერცხლის სამპარიღე ერთი;

აგრევე შავნით ჭეიტკირის კედლები სულ დავხურე;

აგრევე ერთი დიდი გ უ ლ ა ნ ი დავაწერინე და მისად საკადრისად დავახატვინე; კიდევ ერთი დ ა ბ ა დ ე ბ ი ს წიგნი და ერთი დ ა ვ ი თ ი დავდევ;

აგრევე ერთი მაზარა მარგალიტის ტარფებითა და ოქროშკედის დისართ შევაკერვინე; კიდევ ერთი ჯელი პერექლები ხალასად შევაკერვინე;

აგრევე ერთი მურასა ყავარჯენი გავაკეთებინე;

აგრევე დიდს გვირგვინს მრავალი თვალი მარგალიტი და ოქრო შევმატე და შევამკე.

ა რ ა გ უ ზ ე დ ჰიდი გავსდევ და გავაკეთე; ანტიოქიასთან დიდი ჩარდახი დავდგი; კიდევე მცხეთას გალავანს გარეთ ჭეიტკირის სასახლე ავაშენე, კართა და ფანჯრით მოვრთე და გავალესვინე;

მცხეთას წლითი წლამდი ყოველს დღეს ღვინი გავაჩინე;

კიდევე სამრონე ძირს გარეშემო სულ ხალასად ნაკერის ხალიჩებით მოვფინე; აგრევე ერთი ყუითელის ავთრანგის ხავედის ბისონი შევაკერვინე; ერთი ოქროთ დაფერილი ვერცხლის ჯვარსახნელი გავაკეთებინე; ერთი საძროხე სპილენძის ქვაბი და ოცდაათი თეფში გავაკეთებინე;

ქალაქს საყდარი ლორთვინით გარდავსწვედე და შიგნით გავლესე და დავახატვინე; საფსალმუნე დავდგი; ხომლი და კანდლები დავჰკიდე; ქალაქს სასახლე ავაშენე და გავაკეთე და ბევრი შევმატე; ერთი კაი ბაღი ავაშენე; ერთი სვანი კალატოზი ქალაქს დავასახლე; ერთი კაი ზარი ქალაქს დავჰკიდე;

კ ო ქ ო რ ზ ე დ ერთი კარის საყდარი დავდგი და კაი საზაფხულო სასახლე ავაშენე;

დ ა რ ბ ა ზ ს ერთი კაი საწნახელი ავაშენე თავის მორთულობითა:

ყორანთის თავს ერთი სოფელი ავაშენე და ყორანთის კალ-
მარანი დავდგი მისის მოხთულობითა და ქვევრებითა და კაი საწნა-
ხელიც ავაშენე.

ცივედიდს ზვარი გავაკეთე და კაი საწნახელი ავაშენე;

ძეგვის ზერის თავს კაი თლილის ქვის საყდარი ავაშენე;

ავრევე გომს კაი მარანი ავაშენე და ორი საწნახელი დავდგი;

სალხინოს კაი საყდარი ავაშენე, კაი სასახლე და მარანი დავდგი და კაი ბაღი ავაშენე;

კიდევე მეტეხს ნამეტნავად დაფუძნებული და დაძველებული საყდარი ჯელახლად განვაახლე და გავაკეთე და იქავე ზვარში საწნახელი ავაშენე; მეტეხის თავს სოფელი სხვერტა ავაშენე;

კიდევე სალხინოს ორი კუამლი გლეხი მებაღედ დავასახლე — ერთი ცხვიდან თათრისაგან დავიხსენ და მეორე ისრე ვიშოვნე;

აგრევე ამენდას ერთი საყდარი დავდგი, ერთი ზვარი ავაშენე და ერთი კუამლი კაცი ჭმაღისაგან ვიყიდე და აქავე დავასახლე;

აგრევე ატენს ერთი კუამლი კაცი დარჩაშვილი დავასახლე და აქავე მარანში ორი დიდი და სამი ცოტა ქვევრი ჩავდგი;

კიდევე რუის[ს] ვენაკი ვიყიდე და ზურაბისაგან ერთი კუამლი ვიყიდე, სვეტსცხოველს შევსწირე, ის ვენაკი მივეც და ჩვენთვის მოსაბეჭდ დავაყენეთ და ამენდას დავასახლეთ;

კიდევე აღაიანში საწნახელი ავაშენეთ;

კიდევე წეროანს ქვევრები ჩავასხით და მარანი ავაშენეთ;

მოზისის თავს სოფელი ახალშენი ავაშენეთ და ერთი ზვარი ავაშენეთ;

თრიალეთზედ სოფელი ბარალეთი ჯამთა ვითარებისაგან აოჯრებულიყო და ახლად ჩვენ ავაშენეთ და კაცნი დავასახლეთ;

კიდევე ახლად ჩვენ შევმატეთ სამწყსოდ სვეტსცხოელსა სოფელი წაღელი, სოფელი უწლევი და სოფელი ღოლეთი.

სხვა ამისდა გარდა ჟწყის ლმერთმან, რა ერთისაცა შემძლებელ ვიყუენით, სვეტსცხოელს ნამეტანი პატიოსნება და სიკეთე შეეძატეთ;

სხვას გარდაის სამოცამდის კუამლი კაცი დაკარგული და გაბნეული ახლად ჩვენ მოგვიყუანია და ჯელახლა ჩვენ დაგვისახლებია.

ქორონიკონსა ტოე.

კიდევე ამაკვე ქრონიკონსა გაეკეთებინე ერთი ვერცხლის ცალხური და ერთი ვერცხლის სასანთლე, ორი სპილენძის ჭიქაბი სამი აზარფეშა და ცხრა ჯამი; კიდევე ნასოფლარი ბადანისავანი შენე;

ძველს წიგნებს რა გაახლება, ჩამატება და შეკერა უნდოდა, უველა გაეკეთებინე და თვით-თვისა შიგან სწერია; კიდევე ერთი წინ საძღოლი ჯვარი თავით-ბოლომდი ოქროსი მოეკვედინე და მერასად გაეკეთებინე*.

ერთი კუამლი კაცი ხერხაულიძის სიამარდისგან ვიყიდე და არაშენდას დავასახლე; ერთი კვამლი კაცი ჩიგიანაშვილისგან ვიყიდე და ქალაქს არის; ერთი ჭელი ბერძული წიგნები სვეტიცხოველში დავდევ;

ძეგეს ქარვასლა გაეა[ა]ხლე და ერთი ახალი ჩარდახი დაედგი, სპილენძის ჯამი შვიდი, თეფში რვა, ჭვაბი ერთი თავისის ზარაფუშითა.

ხელთეწე: კათალიკოზი ნიკოლოზ.

ერთი წინ საძღოლი ჯვარი ოქროსი მერასა, თვით ის მოწამე არის, ათასი ფლური წავიდა ჩემის კონდაკით მოგებული, ღმერთი არს ამისი მოწამე და სულ მცხეთელთ აზნაურიშვილებმა იციან, ამაში ტყუილი არა ყრეეია რა; გვირგვინი ერთი მერასა თვალითა და მარგალიტითა.

ხელთეწე: კათალიკოზი.

150. [პიროზის წიგნი გიორგი XI-ისა, ნიკოლოზ კათალიკოზისა და ქართლის ეპისკოპოს-დარბაისელთა ანტიოქიის პატრიარქ დოსითეოსისადმი ქართული მონასტრების დახსნის თაობაზე]

[1678—1688 წწ.]

ქ. წყალობითა ღმრთისათა, ჩუენ მეფემა გიორგიმ და ძემან ჩუენმა ბაგრატ და ძმამა ჩუენმა ლევან და ძმამა ჩუენმა სულხანმან და ქართლისა კათალიკოზმა ნიკოლოზ, ბატონიშვილმა თეიმურაზ და ბატონიშვილმან აშოთან, ამილახორმა გიგმა და პაპუნაბეგ და დიანბეგმა ვახტანგ, ერისთავმა დავით და ერისთვის შვილმა იასონ, მთავარეფისკო-

---

* „კიდევე ერთი წინასაძღოლი ჯვარი... გავაკეთებინე“, ტექსტში ხაზგადასმულია.

პოზვა ნიკოლოზ, თბილელ ეფისკოპოზმა იოანე მანგლელმა, მრთელმა და სრულად ჩვენის საბატრიარქოს ეფისკოპოზთა და დარბაისელთა, დიდმა და ცოტამ.

რადგან იქნება ღმერთმა და ამდროსი წყალობა გვიყო, ჩვენის მონასტრის დახსნა მოიწდომეთ და მოიბძანდით თქუენ, ჩუენის მამის ალავს მისაჩენელი პატრონი პატრიაქი დოსითეოს და ჩუენც დიდად თავს შევიდეევით და ჩუენ ძმათა და ეფისკოპოზთა და დარბაისელთა, დიდთა და ცოტათა, დიდი სასჯელი ქმნა ჩუენთვის, ვითარცა შამამ შეიძლომოყუარემ;

რადგან თქუენ ჩუენთვის და ჩუენის მონასტრის გულისათვის ამდროს გაისაჯენით, ჩუენც თქუენი ბძანება გავათაეთ და რაც ვალი ჩვენს მონასტერს ემართა, სრულ ყველას გარდასაწყვეტლად მოგართვით სამოცი ათასი მარჩილი და გავგზავნეთ ჩუენი კაცები გიალანს, აბრაშუმი უნდა იყიდონ და ცხრას თვეში უნდა იზმირს მივიდნენ; და როდისაც გაყიდონ აბრაშუმი, ფასი პატონმა პატრიაქმა უნდა გამოართუას თურამეტი ათასი ოთხასი და ორმოცი;

და კიდევ აქუს პაპუასი იზმირს ცამეტი ათასი ასლანი; როდისაც პატონი პატრიაქი მიბძანდეს ან ბურსას და ან სტამბოლს, უნდა მიართოს პაპუამ ის თეთრი გაურჯელად.

კიდევ მარიამობის თვეს გასულსა უნდა მივართოთ პაპა დანიელს ოთხი ათასი ექვსასი და სამოცი და სამი მარჩილი, აღებული რაც იყო, პატრიაქმა წაიღო ან თარაღი, ამისი ანგარიშით სულ სამოცი ათასი მარჩილი ქართლიდამე უნდა პატრიაქმა ამით მონასტრები დახსნას.

აწე ღმრთის შეწევნითა უნდა რომე, მოიჭიროს პატრიაქმა და კიდეც უნდა დაიხსნას მონასტრები, რაც ვალები იყოს და რაც ან გილახს გაგვიგზავნია, ან იზმირს არის, ეს ყველა უკლებლივ უნდა პატონს პატრიაქს მიებაროს ამ ჩუენის კაცებისაგან, რომელსაც ალაგს პატრიაქს შეეყაროს, იქ უნდა მიართვას; და მარიამობის თვეს გასულსა, რომელიც დარჩა თეთრი, პაპა დანიელს მიებაროთ და ერთი კაცი ჩუენანი თან გავატანოთ, რომ არა დაამარცხონ რა.

და რაც ლირებული მივართვით პატრიაქსა, თუ სტამბოლს ჩუენ რომ დავაბარეთ, თუ იმ ფასად არ გიუყიდეს, რომელიც დაჰკლდეს და პატრიაქმა წიგნი მოგვწეროს, მივართვათ რაც ნაკლები მოვიდეს, ჩუენგან დაბარებულზე არ დავაკლოთ.

და რადგან დახსნა პატრიაქი ჩუენის გულისათვის და საქარ-

თველსა გულისათვის და თავის მადლისა ღმრთის გულისათვის დიდი ჯილი ვახა, ჩუენც ამას მოველით, რომ თავისი გამოჩინდეს პირობა გაგვითამოს და ეს საქმე აღგვასრულოს; და ჩუენცა ჩუენი თავი და მამული თქუენად ააკეთოდ არ დაეზოგოთ და თქუენზედ ჩუენც სიკეთეს ვეცადოთ; და გარიგება და გამოხსნა თქუენზედ ჰკიდია.

და ესე პირი და წიგნი ვჰკადრეთ ჩუენს მღოცველსა და მამის ალაგს მისაჩენელსა, პატრონს პატრიარქსა.

ამას მოწამე: პაპა ნიკოლოზ და პაპა დანიელ.

151. [ვედრების წიგნი ნიკოლოზ ალავერდელისა იოსებ ტფილელისადმი კათალიკოზთან შუამავლობისა და შერიგების შესახებ]

[1685—1688 წწ.]

ქ. თქუენის პატიოსნისა წმიდისა და უუმანკოსა და სულისა მიერ წმიდისა განწმედილის თავის სამარადისოდ გვერცხლებისა და ალერსს სასოებით მონატრე ამბა ალავერდელი მოგახსენებ ჩვენო დიდო ღმრთის წყალობავ და ორისავე ცხორებისათვის დიდო სიხარულო და ყოველს კეთილს-მყოფელად მისალოცველო, ჩვენო ქამყოველ ტკბილად და კეთილად სახსენებელო, საგორებელო წმიდაო და ყოველად სანატრელო მეუფეო ჩემო პატრონო ტფილელო იოსებ*!

მრავალი თქუენის სიყრმითგან ქრისტეს სარწმუნოებაზე[ე] აღზრდილისა და სულისა მიერ წმიდისა კეთილად ღირსად გამორჩეულის თავის შემსგავსებული მოკითხვა, ხილვის ნატრა და ურთიერთას ამბორებისა და ამოდ ყოფის სიხარული მოგვიხსენებია.

მერე ამას წინათაცა და კიდევე ახლა ჩვენისა და პატრონის კათალიკოზის ერთად შეყრა და ურთიერთას მშვიდობის დაგებისა ყოფნა გებძანა.

ღმერთია მოწმე და კაცნიც მრავალი, რომე ჩემს თავმოთნებითა და არც თაკვედობითა და არც წინა აღმდგომობითა მე გვირგვინი არ დამეხსროს; მრავალთ დარბაისელთ და მახსოვარ[თ] ვკითხე, მეც მითხრეს და მაგ პატრონს კათალიკოზსაც მოახსენეს, რომ სხვას ალავერდელსა უკათალიკოზოდ დაუხურავსთ და მეც დავიხურე.

აწე ასე უსახთ და ღმრთისმოყუარე როგორ ვიქნები, რომე

---

* „იოსებ" სიტყვის თავში სწერია, ხოლო აქ სახელის ჩასაწერად ცარიელი ადგილია დატოვებული.

წმიდას სეტის ცხოველს მოსვლა და თაყვანის ცემა არ მინდოდეს და ბატონის კათალიკოზის შენდობის იღება და მანდ მოსელა. მაგრამ რამ ასე რიგად საქმე მაქვს მოსული, რომე თავად სხვა კახი კაცი და უფროსი მე ვერ წამოვალ მანდით.

ეს რომ გამიწყრება, სულ ამ სოფელს გათავებას მოველი. ეგ კიდემ მოწყალე არის, შემიწყნარებს რაგინდ დიდი რამ დანაშაული მქონდეს. ჩვე მე ასე მომივიდა საქმე, რომ უმაგათოდ დავეხსენე, მაგათ ეგების ასე ეგონოს, რომე სხვა ალავერდელიც მოიხდომებსო, რადგან ამან ქნათ.

ეგ ყოველთა იცით ძველითგან, რომე ვიხცა ვინ ალავერდელი ყოფილა ან იქნების, მეცა და სხვანი ყველანი, სეტის ცხოვლის კარსა და ვინცა ვინ საჭეთმპყრობელი კახი ყოფილა, ქურთხევა მისგან მიუდია.

ახლა და ქრისტიანობისათვის ჩვენც ამას მოგახსენებთ თქვენ და მაგ ეფისკოპოზთა, რომე ჩემიც რამ ინალვლოთ: ამდონი შუამავლობა მიყავით, რომე მე დანაშაულზედ დამიც თავი; დაგამავე, საქმემ და დრომ ასე მოიყუანა. მეც ერთი წიგნი მომწეროს, ისევ შემირიგოს, ისევ შემიტკბოს, ჩემი თავიც იმდომოს. ამ დაკნინებულს ქრისტიანობასაც ისე უჯობს.

მას უკან თუ ღმერთი ან მაგათს აქათ ჩამობძანებასა და მაგათ ნახვას მალირსებს ან მე ვიახლები*, რომელსაც ეგ მიბძანებს, იმას ვიქმ. ნუღარც ეგ გვიწყრების. ამდონი გულის-კლება გაათათოს; თუ არადა, ბედნიერად იყოს. ჩვენგან ხვეწნის მეტი არა გაეწყობა რა, რა ვქნა.

** საბოლო[ო]სი უბძანებია და საბოლო[ო]სი ეს პირობა მომიხსენებია: ჩვენ რომ გარდვიცვალნეთ, ვინც ჩვენსა უკან ალავერდელი დაჯდეს, უკათალიკოზოდ გუირგვინი ვერ დაიბუროს.

და ახლა მანდ ჩამოსულობა მოგუიტეს და შერიგების წიგნი გუიბოძოს, მოხსენება და ხვეწნა ამას ჭვიან და ჩვენ მაშინც ამის მეტს არას მოვახსენებთ.

ბატონო! ჩვენი აზნაურის შვილი გუიახლებია; ოღვანე ავად იყო, თვარა ეს მინდოდა მეახლებინა.

ხელრთვა: ალავერდელი ნიკოლოზ.

---

* „ან მე ვიახლები" ჩაწერილია სტრიქონს ზემოთ სხვა ხელით.

** აქედან ტექსტი დაწერილია სხვა ხელით.

152. [ჯამაგირის წიგნი კათალიკოს იოვანე დიასამიძისა დავით-გარეჯისადმი]

[1689 წ. 29 იანვარი]

ქ. ჩვენ, ქართლისა კათალიკოზმან დიასამიძემ პატრონმა იოვანემ გაუჩინეთ გორესჯას წმიდის დავითის სავლავის მონასტერსა და მას შინა მდებს მღდელმოსაზღვნეს წელიწადში: პური კოდი 20, ღვინო საბალნე 3, სანთელი ლიტრა 2, ზეთი ლიტრა 5, შეღო ჩარექი 1.

ყოველს წელიწადს ჩვენი სახლთ-უხუცესი და მოჭელეები მისცემდეთ გაურჯელად. პურსა და ღვინოს სავარეჯოდამ მისცემდეთ და სანთელსა და ზეთსა და შეღოს ქალაქიდამ.

ქორონიკონს ტოზ, იანვარს კ.

ხელითა: კათალიკოზი.

ქ. მე, სახლთ-ხუცესი რევაზ ვამტკიცებ ამ ბძანებასა.

ხელი: სახლთხუცესი რევაზ.

153. [წყალობის წიგნი კათალიკოს იოვანე დიასამიძისა დემეტრე ალვსებაძისადმი]

[1689 წ. 28 იანვარი]

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა, ჩუენ, ქრისტეს მიერ კურთხეულმან, ყოვლისა საქართველოსა დიდმან მამათ-მთავარმან, ქართლისა კათალიკოზმან დიასამიძემ პატრონმან იოვანემ ესე უკუნისამდე ხანთა და ქამთა გასათავებელი მტკიცე და უცვალებელი მიზეზშემოუღებელი წყალობისა წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა ერთგულსა და სვეტის ცხოველის მკუიდრსა და თავდადებით ნამსახურს ყმასა აღვსებაძეს დემეტრეს და რამაზას, შვილსა თქუენსა იესეს და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე, ასე რომე:

ძველთაგან თქუენი სამკვიდრო ყოფილიყო ოძიოთრის მოლაროება და საცისიანო მამათმთავრობა შენი წილი და სამკჳთისშვილო რაც შენი წილია; ჩუენცა მოკითხული ექენით და სამართლიანის საქმით სამკუიდროდ თქუენი ყოფილიყო.

შეგიწყალეთ და გიბოძეთ ყოვლს კაცის უცილებლად. არავოდეს არ მოგკშალოს არა ჩუენგან და არა სხვათა მეპატრონეთაგან, გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან სვეტის ცხოველის და ჩუენსა ერთგულად სამსახურსა შინა.

დაიწერა წიგნი ესე ქორონიკონსა ტოჱ, იანვარს ქვ კელიყა ჟ
რისა ჩუენისა მღივანმწიგნობრის მაღალაძის ადამისწულსა
ხელთა: კათალიკოზი.

154. განწესება დავით-გარეჯის მონასტრის რიგისა]

[1690 წ. 12 მარტი]

ჩვენ, დმრთისა მიერ კერთხეულმან ქართლისა, კახეთისა მაკურთხეველმან კათოლიკოზმან დიასამიძემ იოვანემ, ამბა ალაეერდელმან ნიკოლოზ, ნინოწმიდელ ეფისკოპოზმან არსენ და სრულ ერთობილთ მიტროპოლიტ-ეფისკოპოზთა გაეცნოგეთ უდაბნო დავით-გარეჯისა.

ასე, რომ ჟამთა ცთომილებისაგან მოკრებულიყო და შენობა ალარ იყო.

ბრძანებითა დმრთისათა, ქართველთა მეფისა შაჰნაოზის პირმშომან სასურველმან ძემან, კახთ მეფედ დადგინებულმან არჩილ, კვალად შენობა ჩაუდო, მღდელ-მთნოზნები და წინამძღვარი დაუდგინა, წლითიწლად გამოსაზრდელი საზრდო განუჩინა, პირველებრ გარიგებას უპირობდა, ალარ დასცალდა; კიდევ შენობა არ მოიშალა, ის წმიდანი მღდელ-მთნოზანნი ქორცთაგან განვიდეს.

აწ ჩვენ, შეწევნითა უფლისათა და წმიდის მამისა ჩვენისა დავით გარეჯელისათა და ბძანებითა ქართველთ მეფეთ-მეფის ერეკლესითა, ვიგულსმოდგინეთ, განვაწესეთ და განვარიგეთ და დავადგინეთ წამად დი ვინც იქ მდეგია, მის უცროსად და წინამძღვრად მაჭუტაძე იოთორე, ასრე რომ:

1*. ვინც იქ მდეგი იყოს ან ვინც დადგეს, მისის სიტყუის მორჩილნი და ჭელქვეშანი იყუნენ; მონასტერს ერდგულად მოუდგნენ და მსახუროს და მამის სიტყუას გამგონე იყუნენ; მონასტერს კარგად და მდაბლად მსახუროს. ვისაც იქ დგომა და მოღვაწება უნდოდეს, მამის მორჩილობით და ნების მყოფელობით იყოს. რომელიც ეხ ახლა, ან შემდგომად ამისა იქნებოდეს, როგორადაც სხვას მონასტერშია, ჭელქვეშანი იყუნენ.

2. და რომელმანც იქ მდგომმან მონაზანმა ან წირუით, ან სხვის მოღვაწებით რამ იშოონ, უკლებლივ წინამძღვარს მოაბაროონ;

* ხელნაწერში ტექსტში ბეჭდვებად დაყოფილი არ არის.

იმან როგორათაც მართებულია, მონასტერსაც ისრე მოაქმარონ ფ[illegible]
იქ მდებარეა.

3. და რომელიც ამ ჩვენს ბძანებასა და განაჩენს გადვიქცეს, შესცოდოს მონასტერს მართლად არა მსახუროს, ეს ჩვენი განაჩენი მოშალოს, — მონასტრიდამ განიდევნოს და შეჩვენებული იყოს შვიდის კრებისაგან და ჩვენგან და ჩვენის კრებისაგან.

4. და თუ იქ დგომა არ უნდოდეს, შენდობით და მონასტრის უზიანოს საქმითა და უკანონოდ გამოვიდეს.

5. და თუ იქ დგომა ვისმე უნდოდეს, ესეები ქნას და ამ წესზე[1] დადგეს.

მარტსა იზ, ქორონიკონსა ტოჸ.

ბეჭედი: მთავარეპისკოპოზი იოანე

ხელრთვები:

1. ალავერდელი ნიკოლოზ. ბეჭედი: მოსავი ღთისა ალავერდელი ნიკოლოზ.
2. ბოდბელი ევდემოზ
3. რუსთველი ნიკოლოზ
4. სამებელი ნიკოლოზ
5. . . . . .
6. . . . . .

7. მონა ღმრთისა ათორმეტ უდაბნოთა მაკურთხეველი ნინოწმინდელი არსენ ვამტკიცებ. ხელრთვა: ნინოწმინდელი არსენ.

8. ქ. მონა ღმრთისა ტფილელ მთავარეპისკოპოზი ვამტკიცებ დომენტი. ორი ბეჭედი:

თაგში:

9. ქ. ნებითა ღმრთისათა ჩვენ, მთავარეპისკოპოზი ქრისტეფორე ვამტკიცებ. ხელრთვა: მთავარეპისკოპოზი.

ბეჭედი: რომელი განვსინათ ქუეყანასა ზედა, ვსნილ იყოს იგი ცათა შინა.

მინაწერი: ქ. ეს სიგელი სამონასტრო რიგის არის.

155. [წყალობის წიგნი გენათელ მარკოზისა დეკანოზ სვიმონისადმი]

[1691 წ.]

ქ. თავად დაესაბამოსა და დაუსრულებელისა, ცისა და ქვეყანისა შემოქმედისა, ღმრთისა მაცხისა, უფლისა[2] იესოს ქრისტეს და ცხოველისა სულისა წმიდისათა:

---

[1] წესსე. [2] უფლისა.

თაყვანებითა, მიხდომითა და შეამკეგომლობითა ყოველად წმი-
დისა დედოფლისა ჩვენისა, ღუთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისათა, ზეცისა და ქვეყანისათა;

თაყვანებითა, მიხდომითა და შეამკეგომლობითა ესე აურებელი, მტკიცე, შეუცვალებელი წყალობის წიგნი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ, ქრისტეს მიერ კურთხეულმან გენათელ მიტრაპოლიტმან[1] ლაშხ[ი]შვილმან მარკოზმან შენ, დეკანოზს სვიმონს, შენს შვილს გიორგისა, ანდრიას, სხვათა შენთა შვილთა და მოძმეთა.

წყალობით გიბოძე მამული კლდიაშვილი მისი ცოლიშვილითა, რისაც მქონებელი იყოს, მისი სახლითა, კარითა, მისის მიწა-ადგილითა, სასაფლაოთა[2], მამულითა, ტყითა და ველითა, საყანითა, უძებრითა[3] და საძებარითა. მოგეცით და გიბეჭდნიეროს[4] ღმერთმან ჩვენგ[ა]ნ მოცემული.

ვინც ამ ჩვენგან მოცემულს წყალობისა[5] წიგნს შემოგეცილოს ან გაგიტეხოს ეს წიგნი, მასაც რისხვა ყოველწი წმიდანი ღმრთისანი, ზეცისანი და ქვეყანისანი, ხორცელნი და უხორცონი; ნუმც ეხსნების წირვითა, ნუმცა ლოცვითა, ნუმცა გლახის მიცემითა; მასამც დაემართების ძრწოლა კაენისა[6], შიშთვილი იუდასი, დანთქმა დათან [დ]ა აბირონის, მეხისტეხა დიოსკორესი; წყეული, შეჩვენებული იყოს, ვინც შენ ამაზე შემოგეცილოს, ოთხის პატრიაქის პირით.

დაიწერა წიგნი ესე ქორონიკონსა სამას სამოცდა ცხრამეტსა. დაიწერა მე მღდელს მათეს.

და არის ამისი მოწამე: მოურავი მზეიძე კაცია...* შოშიტა ნაცვალი, ღუთითა ბარდაველიძე...

156. [წყალობის წიგნი კათალიკოს იოანე დიასამიძისა სახლთუხუცეს რევაზ მაღალაშვილისადმი]

[1692 წ.]

ჭ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა; შეობებითა ყოველად წმიდისა უხრწნელისა და უეროსად კურთხეულისა დედოფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისითა; ძლიერებითა პატიოსნისა და ცხოველს მყოფელისა ჯვარისათა, წმი-

---

[1] მიტრაპოლიტმან. [2] სასაფლაოთა. [3] უძებრითა. [4] გიბეჭდნიეროს. [5] წყალობასა. [6] კაენისა.

* აქ ორი სიტყვა არ იკითხება.

დათა ანგელოზთა და მთავარანგელოზთა მიქაელ და გაბრიელისა-თა, წმიდისა სვეტისა ცხოველისა და პირთნისა ღმერთ-მყოფელისა-თა და ყოველთა წმიდათა ღმრთისათა, ზეცისა და ქვეყანისათა, ცოცხალთა და უხორცოთა;

ამა ყოველთა წმიდათა ღმრთისათა თაყვანებითა, მინდობითა და შუამდგომელობითა ესე ანტიოქიიდან უკუნისამდე ქამთა და ხანთა გასათავებელი წიგნი და საგელი გიბოძეთ ჩვენ, ქრისტეს მიერ კურთხეულმან და ყოვლისა საქართველოს მაკურთხეველმან კათალიკოზმან დიასამიძემ პატრონმან იოვანემ თქუენ, [მცხეთის] საბლისუხუცესს რევაზს, ძმასა შენსა [ნიკოლოზს, ადამს, ზურაბს] მაღა[ლა]შვილსა, შენსა* ...ლას და ამილბარს, ასრე და ამა პირსა ზედა, რომე:

ქართველნი სრულ ეკუთდვნენ ერეკლე მეფესა; და თვით მეცა ერეკლე ყაენის ერდგულობისათჳს ცხენში პძანდებოდა და ჩვენც გულყრელად გვერც ვიახლენით. მას ჟამსაცა თქუენ ერდგულად მოგვიდეგით და თავდადებით მრავალი ნამსახური დასდევით ჩვენზედა.

მოგვიდეგით კარსა და მამულის წყალობას დაგეუეჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და ამისდა სამუქფოდ შეგიწყალეთ და გიბოძეთ ცხენდიდს სამი კომლი კაცი, უწინ მეწყობლიჲს ცოლყოფილს მარიანს ჰქონებოდა და მასუკან ზენაბულიძეს ართდამას ეუღად ეჭირა: გოჩაშვილი ზაალა და დათუნა მისი ძმა, პეტრიაშვილი პეტრია და კბილაშვილი დათუნა, დღეს რისაც მამულის მჭონებელნი ან ყოფილიყუნენ და ან იყუნენ, მათის ფუზითა, სახლკარითა, ველითა, ვენაჯითა, წყლითა, წისქვილითა საწყლისაბეროთა, მთითა, ბარითა ტეეერ-მარნითა, საკნავითა და უკნავითა, გასაელითა და გამოსაელითა, საძებრითა და უძებრითა ყოველითურთ მისას სამართლიანის მზღვრითა და გზითა თქუენთჳს გვიბოძებია და თქუენთა შვილთათჳს, ყოველს კაცის უცილებლად და მოუსარჩლელად.

გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან სვეტის ცხოველისა და ჩვენსა ერდგულობასა და სამსახურსა შინა. არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა შემდგომად სხუათა კათალიკოზთა და მეპატრონეთაგან. რაც ცხენდიდს ზემბულიძის ნაქონი გლეხები დარჩა, სახახლოდ დაგეჭერია. სამოურაოდ თქუენ გიბოძეთ.

ვინცა და რამანცა კაცმან ჯორციელმან ეს ჩვენგან ნაწყალობე-

---

* აკლია სამსახურისა ასო.

ეი და მოცემული მანული მოგიშალოს ანუ შლად და ქცევად ქვეყოს: ანუ კათალიკოზმან, ანუ მეფემან ანუ თავადმან, გინა დიდებულმან და აზნაურმან, ისიმც შეიცვლების რჯულის ქრისტიანობისაგან, მასმცა რისხვა დაუსაბამო, დაუსრულებელი ღმერთი მამა, ძე და სული წმიდა და ყოველნი წმიდანი ღმრთისანი ზეცისანი და ქვეყანისანი, კორცეელნი და უჯორცონი.

შე-მცა-ედების მას კეთრი გეზასა, მიშთოილი იუდასი, მეზის ტეხა დიოსკორესი, ცოცხლივ დანთქმა დათან [და] ამირონესი; იანესთან და იანბრესთანამც არს სავანე და სამკვლრებელნი მისი; ნურარათმცა სინანულითა ნუ იქმნების გსნა სულისა მისისა ყოფისგან.

ხოლო დამმტკიცებელნი ამის სიგლისანი ღმერთმან აკურთხნეს.

არიან ამისნი მოწმენი და დამბდურნი: ცი ცი შვილი ბატონი ქაიხოსრო, მოლარეთუხუცესი ყაფლანიშვილი მახუჩარ, სახლისუხუცესი პაპუა, დიასამიძე ევთანდილ, მიწოზლიძე დავით, ზუნბულიძე ხუცია, იაზიშვილი ასლამაზი და გასპარა.

დაიწერა სიგელი ესე ანდიკტიონსა მეფობისა ჩვენისასა ვ, ქორონიკონსა ტპ. დაიწერა სიგელი ესე ქელითა იშხნელის ელისეისითა.

ბეჭედი: კათალიკოზი ითანე

ქ. ჩვენ, შეფე-მეფემან და თვით ქელმწიფემან ბატონმან ნაზარალიხან, ასე რომე ბედნიერის ყენის ერდგულობაზედ ქალაქს ცხენში შემოველით და თქვენც თან შემოგვყავით, დიდად ერდგულად მოგვედგით და გვემსახურეთ [ყოველით] და ბიძარეშ[მ]ა ბატონმა კათალიკოზმა ცხენდიდს მამულის წყალობა გიყო. და ჩვენც ასე დაგვიმტკიცებია და გვიბოძებია გომი სამოურათოდ. და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენსა ერდგულად სამსახურსა შინა ყოველის კაცის უცილებლივ კარსანს მაჭარაძე, თავის მამულითა.

მარტის ია, ქორონიკონს ტპა.

ბეჭედი: მეფე ნაზარალიხან

157. [წყალობის წიგნი ნიკოლოზ კათალიკოზისა პაატა ბარძეულისადმი]

[1698 წ.]

ქ. ჩვენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოსა მაკურთხეველმან ქართლისა კათალიკოზმან ამილახორის ძემან პატრონმან ნიკოლოზ ესე უკუნისამდე ქამთა გასათავებელი წყალობის წიგნი გიბოძეთ შენ, სუეტას ცხოველისა და ჩვენს ერთგულსა და თავ დადებით ნამსახურს ყმასა ჭარბეულს პაატასა, შეილთა და ჰოძაველთა საბლახა შენისა ყოველთაგე.

მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით კარსა დარბაზისა ჩვენისასა და სასაუღლოს წყალობას გვიაჯენით.

ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი: გიბოძეთ წერილი ჩვენი კარის ეკლესიად საშჳდროდ და საბოლოოდ. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან სუეტის ცხოველსა და ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შინა. ესე ასრე გაგითაუდეს და არა მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა შემდგომად ჩვენსა სხუათა კათალიკოზთაგან.

ვინცა წყალობა ესე ჩვენი ჴოგიშალოს, ცოდუათა ჩვენთათჳსა მცა იგი გაწკიოხვის. დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხოს.

არიან მოწამენი და შუა დამბდომნი ამისნი: საბლთუხუცესი ადამ გედევანიშვილი, როსებ მაღალაშვილი, ივანე დეკანოზიშვილი, არდაშელი და სრულ ერთობილნი მცხეთიშეილნი. მათის ნება დართვითა მე, მგალობელთ-უხუცეს ითრამს დამიწერია და მოწამეცა ვარ.

დაიწერა წიგნი ესე ქორონიკონს ტბა.

ხელრთვა: კათალიკოზი

158. [წყალობის წიგნი ნიკოლოზ კათალიკოზისა გიორგი შუგითიძისადმი]

[1694 წ. 20 თებერვალი]

[ქ. ჩვენ ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხეულმან ყოვლისა ს[ა]ქ[ა]რთველოსა დიდმან მამათ-მთავარმან[1] ქართლისა კ[ა]თ[ა]ლიკოზმან ამილახორის ძემან[2] პატრონმან ნი-

[1] მამათ მთავარმ. [2] ძემა.

კ ო ლ ა ო ზ ესე უკუნისამდე ჟამთა გასათავებელი წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ, ჩვენსა და საყდრისა ერთგულსა და თავდადებით[1] ნამსახურს ყმას შ უ ბ ა თ ი ძ ს ა ორგისა, შვილსა შენსა ი ე ა ნ ე ს ა, ბ ე რ ძ ე ნ ს ა და ძმისა სახლისა შენისასა.

ასე, როგე მამულის წყალობას გვეიჯნით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენის ზვრის ნაბეღარი საზეწაჭროთ ყოვლის კაცის უცილებელი და მოუდევარი, თვისის სამართლიანის მძღვარობით. ევრეევ გიბოძეთ ა შ ე ნ დ ი ს მამასახლისობა. [გ]ჭონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენსა და საყდრის ერთგულად სამსახურს შინა.

დაიწერა წიგნი და სიგელი ესე თებერვლის კ. ქორონიკონს ტპბ. არიან მოწმენი და შუა დაჭეედარნი ერთობილნი მცხეთელნი.

ორი ბეჭედი: 1. კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი
2. რომელი განჭსნათ ქუეყანასა ზედა, ჭსნილ იყოს იგი ცათა შინა.

159. [წყალობის წიგნი ნიკოლოზ კათალიკოზისა გიორგი გედევანიშვილისადმი]

[1694 წ. 9 სექტემბერი]

... [ჩვე]ნ ქრისტეს ღმრთის მიერ კურთხეულმან, ყოვლისა საქართველოსა დიდმან მამათ-მთავარმან, ჭართლისა კ ა თ ა ლ ი კ ო ზ-მ ა ნ, ა მ ი ლ [ა]ხ ო რ ი ს ძ ე მ ა ნ ბ [ა] ტ რ ო ნ მ [ა]ნ ნ ი კ ო ლ ო ზ, ესე ამიერითგან ქ[ა]მთა უცვალებელი, მკვიდრი და სწ[ა]ბოლო[ო] წიგნი და სიგელი გიბოძეთ თქვენ, ჩვენსა და სეეტისცხოვლის ერთგულსა და თავდადებით[2] ნამსახურს ყმას ვ ე დ ე ვ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ს ს [ა] რ დ ა ლ ს გ ი ო რ გ ი ს ს, შვილთა თქვენთა ზ ა ზ ა ს ა და ზ ა [ა] ლ ს ა და შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისასა.

ასრე და ამა პირსა ზედა, როგე მამულის წყალობას გვეიჯნით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და მოგეცით ქ ო რ დ ა ს ბ ა დ ა ს შ ვ ი ლ ი ს ბ ა ხ ე ტ [ი] ს მამული, რის[ა]ც მჭონებელი იყო; გლეხი ჯ ა ლ [ა] ბ ა ძ ე თვისის უნაკლულოს მამულითა, დღეს რის[ა]ც მჭონებელი იყოს. ბ ა დ ა ს შ ვ ი ლ ი ს მამული ამ

[1] თვა დაღებით. [2] თვადადებით. [3] ? შვილს შენსა საბილო (?)

წესით გებოძეთ, რომ საყდრის ყმა იყო და ბევრის კაცის ქვე[ყ]ნა და ტყვის გასყიდვაში გ[ა]ვრცელდა და გათათრდა; და ჩვენგანაც ქრისტიანი იყო და საყდრის შეწყნარებაც იყო; აწე წაიღია ისი და დაჰკარგულა.

და იმისი მამული, რისაც მჭონებული ყოფილიყო, სულა უკ-ლებლ[ა]თ თქვენ გებოძეთ მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ჭალითა, საკვეთითა, სახახლითა და სასაცლოთითა, ქვევრითა და მარნითა მისის სამართლიანის მძღვრითა.

[გ]ჰქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენსა და სვეტიცხოველის ერთგული სამსახურს შინა; და არა მოგეშალოს არა ჩვენგან და არა შემდგომთა სხვათა მეპატრონეთ, სხვათა კათალიკოზთ[ა]გან.

ვინცა და რაძაც კაცმა ეს ჩვენი წიგნი და წყალობა მოგეშალოს, რისხ[ა]ქ[ს]ნა ღმერთი დაუსრულებელი, მამა, ძე და სული წმინდა; მასმცა ედების ძირწოლა ქ[ა]ნისი, შიმთვლი იუდასი, შეხტუბილობა დიესკორესი[1], დანთქმა დათან და აბირონისი; ნუმცა იხსნების სული მისი მას დღეს განკითხვისაჲა.

ხოლო დამამტკიცებელი ამისი ღმერთმან აკურთხოს.

არიან ამისი შუა დამწერნი: ნიკოლოზ მაღალაძე, მგ[ა]ლობელი იორამ, დეკანოზი ზაქარია, ჭ[ა]რმ[ა]უღი პა[ა]ტა. ქაიდაგისშვილი პეტრე და სულა ერთობილნი მცხეთელნი.

დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ენკენისთვის ხუთსა, ქორონიკონს ტჟზ.

ხელითა: კათალიკოზი ნიკოლოზ

ქ. რაგვარადაც ამ სიგელში სწერია, ჩვენ ქართლის კათალიკოზ იოვანეს პატრონს დიასამიძეს ასრე დაგვიმტკიცებია ნებითა ღმრთისათა.

მეჩხედ: კათალიკოზი იოანე

verso-ზე:

ქ. ჯალაბაძეების წყალობის წიგნი.

160. [წყალობის წიგნი კათალიკოზს იოანე დიასამიძისა სახლთხუცეს რევაზ მაღალაძისადმი]

[1686 წ. 20 აგვისტო]

ქ. ღმრთისა და უბიწოდ მშობელისა მისისა ძლიერებითა ცხოველს მყოფელისა პატიოსნისა ჯვარისათა; შეოხებითა წმიდათა ანგელოზთა და მთავარანგელოზთა მიქაელ და გაბრიელისათა; მეოხებითა წმიდისა წინასწარმეტყველისა და ნათლისმცემლისა იოვანე-

[1] დეკესკორესი.

სითა და ივანე ქალწულ მახარებელისათა, წმიდათა წინასწარმეტყველთა მოსე, ჰარონ და სხვათა წინასწარმეტყველთათა, წმიდათა თავთა მოციქულთა პეტრესი და პავლესითა, წმიდათა მღუდელთ-მოძღვართა მამათა და ქალწულ მოწამეთა: მეოხებითა წმიდისა სვეტისა ცხოველისა, კუართისა საუფლისა და მირონისა წმიდისა. —

ამა ყოველთა შეწევნითა და მეოხებითა ესე უკუნისამდე ქამთა გასათევებელი წყალობისა წიგნისა შეგიწყალეთ და გიბოძეთ **ჩუენ, დიასამიძემ** კათალიკოზმა პატრონმა ივანემ თქუენ სვეტის ცხოველისა და ჩუენსა ერთგულსა მამალაძეს სახლთხუცეს რევაზს, ძმასა შენსა არჭილრიტს ქადაგს ნიკოლოზს, ადამს, ზურაბს, დემეტრეს, ამილბარს და სოლომონს და ნათესავთა სახლისა თქუენისათა ყოველთაგე.

ასე, რომე: ზერტის მოურაობა სამკუიდროდ თქუენი იყო და ისე სამკუიდროდ და საბოლოოდ თქუენვე გიბოძეთ ყოველს კაცის უცილებლად, არაოდეს არ მოგემალოს, არა ჩუენგან და არა შემდგომთა მეპატრონეთა კათალიკოზთაგან. გქონდეს და გიბედნიეროს დმერთმან სვეტის ცხოველისა და ჩუენსა ერთგულობასა შინა.

ვინცა და რომელმაც მეპატრონემ კათალიკოზმა, დიდმა გინა მცირემ, ეს მოგიმალოს, მასაცა რისხვას არსება დაუსაბამო თავად დმერთი მამა, ძე და სული წმიდა და ყოველნი წმიდანი დმრთისანი, ზეცისანი და ქუეყანისანი, კორკიელნი და უკორკონი და სვეტი-ცხოველი დმრთივ-აღმართებული.

ხოლო დამამტკიცებელი ამისი დმერთმან აკურთხოს.

დაიწერა ქორონიკონს **ტპდ**, მარიამობისთვის **კ** ჴელითა ჴელმწიფის კარის დეკანოზის შვილის **ამ ე ლ ი ს ა თ ა**.

ბეჭედი: კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი

161. [კახთ ეპისკოპოსთა და დარბაისელთა სიმარხვის გუჯარი დავითგარეჯისადმი]*

[1606 წ.]

ჭ. სახელითა სახიერისა, არსება დაუსაბამოსა სამებისა წმიდისა, შამისა, ძისა და ყოველად წმიდისა სულისათა; და მეოხებითა ყოველად უხრწნელისა, უმეტესად კურთხეულისა დედოფლისა ჩუენისა დმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისათა,

* შემოკლებით და არა დედნის მიხედვით დაიბეჭდა „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. II, გვ. 232.

წმიდათა უსხეულოთა ზეცისა ძალთა ანგელოზთა და მთავარანგელოზთაა და სხეულთა ყოველთა წმიდათა ზეცისა უკორცოთაჲსაჲ.

მეოხებითა წმიდისა დიდებულისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოვანესითა; ოხითა და მეოხებითა და ძალმწყობითა ღირსისა და საკუერველთ-მოქმედისა ზეშთა კაცთა საზომსა აღწევნელისა და ზეცისა ძალთა თანამოდასისა ღუაწლმრავალისა და ქრისტესთჳს განკაფულისა, რომელი აღმობრწყინდა შუამდინარით, ეითარცა მზე ბრწყინვალე და მოიწია სანაოებსა ჴმას ჩუენსა და დაემკუიდრა უდაბნოსა უგზოსა და ურწყულსა.

და ფიცხელნი ესე და უწენონი უდაბნონი ქალაქ ყუნა და ექმნა მიზეზ ყოველთა კაცთა ცხორებისა; რომელმან აღასრულნა სასწაულნი ურიცხუნი, ეითარცა მოგუითხრობს ვრცელი იგი ცხორებაჲ მისი ბუბჳარითურთ ჭელ განმჭმელითა;

კუალად მომგები სიბრთელჱდ ძისა შისისა მკჱლობელისა თჳნა, ირმებითურთ შინაურ მჭმნელი, მის ძილით დამწველი ვეშაპისა ზეგარდმოთა რისხჳთა და თანამხლებელი, ანგელოზისა მადლის შომდები, მესამედ ნაწილად იერუსალემისა და მსგავსად დიდისა მოსესსა ძჳლითა, დამტკბობი მწარისა წყლისა და თუალთა ამხუმელი ძმისა ერთისა თუალ დაბრმობილისა.

და მსგავსადვე მოსესსა მიგჳძღუას ქუეყანად აღთქმისა ზეცისა იერუსალიმად წმიდა მამა ჩუენი დავით; ამითა მეოხებითა, შუამდგომელობითა და ჭელის აპყრობითა და სხეულთა ყოველთა წმიდათა, მოციქულთა, წინასწარმეტყუელთა, მაცთა, მამათ-მთავართა, მღდელთ-მოძღუართა, მოწამეთა და წმიდათა დედათაჲსაჲ;

ამა ყოველთა წმიდათა მეოხებითა და ჭელის აპყრობითა ესე უკუნისამდე ხანთა და ჟამთა გასათჳებელი და მოუშლელი გუჯარი მოგჳბსენით ერთობილთ კახთ ეპისკოპოზთა და ერთობილთ დარბაისელთა.

ძმანო, რომე: ჩუენ ჩოლაყაშვილი სახლთუხუცესი დურმიშხან და მდივანი ზურაბ ხანის ბძანებით საუფრის ასალებად გამოვედით. და ხანის ბძანება ეს იყო: ვისაც არ გაშორომეოდეს, ნუ გამოაროშევეთო.

მოკითხული ვქუნათ და მახსოვრები შეეყარეთ. და წმიდის დავითის ყმასა არაფერი საბატონო ბეგარი და გამოსაღები არა სდებოდათ რა; არც სალხი და არცა-რა სხუა რამე საბეგრო საქმე, თქუენის წმიდის სათლავის სამსახურის გარდა.

ძუელსი გუჯარნი და სიგელნი ძტერთა ქრისტიანეთასა ლეკთა წარეხუნა, მას ჟამსა, ოდეს წმიდა მონასტერი დავითის წარეტყუე-

ნეს ლეკთა და წმიდანნი მონაზონნი მოსრეს. და სხუა ყოველივე საჭმარი ეკლესიისა და ჭურჭელნი და სიგელნი მათ ივარ-ექმნა.

მაგრამ ჩუენ ჭეშმარიტებით უწყოდით და მახსოვრებიც ვართ-დეს, რომე: არას ნიეთის გამოსადებისა, საურისა და საბეგროსა არა სთხოვებოდათ რა, არცა-რა გამორთმეოდათ და არც ჩუენ აგიღებით საური.

ჩამოვედით ხანის კარზედა, შევიყარენით ერთობით კახნი ეპისკოპოზნი: ამბა ალავერდელი ნიკოლოზ, სახლთუხუცესი დურმიშხან, ქისიქის მოურავი რევაზ* და სხუანი ყოველნი კახნი ეპისკოპოზნი და დარბაისელნი.

ბედნიერია ხანის ბძანებაც ეს არის და ჩვენც ასე დაგვიმტკიცებია: წმიდის დავითის ყმასა არაფერი არა ეთხოებოდეს რა, არც საური და და არცა-რა სხუა ბეგარა, თუნიერ წმიდის დავითის სამსახურის მეტი.

აწუ, ვინცა ეს ასე არ დაუმტკიცოს და ან ეს მოუშალოს ან საური თხოვოს, რისხვასმცა ღმერთი დაუსაბამო, მაშა, ძე და სული ყოვლად წმიდა და ყოველნი წმიდანი ღმრთისანი, ზეცისანი და მუეყანისანი, ჯორციელნი და უჯორცონი, და თვთ ეს წმიდა საკვრველთმოქმედი მაძა ჩუენი დავით.

და ნურარათმცა ნუ იქმნების ჯსნა სულისა მისისა; და ადიხსურას ძირითურთ ნაწილი და სამკუიდრებელი მისი; და ქრისტეს ჯუარისმცემელთა თანაწა შეირაცხების.

ხოლო დამამტკიცებელნი ამისი აკურთხნეს ღმერთმან.

დაიწერა სიგელი ესე ქელითა მდივანმწიგნობართ-უხუცესის შვილის სამეგელ ეპისკოპოზისა ნიკოლოზისითა და თჳთცა ამტკიცებს წიგნსა ამას.

ჭორთნიკოსს ტბედ.

ხელმოწერები:

ალავერდელი ნიკოლოზ.

რუსთველი ნიკოლოზ.

სამეგელი ნიკოლოზ.

ორი ბეჭედი:

1. სახლთხუცესი დურმიშხან.
2. მოხა ლთისა მოურავი რევაზ.
3. სუფრაჩი გიორგი.

---

* „ქისიქის მოურავი რევაზ“ ჩაწერილია სხვა ხელით.

4. გიორგი*. 5. გიორგი*. 6. გიორგი*
7. . . . . .
8. . . . . .

მარცხენა კიდეზე:

ქ. ჩუენ, მეფეთ-მეფემან პატრონმან ნაზარალი-ბ[ი]ნ ეს საფიცარი გავსინჯეთ და დაეთ-გარეჯის წინამძღვარმა ონოფრემ მოგვაბსენა და როგორადაც ამ დარბაისელ-ეპისკოპოზთ დაუმტკიცებია, ჩუენც ამ რიგით დაგიმტკიცებია და გვიბოძებია.

შაისს ით, ქორონიკონს ტპზ.

162. [ალაპის წიგნი ნიკოლოზ მადალაძისა ქოგულაშვილისადმი]

[1690 წ.]

ღმერთი, პირველად.

ქ. სახელითა სახიერისა არსება დაუსაბამოსა, დაუდაბადებელისა ღმრთისა მამისა, ღმრთისა ძისა, ღმრთისა სულისა წმიდისაითა;

მეოხებითა ყოვლად წმიდისა და ყოვლად პირწმეუბებელისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა და მარიამისათა. ქალწულისა მარიამისათა;

ძლიერებითა ცხოველსმყოფელისა პატიოსანისა ჯუარისათა, წმინდათა ზეცისა ძალთა, ანგელოზთა და მთავარანგელოზთა მიქაელ და გაბრიელისათა, წმიდისა წინასწარმეტყუელისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოვანესითა და იოვანე ქალწულ მახარებელისათა, წმიდათა თავთა მოციქულთა პეტრესი და პავლესითა და ათორმეტთა მოციქულთათა, წმიდათა წინასწარმეტყუელთა, მღდელთმოძღვართა, მამათა, მამათ-მთავართა, მოწამეთა და ყოველთა წმიდათა ღმრთისათა ზეცისა და ქუეყანისათა, რომელნი წმიდასა სვინაქსარსა შიგან მოიხსენებიან, წმიდისა სვეტის ცხოველისა, კუართისა საუფლოსა და მპრობ ღმერთ-მყოფელისა და წმინდისა მოციქულისა ქართველთ განმანათლებელისა ნინოსითა;

ამა ყოველთა ზემოწერილთა მადლითა და შეწევნითა მე, ყოველ[თა] ადამის [ტომ]თა უნარჩევესმან. ...*[სვეტიცხოველის ქადაგ-არქი]მანდრ[იტმან მადალაძე ნიკოლაოზ

---

* სამივე ბეჭედი ერთნაირია.

** აქ ქაღალდი მოხეულია, აკლია დაახლ. 25—30 სიტყვა.

ესე საალაბო წიგნი მოგეცით შენ, ქობულაშვილს... [ამა რომე მცხეთის] მემკვიდრე [ყმა იყავ. მეცა ამი[სთვის თავს ვიდებ]და ავიღე ჩემი ალალი საქონელი და დაგიჯავ შენის ცოლიშვილითა და შენსავ ალავსა და მაძულზე დაგაყენე პატრონობასა მუფის ერეკლესასა და კათალიკოზობასა პატრონის იოვანესასა.

ასე, რომე: რადგან ამდენი გარჯილობა და ჭირნახულობა ჩვენ შენზედ იყო, ჩვენცა დაგადევით ჩვენის სულისათვის ალაბი დეკენბერს ექუსს[ს]სა, წმიდის ნიკოლოზის დღესასწაულსა, ალაბს მოიტანდე მცხეთას.

თუ ჩემი სძლისკაცი ან მღდელმთავარი იყოს, ან ერისკაცი და ან მთავარი, იმასთან მოიღებდე და ის გაყოფდეს. და თუ არავინ იყოს, დეკანოზსა და ქანდელაკსა წინ მოიღებდეთ ალაბსა და ისინი გაანაწილებდენ მცხეთას მყოფთა მღდელთა და მთავართა, როგორც მართებული იყოს.

მოიღებდე: პურსა გამომცხვარსა ასსა ძაფს, რომე ერთი ერთს კაცს ეყოფოდეს; ღვინოს ლიტრას თორმეტს ოცს სტილიანითა, თევზს ორს კარგს ზურგიელსა, მკერდსა ორსა და თორსა ჩარექს ხიზილალასა; თუ ჭმელი თევზი არ იშოებოდეს, ან ოცს გელაქნურსა და, ან სხვა რაც თევზი იშოებოდეს ამის ღირებულის ფასით, იმას მოიღებდეთ; სანთელსა სტილსა ორსა თვისის საყოფის პატრუქითა და საკმელსა სტილსა ერთსა; დეკანოზს მიართმეოდე საწირავად შაურსა ორსა და ქანდელაკსა შაურსა ერთსა.

ამა წესითა ყოველს წელიწადს ნიკოლოზობასა ჩემის ცოდვილის სულისათვის მამის ჩემის პაპუასა და დედის ჩემის ელენესათვის შენდობას ითხოვებინებდეთ.

აწე ვინც ეს ჩვენგან გარიგებული ალაბი მოშალოს: ანუ დიდმან, ანუ მცირემან, ან შენ და ან შენმა შვილმა და მომავალმა სახლისა შენისამან დააკლოს და მოშალოს, ჩემისამც ცოდვისა და ჩემის მამისა და დედისა და ჩემის სახლის მომავალთა და ნათესავთა ცოდვისა სანუქფოდ იგიმცა განიკითხებს მას დღესა დიდსა განკითხვისასა, ოდეს ენანი დუმნენ და საქმენი ყოველნი გაცხადებულად დაღადებდენ.

შ[ე]მლელი ამისი კოშკმცა არს ცათა შინა და ქვეყანასა ზედან; მასზედამცა აღესრულების წყევა იგი მეასდარეე ფსალმუნისა, იქმნენ ცოლნი მისნი ქურივ და შვილნი მისნი თბოლ; და ნურარათამცა სინანულითა ნუ იქმნების ჯანი სულისა მისისა.

ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხნეს.

ამ ალაპის წამოღებაზე ერთს ფირიამვილს დაუწერებია დეთ და გაასინჯვებდე და კიდეც ასმეოდე და აჭმევდე.

არის ამისი მოწამე და გამგებელი პირველად დამბადებელი და მოწყალე ღმერთი; კალთაგან: დავით-გარეჯის წინამძღვარი თეოფრე, ჯვარის წინამძღვარი ნიკოლოზ, გედეონიშვილი სარდალი გიორგი, სვეტიცხოველის დეკანოზი ზაქარია, კანდელაკი გრიგოლ, გარაყანიძე ლეარსაბ, დიდმელი მამასახლისი ნიკოლოზ, დიდმელი დეკანოზიშვილი თთარა. ზანდარაშვილი მღდელი დავით, მასურაშვილი მღდელი დავით, ფირიამვილი პაპუაკოპაძე ესტატე და სულერთობილნი მცხეთელნი და დიდმელნი და მგალობელი იორამ.

მე, დედოფლის კარის დეკანოზის პეტრეს შვილს, მიქელს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი.

ქორონიკონსა ტპდ.

ქრისტესშვილო ყოველს წელიწადს ამას ნუ დაგვაკლებ, თვარემ ღმერთი ყოველს კეთილს შენ მოგაკლებს.

სხვა ჩვენგან და ჩვენის სახლისკაცისაგან არაფერისთანა არა გეთხოებოდეს რა.

თუ კაცმრავლად იყო, ჩემს სახლისკაცს ერთს ბიჭს ამსახურებდეთ.

ვინც სახით დიდმან ანუ მცირემან, პატრონმან თუ ანუ ჭელშეწიფეთ მოსაქმემან ქრისტიანემან, თუ სხვამან მაპმადის რჯულისამან დამბადებელის ღმრთის მადლსა ამ ჩვენგან გაბიგებულსა და რიგსა ნურავინ მოშლით და თქვენც ასე დაამტკიცეთ. ვინც დაამტკიცოთ ღმერთმან ყოველი თქუენი გაგებული დაამტკიცოს და აკურთხოს.

სხვა ჩვენგან სვეტიცხოველზედ მუშაობის თაობაზეა არ იქნებოდა; და სხვა რიგად საითხოვარი კი არა გეთხოებოდეს რა.

ამ ალაპს ცახუტას სახლში მოიტანდე და იქ დადგებოდეს; სამარხოსაც რასმე მოიტანდე.

ამის დამხდური და მოწამე მცხეთის კალატოზი გიორგი.

ბქვდა: მონა ღთისა ჭადაგი არქიმანდრიტი მაღალაძე ნიკოლოზ ქრს ტმთ (?)

163. [წიგნი დავით კათალიკოზისა წერეთელებისადმი ნიშნის გამორთმევის თაობაზე]

[1673—1696 წწ.]

ჭ. ჩუენ, კათალიკოზი დავით მოვადექით კარს წერეთლებს ქაიხოსროს, პა[ა]ტას, და ვალდებულს [და ნიშანი ვ]ითხოვეთ ძალ-მიცემით.

და წამო[დგნენ და დავი]ფიცავთ ხატზედაო, რომ არას კათალიკოზს ჩუენი სახლის ნიშანი არ აეღოსო.

და ჩუენ ხატზედ არ დავაფიცეთ, და არც ნიშანი ავართვით.

ამწე ვინცა ვინ ჩუენი შემდგომნი კათალიკოზი ბრძანდებოდეთ, გებრიანებოდეს, აჯა აქნევინეთ, რომ ამათს სახლს ნიშანი არ მართებოდეს; თვარემ ჩემის საქმით არ შემიწუენია, ღმერთმან იცის, ძალ-მიცემით ვსთხოვეთ, შაგრამ არ ...* გუმართებსო და არ[1] მოგუცეს ნიშანი.

ხელითა: კათალიკოზი

164. [შეწირულების წიგნი კათალიკოს დავით ნემსაძისა გიმვინტისადმი]

[1678—1696 წწ.]

სახელითა ღმრთისათა, ჩვენ[2], კათალიკოზს ბატონს დავთს გვიბოძა დედიანმან ლიონ და დედოფალმან ბატონმან თინათი[ნ]ს წყალუტია ჰეკია; გვიბოძა მისის ცოლ-შვილითა, რისაც მჭონებელი არის მისის ყოვლის ფერითა; და ჩვენ ბიჭვინტისა ღმრთისმშობლისათვის შეგვიწირავს სახსრად და სათხად სულთა ჩვენთა და დღეთა ჩვენთა წარსამართებელათ.

ვინც ეს გამოსწიროს, მასამც რისხავს ღმერთი.

165. [შეწირულების წიგნი კათალიკოს დავით ნემსაძისა გიმვინტისადმი]

[1678—1696 წწ.]

[1]. ჩვენ, ქრისტეს მიერ კურთხეულთან ჩრდილოსა და აფხაზეთისა კათალიკოზმან ბატრონმან დავით შემოგწირეთ თქვენ საშინელსა ბიჭვინტისა ღმრთისმშობელსა

---

[1] +არა. [2] ჩვ.

* აქ ერთი სიტყვა არ ეკითხება.

ოცხანას გლეხი ცხუედიძე გიორგი და მისი ძმა მი-
მინა და სეხნია მათის ცოლშვილითა, მისის სამოსახლოთა
დღეს რისიც მჭონებელი იყოს, მისის სამართლიანის საქმითა, ასრე,
რომე ცხვედიძეს ჩვენი დაჭსნილი მერიქიფე სეხნია კა-
ლანდაძე შემოაკლდა და სისხლშიდ ბექან ბერიძეს
ჩვენ გამოვართვით და ჩვეს ბიჭვნტისა ღმრთისმშობელს შევსწირეთ.

აწე ვინცა და რამანცა ძენან კაცისამან ანუ გუბოელმან, ანუ დე-
დოფალმან ან დიდმან, ღმა] ან მცირემან ეს ჩვენგან შენაწირი
შლად და გამოკმად ჭელყოს, ისიმც შეიშლება რჯულს ქრისტია-
ნობისაგან, ხელა იჭსნების წირვითა და ლოცვითა; წყეულ, ქრულ
და შეჩუენებულიმც იქმნების მისი სელი და კორცი ცოლითა და
შჭლითა; რაც ამ დავთარშიდ წყევლა და შეჩუენება ეწეროს, მის
თავსა და მის ცოლსა და შჭლზედამც აღესრულების აწდა უკუნი-
სამდე, ამინ.

[2]. ჭ. ავრევე გაადრეთ და შემოგწირეთ თქვენ საშინელსა და
ცათა მობაძავსა ბიჭვინტისა ღვთისმშობელსა ჩვენ, კათალიკოზ-
მან ნემსაძემ დავით ხორგას ერთი კვამლი აზნაურის
შვილი გიგიბერია მორდებუ ორის მისის ხელებითა,
მეორე კვამლი დასტურაი თომხილი, ხესამე კვამლი
დასტურაი ბაბუა, მეოთხე კვამლი დასტურაი კოჩი-
ლი, მეხუთე კვამლი ხოჭალავა ბაბიკოჩა, მეექვსე კვამ-
ლი ხაზავა ხუხუტა, მეშვიდე კვამლი ხაზავა ზვამი-
ვალი, მერვე კვამლი ხოჭალავა ხვიჩა, მეცხრე კვამლი
ცხალონია ჯვიბილები მათის ცოლშვილითა, სახლკარითა,
ჰურ-ბელელ-მარნითა, ტყითა, წყლითა სანადირონითა, ეკლესიის კა-
რითა, სასაფლაოთა; დღეს რისაც მჭონებელნი იყონ მისის ყოველს-
ფერითა.

შეიწირე შენ საშინელო ბიჭვინტისა ღმრთისმშობელო და
ნაცვალ გვაგე მადლი შენი დღესა მას დიდსა განკითხვისასა.

166. [შეწირულების წიგნი კათალიკოზს დავით ნემსაძისა გიჟვინტისადმი]

[1673—1696 წწ.]

[1]. აგრევე [გსაადრეთ და შემოგწირეთ თქუენ, საშინელსა და
ცათა მობაძავსა ბიჭვნტისა ღმრთისმშობელსა ჩუენ კათალიკოზ-
მან ნემსაძემ დავით ტეკლათის გრიგოლია გა...
ლეი(?) და მისი შვილი ხოხონაი მისის ცოლშვილითა, სხვს-
შვილთა, სახლკარითა, ჰურ-მარნითა, მამულითა, ტყითა, ველთა,

საყანითა, გასავლითა და გამოსავლითა, საძებრითა და უძებრითა დღეს რისიც მჭონებელი იყოს მისის სამართლიანის საქმითა და მისის ეკლესიის სასაფლოთა. ასრე, რომე ფიცან მხვდა ბაქვნტისა ღმრთისმშობლის ტყვეები დაყიდა ოთხი და იმის გარდასახადმიდე გამოვართუა და სხუა ნიშნად[1] გაგუთა[ვა].

აწე ვინცა და რომელმანცა ძემან კაცისამან ან დადიანმან, ანუ თავადმან, ანუ დიდმან ანუ მცირემან ამისდა შლად და ქცევად და გამოხმად ჭელყოს, მასამც რისხაჳს თავად დამბადებელი ღმერთი, მამა, ძე და წმიდა სული; წყეულ, კრულ შეჩუენებულიმც არს მისი სული და ხორცი აქა და მას სატკუნოსა, ნუმცა იქნების ჴსნა და გამოჴსნა მისი მწდა უკუნისამდე ამინ.

[2]. აგრეუე გკადრეთ და შეგითუწირეთ თქუენ საშიხელსა ბიქუნტისა ღუთისმშობელსა ჩუენ კათალიკოზმან ნეუსაძემ დავით ეჯიბითს ხარაბედია ქრისტეშია და მისი ძმისწული ხოსია მათის ცოლშეილითა, სახლკარით, ჭურმარნითა, ნაშულითა, ტყითა, ველითა, გასავლითა და გამოსავლითა, საძებრითა და უძებრითა და მისის ეკლესიის ყარითა. ასე, რომ პეპუნა ჩიჩუამ ჩუენი წულისკერი მოგუპარა, გამოვაჩინეთ და გარდასახადმიდე გამოვართუთ ბატონის დადიან გურიელის ნება ცართულობითა.

აწე ვინცა და რამანცა ძემან კაცისამან ანუ დიდმან, ანუ მცირემან, ანუ დადიან-გურიელმან ამისდა შლად და ქცევად ჭელყოს, ნასამც რისხაჳს თავად დამბადებელი ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანი ზეცისანი და ქუეყანისანი, კორცელნი და უკორცონი.

167. [დავთარი აფხაზეთის საკათალიკოსო სამწყსოს მეკობრთა აღწერისა]

[1673—1698 წწ(?)]

[ქ. არის გელ]ათს თავს სადედოფლო საყდარი წმიდის გიორგის მეტოქად [მისით შემ]ოვალითა რვა კვამლი კაცი, [ს ო]რმონს ორი, რიონს ორი, ჰოლევს...* ერთი, ნაბოსლევს რვა, ბუეთს ექვსი. საწირეთს მეფის ჭელი შევა.

[არის] ბარს სასახლე გამართული მისის ეკლესი[ი]თა ოცდარვა კუამლი კაცი ბაკასეული სასახლე.

---

[1] ნიშნად.

* აკლია ორი სიტყვა.

არის ჩხარის თორმეტი კუამლი [კაცი და სასქახლე, ერთი პარტახტი.

არის ოფჩიას ცხრა კუამლი კაცი ბურჯანაძე; საეფუო მისი არის და სხვა პატრონის კათალიკოზის არის.

არის ნავენახევს სასახლე და თექვსმეტი კუამლი კაცი აზნაურისშვილიანათ, თთხი პარტახტი.

არის ქუთათის სოფია წმიდა სასახლე აზნაურისშვილიანათ ექვსი კუამლი კაცი პარტახტიანათ.

არის ჯიმშტაროს სასახლე და თერთმეტი კუამლი კაცი აზნაურისშვილიანათ.

ბაკისტბანს არის ექვსი კუამლი კაცი აზნაურისშვილის ყმიანი, მეექვსე პარტახტი.

არის მესხეთს ექვსი კუამლი კაცი ხელმწეულათ და ერთი პარტახტი.

არის ქვენო მესხეთს ხუთი კუამლი კაცი და თთხი პარტახტი, მეფის ხელი შეუა.

არის ფარცანაყანევს თხეთმეტი* კუამლი კაცი, ორი კიდევე სხუა**, ორი პარტახტი.

არის მანთხოჯს სასახლე კარის ეკლესი[ი]ა ორმოცდათი კუამლი კაცი ორის აზნაურისშვილიანათ.

არის ხონს თერთმეტი კუამლი კაცი, ორი პარტახტი.

არის ჯიქთუბანს და ჭანგას ათი კუამლი კაცი პარტახტიანათ და სასახლე; ექვსი კუამლი კაცი ნიქარაძეს აქვს.

არის ჭოცნაც სალობი და ორი პარტახტი.

არის ნეშაძისეული ხოშტიბელა სასახლე თორმეტი კუამლის კაცით.

ხუთი კუამლი[1] კაცი ოხთმირას, თორმეტი კუამლი კაცი და ორი პარტახტი საჩხეურს, ორი კუამლი კაცი რამაზახეული მანდიკორს.

არის ჩუნეშს ათი პარტახტი.

არის ჯუმალი: ორას ოთხმოცდაშვიდი.

---

[1] კაუმალი.

* კერ დაეწერა: „თერამეტი", რაც ჩაზვადასმულია და იმავე ხელით ჩაწერილია: „თხუთმეტი".

** „ორი კიდევე სხუა" ჩაწერილია სტრიქონს შუა დედნის ხელით.

168. [წყალობის წიგნი კათალიკოზს დავით ნემსაძისა იოანე ქავთარიასადმი]

[1678—1696 წწ.]

ქ. ჩვენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხევით კურთხეულმან, ჩრდილოსა და იფხაზეთისა კათალიკოზმან, ნევსაძემან პატრონმან დავით ესე სამკვიდრო საბოლოოდ გასათავებელი წყალობისა წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ, კანდელაკს ქავთარიას იოვანეს და შენსა შვილსა ივანესა და სხვათა შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა ყოველთავე.

ასრე და ამა პირსა ზედან, რომე: მოგვიდექით კარსა და გვეჯვნით და ვისმინეთ აჯა და მოხსენება შენი. დავითია ბიჭი გუთხოვეთ დისკუდია და ქრთამიცა მოგვართვით, როგორც ჩვენი გული შეგვიჯერდებოდა და, ჩვენი ერთგულება კარგი მოსამსახურე იყავი; და გიბოძეთ ის ბიჭი დავითია დისკუდია.

ოწე გვიბოძებია და გიბედნიეროს ღმერთმან ხატის სამსახურისა და ჩუენსა ერთგულობაშიდან მკვიდრად და მოუწლელად ჩვენგან და ყოველის ჩვენის შემდგომის კათალიკოზისაგან.

არიან ამისანი მოწამენი და შუამავალნი: ხახუტა ჯორჯიკია, გიორგი სვანიძე, სეცია გვენეტაძე, მოხელენი სენაკისა: ეუქუა ადამია, თოლიბედაი სოსია, გრიგოლი და სხვანი ჩვენი კარის ყმანი, აზნაურის შვილები.

მე, მდივანს ასათიანს იესეს დამიწერია და მოწამეცა ვარ.

ბეჭდავს: კათალიკოზი დავით.

169. [წყალობის წიგნი კათალიკოზს დავით ნემსაძისა ივანე ქავთარიასადმი]

[1678—1696 წწ.]

ქ. ჩუენ, ქრისტეს მიერ კურთხევით კურთხეულმან, ჩრდილოსა და იფხაზეთისა კათალიკოზმან ნევსაძემ, პატრონმან დავით, ესე აუარებელ მტკიცე, შეუცვალებელი, არას დროს და პატრონობასა მოგან მოსაშლელი, სიტყვით სრულქმნილი და საქმით დღეთა ჩვენთა საბოლოოდ გასათავებელი წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ, კანდელაკს ივა-

ნეს ქავთარიას და შენსა შვილსა იორდანეს და ბა-
ღდასა და ნუშს და მათ შვილსა იოვანეს და სხვათა შვილ-
თა და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე, ასრე და ძმა
პირსა ზედან, რომე:

მოგვადექით კარსა და გვეჯენით; და ვისმინეთ აჯა და მოხსე-
ნება შენი და გემაძალი წუწუბავას და მისს ძმის თუთა-
რიასეული პარტახტი გუთხოვეთ უშაბაკეთს და ფეშქაშიცა
მოგვართვით, როგორათაც ჩვენი გული შეგვიჯერდებოდა; და გი-
ბოძეთ იმ სამის ძმანების ქამოგელაის და გემაძალის და
თუთარიასეული პარტახი შინ და გარ მისის სახლ-კარითა,
ჭურ-მარნითა...

არის ამისი მოწამე და შუანავალნი მოხელე იქიური ქოქუა
ადამა, ქოქუ ღვარდია, სოსია გრიგოლაია, გი-
ორგი მღუდელი ელიავა, ოლიბედაი ქავთარია და
სხვანი ჩვენი კარის მდეგნი აზნაურისშვილნი, მსახურნი და გლეხნი.

მე, ზდივანს იესეს ასათიან დამიწერია და მოწამეცა ვარ
ამისი.

ხელრთვა: კათალიკოზი დავით.

170. [წიგნი ნიკოლოზ კათალიკოზისა სამთავისის ძველ მეწირულებათა შესახებ]

[1678—1696 წწ.]

წყალობითა ღმრთისათა, კათალიკოზი ქართლისა
ამილახურის ძე ნიკოლაოზ, დავსდებთ საუკუნოდ მოხ-
სენებასა ნეტართა და ღმრთის მსახურთა მეფეთასა, რომელთაცა
იმზარეს და იწყეს შეწირვად დიდისა ეკლესიისა სამთავისის
ხატის ღვთაებისათვის და მაზედა მჯდომარისა ზოსიმე სამ-
თავნელისა:

ნეტარმან მეფემან გიორგი, მამამან ალექსანდრე მეფი-
სამან, უსიტყვო სოფელი, მამული დიდი ნაქონი დიმიტრი
ბაგრატოვანისა, რომლისა სახელი იყვან კურთხეულ.

ხოლო შეუდგა ალექსანდრე კეთილსა კვალსა მამისა თვისი-
სასა გიორგი მეფისასა, მეფემან ალექსანდრემ და შე-
ქმნა ჯვარი დროშად წინამძღვარი ცხოვრებისა და წარმმართებელი
მეფობისა თვისისა პატივად და წინასაძღოლად დიდისა მღუდელ-
მთავრისა დროშად სამთავისის ეპისკოპოსისა:

ამანვე მიუძღუანა კანდელაკი იოელ აზნაური და სა-
სო თვისი სოფელი დიდი ნადარბაზევი, და ყოველივე
ათავისუფლნა მაშინა მკვიდრნი ხარკისა და ყოველისა სათხოვრისა-
გან.

ხოლო ამანვე მიუძღუნა ზუთაძი კირმანეული წელიწდის დას-
რულებასა შინა ზოსიმე მღუდელმთავარსა სალოცველად მეფობი-
სა თვისსა და სათხად სულთა.

ხოლო მსმაოებელი წარმოემართის რა ჭართლად ანუ აღმოსავ-
ლით, გინა დასავლით, ფერხშიშველი ჩავლის ალმოველის თაყვანის-
მცემელი ეკლესიაჸა, ხატისა ღმრთაებისა, აქენდა სასოება, პატი-
ვისცემა დიდისა მღუდელმთავრისა სამთავნელის ზოსი-
მესი; მყვარობდა კეთილსა ქცეულებასა და პატივისცემასა ეკლე-
სიათსა.

მეფე გიორგი, რომელმანც მიარჩია ძღუნად[1] წმიდასა
მამასა შიოს სჯოსა თვისსა დიდითა გუჯრითა სახსოვრ სოფელ ოკა-
მი, მეშველაანი დიდნი გლეხნი დიდის მჭონებელნი მამული-
სანი, მოხელენი და მოლვაწენი და შემწენი დიდისა მონასტრისა
მღვიმისანი.

გეკედრებით წმინდანო მღუდელმთავარნო და წინამძღვარნო,
მეფეთა ამათ ქურთხევით მოიხსენებდეთ, და გლეხთაცა ამათ პატი-
ვით შეიტკბობდეთ ერთგულობისათვის და მოხელეობისათა.

წარეწერე ჴელითა ჩემითა კათოლიკოზი ნიკოლაოს.

[მინაწერები]

ჰეშმარიტის პირიდამ თვით საკუთარის ნიკოლაოს კათო ლი-
კოზის ამიღასტორის ძის ჴელით დაწერილის გუჯრის პი-
რიდამ გადმოვსწერე, რომელიცა სწერია წმიდის შიოს მღვიმის მო-
ნასტრის ვერლანსა შინა, ოცდაცხრას ივნისს, პეტრე პავლეს სერა-
ფის ზურგზედ; არცარა მომიმატებია და არცარა მომიკლია, უფალ-
მან უწყის. წმიდის შიოსმღვიმის მონასტრის არხიმანდრიტი
და წინამძღუარი ნიკიფორე.

ამისი ასლი ჰეშმარიტი პირი ვნახე თვით კათალიკოზის ნიკო-
ლაოზისაგან დაწერილი, შევამოწმე და უმეტ-ნაკლოთ არის ალწე-
რილი, ჰეშმარიტი არის. იაროთის არხიმანდრიტი გაშ-
ლიელ.

---

[1] ძღუანდ.

ჰე შმარიტია ეს ზემო აღმოწერილი, თვით ჩემის თვალით ვნახე კათალიკოზის ქელით დაწერილი, უმეტ-ნაკლო არის. ამ მონასტრის ბერი, მღუდელ-მონაზონი გრიგოლ.

ქ. მე, იოელ მღუდელ-მონაზონი ვაწერ როგორც ზემოთ არქიმანდრიტი გაბალიელ და მამა გრიგოლ, აგრეთვე მე, იოელ.

ქ მე, თვით თვალით ჩემით ვიხილე ჰე შმარიტად კათოლიკოზის ხელით ნაწერი, უმეტ-ნაკლებო არის. ამა მონასტრის ბერი, მღუდელ-მონაზონი ათანასი ამილახორის ძე.

171. [წყალობის წიგნი კათალიკოზს იოანე დიასამიძისა ნიკოლოზ თუხარელისადმი]

[1698 წ]

ქ. ღმრთისა და უბიწოდ მშობელისა მისისა, ძლიერებითა ცხოველს მყოფელისა პატიოსნისა ჯუარისათა; მეოხებითა წმიდათა ზეცისა ძალთა ანგელოზთა და მთავარანგელოზთა მიქაელ და გაბრიელისათა;

შეწევნითა წმიდისა წინასწარმეტყველისა წინამორბედისა და ნათლისმცემლისა იოანესითა და იოანე ქალწულ მახარებელისათა; წმიდისა დიდებულისა წინასწარმეტყველთათა; წმიდათა თავთა მოციქულთა პეტრე, პავლე და სხვათა სამეოცდათოთა მოციქულთათა; წმიდათა დიდებულთა მღუდელთ-მოძღვართა ბასილი, გრიგოლი, იოანე, ოქროპირი და სხვათა ყოველთა მღუდელთ-მოძღვართათა; წმიდათა დიდებულთა მთავარმოწამეთა გიორგი, დიმიტრი, თევდორე, ევსტათი და ყოველთა მთავარმოწამეთა წმიდათა; და უდაბნოს განმანათლებელთა საბა, ათონი, ევთვიმისითა და ყოველთა მეუდაბნოეთა; წმიდათა ქალწულ მოწამეთა ირინე, მარინე და ნინოჲსითა; წმიდისა და ყოველად დიდებულისა ღმრთივ-აღმართებულისა სვეტისა ცხოველისა კუართისა საუფლოჲსა და მირონის ღმერთ-მყოფელისა; მეოხებითა ყოველთა წმიდათა, რომელნი სათნო ეყუნეს უფალსა ჩუენსა იესო ქრისტესა.

ამა ყოველთა წმიდათა შეწევნითა და მეოხებითა ესე უკუნისამდე გასათავებელი სამკჳდრო და საბოლოო წყალობისა წიგნი განგიახლეთ და გიბოძეთ ჩუენ, ღმრთისა მიერ ყოველისა საჭართველოჲსა მპყრობელმან დიასამიძემ კათალიკოზმა პატრონმა იოანემ თქუენ, სვეტის ცხოველისა და ჩუენსა ერთგულს ყმას დარბაისელ შვილს თუხარელს წინამძღვარს

ნიკოლოზს, ძმასა შენსა გიორგის და გიორგის*, მეფეს ქიზიყისას, შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათჳს, ასე
ვსწერ:

ჭელიწიფემ მეფემ ერეკლემ თქუენი თავი რომ სვეტსცხოველს შემოსწირა, ისევ მეფის ბძანებით არაშენდა, დისვეა საამოურაოდ გიბოძეთ, ცოტას ხანს ისევ ჭელი აგაღებინეთ; ვითაც პირველ ჩუენგან ნაბოძები წიგნი არ მოიშლებოდა, ისე წყალობა გიყოფით და სიგელითა ამით დაგიმტკიცეთ. არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არა ძეთა მეპატრონეთაგან. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ყოველის კაცის უცილებლად.

ვინცა და რომელმაც ადამის ჰონათესაეემ, დიდმა გინა მცირემ, კათალიკოზმა და ანუ სხვამან კაცმან, ეს წყალობა და სიგელი მოგიშალოს, მასმცა რისხავს თავად არსება დალესაბამო ღმერთი მამა, ძე და სული წმიდა და ღმრთეე-აღმართებელი სვეტიცხოველი; შეცა-ედების კეთრი გეზისი, შიშთვილი იუდასი, მეხტეზილობა დათასკოროსი, ცოცხლივ დანთქმა დათან და აბირონისი და ნურათამცა სინანულითა ნუ იქმნების ჯსნა სულისა მისისა; და ჩუენ მიერ წყეულმც იქმნების უკუნისამდე.

ბოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აყუროსთხოს.

არიან მოწამენი: მაღალაძე ქალაქი ნიკოლოზ, სახლთუხუცესი რევაზ გარაყანიძე, ბატკაულთ-ხუცესი ლუარსაბ, სარდალი გედევანიშვილი გიორგი, მიწოზლიძე პაატა, დეკანოზი ზაქარია, კანდელაკი გრიგოლ, ქარცივაძე ზურაბ, დეკანოზიშვილი არდაშა, გიჯიყრელი ოთარ და სულ ერთობით მცხეთელნი.

დაიწერა ბძანება ესე ქორონიკონსსა ტპვ, ჭელითა მდივანბეგისა მაღალაძის ადამისითა.

ორი ბეჭედი: 1. კათალიკოზი
2. ქ. რომელი განჭსნათ ქუეყანასა ზედა,
ჭსნილ იყოს იგი ცათა შინა.

წარწერა კიდეზე

ქ. ჩუენ, პატრონი მეფე ერეკლე და ძე ჩუენი იმამყული და კოსტანტინე სიგელსა ამას ვამტკიცებთ უცვალებელად.

ბეჭედი: მეფე ნაზარალიხან

---

* „გიორგის“ ჩაწერილია სტრიქონს ზემოთ.

172. [წყალობის წიგნი იოანე კათალიკოზისა გაბრიელ მანგლელისადმი]

[1699 წ. 26 მაისი]

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა ჩვენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხეულმან ყოველისა საქართველოსა მაცხოვრებელმან ქართლისა კათალიკოზმან დიასამიძემ პატრონმან იოვანე ესე მტკიცე წიგნი და სიგელი გავდრეთ და მოგვკვნეთ თქვენ პატიოსანსა სამეუფოსა ცაყდარსა ძანგლისასა ღმრთისმშობელსა და თქვენსა საჭვთმპყრობელსა მანგლელ ეფისკოპოზს ჯავახიშვილს პატრონს გაბრიელს.

მოგეცით სამწყსოდ, რაც პატრონის აბაშისა და დავითის ქერძი მამული არის აზნაურშვილი და გლეხნი მთასა ანუ ბარსა უკლებად, კიდევე მას ზედა მოგემატეთ ალგეთს გალმართი, გაგისამძღვრეთ ვაკე, ლორისთაკი, გუდარეჯი, ცოვრეთი, გარისი, ვარჩოვნა, კრეფა, ლიბანი, უგუდეთი, გოგასგვერდი და ახალდაბა და მას ზედათი მცირესა და ალგეთს შუა მიტანებით, მანგლის[ს] გარშემო ორი ოძისი და კველთა.

კიდევე თქვენ და დმანელს სამწყსოზედ საორჩელი შეგეგონდათ და პატონიშვილს კათალიკოზს ვაესამზღვრა და გაეროგებინა; და ჩვენც იმაევე წესით დავამტკიცეთ, რომელიც პატონიშვილს კათალიკოზს გაეროგებინა.

ეს ასრე გაგითავდეს და არა მოგეშალოს არა კელმწიფეთა და დედოფალთაგან და არა შემდგომად ჩვენს კათალიკოზთა და ეფისკოპოზ[თ]აგან. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენსა და კათოლიკე მცველთის საყდრისა სამსახურსა შინა.

დაიწერა წიგნი ესე თვესა მაისსა ოცდაექვსსა. ქორონიკონს **ტპზ** ქელითა მგალობლის იორამისათა.

ბეჭედი: კათალიკოზი იოანე

173. [წყალობის წიგნი სვიმონ გენათელისა იოვანე კლდიაშვილისადმი]

[XVII ს.]

ქ. ჩვენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხეულმან გენათელმა მღრდელ-მთავარ-ეფისკობოზმა პატონის შვილმა პატონმა სვიმონ[1] შენ, იოვანეს კლდიაშვილს და შენ-

[1] +გენათელმა.

სა შეილსა იასი და გიორგის თქუენთა შეილთა და მოძმეთა ასრე და ამა პირსა ზედან, რომ:

სვიმანეთის დეკანოზი მოკვდა და ასეთი ხუცესი არ იყო მანდ რომ საყდარი მიგვებარებინა შემოგიკვეთეთ: დეკანოზობა იცდეს; შენ გვიშველე. ასრე გვითხარით: რომ მე შენი სამსახური მირჩევნიან, თორემ თუ თქუენ არ მიმსახურებთ, მეფეს ვემსახურებით. ეგ ჩვენ არ ვქენით, ქრთამიც გამოგვიგზავნიეთ, როგორც გული შეგვეყურდებოდა. ნუ გეცოდინებათ სვიმანეთის დეკანოზობა მყვიდრათ და შოეცილებლათ, საბოლოთ გასათავებლათ; აროდეს არ ჰოგეშალოს, არცა ჩემგან, არცა ჩვენთა შემდგომთა ეფისკოპოზთაგან.

თუ ეფისკოპოზი დაჯდეს ასეთი, რომ ეს წიგნი არ იწიგნოს, მეფესა და დედოფალსა მიართვი და ჩემს ნაბოძებს წიგნს ის არ გაგიცუდებს.

ვინცა და რამინცა ძემან კაცისამან ეს ჩემგან ნაბოძები წიგნი შეგიშალოს, რისხვაც თავათ ღმერთი და ყოველი მისი წმიდანი ზეცისანი და მუეყანისანი, ხოროციელი და ეზოროცული, რანიცა დიდსა წმიდასა სვიმეონსა შიგან სწერიან და ანუ მოიხსენებიან, მათითა ყოველითა მადლითა და მ[ე]ოხებითა კრული და წყეულიმცა არის სული და ხორცი მისი: ნურცა წირვითა და ნურცა ლოცვითა და ნურცა გლახაკთ[2] მიცემითა ნუ იხსნების მისი სული და ხორცი.

არის ამისი მოწამე და მაშუალი სვიმეონ მგალობელი, ბახუტა შათირი, სვიმანური ხელოსნები.

დაიწერა[3] ესე წიგნი თვს იანვარსა ქორონიკონსა ოზდარვასა და ოთხსა. მე დამიწერია წინამძღვარს და მოწამეც ვარ ამისი.

ხელითა: სვიმეონ

174. [ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲐᲚᲐᲕᲔᲠᲓᲔᲚᲘᲡᲐ ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲖ ᲘᲝᲐᲜᲔ ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲘᲫᲘᲡᲐᲓᲛᲘ]

[1688—1700 წწ.]

...[შეწევნითა] წმიდისა წინა[სწარ]მეტყუელისა, წინამორბედისა, ნათლის მც[ემლისა] იოანესითა, იო[ა]ნ[ე] ძალწუულ მახარებელისა-[თა, წმიდისა წინასწარ]მეტყუელიათა, წმიდათა თავთა მოციქ[უ]ლთა პეტრესა [და პავლ]ესითა და ყოველთა მოციქულთათა და წმიდა-[თა] მღდეელთ-მოძღუართა და მამათ-მთავართა; მი[ნ]დობით და შუა-

[1] + ცხსნების. [2] გლახაკის. [3] დაიწერეს.

მდგომელობითა სვეტისა ცხოვლისა და კვართისა საუფლოსა და მირონისა ღმერთ-მყოფელისათ[ა]: შეამდგომელობითა ქართველთა განმანათლებელისა მეათცამეტისა მოციქულისა დედისა ჩვენისა ნინოსითა, —

ამა წმიდათ შეამდგომელობითა ესე პ[ირი] ღ[ა] ფიცი მოგართვით ჩვენ თქვენდა კერთ[ხვევა]დ მოსრულმა აბა ალავერდელმა ჩოლაყაშვილმა ნიკოლოზ თქვენ, კათოლი[კე] სამოციქულო საყდარსა და სვეტსა ცხოველსა და კვართსა საუფლოსა და მის საჭეთმპყრობელს კათალიკოზს დიასამიძეს იოანეს.

ასე, რომე: ვიყუნეთ თქვენი და თქვენის საყდრის მორჩილნი და ნების მყოფელნი. რჯულიერის წესითა რომელიც თქვენ შეკრათ და შეაჩვენოთ, ჩვენც შევკრათ; და რომელიც თქვენ გარჯ[სნა]თ, ჩვენგანც აჯსნილი იყოს. და არცარა თქუენ[ი წინა]ლმდეგობა ვქნათ.

ეს პირი და ფიცი ასე გა[გვითავებია].

ხელრთვა: ალავერდელი ნიკოლოზ.

175. [პიროგბის წიგნი კათალიკოზს იოანე დიასამიძისა მაღალაძეებისადმი]

[XVII ს. ბოლო]

ქ. მინდობითა და შეამდგომელობითა სვეტისა ცხოვლისა კვართისა საუფლოსა და მირონისა ღმერთ-მყოფელისათა, ამათითა მინდობითა და შეამდგომელობითა ესე უტყუარი ფიცი და პირი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ პატრონმან დიასამიძემ ბატონმან კათოლიკოზმან იოანემ თქვენ, ჩვენსა ერდგულსა და მრავალ რიგათ თავდადებით ნამსახურთა ყმათ: მაღალაძეს წინამძღვარს ნიკოლაოზს, სალთხუცეს[ს] რ[ე]ვაზსა, ადამსა და პაპუასა და ზურაბსა,

ასრე, რომე: რადგან ჩვენი და ჩვენი მამათა-ბიძათ დიდ ნამსახურნი ქაცნი იყავით, ჩვენც ღმრთით მოგეწყალეთ და ციციშვილის ჩალთხუცის ბატონის ქაიხოსროს შეამდგომლობით ეს წყალობა გიყავით:

ჩვენგან არ[ა]დეს არ მოგეშალოს თქვენი მამული, დეს რისაც მჭონებელნი [იყოს]. მიწა-წყლითა, ვენახნი, მთა და ბარნი, ციხე-დიდი და არმაზი მისი შესავლითა, სატისოფელი; და ქალაქის მოურაობა გარიგებულობა როგორც გქონებოდესთ, იმავე წესითა მისის შესავლითა არ მოგეშალოს; ციხეგბდავი თავის

მამულითა, ზღვრი როგორც გქონებიათ საბოურაოდ, რაც გლეხნი გყვანან, იმითა ქართლით კახეთამდის ს[ა]ლთხუცობაუ[ფ]ლებულ თავი არც დაგაკლდეს პურისა და ღვინისა, არც ცხვრისა ძღვ[ე]ბისა, არც მალისა და ბალისა; არც რაც საბცხეთიდამ შემოსავალი გქონდეს, ოცისთავი არასფრისაგან არა დაგაკლდესთ რა.

და არც თქვენს მტერს და გიწმას კაცს თქვენი ბეზღობა და ურიგო გაუგონოთ, არც შეგიბეზღოთ; საბცხეთში რომელიც მამულისა და საბელის სარიგები საქმე იყოს, თქვენად უკითხავად არ გაეარიგოთ რა და უკითხავი არა ვქნათ რა.

თქვენ ერდგულნი ყმანი იყავით ჩვენნი და ჩვენ მწყალობელი ბატონი ვიქნებით თქვენი და კარგი და კარგის მდომნი.

ამისად გასათავებათ მოგიცემია ლმერთი და ყოველნი მისნი წმინდანი, არცავის გასალახავად და გასაცრცველადა [და] წასახდენად დაგანებო.

ხელრთვა. 

176. [წიგნი კვათახევის წინამძღვრობის გოძეგის შესახებ]

[XVII—XVIII სს. მიჯნა]

ქ. ჯვარის მტირთველო, ჩუენ მაგიარად დარბაზს ბატონს წალკელს ასე [მო]ახსენეთ:

მერმე, რადგან დადიანი ლევან და დედოფალი შუა ჩამოგსლოდათ წინამძღოლობისთვის, როდესაც სოფელმა თავისი ბეგარა მოიკითხოს და ქრისტე[ო]რე სა[ი]ნასშვილ მოკუნძდეს, ქვათახევის წინამძღრობა კიდეც გიბოძოთ და არც სხვა ვისმე მიგვცეთ, ეს ასე გაგვითათოთ.

ხელრთვა: გრიგოლ

177. [წყალობის წიგნი კათალიკოს იოანე დიასამიძისა ძალაქის მელიქ გიორგისადმი]

[1700 წ. 26 ივნისი]

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა ჩვენ, ბატონმა კათალიკოზმა დიასამიძემა პატრონმა იოანემ ესე უკუნისამდე ჟამთა გასათავებელი წყალობის წიგნი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ქალაქის მელიქს გიორგის და ძმისა

შენსა ბეჭედს, შვილთა და მომავალთა სახლისაა თქვენისთვის ასრე და ამა პირსა ზედა:

თქვენს სასახლის კარს წინ ერთის ოთახის ალაგი დაგვუნდეთ ნით და გიბოძეთ ხუთი ალდი სიგრძე და ორდაღნახევარი განი ყოველის კაცის უცილებელი და მოუდეველი.

[გ]ქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან სვეტისცხოველისა და ჯვმწიფის ერთგულობაშიგე. ესე ასე გაგითავდეს და არა მოგეშალოს, არა ჩვენგან და არა შემდგომთა კათალიკოზთაგან.

არის ამისი დამხდურნი და გამრიგენი: სალთხუცესი ამილბარ და სარდალი გიორგი და ზუცო ძაღლასშვილი და მიწობალიძე გ[ა]ბრიელ და [ა]ზანთ ასლამაზი და ოქუას შვილი ბეჭუა.

დაიწერა ესე წიგნი სალთხუცეს ამილბარის ქელითა თიბათვეს ოცდაექუსა, ქორონიკონს ტჰწ.

ზემეღი: კათალიკოზი
ძახწერი: ეს სიგელი მეფ[ე]ივზაშვილ ოპანესამ დავსხენ ჳ.

178. [წყალობის წიგნი იოსებ შრგანელისა რევაზ ჟოჟოლაძისადმი]

[1700 წ. 27 აგვისტო]

[ქ. საბელითა] არ[ს]ება დაუსაბა[მო]სა, დაუსრულებელისა, მოუგო[ნებელისა]...* განუზომელისა, გარეშემოუწერელისა ღმრთისა მამისა, ძისა და სულიწმიდისათა]; თავდებობითა და შუამდგომლობითა ყოველად წმინდისა უხრწ[ნე]ლისა, უმეტესა[დ ქე]ნოსნეულისა დედოფლისა ჩვენისა, ღმრთის[მშობელისა და მარა]დის ქალწულისა მარიამისათა; თავდებობითა და შუამდ[გ]ომელობითა[1] ცხოველსმყოფელისა პატი[ო]სნისა[2] ჯვარისათა, რომელსა ზედა გა-ნიბყრნ[ა] უხრწნელნი ჭელნი თჳსნი [ქრ]ისტემან ღმერთმან ჩვენმან ჯსნისათჳს ჩვენისა; წმინდათა ზეცისა ძალთა ანგელო[ზთა] და მთავარანგელოზთა მიგელ და გაბრიელისათა[3]; წმინდათა წინასწარმეტყველთა — მოსე, აარონ, ელისე, იერემია და სხვათა ყოველთა წინასწარმეტყუ[ე]ლთა; წმინდათა ოთხთა თავთა მახარებელთა — მათე, მარკოზ, ლუკა და იოანესითა; წმინდათა მდედელთ-მოძღვართა ბასილი გრიგოლი, ათანასე და კვირილესითა; წმინდათა ქალ-

[1] +და. [2] +პატიოსნისათა. [3] რიფველისათა.

* აქლია ვრთი-ორი სიტყვა.

წულთა მოწამეთა — ირინე, მარინე, ბარბარე, თეკლე, ეკატერინწ-
სითა და რ[ა]ოდენიცა წმინდანი და მოწამენი სათნო [ე]ყუნენ ქრისტესა
ლისა ჩვენისა იესოს ქრისტესისა;

ესე უკუნისამდე ვამთა და ხანთა გასათავ[ებე]ლი, მიზეზშე-
მოუღებელი, სამკუდრო და საბოლო, მტკიცე და უცვალებელი
წყალობისა წიგნი დავსწერეთ და გიბოძეთ ჩვენ
ერბნელ ეფისკოპოზმან გიორგისშვილმან პატ-
რონმან იოსებ შენ ქოქოლაძეს პაპუნას შვილს რე-
ვაზისა, შვილსა შენსა და მომავალსა სახლისა შენისასა.

ასე, რომე: თათბითაც პატრონისშვილის ლევანი-
საგანც შემოწირული იყავ და იმისი წიგნიცა [გ]ქონდა და ჩვენც
წყალობა გიყ[ა]ვით და გა[თარხნ]ეთ და გათავისუფლეთ, ვითაც
ობოლი და ოჯერი იყავ საყდრის წმინდის სტეფანისათვინ და და-
გაყ[ე]ნეთ, დაყ[ად]ევეთ წმინდის სტეფანისათვის წელწადში ნა-
ხევ[არ]ლიტრა სანთელი, ნახევარქსანი საკმელი, ყველიერში წმი-
დის სტეფანის დეკანო[ზ]ს ამაებს მოაბარებდეთ.

არა ჩვენი გამოსაღები არ გეთხოვებოდეს რა: არც პური, არც
ღვინო, არც ჯუნა, არც თესვა, არა [ლეწვ]ა(?), არა საბალახე, არა
კოდის პური, არას ჩვენს მოჯელეს შენთან ჯელი არა ჰქონდეს უ...*
შსი. ერთი დღე მკა, ერთი ბარვაში წამოხვიდოდეს; სხვა შენთან
ჯელი არავის რა ჰქონდეს.

არის ამის მოწამე თავათ ღმერთი და ქალთაგან მოწამე: დეკა-
ნოზი გიორგი ხუციანიძე, მღედელი იაკობ ქაქას-
შვილი, ზაქუტა ინდუასშვილი, ბერიკა კოკოზას-
შვილი, პაპუნა პაპუნასშვილი, ზუბიტა, კოდევ ქა-
ქასშვილი, გიორგი, სულა ერთობილნი საყდრის ყმანი უერ-
ბ[ნ]ისელნი, რუ[ი]სელნი მახახრასშვილი ბასილა, ხა-
რიშვილი თევდორა, მუჯირი შოშია.

ახლა ვინცა და რაჟამსცა ამ საყდრის მეპატრონემ ეფისკოპოზ-
მან ეს ჩვენგან მოცემული წიგნი და სი[გელ]ი შეგვიშალოს, თავადამც
რისხვის ღმერთი, მამა, ძე და სული წმინდა, ზეცისანი და ქვეყნისა,
ჯორციელი და უჯორცონი; შე-მცა-ე[დე]ბის კეთრი გეზისა, შიშ-
ველი იუდასი, ძრწოლა ქ[ა]ენისა, მეხთა ტეხილობა დიოსკორესი[1],
ცოცხლივ დათხმა დათან და აბირონისი და ნერამც სინანულით

---

[1] დიოსკორესი.

* იკლია სამი-ოთხი ასო.

ნუ იქნების ჭნა სულისა მისისა, [ჩ]ვენთა ცოდვათათვის განეგების ვის დღესა მას განკითხვისასა.

ბოლო დამამტკიცებელი ამისი ღმერთმან აკურთხოს.

მე, ბადდადელიძეს გიორგის მღუდელს დამიწერია და მოწამეცა ვარ.

ქორონიკონსა ტჰწ, [თ]ვესა აგ[ვისტ]ოსა ოცდაშვიდსა.

ხელითა: ურბნელი იოსებ

179. [წყალობის წიგნი კათალიკოზს იოანე დიასამიძისა ხუცია მაღალაძისადმი]

[1700 წ.]

ქ. საბელითა სახიერის არსება დაუსაბამოსა, დაუსრულებელისა მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა; მეოხებითა ყოვლად წმიდისა, უხრწნელისა, უფროსად კურთხეულისა, დედოფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა, მარადის ქალწულისა მარიამისითა; ძალითა ცხოველს-მყოფელისა პატიოსნისა ჯვარისათა, სვეტისა ცხოველისა, კუართისა საუფლოსა და მირონისა ღმერთ-მყოფელისათა;

ჩვენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხეულმან, ყოველისა საქართველოს მაკურთხებელმან, ძემან დიასამიძისამან, კათალიკოზმან პატრონმან იოვანემ, ეს უკუნისამდე ხანთა და ჟამთა გასათავებელი, მტკიცე და უცვალებელი წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ, ჩვენსა და საყდრისა ჩვენისა ერ[თ]გულად ნამსახურსა ყმასა მადალაძეს ხუციას, ძმასა შენსა ფიროანს, სალამს და ზაზას.

ასრე, რომე საბელოს წყალობას გეიაჭვნით, ვისმინეთ აჭა და მოხსენება თქვენი და ჩვენცა მოკითხული ექმნით და პატრონისშვილის კათალიკოზისაგან წიგნი გქონდათ და მამას თქვენის ბეგანისათვის აშენდის მოურაობა მიეცა. ახლა იმისი მოურაობა შენს განაყოფს იასეს ქონდა; იმისთვის თავის წილში ნარგები ვეძისკევის მოურაობა მიგვიცქმია და თქვენთვის ისრეე თქვენი სამკვიდრო აშენდის მოურაობა გეიბოძებია.

ესე ასრე გაგითავდეს და არა მოგეშალოს არა ჩვენგან და არა შეპატრონეთა ჯახტისა ჩვენისათა.

ვინაცა და რამანც კაცმან ეს მოშალოს, მასმცა რისხვეს დაესრულებელი მამა, ძე და სულ წმიდა; მასმცა ედების კვთრი გეზისი, შიშთვილი იუდასი, ძრწოლა კეენისი, მეხის-ტეხილობა დისკორესი,

დანთქმა დათან და აბირონისა; და ჩვენთამცა ცოდვათათვის იწყ[ ]
განაკითხვის.

ესრიგად ამისნი მოწამენი: ახალთხუცესი ამილჯვარ, დეკანოზი ათანასე, მგალობელი იორამ, მესტუმრე ქარციძე ზურაბ, მეღვინეთუხუცესი პეტრე, მიწობლიძე გაბრიელ და სრულად მცხეთელნი.

ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხოს.

დაიწერა წიგნი ესე ქორონიკონსა ტპწ.

ბეჭედი: იოვანე

კიდეზე:

ქ. ჩვენ, მეფეთ-მეფემა პატრონმა ერეკლემ ესე ბატონის კათალიკოზის ნაბოძები სამოურავო, ჩვენც დაგვიმტკიცებია.

ქორონიკონსა ტპწ.

ბეჭედი: მეფე ნაზარალიხან

180. [სამწყსოს განწესების წიგნი კათალიკოს ევდემოზ დიასამიძისა დომენტი თბილელისადმი]

[1701 წ. 1 აპრილი]

ქ. ჩვენ, ბატონს კათალიკოზს დიასამიძეს ევდემოზს თბილელ მიტროპოლიტი ორბელიშვილი დომენტი დაგველაპარაკა ქალაქურს სამწყსოზედა.

1.* ჩვენის ყმისა და ყმის ყმისა და ან რაც სადედოფლო საყმო ჩვენს დეკანოზს უჭირავს, მოკითხული ვქენით და უსაცილოდ ქალაქი სიონთა ღმრთისმშობლის სამწყსო ყოფილა, და დღესაც არის და სხვას არცა ეის ქელი გვაქვს და ვერცა ვინ შეეცილება.

2. სჯულიერის საქმით საკანონო თეთრულმა უნდა მოიკითხოს, რაც საქმე მოპკდეს მის დროს, თავისის მამამთავრით ლრამა მოკრიფოს.

3. რომელიც სხვამ მოქალაქემ ქრისტიანმა კაცმა მსახუროს, ისრე ამ ჩვენის დეკანოზის სამწყსომ მსახუროს.

4. ვინცა ვინ სამღვდელოდ გაიზარდოს, თბილელმა აკურთხოს. თუ ვისმე შეეცილოს, რიგიანის საქმით მიცვალებულისათვის საწირაოც მთართვან. და თუ საწირავი ვერ შეიძლონ, მიცვალებულზედ თბილელის მამამთავარი დაიბუედრონ; და სიონთა ღვრთისმშობელს ზეთი შ[ე]ართვან მისის შეძლებითა.

5. ვინც მოქალაქე ა[ქ]ლობარში დასახლდეს, თბილელის მამა-

---

* ხელსაწერი ტექსტი შეხლებად გაკვეთილი არ არის.

მთავარს კელა აღარა აქვს. და ვინც ახლობელი ქალაქში დასახლდეს, იმისი დრამა და საკანონო თბილელის მამამთავარმა მოიკითხოს.

6. ვინც ჩვენმა დეკანოზმა შეგირდი აკურთხოს, შეგირდმა ხარკი თორთს ჩარექს სანთელს სითხია ღმრთისმშობელს მიართმევდეს.

7. ჩვენი დეკანოზიცა და მისნი სამწყსონიცა ბატონის თბილელის მორჩილნი უნდა იყვნენ. სხვა რიგად ნურც ბატონი თბილელი და ნურც მისი კრებულნი ჩვენს დეკანოზ[ზ]ედ უბრალოდ შურსა და ურიგოს ნუ მოიდომებენ; და ნურც ამ[1] სამწყსოს მოუშლიან.

8. ამ ჩვენს დეკანოზსა სახლსა არც სთხოვებია და ნურც დღეის უკან სთხოვენ და ამის სახლს მაგათმა მღდელმა ეზუცოს.

ეს ძარე გაგვირიგებია და დაგვიმტკიცებია.

არიან ამისნი მოწამენი და გამრიგებელნი:

მ ა ღ ა ლ ა ძ ე წინამძღვარი ნ ი კ ო ლ ა ო ზ, რ ე ვ ე ი შ ვ ი ლ ი ბოვნელ ეფისკოპოზი ი ო ა ნ ე, ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ი ო ს ე ბ, ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ი შ ვ ი ლ ი ქ რ ი ს ტ ე ფ ო რ ე და სხვა მცხეთელნი აზნაურშვილები.

დაიწერა აპრილის ა. ქორონიკონს ტპთ.

თუ არა ჰქონდეს რა, არ შეეძლოს და დარიბი იყოს, ნურასა სთხოვენ საბრალოს კაცსა და ნურცა რას გარჯიან*.

ბეჭდი: ქ ა თ ა ლ ი კ ო ზი

181. [სითარხნის წიგნი ნიკიფორე წილკნელისა როსტომაშვილებისადმი]

[1701 წ. 16 მაისი]

ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა და არსება დაუსაბამოსათა, ჩუენ მუბრანის ბატონის შვილმა, ბატონმა წ ი ლ კ ნ ე ლ ე პ ი ს კ ო პ ო ზ მ ა მ ი ტ რ ა პ ო ლ ი ტ მ ა ნ ი კ ი ფ ო რ ე მ ესე წყალობის წიგნი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ რ ო ს ტ ო მ ა შ ვ ი ლ ე ბ ს რ ო ს ტ ო მ ს ო ქ რ ო ს, დ ა თ უ ნ ა ს, ი ვ ა ნ ე ს და თ ა მ ა ზ ს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე.

ასე, რომ მოხვედით და შეგოეხვეწენით ჩუენსა სასოსა და შეოხსა უფროსად კურთხეულსა შაბადის ქალწულსა მარიამს წილკნის ღმრთისმშობელსა; ასე, რომ მოვედით და შემოგეხვეწენით და

---

[1] ამ.

* ეს წინადადება მიწერილია სხვა ხელითა და მელნით.

თქუენის ბრძანებითა და მუხრან ბატონის ბრძანებითა ვქმნეთ ვით: ორი ლიტრა სანთელი, ნახევარი ჩარექა საკმელი ცხრა შაური, ორი დღე ბარვა, ორი დღე მცა, ორი დღე ქუნა.

თუ რომ ვინ იცის, რომ ქამთა ვითარებით დაეცნეთ და შინათ გუთანი ალარ გიბრუნებიეთ და რომ ან ორი ჯარი გყუანდესთ და ან ერთი, აქ წილკანს ჩამოიყვანეთ და აქაურს გუთანში მაბით.

და თუ არც ერთი გყუანდესთ. სხუა ფერად უყოდ არავინ გაგბადოსთ. ამის მეტი სხუა ბეგარა და არაფერი გამოსაღები არა გეთხოებოდესთ რა: არა დალა, არა კულუხი, არა კოდის პური, არა შენაწერის პური, არა ცხურის საბალახე, არა ღორის საბალახე, არა სამთო სალორე, არა სამეჯინიბო ბატკანი, არა სამზარეულო ბატკანი, არა საქონე თხა, არა საბაზიერო ქათამი, არა ძიძა, არა ტყუე, არა ქუმრიკობა, არა მეფულაყობა, არა ტიკი, არა ტომარა, არა ლეწუა, არა ზიდვა, არა საპირისთაო ცხუარი.

არაფრისთანა გამოსაღები არა გეთხოებოდესთ რა, რაც საყდრის ბეგარა არ არის სანთლისა და საკმლის[1] მეტი და ეს სანთელ-საკმელი ყველერის ალების ღამეს უნდა მოიტანოთ; არა სამაპინძლო არა საშობაო, არა საალუგომო, თუნიერ ერთის მსახურობის მეტი.

აწე ვინცა და რამიც კაცმა, დიდმან ანუ მცირემან, ამ საყდრის მევატრონემ ეპისკოპოზმან, ანუ მუხრანის ბატონმან, ანუ ერისთაემა, ანუ აზნაურთა, ანუ სხუამ ვინ გინდა ვინ ამა ჩუენის ბრძანების სიგლის მომლად ქელპყოს, ისიც შეიმლება თავისის სახისაგან და ჩუენთამცა ცოდეთათვის იგიც განიკითხვის დღესა მას დიდსა განკითხვისასა;

რისხავსმცა მამა, ძე და სული წმიდა და ყოველნი მისნი წმიდანი ზეცაურნი და ქვეყნიურნი, ანგელოზნი და მთავარანგელოზნი, ჯორკეელნი და უჯორკონი;

შე-მცა-ედების შიშთაელი იუდასი, ძირწოლა კაენისა, ზეხტეხილობა დიოსკორესი, შვიდი შურისძიება აბელისი და მას ზედამცა დაესრულება მეასდარვე ფსალმუნი და ნურათამცა სიონულითა ნუ იქნება ჰკსნა სულისა მისისა ჯოჯოხეთისაგან: ნურც წირვით, ნურც ლოცვით, ნურც გლახაკთ მიცემით, ნურც იერუსალიმს წასლვით.

დამამტკიცებელი ამისი ღმერთმან აკურთხოს. შემცუალებელი ამისი ღმერთმან შესცუალოს თავისის სახისაგან.

---

[1] საკლმის.

და თუ ან საყდრის გალავანს აკეთებდენ და თუ ან საყდარს ხატვითა ან სხუა მუშაობითა, ისიც იმუშაოთ სხუას წილკნელსა თარხანს კაცთანა.

ამწე არის ამისი მოწამე თავით ლმერთი და ყოველი მისნი წმიდანი; და კაცთაგან: იოსებ მღუდელ-მონაზონი, თომა მღუდელ-მონაზონი, ჯაბიაშვილი მღუდელ-მონაზონი, მათე წილკნის მოურავი და დეკანოზი გიორგი, თადელზაშვილი წილკნის მამასახლისი, ხიზანა ვარდანაშვილი, ჯადილა მეშარნე გიორგი, სულ ერთობრივ წილკანელნი.

დაიწერა პრძანება და სიგელი ესე მაისის ივ-სა, ქორონიკონს ტპთ. და მე, მასილაშვილს გიორგის დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი.

ვინცაეთნ ამ საყდრის მეპატრონე წილკნელი იყოს, ჩავიყუნოთ, ვასუათ, ვაჭამოთ.

ხელრთუა: წილკნელი მიტროპოლიტა ნიკიფორე.

ჩუენ, ლმრთისაგან სამართლად პატივცემულმა პატრონმა მუხრანისამა და პატრონმა ბატონმა ერეკლემ, ჩუენც ამ წესით გაგუთარხნეთ და დაეამტკიცეთ, რაგუარადაც წილკნელს გაეთარხნებინე.

აპრილის ჱ-სა ქორონიკონს ტჟ.

182. [შეწირულების წიგნი ნიკოლაოზ სამეგელისა უდაბნოს ნათლისმცემლისადმი]

[1701 წ.]

ქ. სახელითა სახიერისა, არსებაა დაუსაბამისა ნამისა, ძისა და წმიდისა სულისათა; მეოხებითა ყოვლად წმიდისა უფროსად კურთხეულისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისათა; ძლიერებითა ცხოველს მყოფელისა და პატიოსნისა ჯუარისათა, წმიდათა უსხეულოთა ზეცისა ძალთა ანგელოზთა და მთავარანგელოზთა; წმიდისა, დიდებულისა წინასწარმეტყუელისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისათა, წმიდათა ყოვლად ქებულთა და დიდებულთა მოციქულთათა, სანატრელთა წინასწარმეტყუელთა, დიდებულთა მღვდელთ-მოძღუართა, ღმერთ შემოსილთა შამათა, ახოვანთა მოწამეთა და ნეტართა ქალწულთათა

და ყოველთა წმიდათა ღმრთისათა ზეცისა და ქვეყნისათა, ჯორ-
ცაელთა და უჯორცოთათა;

ამათ წმიდათა მეოხებითა და შეწევნითა ესე წმიდაო სიგელი მოგართუით შენ, დიდებულსა და ყოვლად ქებულსა, ნაშობთა ყოველთა უზეშთაესსა, წინასწარმეტყველთა ბეჭედსა და ძველისა და ახლისა მჭვრელისა შეუვიდგომელისა მეგობარსა, სიძისა მის უკუდავისასა, ჭმასა სიტყვისასა, სანთელსა ნათლისასა და მთიებმისა მზისა მის სიმართლისასა; შენ, სანატრელსა და წმიდასა ნათლისმცემელსა ქრისტეს მეუფისასა იოვანეს ჩუენ, ფრიად უღირსმან სამგებელ მთავარეპისკოპოზმან, კაბეთის მდივან-მწიგნობართ-უხუცესის ძემან, ნიკოლაოზ;

ვინათგან მაქვნდა სურვილი, რათა ტაძრისა თქუენისა უდაბნოს გარესკნის მრავალმთისა მონასტერსა ძუელთა ჭელმწიფეთა და მორწმუნეთა მეფეთაგან შეწირული არა მოშლოდა რა, ამისთვის ვეძიებდეთ კაცთა მეცნიერთა და ძუელთა მახსოვართა, რომელთაცა ჭეშმარიტი ეწყდიან მამულნი და ადგარაკნი, რომელიც პირველ თქვენი შეწირულნი ყოფილიყუნეს, მათ მიერ გეესწავა და თქვენისა წმიდის მონასტრისათვის შემოგვეწირა და რაც ჩუენს ყმას ქონებიდა, ისეც დაგვედებინა.

და რაედენიცა ვპოვეთ და ანუ გვაუწყა კაცმა, ისევ შემოგწირეთ და ისრეც უწაკლულოდ მოგახსენეთ და თქვენს მონასტრის კრებულთ წმიდათ მამათ დაგვნებეთ და ჩუენ ჭელი ავიღეთ. და ვისაც ჩუენის საყდრის ყმას ეჭირა, მათაც ჭელი ავაღებინეთ: ოთხთავ ბედიანთ ქონდა, დადვეს და ჭელი აიღეს; ღ თ ი ს ი ვ ა ს შ ვ ი ლ ს ქონდა და ჭელი აიღო; ხ უ ტ ი ა შ ვ ი ლ ს ა ქონდა ეენაკის ბოლო როსებაულის ნაქონი, იმაზედაც ჭელი ავაღებინეთ; ჯ ა რ ი ა შ ვ ი ლ მ ა ნ ფიცი დაიდვა; და თუ ვერ დაიფიცა, იმანც უნდა ჭელი აიღოს საცილებელს მიწაზედა.

და ამას გარეთ სხვა, რომელიც ჩუენის ყმისაგან ეყიდა თქვენს წინამძღვარსა, არცა ის მოუშალეთ. გ ო დ ე რ ძ ა ს შ ვ ი ლ ს რომ ბეგს დაბლა მიწა მოეყიდა, საგანაყოფო იყო, განაყოფებისათეის პასუხი მოვაცემინეთ, ის მიწაც თქვენის მონასტრის წინამძღვარს დაევანებეთ.

ამაზედ ვყავთ ესე, რომე თქვენი მონასტერი ჩვენი ჭელთდებული იყო და თქვენი წმიდა კრებული ჩუენის საყდრისა ჯეროვნად მოსრჩილნი იყუნენ.

ვწე შეიწირე შენ უფროსად დიდებულო ნათლისმცემელო იოვანე, მცირე ესე შესაწირავი და ძალისაებრი გულს მოდგინება

ჩუენ უღირსთა და მდაბალ და მეოხ გვეყოფ აქაც და მერმეს-
მას საუკუნოსაცა.

ვინცა ესე ჩუენგან შეწირულობა მოუშალოს თქუენს წმიდას მონასტერსა: დიდმან ანუ მცირემან, ეპისკოპოზმან ანუ წინამძღვარმან, ანუ სხვამან ვინმე სამღდელომან კრებულთაგანმან, დიდმან ანუ მცირემან, მთავარმან ანუ გლეხმან, და ყოველმან ადამის მონათესავემან, რისხავსმცა დაუსაბამო ღმერთი მამა ძე და სული წმიდა, ყოველნი მისნი წმიდანი ჯორეველნი და უჯოროკონი. და შენ უმეტესად სანატრელო ნათლისმცემელო ქრისტესო, იძიე შური ულხინებელი და მოუნდური და მოსპოლვით მოაოჯრე სამკვდრებელი მისი, რომელიცა მკადრე იქმნეს შლად ამისდა.

ხოლო დამჭკნეცებელნი და თანა შემწენი ამისნი აკურთხენ და მშვიდობითა ზეგარდამოთა ალავსენ.

დაიწერა სიგელი ესე ქორონიკონსა ტპთ.

ამა ჩუენგან შეწირულსა და დადებულს მამულს გარეთ რაც ან სახლთუხუცესის შვილს ყმებსა ან სუფრაჯის ყმასა და ან დურმიშხანის ყმას ბეგას შვილს ეჭირა, იმათიც მოკითხელი ქნეს და თქუენის წმიდის მონასტრის კრებულს დაანებეს.

ხელთაწერი: საშენებელი ნიკოლოზ

183. [პირობის წიგნი ნიკოლოზ ალავერდელისა პართენ ხარჭაშნელისადმი]

[1701 წ.(?)]

ქ. ესე წიგნი მოგართვით ჩუენ ჩოლაყაშვილმან ამბა ალავერდელმან ნიკოლოზ თქუენ, ბარჭაშნელ მთავარეპისკოპოზს მოძღვართ-მოძღვარს ბატონს პართენს.

ასე, რომე: ჩუენმა ჯელმწიფემან ზეფე ერეკლემ თავის მამა-პაპათ ნაწილი მურასა ოქროთ მოქედილი, თვალით და მარგალიტით შამკობილი ხატები წმიდას გიორგის ალავერდის ჯელმწიფეთ საფლავზედ დაასვენა და ჩუენ მოგვაბარა.

ქამთა ვითარებისაგან ხახულს ღმრთისმშობლის ტაძარი უშენოდ იყო, შიშს გულისათვის ხახულისა ღმრთისმშობელი თავის ტაძარში ვერ დაასვენეს და წმიდას გიორგის ალავერდს დაასვენეს და ჩვენ მოგვაბარეს..

როდეს ღმერთმან და თვით ხსნულის ღმრთისმშობელმა მ[ა]ფეს ერეკლეს და მის შვილებს კახეთს მათი პატრონობა აღირჩოს[1] და იქ[ს]ას ხახულისა ღმრთისმშობელს დასასვენებლად იქ ალარ ეშინოდეს, ვერც საყდრიონთ დაეჭიროთ.

არიან ამისნი მოწამენი: მგალობლის შვილი მღვდელ-მთავარი იოსებ და სუსანი შვილი სუსან და სულ ერთობ საყდრის ყმანი.

ბეჭდი: ნიკოლოზ.

184. [ბანჩინება საეკლესიო კრებისა სამოწანასტრო წესისა და რიგის თაობაზე]

[1702 წ.]

ქ. სახელითა სახეირისა, არსებაა დაუბადებელისა ღმრთისა მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა, შეწევნითა და მადლითა ყოველად უბიწოსა უმეტესად ქებათხეულისა, უხრწნელისა ქალწულისა მარიამისათა, შეწევნითა და ძალითა ცხოველს მყოფელისა ჯვარისათა, ძალითა და მადლისათა წმიდათა ზეცისა ძალთა ანგელოზთა და მთავარ ანგელოზთა, მადლითა და შეწევნითა წმინდათა ღდაბნის მაშვენებელთა მამათა, მადლითა და შეწევნითა სვეტის ცხოველისა კვართისა საფეხლოსა მირონისა წმინდისათა, მადლითა და თანამდგომლობითა წმინდისა გიორგი ალავერდისათა და შეწევნითა მეათცამეტისა მოციქულისა ნინოსითა, მადლითა მამა დავით გარეჯელისათა და წმინდისა დოდოსითა;

ჩვენ, მეუფისა მიერ სამოციქულოსა კათოლიკე ეკლესიასა ზედან დადგინებულმან პატრონმან კათალიკოზმან ევდემოზ, ამბა ალავერდელმან პატრონმან ნიკოლოზ, მთავარეფისკოპოზმან ქრისტეფორემ, ნინოწმინდელმან იოსებ, სელა ქართველთა და კახთ ეფისკოპოზთა, წინამძღვართა, მღდელთა და სამღდელოთ დასთა ესე წიგნი, პირი და ფიცი დავსდევით და შეკრება განხსნის ბძანება, ვითარცა ბძანებს პირი ღმრთისა: «რომელი განხსნათ, ხსნილ იყოს და რომელი შეკრათ, კრულ იყოს»*.

---

[1] აღირსა.

* მათე, 18,8

ჩვენ ამა კრებისა ბძანებითა უსე წიგნი, პირი და ბძანება დავწერეთ დავით, ასე რომე:

1.* რომელიც ბერი დავით-გარეჯას, თუ ნათლისმცემელს, თუ დიდოს, თუ ბერთუბანს მივიდეს მეტანიად და დასადგომად და ალთქმა ყოს მუნ მონასტერსა შინა სამყოფად, და მერმე კუალად უკუნ-იქცეს და დაუტეოს თვისი მეტანია მონასტერი და სხვად მონასტრად მივიდეს, ჩვენად უშენდობოდ და ერის გამოურჩეველად, დაუპატიჟებლად, თავის ნებით და წადილით და გულისწყრომით, ამბარტავნობით, დაუთმინობით გამოვარდეს, ან სიტყუით ვისითმე მოლორდეს და წავიდეს, წყეულ იყოს და შეჩვენებულ ღმრთისა და ყოველთ მისთა წმინდათაგან, შვიდის კრებისაგან და ოთხის პატრიაქისაგან, სვეტის ცხოველისაგან და წმინდის გიორგისა, წმინდის ნინოსა და ამ წმინდის მამა დავითისა და დიდოსაგან.

2. რომელიც შევიდეს, მეტანია ქნას დასადგომად, მამასა და კრებულს პირი და ალთქმა დაუდვას და ალარ ალასრულოს ეს თავისი ალნათქვამი[1], წყეული იყოს და შეჩვენებული.

3. კუალად, რომელსმანც ეპისკოპოსის შუამბით და ქიშპობით ერთის მონასტრიდამ მეორეში სადგომად ბერი მიიყუანოს ან თვითან მივიდეს მამასა და კრებულისაგან უშენდობოდ, ისიმც წყეული და შეჩვენებული იყოს.

4. თუ მუჯეთაგან, კათალიკოზთაგან, ეფისკოპოზთა და დარბაზის ერთაგან გამორჩევით გამოვიდეს ეფისკოპოზად ანუ წინამძღურად ანუ რომელსამე წესსა ზედა მდგომლად, ამას შუდობა და მადლი ეწინდეს.

5. რომელმაც თავადმა, გინა ეფისკოპოზმან ანუ დიდმან ანუ მცირემან იქნეს მამისა კრებისა შეუნდობარი და გამოვარდნილი და ამ წყევას ქვეშ დანარჩენებული ბერი მიუშვას და შეიწყნაროს, ისიც იმისი მონაწილე და თანაზიარი იყოს.

ეს ასე გაეარიგეთ და დაეამტკიცეთ.

6. ვინც ამას ურჩ ექმნას, წყევასა და შეჩვენებასა ქვეშე იყოს და დათან და აბირონთანა და ოტდას მონაწილე და მოზიარემც იქმნების, წყეულ იყოს სულითა და ჴორცითა აქა და მერმესა მას დიდსა დღესა, ამინ. ამინ. ამინ.

ამისი მოწამე და დამამტკიცებელნი: ბოდბელი ზაქარია, თბილელი დომენტი, მანგლელი იოსებ, სამებელი ნიკოლოზ, მროველი, ჰერეთელი, წილკნელი,

---

[1] აღანთქვამი.

* ხელნაწერში ტექსტი წეხლებად დაყოფილი არ არის.

ხარჭაშნელი პართენი, დმანელი ელისე, ბოგვინელი ივანე, წალკელი ნიკოლოზ, მადალაძე არქანელი მანდრიტი ნიკოლოზ, სულა ქართველნი და კახნი პეტრწმიდელი კოპოზნი.

ვინცა ამ გაროგებისა და ბძანების დამამტკიცებელი იყოს, მადლი და კურთხევა ჰქონდეს.

ვინცა ვინ ურჩ ექმნას, წყევასამცა ქვეშე არს ეწ და მარადის უკუნით უკუნისამდის, ამინ.

ქორონიკონს ტჟ.

ბეჭედი: კათალიკოზი ევდემოზ

ვამტკიცებ ბრძანებას ამას კათალიკოზის ევდემოსისასა ამბა ალავერდელი.

ჩელთა: ალავერდელი ნიკოლოზ

ვამტკიცებ ნინოწმიდელი იოსებ.

ბეჭედი: მონა ღთისა წინოწმიდელი იოსებ

ვამტკიცებ ბოდბელი მიტროპოლიტი ზაქარია ამ წიგნს.

ბეჭედი: ბოდბელი ზაქარია

ქ. ბატონი მთავარეპისკოპოზი ვამტკიცებ ამ სიგელს.

ბეჭედი: მთავარეპისკოპოსი ქრისტეფორე

185. [ჯამაგირის წიგნი კათალიკოზ ევდემოზ დიასამიძისა დავით-გარეჯისადმი]

[1702 წ.]

ქ. ჩვენ, ქართლისა, კახეთისა და სამცხე-საათაბაგოს მაკურთხეველმან კათალიკოზმან დიასამ[იძემ] ბატონმა ევდემოზ მოვახსენე და შემოვწირე წმიდას დავითის საფლავსა და მას შიგა მდგომელს წინამძღვარსა და მღუდელ-მოქმოზნებსა ასრე, რომე მიძახჩვენს კათალიკოზს იოვანეს თქვენთვის ჯამაგირი გაეჩინათ — პური, ღვინო, სანთელი, ზეთი და შული*.

ახლა ჩვენად სადღეგრძელოდ და სასულიეროდ ჩვენც ასრე მოგვიხსენებია და დაგვიმტკიცებია, რომე ეს ჩვენგან გაჩენილი ჯაჭმაგირი არას წელიწადს არ მოგეშალოს და უკლებლად მოგვართვიდეს, როგორათაც ამ ჩვენგან განაჩენს წიგნში გეწეროსთ.

ქორონიკონსა ტჟ.

---

* იხ. საბუთი № 152.

როგორათაც ბაძის ჩვენს გაჩენილში ეწეროს, იმ წესით შეიქმნა თმეოდეს: პური კოდი 20, ღვინო საბალნე 3, სანთელი ლიტრა 1, ზეთი ლიტრა 5, შეღლო ჩარექი 1. ყველა უკლებლად აღსრულდეს თმეოდეს.

მეჭედი: კათალიკოზ ევდემოზ

186. [ჯამაგირის წიგნი ევდემოზ კათალიკოზისა უდაბნოს ნათლისმცემლისადმი]

[1702 წ.]

ქ. ჩუენ, ქართლისა, კახეთისა, სამცხე-საათაბაგოს მაყურთხეველმან დიასამიძემ პატრონმა ევდემოზ გაუჩინეთ ამოსაღლად უდაბნოს ნათლისმცემელსა ჩუენს მოძღვარს ხარიტონს და მას შიგან მყოფსთ მღდელ-მონოზნებსა და ბერებსა: პური კოდი 20, ღვინო საბალნე 3, სანთელი ლიტრა 1, ზეთი ლიტრა 3, შეღლო ჩარექი 1.

პური და ღვინო საგარეჯოდამ მოგეურთმეოდეს ჩვენის მოქმედის ჭელითა გაურჯელად. ეს ჩვენგან გაჩენილი ჯამაგირი არას წელიწადს არ დაგაკლოთ სულისა ჩვენისა სოხად და ცოდვათა ჩუენთა შესანდობლად.

დაიწერა წიგნი ესე ჭელითა იშხნელის ელისესითა ქორონიკონს ტჟ.

მეჭედე: კათალიკოზი ევდემოზ

187. [წყალობის წიგნი ნიკოლოზ მანგლელისა ფარემუზ ჯავახიშვილისადმი]

[1702 წ.]

ქ. ესე წიგნი მოგეც მე, მანგლელ ეპისკოპოზმან, თქვენმან დისწულმან, გოსტაშაბის შვილმან, ბატონმან ნიკოლაოზ, თქვენ, ბიძაჩემს ჯავახიშვილს, ბატონს ფარემოზს და შვილს შუნს არონს და ავთანდილს, ასე და ამა პირსა ზედა, რომე:

ამას წინათ ერეკლე მეფეს თქვენთვის უბრალოდ თქვენი მეშვილდე ყმა ზაქარიაშვილი ნიკოლოზა, სეხნია და შიო წ[ა]ერთმევ[ი]ნა და მანგლისისა ღმრთისმშობლისათვ[ი]ს შეეწირა.

მერმე შაყულიბან რომ მობრუნდა, რომელიც ამგვარი ქრისტიანული საქმეები იყო, ყველა ისევ მოშალეს და ჩვენც საქართველოს გამგებელის ვახტანგის ბრძანებით და დავით ერისთავის და მთავარეპისკოპოსის ნიკოლოზის შეპირებით თქვენი მემკვიდრე ყმა ხარაზისშვილი ისევ თქვენვე დაგიდევით; და თქვენც იმისად სამუქფოთ აბანოურში გაგელაშვილის ნაქონი ნაგებაობა აგეგმელისაგენ, ჩვენის ზვრის გვერდზე, მანგლისასა ღმრთისმშობელს შემოსწირეთ და სოგლით დაუშტაიცეთ.

შეგიწირეს წმიდამან ღმრთისმშობელმან კნინი ეგე შესაწირავი და მეოხ ქუეყოსთ დღესა მას საშინელსა მეორედ მოსვლისასა.

დღეს და დღეის უკან ხარაზისშვილს საქმეზე არას დიდსა და არას მცირეს კაცს და არც მანგლელს და იქ მჯდომს ეპისკოპოს[ს] ამაზე ჭელი არავის ქონდეა.

და თუ წიგნი რამ გაამოჩნდეს შეწირულობისა, წიგნითა ამით გაცუდებულ იქმნას.

ქორონიკონსა ტჟ.

დაიწერა წიგნი ესე ჭელითა კათალიკოზის მდივან-მწიგნობარმგალობელ მადალაძის სოლომონისათა.

ჩელობა: მანგლელი ნიკოლოზ

188. [ყალობის წიგნი დომენტი თბილელისა გიორგი მხატვრისადმი]

[1703 წ. 17 ივნისი]

ქ. ნებითა ღმრთისათა და შეწევნითა სიონთა ღმრთისმშობელისათა ჩვენ, დიდის ორბელიშვილმა თბილელ მიტროპოლიტმან პატრონმან დომენტი ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ შენ, ჩვენის საყდრის ყმას მხატვარს გიორგის, შვილსა შენსა მიქაელს, შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა.

ასრე, როგე წყალობას დაგვეპყე. ვისმინეთ მოხსენება შენი და გიბოძეთ ჩვენს ქარვასლას უკან ქულბაქები: მირმანაშვილის ზურაბას ქულბაქს უკან რასაც ჩაიტანს ჩვენის ქარვასლის კედელი იქიმდი და წინ წყლის გზამდი, სრულ ჭელშეუვალად და ყოვლის კაცის უცილებლად შენთვის და შვილთა შენთა თვის გაიბოძებია.

გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან საყდრისა და ჩვენს ერს გულად სამსახურსა შინა; ალარც მოეშალოს დღეის უკან ეს წყალობა არც ჩუენგან და არც შემდგომად ჩვენსა სხვათა მეპატრონეთაგან, ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხნეს და წმიდამან ღმრთისმშობელმან.

დაიწერა კელთა დეკანოზის იესესითა ქორონიკონსა ტჟა, თიბათვის იზ.

ხელთაგი: დომენტი

მე, გიორგი მხატვრის შვილისშვილის შვილს გიორგის მომეპარა ამ ზემოწერილისა ფასი თუმანი ოცი. ბეჭედი არა მჭონდა და ეს ჩემი ხელია ✝

ქ. ჩვენ, ყოველად სამღვდელომან ტფილელ მიტროპოლიტმან გერმანემ ეს ქაღალბაქის ადგილები ჩვენვე ვიყიდეთ გიორგი მხატვრის შვილისშვილის გიორგი მხატვრისაგან და ეკლესიისათვსეე სახასოდ დავდევით. ოცი თუმანი მიეცა.

იანვარს ა, წელსა ჩლბდ, ქორონიკონს უობბ.

ბიჭედ: გერმანე

ქ. ეს ასე აღსრულდა ამ ადგილის დაჭერა ამ ფასად.

ბეჭედ: იოანე

159. [წყალობის წიგნი პავლე ტფილელისა წინამძღვარ ხარიტონისადმი]

[1704 წ. 3 დეკემბერი]

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა და მეოხებითა წმინდისა სიონთა ღმრთისმშობელისათა მე, ტფილელ მიტროპოლიტმან უფალმან პავლემ და კრებულთა ჩვენთა ესე წიგნი და სიგელი მოგეცით თქვენ, გარეჯის მრავალმთის ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარს ბატონს ხარიტონს და მამა სვიმონს, მამა ბესარიონს, მამა გაბრიელს, ნიკოლოზს, იოვანეს და სულხან ყოფილს საბა წონიაზონს.

ასრე და ამა პირსა ზედან, რომე მეფემ პატრონმან ლევან და შვილმან მისმან პატრონმან ვახტანგ, იასემ, სვიმონ და თეიმურაზ საბატონიშვილოს სასახლიდამ ადგილი მოგიჭრეს და თქვენთვის სამყოფად გიბოძე რომე, რომელიც თქვენი მონაზონი ან მღრდელი აქ ქალაქს ჩამოვიდეს, მათთვის სადგომად განუჩინეს და წმინდას ნათლისმცემელს შესწირეს.

იქით ბატონიშვილებისაკენ აღარც გზა გქონდათ და არც მარ-
თებული იყო თქვენი იქით ელა. ჩვენ შემოგვეხვეწნეთ და ჭირ-
ტერს იაჭვით და მართებულად ემსახურენით; ჩვენკენ კარის-
ღება ითხოეთ; ჩვენც რომ გავსინჯეთ, სარგებლის მეტი ზიანი არა
იყო რა და მოგეცით კარი და გზა: ფასიანა შვილის სახლში
რომ ცხენი და ჯორი შეიყვანებოდეს, თქვენიდამ ფასიანშვილის
სახლს გამოიელიდეს, ვიწრო ფოლორცში შემოიაძდეს, აქათ ჩვენს
მხარს იარებოდეთ.

რამანც ტფილელმან ეს მოგიშალოსთ, ნათლისმცემელს მან
სიტყვა უგოს მეორედ მოსლვასა.

არის ამისი მოწამე: ქალაქის მოურავი ივთიანდილ
ბეჭედი, მდივანი ოთარ საბრალო ბეჭედი, მელიქი გიორგი
ბეჭედი, შამახახლისი ფარსადან ბეჭედი, ნაცვალი ქაი-
ხოსრო, დეკანოზი იასე ბეჭედი, კანდელაკი გრიგოლ
ბეჭედი, საყდრის ყმა მოსე ბეჭედი, მხატვარი გიორგი ბეჭედი.

მე, კელმწიფის კარის მდივან-მწიგნობარს თუმანიშვილს
გივს დამიწერია და მოწამეცა ვარ. ქორონიკონსა **ტჟბ**, ქრისტი-
შობის **გ**.

ბეჭედი ტფილელ მიტროპოლიტის პაულესი.

190. [უდაბნოს წინამძღვართა წიგნი ერეკლე I-სადმი ჭამისწირვის განწესების შესახებ]

[1704 წ.]

ქ. ნებითა და მეწევნითა ღმრთისაითა ესე წიგნი მოგართვით
ჩვენ: დავით-გარეჯის წინამძღვარმან თოფრემ,
დოდოს წინამძღვარმან ზაქარიამ და ნათლის-
მცემლის წინამძღვარმან ხარიტონ თქვენ, კახეთის
კელმწიფის შვილს და თვით კელმწიფეს მეფეთ-მეფეს პატ-
რონს ერეკლეს და დედოფალთ-დედოფალს პატრონს ანნას
და ძეთა და ასულთა თქვენთა ყოველთაევე ასე და ამა პირსა ზე-
დან, რომე;

პირველითგანვე მამა პაპათა თქვენთაგან საგარეჯოს გამოსავა-
ლი ამ საქს უდაბნოს შემოწირული ყოფილიყო. ახლა თქვენად სამ-
ლოცველოდ და ძეთა და ასულთა თქვენთა წარსამართებლად[1] ისევ
საგარეჯოს გამოსავალი ამავ უდაბნოებს შემოსწირეთ.

---

[1] წირსამართლებლად.

ჩვენც ეს წიგნი მოგვართმევია: რადგან ეს თქვენი წყალობა დაგვემართა, თუ ეს არ მოგვეშალოს, სანამდის ეს უდაბნოება ჩვენია ჩვენცა ჩვენის კრებულით ყოველს ყველიერის ხუთშაბათს ამქვეყნიური თვის და დედოფლისათვის ვსწირევდეთ და ჯორკველის კვირას თქვენის შვილებისათვის ვსწირევდეთ. ვინცა ვინ ჩვენი კრებული ამ დღეებს აქ დაგვესწრას, აქ სწირონ, და ვინც გარეთ დახვდეს, — აქ ყონ მოკსენება და წირვა. ამას გარდასადგომად მარად დღე მოკსენება თქვენი არ დავაკლოთ.

ძისად გასათავებელად მოგვიცემია ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანი.

ქორონიკონსა ტჟბ.

იხილეს: 1. მღვდელთმთავარეპისკოპოსმა ანტონ ჭელიძემ
2. ხარიტონ

ხელითა: ზაქარია

191. [მეფიროულების წიგნი კათალიკოზს გრიგოლ ლორთქიფანიძისა ბიჭვინტისადმი]

[1705 წ. 25 ივნისი]

ეჰა ასული შეენირო, იოვაკიმის ნაყოფო, სიტკბოებით აღსავსეო, ანას მორჩო, რტო გარდაფენილო, სოლომონის ვენახო, რქა მეწამულო, დავითის ყვავილო, დამბადებულთა სულნელმყოფელო, იესეს კვერთხო, დიდებით აღყვავებულო, თლად შრომშენო, დამბადებულთა სამკუთხო, იაკობის კიბეო ზეცად მიმართ აღმართებაო, ისაკის ეარდო უბიწოებით აღყვავებულო, აბრამის კვირტო დიდებით აღმოფრჩქვნილო, სემის დასაბამო, ნათესავთა მშვიდობაო, ნოეს სულისა სამოსელო დაუღალველო, ევას ნათელო და მწუხარებისა უჩინო მყოფელო, ადამის დიდებაო, სამოთხეო პირმეტყველო, ღმრთისა მაძისა მხოლოსა წინათვე გამორჩეულო და ძისა მხოლოსა პირველ საეკლესიეთა შაშისაგან შობილსა დედად ქალწულებით უთესლოდ მშობელად განწესებულო და სულისა წმინდისა ტაძარო, რომელმან ერთი სამებისაგანი შეიწყნარე და უალრეს ყოველთა ბუნებათა შენ ძე მხოლოდ შობილი ულმობელად და უხრწნელად.

შენ გარდამოიყუანე ღმერთი ქვეყანად და აღიყუანე ადამ ზეცად; შენ აღამაღლე ბუნება ჩვენი დაცემული და დასცი საყდართა

ღმრთაებისათა, რაჟამს ავასხენ ღმერთსა ბუნება კაცობრივი და შეჰ-
ღმერთი და კაცი ორითა ბუნებითა;

შენ მშვიდობა ყავ შორის ქვეყანისა და ცათა სისხლითა ჯვრისა შენისათა; შენ დახსენ მტერობა ივი პირველი, რომელი იყო შორის ანგელოზთა და კაცთა, რაჟამს იქმენ ცა ქვეყანასა ზედან და მიწისა ზეცათა შინა, ნათესავ მოდგამობით პირუკუნველად შემზადებულო;

შენ ხარ ტაძარი დიდებული, რომელშან ღმრთისა ივი მანანა დაიტია და ყოველნი ხილულნი და უხილავნი დიდებითა აღავსენ უფროს ბუნებათა მხედველითა;

შენ ხარ სასანთლე ივი ოქროსა, რომელსა ზედან ვიხილეთ ნათელი დაუსრულებელი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა მოშაკალთა სოფლად და თვით მხოლო ჰგიე მოუკლებელად და შეუცვალებელად ტაძარსა მაგას სიწმინდისასა, რომელ პირველ შეგმზადა სოლომონ დამტევნელი დაუტევნელისა და ძველ ოდესმე მოსესგან მოგასწავა კარვად სამეუფოდ.

ყოველად წმინდაო, ცათა დაუტევნელისა დამტევნელო ბიჭვინტისა ღმრთისმშობელო, ჩვენ ცვა-ფარვათა შენთა მიწდობილმან ჩრდილოსა და აფხაზეთისა კათალიკოზმან პატრონმან გრიგოლ კიგუელსმოდგინეთ და შემოგწირეთ ჯიქთუბანს კომლი კაცი ოთხი: მღდელი რაზმაძე გიორგი და მისი შვილები; შენგელია ხუხუა და მისი შვილი გაბრიელ; ვახანია ვაგენდია და მისი შვილი ბაბიელი; მეოთხედ ვერულაშვილი შუშუა და მისი შვილები; მეხუთე ბარტახი, — ესენი მათის ცოლშვილით, ჭურმარნითა, ტყითა, ველითა, სასაფლაოთა, ეკლესიის კარითა, წყლითა, საწისქვილოთა, მათის ყოველის ფერითა, საძებრითა და უძებრითა, დღეს რისაც მჭონებელნი არიან მათის ყოველისა ფერითა. ახე და ამა პირსა ზედან, რომე:

ჩუენი გაზრდილი მგალობელი ლაზარეს შვილის პეტრეს შვილი გიორგი თანდარუხუს კახიანის შვილმან უბრალოდ მოგვიკლა და მის სისხლსა და ჩვენს სატანჯოს მაგიერ ეს ოთხი გლეხი გამოვართვით და თქვენთვის შემოგვიწირავს.

აწ ამ გლეხებს ოთხ-ოთხი ღორი ემართათ — ერთი დიდი და სამი მოზროანი. აწე ის სამი საკლავი ამოგვიწერია და მისი სანთელი დაგვიც თვითო შამახური ჩვენის ცოდვილის სულის საოხად. ის ერთი უფროსი საკლავი და სხვა ღომისა და ღვინის ბეგარა რაც ემარხია, ისევ მართებსთ.

აწე რამანცა და ვინ ძემან კაცისამან ამისად შლად და გამო-

წირვად ხელყოს ან ჩვენმა შემდგომ[მ]ა კათალიკოზმა ან ხელმწიფემან, ან დედოფალმან, ან თავადმან, ან აზნაურისშვილმან, ანუ მსახურმან, ანუ გლეხმან, მასამც რისხვას თავად დაესაბამვიყოფ[ე]ს მპყრობელი ღმერთი და ძე შენი მხოლოდ შობილი უფალი ჩვენი იესო ქრისტე და ყოველნი ანგელოზნი მისნი, წინასწარმეტყველნი და მოწამენი; და ყოველთა წმინდათა ღმრთისათა ძალი რისხვით აღიძერის მის ზედან.

მასამც ედების ძრწოლა კაენისა, შიშთევილი იქედასი, დანთქმა დათან და აბირონისი, დაჭკვეა სოდომიერი; ყოფა-ქცევა მისი სირცხვილითამც იქმნების, სიგრძენი დღეთა მისთანი მცირედ; და განსა გებელი მისი სხვა[მან] მიიღენ; იყვნენ ნაშობნი მისნი მოსასვრელ უფლისა მიერ; სატანჯველნი, რომელნი განმზადებულ არს ეშმაკისა და მოყუარეთა მისთა[თ]ვის, ყოველნივე მას ზედამც დაესრულების.

ხოლო შემწენი და დამამტკიცებელნი ამ წიგნისანი მშვიდობით და კურთხევითმცა არიან აწდა უკუნისამდე. ამინ, ამინ, ამინ.

დაიწერა წიგნი ესე ქორონიკონს **ტჟგ.** თვესა ივნისსა ოცდახუთსა, დღესა ორშაბათსა, ჟამსა მეექ[უ]სესა დღისასა.

192. [სითარხნის წიგნი დიმენტი კათალიკოზისა მარქარას შვილებისადმი]

[1705 წ. 3 დეკემბერი]

ქ. დიდება ღმერთსა ყოვლისა შემძლებელსა, ყოველთა მარ[ჯ]ლმორწმუნეთა, მართლმადიდებელთა ქრისტიანეთა, მღდელთა და მონაზონთა და ყოველთა სალმრთოთა დათა, ყოვლად სამღდელოთა მიტროპოლიტთა და ღმრთის მოყუარეთა ეფისკოპოზთა, და წმიდასა და ყოველად პატიოსანსა მუცუესა, სანატრელსა უზეშთაესთა!

შემდგომად ჩვენ შდგომად მჯდომარეუნო კათალიკოზ-პატრიაქნო, ვილოცავ და ვევედრები უფალსა ჩემსა იესოს ქრისტესა, რათა მოიწიოს მადლი და კურთხევა მისი და ყოველად წმიდისა სულისა და მფარველ და შეწე იყოს თქუენ ყოველთა მართლმორწმუნეთა ქრისტიანეთა ყოველად უხრწნელი დედოფალი ღმრთისმშობელი მარიამ ქალწული უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

აწე ეს ბაძის ჩემსა დიდისა უფალისა და მეუფისა კურთხეულისა, მიცვალებულის, სანატრელისა, უზეშთაესისა, წმიდის კათალიკოზ-პატრიაქისა დიმენტის ღმერთმან შეუნდოს! წინწყაროს მარქარა ეყიდა და ქალაქს დაესახლე-

ბინა, და კარგა ქელოსანი შეილები გამოსულიდა: დურგალი ერთი გიორგი და დურგალი მეორე ოსეპა, და ერთი მჭედელი ავეტიზა, და ერთი ჭონი ასლამაზა.

ესენი ეს ზოხელენი ვათარხნე, რომე ჩვენს საქმეს ესენი უჭელფასოდ გააკეთებდენ, და როსაც გავაკეთებინებდეთ. რისაცა ქელოსნები იყოს, დურგალმა დურგლობითა, ჭონმა ჭონობითა და მჭედელმან მჭედლობითა, რაც საჩეენო გავაკეთებინოთ, ქელფასი არ წოგეცემოდეს; და სხვარიგად გვითარხნებიხართ.

სვეტისცხოველსა როგორც გედევსთ, სანთელი თუ სხვა მისი შესავალი, მიართმევდეთ; და სხვა საჩეენო სადები სადამდი ქელოსნობა იცოდეთ, არა გეთხოებოდესთ რა: არა მალი, არა ბეგარა, არა ტიკი და ტომარა, არა ულაყი, არა სხვა წურილმანი საათბოვარი. გქონდეს და გიბედნიეროს დმერთმან და სადამდი ქელოსანი იყო, თქუენც თარხანი იყოთ; და თუ არა, ნუ იქნებით.

არიან ამისთ დამხდურნი და მოწამენი: სახლთხუცესი რევაზ და ამილბარ, მგალობელი იორამ, ჭალაქის ქეთხუდა იაზაშვილი ასლამაზა, ოქუაშვილი ბექუა დალაქი გასპარა, გიქინაშვილი მერაბა და თაქინაშვილი როსტომა, ნაცველი ასრათა, სრულ ერთობილნი მცხეთელნი.

დაიწერა წიგნი ესე ქრისტესმობისთვის ჳ. ქორონიკონს ტჟჳ. ქრისტეს აჭათ ჩლე, ქელითა მდივან-მწიგნობრის მაღალაძის ზურაბისითა.

სულროვა: კათალიკოზ-პატრიარქი დომენტი

ქ. მე, სახლთხუცესი რევაზ ჩემს ჯემწიფიშვილის ბატონიშვილის, ბატონის კათალიკოზის ბრძანებას ასრე ვამტკიცებ. არ მოიშალოს.

ბეჭედი: სახლთხუცესი რევაზ

მარცხენა კიდეზე:

ქ. ჩ[ვენ], ყოვლისა საქართველოსა და აღმოსავლეთისა პატრიაქმა, შეფის იესეს ძემ, ანტონიმ ეს წყალობა გიყავით ჩვენის ყმის მარჭარასშვილის გიორგის შეილობ[ილ]ა გიორ[გის, ასე, რომ: მარჭარას შვილად აეყ[ვანე და გაეზ[არდე] და თაყის საქონელი, [სახლი] და კარი შენთვის დ[აე]გდო და მოეცა: კურთხეულის ბიძის ჩემის პატრიაქის დომენტის წყალობის წიგნი გქონ[და. რადგან კურთხეულს ბიძაჩუენს წყა-

ლობა ექმნა, ამ შენის მამობილის ნაქონისა] სახლ[სა და სქვრ]ლისა წყალობას გ[ვეჯე] და აგრეთვე დავამტკიცეთ.

აგვისტოს კგ. ქორონიკონს ჩღნ.

ხელრთა: კათალიკოზი

[ქ. ჩ]ვენ, ყოვლისა საქართველოს კათალიკოზ-პატრ[იარქი, მეფისა ირაკლის ძე, ანტონ[ი ვამტკიცებთ სიგელსა ამას იმ რიგათ, როგორც პატრიარხებს [დაუმტკიცებიათ, [ჩვენცა წყალობა გვიქმნია [და გვიბოძებია] და ორი... მოგვიცემია. კათ[ალიკოზის ხა], ქორონიკონს უპ.

ხელრთა: კათალიკოზი

193. [მანგლელისა და ტფილელის სამწყსოს განწესება დიმენტი კათალიკოზის მიერ]

[1706 წ.]

ქ. მ ა ნ გ ლ ე ლ ი ტ ფ ი ლ ე ლ ს სამწყსოს დარბაისლის ნიშანზედ და საწირავზედ ეცილებოდა.

ჩვენის კრებულით ეს სამართ[ალი] უყავით:

1.* რაც ტფილელის სამწყსოში დ[არბა]ისელი იყოს და მოკვდეს, სვეტიცხოველის ნიშანსა და საწირავს გარეთ, ის სხვა არის.

2. და იმას გარდა, თუ ტფილელის სამწყსო[შ]ი და სამწყსოს საყდარში დაემარხოს, ნიშანი და საწირავი, ქვეშაგები და გარდასახურავი ყველა ტფილელსა და სიონთა ღმრთისმშობელს უნდა მიეცეს.

3. და თუ მანგლელის სამწყსოს საყდარში დაემარხოს და ტფილელის სამწყსო დარბაისელი იყოს, მანგლელის სამწყსოში დაემარხოს, ნიშანი — ტფილელს და გარდასახურავი, ქვეშაგები, აბრამის ტაბლა — მანგლელს.

ეს ასე გაგვირიგებია და არაა კაცისაგან არ მოიშლება, ნებითა ღმრთისათა. ამინ.

ამისი მოწამე: წინამძღვარი ონოფრე, სახლთხუცესი რევაზ; სულ მცხეთელნი ამისნი დამბდურნი და მოწამენი.

ქორონიკონსა ტჟდ.

4. თუ მანგლელის სამწყსო თფილელის სამწყსოში დაემარხოს, როგორც მანგლელს გაურიგეთ, ისე ტფილელმა აიღოს.

ხელრთა: კათალიკოზ-პატრიარქი დიმენტი

---

* ხელნაწერში ტექსტი მუხლებად დაყოფილი არ არის. რედ.

194. [წყალობის წიგნი დომენტი კათალიკოზისა სახლთხუცეს ამილბარისადმი]

[1706 წ.]

ქ. ჩვენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხეულმან ქართლისა ქათალიკოზმან ბატონიშვილმან დომენტი ესე წყალობისა ნიშანი გიბოძეთ თქვენ, სახლთხუცეს[ს] ამილბარს ასე, რომე: გიბოძეთ სამოურავოდ თრიალეთზედ ნასოფლარი ჩამძვრალი და მზვარეთი და მილის სოფელი. კარგად მოიჭირვე და ჩვენთვის სახასოდ ააშენე. და თქვენ მოურაობას ვერავინ გეცილოს.

ქორონიკონს ტჟდ.

ხელრთვა: კათალიკოზი

195. [შეწირულების სიგელი კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძისა ბიჟვინტისადმი]*

[1706 წ.]

ეპა ასულო შვენიერო, იოვაკიმის ნაყოფო, სიტკბოებით აღსავსეო, ანნას მოხრო, რტო გარდაფენილო, სოლომონის ვენაკო, რქა მეწამულო, დაითის ყუავილო, დაბადებულთა სულნელმყოფელო, იესეს კუერთხო, დიდებით აღყუავებულო, იუდას შრომანო, დაბადებულთა სამკაულო, იაკობის კიბეო ზეცად მიმართ აღმართებაო, ისაკის ვარდო უბიწოებით აღყუავებულო, აბრაჰამის კჳრტო დიდებით აღმოფრჩვენილო, სემის დასაბამო, ნათესავთა მშჳდობაო, ნოეს სულისა სამოსელო დაულბოლველო, ევას ნათელო და მწუხარებისა უჩინო-მყოფელო, ადამს დიდებაო, სამოთხეო პირმეტყველო, ღმრთისა მამისა მხოლოსა წინათვე გამორჩეულო და ძისა მხოლოსა პირველ საუკუნეთა მამისგან შობილსა დედად ჭალწულებით უთესლოდ მშობლად განწესებულო, და სულისა წმიდისა ტაძარო, რომელმან ერთი სამებისაგანი შეიწყნარე და უღირეს ყოველთა ბუნებათა [შევ] ქრისტე ძე მხოლოდ შობილი ულმობელად და უხრწნელად;.

შენ გარდამოიყვანე ღმერთი ქუეყნად და აღიყვანე ადამ ზეცად, შენ აღამაღლე ბუნება ჩუენი დაცემული და დასჳ საყდართა

---

* ანალოგიური შინაარსისაა 1712 წლის შეწირულების სიგელიც (იხ. აქვე, გვ. 668).

ღმრთაებისათა, შენ მშჯდობა ჰყავ შორის ღმერთსა და კაცთა ძეთა ნისა და კათა სახსნელითა ძისა შენისათა, შენ დაჰკსენ მტროება პირველი, რომელი იყო შორის ანგელოზთა და კაცთა, რაჟამს ცა ქუეყანასა ზედან და მიწისა ზეცათა, შენ ნათესავ მოდგომობით ბრწყინვალედ წემზადებლო;

შენ ხარ ტაძარი დიდებული, რომელმან ღმერთი იგი მანანა დაიტია, შენ ხარ სასანთლე იგი ოქროჲსა, რომელსა ზედან ვიხილეთ ნათელი დაუსრულებელი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა ცომავალთა სოფლად და თჳთ მხოლოდ ჰგიე მოუკლებელად და შეუცვალებელად ტაძარსა მაგას სიწმიდისასა, რომელი პირველ შეგმზადა სოლომონ დამტევნელი დაუტევნელისა და ძუელ ოდესმე მოსესგან მოგაჴსენა კარვად სამეუფოდ, ყოველად წმიდაო, ცათა დაუტევნელისა დამტევნელო, წმიდაო ბიჭვიერებისა ღმრთისმშობელო;

ჩუენ, ცვალებარეთა შენთა მინდობილმან, შეწეენისა შენისა მოიმედოვნემან, ერთგულებისა მსახებელმან და მოსავმან სიწმიდისა თქუენისამან ჩრდილოეთისა და აფხაზეთისა კათალიკოზმან ლორთქიფანიძემან ბატონმან გრიგოლ გაადრეთ და შეგმოგწირეთ მცირე ესე შესაწირავი:

თავს ხორგას ნაპარკეკის სასახლე მისი წყლითა, ტყითა, ველითა, სასაფლაოთა, მამულითა და საყანითა, შესაველ-გამოსაველითა, მისის ყოველის ფერითა.

მოსახლე კაცი თავს ერთი აზნაურისშვილი მორდებ გეგებერია ორის მოსახლე გლეხითა; მეორე ჭუჭუ დასტურაია მისის ძმებითა და სახლკარითა; მესამე მამაში დასტურაია მისის ძმებითა და სახლკარითა; მეოთხე ხოჭოლავა სოგიჯუმა, მეხუთე ზაზავა სერგელია, მეექუსე ზაზავა ბაბადიშა.

ასე რომე, პირველ ნემსაძე კათალიკოზს ბეჟან წულუკიძისაგან ეყიდა და შეუწირავად დარჩომოდა. კათალიკოზი გარდაცვალა და დადიანმან ლიპარტ დაიჭირა; ის დადიანი რომ გარდაცვალა, მეორეს დადიანისაგან და ბატონის გიორგის ლიპარტიანისაგან ჩუენ ვიქრთამეთ და ვიშოვნეთ.

კიდევ ოთხი მოსახლე ბერაიები იმავ კათალიკოზის ჭელშიდ მიქველაძეს გიორგის შეეწირა და კათალიკოზისათვის წელიწადშიდ წირვა დაედგა. კათალიკოზი გარდაცვალა, იმავ და-

დიანს გამოეწირა დადიანი გარდიცვალა; მეორე დადიანისგან და-
ბატონის ლიპარტიანის გიორგისაგან ჩუენ ვიქორთამეთ.

სხვა მირცხულავა ქორწილ იმავ კათალიკოზს და-
ში ხახუასგან ეყიდა და ბატისათვის შეეწირა. იმავ და-
დიანს გამოეწირა; დადიანი გარდიცვალა, ხახუ ჩიჩუას დარჩა და
ჩიჩუასგან საწას მარჩილად ვიყიდე.

კიდევ ჭითავა მღდელი გიორგი ციხისთაეის შვილს
ჩაისელს მაქსიმეს ყავდა. სამკუდრო იყო მისი და მისგან
ჩუენ ვიშოვნეთ მისის მამულითა, შვილიან-ყმიანათ, მისის ყოელის
ფერიანად;

კიდევ ლეფონავა ინალუხუ ბატონმან გიორგი ლიპარ-
ტიანმან მოგუცა მისის სახლიან-კარიანად.

კიდევ ხუცესი არცანდია ბატონმან ლიპარტიანმან გი-
ორგი გუბოძა.

ხობს: სამი მოსახლე კაცი სადადიანო: გაჯინედი სა-
არია, მერკვრია გიორგი[1], ბოლქუაძე ბიბია და მი-
სი შვილები პირველ იმავ კათალიკოზს მოეყვანა. ზოგი თათრისა-
გან დაეიკსენით და ზოგი ბატონმან დადიანმან გიორგი
გუბოძა.

კიდევ ბაას: სიჭინავა ხოსია ხახუ ჩიჩუას სა-
წირაეს და ნიშანწიად ავიყვანეთ.

და კიდევ საბარბედიოს სამი გლეხი: ოთი ხოსია და
სარჯელია, იმავ კათალიკოზს ჯგემორდილი ჩიჩუას-
თვის გარდასახადშიდ გმოურთმევია; და ეჯიბია მუთალა
და მისი შვლი დადიანისგან ეშოვნა და შეუწირაეი დარჩენოდა. კა-
თალიკოზი გარდიცვალა. იმავ დადიანს დაეჭირა. დადიანი გარდი-
ცვალა. ჩუენ ვიშოვნეთ.

კიდევ ნაქანეგს სოფელი საკათალიკოზო რემსაძე კა-
თალიკოზის კლდშიდ ატაბაზისგან აყრილიყო, ყვაპ შარვაში-
ძეს სხვა დაეყიდა და ექუსი მოსახლე კაცი ყავდა. ის კათალიკოზიც
ბევრს ედევა და ჩუენც; მაგრამ არც მას და არც ჩუენ პასუხი მო-
გუცა. რომ შარვაშიძე მოკუდა, მივუდით ჩუენ და ნიშანიც მართე-
ბული ავიღეთ და ექუსი მოსახლე კაცის მეტი ალარ იყო და ის წა-
მოეიყვანეთ მისის ყოელისფერითა: დრუბელაია ამკსნელი
და მისი სახლისკაცი ელიშია ხუტალა და მისი ძმები: კა-

[1] +ბა.

დევ ელიშია ხუხა და მისი ძმები ზუმალა, კოდია და მისი შვილები.

კიდევ ჯგუბურია სუბუქია და ბიგვა; კიდევ კოხოშია მოსახლე კაცი ჯღერიას ნაყმევი პაპა ხუცობავა და მისი ძმა შარვაშიძისგან სადეო კაცი იყო ჩუენი და იმაშედ წაბოვიყვანეთ და ხობს დავასახლეთ. არმანია ყვაბსეული კაცი მაგიე[რ]შიდ აბოვიყვანეთ და ხიბულას დავასახლეთ.

კიდევ ელიშახუ ნანაისშვილი ეგურის გალმადამ წამოვიყვანეთ და მაგიერშიდ და ჩიბულას დავასახლეთ.

კიდევ მათხოჯს ბარაბაძე დათჯია, იგანე და ნასბიდა წულუკიძის ყმა იყო და ბატონის დადიანის გიორგის დარჩა, ვთხოვეთ და ჩუენ გვბოძათ.

კიდევ კონტუათს რუხუევძე გუგუტა. და მისი ძმა მეფის ხოტივარი იყო, მეფეს გიორგის ვთხოვეთ და ჩუენ გვბოძა.

კიდევ გეგუთს იაშვილს საკანონო საქმე დაედება, დედისაძე დათუნა და მისი ძმა გარდავახდევინეთ და ჩუენ დავიკავეთ.

კიდევ ჩხარს ტენტერა ოანა აბაშიძეს გიორგისაგან ჩუენ ვიყიდეთ, ერთი მოსახლე კაცი გარდოსანიძე მივეცით მისი მამულიანად და სხვა თეთრი. აწ ამ გლეხებისათვის სხვა ბევარას და სამსახურის ჩამოის სახთელი დაგვკ ჩუენ ცოდვილის სულის საჯსრად და საოხად და ცოდვათა ჩუენთა შესახდობლად.

მარიებს ფორდებს გეგებერიას და ორს მისსა გლეხს ლოლარიკონი სახთელი ოთხი; დასტურაიას ჭუჭუს ოთხი, მისი გნაყოფს მამაშის ოთხი; ხოჭოლავას მოხელეს სამი; ორს ხაზავას თრ-ოლი ლოლარიკონი; ქოჩუას მირსპულავას ლოლარიკონი ოთხი; გიორგი ჭითავას ლოლარიკონი სამი, ეცადია გეგენავას ლოლარიკონი ორი; ინალუხუ ლეფ[ონ]ავას ლოლარიკონი ოთხი; ჩუცეს ბერაიას ლოლარიდონი სამი; სამმან მოსახლემ ბერაიამ: ბატკუამ და მამაგულმან, დოხვადიამ — თრ-ოლი ლოლარიკონი; ბუცესმან არცანდიამ ლოლარიკონი სამი; ზეით ხობს გიორგი მერკვრიამ ლოლარიკონი სამი; გაჯ[იხე]დის შვილმან საარიამ ლოლარიკონი სამი; ბიბიამ ბოლქუაძემ ლოლარიკონი სამი; ხოსია სიჭინავამ ლოლარიკონი ხუთი.

ნაჟანარეულებს გლეხებს უფროს-უმცროსი ღორი ემართა დ[ა] მეხადილეს საჩუქარი ემართა, მეხადილისათვის საჩუქარი შეგვეწ[ი]რ წევია და გლეხისათვის უმცროსი ღორი და მის მაგიერად საწთელი დაგვც.

მართებს დრუბელაის ორი ლოდარიკონი საწთელი; ხუტალა ელიშიას ორი ლოდარიკონი; მის განაყოფს ზუბას ორი ლოდარიკონი; ზუმალი კოდუას ორი ლალარიკონი; ბიგვაის ორი ლალარიკონი; ჯგუბერიას ორი ლალარიკონი; სუბუქიას ორი ლალარიკონი; ნარმანიას ორი ლალარიკონი; პაპა ხუცობავას ორი ლალარიკონი; სამს მოსახლეს ხარებედიას და ეჯიბიას ორ-ორი ლოდარიკონი საწთელი მართებს, სხვა არა მართებს რა ამათ.

წულუკიძის კაცს მათხოჯს ბარაბაძეს ოთხი დიდი ღორი ემართა და ორისათვის ორი შამახური საწთელი დაგვც და ორი საკლავი ისევ მართებს სხვა ბეგარას ჩამოის.

კონტუატს რუხვაძეს ერთი საკლავი და მისი ქათამი ემართა[1], ერთი შამახური საწთელი დაგვც მას მაგიერად.

გეგუთს იაშვილის ნაყმევს კაცს დედისაძეს ლომსა და ღვინოს გარდაის ორი საკლავი ემართა და ღორის მაგიერი შამახური ნახევარი საწთელი დაგვც.

ოკრიბას სამი მოსახლე ობოლაძე და ერთი კობლუაშვილი ალექსანდრე მეფისაგან კათალიკოზს ნემსაძეს ეშოვნა და ბეგარა არ მოეკითხა, ისე დარჩენოდა, ზეან მოკითხული ვქენით, იამცილის ყმა ყოფილიყო და დიდი ბეგარა მართებოდა, მაგრამ ყველას ვერ გამო[ვ]ეკიდეთ: ერთი შამახური საწთელი კობლუაშვილს მართებს; ობოლაძეს თამაზას ერთი შამახური საწთელი; მის განაყოფს შათირიშვილს ერთი შამახური საწთელი, ერთი შამახური საწთელი მამუკა ობოლაძეს, ერთი შამახური ზაქ[ა]რიას და მის ძმებს მართებს.

ჩხარს ტენტერას შამახურნახევარი საკუმეველი.

და კობლუაშვილს, ობოლაძეს და ტენტერას ბატონის სამსახურის მეტი სხვა ბეგარა არა მართებს რა, თჳნიერ საყდრის სამსახური.

ამ მესანთლეს კაცებს არც ოდიშს და არც იმერეთს გასამყოფლო არ ეთხოვებოდეს არც ბატონისაგან და არც მოურავისა-

---

[1] ერმართა.

გან; და გლეხი რომ გაიყოფოდეს, სანთლის ბეგარა მთლად გაქრეს ბოდეს.

შემოგვიწერავს ჩუენ კათალიკოზს ლორთქიფანიძეს გრიგოლს; და შეიწირე თქუენ, საშინელო ბიჭვნტისა ღმრთისმშობელო მცირე და კნინი ესე შესაწირავი, ვითარცა შეიწირე აბელის მსხეერპლი, ნოეს ძღუენი და ორნი იგი მწუალნი ქურიანისანი, ეგრეთვე შეიწირეთ თქუენ, საშინელო ბიჭვნტისა ღმრთისმშობელო მცირე და კნინი ესე შესაწირავი ჩუენდ სადღეგრძელოდ და სულისა ჩემისა საკსრად და საოხად, რათა მომიელინო ძე თქუენი ტკბილი იესო ქრისტე და ღმერთი ჩუენი დღესა მას დიდსა განკითხვისასა საუკუნოდ სასჯელისასა და მიჭვნას მე სატანჯველთაგან საუკუნეთა.

აწ ვინცა და რაჟამსცა ძემან ადამის ნათესავმან კაცთაგანმან ეს ჩუენგან შეწირული და ახლად გარიგებული მოიმალოს და შლად და ქცევად ჭელყოს, მეფემან ანუ დედოფალმან, დადიანმან ანუ გურიელმან, თავადმან ანუ აზნაურიშვილმან, დიდმან ანუ მცირემან, ებისკოპოსმან ანუ წინამძღვარმან, მსახურმან ანუ გლეხმან და ან მეფისა, დადიანის კარის მოხელემან, მოურავმან და მამასახლისმან, ნაცვალმან და მოხელემან და ჭელისუფალმან და რაჟამსცა ძემან კაცისამან ეს ჩუენგან შეწირული და ახლად გარიგებული სანთელი ბიჭვნტისა ღმრთისმშობელს მოუშალოს და შლად და ქცევად ჭელყოს, თქუენ გაურისხდი საშინელი ბიჭვნტისა ღმრთისმშობელო და ძე შენი ტკბილი იესო ქრისტე ღმერთი და წყეულ და შეჩუენებულ ამყოფე ღმრთისა დაუსაბამოს პირისაგან, რომელმან შექმნა საუკუნენი;

კრულმცა არს სამყოფელი მათი, სული და ჯორკი მისი; კრულ, წყეულ და შეჩუენებელმცა არს სახლი სამყოფი მისი; კრულ, წყეულ და შეჩუენებელიცა არს პატრონისნისა და ცხოველს მყოფელის ჯუარისაგან, რომელსა ზედან განიპყრნა უხრწნელნი ჭელნი თვისნი ჭსნისათვის ჩუენისა ქრისტემან ღმერთმან ჩუენმან;

წყეულმცა არის წმიდათა ზეცისა ძალთაგან; წყეულმცა არის იოანეს ნათლისმცემლისაგან; კრულმცა არის წმიდათა და ყოვლად ქებულთ მოციქულთაგან, კრულმცა არის შჯდთა კრებათაგან; კრულმცა არის ყოველთა ღმრთისა წმიდათაგან, რომელნი საუკუნითგან საითნო ეყვნეს უფალსა ჩუენსა იესო ქრისტესა და აწღა სათნოდ ყოფად არიან.

ამა მცნებათა და ჩუენგან შემოწირულთა მშლელნი და შემჭცეველნი და შემცელელნი კრულ და შეჩუენებელმცა არიან

ცათა და ქუეყნისგან ჯორკოთა და სულითა, თვითა და ცოლითა და შვილითა და შვილისშვილითა მისთა ერთობილითა;

არისცა ეს სოფელი მისთჳა მოკლე და უსარგებლო; არისცა ცოლი მისი ჭურივ და მწუხარე, შვილნი მისნი ობოლ და შერყჳილ და დაცვნებულ, ვითარცა მარხევნი ყორნისანი;

უნაყოფომცა არის ყანა, სათესავი არა არს თესლისა გამომღებელ, მამული მისი უნაყოფმცა და ნუ შეიკრებს მისგან ნაყოფსა;

წყეულმცა არის მისი ცხენი და ზროხა და ყოველი საცხოვარი მისი; წუცა ეპოების საბლისა მისისაგან სანუგეშინიცემა;

კრულმცა არს თჳი მისი მხართა მისთა ზედა; კრულმცა არს მხარი მისი წელთა მისთა ზედა; კრულმცა არის წელნი მისნი თეძოთა მისთა ზედა; კრულმცა არის თეძონი მისნი წყჳლთა მისთა ზედა;

კრულმცა არის წყჳლი მისნი მუჭლთა მისთა ზედა; კრულმცა არის მუჭლნი მისნი კოჭთა მისთა ზედა; კრულმცა არის კოჭნი მისნი ფერჴთა მისთა ზედა; კრულია ფერჴი მისი მიწათა, ადგილთა და სამყოფთა ზედა; კრულ არს იგი ადგილი მისთჳს, სადა დადგენ ფერჴნი მისნი; კრულ არს თუალნი მისნი სახედელად და მხედველად; კრულმცა არს პირი მისი პერის მჭამელად, ენა მეტყუელად, ყელნი საქმწყლად, ფერჴნი საელელად, გულისთქმისა გასაგონებლად;

კრულმცა არს იგი და მისი გასაგონ[ა]ს, მისი გასაგებელი სხჳამან მი[ი]ღოს;

კრულ არს მისი სიცოცხლე; კრულ არს მისი საკდილი; კრულ არს მისი საფლავი, სადა დაეფლვის;

ნუმცა იჭსნების სულითა და ჯორკოთა, თვითა და ცოლითა და შვილითა და ყოველითა მისთა გასაგებლითა; ნუმცა იჭსნების წირვითა ებისკოპოსთა და მღდელთათა; ნუმცა იჭსნების იწლულსაღებ წასლვითა, ნუცა ლოცვითა მონაზონთათა, ნუცა გლახაკთ მიცემითა, ნუცა მშიერთა გაძღომითა;

არარაჲ ქნელის საქმე რა ერგოს მას, ყოველნიმცა უსარგებლო არის მისთჳს.

ვინცა ესე მცნება და ესე ჩუენგან გარიგებულება და შეწირულობა მოიმალოს იყოს იგი[2] ნაწილად მისდა, სადა არს ტანჯვით სამყოფი ქრისტეს უარისმყოფელთა, ბნელი წყუდიადი განუსათლებელი, ეაებითა ალსავსე, ცეცხლი უშრეტი და მატლი უძილი, ტარტაროზი, გლოვა, უნუგეშინისცემა და ღრჭენა კბილთა, ნასლი წყუდიად საბურველი თვალთა მყოფთა ფსკერთა ჯოჯოხეთისათა.

---

[1] გასაბისი. [2] იგი.

ნუმცა არს ჭსნა და გამოჭსნა მათ შიერ ვიდრე უკუნითი უკუნისამდე, ამინ, ამინ.

დამამტკიცებელი ამისი ღმერთმან აკურთხოს და წმიდაჭსნ შჯულისა ღმრთისმშობელმან; და მშლელნი და მჭეველნი ამისნი წყეულ და შეჩუენებულმცა არის აწდა უკუნისამდე, ამინ.

დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ქორონიკონსა სამას ოთხმოცდათოთხმეტსა.

მათხოვნელებს ყველას თეთრის ბეგარა ემართა, ცეცად იხარჯებოდა, ხატს არას ემატებოდა. აწე მის მაგიერად სანთელი დაგვც: მარჩილის თავს შამახური და რუბის თავს ჩარექი.

აწე ჩუენმან შემდგომმან კათალიკოზმან ანუ მოურავმან და ანუ მობელემან ეს სანთლის ბეგარა მოშალოს, ჩუენისამც კანონს ქუეშე შევარდება. აზნაურისშვილის ყმამანცა კათალიკოზს მიართვას სანთლის ბეგარა და სახასომანცა[1].

კიდევ საგელათონი: საწირეს, ბუეთს, ოხუამირას, სორმონს, რიონს საკათალიკოზო კაცებს თეთრის ბეგარა ემართა. ისიც ცეცად იხარჯებოდა, ხატს არას ემატებოდა. აწე მის მაგიერად სანთელი დაგვც: მარჩილის თავს შამახური და რუბის თავს ჩარექი.

აწე ჩუენმან შემდგომმან კათალიკოზმან ანუ მოურავმან და ანუ მობელემან ეს სანთლის ბეგარა მოშალოს, ჩუენისამც კანონს ქუეშე შევარდება. აზნაურისშვილის ყმამანც გელათს მიუტანოს კათალიკოზის წინამძღვარს, ბატონის სახასომანცა[1].

ორი ბეჭედი: გრიგოლ კათალიკოზი

196. [სითარხნის გუჯარი ონოფრე წინამძღვრისა თვალელთა და პატარძეულთადმი]

[1708 წ.]

ჭ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა ესე მოუშლელ-შეუცვალებელი, ყოვლის მიზეზისაგან შორად განშორებული, ყოვლის გზით მიზეზშემოუღებელი საბოლო[ო]დ დამტკიცებულ-გათავებული სიგელი დაგიდევით და გიბოძეთ ჩუენ წინამძღვარმან ონოფრემ თქუენ ერთობილთ წმიდის დავითის ყმათა თვალელთა და პატარძეულელთა, ასე და ამა პირსა ზედა, რომ:

წმინდის დავითის საფლავსა და მონასტერზედ დიაღ, ბევრი გაისაჭ[ე]ნით, თქუენგან შეუძლებელი ჭირნახული დადეცით, ჭირი ბევრი გაჩვენეთ, ძნელი და თავგაუსლველი. ჩუენ ეს პასუხი გიყა-

[1] სრხსომარე.

ვით: ყოველს საკვმწიფო, სამოურაო, სამოხელეოსაგან კვმწიფებ[1]-საგან, დარბაისელ-ეფისკოპოზისაგან სითარხნის და საურის აღწერილი კვეთის წიგნები აგართვით.

როგორაითაც ძველათ კიდევე ამგვარი სითარხნის წიგნები კვმწიფების გკონდათ და ქაძთა ვითარებისაგან და ქვეყნის ცვალებისაგან გუჯარი თქვენიცა წამხდარიყო და მონასტრისაცა, და ხელახლა კვმწიფის სიგელიც აგართვით და დარბაისელ ეფისკოპოსთა, ყველასაგან გაგახლეთ, ის კვმწიფეთ გუჯრებიც თქვენ მოგეცით და ეს ჩემი გუჯარიცა და საფიცარიც.

ვინცა და რამანც ადამის მონათესაეებმა: ან კვმწიფემა, ანდა თავადმა, ეფისკოპოზმა, ან იმ ალაგის წინამძღვარმა და კრებულმა [ო]ქვენის ჭირნახულის და სისხლის დაღვრის საპასუხო საურის წიგნი და სიგელი თქვენ გაგიტეხოს და მოგპრმალოს, რისხვაეს პირველად ღმერთი სამებით ერთი, ყოველნი წმინდანი მისნი ზეცისანი და ქვეყნისანი, ხორციელნი და უხორცო[ნი];

და შე-მცა-ედების კეთრი გეზისი, მეხის დატეხა დიოსკორესი, შიშთვილი იუდასი, ხორცით შთანთქმა დათან და აბირონისი, ნურარათამცა იქმნების ხსნა სულისა მისისა ჯოჯოხეთისაგან, იუდასთანამც იქნების ნაწილი და სამკვიდრებელი მისი. ჩვენთა და თქვენთა ორთავე პასუხის მიმცემი იყოს დღესა მას მეორედ მოსვლისა მისისასა.

ხოლო დამამტკიცებელი ამისი ღმერთმან კურთხეულ ყოს.

დაიწერა სიგელი ესე მკათათვის თხუთმეტს გასულს ხელითა მ გ ა ლ ო ბ ე ლ ი მ წ ი გ ნ ო ბ რ ი ს ა ი ა კ ო ბ ი ს ი თ ა.

ქორონიკონს ტჟვ.

ბეჭედი: მონა ღთისა დავით გარეჯის წინამძღვარი
მაჭუტაძე ონოფრე
ხელთვა: ონოფრე. ბეჭედი: მაქსიმე (?)

197. [ყალოგის წიგნი დომენტი კათალიკოზისა სახლთხუცეს ამილბარისადმი]

[1709 წ. 25 აპრილი]

ქ. ჩვენ, ბატონისშვილმან კათალიკოზმან დომენტი შენ, ჩვენს სახლთხუცესს ამილბარს თრიალეთზე ნასოფლარი ზვარეთი სამოურაოდ გიბოძეთ; შენ აგეშენებინა. ის ზვარეთი ერასტი მაღალაშვილის სამოურაოდ უბოძეთ, და მისად სანაცვლოდ შენ[თვის] ლურჯსაყდრის ნასოფლარის მოურაობა გებოძებია. და ააშენე და არას კაცს ჭელი შენს მეტს

[1] კვმწიფების.

არავის აქვს. და ვერცავინ მოგიმალოს ეს ჩვენი წყალობა.
თვესა აპრილსა კე, ქორონიკონსა ტყზ, ინდიქტიონსა კათოლიკოზობისა ჩვენისასა დ, ქრისტეს აქათ ჩღთ.

ხელთნაწერი: კათალიკოზი

198. [ეპისტოლე სიგელი იოსებ ნინოწმინდელისა დიდოს მონასტრისადმი]

[1700 წ.]

ჭ. სიგელი ესე ჩვენ, ნინოწმინდელ მთავარეპისკოპოზის ვაჩნაძის იოსების, მიერ მორთმეული

ჯერ-არს* უკუე პირველად, რათა რომელიცა რასმე იქმოდეს, გინათუ რასაცა სწერდეს, ყოველსა ზეგარდამოსა მადლისაგან ითხოვდეს მოწიჭებად მადლსა მას მეტყუელებისასა ანუ თუ საქმეთა აღსრულებისასა, ვინათგან ზეცისა მიერ არს ყოველი მოცემა ქეთილი და ნიჭი სრული და მის მიერ მიეცემის ყოველსა კაცსა სახარებისა ბრძანებისაებრ: «ითხოვდით, და მოგეცეს თქუენ; ეძიებდეთ, და ჰპოოთ; და ირეკდეთ, და განგეღოს თქუენ»**.

და ჩვენცა მინდობითა და სასოებითა ზეგარდამოსა მადლისათა გიწყოთ ჩუენ მიერ ძნელბედობით შესამართთა სიტყუათა წადიერებისა ჩვენისათა და უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან მომცეს მე გულის სიბრძნე ცნობიერი და ენა წესიერად მეტყუელებისა, რათა არა ძნელსავალ იყოს გზა სლვისა ჩვენისა.

რამეთუ ჯერეთ მაყუნებს მე უგულწურება გონებისა ჩემისა და არა მიტევებს ბრგუნილ ენა-მძიმება მეტყუელებად, რასაცა იგი წადიერ ვარ; და ესეცა მომეხსენების და მოშიშ მყოფს: უკეთუ დავდვა საფუძველი სიტყვისა და ვერ შეუძლო აღსრულებად.

იტყუიანცა საღმრთონი წერილნი და შეცა მოწაბე ვარ, რამეთუ: არა ჯერ-არსო მოხმა ცუდთა სიტყუათა ზედა და ჭსენება სახელისა უფლისა და ღმრთისა ჩვენისა.

არამედ მრავალ გზის ესეცა გვიხილავს, რამეთუ ძველნი გუჯარნი და მოსაჭსენებელნი ვისცა აღუწერიან; ესევითარითა თავითა და დასაბამითა დაუწყიან სიტყუათ მოქმედ ჭელოვნებანი და მიუდიათ გულსავსება დამტკიცებისა.

---

* შავით აწყობილი ტექსტი დედანში სინგულარითაა.

** მათ. ზ 7,7.

და ჩვენცა, რომელნი ესე ვმეტყველებთ, ამისთვისცა შეგვიკრძალე ვიქმნენით ჩვენ მიერ თვით შეუცადრებელისა ზის, მოუწდომელისა, აუგებელისა, უჟამოსა, გარეშემოუწერელისა, ძალგებისმიერისა შელისა, ძლიერება-მოუწდომელისა ღმრთისა მამისა, ძისა და ღმრთისა სულისა წმინდისა სამყუანოვნისა, სამრიცხვევდისა, სამპირებით დიდებულისა და ერთარსებით განუყოფელისა სამებისა წმიდისა, რომელმან არარისაგან შექმნა ყოველნი არსნი ხილულნი და არახილულნი.

პირველად მოიგონნა და დაბადნა ანგელოზთა წესნი მსახურებად დიდებისა თვისისა და განაჩინა ღმრთაებისა ძალამან ქერაბინნი და სერაბინნი, ანგელოზნი და მთავარანგელოზნი, რომელნი ესე წამისყოფით აღასრულებენ ბრძანებასა და მცნებასა მის ყოვლისა მპყრობელისასა, ვითარცა არს წესი მათი.

და სამწმიდა არსობით უგალობენ და აქებენ ერთსა ღმერთსა სამებით და სამებასა ერთობით პატივსცემენ, არა შერევენ გვამოვნებითა და არცა განპყოფენ არსებითა, რამეთუ სხვა არს გვამოვნება მამისა და სხვა ძისა და სხვა სულისა წმიდისა; არამედ ღმრთაება მამისა და ძისა და სულისა წმინდისა ერთ არს და თანასწორ და თანაარს დიდებულებაცა იგი მათი ვითარცა მამა, ეგრეთვე ძე და ეგრეთვე სული წმიდა; რამეთუ ესრეთ ჯერ-არს ყოველთა მიერ თაყუანისცემა და აღსარება ამათი.

და ამან წმინდამან სამებამან და ერთარსებამან დაამტკიცეს საქმენი იგი, რომელთა მეცხულეების ქმნად; და ესეცა შუამდგომელ იყვნეს გულსაფსებად მისვე წინაშედებარისა განზრახვისათვის; ხოლო მცირედ გარდამმიჯელთა ისევე გზა გლოთ და კუალად შევიწყოთ ჯაჭვი სიტყუისა.

რამეთუ იგი იწება ერთმან წმინდისა ამის სამებისაგანმან ღმრთისა სიტყუამან მოძიება წარწყმედულისა კაცისა და აღმოყუანება მათი ბნელისაგან, ნათელსა მას საუკუნოსა გარდამოკდა იგი ზეცით და ჯორცნი შეისხნა სულისაგან წმინდისა და მარიამისაგან ქალწულისა განკაცნა.

და რაჟამს იგი იქცეოდა ქუეყანასა ზედა სახითა გლახაკისათა, ვერ იცნეს იგი უღმრთოთა ჰურიათა და ვითარცა ლიტონი კაცი ჯვარს აცვეს და სიკუდილითა საყუედრელითა მოკლეს იგი უჩოთა მათ ბილწთა და ყოველითურთ კაცთა ემსგავსოთა.

ხოლო ჩვენ სიკუდილითა მისითა ცხოვრება უკუდავი ვპოვეთ[1],

[1] +ჩვენ.

რამეთუ ადგა მესამესა დღესა მსგავსად, ვითარცა თვით იტყოდა შემდგომად სამისა დღისა აღვდგეო, ადგა იგი და ამაღლდა ზეცად დიდებით და გზა უყო ყოველთა კაცთა მუნ მიმყუანებელისა სასუფეველად ვინცა წადიერ იყოს.

და შემდგომად ამისა რაოდენნი და რაბამნი ქველის მოქმედებანი მოგვეწიჭნეს მას მიერ, ყოველისა გამოთქმად ვერ შემძლებელ ვარ.

რამეთუ დამიტევნა ჩვენ წმიდანი თვისნი მოციქულნი ქადაგებად სახელისა მისისა და მოქცევად ჩვენდა და აღმოყუანებად ბნელისაგან ნათელსა მას დაუღამებელსა და კუალად დედოფალი ჩვენი ღმრთისმშობელი მარიამ სამო, შეწყე და მფარველი ჩვენი და ყოველისა ჭირისა და მწუხარებისაგან გამომკსნელი ჩვენი. რამეთუ ევუცებოდათ რა მოციქულთა წარსლვად და ქადაგებად სახელი უფლისა ჩვენისა იესოს ქრისტესი ქუეყანათა და სოფელთა აღმოსავლისა და დასავალისათა, მაშინ წილ ეგდეს ქუეყანა და ქუეყანა, და რომელიცა ვის აღმოუჯდა წილბდომით, მასცა შეუდგეს და წარემართნეს გზასა მას და ქადაგეს სახელი ღმრთისა ჩვენისა ქრისტესი.

ხოლო ამას დედოფალსა ჩვენსა ღმრთისმშობელსა აღმოუჯდა ქუეყანა ესე საქართველოსა სამკვიდრებელი წარჩინებითა და ძნიად მოსაქცეველი ყოველთა კაცთაგან.

ხოლო ოდეს იგი გარდაიცვალა ყოველად წმინდა ღმრთისმშობელი ქალწული მარიამ, არა უგულებელსყო წილხდომილი თვისი ქუეყანა ქართლისა, არამედ ვითარცა ძემან მისმან იესო ქრისტემან დაუტევნა თვისნი მოციქულნი ყოველსა სოფელსა და ქუეყანათა, ეგრეთვე ამან ყოველად წმიდამან ღმრთისმშობელმან დაგვიტევნა ჩვენ თავისა თვისსა წილ ქალწული ყოველად სანატრელი ღირსი ნინო უმეტესი და უწარჩინებულესი სიწმინდითა და ყოველითა სათნოებითა მის ჟამისა მყოფთა მამათა და დედათა.

ესე ყოველად ღირსი ნინო აღმოეცნა ქუეყანასა მას კ ა ბ ა დ უ კ ი ს ა ს ა კაცთაგან ღმრთის მსახურთა და ყოველითა სათნოებითა ალსავსეთა; რამეთუ არსცა ქუეყანა იგი ყოველითურთ ნაყოფიერ, არა ხოლო თუ განსრწყვილითა და წარმავალითა ნაყოფითა, არამედ უხრწნელითა და აღმოცენებითა კაცთა ღმრთისმსახურებით სრულ ქმნილისა ზეკათა სასუფეველსა მემკვიდრისა კაცთა მათ; ვიტყუი წმინდათა და სამგზის სანატრელთა მოწაფეთა მთავარსა გიორგის ღეაწლისა მძლესა; და ვინათგან დიდი და ყოველად ბრძენი ბ ა ს ი-

ლი შუნ განაგებდა კუერთხსა მწყემსობისასა, იგიცა შუნით აღსრულებულად ითქმოდეს ჩვენ ზიერ.

რამეთუ ესე ვითართა კაცთა იმორჩებს გუეყანა იგი, ამისთვის ცა ღმრთისა ზიერ გამორჩევითა აღმოეცენა ესეცა ყოველად ნეტარი ნინო მშობელთაგან დიდთა აზნაურთა და ღმრთის მსახურთა, ვითარც ქსოქე პირველ.

რამეთუ ამათ ღმრთის მსახურთა კაცსა და დედაკაცსა აქუნდათ პირველითგან სურვილი ქრისტეს სიყუარულისა და ენებათ, რათამცა დაეტევათ წარმავალი ესე სოფელი და წარუვალისა მის სოფლისათჳს ზრუნვიდენ, წარვიდენ ესენი იერუსალემად და რაოდენიცა და რა ბრძანება უფლისა ასმიოდათ, მასცა შეუდგეს, ვითარცა იტყჳს პირი უფლისა: «რომელმან აღლო ჯუარი თჳსი და შემომიდგეს მე, იგი არს ჩემდა ღირსი».

ესე ნეტარი ნინო, ზეგარდამოსა მადლისაგან დაკუული, შეეძრებულ იქმნა და შეწირულ წმიდისა პატრიაქისაგან საფლავსა ზედა ღმრთისა ცხოველს მყოფელისასა, და ოდეს იგი შეწირა ლოცვა მისთჳს პატრიაქმან, მოვიდა მის ზედა მადლი სულისა წმინდისა და აღესო ყოველითა სიბრძნითა ღმრთის მეცნიერებათითა და ქადაგა საიდუმლოთა თჳსთა, ყო ძემან ღმრთისამან და დაიმკვიდრა მისთანა მადლმან წმინდისა სამებისამან.

და ფარეთა წმინდისა ღმრთისმშობელისათა წარმოემართა გუეყანასა ამას საქართველოდ წოდებულსა და სამკჳდრებელსა წარმართთა და კერპთმსახურთასა; და განძლიერებულმან ყოველად წმინდისა შეწევნითა გამოვლო ქუეყანა საბერძნეთისა სხვათა ვიეთმე ქალწულთა თანა და მოიწია ჭუეყანასა ამას, რომელსა აწ ჩუენ დამკვიდრებულ ვართ.

და ბრძანებისა წმინდისა ღმრთისმშობელისათა ქადაგა სახელი ღმრთისა ჩუენისა იესო ქრისტესი; და აღმოიყუანნა ქუეყანა ესე ბნელისაგან კერპთმსახურებისა და მიუძღუა ნათელსა მას ღმრთის მსახურებისასა და აღმოშენა ყოველნი დიდნი და მცირენი ეკლესიანი ნათლის-ღებისათა; და აშენა მართალი სარწმუნოება წმინდისა სამებისა.

და რათა მოკლედ გთქუა, თჳთ ტფილისთა კეთილთა საუნჯეთათა მიიკუალა ამიერ სოფლით და მიიწია ნათესაყუდელსა კეთილსა სანატჳფეველსა ზეცათასა; და ხედავს დიდებულსა პირსა შუენჳსა მშუენიერებისასა და იხარებს სიხარულითა გამოუთქმელითა, რამეთუ

---

* წდრ. მათე 10,38.

მიეცეს სასყიდელი შრომათა თვისთა და მეორე არს დაუცხრომელად ჩვენ ყოველთათვის: მეოხებითა და შეწევნითა ამის წმინდისა ნიშნისათა დავიმტკიცენით საქმე ესე.

და შემდგომად ამისა არ დაივიწყა ყოვლად წმიდამან ღმრთისმშობელმან ქვეყანა ესე ქართლისა, არამედ აღძრნა წმინდანი ესე ძალმანი წარმოსლვად აქათგან ამას ადგილსა, რათა უმეტესად განამტკიცოს სარწმუნოება ქრისტესი; და შეამდინარით, ვითარცა ვარსკვლავნი ბრწყინვალენი აღმოჰკვდეს და მოიწიონ ქვეყანასა ამას, რომელნი ესე პირველ ნინოს მიერ განათლებულ იყუნეს და ყუათადი სარწმუნოება ვითარცა ფიცარი. მოვიდეს ესენიცა წმიდანი მამანი და ღირსნი სასწაულთა მოქმედნი და მათცა კეთილად განამტკიცნეს მოძღვრებითა სულიერითა ქვეყანასა ამას საქმენი.

ხოლო ერთი ამათ წმინდათაგანი ღირსი და სასწაულთა მოქმედი მამა დავით დიდოთ და ლუკიანე თურთი მოიწივნეს. ვითარცა ჩვეული იყუნეს მოღვაწებით ცხოვრებასა ადგილსა ამას, ქმელსა და უნაყოფოსა ულაბნოსა გარეგნისასა, რამეთუ პირველ არა რა იყუნეს ადგილსა მას, არცა ეკლესია და არცა საყოფელი კაცთა, და დაეყუდნეს, ვითარცა იყო ჩვეულება მათი დაყუნებით და მყუდროებით ცხოვრება.

და აღასრულებდეს ნებასა ყოვლისა მპყრობელისასა; და დღითი-დღე ადგმიდეს კიბესა სათნოებითა თვისთა ზეცად მიმართ და მოხდიდეს მადლსა მას სულისა წმინდისასა, რომელი მკვიდრ იყო მათ შორის; ამისთვისცა მოვიდეს ადგილსა ამას კაცთაგან უმკვიდროსა, რათა ცხორვიდენ სათნოებათა თვისთასა.

და ვითარცა ვერ შემძლებელ არს ქალაქი დიდი მთასა ზედა დაშენებული, რათამცა არვისგან იხილვებოდეს, ეგრეთვე ესენიცა ღირსნი და წმინდანი არა დაფარა ღმერთმან, არამედ რაოდენ იგინი ჰფარვიდენ თავთა თვისთა, ეგოდენ უფროს განფენა ეგულებოდა ღმრთისა სახელისა მათისა; რამეთუ ყოფასა მათსა მყუდროებით ადგილსა ამას იხილნეს კაცთა ვიეთმე მონადირეთა წმინდანი ესე მამანი სახითა და სამოსლითა უცხოთაითა შოსილნი, განკვირდეს და განცვიფრდეს უცხოსა მას ზედა სახილველსა, რამეთუ ესეეთისა ხილვასა უჩვეულ იყუნეს ადგილსა ამას.

და მივიდეს მსწრაფლ და თაყუანი სცეს და ლოცვა და კურთხევა ითხოვეს მათ მიერ და მათცა მიანიჭეს უშურველად ლოცვა და კურთხევა უფლისა მიერი. კეთილად ჰკითხვიდეს კაცნი ესე მონადირენი მიზეზსა მას მკვიდრობისა მათისასა; და მათცა ვითარცა ჯერი იყო, ეგრეთ გულსავსე ყუნეს.

წარმოვადნეს კაცნი ესე სოფელსა თვისსა და განთქუეს ამბავი მათი თვისთა სოფელთა და ჭეყანათა. და მრავალთა უკეთურებაჲ[1] საქმე ესე და ენებათ თჳთოეულსა მათსა თჳალით ხილვაჲსა მას. მრავალთა დატუებნეს სახლნი და სამკჳდრებელნი თჳსნი და მიისწრაფოდეს შედგომად კუალთა მათთა, რამეთუ სარწმუნოებაჲ ქრისტესი პირველითვანვე დანერგულ იყო წმინდისაჲ ნინოს მიერ, მრავალთა მკჳდრობითა მოისწრაფოდეს მრავალნი ასპარეზსა ამას დაწყლისასა მოღუაწებად, ვიდრეჳდის განმრავლდეს კრებულნი მონაზონთანი.

ხოლო თჳთ ესე ნეტარი დავით დაყუდებით დადგრა, ვიათრცა პირველ; და კრებულნი ყოველნი შეეყარა წმინდასა მამასა ჩუენსა ტოტოს და ჭელთ-უდეა ზრუნვაჲ და სარაჲ მათი და უჩუენა ადგილი ეგე, რომელსა აწ თქუენ დამკჳდრებულ ხართ. წარმოუძღუა ესე ნეტარი ტოტოს კრებულთა მათ ძმათა სელიერთა და მოვიდეს კლდეთა ძაგათ და ჴერეთ მცირე ეკლესია გამოჰკუეთეს და აღასრულებდეს ყოველითურთ ნებასა ღმრთისა ჩუენისასა. და შემდგომად მცირედისა ყუეს დიდი ეკლესია სახელსა ზედა წმინდისა ღმრთისმშობელისასა და მუნ შინა ყოველნი სათნოებანი იხილებოდეს მათ მიერ აღსრულებულად.

ხოლო ესე ყოველად სასანტრელი ღმერთმებრძოლი მამაჲ ჩუენი ტოტოს კეთილად უძღოდა საქმესა თჳისთა და მრავალთა სულთა წესძინებდა უფალსა ღმერთსა ჩუენსა. ხოლო ვიდრეღა ჰყოფდა საქმესა ამას და თჳთ აღასრულებდა მოღუაწებათა უარესსა ძალისა თჳისსა. ჟამთა სიბერისასა მოწუენულმან მჯდომთა კეთილითა და ღუწლ-მრავალ პოვნერებითა, დაუტეა ცხოერება ესე წარმავალი და მიიცვალა ზეცასა სუეტევასა; და იხარებს საუკუნოდ მეოხი და ღმრთისა მიმართ შუამდგომელი ჩუენი.

ხოლო ნაწილნი მისნი დაისხნეს ჴეროვანსა ადგილსა და მიერითგან დღითი-დღე კურნებათა მადლსა აღმოცენებ[ე]ნ სარწმუნოებით მოვედრებელთა თჳისთა სასოებითა. და სარწმუნოებითა ამით მისთა უფროსად განმრავლდა კრებული მონასტრისა მაგის საფლავსა ზედა მისსა და ჰყოფდეს ყოველითურთ ნებასა ყოველისა მპყრობელისასა.

ხოლო ამისა შემდგომად გამოჰკუდეს დღენი და ჟამნი მრავალნი და უფროსად აღეშენნეს მონასტერნი ეგე უდაბნოსანი, ვიდრემდეს შეიქმნეს ადგილსა მაგას მონასტერნი ათორმეტნი თჳს-თჳისით

---

[1] უკუერსით] დაუკუერდით.

წინამძღვრითურთ, და ესენი ყოველნი იყუნეს სამწყსო დაშთომილ ჩილ ღმრთისა მიერ კურთხეულისა მთავარეპისკოპოზისა ნინოწმინდელისა; და რომელნიცა უფლებდეს და გუანაგვეს დეს სადარეჯოს წმიდის ნინოს მოწამტერსა, მათიცა ჯერ-არს პყრობა და კურთხევა ამათი.

ხოლო ჩვენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ, რამეთუ ესე ყოველნი რა ესრეთ განეგებოდეს და მრავალნი დაწუნარება იყოფებოდა ქრისტიანეთა შორის, ამას ყოველსა ზედა მწუხარე იყო უხალაგი მტერი, ბოროტი, ეშმაკი და ვერ თავსთუებდა მყუდროებით ყოფასა ქრისტიანეთსა სარწმუნოებისასა.

არამედ აღძრნა ბარბაროზნი აგარიანნი მოსავნი მაჰმადიანი და წყობად აღჭურნა საქართველოსა ზედა და უწყალოდ ასწყუიტეს ქუეყანა ესე ქრისტიანობისა, აღთოკრნეს და დააქცევნეს ეკლესიანი და ამას თანა მრავალნი ღმრთის მსახურნი კაცნი მოსწყუიდნეს, რომელნიმე ცეცხლითა დაწუნეს და რომელნიმე წარკუეთითა თავთა აღასრულნეს და რომელთამე ქება დაკრიბეს და ესეეითარი უწყალოება მოიწიეს ადგილთა ამათ.

და ეცადაბნოსცა ესე გარეჯისანი მას შინა ოკრდეს და მრავალქამ და მრავალწელ დაშთა უმკეიდროდ კაცთაგან. და ოდესმე ვინ იყო ბერთაგანი ადგილსა მაგას წმინდასა, ვიდრე ყოფად ჩვენდამდე და იყო უმკეიდროდ კაცთაგან.

და ოდეს ვიხილეთ[1] ადგილი ეგე წმინდა და თაყუანის საცემელი და პატიოსანი უპატრო ქმნილი, ვითარცა მარგალიტი მრავალ სასყიდლისა გარე განხუეული, ტირილად ვიწყეთ[2] და ამას ვიტყოდით: ნეტარ მის კაცისა, რომელმან ესე მონასტერი ესრეთ უწყალოდ მოოკრებელი და უშენო ქმნილი კუალად აღმართოს და აღაშენოსო. და ღმრთისა მიმართაცა ეყოფდით ვედრებასა, რომელ ესრეთცა ქმნულ იყო.

და ისმინა ევედრებისა ჩვენისა და ოდესმე უგულებელსყო ადგილი ესე თაყუანის საცემელი და საღოცველი თვისა, არამედ გარდამოიხილნა თქუენზედა მოწყალეთა თვალითა და მოგვცათ გული ცნობიერი სახიერებისა თვისსა და გვგამჭნოთ და განგაძლიერად თქუენ კელყოფად შენობად მონასტრისა მაგის წმინდისა მაშინა ჩვენისა დიდებისა ყოვლად სანატრელისასა.

„თქუენ, საღმრთონი და სულიერნი კაცნი სახელისათჳს ქრისტესისა ერთად შეკრებულნი: წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ი მ ა რ კ ო ზ, ზ ა-

---

[1] ვიხილეთ. [2] ვიწყეთ.

ქ ა რ ი ა და სხვანი ძმანი ერთი, გინათუ ორნი, ესენი გამოხვეწენ სოფლით და შენებად იწყეს მონასტრის მაგის ყოველად წმიდისა მამისა ჩვენისა დიდებისა შენებად.

და მოიწევენით წინაშე ჩვენსა, ვინათგან გვეპყრა მას ქამსა საჭდარი წმიდისა დედისა ჩვენისა ქართველთა განმანათლებელისა ნინოსი და შუნდობასა ითხოვდით ჩვენ მიერ საქმისა ამის აღსრულებად; ვინათგან თვინიერ ჩვენსა ვერ ჰელგეწიფათ საქმე ესე და ქამთა მრავალთა იყოფებოდით ჩვენ თანა და ძნიად შესაბედავი იყო ადგილი ეგე მტერთაგან ყოველთაურთა ხილულთა და უხილავთა და ღმრთისა მიერითა წინაძძღვარებითა და საფარველითა წმიდისა ნინოსითა.

და ჩვენ მიერითა ლოცვითა და კურთხევითა წარემართენით ადგილსა მაგას წმიდასა საფლავსა ზედა დიდისა დედოფლისა, დაიწყეთ მცირედ-მცირედ შუშაობად და ჩვენ, ღმრთისა მიერ კურთხეულმან ნინოწმიდელ მთავარეპისკოპოზმან ვ ა ხ ტ ა ნ გ ი მ ა ს ე ბ რაოდენ ძალ-მედგა, უწყის ეფალმან. თანა შემწე გეჭმენ თქუენ შენობასა მაგას მონასტრისასა, ვინათგან ქამთა ჩვენთა იწყო შენობად მონასტერმან მაგან.

და ურიადითა წადიერებითა სრულიელ ეიყავ, რათა ცხოვრებასაცე ჩვენსა გვეხილა საწადელი გულისა ჩვენისა, აღშენება მონასტრისა მაგას თქუენისა, და ეხილეცა შენობა მცირედ ქამ კეთილად წარმართებულნი და სხვანიცა ძმანი მომატებულნი; რამეთუ კეთილსა ცხოვრებასა აღასრულებდით ღამის თევითა დაუცხრომელად ფსალმუნებითა, გალობითა და შესხმითა სულიერითა.

და შემდგომად ამისა არა რა იყო ნუგეშინის საცემელი თქუენი ჯორცთაცლისა საზრდელისათჳს მოსაღწეველად, რამეთუ ძველნი და პირველნი არღარა ჩნდა მონასტრისა თქუენისა არცა გუჯარი, არცა მახსოვარნი, თუ სადა იყო მაშული ანუ თუ სხვა ნუგეშინის საცემელი ჯორცთაცლისა საზრდელისა; რამეთუ ესენი პირველთაგან ყოველნივე კეთილად გაბრიგებული ყოფილიყო და ოჯრებასა და ქამთა ვითარებასა ჯჩინო ექმნა.

და ვინათგან არა ეგებოდა და თვინიერ ამისა არც მონასტრისა შენობა იქმნებოდა, ჩვენ შემოგეწიენით და რაც რომ ძალგუეძლა არა დაეშურეთ რა და მოვართვით თქუენსა მონასტერსა და შევსწირეთ ცოდვათა ჩვენთა შესანდობელად და ბრალთა ჩვენთა აღსაჯოცელად მცირე რამე ძღვენი და კნინი შემოსაწირი: ი ო ა-

ზედ წმიდის ნინოს ნაზვრევი მინდორი, იქიე საწი-
ქუალა ზეცით რომ კვეი ჩამოეარდების და შარაც ჩაივლის-
წისქუილის რუს მიაღგების; და კიდევ ზემოთ რომ ქედური
დევს, საწნეხელი რომ დგას, ბოლოს ჭიაურელის ჭიწის სამძღვრამ-
დინ ისე სწორად ჩაივლის და წისქუილის რუს მიაღგების და ამოვ-
უვება ის რუკი წისქუილამდი; და იმ რუს შიგნით ყუელა ნაზვრე-
ვი იყო წმიდის ნინოსი. და თქუენ რომ არა გქონდათ რა სოფელში
შამული, ამისთვის თქუენს მონასტერს შევსწირეთ.

აწე ვინ იცის, რომ ეს საწუთო სოფელი ერთს პირზედ არ დაღ-
გეს და შიგ მონასტერში შენობა ალარ იყოს; ეგ ღმერთმან ნუ ქნას.
შიგრამ სიტყუა არის და რაღგან ჩუენის საყდრიდამ მოგუცით, თუ
მანდ მონასტრის სახელზედ ბერი ალარ იყოს ან წინამძღვარი ალარ
იჯდეს, ეს ნაზვრევი ისევ წმიდას ნინოს დარჩეს. და როდესაცა ისევ
შენობა შეიქნას, რომელიც ნინოწმიდელი იყოს, ისევ თქვენს მო-
ნასტერს მოსცეს; ამისთვის რომ ბევრი სასჯელი დასდევით მაგ ნა-
ზვრევის შენებაზედ.

არამედ შეიწირე შენ, ყოველად წმინდაო ღმრთისმშობელო და
მაშაო წმინდაო დიდებაო: და ნაცვლად გვაგე დღესე მაჲ დიდსა გან-
კითხვისაჲსა.

აწ უკუე რომელმანცა ნინოწმინდელმან ანუ რომელმანცა სხვა-
მან კაცმან ეს ჩვენი გაროგებული და შეწირული საქმე მოშალოს,
ისიმც შეიცვლების სჯულისაგან ქრისტიანობისა, იუდასთანამც და-
ეშკიდრების, ნერათამც სინანულით იქმნების ჭანა სულისა მა-
თისა.

აწე იტყუიან ცოცხლიმე ნინოწმიდელნი შემდგომად ჩუენსა: რად
მისცა სხეის მონასტრისა სხუასაო. მაგრამ ეს მონასტერი არა სხვა
არის, არამედ ჭელთა შინა ჩუენთა არის და საშწყაო და მომკუსნე-
ბელნი არიან ჩუენ ყოველთა ნინოწმინდელთანი; არა თუ სხუა არის,
არამედ ჩუენი.

და სხვაცა მაქუს მიზეზი ამის პირისათუის, რამეთუ მეცა და-
მიც ჩემსა მონასტერსა ზედა საწსახური, რამეთუ ძეელითგანნი გლ-
ჯარნი და ბეერნი შამულნი დაკარგულ იყო და ძალითა და შეწევნი-
თა ამისითა და ჩუენ მიერითა შრომითა კუალად შეეძატე და პირ-
ველისაებრ საქმისა ისევ გავარგე. არათუ საქადუილი. რასმე ეიტ-
ყუი, არამედ ესე ყოველი ესრეთ არს; და ღმრთის გულისათუის ამ
ჩუენგან გჰრიგებულს საქმეს ნურც თქუენ მოუშლით.

დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან დაამკვიდროს სამოთხეს
შიგან.

შემცველებელნი ამისნი ღმერთმან შეცვალებელყოს ცხოვრებისაგან.

დაიწერა გუჯარი ესე დასაბამითგან შვიდიათას ორას დაჩვიდმეტსა მეტსა და განკორციელებიდგან ღმრთისა სიტყუისა ათას შვიდას და ცხრაისა, ინდიკტიონსა ცამეტსა, ქორონიკონსა ტჟწ, მეფობასა ძისა ერეკლე წეფისა დავითისასა. დაიწერა სიგელი ესე საწყლიდროდ.

ხელრთულები:

საბელითა ეფლისათა ვამტკიცებ ნინოწმიდელი იოსებ.
ამბა ალავერდელი ნიკოლოზ.
ბოდბელი ზაქარია.

ქ. მოწამე ვართ, რაოდენი გუჯარსა ამას შინა წერილ არს, ჩვენ: სამებელი ნიკოლოზ[1], პართენი ხარჭაშნელი, ნეკრესელი ნიკოლოზ, ჭერმელი ნიკოლოზ.

მარცხენა კიდეზე:

ქ. ჩვენ, ღმრთისა მიერ კურთხეევით ამადლებულმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან ანნამ და ძემან და პირველშობილმან ჩვენმან თეიმურაზ დავამტკიცეთ სიგელი ესე სიტყვითა და ბეჭდითა ამით.

ორი ბეჭედი: 1. დედოფალი ანნა
2. მონა ღრისა ბატონიშვილი თეიმურაზ

199. [გამოსაღების ამოკვეთის წიგნი მანგლელ ნიკოლოზისა მანგლისელთადმი]

[1708—1709 წწ.]

ქ. ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათევებელი წყალობის წიგნი გიბოძებთ ჩვენ, მანგლელ ეფისკოპოზმან გოსტაშაბისშვილმან ნიკოლოზ თქვენ ერთობილთ მანგლისელთა ასე, რომენ:

ჟამთა ვითარებისაგან საქმელდგომო ერთი ცხვარი დარჩომილ იყო, გვარისა და გვარის კაცზედ ილებდეს; და სოფელი დიდათ გარჯილი იყო, და არცა რა საყდარს შემატებოდა.

---

[1] — სამებელი ნიკოლოზ (ბეეულად).

აწე გავსინჯეთ და სარგებლისაგან და შემატებისაგან საცოდავ საქმე უფრო ჭდებოდა და ამოგვკვეთეთ.

ვინც ვინ ჩვენს იქით ბატონი მანგლელი დაბძანდეთ, ნუჯიკუსა ნებას სიძაღლით, ნურც სიხარბით, ნურც სოფლისა და ეფისკოპოზის საქიშპით ამას ნუ მოუშლით.

დიდ, გავსინჯეთ და საცოდავი, საშენლარი და სალაპარაკო საქმე იყო და მისთვის ამოვკვეთე.

და ვრთი ეს იყო — გუთანზედ ბერს არ აჭმევდენ. და ვითაც ნაბუშაკები უსმელ-უჭმელათ არ ვარგა, და არც ღმერთი კეთილს ნაყოფს მისცემს, და გუთანზედ ბერს აჭმევდეთ.

ვინც ჩვენს იქით ბატონი მანგლელი დაბძანდეთ, თქვენც ასრე გაუთაეთ. დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხნეს.

და ნუმცა შთაეთხრობას ეშმაკი მანგლისა საჭეთმპყრობელსა ამ წიგნის შლად და ტკეცვად.

დაიწერა წიგნი ესე მეფობასა პ[ა]ტრონის კვმწიფის მეფის გიორგისასა და პ[ა]ტრონობ[ს] ქრისტიანისა გახტანგისასა.

მოძღვარი იყო გაბრიელ საყდრის დედა და ძველი კაცი და იმას ამაზედ გარჯა... ენახა და მისი სიტყვით [მო]ცემა მემოწმა და დავამტკიცე.

ხელითვე: მანგლელი ნიკოლოზ

200. [სამწყსოს განწესების წიგნი დიმენტი კათალიკოზისა კავლე ტფილელისადმი]*

[1710 წ.]

წყალობითა ღმრთისათა.

ქ. ჩვენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხეულმან და ყოვლისა საქართველოსა დიდმან მამათ-მთავარმან და მაკურთხეველმან, მეფეთა მარაგანდედმან კალოლიკოზ პატრიარქმან ბატონის შვილმან პატრონმან დიმენტიმ ესე წიგნი მოგეცით თქუენ, ტფილელ მიტროპოლიტს ბატონს კავლეს.

ასე, რომე: დაგველაპარაკე და ძველთაგანც ყოფილიყო და წიგნიც გაგისინჯეთ ქალაქის სამწყსოსი. მეფისა და დედოფლის სახლს გარდა, ქალაქი თქუენი სამწყსო ყოფილიყო.

1.** ახლა რაც მეფის ყმა იყოს ქართველი კაცი, ან დედოფლის ყმა იყოს, ან ბატონიშვილების ყმა იყოს, და ან დარბაისელთა — ყველა თქუენი სამწყსო არის.

---

* შდრ. ხაბეჭდი № 150.

** ჴელნაწერში ტექსტი შეხლებად გაკეთილი არ არის.

2. და ან რაც სადედოფლო საქმე ჩვენსა დეკანოზს ეჩიტება მოკითხული ვქენით და უსაცილოდ სითხთა ღმრთისმშობელსა ყოფილა და დღესაც არის და არცა ვის სხვას ქელი აქუს დაუფუსავს. ვინ შეეცილება.

3. სჯულიერის საქმით საკანონო ტფილელმა უნდა მოიკითხოს: რაც საქმე მოჰდეს მის დროს, თავის მამამთავრით დრამა მოკრიფოს.

4. რომელიც სხვამ მოქალაქემ ქრისტიანმა კაცმა მსახუროს, ისრე ამ ჩვენი დეკანოზის სამწყსომ მსახუროს.

5. ვინცა ვინ სამღდელოდ გაიზარდოს, ტფილელმან აკურთხოს.

6. ვის შეეძლოს რიგიანის საქმით საწირავი მიცვალებულისათვის, მიართოს. და თუ საწირავი ვერ შეეძლოს, მიცვალებულზედ ტფილელის მამად-მთავარი დაიხვედრონ; და სითხთა ღმრთისმშობელს ზეთი მიართონ მისის შეძლებით.

7. ვინც მოქალაქე ელაბაბრში დასახლდეს, ტფილელის მამათმთავარს ქელი არა აქვს. და ვინც ელაბრელი ქალაქში დასახლდეს, ისისი დრამა და საკანონო ტფილელის მამამთმთავარმა მოიკითხოს.

8. ჩვენმა დეკანოზმა ვინც შეიირდი აკურთხოს, შეეირდის თავს ითითოს ჩარექს სანთელს სითხთა ღმრთისმშობელს მიართმევდენ.

9. ჩვენი დეკანოზიცა და მისნი სამწყსონიცა ტფილელის მორჩილნი უნდა იყუნენ. სხვა როგორ ნურც ბატონი ტფილელი და ნურც მისი კრებულნი ჩვენს დეკანოზ[ზ]ედ უბრალოდ შურს ხე მოიხდომებენ და ნურც სამწყსოს მოუმლიან.

10. ამ ჩვენს დეკანოზს სახუცო არა სითხეები და ნურც დღეს ულან სითხოვენ. ამის სახლს მაგითმა მღდელმა უხუცოს.

ეს ძრე გაგვრიგებია და დაგვიმტკიცებია.

თუ მაგისთანა ღარიბი იყოა, და არა შეეძლოს რა. ნურას სითხოვენ საბრალოს კაცსა და ნურც გარჯიან.

არიან ამისნი მოწმენი: ჩვენი სახლთ-უხუცესი მადალაძე ამილბარ, დეკანოზი ათანასე, კანდელაკი გერასიმე და სხულ მცხეთელნი.

გოლონიკოსსა ტფჱ.

დაიწერა წიგნი ესე ქელითა კარისა ჩვენისა მდუან-მწიგნობარ მგალობელის მადალაძის სოლომონისათა.

ბეჭედი*

ხელთა: ქათალიკოზ მამად-მთავარი დომენტი ვამტკიცებ ნებითა ღმრთისათა ამინ.

---

* ბეჭდის ლეგენდა არ იკითხება.

201. [წიგნი ნიკოლოზ სამებლისა ქრისტეფორე რუსთველისადმი ძმის დანებების შესახებ]

[1710 წ.]

ქ. ეს წიგნი მოგართუ[ა] ჩვენ, სამებელმა [ნი]კოლო[ზ] [თქვენ], ბატონს რუსთველს ქრისტეფორეს.

მაღალას შვილის [იო]ანეს ნაუმეცარი კაცი მესახლა; დიდებნის მოსელი იყო. მყრელები რომ მოვიდნენ, კელი არა ქონდათ, არ ავაყურევინ[ე]. ჩემის მალვით აყრილიყო და თავის ნაბატონარს გაეოლოდა და თქვენის ძმისწულებისათვის მო[ეცა]თ. მე ისევ ავუარე და გამოვიყვანე. თქვენ მოინდომეთ. ისევ აგიყარეთ და მოგართვით ყოველის კაცის უცილებლათ და მოუდეერათ.

დღეს წალმართ არას კაცს მეგ ყორანას იასესა და მაგას ცოლშვილთან კელი არა აქვს. თქვენისა მეტს კაცს ვერავის თავის ნებით მიეეიდეს, თქვენთვის მოგვართმევია.

ქორონიკონს ტჟწ.

ვინც შემოგვცილოს, რისხავს წმინდა სამება და ყოველნი წმინდანი ღმრთისანი.

ხელოვა: სამებელი ნიკოლოზ

202. [ერთგულების წიგნი გოდგელისა და რუსთველისა ნიკოლოზ ალავერდელისადმი]*

[1711 წ. 17 დეკემბერი]

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისაითა, ესე ამიერით უკუნისამდე გასათვეებელი წიგნი მოგართუით. ჩვენ, ენდრონიკაშვილმან ბიდებელმან მთავარეფისკოპოზმან ზაქარიამ და ჩერქეზისშვილმან რუსთველმან მთავარეპისკოპოზმან ნიკოლოზ, თქუენ, ჩუენს ქელ[მწ]ოფეთ სასათლაოს წმინდის გიორგის მონასტერს და მის საფეთმპყრობელს, ამბა ალავერდელს ჩოლოყაშვილს ნიკოლოზს.

ძუ რომე: მეფის დავითის ბძანებით რუსთველმან პატივი მოიმატა და რუსთველს ბისონი ჩაეკეა.

ამისდა გარდა თუ ან სიტრა, ან გვირგვინის დაბერვა, მოვირლო-

---

* დაიბეჭდა დავით მეფის (იმამყულიხანის) სიგელთან ერთად (იხ. „ქართული სამართლის ძეგლები", ტ. II, 331—332).

მათ, ან სხვა რჯულიერის საქმის წინააღმდგომი შეეკრნათ, თქუენ ქრისტეს უერთსმყოფელი ვიყვნეთ და წირვისაგან დაყენებულ[ი] იყო.

თუ ან ჩვენ და ან ჩვენს უკან მოდებელმან, ანუ რუსთველმან ეს წიგნი გატეხოს და ამ საქმეზე ალაეერდლის წინა[ა]ღმდგომი შეიქნას, ღმრთის მგმობელად ეგრთხოს და კე[ლ]მწიფეთ სასაფლაოს შეცოდებად.

ქრისტიშობისთვის იზ გაკრულს. ქორონიკონსა ტჟთ.

ხელითა: მოდებელი ზაქრია. რუსთველი ნიკოლოზ

203. [ერთგულების წიგნი ნიკოლოზ რუსთველისა დომენტი კათალიკოზისადმი]

[1711 წ. ახლო]

... კათოლიკე სამოციქულოს ეკლესიას საყდარსა სვეტსა ცხოველსა და კვართსა საუფლოსა, მირონს ღმერთს-მყოფელსა და მაზედა [მჯ]დომარეს კათალიკოზს პატრიარქს დომენტისა ასე და ამა პირსა ზედა რომე;

ჩვენი ბატონი მეფე იმამყულიხანი დიდათ შემოგვხვეწათ ჩვენის ბისონის ჩაცმისათვის და ბატონი თქვენი ძმა, საქართველოს განმგებელი ბატონიშვილი ვახტანგიც შუა შემოვიდა; ჩვენს საყდარს ბისონი არა ქონდა და ჩვენი ბისონის ჩაცმა ორთავე ბატონებმან მოგვახსენეს. [და] თქვენც ნება დართევით და წყალობა გვიყავით და ბისონი ჩაგვაცვით*.

და ახლა ჩვენ ეს ფიცი და წიგნი მოგვირთმევია ჩვენ, რუსთველს ნიკოლოზს, რომე: დღეის იქით თქვენი მორჩილნი და ერთგულნი ვიყვნეთ და არც თქვენი წინააღმდეგობა ვქნათ და არც თქვენის საყდრის დასაკლის[ს] საქმეში გაგვერიოთ, თქვენის სიტყვისა და ბრძანების მორჩილნი ვიყვნეთ: რომელიც თქვენ შეკრათ, ჩვენც შეკრათ; და რომელიც თქვენ განხსნათ, ჩვენც განეხსნათ ყოველს ფერით. სულით და გულით თქვენი მორჩილნი და თქვენის ბრძანების განმგონე ვიყო.

ამის თავდებათ ჯერ ღმერთი და მერმე წმინდა ანტონი მარტომყოფელი მოგვირთმევია. და ესენი ასე გაგითათო.

ხელითა: რუსთველი ნიკოლოზ

---

* ბისონის წყალობის სიგელი იმამყულიხანისა იხ. „ქართველი საქართველოს ძეგლები", ტ. II, გვ. 330—331.

204. [შეწირულების წიგნი კათალიკოზს გრიგოლ ლორთქიფანიძისა მიმვინტისადმი]*

[1712 წ.]

ესპა ასულო შვენიერო, იოაკიმის ნაყოფო, სიტყბოებით აღსავსეო, ანნას შორისო, რტო გარდაუვნილო, სოლომონას ვენახო, რქა მეწამულო, დავითის ყვავილო, დაბადებულთა სუნნელმყოფელი, იესეს კეერაბო, დიდებით აღჭაღებულო, იუდას შროშანო, დაბადებულთა სამყაულო, იაკობის კიბეო ზეცად მიმართ აღმართებაო, ისაკის ვარდო უბიწოებით აღყვავებულო, აბრაამის კვირტო დიდებით აღმოცვრილნილო, სემის დასაბამო, ნოესავითა მშვიდობაო, ნოეს სულისა სამოსელო დაცულპოლველო, ევას ნაოფლო და მწუხარებისა უჩინო-მყოფელო, ადამის დიდებაო, სამოთხეო პირმეტყველო, ღმრთისა მაძისა მხოლოსა წინათვე გამოხრჩულო, და ძისა მხოლოსა პირველ სატკნეთა მაძისაგან შობილსა დედად ჭალწულებით უთესლოდ მშობლად გამწესებულო, და სულისა წმიდისა ტაძარო, რომელმან ერთი საშებისაგანი შეიწყნარე და უაღრეს ოველთა ბუნებათა, ქრისტე ძე მხოლოდ შობილი, ეღმობელად და ულხრწნელად; შეს გახდამოიყვანე ღმერთი ქუეყანად და აღიყვანე ადამ ზეცად.

შენ აღმაღლე ბუნება ჩუენი დაცემული და დაკვი საყდართა ღმრთაებისათა; შენ მშვიდობა ყავ შორის ღმრთისა და კაცთა ქვეყანისა და ცათა სისხლითა ძისა შენისათა; შენ დახსენ მტერობა იგი პირველი, რომელი იყო შორის ანგელოზთა და კაცთა, რაჟამს იქმენ ცა ქუეყანასა ზედან და მიწისა ზეცათა; შენ, ნათესავ-მოდგომობითა ბრწყინვალედ შემზადებულო;

შენ ხარ ტაძარი დიდებული, რომელმან ღმრთისა იგი მანანა დაიტიე; შენ ხარ სამანთლე იგი ოქროსა, რომელსა ზედან ვიხილეთ ნათელი დაუსრულებელი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა მომავალთა სოფლად და თვით მხოლოდ გიე მოუკლებელად და შეუცვალებელად ტაძარსა მაგას სიწმიდისასა, რომელი იხილა სოლომონ დამტევნელი დატევნელისა და ძველ ოდესმე მოსესგან მოგასწოეა კარვად საწეთფოდ;

ყოველად წმიდაო, ცათა დატევნელისა დამტევნელო, წმიდაო პიჭვინტისა ღმრთისმშობელო, ჩუენ ცუა-თვარეათა შენთა მინდო-

---

* ამ სიგელში შესულია დიდი ნაწილი 1306 წ. შეწირულების სიგელისა (იხ. ანჩაბაძე გვ. 645).

მილმან, შეწევნისა შენისა მოიმედოვნემან, ერდგულებისა მსახურ-
მელმან და მოსავმან სიწმინდისა თქვენისამან, ჩრდილოეთისა
და აფხაზეთისა კათოლიკოზმან* ლორთქიფანაძემან
ევლოგიმ[3] ბატონმან გრიგოლ გამოვთხოვეთ და შემოვწერეთ
მცირეესე დაწინი შესაწირავი:

თავს ხორგას ნაპარკვეს[2] სასახლე, მისის წყლითა,
ტყითა, ველითა, სასაწყლათითა, მამულითა და საყანითა, შეს-
ავალ-გამოსაველითა, მისის ყოვლისაცერითა; მოსახლე კაცი თავს ერთა
აზნაურისშვილი მორდებ გაგვებერია ორის მოსახლე გლე-
ხითა; მეორე ჰუჰუ დასტურაია, მისი ძმებითა და სახლკარი-
თა; მესამე მამაშიშ დასტურაია, მისის ძმებითა და სახლ-
კარითა; მეოთხე ხოჭოლავა სოგიჯუმი; შეხუთე ხაზა-
ია სარჯელია; მეექვსე ხაზავა ბაბადიშა.

ასე, რომე: პირველ ნეტსაძე კათოლიკოზს ბეჟან
წელუკიძისაგან ეყიდა და შეუწირავად დარჩომოდა, კათო-
ლიკოზი გორდიაცვალა და დადიანმან ლიონ დაიჭირა; ეს
დადიანი რომ გარდიცვალა, მეორეს დადიანისაგან და ბატონის გი-
ორგის ლიპარტიანისაგან ჩვენ ეიქრთამეთ და გი-
შოვნეთ.

კიდევ ოთხი მოსახლე ბერიები იმავ კათოლიკოზის ხელ-
შიდ ძიქელაძეს გიორგის შეეწირა და კათოლიკოზისა-
თვის წელიწადში წირვა დაედგა. კათოლიკოზი გარდაიცვალა, იმავ
დადიანს გამოეწირა; დადიანი გარდიცვალა და მეორეს დადიანისა-
გან და ბატონის ლიპარტიანი გიორგისაგან ჩვენ ეიქრთამეთ.

სხვა მირცხულავა ქორწე იმავ კათოლიკოზს ბაბა-
დიში ხახუასაგან ეყიდა და ხატისათვის შეეწირა, იმავ და-
დიანს გამოეწირა, დადიანი გარდაიცვალა, ხანე ჩიჩუას დარჩა და
ჩიჩუასაგან სამას მარჩილად ეყიდეთ.

კიდევ ჭითავა მღებელა გიორგი ცხინვა[ლ]ის შეილს
ცაიშვილს მიქსიძეს ყავდა, სამკვიდრო იყო მისი და მის-
გან ჩვენ ეიშოვნეთ მისის მამულითა, შვილიან-ყმიანათ, მისის ყოვ-
ლისაცერიანათ.

კიდევ ლეთონავა იოანეტე ასმანა[4] ფადეევის სა-
კათოლიკოზო კაცები დაეყიდა, იმაშად საეპატიოდ გამოერთმია

---

[1] ლორთქიფანაძემ B. [2] ნაპარკვეის B. [3] მანი A. [4] იოანეტე ასმანა] იხილე ეპისკოპოსი A.

* აქამდე B ნუსხას ტექსტი აკლია.

არცანდია ხუცესი; კიდევ მისი შვილები იმავე კათოლიკეთ-
ეშოვნა, ხატის მამულზედ დაესახლებინა.

ესენი ყველას სტანბილს დიდიანი რომ[1] მოკუდა, ამათ მოეწირა. ესენი ყველა ხელახლად გურიელის და გიორგი ლიპარტიანისაგან ეიშოვნეთ, ზოგი დიდის ჭრთამით, ზოგი ფასით.

ხობს: გაჯინედი საარიას, გიორგი მერკვრია, ბოლქვაძე ბიბია, ზოგი თათრისაგან დავიხსენით და ზოგი ბატონისაგან ეიშოვნეთ.

ზოსია სიჭინავა ბიას ხახუ ჩირეას სწირავში და ნაშახში ეიშოვნე. მანამდისაც ხატის შეწირული ყოფილაყო.

ნაქანევს[2] სოფელი ავჭახს ეყარა; სამოცი მოსახლე კაცი ნეფსაძე კათოლიკოზს ყვავუ შარვაშიძისა თვის[3] მიებარებინა, უფროსი ერთი დაყარგულაყო; ის კათოლიკოზი ეცადა და ჩვენც ვეცადეთ, მაგრამ ვერ ამოვიყვანეთ, შარვაშიძე რუხს მოკვდა; წაველით და უწირეთ[4], ნიშანიც მართებული ავიღეთ; მეტი აღარ იყო. შვიდი მოსახლე კაცი წამოვიყვანე მათის ყოველისფრითა: ლურბელიან[5] ამახსნელი და მისი სახლისკაცი ელიშია ხუხა და მისი ძმები კოტია, ზუმილა, ჯგუბერია, სუბუქია, ბიგვაევი და უჩაია და ერთი მოჯალაბე.

სხუა კიდევ ელიშახუ[7] ნანაის შვილი ნარმანია და ხუცობავ[8] პაპა ენგურიდგლმი ყველა ფასით აღმოვიყვანე. ზოგი ხიბულას დავასახლე და ზოგი ხობს.

აწე ჩვენი ცოდვილი სელოს საოხად ამ კაცების ყველასათვის სანთელი დაგვიცს ბეგრად.

მართებს მორდებ გეგებერიას ორს მის გლეხს — ლილარიკი სანთელი ოთხი, დასტურიას ჰუმეს — ოთხი, მამაშის — ოთხი, ხოჭოლავას — სამი, ხაზავას ორს — ორ-ორი, ქობულას მირსხვლავას — ოთხი, ჭითავი გიორგის — ხუთი; ამიტომ, რომე ერთი მესანთლე[9] გლეხი იყარა ოფხაზისაგან, იმისსეული პარტახი მიეცი: ლეონავას — ოთხი, არცანდიას — სამი; ხობს; მერკვირიას — სამი ლილარიკონი, გაჯინედი საარიას — სამი, ბოლქუაძეს ბიბიას — სამი.

კიდევ ხორგას ოთხი[10] — ბერაიებს, ხუცესს — სამი

---

[1] — რომ დიდიანი A. [2] საარია B. [3] ხაჟანავს A. [4] ყუაბ შავრაშიძისათუს B. [5] უწირეთ] ვიტირეთ B. [6] ღრებელია B. [7] ულიშახუ A. [8] ხუცობაეი A. [9] მესანთლე] მისახლე B. [10] ოთხს A.

ლაღარიკონი, სამს მოსახლეს: ბატკუას, მაჭაგულას დოხვადიას — ორ-ორი ლაღარიკონი, ეცოდია გეგენავას — ორი, ბიას: ხოსია სიჭინავას — ხუთი, ენგურაულს გალმართელს ნაყარეულებს ღურბელაიას[1] — ორი ლაღარიკი, ელიშიას — ორი, ნანაიშვილს — ორი, ნარმანიას — ორი, კოტას — ორი, ჯგუბურიას — ორი, სუბუქიას — ორი.

ამ მესანთლე კაცებს ხუ გასცემს ბატონი კათოლიკოსი. თუ ან წინამძღვარს ანუ აზნაურშვილს მიეცეს სანთლის ბეგარა, ხატს ბიერთმეოდეს.

ვინც შეხადილე კაცი იყოს, ამ სანთლის მაგიერათ საჩუქარი წეგავწევია; და მეღორე კაცისათვის უმცროსი საკლავი შეგვიწევია.

სანაბაგედიოს მართებს: ხოსიას — სამი, სარჯველიას — სამი და ეჯე ბიას — ორი. ამ სამს მოსახლე კაცებს სხვა ბეგარა არა ეთხოვებაო რა საყდრის სამსახურის მეტი.

მათხოვს: წულუკიძის ნაყმევი კაცი ბარაბაძენი[2] გიორგი დადიანს ყავდა და მან გვიბოძა დათუა, ოთანე და ნასჩიდა. ამ გლეხებს სხუას ბეგარას ვარდაის მესამე წელიწადს ოთხ-ოთხი საკლავი ემართა. სამს საკლავში ორ-ორი შამახური სანთელი დავადევით, ბიჭვინტისა ღმრთისმშობელს შევსწირეთ.

კონტოათს[3]: რუხვაძე გეგუტა და მისი ძმა მეფის ხოტივარი იყო. მეფე გიორგის ვთხოვეთ და ჩვენ გვიბოძა, ჩვენ ხატს შეუსწირეთ. სხვას ბეგარას გარდაის ერთი საკლავი და შესი ქათმები ემართა. მას მაგიერად ერთი შამახურა სანთელი დავსწირეთ.

გეგუთს: ქაიხოსრო იაშვილს საკანონო საქმე დაედვა. იმაში ერთი მოსახლე კაცი დედისაძე მოგუცა. სხვა ბეგარას გარეთ ორი საკლავი ემართა; მის მაგიერად შამახური ნახევარი სანთელი დაგვადევით, ხატს შევსწირეთ.

თექლათს: ქანდელაკის შვილი სალაყაია კოჩალეი[4], დადიანმა გიორგიმ ნაგუაზოვს ხატის ყმა აყარა, მის მაგიერად საეპატიოდ მოგუცა, ხადილი ემართა; საჩუქრის მაგიერად ლოღარიკი ოთხი სანთელი დაგვიც, ბიჭვინტისა ღმრთისმშობლისათვის შეგვიწირავს.

---

[1] ღრუბელიას B. [2] მარაბაძენი B. [3] კონტეთის B. [4] კოხიეი B.

ჩხარს: ოვან ტენტერა გოთგი აბაშიძეს გან დიდის ფასით ვიყიდეთ[1]. ადგილიც უფროსი მივეცით და[2] ცაც მაგიერი; ლიტრა და ნახევარი საკმეველი დავადევით და[3] შევსწირეთ, ყოველს წელიწადს გელათს კათალიკოზის წინამძღვარს მოუტანდეს.

ოკრიბას ხრესილზედ: ობოლაძენი და კუბლაშვილნი ნემსაძე კათალიკოზს ალექსანდრე მეფისაგან ეშოვნა და ბეგარა დარჩენოდა, არ მოეკითხა[4]. ჩვენ მოკითხული ვქენით, იაშვილის ნაყმევი[5] კაცები ყოფილან და ბეგარი ბეგარა მაროებოდათ. ყველას ჩვენ არ გამოვეკიდეთ[6] და თითო შამახური სანთელი დავადევით: კუბლაშვილს ნასტიდას — ერთი შამახური, ობოლაძეს ითამაზას და ძის ძეებს — შამახური ერთი, ქებიას[7] და მის ძეებს — შამახური ერთი, მითირიშვილებს — შამახური ერთი, მამუკას — შამახური ერთი, ამ ობოლაძენს, კუბლაშვილს, ჩხარს ტენტერას სხვა ბეგარა არა რაჲ ეთხოვებოდეს, არც ბატონისაგან და არც მოხელისგან.

ამას გარეთ ოკრიბაში საკათალიკოზო კაცებს ზემო სოწერეს[8], ბეთის, ოხუამირას, სორმონს, რიონს, ყველას თეთრის ბეგარა ეძართა მისი რიგისათ; ხატს არას ემატებოდა და[9] სხვარიგად იხარჯებოდა. აწ ჩვენ მის მაგიერათ სანთელი დავეც: რუბის თავს — ჩარეკი და მარჩილის თავს — შამახური. ეს ოკრიბელი ბეგრის სანთელს გელათს კათალიკოზის წინამძღვარს მოუტანდენ უკლებად.

კიდევ მათხოვს ყველას თეთრი ბეგარა ეძართა მისი რიგად და[9] ეხლა ცუდად იხარჯებოდა. ხატს არას ემატებოდა. მისი მაგიერად სანთელი დავუვეც: რუბის თავს — ჩარეკი და მარჩილის თავს — შამახური ყოველს წელიწადს ბიჭვინტისა ღმრთისმშობელს მიუართმეოდეს.

როდესაც სანთელი გაძვირდებოდეს, ამ თეთრის ბეგრის სანთელშიდ წინამძღარი შეღავათს უზამდეს ფლუქს მისი რიგისად.

ეს მესანთლე კაცი რაც გაიყოს, სანთლის ბეგარა მთლად გაყვებოდეს და გასამყოფლო არას კაცისაგან[10] ეთხოვებოდეს.

თუ ყამთა ვითარებისაგან ისაროს, ვისაც იმას[11] პარტახი მიეცემოდეს, სანთლის ბეგარა გაყვებოდეს.

---

[1] ვყიდეთ დიდის ფასით B. [2] და — B. [3] + და B. [4] ხყვნები A. [5] გვაცილდეთ B. [6] და — B. [7] ქ-სეშის A. [8] ზემოთ სწერს B. [9] და — A. [10] არას კაცისაგან] არაფრისგან A. [11] იმას — B.

თუ გლეხი ან წინამძღვრის იყოს ანუ აზნაურისაშვილის, სანლეული[1] მაშინე ხატს მიერთმეოდეს იმერეთსაც და ოდიშსაც.

შეიწირე წმიდათა სამების ცოცხალი ბიჭვინტისა ღმრთისმშობლისა ცოდვილისა სულისა ჩვენისა საქსრად და საოხად, ცოდვათა ჩვენთა შესანდობელად.

ოწე ჩვენთა შემდგომნი ნეტარნო კათოლიკოზნო, ქრისტეს მიცვ კურთხეულნო, პატრიარქნო მეფენო და დედოფალნო, კათოლიკოზნო ცხენო დეკდიელნო, მართლმადიდებელნო მთავარნო, დიდებულნო ლარბაზის ერნო, კათოლიკოსნო მსედრობანო[2], აზნაურნო და ყოველნი[3] სახლის უფალნო, ამას მოგახსენებ და გეუდრები, რათა დიდისა და ცოცხა მოხმაძვისა ბიჭვინტისა ღმრთისმშობლისა ჩვენ მიერ შეწირული სოფელი და[4] დაეთარი და სანთლის გარიგებელობა არ მოშალოთ და ასე დაამტკიცოთ.

უჯერო და უსამართლო არა მიქმნია, ჩვენ რომ კათოლიკოზობას მოვესწრათ, საკათოლიკოზოს მონასტრებზედ სული იმერეთ-ოდიშის-გურიიანათ თორმეტი ლიტრა სანთელი არ ვოვიდოდა. და[4] ახლა ჩვენ გამოძიებითა და გამოწველილვით სხვა ბეგარას მოვაკელით, შაღვათით[5] სანთელი დავადევით.

არ-მომშლელნი, შემწენი და[4] დამამტკიცებელნი ამისნი კურთხეულ იყავნ უკუნისამდე ამ[6] სოფელსა და მერმესა მას საუკუნესა. ამინ.

ვინცა და რამანცა ძეთან ქალისაგან, დიდნან ანუ მცირემან, თავადთა ანუ დიდებულთა, აზნაურთა ანუ მსედრობათა[7], ჭელმწიფეთ კარის მოხელეთა ანუ სოფლის მოურავთა და მამასახლისთა ეს ჩვენგან შეწირული და ახლად გაორიგებული ან ქალი, ან მიწა-მამული, ან ტყე და წყალი, ან სანთლის ბეგარა ბიჭვინტისა ღმრთისმშობელს გამოსწიროს, ანუ შლად და ქცევად ჭელჰყოს, იქვენ გაურისხდით საშინელო ბიჭვინტისა ღმრთისმშობელო, და ძე შენი ტკბილი იესო ქრისტე ღმერთი; და წყეულ და შეჩვენებულ ამყოფე ღმრთისა დასუსაბამოსა პირისაგან, რომელმან შექმნა საუკუნენი;

კრულმცა არს სამკვიდრებელი მათი, სული და ჯორცი მისი; კრულ, წყეულ და შეჩვენებულმცა არს სახლი, სამყოფი მისი; კრულ, წყეულ და შერვენებულმცა არს პატიოსნისა და ცხოველს მყოფელისა ჯუარისაგან, რომელსა ზედა განიპყრნა უხრწნელნი ჭელნი თვისნი ჭსნისა ჩვენისათვის[8] ქრისტემან ღმერთმან ჩვენმან;

---

[1] სანთელი—B. [2] მხედრნო A. [3] ყოველსა—B. [4] და—A. [5] შეღვათით A. [6] ამას B. [7] მხედრობამან B. [8] ჩვენისა A.

წყეულმცა არს წმინდათა ზეცისა ძალთაგან; წყეულმცა არის ყოველ-ნათლისმცემელისაგან; კრულმცა არს წმიდათა და ყოველად ჭვრეტილთა მოციქულთაგან; კრულმცა არს შვიდთა კრებათაგან; კრულმცა არს ყოველთა ღმრთისა წმიდათაგან, რომელნი სამკუნიდგან სათნო ეყვნეს უფალსა ჩუენსა იესო ქრისტესა და აწცა საუკუნოდ ყოფად არიან.

ამა მცნებათა და ჩუენგან შეწირულთა[1] მრღუელნი და შემაქცეველნი და შემცთარებელნი კრულ და შეჩუენებულმცა არიან ცათა და ქუეყანისაგან, ჯორკოთა და სულითა, თავითა და ცოლითა და შვილითა და შვილის შვილითა, მისთა ერთგულითა; არისმცა ესე სოფელი მისთვის მოკლე და უსარგებლო; არისმცა ცოლი მისი ქვრივ და მწუხარე, შვილნი მისნი ობოლ და შერყეულ და[2] დაცვივნებულ, ვითარცა მართუენი ყორნისანი; უსაყოფმცა არის ყანა, სათესავი მისი[3] არა არს თესლისა გამომღებელ, მამული მისი უნაყოფომცა არს[4] და ნუ შეიკრებს მისგან ნაყოფსა;

წყეულმცა არის[5] მისი ცხენი და ზროხა და ყოველი საცხოვარი მისი; ნუმცა ეპოების სახლისა მისისაგან ნუგეშინის ცემა[6];

კრულმცა არს თავი მისი მპარსთა მისთა ზედან; კრულმცა არს მხარი[7] მისი წელთა მისთა ზედან; კრულმცა არს წელნი მისნი თეძოთა მისთა ზედან; კრულმცა არს თეძონი მისნი წყვილთა მისთა ზედან; კრულმცა არს წყვილნი მისნი მუხლთა მისთან ზედა[8]; კრულმცა არს მუხლნი მისნი კოჭთა მისთა ზედან; კრულმცა არს კოჭნი მისნი ფერხთა მისთა ზედან; კრულმცა არს[9] ფერხი მისი მიწათა, აღგილთა და სამყოფთა მისთა[10] ზედან.

კრულ[11] არს აღგილი იგი მისთვის, სადა დასდგენ ფერხნი მისნი; კრულ[11] არს თვალნი მისნი სახედველად და მხედველად; კრულმცა არს პირი მისი პურის მჭამელად, ენა მეტყველად, ჭელნი საქმნელად, ფერხნი სავლელად, გული თქმისა გასაგონებელად; კრულმცა არს იგი და მისი გასაგისი, მისი განსაგებელი სხვამან მიიღოს.

კრულმცა არს სიცოცხლე მისი[12], კრულ არს მისი საკვდილი, კრულ არს მისი საფლავი, სადა დაეფლვის[13]; ნუმცა იხსენების სულითა და ჯორკითა, თავითა და ცოლითა და შვილითა და ყოველითა მისითა განსაგებელითა; ნუმცა იხსენების წირვითა ეპისკოპოსთა და მღდელთათა, ნუმცა იხსენების იერუსალემსა წასვლითა; ნუმცა

---

[1] შემოწირულთა A. [2] და—A. [3] მათი B. [4] არს—A. [5] არის—B. [6] ნუგეშინის ცემა] სახეგეშინისცემო B. [7] ხარი] თავი B. [8] კრულმცა... ზედან—B. [9] კრულმცა არს] კრულია A [10] მისთა—A. [11] კრულმცა B. [12] მისი—B. [13] დაიფლვის B.

ლოცვითა მოსაზრთათა, ნუმცა გლახაკთ მიცემითა, ნუმცა მწყრალად განძლომითა; არარაი ქველის საქმე[1] ეროს მას; ყოველნიმცა უსაზღვრო გებლობის მისთვის.

ვინცა ეს მცნება და ესე ჩვენგან[2] გაროგებელობა და შეწირულობა მოშალოს, იყოს ნაცვლად მისდა, სადა არს ტანჯვითი სპყოფი ქრისტეს უარისმყოფელთა, ბნელი წყვდიადი განუხაოლებელი, ვაებითა აღსავსე, ცეცხლი უშრეტი და მატლი უძილი, ტარტაროზი, გლოვა უნუგეშინისცემოდ და ღრჭენა კბილთა, ნისლი წყვდიადი, საბერველი თვალთა მყოფთა ფსკერთა[3] ჯოჯოხეთისათა; ნუმცა არს ხსნა და გამოხსნა მათ მიერ ვიდრე უკუნითი უკუნისამდე, ამინ, ამინ.

ხოლო დამამტკიცებელნი ამისანი ღმერთმან აკურთხოს და წმინდამან ბიჭვინტისა ღმრთისმშობელმან.

და[4] მშვლელნი და მაქცეველნი ამისნი წყეულ და შეჩვენებელ-ცა არს აწ და უკუნისამდე, ამინ.

დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ქორონიკონსა ქრისტეს აქვთ ათას შვიდას და თორმეტსა[5].



კედზე:

საწირეს პატრონმა მეფემ ალექსანდრემ და ბებია მისმა პატრონმან დიდებულის ქალმან მათის სულის საოხებლად და ცოდვათა შესანდობელად შემოსწირეს მისი მეზღარე ციროკაძე[7] სეხნია და მისი შვილები წმინდას ბიჭვინტისა ღმრთისმშობელს. მისი სამსახური: პატრონს კათოლიკოზს უნდა აბლდეს გაუყრელად და ბეგარა ჩარექნახევარი სანთელი აძეს. მისი[8] მეტი არაფერი.

205. [მეწირულების წიგნი კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძისა ბიჭვინტისადმი]*

[1706—1712 წწ.]

...შენ შენდ ცალი უმაღლესო ბიჭვინტისა ღმრთისმშობელო, ჩუენ, ცვა-ფერვათა შენთა მიხდობილმან და მსახებელმან ნრდილოეთისა ეფხაზეთისა კათალიკოზმან ლორთქი-

[1] არაა B. [2] ყოსიმცა B. [3] ჩუენგან—B. [4] თქერია A. [5] და—A. [6] ათას შვიდას და თორმეტსა] ჩღინ ტ-Ი B. [7] ცირეგიძე B. [8] მის—B.

* შდრ. 1706 და 1712 წლების შეწირულების სიგელებს (იხ. №№ 195 და 204).

ფანიძემან გრიგოლ კალმოთ და მოგვკუნეთ ნაწარ-
კავს სამახლე და მისი შემდეგი აზნაურისშვილი და გლეხი. ფეოდალური
რომე: პირველ ნემსაძე კათალიკოზს ბევან წელუ-
კიძესაგან შეიდას ძარჩილად ეცოდა და შეუწირავად დარჩე-
ნოდა.

მერმე ის გარდაიცვალა; სადადიანოდ განკდა დადიანობა გუ-
რიელს მამიას დარჩა და თავობა გიორგი ლიპარ-
ტიანს.

ჩვენ ჭელაბლავ დიდის ქრთამითა ვიშოვნეთ ამათგან და თქე-
ენთვის შემოგვიწირავს ჩვენის ცოდვილის სულის საოხად: და სან-
თლის ბეგარა დაგვც თავს:

მორდებუს გიგიბერიას ამ ხატის საწირავი ემართა,
მისთვის ნამეტნავი ვერ დავადევით, სამი ლოდარიკონი სანთე-
ლი მორდებუს

ავრიან გიგენავას საწირავი მართებს ორი ლოდარიკონი
ეკადი გეგენავას და მის ძმებს ხუთი ლოდარიკონი
ლეონავას ინალუბუს და მის ძმებს ხუთი ლოდა-
რიკონი

ჰუბუი დასტურაიას ხუთი ლოდარიკონი
თრმიხელი დასტურაიას, ხვრა ხუჰუდავას
შვილებსა სამი ლოდარიკონი სანთელი
ბაბადიშახაზავას ორი ლოდარიკონი

მეორე ხაზავას მიკურცხია და სარჯულიას
ორი ლოდარიკონი

თომა ბერაიას ხუცესს სამი ლოდარიკონი
პატკუა ბერაიას სამი ლოდარიკონი
მჭაგული ბერაიას სამი ლოდარიკონი
ამაებსა საწირავი არც ერთსა მართებს.

ამას გარეთ კიდევ ბიჯოვია მისხელავა ნემსაძე
კათალიკოზს მამა-შვილნი ცალ-ცალკე ეყიდა, ხატისათვის
შეეწირა; კათალიკოზი გარდაიცვალა, ისევ გამოეწირათ. ჩვენ ჭელ-
აწლა პეპუნა ფალავასაგან ორას სამოც მარჩილათ ვიყი-
დეთ, თქვენთვის შემოგეწირავს და სანთელი დაგვც: ხუთი ლოდა-
რიკონი ყოველს წელიწადს მოგართმევდეს.

სხვა კიდევ სახარბედიოს: ჩიჩუას ნაყმევი კაცები ორი
გლეხი ბოსია და სარჯულია ნემსაძე კათალიკოზს
ერთი ჯგემოთდილი ჩიჩუასაგან და მეორე პეპუნა

ჩიჩუაძეებმა წელიწადს მაგიერობად გამოერთმიათ თქვენთვის შემოეწირა.

ჯელაქლა მათი ბეგარა მოვიკითხეთ; როგორათაც გლეხს ეკითხა, ის ამოუწურე. მაგიერად ხატისათვის სანთელი დაესდეგი: თითი ლიტრიანი ხოსია ხარბედიას, თითი ლიტრიანი სანთელი სარჯელიას.

კიდევ ერთი გლეხი იქაც ეკიდია ნემსაძე კათალიკოზს ორი ტყვს ნაქურდალში ეშია დადიანისაგან. ახლა ჩვენ შემოგვწირავს, ორი ლიტრიანი სანთელი დაგვაც.

*ასეა ამას გარეთ გაჯინედი საათრია სადადიანო კაცი იყო, რუხეს რომ ლეკან დადიანი მოკუდა, მისი სიცოცხლეშიდ დადიანის ალნებით ნემსაძე კათალიკოზს მოსლოდა. მას უკან ბეერს ავს დროშად შემოეარა, კიდევ ერჩინა; მას შეუწირავი დარჩა. ახლა ჩვენ შემოგვწირავს გაჯინედი საათრია, ერთი მისი ნათესავი საბა, ესენი მათის ყმითა და რისაც მქონებელი არის, მისის ყოლისფერითა.

კიდევ სადადიანო კაცი თამაზ მერკვლია ნემსაძე კათალიკოზს ეშოვა, დაერჩინა. ახლა ჩვენ მისი შვილი დაურჩა და შემოგვწირავს მისი ყოლისფერითა; ორი ლიტრიანი სანთელი დაგვაც.

კიდევ ბიბია ბოლქვაძე აცუხაზს ცოლიან-შვილიანად წაეყვანა. ნემსაძე კათალიკოზს სორეულისაგან დაეხსნა, ნოჯიხევს დაესახლებინა. ახლა ჩვენ ერთი მისი უფროსი შვილი თათრისაგან ას მარჩილად დავიკუსენით; სამოცი მარჩილი ბიჭვინტისა ღმრთისმშობლის ბარჭაში გეიცა. მას უკან ბიბია და მისი შვილები წართმეული გუჯაუდა. ბატონი გიორგი ლიპარტიანის წყალობითა ამოვიყვანეთ და მამიან-შვილიანათ მათის ყოლისფერით თქვენთვის შემოგწირავს და სამი ლიტრიანი სანთელი დაგვაც.

კიდევ ამას გარეთ წყალიძგას ანდრეათს ერთი გლეხი ჭკადესუა მამიხეხე გაყიდული სათათრითგან ჩვენთან მოვიდა, მისი ძმა ბაბუა გაყიდული ქართლიდან ვიშოვნეთ. მათი ძირი მამული და ადგილი ბატონმან გიორგი ლიპარტიანმან და დედოფალმან გვბოძა.

---

* მინაწერი კიდეზე: „შეჯერებამდა ამოგვეკვეთია. არის ამისი მიწერა ჩიჩუა ხახუ და სულებით ჩვენი შინაყმანი: ხელძე ქვიბოსტრო, ბაბუში ჯარჯიკა, თევზაია შოშიტა, მახარებელი გეგეჭკორი, ვისც ეს წიგნი მიაკითხოს, შეუნებებულ იყოს".

აწე ჩენ მათი ცოლ-შვილითა, სახლეულითა, მამულით, ხალხით, ლათ, ტყითა და წყლითა, მათის ყოველისაფერითა შემოგვწირავს ერთი მოსაბლე კაცი ჰკლუსუა მამიხუხუ ბაბუა და დაგვც ექვსი ლოდარიკონი სახთელი.

თავში ბეჭედი: მეუფე და მღუდელთ მთავარი აფხაზეთის კათალიკოზი გრიგოლ ქას ტბდ.

206. [შეწირულების გუჯარი წინამძღვარ ოთოზრე მაჭუტაძისა დავით-გარეჯისადმი]

[1712 წ.]

ქ. ეჰა, დიდება, პატივი და თაყვანისცემა დასაბამთა საფუძველისა დამდებელსა, დამჭვრელსა ცათა და მყუდანასასა, ღმერთსა საუკუნოსა, მოუწდომელსა, ჯხილავსა, დაუსაბამოსა, უცვალებელსა, ტკორცოსა, დაუსრულებელსა, მარტივსა, უცვალებელსა, უფსკრულსა, უსაზღვროსა, უნივთოსა, ურაბამოსა, გარეშემოუწერელსა, უჭნებელსა, წყაროსა სახიერებისა და სიმართლისასა, ნათელსა მოუახრდილებელსა, ძლიერება თვალთ-შეუდგამსა, ეზოშთაესსა ყოველისა საზომისა და მიწთომისა, ჭეშმარიტსა, ყოვლად ძლიერსა, ყოველთა შემოქმედსა, ყოველთა მბედველსა, ყოველისა მპყრობელსა, ყოველთა გამგებელსა შეუფესა და ქელმწიფე ერთსა ღმერთსა. სამგუამოვნებით ცნობილსა მამასა და ძესა და სულსა წმიდასა, ყოვლად განუყოფელსა, თვისიერ უამოვნებისა და თვითებისა, მამასა უშობელსა, ძესა შობილსა და სულსა წმიდასა გამოსულსა. მამას მიზეზსა ძისა შობისა და სულისა გამოვლინებისა, ცნობილსა მამასა ღმრთად და მამად და ცნობილსა ძესა ძედ და ღმრთად და ცნობილსა სულსა წმიდასა მამისაგან გამომავალსა სულად და ღმრთად.

და აღვიარებთ წმიდასა სამებასა ერთ-არსებად, ერთ-ბუნებად, ერთ-ძალად, ერთ-ნებად, ერთ-მთავრობად, ერთ-ქელმწიფობად, ერთ-ტფლებად და ერთ-შეუფებად სამითა გუამთა სრულთაჲთა, რამეთუ შეურევნელად შეიერთების წმიდა იგი სამგუამოვნება და განუყოფლად განყოფის საკვირველად მამა უშობელი და დაუსაბამო, ყოველთა მიზეზი. რამეთუ იგი მხოლო არს უმიზეზო და უშობელი, ყოველთა შემოქმედი; რამეთუ ოდეს იყო მამა — იყო ძეცა და სული წმიდაცა, ვითარმედ თვისიერ ძისა არა იყო მამა,

არამედ იყო ძე მამისა თანა თანაარსი და თანამოსაყდრე უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, რამეთუ ყოველივე მის მიერ შეიქმნა, ხილვადნი და უხილავნი, ტახტნი თუ ბატონობანი, ანგელოზნი თუ ხელმწიფებანი, ყოველნი დაბადებულნი და თვითიერ მისსა არცა ერთი რა იქმნა, რომელი არ იქმნა.

ეგრეცა სული წმიდა თანა-გამგებელი, უფალი ცხოველმყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისა და ძისა-თანა თაყუანის იცემების და იდიდების, ვითარცა თანაარსი და თანა-დასაბამო სული წმიდა, სული ღმრთისა, სული წრფელი, სული მთავარი, წყარო ცხოვრებისა და სიწმიდისა, ღმერთი თანა-მამით და ძითურთ, დიდებული, დაუბადებელი, ყოველთა დამბადებელი, ყოველისა მპყრობელი, ვითარცა მამა და ძე. რამეთუ არა შეიცვალების მამა ძედ და სული წმიდად და არცა ძე მამად გინა სულად წმიდად.

და არცა სული წმიდა იჩემებს მამობასა, გინა ძეობასა, არამედ ერთ არიან სამნივე ღმრთეებითა და ბუნებითა, თვინიერ უშობელობისა, შობისა და გამოსვლისა; და რა არს უშობელობა, გინა შობა და გამოსვლა წმიდისა სამებისა, მან მხოლომან უწყის და ჩუენდა გამოუცხადებელ არს.

რამეთუ ესრეთ იყვენ ცხონება და გულისხმის-ყოფა მამისათჳს და ძისათჳს და სულისა წმიდისათჳს, არა განიყოფებიან ძალითა და კელმწიფობითა, რომლისაგან შეიქმნეს ყოველნივე ხილულნი და უხილავნი, რაოდენნი იხილვებიან და რაოდეს უხილავ არს ცასა და ქუეყანასა შინა, წყალთა, მიწათა და ბორკვთა შინა.

და კვალად აღიარების ერთი წმიდა სამებისაგანი; მეორე გუამი — ძე ღმრთისა და ძე კაცისა, პირველ საუკუნეს მამისაგან შობილი უკეთოდ და შემდგომად აღსრულთა ჟამთასა ქალწულისაგან განჯორციელებულ ქმნილი ჭეშმარიტ სრულად ღმრთად და სრულად კაცად, ორითა ბუნებითა და ერთითა გუამითა საქმრთოთა, ვითარცა ბძანებს წმიდა სახარება: «მე და მამა ერთ ვართო»*; და კვალად იგივე ბძანებს: «მამა ჩემი ჩემსა უფროს არსო»**, რამეთუ მამისა სწორობით კაცებაჲ ღმრთეებაჲ ბუნების მომმსწავებელ არს და მამის უფროსად ჴსენება კაცობრივსა ბუნებასაა მოსაწავებს.

ხოლო სიბრძნით გამგებელისა წმიდისა სამებისა, რომლისა მარჯუენით მდგომარე არს წმიდა მარიამ, საუკუნოს მამის ასული და დედა ძისა და დედოფალი სულის წმიდისა; და კვალად არიან

---

* იოან. 10,30.

** იოან. 14,28.

ძადიდებელად წმიდისა სამებისა: საყდარნი, სერაბინნი, ქერობინნი, უფლებანი, მთავრობანი, ძლიერებანი, კელმწიფებანი, მთავარანგელოზნი და ანგელოზნი; და კვალად მოციქულნი, წინასწარმეტყველნი, მღდელთ-მოძღვარნი, მოწამენი, მამანი, მამათ-მთავარნი, ქალწულნი, მარტვილნი და ყოველნი წმიდანი მისნი.

და დაუცუმებელითა ჴმითა სამგზის წმიდისა გალობასა იტყჳან: «წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ». სავსე არიან და ყოველთავე ცათა აღავსებენ სამოწილისა დაღადებისა მათისაგან; და სხუანი სხუასა საშინელსა გალობასა იტყჳან და სხუანი სხუასა; და სხუანი იტყჳიან: «წმიდათ ღმერთო, წმიდათ ძლიერო, წმიდათ უკუდაო, შეგვიწყალენ ჩუენ»: უგალობენ და აღიდებენ წმიდასა სამებასა ერთარსებას, რომელმან შექმნა ადამ — პირველი კაცი, ვითარცა თქუა: «ვქმნათ კაცი სატად და მგზავსად ჩუენდა»,* რომელსა უბრძანა აღორძისება და განმრავლება, — და აღორძ[ი]ნდენ და განმრავლდენ ესრეთ, ვითარცა უწყით.

ხოლო ჩუენ, მსახსოებელმა შენმან, ცოდვილმან და ყოველთა მოსაზოლთა უნარჩევესმან, მტკაცესა ამას სარწმუნოებასა ზედა მყოფმან მაჭუტაძე ონოფრე, ყოფილმან ინასიფორემ, წინამძღვარმა ამა შენისა უდაბნოსამან, ჰი წმიდათ დავით გარესჯელო, ვიღაწე და ვიშრომაე კნინნი ესენი და შევსძინე წმიდასა სამარხოსა შენსა, რათა მეოხ მექმნა წინაშე ღმრთისა დღესა მას დიდსა განკითხვისასა.

რამეთუ ქორონიკონი იყო ქრისტეს აქათ ათას შჳიდას ათთრმეტი, ქართველთა მეფეთ-მეფისა, ყოვლად უძლეველისა, მჴნისა და ახოვანისა, დიდისა და დიდად საჴელგანთქმულის თეიმურაზ კახთ მეფეთ-მეფის ძის ძისა, პირველის ერეკლესა და დედოფალთ-დედოფლისა ანნასი და ძისა მათისა იმამყული კახთ მეფისა და ძმისა მათისა თეიმურაზისა; მრავალმც არიან წელნი ცხოვრებისა მათისანი.

ხოლო მათის შეწევნითა და ჴელის მომართჳითა აღვაშენე: უდაბნოსა შინა საყდარი იოვანე მახარებელისა და კვალად პალატები და სხვანი კეთილნი კლდის სახლები, გალავანი და კოშკები და საყდრის კანკელი ზევრის ხარჯ-გაწევით მურასად დახატული.

---

* შდრ. შესაქმეთა 1,6.

და შეეამკეც პატიოსნის ხატითა, ჯვარითა, საწმიდის იარაღით, სამოსლითა და წიგნებითა.

რამეთუ ძალუნია წმიდის დავითის საფლავ[illegible]

ხატი მოჭედილი მაცხოვრისა ერთი, არსების ხატი მოჭედილი ერთი, ხატი ყოვლად წმიდისა მოჭედილი ორი, ხატი ყოვლად წმიდისა კარიანი ერთი, ხატი ყოვლად წმიდისა გარდამოქსნისა ერთი, ხატი მოჭედილი სამებისა ერთი, ხატი წმიდის ნიკოლოზისა ერთი.

წმიდის ნიკოლოზის საყდარში ასენია:

ხატი მოჭედილი წმიდის ნიკოლოზისა ერთი, ხატი მოჭედილი ყოველად წმიდისა ერთი, ხატი მაცხოვრისა ერთი.

იოვანე მახარობლის საყდარს ასენია:

ხატი იოვანე მახარებელისა კარებიანი რუსულად მოჭედილი თვალებითა და რუსულის მარგალიტებითა ერთი, ჯვარი ოქროსი მინაგრით მურასა თვალითა და მარგალიტითა ერთი, ხატი ალდგომისა ერთი, ხატი თორმეტ საუფლო კარიანი ერთი, ხატი წმიდის ნიკოლოზისა ერთი, ხატი წმიდის ელიასი ერთი, ხატი იოვანე ნათლისმცემლისა ერთი, ხატი ყოველად წმიდისა და პეტრე-პაველესი ერთი, ხატი ფერის ცვალებისა ერთი.

ამათ გარდა სასენაკო მღვიმის წინამძღვარს ესენია:

წმიდის ნიკოლოზის ხატი ერთი და ყოველად წმიდისა ერთი, პარაკლისის ხატი ყოველად წმიდისა ერთი, ბზობისა ერთი, შიოს ხატი მოჭედილი მაცხოვრისა ერთი და ყოველად წმიდისა ერთი;

იმერეთს გრიგოლს: ხატი სამებისა ერთი, მეორე გრიგოლს ხატი ყოველად წმიდისა ერთი;

გურიელ ნიკოლოზს: ხატი სამებისა ერთი, დემეტრეს ხატი მაცხოვრისა ერთი, პაველეს და სილოვანეს ხატი მაცხოვრისა მოჭედილი ერთი, გერმანეს ხატი წმიდის ნიკოლოზისა ერთი, ბართლომეს ხატი კოზმან და მიანესი ერთი.

ბოვნელის საფლავზე ასენია: ხატი მოჭედილი ყოველად წმიდისა ერთი და სამებისა ერთი.

არის შესამოსლის იარაღი

იეზდის ისფერის ფარჩის თაეის შეფერებელის ამბითა პასონი ერთი; ფილონი თეთრის ბარისა სირმით ნაკერის სამკრითა ერთი; ფილონი თეთრის დიბისა მძიმედ სირმით ნაკერის სამკრითა ერთი; ფილონი ჩაქსული ყვითლის დიდის დიბისა ქაის მძიმეს ამბითა ერთი; ფილონი შავის იეზდის ფარჩისა წითლის იეზდის

თარჩის საჭრითა და კაის მძიმეს აშიითა ერთი; ფილონი თეთრის იეზდის მძიმე ზარბაბისა თავის შეფერებულის აშიითა ერთი; ფილონი ჩაქსული იეზდის მალ-ზარბაბისა თავის შეფერებულის აშიითა ერთი; ფილონი თეთრი იეზდის მძიმე ზარბაბისა თავის შეფერებულის აშიითა ერთი; ფილონი წითელი მძიმე ზარბაბისა თავის შეფერებულის აშიითა ერთი; ფილონი ყვითლის სა[ი]ს ხარისა თავის შეფერებულის აშიითა ერთი; ფილონი წითელი ატლას-ბაბთისა თავის შეფერებულის აშიითა ერთი; ფილონი ისფერი იეზდია თარჩისა წითლის ყაბავარის აშიითა ერთი; ფილონი ყვითელი ატლას-ბაბთისა ცისფერის აშიითა ერთი; ფილონი წითელი ატლას-ბაბთისა თეთრის იეზდის ხევნარიანის აშიითა ერთი; ფილონი ნახმარი თეთრის დიბისა თავის შეფერებულის აშიითა ერთი; ფილონი წითელი ატლას-ბაბთისა იეზდის ფარჩის აშიითა ერთი; ფილონი ყირმიზის ხარისა თავის შეფერებულის საჭრითა და აშიითა ერთი; ფილონი ხათისა ზარიანის ლობდნის საჭრითა და თავის შეფერებულის აშიითა ერთი; ფილონი თეთრის ქამხისა წითლის ოპიერის საჭრითა და თავის შეფერებულის აშიითა ერთი; ფილონი მაგის ლობდნისა თავის კაის მძიმეს საჭრითა და თავის შეფერებულის აშიითა ერთი; ფილონი ყვითელი დარიაბაბთისა თავის შეფერებულის საჭრითა და აშიითა ერთი.

არის სტიხარი

იეზდის ატლას ბაბთისა თავის დიბის აშიითა ერთი; სტიხარი ყირმიზი ზარაბაბის ხარისა ჩაქსული თავის შეფერებულის აშიითა ერთი; სტიხარი თეთრის ხათისა მწვანის აშიითა ერთი; სტიხარი ისფერი ხათისა მწვანის ხარის აშიითა ერთი; სტიხარი წითელი ხათისა თავისი ჩაქსული მძიმის ფარჩის აშიითა ერთი; სტიხარი წითელი იეზდის დარიაბაბთისა თავის იეზდის საჭრითა და კაის ფარჩის აშიითა ერთი; სტიხარი ფერად-ფერადის ფარჩისა თაგიანი აშიითა შვიდი.

ამ სხვა სტიხართა გარდა, სტიხარი ყვითელი საის ხარისა თავის შეფერებულის აშიითა ერთი; სტიხარი წითელი ხათისა თავის საფერის აშიითა ერთი; კიდევ სტიხარი ერთი; სტიხარი ჩაქსული ხათისა თავის შეფერებულის აშიითა ერთი; სტიხარი მწვანე ატლასისა თავის შეფერებულის აშიითა ერთი.

მძიმედ ოქრომკედით ნაკერი ოთხის მურასას ოქროს ქსოვილია და სამი საათა ოქროს ღილითა და ერთი გილანტერის მინაქრის ღილითა, ერთი; ოლარი წითელი ფრანგული ხარისა, ექუსის დაფერულის ღილითა, ერთი; ოლარი ისფერი ხარისა ამბიანი ჭვარებით ნაკერი, ოთხის დაფერულის ღილითა, ერთი; ოლარი დიბისა ერთი; კიდეე ყვითლის დიბის ოლარი ერთი; ოლარი თეთრის იეზდის ხარბაბის დარაიბაბთისა ერთი; ოლარი თეთრი იეზდის ხარბაბი ატლას ბაბთისა ერთი; ოლარი კაის მძიმე ფარჩის ჩაჩხული იეზდის ხარბაბისა ერთი; ოლარი წითლის ლობდნისა ოქრომკედის ამბითა ერთი; კიდეე ამათ გარდა ოლარი ფერად-ფერადის ფარჩისა ხუთი, ერთს ექუსი ვეცხლის ღილი აკერია.

არის ხარტყელი

მძიმედ ნაკერი ოქრომკედითა მეშაბადეთ მოჭრილის ვეცხლის თავითა ერთი; სარტყელი ოქრომკედით ნაკერი, ოქროთ დაფერულის თავითა, ზედ მთავარანგელოზნი გამოყუანილნია ერთი; სარტყელი აბრეშუმით მოქსოვილი, ოქროთ დაფერულის ვეცხლის თავიანი ერთი; კიდეე სარტყელი ვეცხლის თავიანი ერთი.

არის ენქერი

მძიმედ ნაკერი მსხვილისა და წვრილის მარგალიტითა და თვლებით შემკული ერთი; ენქერი ნაკერი სირმითა და ოქროს ღილითა ერთი; ენქერი ნაკერი სირმითა და ოქრომკედითა ოთხი; ენქერი მეყაიმის ფარჩისა ერთი, ერთს ვეცხლის ღილიანი; კიდეე ენქერი ერთი.

არის საბუჭარი

სირმით ნაკერი თორმეტის წყვილის ვეცხლის ჯაჭვითა და თავის სახლათებითა წყვილი ერთი; საბუჭარი ნაკერი სირმითა თორმეტი ვეცხლის ჯაჭვითა და ოთის სახლათითა წყვილი ერთი; საბუჭარი ნაკერი, ხარუბაა გამოყუანილი, წყვილი ერთი; საბუჭარი თეთრის დიბისა წყვილი ორი; საბუჭარი კაის ფარჩის წვრილის ვეცხლის ღილებითა წყვილი ერთი; საბუჭარი ხარბაბისა და ხათაისა ფერადები წყვილი ოთხი; კიდეე საბუჭარი წყვილი ერთი.

პარძიმი დიდი ვეცხლისა ოქროთ დაფერული ერთი; ფეშხული დიდი ვეცხლისა ოქროთ დაფერული სამი; კამარა ვეცხლისა ოქროთ დაფერული ერთი; კოვზი ვეცხლისა ოქროთ დაფერული ერთი; მიხაჭრის ტარიანი ლახვარი ერთი; კიდევ პარძიმი ვეცხლისა ერთი; ფეშხუმი ვეცხლისა ორი; კამარა ვეცხლისა ერთი; კოვზი ვეცხლისა ერთი; თევზის კბილის ტარიანი ლახვარი ერთი; სპილენძის სასეფსკვრე თეფში ერთი; კიდევ ვეცხლის კოვზი ერთი; კიდევ ლახვარი ორი; პერის საკურთხის კალისა დიდი ნალბაქი ერთი.

არის დაფარნა

დიდი მძიმედ სარმით ნაკერი ვარდამოჯსნისა ერთი; დაფარნა მძიმედ ნაკერი ოქრომკედითა ერთი; კიდევ დაფარნა ნაკერი ერთი; კიდევ დაფარნა ნაკერი ოქრომკედითა ვარდამოჯსნისა ერთი; კიდევ ოქრომკედით ნაკერი დაფარნა ერთი; დაფარნა მძიმის ფარჩისა ერთი.

არის პერექელი

მძიმედ ნაკერი ერთი; კიდევ მძიმედ ნაკერი წითელს ხავედზე პერექელი ერთი; პერექელი ნაკერი ორი — ერთი მაცხოვრისა და ყოვლად წმიდისა; პერექელი ფარჩისა ფერადფერადი ექსესი.

არის კონდაკი

კელით დაწერილი შეიდი, სტამბისა ხუთი; კიდევ ვ რუსულზე გარდმოწერილი კონდაკი კაის მარგალიტის სანიშნითა და კაის ფარჩის ბოხჩითა ერთი.

[კარის ფარდა]

ისფერი ატლას-ბაბთის იეზდის ფარჩისა წითლის იეზდის ფარჩის ძმითა და თორმეტის ვეცხლის ალყითა კარის ფარდა ერთი.

და იმისთანავე ფარჩისა თავის ძმითა ტრაპეზის გარდასაფარებელი ერთი.

საცეცხლური ვეცხლისა ერთი და პრიანჯოსი ერთი.

საიაზმე სპილენძის ჯამი თავის თაწმიდურის კის მოჭრილის საის ჯვართა ერთი.

არის წიგნები

წმიდა სახარება პატიოსანი ვეცხლით მოჭედილი და ოქროთი დაფერული ერთი; სახარება მგრგლოვანი ორი; სახარება კელით დაწერილი ორი და სტამბისა ერთი; სამოციქულო ხელით დაწერილი ერთი და სტამბისა ერთი; გულანი სრული და პატიოსანი ერთი;

შათეს თავის თარგმანი ერთი; მეტაფრასი წლის ბედნიერის დღეებისა ერთი; სეკდენბერ-ოქტომბერისა ორივე თვის მეტაფრასი ერთი; ელემექსი ერთი; ეფრემი ერთი; მამათა-ცხოვრება ერთი; სვინაქსარი ყველა კვირეულ-მოქმედის საკითხავი ერთი; ბარაკლიტონი კარგი ორი და ეტრატის ძველი ერთი; კურთხევანი კარგი ერთი; დიდი-სჯულის კანონი ერთი; დავითნი ჭელით დაწერილი ერთი, მღვდლისა და ეროსკაცის დამარხვის წესები თან უწერია; კიდევ დავითნი ჭელით დაწერილი ერთი; ტვიბიკონი კარგი და პატიოსანი ერთი; ქამნი ერთი; ლოცვის წიგნი ერთი; სტოდიერი ერთი; ბალავარიანი ერთი; სვეტის ცხოველის ცხოვრება წმიდის ნინოსი, იოვანე ზედაზადენელისა, წმიდის დავითისა და წმიდის შიოსი ყველა თავიანთ საგალობელ-ახარება-სამოციქულოთი; წიგნი სწავლისა, თავს წმიდის დავითის ცხოვრება და საგალობელი უწერია; ძველი სვინაქსარი ერთი; სწავლის ძველი ეტრატის წიგნი ერთი; კიდევ ძველის ეტრატის სწავლის წიგნი ერთი; ზადიკა და სადღესასწაულო ერთად შეკრებული ერთი; მარხვანი ერთი; ლოცვის წიგნი მიცვალებულის წესითა ერთი.

არის სპილენძის იარაღი*

ქვაბი დიდი ორყურიანი ერთი; ეყურო ქვაბი იმის მომტანო ერთი; ქვაბი იმისგან უმცროსი ეყურო ერთი; ქვაბი იმისგან უმცროსი ეყურო ერთი (bis); ქვაბი ორყურიანი პატარა ერთი; ქვაბი ეყურო პატარა ერთი; კიდევ ქვაბი დიდი ორყურიანი ერთი; ეყურო მომცრო ქვაბი ერთი; კიდევ იმის ტოლი ეყურო ქვაბი ერთი; ჭელიანი პატარა ქვაბი ორი; ქვაბჭითანა ერთი.

იქნა ამისი ჯუმალი დიდი და ცოტა ათორმეტი.

სანი დიდი ორი; ზარფუში ერთი; ყაბი ერთი; თეშფალანგი ერთი; ლანგარი ერთი; კიდევ ლანგარი ერთი; საძროხე ლანგარი ექვსი; საფლავე თეფში ორი; ნალბაქი ცხრა; ჯამი ორი; მალთაფა ორი; ტაფა დიდი და ცოტა ხუთი; ტაშტი ოთხი; მალთაფა ორი; საიუხტო დიდი ტაშტი ერთი; საქონე [მ]ალთაფა ერთი.

ლანგარი, ნალბაქი, თეფში, ჯამი, მალთაფა — ყველას ჯუმალი ოცდა ექვსი.

ჩაშჩა ერთი; ჭაფჭირი სამი; დიდი სანაყურე ერთი; სურა სადგინე ერთი; სათბობი თუნგი ორი; ნამაგდანი ერთი; ჭის თუნგი ერთი; კალის საარაყე ოყა ერთი; როსტელი კალის სამარილე, ცალგნით სანელებელი ჩაიყრების და ცალგნით მარილი; არაყის მარანი თავის მინებითა, ბროლის სირჩითა ა.

---

* გასწერივ მარცხნა კიდეზე: „ამ საეკლესიოს იარაღის ჩასაწერებლად არის რუსული ოქსით მოჭედილი ჩასდეკი ორი უდაბნოს".

თასი ორი; ვეცხლის ფიალა ერთი; ორხუა ძალი დიდი, ხიდვაჯაკა. მანნაბეერად ნასყიდი ერთი; პატარა ორხუა ერთი; კიდევ ზომიერი ორხუა ერთი; მოძველო ორხუა ერთი; ჭეჭიმი დიდი ერთი.

არის სუფრა

დიდი ორი და კიდევ სხვა სუფრები და სუფრის იარაღები.

ქალაქს და თვალზე თუ თან-სადევნებელად

წინამძღუარს აქუს ჯელით დაწერილი ქამნი სტამბის ქაღალდზე გარდაწერილი და სხვაც ბევრი რამ ჩამატებული თვის მარგალიტის სანაშნითა: სტამბის დავითნი ერთნი; რვახმა ბარაკლიტონი და ერთი მგზენსი ერთად შეკრული; სტამბის სახარება ერთი; სამოციქულო ერთი; ხატი ვეცხლისა ყველაკიდი სამებისა, საზიარებელი ნაწილი ჩაიდების.

კიდევ ქალაქს სადგომს: ხატი მაცხოვრისა და ყოვლად წმიდისა, ვეცხლით მოჭედილი და ოქროთ დაფერული, ერო კუბოთ გაკეთებულია.

თვალზე: ხატი ხარებისა ერთი; ვეცხლის იარაღი — თასი მომცრო სამი; ფიალა ვეცხლისა მოდიდო ერთი; ქვეშაფენი ორხუა ჭირმანისა ერთი; მოძველო ორხუა დიდი ერთი; ჭეჭა ორი: სპილენძის იარაღი; ჯელიანი ქვაბი ერთი; უყურო ქვაბი ერთი; წვრილი ქვაბი ორი; ტაფა ერთი; თეფში, ჯამი, მალთაფა ათხუთმეტი; ტაშტი ერთი; ალთაფა ერთი; სათბობი თუნგი ერთი; სალვინე სური ერთი; სანაჟურე ორი; კალის საყიხულე ბადია ერთი; ივანგელისტა ერთი; კიდევ ივანგელისტა ერთი. თვალზე საარაყე დიდი ქვაბი თვის ზარფუმითა და გაწყობილობითა ერთი; კიდევ ქვაბი საარაყე თვის ზარფუმითა და გაწყობილობითა ერთი; ჩაფი საწყაო სპილენძისა ერთი.

აღვაწერე თვალზე საყდარი პეტრე-პავლესი და შევამკე პატრონის ხატითა, ჯვარითა, საწმიდის იარაღითა, შესამოსლებითა და წიგნებითა, ასვენია.*

---

* დატოვებულია ცარიელი ადგილი 5—6 სტრიქონისათვის.

წითლითა და ყვითლით ჩაქსული ზარბაბი. თეთრის იეზდის დარაიბაბთის სამკვრითა და მწვანის ხარის ამბითა ერთი: ფილონი წითელი ზარბაბის დარაიბაბთი ჩიგინი წითელ-ყვითლით ჩაქსული ზარბაბის სამკვრითა და მწვანეს ხარის ამბითა ერთი; ფილონი მწვანე ჩიგინი დარაიბაბთისა თეთრი იეზდის ზარბაბი დარაიბაბთის სამკვრითა და წითელი ჩიგინი ზარბაბის ამბითა ერთი; ფილონი წითელი დაბალი აჯლის-ბაბთისა ერთი.

არის სტიხარი

წითელი ზარბაბისა ყაბავარის ამბითა ერთი; სტიხარი თეთრის ხათისა წითლის ხათის ამბითა ერთი; სტიხარი ისფერი შალყუთნისა ერთი.

არის ოლარი

თეთრი ზარბაბისა ერთი; კიდეე იმავ თეთრის ზარბაბის ოლარი ერთი; ოლარი ჩაქსული წითლითა და ცისფერითა ერთი; კიდეე იმავ ჩაქსულის ფარჩისა ოლარი ერთი; ოლარი შავის იეზდის ზარბაბისა ერთი.

ქამარი

ვეცხლისა ა თავითა** ერთი; ქ. კიდეე ქამარი ვეცხლის თავებითა ორი.***

გინგილა

წითლის ზარბაბი დარაიბაბთისა ერთი; წითლის აჯლის-ბაბთის გინგილა ერთი; წითლის ხათის გინგილა ერთი.

საბუჯარი

ყვითლისა და თეთრის სირმით ნაკერი, ხარებაა გამოყუანილი. წყვილი ერთი; თეთრი იეზდის ზარბაბი დარაიბაბთის საბუჯარი წყვილი ორი; თეთრი ხათის საბუჯარი თავის ამბითა წყვილი ორი;

---

* „თავითა... ორი" ჩაწერილია სტრიქონს შუა სხვა (ინიციტის?) ხელით.

** იმავე ხელით მარცხენა კიდეზე: „ქ. ამ თავლისა ერთი თეთრი ხათისა ერთი აჯლისისა, ორი წყვილი საფეხარი, ერთი გინგილა უდაბნოშიდ გავგზავნე".

წითელი იეზდის ზარბაბის საბუკარი თავის ამოითა ერთი; ატლასის საბუკარი წყვილი ერთი.

არის სიწმინდის იარაღი

ბარძიმი ეკლესისა ოქროშემკული ერთი; ფეშხუმი ვერცხლისა დიდი ორი; და სასეფისკვრე ბრინჯაოსი ორი და ეკლესის კამარა კოვზი და ორი ლახვარი.

პერექელი: წითელი იეზდის ზარბაბისა, ისფერი იეზდის ზარბაბის ამოითა ერთი; ყვითელი დიბის პერექელი თავის ფერადის ამოითა ერთი; თეთრის იეზდის სარია ფარჩის პერექელი თავის ამოითა ერთი; აბრეშუმის პერექელი ერთი.

დ ი ფ ა რ ა: ყვითლის დიბისა ზარბაბის ამოითა ერთი; დაფარნა ყვითელი იეზდის ჩიგინი დარიაბაბთისა ზარბაბის ამოითა ერთი.

სირმით ნაკერი ე ნ ქ ე რ ი ერთი; ფარჩის ენქერი ორი; ფრანგული კალის საზედაშე ერთი.

წ ი რ გ ი ს ქ ე ლ ს ა ფ ო ც ე ბ ი ორი — ერთი ოქრომკედით ნაკერი და ერთი სარია ნაკერი ტილოსი წითელი ზარბაბის თეთრლეთრ ნარევის ყუთნის ამოითა.

ხ ა ტ ი ს ქ ვ ე შ გ ა ს ა შ ა ლ ი ერთი, ოქრომკედით ნაკერი.

ტ რ ა პ ე ზ ზ ე გ ა რ დ ა ს ა ფ ა რ ე ბ ე ლ ი ერთი.

შესამოსლებს დ ი დ ი ბ ო ხ ჩ ა ჩითისა ერთი, საბილენძის ს ა ი ა ზ მ ე ფ ა ერთი.

რ უ ს უ ლ ი ს ა ს ხ უ რ ე ბ ე ლ ი ორი. ს ა ზ ი ა რ ე ბ ე ლ ი ვ ე ც ხ ლ ი ს კ ო ე ზი თავის ბოხჩით ერთი.

არის წიგნები

კონდაკი ქელით დაწერილი ორი, სტამბისა ოთხი; და კვერექსი სტამბისა სამი; სახარება ქელით დაწერილი, ბოლოს საშიც ათთორმეტი ფურცლით; სახარება სტამბისა თავის ბოხჩითა ერთი; საშოციქულო სტამბისა თავის ბოხჩითა ერთი; სტამბის დაგითნი ორი; და ქელით დაწერილი საათაბაგოური კარგი ერთი; ქელით დაწერილი ფამნი კის ლოცვებით გარიგებული ორი; მარხვანი ორი; დიდი კურთხევანი ერთი და ზეთის კურთხევის კურთხეევანი ერთი; საათაბაგოური კარგი სეინაქსარი ერთი; ბარიალიტონი ორი; ტკბაიკონი ერთი; ზატიკი ორი; გამოკრებული ძველისა და ახლის სჯულის ამბავი და ბოლოს საბასი და სვიმეონის ცხოვრება უწერია;

ქამნი, დიდი ლოცვებით გარიგებული და ბოლოს გამოჩენილი სა-
დღესასწაულოები უწერია, ერთი, რვახმა პარაკლიტონი, სადღე-
სასწაულო უწერია და ერთი მგზნებელი, ერთად შეკრებული სუ-

ეს ამდონი წიგნები ამისთვს დაეწყვეთ აქა, რომ ან წინამძღვა-
რი და ან მისის ქრებულისაგან ვინმე რომ სოფლად წავიდენ სალმე
მონასტრის სამსახურზე, თვითო ჭელი წიგნები თან-იდეკნონ, მო-
ნასტერში ხომ წიგნები არა აქლია რა*.

რაც პატარძეულსა და თვალზე წმიდის დავითის ყმა და მამული მომებარა, იმას გარდა ჩემგან ნასყიდი და შემატებული მამულები:**

პატარძეულს: კავთელა კვამლი ერთი.

თვალზე: ნასხიდა და ირემა კვამლი ერთი, ხე-
ბრიელაშვილი კვამლი ერთი, მეძმაშვილი თევდორე
კვამლი ერთი, მეძმაშვილი ებაღა კვამლი ერთი, მახა-
რაშვილები კვამლი ერთი, ლასურაული თევდორე
კვამლი ერთი, ლასურაული იესე კვამლი ერთი, მი-
ქელაშვილი მანუჩარა კვამლი ერთი, ბერიკაშვი-
ლი კვამლი ერთი, ფეიქარი ზურაბა კვამლი ერთი,
ალელიშვილი ლაზარე კვამლი ერთი, აკოფაშვი-
ლი ელიზბარა კვამლი ერთი, აკოფაშვილი გი-
ორგი კვამლი ერთი, ფეტვია კვამლი ერთი, გუგულია
კვამლი ერთი, ნაღებაშვილი კვამლი ერთი, კვირიკაუ-
ლი კვამლი ერთი.

ორი მამული მიმიცია ხახვაშვილისაგან ნასყიდი, თა-
ვისთვის სამკვიდროდ მიმიცია და ამბროაშვილის მამული
კვირიკაული; ეს ორი იმისთვის მიმიცია.

[ანდერძი]

და ღმერთი დაგვიდებია ამრიგად, რომ: თუ შიმშილობა არ შე-
იქნებოდეს, როსაც მოსავალს პირი უჭნდეს, რეა ლიტრიანის კო-
დით სამს კოდს ნამცხვარს, ერთს საპალნეს ღვინოს, ორს ცხვარს
და სამს ზურგიელს იმ დღეს დახარჯვედეს.

და ამისთვს ასე გაგვითარხნებია თავითა, შვილითა და შვილის

---

* გასწვრივ მარცხენა კიდეზე მიწერილია: „ამ სოფლისთის იარაღს ჩასწ-
ყობლად არის რუსული რვანთ მოქედილი ზასდუკი ა".

** აქ სტრიქონს შუა სხვა ხელით ნაწერილია: „ბუზარაშვილი კვამლი ერთი".

შვილითა და ჩუენის ნასყიდის მამულებითა, რომ რაც იმის წიგნში არ ეწეროს, იმის მეტი არა ეთხოვებოდეს რა.

კიდევ როშელიც ამაში დაგვიწერია იმას გარდა და რაც წყნარებია და მარნებია გამიკეთებია იმას გარდა, ოცდაათი თუმანი ჩემდა სამარხად შენდობის წიგნებსა და ჩემს სულდასთან მჭონდა შენახული, ამისთვის, რომ ჩემს დამარხვაზე ჩემის მონასტრის კრებულნი არ დაღონებულიყუნენ.

მაგრამ ხუთის კვიმლის ნინოწმიდელის ყმების დარისპანაშვილების ხუთი საკვამლო მამული ჩუენს ზვარზე ეკრა და შიგ ეესახლენით. და ჩუენსა და პატრონს ნინოწმიდელსა და იმ კაცებს შუა ბევრი სამდურავი იყო. და ის ჩემი სამარხი თეთრი ავიღე და იმ მამულებში მიევე და ჩემს ზვარზე დავადევე, ამისთვის, რომ ჩუენსა და პატრონს ნინოწმიდელსა და იმის ყმებს შუა მშვიდობის ჩამოგდებისათვის.

ახლა იმ ნასყიდის მამულისაგან რვას საპალნეს ზედამუდ ჩაასხენდენ წმიდის პეტრე პავლეს საყდრის დღეობის სახელზე; წინამძღვარი და კრებულნი იმ დღეობის ყოფსა სწირავდენ; და ან ვინც გარეშე შემწუნი მიპძანდენ იმ დღეს, და ჩუენს ჭირნახულს მოიგონებდენ და ჩუენს სულს მოიხსენებდენ.

და ამ ზედაშისაგან ერთი საპალნე ხარჯად და საპატლეედ გამოვიდნენ და შვიდის საპალნისაგან სამი საპალნე და ერთი საპალნე კვირიკაულის ალაპისა. ეს ოთხი საპალნე იმ დღეს ალაპში დაილიოს და ერთი საპალნე უდაბნოში გაიგზავნოს.

და ვინც კრებულნი დარჩებოდეს იმ დღეს, ნურც ისინი იკადრებენ, რომ ზედაშე ჩაეყიდესთ და ჭამი არ გვიწირონ და ჩუენი მოკსენება არა პყონ, იმათაც ჩუენი შენდობა პყონ და ჩუენგანც ღმერთმან იმათაც შენდობა მისცეს.

და სამი საპალნე გაიყიდოს და იმისი თეთრით ქალაქიდამ საბერო საჭმელი იყიდონ და იმ დღეს მოიხმაროს. და რაც იმ ღვინის ფასი საჭმელს მოარჩეს, იმ დღეს ვინც გარეშე შწირეელნი იყუნენ, იმათ ცოტა-ცოტას საწირავს მისცემდეთ იმ ღვინის ფასისაგან.

ეს ზედაშე და კვირიკაულის ალაპი — ორივე იმ დღეს დაიხარჯებოდეს, თვითან ამავ კვირიკაულს დააყენებდნენ იმ ზედაშეზე და იმასვე დაახარჯვინებდენ თავის ალაპსა; და იმ ზედაშესა რომ თუ არ იმ დღეს, უმისოდ ეერავინ ცუდმადად დახარჯოს; და ვერც უმისოდ და ვერც იმ დღეს, თუ არ ამრიგად.

და კვირიკაულის ალაპის პურს გარდა, რაც იმ დღეს პური მოუნდებოდეს, წინამძღვარმა და კრებულმა მონასტრის პური დახარჯონ.

და რომელმანც წმიდის დავით-გარეჯის წინამძღვარმან და მღვდელმონაზონმან ესე ჩუენი ხელი და ანდერძი ჩაგვიროვინოს და მოგვიმალოს, ისრეც შეაქციოს იქნების ორსავე სოფელ მოშლილი და დაუმტკიცებელი.

დამამტკიცებელი ამისი ღმერთმან აკურთხოს.

და კვირიკაულისათჳს მიმიბარებია ის საზედაშე ქვევრი, ნურავინ აუხდიდეს. როგორც თავის წიგნში დაგვეწეროს, იმრიგს ალაპს გარდიხდიდეს.*

ამას გარდა ა ხ შ ა ნ ს დ უ დ ა უ რ ე ბ ი წმიდის დავითისა ყოველიყუნენ, მაგრამ ძუელადგან დაკარგული შეგნილიყუნენ. კახეთს განჯის ხანი ა ბ ა ზ ყ უ ლ ი ხ ა ნ ბატონობდა. რადგან თათრობა იყო, სყიდვისაგან უფრო ნამეტნავი ხარჯი დამემართა; ღმრთის ძალით ამოვიღე დიდის გარჯით; ოთხ კვამლად არიან; ამათ რვა საბალნე ღვინო აძეს და ათლიტრიანით ორი კოდი ნებალი და ორი ლიტრა სანთელი; ყოველს წელიწადს ამას უნდა საყდარს მიართმიდენ.

ა კ უ რ ა ძველადგან სამკვიდრო წმიდის დავითისა ყოფილიყო. ქუეყნის ოხრობასა და უბატონობაში ო ხ ი ა ყ ო რ ჩ ი ა ნ თ დაეჭირათ და ეშოვნათ.

მ ე ფ ი ს ე რ ე კ ლ ე ს შვილი, მ ე ფ ე ი მ ა ნ ყ უ ლ ი ხ ა ნ, კახეთის ბატონად მობძანდა. მოგახსენე და ძველი გუჯრები ვაჩვენე და წყალობა გვიყო აკურაცა და ვ ა ნ თ ა ს საკვამლოები და ნახევრი და სამეზვრეო მამული; და კიდევ ერთი დიდი ზვარი მე ჩაყარე აკურას, გვიბოძა კახმა ბატონმა.

მაგრამ ო ხ ი ა ყ ო რ ჩ ი ა ნ ი, დიალ, ძალიანი კაცნი იყუნენ და მრავლის სახლისკაციანი და ძალიანის მოყურების პატრონი; და დიდი სარჯელი და ხარჯი გამაწეინეს: თორმეტი აქლემი, მრავალი ცხენი და ჯორი, ფლური და თეთრი ორას თუმნამდის ხარჯი გამაწევინეს და ესოდენ სარჯელით ესე ჩუენგან ნაღვაწ-ნამუშაკევი დამიგდია.

და შემდგომად ჩუენსა ეთნეა წმიდასა ამას მონასტერსა შინა პატიოსანნი და ღმერთშემოსილნი წინამძღვარნი და კრებულნი ბძანდებოდეთ, ამას მოგახსენებთ: მოსეენებული, გარიგებული და რივიანი საქმე მოგებარებათ, სხვაც რომ არა გაისარჯნეთ და ამას მოუაროთ, ესეც გეყოფათ.

---

* გასწერივ მარცხენა კიდეზე: „და კიდევ სხვა დიდი ზანდუკი ა, და არაყის მარიანი თავის განწყობილობით ქალაქს ხ—ერთი დიდი და ერთი ცოტა".

მე ამ ნუსხასა დაწერგნს არ დაეგდებ[დ]ი, არც ამ ამბებს მო-
გახსენებდით, მაგრამ ზაფხულის სიცხემა და ზამთრის სიცივემა
დღეთა და დამეთა სიგძე-სიმოკლემა და ქამებმა, სოფლისა-
საცთურმა მრავალი საქმელი გაგვაწყვეინა და ჩემდა უნებურად
წარმომათქმევინა ესე ამბები.

ახლა მოვჯე ვარ მე თქუენთანა და მოქენე: რადგან თვალზე
ორი ზღარი და ორი მარანი დიდის გარჯით ნაშოვნი და აშენებული
დამიგდია და ქართველი ბატონიაა და კახი ბატონის ჯამაგირის
წიგნები, და ნადარბაზევზე საყდარი აღმიშენებია წმიდის
პეტრესი და პავლეს სახელზე; ხატითა, ჯვარითა წიგნებითა და შე-
სამოსლებით გამირიგებია; და ამაებს გარეთ ჩვენთჳს საზედამე გა-
მირიგებია, რომ ზედამე ჩაისხმოდეს; და იმ დღეობას, თუ არ დი-
დის გაჭირვების საქმისათჳს, იმის დღეობას წინამძღვარი და კრე-
ბული ხუ დააკლდებით; ამდონს ჩუენს ჭირნახულსა და გარჯას
მოიგონებდით და ნუ ჩა[ე]როინებთ ცუდათ.

და ვინც უდაბნოს კრებულისაგან და ან სოფლიდამ სამღვდე-
ლო დასი თავიანთ ნება-წადილით მობძანდენ, იმათაც თქუენთან
თანაბიარად შეიქმოდეთ და შემწედ მოიხმარებდეთ. და იმ დღეს
ჩუენთჳს და ჩუენის ძმის, ბოვნელის მაქსიმესათჳს და
ვინცა ვინ სულიერნი ძმანი მწირეველნი და მწირნი ამა სარჯელსა
შინა ჩუენთან თანაშემწედ ყოფილიყუნენ, ყუელას შენდობით გვახ-
სენებდეთ, რათა უფალმან ღმერთმან ჩუენმან და მამამან წმიდამან
დაეით თქუენცა თქუენს ჭირნახულისაგან უიმედოთ არ დაგანარ-
ჩუნოსთ, ჩუენია ხსენების სანუქფო პასუხი ღესა მას სასჯელისასა
ქეთილად მოგაგოსთ. ამინ.

ჩუენგან ნაღუაწი და შემომატებული ესენი არიან, რომელიც
ამა გუჯარშია აღგვიწერია დღეს აქამომდე. და [დ]ღეის წაღმართ
თუ კიდევ ღმერთი დაგვაცლის, ეგებას კიდევ რამ შეუძლოთ ღმრთი-
საღა მონასტრის სამსახური.

ამას წინანდელი უდაბნონი და მოხასტერი ქამთა ვითარებისა
და ჭეყნის შლილობისაგან აოჯრებულ იყო; როსცა რომ კახეთს
მშვიდობა და წენობა ჩავარდნილიყო, მეფის არჩილის დროს
ორნი კარგნი მღვდელ-მონაზონნი დამდგარიყუნენ — პავლე და
ნიკოლოზ, კარგნი და პატიოსანნი. აღარცა რა არჩილ მეფეს და-
ცალებოდა და ის მღუდელ-მონაზონნიც მიცვალებულიყუნენ; მაგ-
დენი მონასტრის შემატების საქმე არა დასცალებოდათ რა.

იმათ მიცვალებას უკან ჩუენც ზედ მოვესწრენით მონასტერსა;
იმათი ნაღვაწიცა და ამ გუჯრის უწინდელი ჩუენი ნაღვაწიცა, უს-

ჯულფისი ლეკნი დაგვესხნენ თავსა, და მონასტრის კრებულნიც და ხოცეს და მონასტრის საჭმარნი ჭერჭელნი და საეკლესიო ჟამისწიგნები ყველა წარსტყუენეს, იავარყყეს და მოაოხრეს.

ამა ზემოთი წერილი, რომელსაც მოგითხრობასთ და მოგახსენებსთ, მასუკანდელი ნამუშაევი და ნაღვაწი არის.

ამას გარეთ უწინდელი კელმწიფეთაგან შემოწირული და ან წინამძღვრებისაგან დასახლებული თვალზე და პატარძეულს:

არის პატარძეულს: ლაცვრიშვილი კვამლი ა, ესტატაშვილი კვამლი ა, უსუფაშვილი კვამლი ა, ტუ-რიკაშვილი კვამლი ა; ქატელი კვამლი ა, კაწარალიას სახლისკაცი კვამლი ა, ტაბარეკს ვარდა მამულიანნი.

არის თვალზე: მოძმანაშვილი კვამლი ა, მისი გა-ნაყოფი კვამლი ა, კურდღელაშვილი კვამლი ა; კიდევ თვალზე ქატელი კვამლი ა, მჭედლიშვილი რამაზა კვამლი ა, მჭედლიშვილი გიორგი კვამლი ა, მჭედლი-შვილი შიო კვამლი ა, მჭედლიშვილი ბასილი კვამ-ლი ა, მჭედლიშვილი-ქიტიაშვილები კვამლი ა, მჭედ-ლიშვილი მახარობელი კვამლი ა, ყაზარაშვილი ბასილა კვამლი ა, ყაზარაშვილი ნურალა კვამ-ლი ა, მთიულიშვილი ზურაბა მოხელე კვამლი ა, იმისი განაყოფი ბასილა და ჯაფარიძე კვამლი ა, მედვრეკალი კვამლი ა, იორდანაშვილები კვამლი ა, კედრიაშვილი კვამლი ა, ფერინოზიშვილი კვამლი ა.

ზაქეო: ქ. მონა ღთისა დავით-გარეჯის წინამძღვარი
მაჭუტაძე ონოფრე
ხელროვა: წინამძღვარი ონისიფორე
პოვნელი მაქსიმე

207. [ღალის ამოკრების წიგნი არსენ მანგლელისა მოუალნე მანგლისელებისადმი]

[1713 წ. 20 მარტი]

ნებითა და წყევლითა ღმრთისათა მამისა, ძისათა, სულისა წმიდისათა, წმიდისა იოვანე წინასწარმეტყველისათა, წმიდისა იოვანე ნათლისმცემლისათა, წმიდათა ყოვლად მახარებელთა და ყოველ-თა მოციქულთათა, — ამათითა მოწმობითა და თაყდებობითა ჩვენ,

ღმრთისა მიერ კურთხეულმა დიდად სახელოვანის და წამებულთ-მეფეთ-მეფის გიორგის ნამსახურმა და ყანდაურისძე ნაბაღლმა საჭეთმპყრობელ მმართებელმან, მანგლელ მთავარეპისკოპოზმა დოლენჯისშვილმა ბატონმა არსენ ესე საბოლოო სათარხნის წიგნი გიბოძე თქვენ — მანგლისელებს მოყალნე[ე]ბს.

დალის სათარხნეს გვეჯვენათ; ვისმინეთ ჟღა და მოხსენება თქვენი და ღალა ამოვიკვეთეთ; და ერთის დღის კვნა დაგადევით. გაესინჯეთ, ღალა არაფერი არა შემოგვევიდოდა, სელ თარხნებს მამულები შემოეყიდნათ, სარჯლის მეტი სარგებელი არა ქონდათ. ამ ერთის დღის კვნას უფრო სარგებელი ქონდა, იმისთვის ღალა ამოვკვეთეთ.

ვინცავინ ხარი[ს]ხსა ამას ზედან დაბძანდეთ, თქვენც ასევე დაუმტკიცეთ.

ვინცა და რამანცა ეპისკოპოზმა ჯელყოს შლად ამისა, ისის სახისაგანმც შეიშლების და რისხვასცა მას ღმერთი ყოვლისა მპყრობელი, უხილავი, მიეწდომელი და გარეშემოუწერელი, ყოველნი მისნი წმიდანი ზეცაერნი და ქვეყნიერნი, ჯორციელნი და უჯორცონი; მიეცეს სული და ჯორცი მასი ცეცხლსა მას ჯაჭრეტსა, ბნელსა მას გარესკნელსა, მუნ იყოს მასზედან ტირილი და ღრჭენა კბილთა და ჩემთა ცოდვათათვის გაბრკოლების.

ეს ღალა ამ მანგლისის გარეშემო ამოგვიკვეთია, თვინიერ არათუ ნასოფლარში ვინც ჯნევდნ, აქაური კაცი იმის ღალასა მოსცემდეთ.

ამისი დამამტკიცებელი ღმერთმან დაამტკიცოს, მწყლელი ღმერთმან შეშალოს თავის სახისაგან.

ქორონიკონსა ფ, ქრისტეს აქათ/ათას შვიდას და ცამეტსა, თვესა მარტსა თცდაცხრას, დაიწერა ჭელითა მგალობელის ბეჟიასითა.

ხელთაჲ: მანგლელი არსენ.
თავში ბეჭედი: არსენ.

208. [ᲬᲧᲐᲚᲝᲒᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲖᲘᲡᲐ ᲐᲐᲣᲜᲐ ᲓᲝᲥᲘᲫᲘᲡᲐᲓᲛᲘ]

[1713 წ. მაისი]

ქ. უკანბერაძეს თთარს თავისის ყმის შვილი ლომკაცქს შვილის ბერის შვილი ნადირა ახალციხეს გაეყიდნა.

და ჩვენ, ბატონის შვილმა კათალიკოზმა დომენტი

დავიხსენით და გარდმოვიყვანეთ; და ჩვენ პაპუნა დოგიძე წყალობა უყავით და უბოძეთ ეს ჩვენგან დახსნილი ბიჭი ნადირველად.

ამასთან არას კაცს ჭელი არ[ა] აქ[ე]ს, არც ამის ნათესაობა არც უკანბერიძესა.

დაიწერა ეს წიგნი თვესა მაისს[ა], ქორონიკონსა **უა.**

ხელრულ: კათალიკოზი

209. [წყალობის წიგნი დოგიანტი კათალიკოზისა გურიულ მახარებლისადმი]

[1711 წ.]

... ესე უკუნისამდე ქამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და მიზეზშემოუდებელი წყალობისა წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ნიკოლოზისაგან გაზრდილს ჩვენის სახლთუხუცეს ყმას მღდელს გურიელს მახარებელსა, ასე და ამა პირსა ზედა, რომე:

მადალაშვილმან იასემ, დიად, ავი საქმე ქნა და ტყუეები დაყიდა. ვეცადენით და ვერას საჯარით და ფასით ტყუეები ვერ დავაკსნეევინეთ.

და სრულიად თავის სახლ-სამყოფთაგან და მიწა-ნატამალთაგან და ყოველის მისის საცხოვრებელისაგან ჭეებულ ყაავით, ვითაც ჭერ იყო; ერთსა ეკეთსა ძვირისმოქმედსა ზედა უნამეტნაგესად წეს იყო, რასაცა ოდენ გაესწყრომოდით ანუ თვალთაგანი, ანუ ჭელთაგანი, ანუ ფერჭთაგანი ანუ ერთი ასოთა მისთაგანი მოგვეკუეთა ცნიდა და ვიდრე სიკუდიდ მიწეევნელ გვექმნა; არამედ ამის ესეგითარისაგან განვათავისუფლეთ კათოლიკე სამოციქულო ეკლესიისა და კეთრთისა უფლისა პატიოსათვინ.

და საკანონოდ დაგვიდგა და დაგვადებინეთ მიწა თავის განაყოფის ერასტია იქით ჭეებამდი, ზეით გზამდი, ჭვეშო ერასტის მიწას სამძღურამდი რაც არის, ეს სულ დაგადებინეთ.

და შენ, მღდელს მახარებელს, საყდრისათვინ რომ წიგნები დაგწერინეთ, იმის ფასში ეს საკანონოთ დადებული მიწა გიბოძეთ ყოველის მისის მონათესაეეს კაცისაგან ულაპარაკოთ და მოუსარჩელედ; და არას მათსა ნათესაესა ჭელი არავისა აქუს და ვერცა ვინ წამოგედეოს, გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან საყდრისა და ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შიგან.

არიან ამისნი მოწამენი და შეადამხდურნი: სახლთხუცესი ამილბარ და მდივანი სოლომონ, მოწოდებული გაბრიელ, გედევანიშვილი სარდალი ზაზა, დე-

კანოზი ათანასე, კანდელაკი გერასიმე, ქარცივაძე ზაქარიაბ, მაღალაშვილი ხუცო, მგალობელი იორამ და ერთობით მცხეთელნი.

დაიწერა ჯვლითა ჯელმწიფის კარის დეკანოზის შვილის მიქელისათა.

ქორონიკონს ჩჟა.

ხელრთვა: კათალიკოზ-პატრიარქი დომენტი ვამტკიცებ ნებითა ღმრთისათა.

210. [ულუფის წიგნი ნიკოლოზ ალავერდელისა დოდოს მონასტრისადმი]

[1704—1714 წწ.]

ქ. ჩვენ, ალავერდელმა ნიკოლოზ ნებითა ღმრთისათა გაგიჩინეთ თქვენ, დოდოს წინამძღვარს ზაქარიას და ერთობილთ კრებულთა: კაკაბეთიდამ ჯოდი პური ათი; და კონდლიდამ უწინ ხეთი საბალნე ღვინო გაგიჩინეთ და ახლა იქიდამ შვიდი საბალნე უნდა მოგცეთ. ეს ჩვენ ბიერ გაჩენილი ულუფა არ მოგეშალოს.

შეიწირე შენ წმინდაო დოდო და მეოხ ბექვენ წინაშე ღმრთისა. პურს დიდის ჯოდით მოგცემდენ.

ხელრთვა: ალავერდელი ნიკოლოზ

211. [ულუფის წიგნი ზაქარია გოდგელისა დოდოს მონასტრისადმი

[1704—1714 წწ.]

ქ. გაგვიჩენია ჩვენ, ბატონს ბოდბელ მიტროპოლიტს ზაქარიას თქვენ, წმიდის დოდოს მონასტრისათვინ და მათის წინამძღვრის ზაქარიასა, ევთვანეს და გრიგოლისათჯენ და სრულ ერთობილ კრებულთათვის:

თხუთმეტი ჩემი ჯოდი პური, ორი შაორალის ქვა, ერთი ყველის გუდა და ულელი ჯარი და ორი მინანთული ხეთის ფასად, ყოველთვის მოგეცემოდეს ცოდვათა ჩვენთა შესანდობლად და სულისა ჩვენის მოსასსენებლად.

არა მოგეშალოს ჩვენგან და არც სხვათ ბოდბელთაგან. ყოველს გითრგობისთვეს მოგეგზარებოდესო სალახუცისა და მეგობრის ჯელით, გაუწყელად მოგაბარებდენ თქვენ ყოველს წელიწადს.

ხელრთვა: ბოდბელი ზაქარია

212. [ულუფის წიგნი დიმიანე კათალიკოზისა დავითბარეჯისადმი]

[1715 წ. 10 იანვარი]

ქ. ჩუენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხეულმან და ყოვლისა საქართველოსა მაკურთხეველმან დიდმან მამათმთავარმან, ქართლისა კათალიკოზ-პატრიარქმან, მეფეთ მარავანდედმან, კათოლიკე ეკლესიისა საჭეთმპყრობელ მმართებელმან, პატრონმან დომენტიმ ესე უკუნისამდე ქამთა და დროთა გასათავებელი წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგაბსენეთ თქუენ ჩუენსა სასოსა და დღესა მას დიდსა განკითხვისასა ზეობსა წმიდის დაყითის საფლავსა და მას შინა მდებარეს ყოველად წმიდასა გვამსა და ნაწილსა მამისა და უდაბნოს განმანათლებელის დავითისასა.

შემოგწირვით და მოგაბსენეთ და ყოველს წელიწადში გაგიჩინეთ: საგარეჯოდამ პური კოდი ოცი, ღვინო საპალნე სამი, სანთელი ჩუენის სალაროდამ ლიტრა ორი, ზეთი ლიტრა ხუთი, შულო ჩარეკი ერთი, — ესე[ე]ბი არას წელიწადს არ დაგაკლდებოდეს. ეს ჩვენგან მცირე მისართმელი წინამძღვრის მ ა ჭ უ ტ ა ძ ი ს ო ნ ო ფ რ ე ს კელთ მიეცემოდეს და ის თაეის კრებულს და მონასტერს მოაგმაროებდეს.

ხოლო ცხორებასა წინამძღვრის ონოფრესასა და შემდგომად მისთა ვინცა სხვანი წინამძღვარნი და მონასტრის კრებულნი იქმნებოდენ, ეს ასრე არ დაგაკლდებოდეს და მიეცემოდეს.

ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხოს.

ქორონიკონსა უჟგ, იანვარსა ი.

დაიწერა წიგნი ესე კელითა კარისა ჩვენისა მდივანმწიგნობარ მ ა ხ ლ ა ძ ი ს ს ი ლ ო მ ო ნ ი ს ა თ ა ი.

სულთა: კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი

213. [პირობის წიგნი დიმიანე კათალიკოზისა პაპლე თბილელისადმი]

[1715 წ. 10 იანვარი]

ქ. ჩვენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოს კ ა თ ა ლ ი კ ო ზ-პ ა ტ რ ი ა რ ქ მ ა ნ დ ო მ ე ნ ტ ი მ მოგეც ესე წიგნი ამა და ამა პირსა ზედა, რომ:

შენი კაის მდომი ეყოს; და არც სხვა ბერი და ეფისკოპოზი შენსას მერჩითოს. თუ შენი დასაკლისი შეეტყო, რაც ხელიდამ გა-

მომივედრდეს, თქმა ვეცადო, რომ ვერავინ მოგერიოს პატრონო თქ[ვენ]
ლ ე ლ ო პ ა ვ ლ ე. და ჩემი ცდა ვცადო შენზედა, რომ ვერავინ
მოგერიოს. არც შენს სახელოს მაცემაც სხვას მოუდგე.

ამაშუა იყოს ქრისტე, კაცთაგან — წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ი დ ა ე ი თ-
გ ა რ ე ჯ ი ს [ა] ო ნ თ ფ რ ე.

ქრონიკონს **უგ**, იანვრის ათ.ა.

ხელითა: კათოლიკოზი

214. [წყალობის წიგნი დიმიტრი ელიოზიშვილისადმი]

[1718 წ.]

ჩუენ, ყოველისა საქართველოს მაკურთხეველმან და დიდმა მამათ-მთავარმან, ღუთე გვრგვნოსანთა მეფეთა შარვანდედმან, კათალიკოზ-პატრიარქმან დომენტი, ესე უკუნისამდე ჟამთა და დრო ცვალებათა გასათავებელი, მტკიცე და უმიზეზო, წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, სვეტისცხოველისა და ჩუენს მემკვიდ[რეს, ელიოზიშ]ვილს გედეონიჲს შვილს დიმიტრიოს, შვილსა შუსა და პეტრეს და მომავალთა სახლისა თქუენისა ყოველთავე, ასრე და ამა პირსა ზედა, რომე:

ცოტას ხანს შენი სამკვიდრო და ბარათში გამოყოლილის წერილობანის მოურაობა გამოგართვით და შენს გასაყოფს პაპუნას მიეეცით. აწ შენ შენი წიგნები გვაჩვენე; და ჩვენც მოკითხული ექენით და გავსინჯეთ და თქუენს შეტს კაცს შენს სახელოსთან ჭელი არავის რა ქონდა და შენს საჭელოს შეწევ დაგვეაჭვეთ.

ვისმინეთ აჯა და მოკსენება თქუენი და გიბოძეთ თქუენი სამკვიდრო და ბარათში გამოყოლილი საჭელო წეროვნის მოურაობა ყოველის კაცის უცილებლად და წამოესარჩელად.

გჭონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან სვეტისცხოველის და ჩუენს ერთგულებად სამსახურსა შინა. და არავინ არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არცა შემდგომად სხვათა კათალიკოზთა და შეპატრონეთაგან.

ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხენ.

თვესა ნოემბერსა **იჲ**, ინდიკტიონსა პატრიარქობისა ჩუენისასა **იგ**[1], ქრისტეს აქათ **ჩლიწ**.

არიან ამისნი მოწამენი და შუა დამსდურნი: ჩუენი სახლთუცესი მ ა ღ ა ლ ა ძ ე ა მ ი ლ ბ ა რ, გ ე დ ე ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი სარდა-

[1] **იგ**] იხ.

ლი ზაზა, დექანოზი დანიელ, კანდელაკი გერასიმე, მწყობლიძე გაბრიელ, გარეჯანიძე ბოქაულთუხუცესი მანუჩარ, მაღალაძე საამ, ჭარმაგული ქაიხოსრო, ქარსიძე ხოსრო და მესტუმრე თამაზ, მგალობელი დათუნა და ელიოზისშვილი მგალობელი აბიათარ, თაზიშვილი ავთანდილ და ყოველნი მეხუთისშვილნი ნების დამრთველნი ამისნი და მოწამენი ამისნი.

ქორონიკონსა უვ.

დაიწერა წიგნი ესე ჯელთა გარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობარ მგალობლის მაღალაძის სოლომონისათა.

ხელთაწერი: კათალიკოზ-პატრიარქის დომენტი ვამტკიცებ ნებითა ღმრთისათა.

215. [პირობის წიგნი ქახთ ეპისკოპოზ-დარბაისელთა ვახტანგ VI-ისადმი]

[1720 წ.]

ჭ. ნებითა ღმრთისათა, ესე მტკიცე და პირფიცველი წიგნი და პირი მოგვართვით ჩვენ, ქახთ ეპისკოპოზ-დარბაისელთ: ალავერდელმან ნიკოლოზ, სახლთხუცესმან სახვერელმან, რუსთველმან ნიკოლოზ, მოურავმან გარსევან, ხარჭაშნელმან ფილიპე, ჰერეთელმან გრიგოლიმ თქუუნ, საქართველოს კელმწიფეს მეფეს ვახტანგს*, ასე ჰშა პირსა ზედან:

ქახმა ბატონმან, ჩვენმან კელმწიფემან ჩვენი თავი გაახლოთ და ჩუენის პირით ქახეთის მოშველება, ლაშქრობა და გამობძანება დაგვპატიჟათ; და ჩვენ გიახელით და ბატონის ჩვენის სიტყუა მოგახსენეთ და ჩვენც ბედნიერს მუხლს მოგეხვიენით და ჩვენის ქვეყნის მოშველებას შემოგეხვეწენით.

ღმერთმან აღგამაღლოსთ და თქუენი დღე ათასად აქცეოს; წყალობის სიტყუები გვიბძანეთ და ქვეყნის მოშველების იმედი გვიბძანეთ, რადგან ჩვენის ბატონის მოსაჭმარებლად და ქვეყნის მოსაშველებელად გამობძანდებით ჩვენდა, ჩვენს ქვეყანას ამის უკეთესი დიდი ღმრთის წყალობა რა დაჭმართებოდა. ღმერთმან უმეტესი დიდება მოგანიჭოსთ და ბატივი.

აწე ჯელმწიფეს ცოტა რამე სიტყუა მოხსენებოდა: თუ რომე კა-

---

* „ვახტანგს" სიტყვის თავშია, აქ კი დატოვებულია ცარიელი ადგილი.

ხეთში გაბძანდით, კახნი არც თქუენს ლაშქარს დაინდობენ არც თქუენი დაცლათის საქმეს მართლა გზას წაიყუანენო.

ეს სიტყუები ყ[უ]ნელა ჩუენთუის გებძანათ; ამისი პირობის დადებაც და წიგნის მორთმა გებძანათ: ასეთი ფიცი და პირობა და წიგნი მომართუით, ჩემი გული ასე გეჯერებოდესო, ჩემი სამჯობინარო საქმეები ქნათ, კარგად მიბელადოთო და ჩემის დაცლათის გზა კარგად გზას წაიყუანოთო.

აწე ჩუენ ეპისკოპოზთ-დარბაისელთ ეს პირი და ფიცი მოგართუთ: ჯერ ღმრთის კმობაში გაცერიენეთ, დიდის ქემწიფის ორგულნი და შემცოდებულნიმც შეუიქნებით, ჩუენის ქ ე მ წ ი ფ ი ს ი მ ა ნ ყ უ ლ ი ხ ა ნ ი ს ა მ ც შემცოდე და მკულელნი შეუიქნებით, თუ რომე თქუენი გამობძანება და ლაშქრობა ჩუენს ქუეყანას გუელირსა, რაც თქუენთან ყიზილბაში ჯარი ან ხანები ეინმე გიახლებიან, ან თქუენ და ან თქუენი ჯარი ჩუენს ქუეყანაში ენახოთ, რაც რომე დაცლათს უჯობდეს, თქუენის ჯარის სასარგებლო საქმე იყოს, ან თქუენთან მყოფს ყიზილბაში ჯარს უჯობდეს, ბატონმა ჩუენმაც ისე არა ქნას; ჩუენ სრულ კახთ დარბაისელთ-ეპისკოპოზთაც ეგ არ მოვიანდომოთ, რაც გიჯობდესთ ისე ბელადობა, ის მოქცა, ის ყარაულობა და სამს[ა]ჭურო და სიამოუნე, რომელიც თქუენი გამოსაყენებელი გარჯა ჩუენის ქელით გამოეა, ყ[უ]ნელა ესები არა ვქნათ.

როგორადაც ბატონის ჩუენს ერთგულობას გაუფრთხილდეთ, ისე თქუენს დაცლათსაც არ გაუფრთხილდეთ, წყენასაც ისე მოუერიდნეთ, სიამოუნესაც ისე ვეცადნეთ.

ამაში რაც პირობები მოგახსენეთ, არცეთის სიმტყუნე არაში შეუიჩნიოთ. ამისად თავსმდებად მოგეცია ჯერეთ ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანი. თუ რომე ეს პირობა ასე არ გაგითაუოთ, მეორეთ მოსელას წინაშე ღმრთისა პასუხის მომცემი ჩუენ ვიყუნეთ თქუენი.

არის ამისი მოწამე წმიდის დავითის წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ი ო ნ ი ფ რ ე.

ქორონიკონს უ.

ხელთაუ: ალავერდელი ნიკოლოზ
ბეჭედი: მონა ღთისა საზვერელი
ხელთაუ: რუსთველი ნიკოლოზ
ბეჭედი: მონა ღთისა გარსევან
ხელთაუ: იოსებ (?)
ხელთაუ: გრიგოლ
ხელთაუ: ფილიპე

216. [წყალობის წიგნი არსენ მანგლელისა გიორგი გეგუჭასშვილისადმი]

[1721 წ.]

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა: სახელითა სახიერისა არსებაა დაუსაბამო დაუსრულებელ[ა]ი მამისა და ძისა და წმიდისა სულისათა; მეოხებითა, მინდობითა და შეწევნითა მანგლისას ღმრთის მშობელისათა ესე ამიერითგან უკუნისამდე ხანთა და ჟამთა გასათავებელი სამკვიდრო და საბოლოო წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ ჩვენ, ღმრთის მიერ კურთხეულმან მ ა ნ გ ლ ე ლ ე ფ ი ს კ ო პ ო ზ მ ა ნ დ ო ლ ე ნ ჯ ი ს შ ვ ი ლ მ ა ნ ბ ა ტ რ ო ნ-მ ა ნ არსენ შენ, გ ე გ ე ჭ ა ს შ ვ ი ლს გ ი ო რ გ ი ს ა, კ ი დ ე ვ ე გ ი ო რ გ ი ს ა, ძმასა შენსა ო თ ა რ ს ა, შვილსა შენსა ზ ა [ა] ლ-ს ა და ი ო ვ ა ნ ე ს ა, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა, ასრე და[1] ამა პირსა ზედა, რომე:

ს ა ჯ ე ვ ა ხ ი ა ნ ო ს ჩვენის საყდრის ყმების მაურაობის წყალობას დაგვიჯვენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენი სამკვიდროდ ნაქონი მაურაობა ზ ა ქ ვ ი-ს ა, ფ ი ც ე ს ი ს ა, კ რ ა კ ო ნ ი ს ა და ქ ვ ე ნ ა დ ი რ ი ს ი ს ა.

ასრე, რომე ძველადგანაც თქვენი ყოფილიყო; ქელშწიფეთაგან და მანგლელ ეფისკოპოზთაგან სიგლით ნაბოძები გ[ქ]ონდათ. და ახლა ჩვენც გიბოძეთ სამკვიდროდ და საბოლო[ო]დ.

გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან მონასტრისა და ჩვენს ერდგულად სამსახურში. არ მოგეშალოს ჩვენგან და არა შემდგომ-ნი სხვათა მეპატრონეთ მანგლელ ეფისკოპოზთაგან.

ვინცა და რამანც ადამის მონათესავემან ქაცმან ეს წყალობა მოგიშალოს, თავადამც რისხავს დაუსაბამო ღმერთი, მამა ყოვლისა მპყრობელი და ყოველნი მისნი წმიდანი.

ამისი დამამტკიცებელი ღმერთმან აკურთხოს და მშვლელი ღმერთმან მოშალოს. ამინ.

დაიწერა სიგელი ესე ქელთა მდივან-მწიგნობრის პ ე ტ რ ე ს ი-თ ა, ქრისტეს აქეთ ა თ ა ს შ ვ ი დ ა ს და ო ც დ ა ე რ თ ს ა, ქრონიკონს ჳთ.

თავი ბეჭედი: მონა ღ თ ი ს ა... მ ა ნ გ ლ ე ლ ი არსენ

---

[1] + მომავალთა.

217. [წყალობის წიგნი დიმიტრი კათალიკოზისა ვახტანგ მაღალაძისადმი]

[1712 წ. იანვარი]

[ქ. ჩვენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხეულმან და ყოვლისა საქართველოსა მაკურთხეველმან დიდმან მამათ-მთავარმან კათალიკოზ-პატრიარქმან, ღმრთივ-გვირგვინოსანთა მეფეთა შთამავნდედმან, პატრონმან დიმიტრი ესე უკუნისამდე ქამთა და დროთა გასათავებელი წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ მაღალაძეს იესეს შვილს ვახტანგს, ძმისწულსა შენსა იოთამს და მომავალთა სახლისა თქუენისა ყოველთაგე.

ასრე და ამა პირსა ზედა, რომე: ცოტას ხანს თქუენი სამკვიდრო საჭელო აშენდა გამოგართვით და თქუენს განაყოფს ხუცისა და საამს მიეცით.

აწე მოკითხული ვქენით და ვითაც თქუენს საჭელოზედ პასუხი არავის ქონდა და ბარათში გამოყოლილიც იყო, აგრეც თქუენი საჭელო[1] აშენდა სამოურაოდ თქუენწვე გიბოძეთ, ყოველს ქაცს უდეოდ და ულაპარაკოდ.

აწე გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან სვეტისცხოველსა და ჩვენს ერთგულად სამსახურსა შინა; და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან, და არცა შემდგომთა სხეათა კათალიკოზთა და მეპატრონეთაგან.

ხოლო დამმამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხენ.

თვესა იანვარსა, ქრისტეს აქათ **ჩლკბ**, ინდიკტიონსა პატრიარქობისა ჩვენისასა **ოზ**.

არიან ამისნი მოწამენი და შუა დამსდურნი: ჩვენი სახლთხუცესი მაღალაძე ამილბარ, მაღალაშვილი ერასტი, დეკანოზი დანიელ, კანდელაკი პეტრე, მგალობელი დათუნა და აბიათარ, ჭარმეულნი ქაიხოსრო, გედეონისშვილი გედეონ და ზურაბ და ყოველნი მცხეთის შვილნი ნების დამრთველნი ამისნი.

ხოლო თქუენ წმიდანო და ყოველად სანატრელნო პატრიაქნო, თქუენცა, რომელნი ჩვენსა შემდგომად იქმნებოდეთ საჭეთმპყრობელობასა ამას, თქუენცა აგრეევე დაუმტკიცეთ. და ნუმცავინ არს

---

[1] +აჩ.

მშლელი ამისი, რათა ღმერთმან თქვენი გაგებული ყოველივე დაამტკიცოს. ამინ.

ქორონიკონს ჳჱ დაიწერა წიგნი ესე ქველითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობარ-ქადაგ-მგალობელის მ ა ღ ა ლ ა ძ ი ს ს ო ლ ო მ ო ნ ი ს ა თ ა.

ხელრთვა: კ ა თ ა ლ ი კ ო ზ-პ ა ტ რ ი ა რ ქ ი დომენტი გამტკიცებ ნებითა ღმრთისათა.

218. [წყალობის წიგნი დომენტი კათალიკოზისა ზაალ გედევანიშვილისადმი]

[1722 წ. 10 აპრილი]

ქ. ჩუენ, ყოვლისა საქართველოსა მპყრობელმან კ ა თ ა ლ ი კ ო ზ-პ ა ტ რ ი ა რ ქ მ ა ნ ღმრთივ-გვირგვინოსანთა მეფეთა შარაბანდედმან პატრონმან დ ო მ ე ნ ტ ი მ ესე უკუნისამდე ჟამთა და დროთა გასათავებელი წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ სვეტისცხოველსა და ჩვენს მემკვიდრეს აზნაურშვილს გ ე დ ე ვ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ს ზ ა ა ლ ს ძმასა შენსა გ ა ბ რ ი ე ლ ს და პ ა ა ტ ა ს ა.

ასრე და ამა პირსა ზედა, რომე: ფსახელობას სჩიოდით და თ ა მ გ რ გ ვ ა ლ ი ს ნაც[ვ]ლობას დაგვეკჭნით. მოკითხული გქონით და არას მცხეთელს კაცსა სამკვიდროდ იქმური ნაცლობა არ ყოფილიყო.

აწე ვისმინეთ ჴმა თქვენი და ეითაც სამკვიდრო მოურაობა გაქუნდათ, ეგრეთვე მსგავსად მისსა ნაცვ[ვ]ლობაცა თქვენვე მოგიბოძეთ თამგრგვალისა; გამოსადაგად და სამკვიდროთ გვიბოძებია, ყოველის კაცის წარმოუსაორჩელველად.

გჭონდესთ და გიბედნიეროს ღმერთმან სვეტისცხოველსა და ჩვენს ერთგულად სამსახურსა შინა; და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა შემდგომთა სხვათა კათალიკოზთა და მეპატრონეთაგან.

ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხენ.

თვესა აპრილსა ით, ქრისტეს აქათ ჩღკბ.

არამედ თქუენ ყოვლად წმიდანო და სანატრელნო, რომელნიცა შემდგომად ჩვენსა კათალიკოზ-პატრიარქობასა დიას იქმნებოდეთ,

თქუენცა აგრევე დაუმტკიცეთ; და ნუმცა ვინ არს მშლელი ამისა,
რათა ღმერთმან თქუენიცა გაგებული ყოველივე მტკიცედ ყოფილ[illegible]
ქორონიკონსა უია, ინდიკტიონსა პატრიარქობისა ჩუენისაჲსა წ[illegible]
დაიწერა წიგნი ესე ქელითა კარისა ჩუენისა მდივან-მწიგნობარ-მგა-
ლობლის მაღალაძის სოლომონისათა.

ხელრთვა: კათოლიკოზი.

219. [წყალობის წიგნი დომენტი კათალიკოზისა პაპუა მაღალაძისადმი]

[1729 წ.]

ჩ. ჩუენ, ღმრთისა მიერ კურთხეულმან დიდმან მამად-მთავარ-
მან ქართლისა კათალიკოზმან პატრონმან დო-
მენტიმ ესე ამიერ უკუნისამდე ყამთა გასათავებელი წყალო-
ბის წიგნი და სიგელი გიბოძეთ შენ სვეტისცხოველისა და ჩუენსა
ერთგულსა მაღალაძეს აღამის შვილთ პაპუასა, თოშას
და მამუკასა, ასე რომე:

მოგუიდეგით კარსა და თრიალეთის ხასადრობის წყა-
ლობას დაგუეყენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება და გიბოძეთ
თრიალეთს რაც ჩუენი სახასო სოფლები არის იმისი ხასადრობა.
გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან არ მოგეშალოს არა ჩუენგან
და არას შემდგომთა სხუათა კათალიკოზთაგან.

აწ[ე] გიბრძანებთ თრიალეთის მოურავებო და მამასახლისებო! ეს
ჩუენი ბძანება კარგუარად გაიგონეთ და ასაქმეთ. თუ ვინმე რასმე
მოიპარავს და ან თავისგასამტეხო და ჩუენი სარგო არის, ამან უნ-
და მოიკითხოს. ან ვინც რასმე მოიპარავს და ჩუენს სამსახურს წა-
აჭდენს, ესეც გადაიხდევინებს; ჩუენი ბძანება ასე აქუს, იცოდეთ.

და* თუ ამან ჩუენი ერთგულად სამსახური არა ქნას და ან მანდ
უგზო-უმართებული საქმე ჩუენად უბძანებლად მოიწადოს, ჩუენ
მოგუახსენეთ და ჩუენ ამას გადაეახდევინებთ. რაც სხუას ხასადარს
ექნას და ან ხასადრის წესი და რიგი ყოფილიყოს, ამანაც[1] იმ რი-
გით გემსახუროს, სხუას ცუდმადს საქმეს ნუ გამოეკიდება.

ქორონიკონს უი.

ხელრთვა: კათალიკოზი

გუშტი: ბატონიშვილი კათალიკოზ-პატრიარქი

დომენტი ქ[ე]ს აქეთ ჩლე

---

[1] ამისაც.

* ამდგან ტექსტი დაწერილია სხვა ხელით.

220. [წყალობის წიგნი დომენტი კათალიკოზისა ააკშა მაღალაძისადმი]

[1723 წ. 18 ივნისი]

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა, ჩვენ, ღმრთისა მიერ კურთხეულმა და საქართველოს მაკურთხეველმა, სამცხე-საათაბაგოს პატრიაქმა ბატონიშვილმა კათალიკოზმა დომენტიმ ესე ამიერითგან უკუნისამდე ქამთა და ხანთა გასათევებელი სამკვიდროთ და საბოლო[ო]თ გამოსადეგი სახელოს წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა ერთგულთ და წესისაებრ თავდადებით ნარავალგვარათ ნამსახურსა მაღალაძეს ადამი[ს] შვილს პაპუას, თომას და მამუკას.

მა[ს] ჟამსა, ოდეს მ[ოგვ]იდეგით კარსა და თრიალეთზე ყავრიშვილის ნაქონის ბარ[ე]თის მოურაობის წყალობას დაგვეპყენით, ჩვენცა ვისმინეთ ქჯ[ა] და მოხსენება თქვენი, თქვენის ნამსახურობის მაგიერათ შეგიწყალეთ, გიბოძეთ ბარეთის მოურაობა ყოველის მისის სამ[ო]ურაოს წესითა რაგვარითაც სხვას იქიურს მოურავს ემსახურებიწოს და სარგო ქონოდეს, ჩვენც იმგვარად წყალობა გვიქნია და გვიბოძებია.

არაოდეს მოგეშალოს ეს ჩვენგან ნაწყალობევი სიგელი, არცა ჩვენ[გან], არცა შემდგომთა სხვათა პატრიაქთა კათალიკოზთაგან. გქონდეს და გიბეჭდიეროს ღმერთმან ჩვენსა ერთგულთ სამსახურსა შინა.

დაიწერა ნიშანი და ბძანება ესე თიბათვის იზ, ქორონიკონს უიე, ხელითა მდივნის ბეგთაბეგისათა.

ხელრთვა: კათალიკოზ-პატრიაქი დომენტი კოდეზე

ჩვენ, მთავარეფისკოპოსი ქრისტეფორე [ვ]მოწმობთ სიგელსა ამას.

ხელრთვა: მთავარეფისკოპოსი ქრისტეფორე

221. [წყალობის წიგნი დომენტი კათალიკოზისა შიო თაზიშვილისადმი]

[1724 წ. 1 დეკემბერი]

ჩუენ, ქრიატეს ღმრთისა მიერ კურთხეულმან და ყოველისა [ს]ქართველოსა მაკურთხეველმან დიდმან მამათ-მთავარმა კათალიკოზ-პატრიაქმან პატრონმან დომენტიმ ესე უკუნი-

სამდე ყამთა და ხანთა გასათავებელი და მიზეზშემოსულებელი წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ ჭიაჭიანელს შვილს შთას, შვილსა შენსა იესეს და ოთარს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისა ყოველთავე, ასე და ამა პირსა ზედა:

ცოტას ხანს გაგიწყერით და შენი სამკვიდრო ძეგვის ნაცლობა გამოგართვით. მასუკან ისევ შემოგეცხვეწე და წყალობა გიყავით და ძეგვის ნაცლობა გიბოძეთ სამკვიდროდ ყოვლის კაცის მოუდევარ-მოუსარბელი.

გწონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან საყდრისა ჩვენისა ერთგულობასა და ჩვენს სამსახურსა შინა და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა შემდგომად სხვათა კათალიკოზთა და შეპატრონეთაგან.

ვინც ეს ჩვენგან გარიგება და წყალობა მოგიშალოს, იგიმცა განიკითხვის ცოდვათა ჩვენთა მაგიერად დღესა მას დიდსა განკითხვისასა.

ხოლო დამამტკიცებელი ამისი ღმერთმან აკურთხოს.

არიან ამისნი მოწამენი და შუა დამხდურნი: სახლთუხუცესი მაღალაძე ამილბარ, იმისი ძმა მდივანი სოლომონ, დეკანოზი დანიელ, კანდელაკი პეტრე, გედევანიშვილი სარდალი გაბრიელ, ჰარმეულ[ი] მეჯინიბეთუხუცესი ქაიხოსრო, გედევანიშვილი პა[ა]ტა და სულ ერთობილნი მცხეთელნი.

თვესა დეკენბერსა დ, ქორონიკონს უიბ.

დაიწერა ბძანება ესე ჭელითა კანდელაკის შვილის იოანესითა.

ხელრული: კათალიკოზი დომენტი

222. [ნასყიდობის დამტკიცების წიგნი დომენტი კათალიკოზისა ამილბარ მაღალაძისადმი]

[1724 წ. 14 დეკემბერი]

ქ. ჩუენ, ყოვლისა საქართველოსა მაკურთხეველმან კათალიკოზ-პატრიარქმან პატრონმან დომენტიმ ესე წიგნი გიბოძეთ თქვენ, ჩვენს სახლთუხუცეს მაღალაძეს ამილბარს, შვილსა თქვენსა გიორგისა, დემეტრესა და რევაზს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისა ყოველთავე, ასე რომ:

ელიოზი შვილს ზაალსა, იმის შვილს ელიოზს და ზურაბს თავისი სამკვიდრო და ბარათში გამოყოლილი ყმა-მსახური ტეხს გელიაშვილები ოქრუა და მისი ძმისწულები დასტური თუნა, ზაქარია და ნაკოლოზა, იმისი ძმა პასიკა და იმისი შვილი ესტატე თავის შვილებითა და თავისის მამულით, დღეს რასაც მჭონებელნი იყვნენ, გეყიდნათ და დასი სრული მიგეცა.

აწე მეტეხის მოურავმა და ჭოკელებმა სხვარიგად გაგვამინჯეს და მოგვასესენეს. და ჩვენც ჩვენი დასაკლისი გვეგონა. ჩვენც მოკითხული ვქენით, გამოვიწყალილეთ და გამოვიძიეთ და არაფერი ჩვენის საყდრისა და ჩვენი დასაკლისი არა იყო რა.

რომელიც სხვამ ერთმა გაცემულმა კაცმა ჩვენის საყდრისა და ჩვენი ბეგარა ჭნას, აგრევე იმ შენმა ნასყიდმა კაცებმა ჩვენი ბეგარა ჭნას. სხვარიგათ იმ თქვენს ნასყიდს კაცებთან ჭელი არავისა ქონდეს.

აგრევე იქავ მეტეხს სხვა ნასყიდობა რაც რამ გქონდეს, ასიც დაგვიმტკიცებია. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან და არა ოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა შემდგომად სხვათა კათალიკოზთა და მეპატრონეთაგან...

არიან ამისნი მოწამენი: სარდალი გედევანიშვილი გაბრიელ, დეკანოზი დანიელ, კანდელაკი პეტრე, მაღალაძე მდივანი სოლომონ, ერასტი, სა[ა]მ, მოურავი მაღალაშვილი გიორგი, ელიოზიშვილი სეხნია, თაზიშვილი ავთანდილ, დოქიძე პაპუნა და სულ ერთობილნი მცხეთელნი.

თვესა ქრისტესმობის იდ, ქორონიკონს ჳიბ.

დაიწერა ბრძანება ესე ჭელითა კანდელაკის შვილის იოანესითა.

ბეჭდვა: კათალიკოზი

223. [წყალობის წიგნი დიმენტი კათალიკოზისა წინამძღვარ ონოფრესადმი]

[1724 წ.]

ქ. ჩუენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხეულმან და ყოვლისა საქართველოს მაკურთხეველმან დიდმან მამათ-მთავარმან კათალიკოზ-პატრიარქმან პატრონმან დომენტიმ ეს წყალობა გიყავით თქვენ, წინამძღვარს ონოფრესა, ასე რომ:

მამის ჩვენის შეწირულის ხატის სოფლის წინამძღვრობა უწინ შენ გქონდა და ცოტას ხანს გამოგრთმეოდა. მას უკანვე მოვედით და ცათას სწორის ბედნიერის ხვანთქრის ვეზირმა რეჯებ ფაშამ ჩვენის სამამულოსი და ტახტის წყალობა გვიყო.

და ჩვენ ბედნიერის ვეზირის დასტურით ისევ წყალობა გიყავით და გიბოძეთ ხატის სოფლის წინამძღრობა. როგორათაც უწინ გქონებოდეს და გჭეროდეს, აგრევე წყალობა გვქონია და არც ჩვენგან ის მოგეშალოს.

ხელთაა: კათალიკოზი დომენტი

224. [წყალობის წიგნი დომენტი კათალიკოზისა გიორგი ათანელისადმი]

[1705—1724 წწ.]

ქ. ესე წყალობისა წიგნი გიბოძეთ ჩვენ, ბატონიშვილმა ბატონმა კათალიკოზმა დომენტიმ შენ, დიდებულს წმინდის გიორგის მღვდელს ათანელს* ასრე, რომე:

წმიდის გიორგის დეკანოზობას შემოგვეცალნენ და ჩვენ მოკითხული ვქენით და მეფის სითარხნის* წიგნებიც [გქონდათ და არავი[ნ] რას გეშართლებოდა. და ჩვენც წყალობა გიყავით და წმიდის გიორგის დეკანოზობა ისევე თქუენ მოგეცით ყოველის კაცის უცილებლად; არა მოგეშალოს არა ჩვენგან და არც სხუათა კათალიკოზთაგან.

არის ამისი მოწამე სახლთუხუცესი მაღალაშვილი პაპუა და* თანია.

ხელით: კათალიკოზი

თავი ბეჭდი: რომელი განჭსნათ ქუეყანასა ზედა, ესნილ იყოს ივი ცათა შინა.

225. [წყალობის წიგნი დომენტი კათალიკოზისა ხუცია მაღალაძისადმი]

[1725 წ. 21 თებერვალი]

წყალობითა ღმრთისათა, ჩვენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხეულმან და ყოვლისა საქართველოსა მაკურთხეველმან, დიდმან მამათმთავართ-მთავარმან, მეფეთა შარავანდედმან, კათალიკოზ-პატრიარქმან, პატრონმან დომენტიმ ესე

* ეს წინადადება დაწერილია სხვა ხელით.

უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და უცვალებელი წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენსა მაღალსა ზეციასა, სიმსა, ზაზასა, აკურთხეველსა დილსა, გიორგისსა და ფირანსა, შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისა ყოველთაგე. ასე და ამა პირსა ზედა, რომე:

თქუენი სამკვიდრო საჭელო ამენდა ცოტას ხანს გაგიწყვარით და გამოგართვით, მერმე შაგიწყვეტეთ და ისევ დაგიბრუნეთ; ვინმენეთ აჯა და მოხსენება თქუენი და გიბოძეთ ამენდის მოურაობა სამკვიდროდ, ყოველს კაცის მოსულევარ-მოსაარჩელელი.

გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან საყდრისა ჩუენისა ერთგულობასა და ჩუენს სამსახურსა წინა; არაოდეს არ მოგუწალოს არა ჩუენგან და არცა შუამდგომად სხუათა კათალიკოზთა და მეპატრონეთაგან.

ვინც ეს ჩუენგან გართგება და წყალობა მოგიშალოს და ან შეცვალებად ქცელსა, მასმცა რისხავს მამა, ძე და სული წმიდა და ყოველნი მისნი წმიდანი ზეციერნი და ქუეყნიერნი; იგინცა განიკითხვის ცოდვათა ჩუენთა მაგიერად დღესა მას დიდსა განკითხვისასა.

ხოლო დამამტკიცებელი[1] ამისი, ღმერთმან აკურთხოს.

არიან ამისნი მოწამენი და წერა დამხდურნი: ჩუენი სახლთუხუცესი მაღალაძე ამილბარ, მისი ძმა მდივანი სოლომონ, გედევანიშვილი სარდალი გაბრიელ, მცხეთის დეკანოზი დანიელ, კანდელაკი პეტრე; მეჯინიბეთ-უხუცესი ჭარმეულა ქაიხოსრო, მოლარეთ-უხუცესი გედეონიშვილი პატა, თავზიშვილი სუფრაჯი პატ[ა]. დოქიძე პაპუნა და სულ ერთობილნი მცხეთელნი.

ქრისტეს აქუთ ჩლაე[2], ინდიკტიონსა პატრონობისა ჩუენისასა კაცთუასა ფებერვალსა[3] კა, ქორონიკონს უიგ.

დაიწერა ბრძანება ესე ჭელითა კანდელაკის შვილის იოანესითა.

ზედნაწერი: კათალიკოზ-პატრიარქი დომენტი.

თავში მაქედი: კათალიკოზ-პატრიაქი დომენტი

ჭ'ეს აქით ჩლე.

---

[1] დამამტკიცებელი. [2] ჩლაე ჩკა. [3] ფებრუალსა.

226. [წყალობის წიგნი ევდემონ ჯუთათელისა პაპუა ავიაშვილისადმი]

[1669—1725 წწ.]

ქ. სახელითა სამებერისა, არსება დაუსაბამისა ღმრთის[ა] მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა; თავდებობითა, მინდობითა და შეამდგომელობითა, ძლიერებითა პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯვარისათა, წმიდათა ზეცისა ძალთა ანგელოზთა და მთავარანგელოზთა მიქაელ და გაბრიელისათა; თავდებობითა და მინდობითა და შეამდგომლობითა ზეშთა ყოველად წმიდისა, უბრწყინველისა, უმფრო-სად კურთხეულისა დედოფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისათა, წმიდისა წინასწარმეტყველისა წინამორბედის და ნათლისმცემლისა იოვანესითა და იოვანე ქალწულ მახარებლისათა, რანიცა წმიდანი ღმრთისანი მის დიდს[ა] და საუფლოსა პატიოსანსა სვინაქსარსა შიდან სწერიან და ან წლითი-წლად მოიხსენებიან, —

ამათის თავდებობითა, მინდობითა და შეამდგომლობითა ჩვენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხევით კურთხეულმან ჭ უ თ ა თ ე ლ მ ი ტ რ ო პ ო ლ ი ტ მ ა ნ ბ ა ტ ო ნ მ ა ნ ე ვ დ ე მ ო ნ მოგვცათ ესე აუარებელი, მტკიცე და შეუცვალებელი ფიცი, პირი და წიგნი თქვენ, ა გ ი ა შ ვ ი ლ ს პ ა პ უ ა ს.

ესე, რომე: ჩემი ორგული კაცი მ ე ქ მ ა რ ი ა შ ვ ი ლ ი ესახლა პ ა ტ რ ი ა რ ქ ს თ ა; და ის მექმარიაშვილი შენ გიალნე და აგაყრევინე; და უველა მე მომგვარე და მომეცი. მერმე იმ ჩემას კაცს მექმარიაშვილისსოცელი პარტახტი გვთხოვე და ქრთამიც მოგვართვი, როგორათაც გული შეგვიჯერდებოდა, ისე გამოგართვით.

აწე მოგვიცემია სახლკარითა, ჰურმარნითა, ტყითა, ველითა, ვენახითა, საყანითა, სასაფლაოთა, საძოვრითა, დღეს რისაც მჭონებელი იყოს, მისის სამართლიანის ზღვრითა, საძებრითა და უძებრითა.

[გ]ჭონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან მკვიდრად და შეუცვლებლად ჩვენგან და ყოველის კაცის ჭუარჩლავად.

ამისათ გასათავებლათ და თავდებათ მომიცემია თავად ღმერთი და უოველნი მისნი[1] წმიდანი ზეცისანი [დ]ა ქვეყნისანი, ხოროციელნი დ[ა] უხოროცონი.

აწე ვინცა და რამანცა ძემან კაცისამან თქვენ, ეს ჩვენგან მოცემული პარტახტი შენ მოგიშალოს და ან გესაჩლოს, მასმცა ეცე-

---

[1] + წმისანი.

ვის კეთრი გეზისი, მაწოვილი იუდასი, დანთქმა დათან[1] [და] აბრიონ-
ნისი, შეხის ტეხა დიოსკურესი, ძრწოლა კაენისი.

ნუმცა ეხსნება წირვითა, ნურცა ლოცვითა, ნუმცა იერუსალიმს წასკვლითა და ნუმც გლახაკთ მიცემითა. ჩვენათამც ცოდვის მაგიერათ განიკითხვის დღესა მას დიდსა განკითხვისასა.

შეშლელნი ამისნი ღმერთმან შეშალოს და დამამტკიცებელნი ჭირსნი ღმერთმან აკურთხოს.

არის ამისი მოწამე და მაშვალი ბასილაძე ნანიაშვილი გიორგი, ძისი ძე ელიზბარ.

მე, მდივანს. საბაქრის შვილს სვიმონს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისა.

ხელრთვა: ქეთათელი +

227. [წყალობის წიგნი დომენტი ტფილელისა შიო მღვდლისადმი]

[1728 წ. 21 იანვარი]

ქ ჩვენ, ღმრთისა მიერ კურთხეულმან ტფილელ მიტროპოლიტმან დომენტიმ ესე წყალობის წიგნი მოგეცით შენ, მღუდელს შიოს ასე, რომე: პირველ პავლე თბილელსაც მოეცა ხევთრდის მოურაობა, ახლა ჩვენც წყალობა გვიქნია. როგორც მართებული იყოს, იმგვარად მოეპყარე. არ მოგეშალოს ესე ჩვენგან და არცა სხვათა თბილელთაგან.

დაიწერა იანვარს კა, გორონიკონს ჳიდ.

ხელმძღ: კურთხევით ტფილელ-ბოგნელი განმანათლებელთა... დომენტი

228. [ქაფის-წირგის განწესების წიგნი დომენტი ტფილელისა გივი ამილახორისადმი]

[1727 წ. 8 აპრილი]

ქ. სახელითა სახიერისა, არსება დაუსაბამოსა მამის და ძისა და სულისა წმიდათათა და შეუმდგომელობითა ყოველად უბიწოსა წმიდისა სიონთა ღმრთისმშობელისათა, ესე უკუნისამდე ქამთა განათლებელი, მტკიცე და უცვალებელი წიგნი და ნიშანი მოგართვით ჩვენ, ორბელიანშვილმან ტფილელ-ბოლნელ მიტ-

[1] დათან დანთქმა.

როპოლიტმან დოვენტიმ და ერთობილთ სიონთა ღმრთისმშობლის კრებულთა თქუენ, ღმრთის მოყუარესა და მართლმადიდებელს ბელს ამილახორს ბატონს გიგს.

მას ჟამსა, ოდეს აღაოკრეს ლეკთა ტფილის ქალაქს სიონთა ღმრთისმშობელი, შემდგომად მათსა დაიპყრეს ქალაქი და ჭეყანა ქართლისა ერუმთა, მაშინ პატრონობდა კუხიი ისაყუაშა ახალციხისა. ბრძანება და ფარმანი მოსლოდა ხონთქრისაგან, სიონთა ღმრთის-მშობლის ტაძრისა მეჩითად შექნა ინებეს, ჩუენცა წმიდამ ღმრთის-მშობელმან თქუენი თავი გამოგვიჩინა დამჭსნელად და ნეგეშინის-მცემლად. მოვედით ჩუენის კრებულით და დიდის მწუხარებით თავი გაწუინეთ. თქუენც ვინცა ვინ ქართველნი დარბაისელნი იყუნენ, თან შემოიყარენით და ამის შეწუევნასა და დახსნას გულსმოდგინეთ ეცადეთ. მიხვედით ფაშასთან. არზა მიართვით და დიდად თავი გარდასდეგით, თითქმის დატყვევება და ამოწყვეტა ირჩიეთ და ამ საყდრის დაუნებელობა. იმანც ყური მოუგდო თქუენს მოხსენებასა, კელი აიღეს, დიდად დაგამადლეს. და ეგეშქაშიც მრავალი გაიღეთ და საყდარსაც შესწირეთ.

რადგან ამდენი სასყიდელი და ჭირნახული დასდეგით ჩუენს მონასტერზე, ჩუენ სხეფერიც ვერას გმსახურებდით და ეს პირობა მოგუიხსენებია, რომე: რადგან ახალკვირის შაბათს იყო ჩუენი განსაცდელი და საყდრის გამორთმეის ამბავი, ისიე ახალკვირის წინა დღე შაბათი განეწესეთ თქუენთუის მოსახსენებლად. ამ დღის იქით ყოველს წლისათუის ამ შაბათს ჩუენ და ჩუენნი კრებულნი ერთობილნი ქამს გიწირეედეთ, თქუენ და თქუენთა შვილისშვილთა დაუეიწყებლად მოეიხსენებდეთ.

ჩუენ ეს პირობა მოგუიხსენებია და რომელიცა შემდგომად ჩუენსა ხარისხსა ამას ზედა ტფილელობდეს. მათთუისაც ასე ანდერძად დაგუიგდია; და ნურც დაიკლებდენ.

და თუ ვინმე ეს ჩუენგან სამართლად განწესებული მოხსენება და ანდერძი დაივიწყოს და მოშალოს, იგიმცა მოიშლების ყოველისა კეთილისაგან და ჩუენთა ცოდეთა წილ იგიმცა განიკითხოს დღესა სასჯელისა.

ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღმეთმან აკურთხნეს.

დაიწერა ქალაქსა სიონის დეკანოზის შვილის ოსესითა, აპრილის ჱ, გორთონიკონს უიე.

ბეჭედი: ტფილელ-ბოვნელ მიტროპოლიტი დომენტი.

მარცხენა კიდეზე:

ქ. რომელიცა კურთხეულს დომენტის ტფილელს განუწესებია წე, ტფილელი ეფთვიმი ვამტკიცებ და ალვასრულებ; და შემდგომად ჩემსა სხვანიცა ესრეთ პყოფდეთ.

ბეჭედი: მონა ღ[მრთი]სა ტფილელ მიტროპოლიტი ეფთვიმი

ქ. ჩვენ, თბილელ მიტროპოლიტმა თუმანიშვილმან ქრისტეფორემ ეს სიგელი ღმრთის ნებით დავამტკიცეთ.

ხელობა: ქრისტეფორე

verso

ორი ბეჭედი: 1. სოფლის დეკანოზი მღდელი გაბრიელ
2. ოსე

229. [წყალობის წიგნი დომენტი კათალიკოზისა იასე ტლაშაძისადმი]

[1727 წ.]

ქ. ჩვენ, ღმრთისა მიერ კურთხეულმან საქართველოს პატრიარქ-კათალიკოზმან პატონიშვილმა დომენტიმ ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ შენ, ტლაშაძე მღვდელს იასეს, შვილსა შენსა ზაქარიას, ასე რომ:

ოდეს ბედნიერის ზეანთქარს კარზედ დავეგბარებინეთ და ჩვენც ჩვენის მამულისა და საყდრის მოსავლელად წავედით, გიბრძანეთ თანწვლება და თან გვიახლით და გემსახურეთ; და ჩვენც გიბოძეთ ატენში სახუცოდ ოცდასამი კომლი კაცი, რომ ის სახუცო არაოდეს არ გეთხოვებოდეს, არა ჩვენგან და არცა სხვათა შემდგომთა პატრიარქთაგან; ამისაცლად[1] გვიბოძებია.

ვინც ჩვენა შემდგომად იქნებოდეთ, ნურავინ მოიშლით, რომ ვევრრიგად გარყვილა ჩვენზედაცა და საყდრის მამულზედაცა. ვინც ჩვენი წყალობა მოუშალოს, წყეულ, ლრეულ და შეჩვენებულ იყოს, და ვინც დაუმტკიცოს კურთხეულ და ნეტარ იყვნენ.

არის ამისი მოწმე: გერმანოზ შვილი წინამძღვარი დომენტი, მგალობლიშვილი წინამძღვარი ელიზე, გედევანიშვილი მღვარეთხუცესი პაატა, ჭარმაულის მეჯინიბეთხუცესი გაბრიელ, არქიდიაკონი სავონა-

[1] ამისაცლად.

შვილი ელისე, დეკანოზიშვილი დარბაზის მოციქული იოანე
თეშმალი ქრისტესა. თავადდარი აზნაურიშვილი
ლი ქაიხოსრო.

თვესა ივლისსა ოცსა დაიწერა წიგნი ესე ქალაქსა შინა სამეუფოსა დიდსა სტამბოლს, რომელ არს კონსტანტინოპოლი, ჴელითა ანჩისხატის დეკანოზის გიორგი მღვდლისათა.

ქორონიკონს უიე, ქრ[ისტეს აქეთ] ჩლჯზ. 7235

230. [შეწირულების წიგნი გაბრიელ წინამძღვრისა გიმვინტისადმი]

[1731 წ.]

ქ. ესა შენ, იაკობის კიბეო, დავითის ვარდო, რომლისა სურნელებით ფშვის ქეყანა, ქერაბინთა უღრესო და სერაბინთა უწმიდესო, ბრწყინვალებაო ანგელოზთაო, პირველ საუკუნეთა დედაო ღმრთისაო გამორჩეულო, ადამის ცთომისა დამხსნელო, ჩვენ დაცემულისა აღმართებაო, დედაო ეშმანოელისაო, მშობელო სიტყუისა ღმრთისაო, შუამდგომელო ღმრთისა და კაცთაო, ანგელოზთა და კაცთა ერთსამწყსო მყოფელო, ყოველად წმიდაო დედოფალო ბიჭვინტისა ღმრთისმშობელო.

შენგან გამორჩეულისა და შენის ნება-ყოფილებით ქმნით კათალიკოზ ქმნილის შენის პირმეტყუელის ცხოვარის კეთილ-ბოროტის განრჩევით მწყსელის კათალიკოზის ბატონის გრიგოლის წინამძღვარმა, ჴელათის წმიდის გიორგის ზედა მდგომელმა, გაბრიელ თათრითგან დავიხსენი მოსახლე კაცი გიორგი ხანთაძე და შენთვის შემომიწირავს, პატრონადნო ცათა უმაღლესო ბიჭვინტისა ღმრთისმშობელო; და მენი მონასტრის ჴელათის წმიდის გიორგისათუის შემომიწირავს გიორგი ხანთაძე ცოლშვილითა, სახლკარითა, ჟურ-მამულითა, რისაც მჭონებელი არის, მისი ყოველის ფერით შემომიწირავს, შეიწირე ყოველად წმიდაო ღმრთისმშობელო, ეთაყვა ძემან შენმან ორნი მწყალობნი ქვრივისანი.

რამანც ძემან კაცისამან ამის შლად და გამოწირვად ჴელჰყოს, ან ენა შესძრას, ისიმც მოიშლება მჯულის ქრისტეანობისაგან; ძველს და ახლას სჯულსა წყევა მაზედამც აღესრულება. მომშლელი ამისი მომაღლოს; და დამამტკიცებელი ამისი აკურთხოს ღმერთმან.

დაიწერა წიგნი ესე ქრისტეს აქეთ ჩლლა, კათალიკოზობასა ბატონი კათალიკოზი გრიგოლ ლორთქიფანიძისასა, მეფობასა პატრონის ალექსანდრესასა.

ბეჭედი: მონა ღ[მრთისა აფხაზეთის კ]ზი გრიგოლ.

თავში ბეჭედი: მეუფე და მღდელთმთავარი აფ[ხაზეთის კ]ზ გრიგოლ კ[ა]ს ტაბ.

231. [შეწირულების წიგნი კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძისა ბიჭვინტისადმი]

[1732 წ. ახლო]

ესე ყოველთა დაბადებულთა უპატიოსნესო, სიწმინდისა ეტლო და ღრუბელო სულმცირეო, რომელმან იტვირთე წიაღითა შემოქმედი ყოველთა და მეუფე, რომელი ქება მოგართვა შენ წმიდათა ეწმინდესო, პატიოსანო სამკაულო ზეცისა ძალთაო, დიდებულო და ზესთა აღმატებულო წმინდაო წმინდათაო ბიჭვინტისა ღმრთისმშობელო, ჩვენ ცვე-ფარეათა თქუენთა მინდობილმა და შეწევნისა შენისა მსახებელმან და მოსავმან სიწმინდისა თქუენისამან ჩრდილოეთისა და აფხაზეთისა კათოლიკოზმან ლორთქიფანიძემ[1] ბატონმან გრიგოლ, ვიგულსმოდგინეთ შეწევნითა შენითა და კვალად[2] გკადრეთ და მოგიძღვენით მცირე ესე შესაწირავი:

რაჭის ბარის თავს სასახლე კარდისგორა გბოში გაწყობილი ერთის მოჯალაბით. ტყით, წყლით, მთით, ბარით, შესავალით, გასავალით, მისის ყოველსაფერიანით. აგრევე მოჯალაბეს თავის სარჩო ფუტეთსა აქეს ტყით, წყლით, საევნახით, საყანით, რაც მოუნდება.

ერთი მოსახლე კაცი სულაძე ბუცესი დაეთ მისის შვილებით და ერთი მოხმის შვილი ნინიკი; მეორე მოსახლე კაცი ბუხრაშვილი ნასყიდა მისის შვილებით; მესამე მოსახლე ბუხრაშვილი[3] კაცია და დათუჩი; მეოთხე კიდევ ბუხრაშვილი დათუა და მიქელი ქაიხოსრო იაშვილის ქალმა შესწირა ბიჭვინტისა ღმრთისმშობელს; მეხუთე მოსახლე კაცია ლოთოძე, აბაატი და ძაღლუა მათის შვილებით; მეექვსე მოსახლე არჩვაძე გიორგი მისის შვილებით; მეშვიდე არჩვაძე მამუკა, დათუკიჩი და რამაზიკა; მერვე მოსახლე არჩვაძე ნინიკი; მეცხრე მოსახლე გელბახიანი კაცია და გოგიტი; მეათე მოსახლე გელბახიანი თამაზიკა და ნინიკი მისი ძმა; მეათერთმეტე სულაძე ნაცვლის შვილები: ხუცესი სვიმონ, მეორე ძმისა დათუჩი, მესამე ძმისა გიორგიტი და მეოთხე ძმისა[4] პაპუჩი და ბეჟუკი.

---

[1] ლორთქიფანიძემ B. [2] და კვალად—B. [3] ~ბეხრაშვილი მოსახლე A. [4] ძმასა A.

ტყვარის მონასტერი თორთმეტის მოსახლე კაცის მეფემ ალექსანდრემ თავის მეუღლის დადიანის ქალის ნიშანწიდ შესწირა მისის სამწყსოიანათ და ნიშნისათვის: ტყით, წყლით, ადგარაკით, სავენახით, უძებრით და საძებრით და ყოველს მისის შემოსაელით, ასე რომე საჭილაო აზნაურისშვილებს ყველას მისი ნიშანი მართებს.

კრიხს სასახლე კვიტასშვილის დარისპანის გან შეწირული ერთი მოსახლე კაცი გუბერაძე ჭელოსანი სეხნია და მისი ძმები იონა, შაქარი და დათუა ჭელოსანი; მეორე მოსახლე გიორგი და შოშიტა; მესამე მოსახლე გოჩია და მისი შვილი პაატა; მეოთხე მოსახლე პაატა და მისი შვილები გიორგი და თამაზა და ძმისწული მისი კაცია; მეხუთე მოსახლე მესხი გიორგი და მისი შვილები; რომელიც ამას ზეით წერილ არს მათის საარჩოთი, ტყით, წყლით, ადგარაკით, სავენახით, შესავალით და გასავალით, ძებრიან-საძებრიანათ.

აბალსოფელს: წელეკაძის შეწირული კაცი, ერთი მოსახლე ნამგალაძე მამუკა და მისი შვილი: მეორე მოსახლე თებზაძე შოშიტა, მისი ძმა და მისი ძმისწული მათის ცოლით და შვილით, ამათის საარჩოთ, ტყით, წყლით, შესავალით, გასავალით, ადგარაკით, სავენახით, მისი ყოველისფერიანათ, ძებრით და საძებრიანათ.

აწ ეს რაც ჩვენგან ნაღვაწი და შემატებული კაცები არის, ამათი ბეგარა ცუდად იხარჯოდა, საყდარს არ ემატებოდა. ახლა ჩვენ ბეგრის მაგიერად სანთელი დავადევით საყდრის შესამატათ და გაუროგეთ[3] რუბის თავს ჩარექი და მარჩილის თავს შამახური.

ამბროლაურს[4]: გამყრელიძისეული პარტახი შოშიტა გრიხთავმა გვიბოძა, იმაზედ კაცი დავასახლეთ და ისიც ხატს შევსწირეთ.

ვინცა და რამანცა ძემან კაცისამან, დიდმან ანუ მცირემან, თაეადმან ანუ აზნაურმან ანუ რომელმანმე ამამის მონათესავემ ამ ჩვენის საყდრის და ეკლესიის შეწირულობის სიგლის და იადგარის შლად ჭელყოს და გამოხვება იკადროს, ისიც შეიშლების სახისაგან და ყოვლის კეთილის საქმისაგან; ისიმც გამოეხვება იესო ქრისტე და უბიწოდ მშობელისა მისისა მიერ საუკუნეთა კეთილთაგან.

მასმცა ედების კეთრი გეზისი, შიშთვილი იუდასი, ცოცხლივ

---

[1] და—A. [2] კვირტასწვილს A. [3] გავარიგეთ A. [4] ამბრილაელს B.

დანთქმა დათან და აბირონისი, ძროწოლა კაენისი, ულხინებელი წყმედა პეროდესი; და ნუმცა დაიხსნების სული მისი საუკუნოსგან ჯოჯოხეთისაგან.

ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი აკურთხნეს ღმერთმან ორსავე შინა ცხოვრებასა, აქაცა და საუკუნესაცა.

232. [წყალობის წიგნი ზაქარია ალავერდელისა ზაალ დვალისაშვილისადმი]

[1783 წ. ნარტა]

ჭ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა და მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღმრთის მშობელისა და მარიდის ქალწულისა მარიამისათა, წმიდათა ზეცისა ძალთა ანგელოსთა და მთავარანგელოსთა მიხაელ და გაბრიელისათა, ძლიერებითა პატიოსნისა და ცხოველისა ჯვარისათა, წმიდისა დიდებით დიდებულისა ღვაწლმრავალისა დიდისა გიორგისათა, —

ამათის მოწმობითა და შუამდგომელობითა ესე უკუნისამდის სამარადისოდ და საბოლოოდ ქამთა და ხანთა გამოსადეგი წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ ღმრთისა მიერ კურთხევით კურთხეულმა ა მ ბ ა ა ლ ა ვ ე რ დ ე ლ მ ა ნ ე ნ დ რ ო ხ ი კ ა ს შ ვ ი ლ მ ა ნ. აბელ მოურავის ძემან, ზ ა ქ ა რ ი ა შენ, ჩვენის დიდებულის წმინდის გიორგის ერდგულს და ჩვენზედ თავდადებით ნამსახურს ყმას ჩვენს დ ვ ა ლ ი ს ა შ ვ ი ლ ს ფოცხვერის შვილს ზ ა ა ლ ს და შვილსა შენსა დ ა ვ ი თ ს, შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა ასე, რომ:

უწინ პატრონს ჩ ო ლ ო ყ ა ს შ ვ ი ლ ს ა ლ ა ვ ე რ დ ე ლ ს ნ ი კ ო ლ ა ო ზ ს შენ ხლებოდი და ბევრი სამსახურები დაგედვა და იმითაც ნამსახურის მაგიერი წყალობა ექნა და ებოძებინა კ ა ს ი ს ჯ ე ვ ს ფ ა ც ი ა შ ვ ი ლ ი ს ნახევარი ნასყიდის კერძი მამული თავისის საკნავით, სათესით, მთით, ბოლოთ ტყით, ველით, წისქვილით და წყლით, საკნავით და ეკნავით და ყოველისფრით სამართლიანის საქმით, ჭერ-მარნით, შესავლით, გასავლით — ესეები ყველა შენთვის სამკვიდროდ და საბოლოოდ წყალობა ექნა — დიდი აზატობა, რომ არა ბეგარი, არა სხვა გასაღები, არა სამოურავო, არა საქვეყნო ხარჯი და არა საჩემო, თვინიერ მსახურისა; და თუ მსახური არ მოგვართვით, შენის შეძლებისაებრ ყულუხით და კოდის ბერით ეკლესიას ემსახურეთ. ამაების წიგნი და საფიცარი ებოძებინა.

ახლა თელავის ლეკობაში და დიწვაში წიგნი დაგვკარგვოდა ახლა ჩვენ, დიად, კარგად და ერდგულად გვემსახურე და იმას რაც წყალობაები უქნია, ის ისევ ჩვენ ამ პირით და წიგნით დაგიმტკიცებთ, რომ ეს ჩვენი წყალობა და იმისი ნაბოძები რაც გქონდეს კისისკევში მამულები, არც ერთი არ მოგეშალოს "არც ჩვენგან და არცა ჩვენთა შემდგომთა ალაევრდელთაგან.

ეს ჩვენი წყალობის წიგნი და სიგელი გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან წმინდის გიორგის ერდგულობასა და სამსახურში. და რომელმანც წყალობა ეს ესე მოგიშალოს, რისხავდეს ღმერთი მაშა, ძე და სული წმიდა და თვით დიდებული წმინდა გიორგი.

დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხნეს, ამინ.

არიან ამისნი გამრიგენი საყდრიონის აზნაურშვილები: სალთხუცესი გიორგი, ნაცვალი ზაალ; გლეხნი: ჩვენი ნაცვლები გერგისშვილი და გიგნასშვილი და ერთობით სულ კისისკეველნი ბახუტა, წინამძღუარი ბარნაბე, სვიმონისშვილი პაატა, ელიოზა პატატიას-შვილი.

და მე, მდივანს მოურავს ბექანს დამიწერია და მოწამეცა ვარ.

დიწერა მარტის გასულს ქორონიკონს ჩკა.

კიდევ

ქ. ჩვენ, ყოვლად სამღუდელო ამბა ალავერდელი ნიკოლაოზ, პაატა ქიზიყის მოურავის ძე, ასე ვამტკიცებთ ამ სიგელს. რაგვარათაც ჩვენს ბიძას ზაქარია ალავერდელს უბოძებია ახატობა ფაციასშვილის მამული და დანაჰრელასშვილის ნახევარი მამული, ავრეთვე ჩვენც წყალობაგვიქნია და დაგვიმტკიცებია.

მაისის იე, ქორონიკონს ჩოგ.

ხელრთვა: ნიკოლოზ

233. [შეწირულების სიგელი კათალიკოზ გრიგოლ ლორთქიფანიძისა ბიჭვინტისადმი]

[1738 წ. 16 ოქტომბერი]

[6] შუა ასომთავრული ზეით სტრიქონის პოლოდ აქუს და ქვედის თავად. ერთად ნუ წაიკითხავთ; ჯერეთ ზეითი, შერე ბოლოსი, რომელთა თავნი იტყვიან: «ნიკოლოზ რუსთველი ვშუსიკობ».

ნ* ეტყარ არს კაცი იგი, რომელსა არა პრწმუნეს უფლისა
დმრთისა სწე. რ*
ი გი არს საძიებელ უმეტეს ყოველთასა, რომლისა მადლ[illegible]
მარადისად ეს უ.
კ ეთილ არს აღსარება უფლისა რომელი ყოველთა მეუფე და
უფალი არ ს.
ო რდანოთა ჴმა-ტკბილთა და ჭნარითა სადმრთოთა უბნობს
დაეი თ,
[V] ლ ოცვა, ვითარცა ანნას, ამასიცა ისმინა დმერთმან, ამისთვის-
ცა ყოველთაეე ჰყო თა ვ,
ა ნგელოზებრ უცხოებს და იქმნა კათოლიკოზ და ნათობს, ვი-
თარცა მზ ე,
ი რჯელ გაბყრობით მუქლ-მდგომი ცრემლის ქამ ყოვე ლ,
ზ ეცისა ძალნი უვის მეგობრად და წმიდა არს, ვითარცა ოქრო-
პირ ი,
რ წყავს სწავლითა იმერთა და არს მოძღურებისა ხვე ვ,
უ ვის აფხაზნი საწვრთელად, რაჲ ჩრდილოსითჳს არს მშრო მ[1],
ს ახელით გ რ ი გ ო ლ, რომელ დმრთის მეტყუელიცა მსგავ-
სად მისა ეთქუ უ,
თ ავს იწოდს პატრიაქ, გარნა სიწმიდით უმოყუს ბასილი ს,
ვ ითარცა ნ ი კ ო ლ ო ზ, ამასიცა აქვს მოწყალება, რომელი
ყოველითურთ არს მსგავს ი,
ე სე არს ლოდებრ სრულობით გალობისა ხოლო მცვნარობით,
მუსი კ,
ლ ოცვა მისი მომეცინ უფალმან, რათა მე რუსთველმან მო-
ვიდ ო,
ი ნება ესე გუჯარი ჩემგან წერად, რომელი იამბიკოსა ამას
ვმუსიკო ბ.

დაწყება პირველისა[2] სიტყუისა, რომელი ძალმა დმრთისამან სრულყო

და ბრძანებელი ესე აღვასრულე შემკობად წმიდათა დმრთისათა და ქებად დმრთისა ერთარსებისა, რომელი პირითა ყრმათა ჩუილთათა დაამტკიცებს ყოველსა ქებასა. ამისთჳს მეცა აღვასრულე ბრძანება ყოვლისა ჩრდილოეთისა მაკურთხეველისა კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი ს უ ფ ლ ი ს ა გ რ ი გ ო ლ ი ს ა და აღვწერე[2] ი ად გ ა რ ი

---

* კიდური ასოები ხელნაწერში ასომთაგრულითაა.

[1] მშრო ვ] მშრომე ლ. [2] აღესწერე.

ესე მამულისა და მემწირველობისა, რომელსაცა მკითხველთა გან-
მენს და მოგახსენებს დაწყება სიტყვიერობისა და შეთხზვა ქრონი-
კებისა და შეწყობა მეტყველებისა ამის წიგნისა.

პირველი დაწყება

ხოლო საუწყოსი და ღირსებით მცხოვრებთათვის და სარკე-
ბად წინადადებანი და კნინლა მოსიანებრ თავის ჭონების მგუძლვე-
ბელთა საკადხორონი გარდ[7]მოცემანი და საუწყო ბრძენთა უბრ-
ძნოსა დამორჩილებად მებრძანნეს საქნიადონი.

აწ ესეობაჲ, ვინაჲდგან მოსე იშიშვოდა თავი იგი წინასწარ-
მეტყველთა და მთა იგი სინა კმოდა სმენასათვის ღმრთისა სიტყ-
ვისა ვერ დამტევნელი, ხოლო ხმა მაღალი ესაია უბადრუკით უხ-
მობდა თავსა თვისსა ხილვისათვის ღმრთისა ჯორკოთა.

გარნა ნაშობთა შორის დედათასა უმეტესი დიდი იოანე საბელ-
სა ჯამლთასა განჩხინად წირწუელობდა (sic), რომელ ჭეშიცა იგი
რჩეული თავი მოციქულთა პაველე ცერ თავს იდებდა გამოთქმად
უთქმელთა მათ სიტყვათა თქმასა, რომელიცა არს; და რათა ყოველ-
თა არსებასა არსებად ჰყოფს მის მიერისა არსისა არსებად მოსრულ-
ნი კნინ ოდესობითა უსახეულოთა პირებითა: და უხორცოთა წესითა
და ალად ცეცხლისა დაბადებულთა ანგელოზთაგან ვისწავეთ სამ
წმიდა არსობისა გალობასა გალობად და საუწყოდ უწყებასა მის
დიდისა და მაუწდომელისა ღმრთისა, ვითარმედ არა ღმერთი მყო-
ფი და თავით თვისით არსებისა მქონებელი სამი პირებითა და ერთი
ქამთა, სამი გუამოვნებით და ერთი ღმრთაებით, სამი სამებისა ჩუე-
ნებით და ერთი ქელმწიფებით, ვინაიდგან სახითა ამათ გარდამოგუ-
ცემენ უწყებანი იგი ზეცისა ძალთანი, რომლითაცა აქებენ სამება-
სა წმიდასა და იტყვიან: «წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი
საბაოთ»!

ხოლო ჩუენცა მათ მიერ ვისწავებთ ერთობასა სამებისა წმი-
დისასა და ქებად მომღებელნი სერაბინთაგან საგალობელსა ხმასა
სჯმობიოროსა გალობასა და სამპირებისათვის მტკიცე ჰყოფენ სა-
ეედრებელსა ამას მეორესა გალობასა და სამპირებისათვის მტკიცე
ჰყოფენ საეედრებელსა ამას მეორესა გალობასა და იტყჳან: „ალი-
ლუია, ალილუია, ალილუია», რამეთუ «სამნი სამწმიდა არსობისა»
გალობითა გუაუწყებენ სამებისა წმიდისა ერთსა ძალსა, ერთსა ქელ-
მწიფებასა და ერთსა უფლებასა, რომელსა ანგელოზნი და მთავარ-

ანგელოზნი ჩვენ კაცთა მომართ მოწყალენულნი [V] განაცხადებდნენ
თა პირითა და გარდამატებულითა გალობითა მოგვითხრობენ იტყვიან: «წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგვისწყალენ ჩვენ», რამეთუ ამით ვიცნით, ვითარმედ მამა არს ღმერთი დაუსაბამო უწინარეაი ყოველთა საუკუნეთა და თანასწორ არს მამისა ძე ძლიერებით, ვინადგან სძლო მთავარსა მას ბნელისასა ერთმან სამებისაგანმან, რომელმანცა დამიმონნა ჩვენ გარდასლვითა მცნებათაითა. ესე ძე მამისა არს ძლიერი.

ხოლო უკუდაო სული იგი ჭეშმარიტებისა, რომელი მამისაგან გამოვალს, იგი არს უკუდავ და მოუკლებელ, რომელი არს [სული] სიბრძნისა, სული მეცნიერებისა და სული მამისა ღმრთისა.

ესე და ესრეთ სამგვამოვნად ქებულნი და ერთუფლებით თაყუანისცემულნი უფალნი, მთავარნი, ქელმწიფენი, მჭლობელნი და მპყრობელნი იდიდებიან უწინარეა საყდართა მიერ ქერაბინთა და სერაბინთაგან ამიერიდგან ძალთაგან უფლებათა და მრავალ თვალთაგან და ქელმწიფებათაგან: ხოლო ამისა შეშდგომად მთავრობათა მთავარანგელოზთა და ანგელოზთაგან, რამეთუ ესე ცხრად დასად გაყოფილნი სამ-სამ რიცხობით მხმობარენი სამებისა წმიდისა ძალსა დაგვისაბეენ და გვეწყებენ ქებასა ანგელოზებრსა, რათა მიწისა პირებითა ღმრთის მეტყველებდეთ და ვიტყოდეთ.

ღმრთისმეტყველება სამებისათვის

ესე არსთ სამებაო, პირველ ყოველთასა უპირველესო და არსებითი თვით არსო, ერთო დასაბამო დაუსაბამო[1] და მიუწდომელო[2], ვინათგან ბუნებით ეშობელად ღვთისმეტყველთა გვიქადაგეს[3] და გვასწავეს ჩუენ ერთი მეუფება, უფლება და ძლიერება, რამეთუ მამაცა ცხად მიყოფს სამგვამოვნებისა მათისა სახესა, ოდეს იგი ეტყოდა ძესა და სულსა წმიდასა: «მოვედ[ჱ]ით და გარდავიდეთ, რათა შეურიოვნეთ მათ ენანი», რომლისაცა ხილვასა ღირს იქმნა დიდი აბრაჰამ სახითა სამთა კაცთაა და ერთი ბუნება სამგვამოვნებისა ცამოაჩინა.

ეგრეთვე სახისა გამოქმსაბეველმან ელია სამგზის დაჰხმითა წყლისათა მსხვერპლთა ზედა გვასწავა სამებისა სამგვამოვნება ღმერთი ყოველად ძლიერი, ხოლო სული წმიდაჲ სახითა ტრედისათა გამოჩინებული, ვინადგან ჭმაძალი იგი ესაია თქმოდა, რა ქამ

---

[1] დასაბამო დაუსაბამო] და სანი დასაბამამთო. [2] მიუცდომელო. [3] გიდგეს.

იხილა მჯდომარე საყდარსა ზედა მაღალსა და ლმობიერებით
გალობა საწყისს წმიდა, ესმა საშინელი არსობისა და ერთგულ-
ბისა.

ხოლო დანიელ კაცი იგი გულის-სათქმელი აუწყებს ზესთა
ალბატებულსა უწყებასა, თუმს იგი იხილა ქრისტე ძისაცულად მამი-
სა მიცვა მოძველდა და სულმან აუწყა ხილული შესმა.

რაჟეთუ დაეკითა მამად ღმრთისა წიაწყებული გალობათა თვის-
ება ცხინთა ცხობის და იტყვის, კითხვით: «ვითარ შეძინა აღ-
ლიერება ეგ ამოცული ვიხილეთ ღმერთისა; რაჟეთუ სიტყვისა მი-
სცემ და მოძღვრებისა წმიდათა წერილთასა ეორედ დაეძტკიცებთ
და ეფუარებით, ვითარცა: ხილული არს და ცილი სამ-შინაობე-
ით, სამ-პირუკუნველ, ყოველად ძლიერი, ცხადებული და სამარადი-
სო ერთარსი ღმრთეებითა და სამება პიროვნებითა.

ღმრთისმეტყველება ორის[1] ბუნებისათვის

ხოლო ოდეს მოიწია აღსასრული ქვეყნის გამზრახველისა მამისა-
ჲა და ნებით სულისა წმიდისაჲთა, მოიცალნა ანგელოზი ღმრთივ-
ბრუნვიანველ ტომით დაუოსებით აღმოსრულისა ქალწულისა მა-
რიამისა და მიგება კერძოვნულსა გზასაოდენ.

ხოლო მკვირნეულმან ქალწულმან პრქუა ძალით მოციქულსა:
ოცნებისა სასმენელსა მსმენელ შვენ, რაჟეთუ „ვაჟთა-მეცნობელ-
ბუნებამან თჳეთაჲან ვითარმე იყოს ეგრეთი.

ხოლო ძალით მოციქულმან ჭერ-მჩინებელ პყო [V] ქალწული და
შეიწუნარი ხარება ხუცხილმო და მოვიდა მის ზედა ყოლი წმიდა
და ღმერთი ჩუმმარტი და მოეცა ქალწულსა ძალი დიტეცვად
ცეცხლსა ღმრთეებისასა და ესრეთ აგრილობდა გვამთოვანი სამრძნე
და ძალი ღმრთისა ვითარცა ხაღმრთო რაჲმე იყოლი და უბიწოთა
სიძლთაგან ქალწულისათა, უშუნა თჳესა თჳისსა სული სიტყვეური
არა თუ თესლთაგნებისა, არამედ დამბადებლობისა და ესრეთ მცი-
რეც-მცირეც წარმოჩინა სიღმრთისა მეცლად-ღუბისა სახე.

ამისათჳს ბუნებით სრულქმნილი ღმერთი ბუნებით სრულ კა-
ცად იშოვა, ვინაჲგან სრული სრულსა შინა გუამსა ღმერთ ჰპო-
ებრწველად.

ამისათჳს აგებულსა აგებელად და აუგებელსა აუგებელად
ეკრძნობ საჭარადისოდ, ვინათგან ერთი იგი ბრწყინვიდა ღმრთეები-
ა, სოლო მეორე თჳს იდებდა შეუცრალებითა.

---

[1] ღმრთისმეტყველება ორის] წეტყველება.

ამისთვის უფალი დიდებისა ჯვარცმულად აღიარებას სალმობისა ბუნებისა უვნებელად გებითა და ქალწულებრივითა სულითა შენთაგან უსრწველო ქორწინებითა და სული კაცობრივი მოიგებდა ტყეებან ღმრთისამან.

ამისთვის საკვლობად ღმრთისმშობლად აღვიარებთ. რომელმან სიტყვისა ღმრთისა განკაცებული გუამი გვიწვე, ვითარ იგი გამოხსნილ ქმნულიყო შენგან ქამიერად უცამო სიტყვა და უხორციომან ღმერთმან მიიღო მსგავება კაცთა და მის მიერ ვიცანით სამებით ღმერთი.

[ϑ] ვინათგან საკუთნოთგან მხოლო გმოეა სიტყუამან მამისამან შეეგიერებაჲ ეგე ი ე ა კ ო ბ ი ს, ამისთვისცა სიტყუა ჴაშისა შეიწყნარე მუცელსა შენსა, რამეთუ სიბრძნემან მამისამან იშუნა სიძლიერე შენგან უხრწნელო.

ამისთვის ღმრთის მეტყველთა ხმანი გიგალობენ შენ, მოციქულთა გუნდნი გაქადაგებენ შენ და მართალთა მწყობნი დედად მეუფისად აღგიარებენ, რამეთუ ღმერთი გაშობისწინდა შენგან ქალწულო, განმარილდა სელოსა, ეჩვენა ანგელოზთა, აქადაგა წარმართთა [პორას], ჰრწმენა სოფელსა და ამაღლდა დიდებით.

ხოლო შენ ქალწულო გმადაგებთ სოფლისა ცხოვრებად, მწუხარეთა შვიწვედ, უსასოთა სასოდ, ცოდვილთა ცხოვრებად და ყოველთა ქრისტიანეთა შესაეწევრებელად.

შესხმა ანგელოზთათვის

რამეთუ ჯერ-ძჩინებული წყალობისა სიმეტი წმიდა სიწმიდა არსობისა კმითა იდიდების ანგელოზთაგან ძალთა და მთავრობათა, რომელნი არიან მწრფელნი და ესუბუქნი და ნათულნი მეორენი, რომელთათვის იტყჳს დ ა ვ ი თ, კეთრობილ: «რომელმან შექმნან ანგელოზნი მისნი სულად და მსახურნი მისნი ალად ცეცხლისა». რამეთუ ამით ეუწყებიან განზრახვანი ღმრთისა საიდუმლონი, ესე ვიდრე მთავარნი პრწყინვენ ელვის სახედ და ცხოველსა მას ნათელსა ღმრთეებისასა მდგომარე არიან და აქებენ სამგეამოვანსა ღმერთსა წმიდა არსობისა კმითა და ეგალობენ სიბრძნისა სიერცესა და ცხობისა სიმაღლესა მარტოსა და უცვალებელსა.

ხოლო ჩქენ გონებანი წმიდანო და პირველნო ბრწყინვალენი ბანი, რომელნი წოდებულ ხართ ქადაგად მახარებელად, მოკაქე-

---

1 სახლია. 2 ყვასისა.

ლად ზედამდგომელად და წინამძღუარად გასწკოთხველად ხალხ-
თად გონებად და გულისჴმის მყოფელად, რომელთა ზედა ადვილსა
და განისუენებს სიტყუა ცხოველსმყოფელი.

[კაცთა დაბადებისათვის]

[V] აწ ესე რა ვადიდოთ ხელოვანთ-მთავარი ღმერთი და სიბრძნით მუშაკი კაცობრივისა ბუნებისა, რომელმან სატად და მსგავსად თვისად დაბადა კაცი, რამეთუ იტყვის ძისა მიმართ და სულისა წმიდისა, ვითარმედ: «ვჰქმნეთ კაცი სატად და მსგავსად ჩუენდა სულად გონებად და სიტყუად».

ამისთვისცა არა თანა წარჰყედით კაცთა წმიდათა ჴსენებასა და მოვიხსენეთ ადამისიდგანი იგი და თვით ა დ ა მ პირველი იგი კაცი და ჴელთაგან[1] ღმრთისათა მიწისაგან ნამეშაკევი და სიღმრთოსა სულისა შთაბერვითა განცოცხლებული;

ქუეყნად ა ბ ე ლ მწყსთუმპლისა უბიწოსა შემწირველი და სახედ ქრისტესა უბრალოდ მოკლული;

ე ნ ო ქ ე სიმართლისა მუშაკი, აღმაშენებელი ღმრთისა დიდისა ეკლესიისა;

მიერითგან ჰ ა ბ რ ა ა მ მამათ-მთავარი, უწინარეს ყოველთასა ღმრთისა მცნობელი;

ამისთანა ი ს ა ა კ შეკრული და დაკლული და განტეეებული, რომლისაგან გამოისახნეს დაკლეა ქრისტესი;

კეალად ი ა კ ო ბ დიდი მამათ-მთავართა შორის, რომლისა წყეილთაგან აღმოეცენნეს ათორმეტნი მამათ-მთავარნი;

ჩოლო ი ო ს ე ბ დაგუასახელდა მსგავსებასა ქრისტესსა;

კეალად მ ო ს ე თავი იგი წინასწარმეტყუელთა, რომელმან ათთა მიერ წყლულებათა ჰგუემა ეგვიპტე და კეერთხითა განაბო ზღუა მეწამული.

ამისა შეძდგომად დ ა ე ი თ მამად ღმრთისად წოდებული, რომლისათვისცა ბრძანება ღმრთისა წარმოიტყუის, ვითარმედ: «ეპოვეთ დაეით ძე იესესი, კაცი გულითადი ჩემი».

ჩოლო დაჰსრული და დამბეჭდეველი წინასწარმეტყუელთა დიდი ნათლისმცემელი ი ო ა ნ ე, რომლისათვისცა ჰსთქუა ე ს ა ი ა: «აჰა ეს რა მე წარვაგზინე ანგელოზი ჩემი»; და კეალად ეწამების მისგან ნათელღებული ი ე ს ო ქ რ ი ს ტ ე, ვითარმედ: «არა აღდგო-

[1] სახელთაგან.

მიღ არს ნაშობთა შორის დედათასა უფრო იოანესსა»*. ესრეთ
ხმა მაღალი ქადაგი სინანულისა და ხელით მსახური [10] სამეუფოჲსაჲ
მის ხატისა, რომელმან იხილა თვალითა სული იგი ჴეშმარიტებისაჲ
გარდამოსრული ზეცით, მისგან ხათულ-ღებულსა იესოს ზედა, ხო-
ლო ხმა ესმა მამისა, ვითარმედ: «ესე არს ძე ჩემი საყუარელი, მაგი-
სი ის[მი]ნეთ»**.

[მოციქულთა]

ხოლო ქადაგნი სარწმუნოებისანი და მრავალ-საგალობელნი
ქნარნი სულისა წმიდისანი ითორმეტ ძალნი ებანნი მადლისა მის
სალმრთოსანი და მეტყუელნი სიტყუისა მის დაუსაბამოსანი, რამე-
თუ ამათ ძიერ აღავსებს და განაჩინებს საესებასა ეკლესიისასა, რო-
მელთა პრქუა პირმან სალმრთომან, ვითარმედ: «თქუენ ხართ კლდე,
და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი, და მიგცნე თქუენ
კლიტენი სასუფეუელისა ცათასანი, რომელნი შეკრათ ჭეუეყანასა
ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რომელი განხსნათ ჭეუეყანასა
ზედა, ხსნილ იყოს იგი ცათა შინა»***.

ესე ითორმეტნი მოციქულნი ვაღიდნეთ, რათა ჰშეიდობა მათი
მადიდებელთა მათთა ზედა მოვიდეს და არა განყრითა მტუერთათა
საწამებელ კიქმნენეთ ყოველთა ტომთა და ენათა შორის.

მღუდელთ-მოძღვართა

აწ მოვედინ კრებული ღირსთა და მოციქულთა მოსაყდრეთა
ღიდთა მღუდელთ-მოძღვართა, რომელნი ღირს იქმნნეს დაკლვად[1]
და შეწირვად ტარიგისა და კრავისა უბანკოსა, რომელნი გალობენ
გალობასა კრავისასა, ვითარმედ: «დაიკლვის და შეიწირვის ტარი-
გი ღმრთისა ძე მამისა»; ხოლო სხუა იტყვის: «ვითარცა ცხოვარი
კლვად მიიგვარა და ვითარცა ტარიგი წინაშე მრისეველისა».

და კუალად სხუა ხმობდეს: «მიიღეთ და სჭამეთ, ესე არს ხორ-
ცი ჩემი თქუენთვის განტეხილი»****; და სხუა ღაღადებდა: სუეთ
ამისგან ყოველთა, «ესე არს სისხლი ჩემი თქუენთვის დათხე-
ული».*****

არამედ მცირეცა[2] ყოველნივე ერთბამად გარდამოუწოდეს სულ-

---

[1] დაკლელად. [1]+ერთბამად.

* მათე, 11, 11.

** მათე 17, 5.

*** მათე 16, 18—19.

**** მათე 26, 26.

***** მათე 26, 28

ა წმიდისა და სრულიად [V] წესცეალებენ ტირილად და სიხარულ-
მეუფისად და ესრეთ ნებითა საღმრთოთა მღუდელ მემსხვერპლეთაჲ
ბენ ქრისტენი სამებისანი.

მოწამეთათვის

გარნა ვინათგან მამათა-მთავართა წინასწარმეტყველთა, მოციქულთა და მღუდელთ-მოძღვართა განათესეს ჩუენი სამკობელად, ჯეროვნად ვგონებთ სახსენებელნი მოწამენი, რამეთუ შევიერ არიან ყოველნი სოფელნი ღუაწლთა მათითგან და აღუსებელ არს სამყარო ეკლესიათა ხსენებითა მათითა. წემკულ არიან ტრაპეზნი სიხარულით მათითა უბიწოთა დათხევითა. რომელთა ენებანი უფლისა იესოჲსი ქრისტეჲსთა წინა თესლსა ეტკრთნეს და მოელოდეს ნუგეშსა მას სახოებასა და იტყოდეს: „ღმერთო მოგვიღუაწებიეს. სრბა აღგესრულებიეს, ამიერიდგან მიგველის სიმართლისა იგი გვირგვინი». ჩუენთა ყოველისა სოფლისანთა, პატიოსნებანთა მღუდელთანთა და მარჯვალიტნთა მრავალ სასყიდლისანთა, შემამკობელნთა მოსავეთა თქუენთანთა.

მამათათვის

აწ ესე რა წარჰხდა ხსენება მოწამეთაჲ, ჩოლო აწ მოვედნ ყოველად ღირსნი შამანი, რომელნი თჳსიერ სიხარულით დათხევისა იმარხყოდეს და ცხოვრებასა ე ლ ი ა ს ს ა და იოანესსა ჰბაძვიდეს.

ჱი რაზომ საწადელ არს ჭკუეჲ მათი ანგელოზთა მიმსგავსებულ! შევიერ არიან და ოქრო-ბრწყინვალე ფერნი პირთა მათთანი!

ჱი სიქადულნო ყოველთა მორწმუნეთანო, რამეთუ თქუენთჳს იტყოდა ბრძენი სოლომონ: „პირსა მართალისასა გამოვალს სიბრძნე და ბაგეთა მათთა ჰბოსიან წყალობაჲ»; რომელთაცა სულნი [11] თქუენნი ხელთა შინა უფლისათა შეეყდრენნით წერილ-სებრ: «სულნი მართალთანი ჴელთა შინა უფლისათა და არ შეეხოთ მათ ტანჯუაჲ».

რამეთუ საღმრთოჲთა მის დაბადებულისა ღმრთისა ხატად და მსგავსად დაიბადა კაცი. მიერითგან აღმოეცენნეს კაცნი ღმრთისა სათნონი და სასწაულთა საკვირველთა მოქმედნი.

რამეთუ ამათ მიერ მიეცნეს ღმრთისა მიერ გამოცხადებაჲ საიდუმლონი მადლნი კურნებათანი. შეწევნახი და წარმატებანი და სიმრავლენი სასწაულთანი.

ესე იხილა მოციქულებრმან[1] ერმან და აღუწერნეს [ეკლესიანი] თვითოეულსა მათგანსა სალოცველად სულთა მრავალთა და [ხატნი] და იგვეაც აღთქმულთა მათ კეთილთა, რამეთუ ამას ეკლესიასა ნა გამოისპობის ვნება, ჯვარცმა და აღდგომა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, რამეთუ ესე ეკლესია მამათ-მთავართა წინათვე მოასწავეს, მოციქულთა დააშენეს, მღუდელთ-მოძღუართა განამშვენეს, ხოლო მოწამეთა აღიარეს და სარწმუნოებით იწამნეს.

ეწ ესევე ეთანაგან მოიგნა წმიდამან ამან ეკლესიამან მოსახვედენი თვისნი წმიდანი ღმრთისა კაცნი, აღტყინნეს შეერთია სადმრთოთა ქუეყანისა მეფენი და მდიდარნი, თვეს-თვისად შეესაკუთრნეს მსახურებად წმიდათა, რომელნიმე მოციქულთა და მღუდელთ-მოძღუართა, რომელნიმე მოწამეთა და მამათა და ესრეთ განამშვენეს ეკლესია და აღაჯუსეს სამკაულითა და სადრთოსა ძღვნის შეწირველობათა და სამღუდელოთა სჯულთა, რამეთუ ამათ პირთათვის განაგეს მღუდელთ-მთავარნი, პატრიარქნი, მთავარეპისკოპოსნი, მღუდელნი და დიაკონნი.

ხოლო ამათ განწესებულთა სამღუდელოთა დასთა და კრებულთა თავად და მწყემსად და ზედა მდგომელად განეჩინნეს კათოლიკოზნი, რათა ამის მიერ განწმდენ. [v] განათლდენ და სრულ იქმნენ ერი ქრისტიანეთა, რომლისათვის დიდად ელუაწათ მეფეთა, მთავართა და დარბაზის ერთა განდიდება ცათა მ[ო]ბაძავისა კათოლიკე ეკლესიისა ბიჭვინტისა ღმრთისმშობელისა და სამოციქულოსა საყდრისა და მას ზედა მჯდომარისა კათოლიკოზისა ამაღლებად და აღმატებად, რათა შეკრთით და განსსინით მისთა ეგნენ სამეფონი ესე ლიხთ-იმერისა, აფხაზეთისა და ყოველისა ჩრდილოეთისა ეკლესიანი და ყოველი სული დიდთა და მცირეთა, ვითარცა იგი პეტრეს მოციქულსა მიეცა ჳრიათა მოქცევა, ხოლო პავლეს წარმართთა ზედა, აგრეთვე პირველ წოდებულსა ანდრიას მოეცა ჩრდილოეთისა ქუეყანა მოქცევად ჩუენებითა წმიდისა ღმრთისმშობლისათა, რამეთუ ჩუენ ქართველნი მისნი წილ-ხუთმიღნი ვართ და ვიქადით სახელითა მისითა და ნეტარ ვართ, რამეთუ დედა მეუფისა მეოხად გუჳის წინაშე ძისა თვისისა.

ამათ კათოლიკოზთა და საჭეთმპყრობელთა ბიჭვინტისა ღმრთისმშობელისათა მსახურება საყდრისა დიდად ელუაწათ, რომელთამე სოფელნი და აგარაკნი შეეწირნეს, რომელთა ხატნი და

---

1 მოციქულთა.

ჯვარნი და სამკაულნი ეკლესიისა. ვინათგან ამათ მიერ შემწირველობისა მატიანე ვიხილეთ, ფრიად განხურდა გული ჩემი.

მეცა მათივე მოსაყდრე და ბარისხსა მათსა ზედა მკლავმაგრე კათოლიკოზი ლორთქიფანიძე პატრიარხი გრიგოლ მივბაძეთ! წინათქმულთა კათოლიკოზთა და არა დავსცხრე ძლუნის შემწირველობასა მცირედისაგან დიდად და დიდისაგან უმეტესობად სარწმუნო ვიყავ, ვითარ იგი ღმერთებას კარვისა მის საწამებელისასა მიართმიდენ რომელნიმე პატიოსანთა, რომელნიმე ტარსიკონსა და სხუა ჭიჭნაურსა და ყოველსავე შეიწირვიდა ზედამხედველი ღმერთი. ვითარცა ვიწ აწერებთ საფუძველსა მას ზედა ოქროსა, ვეცხლსა, ძელსა, თივასა, კაცად-კაცადსა იგი საქმე დღეჩან მან გამოაცხადოს. ეგრეთვე მე ძალისაებრ ჩემისა თავსმდებელმან გონება სული თბე და ანაწესი და ყოველი არსებაჲ ჴორცთა [12] ჩემთა გიძღვენ და შეგწირე შენ, ცათა და ქუეყანისა დედუფალო, ანგელოზთა და კაცთა შემაერთებელო მამისაგან დაესაბამოსა ჴსძლად გამორჩეულო და ძისა მხოლოდ შობილისა უბიწოდ მშობელო ბიჭვინტისა ღმრთისმშობელო!

შენ შეგვეძრებ ყოველსა ცხოვრებასა ჩემსა და სასოებასა და მოგახსენებ ამა ავბრალთა, სოფელთა, გლეხთა, სასახლეთა და ეკლესიათა, რაოდენნიცა სახელდებით სიგლითა ამით სამკვიდროდ დაგვიდვია და შემოგვიწირავს, ზოგი თავით ჩემით ნაშოები და ზოგი რომელნიმე საყდრისა მამული სხუათაგან დაჭერილი მრავლის გარჯით ამომიხსნია და ესრეთ მომიხსენებია, ვითარცა აწ ქუემორე წერილი საცხაურ[2] ყოფს ჩემ მიერ შემწირველობასა:

თავს რაჭას ბარისთავს სასახლე ვარდისგორა ჭობში გაწყობილი ერთის მოჯალაბით, ტყით, წყლით, მთით, ბარით, მისის ყოვლითფრიანათ; აგრევე მოჯალაბეს თავისი საარჩო ფუტით აქეს ტყით, წყლით, საგვნახით, საყანით, რაც მოენდება.

ერთი მოსახლე კაცი სულაძე ხუცესი დავით მისის შვილებით და ერთი მოძმის შვილი ნინიკა; მეორე მოსახლე კაცი ბუხრაშვილი ნასხიდა და მისის შვილებით; მესამე მოსახლე კაციაბუხრაშვილი და დათუჩი; მეოთხე მოსახლე კაცი[3] დოთაძე პაატა და ძაღლუა მათის შვილებითა; მეხუთე მოსახლე არჩვაძე გიორგი მისის შვილებითა; მეექუსე არჩვაძე მამუკა და დათუკიჩი და

---

[1] მიებძევედ. [2] საცნაურ[ს] სასწორლ. [3] კაცი.

რამაზია; მეშვიდე მოსახლე არჩვაძე ნინია; მერვე მოსახლე გელბახიანი კაცია და გოგიტი; მეცხრე მოსახლე ქელბახიანი თამაზიკი და მისი ძმა ნიკოლაძე მეათე სულაძე ნაცვლისშვილები ხუცესი სიმონ, მეორე ძმისა დათუჩი, მესამე ძმისა გიორგიტი და მეოთხე ძმისა პაპუჩი და ბეჟუკი.

ახალსოფლის წელლაძის შეწირული კაცი ერთი [V] მოსახლე ნამგალაძე მაძუკა და მისი შვილი; მეორე მოსახლე თებზაძე შოშიტა, მისი ძმა და მისი ძმისწული. მათის ცოლით და შვილით.

კრიხს სასახლე კვიტაშვილის ჯარისპანისაგან შეწირული; ერთი მოსახლე კაცი ხელოსანი გობერაძე სეხნია და მისი ძმები იოანა, შაქარი და დათუა ხელოსანი; მეორე მოსახლე გიორგი და შოშიტა; მესამე მოსახლე გოჩია და მისი შვილი პაატა; მეოთხე მოსახლე პაატა და მისი შვილები გიორგი და თამაზა და მისი ძმისწული კაცი; მეხუთე მოსახლე მესხი გიორგი და მისი შვილები; რომელიც ამას ზეით წერილი არს მათის საჭიროთი, ტყით, წყლით, ავარაკით და საევნახით, უძებარ-აძებრიანათ.

გელათს სასახლე სამხრეთის კერძო მისის გაწყობილობით, ორი მოსახლე მეახორე სახლებულიყო და დაკარგულიყო და მათი მიწა-წაბული ამოვიღე და მოჯალაბენი დავასახლე.

ერთი მოსახლე კაცი სორმონს თათრისაგან ვიყიდე გიორგი ხამთაძე და მისი შვილი ბასილი, ბატს შევსწირე, [ერთი] შამახური სანთელი დავადევი; მეორე მოსახლე კაცი კიდევ სორმონს ქორქიას საბარტახო ვიყიდე და იმაზედ დავასახლე, ხატს შევსწირე მისი ყოვლისფერიანად და ერთი შამახური სანთელი დავადევი.

ოკრიბას ობოლაძენი და კუბლაშვილები დავით კათოლიკოზს ეშოვნა და ბეგრის არა ეკითხა რა, დიდი ბეგარა ემართათ და მეც არა ვიკითხე რა; ის დიდი ბეგარა შევაწირე და თითო შამახური სანთელი დავადევი. რომ გაიყოფოდენ, ეს თითო შამახური სანთელი თან გაყვებოდენ.

არგვეთს იოანე ქანარია და მისი ძმაჲ მათის ყოვლისფერიანად; სეიმონ გულაშვილი ათანდილა და მისი ძ[მ]ა არუთენ, ოვან ტერტერა და მისი შვილი.

ოფჩას ჩხიკვაძე შაქარია და მისი ძმაჲ, მისიცა ყოველისფერიანად;

გეგუთს მეცხოვრისშვილის [18] პარტანის ძოწეულებიანად;

მუსხეთს მახარობელი შალამბერიძე და სამი მოსახლე სელაგაენი, მათის ყოველისფერიანად;

ფარცხანაქანეს ფხაკაძე დათუა და მისი ძმა, მისის ყოველისფერით; და აბაშიძის შეწირული მარდაღვიშვილი სტეფანე და მისი განაყოფი, მისის ყოველისფერით;

ბაქს ერთი მოსახლე კაცი;

საჩინოს ხაეთისი წინამძღვარი მაკარიოზ და მისი ძმაჲ გიორგი და სამი სხვა მაკარიოზის' გლეხი: მახარაძე ნასჴიდი და ორი სხუა, ავალიანი ხუცესი ლაზარე და წამისთვალი, მისი ძმა და ორი მისი ძმისწული. — ეს ყუელა საჩინოს მათის ყოველისფერიანად.

სამიქელაოს სასახლე გვაზაური ნიკარაძისეული მისის გაწყობილებით; მამუკა მიქელაძისაგან ეიყიდე ერთი იქაური ძირი ყმა კახაბერა ფანცულაია და მისი ძმა მახარობელი; მეორე მოსახლე ჩემი ამოყვანილი იოვანე ტრანგისშვილი ელია და მისი ძმა გიორგი[2]; მესამე მოსახლე მალაღურაძე შაქარა და მისი ძმა გიორგი; მეოთხე მოსახლე ნადირაია უკუდაშა; მეხუთე სალარაძე მოგელა და მისი სიძე მახარობელი მებუკე; მეექვსე მოსახლე ივანდიდელი ქაბზინაძე მახარობელი, — ესეები ყველა ტყით, წყლით, მათის ყოველისფერიანათ.

ტყვირა მონასტერი თორმეტი მოსახლე კაცით მეფემან ალექსანდრემ დადიანის ქალის თაყისის მეუღლის ნიშანშიდ შესწირა სამწყსოიან-ნიშნიანად ტყით, წყლით, ავარაკით და სავენახით უძებარ-საძებრიანად. საჭილაო აზნაურისშვილებს ეველას მისი ნიშანი მართებს.

ქორენისუბანს ორი მოსახლე კაცი: ერთი ხუცესი ქორდანი[3] და მისი ძმაჲ [19] ოთია, მეორე მოსახლე გიორგი ვადაჭკორია მათის ყოველისფერიანათ;

ოდიშს ჭეჭანას მეჯვთს დოდელიას სეული ადგილი ბექან დადიანისაგან ეიჩრთამეთ მისის ყოველისფერიანათ; თავს ერთი მოსახლე კაცი გეგენავა მამუკა;

---

[1] მარკოზის. [2] ჭიორგია. [3] ზერდანია.

მეორე მოსახლე ინალი კუპრაიშვილი; მესამე მოხალისე განაყოფი მისი ძმა ბიბიევი; მეოთხე მამაცური კუპრაიშვილი; მეხუთე ჯდამაია ბაბუშვილი; მეექვსე ნაცვალი ჯდამაია, — ესენი მათის ყოველსფერიანად; მეშვიდე დათენა გულავა სენაკის კანდელაკის სისხლშიდ ამოვიყვანე მისის ცოლშვილით, ტყით, წყლით, აღგილით, მისის ყოველისფერიანათ.

[ეკის] მოხასტერი იმანიერი, ამ მოხასტერზედ ბერი დაეყენეთ და მისი სახარჯო კაციან-ალაგიან-საწირავიან-სალოცავიან ყოველისფერიანათ მიუჩინეთ და ერთი მოსახლე მოკალაპე ჩვენი არის. ამასთან ერთი მოსახლე კაცი სუბალაგი ნინია და მისი ძმა ბაბაკოჩი და მასთან ფანცუაია დავაყენე მისი ცოლშვილით და სხვისშვილით; მეორე შუდლაძე ნასიდა ჯერ სათათრიდამ მოვიდა, მერმე აუხაზეთიდამ მოვიყვანეთ და დავაყენეთ ცოლშვილით და თავის ყოველისფერით; მესამე თათრიშვილი კაკო; მეოთხე დავითა დათუკუდია; მეხუთე ფარულავა თბიშხაი. ჯოლიას ნაყმობი კაცი. მისის ცოლით და შვილით.

შხეფს იქ საყდართან ბერდია დახოდი შეწირული, მეორე მოსახლე მხეიძის ნიშანად ავიღე ოთია ესებუა.

უშაბათს ლაკა ხუტა და მისი ძმა კოჩა დადიანის ქალის ნიშნათ ავიღე მათის ყოველისფერიანად.

საწუღეისჭიროს[1] ერთი მოსახლე კაცი ჩილაჩავა მისის ყოველისფერიანად.

სახარბედიოს ეჯიბია ზაალ მხეიძის საწირავით ავიყვანე და დავასახლე; მეორე კიდეც ზაალ მხეიძისავ ნიშანწიდ ავიყვანე.

ტყ[ე]ირს ობიშხუა ჯოჯუ მისის ყოველისფერიანათ.

თეკლათს ერთი მოსახლე გარეჩავა ერისთვის ქალმა დედოფალმა შესწირა [14] მისის ყოველისფერიანათ.

წყალისგზის ცხისთქველის ციმლის ნაქონი სოფელი თავს ერთი ხელოსანი მამაგული სხვატარია; მეორე ჭითავა მაკარია; მესამე ლუხავა გიორგი და მისი ძმა ჭუჭუ; მეოთხე ჩოხოლეი ლუხავა და მისი ძმა ნინია კოჩი; მეხუთე ჯაჯავა გაჭირვებული ბორავა; მეექვსე გელოზია გიორგელა და ორი მისი ძმა და ერთი მისი ბიძაშვილი; მეშვიდე მამაგული ლასტრია მისი შვი-

[1] საწუღლაიძის.

ლებიანთ; მერვე ფაცილეი მელია: მეცხრე გარუჭა იესე და მისი შვილები; მეათე თოლიკავა,—ეს მოსახლეობა კაცები მათის წყლით, ტყით, სარჩოთი ყოვლისფერიანთ.

სახობოში ბიას კოჩიევარე სიჭინავა ჩიჯავაძის ნიშანში ბეჟან დადიანმა მოგვცა ორი გარე მოსახლის გლეხით, მისის ყოვლისფერიანად.

თვითონ ხობას საცხომარიოს: გიორგი პაიჭკორია და მისი ძმისწული მარტიშია, პაატა ჯოლიამ ჩუეხის კაცის ქალი გაყიდა და ბეჟან დადიანმა იმაში მოგვცა; მეორე მოახლე ხუხუ კოდუა და მისი ძმა მოგელი და მასთან კობახიძის ნაყმევი კაცი გოგოლავა მისი ცოლშვილით; მესამე სუბუქია მამაგელი და მისი ძმა ბაბადიში; მეოთხე ჯგუბურია ახალი კოჩი გურიშია და ორი მისი ძმა; მეხუთე ჯგუბურია ნიკურცხა; მეექუსე ბიგვაჭა ბაბუკოჩი; მეშვიდე ალათი ოჩაგავა მისის შვილებით. ორი მოსახლე კაცი კიდევ დეისმამა ჯაიანმა და ცოლმა მისმა ხახუ ლოლობერიძის ქალმა შესწირა: ძღინკი მახიმიჯა და მასთან კიდე თამაზა და ერთი ბიჭი ახალი კოჩი; მეორე მოსახლე კაცი თუთაშხია წულულაია,—ეს სახობო მათის წყლით, ტყით, ადგილით და ყოვლისფერით.

ხორგას საკუტალიოს გოჯი აშილავა მისის ცოლშვილით და მამულით მერაბ ჯაიანმა შესწირა; მეორე ჭითავა მახარობელი და მისი ძმა [V] ბაქარი მათის ცოლშვილით და ყოვლისფერით; მესამე პაჭკუ მასხულავა მისის ცოლშვილით და ყოვლისფერით; მეოთხე სამი ძმები ობლები ბერაია: ეცადია, გიორგელა, ბაბიჭუჭუ არცანდიასეულში დავასახლე; მეხუთე პაატა დათუნია; მეექვსე ხოჭოლავა მამია და ძმისწული მისი; მეშვიდე დასტურაია მამაშის შვილები; მერვე საჩქილაძ დასტურაია; მეცხრე კიდე დასტურაია მახუტია და დათუ; მეათე კიდევ დასტურაია ხულია და ძვიბი; მეათერთმეტე არცანდია მამაძინა და მისი ძმები კიკოლია, გაბრიელა, გიორგელა და ბადა; მეათორმეტე კიდევ დასტურაია ჭუჭუ თავისის ყმით.

ნაპარკეულსა სასახლე ერთის მოჯალაბით, ტყით, კარგის სათევზაოს წყლით, ადგილით, თავისი ყოვლისფერით; ორი მოსახლე გალმა გაგიბერია ბეჟი გარე-ყმიანად და თავისი ყოვ-

ლისფერით; ლეფონავი ინალუბი და მისი შვილები, მისი განაყოფი ნიკოლაძ და მისი შვილები; კიდევ გუნმანძაფშლა და მისი შვილები. იმას ზეით ბერაიები ერთი მოსახლე ხახუტდა მისი შვილები; მეორე ბაბაკოჩი და მისი შვილები; მესამე თომა ხუცესი ბერაია; მეოთხე განაყოფი მისი ბეჟია და მისი შვილი; მეხუთე შოშიტა ბერაია და მისი შვილი; მეექვსე გიგიბერია ზალუა და მისი ძმა კაკა; ხარაბედიები და ეჯიბია დავით კათალიკოზს ეშოვნა და ბეგარა არ მოეკითხა. ჩვენ მოვიკითხეთ და კარგათ მართებდა; მაგრამ ხუთ-ხუთი ლოლარიკონი საბოელი დავადევით და ბეგრობით აღარა ეთხოვებარა.

გურიას ასათიანი ხუცესი ენუქის შვილი ესე: მამუკა ნაკაშიძის, მისი ცოლისა და მისი შვილის ბეჟანის ნაშაწმიდ მოგვცა გურიელმა გიორგი და ხატს შევსწირე მისის ოთხის გლეხითა და ყოველისფერით; [16] ერთი მოსახლე ყდენტი ბეჟან ნაკაშიძემ მისი მეუღლის — ნიქარაძის ქალის ნაშინად მომცა ლანჩხუთს[1]; ერთი მოსახლე იმედეიშვილი ხუცესი იოანე და ორი მისი ძმები მამუკა და ხახუტა გურიელის გიორგის ნაშინად მომცეს და ხატს შევსწირე მისი ყოველისფერით; მეორე კიდევ ხუცესი ბარამიძე მახარობელი ბეჟან ნაკაშიძის ნაშინად ავიყვანე და მისი მოხასტრით და ყოველისფერით ხატს შევსწირე.

კიდევ ამის გარეთ ბეჟან მამუკაისშვილს ასი მარჩხილი დაედვა ჩემი და ებრალიძე თანდარჯს მარტო მისის ყოველისფერის კერძით. ჰყონდიდელი დიდებერიძის შვამავლობით და ჰყონია ხოსიას თავამდებობით იმ ასი მარჩხილიდ მომცა და ჩვენი არის.

ახლა ეს ჩვენი შეწირული კაცნი ზოგი რომელიმე სხვათ კათოლიკოზის ჭელიდ დაკარგულიყო და ქრთამით ჩვენ ამოეყვანეთ და ზოგნი ჩვენ ვიშოვნეთ, რომელი საკათოლიკოზოდ ყოფილიყო გავსინჯეთ და ხატის შემატებისათვის და საბოლოვოთ შერჩენისათვის ამ ჩვენ შეწირულს კაცს ყველას ბეგრათ სანთელი დავადევით: ცხენის წყალს გამოლმა იმერ[ე]თის ქვეყანას თითო შამახური და გალმა ოდიშის ქვეყანას ხუთ-ხუთი ლალარიკონი. მის მაგიერად მეხადილეს საჩუქარი ამოეწერეთ და ღორის მებეგრეს თითო ხაქლავი.

და სადაცა მონასტერი იყოს მისი შემაეალი კაცისაგან იმ მი-

[1] ლანჩხუთს.

სასტენს მიიტანებოდეს სახთელი: და სალაცარია, კათოლიკოზს მ[ა]
ეჩიძეოდეს.

და ტყვრის მონასტერს თორნეტი მოსახლეობისაგან
ყავს, იმათი სანთელიც ჯალებლად ამ მონასტერს მიერთმეოდეს.

ასე გადგერიგებია და შემოგვწირავს მე, სამინელო და ცათა
უფრაქველესო ბიშვინტისა ღმრთისმშობელო!

ამბავი ვინცა და რომელმანცა ეშმან კაცისამან: 'ანუ მეცემან,
ანუ დადახვა და ამ ეკრიელმა, ანუ მიაკართა, ანუ დიდებული და
წარჩინებული', [V] ანუ დილია ანუ მცირეა; ესე შეწირულობის
სიგელი და იადგარი მოშალოს და დიდსა ანუ მცირესა
რასმე ეხოცედე ჭელპყოს და ესე არ დაამტკიცოს და დაბსნას,
წყევლა და შეჩვენებულმცა არიან ღმრთისა დაუსაბამოსა და დიდ-
რულებელისა პირითა, რომელმან შექმნა საუკუნენი.

კრულ, წყეულ და შეჩვენებულმცა არს სელი და ხორცნი მათ-
ნი წყეულ და შეჩვენებულმცა არს ასტროსნისა და ცხოველსმყო-
ფელისა ჯვარისაგან; წყეულმცა არიან წმიდათა ზეცისა ძალთაგან;
წყეულმცა არიან წმიდანი იოანე ნათლის მცემლისაგან; კრულ, წყე-
ულ და შეჩვენებულმცა არს წმიდათა ყუა ყოველად შეზღუდული მოცი-
ქულთაგან.

წყეულ და შეჩვენებულ არს წმიდათა შვიდთა კრებათაგან და
ყოველთა წმიდათა ღმრთისათა, რომელნი საუკუნიდგან სათნო ეყუ-
ნეს ეფეველსა ზედსა იესუ ქრისტესა და კუალად სათნო ყოფად
არიან.

კრულ, წყეულ და შეჩვენებულ არიან ცათა და ქვეყანისაგან
ჯორცთა და ულიანა, თვალთა და ცოლიცა, შვილთა და შვილის-
შვილთა და ერდგულის ყმათა;

იქმნების სოფელი ესე მისთვის მოკლე და ესარგებლო: ექმნე-
ბის ცოლი მისი ქვრივ და მწუხარე, შვილნი მისნი ობოლ და შეძ-
ულებულ და დაცვენებულ, ვითარცა მართუენი ყორნისანი;

ენაყოფი არს ქვეყანა სათესავი და არა არს თესლისა გამოძ-
ღებელ, მაგრამ მისი ენაყოფი და ხუ შეეკრებს მისგან ნაყოფსა;

წყეულმცა არს ცხენი და ხორცი მისი და ყოველი საქონელი
და ნეხარაშმცა რა ეპოვნების სახლისა მისისაგან სანუგეშინის-
ცემო;

კრულმცა [არს] თავი მისი მაღლით მისთა ზედა და მხარნი მის-
ნი წელთა მისთა ზედა; კრულმცა არს წელნი მისნი თეძოთა მისთა
[ხედა] და თეძონი წყვილთა მისთა ხედა; კრულმცა არს წყვილნი

1+წარჩინებული.

მისსი მუხლთა ზედა მისთა და მუხლნი მისნი კოჭთა მისთა ზედა კოჭნი მისნი ფერხთა მისთა ზედა და ფერხნი მისნი მიწასა ზედა, ადგილთა და საწოლთა ზედა; კრულმცა არს ბილწი მისთვის, სადა დადგეს ფერხნი მისნი; კრულმცა არს თვალნი მისნი მსცდველად; კრულმცა არს პირი მისი პერის საჭმელად, ენა შეჭაელად, ჭალნი მოჭრელად, ფერხნი სავლელად, ყელი საჭმის გასაგონებლად;

კრულმცა არს იგი და მისი გასაგისი [16] და განსაგებელი მისი სიგამან მიიღეს.

კრულმცა არს მისი სიცოცხლე, კრულმცა არს მისი საქმელი; კრულ არს მისი საფლავი, სადა იგი მიიღების და დაეფლვის;

და ხემცა ეხახების სული მისი წირვითა მღუდელმთავრისა; ნემცა იერუსალემს წასვლითა, ხუცე ქველის საქმითა გლახაკთითა, ნუცა პურის მიცემითა მშიერთათა;

ყოველივე კეთილისა მისი ცხარეებლად აქმნების მისთვის;

მის ცქმნების კეთრი ვეზასი, შიშთილი იუდასი, დახრჩი და ობი და ამბორითნისი წუცე, კრულეა და შუხვენება საწებით სრულ-ყოფილისა ღმრთისა, ამინ, ამინ, ამინ.

და მიწყევის იგი ადგილთა ზათ, სადა არს ცხელი წყედიდი განუსაღებელი ეგებითა ალსაგსე, ცეცხლი უწრეტი, მატლი უძილი, ტარტაროზი და დიდვენა კბილთა;

ნულარაჟცა ეკმნების გამოხსნა ფსკერთაგან ჯოჯოხეთისათა ვიდრე უკუნითი უკუნისამდე, ამინ, ამინ, ამინ.

დაიწერა სიგელი ესე ქრისტეს აქეთ ჩჟლგ, ქორონიკონს ოჯა, ოქტომბერისასა ივ.

ესე იგია ცნობა ამაღლებას დაგასაბლე. ძირი საკითხლი-კიზი ჯაცი წიგნცი და ბიჭვინტისა ღმრთისმშობელს შეესწირე თა-ბით, ცოლით, შვილით, რისიც მჭირუბელია. ისამც ბასხამს, ვინაც გამოისწიროს, ამინ.

234. [პირობის წიგნი ოთოფრე მამუტაძისა წინამძღვარ ზაქარიასადმი]

[1704—1711 წწ.]

ქ. ესე წიგნი მოგეცეთი ჩვენ, დ ე ვ ი თ-გ ა რ ე ჯ ი ს წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ მ ა მ ა ო თ ო ფ რ ე მ თქუენ, წმინდის დიდის წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ს მ ა მ ა ზ ა ქ ა რ ი ა ს და თქუენს კრებულთ ასე, რომე:

ვხედი ძველითგანი გულგული თქუენი და ჩვენის მონასტრის სა-

ერთო ვიბოვნეთ მეფის ალექსანდრისაგან გაახლებული ჩვენის ყატისა და თქვენის ტაძრებისა და კიდემ სხვისა. ეს ჯარი ჩვენს მონასტერში არის და როდესაც სალამარაკოდ [ჩვენ] მოგართვათ, და როდისაც ისაქმოთ, [ასე]ვ როგორადაც საერთო არის, ასე[ვ]... ერთად შევინახოთ, ჩვენის საყდრის გუჯრებში არის; როდისაც ითხოვდეთ, ჩვენი კრებული გაუერჯელად მოგართმევდენ.

ბეჭედი: ქ. მოწა ლთისა დავით-გარეჯის წინამძღვარი მაჭუტაძე ონოფრე

235. [წყალობის წიგნი ზაქარია ალავერდელისა დეკანოზ აბრამისადმი]

[1784 წ. 17 მარტი]

ქ. ესპა შენ სახიერის ღმრთისა და არსება დაუსაბამოსა უერთლებელის ძალგანუზომელისა ერთარსისა ღმრთეებისა და სამგმოვანად ცნობილისა მამისა ღმრთისა, ძისა ღმრთისა და სულისა წმინდისათა; თაყდებობითა და შუამდგომელობითა[1] ღმრთისათა და მეოხებითა ყოველად[2] უხრწნელისა უფროსად კურთხეულისა დედოფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისათა და ყოველთა წმინდათა ღმრთისათა ზეცისა უსხეულთა, უჭორცოთა, ანგელოზთა და მთავარანგელოზთა მიქაელ და გაბრიელისათა, წმინდათა დიდთა სქ[ო]ფლის ქად[ა]გთა მოციქულთა პეტრესა და პავლე[სითა], წმინდისა და დვაწლმრავალისა დიდებით დიდებულისა უფლ[ი]სა ჩემისა გიორგისათა, პატრონისა და ცხოველსმყოფელისა ჯვარისათა;

ამათის შუამდგომელობითა[3], მოწყობითა და თაყდებობითა[4] ჩვენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხეულმან ენდრ[ო]ნ[ი]კაშვილმან, აბელ მოლრაეის ძემ, ამბა ალავერდელმან პატრონმან ზაქარიამ ესე უკუნისამდეგ ქამთა და ხანთა[5] გასათავებელი, მტკიცე[6] და უცვალებელი, სამკ[უი]დრო და საბოლო[რ] გამოსადეგი წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ [თ]ქვენ, ჩვენსა ერდგულსა და თაყდადებითა წმინდისა გიორგისა ნამსახურს გიორგის მხატვარისა დეკან[ო]ზის ძმისწულს წმინდის გიორგის დეკანოზისა დავითის შვილსა დეკანოზს აბრამსა[7] და შვილთა შენთა გიორგისა და შვილთა და მამავალთა სახლისა შენისათა ასე და ამა პირსა ზედან, რომე[8];

---

[1] შეგეამდგომელობითა. [2] ყოველად. [3] წაყმდგომლობითა. [4]+და შეამდომჭლობითა. [5]+გას. [6] მტკიცედ. [7] აბრჭამასა. [8] რომო.

კ ა ხ ე თ ი ჩრდ ლეკისაგან[1] აოყარა და გალ[ე]სდენ კახეთის კაცი, იმ გაჭირებაში საწყალი[2] მამაშენი დავით დეკანოზი, წმინდის გიორგის თავდებობით და სასოებით[3] მოსდგ[ო]მოდა და შიშისა და იწროებ[ი]თ ვეღარ ეცოცხლა და წმინდას გიორგიში მოვკდომოდა[4], და შენ[5] შენ[ს] ბატონს ალავერდელ ჩოლაყაშვილს ნიკოლ[ო]ზს გართლში ხლებოდი და ბე[ვ]რი გეშახერებინა, ისიც ბე[ვ]რს წყალობას დაგპირებოდ[ა] და აღ[ა]რ დაცალებოდა.

და ახლა ჩვენცა და ჩვენს დიდებულს წმინდას გიორგის ერდგულად გვემსახურებოდი. ამისად საბასუხოდ წყალობას გვეწ[ე]ნით, ვისმინეთ მოაჯება თქვენი, აღვძარით გული და გონება, მოგიპყარით ყურნი და თვ[ა]ლნი წყალობად შენდა. გიბოძეთ ქორწყელში ბაბღიას ნაქონი ვენაჯი თავის სამძღ[ვ]რით, სახლითა და კარით, ქვევრით და მარნით, წყლითა და წისქ[ვ]ილითა, შესაცვლითა და გასაცვლითა, თავითა და ბოლოთა, საქნავითა და უქნაეითა, ტყითა და მინდრითა თავისის სამართლიანის ყოვლის მისის საძღ[ვ]რითა, შენთვის ჭელმოუცალად წყალობა გვიქნია ყოველის კაცის მოუდევარ-მოწესარ[ჩ]ელად.

გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან წმინდის გიორგის ერდგულობას და ჩვენს სამსახურში; ესე არათდეს არ მოგეშალოს, არა ჩვენგან და არცა შემდგ[ო]მად ჩვენსა სხუათა[6] საჭეთმპყრობელთა მეპატრონეთა ალავერდელთაგან.

აწე ვინცა და რამანცა ადამას მონათესავემან კაცმან: შ[ე]მდგომად ჩვენსა საჭეთმპყრობელმან მჭონებელმან ალავერდელმან, ანუ მეფემან, ანუ დედოფალმან, ანუ თავადმან, ანუ აზნაურმან, ანუ დიდმან, ანუ მცირემან ესე ჩვენგან გაბრიგებული წყალობის წიგნი და სიგელი გაშალოს და ან შლად ქცეყოს, თავად რისხავს ღმერთი მამა, ძე და სული წმინდა და ყოველად წმინდ[ა] ღმრთისმშობელი და თვით დიდებული მთავარმოწამე[7] გიორგი ალავერდისა და ყოველნი წმინდანი ღმრთისანი ზეცისა და ქვეყანისანი, ჴორცელნი და უჴორცონი და ნურათამც ნუ იქნება[8] ხსნა სულისა მისისა დღეს[ა] მას დიდს განკითხვისას[ა].

ხოლო გამთავენი[9] და დ[ა]მამტკიცებელნ[ი] ამისნ[ი] ღმერთმან აკურთხნეს.

ამრიან ამისნი მოწამენი და გამრიგენი: ა ბ ე ლ ა ჭის[ა]ს

---

[1] ლეკისგან. [2] საყალსს. [3] სახოებით. [4] მოკდომოდა. [5] +და. [6] სახოთა. [7] +დო. [8] +ხს. [9] +დამდა დამან.

მოურავი და იმის ძმა ეშიკაღ[ა]სბაში თამაზა და სხვანი დარჩენილი აზნაურიშვილები, სალთხუცესი გიორგი, ჭანგვეთხუცესი, ბოქ[ო]ულთხუცესი ენდრონ[იკ]აშვილი, ნაცვ[ა]ლი ზა[ა]ლ და შერმაზან აბელაშვილი დასულ საყდრ[ი]ონი აზნაური და გლეხი.

დაიწერა ეს წიგნი მარტს გასულს ჩვიდმეტს[1] [ჩელითა] მგალობლიშვილის გიორგის ძის ბექ[ა]ნისათა, ქორონიკონს ზჯბ.

ხელთაა: ალავერდელი

236. [წყალობის წიგნი ზაქარია ალავერდელისა ავთანდილ იოსამის შვილისადმი]

[1734 წ. 16 აპრილი]

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა, ესე ამიერით უკუნისამდე ყამთა და [ხა]თა გასათავებელი წყალობის წიგნი და მამული შევიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ, ქრისტეს მიერ კურთხეულმან ენდრონიკაშვილმან ამბა ალავერდელმან პატრონმან ზაქარიამ.

ასე, რომ: ძმის წული ჩვენი ქისიჭის მოურავი შეა გყვანდა და მოგეცით და მოგანიჭეთ თქვენ დიდებულის წინდის გიორგის ერთგულთა, ჩვენსა ერთგულთა და თავდადებით ნამსახურსა აზნაურსა იოსამის შვილსა მგჯინიბეთუხუცესს ავთანდილს, ძმასა შენსა ვარჯანს, შვილსა შენსა გიორგის და პაატას, შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა. ასე და ამა პირსა ზედა, რომე:

მოსვედით და ბაიხოს პაპუაშვილის მამულს გვეჯვინით. და ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გიბოძეთ პაპუაშვილის მამული, ეუნაჯი, საქნავ-სათესით, სასახლით, ქვევრ-მარნით, შესავალ-გასაელით, წყლით, გზით და ყოვლის მისის სამართლიანის საქმით ეგიბოძებია და არაოდეს არ მოგეშალოს ჩვენგან და არცა სხვათა შიმდგომთა ამბა ალავერდელთაგან.

გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან წმიდის გიორგის ერთგულობასა და სამსახურში და ჩვენს ერთგულობაში და სამსახურში; ყოველის კაცის უცილებლად გიბოძეთ და ნუმცავინ ჭელყოფთ შლად ამისა.

არიან ამას მოწამე თავად ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანი

---

[1] +ვ სოლს დაიწერა ესე წიგნი.

და თვით დიდებული წმიდა გიორგი; და კაცთაგან არიან ამისნი მოწამენი: სალთხუცესი გიორგი, მდივანი ბაქარ[ი]ოზ ბოქოულთხუცესი ენდრონიკა, მეჯვინეთუხუცესი ბერი, ნაცვალი ზაალ, შერმაზან აბელაშვილი, ომან ჭ[ი]ლაშვილი, შერმაზან სადუნიშვილი, ბაიბოს გოგატიშვილი, სულ საყდრიონი ახნაურნი და გლეხნი — ყოველნივე ამისნი მოწამენი არიან.

დაიწერა წიგნი ესე თვესა აპრილს **ივ**, ქორონიკონსა **უკბ**. დაიწერა წიგნი ესე ჯელითა ძმისწულისა ჩვენისა ომან ყოფილის ონოფრესითა, ამინ.

ხელთოვა: ალავერდელი ზაქარია. ბეჭდი: ალავერდელი ზაქარია

237. [ჯყალობის წიგნი ნიკოლოზ ალავერდელისა ნაცვალ ზაალისადმი]

[1786 წ. 30 მარტი]

ქ. დაწყებასა საქმეთასა პირველად ღმრთისა მოქმედებელმან და ეგრეთ ღვაწლმრავლობით განსაკუთრებულისა მონასა მისისა მოწამე[თა] შორის წარჩინებულსა და მკნედ აჯოვ[ან]ისა, [დი]დებით დიდებულისა გიორგისათა, ნებითა მის მიერითა სრულმყოფელმან განზრახვისა ჩვენისამან, მპყრობელ მჭონებელმან ტ[ა]ძრისა მისისამან და განმგებელმან დაბათა და ავარაყთა მისთაჰან, მწყემსმან კეთილმან ცხოვართა პირმეტყ[უ]ელთამან და მწემან საიდუმლოთა საშეუფოთამან, დიდმან მღდელთ-მთავარმან და მაღალსა საშეუფოს ხარისხს ზედან ღირსებით მჯდომარემან, და ეგრეთვე კვერთხითა მწყემსობისათა ქრისტეს ერის დამწყსელმან, ენდრონიკაშვილმან ღმრთივ ზეცით კურთხეულმან ამბა[1] ალავერდელმან, აბელ მ[ო]ურავის ძმამ, ნიკოლოზ ვიგულსმოდგინე, მგზ[ა]ვსად ჩვეულების და აღძარ წყალობისა მოღებად თქუენთა წარჩინებულთა ყმათა დიდებულისა გიორგისათა, თქუენ ნაცვლის ბეჟანის შვილებს, ნაცვალს ზ[ა]ლს და შენს ამას ავთანდილს, ბიძას შვილს შენს გიორგის, შვილს შენს ბეჟანს, მერაბს და ათანასეს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა, ასე და ამა პირსა ზედან:

უწინ ნიკოლოზ ალავერდელს საჭილდოში თავი მი-

[1] ამბაბა.

გერთმევ[ი]ნა ლექ[ი]სა და იმას გოგურაშვილია წყალობა უნ-
ნა თავის მამულით. წიგნი დაგწვ[ე]ოდა. და ახლა ჩვენც ბესქირველად
გად ერდგულად გვემსახურე და ახლა ჩვენს[1] საყდარზედ ღრდმსახურე.
ერდგელად გაორგილი და ნამსახლარი ყოფილიყავ. ამას სანუქეთოდ[2]
ჩ[ვ]ენც ყური მოგ[ი]გდევით და თქვენც იმ დამწვ[ა]რის წიგნის
გა[ა]ხლებას გვეაჭვნით.

ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, გიბოძეთ ქორწელში
ისევ[3] გოგურაშ[ვ]ილი მარტია თავისის მამულითა, ვენა-
ჯითა, ქვევრ-მარნითა, წყლითა, წისქვილითა, შესავლით და გასავ-
ლით, თავ[ი]თა და ბოლოთა, საჭვავითა და უჭვავითა, ყოველის სა-
მართლიანის სამძღ[ვ]რითა თქვენთვიხ გვიბოძებია. არ მოგეშალოს
არც ჩვენგან და არც შემდგომთა სხვათა საჭვეთა მპყრობელთა ალა-
ვერდელთაგან. ეჭოხდეს და გიბედნიეროს ღმერთმან წმინდის
გიორგის ერდგულობასა და სამსახურში.

არიან ამისი დამწყვდევი და გამრიგებელნი სულ საყდრითნი
აზნაურიშვილები. სალთხუცესი გიორგი მედვინეთ-
ხუცესი ომან, ბოქაულთხუცესი ფარემუზ. ამბე-
ლაშვილი მერმაზან და სულ საყდრითნი აზნაური და
გლეხი.

ხოლო[4] დამამტკიცებელნი ანისნი ღმერთმან აკურთხოს აწ და
უკუნითი[5] უკუნ[ე]ის[ა]მდე, ამინ.

ვინცა და რამანც კაცმა ეს[6] ჩვენი წყალობ[ა] წიგნი და სიგელი
მოგიშალოს, ისიმც შეიშლების რჯულის ქრისტიანობისათვან; რის-
ხავს მამა, ძე და სული წმინდა, ზეცითერნი[7] და გვეყვ[ი]ერნი და თვით
დიდებული წმინდა გიორგი ალავერდისა; იმას[ა]მც ედ[ე]ბის კეთრი
გეზისა და მიშთვილი იქედასი, დანთქმა დათან დან[8] აბიროხისი.

დ[ა]იწერა ეს სიგელი მარტის ოცდაათს გასულს, ქორონიკონს
უკდ; დაიწერა ეს წიგნი კარის ჩვენისა მდივანმწიგნობრის
ბეჟანისათა, ამინ, ამინ.

ხელთაგი: ალავერდელი ნიკოლოზ
ბეჭედი: ალავერდელი ნიკოლოზ
მარცხენა კიდეზე

ქ. ჩვენ, მეფე ქართლისა და კახეთისა ირაკლი, ამ სიგელს
ვამტკიცებთ. ნოემბერს ით, ქორონიკონს ჟიზ.

ბეჭედი: მე ფეხთაგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე ერეკლე.

---

[1] ჩვენის. [2] სანუქეთოდ. [3] ისევ. [4] მხოლ. [5] უკუნითი. [6] + ეს. [7] ზეკეთერხი.
[8] დანთქმა დათან დი] დათანი დანთქმა.

ქ. ჩვენ, საქართველოს და კახეთის დედოფალთ-დედოფალი, დადიანის ასული, პატრონი დარეჯან, ვამტკიცებთ სიგელსა ამას. ნოემბრის იწ, ქორონიკონს უჲზ.

ბეჭედი: ვინ არს მიზეზი აოსთა მკობისა, მანმცა წიაღი დედოფლობისა დარეჯან.

ქ. ჩვენ, მეფის ძე ბატონიშვილი გიორგი, ვამტკიცებთ ამ სიგელსა. გიორგობისთვის ით, ქორონიკონს უჲზ.

ბეჭედი: სიმდაბლით ჩემთვის გარდამოსულია იესოს გმობნებ ღმერთ კაცსა სრულსა გიორგი.

ქ. ჩვენ, ბეფის ძე ბატონიშვილი ლევან, ვამტკიცებთ ამ სიგელსა. გიორგობისთვის ით, ქორონიკონს უჲზ.

ბეჭედი: მორჩობლთა მეფეთა ძესა ლევან სახელად მძესა.

ქ. ჩვენ, ბეფის ძე ბატონიშვილი იულონ, ვამტკიცებთ სიგელს ამას. გიორგობისთვის ით, ქორონიკონს უჲზ.

ბეჭედი: დთისმშობლის სასოებანი იულონ დავითიანი.

ქ. ჩვენ, მეფის ძე ვახტანგ, ამ სიგელს ვამტკიცებთ. ნოემბერს ით, ქორონიკონს უჲზ.

ბეჭედი: ლომად იუდას ბაკეთად ვახტანგ ირაკლის ნაკვეთად.

238. [ალთქმის წიგნი მთავარეპისკოპოს რაფდენისა დიმენტი კათალიკოზისადმი]

[1721—1739 წწ.]

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა ესე ფიცი და პირი დავდევით ჩვენ, ციცეშვილმა მთავარეპისკოპოზმან რაჟდენ და მოვართვით თქვენ, წმიდასა და კათოლიკე ეკლესიასა სვეტსა ცხოველსა, კვართსა საუფლოსა და მიბრუნა წმიდასა და პატიოსანსა ჯვარისა ქართველ-პატრიარქსა, ბატონიშვილს უფალსა და მეუფესა ჩვენსა, ბატონს დიმიტრის.

ასე, რომ: თქვენის ნებითა და ქართველთ ნებადართვით მთავარეპისკოპოსობა დაიჭირე და კურთხევის შენდობა მიბოძეთ. მოველ თქვენს კათოლიკე ეკლესიასა სვეტის ცხოველის წინაშე და ესე აღვთქვა, ფიცი და პირი დავდევ:

არც თქვენი და არც კათოლიკე ეკლესი[ი]ს წინა აღმდეგობა და ურჩობა არა ვქნა. რომელიც ჩვენის ჯელიდამ გამოვიდეს, სამსახურსა და მორჩილობას ვეცადო. რომელიც ჩვენის ჯელიდამ გა-

მოვიდეს ან თქვენზედა ან თქვენის კათოლიკე ეკლესი[ის]ს წინა აღ-
მდეგობა და ურჩობა ვქნა, კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი ს დ ო მ ე ნ ტ ი ს ა-
გ ა ნ ც ა და კათოლიკე ეკლესი[ი]სავანაც შეჩვენებული ვიყო.

ამასდა გარდა ყაძთა ვითარებისაგან ბატონი კ ა თ ა ლ ი კ ო-
ზ ი დ ო მ ე ნ ტ ი ს ტ ა მ ბ ო ლ ს ბძანდებოდა და მე მთავარ-
ეპისკოპოზობა ვიმოვნე. არზა მივსწერეთ ქართველთ ნება დარ-
თვითა, და შენდობა ეზოძა. ებძანა: ბატონი ტ ფ ი ლ ე ლ ი მი-
ბძანდეს და ორის ეპისკოპოსით აკურთხოსო.

მოვედით და რადგან იმისი ბძანება და შენდობა იყო, მაკურ-
თხეს.

ამათის შოწმობითა და შეამდგომლობითა არც კათალიკოზისა
და არც კათოლიკე ეკლესი[ი]ს წინა აღმდეგობა და ურჩობა არა
ვქნა; არც თქვენი და არც ჩემის ამხანაგის სამწყსო დიაკონი და
მღვდელი არ ვაკურთხო.

ხელრთა: რაჟდენ მთავარეპისკოპოზი

239. [სამწყსოს განწესების წიგნი დომენტი კათალიკოზისა შრგნელ ნიკოლოზ ხერხეულიძისადმი]

[1728 წ. 6 მარტი]

რომელი იყო სიბრძნე და სიტყუა უხილავისა მამისა, ამან
დამყარებულ ყუნა ცაი ესე ქმნულება და მფლობელ ყუნა ქაცნი
თავის უცილებით, გარნა ვინათგან საცთურ ექმნა თუით [მფლო-
ბელობა ესე. შესცთა მცნებასა, დაეცა დაცემითა განსაკრთომე-
ლითა;

მიერითგან არღარა იყო ჭსნა ცთუნებულისა, თუინიერ მისა,
რომელ თუით იგივე სიტყუა გარდამოჴდა სიმდაბლით და კაცება
შეიმოსა და იწყო განხეთქ[ად] პირველისა მისი წყევისა და შემო-
სად ნათლის-ღებისა და უხილავად სულისა მიფენად ყოველთა
ზედა;

ამისა შენდგომად ისწრაფვეს, რომელიცა სულისა მიერვე გა-
მორჩეულ იქმნეს, რომელნი თუით მხილველ და ჴელ[თ მსახ]ურ
იქმნეს და იწოდნეს მოციქულ და იწყეს ქადაგებად და განათლე-
ბად ყოველთა, რომელთაცა შეიწყნარეს;

ამი[სა მოჰსურნე ეჴმნეს საჭინო ესე მნათობი და მჭურვალი
ქადაგი პირველმოწამე სტეფანე, რომლისა მიმართ არს [სი]ტყუა
ჩემი, რამეთუ ოდეს ამაღლდა ზ[ე]მთა მაღალი იგი, მერმეღა განა-
წესნეს მოციქულთა. ხელსესი ეკლესიათათუის;

[რამეთუ ჯსე] თუით სულისა წმინდისა მიერ გამორჩეულ იქმ-

ნი დიაკუნად, დაიდგინა შემამკობელად და განმანათლებელად [ეკლესიისა] ქრისტეს აღსადგომელისა; მუნით განეთესნეს ყოველნი სოფელსა და იწყეს სახარებად, რომლისა მიერ უმჯობარვალეს[ად] ქმნილ[ა] სავსე იქმნა სულითა წმინდითა და იწყო ქადაგებად და ძალთა კურნებისათა დიდ-დიდთა ამისა მჭვრეტელ იქმნეს ლიბირტინელნი და კვირინელნი გარემონი მისნი.

პირველად ამან შეაწყნარათ სახარება ალექსანდრიელთა კილიკიელ[თა და] ასიელთა, რომელნი მორჩილ ექმნებოდეს და სხვანი ცილისა რასამე მოწამედ აღუდგებოდეს, რამეთუ იესო ნაზარეველ[ი]სა მიერ ტაძრისა დარღვევასა ეწამებოდეს და არა ტყუილსამე იყო.

ხოლო იგი ვითარცა ანგელოზი ბრწყინვიდა, რამეთუ მათ ანტაკრად წი[ნა] ხადოდა. ოდეს ახედნა ცად იხილა დიდება ღმრთისა და იესო მარჯვენით ღმრთისა მჯდომარე და ესერა ჰქუა მას: კონება აქუნდა განათლებულ[ი] და შერითა იესოსითა დაბნელებულნი მეყუსეულად ჭელნი ყურთა შეისხნეს და წინასწარ ყოველთა მოციქულ[თა] ესე განიყვანეს გარე შე ქალაქისა და ქვა დაკრიბეს, გარნა მჭოლველთათვის ილოცვიდა: «უფალო, ნუ შეუნერაც ცოდვასა ამას»; და ესრეთ სრულყო კეთილ აღრბიელი თვისი და დაიძინა.

ამისა ზედა მდგომელი იყო სავლე გინმე, რომელმან მიიღო ნათელი კაც[ისა] და იქმნა ჯერ-მჩინებელი სახიერისა მოძღვრისა. რამეთუ ესე იქმნა მიზეზ მისა:

ვინათგან ესეოდენნი ღვაწლნი თავს ისხნა და გვირგვინსა ზეგარდამოსა ღირს იქმნა, ამისთვის აღვმართებთ სახელსა მისსა ზედა ტაძართა და ხატთა მისთა [სარწმ]ჭუნოებით შევიწყნარებთ და სურვილით ამბორს უყოფთ.

რომელიცა აწ არს ეკლესია ყოვლად შვენიერი საქართველოსა ამას [წინა] ურბნის[ს], საეფისკოპოზოთ ყოველად განპატიოსნებული.

და აწ ჩვენ, ყოველისა საქართველოსა მაკურთხეველმან, მეფეთა შარავანდედმან, კათალიკოზ-პატრიარქმან ბატონის შვილმან დომენტიმ ძიება გყავთ, აღმოვიკითხეთ ძველნი ქართლისა მატიანენი დაწერილნი, ვცანით, რომელი ხარისხი და პატივი მაღალი ჰქონებოდა ურბნელთა, გარნა ქამთა ვითარებათა-

[1] განათლებულ[ი] ნლიგებელი.

გან და ქვეყანათა [იავარ]ქმნისაგან ხატისხთაგანცა დაკნინებულ იყო და სამწყ[ს]ოცა დამცირებოდა.

აწე მოიძახდა სერხეულიძე ეფისკოპოსი უ[რ]ჩ[ხ]ლი] ნიკოლაოზ და დაგვეჯა წყალობასა. და საყდარზედაც დიდი ჭირნახული და სამსახური დაედო.

და ჩვენც პატივს ვეცით და უსმინეთ აჯა და მოხსენება; და გულს-ვიდგინეთ და მივეცით საწყისოდ არა რომლისა ეფისკოპოზისა ნაკლებები და შევსწ[ი]რეთ პირველ მოწამესა ყოვლად ქებულსა სტეფანეს: გაღმა-გამოღმა ავალი შვილი და სრულიად კეთება ზენავსა და ქ[ი]მერ]ეთს ზეით, სადგრითა და პაგინეთ-გუჯარეთითა, არამედ ჩვენდა მიერი და ჩვენსა კურთხევასა ქვეშე მყოფილნი სულ ერთობილად ყოვლის ეპისკოპოზის უცილებლად მღვდელთ-მთავრობასა ურბნელ ეფისკოპოზისა ბატონის ნიკოლაოზისა.

შეიწირე შენ ყოვლად საროწმუნოო და ნათლითა ზეგარდმოთა გვირგვინოსანო პირველ მოწამეო და სახელისა თანადირსო სახელო, ყოვლად ქებულო სტეფანე კნინი ესე მოსახსენებელი. რამეთუ ფრიად მსუროდა შენდა და დიდად მენება პატიოსნებად ტაძარი შენი, გარნა კნინი ესე ძღვენი ვიღეაწე, რათა ჩემთვისცა ილმოუტეო იგი ჭმა მერმესა მას: «ღუჟალო, ნუ შეჯრაც ცოდვათა ამისთა».

აწ რამანცა ქაცმა ადამის მონათესავეთან ინებოს და იკადროს გამოხვებად და დაკლებად ეკლესიისა ამის, ნებითა ღმრთისათა შევსწირე შესაწირავი ესე, ნურღინ მშლელ ეკმნებით გაგებულსა ჩვენსა.

ყოველად სანატრელნო კათალიკოზ-პატრიარქნო, [და წმინდ]ანო მიტრაპოლიტნო და ეფისკოპოზნო, და კეთილმორწმუნენო მეფენო და დედოფალნო, თქვენც ასრე დაუმტკიცეთ ჩვენი ბძანება და შესაწირავი ესე, რათა თქვენიცა გაგებული ღმერთმან დაამტკიცოს და წარმართოს.

და თუ ვინმე ჭელყოს შლად ამისად: მეფემან ანუ დედოფალმან, ანუ პატრიარქმან, ანუ მიტრაპოლიტ-ეფისკოპოსმან, ანუ არქიმანდრიტ[ან, ანუ მღვდელმან, გინა დიაკვანმან ანუ უფლისწულმან, ანუ თავადმან, გინა აზნაურმან, გინა მკირემან ანუ დიდმან, — რისხავს მასმცა დაესა[ბამო ღმერთი] და თვით წმიდა ესე პირველ მოწამე სტეფანე და ყოვლად წმინდანი ღმრთისანი ზეცისანი და ქვეყანისანი, ნურაოთა სი[ნათლითა] ნუ იქმნების ჭსნა სულებსა მისსა საუკუნოსა სატანჯველისაგან, ამინ.

ჩვენთვისცა სულისა ჩვენისა მოსახსენებლად წელიწ[ად]სა შინა ყოველისა შაბათსა წმიდა ურბნელი ხერხეულიძე ეფისკოპოზი ნიკოლაოზ თავისის კრებულით წყალობდას ქამის-წირვას იდასრულებდეს. და შემდგომად ამისსა ტომული[ა] ურბნელი ბძანდებოდეს, ისიც აგრევე წირვას ყოფდეს [ჩვენ]და] მოსახსენებლად.

რომელიც წირვას წმიდის სტეფანეს შჯდომი ურბნელი დაგვაკლებს, თან-აც სიტყვის მიცემა დღესა მას დი[დსა განკითხვისასა].

დაიწერა სიგელი ესე თვესა მარტსა ე გასულს, ქორონიკონს უკჱ, ქრისტეს აქეთ ჩდლთ.

ხელრთვა: კათალიკოზ-პატრიაქი დომენტი ვამტკიცებ ნებითა ღმრთისათა.

თავში ბეჭედი: რომელი გახჭსნათ ქვეყანასა ზედა, ჴსნილ იყოს იგი ცათა შინა.

ხვედად: დომენტი, წყალობითა ღმრთისათა, კათალიკოზი მცხეთისა, ქართლისა, კახეთისა, სრულისა(?) შაქისა(?) კერძისა (?), ჰერეთისა, იმერთასა (?)... სამცხე-საათაბაგოსა პატრიაქი.

მარცხენა კიდეზე

მ. ჩვენ, ბატონი არჩილ ვამტკიცებთ სიგელსა ამას, რაოდენაც ბატონს ბიძაჩვენს კათალიკოზ-პატრიაქს გაუთიგებია.

ბეჭედი: მეფე არჩილ

ჭ. ყოველად სანატრელისა წმიდისა ამის პატრიარხისა არქიდიაკონი ანტონი ამისი მოწამე ვართ.

ბეჭედი: ანტონ

ჭ. ჩუენ, ღმრთივ-ცხებულთა მალალთა ჴელმწიფეთა ტომ[ისა] და დავითის ძირითგან აღმოცენებული ყოველისა საქართველოს კათალიკოზ-პატრიაქი, ძე ქართველთა შეფის იესესი, ანტონი, ბიძის ჩვენის ბძანებაა და სიგელსა ამას ვამტკიცებ ნებითა ღმრთისათა.

ქრისტეს აქათ ჩლმე, ინდიკტიონსა კათალიკოზ-პატრიაქობისა ჩუენისასა ა.

ხელრთვა: კათალიკოზი

ქ. ჩვენ, მეფე ირაკლი ვამტკიცებთ, წელსა ქრისტეს აქათ ჩღაზ, ნოემბრის გ, სიგელსა ამას. ქორონიკონს უნე.

ბეჭდი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ^ტ^ლ^ლ^ე^ ერეკლე

verso

ქ. ჩვენ, მრჩობლთა მეფეთა და სამეფოთა უფლისწული მეფის ძე გიორგი ვამტკიცებთ სიგელსა და გუჯარსა ამას წელსა ჩღაწ, ქორონიკონს უნვ.

ბეჭდი: მეფის-ძე გიორგი

ქ. ჩვენ, ქართლის მთავარეფისკოპოზი კირიე ამ პატრიაქის სიგელს ვამტკიცებთ

ხელთა: მთავარეფისკოპოზი კირიე

ქ. ჩვენ, ტფილელი მიტროპოლიტი ევთვიმე ამისა მოწამე ვართ.

ბეჭდი: მონა ღთისა ტფილელი მიტროპოლიტი ევთვიმი.

ქ. ჩვენ, პატიხი ამილახვარი ოთარი ამის მოწამე ვართ.

ბეჭდი.

გ. წარწერა გადასულია და არ იკითხება. სპარსული ბეჭდი.

ქ. ჩვენ, სარდალი მდივანბეგი ყაფლანისშვილი ქაიხოსრო ამ პატონის პატრიაქის წყალობისა და სიგელის ბოძების მოწამე ვართ.

ბეჭდი: ქაიხოსრო

ქ. ჩვენ, ბაზიერთხუცესი გივი ამ პატონის კათალიკოზის პატრიაქის სიგლის ბოძების მოწამე და რაზი ვართ.

ბეჭდი:

ქ. ჩვენ, ორბელიანი მეითარი უზბაში ყაფლან ამის მოწამე ვართ.

ხელი ბეჭდი

240. [წიგნი დიმენტი კათალიკოზისა ავალიშვილებისადმი ნიკოლოზ შრგანელისათვის სამწყსოს განწესების შესახებ]

[1738 წ. მარტი (?)]

ჩვენ, ღმრთისა მიერ კურთხეული და ყოვლისა საქართველოსა მამათ-მთავარი და მაკურთხეველი კათოლიკოს-პატრიარხი ბატონისშვილი დიმენტი მოგიწერთ თქვენ, საყ-

ვარელნო შვილნო, ავალისშვილო მამანო ქაიხოსრო და ზაალ, და ყოველნო, ვინცა ვინ გაღმა და გამოღმა ქართველისა და მაგიერთ-გუჯარეთის აზნაურშვილნო, გლეხნი ამყოფებით, მრავალი ლოცვა-კურთხევა მოგვიხსენებია.

მერმე რა რომ საათაბაგო სჯულზე მიდრკა და ეპისკოპოსნი მოიშალნენ, მას აქეთ თქვენს ქვეყანაში ეპისკოპოსი აღარ შემოსულა; და რასაც ადგილში ეპისკოპოსი არ შევა და იმისი მადღი და კურთხევა არ მივა, ან იმისი მამათ-მთავარი და მოძღვარი არ ასწაელის და არ ჰმწყსის, ის ქვეყანა და იქ მსახლობელნი ქრისტეანენი არ იქნებიან და არც მართლმადიდებელში აღირაცხვიან.

აწ ჩვენც კრებით გამოვირჩიეთ და დავადგინეთ ეპისკოპოსად წმიდა და ყოვლად სახატრელი ურბნელ ეპისკოპოსი ჴერჴეულიძე ნიკოლაოს.

ყოველი სჯული და ღმრთის სამსახური ამის მიერ ისწავეთ, ქეთილ სარწმუნოებაზე ყოველნი მორჩილ ექმნენთ, ვითარცა მბრძანებს უფალი: «დაეშორჩილენით უფალთა თქვენთაო».

რომელიც სჯულის საქმე იყოს, ან მღუდელი ან საყდარი იყოს საკურთხეველი, დღეის იქით ეს გიძღოდესთ და ეს აკურთხევდეს ყოველსა თქვენსა საღმრთოდ შესაწირავსა; ყოველთა მოიგეთ სათნოება; ნურავინ ურჩ ექმნებით; სამკვიდროდ წმინდის სტეფანის მონასტრისათვის დაგვიწესებიხართ. ყოველი ურბნელი უნდა ჰმწყსიდეს თქვენს ადგილს მღუდელსა და ერსა.

და რომელი ურჩ ექმნას და არ შეიწყნაროს, არა აქვს ნაწილი ქრისტეს თანა. ხოლო რომელმან ისწავოს და შეიწყნაროს, კურთხევა უფლისა მიეღიჭოს.

მადღი უფლისა თქვენ თანა, ამინ.

ქათალიკოს-პატრიარხი დომენტი

241. [წყალობის სიგელი დომენტი კათალიკოზისა გაბრიელ ჰარმაულისადმი]

[1780 წ.]

გარე შემოუწერელო ს[იბრძნეო] და სიმტკიცეო ღმრთისა სიტყვისა, მამისა თანა განსვებულო და ქვეყანასა ზედა ბუნებისა მიწისაგანისა თანა კაცთ მოყვარებით შობილო დედისაგან უმორწინებელისა, სამდაბლით ცისა მომდრეკელო და ქვეთბეთა ნივთიერთა კორცშესხმითა მომლებელო, გმადლობთ შენ მიწისა პირთა ცად მეორედ განმაახლებელო და ნათლისა საუკუნოსა შანთად ელ-

ვარებისა განმამბრწყინვებელო. მადალო ზეშთა ამაღლებულო ძლიერებაო, მეოხებითა მთელებისა მის მაცხოვრებელისა დიაკვნისა უბიწოსა უბიწოსათა, რომელსა ეტყვიდეთ ვითარ ტაძარი უბიწო ხელმწიფისა შენისა უბიწოსათა. მარიამ ზეშთა კერთხეველისათა, მრავალ მატიოსანთა ძალთა საბაოთისათა წყობრ განწესებულთა დასთა საბაოთასა, სერაფიმ-ქერაფიმთა და ყოველთა ძალთა ეხორციოთათა, წმინდისა წინამორბედისა და ეპროვანისა მის გვრიტისა, წმინდისა უდაბნოსა მამშუქებელისა და ცისკრისა წინამსრბოლისა, მამისა სიტყვისა ქედისა მოძღვრებელისა და ხათლისღებისა მიმღებელისა იოვანესათა, დაუალისა წყაროსა წყლისა ცხოველისასა ქრისტეს დიდებულისა მიერ ორბად ფრთე მკუთ ფიცხელთა ყოველისა სოფლისა მომხადირებელთა ქადაგთა, ღმრთისა სიტყვისათა სულელთა ზეშთა ბრძენთა მოციქულთათა დირსთა მამათა მღვდელთ მთავართა წმინდათა ბუნებათა და თვითებათა სამშობრწყინვალისა სამებისა და ორთა ბუნებათა ზედა მიწევნით გამომეტყველთა სამოხელთა საიდუმლოთა და ყოველთა მღვდელთ-მთავართა ღირსთა მამათა უდაბნოსა მთიებთა და განმანათლებელთა საწუთროსათა და ყოელთა მამათა და წმინდათა მხედრობათა ასპარეზთა შინა განბრწყინვებულთა სპარაზთა რჩეულთა ქალწულთა უმჩნეს მამათა სორექად ყამორჩეულთა და მონოზნებისა ღვაწლითა შეჭურვილითა და ყოველთა ზეცისა იერუსალიმისა მოქალაქე ქმნილთა წმინდათა,

ამათითა მეოხებითა და მინდობითა დაფარულმან ძირ-მოდგმობით ტომ-ქეთილთა დავითიან, სოლომონიან პანკრატიონთა რტოთაგან აღმოცენებულმან ორისავე[1] ტახტისა და საჯელმწიფოსა მპყრობელთა და მჭოხებელთა შვილმან მეფეთამან კურთხევით მაკურთხეველმან, ქართლისა, კახეთისა, სამცხე-საათაბაგოსა კათალიკოზ-პატრიარქმან პატრონმან დომენტიმ დავამტკიცეთ სიი ესე და სამკვიდროდ და საბოლოოდ გამოსადეგი და უცვალებელი მტკიცე სიგელი თანა მდგომთა დარბაზის ერთა ჩემთათა: ვიგეულის-მოდგინეთ და გიბოძეთ შენ, ჩვენის სამსახურის ერთგულად მომდევს ჭარმაგელს გაბრიელსა და ძმასა შენსა, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა.

ასე რომე: ჩვენი ძმა მეფეთ-მეფე ვახტანგ ერანში ბძანდებოდა და შენი ძმა ზურაბ[ი] იქ მათს სამსახურში იყო და თან ახლდათ; მაშინე პირველიც თქვენი სამკვიდრაო იყო აღა-

[1] რაიხისაკე.

იანის მოურაობა, მისივე წყალობა ექნათ და სამკვიდრო-ლი ებოძათ.

ოდეს საქართველო დაიპყრეს და აღაოხრეს ქვეყანანი ლისანი და მრავალი სული მოსრეს, აოხნარეს სამკულნი სათანი, მაშინ მივრიდე მცირესა ქამსა ცი ხ ე ს ა მას ლ ო რ ი ს ა ს ა, ხოლო ლორითგან მოვიწიე ქვეყნად საერისთოდ და იქითგან ჩამოვედით ქალაქსა ტ ფ ი ლ ი ს ი ს ა ს ა.

მაშინ მოიკლინა ბრძანებანი ბერძენთანი და ფარმანი დიდისა კესრისა სულთან აჰმადისაგან, ქრისტესითგან გარდასრულ იყვნეს წელნი ვითარ ჩჟკგ.

მივიწივენით საბეუფოსა ქალაქად კ ო ს ტ ა ნ დ ი ნ ე პ ო ლ ე დ და მუნ დავყავით წელნი ვითარ ბ, თვენი წ. და იქითგან ექსორიად გვკვეს ჰალაესა. რომელსა უხმობენ ბ ო ს ჯ ა ე დ ს, ბერძულებ რომელ არს ტ ე ნ ე დ ო. ექსორიობაში დავყავით მუნ წელნი ვითარ თ.

ამ ყუელგან ჩვენს სამსახურში იყავი, არ გაგვწორეებიხარ ერთის წუთის ხანსა. მრავალი შიში და განსაცდელი გარდაიხადე ჩვენს სამსახურზედა.

მისად სანუქფოდ[1] წყალობას დაგვიგ[ე].

ვისმინეთ ავჯა შენი და გიბოძეთ მოურაობა აღაიანისა. გჭონდეს და გიბეჭნიეროს ღმერთმან ჩვენის საყდრისა და ჩვენს ერთგულობაში. არ მოგეშალოს ჩვენგან არცა სხვათა კათალიკოზთა და მეპატრონეთაგან, არცა მეფეთა და არც დედ[ო]ფალთაგან, არც დიდთა და არცა მცირეთაგან.

რამანც კაცმან ანუ მეფემან ანუ დედოფალმან ანუ კათალიკოზმან მეპატრონემან ანუ რომელმანც ესე მან კაცთმან ეს ჩვენგან ბოძებული წყალობა მოგეშალოს. მასამც მოეშალოს ყოველი კეთილ ცხოვრება; თავისა თვისისა და ჩვენისამც ცოდვით განიკითხების დღესა მას საშინელსა განკითხვისასა.

კრულ, წყეულ და შეჩვენებულმცა არს ჩვენგან და ჩვენის წმინდის კათოლიკის საშოციერულოს ეკლესიისაგან და ცათა მოსაძაგისა ცხოველისა სვეტისა მიერან დმერთ-მყოფელისაგან.

მასამც ედების კეთრი გეზისა. შიშველი იუდასი, ძრწოლა კაენისა, დაბთქმა დათან და აბიორნისი, მეხის-ტეხილობა დისკორესი, შეყსა შინა საკვდილი არიოზისა.

აწე თქვენ, წმინდანო და ყოველად სანატრელნო კათალიკოზ-

[1] საუქმოდ.

პატრიაქნო, ბრწყინვალენო და ღმრთის მოყვარენო მეფენო, თილმორწმუნენო დედოფალნო, კეთილად შობილნო ძენიცა ასულნო მათნო და ყოველად შვენიერნო ერისთავნო, ყოველსა შეკობილნო ბრძენნო და მცნიერნო, თავადნო და აზნაურნო, დიდო და მცირენო, ყოველნო მართლმადიდებელნო და კეთილმორწმუნენო ქრისტიანენო, რომელმანც ეს ჩვენგან ბოძებული წყალობა და სიგელი დაუმტკიცოს, კერძნეულ და ნეტარ იყუნეს ხსენებანი მათნი.

ვინც ჩვენს შემდგომად იქმნებოდეთ, თქვენც ხუთე მოუშლით, რათა თქვენიცა გაგებული ღმერთმან განაგოს.

დაიწერა სამეუფოსა ქალაქსა კოსტანდინეპოლეს ჭელითა შური კაკაშვილის ქრისტესიასითა, ქრისტესითგან გარდასრულ იყუნეს წელნი ვითარ **ჩლლთ.**

ხვეულად: კათალიკოზ-პატრიაქი დომენტი ვამტკიცებ ნებითა ღმრთისათა.

საბეჭდის თოვში

ბეჭედი: კათალიკოზ-პატრიაქი დომენტი... ქეს აქით ჩლე.

ხვეულად: დომენტი, წყალობითა ღმრთისათა, კათალიკოზი მცხეთისა, ქართლისა, კახეთისა, სრულისა (?) შაქისა (?) კერძისა, (?) ჰერეთისა, იმერთისა(?)...სამცხე-საათაბაგოსა პატრიაქი.

242. [წყალობის წიგნი დომენტი კათალიკოზისა დემეტრე მაღალაძისადმი]

[1740 წ. 3 აპრილი]

ქ. საქართველოს პატრიაქის ბატონიშვილის დომენტის კეთილად საბსენებელო და არაოდეს არ დასაღწყარო სახლთხუცეშვილო მაღალაძე დემეტრე, მრავალი ლოცვა და კურთხევა მრავითხსენებია.

მერმე გომის ცხენზე ბევრს გარჯილხართ და ჭირნახულიცა გაქვთ და გლეხი კაცნიც აყრილი ყოფილა, მოგიყუანიათ და თქვენ დაგისახლებიათ.

ახლა ჩვენც სოფელი და ციხეც მოგვიბოძებია. თვალი და ყური დაიჭირე. რაც ჯელმწიფისა და ჩვენი სამსახური და ბეგარა მოვიდოდეს, ერთობილთ გომელთ გვერდ იახლებდეთ და ისე გა[ა]რიგებდეთ და მოგვაბარებდეთ. იმ სოფელში არა წაჰკვეს რა, თორემ იცოდე. დიაღ, გიწყენთ და შენ გკითხავთ.

თუ ჩვენი წიგნი არა ქონდეს, უბრალოს კაცსა და მოხმარებ[ულ] წერას ასაწმებთ.

ერთობიღონო გომელნო და მამასახლისო!

დემეტრეთვინ მოგვიბოძებიხართ. რაც ხელწიფისა და ჩვენი სამსახური მოვიდოდეს, ამან გითხრასთ და გა[ა]რიგოს. თქვენც მოხჩილი იყავით ამისი.

აპრილის გ, ქორონიკონს ფკჱ.

ხელრთვა: კათალიკოზი

243. [სარგოს განწესების წიგნი დომენტი კათალიკოზისა ანჩისხატის დეკანოზისა და კანდელაკ დავითისადმი]

[1740 წ. 1 აპრილი]

ქ. ჩვენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხეულმან და ყოვლისა საქართველოსა მაკურთხეველმან კათალიკოზ-პატრიარქ-მან ბატონიშვილმან დომენტიმ ესე უკუნისამ[დე] ქამთა და დროთა გასათვებელი წყალობის წიგნი [და სიგელი გიბოძეთ თქვენ, ანჩისხატის ეკლესიის დეკანოზს... კანდელაკ დავითს და შვილსა შენსა მიქ]ელს.

ასრე, რომე: რადგან უწინაც ჩვენგა[ნ წყა]ლობა გქონდათ და ახლაც ასრე დაგვიმტკიცებია და გვიბოძებია ასრე, რომე:

რაც ანჩისხატის შემოსავალი იყოს, ყოველის ნივთისაგან ორი წილი დეკანოზსა და მესამედი კანდელაკს დავითს და მის შვილს მიქელს. რაც საყდრის შემოსავალი და სარგო იყოს, დიდისა გინ[ა] მცირისა, ყოველსავე ასრე განიყოფდენ უშფოთველად.

და ვინც მკვდრის პატრონმან მეორმოცეთ და[ა]ყენო[ს], ან თავისის ნებით მისცეს რამე, ერთმანეთთან ლაპარაკი [არ მა]რთებსთ.

და ამას გარდა რაც კანდელაკს საწყასო უქონიავს ანჩელური და ან ქალაქში თავისი ნაშოვნი, და ან ჩვენი წყალობა საწყასო ეჭიროს, იმასთან თავის განაყოფებს ალექსის და პეტრეს საქმე არა აქვსთ. შენთვის გვიბოძებია.

ვინც დაიცვიცოს, ნახევარი დეკანოზსა და ნახევარი კანდელაკს.

ვინ იცის, დაიკარგოს რამე საყდარში, ისიც ორი წილი დეკანოზმა უნდა ზღოს და მესამედი კანდელაკმა.

ამ წესით გაგვირიგებია და დაგვიმტკიცებია.

ახლამდე თქვენ ყოველად წმინდანო და სასატრელნო კათალიკოზ-პატრიაქნო, თქვენცა ასრევე დაემტკიცეთ; და ნუმცა ვინ არს მშლელი ამისი, რათა ღმერთმან თქვენიცა გაგებულ[ყოფილ]ყვეს მტკიცეთ ყოს.

უკეთუმცა უწესო და უმართებულო ყოფილიყო, არც ჩვენ მკადრე ვიქმნებოდით[1] საქმისა უწესოსა; ვინათგან გაგებული ჩვენი ესრეთ გამხეწესეთ, და ჯელთ უგდეთ წესი საყდრისა, ნეცა თქვენ ღმრთის-მოყვარენი მშლელ ექმნებით გაგებულსა ამას ჩვენსა.

ხოლო დამამტკიცებელი ამისი ღმერთმან აკურთხოს, ამინ.

არიან ამისნი მოწამენი და შეა დამხვედრნი: სახლთუხუცესი მაღალაძე გიორგი, დეკანოზი დანიელ, კანდელაკი იოვანე, სარდალი გაბრიელ, პატრონი მოლარეთხუცესი გედეონისშვილი პ[ა]ატა, თაზისშვილი სუფრაჯი პ[ა]ატა, ქლისბარ თაზისშვილი, მაღალაძე ტარიელ და ყოველნი მცხეთის შვილნი ნების დამრთველნი ამისნი და მოწამენი.

სამწყსოს გარდა ალექსისა და პეტრესი ან სხვა ხელისა, იმათ სამწყსოს გარდა, მკვდრისა თუ ცოცხლისა, თავადისა ან აზნაურისა ან გლეხისა ან მსახურისა ან მოახლისა[2] გარდასახურავი, ქვეშსაგები, ტანისამოსი, ს[ა]შვიდო, საპანასშვიდო.

თუ წლის შეშაბათით დავიყენოსთ ეინშე, გვირგვინის საკურთხი, სანთლავი და ქარის გასაღები და ყოველივე შემოსავალი ორი წილი დეკანოზს და მესამედი კანდელაკს დავითს და მის შვილს მიქელს.

ასრე, რომ: რაც სვეტის ცხოველს ნიშანი და გარდასახურავი იყოს იმას გარდა, თქვენს საროს ასე განიყოფდეთ.

ვინც ამის შლად ჯელყოს, ჩვენსამც კანონს გეშე იქმნება. დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხოს.

თვესა აპრილს ა დამდეგს, ინდიკტიონსა პატრიარქობისა ჩვენისა... ქრისტეს აქეთ **ჩლმ**, ქორონიკონს **უკწ** დაიწერა წიგნი ესე სახლთუხუცეს შვილის მაღალაძის დიმიტრისათა.

ხელთა: კათალიკოზ-პატრიაქი დომენტი

---

[1] შიქმნებოდით. [2] მოეახლისა.

244. [წყალობის წიგნი დომენტი კათალიკოზისა მამუკა მაღალაშვილისადმი]

[1740 წ. აპრილი]

ქ. საქართველოს პატრიარქის ბატონიშვილის დომენტის კეთილად სახსენებელო მაღალაშვილო მამუკავ.

მერმე როგორათაც პირველად ცხედიდისა და არმაზის მოურაობა შენი იყო, ახლაც ისევ შენთვისვე წყალობა გვიქნია. შენც მოუარე, რაც აყრილი კაცი იყოს, მოიყვანე, დაასახლე და რაც ჭელმწიფისა და ჩვენი სამსახური მოვიდოდეს, ისე გაარიგებდე. სხვას კაცს ჭელი არავისა აქვს.

შენც კარგად გაისარჯე და მოუარე და ააშენე. სხვას ნურავის გააგლეჯინებ; ვისაც ჩვენი ბძანება და წიგნი არა ქონდეს, შიგნუ გაატარებ.

თუ კარგად მოუელი, შენც ჩვენის წყალობის მოიმედე იყავ. თვესა აპრილსა, ქორონიკონს უკწ.

ხელრთვა: კათალიკოზი.

245. [ეპისკოპოსის წიგნი ათანასე მროველისა დომენტი კათალიკოზისადმი]

[1740 წ. 8 მაისი]

ქ. ესე წიგნი და პირი მოგართვით ჩვენ, მროველ მიტროპოლიტმან, ამილახორის ძემან, ათანასემ თქვენ, ჩვენსა სასოებასა და შესავედრებელსა კათოლიკე ეკლესიასა სვეტსა ცხოველსა, კვართსა საუფლოსა და მირონსა წმიდასა და მასზედა მჯდომარესა წმიდასა და ყოვლად სანატრელსა უფალსა და მეუფესა ჩვენსა ყოვლისა საქართველოსა მაკურთხეველსა კათალიკოზ პატრიარქსა ბატონის შვილს უფალს დომენტის.

ასე, რომე: ჩვენად უღირსად წყალობა მოიღევით და ძველადგან რუის[ს] ღმრთაების საყდარსა მიტროპოლიტი არ კურთხეულიყო, საეფისკოპოზო იყო. და მოვედით და მიტროპოლიტობის კურთხევას დაგვეჯენით. თქვენი მადლი და წყალობა მოვიდა ჩვენზედა და მიტროპოლიტობის კურთხევა მოიღევით.

აწე რადგან ჩვენს საყდარზე და ჩვენზედ ამდონი წყალობა მოიღევით და მიტროპოლიტად გვაკურთხეთ და ჩვენი საყდარი სამიტროპოლიტოდ გაჯადეთ, ჩვენც ეს პირობა მოგვირთმევია: რაც

რამ ჩვენს ჭელთ გამოვიდოდეს საქმით, სიტყვით და მოგონებით თქვენის საყდრისა და თქვენი ერთგული ვიყოთ, არაფერი ქმნილა ჩილობა არა ვქნათ რა, თქვენის საყდრისა და თქვენი მორჩილი ყოფილ[ა]ყო და თქვენი წინააღმდეგობა არა ვქნა რა.

თუ ან თქვენს საყდარზედა და ან თქვენზედ დავაშავო რამე, თქვენის წმიდა კათოლიკე ეკლესიისაგან და თქვენგან შეჩვენებული ვიყოთ.

დაიწერა წელსა ესე მაის[ს] **ჱ**, ქორონიკონს **უკჱ**.

ხელოვა: მროველი

არც ჩვენა და არც ჩვენს იქით რომელიც მროველი დაჯდეს, თქვენი საყდრისა და თქვენი ერჩობა არა ჭნას.

ხელოვა: მროველი ათანასე

246. [ჭყალობის წიგნი დიმენტი კათალიკოზისა იოანე ნეკრესელისადმი]

[1740 წ. 17 დეკემბერი]

ქ. ჩვენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხეულმან და ყოვლისა საქართველოსა და აღმოსავლეთისა მაკურთხეველმან, დიდმან მამათმთავართ-მთავარმან, კ ა თ ა ლ ი კ ო ზ-პ ა ტ რ ი ა რ ქ მ ი ნ ბატონის შვილმან დ ი მ ე ნ ტ ი მ ესე უკუნისამდე ქამთა და ხანთა გასათავებელი წიგნი გიბოძეთ თქვენ, ნეკრესელ მიტროპოლიტს ი ო ა ნ ე ს, ასე და ამა პირსა ზედა.

ნეკრესელი ეპისკოპოზათ იყვნენ და მას ჟამსა კახეთის მეპატრონე მ ე ფ ე თ ე მ უ რ ა ზ და თანამეცხედრე მისი ქართველთ მეფის ასული ბატონისშვილი დ ე დ ო ფ ა ლ ი თ ა მ ა რ ი შუა შამოეიღნენ.

და ქ ა რ თ ლ ი ს ა და კ ა ხ ე თ ი ს მთავარეპისკოპოზნი, მიტრაპოლიტნი, ეპისკოპოზი და ყოველნი მცხეთის შვილნი გვერთ ეიხელით და ამათით ნებადართვით მიტროპოლიტათ გაკურთხეთ.

დღეს აქამდისინ ეპისკოპოზათ იყო ნეკრესელი და ამას იქით მიტრაპოლიტათ გაკურთხეთ. ვინც შემდგომად ამას იქით ეკურთხეოდენ, მიტრაპოლიტად ეკურთხეოდენ.

ჩვენ ასე გაგვირიგებია და დაგვიმტკიცებია. ვინცაეინ ჩვენსა შემდგომად კათალიკოზ-პატრიაქნი მძანდებოდეთ, თქვენც ნეკრესელს მიტრაპოლიტად აკურთხევდეთ.

ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხოს.

დაიწერა წიგნი ესე დეკემბერს ი**ზ**, ქორონიკონს **უკწ**.

თქვენც ჩვენის საყდრისა კათოლიკე ეკლესი[ი]სა და ზეგანწმიდა სიტყვის მორჩილნი და ერთგულნი იყავით. თუ ეშორჩილობა და ურიგობა რამ მოინდომოთ, ჩვენის საყდრის კანონს ქვეშ იყავით სულითა და ჯორცითა.

ხელრთვა: კათალიკოს-პატრიაქი დომენტი

247. [ალთქმის წიგნი იოანე ნეკრესელისა ნიკოლოზ ალავერდელისადმი]

[1740 წ.]

ქ. ესე წიგნი მოგართვი თქვენ, ამბა ალავერდელს ბატონს ნიკოლოზს ჩვენ, ნეკრესელ ეფისკოპოზმა იოანემ.

ასე, რომა: ჩვენს ხსოვნაშია ნეკრესელი ნაკურთხი არავის ენახა. ახლა ჩვენ კურთხევა მოვინდომეთ და ბისონის ჩაცმა. თქვენ მოგახსენეთ და თქვენის შენდობით და მეფისა თეიმურაზის და დედოფლის თამარის ბრძანებით[1] და დასტურით შენდობა მიბოძეთ.

ერთი ეს მოგვეხსენებია, რომა: წმინდის მონასტრისა და თქვენი წინაალმდგომობა მე არ მოვინდომო და თქვენი მორჩილიც ვიყო.

და ჩემს უკან რომელიც ნეკრესელი დაჯდეს, ბატონის ბძანებით ან თქვენის შენდობით თუ წყალობა უყოთ, რომა ის იქნება; თუ არადა, რომელიც ბატონს ეპრიანებოდეს, ის ქენით. ქორონიკონსა **უკწ**.

ხელრთვა: ნეკრესელი იოვანე

ქ. როგორადაც ს[ე]ნეკრესელს ეს ახთქმა დაუდებია, ჩვენ, მეფე თეიმურაზ ამრიგად ვამტკიცებთ.

ორი ბეჭედი: 1. თეიმურაზ
2. თამარ

248. [წყალობის წიგნი დომენტი კათალიკოზისა გედევანიშვილებისადმი]

[1741 წ. იანვრის დამდეგს]

ქ. ჩვენ, ღმრთივ-ცხებით გეორგეთინოსანთა მეფეთა შაჰაევანდედმან, ყოველისა საქართველოსა მაყურთხეველმან დიდმან მამამთავარმან კათალიკოზ-პატრიაქმან ბატონიშვილ-

[1] ბრძანდებით.

მან პატრონმან დომენტიმ ესე წყალობის წიგნი დ[ა]
სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ, ჩვენსა და ცათა მობძანეთ[ა]
სა კათოლიკე ეკლესიი[ა]სა ერდგულსა და თავდადებით ნამსახურს[ა]
ყმათა გედევანისძეს პეტრეს და ძმასა შენსა ერასტის, შვილსა შენსა გედეონს, ძმისწულსა შენსა გიორგის და მომავალთა სახლისა თქუენისა ყოველთაგე-

ასე, რომე: მოხვედით კარსა დარბაზისა ჩვენისათა, დაგვეჭვნით; ვისმინეთ ჯა და მოხსენება თქვენი და მოგიბოძეთ უშვილოსა და ამოწყვეტილის ჰარმაუელის ქაიხოსროს წილი საჭელო, ყმა და მამული. თქვენგან ნამზითვი იყო ძველთაგან და ახლაც წყალობად გვიბოძებია: მცხეთას სასაფლაო, ქვევრი და მარანი, მისი წილი სასახლე და საწყლისაბირო გორთვანი მისის შესავლითა, მთითა და ბარითა, წყლითა, წისქვილითა და მისის ნასყიდითა და ჩვენი მეჯინიბეთხუცობა და ყოველივე მისი წილში და ბარათში გამოყოლილი მამული და საჭელო; ერთობილთ მცხეთელთ ნება დართვით მოგიბოძეთ. გქონდესთ და გიბედნიეროსთ ღმერთმან ჩვენსა და სვეტის ცხოვლის ერთგულად სამსახურსა შინა.

ვინცა და რამანცა კაცმან ქველყოს შლად ამისად, ჩვენსა კანონსა ქვეშე განიკანონება. ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხნეს.

და რაოდენიცა ჩვენსა შემდგომად კათალიკოზ-პატრიაქნი იყუნეთ ტახტისა და ხარისხისა ზედან აღწევნულნი, ნუცა თქვენ ქველყოფთ შლად გაგებულსა ამ[ა]ს ჩვენსა, რათა თქვენიცა გაგებული ღმერთმან მტკიცედ და უნაკლულოდ ყოს.

არიან ამისნი მოწამენ[ი] და ნების დამრთველნი: ერთობილნი მცხეთის შვილნი, სახლთხუცესი მაღალაძე გიორგი, სარდალი გედეონისძე გაბრიელ, მოლარეთხუცესი პაატა, თაზიშვილი ელიზბარ და პაატა მგალობელი დათუნა.

დაიწერა ქველითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობარ-ჭიდაგის მაღალაძის ნიკოლაოზისათა, თვესა იანვარს დამდეგსა, ქორონიკონს უკთ.

ზელთაგე: კათალიკოზ-პატრიაქი დომენტი ვამტკიცებ წებითა ღმრთისათა.

249. [წიგნი დომენტი კათალიკოზისა გიორგი ამირეჯიბის სადმი სისხლის გადახდის თაობაზე]

[1705—1741 წწ.]

ქ. ბატონისშვილის კათალიკოზის დომენტის დიდო იმედო, დიდად იმედად მ[სა]სოებელო ამირეჯიბო გიორგი, მრ[ავა]ლი მოკითხვა და ლოცვა-კურთხევა მოგვახსენებია.

მერმე წიგნი მოგვწერია: სისხლის მესამედს არ მოგცემო. როგორ შენ და მაგისთანა სიტყვის თქმა. ჭართლში სისხლის მესამედი ვისი არ აგვიღია, რომ შენ [ეგრე] გითქვამს?

სოლომან გამოგვიგზავნია, რაც სისხლი გაგიწყდა, [იმ]ისი მესამედი გამოგვიგზავნე, თორემ გაუსვეთ შენს ყმებს იასაულსა და სულს აქათა არას შეუვარჩენთ.

პური გეთხოვნა, და სანამდი ამ სისხლის მესამედს არ მოგ[ვ]ცემ, პურს არა. სულსაც ამოგხდთავთ. ტყვე[ე]ბი [რაც გყავს ესენი არ დაიღო, თორემ შენს ანბავ[ს] მაშინ შეიტყობ.

ხელრთვა: კათალიკოზი

250. [გრძანება დომენტი კათალიკოზისა იასაულისადმი პაპუნა დოჭიჭისათვის მამულის მიბარების შესახებ]

[1705—1741 წწ.]

ქ. ბატონისშვილი კათალიკოზი დომენტი გიბძანებ იასაულო მერმე ატენს ბერიშვილის ლეზარე შვილის თომას მამული და სახლკარი, დღეს რისაც მჭონებელი არის და ყოფილიყოს, ამ პაპუნა დოჭიჭისათვინ წყალობა გვიქნია და გვიბოძებია. ჭელი ამაროე და ამას მოაბარე თავისის სამართლიანის სამზღვრითა, შესაველითა და გასაველითა.

ხელრთვა: კათალიკოზი

251. [წიგნი დომენტი კათალიკოზისა გიორგი ბეჟანისშვილის დახსნის შესახებ]

[1705—1741 წწ.]

ქ. ჩვენ, ბატონისშვილმა კათალიკოზმან დომენტიმ [დავ]იხსენით ბეჟანისშვილი გიორგი თავისის შვილითა და მომავლითა და თავისის ნასყიდის მამულითა. წყლითა და სასახლითა, თავისის ყმის ზავრადაშვილითა, სარწყავითა

და ურწყვიოთა; ჯავახისშვილის თარიხი სისხლი-ტრფ დაედვა ბატონის ბძანებით, ჩვენ დავიხსენით.

ახლა დღეის იქით ამასთან არას ჭელმწიფის მოსაქმესა ძალ-ვარჯა სხვასა კაცს ჭელი არა აქუს, ჩვენის მოჭელისა და მოსაქმის მეტსა. ვისაც რამ საქმე ჰქონდეს, ჩვენთან მოვიდეს და სამართალს ჩვენ უზამთ.

ამათ უბრალოთ ნურავინ გარჯით; რაც კაცი ამათ უბრალოდ და ჩვენად შეუკითხავად გარჯით, ჩვენად შემცოდედ და სვეტის ცხოვლის დამქცევად მოვიკითხავთ, დიაღაც ვიწყენთ.

ხელთაა: კათალიკოზი დომენტი

252. [დაბარების წიგნი დომენტი კათალიკოზისა ამილბარ ვალალაძისადმი]

[1706—1741 წწ.]

ქ. ჩვენთ დიდო ამცდო სახლთხუცესო ამილბარ! მრავალი მოკითხვა და ლოცვა-კურთხევა მოგვიხსენებია.

მერმე ბალბიანის და საგარეჯოს საქმეზე ბესარიონ და იმათი კრებული შევჩვენეთ. და დედოფალსა და ქალთ, დიაღ, თავს შეუდვიათ და ხუთი-ექვსი ეფისკოპოსი და დარბაისელნი მოციქულად გამოუგზავნიან. ხვალ აქ მოელენ.

ევგეც არ გიქნია, რომე დეკანოზი კანდელაკი იორამ, მგალობელი, გედევანისშვილები თან არ ჩამოასხა და ახლავ არ ჩამოხვიდე.

ძალიანი ლაპარაკი უნდათ და პასუხის მოცემა. თუ ახლა არა გარიგდა რა, სულ დაიკარგების.

ნურას საქმით მაგას ნუ იქ, რომე ხვალვე არ წამოხვიდე. ისევ მალე გავისტუმრებთ; ჩამოუსვლელობა არ იქნების.

რუსთველი, სამებელი, ნინოწმიდელი, სახლთხუცესი, ეშიყალაბაში, მდივანბეგი სულ მოციქულნი არიან.

ჩამოუსვლელობა არ იქნების, ხვალ სადილამდი ჩამოდით.

ხელთაა: კათალიკოზი

253. [ბრძანება დომენტი კათალიკოზისა სოლომონისათვის მოურაობის გოძების შესახებ]

[1706—1741 წწ.]

ქ. ბატონისშვილი კათალიკოზი დომენტი გიბძანებ ბერძენაულის ნაცვალო და ერთობილნო ბერძენაულელნო.

მერმე თქვენი მოურაობა ასევე ამ სოლომონისადვე გვიბოძებია. რომელიც მოურაობის მართებული იყოს, იმ წესზედ მოუდეგით და ჩვენი სამსახური დაუჯერეთ.

ხელრთვა: კათალიკოზი

254. [წიგნი დომენტი კათალიკოზისა ნაცვალ პაატასადმი გამოსალების მოგვარების შესახებ]

[1739—1741 წწ.]

ქ. ბატონის შვილის კათალიკოზის დომენტის დიდთ იმედო ნაცვალო პა[ა]ტავ. მრავალი მოკითხვა და ლოცვა-კურთხევა მოგვიხსენებია.

და გიბძანებთ ერთობილნო ვარეჯელნო!

მერმე ბედნიერის ყეენის რაყამი და ბძანება მოგვივიდა. და რაც ან თქვენი მამულები და ან სულ კახეთში ჩვენი და სვეტის ცხოველის მამულები გვაქვსია, სულ ახლა უნდა მოგვეცეს; და ჩვენს სახლთხუცეს ამილბარს და დეკანოს ათანასეს შეიყარეთ და კახეთს თან წაყევით.

კახს ბატონსა და დარბაისელთ თქვენის მამულების საქმე გა[ა]სინჯვეთ და თუ რამ ჩვენი ბეგარი და გამოსალები იყოს, ან ძველი და ან ახალი, სულყველას ანგარიში მოეცით მოკელე[ე]ბმა.

და რახან წამოვიდენ, თან წამოყევით მოკელე[ე]ბი. და თუ რამ ჩვენი იყოს, ამათ მოაბარეთ.

ხელრთვა: კათალიკოზი

255. [წიგნი დომენტი კათალიკოზისა დავით გიჯიშვრელისადმი ბეგრისა და სარგოს მოგვარების შესახებ]

[1739—1741 წწ.]

ქ. ბატონისშვილის კათალიკოზის დომენ[ტის] დიდთ იმედო გიჯიყრელო დავით! მრავალი მოკითხვა და ლოცვა-კურთხევა მოგვიხსენებია.

[მე]რმე ჩვენი სახლთხუცესი ამილბარ და დეკანოზი ათანასე გამოგვივზავნია და ამათ მოუდექით; და მანდ რაც ან გაცემული მამული იყოს ან დამალული, ეგე[ე]ბი ყველა უთხარით და შეატყობინეთ; და რაცა[1] რამ ჩვენი ბეგარი და სარგო იყოს, ანგარიში მოეცით; და რაც ჩვენი[2] იყოს, ამათ მოაბარეთ.

---

[1] ნაცა. [2] შვენი.

და რახან წამოვიდენ, თან წამოყევით.

ან თავისგასამტეხლო ან გასამყრელო და შესამყრელოდ ლი და ახლა, ეს ანგარიში ყველა მოეცით და ნურას დაუმალავთ.

და მანდაური მე-შა ერთის კვირის ნუზლით ფაშანში გავიდენ და როგორც სახლთხუცესმა გითხრას, ისეთი ეზოები შემოაველოთ ახლავე.

ხელრთვა: კათალიკოზი

256. [წიგნი დომენტი კათალიკოზისა ნიკოლოზ ალავერდელისადმი მიწოგლიძეებისათვის მამულის წყალობის შესახებ]

[1739—1741 წწ.]

ჭ. თქუენის ყოვლად ღმრთივ-განათლებულისა და ღმრთივ განბრძნობილის თავის კეთილად მსხენებელი ბატონისშვილი კათალიკოზი დომენტი მოგახსენებ ჩვენო დიდო სახლო და დიდად სიქადულად საგულვებელო, ყამ-ყოველ საკეთილოდ, ტკბილად და საყუარლად ქებით სახსენებელო და არაოდეს არ დასაეწყაროო ამბი ალავერდელო ბატონო ნიკოლოზ! მრავალი თქუენის ყოვლის საღმრთო საუნჯისა და ანგელოზთა თანა ზიარის თავის მოკითხვა და ღმრთისა მიკრი ლოცვა-კურთხევა და ცვა-ფარვა მოგვიხსენებია.

მერმე გვიბძანეთ თქუენი კარგად ყოფნის ამბავი; ღმრთით კარგად და ჭირეველად ბძანდებოდეთ.

მერმე ეს მოგახსენოთ: ახალშენს ერთს საგლეხოს მიწობლიძე თავის სამკვიდროობით ლაპარაკობდა. და მანდ სამყბელს სამართალი ექნა და ახალშენელთათვის ფიცი დაედვა და ახალშენელთ სახასოდ გამოეფიცათ.

ახლა მიწობლიძეები მოვიდნენ და იმ თავის სამკვიდროს მამულის წყალობა გვთხოეს და უბოძეთ. ამისთვის უფრო, რომე მაგ ბატონებისა ერთგულნი და ნამსახურნი არიან და ამის გულისათვის უარი აღარა ეთხოვით რა.

ახლა ასე გავიგონეთ, რომე ბატონს სწყენოდეს იმ საგლეხოს მიცემა მიწობლიძისა. თქუენც მოგეხსენება, თქ ჯიმითი და ახალშენი როგორ სახასოდ შემოწირული არის. ჩვენ ეგ რო-

ცორ გვეგონა, მიწობლიძის წყალობა ბატონს ეწყინებოდა. ჩვენ მაგათს საწყენს მწვე დიდად მოვერიდებით და ან სანამ ეგრისწყალს სული გვიდგას, მაგათს საწყენს საქმეს არცარასა ვიქთ.

ბატონს ავად გასინჯვია; და ამას მოგელით, რომე თქვენ მაგიერ ბატონს ყველა კარგ[ა]ჟვარად გაასინჯოთ, რომე მიწობლიძეებს მაგათგან ეს წყალობა არ მოეშალოს.

ბეჭედი: კათალიკოზ-მამათმთავარი დიმენტი ქ[ე]ს აქით ჩლე

257. [წიგნი ნიკოლოზ ალავერდელისა დიმენტი კათალიკოზისადმი სვეტიცხოვლის მამულების მოგარების შესახებ]

[1789—1741 წწ.]

ქ. მაგათის ზეგარდმო ღმრთისა მიერ ამაღლებულისა სულის წმიდის მადლ-მიფენით განათლებულისა და მღდელთმთავართა მთავრად დადგინებულის ივანის გვერც ხლებისა და სამსახურის მნატრველსი და წმიდის სუეტლოს მარჯვენას შემთხვევის მსახებელნი ალავერდელი და სახლთხუცესი საზვერელი მოვახსენებთ წმიდასა ყოველად სანატრელსა და ყოველად პატიოსანსა, ჩვენთვის მრავალ ღმრთის წყალობად სასიქადულოსა და ორისავე ცხოვრების კეთილის შესაძინელად მოსალოდებელს ბატონისშვილს, კათალიკოზს [ბა]ტონს დიმენტს*.

მრავალი მათის უმანკოებისა და პატიოსნების შესწორებული სამსახურის გვერც ხლებისა და კარგად ყოფის დიდად ნატრა და სუეტლოს მარჯვენას მთხვევის სურვილი მოგვიხსენებია.

წიგნი ებოძათ და ჩვენთვის მოკითხვა ებძანათ. ღმერთმან მაგათი კარგად და ბედნიერად ყოფა ნუ მოგვიშალოს. მრავალი მადლი მოგვიხსენებია.

მაგათის ქამულების საქმეზე გითრგი მადალაშვილი ებოძათ. ბატონმა ყველას ყადაღა უყო. სვეტისცხოვლის მამულები როგორც ამას წინათ სწერიათ, ისეც მაგათ მოქ[ე]რთვა.

ზელრთვა: ალავერდელი ნიკოლოზ
ბეჭედი: მონა ღთისა სახლთხუცესი...
მარეხეხა კიდეზე

ქ. მაგათის თავის მზემა, დიდათ მოვიჭირვე და ვეცადე და რაც კახეთის ამისთანის დროსა და ჩვენს ხარჯმოკლობას გაეწყობა და ნუსხა მომირთმევია, დამაზას არის ესენი.

---

* „დიმენტი" წერილის თავშია: აქ კი სახელისათვის ცარიელი ადგილია დატოვებული.

258. [წიგნი დომენტი კათალიკოზისა მროველისა და ურბნელის სამწყსოს საქმეზე განჩინებით]

[1740—1741 წწ.]

ჩვენო სასოებაო მთავარეპისკოპოზ-მიტროპოლიტო ბატონო კირილე და ტფილელ მიტროპოლიტო ბატონო ევთიმი!

თქვენ დაბრძანდით, მცხეთისწველილები გვერდს იახელით, ჩვენ არ შეგვეძლო, მროველისა და ურბნელის საქმე გასინჯეთ. ორი ეფისკოპოზი რომ შეთხობდეს, თავად მარხვა არის, მერმე დიდად უმართებულო არის.

რაზედაც ცილობენ, თუ თქვენი სამართალი და გარიგებული დაიჯერონ და კარგად გარიგდეს, ხომ კარგი არის. თუ არა, ორთავ ჭელი აიღებინეთ, წიგნებიც გამოართვით და ჩვენთვის სახასოთ ჭელი ამართეთ; აღარც ერთს ჭელი აღარა ჰქონდეს: რათ გაჭიდეს ასე საშფოთავათ საქმე, ხომ არცერთისა ყოფილა, უწინაც ორს ეპისკოპოზსა სჭირვია.

ბეჭდავს: კათალიკოზი.

განაჩენი

ბატონს კათოლიკოზ-პატრიარხს ბატონიშვილს დომენტის საეკალიშვილო სიდგრის ჭეობა და ბაგინეთ-გუჯარეთი ურბნელ ეპისკოპოზის ხერხეულიძე ნიკოლაოზისათვის სამწყსოდ მიეცა*, რომე საქართველოს ეპისკოპოზთ არავის ამაში ჭელი არა ჰქონდათ და წმინდას სტეფანეს შესწირა. ამაში მროველ ეპისკოპოზი წამოეცილა, ლაპარაკი დაუწყო.

ბატონმა კათალიკოზმა ეს წიგნი ჩვენ, მთავარეპისკოპოზს ბატონს კირილესა და ტფილელ მიტროპოლიტს ევთიმეს, გვიბოძა: სამართალი გასინჯეთ, თქვენ შეარიგეთო.

ჩვენ ამათი სიტყვა გავსინჯეთ, მროველს არაფერი საქმე ჰქონდა და ჩვენც იმისი ბრძანება დავამტკიცეთ.

მთავარეპისკოპოსი კირილე.

მოხა ღმრთისა ტფილელ მიტროპოლიტი ევთიმე

---

* შდრ. საბ. № 239.

259. [წყალობის წიგნი ნიკოლოზ ალავერდელისა ნათლისმცემლისადმი]

[1742 წ.]

ქ. ჩვენ, ღმრთისა მიერ კურთხეულმან, ბატონმან ალავერდელმან ნიკოლოზ ესე წყალობის წიგნი მოგართვი თქვენ, ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარს სვიმეონს და მის კრებულს და მონასტერს.

ასე, რომე: პირველ ჩვენსა მყოფის ალავერდელისაგან შეწირული შვიდის საბალხის ღვინის წიგნი გქონდათ. მერე ბატონიშვილი ერეკლე ჩამობრძანდა მონასტერში სალოცავათ და თან ვიახელ.

ჟამთა ვითარებისაგან ჩვენც ავმა დრომ შეგვაწუხა და შვიდი საბალნე ვეღარ შევიძელით და ყოველ წელიწადს ოთხს საბალნეს ღვინოს მოგითხოვდეთ და მიირთმევდეთ ჩვენის მარნიდამ. ნათლისმცემლის ზედაშეთ მოგვირთმევია ჩვენათ მოსახსენებლათ. არაიდეს არ დაგაკლდეს ჩვენგან ეს ოთხი საბალნე ღვინო, ყოველს წელიწადს მიირთმევდეთ.

თუ კაის დროს მოვესწარით, ისევ შვიდ საბალნეთ შევათაებთ. და ვინც შემდგომად ჩვენსა ალავერდელი ბძანდებოდეს, კაის დროს შვიდს საბალნეს მიირთმევდეს ნათლისმცემელს; და თუ არადა, ამ ოთხს საბალნეს რასაც ავის დროისათვის ვინც მოაკლოს, ნათლისმცემელს იმან გასცეს პასუხი.

ქორონიკონ ჩლმბ.

ხელრთვა: ალავერდელი ნიკოლოზ

260. [ერთგულების წიგნი ევდემონ ჯუღნდიდლისა კათალიკოს გრიგოლისადმი]

[1690—1742 წწ.]

ქ. ნებითა და წყალობითა ღმრთისათა და ყოველთა მისთა წმიდათა თავსმდებობითა და შეამდგომლობითა, ესე საბოლოოდ გასათავებელი პირი და წიგნი მოგართვით თქუენ, ჩრდილოსა და აფხაზეთისა კათალიკოზს პატრონს გრიგოლს ჩუენ, ჭყონდელმან ღოღობერიძემან ევდემონ, ასრე და ამა[1] პირსა ზედან, რომ:

---

[1] ამა]ამას.

ბატონის დადიანის ბეჭდით და ბრძანებით მიტრაპოლიტად კურთხევას შემოგეხვეწეთ და მოგახსენეთ. ჯერეთ ამას ჯყოფილა მიტრაპოლიტად კურთხეული არ ყოფილან.

და მერმე სხუანი ეპისკოპოსნი, რომელიცა მიტრაპოლიტად თქუენგან იკურთხნენ, მართებულად ვერც სათნო გეყუნენ და ვერც მცნება და სამსახური თქუენი მართებულად აღასრულნეს.

ჩუენს წინანდელნი ჭყოინდელნი ძველთა და დიდთა ჯელმწიფეთაგან დიდად პატივცემულნი ყოფილან მონასტრითაც, სიმდიდრითაც და მამულითაც. ძაგრამ მიტრაპოლიტად კურთხევა არ ჰქონიან.

აწ, რადგან ჯერ ღმრთის ბრძანებით და მერმე ბატონის დადიანის წყალობით ჩუენზედ მიტრაპოლიტობის კურთხევა მოიღეთ, დღეს ამას იქით ვიყოთ[1] თქუენთჳს კარგი და კარგის მღომი; სჯულიერისა და ღმრთის საქმეზედ ბატონთან ხუეწნით და მოხსენებით თქუენს მოდგომას ვეცადოთ; და სხუაზედ, რისაც შემძლებელი ვიყოთ, სამართლიანის საქმით მოგიდგეთ; და სადაც დავესწროთ, ბიქვინტისა ღმრთისმშობელის ყმების მოხმარებასაც ვეცადოთ მართებულის საქმით.

ამის გათავების თავსმდებად, მოწმედ მოგუიცქმია თავად ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანი და თვითან ბიქვინტისა ღმრთისმშობელი✝

261. [ᲛᲔᲤᲘᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲡ ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲘᲡᲐ ᲑᲘᲥᲕᲘᲜᲢᲘᲡᲐᲓᲛᲘ]

[1696—1742 წწ.]

ჩუენ, ქრისტეს მიერ კურთხევით კურთხეულმან ჩრდილოსა და აფხაზეთის კათალიკოზმან ლორთქიფანიძემ პატრონმან გრიგოლ კუალად გკადრეთ[2] და შემოგწირეთ თქვენ საშინელსა ცათა მ[ო]ბაძავსა ბიქუნტისა ღმრთის-მშობელსა ერ[თ]ი კუამლი კაცი ნარმანიაჲ შარვაშიძე და მისი ძმაჲ პეთი, ასრე რომე:

ვეპუ შარვაშიძის იყო და ჩუენ ვიშოვნეთ და ხიბულას დავასახლეთ და თქვენ შემოგწირეთ მათის ცოლშვილითა და სხუასშულითა სახსრად და საობად სულისა ჩუენისათა. ბეგარასა და სამსახურს გარეთ სამი ლაღარიკი სანთელს ბიქვინტისა ღმრთისმშობელს მიართმეველეს ყოვ[ე]ლს წელიწადს.

---

[1] ვითყოთ. [2] ჰკადრეთ.

ვინცა ადამის ტომ[მ]ან კაცმან გამოგწიროს. მასამც რისხვა თავად დიდებული ღმერთი, მამა, ძე და წმიდაჲ სული და ბიჭვინთელ[ი]სა ღმრთისმშობელი; ნუცა იქნების ჭსნა და გამოჭსნა სულისა მისისა აწდა უკუნისამდე. ამინ.

262. [ᲬᲔᲜᲘᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲡ ᲑᲠᲘᲒᲝᲚ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲘᲡᲐ ᲑᲘᲭᲕᲘᲜᲢᲘᲡᲐᲓᲛᲘ]

[1696—1742 წწ.]

ჩვენ, აფხაზეთისა კათალიკოზმან ბატონმა გრიგოლ ესე წიგნი დავდეგით და განვაახლეთ, ასრე რომე: კობალა სალდაყაია დავითს კათალიკოზს ეშოვნა და ხატისათვის შეეწირა.

მერმე ახლა ჩვენ გაგვიახლებია და ჩვენც ხატისათვის შეგვიწირავს კობალა სალდაყაიას შვილი, რისაც მქონებელი იყოს ყოველის ფერით.

და ვინც გამოსწიროს, რისხავს ბიჭვინტისა ღმრთისმშობელი.

263. [ᲬᲔᲜᲘᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲡ ᲑᲠᲘᲒᲝᲚ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲘᲡᲐ ᲑᲘᲭᲕᲘᲜᲢᲘᲡᲐᲓᲛᲘ]*

[1696—1742 წწ.]

...**[ბიჭვინტისა ღმრთისმშობელო, ჩვენ ცვა-ფარვათა თქუენთა მიხდობილმა და შეწევნისა შენისა მსაზოებელმან და მოსავმან სიწმიდისა თქუენისაჲმან ჩრდილოეთისა და აფხაზეთისა კათალიკოზმან ლორთქიფანიძემ ბატონმან გრიგოლ ვიგულსმოდგინეთ შეწევნითა შენითა და კვალად გაადრეთ და მოგიძღვენით მცირე ესე შესაწირავი: რაჭას ბარის თავს ვარდი]ს გორა ჭბო — სასახლე მისი შესავალი და გამოსავალი, სასაფლაო, [მთა], ბარი, ტყე და წყალი, სახნავი და სათესი. მოჯალაბე სუტია გიორგობია.

ერთი მოსახლე სულაძე დავით, მისი ძმისწულები თაბაზი და ნინია, მათის ცოლშვილებით და ყოვლისფერით;

მეორე მოსახლე ბუხრაშვილი ნასიდა მისის ცოლშვილით და სახლკარით;

მერმე კიდევ ბუხრაშვილი ოთია, კაცია, დათუა.

---

* შდრ. საბუთი № 233.

** დავა აკლია.

მეოთხე — ლოთოძე ძიღლუა, პაატა და დათუ

ამ ოთხთ მოსახლეს თითო შამახური სანთელი ხორგასა[illegible]
ვიერ, სხვას ბეგარას გარდა;

კიდევ არჩვაძე თამაზა;

კიდევ რაჭის ამრალაული გალმა თებზაძე შოშიტა და გოგია.

ჭ. და მეორე მოსახლე ნამგალაძე მამუკა, მათის ცოლშვილით, სახლკარით და ყოვლისფერით, სხვას ბეგარას გარდა თითო შამახური სანთელი.

ქ. ოკრიბას, სწირეს: კუპლაშვილები გაძვერიასშვილი ჟოჟუა და დათუა, ერთი შამახური სანთელი;

მეორე მოსახლე ასამბეგ მისი ცოლშვილით, ერთი შამახური სანთელი:

მესამე პაატია და მისი ჰმისწულები, ერთი შამახური სანთელი;

ხრესილზედ: ობოლაძენი თავს შათირიაშვილები ხოსია და იეანა, ერთი შამახური სანთელი;

მეორე მოსახლე ზაქარა და ქრისტეშია მათის ცოლშვილით, ერთი შამახური სანთელი;

მესამე მოსახლე თამაზას შვილი კაცია, ასამბეგისა და დათუნას შვილები მათის ცოლშვილით, ერთი შამახური სანთელი;

მეოთხე მოსახლე მამუკა ობოლაძე აწოწყდა და მისი პარტახი გელათის წინამძღვარს მიეცეს; და მისი სანთელი, ვისაც ის ჭონდეს, მან გარდიხადოს.

კიდევ სწირეს: მენაღარე ცირეკაძე სეხნია მისი ცოლშვილით, ერთი შამახური სანთელი.

ჭ. მათხოჯს: სხვას ბეგარას გარდა თეთრის ბეგარა მართებს ყველას; თეთრის ბეგრისაგან სანთელი დაგვიც: ჩარექი რუბას თავს, მარჩილის თავს შამახური ყოველს წელიწადს ბიჭვინტისა ღმრთისმშობელს მიერთმეოდეს ბიჭვინტას.

ჭ. ოდიშს თავს მეჯვეთს: მამუკა გეგენავა მისი ცოლშვილით, სახლკარით და ყოვლისფერით მეხადილეა, სამი ლოდარიკი სანთელი;

ჭ. მეორე მოსახლე უგლავა დათუნა მისის ცოლშვილითა და სახლკარითა, ხუთი ლოდარიკი სანთელი;

მესამე ბიჭია ჭითანავა და ორი მისი გერი მათის ცოლშვილითა და სახლკარითა და ხუთი ლოდარიკი სანთელი;

მეოთხე კუპრაისშვილი ინალი და ბიბა, ხუთი ლოლარიკი;

ქ. მეხუთე კიდევ კუპრაისშვილი მამაგული და კოჩია ხუთი ლოლარიკი სანთელი;

ქ. მეექვსე ჯღაბაია ნანაია, ხუთი ლოლარიკი სანთელი

ეს ეძვსი მოსახლე კაცი მათის ცოლშვილითა, საბლკარითა, სასაფლაოთა, ტყითა და წყლითა და ქუნეური სასახლე მისის ტყითა და წყლითა და საყანითა ბატონის დადიანის ბეჟანისაგან გვიქრთამებია და ბიჭვინტისა ღმრთისმშობლისდა შეგვიწირავს.

ქ. სენაკს: გიორგი გურიელი ცოლშვილითა და ხუთი ლოლარიკი სანთელი.

ქ. წყალიძგას: ლუხავა ჩოხელი და წიწაკოჩი მათის ცოლშვილით და საბლკარითა, ხუთი ლოლარიკი სანთელი;

ქ. მეორე მოსახლე მამაგული მონია და ბარკალაია განიშა, ხუთი ლოლარიკი სანთელი;

ქ. მესამე თოსკუშია გელოზა მისის ცოლშვილითა და ხუთი ლოლარიკი სანთელი;

მეოთხე გაჭირებული ხვარაია და ახალი კოჩი ჯაჯავა კულა მათის ცოლშვილითა და ხუთი ლოლარიკი სანთელი;

ქ. მეხუთე კიდევ ლუხავა ჰუჰუ და გიორგი მათის ცოლშვილითა და ხუთი ლოლარიკი სანთელი;

ქ. მეექვსე მაშანუ სხვიტარია და მამაგული მათის ცოლშვილითა და ხუთი ლოლარიკი სანთელი;

მეშვიდე ლასურია მამაგული მისის ცოლშვილითა და ხუთი ლოლარიკი სანთელი;

ქ. მერვე ქვაჩილაია მეგრელია და თოლიკავა ხუთი ლოლარიკი სანთელი;

მეცხრე ფაცილაი მელია, გაბრიელ და მამაგული და ხუთი ლოლარიკი სანთელი;

ქ. მეათე გარეუჩავა იესე მისის ცოლშვილითა და ხუთი ლოლარიკი სანთელი.

ეს წყალიძგა უმალ კურთხეულს ნებსაძე კათალიკოზს ციხისთვის შვილის ცაიშლის მაქსიმესათვის მიეცა. მერმე ის ძირი კაცები ამოწყვეტილყვენ, ცაიშელს თავისი სამკვიდრო ყმები დესახლებინა. მერმეთ ჩემს კათალიკო-

ზობაში თავათ ცოლშვილი მოვიდა, მისი სიძე პეპუნა ფილ[ი]პე და თავისი და ცისთისთვის ქალი გუდია იერუსალემს მივემგზავრეთ ისე მოვიდენ; და ისიც და სხვაც, რომელიც თავისი საქვეყნო ყმა ყვანდა, დავთრით ყველა ბიჭვინტისა ღმრთისმშობელს შესწირეს. ჩვენ უფროსი საკლავის მაგიერ სანთელი დავადევით, ბიჭვინტისა ღმრთისმშობელს შევსწირეთ.

ქ. ამას გარეთ თქვათ: ერთი მოსახლე კაცი ღვაკალი გრიგოლა ზაალ მხეიძეს ნიშანში ამოვიდეთ და ბიჭვინტისა ღმრთისმშობელს შე[ვ]სწირე მისის ცოლშვილითა, საბლაკრითა და მისის ყოვლისფერითა; და ხუთი ლოდარიკი სანთელი დავადევი;

ქ. მეორე მოსახლე კაცი მაქაცარია კობახიძესეული კაცი იყო, ბიჭვინტისა ღმრთისმშობელს შევსწირე მისის ცოლშვილით და ხუთი ლოდარიკი სანთელი დავადევი.

სახარებდოს: კაჯიბია ივანელა მისის ცოლშვილით, საბლაკრითა, ხუთი ლოდარიკი სანთელი;

ქ. მეორე მოსახლე ეჯიბია ჭკოლოფუა და ბაძალია. ხუთი ლოდარიკი სანთელი;

ქ. ხუცესი ხარაბედია მისის ცოლშვილითა, ხუთი ლოდარიკი სანთელი;

ქ. კიდევ ნასხიდა შუდლაია მისის ცოლშვილითა, ხუთი ლოდარიკი სანთელი;

ქ. ბიას: კოჩიორე სიჭინავა და მისი გლეხი ამაცალა ცხადაია, ხუთი ლოდარიკი სანთელი; კიდევ ბიას: ჯვებე ბიგავა და მისი ძმისწული მათის ცოლშვილითა, ხუთი ლოდარიკი სანთელი.

ზობს: ხუტუ კოდუა და გელი მათის ცოლშვილითა, ხუთი ლოდარიკი სანთელი; ქ. [კიდევ სუბუჭია] მამაგული ბაბადიში და ბიძა მისი, ხუთი [ლოდარიკი სანთელი]. ქ. კიდევ ბერაია შუჭუ, ახალიკოჩი და...*

264. [შეწირულების წიგნი კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძისა ბიჭვინტისადმი]

[1698—1742 წწ.]

შენ, სიბრძნეო და სიტყვაო და ძალო მამისა დაუსაბამოსაო. ძეო თანა დაუსაბამო, რომელ საბანათობიერმან ჭელოვანთ მთავარმან შეკეცვმან(?) ხორცად და ძვალად და სამშვინველად ცხოვე-

* ბოლო აკლია.

ლად შემზადე პირმეტყველება[დ] ხატებისა და მსგავსებისა თვ-
სისა და მცნებისა უგულებელს ყოფად მრავალსა ღმობიერსა ამას
ცხორებასა მიწევნულყავს, ვინათგან გარდამოხედ სრული ხატ-
ნება ღმერთ-მთავარებრივ და დაემკვიდრე ქალწულისა მუცელსა
და დაიცევ იგი ქალწულად გამუხსნელად. უბიწოდ, ამისთჳს გა-
დიდებ და გეუედრები და დიდების მეტყველებასა აღუთქვენ წი-
ნაშე შენსა: დიდება შენდა, დიდება შენდა და კუალად დიდება და
მადლობა შენდა ღმრთივ-შვენიერსა მას გაბრძანებასა უფალო იესო
ქრისტე, ღმერთო ჩვენო, მაცხოვარო ტყვეთა.

ჩვენ მცველობისა და მფარველობისა თქუენისა შეგვრდომით
თაყუანისმცემელი ჩრდილოსა და აფხაზეთისა კათა-
ლიკოზი გრიგოლ შემოგწირავ მცირესა ამას შესაწი-
რავსა შენ და მშობელსა შენსა დედოფალსა ბიჭვინტისა ღმრთის-
მშობელსა, მარადის ქალწულსა მარიამს ასე და ამგვარად:

ოდეს მეუღლე მეფისა მიიცვალა და ადგილი ესე მშობელსა
შენსა მიერთვა, ერთი კვამლი ქაცი ამ ადგილის დაკარგულიყო და
ვიპოვეთ, და ვეუედრეთ მეფეს ამოყუანა და შესაწირავათ და მოსარ-
თმევათ თქუენდა გვიბოძა.

ახლა ჩვენ დაგასახლეთ; თქუენთჳს სასამსახუროთ შესაწირა-
ვათ სანთელი დავადევით. შემოგვიწირავს თქუენთჳს მაცხოვარო
ცხორებისა მომნიჭებელო ესე დუხუჩავი იოვანე და ორი
მისი ძმები ხახუ და ოთიე ცხორებისა მის დაუსრულებე-
ლისა ჩემდა მიმოხვეევად და ღირს-ყოფად სასუფეველსა ცათასა.

ხოლო მეფესა ალექსანდრეს ძლიერებისა და წყა-
ლობისა მინიჭებად და ამაღლებად რქათა მეფობისა მისისათა და
წარსამართებელად ცხორებისა საუკუნოსა, შეიწირე მცირე ესე
შესაწირავი მუუფეო, ვითარცა შეიწირე აბრაჰამის საკვლელობანი
მსხვერპლი აბელისი და მღდელობანი აარონისი.

დამამტკიცებელი ამისი დამტკიცოს უფალმან მრჩობლთაენ
შინა ცხორებათა.

ხოლო შემშლელი ამისი და კაცისა ამის გამოწწირველი შეიშ-
ლება სულით და ხორცით; რისხვაჲ ცისა და ქუეყნის პირად-პირა-
დად შემმკობელი ღმერთი ყოველნი, მისნი ანგელოზნი უსხეულო-
ნი სახედ ქეცობით მალალადებელი წინაშე მისა და დიდების მეტყ-
ველებათა აღმასრულებელი; ნუმცა უხილავს ზეცისა იერუსალიმ,
არამედ ქვესკნელისა; ნუმცა გაუცდია სასუფეველისა შევნიერე-
ბა, არამედ ჯოჯოხეთისა იგი დასჯილება და შეწყუდეული იგი მწა-
რესა და მოუთმენელსა გეენისა და ტარტაროზ[ზ]სა შინა, რათა არ-

დარია ხსნილ იყოს საკვრელისა მისგან განწმენდილებელისა; მსხვერპლი ექმნება კეთილ გეზისი, შეწირული იუდასი, დანთქმა დათანდგომილ რისი, წყევა სამებით სრულმყოფელისა ღმრთისა, ამინ.

დაიწერა სიგელი ესე ქელითა ჩემ ცოდვილისა ბერისა კათალიკოზის არქიდიაკონ-მგალობელ-მწიგნობარ გრიგოლ შვილისა ეფთვიმისათა.

ბეჭედი: მეუფე და მღდელთმთავარი ათხაზეთის ქ[ა]ხი გრიგოლ ქრს ტპდ.

265. [წუხსა ხოგის შესავალი და შეწირული სანთლისა]

[1696—1742 წწ.]

გ. წყალობითა ღმრთისაითა. ხოგის შესავალი და შეწირული სანთელი.

ხორგას თავს

1.* დასტურია ჰუჰუ და გაბრიელ, ოთხი ლოდარიკი სანთელი.
2. ილორისა შვილები, ოთხი ლოდარიკი სანთელი.
3. არცანდია გაგინა, ოთხი ლოდარიკი.
4. დასტურაია დათუ და მახუტუ, ოთხი ლოდარიკი.
5. ხაჩქილა, ოთხი ლოდარიკი.
6. მამაშის შვილები, ოთხი ლოდარიკი სანთელი.
7. ხოჭოლავა მიამია, ოთხი ლოდარიკი სანთელი.
8. პაჭკუტია მისხულავა, ოთხი ლოდარიკი სანთელი.

გალმა ხორგას

9. თაბუნია ხოჭოლავასეული პარტახი ძველათგან შეწირული ყოფილიყო, და ოთხი ლოდარიკი სანთელი.
10. ბესია გაგიბერია და ორი მისი გლეხი, ხუთი ლოდარიკი სანთელი.
11. ილანუსუ ლეფთნავა, ოთხი ლოდარიკი სანთელი.
12. მისი ძმა ნიკოლა, ოთხი ლოდარიკი.

---

* ხელნაწერში ტექსტი მუხლებად დაყოფილი არ არის.

13. კიდევ მისი განაყოფი გიგანძალა, ოთხი ლოლარიკი.
14. ბერაია ბაბაკოჩი და ხაბუ და მისი ძმისწულები, ოთხი ლოლარიკი.
15. თომა ბერაია და მისი ძმა ბექია, ოთხი ლოლარიკი.
16. კიდევ ბერაია გურიკავა და შოშიტა, ოთხი ლოლარიკი.
17. არცანდია ქომოკორდა, მისი ძმისწული, ოთხი ლოლარიკი.
18. ჯაიანისეული კაცი ავშიდავა გონჯი, ოთხი ლოლარიკი.

ხობს

19. ბაბაკოჩი ბიგვავა, ხუთი ლოლარიკი.
20. ძიკვი დიხამიჯია და თაიმაზი, ხუთი ლოლარიკი.
21. წულაი თუთაშბია და გვაძაბია, ხუთი ლოლარიკი.
22. დოღუზია გოგოლეი, ხუთი ლოლარიკი.
23. ხუტუ კოდუა და გოგელაი, ხუთი ლოლარიკი.
24. სუბუქ[ი]ა მამაგული, ბაბადიში და ბიძა მისი, ხუთი ლოლარიკი.
25. კიდევ ჯგუბერია ჰუჰუ ახალი კოჩი და მისი ძმები, ხუთი ლოლარიკი სანთელი.
26. ელიშ[ი]ა ოსათარა და ვაგა, ხუთი ლოლარიკი.

ბიას

27. კოჩიორე სიჭინაია და მისი გლეხი იმანცალი ცხადია, ხუთი ლოლარიკი.
28. ბიგავა ჯვებე და მისი ძმისწული, ხუთი ლოლარიკი.

სახარბედოს

29. ეჯიბია ივანელა, სამი ლოლარიკი სანთელი.
30. კიდევ მეორე ეჯიბია ჰკოლოფუა და ბაძილაა, სამი ლოლარიკი სანთელი.
31. ხუცესი ხარბედია, სამი ლოლარიკი სანთელი.
32. ნასხიდა შუდლაი, სამი ლოლარიკი.

ხოთგას ჩემი შეწირული რომელიც იყო. ის დამიწერია ძველადგან ყოველებს სლებია და როგორც სდებოდეს გარდიხადოს.

ამ ჩემს შეწირულს კაცებს ვისაც სანთელი ემართოს, მეხადილეს კაცისათვის საკლავი შემიწევია და მეღორე კაცისათვის უფროსი საკლავი; არც გასამყოფლო ეთხოებოდეს, არც ბატონისაგან და არც მოხელისაგან.

და ხატის ბეგარა სანთელი რამდენათაც ვეიყოს, თან გავუყებოდეს მთლად.

ბეჭედი: აფხაზეთის კათალიკოზი გრიგოლ
ხელთაჲ: კათალიკოზი
თავში ბეჭედი: გ. მეუფე და მღდელმთავარი აფხაზეთის კ-ზი გრიგოლ გ-ს ტბღ.

266 [სანთლის ბეგრის დავთარი კათალიკოზ გრიგოლ ლორთქიფანიძისა ბიჭვინთისადმი]

[1696—1742 წწ.]

... ჩრდილოსა და | აფხაზეთის კათალიკოზმან ლორთქიფანიძემ გრიგოლ... მოგართვით დავთარი ესე. დავდევით ტაძარსა შინა თქვენსა, ასე რომე მოკითხული ვქენით იმერეთს, ოდიშს, გურიას და ბიჭვინტას ქამთა ვითარებისაგან შეწირული სანთელი საკათალიკოზო მონასტრებშიდ ალარ იყო, არც შევიდოდა...

ჩვენს კათალიკოზობაშიდ თქვენს მონასტრებს სანთლები დაკლებოდა, არ იქნებოდა; ზოგი რომელიმე ოცისა და ათის წლიდგან დაკარგული ყოფილიყო და ჩვენ ამოვიყვანეთ და ხელახლა ჩვენ დავასახლეთ და შემოგწირეთ.

ზოგს ბეგრის თეთრი ემართა. იმ თეთრის ნაცვლად სანთლის ბეგარა დავადევით: რუბისთვის ჩარექი და მარჩილისთვის შამახური იმერეთს, ოდიშსა და გურიას ლოდარიგით.

და ჩვენი ნაშოვარი და ხელახლა შეწირული კაცები, რომელიც არის, მეხადილეს საჩუქარი შევაწიეთ და მეღორეს საკლავი უმჯობესი მისის ჭათმიანათ; და ასე შეღავათით მის-მისი სანთელი დავადევით.

აწ ჩვენი ამოყვანილი და შეწირული რომელიც არის მესანთლე, იმათ გასამყოფო ალარ ეთხოვებოდეს არც კათალიკოზისა-

ვან, არც სხვა მოხელისაგან, და რომ ქ[ა]ყოფოდენ. ხატის-სა[ნ]
თლის ბეგარა მთლად გაუვებოდეს.

არის ჩვენი ნაშოვარი გლეხი და მამული თავს რაჭას.

კიდეჳ

ზოგი რომელიმე საეკლესიოზო არ ყოფილა, ჩვენგან ნაყიდი და ნაშოვარი არის.

260. [პეტრეს წიგნი იოანე ნინოწმინდელისა ნიკოლოზ ალავერდელისადმი]

[1748 წ. 8 მაისი]

ესე წიგნი მოგართვით ჩვენ არქიმანდრიტელმან ნინოწმიდელმან იოანე თქვენ ცათა ძობაძაგასა წმიდას გიორგის ალავერდს და მას ზედან მწდომარეს ამბა ალავერდელს ნიკოლოზს.

ასე, როგორ: ბატონის ბძანებითა და თქვენის ნებადართვით ბისონი ვითხოვეთ და თქვენ კელმწიფეებისაგან გუჯარი გჳნდათ, რომ ეთქვენთა ჩვენს ქვეყანაში ეფისკოპოზი ვერ გაბატიოსნდებოდა.

და ნეკრესელი რომ ჩვენის ხარისხისაგან უმდაბლესი იყო და ბისონი და მიტრა იშოვნა. ჩვენც ამ მიზეზით ჩაეცვეთ.

ახლა რაღგან ჩვენს მონასტერზედ ეს წყალობა მოვიდა, ვიყვნეთ თქვენი მორჩილნი როგორც ჩვენგან უბირველესნი ნინოწმიდელნი ყოფილან; და რაც ჩვენი ხარისხი არ არის, მაზედ ნამეტნავი ჩვენ არა ვინდომოთ რა. სჯულის საქმეზედ, როგორც პირველად თქვენგან თუ თქვენის უწმინდესობის ამბა ალავერდელებისაგან ერთობა ყოფილა, მეც ეგრე მორჩილი ვიყო.

ამისად გასათავებლად და მოწმათ მოგეცემია პირველად ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანი და თვით დიდებული წმიდა გიორგი და წმიდა მოციქული ნინო.

დაიწერა წიგნი ესე თვესა მაისსა გ. ქორონიკონსა ულა.

ხელრთვა: ნინოწმიდელი იოანე

261. [წყალობის წიგნი ნიკოლოზ ალავერდელისა იასე გაკურაძისადმი]

[1748 წ. 27 ნოემბერი]

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა და მეოხებითა ყოვლად წმიდისა უხრწნელისა და უცროსად კურთხეულისა დიდებულისა დედოფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისათა;

ძლიერებითა პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯვარისაით წმიდათა ანგელოზთა და მთავარანგელოზთა მიქაელ და გაბრიელისათა წმიდისა და ღვაწ[ლ]მრავალისა მთავარმოწამისა გიორგისათა;

ამათის მინდობითა და შუამდგომელობითა ესე უკუნისამდ[ე] ჟამთა და ხანთა გასათევებელი, მტკიცე და უცვალებელი სამკვიდრო და საბოლოოდ გამოსაღები წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ, ღმრთისა მიერ კურთხეულმან ენდრონიკაშვილმან ამბა ალექსანდრემან ნიკოლოზ შეს, წმიდის გიორგის ერდგულსა და ჩვენზედ თავდადებით ნამსახურს ყმასა ჩვენსა ამერეულს ბაკურაძეს იასეს, შვილსა შენსა სვიმონს, რამაზს, სოლომონს, ნიკოლოზს, შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა, ასე და ამა პირსა ზედა, რომ:

იმერეთს აბაშიძის აზნაურშვილი ყოფილიყავ, აბაშიძისაგან თაკი დაგეხსნა, იქითგან ჩამობრუნდით და ჩვენ გვიხელით. რათგან ჩვენს ყმათ მოხვედით და გვიხელით, ჩვენ წმიდას გიორგის ალავერდს შეგწირეთ და გიბოძეთ ნასომხარში ფარეშიშვილის დემეტრეს ნაქონი ვენახი თავისის ქვევრ-მარნით, სასახლით, ბახჩით, წყლით, წისქვილით, სახნავით და უხნავით შითითა და ბაღით[1], სასაფ[ლ]ათით, ყოვლის მისის საშართლიანის ს[ა]მძღ[ვ]ით შენთვის გვიბოძებია.

რათგან აზნაურშვილი ყოფილიყავ, ყმა უხდა გვებოძებინა. მაგრამ ავის დროსა და ორიანობისაგან ყმა კი ვერაო გიბოძეთ და აზალობის წყალობა გიყავით. არაფერი გამოსაღები არ გეთხოვებოდეს რა: არც სახემწიფო, არც ჩვენთვის გამოსაღები არა გეთხოვებოდეს რა, ლაშქარ-ნადირობისა და წმიდის გიორგის სამსახურის მეტი. როგორითაც სხვა მსახური და აზალი იყოს საყდრიონში, ასე შენ იყავე.

ასე წყალობა გიყავით. [გ]ჭონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან წმიდის გიორგის ერდგულობასა და ჩვენს სამსახურში.

ხოლო დამამტკიცებელი ამისი ღმერთმა აკურთხოს აწ და უკუნითი უკუნისამდე.

არიან ამ საქმეში დამსწრენი[2] და გამრიგებელი: ქარის წინამძღვარი ამბაკო[3], ჩვენი აზნაურშვილი სალთხუცესი პა[ა]ტა. ბოქოლთხუცესი ფარემუზ, მედვი-

[1] ბაღით] ბღით. [2] დამწყვევნი. [3] ამბაკომ.

ნათხუცესი ომან, სულერთობით ჩვენი აზნაურშვილობა[1] კონდოლის ნაცვალი ებრაელი თედორე გიგანთაშვილი მეილი.

დაიწერა ეს წიგნი გიორგობისთვის კზ გასულა, ქორონიკონს ულა, ხელითა მდივნისა გიორგასითა.

ერთს ლიტრას სასთელს უნდა მიართმევდეს იაკე თავისის ნებით წიადაგ ჭვირის ამაღლებას დაუკლებლად.

ბეჭედი: ალავერდელი ნიკოლოზ
მარცხენა კიდეზე

ქ. ჩვენ, კახეთის, არაგვის და ქსნის პატრონი მეფეთ-მეფე თეიმურაზ და თანამეცხედრე ჩვენი ქართველთ მეფისა ასულ პატრონი დედოფალთ-დედოფალი თამარი და საყვარელი პირმშო და სასურველი ძე ჩვენი პატრონი ერეკლე და ძმისწული ჩვენი ასან მირზა ვამტკიცებთ, რაგვარადც ამბან ალავერდელს წყალობა უქნია და სიფიცარსა ამაშიგან წერია, ჩვენ ამრიგად წყალობა გვიქნია და დაგვიმტკიცებია.

დაიწერა თებერვალს ია, ქვლითა მდივნის ოთარისათა, ქორონიკონს ულბ.

საში ბეჭედი: თეიმურაზ. დედოფალი თამარ. ერეკლე*.

თავში

[ქ. ჩვენ, მეფემ] სრულიად ქართლ[ისა] და კახეთისა ირაკლი მეორე ამ აზნაურშვილობისა და სითარხნის სიგელს გამტკიცებთ. მაის[ს] იბ, ქორონიკონს უოვ. ალბა[ნ]. რომ ეს ასე უნდა აღსრულდეს, როგორც ალავერდელს დაუმტკიცებია.

ბეჭედი: მუ ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე ერეკლე.

verso

ქ. ჩვენ, სრულიად საქართველოის პატრიარხი და მიტრაპოლიტ-ალავერდელი, მეფის ირაკლის ძე, ანტონი ვამტკიცებთ ამ სითარხნის სიგელსა.

სეკდენბრის კ, ქორონიკონს უპდ.

ხელითა: კათალიკოზი ანტონი

---

1 აზაბ.

* ბეჭდებია ლეგენდები არ ირჩევა.

269. [წყალობის წიგნი ნიკოლოზ კათალიკოზისა სახლთხუცეს გიორგისადმი]

[1741 წ. 20 ივლისი]

ჭ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოს და აღმოსავლეთის მაკურთხეველმა პატრიარქმა ნიკოლოზ ეს წყალობის წიგნი და ნიშანი გიბოძეთ თქვენ ჩვენს სახლთხუცეს გიორგისა და დემეტრესა.

ასე, რომე: თქვენი ბიძაშვილი ზურაბ ამოსწყდა ყოველთურთ, უმკვიდრო იქმნა. იმის მამულს დაგვეპყენით და იმისი მამული გიბოძეთ: სახლი, კარი, სახელო, მამული, ყმა, ზვარი, ხოდაბუნი, ნასყიდი და უსყიდი, რისაც მქონებელი იყო.

და რასაც აღავს, მთასა თუ ბარს, იმის წილი ქონდეს, ყველა თქვენთვის მოგვიბოძებია, წყალობა გვიქნია, ყოველის თქვენის ნათესავისა და სხვის კაცის შემოუცილებლად და ბოლდევრათ.

სულ მცხეთელთ ნება დართვი[თ] და მოწმობით გიბოძეთ. [გ]ქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან საყდრისა და ჩვენს ერთ-[გ]ულად სამსახურში.

დაიწერა ივლის[ს] კ, ქორონიკონს ჟლბ.

ხელთაა: კათალიკოზი

270 [დავთარი ქართლის საკათალიკოსო ყმების აღწერისა]

[1708—1741 წწ.]

[არის შეხისს]

...[ქ]რავი, ობოლი ბიჭი ხუთი წლ[ის]...

ჭ. პახლმასშვილი ბიძინა კომლი ა, თავი დ, ორი ადნათმა, ორი აღსათმა.

აბაზი დ ჭ. ელიაშვილი გოგია, თავი ა, დარიბი

ჭ. ტურიაშვილი ნადირა, კომლი ა, თავი ა

ჭ. აბოკაძე შიო, კომლი ა, თავი ბ

ჭ. გაბეკაძე დემეტრა, კომლი ა, თავი გ

ჭ. პაპუჭასშვილი რამაზა, კომლი ა, თავი ბ

ჭ. ბერეაშვილი ოთარა, კომლი ა, თავი ბ

ჭ. ფარეშიბერა, კომლი ა, თავი ბ*

---

* გასწერივ სხვა ხელით მიწერილია „მოსეშვილი".

ქ. სადუნაისშვილი ზურაბა, კომლი ა, თავი ა, ლარიბი

ქ. წეწვიაშვილი იბოლი ბიჭი, კომლი ა, თავი ა, ლარიბი*

ქ. ცხვარაშვილი ვოგია, თავი ა, ლარიბი

ქ. გიგიაშვილი დათუნა, თავი ბ, ლარიბი

ქ. ადუაშვილი ბერძენა, თავი ა, ლარიბი

ქ. პაიჭუმასშვილი ოთარა, თავი ა

ქ. მჭედლიშვილი ივანა, კომლი ა, თავი ა

ქ. გელიაშვილი გიგილა, თავი ა, ლარიბი

ქ. გოგიტასშვილი ლეკვია, თავი ა, ლარიბი

ქ. გაბაძალაშვილი ოთარა, თავი ბ, ლარიბი

ქ. გოჩიაშვილი დათუნა, თავი ბ, ლარიბი

ქ. მოხური ჯამი იქნა: კომლი **ლე**, თავი **პე**. ამისგან არის აალა **ლგ**, ლუსათი თავი **კვ**, ადნა თავი **კვ**, ფური **იბ**, ცხენი **გ**, წისქვილი ბუჭული **ბ**.

ქ. არის ბერძენაულს

აბაზი ვ გლეხი მგარაყაისშვილი ფოცხვერა, კომლი ა, თავი დ, ფურკამეჩი ზაქიანი ა

ქ. მარგველაშვილი დათუნა, კომლი ა, თავი დ, ზაქიანი კამბეჩი ა

აბაზი ე ქ. ხლუხიძე კაცია, კომლი ა, თავი ა, ზაქიანი კამბეჩი ა

ქ. ლომსაძე გიორგი, კომლი ა, თავი ბ

ქ. ხაბაზი თმან, კომლი ა, თავი ბ

აბაზი დ ქ. ღვინიაშვილი ბერი, კომლი ა, თავი ა, ლარიბი

ქ. მეტრეველი ბერი, კომლი ა, თავი ა, ლარიბი

ქ. დაბრუნდაშვილი კაკოლა, კომლი ა, თავი ა, ლარიბი

ქ. პაპუა უმაწვილო ხიზანი, თავი ა, მდივნის სოლომონის ყმა, ლარიბი

ქ. ბერძენაულის ჯამი იქნა: კომლი **ცჱ**, თავი **ივ**.

---

* ამის შემდეგ სხვა ხელით სტრიქონს შუა სწერია: ნელი(ვ)ბერძენაული(ს) ივანე, კომლი ა.

ამასგან არის ალა თავი ჱ, აესათი თავი დ, ადნა თავი დ,
ფურკამბეჩი ზაქიანი გ. ბუჭულა წისქვილი ა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქ. აშენდას არის

აბაზი ვ გვლები: გიორგისშვილი კაცია, კომლი ა, თავი ბ, ღორი გ

ქ. ადომელაშვილი ოთარა, კომლი ა, თავი ა, ფური ა

ქ. ოქროპირაძე მამუკა, კომლი ა, თავი ა, ფური ა, ზაქიანი კამბეჩი ა, ღორი და გოჭი დ

აბაზი ე ქ. თამაზაშვილი ოთარა, კომლი ა, თავი ა

აბაზი დ ქ. დიდმელაშვილი ოთარა, კომლი ა, თავი ბ

ქ. მეტრეველი ივანე, კომლი ა, თავი ბ, ღარიბი

ქ. კობაძე გეგელა, თავი ა

ქ. ბაბიცე ბერი, თავი ა

ქ. მჭედლისშვილი გიორგი, თავი ა

ქ. ყველიაშვილი შიო, თავი ა, ღარიბი

ქ. გოჩიაშვილი ბიძინა, თავი ა, გოროს არის.

ქ. რუის[ს]: ღვინიაშვილი პაპუნა, კომლი ა, თავი გ. ღარიბი

ქ. იქნა აშენდეს და რუის[ს] ღვინიასშვილის ჯამი: კომლი ი, თავი იზ. ამასგან არის ალა თავი დ, აესათი ა, ადნა იბ, ფური და ზაქიანი კამბეჩი გ, ღორი ჱ.

[აბაზი] ე ქ. დვანს: კობაძე გიორგი, კომლი ა, თავი დ აესათი, ბუჭულა წისქვილი ა

ქ. არის ერკნეთს

[აბაზი დ] გლები: ნინიაშვილი, კომლი ა, თავი ა

ქ. დოიჯაშვილი ნინია, კომლი ა, თავი ბ

ქ. დოიჯასშვილი ივანე, კომლი ა, თავი ბ

ქ. ბასილიშვილი ბასილა, კომლი ა, თავი ბ

ქ. ბიძინაშვილი გიორგი, კომლი ა, თავი ბ

ქ. პაპაშვილი გელა, კომლი ა, თავი ბ, ფურკამბეჩი ბ

[აბაზი ე] ქ. პაპაშვილი თამაზა, კომლი ა, თავი ბ

ქ. ერკნული ჯამი იქნა: კომლი ზ, თავი იდ, ფურკამბეჩი ბ. ამასგან დადგა აესათი თავი დ, ადნა თავი ი, ბერძენი ბერი იაკობ ადნა თავი ა, წისქვილი ბუჭულა ა.

ჭ. არის უფლის ციხეს

[აბაზი] ვ გლეხი: ხუციშვილი ივლიკა, კომლი ა, თავი ა, ფური ა

ჭ. ნაზარასშვილი ბერუა, კომლი ა, თავი ბ, ფური ა

ჭ. ერალაშვილი არუთინა, კომლი ა, თავი ბ

ჭ. ადუაშვილი გიორგი, კომლი ა, თავი გ, ფური ა

ჭ. სირანასშვილი ლეკვია, კომლი ა, თავი ბ, ფური ა

[აბაზი] ე ჭ. გაბინაშვილი გაბრიელა, კომლი ა, თავი ა

ჭ. ჩალაბაშვილი დათუნა, კომლი ა, თავი ა

[აბაზი] დ ჭ. ნაზარასშვილი გიორგი ბოგანო, თავი ა, ღარიბი

ჭ. იაფასშვილი სტეფანე, კომლი ა, თავი ბ

ჭ. აზარბეგასშვილი ზერაბი კომლი ა, თავი ა

ჭ. ორთანეზასშვილი პაპა, კომლი ა, თავი ა

ჭ. ტერ საკა, თავი ა

ჭ. გიგოლაშვილი პატარკაცი, კომლი ა, თავი ა

ჭ. ვართუმასშვილი ხოსია, თავი ა, ღარიბი

ჭ. იქნა ჯამი უფლისციხური: კომლი იდ, თავი ქბ, ფური გ. ამასგან დადგა ააღლა თავი იბ, აუსათი[1] თავი ბ, ადნა თავი თ.

ჭ. არის ზერტს

[აბაზი] ვ გლეხი: მონაზარასშვილი ბეჟუა, კომლი ა, თავი ბ, ფური ა, ზაქიანი ფურკამბეჩი ბ

ჭ. ტერტნასშვილი ივანა, კომლი ა, თავი ბ, ცხვარი ფ

[აბაზი] ე ჭ. მაზნაშვილი ჭიტესა, კომლი ა, თავი ა

აბაზი დ ჭ. მიტიასშვილი პეტრე, კომლი ა, თავი ა

ჭ. მამულაშვილი გორს არის თავი ა*

ჭ. იქნა ზერტელი ჯამი: კომლი დ, თავი ზ, ფური ა, ფურკამბეჩი ზაქიანი ბ, ცხვარი ფ. ამასგან ააღლა დადგა თავი დ, აუსათი ა, ადნა ბ

ჭ. არის დისევს

გლეხი:**

---

[1] აუსათო.

* ამის შემდეგ ერთი სტრიქონი ამოჭრილია, დარჩენილია: „დვი ვ".

** ტექსტისათვის დატოვებულია ცარიელი ადგილი.

ქ. არის მედვრეების

[აბაზი] ე გლეხი: მამასახლისი მაისურაძე ოთია, ლი ა, თავი ბ, ფური ა

[აბაზი] დ ქ. ყანყალაშვილი ქიტესა, კომლი ა, თავი ა, ფურაკამბეჩი ა

[აბაზი] დ ქ. ილარიონის ბერი, კომლი ა, თავი ბ, ფურაკამბეჩი ა

[აბაზი] დ ქ. მაისურაძე ივანე, კომლი ა, თავი ა

ქ. არის რეჯზე

[აბაზი] ვ აზნაური შვილი: ქაცარსიძე გიორგი, თავი ა, სასახლე ხარაბა აქვს.

[აბაზი] ე ქ. აქავ რეჯზედ ამისი ყმა კეკანაშვილი იესე, კომლი ა, თავი ა

ქ. მახარობლისშვილი დარჩია, კომლი ა, თავი ა

ქ. აქავ ამას მაზრა ნასოფლარი ნივოზა.

ქ. არის მჭედურეთს*

ქ. არის ატენს

[აბაზი] ვ გლეხი: ბერიშვილი ბუცესი სოლომონ. კომლი ა, თავი ვ

ქ. იმერელი პაპა, თავი ა, ფური ა

[აბაზი] დ ქ. ზემო დვალიშვილი გოდერძა მეზვრე, კომლი ა, თავი გ, ამისგან ა. ბრმა არის.

ქ. ამისი გახაყოფი შიო, კომლი ა, თავი ა

ქ. ლაშქარასშვილი გოგია, თავი ბ. ამასგან ა გლახათ იარება.

ქ. ბერიშვილი პაპუა უმამულო, თავი ა

ქ. დვალიშვილი შიო, კომლი ა, თავი ბ

ქ. კვირტაშვილი აბრამა, კომლი ა, თავი ა.

ქ. მათიაშვილი ივანა, კომლი ა, თავი ბ. ამასგან ა. დიალ, უძლური არის.

ქ. დოჭიძე პაპუნა, კომლი ა, თავი ბ

ქ. კაპანაძე შიო და ივანე, თავი ბ, ქალაქს არიან აყრილი.

ქ. იქნა ატენური ჯამი: კომლი ჩ, თავი კგ, ფური ა. ამასგან დადგა აილი[1] თავი ზ, აღნა თავი ივ.

---

[1] აილი.

* დატოვებულია ცარიელი ადგილი ტექსტისათვის.

[აბაზი] ჯ გვლენი გეჯაძე ივანე, კომლი ა, თავი გ, ბიბლიოთეკა
ბ, ლორი ე
ქ. ნაცვალაშვილი აბრამა, კომლი ა, თავი ბ, ფური
ბ, ლორი გ
ქ. გზირიშვილი გელია, კომლი ა, თავი ა, ფური გ,
ლორი გ, ცხვარი რ
ქ. დეკანოზი დეშვეტრე, კომლი ა, თავი ბ, ფური ბ,
ცხენი ა
ქ. ბოვირაძე ელიზბარ აზნაური, კომლი ა, თა-
ვი ა
ქ. მერაბაშვილი ნასყიდა, კომლი ა, თავი ბ, ფუ-
რი ა
ქ. ნაცვალი აზმაიფარასშვილი ივანე, კომლი ა,
თავი ბ. ამისი ნასყიდი ბეჟიტასშვილი იასე, თავი ა,
ცხენი ა, ფური ბ, ლორი გ, ცხვარი ჯ.
ქ. აზმაიფას შვილი ზაქარია, კომლი ა, თავი ბ,
ზაქიანი ფურ-კამბეჩი ა
ქ. იმერელი რევაზა, თავი ა
[აბაზი] ე ქ. გოჩიაშვილი ივანე, კომლი ა, თავი ა, ცური ა
ქ. ტატნაშვილი ბერძა, კომლი ა, თავი ბ, ფური ა
ქ გეჯაძე გაბრიელა, კომლი ა, თავი ბ
ქ. შათირიშვილი ქიტესა, კომლი ა, თავი ბ, ფურ-
კამბეჩი ა
ქ დეკანოზასშვილი პაპუნა, კომლი ა, თავი ბ, ფუ-
რი ა
ქ. დავითაშვილი მახარა, კომლი ა, თავი ბ
ქ. ნიკოლოზისშვილი დათუნა კომლი ა, თავი ბ.
[აბაზი] ვ ქ. გიაშვილი მახარა, კომლი ა, თავი ბ, ლარიბი
ქ. მამუკაშვილი ბერი, კომლი ა, თავი ა, ლარიბი
ქ. დემეტრასშვილი გიორგი, კომლი ა, თავი ა,
ლარიბი
ქ. ყოლერაშვილი მახარა, კომლი ა, თავი ა
ქ. აზმაიფარასშვილი სეხნია მეწისქვილე, თავი ა,
ლარიბი
ქ. გეჯაძე თთია ბოგ[ა]ნო, თავი ა
ქ. ხუცაშვილი ხიზ[ა]ნა ბოგ[ა]ნო, თავი ა

ქ. აზმაიფარასშვილი ზაალა, კომლი ა, თავი ა
ქ. მწყერაძე გიორგი ბოგანო, თავი ა
ქ. აქვა მეტეხის მაზრა სხვერტა, ხარაბა, მალხაზლაშვილები
შვილებისა
ქ. იქნა მეტეხის ჯამი: კომლი კდ, თავი ლთ. ამისგან
ააღლა არის თავი იზ, აუსათი თავი იბ, ადნა თავი ი, ფური და
ფურკამბეჩი იწ, ღორი იბ, ცხენი ბ, ცხვარი რკ, წისქვილი დ.
თითო ჩა[ა]ვდეს სამ მინალთუნად.

ქ. არის გომს

[აბაზი] ვ გლეხი: მჭედლიასშვილი იასე, კომლი ა, თავი ბ
ქ. როსიტაშვილი თამაზა და შიო, კომლი ა, თავი ბ, ფური ა
ქ. როსებაშვილი ბერი და თევდორა, კომლი ა, თავი ბ, ფური ბ, ტ[ა]ნა ა
ქ. ბათუნაშვილი გიორგი და ივანე, კომლი ა, თავი ბ, ფური ა
ქ. მამასახლისი პატა, კომლი ა, თავი ა, ფურკამბეჩი ა
ქ. ზაქარასშვილი ნაცვალი ივანე, კომლი ა, თავი გ, ამისგან ერთი ფეჩი წამხდარია.
[აბაზი] ე ქ. ზაქარასშვილი დემეტრე, იასე, რამაზი, კომლი ა, თავი გ, ფური ა
ქ. ზითანაშვილი ოქროპირი და ლაზარე ხუცესი, კომლი ა, თავი ბ, ფური ა, ტ[ა]ნა ა
ქ. გუგული და ივანე, კომლი ა, თავი ბ
ქ. ბიძინაშვილი ბიძინა და თათარა, კომლი ა, თავი ბ
ქ. ფეტვიაშვილის ქვრივის ობოლი ბიჭი, კომლი ა, თავი ა, ფური ა, ტ[ა]ნა ა
[აბაზი] დ ქ. ხითარიძე პაატა და ივანე, კომლი ა, თავი ბ, ლარიბი
ქ. თამარასშვილი თამაზა, კომლი ა, თავი ა, ლარიბი
ქ. წისქვილი ა, სამს თვეს იმუშავებს, ამისა მალეჯათი აბაზი ე
ქ. იქნა გომური ჯამი: კომლი იბ, თავი კე, ამისგან ააღლა თავი იბ, აუსათი თავი იბ, ადნა თავი გ, წისქვილისა აბაზი ე, ფური ზ, ტ[ა]ნა გ, ზაკიანი ფურკამბეჩი ა

[აბაზი] ე მაღალაშვილების სასახლე ხარაბა დამწვარა
იქ მაღალაშვილი ერასტი, კომლი ა, თავი ბ
ქ. მაღალაშვილი სამ, კომლი ა, თავი გ, ბიჭი თავი ა
ქ. ამისი ყმა ბოგანო ა, ბიძინაშვილი მახარა, თავი ა
ქ. მაღალაშვილი მამუკა, კომლი ა, თავი ა, ფური ა
[აბაზი] დ ქ. მაღალაშვილი ზურაბ, კომლი ა, თავი ა, ღარიბი

ქ. კავთისხევს

მაღალაშვილის მამუკას საკომლო[1] ხარაბა, კელეპტრისშვილი ა
ქ. კიდევ მაღალაშვილების სოფელი ნიაბი
ნაბახტეველი სულხანა, კომლი ა, თავი ბ, ამასგან ა შვილი ათის წლის ავამტყოფი ყავს, ფური ა.
ქ. ზაქარაშვილი დათუნა, კომლი ა, თავი ა
ქ. თათარაშვილი გასპარა, კომლი ა, თავი ა
ქ. ხუციშვილი ბერუკა, კომლი ა, თავი ბ, ღარიბი
ქ. ამ ნიაბის მაზრა ჩოჩეთი ხარაბა, ნასოფლარი
ქ. იქნა ყამი წინარეხისა და ნიაბისა: კომლი კ, თავი იე, ამასგან აესათი თავი თ, ადნა თავი ვ, ფური ბ

ქ. სასხორის არის

[აბაზი] ვ გედევანისშვილი გაბრიელ სარდალი, კომლი ა, თავი გ, ცხენი ულაყი ა, ჭაკი ცხენი ა, ფური ბ, ზაქიანი კამბეჩი ბ
ქ. აქვე სასხორის გლეხი პაპიაშვილი გელია, კომლი ა, თავი ბ, ფური ა, ცხვარი ი
[აბაზი] ე ქ. გედევანიშვილი რევაზ, კომლი ა, თავი ა
ქ. კავთიაშვილი ბერუა, კომლი ა, თავი ბ, მშრალი ძროხა ა
ქ. ელიოზისშვილი ივანე, კომლი ა, თავი გ. ამასგან მამა, დიაღ, ბერი კაცი ყავს, აღარა შეუძლია რა, ცხენი ა, ფური ა

[1] საკომლოში.

[აბაზი] დ ქ. ელიოზიშვილი ლომკაცი, თავი ა
ქ. ირემაშვილი ბერუა, კომლი ა, თავი ბ
ქ. შოშიტასშვილი პაპუა, კომლი ა, თავი ბ
ლი ძროხა ა
ქ. [აქ]ვე ბეწვაშვილი სვანია უმამელო ბოგანო, თავი ა
ქ. შაქარაშვილი ქებაძე ბოგანო, თავი ა
ქ. ხიზ[ა]ნაშვილი გიორგა, კომლი ბ, თავი ა, ღორები
ქ. იქნა სასხორისის[1] ჯამი აზნაურიშვილი: კომლი გ, თავი ჩ, ცხენი გ, ფური და ზაქიანი კამბეჩი ვ; გლეხის კაცის ჯამი: კომლი ე, თავი იბ, ფური ა, მშრალი ძროხა ბ. ამისგან დადგა ალა თავი ე, აქსათი ვ, ადნა თ, წისქვილი ბუჭუელა ა.

ქ. ხეკორძს არის

[აბაზი] ვ აზნაურიშვილი: თაზიშვილი პატა, კომლი ა, თავი გ, ცხენი ბ, ზაქიანი კამბეჩი ა
ქ. თაზიაშვილი იოსებ, თავი ა
[აბაზი] დ ქ. ამისი იეთიმი ბიჭი ბერუა, თავი ა
ქ. თაზიშვილი პაპუა, თავი ა
ქ. პაპუას ბიჭი თამაზა, კომლი ა, თავი ა
[აბაზი] ე ქ. აქვე ხეკორძს გლეხი: ოთარაშვილი ბესალა, კომლი ა, თავი ა
ქ. ამბროსაშვილი აბრამა, კომლი ა, თავი ა, ტ[ა]ნა ა
ქ. ზაქარიძის შვილი დათუნა, კომლი ა, თავი ა, ფური ა
ქ. ხეკორძას აზნაურისა და გლეხის ჯამი იქნა: კომლი ვ, თავი ი, ცხენი ბ, ფური და კამბეჩი ბ, ტ[ა]ნა ძროხა ა. ამისგან დადგა ალა თავი დ, აქსათი გ, ადნა თავი გ. სომეხი ვ

ქ. არის ძეგვს

გლეხი: სურმელაშვილი დავითა, კომლი ა, თავი ე, ვირი ა, ცხვარი ქ, ღორი გ
ქ. ტერტერას შვილი აკოფა, კომლი ა, თავი გ, ფური ა, მშრალი ძროხა ა, ღორი გ, ცხვარი ლ
ქ. მეითარასშვილი ივანე, კომლი ა, თავი ა

---

1 სასხორისის.

ქ. კახიაშვილი ესტატე, კომლი ა, თავი გ, ფური ა, ვირი ა, თიქა[ნი] ე, ლორი ზ

ქ. ნიკოლაშვილი ბერუა, კომლი ა, თავი ბ, ზაჭანაშიაა. კამბეჩი ა

ქ. ალიხანაშვილი გიორგი, კომლი ა, თავი ბ, ცხვარი კ

ქ. როსტიაშვილი საწყლთრო, კომლი ა, თავი გ, ცხვარი ლ, ლორი დ გოჭი ივ

ქ. ჭამისაშვილი ბარნაბე ხუცესი, კომლი ა, თავი დ, ფური ბ, ზაქიანი ფურკამბეჩი ა, ცხვარი რი

[აბაზი] ე ქ. დვითაშვილი პაპა, კომლი ა, თავი გ, ფური ა, მშრალი ძროხა ა

ქ. ვარდიაშვილი გიორგი, კომლი ა, თავი ა

ქ. სულხანაშვილი ბერუკა, კომლი ა, თავი ა, ფური ა

[აბაზი] დ ქ. ბეგიაშვილი ზურაბა, თავი ა, ლარიბი

ქ. უმეკაშვილი აბრაჲა, კომლი ა, თავი ა

ქ. ხატისაშვილი ესტატე, კომლი ა, თავი გ

ქ. უჯერასშვილი პეტრია, ბოგ[ა]ნო, თავი ა

ქ. მირაშაშვილი ივანე ბოგ[ა]ნო, თავი ა

ქ. სულხ[ა]ნაშვილი ზაზუტა ბოგ[ა]ნო, თავი ა

ქ. მარქარასშვილი შერმაზანა ბოვანო, თავი ა

ქ. მეკოკისშვილი შავერდა, მეტეხს ნაცვალსა ყავს თავი ა ნასყიდი

ქ. კახიაშვილი ხუცესი ათანასე კომლი ა, თავი ა

ქ. კალატოზი აბრამა თავი ა, ლარიბი

ქ. ბუჭულა წისქვილი ა

ქ. იქნა ძეგური ჯამი: კომლი იგ, ბოგანო ც, თავი ჸ. ამასგან დადგა ააღა თავი კა, აუსათი თავი ვ, ადნა თავი იგ, ცხვარი სა, ფური და ზაქიანი ფურკამბეჩი[1] ზ, მშრალი ძროხა ბ, ლორი კთ, წისქვილი ბუჭულა ა, ვირი ბ.

ქ. არის ციხედიდს

[აბაზი] ვ აზნაურიშვილი: ზუმბულიძე ზაზილა, იმის[2] შვილი ქაიხოსრო, ძმისწული ნიკოლოზ, კომლი ა, თავი გ, ულაყი ცხენი ა, ფური ბ

---

[1] ფურკამბეჩი. [2] კმის.

ქ. მრგლიაშვილი რამაზი სუქესი ივანე, კომლი ა, თავი ბ, ფური ბ, ლორი და გოჭი თ

[აბაზი] დ ქ. ზაზილას მსახური იმედა, თავი ა

ქ. მეტრეველი გიორგი, ესეც მსახური, თავი ა

ქ. მახარაშვილი პეტრია, კომლი ა, თავი ბ

ქ. მრგლიაშვილი ხოსიტა, კომლი ა, თავი ბ

ქ. ხოსიაშვილი პეტრია თავი ა, მეტეხს ნაცვალსა ყოვს

ქ. პეტრიაშვილი ბოგანო, თავი ბ, ქალაქს არის აყრილი

ქ. ელეშელაშვილი ბერიძე, კომლი ა, თავი ბ

ქ. ნაირაშვილი დურგალი თანდილა, თავი ა, ღორები, ალიყული ბოგანო არის.

ქ. დარჩია, თავი ა, ხიზნად არის, ბოგანო.

[აბაზი] ე ქ. მრგლიაშვილი ელიბა კომლი ა, თავი ბ, ფური ა

ქ. პეტრიაშვილი გიორგი, კომლი ა, თავი ბ, ფური ა

[აბაზი] ვ ქ. იქნა ჯაში ციხედიდის ა: კომლი ვ, თავი კბ. ამისგან ალა დადგა თავი ვ, ალუათი თავი დ, ალხა თავი იგ, ცხენი ა, ფური ვ, ლორი თ.

ქ. არის მცხეთას

[აბაზი] დ აზნაურიშვილი: იღსაბაძე დავით და სამ, კომლი ა, თავი ბ

ქ. გლეხი: თათარაშვილი ხიზანა, კომლი ა, თავი ა, ღორები

ქ. ხახუტაშვილი ბერუა და დათა, უმამულო ბოგანო, თავი ბ, სალოხუციაა და მდივნის ყმა არის, შშრალი კამბეჩი ა, ლორი ა, გოჭი ბ

[აბაზი] ე ქ. დეკანოზის ნასყიდი ივანა და ზაზა, უმამულო ბოგანო, თავი ბ, ფური ა, ლორი გ, ვირი ა

ქ. ბაძინაშვილი გზირი მამუკა, თავი ა, ბოგანო

[აბაზი] ე ქ. სისოური, კომლი ა, თავი ა, ფური ა, წისქვილი ბუჭულა ა, ამისი მალუჯათი აბაზი ე

[აბაზი] ვ ქ. ჭვარელი კაცი ხიზანი ხეციშვილი თამაზა, ბერუა და გიორგი, თავი დ, ფური ა, ვირი ა, ცხვარი ო

ქ. იქნა მცხეთის ჯაში: კომლი გ, თავი იდ ბოგანი

ნოეზითა და ბიზნითა. ამისგან აილა თავი დ, ოესათ თავი გ, ადნა თავი ზ, მშრალი ძროხა ფური და კამბეჩი ც ცხვარი ო, ლორი ვ, წისქვილი ბუჭული ბ, ამისი მალულობით მინალთური გ, ვირი ა, ცხენი ა, დეკანოზსა და კანდელაკს გარდა.

ქ. არის კოდმ[ა]ნს

[აბაზი] ე ა ზ ნ ა ტ რ ი შ ვ ი ლ ი: მ გ ა ლ ო ბ ე ლ ი დ ა თ უ ნ ა. ამისი შვილი ოთარ და ირამ, კომლი ა, თავი გ. ულაყი ცხენი ა, მშრალი ძროხა ა

ქ. ზ უ მ ბ უ ლ ი ძ ე ბ ო ს ი ა, კომლი ა, თავი ბ, ვირი ა

ქ. ტ ა ტ უ ა შ ვ ი ლ ი დ ე მ ე ტ რ ა და ბ ე რ უ ა, კომლი ა, თავი ბ, ფური ა

ქ. ი მ ე რ ე ლ ი ი ვ ა ნ ე ბოგანო, თავი ა, ფური ა, ვირი ა, ლორი და გოჭი ფ

ქ. მ გ ა ლ ო ბ ე ლ ი შ ვ ი ლ ი დ ა თ უ ნ ა ბოგანო, თავი გ, ფური ა

[აბაზი] ვ ქ. ხ ა ტ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, კომლი ა, თავი გ. მშრალი ძროხა ა, ცხვარი ლ. მგალობლის ყმა არის.

[აბაზი] ე, დ ქ. ე გ ა ძ ე შ ი ო და ა დ ა მ, კომლი ა, თავი დ, ფური ა. ეს ოჯი ოესათში არის, ორი ადნაშია.

ქ. ბ ე ქ ა ნ ა შ ვ ი ლ ი პ ა პ ა უ ნ ა, თავი ა, დეკანოზის იეთიმი.

ქ. ი ქ ნ ა კ ო დ მ ა ნ ი ს ჯ ა მ ი ა ზ ნ ა ე რ ი და გ ლ ე ხ ი: კომლი ე, თავი ით. ამისგან დადგა აილა თავი გ, აესათი თავი იგ, ადნა თავი გ, ფური გ, ცხენი ა, ძროხა მშრალი გ, ვირი ბ, ლორი ფ.

ქ. წეროვნული არის

[აბაზი] ე კ ო ნ ი ა შ ვ ი ლ ი ბ ე რ უ ა, კომლი ა, თავი ბ, მშრალი ძროხა ა, ცხვარი ი

ქ. უ ჯ ე რ ა ს შ ვ ი ლ ი ი ა ს ე, კომლი ა, თავი ა, ვირი ა. ამისი ძმა ქალაქს გასულია.

ქ. ს ა გ უ დ ე ლ ი თ ე ნ ი ა შ ვ ი ლ ი თ ე დ ი ა, კომლი ა, თავი ა, ფური ა.

ქ. ს ა გ უ დ ე ლ ი კ ე ნ ე ლ ა უ რ ი გ ა მ ი ხ ა რ დ ი, კომლი ა, თავი ა, მშრალი კამბეჩი ა. გ ე დ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ს ყმა არის.

[აბაზი] დ ქ. კ ე ნ ე ლ ა უ რ ი თ ა მ ა ზ ა ბოგანო, თავი ა, ლორიბი.

ქ. გორივნელი დარჩია, კომლი ა, თავი ა, პერმეულ[ა]ყმა [ა]რის, დარიბი.

ქ. გიულისშვილი გელია, თავი ა, მეტეხს აცხოვრებს ნადარის.

ქ. იქნა წერილი და საგუდური ჯამი: კომლი ე, თავი ზ, ცხვარი ი, ვირი ა, ფური ა, მშრომელი კაცბეჩი ა. ამისგან დაცდება აუსათი თავი დ, აღნა თავი გ.

ქ. ერთ კალმად იქნა ჯამი კომლი რიზ, თავი იქნა უე. ამისგან აცლა იქნა რმ, ამაში სომეხი არის თავი თ.

ქ. აუსათი არის თავი რიგ, ამაში ურევია სომეხი თავი გ.

ქ. აღნა არის თავი რნგ, ამაში ურევია სომეხი გ. ამისი მალუჯათი იქნა თუმანი ჱ, მინალთუნი ზ, აბაზი ზ.

ქ. ფური, ფურკამბეჩი, ტანა და მშრომელი ძროხა თავი იქნა ჳწ, ამისი მალუჯათი იქნა თუმანი ა, ერთი აბაზ ნაკლებ.

ქ. ცხვარი არის თავი ულთ, ამისი მალუჯათი იქნა თუმანი ბ, მინალთუნიც ბ ერთ შ[ა]ურ ნაკლებ.

ქ. ღორი არის ოდ, ამისი მალუჯათი იქნა შაური ლზ.

ქ. ცხენი არის იბ, ამისი მალუჯათი აბაზი იბ.

ქ. ვირი არის დ, ამისი მალუჯათი აბაზი დ.

ქ. წისქვილი დ, სამ-სამ მინალთუნად, იქნება მინალთუნი იბ; კიდევ წისქვილი ვ, ამისი ოროლი მინალთუნი, იქნება მინალთუნი იბ; კიდევ წისქვილი ვ, ამისი თითო მინალთუნი, იქნება მინალთუნი ვ*.

271. [განწესება ნიკოლოზ კათალიკოზისა ათანასე თბილელისა და დავით ბერმელის საქმეზე]

[1741—1744 წწ.]

ქ. ჩუენ, კათალიკოზი ნიკოლოზ განვაწესებთ ქართონითა: მოვიდა კახეთით მღდელ-მონაზონი გაბრიელ და ტფილელის ათანასის ნებადართუით [მ]თაწმიდას წმიდის დაცთის საყოველსა დაემკვიდრა; და მუნვე მიიცვალა.

ამისა საჭოხელსი მოკილე ექმნა ბერმელ ეფისკოპოზი დავით, ვინათგან გაბრიელ კახი იყო და სამწყსო ჭეროვლისა იყო.

ამას ზედა დიდი შფოთი აღძრა. შევკრიბეთ ეფისკოპოზნი და ესე განვაჩინეთ და დავამტკიცეთ:

---

[1] ქთამი.

* აქ წყდება ტექსტი.

რადგან მონასტერი ესე თბილელისა იყო და მისის შენდობით დემკვიდრა, რაცა საჭონელი გაბრიელს დაშთომოდეს, ყოველივე მიბილელმა დაიურვოს და ვითაც ჯერ იყოს, მონასტერსა დაუნახოს და მისთა მკვიდრთა ჯრებულთა მან განუჩინოს; ჭერემელი ნეშცალა მოედაების.

და არა ხოლო ამას მონასტერსა განვაწესეთ ეარეთ, არამედ ყოველსა საჭართველოსა ეკლესიათა ზედა: რომელნიცა მონაზონნი, რომელსაცა მონასტერსა დემკვიდრნენ, რაცა საჭონელნი დაშთეს, მის მონასტრისა არის. სხუაჲ ნუ ვინმე მოწილე ექმნების.

და რომელმან ცვალნეს ესენი, შე-მცა-იცვალების მღდელთაერობისავან ავაზაკებად.

უფალო შეგვიწყალენ.

ხელთაგი: კათალიკოზი ნიკოლოზ ვამტკიცებ.

272. [პიროზის წიგნი გერგანე კათალიკოზისა მალაძია აბაშისადმი]

[1745 წ. (?)]

ქ. პირველად და თავად დაუსაბამოსა, დაუსრულებელისა, ძალგანუზომელისა, ძლიერება-მოუკლებელისა, წყალობა-აუოცხელისა, სიბრძე და სიღრმე გამოუკვლეველისა, ღმრთისა მამისა, ღმრთისა ძისა და ღმრთისა სულისა წმიდისა;

თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა ყოველად წმინდისა, უხრწნელისა, უფროსად კურთხეულისა დიდებულისა დედოფლისა ჩუენისა ღუთის-შობელისა. მარადის ქალწულისა მარიამისათა;

ძლიერებითა პატრონისნისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისათა. წმიდის დიდებულისა წინასწარმეტყუელისა, წინამორბედისა და ნათლის-მცემლისა იოანესითა და იოანე ქალწულ მახარებელისათა, წმინდათა უსხეულოთა ზეკისა ძალთა, ანგელოზთა და მთავარანგელოზთა მიქაელ და გაბრიელისათა და ყოველთა ზეკისა უსხეულოთათა, რანიცა წმინდანი ღმრთისანი დიდს მას და საუფლოსა სუინაქსარს შიგან სწერიან და ან დღე-ყოველ მოიხსენებიან;

ამათ ყოველთა თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა ესე ამოუარებელი, მტკიცე, შეუცვალებელი, უტყუარი, უბერხო, უმიზეზო პირობა და ცოდვისა და მადლისა წიგნი, მეორედ მოსვლის იესოს ქრისტეს წინა მისაღები და შენის ცოდვის მაგიერის პასუხის მისაცემი და შენი განსათავისუფლებელი წიგნი

და პირობა გიბოძეთ ჩვენ, ღმრთივ-ამაღლებულმა, ღმრთივდამფარებელმა კათალიკოზმან გერმანემ და წყალობილმა ძემან მერაბ. შენ, აბაშიძეს მალაქიას, და შენს შვილს ზურაბს და ბეჟანს და პაატას, ასე რომე:

შენს ძმასა და შენს შუა სამღვდოება იყო და მერმე გაირეცება მოინდომეთ და ჩვენი პირობა და იმედი ითხოვეთ.

ჩვენ ეს პირობა და იმედი მოგეცით, რომე: თუ შენ და შენი შვილები ლევანის და მისის შვილებისათვის ერთგული და სიკეთის მდომი იქნე და ყოვლის კაცისას მისი გერჩიოს, არც წახთენით, არც გაღირებებით, არას აქის საქმით შენ შენმა ძმამ ლევან და მისმა შვილმა არ მოგისდომონ, თუ ჩვენ არ გაგვიწყეს.

და შენ შვილებს ლევანისა და მისის შვილისაგან საფიქრო საქმე არა გქონდეს რა. რისაც მამულის მჭირავი იყო, არც იმას გაცილოთ, კიდეც მართლის გულით ქის მდომი შეიქნენ.

თუ ამაში გაგიმტყუნდენ, შენმაგიერი პასუხის გამცემი ღმერთთან მეორედ მოსვლას ჩვენ ვიყოთ, წენ უბრალო იყო.

ამისად გასათვებლად მოგვიცემია თავად ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანი, ზეცისანი და ქვეყანისანი, პორციელნი და უხორცონი.

კაცთაგან არის ამისი მოწამე:[1] წულეკიძე ხოსია, წულეკიძე გიგია, ჭიჭიასშვილი ტატუა, საყვარელიძე ბერი, მაჭავარიანი ბეჩუნა.

დაიწერა წიგნი ესე ქორონიკონს ქრისტეს აქეთ 1745(?).

ხელრთვა: კათალიკოზი გერმანე ✝

აქვსდი: მონა ღთისა სარდალი რაჭა-ლეჩხუმისა წულეკიძე მერაბ ჩემე.

273. [შეწირულების წიგნი ელენე მონაზვნისა ნიკოლოზ ალავერდელისადმი]

[1748 წ. მაისის ნახევარი]

ჭ. სახელითა სახიერისასა არსება დაუსაბამოსა ღმრთისათა მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა ესე უკუნისამდე ყამთა და ხანთა გასათვებული წიგნი მოგართმეთ თქვენ ბატონს ამბა ალავერდელს ნიკოლაოზს ჩვენ ჯავახისშვილის რთინის მეუღლემ მონაზონმა ელენემ.

---

[1] ქაღის.

ასრე, რომ: ჩემის ნასყიდის მუახლის ბუში ბიჭი ხუთის-თვისა მე გავზარდე, ექვსის წლის თქვენ ბატონს ალავერდელს მოვაბრძანე სიკუდილამდის თქვენთან იყოს. არავინ გეცილებოდესთ ასპა ტოხი, არა ყმა, არას ჩემს შვილს. შენთას ჭელი არა ქონდეს და არც ჩემის შვილების სახლის კაცებს, ცოცხალი და მკუდარი თქვენი იყოს.

ვინც ამაა თქვენ წამოგედაოსთ, რისხავს ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანი ზეციერნი და გვეყნიერნ[ი] და თქვენის წმიდის ეკლესიისაგან წყეული და შეჩვენებული იყოს.

ამრიგად ამის მოწამენი: წილკნელ მიტროპოლიტი ქრისტეფორე, სამეგრელი ეპისკოპოზი ათანე, წინამძღვარი ამბაკომ, დიდის წინამძღვარი სეიმონ, ჰერეთელი დანიელ, ხარჭაშნელი ზოსიმე. და მე მღუდელმონაზონს დოკუმენტის დამიწერია და მოწამეცა ვარ.

მაისის ნახევარს ქორონიკონს ულდ.

ხელითა: მე დამიწერინებია, ყაბულით მაქ ელიზაბედს.

ქ. ჩვენ, ტფილელ მიტროპოლიტი ათანასი ამის მოწამე ვართ. ხელით: ათანასი

ქ. ჩვენ, წილკნელი ამის მოწამე ვართ. ხელითა: ქრისტეფორე.

ქ. მე, დეკანოზის შვილი ოსე ამისი მოწამე ვარ. ხელით: ოსე.

ქ. ჩვენ მთავარეპისკოპოზი კირილე ამის მოწამე ვართ. ხელითა: კირილე

274. [ყვალობის წიგნი ანტონ I-ისა გერი ზურაბაშვილისადმი]

[1746 წ. 28 სექტემბერი]

ქ. ჩუენ, ყოვლისა საქართველოსა დიდმან მამათმთავარმან მეუფეთა შაირეანდედმან კათალიკოზ-პატრიარქმან, ძემან შეფისა იესესმან, ანტონიმ ესე უკუნისამდე ქამთა და ხანთა და დრო ცვალებადთა გამოსადეგი მტკიცე და უცვალებელი, სამკვიდრო და საბოლოვო წყალობის წიგნი და სიგელი შეგეწყალეთ და გიბოძეთ თქვენ ზურაბაშვილს გერს და ძმასა შენსა იოვანეს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისა ყოველთავე. ასე და ამა პირსა ზედან, რომე:

მამა თქვენი გიორგი ქამთა ვითარებისაგან ჭალაქს ჩამოსულიყო, ის რომ მომკუდარიყო, თქვენ ცოტა ობლები დარჩომოდით და ვალიც დაგდებოდათ,

აწე მოხვედით კარსა დარბაზ-პალატისა ჩვენისასა და წიგნებისა გაახლებასა და ვალის გარდაწყვეტას დაგვეჯენით. ვისმენდით და მოხსენება თქვენი, ვიყულვეთ და ვიგულსმოდგინეთ და ქელმეორედ განგიახლეთ წყალობის წიგნი: და ვალი, რაც რომ გვმართათ, ისიც ჩვენის ეკლესიის იარაღით გარდავიწყვიტეთ და გამოგიხსენით და ქალაქს დაგახახლეთ.

და ყოველთვის სვეტსცხოველს ნახევ[არ] ლიტრას სანთელსა და ორს სტაქს საკმელს მიართმეველდეთ. და რომელიც სხვა ჩვენი ყმანი გვემსახურებოდეს, თქვენც როგორ შეგეძლოსთ, ისე გვმსახურებდეთ.

სხვა არა გეთხოვებოდესთ რა არცა მეფეთა და დედოფალთაგან, არც უფლისწულთა და მთავართაგან, არცა მძლავრთაგან, არცა დიდთა და არცა მცირეთაგან.

აწე თქვენცა შემდგომად ჩუენსა ყოველად სანატრელნო კათალიკოზ-პატრიაქნო, თქვენცა ასევე დაუმტკიცეთ, რათა თქვენიცა გაგებული და გარიგებული ღმერთმან მტკიცე და უნაკლულო ყოს.

არიან ამისი მოწამენი და ნების დამრთველნი ერთობილნი მცხეთის შეიქნი.

აღიწერა ინდიქტიონსა კათალიკოზ-პატრიაქობისა ჩუენისასა ბ, ქრისტეს აქათ ჩღმვ, ქელითა კარისა ჩუენისა მდღელ-მდივან-მწიგნობარ-ქადაგ-მგალობელ მ ა ღ ა ლ ა ძ ი ს ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს ი თ ა, თვესა სექტემბერსა[1] კგ.

ხელთა: კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი

275. [წყალობის წიგნი ნიკოლოზ ალავერდელისა სულხანიშვილებისადმი]

[1695—1746 წწ.]

ქ. სახელითა დაესაბამოსა ღმრთისა მამისა, ძისა მზოლოდ შობილისა და სულისა ყოველად სახიერისათა; და შეამდგომელობითა ყოველად უხრწნელისა ღმრთისმშობელისა უფროსად კურთხეულისა ქალწულისა მარიამისითა; ყოველად პატიოსნისა და განმაცხოველებელისა ჯვარისათა; და თანა-შემწეობითა მოწამეთა შორის წარჩინებულისა მწნედ ახოვანისა მხედართ მთავრისა და ყოველთა უმეტეს ღვაწლ მრავლისა დიდებულისა გიორგი მთავარმოწამისა და ყოველთა წმიდათა;

---

[1] სექტემბერსა.

ესე მტკიცე და შეუცვალებელი საუკუნოდ გასათავებელ წყალობა და საფიცარი გიბოძეთ ჩვენ, ღმრთისა მიერ კურთხეულმან მან და მის მიერითა წყალობით ამაღლებულმან და ყოველ წამეთა ზედა მთავრად დადგინებულისა, მჭნეთა შორის უზენთაესისა დიდებულისა გიორგისა ტაძრისა მპყრობელად ჩანებულმან და ზეცისძეტებულთა ხარისხთა ზედა მჯდომელმა და მნედ მისდა დადგინებულმან, დაბეთა და აგარაკთა მისთა ყოველთა განმგემან ჩოლაყაშვილმა ამბა ალავერდელმან ნიკოლაოზ შენ, ყოველთა ალავერდელთა და უმეტეს ჩვენსა თავდადებით ნამსახურსა და წმიდის გიორგის ტაძრის განძლიერებისათვის თავგარდადებულთ სენხანისშვილებს ჭუანას, სალთხუცესს ზარაბის, გიორგის და პაატას შვილთა და მომავალთა თქუენთა.

ოდეს ჟამთა ვითარებისაგან კაბეთი ლეკთ დაიპყრეს, ჩვენ ქსნის ჯევზე ქსნის ერისთავის მამულში დავიხიზნეთ და შენ, სალთხუცესი ზარაბი თან გარდმომყევ და ვითაც ჩვეულება გაქვსდა კუალად უმეტეს შრომით და ერთგულებით გვემსახურე. და სხვა ძმები წმიდის გიორგის ტაძარს არ მოშორდით და მის პატრონის ტაძრის შეურყევლობისათვის ომს წინ იღუწოდით და უშჯულოთაგან მრავალი განსაცდელი მოითმინეთ.

აწე ჟამსა მას მოხვედით და დაგვეჯუნით. ვისმინეთ ჩვენცა ჯა თქუენი და ამათ სარჯელთა ნაცვლად გიბოძეთ გამუხტიშვილი ხუცესი და მისი განაყოფი დათუნა ჭელშეუვალად მათის მამულითა, ვენაჭითა, საკნავითა, სათესითა, შესავალ-გასავალითა ან რაც ჩაბინაობაში ჰქონდეს და ან სხვა, ყოვლის მისის სამართლიანის სამზღვრითა.

მოგეცესთ და დაგიმტკიცესთ ღმერთმან წმიდის გიორგის ერთგულობაში და ჩვენს სამსახურში. არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა სხვათა ალავერდელთაგან.

აწე ვინცა და რამანც ადამის მონათესავემ ჭეშწიფემ, გინა თუ ალავერდელმა, ანუ თუ სხვამან ვინმე ესე ჩვენი წყალობა და საფიცარი მოგიშალოს, ისიმც შეიცვალება თავისის კეთილის ცხოვრებისაგან და მასმცა რისხვა დაესადმო, დაესრულებელი ღმერთი და მისი უბრწყინველად შობელი მარიამ, ღვაწლით შემოსილი დიდებული მთავარმოწამე გიორგი და ყოველნი წმიდანი, ამენ.

ამისი დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხოს ორსავე შინა ცხოვრებასა.

ვითაც გმართებსთ, ისევე ჩემს კეშწიფეზე და მათს პატიოსან სასაფლაოზე ერთგულად მოსამსახურე და კარგად დარჩომილიყო ზართ. ჩვენცა ამისთვის გიყავით ეს წყალობა ჩვენის კეშწიფისაც ბძანებით.

ხელრთვა: ალავერდელი ნიკოლოზ

276. [წიგნი ანტონ I-ისა ქიზლარის სიმაგრის კამენდატისადმი დედის გამოსტუმრების შესახებ]

[1747 წ. 3 მაისი]

ქ. იესო ქრისტეს მონა, უფალი ანტონი კათალიკოზი ყოველთა ქართველთა და პატრიაქი ჯამეუფოსი ქალაქისა, ახალისა იერუსალიმისა მცხეთისა და წმიდისა საერთაშორისო ბრწყინვალისა ეკლესიისა, მოგიწერ უფლისა მიერ საყვარელო, ბრწყინვალე კნიაზო და ყიზლარის სიმაგრის კამენდატო! მრავალი მოკითხვა და ჩვენ მიერი ლოცვა-კურთხევა და მშვიდობა მოგეახსენებია.

მერე ბატონს დედაჩემს დედოფალთან კაცნი გავგზავნეთ და დავიბარეთ. თუ წამოსულიყოს და მოვიდეს ან აქეთ წამოსვლა მოინდომოს, ჯელი მოუწართეთ და გამოისტუმრეთ.

და თუ მოიცადოს და თვალი და ყური გეჭიროსთ, სანამდინ აქედამ ანბავს შეიტყობდეს. და რასაც მაგათზე თვალსა და ყურს დაიჭერთ და გაიგებთ, ჩვენც თქვენი მლოცველი ვიქნებით.

მაისს 3. ქრისტეს აქათ ჩლმზ. 1747

ბეჭდვა: კათალიკოზი

277. [წყალობის წიგნი ანტონ I-ისა გედევანიშვილებისადმი]

[1747 წ.]

ჩუენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ მინდობითა დიდგარულმან ძირმოდგმობით დავითიან, სოლომონიან, მარიაანდიან, პაწკრატოვანთა რტოთაგან აღმოცენებულმან, ჩუენ, ყოვლის საქართველოსა და აღმოსავლეთისა მაკურთხეველმან, კათალიკოზ-პატრიარქმან, ძემან მეფის იესესმან, ანტონიმ, ესე უკუნისამდე ჟამთა და დროთა გასათავებელი წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და ეაბრძეთ თქუენ სვეტის-ცხოველისა ღმთა და ჩუენსა შემკვიდრეს და ერთგულობით და თავდადებით ნამსახურთ გედევანიშვილს პეტრეს, ერასტის, ძმისწულსა შენსა

გიორგის, გედევანს და ივანეს და მთავალთა სახლსა თქვენისა ყოველთავე.

ასე, რომე: მაღალა შვილს ფირანს თავისი ბაძაშვილი მოეკლა და ნიკოლოზს კათალიკოზს იმისთვის ყმა და მამული წაერთმია საუკუნოდ.

მერეთ მოხვედით ჩვენს კარს და წყალობას დაგვეჯენით, ვისმინეთ ჭა და მოკსენება თქვენი და მოგიბოძეთ დისევის მოურაობა ყოველის კაცის მოუდევრად, უცილებლად და წამოსარჩელოდ. რაც სიგელი ამას იქით გამოჩნდეს, ამა სიგელმა ვაამტყუნოს.

გქონდეს და გიბეჭდნიეროს ღმერთმან საყდრის სამსახურსა და ჩვენსა ცრთგულობასა შინა და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არცა სხვათა კათალიკოზთა და მეპატრონეთაგან.

ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი აკურთხნეს ღმერთმან და მადლი კათოლიკე ეკლესიისა იყვენ მის ზედა; არამედ თქვენ ყოველად წამიდანო და სანატრელსა კათალიკოზ-პატრიარქსა, რომელნიცა ჩუენსა შემდგომად იქნებოდეთ, თქვენცა აგრეთვე დამტკიცეთ; და ნუმცა ვინ არს მშლელ ამისდა. რათა ღმერთმან თქვენიცა გაგებული ყოველივე მტკიცედ ყოს.

არიან ამისი მოწამენი და ნების დამრთველნი და შეა დამსდერნი ერთობილნი მცხეთის შეღნი.

დაიწერა ინდიკტიონსა პატრიარქობისა ჩვენისასა დ, ქრისტეს განხორციელებითგან ჩლმზ, კელთა მხატვრის ჯელოვნის გრიგოლისძის აღწერისათა.

ქორონიკონს ულე.

ხელთა: კათალიკოზ-პატრიარქი ანტონი დამტკიცებ ნებათა ღმრთისათა.

მარცხენა კიდეზე:

ქ. ჩვენ, საქართველოს კათალიკოზ-პატრიარხი იოსებ დამტკიცებთ სიგელსა ამას.

ხელთა: კათალიკოზი

278. [განწესება დიდოს მონასტრის მამულების საზღვრებისა]

[1747 წ.]

ქ. დიდოს მონასტრის მამული — სახნავი მიწა:

ქ. ბერა ნაცხვრევში: თავს ხუცის შვილის საქცევამდი, ბოლოს შათირის შვილის საქცევი; აღმოსავლეთის

მჭარე გრიგოლაშვილის სამძღვარი, დასავლეთის მჭარე გრიგოლაშვილის სამძღვარი.

ქ. კიდევ ბერია ნაცხვარევში: თავს გზამდი, ბოლოს გზამდი. აღმოსავლეთის მჭარე ყაზარაშვილის მიჯნა, დასავლეთის მჭარე გრიგოლაშვილის მიჯნა.

ქ. დიდოს მონასტრის ხოდაბუნი: თავს ქვლივიძის დახატის მიჯნამდი, ბოლოს ქურხულის და აზარიაშვილის მიჯნამდი. აღმოსავლეთის მჭარე ჭევამდი, დასავლეთის მჭარე შარამდი.

ქ. დიდოს მონასტრის ხოდაბუნი ლაბრიანში: თავს ჭიაბერაშვილის საქცევამდი, ბოლოს ხრამამდი, აღმოსავლეთის მჭარე ღელემდი, დასავლეთის მჭარე გრიგოლაშვილის მიჯნამდი.

ქ. კიდევ ხოდაბუნი გაუგონარი: თავს გზამდი, ბოლოს ქურხულის საქცევამდი, აღმოსავლეთის მჭარე - აზარიაშვილის მიჯნამდი, დასავლეთის მჭარე ოტიაშვილის მიჯნა.

ქ. ქვიანის ბოლოს მიწა: თავს შარამდი, ბოლოს კუჭუაშვილის მიჯნამდი, აღმოსავლეთის მჭარეს გზამდი, დასავლეთის მჭარე გილაშვილის მიჯნამდი.

ქ. კიდევ ქვიანში მიწა: თავს შარამდი, ბოლოს კუჭუაშვილის მიჯნამდი, აღმოსავლეთის მჭარეს ქურდაშვილის გვერდზედ ჭევამდი, დასავლეთის მჭარესაც ღელემდი.

ქ. დიდოს ზვრის ბოლოს სახნავი მიწა, თავს ზვრის ბოლოს რომ გზა გარდიველის, იქიდამ შუაზედ რომ გარდივარდმო გზა გაივლის, ზევით და ქვევით ორივე მონასტრისა არის, აღმოსავლეთის მჭარეს ამავ მონასტრის ჭალაზედ რომ გზა ჩაივლის, დასავლეთის მჭარეს ღელემდი, შარას იქით.

ქ. მონასტრის მიწა: პანგელაშვილის ვენაქის ბოლოს რომ გზა გაივლის, გზას ქვევით თავს გზამდი, ბოლოსაც გზამდი. აღმოსავლეთის მჭარეს ქაიხოსროშვილის მიჯნამდი, დასავლეთის მჭარეს გზამდი.

ქ. კიდევ დიდოს მონასტრის მიწა: თავს გილაშვილის მიჯნამდი, ბოლოსაც გილაშვილის მიჯნამდი, დასავლეთის მჭარეს ბუზარიაშვილის მიჯნამდი, აღმოსავლეთის მჭარე კუჭუაშვილის მიჯნამდი.

ქორონიკონს უკლე. ბეჭდი: თომა

279. [წყალობის წიგნი ანტონ I-ისა სახლთუხუცეს გიორგისადმი]

[1745 წ. 10 ივნისი]

ქ. ჩვენ, ღმრთისა მიერ ლობითა დაფარულმან ძირმოდგმობით დავითიან-სოლომონიან-შარავანდიან პანკრატოვანთა რტოთაგან აღმოცენებულმან, ყოველისა საქართველოსა და აღმოსავლეთისა მაკურთხეველმან კათალიკოზ-პატრიარქმან, ძემან მეფის ეესესმან, ანტონიმ ესე უკუნისამდე ყამთა და დროთა განსაოვებელი წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და გიბოძეთ თქუენ სვეტის ცხოვლისა და ჩვენს მემკვიდრეს ყმათა და ერდგულობით ნამსახურთ სახლთხუცესს გიორგის, ძმასა შენსა დიმიტრის და იოანეს, შვილთა თქუენთა გაბრიელს, ამილბარს, რევაზს და დავითს და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთაებე.

ასე, რომე: თქუენი ბიძაშვილი ზურაბ ამოწყუეტილიყო ყოველთუერთ მათის სახლობით და არა დარჩომოდა რა და უმკუიდროა ქმნილ იყო. მოხვედით კარსა დარბაზისა ჩუენისასა და თქუენის ბიძასშვილის ზურაბის ამოწყუეტილის მამულს დაგვეპყენით.

ვისმინეთ ესე და მოხსენება თქუენი და გიბოძეთ მისი წილი მამული, რაც იმას თქუენგან ბარათში გაყოლოდეს და წილი სდებოდეს რასაც ალაგს: მთას თუ ბარს, ველმა თუ გამოლმა, სახლკარითა, ბაღითა, ქუევრ-მარნითა, საცაფლეთითა, ზერითა, სოდაბუნითა, წყლითა, წისქვილითა, საწყლისპირითა, ნასყიდითა და უსყიდითა თავისის წილის ვლეხითა და საქელოთა, რაც სარიდანს და მის შვილს ზურაბს ყმა და საქელო რეგებოდეს რასაც ალაგს, ყოველის ზედისაგან სულ ქელშეუალათ და ყოველის კაცის უცილებლად და ყოველის შენის ნათესავის წამოესარჩლელად გვიბოძებია.

[გ]ჰქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან სვეტის ცხოვლისა და ჩვენს ერთგულად სამსახურსა შინა. არაოდეს არ მოგეშალოს არ ჩვენგან და არცა სხვათა კათალიკოზთა და მეპატრონეთაგან.

ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხნეს.

არიან ამისნი ნების დამრთველნი და მოწამენი: სულ ჭელერთპირ მცხეთელნი, სარდალი გაბრიელ, მთლარეთხუცესი პაატა, სვეტისცხოველის დეკანოზი იოანე, სუფრაჯი თაზიშვილი პაატა, მისი ძმა მგალობელი იოსებ, ბოქოულთხუცესი ერასტი, მესტუმრე ქარსიძე გიორგი და სულ მცხეთელნი.

არამედ თქვენ ყოველად წმიდანო და სანატრელნო კათოლიკენო პატრიარქნო, რომელნიც ჩვენსა შემდგომად იქნებოდეთ, თქვენცა ადრევე დაემტკიცეთ, და ნუმცა ვინ არს მშლელ ამისად, რათა დამტკიცებაჲ თქვენიცა გაგებული მტკიცედ ყოს.

უკეთუ უწესო და უმართებული ყოფილიყო, არც ჩვენ მკადრე ვიქნებოდით საქმისა უწესოსა.

დაიწერა ბძანება და ნიშანი ესე თვესა ივნისს ი, ინდიკტიონსა პატრიაქობისა ჩვენისასა დ, ქრიატეს განკორციელებითგან ჩლმზ. ჰელითა ჴელოანის გრიგოლ მღდლის მხატვრის ძის დეკანოზის ალექსიათა.

ქორონიკონს ფლვ.

ხელთაგე: კათალიკოზ-პატრიარქი ანტონი გამტკიცებ წებითა ღმრთისათა.

280. [ქანონნი 1748 წლის საეკლესიო კრებისა]

[1] სათნოყოფითა ღმრთისა ყოველთა მბადისათაჲ[1] იქველგულსმოდგინა რტომან დავითისამან, ღმრთივ-ცხებულის თეიმურაზ მეფის ძემან ირაკლი პანკრატიონმან, კახთა მეფემან, ვაჟმგებელმან ქართლისამან, ხოლო თჳთ ვიდრემე ღმრთითა პინაქსულ სჯულებთა მართლ-მეცხარემან აღახუნა ვინების ცის ნათლის ბჭენი და წადიერების ღრუბლითა შემოკრიბნა მწყემსნი სიტყჳერთა კრაეთანი მტკიცესა შინა ქალაქსა ტფილისისაჲ, სალმრთოთა[2] სამსჯულმმართებელოსა პალატსა შინა, ყოველთა თხემისა სამოციქულოს ეკლესიისათა, თან-თნებო-ზრახვა-ჭურ-ჩინებითა ყოველად სანატრელსა, თჳთ მისვე სადავითოს სჭესითისა მეფის ძის ანტონი პატრიარქისათა, სრულიად საქართველოს მსაჯულველისათაჲ, რომელთა საეკუნომცა არიან კურთხეულნი;

ვინადგან პირველ ამათსა წარმართნი მეფენი ფლობდეს ქართველთა, რანთა, კახთა და ყოველ[V]ითად ერსა ღმრთისასა და ქრისტეს ცხოვართა არა ავლენდეს წრფელად მწყანვილეობანსა, არამედ აძოვებდეს ეკალთა და კუროსთავთა ზედა; და ამათ მიზეზთა მიერ ნათლად სჯა და სჯულს-ხედვა მიფარულ იყო და უმეცრებითა წერილისათა ვანრყუნილ იყო და დაკსინებულ კანუნი და წესი ეკლესიისაჲ.

მაშინ ღმთის მსახურმან მეფემან, ყოვლად სანატრელმან პატ-

---

[1] მდაბისათაჲ. [2] სამღთოთა.

რიაქმან, წმიდათა მიტროპოლიტთა, არქიეპისკოპოსთა, არქიმანდრიტთა და მღდელთა სულისა მკურნალებითა, მიიღეს პირველ[ვ]ი მტკიცე ბრძანებაჲ წმიდის სახარებისა და სამოციქულოს აწცნობილისაჲ და წმიდათა შვიდთა მსოფლიოთა კრებათა, და წამებითა მათითა აღავსეს ნაკლულევანება ეკლესიისა. დაამტკიცნეს და დაწერეს კანონი ესე კზ თავ-თავეობანად, თვესა ნოემბერსა იგ, დღესა კეირიაკესა, ქრისტეს აქეთ ათას შჯდას ორმოცდარვაჲ:

[2] 1.* უფლის ქრისტეს სძალსა, ეკლესიის შინა წმიდა ტრაპეზსა ზედა, თუნიერ სახარებისა, სამკვეთლოსა, ოდიკისა და ჯვარის, ნურავინ ქელ-ყოფს[1] ქამის-წირვად.

2. იტყვის წმიდა ესე ღმრთივ კრება, რათა აქუნდეს საკურთხეველსა კანკელს, სამნი კარნი: სამშუალ, იმერ და ამიერ, რომელ-ესე ფრიად ჯერ-არს. და კუალად სიმცირის და იწროებისათჳს ეკლესიისა, ორნი ოდენ ქმნან კარნი. ხოლო ერთისა კარისა ქმნას ნურავინ იკადრებს, რამეთუ უჯერო არს და უშვერ საქმე ესე. ხოლო კანკელი შეძლებისაებრ, რომლისაცა რისმე ქმნან ნივთისაჲ.

3. ოდეს იქმნეს ქამთაგან დაძველებული და დაგლეჯილი წმიდაჲ ოდიკი, გიხა დამწყვარი ცეცხლითა სამშუალ ანუ კერძო მისი, ვინა გარდაუფარებლად და შიშვლად იყოს წმიდაჲ ტრაპეზი[2], ამათ მიზეზთა მიერ წმიდაჲ მსხვერპლის შეწირვა დაგვყენებია.

4. ამა კრებისა შემდგომად ვამცნებთ ყოველთა მართლმ[v]ორწმუნეთა ქრისტიანეთა: უკუეთუ ვინმე ინებონ გულსმოდგინებით აღშენება ღმრთისა ეკლესიისა, ჯერ-არს მათდა, რათა წმიდაჲ ტრაპეზი საკურთხეველს სამშუალს ზედა დაიდუქნონ, რათა გარე შემოუვლიდენ მღდელნი, ხოლო კედელსა ზედა აღკრვა წმიდის ტრაპეზისა უჯერო არს და ნურავინ იკადრებს.

5. ვამცნებთ ეპისკოპოსთა სატყუერთა ცხოვართასა, რათა უმეცარნი წერილისანი სადიაკონონი და სამღდელონი, რომელთა არა უწყოდენ წაკითხვა კეთილად წმიდისა სახარებისა, სამოციქულოს ეპისტოლისა, კურთხევნისა და კონდაკისა, არა მიიღონ მათ ზედა კურთხევა და ნიჭი სულისა წმიდისა, რომელ-ესე სრულიად განგვიგდიეს, რამეთუ ვითარ ეგების უმეცართაგან მსახურება წმიდისა ტრაპეზისაჲ.

6. ვამსა წმიდისა ქამის-წირვისასა, უკეთუ ოდენ არა აქუნდეს მღდელსა სანთელი აღსანთებელად და საკმეველი კმევად, ნუ იკადრებენ წირვად, არამედ დაეცადოს.

---

[1] გულ ყოფად. [2] +ანუ.
* ჩელნაწერში ტექსტი მუხლებად დაყოფილი არ არის.

[8] 7. უკეთუ ოდენ იპოვნენ მღდელნი ეკლესიისანი, საეკ-
ეკლოთა მოკლითა სამოსლითა მოსილნი აღკვართულად, განიწმენდონ-
ნენ ეპისკოპოსისაგან, რამეთუ ფრიად უშვრება არს მაძლავრებ-
ღირს არიან კიცხეულისა.

8. ქალაქთა შინა, გინა სოფელთა შინა, ანუ სიმრავლესა შინა ერისასა უკეთუ ოდენ იპოვნენ მღდელნი სამჭედროთა საჭურველთა აღჭურვილნი, ვამცნებთ უშვერებათა მათთა: ანუ დადგან საჭურველი და ძახჭლი მათი. და უკეთუ კუალა არა ისმინონ, გარდაეყენენ მღდელობისაგან.

9. ვამცნებთ მონაზონთა მეცხოლოეთა: უკეთუ თვინიერ ნებისა და შენდობისა თჳსის მამის და წინამძღვრისა, გამოვიდეს მონასტრით, ყოველადვე ნურავინ შეიწყნარებს მას, არამედ განაძონ, ვითარცა ურჩი ჭეშმარიტისა კანონისაჲ და მორჩილების დამწიხნელი.

[V] 10. ხუცეს-მონაზონსა, რომელსა არა რწმუნებულ იყოს წინამძღრობა საწინამძღროსა ეკლესი[ი]სა, ჯერ-არს მისა, რაჲთა ანუ თანა-ყვებოდეს ეპისკოპოს[ს]ა, ანუ იყოს მონასტერსა შინა ძმათა თანა. ხოლო უკეთუ არა, და იქცეოდეს ერისკაცთა თანა, გინა მამულსა და სახლსა შინა იყოფებოდეს, ესევითარისა მის ქცევა უწესო არს და განგებულ. და ნულარა იკადრებს.

11. ვამცნებთ მღდელთა ეკლესიისათა: უკეთუ ინებონ მოძღვრებად ერისა ანუ აღსარების შეწყნარებად სიტყუვართა საშჯოსთა, [ჯერ-არს], რაჲთა პირველად მიიღონ ბრძანება და შენდობა თჳისის ეპისკოპოსისაგან, და უკეთუ კუალა არა მიიღონ შენდობა და ბრძანება ეპისკოპოსისა, ნუ ოდეს იკადრებენ მოძღვრებად ერისა, რამეთუ უწესო არის.

12. უკეთუ ოდესმე მივიდეს სამღდელოთაგანი სხჳსა ეპისკოპოსისა საკრებულოსა შინა, თჳნიერ თანა-ჯერ-ნიშნებისა და შენდობისა მის [4] ეპისკოპოსისა, ნუ იკადრებს ქამია-წირვად, გინა სამღდელოსა საიდუმლოსა აღსრულებად. ხოლო ესეცა ჯერ-არს მისა, რაჲთა თჳსისაცა ეპისკოპოსისა შენდობის წიგნი აქუნდეს; ეგრეთვე ხუცეს-მონაზონ[ნ]იცა ყოფდეს ამას.

13. ამასცა კანონს ვამცნებთ მღდელთა: რომელთა ენებოსთ უსისხლოს მსხჳერპლის შეწირვა, რაჲთა მიიღონ საკურთხეველად სეფისკჳერნი ხუთნი რჩეულისა ოფლისანი. და უკეთუ არ აქუნდეს, ოშვიათად სადმე სამნი მიიღონ, და ამათს კიდე ნამეტნავსა და ნაკლებსა ზედა ნუ იკადრებენ ქამის-წირვად.

14. ხუცესნი და ყოვლობა სამართლმადიდებლოსა ქრისტეანო-

მისა გითარცა უყოფდეს პატივსა წმიდასა ტრაპეზსა, ეგრეთვე მსგავსად პატივსცემდენ წმიდასა ეპისკოპოსსა.

15. უკეთუ ვიეთსმე მღდელნი ბრალსა, გინა რისათვსმე ხისა მღდელობისაგან დაყე[ს]ნებულ იყვნენ, ნურვინ იკადრებს ეპისკოპოსთაგანი მიცემად მისა სამღდელოსა ოლარისა, რამეთუ არცა ერთი რომელიმე საიდუმლო არა აღესრულების მის მიერ, არამედ სრულიად დაყენებულ არს.

16. რომელსაცა ვისმე მღდელთაგანსა ეკლესია ქრისტესი არწმუნებდეს, მაკურთხეველისაგან არა ჯერ-არს მისი, თუნიერ დიდისა ჭირისა, რათა დააკლოს რაიმე საეკლესიო წესის აღსრულება ლოცვისა და წმიდაჲ ქამის-წირვისაჲ.

17. უკეთუ კუალა სადმე გამოჩნდეს სამრე[ვ]ლოსა შინა ეპისკოპოსისაგან კერპთა მიერ მოპოვნებული საქმე ჯრძნებაჲ, მექმეობა, გინა ბეჭის-მხედველობა, ანუ თაყვანის-ცემა ხისა, გინა სხვის ნივთისა, მიუმცნებთ ეპისკოპოსთა, რათა თვითოეულმან თჳსსა სამწყსოსა შინა სრულიად აღმოაგდონ და განმარგლონ საქმე ესე.

18. ქრისტეს სძლისა და დედოფლის ეკლესიასა შინა არა წესარს[1] კანონ ნოადგობათა და [ს] ტაბლათა მიღება, გინა შინაგან დამარხვა ხილისა, და ნოადგობათა ნივთისა, და ჰამა მას შინა, რამეთუ სახლი არის სალოცველი ღმრთისაჲ.

19. ეპისკოპოსი და უფროსად მღდელნი განეკრძალნენ, რათა წმიდასა შინა კჳრიაკესა, ანუ საუფლოსა დღესასწაულსა არა დააკლდენ[2] ერნი მისნი ლოცვისა და წმიდისა ქამისა წირვისა მოსმენად, რამეთუ ყოვლად თანამდებ არიან მისლვად.

20. ვამცნებთ ეპისკოპოსთა, მღდელთა და ეკლესი[ი]ს მოურხეთა, რათა განეკრძალნენ[3] [შ]ჯულთა ღმრთისა და არა შერიონ ნათესაობა უწესოთა ქორწინებითა, არამედ ესრეთ ყოფდენ: იყოვნ დასაბამ პირველ მამა და მისგან რაჲ გამოეკვეთნენ ოთხნი ერთ კერძო და კუალად ოთხნი ერთ კერძო; ხოლო ეს იქმს, თუნიერ დასაბამისა მის, რიცხვსა რვასა და სრულ იქმნეს რაჲ ორსავე კერძოსა რიცხვი რვა, — მეხუთე ერთ კერძოსა და მეხუთე მეორისა კერძოსა — ესე მ[ე]ხუთენი შეიუღლიან ურთიერთას. და ამა მეხუთეთა ნაკლებს არავის გაუჩინებთ ქმნად ქორწინებისაჲ.

21. განვაკრძალებთ ზოგად ყოველთა მართლმადიდებელთა ქრისტეანეთა, რათა არავინ მიიყვანოს ცოლად, უწესოთა ქორწინე-

---

[1] + და. [2] დააკლდენენ. [3] განკრძალენენ.

ბითა, დედაკაცი განტევებული ქმრისაგან, რამეთუ ცხადად მტკიცებისა ბრალსა შინა შთაეფლების, ვითარცა მოგვიღებიეს წმიდისაგან სახარებისა ქრისტეს ნათქვამი სულმთა ბრძანება, ვითარმეცა: «ვინ მველმან განტევებული შეირთოს, მანცა იმრუშოს»:* და ამას თანა ეწამებიან სამოციქულონიცა კანონი და ერთჴმობით წმიდანი შჯანი მსოფლიონი კრებანი და უფროსღა დიდი ბასილი.

ამისთჳს ჩვენცა ერთჴმობით თანა-მოუჴმაებთ და დავამტკიცებთ თქმულსა მათსა, რათა რომელთაცა ესმნენ უშჯულოდ შეყოფილნი, ქმრისაგან განტევებულნი, მეძრუნენი დედაკაცნი, მყის დაიჭრნას და დაირღჳოს უწესო და უშჯულო ჴორწინება მათი, და ამიერიდგან [6] არავის ჴელ-ეწიფოს ქმნად ესევითარისა ცოდვილის ბჭობისა, ხოლო ესევითარნი მეძრუნეთა თანა გარდაესებიან (sic) კანონსა და უძჳრესსაცა, რამეთუ ცხად არს ბრალი ცოდვისა მათისა.

22. ხოლო უკეთუ ესებოს ესმე ჴორწინება წიგნის მკითხველსა მგალობელსა [და] აღსლვა ხარისხსა მღდელობისასა, პირველ კერძო დიაკონად კუთხევისა მიიყვანოს ცოლად ქალწული, ვითარ ათორმეტისა წლისა, გინა ათსამეტისა და ჴორწინებას ზიარებითა აკურთხოს მღდელმან შეერთჴორცება მათი, და შემდგომად შეერთებასა აღვიდეს ხარისხსა[1] კერძო დიაკონობისასა, და მერმე მღდელობისასა.

ხოლო უკეთუ არა ყონ ესრეთ, არამედ იქორწინონ ქალისა თანა უპასკოსა, გინა ჩჩჳლისა, და ჴელთდასხმულ აქმნენ დიაკვნად და ხუცად და მაშინღა გახრწნან ცოლნი მათნი, რომელ-ესე სრულიად უჯულისჴმოებისა საქმე არს და განსაგდებელ და დაყენებულ ჩვენ ყოველთა მიერ.

[V] **23.** მეოთხეს და მეხუთეს, გინა უწესოსა მრავალ ჴორწინებას სრულიად აღუხურას და განაძგებს ეკლესი[ი]თ მსოფლიო ესე ღმრთივ კრება.

24. ესეცა დაყენებულ არს ჩვენ ყოველთა მიერ, რათა ამიერიდგან არღარა ექორწინოს მართლმადიდებელი კაცი მწვალებელსა, გინა სხვა საწუთოებისასა დედაკაცსა, გინა მართლმადიდებელი დედაკაცი მწვალებელს მამაკაცს, რამეთუ არა ჴერ-არს ერთისა ბაკსა შინა სლვა ცხვრისა და მგლისაჲ.

25. ნუ ოდეს ნუცა აღიჭმენ შვილსა მწვალებელთასა ნათლისღებისა მიერ მართლმადიდებელნი, და ნუცა სჳინად დაიყენებენ მწვალებელსა მართლმორწმუნენი.

---

[1] ხარისხსა.

* Matt. 5,32; 19,9.

უკეთუ კელა არა თავს იდვან ესრეთ, წმიდისა ზიარებისაგან განიყენებიან, არა ნათლად სლვისა შემწყნარებელნი იგი.

26. ამასცა ვიკადრებთ ღმთისმსახურებისა თქვენისათვს: ითილმორწმუნენი მეფენო: რათა საეპისკოპოსონი ეკლესიათა აგარაკნი და დ[ა][7]ბანი, ანუ სა[ა]რქიმანდრიტოთა და წინამძღვართა მონასტერთანი ერისკაცთა არ ჰელ-ეწიფებოდეს დამძლავრებად, მამულად თვსად მიტაცება და დამკვდრება. ამას წმიდაჲ ესე კრება რჯულ-გიდებთ, გეეედრებით[1] და გამცნებთ ესეეითარისა განყენებისა ერისაგან.

27. სრულიად განჩინებითა განაგდებს საღმრთო კრება ამას, რათა ამიერიდგან არავინ იკადროს შეყენება ზვარაკისა, გინა ცხვრისა, ანუ სხვისა პიროტყვისა კარისაბჭესა შინა ეკლესიისასა და დაკლვა მას შინა, გინა სისხლის ცხება კართა და ზღურბლთა ეკლესიისათა, რამეთუ კერპთმსახურთა არს საქმე ესე და არა წეს-არს ქრისტიანეთაჲ.

უკეთუ კული ვინმე გამოჩნდეს ესეეითარისა ცთომილისა საქმისა მოქმედი, ვამცნებთ ეპისკოპოსთა, რათა განაძონ ეკლესიით, ვითარცა შეურაცხის-მყოფელი ქრისტეს შჯულისაჲ.

[ხელრთვები]

1.* [Ი] ე რ ა კ ლ ე, წყალობითა ღმთისათა, ღმრთის მსახურმან, მ ე ფ ე მ ა ნ კახთამან და მმართველმან ქართლისამან, ძ ე მ ა ნ მ ე ფ ი ს თ ე ი მ ურ ა ზ ი ს ა მ ა ნ წარვწე[რენ].

2. ა ნ ტ ო ნ ი, წყალობითა ღმრთისათა, ულიოსმან კ ა თ ა ლ ი კ ო ზ მ ა ნ დიდისა სამეუფოსა ქალაქის მცხეთის, ქართლის, კახეთის, სამცხე-სა[ა]თაბაგოსა და ყოვლის ქვემო საქართველოსა და აღმოსავლეთისა საპატრიარქოსამან ვანვსაზღურენ და წარვსწერენ. ა ნ ტ ო ნ ი.

3. ნ ი კ ო ლ ო ზ ულიოსმან ანბა ა ლ ა ვ ე რ დ ე ლ მ ა ნ ვანვსაზღურენ და წარვსწერენ. ნ ი კ ო ლ ო ზ.

4. ა რ ს ე ნ ი, ულიოსმან მ თ ა ვ ა რ ე პ ი ს კ ო პ ო ს მ ა ნ ს ა მ თ ა ვ რ ო ს ა და გ ო რ ი ს ს ა მ ი ტ რ ა პ ო ლ ი ტ ო ს ა მ ა ნ ვანვსაზღურენ და წარვსწერენ. ა რ ს ე ნ ი.

5. ა თ ა ნ ა ს ი, ულიოსმან ე პ ი ს კ ო პ ო ს მ ა ნ ახლის სამეუფოსა ქალაქისა ტ ფ ი ლ ი ს ი ს ა სამიტრაპოლიტოსამან ვანვსაზღურენ და წავსწერენ. ა თ ა ნ ა ს ი.

---

[1] გვეწ'ბით.

* ხელნაწერში ტექსტი მეხლებად დაყოფილი არ არის.

6. ონოფრი, უღირსმან ეპისკოპოსმან ხოცნ-
[8]უჯის და სრულიად ქიზიყის სამიტროპოლიტოსაშინაგანწ-
ესაჯულებისა
სასულიერო
ესაზღურენ და წარვსწერენ. ონოფრი.

7. საბა, უღირსმან ეპისკოპოსმან ნინოწმიდ-
ისამან განვსაზღურენ და წარვსწერენ. საბა.

8. იოსებ, უღირსმა ეპისკოპოსმან რუისისა და სრულიად ქართლისამან განვსაზღურეს და წარვსწერენ. იოსებ.

9. იოანე, უღირსმან ეპისკოპოსმან ნეკრეს-ქალაქისა და ქალაქის გრემისამან და არქიმანდრიტმან გარეჯის დიდის ლავრისამან[1] განვსაზღურენ და წარვსწერენ. იოანე.

10. ქრისტეფორე, უღირსმან ეპისკოპოზმან წილკნისამან წარვსწერენ. ქრისტეფორე.

11. იოანე, უღირსმან ეპისკოპოზმან კაწარისამან განვსაზღურენ და წარვსწერენ. იოანე.

12. ფილიპე, უღირსმან ეპისკოპოსმან ურბნისისამან წარვსწერენ. ფილიპე.

13. ზოსიმე, უღირსმან ეპისკოპოსმან ქარგისითვალისაჲან და მოძღვართ-მოძღვარმან წარვსწერენ.

14. [V] ბენედიქტე, უღირსმან ეპისკოპოსმან სამთავისისამან წარვსწერენ. ბენედიქტე.

15. დანიელ, უღირსმან ეპისკოპოსმან ვერე-ქალაქისამან წარვსწერენ. დანიელ.

16. იოანე, უღირსმან არქიმანდრიტმან უპირველესისა მონასტრისა ქვაბთა-ქევისა ვლაქერნისა ღმრთისმშობლისამან წარეკსწერენ.

17. ამბაკომ, უღირსმან წინამძღვარმან კახთა მეფის კარისამან წარვსწერენ.

18. იოსებ, უღირსმან წინამძღვარმან ქართველთა მეფისა კარისამან წარვსწერენ.

19. იოანე, უღირსმან დიდის ეკლესიის იკონომოსმან წარვსწერენ.

20. ზაქარია, უღირსმან ხუცესმან მეფეთა და პატრიარქის მოძღვარმან წარვსწერენ.

---

[1] ლავრისასწ.

21. გაბრიელ, ეპისკოპოსმან ქახთა მეფისა დეკანოზმან მეფეთა მოძღვარმან წარვსწერე.

22. აბრაამ, ეპისკოპოსმან დეკანოზმან ალავერდისა მონაზონმან ლესიისამან წარვსწერე*.

281. [წყალობის წიგნი ნიკოლოზ ალავერდელისა მამულის ცუცნაშვილისადმი]

[1749 წ. 27 თებერვალი]

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა; და მუხლებითა ყოველად წმიდისა უბრწყინვალისა და უფროსად კურთხეულისა დიდებულისა დედოფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულის მარიამისათა; და შუამდგომლობითა მოწამეთა მთავრისა დიდებულისა წმიდისა გიორგისათა, — ამათის მინდობითა ესე უკუნისამდე [ქე]ჭთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და უცვალებელი სამკვიდრო და საბოლოოდ გამოსადეგი წყალობის წიგნი და სიფიცარი შევიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ, ღმრთისა მიერ კურთხეულმან ეხდრონიკაშვილმან ამბა ალავერდელმან ნიკოლოზ შუს, წმიდის გიორგის ერდგულსა და ჩვენზედ თავდადებით სამსახურს ყმასა ჩვენსა კონდოლელს ცუცნაშვილს მამუკას, ნადირას, ძმისწულსა შენსა ბეროს, შვილსა შენსა გიორგის, შვილთა და მომავალთა საბერისათა. აწ და [ა]მას პირსა ზედა:

მოხვედ, შემოგვეხვეწე და ამბიდობის წყალობას გვიბოძებით. ვისმინეთ აწა და მოხსენება თქვენი და გაგაჩინეთ ჩვენის გამოსადეგებისაგან, რომ არაფერი საშოყალნო გამოსადეგი არა გეთხოვებოდეს რა: არა ქოდის პური, არა ქულუხი, არა**, არაფერი ჩვენი საშოყალნო ყალანი არ გეთხოვებოდეს მსახურისა და ლაშქარ-ნადირობის მეტი. რაცვარადაც ჩვენი ყმა, მსახური და ამხატი იყოს. შენც ისე მსახური და ამხატი იყო.

და ეს ჩვენი წყალობა არ მოგეშალოს. [გ]ქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენის მონასტრის ერდგულობასა და სამსახურში.

აწე გინაცა და რამაც ქცეთა: ანუ ალავერდელთა ამხანაგშვილთა და მოხელეთა ეს ჩვენგან ნაბოძები წყალობა და ამხატობა მოგეშალოს, მასმცა რისხვის ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანი

---

* მინაწერი ტექსტის ხელით: „ღმერთო შეიწყალე სულით და ჭირვით ნოენისს კონდელაკი მასალი".

** დატოვებულია ცარიელი ადგილი ერთი სიტყვისათვის.

ხორციელნი და უხორცონი და თვით დიდებული და მთავარმოწყალე მუ წმიდა გიორგი; ღმრთისაგან წყეულ იყოს და ჩვენ მიერ შეჩვენებულ.

ხოლო დამამტკიცებელი ამისი ღმერთმან აკურთხოს, ამინ.

არიან ამისი გამრიგენი სქელთხუცესი პაჭატი, ჩვენი მდივანი იასე, სელერთობით ჩვენი აზნაურშვილნი, კონდოლის ნაცვალი, ებრაელი ბერო ნაცვალი.

დაიწერა წიგნი ესე თებერვალს კზ გასულს. ქორონიკონს ულზ, ხელითა მდივნისა ჩვენისა გიორგისათა.

ბეჭდი: ალავერდელი ნიკოლოზ

282. [წყალობის წიგნი ანტონ I-ისა იეზაანთ ოვანეზასადმი]

[1749 წ. 8 აპრილი]

ჰ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა დიდმან მამათმთავარმან, ღმრთივ-ცხებულთა მეფეთა შარავანდედმან, ძემან ქართველთ მეფის იესესმან, კათალიკოზ-პატრიაქმან ანტონიმ, ესე უკუნისამდე ქამთა და დრო-ცვალებადთა გამოსადეგი, მტკიცე და უცვალებელი, სამკვიდრო და საბოლოო და ყოვლის კაცის უცილებელი და მიზეზ-შეუწოლებელი წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ცათა მობაძავისა სვეტის ცხოველისა მკვიდრობსა და ყმასა ჩვენსა მოქალაქეს იეზაანთ ბუქიასშვილს ოვანეზას, შვილსა და მომავალსა სახლისა შენისასა.

ასე რომე: დიდი ზურაბას სახლი და კარი უმკვიდრო შექმნილიყო და პირველთა კათალიკოზ-პატრიარქთაგან შენს პაპას, იეზაშვილს ფასიანას და იმის ძმას ოვანეზას ეშოვნა და წყალობა ექნათ. მერე პაპაშენი და ბიძაშენიც უმკვიდრო შექმნილიყუნენ; ოვანეზა და საფარა. და თქვენც გაუყრელნი იყავით.

აწ მოხვედით კარსა დარბაზ-პალატისა ჩვენისასა და ოვანეზ[2] და საფარას წილს სახლ-კარს დაგვეპყე. ვისმინეთ პაჟა[3] და მოხსენება თქვენი; და რადგან პირველთა კათალიკოზ-პატრიაქთაგან წყალობის წიგნი გქონდათ, ჩუენცა ისევე წყალობა გიყავით და სიგელითა ამით დაგიმტკიცეთ.

და ბერძუნს მხატვარს აბიასტოლესაც ცოტას ხანს ქონებოდა ისი სახლები და ისიც უმკვიდრო ქმნილიყო. რადგან თქვენს მეტს არავის ეჭელყოდა, ისევ თქვენვე წყალობა გიყავით.

---

[1] ოვანესია. [2] ოვანეზა. [3] აჭა.

აწე გქონდესთ და გიბეჭდნიეროს ღმერთმან ჩვენსა ერდგულებასა და სვეტის ცხოვლის სამსახურსა შინა. არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა სხვათა მეპატრონეთაგან, არცა მეფეთა და ფალთა და უფლისწულთა და მთავართაგან, არც დიდთა და არცა მცირეთაგან.

ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხოს.

აწე, შემდგომად ჩვენსა ყოველად სანატრელნო კათოლიკოზ-პატრიარქნო, თქვენცა ასევე გაუკეთებდით და დაუმტკიცებდეთ, რათა თქვენიცა გაგებული და გარიგებული ღმერთმან მტკიცე ყოს.

არიან ამისნი მოწამენი და ნების დამმრთველნი ერთობილნი მცხეთის შვილნი.

დაიწერა ინდიქტიონსსა კათოლიკოზ-პატრიარქობისა ჩუენისა ჳ, წელთა კარისა ჩუენისა მღდელ-მდიევან-ქადაგ მაღალაძის ნიკოლოზისათა, თვესა აპრილსა გ, ქრისტეს აქათ ჩღმთ 1749.

ხელრთვა: კათალიკოზი

283. [ფიალობის წიგნი ანტონ I-ისა კაცია მაისურაძისადმი]

[1749 წ. 4 ივნისი]

ქ. ჩვენ, ქოვლისა საქართველოისა მაკურთხეველმან კათალიკოზ-პატრიაქმან, ძემან ქართველთა მეფის იესესმან [პატრონმა ანტონიმ], ესე წყალობის წიგნი და სიგელი გიბოძეთ თქვენ, მაისურაძეს კაციას, შვილსა შენსა იესეს და ბერს და მომავალთა სახლისა თქვენისა ყოველთავე.

ასე, რომე: შენ იმერეთიდამე პატარა ტყვედ ცოხის თათარს ვედმოეყვანე და კათალიკოზ-პატრიაქს იოანეს დაეხსენ და ზუმბულიძის დეკანოზის არდაშასათვის დიაკუნად მიებარებინე და, კათალიკოზი რომ გარდაცვალებულიყო, შენთვის ვეღარა ესწავლებინა რა და ბეითალმნად სჭეროდი.

ქამთა ვითარებისა და დრო-ცვალებისაგან ოსმალისა და ყიზილბაშის გამოსალებისაგან ვეღარ დამდგარიყავ, აყრილიყავ და კახეთს ხიზნათ გასულიყავ. შერე, ჩვენს რომ კახეთიდამ ავყარეთ და მოვიყვანეთ, მოკითხული ვქენით.

რადგან შენ დეკანოზსა და იმის შვილებს ბეითალმნად სჭეროდი და არც კათალიკოზისაგან წყალობის წიგნი ქონდათ, ჩვენც ისევ შენთვის სახაოდ დაგიჭირეთ, არც დეკანოზის შვილებსა და არც სხვათ ჩვენის საყდრის ყმათ აზნაურშვილთ შენთან საბატონყმოთ ჴული არავის ქონდეს[1].

[1] ქონდეს.

და მკვიდრ-გყავით. გომს დაგასახლეთ და გიბოძეთ ამის წყვეტილის პაიკაშვილის მამული, თავისას საძართლოებით, სამძღვრითა, მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ეენაკოთხ[ილ]ით წყლითა. ეს ჩვენგან წყალობა არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა სხვათა მეპატრონეთაგან.

გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენის საყდრის სამსახურსა და ჩვენსა დიდთ ერდგულობასა შინა, არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა მეფეთა და დედოფალთაგან. ხოლო დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხოს.

აწე თქვენცა ყოვლად სანატრელნო კათალიკოზ-პატრიაქნო, თქვენცა ასევე დაუმტკიცეთ.

დაიწერა ინდიკტიონსა კათალიკოზ-პატრიაქობისა ჩვენისასა ე.

არიან ამისი მოწამენი და ნების დამრთველნი ერთობილნი მცხეთელნი.

დაიწერა ჯელითა კარისა ჩვენისა მღვდელ-მდივანმწიგნობარქადაგ მაღალაძის ნიკოლოზისითა.

თვესა ივნისსა დ, [წელსა] ჩღმთ.

ხელრთვა: კათალიკოზი

284. [ბრძანება ანტონ I-ისა ბოლნელისათვის ლალა-კულუხის მიცემის შესახებ]

[1749 წ. 8 ივლისი]

ქ. საქართველოს კათალიკოზ-პატრიაქის მეფის ძის ანტონის იმედო!

ვინცა ვის ბატონის მოკელები იყვნეთ და ან ბოლნის[ა] საყდრის ყმანი იყვნეთ, მღდელნი ქართველნი, განჯელნი თუ მანდ მკვიდრნი და ან მოსულნი იყვნეთ, როგორაც მეფის ვახტანგის დროსა და ან ჯუმათლის-ბთვნელის დროს ბოლნელის ხელში ყოფილიყოს და ან საყდარს სჭეროდეს, ისინი არც ერთი არ მოიშლება.

ბიძა ჩვენმა მეფეთ-მეფემ თეიმურაზ და ჩვენცა ყოვლად სამღდელოს მთავარეპისკოპოზს ტიმოთეს უბოძეთ და დაუმტკიცეთ, თქვენც ბატონის მოხელებ[ე]ი დაანებეთ და საყდრის ყმათაც ბატონყმობით მოეპყრათ და მსახურით.

და რომელიც ჯემათლის-ბოვნელს ექან მიმული ან გასყიდული და ან გაცემული ჯემთა ვითარებისაგან ოსმალოსა და ყიზილბაშობის დროსა, იმისი ღალა და კულუხი ყველა საყდარსა და ბატონს ბოვნელს უნდა მოერთვას.

თუ ასე არ დაემთრჩილებით, ჯორციელად მეფეს გაგიწყრები მებთ და სულიერად ჩვენ გარდაგაჭდევინებთ.

ივლისს[ი] გ. [წელსა] ჩღმთ.

ხელრთვა: კათალიკოზი

285. [ქულუხის თარხნობის წიგნი ტიმოთე გოვნელისა გაბრიელ დოლმაზაშვილისადმი]

[1749 წ. 27 ოქტომბერი]

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა და შეწევნითა ბოლნისისა სიონთა ღვრთისმშობელისათა. ესე წიგნი გიბოძეთ ჩვენ, ქართლისა მთავარეპისკოპოზ ბოვნელმან ბატონმა ტიმოთე თქვენ, დოლმაზაშვილს გაბრიელსა, ბახუტასა, ძმასა თქვენსა სვიმონსა, ზურაბსა და კაცუასა, შვილთა და მოძავალთა სახლისა თქვენისათა.

ასე რომე: ძველთაგან სიონთა ღმრთისმშობლია ყმისაგან ახლუაშვილისაგან* მამული გქონდათ ნასყიდათა და კიდეც გაგეცვალათ[1]; სამუქფოით სხვა მამული მიგეცათ. რადგან სხვა მამულიც მიგეცათ და ნასყიდი იყო, ჩვენც მოკითხული ვქენით; და არას ბოვნელს თქვენთვის ქულუხი არ გამოერთმევინა.

და ჩვენც ეს წიგნი გიბოძეთ: არამ ბოვნელმა თქვენ ამ მამულის ქულუხს არც გედევის[2] და არცა გთხო[ვ]ს, არამ ბოვნელმა ამისად შლად ვერ ხელყოს. ვინც ეს მოგიშალოს, ისიც განიკითხვის დღესა მას დიდსა განკითხვისასა.

ამისთვის რომე ბევრი მოკითხული ვქენით და არ გამოგრთმეოდა და არც ეთხოვნათ შენთვის ქულუხი. ღმერთმან გიბედნიეროს და მოგახმაროს.

ღვინობისთვის კზ, ქორონიკონს ულზ, ქრისტეს აქათ ჩღმთ.

ხელრთვა: ბოვნელი ტიმოთე

286. [განწესება ნიკოლოზ ალავერდელისა ქვრივ-ოგოლთა მამულის გეითალმანობის ამოკვეთის შესახებ]

[1749 წ.]

ქ. ყოველადობით ყოველთა მიზეზსა არსებასა ზესთა-არსებათასა, გარ[ეშემო] მომზღუდველობით მხედსა ზე-ყოველთასა, ხილულ უხილავთ [შორის მყო]ფსა ა[რ]სებასა, ყოველთ ბუნებისა მბაღსა,

---

[1] გაგვცვალათ. [2] გეცვლის.

* „ახლუაშვილისაგან" ჩაწერილია სტრიქონს შუა სხვა ხელით.

თაყუანის-ვსცემ წინაწე თვალ-მიუდგმელსა დალიქსა, მოდიტ[ყ]ს-
მსხვერპლის-ვრთმელობ, კნინ სამე მსხვერპლსა, კოცტ ამ[ი]ხ[ა]ნ-
ნაბად კაცთ-ბუნებისა მის მიერვე მდებად თან-ნაპმანსა წმ[ა]ნდ[ა]ს-
კაცთ-პირებისა მიერ. ვით[ა] იგი ზესთ-ხილვათა განმხილველი მოსე
მომჭმობ-არს ესრეთ: «[წყეულ] ყოველ. რომელმან [განდრიკოს]
სასწველი ობლისა და ქვრიეისა»*.

და თან-მთნეობით მოლაღადე არს მაღალ-ჴმა ესაიაცა: «ჴსა-
ჴეთ ობოლსა, განაბართლეთ ქვრიეი; მოეგდით და შეეიტყუნეთ[1],
იტყუეს უფალი»**.

და დავითა მამა, ღმერთსა ქნართ-ცემით თან-მეთნე მათიეე,
ფსალმუნ[2]-გალობითთა წიგნთაგან სჯასა ობოლთა და ქვრიეთასა გვი-
მეტყუაეს.

და შემდგომად და შემდგომად წმიდათა პირებისაგან დამ-
ტკიცებელ არს ესე-ვითარებრ, რათამცა, ქრისტეს ჯორციელად მო-
სვლისა თაყუანის-მცემელნი, ვიყუნეთ შემწყნარე ობლისა, ქვრივი-
სა და მწირისა, რათა წყალობის გამო, ჩვენც მოვიწყნეთ წყალო-
ბის მნებებელისაგან, დატენილი და ზე-გარდამხეული.

და ამათგან მოწყალეთ კეთილთა-ვყოთ გულთა-გამხილეე ზე-
ნაი-შემცნემან ამათმან; ამისცა ვიცულეე განსიტყუება, ვითარ-იგი
ოქროვან-პავე ქვენაჲ მიზენად მაზენავე დიდი იგი იოანე, მნათი
მისი, დასჭირდა თვისსა ეკლესიასა, დ[ა] ევდუქსიაის, ქვრივთ მოხვე-
ჭათთვის იეზაველებრ განმჭიქებელი, ეკსორია იქმნა, და ალევსო-
ცა ამიერ წიაღ-მლეველი სასურველისა მიმართ.

შემეშინა: ნუქუე დამაყენებელ და დამხრწეულ ცხოვრებისა
შექმნეს, ჩემ-ქუეშეთთა[3] საყმოთა შინა, ქვრივთა, თვისის მეუღ[ლ]-
ლისაგან დანამთნთა საქონელთა, ვენახ-მიწათა მიღება, ვითარ იგი
წეს-არს საქართველოსა.

აწ, ვიგულეე და განვიხილე, შეუიმცენ და ვისწაე წმიდათა წე-
რილთგან, რამეთუ არა ჯერ-ა[რ]ს და შემაღრეებელ სახიერისა მეუ-
ფისა ესე წესი, რომელ დაუცთ საქართველოსა შინა.

ამიერ, რა კაცი აღესრულის მის ვისიმე მონა, უწულოდ ქვრი-
ე დაუტეეის, ერთისა გიწა თრისა ასულისა თანა, მყისსა...*** მეპატ-
რონისა მისისა მტარვალნი მოიწეევიან და მიუხმენ საქონელთა, ვე-
ნახ-აგარაკთა და ყოველსაე, რაცა დამთომია მეუღლისაგან, და მათ

---

[1] შეეიტყნეთ. [2] ფსალმუნ. [3] + მა.

* შდრ. მეორე სჯული. 27, 18.

** ესაია 1, 17—18.

*** სამეცნიერო ცოდნა რესტავრაციის გამო ვერით სიტყვა არ ირჩევა.

დაეტეობენ უმეტეს მშიერთა, მიმშვილთა და უმოწყალოთა დიდი ესე უწყალოება. შემაწუხებელი ღმრთისა და მკუდელი მჭროვანისა, ტკბილ-ნაკად-მცენებელისა იოანესი!

ხოლო მე, მონა შენი, სახიერო, შეწევნითა შენითა არა ვინებებ, და განვაწესებ ჩემის ქცევისა ქვეშეთთა საყმოთა შინა ამა წესითა, ბრძანებით ღმრთისათა.

ჩვენ, ყოველად ნეტარი ამბა[1] ალავერდელი ენდრონიკეს შვილი უფალი ნიკოლოზ მოვიმკვნებთ კარისა ჩვენისა მოხელეთა და ყოველთაცე მოსაქმეთა, რათამცა ესე მცნება მტკიცედ იპყრათ, რამეთუ აღთქმანი არიან წინაშე დაუსაბამოსა ღმრთისა ჩვენი, და თქვენი საცხოვრებელნი, და მიზეზნი ქეთილისანი.

და მისცენით ესე წესად ძეთა თქვენთა და ძის ძეთა თქვენთა დაუმტკიცენით, რომელ არიან ესე:

1.* საღაც და რომელსა ადგილს წმიდის გიორგის ყმა იყოს, და ჩვენი სიტყუა გავიდეს, იმ ადგილს ბეითალმანობა ამოგვიკუეთია ყოველითურთ ესე-ვითარება: რომელსაც ჩვენს საყმოში კაცი მოკუდეს, ჩვენი ყმა და ქვრივი დასჩეს, და ვაჟი არ დაუშთეს, და იმ ქვრივს იმ მამულზე დგომა უნდოდეს, ვინც იმას ვენახი, აგარაკი მიწა[2] და საქონელი წაჰქრთოს, შეჩვენებულმც არს.

2. თუ იმ ქვრივს ქმარი არ უნდოდეს, თვის ნეუღლის მამული მოუშლელად ქონდეს. და რაც გამოსაღები ედოს იმ მამულს, მსახური იყოს თუ მოყალნე, იმგვარი ყალახი გამოართოს მოხელემ; და მამულ-საქონელი მოუშლელად ქონდეს. და ვინც მოუშალოს შეჩვენებულ იყოს.

3. ქვრივს თავის ნება ქონდეს: თუ უნდოდეს, ზედ მამულზე ქმარი შეირთოს, სხვის ყმა იყოს თუ უმამულო ჩვენი ყმა; მამულიანიმც იქნება[3] იყოს, გამოსაღები გამოიღოს და ჭონდეს თავისი მამული.

4. თუ რომ არ ინებოს და სხვაგან განქორწინდეს, რაც თავის ნეუღლისაგან საქონელი დასჩომოდეს, იმ საქ[ო]ნელმა დააქორწილოს; მზითევი, რაც თან მოყოლოდეს, გაყუეს და თვისი სათავნო, და სხვა რაც საქონელი დასჩეს და მამული, ჩვენთვინ მოვიდეს.

ვინც ქვრივი ასე წყალობით არ ამყოფოს, შეჩვენებულ იყოს.

5. ჩვენს მამულში საღაც კაცი მოკუდეს და დედაკაცი, და

---

1 ამბა.* მიწადა. 2 მამულიანიმც იქნება] მამულიანაი ნაწერია.

* ხელნაწერში ტექსტი შეხლებად გაკეთილი არ არის.

მათ ერთი გინა ორი ქალი დასჩეს, თავის მამული ნუ მოუშლიან ნურც თავის მამის და [დ]ედის საქონელი გამოერთმევა; იმ[ა]მათ და საქონელმა გაზარდოს, შეინახოს და დ[ა]ქორწილოს. და სხვა მოსაღები, რაც ობოლსა და ქვრივს შეეფეროდეს, ისე გამოერთოს.

6. და როცა ქმრის დრო მოუვიდეს, თვისი ნება იყოს: თუ ინებოს, ქმარი შეირთოს და თავისავ მამულზე იყოს მოუშლელად.

7. და თუ ინებოს, სხვაგან იქორწინოს, თავისავ მამულიდამ და საქონლიდამ დაქორწილდეს და მზითევი გაყვეს, როგორც რომ შეეძლოს იმ მამულს. და სხვა რაც საქონელი დასჩეს და მამული, ჩვენთვინ მოვიდეს.

8. ვინ უწყოს, თუ კაცი ღარიბი იყოს, და იმის საქონელს ქალის შენახვა და დაქორწილება არ შეეძლოს, მამულისა გასყიდვა და დავირავება[1] არ იქნება, ამისთვის რომ საყდრისა არის.

ქვრივი და ობოლი ამ წესით იყოს, გლეხი მოხდეს თუ აზნაური.

ვინც ამ წესის შლად იკადროს, შეჩვენებული იყოს.

9. თუ რომ აზნაურიშვილი დასჩეს ქვრივად, უშვილოდ, ან ობოლი ქალი, იგიცა ესრეთ: თვისი ნება ქონდეს, ახვაგან გათხოვდეს, თავის მამულიდამ გაიმზითოს და მამული საყდარს დაუგდოს.

და თუ ნება ქონდეს, ზედ ქმარი შეირთოს.

10. და თუ ნება ქონდეს, უქორწოდ იყოს და ყმა იმსახუროს. მანამდინ ცოცხალი იყოს*. და რახან[2] მოკვდეს, თავის მამულმა დაიმარხოს.

11. და თუ დაიკარგოს, თავის მამულმა დაიბსნას.

ესრე გაგვირიგებია. და ვინც ეს რიგი მოშალოს, შეჩვენებულ იყოს.

12. და თქვენც, ჩვენნო შემდეგნო ალავერდელნო, ესრეთ და[ა]მტკიცეთ ეს ჩვენგან გარიგებული საქმე, ღმრთის გულისათვის.

13. თქვენ, ჩვენნო აზნაურშვილებო, თქვენს ყმაშიაც ასრე უნდა გა[ა]რიგოთ; რადგან ჩვენ ეს რიგი დავსდევით, თქვენც ასრე ყოფდეთ.

ესრეთ გავარიგეთ და დავამტკიცეთ.

14. ნებითა ღმრთისათა ჩვენთა შეპატრონეთა მეფეთა ვლადავთ, ვეეედრებით და მოქენე ვართ, რათა მათცა ესრეთ და[ა]მტკიცონ ეს ღმრთის ნებიანი გა[ნ]წ ე ს ე ბ ა.

---

[1] დავირიება. [2] ნახან.

* აქედან ბოლომდე დაწერილია წერილი გაკრული ხელით.

ესე წიგნი მოგართვით წინაშე შენ, მოწყალისა ღმრთისა, თანა-ძოწმობითა და ჯერ-ჩინებითა ჩვენისა კარის მოხელეთა: სულხანის ძის, სახლთხუცესის პაატასითა, ჩვენის ბატონის ულთხუცესის, ანდრონიკეს ძის, ფარემზისათა, მგალობლისშვილის მდივნის გიორგისათა, მისვე სულხანის შვილის მენვიერთხუცესის ბერისათა და ყოველთა კარისა ჩვენისა მოხელეთათა.

ესრეთ ვინებეთ და განვაგეთ ჩვენის საყმოს განწესება-ქამთა დავითიანის სქესითისა[1] მომავლისა საქართველოს მპყრობელისა, კეთილმორწმუნისა მეფის თეიმურაზისათა და ძისა მისისა, კეთილად-მსახურისა კახთ მპყრობელ-მმართებელისა, ირაკლისთა: ვიგულვისატევით და დავამტკიცეთ.

და ვეუბრები ნეტართა ჩვენთა შემდგომთა წინაღსა უწინარ-ჩინებულესსა საყდარსა ამას მსახდომარეთა ალავერდელთა, რათა მათცა ესრეთ დაამტკიცონ ესე ღმრთისა ნებიანი[2] განწესება.

აღიწერა წმიდისა და ჩინებულისა დვაწლ-მრავლის მაქნისა მოწამის გიორგის ტაძარსა შინა, თვესა მარტსა ერთსა. ქრისტეს აქვთსა ქრონიკონსა **ჩღმთ**, ქართულსა ქრონიკონს **ულზ**.

ხელთაგა: ალავერდელი ნიკოლოზ +
სათაური: ქვრივ-ობლის მამულის მოუშლელობის გუჯარი.

287. [პიროვის წიგნი გესარიონ კათალიკოზისა ქაიხოსრო წერეთლისადმი]

[1742—1769 წწ.]

ქ. ნებითა და შეწევნითა ღუთისათა, შუამდგომლობითა წმიდისა ღუთისმშობლისათა; ესე ცოდვისა და მადლის წიგნი გიბოძეთ ჩვენ, ყოვლად სანატრელმა ჩდილოეთისა და აფხაზეთისა პატრიარქმა ბესარიონ შენ, წერეთელს ქაიხოსროს, შენს ძმას ქვეცს და ნიკოლოზს ასე და ამა პირსა ზედან, რომე:

ბატონი ხელმწიფე გიწყრებოდა. ჩვენ შემოგვეხვეწე და შეა ჩამოგვიდეგით, და შეგიწყნარა, და გაგიროგეთ, და შენი ძმის ბექანის კერძი მამული გიბოძათ.

აწ ეს პირობა და იმედი გვიბოძებია: თუ ჩვენის ხელმწიფის მეფის ალექსანდრე[ს]ი ერდგული იყო და მისი მტრისა

[1] სქესთისასა. [2] ნებებიანი.

მტერი იყო და მოყ[ვ]არის მოყვარე, და არც იმის[1] მეტი ბატონი ვი-
დოდეს, ბატონის ხემწიფისაგან თქვენ არც სიკეთილით, არც წყალობით
თენით, არც ვალარიბებით არა გიშავდეს რა.

ამისათ მოწმათ მოვიცემია თავათ ღმერთი და ყოველი მისი წმინდანი; კაცთაგან: ბატონიშვილი როსტომ, ერისთავი გიორგი, ჩემი ძმა როსტომ, მხეიძე ხოსია, მხეიძე ზა[ა]ლ, ჯაფარიძე ჯაფარა, ნიჟარაძე კაცია იაშვილი ლევან, ჩიქოვანი კაცია, ერისთავისშვილი ჭაიხოსრო და მისი ძმა მაქსიმე.

ბეჭდი... კათალიკოზი ბესარიონ

288. [წიგნი იოსებ ნინოწმინდელისა იოვანე ნეკრესელისადმი შენდობის შესახებ]

[XVIII ს. I ნახ.]

ჭ. ძმაო და შვილო წინამძღვარო იოვანე და მისნო ერთობილნო კრებულნო!

მერმე მოიხსენეთ ღმრთის მოწყალება და მისი სიმდაბლე და მისი ძვირის-უხსენებლობა და მისი შურის-უძი[ე]ბლობა და მისი სიყუარული და კაცთმოყუარება; და მე, ცოდვილი და უბადრუკი ნინოწმინდელი, თქუენის მამა-შვილობისა და ძმობის სასოებით და სიყვარულით მონდობილი, ისე შემიწყალეთ ბატონო წინამძღვარო, ნეკრესელ იოვანე.

ესეც მოიგონე და მოიხ[ს]ენე: როდისაც მე და თქუენ ღმრთის შუამდგომელობით და წმინდის დავითის თავდებობით ერთმანეთს ჭელი ჭელს მივეცით, წი[ნა]მძღრობაც მოგართვი ალ[ა]ლის გულით და ჩემი ცოდვილი სულიც და სიცოცხლეც ყველა თქვენ შეგევედრე.

თქვენც მხიარულის გულით და კეთილის პირით დიდი ალთქმა და პირობა აღმითქვი[2].

ახლა ხომ ჰე შემარიტად ვიცი, მას უკან ბევრი გაწყენინე, ბევრი თქვენი ურჩებაც ვქენ, ბევრჯელაც შეგაწუხე, მაგრამე ღმერთი რომ კაცთ-მოყუარებისათვის ზეცით ქვეყანაზედ გარდამოჴდა და ცოდვილნი შეიწყალნა, მისის სახელისათვის და მისის სიყვარულისათვის ყოველი ჩემი შეცოდება მომიტევეთ, შეგიხდევით და შემიწყალეთ და მანამდის ამ სოფელს ცხორებდეთ, ჩემის ცოდვილის სულის მოხსენებას ნურც თქვენ დაივიწყებთ და ნურც თქვენი კრებულნი[3].

---

[1] იმის. [2] ალთქვი. [3] კრებულნი.

მე ხომე ამ თქვენს მონასტერში ბევრის ხარჯის მეტი, ვიდრე ბობის მეტი, ნაყროვნობის მეტი ვერა გქენ რა, მაგრამე ღმრთისა და მისის მონის დავითისა და თქვენი სასოებით და საოწმუნოებით ვიყავ, ამისთვის შემიწყალეთ, ისომ ღმრთის ნების აღმსრულებელნი ხართ.

ღმერთი ხომ ამას ბძანებს თავისის ტკბილის პირით: «კეთილსმყოფელთა თქუენთა რომ კეთილი უყოთ, რა არს მადლი თქვენდა»; კიდემ წინასწარმეტყველის პირით მოასწავებს: «მოწყალე იგი არსო, ვინც არაღირსი წყალობისა შეიწყალოს».

მე ულირსი და ცოდვილი ამ საქმისათვის შემიწყალეთ, თქვენი ტკბილის მამა-შვილობისა და ძმობის გაყრილი და საუკუნოდ განშორებელი და დატყვე[ვე]ბული ამიერ წავლით წარსული და აღარა სადა მოქცეველი შემიწყალეთ, შემიწყალეთ შვილნო და ძმანო ჩემნო.

ჩემის შეწყალებისათვის ღმერთი თქვენც შეგიწყალნესთ საუკუნოდ, ამინ.

ხელრთვა: იოსებ

289. [საზატო წიგნი გრიგოლ ჯუონდიდლისა მახაროგელ გეგეჭკორისადმი]

[XVIII ს. I ნახ.]

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა და ყოველთა მისთა წმიდათა, ესე საბოლოოდ გასათავებელი სა[მ]ზატო წყალობის წიგნი დაგიწერეთ და გიბოძეთ ჩვენ, ქრისტეს მიერ კურთხევით კურთხეულმან ჯუონდიდელ მიტროპოლიტმან, დადიანის ბეჟანის ძემან, გრიგოლ შენ, ჩვენს ყმას გეგეჭკორს მახარობელს, შვილებს მიქელს და იესეს თქვენთა შვილთა და მომავალთა ასრე, რომ,

ბიძა ჩვენს ჯუონდიდელს გაბრიელს თქვენი პაპისა და ბაბუისათვის სააზატო წიგნი მიეცა და კიდეც გჭონდათ. აწ ჩვენ კიდე ხელახლავ გაგვიახლებია, შეგვიწევია: ნადობა, ყოველისფერი ბეგარა და ტვირთობა; ასრე, რომ შენს კარზედ ლაშქრობისა და ბატონის შინაყმობისა და საძსახურის მეტი არა მოიგებოდეს რა, ისე ყოველისფერი შეგვიწევია.

აწ ამისად გასათვებლად მომიცემია თავად ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანი ზეცისანი და ქვეყნისანი, ხორციელნი და უხორცონი; კაცთაგან ამისი. ნოწამე: ჩვენი წინამძღვარი ლოდვაბერიძე სოფრონ, იესელიანი მთავარდიაკონი სვიმონ, მოტრავი ელიავა წუწყუ, მთავარდიაკონი ელიავა ნიკოლოზ, ჩვეს მაგიერი კაცი თევდორაშვილი სვიმონია.

დამიწერია მე, მღდელ-მონაზონს ელიავას გერმანეს და მოწამეც ვარ ამისი.

აწ, ვინცა და რამანც ძემან კაცისამან ეს ჩვენგან ბოძებული წიგნი შეგიშალოს ან ჰყონდიდელმან, ან ერისკაცმან, ან ვინც ადამის შვილმან, მასამც რისხავს თავად დაუსაბამო ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანნი[1] და ჩვენგან და ჩვენის ეკლესიისაგან წყეულ, შეჩვენებული იქმნება და მეორედ მოსვლას ჩვენის ცოდვის მუქაფად[2] განიკითხვის მართლმსაჯულის ღმრთისაგან, ამინ.

ბეჭედი: გრიგოლ*

290. [წყალობის წიგნი გაბრიელ ჰყონდიდლისა გიორგი გერიძისადმი]

[1760 წ. ახლოს]

ქ. ნებითა და ბრძანებითა ღმრთისათა, ჩვენ, ზეგარდმო კურთხევით კურთხეულმან, დადიანის ბექანის ძემან, ბატონმან ჰყონდიდელ მიტროპოლიტმან გაბრიელ ესე წყალობისა წიგნი მტკიცე, უტყუარი, შეუცვალებელი, ჟამთა უკუნისამდე გასათვებელი დაგიწერიეთ და გიბოძეთ შენ, გერიძეს გიორგის ხუცეს[ს] და შენთა შვილთა და მომავალთა ყოველთავე, ასე და ამა პირსა ზედან, რომ:

სამოჯალაბო კაცის მოცემის საქმეზედ შემოგვეხვეწეთ. ვისმინეთ აჯა და მოხსენება შენი და ბიძაშენს წინამძღვარს რომ ჯორი ყავდა, ის სახელდობ ვთხოვეთ და ამაზედ სხვა თეთრი დაგვითვებინეთ და ესი მარჩილი გამოგართვით.

მას მოღმა ვეცადეთ, მაგრამ სამოჯალაბო კაცი ველარ ვიშოვნეთ. და ნამოჯალაბევი კაცი იყო და გიბოძეთ გაბისონია ხოზონაი და მასთან მყოფი მახაელა გაბისონია ერთათ

---

[1] წმენნი. [2] ბუქმად.

* ბეჭდის ლეგენდა არ არჩევა.

მოსახლობით, მათის ცოლ-შვილით, სახლკარით, ალაგ-მამულით, სასაფლაოთ[ი], რასაც მჭირსებელნი არიან, უძებარ-საძებრითა ცემია. და გიბედნიეროს ღმერთმან აწ და უკუნისამდე.

ვინც შენ და შენს ძესა და მომავალს ეს წიგნი მოუშალოს და ის გლეხი წაართვას, ქრისტეს პირისაგან წყეულ და შეჩვენებულ იყოს სულით და ხორცით და მეორედ მოსვლას ქრისტესთან მოცეს პასუხი.

ქაცთაგან არის მოწამე: ელიავა მოსე, მისი შვილები წუწუკუ და ბუჰუ, გეგაჭკორი გველა და ბუჰუ, ევნატი კანდელაკი, ხელოსანი ბაკურია, გორგელა და სულ ჩვენი ქვეყნის კაცები.

დაიწერა ყელითა მგალობლის მდივნის გიასითა და მოწამეცა ვარ.

ბეჭედი: ჭყონდიდელი ... გაბრიელ

291. [წყალობის წიგნი ანტონ I-ისა ლუარსაბ გარაყანიძისადმი]

[1751 წ. 9 თებერვალი]

ქ. ჩუენ, ღმრთისა მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოსა დიდმან მამათ-მთავარმან მეფეთა შარავანდედმან კათალიკოზ-პატრიარქმან, ძემან ქართველთა მეფისა იესესამან, პატრონმან ანტონიმ ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა და დროთა გამოსადეგი სამკვიდრო და საბოლოო წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ძველადვე სვეტიცხოველისა მკვიდრსა და ყმასა ჩუენსა, გარაყანიძეს ლუარსაბს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისა ყოველთაევე.

ასე, რომე: შენი განაყოფო გუტინა ამოვარდნილიყო და იმისი წილი ყმა და მამული ჩვენთვის სახასოდ დაგვდევით. აწე მოხვედ კარსა დარბაზ-პალატისა ჩვენისასა და გვეჯე.

გისმინეთ ჯჯა და მოხსენება თქვენი და გიბოძეთ შენის განაყოფის გუტინას წილი ყმა და მამული; ჯაჭვსა, ფოსვსა, აზვსა და ბოკოწინს რაც გუტინას წილი ყოფილიყო და იყოს, შენთვის გვიბოძებია და წყალობა გვიქნია, თავეთის სამართლიანის მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა და სამძღვრითა გვიბოძებია ყოველის კაცის უცილებლად და ჭელშეუვლად; ვითაც სხვათა არ ჭელეყოფოდათ სხვათა ნათესავთა საყმოთ და სამკვიდროდ თქვენსა გარეშე, ეგრეთვე თქვენ გიბოძეთ.

არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა სხვათა მეპატრონეთაგან, არცა მეფეთა და დედოფალთა და უფლისწულთაგან.

აწე თქვენცა, შემდგომად ჩვენსა ყოვლად სანატრელნი ძენი ლიკოზ-პატრიარქნო, თქვენცა ასევე დაუმტკიცეთ და გაუტიგეთ, რათა თქვენიცა გაგებული და გარიგებული ღმერთმან მტკიცე ყოს.

და რომელმანცა ამისდა შლად და ქცევად ჴელყოს, წყეულ, კრულ და შეჩვენებულ იყოს.

ხოლო დამამტკიცებელი ამისი ღმერთმან აკურთხოს და ცათა მობაძავმან წმიდამ კათოლიკე ეკლესიამ სვეტმა ცხოველმან.

დაიწერა ინდიქტიონსა კათალიკოზ-პატრიარქობისა ჩვენისასა ზ.

არიან ამისნი მოწამენი, დამხდურნი და ნების დამრთველნი: ერთობილნი მცხეთელნი, ჩვენი სახლთუხუცესი მაღალაძე გიორგი, სარდალი გედეონიძე გაბრიელ, ქარსიძე მესტუმრე გიორგი, სუფრაჩი პაატა და ერთობილნი მცხეთელნი.

თვესა ფებერვალსა თ, ქრისტეს აქათ ჩღნა, ჴელითა კარისა ჩვენისა მღდელ-მთავან-მწიგნობარ-ქადაგ-მგალობელ მაღალაძის ნიკოლაოზისათა.

ბჭერთვა: კათალიკოზი

კიდეზე

ქ. ჩვენ, ღმრთივ-ამაღლებულმან მეფეთ-მეფემ პატრონმან თეიმურაზ ასევ დავამტკიცეთ.

ბეჭდი: უფლისა მიერ მეფედ ცხებული თეიმურაზის დამტკიცებული

ქ. ჩვენ, საქართველოს კათალიკოზ-პატრიარხი იოსებ ვამტკიცებთ სიგელსა ამას.

მაის[ს] ოდ, [წელსა] ჩღჲა.

ბჭერთვა: კათალიკოზი

თავი ბეჭდი: რომელი განჴსნათ ქვეყანასა ზედა, ჴსნილ იყოს იგი ცათა შინა

292. [ფიქრი ანტონ I-ისა მურმან მურმანიშვილისადმი სამეგრის მიბარების შესახებ]

[1751 წ. 4 მარტი]

ქ. საქართველოს პატრიარქის მეფის ძის ანტონის კეთილად სახსენებელი მურეან და ბაიკავ.

მერმე მრავალი ლოცვა-კურთხევა მოგვიხსენებია. ეს სურამელი ურია ხოსიაშვილი სვიმონა და ამისი ძეები აგის

დროსაგან აყრილიყვნენ ხარჯისა და გამოსაღებისაგან და ახალ-
ციხეს ყოფილიყვნენ.

ახლა ესენი ჩვენის წიგნითა და სიტყვით უნდა ავყაროთ და
გადმოვიყვანოთ. ამათზე თვალი და ყური გვჭიროსთ, არავინ ძალი
და უსამართლო არ უყოსთ.

თუ ვისმეა სიტყვა ქონდესთ ამათთან, ჩვენ მოგვახსენოს და
ბასეხს ჩვენ მივცემთ. თქვენც იცით, ურჩევსიტყ[ვ]ოთ ესენი არც
აიყრებოდენ და არც გადმოვიდოდნენ. ამათზე თვალი და ყური გე-
ჭიროსთ.

მარტს დ. [წელსა] ჩღნა.

ხელთაჲ: კათალიკოზი

293. [წყალობის წიგნი ნიკოლოზ ალავერდელისა პაატა სვიმონიშვილისადმი]

[1751 წ. 1 აპრილი]

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა და მეოხებითა ყოვლად წმიდისა, უხრწნელისა და უფროსად კურთხეულისა, დიდებულისა დედოფლისა ჩვენისა ღმრთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისათა, წმიდისა დიდებულებისა და ღვაწლმრავლისა მთავარმოწამის გიორგისათა ესე უკუნისამდე ყამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და [ს]ცვალებელი სამკვიდრო წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გი[ბო]ძეთ ჩვენ, ღმრთისა მიერ კურთხეულმან ენდრონიკაშვილმან ამბა ალავერდელმან ნიკოლოზ შენ, წმიდის გიორგის ერდგულსა და ჩვენზედ თაყდადებით ნამსახურს წმიდის გიორგი[ს] ყმასა და ჩვენს აზნაურშვილ[ს] კისისხევს სვიმონიშვილს პა[ა]ტას, ძმასა შენსა შერმაზანს, შვილსა შენსა დავით, გოგიას, სვიმონ[ს], ომანს, შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა, ასე და ამა პირსა ზედა:

მოხველ და რაც რომ შეგეძლო მართებულად გვემსახურე და კონდოლის ნაც[ვ]ლობის წყალობას გვიცჯე. ვისმინეთ მოხსენება შენი და გიბოძეთ გაგნაშვილის ნაც[ვ]ლის მაღიერი კისისხევისა და კონდოლის ნაც[ვ]ლობა. როგორათაც ბერნაცვალს ქონდა ჩვენგან ნაბოძები[1] სარგო, ის სარგო შენ მოგეცემოდეს: ყოვლის კაცის უცილებლად შენთვის გვიბოძებია.

[1] +ჩვენგ.

[გქ]ონდეს და გიბრძნიეროს ღმერთმან წმიდის გიორგის ერთგულობასა და ჩვენს სამსახურში ეს ჩვენგან ნაბოძები წყალობა მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა ჩვენსა შემდგომთა სხვათაგან რომეთა ალავერდელთაგან.

არიან ამისნი გამრიგენი და დამწყებენი: სალთხუცესი პაატა, ბოქოულთუხუცესი ფარემუზ, მღვდელთხუცესი ომან, თადია ნაცვალი და სულ ერთობით ჩვენი ეზნაურშვილნი.

დაიწერა ეს წიგნი აპრილს ა გასულს, ქორონიკონს **ულთ**, ხელითა მდივნისა ჩვენისა გიორგისათა.

ბეჭედი: ალავერდელი ნიკოლოზ

მარჯვენა კიდეზე

ქ. ჩვენ, წეფე ყოვლისა საქართველოსა ირაკლი მეორე ვამტკიცებთ ამ სიგელს, როგორადაც ყოველად სამღვდელოს ალავერდელს ნიკოლოზს და ზენონს უბოძებიათ, ჩვენც ისე დაგვიმტკიცებია.

მკათათვის კა, ქორონიკონს **უჲზ**.

ბეჭედი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ვკლესია ვადიდე ერეკლე

ქ. ეს წყალობის წიგნი და სიგელი ბატონის ნიკოლოზის ალავერდლისაგან ნაბოძები როგორც იმას წყალობა უქნია, ჩვენ ბატონს ამბა ალავერდელს ზენონს, ისრე დაგვიმტკიცებია კისისხევის სვიმონისშვილებს აიას დროს არ მოგეშალოს.

ივლისს **იწ**, ქორონიკონს **უჲზ**.

ბეჭედი: ალავერდელი ზენონ

294. [წყალობის წიგნი ანტონ I-ისა ოქინაანთ ოქინასადმი]

[1751 წ. 27 აპრილი]

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა მაკურთხეველმან მეფეთა შარავანდედმან კათალიკოზ-პატრიარქმან, ძემან ქართველთა მეფისა იესესმან, ანტონი ესე უკუნისამდე ჟამთა და დროთა გამოსადეგი, სამკვიდრო და საბოლოვო წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ძველადგან სვეტისაცხოველისა მკვიდრსა და ყმასა ჩვენსა მოქალაქეს, ოქინაანთ როსტომაშვილს ოქინას, ასე და ამა პირსა ზედან:

თქვენ პატარა ოვანეზა [გიანდოდით] შვილად აგეყვანეთ, მოხედით შემოგვეხვეწენით. ჩვენცა ვისმინეთ ამა და მოხსენება თქვენი და ჩვენცა წყალობა გიყავით და ჩვენის ნებით გაზრდილიყავ და წყალობა გიყავით; და თქვენი წილი სახლი და კარი. მამული და მონაგები, ასალები და გასაცემი — ყოველივე მაგ თქვენს შვილს ჰონდეს ქელშეუყრელად და უცილებელად.

აწე ეს ჩვენგან წყალობა არ მოგეშალოს, არა ჩვენგან და არცა სხვათა მეპატრონეთაგან. გყვანდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ვითაც სხვანი მკვიდრნი სეტის ცხოვლის ყმანი.

არამედ თქვენცა წმიდათ და ყოველად სანატრელნო კათალიკოზ-პატრიაქნო, თქვენცა ასევე დაუმტკიცეთ და გაუბრიგეთ, რათა თქვენიცა გაგებული და გარიგებული ღმერთმან მტკიცე ყოს.

ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხოს.

არიან ამისი მოწამენი და ნების დამრთველნი ერთობოლნი მცხეთელნი: ჩვენი სახლთხუცესი მაღალაძე გიორგი, სარდალი გედევანიძე გაბრიელ, დეკანოზი იოანე, მოლარეთხუცესი პა[ა]ტა, თაზიშვილი სეფერაჩი პა[ა]ტა, ჩვენი მოქალაქე ქედხუდა იეზაანთ მერაბაშვილი ოსეფა, იეზაანთ დავითა, [მ]ადინაანთ როსტომა, ოქუანთ დანელა, შარუანთ ისაა. ყოველნი ჩვენი ყმანი ამისი მოწამენი.

დაიწერა ინდიკტიონსა კათალიკოზ-პატრიაქობისა ჩვენისასა ზ, ქელითა კარისა ჩვენისა მღდელ-მღვან-ქედაგ მაღალაძის ნიკოლოზისათა.

აპრილსა კზ, ქრისტეს აქათ ჩღნა.

ხელრთვა: კათალიკოზი
ამის რეა მოწმის ბეგთაი

295. [წყალობის წიგნი ანტონ I-ისა ჩაჩანიძეებისადმი]

[1751 წ. 28 მაისი]

ჭ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა მპყრობელმან, მაღალთა მეფეთა შარავანდედმან კათალიკოზ-პატრიაქმან, ძემან ქართველთა მეფისა იესესმან, ანტონი ესე წყალობის წიგნი და სიგელი გიბოძეთ თქვენ ჩაჩანიძეს პაატას, ძმასა შენსა გიორგის, ივანეს და სერგონას, წვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისა ყოველთავე, ასე და ამა პირსა ზედა:

თქვენი მამა კაცია და თქვენ ჟამთა ვითარებით იმერეთს

ხიზნათ ყოფილიყავით და წერილს პატრიარქს და ამ რეკრიბს ოტიას ოსმალისათვის მიეყიდებინათ.

ბატონი კურთხევით მოხსენებული ბიძაჩემი ყოველად სანატრელი კათალიკოზ-პატრიარქი დომენტი რომ კოსტანტინოპოლიდამ იმერეთს მობრძანდა, მაშა თქვენი კაცია და თქვენ მოხვედით ჩვენს იქ ყოფნაში და შეეხვეწენით და ოსმალოსგან დაგიხსნა და თავის სოლის საოხად წმიდის კათოლიკე ეკლესიას სვეტსა ცხოველს შეგწირა და წყალობის წიგნიც გიბოძათ.

აწე ჩვენს კათალიკოზ-პატრიარქობაში მოხვედით კარსა პალატსა ჩვენისასა და წიგნის გაახლებას დაგვეჯენით, ვასმინეთ ოჯა და მოხსენება თქვენი და ქველაბლა ვანგიახლეთ სიგელი და წყალობა გიყავით. ბიძისა ჩვენისა სოლისა საოხად და ჩვენდა წარსამართებლად ჩვენცა მჯდომი გყავით, ვითარცა სხვანი სვეტის ცხოველისა ყმანი ეგრეთ დაგაყენეთ.

არაფერი საჩვენო სათხოვარი და გამოსაღები არა გეთხოვებოდეს რა; რომელიც ერთი თქვენი ტოლი კაცი სვეტს ცხოველს ემსახურებოდეს, თქვენც თქვენის შეძლებით ისე იმსახურებდეთ. და სადაც თქვენი ნება იყოს, ქალაქსა გორსა, თუ სხვაგან ჩვენს სოფელსა და მამულში, იდგებოდეთ და იყვნეთ. ბატონყმობის რიგითა და წესით გვემსახურებოდეთ.

სხვას არას დიდსა და არც მცირეს თქვენთან საბატონყმოთ ქველი არავისა აქვს. და თუ ვინმე ამისად შლად და ქცევად ქველყოს, ჩვენთა კახთანა ქვეშე განიკახონოს.

ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხოს. არამედ თქვენცა შემდგომად ჩვენსა ყოველად სანატრელნო კათალიკოზ-პატრიარქნო თქვენცა ასევე დაამტკიცეთ, რათა თქვენიცა გაგებული და გარიგებული ღმერთმან მტკიცედ ყოს.

არიან ამისნი დამსწრენი და მოწამენი ერთობილნი მცხეთას შეილნი.

დაიწერა ქველითა კარისა ჩვენისა მდდელ-მდივან-ქადაგ მაღალაძის ნიკოლოზისათა თვესა მაისსა კგ. ქორონიკონსა ულთ.

ხელრაა: კათალიკოზი

296. [ბისონის წყალობის წიგნი ანტონ I-ისა სამეგრელოს იოანესადმი]

[1752 წ. 12 იანვარი]

ქ. ჩვენ, ყოველისა საქართველოსა მაკურთხეველმან, მეფეთა შთამავანდებლმან კათალიკოზ-პატრიარქმან, ძემან მეფის იესესმან, ანტონი ეს წყალობის წიგნი გიბოძეთ თქვენ ყოვლად სამღდელოს სამეგრელო ეპისკოპოზს წმიდას იოანეს.

ასე, რომე: თქვენს მოადგილესა და მოსაყდრეს უპირველესსა ვიდრე აქამომდე ბისონი არა სცმოდათ. თქვენ ჩვენის ეკლესიის მორჩილებით კეთილმსახურს ძმასა ჩვენსა მეფეს ერეკლეს შეეხვეწნით და ბისონის[2] ჩაცმის დასტური ებძანა.

და ჩვენც ჩვენის ცათა მობაძავის კათოლიკე ეკლესი[ი]ს სვეტის ცხოველის უწინააღმდეგობით და მორჩილებით და ჩვენის შენდობითა და კურთხევით დღეის იქით ყოფს რომ სწირევდეთ, ბისონით სწირევდეთ.

დაიწერა იანვარს იგ, [illegible] აქათ ჩღნგ.

ხელრთვა: კათალიკოზი

297. [სამწყსოს წყალობის წიგნი ათანასე თბილელისა სიონის კანდელაკ ზიონადმი, ნუსხით]

[1752 წ. იანვარი]

ქ. გურგინბეგის ესტატე და ბერუა იმათი მოსამსახურე

ქ. პეტროზას გიორგი ფეიქარი იმათი მოსამსახურე

ქ. დარჩიას ბაყალი დემეტრე იმათი მოსამსახურე

ქ. ჩითახს მებაღე დარჩია იმათი მოსამსახურე

ქ. მიდდისი მელქუას ბიჭები ორნი ძმანი

ქ. ავთანდილას მდივნის ბიჭი პეტრე

ქ. სევარხანუმას მებაღე სეიმონა

ქ. რუსთველის ყმა მებაღე გიორგი

ქ. მელიქის ხაბაზი სეხნია

ქ. ამაღლი ივანე, სამწერელი ფარემუზა

ქ. ამაღლი შერმაზანა, იმისი ძმა პატარაცი კლდის უბანში არის.

---

[1] ეკლესის. [2] ბისუნის.

ქ. ამალი გიორგი, ჭრიანტელა გიორგი
ქ. ამალი პაპუა, გიული
ქ. ოდაბაში გოგია
ქ. კოზმანთან ფეიქარი ივანე
ქ. მენახირე ირემა, იმასთან დგა ერთი მებალე
ქ. ანტონი მესტვირე, იმასთან დგა ლაზარე
ქ. მენავთე ზაზა
ქ. ხოძია დედის სიძე ლმრთისა
ქ. გიგაური თავის სიმამრით
ქ. ბერუას სიდედრი თავისის შვილით
ქ. ბოძიაშვილი პეტრია.

ჩემის უბნისა რაც შემიტყვია, ეს არის.

ქ. ნებითა და შეწევნითა სიონთა ღმრთისმშობლისათა ეს წიგნი გიბოძე მე, ტფილელ მიტროპოლიტმან ათანასიმ შენ, სიონის კანდელაკს შიოს ასე, რომე:

ქვემო უბანი სამწყსო ტფილელ მიტროპოლიტს დომე[ნ]ტის შენთვის მოეცა. დიდი წყევლაც დ[აე]წერა, ვინც ეს მოგიშალოსო.

რახან იმისი ნაბოძები წიგნი ჩვენც ვნახეთ, რაც ლაზარეს მღდელს ქვემო უბანში სამწყსო ეჭირა, ჩვენც შენთვის მოგვიცია. არას მღდელს საქმე არა აქვს.

თითონ ჩემის ხელით დამიწერია.

იანვარს, ქორონიკონს უმ.

ბეჭედი: ტფილელ მიტროპოლიტი ათანასი

ქ. ჩვენ, თუმანიშვილმან თბილელ მიტროპოლიტმან ქრისტეფორემ ჩვენს წინთ წმიდ[ა]თ თბილელთ ნაბოძები წყალობის წიგნი შიო კანდელაკს და მის შვილს ი[ე]სეს დაუმტკიცეთ კიდევ. დამტკიცებელი ღმერთმან აკურთხოს.

ქორონიკონს უმ.

ხელრთვა: ქრისტეფორე

298. [წიგნი ანტონ I-ისა თბილელის ნაიბად ქრისტეფორე მროველის განწესების შესახებ]

[1752 წ. 28 მაისი]

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოს პატრიარქმან, მეფის ძემ, ანტონიმ და მეფეებმან ტფილელ მიტროპოლიტი ათანასი ასტარხანს ჩვენს საქმეზე გავგზავნეთ და თავის

მოსვლამდის თავისი ნაიბობა მროველს ქრისტეფორეს მისცა. მეფეებმა და ჩვენც ტფილელის ნაიბობა უბოძეთ. საწმისთ[1] ვიდოდეს აქედამ, ეს ქრისტეფორე ამისი ნაიბი არის.

და ვინცა ვინ ტფილელის კრებულნი თუ ყმანი და სამწყსონი ხართ, ყველანი მართებულის გზით ამას დაემორჩილენით და სიტყვას გაუგონებდეთ.

ვინც წინა აღუდგებით და მართებულად არ დაემორჩილებით, იცოდეთ, დიდად გიწყენთ, სჯულიერის საქმით კიდეც გარდავაქცევინებთ.

ყოველად სამღდელოვ მროველ მიტროპოლიტო ქრისტეფორე! თუ ვინმე შენი წინააღმდეგობა მოიდომოს და მორჩილობა არ გიყოს, ჩვენ მოგ[ვ]ახსენეთ და სჯულიერის საქმით ჩვენ გარდავაქცევინებთ.

როგორც ტფილელმა ათანასემ დაგარიგოს ეკლესიის საქმე თუ მამულისა, ყვალას ისე მოუარე და რიგი მიეც. მეფეების მძახებაც ასე გაქვს და ჩვენც ასე გაგვირიგებია.

მაისს კზ, ქრისტეს აქათ ჩღნბ.

ხელთა: კათალიკოზი

299. [სამწყსოს მიბარების წიგნი ათანასე ტფილელისა ქრისტეფორე მროველისადმი]

[1752 წ. 28 მაისი]

ქ. ჩვენ, ტფილელ მიტროპოლიტი ათანასე მეფემ თეიმურაზ[მან], მეფემ ერეკლემ რუსეთს ელჩად გამგზავნეს. რაჲცა იმათი მძახებით წავედ, მე მოვაწესებე ჩემად ნაიბად დამეყენებინა ვინმე. იმათ ნება მიბძანეს ვინც ვინდოდეს, დაეყენე შენის ნებითაო.

ახლა შენ, მროველი ქრისტეფორე დაგაყენე და მეფეთაც ნება დაგრთეს. ჩვენის საყდრისა მამულით შემოსავალი თუ საყდრითა და ან სამწყსოთი[1] ყველა შენ დაგიგდე და მოგაბარე; შენ იცი, რომელსაც მართებულს მოელას ეცდები, რაც მამული დაგვიგდია, თუ რამ წაჭდეს, იმის გაკეთებასა. ქალაქის აბანოსი, ქარვასლებისა, დუქნებისა, თუ რასაც მამულისა რაც ამიღია, ყველას ჩემი ყაბზი უჭირავს. ნავრუზამდი როგორც იმ ყაბზში ეწეროს, ისრე გაუთა[ვ]ე. ძირს არის ოთხი დუქანი, ამის ქირას თქვენ აილებ-

[1] სამწყოთითი.

დეთ და ერთა ბანებზე ოთახი ამას გარდა. კისაკვე არა ძველი ღვინო, ის მოატანინე და მოიკმარე.

სხვა ჩვენს სოფელში ან ჩვენი ნათესი იყოს, ამისი მოსაველი ან დალა იყოს, ესენი აიღეთ და კველა მოიკმარეთ. რომელი შენგან შეიძლებოდეს კრებულის მოელას ეცადე და ეკლესიისასა.

ნავრეზს უკან რაც ჭალაქის მამულებისაგან აიღო, რაც ან თქვენს ხარჯსა ან სტუმრისას ან რითაც ფერათ დანახარჯს გადარჩეს, ეკლესიისთვის შეინახე.

თუ სიკუდილი არ მეწია, მე მოუსვლელი არ დავდგები. თუ სიკუდილი მეწიოს, მეფემ და პატრიაქმა ვითაც იხებონ, ეგრეთ განაგონ. ჩემი და დამიგდია ორის მოსამსახურითა: შენ იცი, რასაც მოუველი და გაამლებინებ.

მაისს[ს] კთ, ქორონიკონს უმ.

ბეჭედი: ათანასე

300. [წყალობის წიგნი ნიკოლოზ ალავერდელისა გიორგი მასურაშვილისადმი]

[1752 წ. 9 სექტემბერი]

ქ. ნებითა ღმრთისათა და შეწევნითა წმიდისა მთავარმოწამის გიორგისითა ესე უკუნისამდე ქამთა და ხანთა გასათავებელი წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერინეთ და გიბოძეთ ჩვენ, ამბა ალავერდელმა, პაატა მოურავის ძემან, პატრონმან ნიკოლაოზ შენ, ჩვენს ერდგულსა და თავდადებით ნამსახურს ყმას მასურაშვილს იაკობის შვილს გიორგის, ძმას შენსა მამუკას და ყოველთაე მომავალთა სახლისა შენისათა.

ასე რომე: ესაიასშვილის ნავენაკობი სამის დღის მიწა თავისის ნაგვზებითა, სხლითა და ფერკლითა მამაშენს ეყიდა. ახლა ის მიწა, ნაგვზები და ხეხილი გამოგარკვით, ამიტომ რომ შენზედ უმკროდ იყო და იმის მაგიერად გიბოძეთ ჩვენი ბეითალმანი მეგრელიაშვილის მამული, ზეროშვილის ვენაკის გვერდზედ ვენაკი, მისის საკნივითა, ქვევრ-მარნითა, მიწა-წყლითა, წისქვილითა, შესავლითა, გასავლითა, მთითა და ბარითა, ნასყიდითა და უსყიდითა, ყოველის მისის სამართლიანის სამძღვრითა გვიბოძებია.

არ მოგეშალოს არც ჩვენგან და არცა სხვათა ჩვენთა შემდგომთა ამბა ალავერდელთაგან, არც: დიდთა და არცა მცირეთაგან.

აწე თქვენცა შემდგომად ჩვენსა ყოველად სახატრელნო ამბა

ალავერდელნო, ეს ჩვენი წყალობის წიგნი თქვენცა ასევე დაუმტკიცეთ, რათა ღმერთმან თქვენიცა გაგებული და გაძლიერებული ყოველ-
ცედ და უნაკლულოდ ყოს დღესა მას დიდსა განკითხვისასა.

და თქვენცა გიბძანებთ კარისა ჩვენისა სახლთხუცესნო, მდივან-მწიგნობარნო და ყოველნი კარისა ჩვენისა მოსაქმენო, ეს ჩვენი დამტკიცებული წყალობის წიგნი თქვენცა ასევე დაუმტკიცეთ.

ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხნეს, ამინ.

აღიწერა ბძანება ესე თვესა სექდემბერსა **თ**, ქრისტეს აქეთ **ჩღნა**, ქორონიკონს **უმ**.

ბეჭედი: ალავერდელი ნიკოლაოზ

301. [წყალობის წიგნი ანტონ I-ისა ჯვარის მამის დეკანოზ იოანესადმი]

[1762 წ. 11 დეკემბერი]

ჭ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა დიდმან მწყემსთ-მთავარმან მაღალთა მეფეთა შარავანდედმან კათალიკოზ-პატრიარქმან, ძემან ქართველთა მეფისა იესესმან, პატრონმა ანტონიმ ესე უკუნისამდე ჟამთა, ხანთა და დროთა გამოსადეგი სამკვლოს და საბოლოო წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ ჯვარის მამის მონასტრის დეკანოზს იოანეს, ასე და ამა პირსა ზედან:

შვენ უსარჩობასა და უსამწყსოვობას სჩიოდით, მოხვედით ქარსა დარბაზ-პალატისა ჩვენისასა და სამწყსოს ბოძებას დაგვეკუნით, ვისმინეთ ავჯა და მოხსენება თქვენი, ვიკულევეთ და ვიგულისმოდგინეთ, ვითაც უსარჩოვო და უსამწყსოო იყავ, ჩვენცა შეგიწყალეთ და გიბოძეთ ქალაქში ვინცაეის უბეცო, ეული და მოსული კაცი იყოს და ან მოვიდეს.

და რაც დღესამდი ვისთვისმე გეხუცებინოს და ან უხუცო რომ სხვას მღდელს არ ეხუცებინოს და მისსა არა გაეყოლოს, შენთვის წყალობა გვიქნია და გვიბოძებია. სჯულიერის წესით მწყსიდე და ასწავებდე.

და ამასდა გარდა შენის სახლის ხუცობაც შენთვინვე გვიბოძებია და წყალობა გვიქმნია. არავინ ამისი მცილე და მოდავე არავინა გყვანდეს, თვისიერ ღმრთისა მეტი.

აწე ეს ჩვენგან ბოძებული წყალობა გჭოსდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენსა დიდათ ერდგულობასა შინა, არ მოგეშალოს არცა

სხვათა მეპატრონეთაგან, არცა მეფეთა, დედოფალთა და უფლის წულთაგან არცა დიდთა და არცა მცირეთაგან.

და რომელმანცა ამისდა შლად და ქცევად ჴელყოს, ჩვენსა კანონთა ქვეშე ვასიკანონოს; ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხოს.

აწ შემდგომად ჩვენსა თქვენცა ყოვლად სანატრელნო კათალიკოზ-პატრიაქნო, თქვენცა ასევე დაუმტკიცეთ და გაურიგეთ, რათა თქვენიცა გაცებული და გარიგებული ღმერთმან ყოველივე მტკიცე და უხაკლულო ყოს.

არიან ამისი მოწამენი, დამხდურნი და ნების დამრთველნი ერთობილნი მცხეთელნი.

დაიწერა იხდიქტიონსა კათალიკოზ-პატრიაქობისა ჩვენისასა თ, ქრისტეს განკორციელებითგან ვიდრე აქამომდე წელნი გარდასრულიყუნენ ჩღნბ, კორონიკონსა უმ, თვესა დეკემბერსა ია, ქელითა კარისა ჩვენისა მდდელ-მდივან-ქადაგ მაღალაძის ნიკოლოზისათა; დასაბამითგან ვიდრე აქამომდე წელნი გარდასრულიყუნენ შვიდი ათას ორას სამოცი, ჳხჲ.

ხელთაჲ: კათალიკოზი

საბუთის თავში პეჭდი: რომელი განჴსნათ ქუეყანასა ზედა, ჴსნილ იყოს იგი ცათა შინა.

ქ. ჩვენ, საქართველოს კათალიკოზ-პატრიარხი ითსებ ვამტკიცებთ წიგნსა ამას.

ხელთაჲ: კათალიკოზი

ქ. ჩვენ, თბილელი მიტროპოლიტი ამ წმინდა[ნ]ა პატრიაქთ ნაბოძებთ წიგნს ვამტკიცებთ.

ხელთაჲ: ქრისტეფორე

302. [წიგნი ანტონ I-ისა მურვან მურვანიშვილისადმი სოფლების მიბარების შესახებ]

[1752 წ. 18 დეკემბერი]

ქ. საქართველოს პატრიაქის მეფის ძის ანტონის კეთილად სახსენებელო მურვანიშვილო მურვან!

მერე სურამს ჩვენი ყმა ვინცაცაინ იყოს ქართველი, სომები თუ ურია, ყველა შენთვის მოგვიბარებია. თვალი და ყური გეჭიროს, არავინ რა ძალი და ჭსამართლო უყოს. სხვას კაცს ქელი არავისა აქვს ჩვენს მეტსი: არც მოურავსა, არც მამასახლის[ს]ა და არც სხვას მოსაქმესა.

როცა ჩვენი წიგნი და სიტყვა მოგვივიდოდეს, როგორც შეგვლისათ, თავთავის შეძლებით ისე გვამსახურებდეთ. და თუ ვინმე ვინმეს ლი და უსამართლო ყყოს, ჩვენ მოგვახსენე და პასუხს ჩვენ გავცემთ. რაც შეგეძლოს, რიგიანათ თვალი და ყური გეჭიროს.

დეკემბერს ი[ვ. წელსა] ჩლნბ, ქორონიკონსა უმ.

ბეჭედი: კათალიკოზი ანტონ*

303. [ყამსახურის განწესების სიგელი ანტონ I-ისა თბილისის მსახლობელთადმი]

[1762 წ.]

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა ჩვენ, ყოველისა საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქმა, მეფის ძემ, უფალმა ანტონიმ ესე წყალობის სიგელი დაგიწერეინეთ და გიბოძეთ თქვენ, სვეტისცხოველისა და ჩვენს მკვიდროფთ ყმათ, თფილის ქალაქს მსახლობელთ: მაწასახლისს[ს] პეტრე იეზაანთ მერაბი შვილს ოსეფს, ოქროანთ მიდდისი ბეჟუა შვილი დანელას, შადინაანთ შაეერდას შვილს როსტომს, შადინაანთ ბაღდასარას შვილს სტეფანეს, იეზაანთ ბაღდასარა შვილს არუთინას, მაროაანთ ასაიას და ყოველთავე ერთობით სვეტის ცხოველისა და ჩვენს მკვიდრთა და ერთგულთა მოსამსახურეთა, მოქალაქეთა ყოველთავე ასე, რომე:

ავის დროებით და უმკვიდროთ ქართლის ბატონობაში ხან ოსმანთ ეჭირა, ხან ყიზილბაშთა: არც მეფე იჯდა ქრისტიანე და არც პატრიარქი. და ვინც მაშინ ბატონობდენ მოხელეები და გამრიგე მოსაქმენიც ქალა[ქ]შიგაც და სოფლებშიც, იმათ თანავ ყოვდათ და ქალაქსაც და სრულ საქართველოსაც უსამაროლო ბევრი რამ საოხოვარი და გამოსაღები დასდებოდა, დიდს შეწუხებაში და ბეგარაში ჩაცვივნულ იყავით და მეტადრე სვეტისცხოველის ყმანი და ყველა საყდრების ყმანი.

ახლა ღმერთმან წყალობა რომ უყო საქართველოებს და ისევ ქეთილმსახური და მართლმადიდებელი მეფე და ბატონი დაგვიჯდა ცხებული მეფე თეიმურაზ და ძე მისი, მეფე ქახეთისა ირაკლი; მას ყამსა ჩვენ, მეფის თეიმურაზის დისწულსა და

* ბეჭდის ლაგენდა კარგად არ იკითხება.

ქართველთ მეფის ძეს, უფალს ანტონის გვერწმუნა კათოლიკე და სამოციქულო სამართლმადიდებელი ეკლესია სვეტის-ცხოველისა და საერთოდ ემბაზი მცხეთას და ყოველნი კათალიკოზ-პატრიარქი, იყო ქრისტეს აქეთ ქორონიკონი ჩლმგ.

გარდახდეს წელნი რაოდენნიმე და მოხვედით კარსა დარბაზ-ბალატისა ჩვენისასა და თქვენი დაჭირება და უსამართლო ყველა მოგვახსენეთ და პირველსავე ძველს განწესებასა და გუჯრებზე სამსახურ[ი]ს აჯა ითხოვეთ, რომელიც ძველთ ნეტარად მოსახსენებელად საქართველოს მეფეთ შემოეწირენით და სამსახური დაედგად სვეტის ცხოვლისა სანთელი და საჩვენო სათხოვარი და ბეგარა ან ჩვენს პირველთ მართლმადიდებელთ სანატრელ საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქთა.

ჩვენც ეს წყალობა გიყავით და კიდევ თქვენის აჯის სამუქფო მეტიცა: რომ: რაგინდ ფერი ცუდმადი სამსახურიც ამოგიკვეთეთ, ამისთანა აღარა გეთხოვებოდესთ რა [და] თქვენი განწესებული ძველივე გაგიახლეთ ამ გუჯრითა.

ამას მოგეცემდეთ: სანთელი რაც სახელდობ წონით ყველას გაწერიათ, არცავინ ხართ ამის სახთლის თარხანი; ბაჟს ნახევარს მოგვცემდეთ; ლაშქრისა და ნადირობას როსაც ქალაქის კაცთ დაუძახებდენ, რაც თქვენ შემოგხვდებოდესთ, იმ ანგარიშით კაცი ნუ დაგვაკლდებით; ორს თუმანს სამასპინძლოთ მოგვართმევდეთ წელიწადში ერთხელ.

ჩვენი სამსახური ბეგარად ამას მეტი არა დაგვიდვია რა, ეს ასე გაგითავდესთ სვეტის ცხოვლის და ჩვენს ერთგულად სამსახურსა შინა, არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა შემდგომთა ჩვენთა კათალიკოზ-პატრიარხთაგან.

თქვენც შვილთა კათოლიკე ეკლესი[ი]სათა ათორმეტთა ტომთა და კარისა ჩვენისა გამგებელთა ყოველთავე ეს ჩვენგან ნაბოძები წყალობისა და სამსახურის განწესების სიგელი, თქვენც ესე დაუმტკიცეთ და ნუ მოუშლით.

აღიწერა ბძანება ესე ჩვენი ინდიქტიონსა კათოლიკოზ-პატრიარქობისა ჩვენისასი **ი**, ქრისტეს აქეთ ქორონიკონსა **ჩლნბ**, ხელითა მხატვრისა ი ო ვ ა ნ ე ხ უ ც ი ს ა თ ა, ქართულსა ქორონი-

კონს **უმ**.

304. [წყალობის წიგნი ანტონ I-ისა ოძუაანთ დანელასა და სტეფანესადმი]

[1753 წ. 2 მარტი]

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა და აღმოსავლეთისა დიდმან მამათმთავარმან და მეფეთა შარავანდედმან იესიან, დავითიან, სოლომონიან, პანკრატოვანმან და ძემან ქართველთა მეფისა იესესმან, პატრონმან ანტონიმ ესე უკუნისამდე ქამთა და წელთა დრო უცვალებელი და მიზეზშემოუელებელი წყალობის წიგნი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენს სამკვიდროთ ქმათ და ჩვენის ეკლესიის ერთგულათ ნამსახურთ ოქუაანთ ბექუას შვილს დანელას, ძმასა შენსა სტეფანეს, შვილთა თქვენთა იაკობს და ავთანდილს, ძმისწულსა თქვენსა აბუცს, ნასყიდას შვილებს დავითსა, შვილსა შენსა აღალუასა და ძმისწულსა თქვენსა ზურაბას, შვილთა თქვენთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთაევე, ასე და ამა პირსა ზედან, რომე:

ბიძაშვილი არუთინას ეე ალექსი თქვენგან გაყრილი იყო და უშვილოთ გარდაიცვალა, ამოვარდა და არავრისთანა არა დარჩა რა. იმისი მამული ჩვენთვის დავიჭირეთ.

მოხვედით კარსა დარბაზ-პალატისა ჩვენისასა და თქვენის ბიძაშვილის ალექსას მამულის წყალობას დაგვეკენით. ვისმინეთ ჯერ და მოხსენება თქვენი და გიბოძეთ ალექსას წილი მამული, რისაც მჭონებელი იყო დექნის ან ქარვასლისა, ბაღისა და სახლკარისა და ალგეთზედ ნაოხრის წისქვილისა, ნაბაღვარისა და ნავენახარისა და ენაგეთს სახნავის მიწებისა.

ამის მიხედვითა, რომე ალექსას თქვენს მეტი პატრონი არავინ ჰყუანდათ, ცოცხალსაც თქვენ უვლიდით და სიკუდილის დღესაც თქვენ დაეამარხვინეთ და ქურივიც თქვენ გაისტუმრეთ; და რაც ალექსას ვალი ჭონდა, ისიც თქვენ გარდაუხადეთ და ჩვენს ეკლესიაც დიდათ ჰმსახურეთ.

იმისის მამულისა რისაც მჭონებელი იყო ან თქვენის მამა-პაპათ ნასყიდი მამული ან ჩვენის ეკლესიის წყალობა სჭირვებოდა, ყველა ჭელშეუვალად თქვენთვის წყალობა გვიქნია და გვიბოძებია და იმისის წილის ყმისა.

და თუ დღეის უკან ალექსას აღებული ვალი გამოჩნდეს, ისიც თქვენვე გარდაუხადოთ; და ან ასაღები გამოჩნდეს, იაიც თქვენთვის გამოართვათ.

გქონდესთ და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენსა ერთგულებაზე და სვეტის ცხოველსა სამსახურსა შინა და არაოდეს მოგეშალოთ არა ჩვენგან და არცა ჩვენსა შემდგომთა კათალიკოზ-პატრიარქთაგან.

არამედ თქვენაც შემდგომად ჩვენსა კათალიკოზ-პატრიარქნო, თქვენცა ასევე დაუმტკიცეთ, რათა თქვენიცა გაგებული მტკიცე და უნაკლულო ყოს ღმერთმან; და ნუ კელყოფ შლად ამისა.

არიან ამის მოწამენი და ნებისდამრთველნი ერთობილნი მცხეთის შვილნი.

აღიწერა ბძანება ესე მარტს ბ, ინდიკტიონსა პატრიახობისა ჩვენისასა თ, ქორონიკონს ჩლნგ, გელითა მღუდლის მიხაილისათა.

ხელითა: კათალიკოზი

ბეჭედი ანტონ კათალიკოზისა*

თავში ბეჭედი: რომელი განვსნათ ქუეყანასა ზედა, ესნილ იყოს იგი ცათა შინა.

პატრიაქის მოლარეთბუცესი გედეონის ძე პაატა ამ წმიდის პატრიაქის ბძანებისა ნების დამრთველი და მოწამე ვარ.

ბეჭედი: მონა ღთისა ყმა კათალიკოზისა პაატა

სარდალი გაბრიელ ამის ნების დამრთველი და მოწამე ვარ ბეჭედი

ჩვენ, მდივანი მაღალაძე ნიკოლოზ ამ წმიდის პატრიაქის, მეფის ძის, დავითიანის შარავანდედის პატრონის ანტონის ბრძანებისა და წყალობის ნების დამრთველნი და მოწამე ვართ. ნებითა ღმრთისათა ქორონიკონს **უმა**, [წელსა] **ჩლნგ**.

ბეჭედი: მაღალაძე მდივანი ნიკოლოზ

თაზისშვილი სუფრაჩი პაატა[1] ამ ბატონის წყალობისა ნების დამრთველი და მოწამე ვარ.

ბეჭედი: პაატა

---

[1] პატაა.

* ბეჭდის ტექსტი არ იკითხება.

თაზისშვილი მგალობელი იესე ამ პატრიაქის წყალობისა ნების დამრთველი და მოწამე ვარ.

ბეჭედი: თაზიშვილი მგალობელი იესე

ჩვენ, ხერხეულიძე იოანე ამ წმიდის პატრიაქის წყალობისა ნების დამრთველი და მოწამე ვართ.

ბეჭედი: იოანე

მე, პატრიაქის მამასახლისი პეტრე ამისი მოწამე ვარ.

ბეჭედი: პატრიაქის მამასახლისი პეტრე

305. [წყალობის წიგნი ანტონ I-ისა სარდალ გაბრიელ გედეონისძისადმი]

[1753 წ. 8 აპრილი]

ჩუენ, ღმრთისა მიერ კურთხეულმან ყოველისა საქართველოსა პაკურთხეველმან დიდმან მწყემსთმთავარმან ღმრთივ-გვირგვინოსანთა მეფეთა შთამავნდედმან იესეან, დავითიან, სოლომონიან პან. კრატონმა კათალიკოზ-პატრიაქმან, ძემან ქართველთა მეფისა იესესმან, პატრონმან ანტონი ესე უკუნისამდე ჟამთა და დრო ცვალებადთა გასათვებელი მტკიცე და მიზეზშემოუღებელი და ყოველთა კაცთა მიერ მოუდევარი, სამკვიდრო და საბოლოო წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ სვეტის ცხოვლისა მკვიდრსა და თაედადებით ერთგულთა ნამსახურთა ყმათა ჩვენთა აზნაურშვილს გედეონისძეთ სარდალს გაბრიელს, შვილსა შენსა შიოშს, გიორგის, იოანეს და იესეს, ბიძაშვილსა შენსა პეტრეს, ძმასა მისსა ერასტის, შვილსა მისსა გედევანს და იოანეს და ძმისწულსა მათსა გლახას. შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისა ყოველთაცა, ასე და ამა პირსა ზედა:

ჩვენის აზნაურშვილის ჭარმაულთათვის და მათის სახლისათვის ძველადგან თქვენს მამა-პაპათა რომ თავეთი ქალი მიეცათ, ზითვათ სოფელი გოროვანი გაეტანებინათ; და ჟამთა ვითარებისაგან ჭარმაული ამოშწყდარიყუნეს და ერთი იმათი სახლისკაცი ჭაიხოსრო ისიც უშვილო დარჩომილიყო და თვითონ ჭაიხოსროსაც თქვენთვისვე წიგნი მოეცა. თქვენგან გამოტანებული სოფელი გოროვანი თქვენთვისვე მომიცემიათ.

აწე მოხუცდით კარსა დარბაზ-პალატისა ჩვენისასა, დაგვეჯე-

ნით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, ვიგულვეთ და ვიგულ-/ მოდგინეთ; და ქაიხოსროს წიგნი რომ მოეცა, ის წიგნიც გვაჩვენებდა და ჩვენცა გიბოძეთ და წყალობა გიყავით და დაგიმკვიდრებდა ცალ- ბოლოდ სოფელი გოროვანი თავეთის მთითა, ბარითა, საჭნავითა, უჭნავითა, წყლითა, წისქვილითა, საკაფითა, უკაფითა, სასაფლაოთი, ნასყიდითა, უსყიდითა, და ყოველის მათის საზღვრითა და ნატამლითა.

და რომელიცა პირველ ქონებოდეს გოროვანსა და ანუ მასუკან შეემატებინოს ხასყიდი, ყოველივე თქვენთვის უნაკლულოდ, ჭელშეუხლად, უცილებელად და ულაპარაკოდ გვიბოძებია და წყალობა გვიქნია.

აწე გჭონდესთ და გიბედნიეროს ღმერთმან სვეტიცხოველის სამსახურსა და ჩვენსა დიდათ ერთგულობასა შინა, არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა სხვათა მებატონეთაგან, არც: დიდთა და არცა მცირეთაგან და არცა ძლევრთაგან.

ხოლო დამამტკიცებელი ამისნი ღმერთმან აკურთხოს და წმიდამა კათოლიკე ეკლესიამ, ცათა მობაძავმა ახალმა იერუსალემმან, ღმრთივ-აღმართებელმა კვართმა სიუფლოჲ და მიბრონმა წმიდამან.

და ესეცა: ასე განგისაზღვრეთ სოფელი გოროვანი ორთავე სწორეთ საძმოთ გიბოძეთ, საერთოთ გჭონდესთ და როცა გენებოსთ და მოიხდომოთ, შუა გაიყავით: ნახევარი სარდალს გაბრიელს და მის შვილთ დარჩეს და ნახევარი პეტრესა და ძმასა მისსა ერასტის და შვილთა მათთა დარჩესთ. ესე ასე ჩვენგან წყალობა გაგითაედესთ.

აწე თქვენცა შემდგომად ჩვენსა ყოველად სანატრელნო კათოლიკოზ პატრიარქნო, თქვენცა ასევე დაუმტკიცეთ და გაურიგეთ, რათა თქვენიცა გაგებული და გარიგებული ყოველივე მტკიცედ და უნაკლულო ყოს და დამტკიცებულ.

არიან ამისი მოწამენი, დამხუდურნი და ნების დამრთველნი ერთობილნი ჩვენის კათოლიკე ეკლესიის შვილნი მცხეთელნი ჩვენი სახლთუხუცესი მაღალაძე გიორგი, დეკანოზი იოანე, ქარსიძე მესტუმრე გიორგი, თაზიშვილი სუფრაჩი პაატა, ქადაგიშვილი შიოშ და ყოველნი მცხეთის შვილნი.

დაიწერა ინდიკტიონსა კათოლიკოზ-პატრიარქობისა ჩვენისასა თ, თვესა აპრილსა გ, დასაბამითგან ჩსჲა, ქრისტეს აქათ ჩლნგ, ქო-

რთნიკონს უმა, კელითა ქრისა ჩვენისა მღდელ-მდივან-მწიგნობრისა ქადაგ-მგალობელ მაღალაძის ნიკოლაოზისათა.

და ესეცა ვიბრძანებია: სანამ ქაიხოსრო ჭაბუკი ცოცხალი იყოს, შეინახეთ სმა-ჭამითა და ჩაცმითა, და როცა მოკვდეს და როგორც მართებული იყოს, ისე დამარხეთ.

ხელრთვა: კათალიკოზი ანტონი...*

თავშიბეჭედი: რომელი განჰსწავთ ქვეყანასა ზედა, ჰსწილ იყოს იგი ცათა შინა.

306. [ყუალობის წიგნი ერეკლე II-ისა და ანტონ I-ისა იოანე გოდაველისადმი]

[1753 წ. 25 აპრილი]

ჩ. სამეუფოთა და ღმრთივთა[1] განგებათაგან მეფედ ყოველთა საქართველოთა ზედან ცხებული მეფის თეიმურაზის პირმშომ ძემ, მეფემ კახეთისამან ირაკლი და თანამდგომმან წმიდამან მამამან და უფრორე მრძენმან სანატრელმან ყოვლისა საქართველოსა პატრიარჭმან ბატონის შვილმან უფალმან ანტონი ჩვენდა მომართ მოქენესა ამა წყალობისასა თქვენ, განკრძალულსა[2] მღდელთმთავარსა, ღირსსა ბოდბელ მიტროპოლიტს იოანეს, თხოვნისაებრ თქვენისა გებოძა ჩვენ მიერ ბოდბლობაზედ მრავალმთის გარესჯის წმიდის დავითის მონასტერი საწინამძღვრო.

ვინადგან ღირს იყო დიდებულობისათვის მონასტრისა, რათა არეთმთავარი მისი არქიმანდრიტად იკურთხეოდის, ჩვენცა ვგრეთ სათნო ვიჩინეთ და იღუმენლობისა წილ არქიმანდრიტობისა ხარისხი აღუმაღლეთ, რათა შემდგომნი თქვენი არეთმთავარნი დავით გარესჯისანი მიტროპოლიტთ არქიმანდრიტად კელდასხმულ იქმნებოდენ და შემდგომად საქართველოსა პატრიაქისა მოხსენებისა თვისსა ეფისკოპოზსა მოიხსენებდეს მომხსენებელნი წარმართებისათვის მეფობისა ჩვენისა და სულთა ჩვენთა სოხად.

აღიწერა ბრძანება ესე თვესა აპრილსა კე, წელსა ჩლნგ.

ხელრთვა: კათალიკოზი

---

[1] მღთივთათა. [2] განკარძალულსა. [3] მრხასტრისა.

* ხელით ნაწერი ერთი სიტყვა კარგად არ იკითხება.

307. [წყალობის წიგნი ანტონ I-ისა ქაიხოსრო გიჯიძრელისადმი]

[1758 წ. 23 ნოემბერი]

ქ. ჩუენ, ღმრთისა მიერ კურთხეულმან მაღალთა მეფეთა შარავანდედმან ყოვლისა საქართველოსა დიდმან მწყ[ს]ემსით-მთავარმან, ძემან ქართველთა მეფისა იესესმან, პ ა ტ რ ო ნ მ ა ა ნ ტ ო ნ მ ა ესე უკუნისამდე ჟამთა და დროთა გამოსადეგი წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, სვეტისცხოველისა მკვიდრსა და ყმასა, ჩუენსა აზნაურშვილს გ ი ჯ ი ყ რ ე ლ ს ქ ა ი ხ ო ს რ ო ს, ძმასა შენსა ბ ე რ ს ა და შვილსა შენსა ზ ა ა ლ ს, ბიძაშვილსა შენსა რ ე ვ ა ზ ს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისა ყოველთაცა, ასე და ამა პირსა ზედა:

ჩუენს სახასოს სოფელს კახეთს ა ხ ა ლ შ ე ნ ი ს თქვენს სამოურაოში რაც ღორის საბალახე აიღებოდა, იმისი მესამედი თქვენ მოგეცემოდათ. მოხვედით, მოგვახსენეთ, დაგვეჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი. იმ მესამედზე ჯელი აგაღებინეთ. და რადგან ახალშენს სოფელში მეკომური გლეხნი გყვანდათ და მთასა და ადგილში წილი გედვათ, ჩუენის სარგოს ღორის საბალახისა ნახევარი მოგეცემოდესთ; და მესამედზედ კი ჯელი აგაღებინეთ.

აწე ეს ჩუენგან წყალობა არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არცა სხვათა მეპატრონეთაგან. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან სვეტის ცხოვლის სამსახურსა და ჩუენსა დიდათ ერთგულობასა შინა.

აწე თქვენცა, შემდგომად ჩუენისა სიკეთისა სიანტრელნო კათალიკოზ პატრიაქნო, თქვენცა ესევე დაემტკიცეთ, რათა თქვენიცა გაგებული და გარიგებული ღმერთმან მტკიცე და უნაკლულო ყოს.

არიან ამისნი მოწამენი, დამხდურნი და ნების დამრთველნი ერთობილნი მცხეთიშეილნი.

დაიწერა ინდიატიონსა კათალიკოზ-პატრიაქობასა ჩუენისასა ი, თვესა ნოემბერსა კგ, ქრისტეს აქათ ჩ ლ ნ გ, ჯელითა კარისა ჩუენისა მდდელ-მდივან-ქადაგ მ ა ღ ა ლ ა ქ ი ს ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს ა თ ა, ქორონიკონსა უმა.

ხელითა: კათალიკოზი

[შეწირულების წიგნი გაბრიელ ბაქონდიდლისა მარტვილის ტაძრისადმი]

[1768 წ.]

... მარტვილის ღმრთისმშობელო... მე, სიყრმიდგან მონამან და მადიდებელმან ტაძრისა შენისამან, დ ა დ ი ა ნ ი ს ბ ე ქ ე ნ ი ს ძ ე მ ა ნ, ბ ა ტ ო ნ მ ა ნ ჩ უ ო ნ დ ი დ ე ლ მ ი ტ რ ო პ ო ლ ი ტ მ ა ნ

გაბრიელ... წწველილადი ეგე შესაწირავი ძღვნად მოგეძღვნა ღმერთისა, რომ: გულუხვთს ჩვენი ღმა ბუჰუკელა გიგინეიშვილი შვილი იყო, მოკვდა ის; და მისი კაცები რაც იყო სხვებმა, სულ ყველა დრისა შენი ყმა იყო, მაგრამ ეს სანთლის ბეგარა არ ემართა და ჩვენ დავადევით.

ცხრა გლეხი არის თავს: ერთი სეხნიელი იობაძე და მისი ძმა ბუჰუელა, მეორე კიდევ მახარებელი იობაძე, მესამე ფირცხალავა გიორგი, მეოთხე კიდევ ფირცხალავა სეხნია, მეხუთე გიგინეისშვილი ტატუელა, მეექვსე გიგინეისშვილი ლაშკარა.

ამ ექვს გლეხს ურმოული ღომის ბეგარა ემართა; ურმოული ღომი გარდავიღეთ და თითო მარჩილის სანთელი და თითო რუბის საკმეველი დავადევით.

და ამ სამს გლეხს: გოჩია გიგინეისშვილს, მამისთვალა გიგინეისშვილს და ბუჰუელა გიგინეისშვილს ურმოული არ ემართა და ღორის ბეგარა შევაწიეთ და თითო მარჩილის სანთელი დავადევით.

ამას გარეთ კიდევ რობაა: სამი გლეხი იყო ჩვენი: ქორიავა ხუტუ და მისი ძმა კაცობა; მეორე გლეხი ჩიქობავა ბაძღუელა; მესამე გლეხი სვიმონა ჯგიმორდელი და მისი ძმა ხახუტელა. ეს სამი გლეხი რობას ესახლენ, მაგრამ მიქელაძებმან არ დააყენეს და წამოვიყვანეთ და გამოღმა კოდორს დავესახლეთ. სამივე გლეხს ურმოული ღომი შევაწერეთ და თითო მარჩილის სანთელი თქვენის საყდრისათვინ დავადევით და თითო რუბის სანთელი სუჯუნის საყდრისათვინ. ამ რობელი კაცების დავთარი სუჯუნასაც დაეგზავნა.

აწ როგორც გაიგებით სანთელი და საკმეველი ამ წიგნში დავიწერია, ისე ყოველს დიდმარხვაშიდ... შენის საყდრის სანთლის და საკმეველის ჩამომბმოჯავას მისცემდეს ჩვენის სულის სათხად.

და თუ წყალობითა შენითა იმატონ და გაიყონ, რამდენიც გლეხი შეიქნას, ეს საყდრისა შენისა ბეგარა თითო გლეხზედ ისევ სრულად გაყვეს.

ხოლო ჟამთა ვითარებისაგან რომელიმე გლეხი ამოსწყდეს, ვინც იმ გლეხის ნაპარტახი ალაგ-მამული დაიკაოს, ეს ბეგარა როგორც სწერია, იმ კაცმა გარდაიხადოს.

ამას გარეთ ამ კაცებს თუ რამ ბეგარა მართებს, იმას ვინც ჭეონდიდელი იყოს, იმას მიართმევდეს და არც მიდღემჩი არავის მე-ბატონისაგან ეს თორმეტი კაცები აზნაურსშვილს ყმად მიეცეს...

დაიწერა ქორონიკონსა უმა.

309. [წყალობის წიგნი ანტონ I-ისა გიორგი სახლთუხუცესისადმი]

[1754 წ. 10 ნოემბერი]

ქ. იესო ქრისტეს მოსა უფალი ანტონი, კათალიკოზი ყოველთა ქართველთა და პატრიარხი სამეუფოსა ქალაქისა ახლისა იერუსალემისა მცხეთისა, გიბძანებ ყოველთავე კარისა ჩვენისა მოჭელეთა, მოლარეთა, ნაცვალთა, მამასახლისთა და ყოველთა სოფლებისა ჩვენისა მოსაქმეთა.

ვერმე ამ ჩვენს სახლთუხუცესს გიორგის როგორადაც ძველთაგან ამათს მამა-პაპათ ქონიათ წმიდის პატრიაქებისაგან სახლთხუცობა, და ყოვლის ფერიდამ ჩვენის ოცისთავის შესაფალი ქონიათ, ჩვენც ავრეთვე წყალობა უყავით და ჭელაბლა გვიბოძებია ყოვლის ჩვენის შემოსავლიდამ — პერიდამ, ღვინოდამ თუ თეთრიდამ, ქართლიდამ თუ კახეთიდამ რაც ჩვენი შემოსაფალი იყოს, ოცისთავს უკლებლად ნიადაგ ამას მოსცემდეთ.

ეს ჩვენი წყალობა ასე გაუთაედეს. ამისად შლად და მცევად ნურავინ ჭელჰყოფთ.

დაიწერა თვესა მარტსა ი, ქორონიკონსა აქათ ჩღნდ.

ხელრთვა: კათალიკოზი

310. [წყალობის წიგნი ანტონ I-ისა გაბრიელ გედეონიძისადმი]

[1755 წ. 12 ნოემბერი]

[ქ.] ჩვენ, ღმრთისა მიერ კურთხეულმან და ყოვლისა საქართველოსა [მა]ყურთხეველმან, ღმრთივ-ცხებულთა მადალთა მეფეთა შარავანდედმან, იესიან, დავითიან, სოლომონიან პანკრატიონმან კათალიკოზ-პატრიაქმან, ძემან ქართველთა მეფისა იესესმან, ანტონი, ესე ჯკუნისამდე ჟამთა, ხანთა და დროთა გამოსადეგი, მტკიცე და უცვალებელი, საწკვიდრო და საბოლოო და ყოველის კაცის მოუდეველი და ნათესავთა თქვენთა მოუდეველი წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ძველადვე სვეტის

ცხოველისა მკვიდრობასა და თავდადებით ერთგულსა ყმას ჩვენსა გედეონისძეს სარდალს გაბრიელს. შვილსა მისსა ...შვილსა ოშს, გიორგის, იოანეს და იოსებს, შვილთა დ...ძმისშვილთა ვალთა სახლისა თქვენისა ყოველთავე, ამით უკვე მიზეზითა, რომ:

თქვენი მკვიდრი ყმა ყოფილიყო ძველადგან მუხადგაერდელი იოანე; ჩვენ ის გამოგვართვით და სვეტს ცხოველს შევწირეთ და ამის სანაცვლოდ ბადაშვილი ჩვენი ყმა მემკვიდრე გიბოძეთ.

და მერმე შემოგვეხვეწნენ და ისიც ისევ გამოგართვით და იმის სამაგიეროდ და სამუქფოდ გიბოძეთ და წყალობა გიყავით: მრავალთა კაცთა საჭელად ნაქონი სოფელი ...შენდა ოდესმე იესე მაღალაძეს საშოურაოდ ჭონებოდა და ვითარისა რასმე მიზეზითა დანაშაულობისათვის ბიძა ჩვენს, სიცოცხლოდ ცხოვრებად მისრულს, გამოერთმევინა და ხუცია და სიამისათვის მცირედ ხანს მიებარებინა.

ჩვენ მოკითხული ვყავით და რადგან ეს ასრე ყოფილიყო, ჩვენ თქვენ სამკვიდროთ გიბოძეთ და წყალობა გიყავით ამშენდის მოურაობა და დვინიაშვილისა და კობაძისა, ეს ასრე ჭელუშლელად, ულაბარაკოდ და უცილებლად და ყოველის კაცის მოუდევრად და ნათესავთა თქვენთა მოუსარჩელელად.

ამწე ეს ჩვენგან მოცემული წყალობის წიგნი არ მოგეშალოს, არა ჩვენგან და არცა სხვათა მეპატრონეთაგან, არცა მეფეთა და დედოფალთა და უფლისწულთაგან და არცა ქამთა ცვალებათა და დრო პოვნიერებათაგან.

არამედ თქვენცა შემდგომად ჩვენსა კათალიკოზ-პატრიაქნო თქვენცა ასევე დაუმტკიცეთ და გაურიგეთ, რათა თქვენიცა გაცემული და გარიგებული ღმერთმან ყოველივე მტკიცე და უნაკლულო ყოს.

და უკეთუ ვინმე ამისდა შლად ჭელყოს, ჩვენთა კანონთა მიერ განიკანონოს.

ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხოს და ცათა მობაძავმან კათოლიკე ეკლესიამან.

არიან ამისი მოწამენი და ნების დამმრთველნი ერთობილნი კათოლიკე ეკლესიისა შვილნი მცხეთელნი: ჩვენი სახლთუხუცესი მაღალაძე გიორგი, დეკანოზი იოანე, მესტუმრე გარსაძე გიორგი, სუფრაჩი თაზიშვილი პაატა, გედეონისძე პეტრე, თუხარელი ნიკოლაოზ და სულ ერთობილნი მცხეთელნი.

დაიწერა ინდიქტიონსა კათალიკოზ-პატრიარქობისა ჩვენისაჲ, ქელითა კარისა ჩვენისა მღდელ-მდიან-ქადაგ მ ა ღ ა შ ვ ი ლ ი ს ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს ა თ ა, თვესა ნოემბერსა იბ, ქორონიკონსა აჭკსცჳ-ტეს აქათ ჩღნე.

ხელრთვა: კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი
თოფი ბექეღი: რომელი განჭსნათ ქუეყანასა ზედა, ჭსნილ იყოს იგი ცათა შინა.

311. [წყალობის წიგნი ნიკოლოზ ალავერდელისა მეჯინიბეთხუცის შვილის გიორგისადმი]

[1756 წ. 16 აპრილი]

ქ. ჯერჩინებითა და სათნო ყოფითა ღმრთისათა, ჩვენ, უფალმან, ქისიყის მოურავის პაატას ძემან, [ა ლ ა ვ ე რ დ ე ლ მ ა ნ] ნ ი კ ო ლ ო ზ [ესე წყალობის წიგნი გიბოძე] შენ, წმინდის გიორგის ერდგულსა და თავსდებით ნამსახურს ჩვენს აზნაურშვილს მეჯინიბეთხუცის შვილს გ ი ო რ გ ი ს, ძმასა შენსა ბ ე ტ რ ე ს, ვ ა რ ჯ ი ნ ს და ზ უ რ ა ბ ს.

ასრე, რომე: ალავერდში რაც ჩალთექი გაკეთდეს, იმისი მეღალობა შენთვის მობიცია, ღალას შენ აიღებდე. და რაც ან ჩვენთვის თახთა გაკეთდებოდეს, იმასაც შენ მოუვლიდე და ანგარიშს ჩვენს მოხელეებს მოაბარებდე.

და შენთვის სარგოთ ეს წყალობა გვიქნია, რომ ათს თახთაზედ ერთს თახთას ბარას შენთვის აიღებდე, რამთონი ათიც იქნებოდეს.

არვისგან მოგეშალოს ეს ჩვენი წყალობა.

ქორონიკონს უმდ, აპრილის იგ.

ხელრთვა: ა ლ ა ვ ე რ დ ე ლ ი ნ ი კ ო ლ ო ზ
ამტკიცებს მეფე ერეკლე იბ ენკენისთვეს, 1759 წ.

312. [ბრძანება იოსებ კათალიკოზისა გიორგი სახლთხუცესისადმი კახეთში საკათალიკოსო გამოსაღების აკრეფის შესახებ]

[1757 წ. 21 თებერვალი]

ქ. საქართველოს კ ა თ ა ლ ი კ ო ზ-პ ა ტ რ ი ა ქ ი ს ი ო ს ე ბ ი ს კეთილად სახსენებელო ჩვენო ს ა ხ ლ თ ხ უ ც ე ს ო გ ი ო რ გ ი!

მერე მიდი კახეთს, სადაც სვეტისცხოვლისა და ჩვენი ყმანი იყვნენ გალმა მჭარსა თუ გამოლმა, ბირიქით და პირაქეთ სოფლებ-

ში, ყვალგან დაიარე და მოკითხული ქენ, რაც ჩვენი და ჩვენი სა[illegible]
დრის ბეგარა ედგასთ: პური, ღვინო, საკლავი, შესამყრელოსაფქვლელი
მყრელო, ჯეჯრუმი, ნაჭურდალი, საბალახე თუ აბრეშუმი — ყოვ-
ლის ნივთისაგან, რაც ძველადგან სდებოდესთ, ყვალა კარგად მო-
კითხე ჩვენს მოქელეებს და მოსრავებს, ანგარიში გამოართვი,
ყვალა კარგად აიღე და მცხეთას მოიტანე და ანგარიში მოგვაბსე-
ნე; ყვალა მართებულად მოიკითხე, არა დაკარგო რა, ან ძველი იყოს
დანარჩომი და ან ახალი იყოს ასალები, ყვალა აიღე და ჩამოგვი-
ტანე.

ბატონის მეფის ერეკლეს ოქმიცა გაქვს და ყვალა კარ-
გად გაარიგე და მეკითი იყავ.

ფებერვალს კა. [ქორონიკონს] ჳმე.

ხელთოვა: კათალიკოზი

313. [წიგნი ნიკოლოზ ალავერდელისა ენისელთ მოურავის შვილის იასესადმი ყმის დანებებაზე]

[1759 წ. 16 იანვარი]

ქ. ნებითა ღმრთისათა და მეოხებითა წმიდის ჲთავარმოწამისა გიორგისათა, ესე წიგნი მოგეცით ჩვენ, ამბა ალავერდელმა ნიკოლოზ თქვენ, ენისელთ მოურავის შვილს იასეს ასე, რომე:

სარჭისაშვილი მღთისაგარ და იმისი ძმა თქვენს რძალს მატრონას თქვენდა შეუტყობლად წმიდის გიორგისათვის შეეწირა.

მერე თქვენ არა ჰქენით იმ შეწირულობის ყაბული, არც დაამტკიცე. ბატონთან და ეპისკოპოსთან ილაპარაკე; და რადგან უშენოთ შეეწირა შენს რძალსა, ბატონმაცა და ეპისკოპოსთ ის სარჭისაშვილი ისევ შენ დაგანებეს, რომ წმიდას გიორგის იმასთან უკანონოთ მოგეცა და საქმე აღარავის ქონდეს შენს მეტსა.

და ჩვენც ალავერდელმა ნიკოლოზ ნება გეცით და შენდობით დაგანებეთ, რომ არც ამაში კანონი შენ გქონდეს, არც თქვენს რძალს მატრონასა. ღმერთმან და დიდებულმან წმიდამ გიორგიმ მშვიდობაში მოგაყმაროს ამიერითგან და უკუნისამდე, ამინ.

დაიწერა იანვარსა ით, ქორონიკონსა ჳმჱ.

ხელთოვა: კათალიკოზი

ქ. ჩვენ, ბოდბელი მოწამე ვართ. ბექიდ: ბოდბელი (?)

ქ. მე, რუსთველი იოანე მოწამე ვარ. ხელრთვა: რუსთველი იოანე.

ქ. მე, ნეკრესელი დოსითეოს მოწამე ვარ. ხელრთვა: ნეკრესელი დოსითეოს.

ქ. მე, ნინოწმიდელი საბა ამისა მოწამე ვარ. ხელრთვა: საბა.

ქ. ხარჭაშნელი ევთუმობ. ხელრთვა: ხარჭაშნელი დომენტი.

ქ. მე, კარის წინამძღვარი ამბაკომ ამის მოწამე. ხელრთვა: ამბაკო.

ქ. ჩვენ, მეფე კახეთისა ირაკლი ამ ალავერდელის წიგნსა და ეპისკოპოსთ მოწმობას ეგრეთვე ვამტკიცებთ.

იანვრის **ივ.** ქორონიკონს **უმზ.**

ხელრთვა: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვიდიდე ერეკლე

314. [პირობის წიგნი გესარიონ კათალიკოზისა ჯაფარიძეებისადმი]

[1742—1760 წწ.]

...ღმრთისათა, არსება დაესაბამო შამისა ძისა დ[ა სუ]ლისა წმიდ[ე]ისათა და ყოველად წმინდის [ღმრ]თისმშობლის მარადის ქალწულის მარ[იამისი]თა და პატიოსნისა ჯვარისათა და ყოველთა წმინდათა, ზეცისა ძა[ლ]თა ანგელოზთა და მთავარანგელოზთა მიქიელ და გაბრიელისათა;

ესე ცოდვისა და მადლის წიგნი და პირი მოგვეცით ჩვენ, ა[ფხაზეთის კათალიკოზმან ერისთვის შვილმა გესარიონ თქვენ, ჯაფარიძეებს სო[ფ]რომს, ვახტანგს, გიორგის და მერაბს.

და როშელიც თქვენი სახლისკაცი ჩემის ძმის, ერისთვის რასტომის, ერდგული და სიტყვის მპორჩილი იქნეს, თქვენ ჩემის ძმისაგან ან[1] წახდენით, ან გალარიბებით [გ]იშოვდესთ რამე, ან თქვენ, ან თქვენნა შვილსა და მამავალს, მა[ს] საიქიოს მ[ე]ორეთ მოსვლას ქრისტესთან მე ვიყო თქვენის ცოდვის პასუხის გამცემი, თუ თქვენ ამაზე არ იმტკუნოთ.

იყოს ამისი მოწამე და თავდები თავათ [ღმე]რთი და ყოველი მისა წმინდანი, ანგელოზნი ზეცისანი და ქვეყნისანი, ხორციელნი და უხორცონი, ამინ.

ხელრთვა: კათალიკოზი

---

[1] ან] არ.

315. [ბრძანება თეიმურაზ II-ისა და იოსებ კათალიკოზისა ნათლისმცემლის უდაბნოს ნინოწმიდლისათვის მიბარების შესახებ]

[1760 წ. 29 მარტი]

ქ. დასაბამ ყოვლისა სიმართლისა და ჭეშმარიტების მოყვარის ღმრთის სულისაგან იძულებელთა ჩვენ, მე ც ე მ თ ე ი მ უ რ ა ზ და მ ე ვ ე მ ი რ ა კ ლ ი მ და საქართველოს კ ა თ ა ლ ი კ ო ზ-პ ა ტ რ ი ა რ ქ მ ა ნ ი ო ს ე ბ, ვინებეთ მბრძანებელთა კვალად პირველსავე მგზავსად მიცემა წმიდის ნათლისმცემლის უდაბნოსი ნინოწმიდლისათვის ტ უ ს ი ს შ ვ ი ლ ი ს ს ა ბ ა ს ა, რომელიც რომ ძველადვე დიადთ ღმრთის მსახურთ მეფეთა და წმიდათა კათალიკოზ-პატრიარქთა სულისაგან განეწესათ ათორთ უდაბნოთ მაკურთხეველად სახელის დამდებთა არქიმანდრიტელად.

და ახლა თქვენც, წმიდანო კრებულნო, გიბრძანებთ, რომ ნინოწმიდლის ხელქვეშ იყვნეთ და იხსენებდეთ და ამ ნინოწმიდლისაგან იკურთხეოდეთ, როგორც დავით-გარეჯის და დოდოს უდაბნოები ემორჩილება, და ამ ბრძანების მიმდევ-ჰორჩილნი სამარადისოთ იხსენებდეთ.

მარტის კთ. ქორონიკონს ჳმჟ.

ორი ბეჭედი: 1. უფლისაჲ მიერ მეფედ ცხებული თ ე ი მ უ რ ა ზ ი ს დამტკიცებული.

2. მე ფეხთანაბანილთა მიერ ვალესია ვდიდ ე რ ე კ ლ ე

316. [განწესება სოლომონ I-ისა და საეკლესიო კრებისა ხონის ტაძრის გამოსავალის თაობაზე]

[1701 წ. 28 აპრილი]

...[წმ]იდისა სულისა, რომელმან ინება აღდგინება ჩვენი და პირველსავე პატივსა ღირს გვყო; და [ა]წ ჩვენ მსახერთა საქებისაჲ საგედრებელად, ოხად და ნუგეშად გვაქვს წმიდანი მისნი და ეშვიტეს მხედართა შორის წარჩინებული მთავარი მ[ო]წამეთა და მეფეთა წინამ[ბ]რძოლი გუშაკი ღმრთისმსახურებისა გიორგი გვიბყრიეს ყოველთა ლიხთ-იმერთა ფრიად მეოხად წინაშე ღმრთისა.

და [ა]წ მინდობილი ღმრთისა და მსახებელი უბიწოსა მის დედისა მხსნელისა ჩვენისა მარიამის ქალწულისაჲ მარიამისათა და ძლიერებითა ცხოველსმყოფელისა მის ჯვარისათა აღვიძრვი გონე-

ბითა, რათა ქამთა ვითარებისაგან განრყვნილნი ეკლესიანი განვ[ა]ხლო; და რომელიც პირველად განწესებულ იყოს წმინდის[ა] ბის დამტკიცებით, მეცა ეგრეთ დავამტკიცო; და რომელიც და წესი ეკლესი[ი]ს გამოსაველ იყოს, არ მოეშალო და გუგრით წესი დაუდვა.

და [ა]წ ვედრიეარ არსსა ყოველთასა, რომელმან აღმძრა გულის ხმის ყოფად ნარჩევი ცხებულთა შორის მისთა წინასწარმეტყველთა ნაყოფთაგან მრწემთა ძე იესიან-დავითიან-სოლომონიან-პანკრატოვანი თვითმპყრობელი მეფეთ-მეფე სოლომონ და თანამეცხედრე ჩემი დედოფალთ-დედოფალი დედოფლის ასული მარიამ, პირმშო ძე ჩვენი ს[ა]სუეველი ალექსანდრე ვედრებითა ქრისტესითა აღვიძრვით შეძლებისამებრ წინასწარმეტყველთა ქადაგებულსა მოციქულთა მოძღ[ვ]რებისა და ოთხთა მახარებელთ სწავებულსა და ვდღესასწაულობ განახლებასა სარწმენოებისა ჩვენისასა და სატფურებასა ეკლესი[ი]სასა.

რამეთუ ესაია იტყვის წინასწარმეტყველი: «განახლდებოდეთ ჰალაჯნი». ხოლო სიტყვითა ამით წარმართთა მოქცევასა მოასწავებდა და ეკლესიათა უწოდა ჰალაჯად განახლებად.

ხოლო ეკლესიანი არა თუ მარტო შენებანი და შემკობანი ტაძართანი არიან, არამედ სავსებაი იგი მათ შინა შეკრებულთა ღმრთის მსახურთა ერთა სიმრავლესა ეწოდების. რომლითა იდიდების ძე ღმრთისა დამხსნელი ჩვენი იესო.

ვითარცა მოციქული პავლე იტყვის: «განახლდებოდეთ სულითა მით გონებისა თქვენისათა»*; ხოლო წმინდა სახარება იტყვის: «და იყო სატფურება იერუსალიმს და ზიმთარი იყოს»**, გინა თუ ამბოხებასა და შფოთსა ურიათასა, რომელ მზადებდეს ქრისტესთვის გინა თუ ჰაერის[1] სიცივესა სახელსდება. ხოლო იქმნა ჩვენზედცა და მოიწია ზამთარი არა მცირედი. არამედ მოგვცა ჩვენ ღმერთმან ზატხული და არე თვისისა მოწყალებისა და მოგვცა გონება მეცნიერებისა.

და ამისთვის შემოვკრბით[2] მადლის მიცემად ღმრთისა და განახლებად ეკლესიათა და ტაძრისა ამის ხონის წმინდის გიორგის ტაძრის განახლება და განთავისუფლება ვინებეთ; და დავაყე-

---

[1] აბაერის. [2] შემოვკერბით.

* რომაელთა 12, 2.

** იოანე 10, 22.

ნეთ მთავარეპისკოპოსად ერისთავის ძე მროველ-ყოფილ-იოსებ.

მოვიკითხეთ და ეკლესი[ი]ს გეჯარი ვერ ვნახეთ, ქამთა-რებისაგან დაკარგულ იყო, არც სამრეველოსი[1] შემოსავლის, არც ნიშნის, არც სახუცოსი — არცეთის წიგნი ალარ იყო.

ამაზედ შეშფო[ქ]რებეთ: თავად უფალი ჩვენი ყოველად ნეტარი კათალიკოზი ბესარიონ, უცდისწული ძმა ჩვენი ყოველად [სანდდ]ელო გენათის[2] მიტროპოლიტი იოსებ, ჰყონდიდის მიტროპოლიტი გრიგოლ, ქუთათელ მიტროპოლიტი მაქსიმე, შემოქმედელი მიტროპოლიტი ნიკოლოზ, მიტროპოლიტი დანიელ, ბედიელ მიტროპოლიტი მაქსიმე, იერუსალემის[3] პატრიარქის ვეკილი სვიმეონ არქიმანდრიტი, წინამძღვარი მონოზონი დაყუდებული გერმანე და სხვანი ერთობით ლიხთ-იმერთა კრებულნი.

და ეკლესიის ნიშანი, სამრეველო[4] და გამოსავალი და სახუცო მოვიკითხეთ, და წმინდამ ამ კრებამ ასე და[ა]შტკიცეს და ბძანეს: როგორათაც ჭყონდიდის სამწყსოშიდ იყოს გენათლისა და ქუთათლის სამწყსოშიდ, ამასაც ეგრეთ განუწესეთო.

ახლა ჩვენც ეგრეთ გამტკიცებთ: როგორათაც სხვა სამრეველოშიდ იყოს თავადისა და საპატიოს კაცის შვილის, აზნაურის შვილის ნიშანი, ეგრეთ განგვიწესებია.

სახუცო როგორც საქუთათლო-საგელათოს მართებს, მესამე წელიწადს — მარჩილი მღდელსა და ორი რუბი მთავარს.

სხვას რამდენი საყდარი სოფელშიდ იყოს, თუ მოიცალოს თეითან მთავარეპისკოპოსმან ჩამოიაროს და სწიროს, თორემ დეკანოზი, ჯვარმტვირთველი და მის მაგიერი კაცი გაგზანოს და აწირვინოს. საწირავი კვამლის თაკს ან თითო შაური, და ან თითო შაურის პური იყოს თუ ღომი, მოერიმეოდეს; და დეკანოზსა და ჯვარსა და ჯვარმტვირთველს — მისი მართებელი.

სარჯულო და საკანთხო საქმე ყოველს წელს მოიკითხოდეს. ასე განგვიწესებია: თავადი, საპატიოს კაცის შვილი, აზნაურის შვილი ვინც იყოს, სადაც სამრეველო[4] ამ ხონის წმინდის გიორგის იყოს, ყველა შეძლებისამებრ ნიშანს მიართმიდეს. და ღვეხი მესამე-მესა-

---

[1] სამრეველოსი, [2] ღვთათის, [3] იერუსალემის, [4] სამრეველო.

მე წელიწადს — მაური მთავარეპისკოპოსს და მაური ჯვარისა ჯვარმტვირთველს.

სხვა საარჯულო და საკანონო საქმე რაც იყოს, საპატრიარქოს გზით მოეკითხოდეს და მოერთმეოდეს.

ასე კრებით დაგვიმტკიცებია.

აწ რამანაც ძემან კაცისამან ამისდა შლად ხელყოს, მასამც რისხვის სამებით დიდებული ღმერთი და ყოველნი მისნი წმინდანი ზეცისანი და ქვეყნისანი, უხოროცონი და ხოროციელნი; და შემშლელი ამისი შეჩვენებულ იყოს შვიდთა კრებათაგან და ოთხთა პატრიარქთაგან და ჩვენის კათალიკოზის ბესარიონის და მისთა კრებათაგან.

ხოლო დამამტკიცებელი ამისი განამტკიცოს უფალმან მრჩობლის ცხორებით, ამინ.

მე, არქიმანდრიტს ლოდაბერიძეს, ჩემის ხელწიფის კარის წინამძღვარს, მღდელ-მონაზონს სილივესტროს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი.

აღიწერა სიგელი ესე ქრისტე[ს] აქეთ **ჩლაა**, დასაბამიდგან **ჳსათ**, თვესა აპრილსა, **კგ** დღესა თვით გიორგობის დღეს **ბ**.

დიდის გამოწლვილვით გამოვიძიეთ და ეს რაც ამ გუჯარშიდ დავსწერეთ, ვენათლის გუჯრის მოწმობით, ჭყონდიდლისა და ქუთათლის გუჯრის მოწმობით დავაწერინეთ და დავამტკიცეთ.

დამამტკიცებელი ამისი განამტკიცოს უფალმან მრჩობლის ცხორებით აწ და უკუნისამდე, ამინ.

ჭარჩხათის ბატონს ჩხეიძეს ნიშანი მართებოდა და ჭარჩხათი ახლა წულუკიძეს უჭირავს და ნიშანი აძეს და მთავარ ეპისკოპოს[ს] მისცემდეს*.

ოთხი ბეჭედი: 1. კეთილ ძირთაგან რტოანი მეფედ გარ ბაგრატოანი სოლომონ

2. დედოფალი მარიამ**
3. იგივე ბეჭედი სოლომონ მეფისა
4. იგივე ბეჭედი სოლომონ მეფისა

---

* უკანასკნელი წინადადება დაწერილია სხვა ხელით.

** ბეჭდის ლეგენდა არ არჩევა.

317. [დავთარი ქუთაისის საქდრის გამოსავალი გვერდისა]

[1762 წ. 4 აპრილი]

1.* ქ. წმიდა გიორგი ზეგაარდლის შეწირული ორი ერისთვის შუაწირი ბეგარა და ორი ჩიჯავაძის — ორი საყდარს ქონდეს ბეგარა და ორი სოფელს. სხვა შესაწირი რომელიც მოვიდეს, საყდრისათვის იყოს ნურავინ დახარჯავს.

2. ქ. ძველუხშიდ ხატის მამული რომელიც არის. ნახევარი საყდრისათვის იყოს და ნახევარი სოფელს ქონდეს. ეს საქმე პაპუნამ ვაარიგოს.

3. ქ. რომნეთის მამულის გამოსავალი ნახევარი ხატისთვის და საყდრისთვის იყოს. ნახევარი სოფლის კაცს ქონდეს. და კიდეც აკეთონ.

4. ქ. წმიდის ელერიკის საყდრის ბეგარა დაედვა ოქროპირაშვილს თორმეტი კოკა ღვინო ყოველს წელიწადს. და სხვა რომელიც საყდრის მამული იყოს, სოფლის კაცმან აკეთონ, ნახევარი მათ ქონდეს და ნახევარი საყდრისთვის იყოს.

5. ქ. გადმა უხუთის წმიდის კვირიკეს საყდრის მამული რომელიც არის, სოფლის კაცმან აკეთოს, ნახევარი მათ ქონდეს და ნახევარი საყდრისთვის იყოს.

6. ქ. კერცხეთის მთავარანგელოზის საყდრის მამული, რომელიც იყოს, სოფელმან აკეთოს, ნახევარი მათ ქონდეს და ნახევარი საყდრისთვ[ი]ს იყოს. სხვა შესაწირი თეთრი რაც მოვიდეს, საყდრისთვის იყოს, არავინ დახარჯოს.

საყდრის მამული ვინც დამალოს და ან შენაწირი საყდარს არ მოახმაროს და მათთვის მოიხმაროს წმიდის ეკლესიისაგან და ჩვენ, ქუთათელ მიტროპოლიტის მაქსიმესაგან დაწყევლილი იყოს.

7. ქ. ზეგაარდლის საყდრის მებეგრე კაცი ხურციძე ერთი, მეორე ხელაძე, მესამე გვარი რუხვაძე — ამათ დავადევით ბეგარას ჩამოღმა, რომელიც გამოეყოს, თითო მარჩილა ხატს მიართვან თითომ მოსახლემ ყოველს წელიწადს.

ქ. კვერხეთის საყდრის ღვინო ორმოცი კოკა ღვინო და მარჩილწახევარი თეთრი არის.

8. ქ. კობერაულს წმიდის კვირიკეს საყდრის შემავალს კაცს ხატის ღვინო დაეხარჯათ და ბარძიმ-ფეშხუმი გააწყონ.

---

* ტექსტი მუხლებად დაყოფილი არ არის.

9. ქ. ბაბიჩიძის საყდრის ღვინო ორმოცი კოკა გაყიდონ მის დროს მთლად და საყდარს მოახმაროს.

ქ. ძულუხის საყდრის ღვინო ახლა ვერ შევიტყვეთ: წმიდა პუნამ დაიდვა, მოიკითხოს და რამდენიც იყოს, მაკოდინოს.

აღიწერა აპრილს დ. ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ჩლაბ.

318. [დადგენილება საეკლესიო კრებისა საეპისკოპოსოთა მართვის შესახებ]

[1762 წ. 20 დეკემბერი]

წელსა ქრისტეს აქეთ ჩლაბ, ქრისტეშობის კ*.

ქ. წმიდათა და ყოვლად სამღუდელოთა ეპისკოპოსთა ესრეთ ეუწყოსთ, რომელნიცა ჩვენთან — წმიდას პატრიარქთან და ღირსთა თქვენ ეპისკოპოსებთან კრებაში პირობა დაიდვა.

პირველი ესე, რომ: ეპისკოპოსმან თავის სამწყსოში ეალსარებო არავინ დააგდოს.

მეორედ, ესე: საუფლოს დღესასწაულს და კვირას წირვის მოსმენლად ნურავის გაუშვებთ და უქმე დღისა ყადაღა უყოთ, რომ კარგად დაიცვან და არავინ გატეხოს.

მესამედ: თუ წმიდათ ეპისკოპოსთ თქვენთა სამწყსოთა შინა ურჩი ვინმე ეყვანდესთ, ჩვენ მოგვეჯსენოთ; და ეგეითართა ჩვენ დავსჯით.

მეოთხედ: ხუცესთა ყადაღა უყოთ, რომელიც წმიდას მღუდელობას არ ეკადრებოდეს, ისრე არ მოიქცნენ შესამოსლითა თუ ტანისამოსითა; და ნურც თავიანთ სამწყსოში ესამართლოზედ მიუშვებენ ხუცებსა.

მეხუთედ: წმიდას ეკლესიაში ან დაძველებული რამ იყოს, ან დაწვარი, ან წამჭდარი, — უნდა განსწმიდოთ, გალესოთ, გაანახლოთ და წმიდად შეინახოთ წმიდა ეკლესია; და უკადრისად ნურავის აჩვენებთ წმიდას ეკლესიასა. ეგრეთვე თუ გაშეებული რამ იყოს, უნდა გალესოს და გაათეთროს.

მეექვსედ: წმიდას ტრაპეზზედ ჩასაცმელი უნდა ყუთნისა იყოს; და თუ უკეთესი რამ არის, ისი სჯობს. და თუ არა, სურათის ჩითი უნდა იყოს; და ამას გარდა სხვა ღონარა იქნება რა. რომელიც წმიდა ტრაპეზი კედელზედ იყოს მიკრული, ჩამოაფარონ; და რომელიცა სამუალ საკურთხეველისა იყოს, ჩააცვან.

---

* ეს სტრიქონი დაწერილია ასომთავრულით.

მეშვიდე: ხისა და ან თუ გატეხილი რამ იყოს, წმიდამ ბარძიმად ანუ ფეშხუმად ნუ იყოფენ და ნუმცა სახელდებენ.

მერვე: თუ ვისმე სამღვდელოთაგანსა სიბერისა ან სხვისა რომლისამე მიზეზითა წმიდის ტრაპეზის მსახურება და წირვა აღარ შეეძლოს, თავისმან ეპისკოპოსმან გაანაგოთ მისი. და თუ თქვენ ვერ უსაჭოთ, წმიდას პატრიარქს მოაკსენოთ და სხვათ ეპისკოპოზთ; ივინი საქმეს განგრძართავენ, ერთს გზას მოგცემენ და განუწესებენ რასმე.

მეცხრე: თუ სამღვდელოდ წვრთილი ვინმე არ იყოს, უსწავლელი და უცოდინარი ნუ ვინ მოუკდებენ მღვდელობად და ქურთხევად, რომ აღსარების თქმევინება არ შეეძლოს; და ან წმიდას ტრაპეზზედ იდგეს და წმიდას სახარებაში ტყუილებს ამბობდეს.

მეათე: რომელიც რომ ჩვენ ვერ მოვიგონეთ, ეპისკოპოსთ მართებსთ მარადის მღვიძარე ყოფად.

მეათერთმეტე: წმიდათ ეპისკოპოსთ თავეთს ერსა და სამწყსოსა წმიდას ეკლესიაში შესლვა, დგომა და პირს ჯვარის დაწერა ასწავლოს.

ირაკლი მეფისაგან და ყოვლისა საქართველოსა კათალიკოზ-პატრიარქისა იოსებისაგან ესრეთ სიქვარულით ეუწყოს მისს სიწმიდეს ყოველად სამღვდელოს არქიეპისკოპოსს ამბა ალავერდელს ზენონს, წმიდასა და ყოვლად სამღუდელოს ნეკრესელ ეპისკოპოსს დოსითეოსს და წმიდასა და ყოვლად სამღუდელოს სამებელ ეპისკოპოსს იოანეს.

ქამსა როდესაც კრებაში საქართველოთ წმიდათ ეპისკოპოსთ მოეწოდეთ, მაშინ ესრეთ გამორჩევით და პირობით აღვთქვით, რომელიც ზემორე სიით აღწერილა, რომ ღმრთის ნებით, ყოქველს საეპისკოპოსოებში ესრეთ განეგოს ყოველად სამღუდელოთ ეპისკოპოსთაგან. და იმავ კრებაშიაც ესრეთ განისაჯა, რომ ჩვენგან ესრეთითა აღწერილითა თქვენ — ყოველად სამღუდელოთა გაეწყოთ.

და ამა, გვიუწყებიეს თქვენის სიწმიდისათეის ქამადმდე, უფლისა ქრისტეს აღდგომამდის, რომ ეს უნაკლულოთ აღასრულოთ და აღასრულებინოთცა, თვარემ იცოდეს თქვენმა სიწმიდემ, ჩვენი კაცი ჩამოვიდეს იმ ქამზედ და რომელსაც ხუცესს ესრეთ არ გაუმართავს თავისი სამწყსო და თავისი თავიც, იმასაც სამართლით განვსჯით და თქვენც დაგემდურებით.

რომელნიც ამ საეპისკოპოსოში ან თავადნი ბძანდებით, ან სხვა ბატიოს კაცის შვილნი, ან აზნაურშვილნი ხართ, და ან მოქალაქენი — ეს რომ მოგვიწერია, ამაზედ მღვიძარე უნდა იყვნეთ და თქვენნი მორჩილნიც განაღვიძოთ, და წმიდის ეკლესიის სამსახურზედ და რაც მოგვიწერია ამაებზედ, გაფთხილებულნი იყვნეთ და თქვენი მორჩილნი კაცნიც ამყოფოთ.

და რომელიც ეპისკოპოსმან და მღვდელმან გამცნოსთ, იმაზედა დაადგრეთ და დაიყენოთ: შემწე ექმენით ეპისკოპოსსა და მღვდელსა ამ საქმეზედ; ჩვენს უკან რომ თქვენ ვალი გაქვსთ და რომ უნდა რომ შემწე ექმნენით, ამისთვის გვიცნობებია.

ბაქარ: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე ერეკლე ჩვენ, ყოვლისა საქართველოს კათალიკოზ-პატრიარხი იოსებ წარვწერთ.

მანწერი: იოსებ კათალიკოზისაგან ეპისკოპოსთა მიმართ მიწერილი, თქვენი სამწყსონი ასე დაარიგეთო.

319. [წყალობის წიგნი ანტონ I-ისა იმსე თაზისშვილისადმი]

[1764 წ. 12 მარტი]

ჭ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა და აღმოსავლეთისა დიდმან მამათმთავარმან ქართლის კათალიკოზ-პატრიარქმან. ძემან ქართველთა მეფისა იესესმა, პატრონმა ანტონი ესე უკუნისამდე ყამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და უცვალებელი წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენს ერთგულთა და დიდათ თავდადებით ნამსახურს ჩვენს აზნაურშვილთა თაზისშვილს მგალობელს იესეს, შვილსა შენსა სეფრაჯს ზაზას და ანდრიას, ძმისწულსა შენსა მოსიას და გოგიას.

ასე, რომ: გომის მოურავი ამოსწყდა და მემკვიდრე აღარავინ უჩანდა რადგან ამოწუეტილის აზნაურშვილის სახელო ბატონისა არის და ვისიც ბატონს ხებავს იმას უბამს წყალობას, მას ყამად შენი ბიძაშვილი იოსებ შემოგვეხვეწა გომის მოურაობის წყალობას და უბოძეთ გომის მოურაობა სამკუიდროდ და ქონდა რაოდენსაც წელიწადსა.

მერმე ჩვენ რომ რუსეთს წავედით, იმ ხანშიდ შენი ბიძაშვილი

იოსებ მომკუდარიყო და ჯანდიერის შვილს იოსებ
ქათალიკოზს გამოერთმევინა შენი ბიძაშვილის სახელოვანი
ადგომელასთვის მიეცა.

ახლა ჩვენ რომ მათის სიმაღლის ჩვენის ძმის მეფის ირაკლის ბრძანებით მოვედით რუსეთიდამ და ჩვენს საყდარზედ ვეგვინათვე, თქვენის ბიძაშვილის იოსების სახელო და ყმა ისევ თქვენვე წყალობა გიყავით, რადგან გაყრილნი არ იყავით.

და იმისი ყმებიცა გუგულაშვილები პეტრია და ბახანა, შავერდა და გოგია, ბათუნაშვილები ქიტუა და პეტრია, საგინაშვილები იასე და რამაზა, ხასყიდი თუ უსყიდნი და ან ჩვენი წყალობა ვენახი თუ მიწა, რომლისაც მქონებელი ყოფილიყოს გომში თუ საცა, სახლი თუ კარი, ყველა თქვენთვის ჭელშეუვალად წყალობა გვიქნია.

რადგან შენი ბიძაშვილი იყო და გაუყრელნი იყავით და ამოსწყდა, იმისი სახელო, ყმა თუ მამული თქვენვე უფრო გეხელყოდათ და სულ ჭელშეუვალად[1] თქვენ წყალობა გიყავით.

არას კაცს თქვენთან სიტყუა არა ქონდეს დღეს ამას იქით. თუ ან გომის მოურაობისა და ან იმისის ყმისა და მამულის წიგნი გამოჩნდეს რამე, ამ სიგელით ყველა გამტყუნდეს და ბათილი შეიქნას. და ეს ჩვენი ბძანება და წყალობა არაოდეს არ მოგეშალოსთ არა ჩვენგან და არცა ჩვენსა შემდგომთა ქათალიკოზ-პატრიაქთაგან[2].

არიან ამის მოწამენი ეკლესიისა ჩვენისა შეილნი: მაღალაშვილი სალთხუცესი გიორგი, გედეონის შვილი სარდალი შოშია და ერთობილნი მცხეთელნი ნების დამრთველნი.

აღიწერა ბძანება ესე თვესა მარტსა **იბ**, ჭელითა მიხა[ი]ლ ხუცისათა, წელსა **ჩლჲდ**, ქორონიკონს **უნბ**, შემდგომად რუსეთით მოქცევისა ჩვენსა წელსა პირველსა.

ხელრთვა: ქათალიკოზ-პატრიაქი ანტონ

ქ. ჩვენ სარდალი შიოშ წმიდის პატრიაქის ბძანებით ამისი მოწამე ვართ.

ბეჭედი: გედეონის შვილი სარდალ შიოშ

ქ. ჩვენ, ცხუმბულის მეფის თეიმურაზის ძემ, მეორე ირაკლიმ მეფემ საქართველოსამ ვამტკიცეთ სიგელი ესე ძმისა ჩვენისაგან ბოძებული.

ივნისის **იბ**, ქორონიკონს **უნბ**.

ბეჭედი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე ერეკლე.

[1] ჭელშეუვალად. [2] პატრიაქთაგან] ორპატრიაქთაგან.

ქ. ჩვენ, მეფის ირაკლის ძე გიორგი, საქართველოს უფლისწული კათალიკოზის ბძანებას წიგნსა ამას ვაწერსინებთ.

ქრისტესშობისთვის თ, ქორონიკონს უნბ.

ბეჭედი: გიორგი ბატონიშვილი

თავში ბეჭედი: რომელი გინჯსნით ტეეყანასა ზედა, ჯსნილ იყოს იგი ცათა შინა

320. [ყალოგის წიგნი ანტონ I-ისა კეტრე გედევანიშ-ძისადმი]

[1761 წ. 27 მარტი]

ქ. ჩვენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ კეთრხეულმან ყოვლისა საქართველოსა და აღმოსავლეთისა მაკურთხევ[ე]ლმან დიდმან მამათმთავარმან და მღდელთა და გვირგვინოსანთა მეფეთა შარავანდედმან, ძემან ქართველთა მეფისა იესესმან, კათალიკოზ-პატრიარქმან პატრონმან ანტონი ესე უკუნისამდე ყოფთა, ხანთა და დროთა განათავებელი და გამოსადეგი, მტკიცე და უცვალებელი წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ კათოლიკე ეკლესიისა მემკვიდრესა და ჩვენსა ერთგულსა ყმასა გედევანის ძეს პეტრესა და ძმასა შენსა ერასტის, ძმისწულსა შენსა გიორგის, შვილსა შენსა იოანეს და თთარს და ყოველთავე მომავალთა სახლისა თქვენისათა.

ასე, რომე: მოხვედით და მოგვადევით კარსა დარბაზისასა და შეჯინიბეთხუცობას დაგვეჯენით. ვასმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და ჩვენი შეჯინიბეთხუცობა წყალობა გიყავით და მოგიბოძეთ ყოვლის კაცის უცილებლად.

გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან კათოლიკე ეკლესიისა და ჩვენსა ერთგულობასა და სამსახურსა შინა. არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა შემდგომთა ჩვენთა პატრიაქთა და მეპატრონეთაგან.

აწე თქვენცა ყოვლად სანატრელნო შემდგომად ჩვენსა კათალიკოზ-პატრიაქსო, ეს ჩვენი წყალობის წიგნი და სიგელი თქვენცა ესრეთვე დაუმტკიცეთ და წყალობა უყავით, რათა თქვენიცა გაგებული და გაბოგებული ღმერთმან მტკიცე და უნაკლულო ყოს.

ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხნეს.

არიან ამისნი მოწამენი და ბეჭის დამბრეველნი ერთობილნი მცხეთის შვილნი.

აღიწერა ქველითა კარისა ჩვენისა მცხეთელის დეკანოზის ნიკოლოზისათა, თვესა მარტსა კზ, ქრისტეს აქეთ ჩლჯზ წელსა. რონიკონს უნბ.

ხელთაგა: კათალიკოზ-პატრიარქი ანტონი

ქ. ჩუენ, ყოველისა საქართველოსა მეფე ირაკლი მეორე ვამტკიცებთ მისის უწმინდესობის ჩვენის ძმისაგან ბოძებულსა და ახლა მისის უწმინდესობის ჩვენის შვილისაგან დამტკიცებულს სიგელსა ამას. რაგვარითაც ამათ უბოძებია ეს მეჯინიბეთხუცობა, ჩვენც ასე დაგვიმტკიცებია და გვიბოძებია სარდლის ბეციასა და ამისის ძმისწულის ერასტისათვის.

ივლისის იწ, ქორონიკონს უოზ.

ბეჭედი: მე ფეხთგანბანილსა მიერ ქალესია ვადიდე ერეკლე.

ქ. ჩვენ, ქართლისა და კახეთის დედოფალი, დადიანის ასული, პატრონი დარეჯან ამ სახელოს წყალობას ასე ვამტკიცებთ.

ივლისის ით, ქორონიკონს უოზ.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან

ქ. ჩუენ, ყოველისა საქართველოს პატრიარხი, მეფის ირაკლის ძე, ანტონი ვამტკიცებთ ამ მისის უწმინდესობის ბიძის ჩვენისაგან ბოძებულს სიგელს. სხვათა კურთხეულთ ხელებულთ კათალიკოზთ წიგნებიც ქონდა ამათ ამ მეჯინიბეთხუცობისა. მის უწმინდესობას ბიძას ჩვენსაც ებოძებინა ამ სიგლით და ჩვენც წყალობა უყავით და დაუმტკიცეთ სიგელი ესე სარდლს ბეციას და მის ძმისწულს ერასტის და შვილთა ამათთა.

ივლისს კ, ქორონიკონს უოზ.

ხელთაგა: კათალიკოზი

ქ. ჩვენ, საქართველოს უფლისწული მეფის ძე გიორგი მისის უწმინდესობის კათალიკოზის ბატონის ჩვენის ძმისაგან დამტკიცებულსა წყალობის წიგნსა ამას ვამტკიცებთ.

ივლისს კ, ქორონიკონს უოზ.

ბეჭედი: გიორგი

ქ. ჩვენ, საქართველოს უფლისწული მეფის ძე იესონ

მის[ი]ს ღწმიდესობის კათალიკოზისა ბატონის ჩვენის ძმისაგან დაწ-
ტაცებულს წყალობის წიგნსა ამას ვამტკიცებთ.
იქლისის კა, ქორონიკონს უოზ.

ბეჭედი: ტომსქესით არ ნაკლისაგან იყლონ ირაკლისაგან
თავში ბეჭედი: რომელი განწესნათ ქუეყანასა ზედა, ესნილ
იყოს იგი ცათა შინა.

321. [ულუფის გაჩენის წიგნი ანტონ I-ისა მრავალმთის ნათლისმცემლისადმი]

[1761 წ. 1 ივნისი]

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა და აღმოსავლეთის კ ა თ ა ლ ი კ ო ზ-პ ა ტ რ ი ა რ ქ მა მეფის ძემ ა ნ ტ ო ნ ი ესე წიგნი მოგართვით ჩვენ სასოს მრავალმთის მონასტერს ნათლისმცემელს და მის წ ი ნ ა მ ძ ღ უ ა რ ს ს ი მ ო ნ ს და მათს კრებულთა.

რომ ჩვს ძმას, მ ე ფ ე ს ი რ ა კ ლ ი ს მათს სიმაღლესაც გაეროგებინა და ჩვენც ჩვენად სამლოცველოდა ს ა გ ა რ ე ჯ ო დ ა მ ჩვენის სარგოდამენ წელიწადშიდ ორი საპალნე ღვინო მოერთმოდეს ნათლისმცემლის მონასტერსა; და ოცი კოდი პური ჯ ი მ ი თ ი დ ა მ ე ჩვენის კოდის პურიდამენ მოგერთმოდეს.

ამის მიზეზისაგანა, რომ დიახ აეის დროსა და ლეკის ოკრებისაგან დიახ საქმე გასჭირებოდათ თქვენს მონასტერსა და მას შინა მდგომთა კრებულთა.

და ეს ჩვენგან მორთმეული მცირედი შესაწირავი ყოველს წელიწადს დაუკლებლად მოგერთმოდეს.

აღიწერა წელსა ჩლჲდ, თვესა ივნისსა ერთსა.

ხელთაა: კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოს კ ა თ ა ლ ი კ ო ზ-პ ა ტ რ ი ა რ ხ ი, მეფის ირაკლის ძე, ა ნ ტ ო ნ ი ამ წერილს ჩვენც ვამტკიცებთ.

თებერვალს წ, ქორონიკონს უპა(?)

ხელთაა: კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი

322. [წყალობის წიგნი ზენონ ალავერდელისა გერ რჩეულაშვილისადმი]

[1764 წ. 9 დეკემბერი]

ქ. ნებითა ღმრთისათა, ჩვენ, ა ლ ა ვ ე რ დ ე ლ მ ა ნ ზ ე ნ ო ნ ბძანებითა მეფის ერეკლესითა ესე ამიერითგან უკუნისამდე ქამთა და ხანთა გასათავებელი სამკვიდროთ და საბოლო[ო]თ გამოსადე-

გი მამულის წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით შენ, რჩეულ შვილს ბერს და მომავალსა შენსა.

ასე, რომე: ქონდოლს ალავერდის წმინდია გიორგის ებრაელი მიცვალებულიყო, იმას ერთი ქალის მეტი ვაჟიშვილი არა დარჩენოდა რა. იმ ქალის დედას ის ქალი შენთვის მოეთხოვებინა. ახლა შენ მოხველ და იმ შენის სიმამრის ნაქონის მამულის წყალობას ბედნიერს ჭემწიფესაც დაეჯე და ჩვენც შემოგვეხვეწე.

მეფის ბძანებით ჩვენ იმ მამულის წყალობა გიყავით, რისაც მამულის მქონებელი შენი სიმამრი ებრაელი ყოფილიყოს, მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენახითა, საოხრითა და უთიბითა, სასახლითა, ჭურ-მარნითა, კალო-საბძლითა და სასაფლაოთი, შესავლითა და გასავლითა და ყოველის მისის სამართლიანის სამძღვრითა, ყოველის კაცის უცილებლად შენთვის გვიბოძებია. და რაგვარადაც მქონებელი შენი სიმამრი ებრაელი ყოფილა. შენც ავრეც [ჰქონდეს] ...რამ...*

მარკები კიდეზე

ქ. ჩვენ, ცხებულის მეფის თეიმურა[ზის] ძე, ირაკლი მეორე მეფე საქარ[თველო]სი ვამტკიცებთ სიგელსა ამას.

დე[კემბრის] თ, ქორონიკონს უნბ.

ბეჭედი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ვალესია ვალიდე ერეკლე

ქ. ჩვენ, დედუფალთ-დედუფალი, დადიანის ასული, პატრონი დარეჯან ვამტკიცებთ სიგელსა ამას.

ბეჭედი: ვინა არს მიზეზი არსთა მკობისა, მანმცა წილი დედოფლობისა დარეჯან.

ქ. ჩვენ, მეფის ირაკლის ძე, საქართველოს უფლისწული ბატონიშვილი გიორგი ვამტკიცებთ სიგელსა ამას.

ბეჭედი: გიორგი ბატონიშვილი

verso

ქ. ჩვენ, ყოვლად სამღვდელო ამბა ალავერდელი, პა[ა]ტია მოსრავის ძე, ნიკოლოზ ვამტკიცებთ სიგელსა ამას, როგორადაც მათს უმაღლესობას დაუმტკიცებია, მტკიცედ მოუშლელი იყოს.

დეკემბრის იგ, ქორონიკონს უობ.

ბეჭედი: ალავერდელი ნიკოლოზ

---

* დანარჩენი აკლია.

323. [წყალობის წიგნი ანტონ I-ისა სარდალ შიოშ გედეონის ძისადმი]

[1784 წ. 10 დეკემბერი]

ქ. წყალობითა ღმრთისათა ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა დიდმან მამათმთავარმან, მეფეთა მოძღვანდედმან, კათალიკოზ-პატრიარქმან, ძემან ქართველთა მეფისა იესესმან, პატრონმან ანტონი, ესე წყალობა გიყავით თქუენ გუარობით გედეონის ძეთა სარდლის გაბრიელის ძეს, თავადს სარდალს შიოშს და ძმათა შენთა გიორგის და იოსებს და შვილთა თქუენთა ნიკოლოზს და დიმიტრის. შვილთა და მამავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთა.

ასე, რომ: ბიძა თქუენი მოლარეთხუცესი პაატა ყოვლად სანატრელის საქართველოს კათალიკოზის პატრიარქის, ბიძის ჩვენის, დომენტისაგან გაზდილი იყო და ბიძა თქუენს მოლარეთხუცეს პაატასაც მრავალ გვარად ერთგულად ემსახურა, ვითაცა შეეტყუებოდა სარწმუნოსა მონასა ყოველთა ადგილთა და უსჯულოთაგან ექსორიობით ყოფასაცა შინა, ოდესცა რაი კოსტანტინეპოლის ყოფასა შინა რაიცა რა შეემთხვია.

და ოდესცა ბიძა ჩვენი ყოვლად სანატრელი დომენტი პატრიაქი გარდაიცვალა და შემდგომად მისსა ჩვენ გვიახელ და დიდისა ერთგულობით გემსახურებდი საქართველოსა შინა.

და, ოდესცა ჩვენ რუსეთს წარვედით, იქიც თან გვიახელ და მრავალს ერთგულობით გვმსახურებდი: და შვიდსა წელსა რუსეთს ვიმყოფებოდით და შვიდსა წლისა შემდგომად უკუთილმსახურესს მისს სიმაღლეს, ჩემს ძმას მეფეს ირაკლის დიდის გულსმოდგინებით კვალად ქართლადვე გეწოდენით და ჩვენცა თავს ვიდევით რუსეთით ქართლადვე წარმოსლვად.

და რუსეთის ყოვლად მოწყალეს ჭელმწიფეს მისს დიდებულებას გამოვეთხოვენით. და მისმა სიმაღლემაც წყალობა გვყო და დიდის მოწყალებით და პატივისცემით ქართლადვე წარმოგვავლინა; და ნებითა ღმრთისათა ქართლად მის სიმაღლეს ჩემს ძმას მეფეს ირაკლისთან მოვიწიენით და ძმასა ჩემსა თანა ეცხოვრებდი. და მე ტახტისა ჩემისად არა ვინებე დაჯდომად.

გარნა არცა მეფობისა მისსა სიმაღლემ და არცა საქართველოსა ეპისკოპოსთა, თავადთა, დარბაზის ერთა, არცა დიდთა და მცირეთა არა თავს იდვეს ჩემი ჩემსავე ხარისხსა ზედა აღუყუანე-

ლობაი და საქართველოს მწყემსად და პატრიაქად დამადგინეს. მეცა მორჩილ ვექმენ მისს სიმაღლეს ჩემს ძმას მეფეს ირაკლის[ძეს] საქართველოს ეპისკოპოსთა და დ[ა]რბასის ერთა.

და ოდეს ჩვენ ჩვენსავე ტახტსა ზედა ვეღენით, მას ოდენ ჟამსა მოხვედით და ბიძის თქუენის სახელოს მოლარეთუხუცესობას და ნაზირობას დაგვიჯენით.

ვისმინეთ [აჯა] და მოკსენება თქვენი და გიბოძეთ მოლარეთხუცობა და ნაზირობა ყოველის კაცისაგან უცილებლად. ვითაც ყოველად სანატრელს კათალიკოზ-პატრიაქს ბიძა ჩვენს დომეტის წყალობა ექნა მოლარეთხუცობისა და ნაზირობისა ბიძის თქუენის პაატასათვის და ჰქონდა; და ჩვენც თქუენივე სახელო თქუენ წყალობა გიყავით — ნაზირობა და მოლარეთხუცობა ამ წესით, რომ, ვიდრემდის ბიძა თქუენი მოლარეთხუცესი პაატა ცოცხალი იყოს, ეს მოლარეთხუცობა და ნაზირობა იმას ქონდეს. და ოდეს ბიძამან თქუენმან გარდააცვლოს საწუთოი, თქუენთვის წყალობა გვიქნია მოლარეთხუცობა და ნაზირობა საბოლოოდ და სამკუდროდ.

გჭონდესთ და გიბედნიეროს ღმერთმან სვეტის ცხოვლისა სამსახურსა და ჩვენსა ერთგულობასა შინა; არაოდეს ჰოგეშალოს არა ჩვენგან და არცა სხვათა მეპატრონეთაგან, არცა მეფეთა და დედოფალთა და უფლისწულთაგან, არცა მთავართა და მძღოლართაგან, არცა დიდთა და არცა მცირეთაგან.

აწე თქუენცა, შემდგომად ჩვენსა ყოველად სანატრელნო კათალიკოზ-პატრიარქნო, თქუენცა ასეევე დაუმტკიცეთ, რათა თქუენიცა გაგებული და გარიგებული ღმერთმან მტკიცე და უნაკლულო ყოს. ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხოს.

არიან ამის მოწმენი და ნებისა დამრთველნი ერთობილნი მცხეთელნი.

აღიწერა წყალობა და ნაშანი ესე წელსა მეოთხესა რუსეთით მოსულისა ჩვენისასა, თვესა დეკემბერსა ი. კელთა დეკანოზის მიხაილისათა წელსა ჩღჲდ.

ხელრული: კათალიკოზ-პატრიარქი ანტონი გამტკიცებ ნებითა ღმრთისათა.

ჭ. ჩვენ, არულიად საქართველოს, ქართლისა, კახეთისა და ჯავახ-ბორჩალოსა ფლობით მპყრობელისა მეფისა ირაკლი მეოთხისაგან მტკიცეა.

სეკდენბერს კბ, ქრისტეს აქეთ ჩღჲე.

ბეჭედი: მე ფუხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე ერეკლე.

ქ. ჩვენ, ჯოვლის საქართველოს კათალიკოზ-პატრიარ-
ხი, მეფის ირაკლის ძე, ანტონი ვამტკიცებთ წყალობის-ხმობილ-
ბასპრივილეგიას
გელსა ამას. ივლისის 3, ქორონიკონს ფჟგ — 1803.

ხელრთვა: ანტონი

ქ. ჩვენ, ქართლისა და კახეთის უფლისწული მეფის ძე გიორგი ამ ბიძის ჩვენის ნაბოძებს სიგელს ვამტკიცებთ. სეკდემბერს კზ, ქრისტეს აქეთ ჩლეე.

ბეჭედი: გიორგი ბატონიშვილი

324. [წყალობის წიგნი ანტონ I-ისა იესე ნემსაძისადმი]

[1764 წ.]

ქ. წყალობითა ღმრთისათა ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა დიდმან მამათმთავარმან, მეფეთა შარავანდედმან კათალიკოზ პატრიარქმან, ძემან ქართველთა მეფისა იესესმან პატრონმან ანტონი ესე წყალობის წიგნი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, სვეტის ცხოველისა მკუ[ი]დრობით ყმასა და ჩვენდა ერთგულსა მოსამსახურესა გვარობით ნემსაძეს მოხისელ[1] მღუდელს იესესა, შვილსა შუნსა ბასილს და სტეფანესა, შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთა ასე, რომ:

მეტეხის დეკანოზს დიმიტრის რადგან შვილი არა ყუანდა და ეშვილო იყო, თითონ თავისას ნებამყოფობით და ჰვენისაცა დასტურით შენ, იესე ხუცესი მამაშვილობისა წესით შვილათ აეყუანე და შენც ნება დაგერთო და მამაშვილობით იყავით. შენ შვილობია წესით მსახურებდი და დეკანოზიც მამა-შვილობით გზრდიდა და გსწავლიდა; და თავისსავე სიცოცხლეში თავის ნებამყოფლობით მამა-შვილობის პირობისა წიგნი მოეცა შენთვის და ქელთ გქონდა.

და თავისის მამულისა, რისაც მქონებელი ყოფილიყო, მიწისა თუ წყლისა, სახნავისა თუ უჯნავისა, სარწყავისა თუ ურწყავისა, სათიბისა თუ უთიბისა, გენახისა თუ ბოსტნისა, ანუ ბაღისა, ნასყიდისა გინა უსყიდისა, ანუ წყალობად ნაშოვრისა, გინა რომლისამე სახლშიდ მქონისა საქონლისა, ყუელა შენთვის მოეცა.

რადგან ესეები შენთვის დეკანოზს მოეცა და ჩვენც წყალობას დაგვეაჭვა და წიგნითა ჩვენითა განახლება თხოვე, ჩვენც მცხე-

---

1 მოხისელს.

თელთ შეკითხვით წიგნითა ამით ყუელა შენ გიბოძეთ და წყალობა გიყავით; ვითა მამის შენის წიგნთა გეწეროს, ჩვენც ეგრეთვე ვსწერეთ.

რომელიც თანამდები ვალი გარდაიხადოს, დეკანოზი მიიცვალოს, შენც ვითა მამაშვილობის წესი და ვალი გედოს, გარდაიკადო, კარგათ დამარხო და იმისს სულს მოუარო.

და დეკანოზისაგან მოცემული მამული ყოველივერი ჯულშეუვალად შენ გქონდეს ნასყიდი თუ უსყიდი, გინა ნაწყალობევი; არაფრისთანა საჩვენო სათხოვარი არა გეთხოვებოდეს რა: არა ღალა და არა კულუხი გინა სხვა რომელიმე საჩვენო სათხოვარი, და თარხანი იყავით; ვითარცა დეკანოზი თარხანი და აზატი იყო, ეგრეთვე თქვენ გეთარხნებიხართ.

გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან სვეტის ცხოველისა ერთგულობასა და სამსახურსა შინა და არ მოვეშალოსთ არა ჩვენგან და არცა სხვათა კათალიკოზ-პატრიაქთაგან.

აწე თქვენცა, ჩვენსა შემდგომად კათალიკოზ-პატრიაქნო, ასევე დაუმტკიცეთ, რათა თქვენიცა გაგებული მტკიცედ ეგოს.

არიან ამის მოწამენი და ნების დამრთველნი ერთობილნი მცხეთელნი.

დაიწერა ნიშანი ესე წელსა მეორესა რესეთით მოსულისა ჩვენისახა ქელით დეკანოზის მიხაილისათა წელსა **ჩლაგ.**

ხელთა: კათალიკოზი

ქ. ჩვენ, საქართველოს მპყრობელი მეფე ერეკლე ამას ზემისა ჩვენისა ყოველისა საქართველოსა კათალიკოზ-პატრიარქის ანტონის ბოძებულსა წიგნსა ვამტკიცებთ.

სეკდენბერს **კბ,** ქრისტეს აქეთ **ჩლოგ,** ქორონიკონს **უჟა.**

ბეჭედი: მე ფეხთგანბანილთა მიერ გულსია ვადიდე ერეკლე

ქ. ჩვენ, ყოველისა საქართველოს კათალიკოზ-პატრიარხი, მეფის ირაკლის ძე, ანტონი სიგელსა ამას ვამტკიცებ.

იულისის **იზ,** ქორონიკონს **უპ.**

ხელთა: კათალიკოზი ანტონი

თავში ბეჭედი: რომელი განწესნათ ქუეყანასა ზედა, გსნილ იყოს იგი ცათა შინა.

325. [წიგნი ანტონ I-ისა თიანელთა და ერწოელთადმი მართებული სამსახურის გაწევის შესახებ]

[1765 წ. 18 იანვარი]

ქ. საქართველოს კათალიკოზ-პატრიარხის, მეფის ძის, ანტონის ამეცნო, ვინცა ვინ ჩვენი ყმანი ხართ და ან სამწყსონი ან თიანეთისა და ან ერწოელნი ახმეტასა!

მერმე ეს როგორი პატრონყმობა არის, ამდონი ხანია ჩვენს ტახტზე ვზივართ, არც გვნახავთ, არც[ა] რას გვემსახურებით, რაც გაძესთ, არც[ა] რას იძით გვმსახურებთ.

ამისთანას ყურის მიგდებას და უნაღელელობას დაეჯსენით, თორემ, დიახ, ავად მოგივათ.

რაც მართებული იყოს და შეგეძლოსთ, ისე გვმსახურეთ. გლახა სალთხუცესშვილი გამოგვიგზავნია და როშელიც ჩვენი სამსახური გდებოდესთ, გვმ[ს]ახურეთ.

იანვრის ი**ჱ**, [წელსა] ჩ**ღ**ჲ**ე**.

ბეჭდისა: კათალიკოზი

326. [ბრძანება ერეკლე II-ისა და ანტონ I-ისა კაწარის სამწყსოს რუსთველისა და ნინოწმიდელისათვის მიბარების შესახებ]

[1765 წ. 29 აგვისტო]

ქ. ჩვენ, ირაკლი მეორემან მეფემან ქართლისა, კახეთისა და ყოვლისა საქართველოჲსამან და ძმამან ჩვენმან ანტონი პატრიარქმან ყოვლისა საქართველოსამან, განვსაჯეთ წმიდის სამების ეკლესიის კაწარის ეპარხია, რომ ეროის ეპისკოპოსისათვის სარჩოდ საქმათ იდარც სამწყსო და იდარც ყმა და მამული იყო.

ამისთვის ვბძანეთ, რომ წმიდის სამების ეკლესიის სამწყსო, ყმა თუ მამული საცაც იყოს, რუსთველისა და ნინოწმიდლის ეკლესიას გაეყოს დრომდის.

და ან რაც თვითან სამებლებს რამ გაეკეთებინოსთ ეკლესიისათვის და შეეწიროსთ და ან სხვას ვისმე რამე, და ან სამების ეკლესიის სახელზედ რამ შენაწირთ სადმე რამ იყოს და სამებელს დარჩომოდეს, ესენი ყველა ყოვლად სამღუდელომ რუსთველმა დომენტიმ და ნინოწმიდელმა საბამ ორ წილად გაიყონ თავისის ნებისაებრ. და მასუკან ჩვენ მოგვაჯსენონ.

დაიწერა წელსა ჩ**ღ**ჲ**ე** თთესა ეგვისტოს კ**თ** დღესა.

ბაძდი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია გადიდე ერეკლე
ხელითა: ქათალიკოზი

327. [ბრძანება ანტონ I-ისა ზურაბ ხითარისშვილისადმი ყმაზე დავის ფიცით გადაწყვეტის შესახებ]

[1766 წ. 27 მაისი]

ქ. საქართველოს პატრიარქის, მეფის ძის, ანტონის იმედო ხითარისშვილო ზურაბს!

მერმე მურვანის[შვილი] რომ ურიაზედ[1] ლაპარაკობს, მიდი ცხინვალს. თუ ბაზაზისშვილი და ან თამარშენელი მოძღ[ვ]არი მოფიცრათ იშოვნოს, რომ სეეტის[2] ცხოვლის ყმა იყოს, ესენი დაჰფიცე და საჩვენოთ[3] დაბრუნე.

და თუ ესენი მოფიცრათ ვერ იშოვნოს, აეყარე და მურვანისშვილს მიაბარე, თავის ყმა ყოფილა.

მაისის ოცდაშვიდს, ქორონიკონს უნდ.

ხელრთვა: კათალიკოზი

verso

მოველ მე, ხითარისშვილი ზურაბი ბატონის პატრიაქის ამ ოქმით ცხინვალს და თამარაშენელი მოძღ[ვ]არი და ბაზაზისშვილი დავითა მოვსინე; და ამ ურიას ველიცს ვერ უფიცეს.

და ეს ველიც ურია თავის შვილებით მურვანისშვილებს დარჩა, სხვას ხელი არა აქვს ამ ურიასთან. ხელი ავმართ[ე] და მურვანისშვილებს მოვაბარე, თავის ყმა არის.

დაიწერა თიბათვის ვ, ქორონიკონს უნდ.

ბეჭდი: ზურაბ

328. [უვნებლობის პირობის წიგნი ანტონ I-ისა ზაალ ორბელიანისადმი]

[1766 წ. 4 აგვისტო]

ქ. ბრწყინვალესა თავადსა და სულიერსა ძესა ორბელიანს უფალს ზაალს* ანტონი, მეფის ძე, პატრიარქი ყოველისა საქართველოჲსა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიერ მშვიდობით და ლოცა-კურთხევით მოგიკითხავ და თქვენს მშვიდობის ამბავს ვიკითხავ.

---

[1] +რომ. [2] ცვეტის. [3] საჩვენოთ.

* „ზაალს" სიტყვის თავშია. აქ კი ცარიელი დატოვებულია სახელისათვის.

წიგნი მოგეწერა, მომივიდა და რაც გებძანა. ყველა შევიტყვე აქედამ თქვენი წასლვა ჩემს გაშინჯულობაში, დია, შემოეყვანდით საქმეა; რომ არ წასულიყავით, ის უმჯობესი იყო.

მისი სიმაღლე მეფე, ჩემი ძმა, ზეით ბძანდებოდა გორს. წიგნის პასუხი ამიტომ დავაგვიანეთ. ახლა ჩამობრძანდა, მოვახსენე ამაზედ ყული მაჯერა: მისწერეთ, რომ ჩემგან ზაალს არც დაბერით, არც საკუდილით და არც გახეიბრებით არ ეშინოდესო; ჩამოვიდეს აქათ, ზაალის მოწმობაც წიგნებსაც გავშინჯავთ, იმათს მოტახილს წიგნებსაცათ, და რომელსაც სწორედ შევიტყობთ, მართლად იმას ალმოვაჩენთ.

და თუ აქაური სამართალი არ უნდა და არ დასჯერდება, ბატონს გავისტუმრებთ და სამართალი იქ უყონო.

რაც ბატონისაგან ნაბძანი გავიგონე, ისინი მოვახსენე.

დაიწერა წელსა ჩლჲვ, აგვისტოს დ.

ხელთაგი: კათალიკოზი

329. [წყალობის წიგნი ანტონ I-ისა იმერლის შვილებისადმი]

[1767 წ. 3 ოქტომბერი]

ქ. ჩვენ ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოსა და აღმოსავლეთისა დიდმან მამათ-მთავარმან და მეფეთა მაღალნდელმან, ძემან ქართველთა მეფისა იესესმან, კათალიკოზ-პატრიარხმან პატრონმან ანტონი ეს წყალობის წიგნი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ მცხეთელს იმერლის ივანეს შვილს ტეტიას და ძმასა შენსა ივანეს და მომავალთა სახლისა თქვენისათა, ასე და ამა პირსა ზედა:

პაპაშენი იმერეთიდამ გადმოსულიყო და ნეტარხსენებულს ყოვლად სანატრელს მიძაჩვენს პატრიარხს დომენტის ხლებოდა და მის უწმინდესობას სვეტისცხოველისათვის შეეწირა და სახასოდ დაედვა და მამული ებოძა და მცხეთას დაეყენებინა და წყალობის წიგნი ებოძებინა.

როგორც იმის უწმიდესობას გაურიგებია და წყალობა უქნია, ჩვენც ეგრეთვე წყალობა გიყავით. სვეტსცხოველს შეგწირეთ და სახასოდ დაგდევით. არას კაცს შენთან საბატონყმოდ საქმე არა აქვს თვინიერ ჩვენსა.

ეს ჩვენი წყალობა ასე გაგითავდეს და გიბედნიეროსთ ღმერთმან ეკლესიისა და ჩვენსა სამსახურსა და ერთგულობასა შენსა. ვიხილეთ მოგეშალოს აბა ჩვენგან და არც შემდგომად ჩვენსა კათალიკოზთა პატრიაქთაგან.

ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხნეს.

არიან ამისი მოწამენი და ნებისდამრთველნი ერთობილნი მცხეთის შვილნი.

აღიწერა ფებერვლის გ. წელსა ჩლჲზ.

ამას გარდა რაც სუმბულიძეებისაგან მამული გეყიდნოსთ და წიგნები გქონდესთ, იმისი ღალა და კულუხიც წყალობა გეიქნია და გვიპატიებია; ამ მიზეზით, რომ რახან აზნაურშვილის მამული არის ღალა და კულუხი არ ეთხოება.

ხელრთვა: კათალიკოზი

330. [წყალობის წიგნი ანტონ I-ისა იოანე ზუმბულიძისადმი]

[1767 წ. 25 თებერვალი]

ქ. წყალობითა ღმრთისათა ჩვენ ყოვლისა საქართველოისა მამათ-მთავარმან მეფეთა მარავანდებულმა ძემა ქართველთა მეფის იესესმა კათალიკოზ-პატრიაქმა ანტონი ესე უკუნისამდე ქცეთა და დროთა ცვალებადთა გამოსადეგი მტკიცე და უცვალებელი, უმიზეზო და მიზეზდაუდებელი წყალობის წიგნი დაგიწერეთ და გიბოძეთ თქვენ სვეტს ცხოვლის მკვიდრობით ყმას და აზნაურშვილსა ზუმბულიძეს პატიოსანს ხეცესმონაზონს იოანეს.

ასე, რომ: რადგან ჩვენის წმიდის ეკლესიის ყმა და მოსამსახურე და თავდადებით ერთგული იყავი, ვითაც ღირს იყავ პატივისცემას, ჩვენც პატივ გეცით და ჩვენის წმიდის კათოლიკე ეკლესიისა მცხეთის იკონომოსობა და დეკანოზობა შენ გიბოძეთ და მისად დეკანოზად დაგადგინეთ და ჩვენის ეკლესიის მოვლა ქნელთ გიდევთ. ვითაც ძალუძდეს, შენცა მოვლას და ეკლესიის სამსახურს ეცდებოდე დამსახურებდე. და ჩვენცა თანაშემწე გექმნებით ეკლესიის სამსახურთა ზედა.

და ესეცა დაგიმტკიცეთ, რომელიცა ჩვენის ეკლესიისა შემოსავალი სადეკანოზო ჰქონებოდეს: ან ყმა, ან მამული, ან სახელო, ან ნასყიდი, გინა უსყიდი, გართლში გინა ქახეთს, სარჯულო ყველა შენ გიბოძეთ. ვითაც შენ ნათესავთა ათანასე დეკანოზს და დ[ა]ნიელ დეკანოზს ქამთა სარგო და შემოსავალი ჰქონდესთ, ყველა

ჰელწეუვალად შენთვის წყალობა გექნია; რომ არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არც ჩვენსა შემდგომთა კათალიკოზ-პატრიარქებისგან.

არიან ამის მოწმენი და ნებაია დამრთველნი მცხეთისა შემკრებელნი.

აღიწერა ბძანება და ნიშანი ესე ჭელითა კარისა ჩვენისა საყდრისა ქრისტეს შობის დეკანოზისა მიხაილისათა, წელსა მეოთხესა რუსეთით მოქცევისა ჩვენისაჲა, თვესა ფებერვალს ოცდამეხუთესა, წელსა ჩჲჲზ.

ხელრთვა: კათალიკოზ-პატრიარქი ანტონი ვამტკიცებ წებითა ღმრთისათა.

ქ. ჩვენ, აქართველოს მეფედ ცხებულის თეიმურაზის ძე ირაკლი მეორე, შეფე ქართლისა, კახეთისა, კაზახისა, ბორჩალისა[1] და ყოვლისა ზემოსა საქართველოსა ამა ჩვენის ძმისა ყოვლისა საქართველოსა კათალიკოზ-პატრიარქის ბოძებულსა სიგელსა ვამტკიცებთ.

ფებერვალს კჱ, ქრისტეს აქეთ ჩჲჲზ.

ბეჭედი: მე ცვეთისანმანილთა მიერ ეკლესია ვადიდე ერეკლე

331. [ფარალოზის წიგნი ანტონ I-ისა შიოშ გედეონის-ძისადმი]

[1767 წ. 28 ოქტომბერი]

ქ. წყალობითა ღმრთისათა, ჩვენ, ყოვლისა საქართველოს დიდმა მამათმთავარმან, მეფეთა შარავანდედმან, კათალიკოზ-პატრიარქმან, ძემან ქართველთა მეფისა იესესმან, პატრონმა ანტონიმ ესე უკუნისამდე ქამთა და დროთა ცვალებადთა გამოსადეგი მტკიცე და უცვალებელი და ყოვლის კაცის მოსდეგარი, უშიზეზო და მიზეზ-შემოუდებელი წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, სვეტისცხოველის ნამსახურთა და ჩვენთა ერთგულთა ყმათა გედეონის ძეთა, სარდალს შიოშს და ძმასა შენსა გიორგის და იოსებს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთა.

ასე, რომ: ძველთა ჴემწიფეთა და წმიდათა პატრიარქთაგან ვითაცა სარდლობა თქუენის თჯახის ყოფილა, დია წყალობა გჭირვებიათ და წიგნიც უბოძებიათ ძველთა ჴემწიფეთა და პატრიარქთა.

ეგრეთვეცა ხიდზე დგომა თქუენის სახლისა* და თქუენი ყო-

---

1 ბორჩალისა.

* პირველად დაიწერა „თჯახისა", რაც ხაზგადასმულია.

ფილა, და თქვენთვის წყალობა უქნიათ, და თქვენთვის უბოძებიათ და ძველითგან მკუდრობიდგა თქვენი ყოფილიყო. ცოტაოდენთა ქამთა ვითარებისა და ავის დროს მიზეზითა ხან ვინ მდგარიყო ხან ვინ.

როდეს ღმერთმან მოხედნა ერთა საქართველოსათა და უკეთილმსახურესი მეფე ირაკლი მეფედ საქართველოსად და კახეთისად მპყრობელად და განმგებელად დაიდგინა, ისევე მცხეთის ხიდის-დგომა თქუენთვის და თქვენის ოჯახისათვის წყალობა ექნა და თქვენი ძველნი გუჯარნი ძველთა ჯემწიფეთა და პატრიარქთანი დაემტკიცნეს და თვითცა წყალობის წიგნნი ებოძნეს.

რადგან მის სიმაღლეს, ჩემს ძმას, მეფეს ერეკლეს წყალობა ექნა, მოხუედით და ამ ხიდის-დგომასა ჩვენცა დაგვეჯენით. ესმინეთ მოკსენება თქუენი და ჩვენც წყალობა გიყავით, რომ ხიდზე თქუენ უნდა დასდგებოდეთ, რომ სხუათ ჯული არავის აქვს და ვერცავინ გეცილოს.

ვითაც ძველთაგან თქვენი ყოფილიყო და ახლაც წიგნითა ჩემს ძმას მეფეს ირაკლის ებოძა, ჩვენცა წყალობა გიყავით და სიგლითა ამით დაგიმტკიცეთ.

ვითაც ჩემს ძმას მეფეს ირაკლის ებოძა, ჩვენც გიმტკიცებთ, რომ სხუას აზნაურიშვილთ ჯული არავის ქონდეს და ვერცავინ გეცილოს.

გქონდესთ და გიბედნიეროსთ ღმერთმან სვეტისცხოველის ერთგულობასა და ჩვენდა სამსახურითა შინა. არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა ჩვენსა შემდგომთა კათალიკოზ-პატრიაქთაგან.

ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აყურთხოს. ალიწერა ბძანება და ნიშანი ესე თვესა ოქტომბერსა კგ. წელსა ჩლჷზ.

ხელთაგა: კათალიკოზი
მარცხენა კიდეზე

ქ. მათის უწმიდესობის სანატრელის კათალიკოზის ანტონის წყალობის სიგელსა ამას ვამტკიცებ, ნოემბრის კდ, ქრონიკონს უუა.

ხელთაგა: კათალიკოზი

verso

ხიდის წყალობის წიგნი პატრიაქის ნაბოძები

332. [წყალობის წიგნი ანტონ I-ისა სოლომონ კუალიაშვილისადმი]

[1768 წ. 29 იანვარი]

ქ. წყალობითა ღმრთისათა, ჩვენ, ყოვლისა ზემოისა საქართველოისა კათალიკოზ-პატრიარხმან, ძემან ქართველთა მეფისა იესესმან, პატრონმა ანტონი ესე უკუნითი უკუნისამდე ყამთა დროთა და წელთა ცუალებადთა გამოსადეგი მტკიცე და ყოველთა მიერ მოსმენელი წყალობის წიგნი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ ჩვენგან მკვიდრს ყრმას აღზრდილსა და მარად ჩვენთა სამსახურთა და ერთგულობათა შინა მყოფთა მგალობელს კუალიაშვილს სოლომონს, ძმასა შენსა იოანეს და დავითს და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთა.

ასე, რომ მოხვედით კარსა დარბაზ-პალატისა ჩვენისასა და რევაზისშვილებზედ სარჩლობდით და ლაპარაკობდით, ჩვენ მოკითხული ვყავით და გამოვიძიეთ და თქვენი სარჩელიც შეშმარიტებით გამოვკითხეთ, მაგრამ მაინც ულაპარაკოთ და გამოუძიებელად წყალობა არ გიყავით; ამიტომ, რომ ეს რევაზისშვილები ნეტარად ქსენებულს საქართველოს პატრიარხს, ბიძა ჩვენს, დომენტის სვეტის ცხოველის გუჯარშიდ ბოვანოდ აღმოეჩინა და ამითი ჩნდა, რომ მემკვიდრე სვეტისცხოვლის ყმა არ ყოფილიყო.

და თქვენც სარჩლობდით და ამასაც მოგვახსენებდით: უსარჩოთა და უმამულოთა გახლდეართო.

რადგან უსარჩო იყუენით და მუდამ გაუყრელად ჩვენს სამსახურში იყუენით, ჩვენცა თქვენის სამსახურის სამუქთოდ წყალობა გიყავით მოხსისა რევაზაშვილები თავის მამულითა, სახნავითა და უხნავითა დღეს რომლისაც მქონებელნი იყუენ.

გქონდესთ და გიბედნიეროსთ ღმერთმან ჩვენთა ერთგულობათა და სვეტისცხოვლისა სამსახურთა შინა. და არაოდეს არ მოგეშალოს და სვეტისცხოვლისა სამსახურთა შინა. და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არც ჩვენთა შემდგომთა კათალიკოზ-პატრ[იარ]ხთაგან.

არამედ თქვენ ყოვლად სანატრელნო და წმიდანო კათალიკოზ-პატრიარხნო, თქვენცა ასევე დაუმტკიცეთ და სუმცა ვინ არს მშლელი ამისად, რათა თქვენიცა გაგებული და გარიგებული ღმერთმან კეთილად გაგიგოს. უკეთუმცა უწესო და უმართებულო ყოფილიყო არცა ჩვენ მაკლდე ვიქმნებოდით საქმისა უწესოსა.

ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხნეს.
არიან ამისნი მოწამენი და ნებისამრთველნი ერთობილნი მკვლელ-
თა[ა]ნ.

აღიწერა ბძანება და ნიშანი ესე ინდიქტიონსა პატრიარხობისა ჩვენისასა **ლე***, კალენდა ქრისტეს შობის ეკლესიის დეკანოზის მი-ხ ა ი ლ ი ს ა თ ა, თთუესა იანვარსა **კთ**, წელსა ქრისტეს აქეთსა **ჩლაწ**.

ხელრთვა: კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი ა ნ ტ ო ნ ი
მარცხენა კიდეზე

ქ. ჩვენ, ცხებულის მეფის თეიმურაზის ძე, ი რ ა კ ლ ი მ ე ო-რ ე მ ე ფ ე საქართველოსი, ქართლისა და კახეთისა სხვათა და სხვათა სამფლობელოთა მპყრობელი, ამ ჩვენის ძის მათის უწმიდესობის გა[ა]ხლებულს სიგელს ვამტკიცებთ.

ქორონიკონს **უპე**.

ბეჭედი: მე ფცხოვნებაჲნილთა მიერ ეკლესია ვადიდე ერეკლე.

ქ. ჩვენ, სა[ქართველოს]...* დ ე დ ო ფ ა ლ ი დ[ა რ ე-ჯ ა ნ...* ვა]მტკიცებთ სიგ[ელსა ამას].

verso

[ჩვენ, მ ე ფ ი ს ძ ე ი უ] ლ ო ნ ბატონის ბიძის ჩვენისაგან]ნაბოძებს ამ სიგელს ვამტკიცებთ.

მარტის გ.

ქ. ჩვენ, მ ე ფ ი ს ძ ე ვ ა ხ ტ ა ნ გ ბატონის ბიძის ჩვენისაგან ნაბოძებს ამ სიგელს ვამტკიცებთ მარტის დ. ქორონიკონს **უიზ**.

ბეჭედი: ლომად იუდას ბაკეთად ვახტანგ ირაკლის ნაკვეთად

ქ. ჩვენ, მ ე ფ ი ს ძ ე მ ი რ ი ა ნ ბატონის ბიძის ჩვენისაგან ნაბოძებს ამ სიგელს ვამტკიცებთ.

მარტს ე, ქორონიკონს **უკზ**.

ბეჭედი: დავითის ტომთა სჯესისა ძე ვარ ირაკლი მეფისა მ ი რ ი ა ნ

ქ. ჩვენ, ყოველისა საქართველოს კ ა თ ა ლ ი კ ო ზ-პ ა ტ რ ი-ა რ ხ ო ს ი ა ნ, ძეთან მეფისა ირაკლი მეორისათან, ა ნ ტ ო ნ ი რომელიც ქონდათ ჩვენგან ბოძებული სიგელი და მეფის ირაკლისაგან დამ-ტკიცებული, რომელც ჩამოგართვით რეგაზიშვილები, ის ჩვენგან

---

* უნდა იყოს: „კდ".
** კიდე მოხეულია.

ბოძებული სიგელი გაგვიბათილებია და ისევ გვიბოძებია რომელიც შეილება; იმის დამაყენებელი სიგელი გიბოძეთ ჩვენგან ხელმწიფის წერილი და ბეჭის ირაყლისაგან დამტკიცებული.

კიდევ[1] ეს ერთი ძველი სიგელი წარმოადგინე; ვიხილე რა ნეტარად ხსენებულისა ბიძისა ჩვენისა კათოლიკოზისა მეფის ძის ანტონისაგან ბოძებული დამტკიცებული წყალობის სიგელი ესე, შეცა გაეცანით ძველი სიგელი ძმისწულმან მოსაკდრემან მისმან, თანხმობით დავამტკიცე.

მთიბათვის ა, ქორონიკონს ფპე.

ხელთაწერი: კათალიკოზი ანტონი

333. [წიგნი ანტონ I-ისა იოსებ გლურჯიძისადმი სვეტიცხოვლის ყმის თაობაზე]

[1708 წ. 11 თებერვალი]

ქ. საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის მეფის ძის ანტონის კეთილად სახსენებელი ელუარჯიძე იოსებ მრავალი მოკითხვა და ჩვენ მიერი ლოცვა-კურთხევა მოგვიწერია.

მერე ჩვენი ყმა ჯაბახი ლომა ჩვენს მამულში ჩვენად ყმად იყო და ცოტას ხანს მანდ სახირეთს ყოფილა ხიზანთაი. და ახლა შენ სადმე ყმათ ეჭიდები. სვეტისცხოველის ყმასთან შენ რა საქმე გაქვს, ან რომელის მიზეზით ეჭიდები.

თუ სიტყვა გაქუსთ რაიე ამასთან, აქ ჩამოდი, ჩვენს მოკეცულ[ე]ბს ელაპარაკე. და თუ არა, ამას ნურას ელაპარაკები. თორემე სამდურავი გამოგვერევა. იცოდე, სამართლით.

თებერვლის ია, წელსა ჩლაზ.

ხელთაწერი: კათალიკოზი

334. [წყალობის წიგნი ანტონ I-ისა სახლთუხუცეს გიორგი მაღალაძისადმი]

[1708 წ. 2 ივლისი]

ქ. წყალობათა ღმრთისათა ჩვენ ყოვლისა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმან, ძემან ქართველთა მეფისა იესესმან ანტონი ესე უკუნისამდე ქამთა და დროთა გამოსადეგი და საბოლოვო წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერინეთ და გიბოძეთ შენ, ჩუენის კათოლიკე ეკლესიის სვეტის ცხოველის სახლთუხუცესს მა-

[1] დედე-

დალაძეს გათრგის და ძეთა შენთა ამილბარ დავითს და მომავალთა სახლისა თქუენისათა.

ასე, რომე: მოხვედით კარსა პალატისა ჩუენისასა და ფუელნი მოსაყდრეთა ჩუენთა კათალიკოს-პატრიარქთა სიგელნი და წყალობის წიგნნი მოიხუენით, საქართველოს მეფეთაგან დამტკიცებული, და ჩუენც წყალობას დაგუეჭუნით და წყალობითა მის წიგნითა და სიგელითა-ჩუენითა განაახლებასა.

და ჩუენ ვიხილუნით და წყალობის წიგნი იგი და სიგელნი, ვისმინეთ ადა და მოწსენება თქუენი და წყალობა გიყუეთ, როგორადაც ძველადგან ყოფილა რომ, რომელიც კათოლიკოსის სახლთ. უხუცესი ყოფილა, ქალაქსა ტფილისს მსახლობელთა ჩუენის ეკლესიის ყმათ მოურავიც ის ყოფილა.

შენთუისაც ისე გუიბოძებია ტფილისის ქალაქს და ტფილისის ქალაქს გარეთ აცლაბარსა თუ გარეთუბანს მსახლობელთა ჩუენის ეკლესიის ყმათა შემკუდრეთა თუ მოსულთა, და ან დღეს იქით მოვიდნენ და ჩუენის ეკლესიის ყმანი შეიქმნენ, — ამათ ყოველთა მოურაობა და გამრიგეობა.

და როგორც რომ მისის ღმრთისმსახურების საქართუელოს მეფისაგან დადგენილის მოურავის განწესება არის ტფილისის ქალაქს სახასოს ყმათა ზედა და მათგან მათზედ სამსახური და მორჩილება. ასრევე შენც ჩუენის ეკლესიის ყმათ ეპყრობოდე, და ჩუენი ყმანიც მეფისაგან დადგენილის მოურავის მსგავსად შეძლებისაებრ გმსახურებდენ და გმორჩილებდენ ასრეე, როგორც ძველნი სიგელნი შენნი აცხადებდენ.

გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩუენსა და ჩუენის ეკლესიის ერთგულად სამსახურსა შინა. არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არცა ჩუენსა შემდგომთა კათოლიკოს პატრიარქთაგან.

ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხნეს.

დაიწერა წყალობის წიგნი და სიგელი ესე წელსა რუსუთით ექუმოქცევისა ჩუენისასა ჳ, იულის[ა] ბ, წელსა განჯორციელებითგან სიტყუისა ღმრთისა ჩღდთ.

და ვინ იცის, რომ ყმათა გათავებისაგან გაიყარნეთ, ქალაქის მოურაობა არც ჩაგართდნილა ბარათში და ხელსა ვინ იკლებს ბარათში ჩაგდებად.

ხელთა: კათალიკოზი ანტონი

ქ. ჩუენ, ცხებულის მეფის თეიმურაზის ძე, მ ე ო რ ე ი რ ა კ ლ ი მეფე საქართველოსი ქართლისა, კახეთისა, ყაზახისა, შამშადი-

ლოსი და ბორჩალოს მპყრობელ-მჭონებელი ამ ჩვენის ძმის, მამისა
ეწმინდესობის ბოძებულს სიგელს ვამტკიცებთ უცვალებელად ძველივე

იველისის ოდ, ქორონიკონს უნზ.

ბეჭედი: მე თეიმურაზ ბატონიშვილთა მიერ ეკლესია ვადიდე ერეკლე

ქ. ჩვენ, საქართველოსა და კახეთისა დედოფალთ-დედოფალი, დადიანის ასული, პატრონი დარეჯან ვამტკიცებთ სიგელსა ამას.

მკათათვის ოზ, ქორონიკონს უნზ.

ბეჭედი: ვინ არს მიზეზი არსთა მკობისა, მანმცა წილი დედოფლობისა დარეჯან

ქ. ჩვენ, საქართველოს უფლისწული ბატონიშვილი გიორგი ვამტკიცებთ სიგელსა ამას.

მკათათვის ოზ, ქორონიკონს უნზ.

ბეჭედი: მეფის ძე გიორგი

ქ. ბატონიშვილი ლეონ ვამტკიცებთ სიგელსა ამას.

მკათათვის ოწ, ქორონიკონს უნზ.

ბეჭედი: ბრჭობლთა მეფეთა ძესა ლეონ სახელად მძესა.

335. [წიგნი ანტონ I-ისა მღუდრად ზაალისადმი საშვილიშვილოს გამორთმევის შესახებ]

[1768 წ. 20 დეკემბერი]

ქ. ჩვენო კეთილად სახსოვარო ჯამითის მოურაო ზაალ, ჩვენ მიერ ლოცვა-კურთხევა მოგვიხსენებია.

მერე ჩვენი სალთხუცის შვილი ამილბარ კახეთში გამოვისტუმრეთ, თუ რამ ჩვენი სარგო იყო კახეთს, ამის მოსაკითხავათ. აქ გავიგონეთ და ასეც იყო ჩვენი სიტყვა: სახლში თითო კაცი იყო თარხანი, სოფელი ხომ არ გაგვითარხნებია.

ჩვენს სალთხუცისშვილს ეს სიტყვა უთქომს. მაგ ოთარს ჯანყი უქნია და ამას ვაელახა; და მაგას ამისთვის მამაც ეცინებინა და დედაც და ჯოხითაც ეწიგა და უპატრონოთაც უჯსენებია; მაგას ჯოხით უწევია. ამას მაგისვე ჯოხითა ეგ ოთარი გაელახვის.

ახლა ჩვენი ბოქოულთხეცესი ლუარსაბ ვისტუმრეთ. შენ და ამ ლუარსაბმა ექესი თუმანი ამისი საუბ ოთარას გამოართვით და იმისი წვილი აქ გამოგზავნეთ.

ეს ახლავე გა[ა]რიგეთ.

დეკემბრის კ. ქორონიკონს ჩლაწ.

ხელთაა: კათალიკოზი

336. [მცნება მღუდელთათვის]

[1768 წ.]

[180] ეპისკოპოსთა მიმართ

მათი უმაღლესობა და უკეთილმსახურესობა მეფე ირაკლი და მათი უწმიდესობა და უნეტარესობა პატრიარხი მეფის ძე ანტონი

ესრეთ განვასაზღვრებთ, ვამცნებთ, მოვახსენებთ და უბრძანებთ ყოველთა საქართველოჲსა მღუდელთმთავართა და მწყემსთა ჴეშმარიტთა, ესრეთ:

1.* ეპისკოპოსნი მიიყუანდნენ თავისის სამწყსოსა მღუდელთა, დადგენილთა გინა ახლად დასადგენთა, და კეთილად განიხილვიდენ მათსა ცხოვრებასა და მეცნიერებასა, უკეთუ შემძლებელ იყვნენ სწაველად და სწაველულ იყვნენ შვიდთა ამათ საიდუმლოთა ჴეშმარიტად აღსრულებად.

შვიდნი საიდუმლონი წმიდისა აღმოსავლეთისა ეკლესიისანი ესენი არიან:

ა. ნათლღება, ბ. ცხებაჲ მირონისა, გ. საღმრთო წირვა, დ. მღუდლის კურ[ჳ]თხეება და მიცუალებულის წესთ-აგება და დამარხუა. ე. აღსარების თქმევინება. ვ. პატიოსანი ქორწინება. ზ. ზეთის კურთხეება.

ამათი სრულებით აღსრულება თუ შეეძლოსთ, კეთილ და კურთხევით მიაბაროს ეკლესია და სამწყსო ქრისტესი, და წარავლინოს განკრძალვით მღუდელობად, ლოცვით და კურთხევით.

2. და რომელთაცა არ შეეძლოსთ ამ საიდუმლოებისა აღსრულებად, უბძანოს: ან თვითონ თავის ეკლესიაში მიიყვანოს ის მღუდელი ეპისკოპოსთა, ან რომელსამე მონასტერში მიაბაროს მეცნიერთა და ეჴოდეს გულს-მოდგინედ ეცადნეს, რომ ისწაონ, და

---

* ტექსტი შეხლებად გაკეთილი არ არის.

ვინემდის ისწავლიდენ, ეპისკოპოსმა იმ სამწყსოს სხვა მღუდელ[ი] განუჩინოს.

უკეთუ ისწაოს ამ საიდუმლოების აღსრულება, მერმე სცდეს წყსოც მიაბაროს და იმღუდელ-მოქმედოს.

თუ არ იცუბოს და ვერც ისწავლოს, სამწყსო ჩამოართვან თვითან საცა უნდეს, წარვიდეს. სხვა მღუდელ-მოქმედებას ნურას იქადრებს, თვინიერ წირვისა. სადაც ენებოს, წიროს. თვინიერ სხვათა მღუდელ-მოქმედებათა შენდობა აქვს, მოძღვრისა თვისისა წამებითა.

[181] **3.** რომელთაცა ეკკლესიისაგანთა, სამღუდელოდ განწესებადთასა, საეკკლესიო წიგნნი, რომელნიც დამჭირნი არიან, რომელ ამაების უცოდნელად მღუდელობა არა ჯერ-არს: დავითი, ქამნობა სრულად, სახარება, სამოციქულო, პარაკლიტონი, კურთხევანი და კონდაკი — ესენი თუ იცოდენ კარგად, აკურთხენ.

და ესენი თუ არ იცოდენ სრულად, განვაკრძალებთ ეპისკოპოსთა: ესეოდითარნი ნუ აკურთხებენ.

4. და რომელნიც ეპისკოპოსნი ესეოდითარნი უმეცარნი აკურთხებენ, უწყოდენ: მაკურთხეველიცა და კურთხეულიცა ძლიერად ემხილებიან.

5. ეპისკოპოსნი მღუდელთ ამცნებდენ, რომ თავთავის სამწყსოთ, ერისაკენი გინა ქალთა, მირჯვარის დაწერას ასწაებდენ მართლად, და რომელთაც აღსარების თქმა შეეძლოს, უაღსარებოდ ნუ დააყენებენ შვიდს წელიწადისას. და ყოველს სულს «წმიდათა ღმერთს» თავისის მუჭლებით, და «მამაო ჩუენოს», «მიწყალეს». და «მრწამს» ზეპირით თქმას ასწაელიდენ და მართლმადიდებლობის სარწმუნო[ე]ბის აღმსარებლობასა ჰეშმარიტსა.

6. და რომელთაც არ ისწაონ და უდებ იქმნენ, მღუდელი ნუ ღარ უმღუდლობს; და ეპისკოპოსს [V] შეასმინოს და ეპისკოპოსმაც სიტყბოებით[1] სწრთვნას; და შიშითაცა ეცადნენ, რომ ასწაელონ. თავის ნებაზედ ნურის თავის სამწყსოს ნუ მიუშუებენ, ნურც ეპისკოპოსნი და ნურც მღუდელნი.

7. სოფელში, რომელიც თავი და პირველი და უპატიოსნესი ეკკლესია იყოს, განწმედილნი ჰქონდესთ და დაგვლი, და კედელნი, სარკმელნი, ყურენი გარეთ და შინათ — მოწმედილნი; სიწმიდის იარაღი და წმიდა საკურთხეველი და ტრაპეზი — უხუშთაესად პატიოსნად, ტრაპეზი — შემოსილი; სიწმიდის სამსახურებელი:

[1] სიტყბოებით.

ბარძიმი, ფეშხუმი, კოვზი და კამარა — ან ვეცხლისა ან კალის სხვას ნივთისა არ იმსახურებდა; პერექლები და დაფარნა — ფარჩისა, წმიდა და უჩირქო; ტრაპეზი — შემოსილი, რაოდენ ძალ-უძლეს უჩირქოს სამოსლითა; ოდიკი — ახალი, კარგი და უჩირქო, და ამ ოდიკს სჯდარა ჰქონდეს უჩირქო, რომ შიგ შეხვევდეს.

8. მღუდლის შესამოსელიც, რისაც შემძლებელ იყოს, უჩირქო და დაუკერებელი. დაბებჯილი და ჩირქიანი არ იკადროს მსახურებად; წმიდა წმიდათასა ზედა სეფისკუერი — რჩეული და ზედაშე — ფეროვანი, წმიდა, უ[182]ბრკო. სუნისა და გემოსი არასი სხვისა მქონებელი; კრეტსაბმელი — უჩირქო და გასწორებული.

9. აგრევე წიგნნი: დაეითი, ყამწი, პარაკლიტონი, თორმეტის საუფლოს სადღესასწაულო თორმეტები, დღესასწაულისა და ვნებისა, საბარება, სამოციქულო, კურთხევანი და კონდაკი, ესენი უნდა ჰქონდეს.

10. სადაც შეეძლოს, ბრწყინვალეს კარს კარები შეასხან და ისე იმღუდელონ, და სწირევდენ, და სამწყსოც ამისთანას მღუდელთა და ეკლესიათ ჰქონდესთ, სხვათი არ იქნება, არც ვბრძანებთ.

11. და რაგვარადაც ეპისკოპოსთათვს გვმცნია, ეგრეთ მღუდელთ ამცნონ და განაკრძალონ, თორემ ეპისკოპოსნიც კანონს ბუნებ იქნებიან და მღუდელთაც სამწყსოზე ჯელი აღონ.

12. თუ სხვა საყდარიც იყოს იმ სოფელში ან აიახლოეს ერის სალოცავად დღესასწაული სადმე იქოდენ, და იმ ეკლესიას ეს განწყობილება და სამსახურებელი არ ჰქონდეს, რომლისაც სამწყსოსი იყოს, იმ მღუდელმა ამ სამუდამოს ეკლესი[ი]ს სამსახურებელი წარიღოს ყოველიფერი, და იმითი შეამკოს ის ეკლესია, და ისე წიროს, და იქაც მოიტანოს.

13. ჩუენ ვგონებთ, რომ [V] ყოველთა უწყით, კარნა ამისი უმეცრება არიგინ ქმნას, რომ იმ დღის მსახურებელი სიწმიდის სამსახურებელი ჭურჭელნი, ვინა შესამოსელი და ოდიკი, თუნიერ წიგნისა, ოლრისა და საცეცხლურის მეტი, იმ დღეს მეორედ იქმაროს. — სასიკვდინედ სცოდავს და განიპატიჟოს დიდად ეპისკოპოსისაგან.

14. ამასაც ასრე გამცნებთ: ერთს ეკლესიაში ჯერ-არს, რათა წმიდანი ხატნი ესენენ: ერთი ჯვარცმისა, ერთი თუთ მაცხოვრისა, ერთი ყოვლად წმიდისა და ერთი იმ ეკლესიის წმიდისა, რომლისაც სახელზედ აღშენებული არის ის ეკლესია და ერთი სახიანი

ჯვარიც წირვაზედ ტრაპეზზედ უნდა იდვას. უმისოდ წმიდა-წირვა დიად ძნელად იქნების.

15. და ეპისკოპოსნი ამას განაკრძალებდეთ მღუდელნი: უსჯულოთა კაცთაგან ნასროლი, ანუ ჭლმით გინა დანით ნაბრძვილი ჰქონდეს და შეშლილი იყოს და დაკორტნილი, და რაოდენ შემძლებელ იყუნენ — განააჩლონ, ან ახალნი დაახატვინონ. და თუ მიძუელებულნი და მიფარლებულნი — კარგად განსწმედდენ, და ეგრეთ დაისუენონ და თაყუანისცემდენ.

[183] 16. ამასაც ესრეთ ვამცნებთ და განვაკრძალებთ, მღუდელთა და ეპისკოპოსთა მოვაგონებთ, რომ განიბილვიდეთ: ნუმცა ვინ მღუდელი ნუ იკადრებს სასძლისა და საჭმლის დაჭარბებასა და უძლებად სმასა და ჭამასი.

17. უკუეთუ ვინმე ეს მცნება არ დაიმარხოს, ეპისკოპოსმან ამხილოს, და კუალადცა არ შეიშინოს, განიკუეთოს, სამწყსოც ჩამოერთვას; ამისთჳს, რამეთუ არა ჯერ-არს უძლებთა და მემთრვალეთა მღუდელობად.

18. და აწ ნათლის-ღებისათჳს ესრეთ გამცნებთ: ყმაწვილს როდესაც უნდოდეს, მონათლევდეს. მაგრამ თუ დაჭირება არ იყოს, ჟამისად მონათლოს. და თუ წირვამდის მონათლოს, აზიაროს. და თუ წირვას მერმეთ — იმ დღეს ნუ აზიარებს, თუ დიდათ არ ეჭირდეს. და მეორეს ან მესამეს დღეს აზიაროს წირვაზედ.

19. თუ ვინ იცის, მღუდელს რომლისამე მიზეზით გონება კეღლად არ ჰქონდეს ან უძლურებით, ან საჭმლის და სასმლის წყენით რითმე, სანამდის გონებად არ მოვიდეს, ნუ იკადრებს ამ საიდუმლოს აღსრულებასა და ნუ ნათელ-სცემს.

20. თუ დაჭირება იყოს, და ყმაწვილისა და იმ მოსანათლავის საკვდილის შიში იყოს, და არც [V] სხუა მღუდელი იშოებოდეს სიახლოვეს, დიდის სიფრთხილით მაშინ ნათელ-სცეს იმ მღუდელმა.

და თუ მომაკვდავი იყოს, კიდეც აზიაროს, დიაღ, დიდის სიფთხილით და კრძალვით შეახოს კელი წმიდა-წმიდათასა, და მოძღვარსაც აღუაროს. და ეპისკოპოსისაგანაც შენდობა მიიღოს.

21. ამად ვაფრთხილებთ მღუდელთა და ვაკრძალებთ: ნურაოდეს ნუ დაითრობიან, თორემ მღუდელობა ჩამოერთმევათ ჭეშმარიტად.

22. რომელნიც ან მისაწნი ან მწამვლელნი არიან, საყვარულისა, ვინა სიძულილის წამლის მოქმედნი, ანუ მათნი მვძიებელნი და

პირველნი, ვინა მექერეობისა და მელოგინობისა მკითხველნი და მათნი მრწამსებელნი, უხდა შეინანონ.

23. და დღეის იქით თუ ვინმე იკადროს, იცოდენ რომელ შეიქმნა ეპისკოპოსთა სამღუდელოს მსჯავრით განპატიჟონ. და მღუდელს ნუღარ მისცემენ, ნურც ქრისტიანედ-და სახელ-სდებენ, ნურც ეკკლესიაში შეუშვებენ და ნურც საფლავს აღირსებენ.

და მერმე მათის სიმაღლის მეფის სამშჯავროში მოიყვანონ და ეგონებათ, რომ მათის კეთილმორწმუნეობის მსჯავრში სიკუდილ-[184]ადცა დასჯის, რომ მათზედ არის სამართალი ესე მიპყრობილი.

და რომელნი მათნი მორწმუნენი და შემწყნარებელნი იქმნებიან, ისინი ჯორციელად ჯარიმით განიპატიჟებიან და სულიერად მღუდელი აღარ მიუცემათ.

24. ეგრეთვე რომელიც ხეთა და ძელთა, ვინა სადმე ნიშთა და ძეგლთა, და აღგილთა რათმე უეკკლესიოთა თაყვანი-სცემენ, მათაც ასე ეს სასჯელი მიეცემათ, ვითარ-იგი მისცა და მწამველელთა.

25. ეპისკოპოსმა საცა ან ხე, ან ძელი, ან ნიში და ძეგლნი და უეკკლესიოდ ამგვარები ნახოს, ძირითურთ აღმოვხვრას, და საწყავი დაწოს, და ეს საკთური დაალტმოს და გაქაქარვოს.

26. კჯრას და უქმეს ეაკრძალებთ ყოველთა ქრისტიანეთა ძველისა და ახლის სჯულითა და აღთქმითა; ნუმცა ვინ იკადრებს კვირისა და უქმის ტეხად, კვრიაკესა სრულიად ყოველი უქმობა ჯერ-არს, თჳნიერ ლოცვისა და წირვისა და ეკკლესიად მისვლისა, კაცთაგან მიპირუტყვეთამდე; ეგრეთვე თორმეტთა საუფლოთა დღეება, და დღესასწაულსა ყოვლად წმიდისა ღმრთის-მშობელისასა და საჩინოთა წმიდათასა.

27. ამათი წესი და რიგი [V] მღუდელს ეპისკოპოსისაგან განეწესოს და მღუდელმა თავის სამწყსოს განუწესოს და შეატყობინოს, რომ დღეს უქმე არისო.

28. თუ ვინმე ურჩ ექმნას და არ იუქმოს, მიაი ნამოქმედი ცეცხლით დაწვან; იმ კაცს ორმოცი ჯოხი დაჰკრან, თუ გლეხი იყოს. და თუ მაღალი ვინმე იყოს, მათს სიმაღლეს მეფეს მოახსენოს და იმან საჯოს, ვითა წეს არს.

29. ასევე ვამცნებთ: ნუმცა ვინ იკადრებს პირუტყვის ბოროტის სიტყვით შეგინებასა. ამცნოს მღუდელმა, და თუ არ დაიშალოს, ეპისკოპოსთ შეაშინონ, ნუღარ იტყვიან ამგვარს უშეერსა.

და თუ არ დაიშალონ, ორმოცი ჯოხი დაჰკრან, თუ ბიჭი იყოს; და თუ კაცი იყოს — მცირედ დაარბიონ.

30. ყოველთა მღდელთ-მთავართათჳს გვიბრძანია და მოგვიბრძანებია, რომ: ეკლესიის მამულს, ნურც საკელოს, ნურცა დიაკონის ნუცა მცირესა, ასე რომ ერთის დღის მიწა იყოს, გინა სამოსტნე ანუ მცირე სახლის ალავი, არა ჴელეწიფების მიცემად ვისდამე, გინა მისყიდვად.

ნურც ერთს გლეხს, ნურც საგანძურს და ნურც შემოსავალს, რაც თავისის კონდაკით არ იშოვოს, და თჳთან საჴმა[185]რად არ მისცემდეს დამწირნეობისდა, მათს სიმაღლეს ყოთილ მსახურს მეფეს მოახსენოს და მისს უწმიდესობას პატრიარხს; და მათის ჴერჩინებით, თუ რიგიანი არის, ნებაა დაჴსრთვენ და მიაცემინებენ; და თუ არადა, თჳთ თავით თჳსით ვერარას შემძლებელ არს.

31. და თუ დღეის წაღმართ რომელიც ეპისკოპოსი ამგვარებს იქს და თავისთავად გასცემს ან საკელოსა, ან მიწა-ალავს, როგორც გჳმცნია, ან საგანძურს და შემოსავალს, და ეკლესიას გააღარიბებს ან საგანძურისაგან, ან ხატისა ჴვარისა შესამოსლისგან, ან მამულისაგან — თავს არ დაგანებებთ, საკწუნო ბრძანებამდეც არ დაყოვნობთ.

ვინც შემატებას ეცდება და შემკობას, დიდად მმადლობელნი ვიქნებით.

32. ეკლესიის ხატთათჳს, ნებითა ღმრთისათა, მხატვრები არიან და წიგნთათჳს სტანბა არის.

და სხვა საჴმარიც ხომ ყოველივე იშოვება ამავე ჩუენს საბრძანებელში, ფასით სასყიდელნი. რომლითამე ეპისკოპოსნიც შეეწევნენ, რომლითამე მღუდელნი თჳთ დაიხარჯნენ და რომლითამე იმ ეკლესიის შემოვალნი ერნი. და ისრე განაწყონ ეკლესია-
[V]ნი.

და ნუ იმიზეზებენ უჭირლობასა, რათა ყოველნი ეკლესიანი ნებისაებრ ღმრთისა და წმიდათა მამათა მოცემულისა კანუნისაებრ და წმიდათა ოთხთა პატრიარხთაგან დამტკიცებულისა, და ვითარცა არს ყოველსა სამართლმადიდებლოსა ქუეყანასა შინა ს ა ბ ე რ ძ ნ ე თ ი ს ა და რ უ ს ე თ ი ს ა ს ა, ეგრეთ ჴერ-არს ჩუენთაცა ეკლესიათა ყოფა, რათა შეწირულ იქმნას წინაშე ღმრთისა მსხუერპლი და ლოცვა და ვედრება ჩუენი.

33. და მოგვეტიენენ შეცოდებანი ჩუენნი, და ვიქსნენით ხილულთა და უხილავთა მტერთაგან შეფენი, და მთავარნიცა, და მღუდელთ-მთავარნი, და მღუდელნი, და ერნიცა და ყოველნი სულნი მართლმადიდებელნი ქრისტიანენი.

ყოველისა განსაცდელისაგან ერთბამად დაცულ ვიქმნეთ ცხოველისა და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტეს მიერ, რომელსა შჳენის ყოველი დიდება, პატივი და თაყუანისცემაჲ თანა-დაუსაბამოთ მამით და ყოველადწმიდით სულითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

დაიბეჭდა სამეუფოსა ქალაქსა ტფილისს, მალატსა სამეფოსა, ქრისტეს აქეთ ჩღაზ.

[186] წყალობითა ღმრთისათა, ი რ ა კ ლ ი მ ე ო რ ე, ქრისტეს მიერ მეფე ქართლისა, კახეთისა, და მფლობელი ბორჩალოსა, შამშადინლუისა და ყაზახისა, ბრძანებით დავამტკიცებთ.

წყალობითა ღმრთისათა ა ნ ტ ო ნ ი, მდაბალი ა რ ხ ი ე პ ი ს კ ო პ ო ს ი მცხეთისა და ყოვლისა ზემოჲსა საქართველოჲსა, ბრძანებით დავამტკიცებ.

ქრისტეს აქეთ ჩღაზ.

[V] შემდგომად ამისსა კიდევ დავმეტეთ ამას ზედა:

ჩუენ, ი რ ა კ ლ ი მ ე ფ ე მ ა ნ, მპყრობელმან ქართლისა და კახეთისამან, თანა-ნება-მყოფობითა სრულ ერთიანად ჩუენის ქუეყნების თავადთა, აზნაურთა, დიდებაჭართა და გლეხთათა, ღმრთის მოწყალებით ამას ზედა, დი[ა]ღ, გულდაჯერებული ვართ, რომ ჩუენს ქუეყანაში არც ყოფილა და არც არის ამისთანა ავი ღმრთის განმარისხებელი საქმენი.

მაგრამ ჩუენს ხალხს ვაფრთხილებთ:

34. თუ ვინმე ამისთანას საქმის მქნელი გამოჩნდეს ან მომწამლველნი, ან კაცის შემკრეელნი, ან სიყუ[ა]რულისა და სიმძულვარის წამლის მიმცემელნი, ან ჯადოობისა და მკითხაობის მოქმედნი, ან ღმრთის დიდად განწარისხებულისა და მოუტეველის ცინთისა, და წყრომისა, და ცეცხლით საუკუნოდ მწუველისა მამათმავლობის მქნელნი მამალნი ანუ დედალნი — ესენი უნდა ძალიანი და საა[ს]ზოს ჯაჯაებით დაიკოცნენ.

35. და ეს განჩინება უნდა ყოველმა ეპისკოპოსმა თავის სამწყსოს საყდრებში თავის ხალხს წაუკითხოს და გააფრთხილოს.

337. [იმედის წიგნი ბესარიონ კათალიკოზისა გახტანგ ჯავახიძისადმი]

[1742—1760 წწ.]

ქ. ბრძანებითა ღმრთისათა და წმინდათა მისთათა და ჯერჩინებითა რაჭის ერისთავის, ჩემის ძმის ბატონის როსტომისათა ჩვენ, ზეშთამოთა მადლითა მეუფენმან და განმგებელმან

ყოვლისა აფხაზეთისა მწყემსთ-მთავარმან და ბიქვინტისა უკლებ-
სიისა საჭეთმპყრობელმან კათალიკოზმან ბატონმან, ეპიფანე-
ერისთვის ძემან, ბესარიონ, ესე უტყუარი და საბოლოოდ დას-
ამტკიცარი იმედის წიგნი დაგიწერეთ და მოგეცით თქვენ, ჯა-
ფარიძეს, ჩვენს ერთგულს თაყა შვილს გიხტანგს, სო-
რომსა და რომელიც ჩემის ძმის ერთგული იყოს, მის შვილებს,
რომელიც ერთგული იყოს, ქაიხოსროს შვილებს ამა პირსა
ზედან, რომე:

ჟამთა ვითარებისაგან ჩემს ძმას ერისთავს როსტომსა და
თქვენს შუა ცოტა რამ გულის ტკენა ჩამოვარდა. შერმე ჩვენის
მძანებითა და შუამდგომლობით გაგარიგეთ და შეგაერთეთ.

აწ თუ დღეს ამას იქით თქვენ ჩემს ძმაზედ არ იმტყუნოთ და
გულის წმინდით ერდგული იყოთ და მის მტერს ემტეროთ და მის
ერთგულს ემოყვაროთ, თქვენ, მის ერთგულს, ჩემის ძმის ერისთავ-
საგან სიკეთისა და წყალობისა მეტი არა გიშავდესთ რა.

ამისად გასათავებლად მამიცემია თავად ღმერთი და ყოველნი
მისნი წმ[ი]დანი ზეცისანი, ქვეყანისანი, ჭორცეულნი და უჭორ-
ცონი.

ხელთა: კათალიკოზი ✠

338. [წიგნი ანტონ I-ისა თამაზ ბებურიშვილისადმი ძმის მიბარების შესახებ]

[1709 წ. 31 მარტი]

ქ. საქართველოს პატრიარქის, მეფის ძის, ანტონის კე-
თილად სახსენებელი ბებურიშვილი თამაზ, მრავალი
მოკითხვა და ჩვენ მიერი ლოცვა-კურთხევა მოგვიხსენებია.

შერმე ჩვენი ყმა კუტალაშვილი თქვენს მამულში დგას.
მაგაზე თვალი და ყური გეჭიროსთ, თქვენთვის მოგვიბარებია და
თუ რასმე ჩუენს სამსახურსა ვთხოვთ, თქვენ გვმსახურებდეთ. წე-
ლიწადში, რაც შეძლება ჭონდეს, მუდამ გვმსახურებდეთ. სხვას
კაცს ნურავის გააგლეჯინებთ; და არცა ვის საქმე აქვს.

მარტს ლა, [ქორონიკონს] ფნზ.

ხელთა: კათალიკოზი

339. [წყალობის წიგნი ანტონ 1-ისა სვეტიცხოვლის ეპისკოპოსისა]

[1769 წ. 4 აპრილი]

მართებული არ არის, რომ ეკლესიის მამულის საქმეზედ სხვამ შეცილება ჰქონდეს. ღალა ამ პავლე მღუდელს უნდა მიეცეს და ერისკაცს საქმე არა აქვს ღალასთან; და ეს ეკლესიას მოახმარებს, როგორც განწესებული აქვს.

სექტემბრის ია. წელსა ჩლოვ.

ხელრთვა: კათალიკოზი

360. [შეჩვენების წიგნი მაქსიმე კათალიკოზისა კაცია ჩიჩუას მიმართ]

[1776 წ. 28 დეკემბერი]

ქ. წყალობითა ღმრთისათა, ფიცლისა იესოს ქრისტეს მონა მაჰათმიაგარ-კათოლიკოსი ზოგად ყოველთავე აფხაზ-იმერთა და მჭდომარე საყდარსა ანდრია პირველ წოდებულისა მოციქულისასა.

რამეთუ კელწიფებაჲ მისა, რომელსა სულისა მიერ ცეცხლის სახედ მოსრულისა მიეცა, ესე იგი შეკრვად ურჩთა და მტერთა ეკლესიისათა, და განხსნად მორჩილთა და მოყვასთა ჭეშმარიტებისათა, ჩემდაცა მოცემულ არს მისვე სულისა მიერ ყოვლად წმიდისა თუცა ულირს ვარ; და რომლისა ჯერ-არს შერისხვებად, შერ-ეგების და განვკვეთ მისვე სულისა მახვილითა უხილავითა.

აწ უწყოდეთ ყოველთა ქრისტეს სიხსლითა მოსყიდულთა ერთა:

ჩიჩუა კაციამ ჩვენი ბიჭვინტისა ეკლესიის კაცის შვილები მძლავრებით და უსჯულოებით დაგვიყიდა და უსჯულოთა თ[ო]მანიანთა მისცა წარსაწყმედელად და შესაგინებელად. და მიუხედა დედასა თჳსსა ეკლესიასა ძენი ემბაზსა სახათლოსა აღმოშობილნი უწყალოებითა და უსამართლოებითა.

აწ ვინადგან არა შეიშინა დედისაგან ღმრთისა და არცა დედისაგან თჳსისა წმიდისა ეკლესიისა და განეხვა ნებსით ორთავე საუფლისა, ამისთჳს შევეაჩვენებ წყეულსა მას კაციას ჩიჩუას და განვახვამ ეკლესიისაგან და განვაყენებ ქრისტეანობისაგან:

წყეულ იყავნ და შეჩვენებულ საჭელითა ყოველად წმიდისა სამებისათა;

კვალად წყეულ იყავნ და შეჩვენებულ სიხსლითა ქრისტესითა, რომელიცა ესხვად დაითხია ქვეყანასა ზედა სახსრად ჩვენდა;

კვალად წყეულ იყავნ და შეჩვენებულ მარიამ ყოველად უმწი-

ავლოსაგან დედისა და ახლიდ მფარველობა და მეოხება მისი-
მისაგან მისისა;

კვალად წყეულ იყავნ და შეკრულ სულით და კორცით
მეტთა მოციქულთა მაღლისაგან, ოთხთა წმიდათა პატრიარხთაგან
და ჩვენგან და ყოველთა მღუდელთ-მთავართაგან;

უმკვიდრო იყავნ საქელი მისი ცისა შორის და ქვეყანასა; გა-
ნუხსნელ იყავნ კორცი მისი საძაგელი საფლავსა შინა და წარუ-
მართებელ გზანი მისნი; მისთჳს ცანი დაბმულ იქმნას მიერ მავრიად
დანთქმულ იყავნ ცოცხლივ ეხვაიწინოსა და ნაბეთქსა ჯოჯოხე-
თისასა; და წყეულ: კრულ და შეჩვენებულ და აღკრიელ სახელო
მისი აქა და მუნა.

აწ რომელმაც ჩვენი შეჩვენება შეურაცხოთ და არ ეკრძალნეთ
ვითა განცოფებულსა ძაღლსა, თქუენდაცა იყავნ წყევა ესე და
შვილთა თქუენთა ზედა, ამინ.

დეკემბერს კწ, 1776.

ხელრთვა: კათალიკოსი მაქსიმე
პატრდი: ჰყონდიდელი გრიგოლ

361. [წყალობის წიგნი ზენოვ ალავერდელისა გიორგი ზალაშვილისადმი]

[1770 წ.]

ჰ. ღმრთისა ნებითა და შეწევნითა, ესე ეკუნისამდე ქამთა და
ხანთა გასათავებელი მტკიცე და მოუშლელი სამკვიდრო და საბო-
ლოოდ წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩუენ,
ყოველად სამღვდელომ არხიერეუ ალავერდისამან და
თელავისამან უფალმან ზ ე ნ ო ნ, შენ, დიდებულს წმინდის გიორ-
გის ყმასა კ ა ს ი ს ხ ე ვ ს ზ ა ლ ა შ ვ ი ლ ს გ ი ო რ გ ი ს, ძმასა
შუსა გ ლ ა ხ ა ს ა, ძმისწულსა შუსა ა ე ტ რ ე ს ა და დ ა ვ ი თ-
ს ა, შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა.

ასე, რომე: სახნავს მიწაზედ, დიახ, ნაკლებათ იყავ, რომე დი-
დათ გეჭირდა. მათის უმაღლესობისათვისაც არზა მიგეართმივა და
ოქმი ებოძათ, თუ რომ მიწა იყოსო, მათმა სიწმინდემ ყოვლად
სამღვდელომ უფალმან ალავერდელმა გიბოძოსო. მოხველ და
მათის უმაღლესობის ოქმიც გვიჩვენე და სახნავის მიწის წყალო-
ბას შემოგვევედრე.

ჩვენც ვასმინეთ აჯა[1]-ვედრება თქუენი და გიბოძეთ კ ი ს ი ს-

[1] აჯა.

ჰავს თუშისშვილის ბუცობას ნაქონი ოხრებელ/
ხაუნახარი მიწა, თავისის საჭიროთა, მიწითა და თავისას ნიგაჭმელა
ბით, თქუნთუის გეიბოძებია.

გქონდესთ და გიბეჭდიროს ღმერთმან დიდებულის წმინდას გიორგის ერთგულობაში და ჩუენს სამსახურში. არ მოგეშალოს არცა ჩუენგან და [ა]რცა შემდგომთა სხუათა ალაევრდელთაგან.

მოგახსენებთ და გეეედრებით, რომელმანც პატრონმა ალაევრდელმან ხარისხი ესე ჯილად იპყროთ, თქუენც აგრევე დაეშტკიცოთ და ნუ იხებებთ მოშლასა ამისსა. კარისა ჩუენისა მოხელეთო და გამრიგეთო, თქუენც აგრევე დაუშტკიცეთ და თანაშემწედ ექმნეთ.

ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხნოს.

არიან ამ საქმეში დამსწრენი და გამრიგენი: ჩუენი აზნაურშვილები და კონდოლ-კას[ისქევის] მოხელე[ე]ბი.

აღიწერა ჯილითა ბეჟან მდივნის ძის [დავითისითა, ...*ქორონიკონ]ს უკ[დ].

ბეჭედი: ალაევრდელი ზენონ

მარცხენა კიდეზე

ქ. ჩუენ, ქართლისა და კახეთის დედოფალი, პატრონის დადიანის ასულს, პატრონი დარეჯან ამ სიგელს ასე ვამტკიცებთ. დეკემბერს კვ, ქორონიკონს უოდ.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან

ქ. მე, ყოვლად სამღედელო ამბა ალაევრდელი ნიკოლოზ ვამტკიცებ ამ პატრონის [ალა]ევრდლის ზენონის წყალობის სიგელს. და რომელიც თუშისშვილს [ნად]ირაზ განაჩენი აქუს ჩემგან დამტკიცებული, ის განაჩენი გამიმაოთილებია[1].

აგვისტოს ე, ქორონიკონს [უოგ].

verso

**ქ. ყოვლად სამღუდელობისაგან მოწყალებ[ისა ამის] წყალობის წიგნსა და სიგელსა მე მათი მონა და მათი მოხელე მოურავ-მდივანი თან მოსა და მოწამე ვარ.

სექდენბერის კ, ქორონიკონს უჲდ.

ბეჭედი: მთა ლთისა მდივანი დავით

---

[1] გამიმაოლილებია.

* აკლია ორი სიტყვა: თუე და რიცხვი.

** თავში ჩანს ნაშთი სამი ბეჭდისა.

ქ. ნადირა თუშისშვილს თავისი საბოვარი გაუწყრა დებინა ყოველად სამღვდელოს ამბა ალავერდელ ნიკოლოზთან; ჩემი მამა-პაპის სამკვიდრო მამული ზალაშვილს უპირავსო. მათის ყოველად სამღვდელოებისაგან გვებძანა ჩვენ: მოძღვართ-მოძღვარს ნიკოლოზს. მდივანს ითქვანეს და მსაჯულს ვარჯანს.

ჩვენ ეს მოჩივრები მოვასმენიეთ და ერთად ვალაპარაკეთ და ამათი საჩივარი გავსინჯეთ და ერთის რითმე მიზეზით განაჩენი მიეცით თუშისშვილს ნადირას. ამ ხუცობას მამულისა როდესაც გამოვიკითხეთ და მახსოვართ კაცთაგან შევიტყევით, რომ ზუბიტაშვილის მამულის წყალობა დამრთებოდა, იმავ ქამზედ თავის სამკვიდრო სახასოდ დაედო ეკლესიისათვის და მერმე სამკალოს(?) ეშოვნა და ამ სიგელის თარიღში ყოველად სამღვდელოს ლაფალს ალავერდელს ზენონს ამ ზალაშვილებისათვის ებოძებინა გოგიასა და გლახასათვისა ეს თუშისშვილის ხუცობის მამული; რადგან ბატონს ზენონ ალავერდელს წყალობა ექნა ამ გოგიასათვის, ჩვენც როგორც ამ სიგელში აცხადებს, ჩვენც დაგვიმტკიცებია ამრიგათ.

და რომელიც ამ ხუცობას მამულის განაჩენი აქვს მიცემული თუშისშვილს ნადირას, ის ჩვენგან მიცემული განაჩენი ისევ ჩვენვე გაგვიბათილებია.

აგვისტოს ვ. ქორონიკონს უოგ.

ორი ბეჭედი: 1. მდივანი ითანე
2. ღმერთს მივართვა რჯა ნიადაგ ვარჯან.

362. [ზეჩვენების წიგნი შედგენილი მაქსიმე ჟუთათელის მიერ]

[1770—1770 წწ.]

ქ. წყალობითა ღმრთისათა, ჩვენ, ჟუთათელ მიტროპოლიტმან მაქსიმემ ჰ[ეგ]მარიტითა] მსჯავრითა წმიდისა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიისათა ესე წყევლისა და სა[ტკუ]ნოსა რისხვისა და შეჩვენებისა და სიღ[მრ]თოსა შერისგების წიგნი აღგიწერეთ და მოგიცვლიანეთ შენ, ჩვენის წმიდის ეკლესიის ყრჩისა და წინაალმდეგსა სახელით...* ასე რომე:

რომელიცა ეკლესიის განჩინება არის და ყოველთა მართლ-

* დატოვებულია ცარიელი ადგილი ცოდვილის სახელის ჩასაწერად.

მადიდებელთა ქრისტეანეთაგან დამტკიცებული არის. შენ ამის დამჭსნელ და წინააღმდეგ ხარ და წმიდას ეკლესიას მისს განწესებულს შესაგალს ნიშანს უკარგავ და მძლავრებით არომეც.

და რადგან შენ ურჩ ექმნები წმიდისა ეკლესიის განწესებასა, ჩუენცა შურ-გაგებთ კელმწიფებითა მით, რომელი მოგვცა სიბრძნემან მამისამან კაც-ქმნილმან ღმერთმან.

წყეულ იყავნ მრჩობლსავე შინა ცხოვრებასა და აღკოცილ წიგნისაგან ცხოვრებისაჲ; ნურაოდეს შეგიწყნარებს მიწა ყოველითურთ წყეულსა გვამსა შენსა განსასრწნელად, არამედ იყავნ შემწყნარებელად შენდა ურჩთა და პოროტთა ეშმაკთაებრ ცეცხლი საუკუნო და ჯოჯეხეთი უნათლო და ულხინოი.

კუალად გეწიროს შენ ამასვე შინა ცხოვრებასა ძრწოლა, კვნესა და ყოველი სენი კაინ უკეთურისა, რათა იხილონ მართალთა და შეეშინოს და თქვან: «ამა კაცი, რომელმან არა ყო ღმერთი მწე მისა[1]».

აწ დაგვიყენებიხარ ქრისტეანეთა ერთა ძმობისა და მახლობელობისაგან ეკლესიად მისვლისაგან, აღსარებისა, ზიარებისა და ყოველისა ქრისტეანობისა განწესებულობისაგან.

და იყავნ კრული და შეჩვენებული საზელითა მხოლოდ შობილისა ძისა ღმრთისათა, რომლისა არს დიდება, ძლიერება და სიმდიდრე აწ და უკუნისამდე, ამინ.

363. [ბრძანება ანტონ I-ისა გოჭოულთუხუცეს ლუარსაბისადმი უმათა გამოსაღების თაობაზე]

[1777 წ. 12 იანვარი]

ქ. გოჭოულთ ხუცესო ლუარსაბ!

მერე ვინცავინ ჩვენი ყმები იყვნენ ქალაქში მსახლობელნი, კომლზე ხუთი აბაზი ეხლავ დაადევ და გამოართვი. ამიტომ, რომ მართებული არის, რომ თავის ბატონთან და მოხელესთან ბეღნიერს ღღეში თავისი ყმა და სახელო უნდა მივიდეს და ნახოს.

და რადგან უმართებულოდ მოიქცნენ, იმის ჯარიმად მოქალაქესაც გამოართვი და ისე მსახლობელსაც. ეს ეხლავ გაარიგე, თორემ შენ მოგკითხავთ და შენ გარდაგახდევინებთ.

იანვრის **იბ**, წელსა **ჩლოზ**.

ხელრთვა: კათალიკოსი.

---

[1] +მისა.

364. [წყალობის წიგნი საბა ნინოწმინდელისა მარკოზ მღვდლის შვილებისადმი]

[1777 წ. 16 ნოემბერი]

ქ. ნებითა ღმრთისათა, ჩვენ, ყოვლად სამღვდელომან ნინოწმიდელ მიტროპოლიტმა ტუსიშვილმა საბამ ეს მამული წყალობის წიგნი გამოძეთ თქვენ მარკოზ მღვდლის შვილებს: გოგიას, იოანეს და დავითს...

და შრომად ზიარს ცოლი შე[ე]რთოთ და იქნე ზიარს, რომელიც რომ ერისტიშვილს რამეზე მდივანბეგს წმინდის დიდის მონასტრისათვინ ეძთი საკომლო იოანე დელარიძისა შეეწირა, ის მამულიც ბაბა თქვენს მისცემოდა.

შემდგომ ბაბა თქვენი რომ მოკვდა, ზურაბიშვილმა ზიარ თქვენზედ დაობა შექნა და ჩვენთან ასე გამოაცხადა: მამული მონასტრისა არისო და ეს მარკოზ მღვდლის შვილები ჩემნი ყმანი არიანო, ამ მიზეზით ის მამული ჩამოვართვითო.

მერე თქვენ მისს უმაღლესობას საქართველოს მეფე ირაკლისთან მისის ყოვლად სამღვდელოების მიტროპოლიტის იოანესგან განთავისუფლების წიგნი გაბაცხადეთ და იჩივლეთ. და მათმა უმაღლესობამ ბოდბლის იოანეს მიცემული წიგნი დაამტკიცა და მისმა სიმაღლემ განაჩენიც გამოძეთ და ისევ განგვათავისუფლათ.

ახლა მოხვედით ჩვენდა და გვევედრენით და ის მამული გვთხოვეთ და ჩვენ... ის რამაზ ბდივანბეგისაგან წმინდის დიდის მონასტრის შეწირული დულარიძის იოანეს ნაბონი მამული ასევე შენ მოგეცით თავისის სამართლიანის სამზღვრით ამა წესითა: რასაც რომ ამ მამულზედ მსახლობელი კაცი თავის ბატონს მსახურებდა, იმას შენ უნდა მონასტერს მსახურებდე; და არ მოუშალოს არაოდეს...

დაიწერა ნოემბერს **ივ.** ქრონიკონს ქრისტეს აქეთ **ჩლოზ,** ქველითა ქრისას წინამძღვრის თემასითა [ ]

365. [მცნებანი მაჭისთვე კათალიკოზისა მამა იობისა და წინამძღვარ გესარიონისადმი]

[1777 წ.]

ფხიზ-იმერთა კათოლიკოსი მაქსიმე ჩუენს სულიერს შვილს უდაბნოს მამას იობს და კუალად ერკეთის წინამძღვარს გესარიონს ეფლისა ჩუენი-

სა იესო ქრისტეს მიერ ლოცვა-კურთხევით გაკეთდა; და შემდგომად ამისა გარწმუნება საშჯასოსა ჩემსა საკათალიკოსა*.

1.** და ვითა შენდობისა ჩვენისა მორჩილ იყვნეთ, ეკლესიათა თილად მოძღვრიდეთ, ასწავლიდეთ და ზედას-ზედა სელიერითა სწავლითა ამხილებდეთ და განამტკიცებდეთ.

2. და უკეთუ ვინმე საძღვდელო კაცი უწესოდ იქცეოდეს, ანუ ნაყროვანებითა, ანუ მთვრალობითა და სხვითა რომლითამე[1] ბოროტითა, ამხილეთ. შერისხეთ. და უკეთუ არა შეიკდიმოს და არცა განიშოროს უწესო იგი ქცევა, დასცხერით მღუდელობისაგან.

3. და კუალად რომელსაცა მღუდელს წირვისა და ნათლვის სრულებით აღსრულება არ ძალ-ედვას, თქვენ აწყვეთ გულსმოდგინეთ. და უკეთუ კათოლად ვერ ისწავ[ლ]ოს, იგიცა დააყენეთ მღუდელობისაგან.

4. და რომელსაცა მღუდელსა მეცნიერება და შიში ღმრთისა იქუნდეს და შეეძლოს სიდუმლოების აღსრულება, მან იმღუდელმოქმედოს; ხოლო უმეცარი და უშიში ღმრთისა და უკრძალველი გონებითა ყოვლადვე ნუ იკადრებენ მსახურებად წმიდისა მის წმიდათასა.

5. და ეგრეთვე, რომელსაცა ძალ-ედვას სწავლად და მოძღვრებად, მოძღვრიდეს, და რომელსაცა არა — ნუ იმოძღვრებს.

6. კუალად ამას, გამცნებ და გასწავებ, რომ: ეკლესიებს განახილვიდეთ და მას ზედა დადგინებულთა მღუდელთა განაკრძალებდედ და ასწავებდეთ, რომ ეკლესია წმიდად და სუფთად შეინახონ: ბარძიმ-ფეშხლი და მათი დაფარნაები და წმიდის ტრაპეზის გადასაფარებელი სადაც ჰპოვონ, რომ ძველი იყოს, ან დაშწვარი, ან დახეული, გამოაცვლევინეთ და განაახლებინეთ.

7. და იმ ეკლესიაზედ მიმავალს ერსაც აუწყეთ, რომ ეკლესიის სამსახურებელს საქმეზედ მღუდელს შეეწეოდენ და მორჩილ ექმნებოდენ.

8. და ესეცა ამცნებით: რომელიც საყოველთაო უქმი დღე იყოს, კათოლად დაიმარხევდენ და ერი სრულებით ყრმით და დედებიბურთ ეკლესიად მიისწრაფოდენ და წირვა-ლოცვაა არ დააკლებოდენ.

---

[1] რომლითაცე.

* აქ ერთი სტრიქონი ამოუხეკლია.

** ტექსტი წესლებად დაყოფილი არ არის.

9. და კუალად ამასაც განაკრძალებდეთ, რომ მკითხველ[ნ]ი შეიწყნარონ, — შეჰვენებული არის.

და ვინცა მკითხავი სახლად მიიყვანოს და აკითხვინოს, შეჩვენებული იგი და სახლად მიმყვანებელიცა და შემწყნარებელი მისი, ორივე ერთბამად განკვეთეთ და განაყენეთ ყოვლისაგე ქრისტიანეთა წესისაგან, ზიარებისა და ეკლესიად მისლვისაგან.

და ნურც მკუდარს დაჰარხვენ მკითხავს, არამედ ვითარცა ძაღლი განცოფებული, ეგრეთ შეიაცხონ.

10. ესე ჰ ც ნ ე ბ ა ნ ი ყოველნივე კეთილად აუწყეთ და განამტკიცეთ. და დღითი-დღე ნუ დაიყო[ს]ნებთ სწავლად ერისა, თორემ სასჯელსა დიდსა თანამდებ ხართ.

დაიწერა წელთა ქრისტეს აქეთ **ჩღოზ.**

ბეჭედი: ჩდილო აფხაზ-იმერთა კათალიკოსი მაქსიმე.

366. [წყალობის წიგნი საბა ნინოწმიდელისა ნიკოლოზ გაინდრაშვილისადმი]

[1778 წ. 7 იანვარი]

ქ. ნებითა ღვთისათა და შეწევნითა წმინდისა და ერთარსისა სამებისა კაწარეთის წმინდის ეკლესი[ი]სათა, ესე წიგნი მოგეცეთ ჩვენ, ყოვლად სამღვდელმან ნ ი ნ ო წ მ ი დ ე ლ მ ი ტ რ ო პ ო ლ ი ტ მ ა ტ ყ ო ბ ი შ ვ ი ლ მ ა ს ა ბ ა მ შენ, კაწარეთის წმინდის სამების ეკლესი[ი]ს მემკვიდრეს ყმას ბ ა ი ნ დ უ რ ა შ ვ ი ლს ნ ი კ ო ლ ო ზს, შვილსა შენსა გ ო გ ი ა ს და მომავალთა სახლისა თქვენისათა ასე, რომე:

როდესაც ყოვლად სამღვდელო სამებელ ეფისკოპოსი თავის ეკლესიიდამ მოიშალა და ყამად-ყამად შლილობისაგან აღარ განწესდა; და მისმა სიმალლემ მ ე ფ ე მ ი რ ა კ ლ ი მ ი ო რს გამოლმართი ეკლესიები ყმა-მამული და სამწყსო წმინდის ნინოს ეკლესიას არწმუნა, დროდ და ქამადმდე განახლებად ეკლესი[ი]სა ეკლესიასა ჩვენსა და ჩვენ მოგვიწყალობა.

და ვინცა ვინ წმინდის სამების ეკლესი[ი]ს ყმანი იყვენით, ყველანი მოგკრიბნათ და ხ ა შ ი ს ზ ე დ დაგაყენათ.

და ვინცა ვინ კ ა წ ა რ ე თ ს მსახლობელნი იყვენით, თქვენს მამულს ვეღარა სწვდებოდით და ზემო ხაშის მსახლობელის კაცთ შეითალმანი მამცველები იყო, ვისაც რომელთამე სამართლიანის საქ-

მით ან ნაგვნაჯობი და ან მიწები გერგეტოდათ, გაგიყავით და მე გეცით.

და შენ და შენს შვილს გაბრიელ შვილის ნაჭოსა შეთალბანი მამული მოგეცით, რისაც მქონებელი ყოფილაყო, ვენახისა თუ მიწებისა, ყოველივე მისი უნაკლულოდ ნავენაჯობი და თორმეტის დღის მიწა მოგვიცია.

გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან წმინდის სამების ეკლესიჭე სამსახურსა და ჩვენსა ერთგულობასა შინა. არ მოგეშალოს ჩვენგან და არცა შეშდგომთა ჩვენთა ნინოწმინდელთა და თუ სამებელთაგან. და დამამტკიცებელნი ამისნი აკურთხნეს ღმერთმან, ამინ.

აღიწერა იანვრის თვის 8, ქრონიკონს ჩჟვ

ბეჭედი ნინოწმიდელისა

ქ. ორის დღის მიწა რომ გორიანში არის და კიდევ ორის დღის მიწას რომ ჰუაძე კნევდა ბრ[ი]ყუნას იქიდამ გზას[1] ზემოდამ, ეს ოთხის დღის მიწაი. თორმეტის დღის მიწაც გაბრიელაშვილის მამულისა იყო და ამ ოთხის დღის მიწით თორმეტის დღის მიწა შაიქნა შენი.

და არცა ვის საცილებლად ამ მიწებზედ კელი არავისა აქვს შენთან, ამრიგად გაგვირიგებია და დაგვიმტკიცებია.

ბეჭედი ნინოწმიდელისა

367. [წიგნი საბა ნინოწმიდელისა დავით გარეჯის წინამძღვარ გერმანესადმი მამული მიბარების თაობაზე]

[1778 წ. 26 იანვარი]

ქ. ჩუენ, ყოვლად სამღუდელომან ნინოწმიდელ მიტროპოლიტმან საბა ესე სარწმუნო და ყოვლისა შეწყნარებისა ღირსი წიგნი მოგეცით თქუენ, ყოვლად ღირსსა მამასა არხიმანდრიტსა ჩუენსა დავით-გარესჯის მონასტრის წინამძღუარს მამას გერმანეს, და კრებულთა თქუენთა.

---

[1] გზაზს.

ესრეთ, რომელ: დიდის მონასტერი ცოდეთა და ბრალთა ჩუენთათვის აღოჴრდა და უმკჳდრო იქმნა; და წინამძღუარი მისი სვიმეონ, და კრებულნიცა მისნი მისითა სამკაულითა დასხმულ-ლითა და ყმითა დავით-გარეჯის მონასტერშე შეხუედით.

ზენონის შემდგომად ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღურობა სვიმეონსა მიეცა. და მოიხდომა იმან, რათა დიდის მონასტრის სამკაული, მამული და ყმა ისან შეეტანა ნათლისმცემლის მონასტერშე.

ესე ჩუენ წინააღმდგომად აღვეჩინდა, და არ შეეტანენით მოწყალებითა მისისა უმაღლესობისათა, ვინაჲთგან ბჭეგანად ვარ დიდგინებულ ნიჰოწმიდისა ეკლესიისა ზედა, და ათორმეტთა მათ უდაბნოთა მონასტერთა ზედა.

და ძველთა და ახალთა მეფეთა მიერ ბოძებულთა გუჯრებთა შინა ჩუენთა გამოცხადებული არს, რომელ: თუ რომელიმე მათ მონასტერთაგანი უმკვიდრო იქმნას, მისი სამკაული, მამული და ყმა ნიჰოწმიდელსა ესდა მიებაროს აღშენებადმდე უმკვიდრო ქმნილისა მის მონასტრისა.

და მიზეზითა ამით და კანონითა საშოციქულოჲთა ჩუენ დავიჭირეთ დიდის მონასტრის დაშთომილი სამკაული, ყმა და მამული, და მაშინვე დავით-გარეჯის მონასტრის წინამძღუარს მივაბარეთ ის სამკაულებიცა, მამულნი და ყმანი და გუჯარნიცა მათნი ხუსხით[1], და ნათლისმცემლის მონასტერს ამის ბაგიერ ჩუენის ეკლესიის საკუთარი ყმა და მამული მივართუით მისის უმაღლესობის მეფისა და ქრების ბრძანებით.

შემდგომად მონასტრისა მის დიდისა აღშენებად ნებებად ფიქრით მცირედს ხანს ისევ ჩამოგართუით. და მონასტრისა მის აღშენება ავის დროსაგან და მისის უმაღლესობის მეფის მოუცლელობისაგან არ იქმნა და ჩვენც მიგუბედეთ. რომ შეუძლებლად სჩანდა აღშენება მისი იმ დროს.

აწ ვინაჲთგან ღირსება შენი თვით მას მონასტერსა შინა დიდსსა არს აღზრდილ, და ძალისამებრი გირდებელება მოგიქუნდა მონასტერსა მას ზედა, და დროსა ამას მისრულ-იყავ წინაშე მისისა უწმინდესობისა, ყოვლისა საქართუელოჲსა პატრიარხისა, მეფის ძის ანტონი ნეტარისა, და შეამდგომელად აღგეძრათ წინაშე ძმისა მისისა ყოვლისა საქართუელოჲსა მეფისა ირბაკლი მეორისად, რათა თქუენვე მოგებარებოდათ დი-

[1] ნუსხით.

დის მონასტრის სამკაული, ყმა და მამული. და მათ ბრძანეს ჩემმა მთმართ ამისი აღსრულება; მეცა მაიძულეს ვიქმენ, ვინაჲთგან ხელმწიფეს მაქუნდა დავით-გარესჯის მონასტერსა ზედა და შენცა ხელმწიფე საყუარელ ჩემდა იყავ.

და მათგან სრულიადის ნება დართვით, ჴელ-ჩინებით და ბრძანებით მონასტრისა მის სამკაული და მამული და ყმა და ყოველი რაჲცა რა არს სახელსა მისსა ზედა დაშთომილი, ყოველივე შენდა მოგვიწდვია და მოგვიბარებია წიგნითა ამით, და ყოველისავე მოხარებულისა თვითოეულად ნუსხა[1] მოგვიცია; გაქუნდეს ვიდრე აღშენებადმე და ვანახლებად მონასტრისა მის.

და უკეთუ ნებითა ღმრთისათა და შეწევნითა მეფისათა, გინა სხვითა რომლითამე მიზეზითა, მონასტერი იგი თვისსა პირველსა მდგომარეობასავე ზედა ეგოს და აღშენდეს, ესე ყოველივე მონაცემი და მოხარებული ყოვლის ეიქველისა და ულაპარაკოს საქმით და გზით ისევ გამოგებაროს და მიეთვალოს მის ჟამისა ნინოწმიდლისაგან და თქუენ მიერ და კრებულთა თქუენთა მიერ მონასტერსა მას.

და თუ ვერ აღშენდეს, გჳონდეს თქუენვე; და არავინ იქმნას მძლავრებით ბიმჭვეშელ მისის ეშაღლესობის მეფისა და მისის უწმიდესობის პატრიარქისა, ბრძანებულისა და ჩუენგან რწმუნებულისა ამის და მოხარებულისა და სამართლიანის გზით თქუენს მონასტერს აჴმარეთ შემოსაჯალი მისი.

დაიწერა ქალაქსა სიონსა შინა ხელითა ოსეს ძის იოანესითა, თებერჳსა იზ, რიცხჳსა კვ, წელსა ჩლოჱ, ქართულს ქრონიკონს უჲვ.

ბეჭედი ნინოწმიდელისა
მარკჱნა კოდეშუ

ჩ. ჩუენ, მეფე ქართლისა და კახეთისა მეორე ირაკლი ამ წიგნს ვამტკიცებთ, ფებერვალს ია, ქრონიკონს უჲვ.

ბეჭედი: მე ფეხთაუბანიღლთა მიერ ეკლესია ვადიდე ერეკლე

368. [შეწირულების წიგნი ანტონ ცაგარლისა ცაგარის ტაძრისადმი]

[1775 წ. 2 მარტი]

[11] ვინადგან უკუე[2] მრავალთა წინაპართა მამათა მომასწავეს საყდრად ღმრთისა და წინასწარმეტყველთა წინასწარვე გჳდაგუს ერთისა სამებისაგანისა ჴორცთ-შესხმისა მიზეზად, უკანასკნელ დაბეჭდა ძეშან და სიტყუამან მამისა საუკუნოსამან;

[1] ნუსხა. [2] ცხ. უკუე.

რამეთუ შენგან იშვა ღმერთი სრული თანასწორი მამისა[1] იგივე კაცი სრული თანასწორი ადამისა! თვინიერ ცოდვისა დაუდგრომელ-
ორთაგან და ორთა შინა ბუნებათა თვინიერ შერევნისა ერთსა მი-
ნა გვამსა სიტყვისა ღმრთისასა;

და შენ სამგზისვე ქალწულად დამაბნეული უმაღლეს გყო ცა-
თა საყდართა და უდიდებულეს სერაბინთა და ქერაბიმთა[2] და თვით
მოგანიჭა კაცთა ზეცად აღყვანებისა მიზეზად, კიბეო ცადმდე აღდგ-
მულო, ღმრთისა ქვეყნად სიწმიდითა ქალწულებისა შენისათა
გარდმომყვანებელო და კაცთა ზეცად აღმყვანებელო დედოფალო,
დედაო ღმრთისა ჩვენისაო, ღმრთისმშობელო ქალწულო მარიამ.

სიჩჩოთგანვე შენისა საფარველისა შეევედრებულმან და მარა-
დის სასოებისა შენზედა დამდებმან, ძის ძემან დიდად სახე-
ლოვანისა დადიანისა ბექანისამან, და ძემან სახელ-
განთქმულისა დადიანისა ოტიასამან და ძმამან დი-
დად ქებულისა და სახელოვანისა დადიანისა უფლისა კა-
ციასამან, ცაგერელ მიტროპოლიტმან ყოვლად
სამღდუდელომან ანტონი;

ვინადგან მინდობითა სახელისა შენისათა მივიდე მღვდელთ-
მთავრობად და თვით მოწყალებითა შენითა მერწმუნა ეკლესია შენი
ქვეყანასა ლეჩხუმთასა ცაგერს და ძველთაგან შეწირულ-
ნი სოფელ-დაბანი და სამწყსონიცა მისნი, ძალისაებრ ჩემისა ვიღვ-
წიდი და უძლოდი ერსა, დაღათ სიჭაღუელი არა შეგვს ჩემდა.

და მეხება, რათამცა მცირედი რაჲმე ვმატე ეკლესიასა შენსა.
და ფრიადი შრომა თავს ვიდევე. რათამცა მოვიპოვე რაჲმე, რომე-
ლიმცა მოგიძღვენ მრავლისათვის მოწყალებისა შენისა. და ესე არს.
რომელიცა ქვემორე აღიწერების თვით ჩემგან, მრავლის ჭირის და
ვედრებით მოგებული ჩემგან:

ს ა ხ ე ლ ო ს: სასახლე ერთი გ ი ო რ გ ი ჩ ქ ო ა ნ ი ს ნა-
ქონი, ძისა ჩემის ბატონის დ ა დ ი ა ნ ი ს კ ა ც ი ა ს ა გ ა ნ ნა-
ბოძები ჩემდა თავისის ვენახზღვრულის მიწით, წყლით, ტყით,
საყანით, მამულით, სახლკარით ბურმარნით [V] და ოთხის მო-
სახლის კაცით.

ზ ე ბ ი ს ც ი ხ ე საკუთრად თავის ეკლესიისათვის, ხუთის
კომლის კაცით;

ო ჯ ო ლ ა ს: ბატონის მ ე ფ ი ს ს ო ლ ო მ ო ნ ი ს წყალობი-
თა და შეწევნითა მოვიგე სასახლე ერთი თავისის მიწით, წყლით,

---

[1] ამდენისა. [2] ქერუბიმთა.

ტყით, ადგილ-მამულით და მისად შემაგალად ათი კომლი ყოველსავე მათის ქონებულით; და სხვა ო ჯ ო ლ ა ც ი მისთვის ფისაგან ამოღებით განვაახლე. ის სასახლე და ათი კომლი კაცი თავის ეკლესიისათვის განვასაკუთრე. რომა არავის მაზედ ჴელი არა აქვს ცაგერლად მყოფის მიტროპოლიტის მეტს.

აგრევე წირვის აბრაღისათვის ვიღვაწე და შევკრიბენ და ძღვნად მიგიპყარ ძღვენსა კაცობრიეისა ბუნებისაგან მამისა სულკუნოსასა:

ხატი მაცხოვრისა გულსაკიდი ერთი, რუსეთს შემკული კარგია ჭელოვნებისაგან თავისის ჯაჭვით;

თმფორი ერთი, მისი სამხრე მძიმეთ ნაკერი და ხშირად მარგარიტ ხმარებული და სხვაცა ადგილი მარგარიტით ნაკერი და მაზედ ცხრა ჯვარი ოქროსი თვლით შემკული;

ბისონი ერთი სტოფისა;

ორარი ეკლესიისა მოვიხმარე, ცუდი რომ იყო, და მისად ნაცვლად მძიმედ ნაკერი სირმის ორარი, სარტყელი სირმით ნაკერი თავისის არღავნის თავითა სამკლავები მარგარიტითა და სირმით მძიმედ ნაკერი;

მიტრა ერთი პატიოსნად შეჴკული მინის სახითა და რჩეულის მარგარიტითა, დ ე დ უ ფ ლ ი ს ე ლ ი ს ა ბ ე დ ი ს სახელზედ გაკეთებული, თვით დ ე დ ი ა ნ ი ს კ ა ც ი ს ა გ ა ნ შეწირული იყო, მაგრამ ამაშიდ ცხრა წირვა, თორმეტი პანაშვიდი და ერთი წესთაჴება ჩემი არის, ამისი ნაცვალი არრაჲ ამიღიეს; ამათი ფასი სასყიდელი ჩემგან ძღვნად მიიღე და მეტი მათდა საოხად მიითვალე;

ჯვარი პატიოსნად შემკული ტრაპეზზედ დასასვენი, მდინარე ერთი კარგი ოქროშკედით ნაკერი, ეხჭერი, ჯვარ-სახთელი;

ზოგი ეკლესიის ვეცხლი იყო და სხვა ჩემი, მისის ჴელთასითა, სირმით ნაკერი ხელსახოცი, ძველი სტამბის კონდაკი, სტამბისავე საყდრის კურთხევა, ბროლიანი ჯუკუბი და სამღვდელო კაცის კურთხევის წიგნი ხელით ნაწერი.

სათნო იყავ ესენი ღმრთისა სძალო და შეიწირე ჩემ მონისა შენისაგან ვითარცა ღმერთმან ძღვენი აბელისი და ვითარც ძემან შენმან მწყალიდი და მეცა შემწე მეჴმენ და დღესა მას განჩინებისასა კრებულთა შორის წმიდათასა აღრაცხვეაჲ ჩემი ითხოვე მისა შენისაგან რამეთუ ძალ-ვიც რაჲცა ინებო.

ხოლო აწ დამამტკიცებელთა ამისთა მიიღეთ მადლი ზეგარდმოჲ განმამდიდრებელად სულთა და ჯორცთა თქუენთა.

და არადმცველთა და დამრღვეველთა და გამომწირველთა შმლელთა ამიათა მოუცინ ღმერთმან დაქცევაჲ სოდომელთაჲ ცეცხლითა ზეცაბრძმთთა დაწვაჲ [12] და კორეთა და ჯოჯოხეთის მკვიდრობა თუდა განმცველისა. მოისპოს ყოველივე შენი რისხვითა ღმრთისათა სული სხეულით, ცოლი, შვილი, ქალაქ-სოფელი დაბით, სახლ-სავანით და ყოველითურთ შენით, რათა არა იხილო დიდება ღმრთისა უკუნისამდე.

ძეალადცა შეჩვენებულ იყავნ გამომხმელი ამათი თვით წმიდისა სამებისაგან, თვით ყოველად წმიდისა ღმრთისმშობელისაგან, ათორმეთა მოციქულთაგან, შვიდთა კრებათა და ოთხთა პატრიარხთაგან, ჩვენისა ეკლესიისაგან, ჩვენგან და ჩვენთა მოსაყდრეთა ეპისკოპოსთაგან აქაცა და მერმეცა საუკუნეთა საუკუნეთასა, ამინ.

დაიწერა წიგნი ესე ქრისტეს აქეთ **ჩჟოწ**, თვესა მარტსა **ბ** და ღღესა პარასკევსა.

ხელმწ: ცაგარელი ანტონი

369. [ბრძანება დიკასტერიისა დავით იასაშვილისადმი ღალის აღების შესახებ]

[1778 წ. 11 ივლისი]

ქ. მისის უწმიდესობის დიკასტირია გიბრძანებს იასაულო დავით:

მერმე ეხლავ უნდა დაადგე ეამუტას შვილის ამილბარის შვილს და ვინცავინ არიან, რომ დილმის წმიდის გიორგის ეკლესიის მამულები უქირავეა, ამათ ყველაყას უნდა რომ ღალი გამოართვა და ამ პაელე მღვდელს მოსცეთ, და როგორც ეკლესიას ეჭირება, ეს მღუდელი ისე მოახმარებს ამ ღალას.

ამის გამოურომელობა არას გზით არ იქნება. ავად მოეპყარ და გამოურთვი. მისის სიმაღლის ოქმიცა აქვს ამ მღუდელს.

თუ ვინ იცის არის, რომელთაც არ მოსცეს, ჩვენგან შეუნდობელი არის და აღარც მღუდელი შეეა იმათ სახლში, დაყენებული არის.

დაიწერა დიკასტირიასა შინა, თთვესა მკათათვეს **ია**, ქორონიკონს **უჲვ**.

ვისაც ამ წმიდის გიორგის ეკლესიის მამულში მოსავალი ექნება, იმასთან სასაღარს ფული არა აქვს. პავლე მღვდელს ეკუთვნოდა მოეცეს.

მკათათვის ია, წელსა ჩლოზ.

სხვა ხელით:
მდაბალი მთავარეპისკოპოზი ხელრთვა: ბესარიონ

370. [შეწევალობის წიგნი მაჭახიძე კათალიკოზისა გელათის წმიდა გიორგისადმი]

[1778 წ. 20 ოქტომბერი]

იდიდებოდეთ ღმერთი იგი მაძაჲ, რომლისაგან ყოველი იქმნების-მეტყველებოდეთ, პირველ სიტყვა ქრისტე უფალი, რომლისა შორის ყოველი იმრავლებების-მკვეთებოდეც, სული ღმერთ-მთავარი, რომლისა მიერ ყოველი თანადგომითა და შეწევნითა მარიამ ღმრთისმშობელისა საროფიმთა უწმიდესისათა და ხვაიშნითა ყოველთა წმიდათაჲ.

ხოლო თავსა მიხდომითა და ჭელისა მყრობითა მოწამეთა თხემკოვლადისა დიდისა სასოსა ჩემისა გეორგი მთავარ მოწამისათა, ჩვენ, პონტო-ჩრდილოით, აფხაზ-იმერთა და ყოველისა ქვემოისა იველრიისა კათოლიკოს-მამათმთავარმან აბაშიძემან მაქსიმემ მრავლითა გონების მოწყლეობითა ვიგულსვმოდგინე[2], რათამცა ველათს სკათოლიკოსო წმიდის გიორგის ეკლესია თავისს წინამძღვრითა გამოკოფით თავისუფალ მექმნა.

ამისდა მიმართ არა მცირედი ძიება ვყავ ძველთა მატიანეთა და გჯრებთა შინა, მაგრა არა რომელიმე ძველი გჯარი აცხადებდა გასაკუთრებით აგარაკსა და მამულსა მისსა.

ხოლო ოდეს საქმისა ამის განკარგვა მენება, მას ქამსა იყო წინამძღვრად საყდარსა ამას ზედა მოძღვარი ჩენი არხიმანდრიტი ქრისტეფორე და იგიცა ფრიად მოქენე იყო საქმისა ამის დამტკიცებისა და რომელიცა მამული მას ეპყრა, ყოველივე დავანებეთ და მიუძღვანეთ ეკლესიასა.

1.* ოხომირას სოფელში ხეციას ვირისაღაძეს მაროებს შვიდი თორმეტიანი ღვინო, ერთი კოდი ღომი, ორი აბაზი ოთხი. შობის ძღვენი, ერთი ჩარექი ყველი, ერთი დედალი, ოცი ქვერცხი, ერთი ფოხალი ღომი, ერთი დოქი ღვინო.

---

[1] ჯარა. [2] ვიგულსმოდგინე.

* ხელნაწერში ტექსტი შეხლებულ დაკოკილი არ არის.

2. მის ძმას მახარებელს ვირისაძეს მართებს ექვსი თორმეტიანი ქვევრი, ერთი კოდი ღომი, ერთი ჩარექი ხალი, ერთი დედალი, ოცი კვერცხი, ერთი ფოხალი ღომი, ერთი დოქი ღვინო.

3. მახარობელს და მის ძმას ხახუტას ვირისაძეს მართებს ოთხი თორმეტიანი ღვინო, ერთი კოდი ღომი, ხუთი შაური თეთრი, შობის ძღვენი, ერთი დედალი, ერთი ჩარექი ყველი, ერთი ფოხალი ღომი, ოცი კვერცხი, ერთი დოქი ღვინო.

4. ივანიკა ვირისაძეს მართებს ათი მენახევრე ღვინო, ერთი ფოხალი ღომი, ხუთი ფარა თეთრი, შობის ძღვენი, ერთი დედალი, ოცი კვერცხი, ჩარექი ყველი, ფოხალი ღომი, ერთი დოქი ღვინო.

5. მახარობელს ვირისაძეს მართებს ორი თორმეტიანი ღვინო, ორი ფოხალი ღომი, ათი ფარა თეთრი, შობის ძღვენი, ერთი დედალი, ერთი ჩარექი ყველი, ოცი კვერცხი, ერთი ფოხალი ღომი, ერთი დოქი ღვინო.

6. ბასილიკა ვირისაძეს მართებს ოთხი თორმეტიანი ღვინო, ორი ფოხალი ღომი, ხუთი ფარა თეთრი, შობის ძღვენი, ერთი დედალი, ერთი ჩარექი ყველი, ოცი კვერცხი, ერთი ფოხალი ღომი, ერთი დოქი ღვინო.

7. მამუკელა ცირეკიძეს მართებს ექვსი თორმეტიანი ღვინო, ექვსი ფოხალი ღომი, აბაზი თეთრი და შობის ძღვენი, ერთი დედალი, ერთი ჩარექი ყველი, ოცი კვერცხი, ერთი ფოხალი ღომი, ერთი დოქი ღვინო.

8. და მის ძმას ბერუკელას ცირეკიძეს მართებს ექვსი თორმეტიანი ღვინო, ექვსი ფოხალი ღომი, ორი შაური თეთრი, შობის ძღვენი, ერთი დედალი, ერთი ჩარექი ყველი, ოცი კვერცხი, ერთი ფოხალი ღომი, ერთი დოქი ღვინო.

9. ბერა შავიანიძის შვილებს სვიმონ ხუცეს და მის ძმას დავითელას მართებს ერთი შამახური სანთელი.

10. კიდევ ბერა შავიანიძის შვილისშვილებს ივანიკასა და ოქროპირას მართებს ერთი შამახური სანთელი.

11. ნაბოსლევს სოფელში კოზოლაძისეულს პარტახს მართებს რვა თორმეტიანი ღვინო, მარჩილი თეთრი.

12. სორმონს სოფელში გიორგი ბანთაძეს მართებს ერთი შამახური სანთელი, ათი თორმეტიანი ღვინო, ექვსი ფოხალი ღომი.

13. დავითელა ფუცხუანიძეს ბუჰუელა შვილს მართებს ერთი შამახური სანთელი.

14. გიორგი იამანიძეს მართებს ორი ჩარექა სანთელი.

15. სოანს სოფელში კვანტრეშვილს ხო[ს]იკას მართებს ექვსი თორმეტიანი ღვინო, ერთი კოდი ღომი, ხუთი რუბი თეთრი. ეს ეც ზემო წერილისა არს.

16. ბიგველას ფუცხლანიძეს მართებს ოთხი თორმეტიანი ღვინო, ექვსი ფოხალი ღომი, სამი რუბი თეთრი.

17. ბუჰუელას ფუცხუანიძეს და მის სახლისკაცს მართებს ხუთი თორმეტიანი ღვინო, ერთი კოდი ღომი, ერთი მარჩილი თეთრი.

18. მონაზვნის შვილებს ფუცხუანიძეს მართებს ხუთი მეწახეერე ღვინო და ორი ფოხალი ღომი, ორი რუბი თეთრი. ესე ზემოწერილნი მამულნი პირველითვანვე ექვნდეს წინამძღვარსა.

ხოლო შემდგომნი ესე ჩვენ შევსძინეთ და მივართვით, რომელ არიან ესენი:

19. ხრესილის სოფელში ზაჭარიაშვილებს ობოლაძეს მართებს შამახური სანთელი.

20. ოტიაშვილებს მართებს შამახური სანთელი.

21. ივანი ობოლაძის შვილებს მართებს შამახური სანთელი.

22. თამაზა ობოლაძის შვილებს მართებს შამახური სანთელი.

23. ხახუტა ობოლაძის შვილებს მართებს შამახური სანთელი.

24. გიორგი ობოლაძის შვილებს მართებს შამახური სანთელი.

25. სეხნია ობოლაძეს მართებს შამახური სანთელი.

26. წყალწითელას სოფელში კუბულაშვილს მამუკელას მართებს შამახური სანთელი.

27. თამაზია კუბულაშვილს მართებს შამახური სანთელი.

28. ჰათე კუბულაშვილს მართებს შამახური სანთელი.

29. გოგიტა კუბულაშვილს მართებს შამახერი სა-
თელი.

30. ახალდაბას სოფელში სვიმონიკა ობოლაძეს მართებს შამახერი სანთელი.

31. გოგიტელას კუბულაშვილს მართებს შამახერი სანთელი.

32. ძევრას სოფელში ჩიტიელსა და მთვალიკას აბჟანდაძეს მართებს ფირმეტი კოდი წმიდა გორჩეული პური[1] სასეფისკვერეთ და სხვა ათიფერი.

33. სანავარდოს სოფელში იესელა მჭედლაძეს მართებს სუთი ზუთხი ბეგარა და ერთი სათხოვარი.

34. ბერო სომეხს დოშუაშვილს და მისი ძმას მართებს ორ-ორი ჩარექი ბამბა სანთლის გულათ, რომ ყოველს წელიწადს წმიდის გიორგის ეკლესიას მიართმიდეს; და ამის მეტი სხვა ბეგარა არა ეთხოებოდეს რა.

ესე ყოველნივე ერთბამად ამა ეკლესიისათვის დამონებებია და მიმირთმევია; და წინამძღვარიც ზედ დამიდგინებია.

და კუალად ამასაცა ვანვაბიანებ, რათა კათალიკოსის მოხელე მოეყრაები და ხელისანი ამ საწინამძღვრ[ო] მამულში ვეროდეს შევიდეს; და წინამძღვარს ვითარ ენებოს, თავის მამულის საქმეს ეგრეთ განაგებდეს.

და აწ შეუდგომნო ჩვენო უფალნო კათოლიკოზ-მამად-მთავარნო, წე ესრეთ განმიგიეს, და თქვენ ვითარ გენებოსთ და ჯეროვანი იყოს, ეგრეთ განაგეთ.

რაც რომ ამ წიგნში მესანთლე კაცი მიგვირთმევია, ამათ გარდა კიდევ რაც სოხმოსა და ოკრიბაში კათოლიკოსის ყმა არის და ბეგრად სანთელი აძევს, ამათი ბეგრის სანთელიც უწინაც წმიდის გიორგის საყდრის შეწირული იყო და ახლა ჩვენც წმიდის გიორგის საყდრისათვის მიგვირთმევია.

და სანთელს გარდა სხუა შათი ბეგარა ისევ კათოლიკოსისა არის, როგორათაც გრიგოლი კათოლიკოსის დავთარში სწერია.

ალიწერა თვესა ოქტომბერსა კ. ქრისტეს აქათით **ჩლოზ**.

ბეჭედი: ჩრდილო-ათხაზ-იმერთა კათალიკოსი მაქსიმე

ეს ბერი სომეხი დოშუაშვილი და მისი ძმა ქართლით ალუღნი არიან; სანამ ამ ქვეყანაში იყვნენ, ეს ბეგარი

---

[1] +მართებს.

ყოველთვის მიართვან წმიდას გეორგის; და თუ რომე წასლვა იხდომოს თავის ქვეყანაში, ნური კაცი ნუ დაეშლის, მშვიდობიერად გაისტუმრონ.

ჴ. ჩვენ, ყოველად სამღუდელო ქ ე თ ა თ ე ლ მ ი ტ რ ო პ ო ლ ი ტ ი დ ო ს ი თ ე ო ს და ჯ ა ნ მ გ ე ბ ე ლ ი ს ა ყ ა თ ო ლ ი კ ო ს ი ა ს ამა მათი უწინდესობის ბრძანებას ვამტკიცებ. ესრეთ, რომ ამ საწინამძღროში ჩვენმა მოხელემ და მოღვაწემა უწინამძღროთ ალარ იმოერავ[ო]ს ამ კაცებზე.

ბეჭედი: დოსითეოს

371. [ბანწესება სამთავისის მღვდელთა მოძღვრებისა]

[1778 წ. 17 მარტი]

ჴ. მადლითა ღმრთისათა, ესე განწესება მიეცეს სამთავისის ეკლესიის მღდელთ:

ჴ. ერთი კვირა დეკანოზმა იმღდელმოქმედოს და ერთი კვირა დ ე მ ე ტ რ ე მღდელმა და შეასრულონ ასე წელიწადი. საუფლო დღეს თუ ინებოს, დეკანოზმა იმღდელოს, დემეტრემ ვერ დაეშალოს.

ჴ. რაც საწირავი მოვიდეს, ორი წილი დეკანოზს და მესამედი დემეტრე მღდელსა, ამილახორიანთ მიცვალებულის გარდა, მაშინ თავ-თავის წესი მიეცემათ.

ჴ. აქ სამთავის[ს] ვინც ქრისტიანენი სახლობენ, ერთი, რომელიც დეკანოზს უნდოდეს, კომლი კაცი საკუთრებათ აიღოს საწყაოდ. და სხვანი დეკანოზმა და დემეტრემ ერთათ მოუაროთ და შეა გაიყონ მათი შემოსავალი.

შესამოსელი დემეტრეს ებაროს, ეკლესიას და შესამოსელს უველიდეს.

დემეტრე დეკანოზის მორჩილი იყოს, ეს ასე უნდა აღსრულდეს. მარტს ი‰, ქორონიკონს ფაზ.

ხელრთვა

372. [წყალობის წიგნი ანტონ I-ისა გელათის შვილებისადმი]

[1779 წ. 5 მაისი]

ჴ. წყალობითა ღმრთისათა, ჩვენ, ყოველისა საქართველოს კ ა თ ო ლ ი კ ო ზ-პ ა ტ რ ი ა რ ხ მ ა ნ, მადლ* მეფეთა შარავანდედმან, ძემან ქართველთა მეფის იესესმან, პატრონმან ა ნ ტ ო ნ ი ესე

* აქამდე დაწერილია ხელით დერად-დერადი მელნით.

ცუენისამცე ქამთა და დროთა გამოსადეგი, სამკვიდრო და საბ-
ლოო წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩქუენ
ჩუენს ერთგულად და თავდადებით ნამსახურთა გაბრიელ ქაჯაიას-
ძრის შვილთა გედეონის ძეთ: სარდარს შიოშს, ნაზირ-მოლა-
რეთუხუცესს გიორგის, მეჯინიბეთუხუცესს იოსებს და
ყოველთავე სახლისა თქუენისა შვილთა და მომავალთა.

ასე, რომ წყალობას გვეაჯგუბოდით, რომელთაცა თქუენის
ვედრებისა მსმენელთა მოგიბოძეთ სუეტისცხოველის აღაიანის
სოფლის მეღალობა და მეკუჭლეხობა ყოვლის კაცის შეუცი-
ლებლად.

და აგრევე, როდეს მამათქუენს სარდარს გაბრიელს სუეტის-
ცხოველის ამიწყუეტილის აზნაურშვილის ჭარმაგულის ორი-
სავ სახლისკაცის ბეითალმანი ყმა და მამული უბოძეთ, ვითა ჩუენ
მიერ ბოძებულ წყალობის სიგელი აცხადებს, ჭარმაგულის სახლში
ძველითგანვე ნაქონი სახელო მეჯინიბეთუხუცესობა მოგიბოძეთ
გაბრიელ სარდრის ძეს იოსებს; გქონდეს სუეტისცხოველის ერთგუ-
ლობასა და ჩუენსა სამსახურსა შინა.

და რომელიც ამ სახელოს თანამდებობა იყოს, იმას დაუკლებ-
ლად იმსახურებოდე და აღასრულებდე; და ამ სახელოს სარგოც
დაუკლებლადვე გქონდეს.

და რომელიც ჩუენ ამ სახელოს წყალობის სიგელი შენს ბიძა-
შვილს გედეონიშვილს ერასტის უბოძეთ, ამ ჩუენ მიერ ბოძებულმა წყალობის სიგელმა ის სიგელი უქმ და ურგებ
პყოს, ჩვენ გვიბოძებია და ჩუენსუე ჩამოგუერთმეუია; ჭარმაგულის
ყმა და მამულიც თქუენთუის გვიბოძებია. და ეს სახელო მეჯინი-
ბეთუხუცესობაც.

არ მოგუშალოსთ არა ჩუენგან და არცა შემდგომთა ჩუენთა
კათოლიკოს-პატრიარხთაგან, არცა უმაღლესთა, არცა დიდთა და
არცა მცირეთაგან. არამედ თქუენცა შემდგომად ჩუენსა ყოვლად
სანატრელნო კათოლიკოს-პატრიარხნო, თქუენცა ასრეგე დაუმტკი-
ცეთ და გაურიგეთ, რათა თქუენ მიერ გაგებულიცა ღმერთმან ყო-
ველივე მტკიცე და უნაკლულო პყოს.

ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხნეს.

არიან ამისნი მოწამენი და დამხდურნი ერთობილნი მცხე-
თელნი.

დაიწერა ინდიკტიონსა კვ პატრიარხობისა ჩუენისასა, ხოლო
როსსითგან მეორედ უკუმოქცევისა ჩუენისასა წელსა მეექუსესა,
მეფობისა ძმისა ჩემისა ირაკლი მეორისასა, ქელითა დი-

ქასტორიასა ჩუენისა მწყემსობართმთავრის ალექსის ძისა ყათოლიკოსისა, თთუესა მაისსა, რიცხუსა ე, წელსა განხორციელებულისა ბოგან სიტყვისა ღმრთისა ათას შვიდას სამოცდა ცხრამეტესა, ხოლო ქართულს ქორონიკონს ზედა უჲზ.

ხელრთვა: კათალიკოზი ანტონი.

კიდეზე:

მისის სიმაღლის სრულიად საქართველოს მეფის ირაკლი მეორის ძე ბატონიშვილი არჩილ დიაკონი ანტონი, მისის ცხოვნებისმეტყველობის ბიძის ჩუენისაგან ამ წყალობის სიგელს ვამტკიცებთ. იანუარის 20, წელსა 1780.

ხელრთვა: ანტონი

ქ. რაგვარადაც მისს უწმიდესობას სანატრელს ბიძაჩვენს სიგელითა ამით უბოძებია, აგრეთვე ჩვენ ვამტკიცებთ. მაისის კდ, ქორონიკონს უჟჲ.

ხელრთვა: კათალიკოზი.

373. ᲫᲝᲕᲚᲐᲓ ᲡᲐᲛᲚᲣᲓᲔᲚᲝᲜᲘ ᲛᲚᲣᲓᲔᲚᲗ-ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲜᲘ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡᲐᲜᲘ

[XVIII საუკ. 70-ანი წწ.]

კახეთისა:	ქართლისა:
ზენონ არქიეპისკოპოსი ალავერდელი	ბესარიონ მიტროპოლიტი სამთავროჲსა და გორისა
დავით მიტროპოლიტი გისაყისა	ქრისტეფორე მიტროპოლიტი
საბა ნინოწმინდელი მიტროპოლიტი	გერმანე ეპისკოპოსი მროველი
ზოსიმე არქიეპისკოპოსი რუსთველი	იოსებ ეპისკოპოსი ურბნელი
დოსითეოს ეპისკოპოსი ნეკრესელი	დავით ეპისკოპოსი ნიქოზელი
	ეპისკოპოსი სამთავნელი, ჴერეთ განწესებული

დაცლილნი აოხრებისაგან:

საეპისკოპოსო სამგებისა	სამიტროპოლიტო ახტალისა
საეპისკოპოსო გიშისა	საეპისკოპოსო მანგლისისა
საეპისკოპოსო ჰერეთისა	საეპისკოპოსო წილკანისა
საეპისკოპოსო ხარჭაოსი	საეპისკოპოსო წალკისა
	საეპისკოპოსო ბოლნისისა
	საეპისკოპოსო წინწყაროსი
	საეპისკოპოსო დმანისისა

374. [წყალობის წიგნი ანტონ I-ისა გლახა დოჭიძისადმი]

[1780 წ. 3 თებერვალი]

ქ: წყალობითა-ღმრთისათა, იესიან, დავითიან, სოლომონის პანკრატოვანმან, ძემან გ[ა]ორთველთ მეფის იესესმან, ყოვლისა საქართველოს პატრიარხმან პატრონმან ანტონი ესე წყალობის წიგნი და სიგელი დავიწერეთ და გიბოძეთ შენ, ჩვენს ყმას და ნამსახურს დოჭიძეს გლახას, შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა.

ასე, რომე: მეტეხს იმერლისშვილს ნაქონს მამულის წყალობას დაგვეაჟე. ვისმინეთ აჯა და მოხსენება და გიბოძეთ მეტეხს, რომლისაც მამულის მქონებელი ყოფილიყოს ვენახისა თუ მიწებისა.

მაგრამ რადგან ის იმერლისშვილი ტყუედ არია, თუ მოვიდეს და შენთან დგომა და ძმად შეყრა მოინდომოს, ის თქვენ იცით. და თუ არ მოინდომა, თავისი მამული ჭელშეუვალად უნდა მისცე.

და თუ ტყვეობიდამ ვერ მოვა, ის იმისი მამული შენ დაგრჩება სოფლად. არავინ ამისი მცილე და მოდავე არ იყოს.

არიან ამისნი მოწამენი ერთობით ჩვენნი მოკელენი.

აღიწერა ჭელითა სვეტისცხოველის დეკანოზის ძის დიაკონის შიო[ა]ნ[ე] ილ[ა]რ[ი]ონ[ი]სათა.

თთუესა ფებერვალს 3, წელსა ჩჟპ.

ხელითა: კათალიკოზი

375. [წიგნი ანტონ I-ისა ბოქოულთხუცეს ლუარსაბისადმი გლახა დოჭიძისათვის სახელოს გიჟეთის შესახებ]

[1780 წ. 2 მაისი]

ქ. ყოვლისა საქართველოს პატრიარხის მეფის ძის ანტონის კეთილსახსოვარი ბოქოულთხუცესი ლუარსაბ!

მერმე აშენდის მეღალობა და ნაცველობა ძველთაგანაც დოჭიძის გლახასი ყოფილა. და ჩვენგანაც დამტკიცებული არის. აქამდის მარტო ჭელობის მიზეზით არა დაეღირსა რა. და ახლა რადგან თავისი იყო, თვითანვე მიეცით. და ახალი მიდი და ამ ორსავეზე ჭელი ჰუმართე და მოაბარე. და წლეულსაც ღალა ამანვე უნდა აიღოს.

მაისის 2, წელსა ჩჟპ.

ხელითა: კათალიკოზი

376. [წყალობის წიგნი ანტონ I-ისა ნიკოლოზ თუხარელისადმი]

[1730 წ. 10 მაისი]

ქ. წყალობითა ღმრთისათა, იესიან, დავითიან, სოლომონიოს, პანკრატოვანმან, ძემან გაბრთველთ მეფის იესემან, ყოველისა საქართველოს კათალიკოზ-პატრიარხმან, პატრონმან ანტონ, ესე წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენის ეკლესი[ი]ს აზნაურშვილებს თუხარელს ნიკოლოზს, შვილთა შენთა გიორგის, მღდელს იოანეს, სვიმონს, დავითს, შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა, ასე და ამა პირსა ზედა, რომელ:

მეტეხს ამოწყვეტილის შამუკას შვილის მიქელას ნაქონის მამულის წყალობას დაგვეჯე, ის მამული გაბინას-შვილს პეტრეს ჩვენგან წყალობად ბოძებული ჰქონდა; იმისს სანაცვლოდ მეტეხის მეღალობა და მეკუდნეობა ებოძეთ პეტრეს; და თქვენ — ის მამული, მამუკაშვილის ნაქონი, რომლისაც მჭოსნებელი ყოფილიყოს: მიწისა, წყლისა, თავისის წილის წისქვილისა, ველისა, ვენახისა, საჯალეჯისა, სახნავისა და უხნავისა ყოველივე ჭელმეუელად თქვენთვის გვიბოძებია და წყალობა გვიქნია. არა მოგვშალოს ჩვენგან და არცა ჩვენთა შემდგომთა პატრიახთაგან.

ეგრეთვე თქვენცა ცოცხალად სანატრელო კათალიკოზ-პატრიარხნო, თქვენცა ასევე დაუმტკიცოთ, რათა თქვენიცა გაგებული ღმერთმან მტკიცე ყოს.

არიან ამისნი მოწამენი და ნების-დამბრთველნი ერთობით ჩვენნი მოკელენი.

აღიწერა ინდიკტიონსა პატრიარხობისა ჩვენისასა კზ, ქელით[ა] სექტის-ცხოველის დეკანოზის ძმა მიხაილისაგა, თთუესა მაისსა ივ.

და ამას გარდა: თუ ვისმე იმისი მამული მიეჯარვით ეჭიროს[ს] და თქვენ შეამჩნიოთ, ისიც თქვენთვის წყალობა გვიქნია თავისის შეს[ა]ფერითა და გასავლითა, საბეგრითა და უბეგრითა და ყოვლის თავისი სამართლიანის სამ[ძ]ღურითა.

წელსა გახორცეცლებითგან სიტყვისა ღმრთისა ჩლპ.

და სხუა აიგელი თუ რამ გამოჩნდეს, სიგლთა ამით გაგვაცუდებია.

ხელთაგა: კათალიკოზი ანტონი

ქ. ჩვენ, ცხებულის მეფის თეიმურაზის ძე, ირაკლი ბაგრატიონი, რომ მეფე საქართველოსი, ამ ჩვენის ძმის, მათის უწმინდესობის ბოძებულს სიგელს ვამტკიცებთ. მაისის კ, ქორონიკონს უჲწ.

ბეჭედი: მე ცხებთგანბანილთა მიერ ვკლესია ვიდრე ერეკლე

ქ. ჩვენ, ყოვლისა ზემოისა საქართველოსა დედოფალთა-დედოფალი, დადიანის ასული ბატონი დარეჯან, მისის უწმინდესობის ბოძებულს სიგელსა ამას ვამტკიცებთ. მაისის კზ, ქორონიკონს უჲწ.

ბეჭედი: ვინ არის მიზეზი არსთა მკობისა მანმცა წიაღი დედოფლობისა დარეჯან

ქ. ჩვენ, საქართველოს უფლისწული, ბატონიშვილი გიორგი, ამ ბატონის მის უწმინდესობის ბიძის ჩვენის ნაბოძებს წყალობისა თანა-მოწამენი ვართ. ოქტომბერს გ, ქორონიკონს უჲწ.

ბეჭედი: მეფის ძე გიორგი

ქ. ჩვენ, მეფის ძე ლევან, ამ ბატონის ბიძის ჩვენისაგან ნაბოძების სიგელისა თანა-მოწამე ვართ. ღვინობისთვის ვ, ქორონიკონს უჲწ.

ბეჭედი: მხრობლთა მეფეთა ძესა ლევან სახელად მძესა

ქ. ჩვენ, მეფის ძე არხიდიაკონი ანტონი მისის უწმინდესობის ბიძის ჩვენის ნაბოძებს სიგელს ვამტკიცებ. ოქტომბრის 12, წელსა 1778.

ხელთაწერი: მეფის ძე ანტონი

თავში:

ქ. ჩვენ, ქართლისა და კახეთისა და სრულიად საქართველოჲსა კათალიკოზ-პატრიარხი და ალავერდელ მიტროპოლიტი მეფის ირაკლის ძე ანტონი წყალობის სიგელსა ამას ვამტკიცებთ. ოქტომბრის კა, ქორონიკონს უჳთ.

ხელთაწერი: კათალიკოზი

377. [წყალობის წიგნი ანტონ I-ისა სახლთხუცეს ამილახვარ მაღალაძისადმი]

[1780 წ. 2 ივნისი]

ქ. წყალობითა ღმრთისათა, იესიან, დავითიან, სოლომონიან, პანკრატოვანშან, ძემან ქართველთა მეფისა იესესმან ყოველისა საქართველოს კათალიკოზ-პატრიარხმან ანტონი ესე უკუნისამდე ჟამთა და დროთა გამოსადეგი მტკიცე და შეცვალებელი წყალობის წიგნი და სიგელი გიბოძეთ თქვენ, მაღალაძე სახლთხუცესს ამილახარს, ძმასა შენსა დავითს, შვილთა შენთა გაბრიელს და იოანეს, ძმის წულსა შენსა გიორგის, შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა.

ჩვენის სოფლის ალაიანის მოურაობა ასე, რომელ ეს სახელო ჰარმ[ე]ელის ნაქონი იყო, იმ ჰარმეულისა ხომ ალაჩაიენ იყო და აწ-წყვეტილი იყო, ეს სახელო ამ მიზეზით გიბოძეთ; რადგან ეერანა არის ეს სოფელი. შენ ეხლა გააკეთო და აშენო; და რომელიც შეგეძლოს, ვაისარკო.

გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ეკლესიისა და ჩვენსა ერთგულობასა შინა. არა მოგეშალოსა ჩვენგან და არცა ჩვენთა შემდგომთა კათალიკოზ-პატრიარხთაგან.

ეგრეთვე თქვენცა. ყოველად სანატრელნო კათალიკოზ-პატრიარხნო, თქვენცა ასევე დაუშტკიცეთ. რათა თქვენიცა გაგებული ღმერთმან მტკიცე ჰყოს.

არიან ამისნი მოწამენი და თანაწმანი ერთობით ჩვენნი მოხელენი.

აღიწერა ინდიქტიონსა პატრიარხობისა ჩვენისასა 28. ქელითა სვეტისცხოვლის დეკანოზის ძის მიხაილისათა.

თთუესა იუნისსა 8, წელსა ჩქბ.

ხელრთვა: კათალიკოზი ანტონი

ქ. ჩვენ, სრულიად საქართველოს მეფე ირაკლი მეორე ამ სიგელა ვამტკიცებთ. დეკემბრის თ. ქორონიკონს უჟთ.

შეშვდი: მე თეხთგანბანილთა შიგნ ეკლესია ვადიდე ერეკლე

ქ. ჩვენ, საქართველოსა და კახეთის დედოფალთ-დედოფალი, ბატონის დადიანის ასული პატრონი დარეჯან ამ სიგელს ვამტკიცებთ. დეკემბერს ი8. ქორონიკონს უჟთ.

შეშვდი: დედოფალი დარეჯან

ქ. ჩვენ, საქართველოს ცხელისწული ბატონიშვილი გიორგი ვამტკიცებთ სიგელსა ამას. დეკემბერს 18, ქორონიკონს უჲთ.

ბეჭედი: მეფის ძე გიორგი;

ქ. ჩვენ, ბატონიშვილი იესე ვამტკიცებთ სიგელსა ამას. დეკემბერს კთ, ქორონიკონს უჲთ.

ბეჭედი: დიასპანის სასთაური იესე დავითანი

ქ. ჩვენ, მეფის ძე არხიდიაკონი ანტონი ამ ბატონის ბიძის ჩვენის ნაბოძებს სიგელს ვამტკიცებთ. ფებერვალის ივ. წელსა ჩლჳბ.

ბეჭედი: ანტონი.

ქ. ჩვენ, ბატონიშვილი ყაიხოსრო ვამტკიცებთ სიგელსა ამას. ფებერვალის ივ, ქორონიკონს უო.

ბეჭედი: ლომად იყოდას ბაკუად ვახტანგ ირაკლის ნაკუთად

ქ. ჩვენ, ბატონიშვილი მირიან ვამტკიცებ სიგელსა ამ[ა]ს. ფებერვლის ივ. ქორონიკონს უო.

ბეჭედი: დავითს ტოტთა სქესს ძე ვარ ირაკლი მეფისა მირიან

ქ. ჩვენ, კათოლიკოს-პატრიარხი მცხეთისა და ყოველისა საქართუელოჲსა მეფის ძე ანტონი ამ წერილს ვამტკიცებთ მაისის ე, ჩლჳზ წელსა.

ხელთაწერი: კათალიკოზი

ქ. ჩვენ, საქართველოს მმართებელი, რუსეთის ლეონერალ-ლეიტენანტი და კავალერი დავით ვამტკიცებ, თებერვლის კ. ქორონიკონს უჲთ.

დავით

378. [წყალობის სიგელი ანტონ I-ისა თაზიშვილებისადმი]

[1780 წ. 30 ივნისი]

ქ. წყალობითა ღმრთისათა, იესიან, დავითიან, სოლომონიან, პანკრატოვანმან, ძემან ქართველთა მეფისა იესესმან. ყოველსა საქართველოს კათალიკოზ-პატრიარხმან, პატრონმან

ანტონი, ეს უკანასკნელი ყველა და დროთა გამოსადეგი, ძველ-
ცე და უცვალებელი წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და
გამოძეთ თქვენ, ჩვენის ეკლესიის აზნაურშვილთ, თაზიყურაშვი-
ლებს, შვილობლის ზაზას შვილს თეოდოსიას, ითრა-
მის შვილს სვიმონს და მოსეს, მოსეს შვილთ პაატას
და ზურაბს. შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა, ასე
და ამა პირსა ზედა, რომელ:

რადგან ნისმა სიმაღლემ, ჩვენმა ძმობამ, ინება სვიმონის
სამცხეთობაში შემოყუანა და საქელოს ბოძება, ჩვენცა ნება დავრ-
თეთ და გიბოძეთ ჩვენის სიფელის დარბაზის მოურაობა:
რომ რადგან ის სიფელი ვერანა არის, უნდა გაისარჯნეთ და ააშე-
ნოთ და რომელიც მართებული[a], ისე გვამსახუროთ და იმისის სა-
მოურაოსი, რომელიც სარგო არის, ერთი[1] წილი თეოდოსესი და
მოსესი იქნება და ერთი წილი საკუთრად სვიმონისა იქნება.

ქრონდესთ და გიბედნიეროსთ ღმერთმან ჩვენის ეკლესიისა და
ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შინა, არა მოგვშალოს ჩვენგან და
არცა ჩვენთა შემდგომთა პატრიარქთაგან.

ეგრეთვე თქვენცა ყოველად სანატრელნო კათალიკოზ-პატ-
რიარქნო, თქვენცა ძალვე დაუმტკიცეთ, რათა თქვენიცა გაგებული
ღმერთმან მტკიცე ყოს.

არიან ამისნი მოწამენი და თანაწყობით ერთობით ჩვენნი მოხე-
ლენი.

დაიწერა ინდიკტიონსა პატრიარქობისა ჩვენისასა კჱ, ქელით[ა]
სვეტიცხოველის დეკანოზის ძის მღუდლის მიხაილისათა,
თთუესა ოცსა, წელსა ჩდბ.

[a] ზედრთე: კათალიკოზი ანტონი

თავსა ბეჭედი: რომელი განწესათ ქუეყანასა ზედა, ცნილ იყოს
იგი კათა შინა.

379. [ჭყალიგის წიგნი ანტონ I-ისა გოგია ლუკანდარის-შვილისადმი]

[1780 წ. 25 აგვისტო]

ჯ. ჩვენ, ყოველის საქართველოს აღმოსავლეთია ..დიდმა, მა-
მათ-მთავარმან იესიან, დავითიან, სოლომონიან პანკრატო-
ვანმან[2] და ძემან ქ[ა]რთველთა მეფის იესესმან. პატრონმან
ანტონიმ ესე მამული წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყო-

[1] ერთი. [2] პანკრატოვანმან.

ლე და გიბოძე შენ[1], ჩ[უ]ენ სახასოს ყმას გვაფათელს ლ[ა]ბ[ა]ძ[ე]ს დ ა რ ი ა ს შ ვ ი ლ ს გ ო გ ი ა ს, ძმას შენსა პ ა პ უ ნ ა ს, შ ე ნ ი ვ ე ლ ი ა ვ ე ა თ ქ ვ ე ნ ი ა დ ე მ ე ტ რ ე ს, დ ა თ უ ა ს ა, ქ ი ტ ე ს ა ს და სახლისა მაშავალსა შენისასა.

ასე, რომ; ქ ო რ თ ს სამკვიდრო მამა-პაპის შენის ვენახი იყო; მოხველ და მოვაახსენე კარსა დარბაზს, დაგვიჯე, ვისმინეთ მოხსენება და აჯი თქვენი და გიყავით თქვენი სამკვიდრო ვენახი ძველის ნასყიდობის სიგელით.

გქონდეს და გიბეჭდნიეროს ღმერთმან ჩვენ და ჩვენ ქათოლიკე წმინდა ეკლესი[ი]ს ერთგულობაში; არა მოგეშალოს ეს ჩვენგან ნაწყალობევი, არა ჩვენგან და არა ჩვენ შემდგომ პატრიარქთა[გან].

დამამტკიცებელი ამა სიგლის ღმერთმან აკურთხოს.

რომელიც ჩვენის ეკლესი[ი]ს დებულობა იყოს, არა დააკლებ[დე][2] და ყოველ[ა][3] წლივ მსახურებდე.

არიან ამის დამხდური და მოწამე: სალთხუცესი მ ა ღ ა ლ ა ძ ე ა მ ი ლ ბ ა რ და საბდალი დ ა ვ ი თ მ ა ღ ა ლ ა ძ ე და ერთობლივ მცხეთელნი.

დაიწერა ბძანება ესე ა გ ვ ი ს ტ ო ს[4] კე. ქრისტეს აქეთ ჩლბ. საქართველოს ქორონიკონს უაჲწ.

ხელრთვა: კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი
მარცხენა კიდეზე

ქ. მე, მეფის ძე ა რ ქ ი დ ი ა კ ვ ა ნ ი ა ნ ტ ო ნ ი, ბატონი ბიძიჩემის წყალობის სიგელს ვამტკიცებ.

ქ. მე, გედეონის შვილი მილახვარი, ამ ბატონის წყალობის სიგელი ჩვენც მოგეცით და წყალობა გიყავით, ღმერთმან მშვიდობაში მოგახმაროსთ.

ხელრთვა:

ქ. მე, ნ ი კ ო ლ ო ზ საბდლის ძე, ამ მამისა და ბიძების სიგელს მეც ასე ვამტკიცებ ამაოი ბძანებითა.

ხელრთვა: ნ ი კ ო ლ ო ზ

---

[1] შენს. [2] დაკლებდე. [3] ყოველ. [4] აგვისტოსის.

380. [წიგნი ანტონ I-ისა დიდმელეგისადმი ფლვდლუ. თვის განწესებული ულუფის მიცემის შესახებ]

[1780 წ. 18 სექტემბერი]

ქ. ყოველსა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარხი, მეფის ძე, ანტონი მოგიწერ დიდომს შინა მყოფნო ყოველნო მართლმადიდებელნო ქრისტიანენო.

მერე, როგელიც ამას წინათ განწესება მივეცით ამ თქვენს მღუდელთ, ის უნდა აღასრულოთ.

თუ არ აღასრულებთ და სიტყვა გაქვსთ რამე წინააღმდგომი, რომ ამ მღუდლებს მკვიდრნი ერთს კოდს პურს და ეულნი ნახევარ კოდს არ მისცემთ, აქ ჩამოდით ერთობით და ჩვენს წინაშე სამართალში იღაპარაკეთ.

და თუ სიტყვა არა გაქვსთ და ჩვენის განწესებისაებრ არ მისცემთ, ერთობით შეჩვენებული ხართ. და არც ჩვენგან მღვდლის მოცემაღა იქნება.

მათ, როგორადაც ჩვენი განწესება იყოს, ისე უნდა აღასრულო და ყველაჯას გამოართვა და მღვდლებს მისცე. და თუ არ მოგცენ და ჩვენს ბრძანებას გარდახდენ, ეს შეჩვენება გამოუცხადე.

სეკდემბერს იწ, წელსა ჩღპ.

ხელრთვა: კათალიკოზი

381. [შეჯიბრულების წიგნი მაჭახიან კათალიკოზისა ჟუთაისის ღმრთისმშობლისადმი]

[1780 წ.]

ქ. წყალობითა ღმრთისათა, ჩვენ, ათხაზ-იმერთა კათოლიკოს ქუთათელმან მაქსიმე ესე საეკუნოდ შეწირულობასა და ბეგრის და საშსახურის წიგნი აღვსწერე და დავსდევით ქუთათისს წმიდასა ეკლესიასა ღმრთისმშობელისასა.

ამის ესე ვითარისა მიზეზისათვის, რომ: ოქვენ საშნო ძმანო ცხოვრებანო შვილები მამუკა... სიმონ მღუდელმა დაგისხათ და თავის სიცოცხლეში მას ჰყოფდით და მსახურებდით. და მერმე ის უშვილოდ გარდაიცვალა და რაც თავის სიცოცხლეში მოგებული საჭონლით ნაყიდი აგიკლ-მამული ქონდა, თავის მამისეულს გარდა. და ოქვენ ს[ა]მნივე ძმანი ქუთათისს წმიდის ღმრთისმშობლის ეკლესიას შეჰწირავთ; და მისგან ნაყიდს

თათელაშვილისეულს ადგილსა და კარგარეთ[illegible]
ულს მაძულზედ დაგაყენეთ.

და ბეგარად ეს დაგადევით: თითო მარჩილის ათმთელზე ერთი ლომი, ერთი ქათამი, ათი თორმეტიანი ღვინო ყოველს წელიწადს... უკლისად მიერთმეოდეს. და ამას გარდა როგორც სხვა ეკლესია ქაცი გვემსახურებოდეს, თქვენც ისე გვემსახურებოდეთ...

დაიწერა... [წელსა] ჩლბ.

ხელი: ჩოლოლო ათხაზ-იმერთა კათალიკოსი მაქსიმე

382. [მეჯვრულეების წიგნი იოანე სინოწმინდელისა გამოჩინებულისადმი]

[1780 წ.]

ქ. ება შენ, შვიდწილ უძლეველო მხედართ მთავარო და სათნოთა უფლისათ, დიდო ღვაწლით შემოსილო მოწამეო გიორგი!

მე ყოველად უღირსმან მოხსამან ცვალისამან და ფრიადითა საცოებითა მსასოებულმან და მოსავმან სიწმინდისა შენისამან ხინოწმინდელ ეპისკოპოსმან იოანე შევსწირე წმიდასა ეკლესიასა შენსა გამოჩინებულს ერთი მოსახლე კაცი მოწყობილი გაბრიელ და მისი შვილი ითბა ესე და ესეგითარად, რომ:

პირველ ჩვენსა ყოფილი ხინოწმინდელისაგან დახსნილი იყო და შერე როდესაც ჩვენ ხინოწმინდელათ დავიდგინეთ, ის ხინოწმინდა და მისი შემავალი ერი თათართ მიიმძლავრეს და ქრისტიანობას განუდგენ და სრულიად თათარი შეიქმნენ და მის ძლით ჩვენს ეკლესიაზედ მისვლა ვეღარ უძლეთ.

და ბატონი მეფის სოლომონის წყალობით გამოჩინებულს ამ შენა წმინდას ეკლესიაზედ დავიდგინეთ და რაოდენ შესაძლებელ იყო, აქა ვსცხოვრობდით.

და ეს გაბრიელ მოწყობილი, რათგან უსჯულოს შიშით აქ დგომის შემძლებელი არ იყო, აქ ჩვენთან იმყოფებოდა. და აწ ამ ეკლესიის ადგილ-მამულზე დაბისახლებია და ამ ეკლესიისათვის შემიწირავს.

და ბეგრად ეს დამიცს, რომ: ყოველს წელიწადს თითო მარჩილის სამთელს და ორი რუბის საქმელს ამ ეკლესიაზე მდგომი სამლვდელო კაცი ვინც იქნებოდეს, იმას მიართმიდეს. და სხვა სამსახურს, რომელიც შემძლებელ იყოს არ დააკლებდეს.

ამას გარდა კიდევ იესე ჯაფოძეს და მის ძმას რობელს ჩვენი ნაქურდალი დაედგათ და ბატონმა მ ე უ ფ ლ ო მ ნ მ ა კვლათმქმნელათ მიბრძა. და ესეც ამ ცილობისათვის შემიწირავს და მოჯალაბეთ დამისახლებია...

დაიწერა წელსა ქრისტეს აქეთ ათას შვიდას ოთხმეოცსა.

383. [პირობის წიგნი იოანე ხინოწმინდელისა გეფან და ლაზარე ნაკაშიძეებისადმი]

[1771—1780 წწ.]

ა. ესე წიგნი დაიწერე და მოგეცი ჩვენ, ეფისკოპოზმა ხინოწმინდელმა იოანე შენ, ნაკაშიძეს გეფანს და ლაზარეს და თქვენს ძესა და მომავალს ასე და ამა პირსა ზედა, რომე:

შენი კაცი სტეფანაი კათალიკოზის შესახვეწად მოვიდა და ჩვენ თქვენი სიყვარულისათვის არ შეგიხვეწეთ; და თქვენ მოგახსენე, ჩვენი სიტყვა დაიჯერე. და ძველითაც მსახური იყო და გვარა ხატისა ზედაზედა, და მერმეთ მსახურობა მიეცი.

და ჩვენ ეს წიგნი მოგვიცემია: რაც მსახურის რიგი იყოს, იმე შინაყმაც მოგვაბარონ და სხვა რიგითაც გემსახუროს, რავარც სხვა მსახური გემსახურება იმე. და არც სხვა შენი კაცი ამ რიგის საქმეზედ ჩემთან შემახვეწოთ გაუშვა და მე შენ მოგიღეე.

ამისი მოწამე არის იოვანე ხეცესი ჭინკაძე და მისი შვილი.

ხინოწმინდის კათალიკოზი იოანე

384. [ბრძანება ანტონ I-ისა მოურავ ზაალისადმი ყმების მიგარების შესახებ]

[1781 წ. 24 მარტი]

ჩ. ყოვლისა საქართველოს კათალიკოზ-პატრიარზი, მეფის ძე, ანტონი ლოცვა-კურთხევას მოგიწერ კიმითის ნოურავო ზაალ და ნაცვალო იესე.

მერმე ამ ჭამიას შვილებთან ზაქარია ქისიყის მოურავის შვილს საქმე არა აქვს რა. თუ სიტყვა აქვს რამე,

---

1 მოგვცეს.

ჩვენს ძმასთან გველაპარაკოს და მაგიერი პასუხი რომელიც შეწყ-
ლება, მაშინ გამოცხადდება. და ამათზე ჭელი აიღოს.

ესენი შენ გებარებოდენ, ვისაც ამათთან საქმე აქვს, ჩვენ გველაპარაკნენ. ან არავინ გამოართვას რა ამათ უბრალოდ, თორემ გვეწყინება, ან ზაქარიას კაცმა და ან სხვამ.

მარტს ქგ, წელსა ჩლბა.

ხელრთული: კათალიკოზი

385. [წყალობის წიგნი ანტონ I-ისა გიორგი გედეონისშვილისადმი]

[1781 წ. 7 ივნისი]

ჭ. წყალობითა ღმრთისათა, იესეან, დავითიან, სოლომონიან პანკრატოვანმა ძემან ჭართველთა მეფისა იესესმან ყოვლისა საქართველოსა კათალიკოზ-პატრიარქმან პატრონმან ანტონი ესე უკუნისამდე ქაშთა და დროთა გამოსადეგი, მტკიცე და უცვალებელი წყალობის წიგნი დაგიწერეთ და გიბოძეთ შენ გედეონისშვილს გიორგის და მომავალთა სახლისა შენისათა ჩვენის ეკლესიის ყმების ოსების მოურაობა ბადიანისა და ხოდელისა; რომელიც შეგეძლოს, უნდა მოუარო და ეკლესიის იმათი თავთ არ დაუკარგო და რიგიანად, რომელიც იმათ გაეწყობოდეს, ისე გვმსახურო.

და თუ ერინი შეიქნენ, მისის სიმალლის ჩვენის ძმის ოქმიც გებოძება. და ესე ჩვენგან ბოძებული წყალობა გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ეკლესიისა და ჩვენსა ეროვნულობასა შინა. არა მოგეშალოს ჩვენგან და არცა ჩვენთა შემდგომ[თა] პატრიარხთაგან.

ეგრეთვე თქვენცა, ყოველად სანატრელნო კათალიკოზ-პატრიარხნო, თქვენც ასევე დაუმტკიცეთ, რათა თქვენიცა გაგებული ღმერთმან მტკიცე ჰყოს. არიან ამისნი მოწამენი და თანაჭმანი ერთობით ჩვენნი მოხელენი.

აღიწერა ინდიქტიონსა პატრიარხობისა ჩვენისასა ქწ, ჭელითა სვეტიცხოველის დეკანოზის ძის მიხაილისათა, თუესა იუნისსა ზ, წელსა [განხორ]ციელებითგან სიტყვისა ღმრთისა ჩ[ლპა]...*

---

[1] არაეინ რა.

* აქ მოხსენებულია ჩანს კათალიკოზის ხელრთვის ნაწილი.

386. [შეწირულების წიგნი წინამძღვარ ნიკოლოზ წულუკიძისა გამოჩინებულისადმი]

[1782 წ.]

ქ. შე[ნ]. უძლეველო მბრძანო გიორგი და სიდედრი შენისა გამოჩინებულისა ეკლესიასა მე. მოსა[ქ]მან შენმან წულუკიძემ ნიკოლოზმან ასე, რომ: ასათიანისაგან დაეიხსენი ვასაძე ვაბრიელ და მისი შვილი გოგიტლა, იესეცა და მახარობელა, შემოგწირე მათის ცოლ-შვილით, ბეგრათ დავადევი ბხარ[ა]ულობა, წელიწადში ერთი მასპინძლობა მის სახ[ლ]ში.

სხვა ამის მეტი გარდასახადი არასფერი საითხოვარი ამის ამას არ სთხო[ო]ს: არც ყანობა და არ[ც] მუშის ბხარაულობა. აწე ესეითარად გაგეიწესებია: და ვინც ჩვენი შემდ[ე]გი წინამძღვარი იქნეთ, ეს კაცი გებრალებოდეს.

აწ ვინც ეს წიგნი შეშალოს, ისიმც შეიშლება ს[ა]ჯელის ქრისტიანობისაგან; მასამც რისხვას თაე[ა]დ დაუსაბამო ღმერთი ზეცისანი და ქვეყნისანი, ხორციელი და უხორციანი. შეჰვეწებულიც იქნება თხთხ[ა] პატრიაქთაგან, შვიდთა კრებათაგან, ათორმეტთა მოციქულთაგან. შემშლელი ამისი შეშალოს ღმერთმან.

დამ[ამ]ტკიცებელი ამის აკურთხოს ღმერთმან.

აწ არის ამისი მოწამე: ფიეიძე ბერი, კანდელაკი გიორგი, მისი ძმა ბერი და ნიკოლოზ და პართენ. შანიძე გიორგი, ხელოსანი შანიძე დავით, ხახალა და ხოსრეა, კიწმარისშვილი გიორგი.

მე, ავალიო[ნ]ს შამუკას დამიწერია და მოწამეც ვყ[ო] ამისი.

დაიწერა ქრონიკონს ათას შვიდას ოთხმოცდათორს †

387. [წყალობის სიგელი ანტონ I-ისა ზაქარია ქადაგისშვილისადმი]

[1783 წ. 27 იანვარი]

ჭ. წყალობითა ღმრთისათა, იესიან, დავითიან, სოლომონიოთ პანკრატორეანმან, ძემან ქართუელთ მეფის იესესმან, ყოვლისა საქართველოსა კათალიკოზ-პატრიარხმან პატრონმან ანტონი ესე უკუნისამდე ქამთა და დროთა აღმასრულებელი, მტკიცე და უცვალებელი წყალობის წიგნი და სიგელი დაეიწერეთ და გიბოძეთ შენ, ჩვენის ეკლესიის აზნაურშვილს ქადაგის-

შვილს თითოსის შვილს ზაქარიას და მომავალთა სახლისა შენისათა, ასე ამა პირსა ზედა, რომელ:

რომელსაც მამა მოგიკუდა, შენ მცირე იყავ, და რომელსაც გაიზარდე მოხვედ და ჩუენ გვიპოვებელ და ჩუენთა მოსაყდრეთა სანატრელთა კათოლიკოზ-პატრიარხთაგან ბოძებულის წყალობის სიგლეხის განახლებას და დამტკიცებას დაგვაჴვ.

ჩვენცა ვისმინეთ აჴა და მოხსენება შენი და ჩუენ მიერ ბოძებულითა წყალობის სიგლითა ამით განვიახლეთ და დავიმტკიცეთ და გიბოძეთ, რომელიცა ძუელთა სიგელთა შინა გამოცხადებულ იყო სახელო, ყმა და მამული. ყოველივე ჴელშეუხლად წყალობა გაყავით.

და გიბოძეთ ჩვენი მეღვინეთხუცობა და სამცხეთისშვილო ქადაგიანში ორი კუამლი კაცი: მახარას შვილი თავისის მამულითა, ნადირას შვილი თავისის მამულითა ნასყიდითა და უსყიდითა; ჴევდურეთს თორმეტი საკომლო. ზოგზედ სახლობს კაცი და ზოგზედ აღარა, ზვარი და ხოდაბუნი. ეს თორმეტი მრავალი საკომლო თავეთის მთითა, ბარითა, წყალითა, წისქვილითა, ჭალითა, ვენახითა, საჴნავითა და უჴნავითა და ყოველის მათის სამართლიანის მზღურითა: ეგრეთვე ტირძნისს რაზმაძე ბერიკა მისითა მამულითა, დემეტრე მისითა მამულითა, ჩარეჭას შვილი მისითა მამულითა, მიქელის-შვილი გაბრიელ მისითა მამულითა; ამას გარდა ტირძნისსვე ზვარი და ხოდაბუნი ყოველისა მათის სამართლიანის სამძღურითა.

და რომელიცა ჩუენთა მოსაყდრეთა სანატრელთა კათოლიკოზ პატრიარხთაგან გებოძებიათ, ეგრეთვე ჩუენცა ყოველივე ჴელშეუხლად წყალობა გვიქნია და გვიბოძებია.

თუ სადმე კიდე ამას გარდა მამული[1] გჭონდეს ნასყიდი თუ უსყიდი, გჭონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ეკლესიისა და ჩვენსა ერთგულსა საშსახურსა შინა.

არა მოგეშალოს ჩუენგან. და არცა ჩუენთა შემდგომთა კათოლიკოზ-პატრიარხთაგან თვინიერ დამტკიცებისა კიდე. ჩუენგან ბოძებული ესე წყალობა ეგრეთვე თქუენცა სანატრელნო კათოლიკოზ-პატრიარხნო. თქუენცა ასევე დაუმტკიცეთ, რათა თქუენიცა გაგებული ღმერთმან მტკიცე ჰყოს.

არიან ამისნი მოწამენი და თანაწყობნი ერთობით ჯერისა ჩუენისა მოხელენი.

---

[1] —სადმე.

აღიწერა ინდიკტიონსა პატრიარხობისა ჩუენისასა ლგ. ქრისტესუეტისცხოველის დეკანოზის გიორგის ძის მღუდლის მ ი ხ ე ი ლ ი ს ა თ ი ა.

თთუესა იანუარსა კზ. წელსა ჩლჳგ.

ხელთაჳ: კ ა თ ო ლ ი კ ო ზ ი

მარტჳნი კიდეჳ

ქ. ჩუენ. მეფე სრულიად საქართუელოსა და სხჳათა ო რ ა კ ლ ი მ ე ო რ ე ამ ჩუენის ძმის ნეტარად ხსენებულის კათოლიკოზის ანტონის ბოძებულსა და ჩუენის შვილის უწმიდესის კათოლიკოზის ანტონისაგან დამტკიცებულს და ბოძებულს წყალობის წიგნს ვამტკიცებთ. მარტს კგ. ქორონიკონს უოზ.

ბეჭედი: მე ფეხთუანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე ერეკლე

ქ. ჩუენ, ყოვლისა საქართველოს კ ა თ ო ლ ი კ ო ზ-პ ა ტ რ ი ა რ ხ მ ა ნ, ძემან მეფისა ირაკლი მეორისაგან, ა ნ ტ ო ნ ი ვიხილეთ ნეტარად ხსენებულისა ბიძისა ჩუენისა კათოლიკოსის მეფის ძის ანტონისაგან ბოძებულ-დამტკიცებული წყალობის წიგნი ესე, მეცა ძმისწულმან მისაყდრემან მისმან დავიმტკიცე სახელო მეღუთხუცოსა და მამული ყოველივე, რომელთაც ეს სიგელი აცხადებს. უნაკლულოდ გეიბოძებია. მარტის იე. წელსა ჩლჳთ.

ხელთაჳ: კ ა თ ო ლ ი კ ო ზ ი

ქ. ჩუენ, ქართლისა და კახეთის და სხჳათა დ ე დ ო ფ ა ლ ი, დაეარახის ასული, პატრონი დ ა რ ე ჯ ა ნ იმისის უწმინდესობის პატრიარხისაგან ბოძებულს წყალობასა და ჩუენის შვილის კათოლიკოზისაგან დამტკიცებულს ჩუენც ასე ვამტკიცებთ. მარტის იწ. ქორონიკონს უოზ.

ბეჭედი: დ ე დ ო ფ ა ლ ი დ ა რ ე ჯ ა ნ.

თაჳში ბეჭედი: რომელი განჴსნათ ქუეყანასა ზედა, ჴსნილ იყოს იგი ცათა შინა.

388. [წიგნი ანტონ I-ისა ფავლენისშვილებისადმი ნიავოზის ეკლესიის სასაფლაოს თაობაზე]

[1783 წ. 14 მაისი]

ქ. ყოვლისა საქართველოჲსა პ ა ტ რ ი ა რ ხ ი, მეფის ძე ა ნ ტ ო ნ ი ლოცუა-კურთხეუას მოვიწერ ბატონო ფ ა ვ ლ ე ნ ი ს-შ ვ ი ლ ე ბ ო!

მერმე ნიკოზელი რომ არ დამარხეთ თავის ეკლესიაში დ[illegible] რომ ჰქონდა წაიღებით, რაც წიგნები, ყველა ისევ უკანვე მისცეთ; და რაც დაკარგულა, იმისი რიგიანი პასუხი ჩვენ მოგვეცეთ, ამისთვის რომ თქვენმა მისველამ დაჰკარგა.

მეორე ესე, რომ ის ეკლესია როგორია გაქვსთ სასაფლაოდ მოცემული ან იმ ეკლესიის ყმათ თქვენი რა ქსდებიათ, მეფეების წიგნი გექნებათ, ესეც უნდა შეგვატყობინოთ; როგორც ძველთ მეფეთაგან განწესებული არის, ისე უნდა აღსრულდეს.

რატომ არ უნდა გქონდესთ წიგნი, თქვენ საიდამაც გამოხვედით და როგორც მანდ შეხვედით. ეს ხომ ძველი ამბავი არ არის, არც საძახი წელიწადია და არც ოთხასი.

ჩვენ, დიაღ, კარგად ვიცით, რომ თქვენ დიდის გუარისაგან ხართ გამოსულნი, მ ჯ ა რ გ რ ძ ე ლ ნ ი ს ა ხ ა ი ნ ი დ ა მ ფ ე ვ ნ ი ს ს წისელნი და ფევნისიდამ მანდ ვრედვს გასულნი და დასახლებულნი.

და სასაფლაოდ როგორ მოგკვეძიათ ნიკოზის ეკლესია, და ან ნიკოზის ეკლესიის ყმათ თქვენი რა ქსდებიათ, ან დ ი დ ი ს ლ უ ა რ ს ა გ მ ე ფ ი ს წიგნი გექნებათ, ან იმის მაძისა, და ან ს ვ ი მ ო ნ მ ე ფ ი ს ; ამას ზევით კი აღარავისი იქნება.

და ან მეფეს სვიმონს აქათ მეფეებისა ან განაჩენი გექნებათ ესისმე და ან ოქმი, გვიჩვენეთ ის წიგნები და ან ერთი სარწმუნო რამ საქმე გუაჩვენეთ, რომ გული დავიჯეროთ და ისე მოგცესთ.

ოცდაათი დღე პაემანი მოგვეცია, თუ ამ ოცდაათს დღეში საბუთი არ მოგვიტანეთ, მას უკან ჭეშმარიტი და სწორე სამართალი იქნება.

მაისს იდ. წელსა ჩლვგ.

ხელრთვა: კათალიკოზი

389. [სამცხეთოს სარდლობის წყალობის წიგნი ანტონ I-ისა იოანე გედეონისძისადმი]

[1783 წ. 12 ივნისი]

ჭ. წყალობითა ღმრთისათა, იესიან, დავითიან, სოლომონიან პანკრატოვანმან, ძემან ქართველთ მეფის იესესმან, ყოველისა საქართველოს კ ა თ ა ლ ი კ ო ს - პ ა ტ რ ი ა რ ხ მ ა ნ - პ ა ტ რ ო ნ მ ა ნ ა ნ ტ ო ნ ი ესე უკუნისამდე ყამთა და დროთა გამოსადეგი, მტკიცე და უცვალებელი წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და გიბოძეთ შენ, გ ე დ ე ო ნ ი ს ძ ს პ ე ტ რ ე ს, შვილს ი ო ა ნ ე ს, მამის ძმისა შენსა გ ლ ა ხ ს ა, შვილსა შენსა დ ა ვ ი თ ს, მამის

ძმის* წულსა შენსა ერასტისა, შვილთა და ძოძავალთა სახლისა შენისათა, ასე და ამა პირსა ზედა, რომელ:

შენის სახლისკაცებს — გაბრიელ სარდლის შვილებს უმაღლესობა გაუწყვრა, მაშინ სარდლობა მაღალ შვილს დავით უბოძეთ მისმა უმაღლესობამ ჩვენმა ძმამა და ჩვენა.

მერმე შენ რამდენისამე ქამისა შემდგომად იმისის უმაღლესობის ჩვენის ძმის მეფისათვის რეზონიანი არზა მიგერომეევინა და სარდლობა გეთხოვნა. ჩვენს ამას ის არზა გამოეგზავნა და ჩვენთვის ეკითხა; ჩვენც თანაქმა შეეიქენით.

და მოგეცით სამცხეთის სარდლობა, ამ მიზეზით, რომ უფრო მართებული და ჯეროვანი საქმე იყო, რომ შენ გქონოდა, რადგან თქვენის სახლისა, დია, საკვიდრო საკელო იყო და არას დროს თქვენის სახლიდამ არც გამოსულიყო ეს საკელო. ეგრეთვე ძეგვის მოურაობა როგორც სარდლობაზე სდებია, ისიც შენთვისვე გვიბოძებია.

და როდესაც მისის უმაღლესობის ჩვენის ძმის მეფის ბრძანება იყოს სოლმე ჯარის დაძახების, რომელიც სვეტისცხოლის ყმანი არიან ქართლში, კახეთში, და რომელსაც ადგილს საქართველოში, შეშოიყრიდე და სადაც იმისი წება იყოს, იქ იახლებოდე; და რომელიც იმისი უმაღლესობის სამსახური იყოს, როგორც თანამდები ხარ, ისე ერთგულობით აღასრულებდე.

გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან მისის უმაღლესობის ჩვენის ძმისა და ჩვენსა ერთგულსა სამსახურსა შინა, არა მოგეშალოს ჩვენგან და არცა ჩვენთა შემდგომთა მეფეთა და პატრონთაგან ჩვენგან ბოძებული ესე წყალობა.

ეგრეთვე თქვენცა სახატრელნო კათალიკოს-პატრიარხნო, თქვენცა ასევე დაემტკიცეთ, რათა თქვენიცა გაგებული ღმერთმან მტკიცე ჰყოს.

არიან ამისანი მოწამენი და თანაქმანი ერთობით ჩვენნი მოხელენი.

აღიწერა ქელითა სვეტის ცხოვლის დეკანოზის გიორგის ძის მღუდლის მიხაილასითა, თთეესა იუნისსა **იბ**, წელსა **ჩლპგ**.

ხელრთვა: კათალიკოზი ანტონი მეფის ძე.

---

* „ძმის" ჩამატებულია წერილი ასოებით.

ქ. ჩვენ, ცხებულის მეფის თეიმურაზის ძე, იერლი მეორე, მეფე ქართლისა და კახეთისა ვამტკიცებთ. ეგნატაშვილი
იგ. ქორონიკონს უოზ. ბიბლიოთეკა

ბეჭედი: მე ფსალმუნმანი ვიყო ენაჲ ჩემი კალამი მწიგნობრისაჲ ვდებდე ერეკლე

ქ. ჩვენ, საქართველოს დედოფალი დადიანის ასული დარეჯან ვამტკიცებთ. აპრილის კდ. ქორონიკონს უოზ.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან

ქ. ჩვენ, საქართველოს ტფილისწყლი მეფის ძე გიორგი ამ წყალობის წიგნს ვამტკიცებთ მარტის კგ. ქორონიკონს უოთ.

ბეჭედი: გიორგი

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოს კათალიკოზ-პატრიარხი, მეფის ირაკლის ძე, ანტონი მისის უწმიდესობის სანატრელის მიძის ჩვენის მოძებულს სიგელს ჩვენც ვამტკიცებთ მარტს კგ. ქორონიკონს უოთ.

ბეჭედი: კათალიკოზი ანტონი

ქ. ჩვენ, პატონიშვილი იულონ ამ წყალობის წიგნს ვამტკიცებთ. აპრილის დ. ქორონიკონს უოთ.

ბეჭედი: ტომ-სქესით არ ნაკლისაგან იულონ ირაკლისაგან.

ქ. ჩვენ, სრულიად საქართველოს მეფის ძე ფარნაოზ წყალობის სიგელსა ამას ვამტკიცებთ. თებერვლის ით, ქორონიკონს უჯზ.

ბეჭედი: ღმრთის წმოველმან წიადით მფარვნაეზ კეთილთა რტოდ მეც შემიწყნარა.

390. [ᲣᲓᲔᲝᲒᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲓᲝᲜᲘᲗᲔᲛᲪ ᲥᲣᲗᲐᲗᲔᲚᲘᲡᲐ ᲐᲐᲑᲔᲚᲐ ᲛᲔᲡᲮᲘᲡᲐᲓᲛᲘ]

[1788 წ. 17 დეკემბერი]

წყალობითა და შეწევნითა მარიამ ზენაჲსა დედუფალისათა, ესე გარდაწყვეტილობის ჰეშმარიტი, ტტყუელი წიგნი გიბოძეთ ჩვენ, ყოვლად სამღვდელოებან ქუთაისელ მიტროპოლიტმან დოსითეოს შენ, მესხს პაატველას ესეგითარად, რომ:

ბატონს მეფეს სოლომონს მესხეთს მსახურებისა

და ერთგულობისა შენისათვის ერჩიხე და ლალაძენი ებრძოდეს მათმა უმაღლესმა მეფობამ ქუთათისის ტახტის მღვდელთ-მთავრობა გვიბოძა. მას ყმას ბრძანებითა მეფისათა ვიწყებდით კარგულთა გლეხთა და ადგილთა ძიებად და გვაჩისკაცებისათვის შენც დეშბა დაგიწყეთ. და შენ სამართალზედ მოსდექი და ბოგორათაც სამართალმან განგიწესა, იმ სამართლით გაგვისტუმრე.

მერეთ ჩვენი გამოკვლევით გამოვიძიეთ, რომ იმ დავთრის კაცი რომ ყოფილა ლალაძე მესხეთს, იმისი ადგილები დარჩენილა, ამოწყვედილი ყოფილა: და მაგ გლეხები სწორეთ სამეფო ყოფილა და სამართალიც ქმნილი დაგრჩა.

და ჩვენც ამისთვის ეს მოწმობის დამტკიცებისა წიგნი მოგეცით, რომ ვერა რომელმანმე შემდგომმა ჩვენმა მღვდელთ-მთავარმან ქუთათელმან იმ გლეხებშიდ ვერ გედეოს შენ და შენს შვილსა და მომავალს.

ნუმცა[1] იყადრებს ვინმე დაბტკიცებელისა ამის ჩვენისა წინააღდგომად; დღეისიდამ ამისი დეშბა ქუთათლისაგან. დიად. უსამართლო და ძალავრებით მოხვეჭილი იქმნება; და დიდსა ბრალსა ქვეშე იქმნების დამტკიცებულისა ამის წინააღმდგომი.

მოწამე ამისა მათის უმაღლესობის მეფის შვილად ხმობილი ძეძე ქსნის ერისთვის ძე ელისბარ, სარდალ-ბოქაულთ-უხუცეს-მოურავი დიდებული თავადი წულუკიძე ბერი.

აღიწერა ხელითა ჭიჭინაძის ნიკოლაოსისათა წელსა უფლისათა ჩღპგ, დეკემბერს იზ.

ბეჭდი: ყოველად სამღვდელო ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს

951. [წიგნი ანტონ I-ისა დეკანოზ ნიკოლაოსისადმი მეფის კარის ეკლესიაში მღვდლის განწესების შესახებ]

[1784 წ. 21 თებერვალი]

ყოველად პატიოსანო მცხეთისა და მისის სიმაღლის კარის დეკანოზო უფალო ნიკოლაოს!

მისს სიმაღლეს, ჩვენს ძმას, მეფეს, თავის ყმა მღუდელი დავით კარის საყდარში რომ დაუდგენია, ჩვენც თანაქმა ვართ მისის სიმაღლის ბრძანებისა, რომ იქ იდგეს, სწიროს და ილოცოს. შენც

[1] თუმცა.

ეველაური მოეგდე, რომ ამას წინააღმდეგობად ნურავინ შეეგებნეს მაგ ეკლესიაში იმყოფებოდეს, რადგან მისის სიმაღლის ყმაწვილსა და ეკლესიაც მისის სიმაღლისა არის.

მარკოზის შვილმა ზაქარიამაც ასე ამყოფოს და ასე იცოდეს, როგორც მისს სიმაღლეს უბრძანებია და დაუდგენია; და ნურას შესცოდებს, გააძლებინოს მაგ ეკლესიაში.

ფებერუარის კდ. წელსა ჩღბდ.

ჩვენთვის კათალიკოზი

392. [ყალობის წიგნი იაკოლოზ ალავერდელისა დავით მგალობლისშვილისადმი]

[1784 წ. 29 ივლისი]

ქ. წყალობითა ღმრთისათა ჩვენ, ყოვლად სამღვდელოებამან არხიეპისკოპოსმან ამბა ალავერდელმან, ხისიყის მოურავის შვილმან, ნიკოლოზს ესე წყალობის წიგნი მოგებოძეთ შენ. საყდრისა ჩვენისა მკვიდრსა ახნაურშვილსა მგალობლის შვილს იესეს ძეს დავითს, შვილსა შენსა როსეგს და სოლომონს და ლეგეული მომავალთა სახლისა შენისათა.

ასე, რომ: მერეს სოფლის მოურავობა და მისის მთის მებალახობა სამკვიდროდ შენი ყოფილიყო და შენს მამა-პაპათ სჭერიოდათ, და ჩვენგან რამდენსამე ხანს ჩამოგერთვა და სხვას მიეცა და ჩვენ როდესაც მისის უმაღლესობის ყოველისა საქართველოსა მეფის ირაკლის ბრძანებით რუსეთით მოვიწიენით და საყდარსავე ჩვენსა დავიდგინენით, ვისთვისაც მიგვეცა, იმას ასევ ჩამოვართვით და შენი მკვიდრი საბელო შენვე გიბოძეთ.

გქონდეს და მოგეგმაროს ღმერთმან ალავერდის წმიდის გიორგის ეთგულად სამსახურსა და ჩვენსა მორჩილებასა შინა. და რაც გაწწესება იყოს მოურავობისა და მებალახობისა სრულიად და უნაკლულოდ აიღებდე და ამისად მაგიერად იმ მამულსა და ყმაზედ გულსმოდგინედ და ეთგულებით გაიბჯენოდე.

ვერცავინ გეცილოს და ვერც ავინ ცილეთს სამკვიდროდ და საბოლოოდ შენთვის და შვილთა შენთათვის გვიბოძებია.

არიან ამისნი მოწამენი და დამხდურნი: ჩვენი სახლთუხუცესი დიმიტრი და სრულიად საყდრითნელი ახნაურნი და მოკლენი.

დაიწერა იელისს კთ, წელსა ქრისტეს იქვთ ჩღბდ, ქორონიკონს უოგ.

ხელთაა ალავერდელი ნიკოლოზ. იხილე: ალავერდელი ნიკოლოზ

ოდენ

ქ. ჩვენ, ყოველისა საქართველოს პატრიარხი და ალავერდელ მიტროპოლიტი, მეცის ირბკლის ძე, ანტონი ამ მწყერთაბის წყალობის საველს ჩვენც ვამტკიცებთ და წყალობა გვიქმნია.

დეკემბერს კგ, ქორონიკონს უოწ.

ხელთაა კათალიკოზი

393. [უწყება დიპლომატიისა დასთეოს ნეკრესელისადმი შეკითხვა ჯვარისწერისა და ხბლდასხმის შესახებ]

[1784 წ. 1 ნოემბერი]

წწყება მისის უწმიდესობისა დიპლომატიისა მიერ ყოველად სამღუდელოს მიმართ დასთეოს ნეკრესელ ეპისკოპოსისა.

მოგეუსმა ვეთვანმე საეწმუნოთა და ღმრთის-მოშიშთა კაცთაგან და წერილთაც გუეწყა. ვითარმედ: რომელნიმე ღმრთის უშიშნი ერისკაცნი და საწოქელოთა კანონთა გარდამალენი იმერულნი და სხუანი უცხოს ქუეყნიდამ გარდმოცევნული იქ თავეანთ ქუეყანას სწყლიერს ბეუდლეს და შვილებს უშეებენ და აქ ჩვენს ქუეყანაში სხვას ცოლს ირთუენ, მღუდლებს ატყუებენ და ჯვარს იწერენ, და ამგუარი საქმე თქუენმან სამღუდელოებამაც კარგად იცის, რომ წმიდის სახარების დიდი წინააღმდგომი საქმეა. და ჩვენთვის და [ჩვე]ხის ქუეყნისათვის, ღია, დიდი საოქროა და არც დაითმობა.

ახლა ჩვენ ესრეთ განვაჩინებთ და გაუწყებთ მისის უწმიდესობის ბრძანებით, რომ:

1.* თქუენს ეპარხიის ხუცეში მოუხდეთ და უბრძანეთ, რომ ამგუარს საიქუოს საქმეში ნუ გაერევიან, ეთერთხილდებენ, ჯვარს ნუღარ დასწერენ და ნურც მეორეის ცოლის მიცემ[ას]ა იკადრებენ ვისასმე ამ ჩვენს ქუეყანაში. თქუენს ყოველად სამღუდელოებას მოახსენებდნენ და თქუენ დიპლომატიაში ი[მას] მოეუწერდეთ და ამ კაცსაც აქ გამოგეგზავნიდეთ.

---

* ხელნაწერში ტექსტი შეხლებულია ხაზგასმული არ არ-ს.

2. ესეც დამტკიცებით იცოდეთ: რომელიც ხუცესი დღეს იქით ჩვენს უკითხავად ამისთანას საქმეში გაერევა და ჩვენ[ი] ნებას უტყობრივად ჯვარს დასწერს იმერელსა თუ სხუას ვისმე უცხოს ქუეყნიდამ მოსულს კაცსა, და ან მეორეს ცოლის მიცემაში გაერევა ვისასმე, მღუდელს მღუდელობიდამ დავაყენებთ და იმ ჯვარდაწერილთ მეუღლეთ ქორწინებას მსწრაფლ დავჰსნით და ერთმანერთს განვაშორ[ებთ].

3. ამასაც ასე განვაჩინებთ და გაეწყებთ, რომ: წერაც იმერელსა, ხერც უცხოს ქუეყნიდამ მოსულს და ხერც აქაურს სხვის ეპისკოპოსის სამწყსოს სამღუდელითაგანს, თუ თავისის ეპისკოპოსის წიგნი არა ჰქონდეს, ჯვარს ნუ დაასხამ. რათა არა განვიბატიჟეთ კანონისაებრ საშოციქულოჲსა 35.

4. და რომელიც დიაკონი ანუ მღუდელი იმერეთიდამ და ან უცხოს ქუეყნიდამ მოვიდეს სადმე ამ ჩვენს ქუეყანაში, და თავისის ეპისკოპოსის ნდობით წარმოსრული არ იყოს და დიაკონობისა და მღუდელობის წიგნი არა ჰქონდეს, დიაკონად თუ მღუდლად ნუ შეიწყნარებთ. და თქვენს ეპარხიაში ნუ აწირვინებთ. და ხერც სხვა რასმე მღუდელ-მოქმედებას აღასრულებინებთ.

ჩვენთან წარმოგზავნილთ, თუნდა რომ თქვენს სამწყსოშიაც უნდოდეს განწესება, ჩვენ ვამოვიძიებთ იმის საქმეს და ყოველსავე თვითოეულად გაეწყებთ.

ნოემბერს ა, წელსა ჩლბდ.

მდაბალი მთავარეპისკოპოსი ხელითა: ბესარიონი

მდაბალი ტფილელ მიტროპოლიტი ხელითა: გერმანე

მცხეთას ღმრთისმშობლის დაუჭდომლობის ეკლესიის არხიმანდრიტი მეფხით: არხიმანდრიტი სტეფანე

მწიგნობარ წინამძღვარი მეფხით: ტრიფილე.

394. [წყალობის წიგნი ნიკოლოზ ალავერდელისა დავით გელოვანიძისადმი]

[1784 წ. 27 დეკემბერი]

სახელითა ზესთა არსისა უჴწუხრომელსა პირუელისა ნათლისათა, რომელი სამნათლოვნებად განეცხადა მოორწმუნეთა, რომლისა მიერ მეორენი და მესამენი ნათელნი ნათლად მდგომარებენ, რომელმან მიჰმადლნა მესამეთა მათ ნათელთა მსგავსებაჲ მეორეთა მათ თვისი, რომელთა შორის განაბრწყინვა ღუაწლთა მრავალთა თავსმდები გრძნობადთა ამათ მიწიერითა კორცთა საცნაურობითად გარდამქმნელი, რომელ არს მჭედარ-მთავარი და გურგუნი მო-

წამეთა, რომელმას ვითარებანი მეორეთა მათ ნათელთა სიწმიდე-
თანი დაითვის-შორისა და რაოდენცა შესაძლო გრძნობადისა
ექმნა მათ ხატ-მადლით ოდენ წერწყმულ, რომლითა იყოლისა
გვარა თვის-შორის შემდგომობაჲ პირველისა თვისისა რაჲსა-მი-
მართობითად, ოდეს იგი ამეტნა საცნაურნი გრძნობადთა ზედა, სა-
დაცა მიწისანი უკუნეზლო მიწასა და პქმნა შეერთებაჲ ზენაჲსა
იერუსალიმისა მებანაგეთა თანა, რომლისა სერვილითა ივნებოდა
სული მისი, რომლისათვისცა სდგას წინაწე პირველისა მის ნათ-
ლისა შეერთებული მეორეთა თანა ნათელთა და ჰქონან უთქმნი
დაუსმნი დიდებანი.

ამის წმიდისა მოწამეთა მთავრისა გიორგისა დიდებულისა ცო-
ცა მობაძავისა ტაძრისა ალავერდისა და საყდრისა მისისა საჭეთ-
მპყრობელმან და მმართებელმან ყოვლად სამღუდელომან არხი-
ეპისკოპოსმან ებბა ალავერდელმან ენდრონიკა-
შვილმან, ჭისიყის მოურავის ძემან, ნიკოლაოს ესე წყა-
ლობის წიგნი და სიგელი მოგებოძეთ შენ, საყდრისა ჩუენისა პირ-
ველს აზნაურშვილს, გელოვანიძეს ბეჟანის ძეს, მდივანსა
და კონდოლ-კისისჭეშის მოურავს დავითს, ძმისწულსა შენსა
გიორგის ძეს ბეჟანს, შვილთა შენთა დიმიტრის და პაა-
ტას და ყოველთა მომავალთა სახლისა შენისათა.

ასე, რომ: მამით და პაპით უმაღლესთა მეფეთაგან და ჩუენთა
მოსაყდრეთა ყოვლად სამღუდელოთა ებბა ალავერდელთაგან კონ-
დოლის მოურავობა ვბოძებოდათ სამკვიდროდ: და რამდენსამე
ხანს კონდოლის სამოურაოს განწესება რაც არის, იმაში კონდოლის
ნაცვალი ჩამოგზაარებოდა.

და შენ მოხველ და ეს უსაბართლო ნაცვლისაგან შენის საჭე-
ლისგან ნაწილის მიღებას შემოგვჩივლე დროსა მას, ოდესცა
ბრწყინვიდა ყოველსა საქართველოსა შინა მეფედ ვითარცა მზე-
მეფე ყოვლისა საქართუელოჲსა და მფლობელი სხვათაცა მრავალ-
თა დიდ-დიდთა სამთავროთა ირაკლი მეორე.

და ვამსა ამას მოვიკითხეთ ქართლსა და კახეთშიც, არც
სამეფოსა და არც საყდრიონს მოჭელობაში ეს არ იყო, რომ მოუ-
რავთან ნაცვალს წილი ჰქონოდა.

აწ ეს შენი სამკვიდრო საჭელო კონდოლის მოურავობის სარ-
გო ისევ შენვე დაგინებეთ, დაგიმკვიდრეთ და დაგიმტკიცეთ.

და ნაცვალს თავისი განწესება რაც საყდრიონის სხუას ნაცვ-
ლებსა აქუს ან აზნაურშვილს საყდრიონის ნაცვალს, ან ყარდის-
უბნის ნაცვალს, ან ყუარელის ნაცვალს, ის კონდოლის ნა-

ცვალს მიეცემოდეს. სხვათაგად შენს სამოურაოსთან ნაცვალი სა-
მე არა აქუს.

ვგრეთვე ა ხ ტ ა ლ ი ს სამოურავო ერთი ცალი ტაბლი და ერთი კოდი ბური და მუშაობა უნდა მოეცემოდეს.

ამაებს გარდა მ ე რ ე ს საკუთარს მთას გარდაეს, რაც წმიდის გიორგის მთა არის, ამისი მებაღეობაც თქუენი ყოფილა და ახლაც თქუენთვის დაგვიმტკიცებია.

გქონდესთ და მოგაქმაროსთ ღმერთმან წმიდისა ეკლესიისა ერთგულად სამსახურსა უმაღლესისა მეფისა ჩუენისა ერთგულებასა და ჩუენსა მორჩილებასა შინა.

არ მოგეშალოსთ წყალობა ესე არა ჩუენგან და არცა შემდგომთა ჩუენთა მოსაყდრეთა ამბა ალავერდელთაგან, რათა მათიცა განგებული მტკიცე იქმნას.

არიან საქმისა ამისა დამსდურნი და მოწამენი სრულად საყდრისა ჩუენისა აზნაურშვილნი და მოკელენი.

დაიწერა კ ე ლ ი თ ი ლ ი ნ ი ს ხ ე ც ს ო ს ე ძ ი ს ი ო ა ნ ე ს ი თ ი. თუესა დეკემბერსა კ ზ, წელსა სიტყუისა ღმრთისა განკორციელებითგან ჩ ლ ბ დ, ქრონიკონს უ ო ბ.

ხელთაგა: ალავერდელი ნიკოლოზ
მაქედი: ალავერდელი ნიკოლოზ

თავში

ქ. ჩუენ, ყოველისა საქართველოს პატრიარბი და ალავერდელ მიტროპოლიტი, მეფის იოაკლის ძე, ანტონი ყოველად უსამღდელოესსა სანატრელს ნიკოლოზ ალავერდელს მისის უმაღლესობის მეფის ბრძანებით კონდოლის მოურაობა ებოძებინა. ჩუენც წყალობა გუეჭნია და დაგვიმტკიცებია კონდოლის მურაობა.

ოქტომბერს ჱ. წელსა ჩ ლ ჱ.

ხელთაგა: კათალიკოზი ანტონი

კიდეზე

ქ. ჩუენ, ყოველისა საქართველოსა და სხვათა ჩ ე ფ ე გ ი ო რ გ ი. ამ ყოველად სამღდელოს ალავერდლის მოცემულს სიგელსა ამას ვამტკიცებთ, როგორც უბოძებია.

ოქტომბერს ჱ. ქრონიკონს უ კ ზ.

ხაშეთი: მეფე სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა გიორგი

395. [პაპივის გოძეების წიგნი ნიკოლოზ ალავერდელისა არქიმანდრიტ ნიკოლოზისადმი]

[1785 წ. 28 თებერვალი]

ქ. ჩვენ, ყოვლად სამღვდელომ მიტროპოლიტმან ამბა ალავერდელმან ნიკოლოზ ესე პატივი და დიდება მივეცით მოძღვართ-მოძღვარს არქიმანდრიტს ნიკოლოზსა.

ასე, რომ: რუსეთის განწესება არის რომ, საცა ამისი მამული იყოს და ეკლესია, ყველგან «შეგვიწყალეს»-შია» და «რომელი ქერაბინთაზედ» ეფისკოპოსთან ეს მოძღვართ-მოძღვარიც უნდა მოიხსენოთ.

ასე გვიბძანებია და განგვიწესებია, რომ: «რომელი ქერაბინთაზედ», «წმიდაობიანზედა» და «შეგვიწყალენზედ» — ამ სამზედვე უნდა მოიხსენოთ.

თებერვლის კგ, ქორონიკონს უოგ.

ხელრთვა: ნიკოლოზ

396. [წიგნი ნიკოლოზ ალავერდელისა წისქვილის გაკეთების შესახებ]

[1785 წ. 28 თებერვალი]

ქ. ჩვენ, ყოვლად სამღვდელო ამბა ალავერდელი ნიკოლოზ მოგიწერ ლოცვასა და კურთხევასა დიაკ[ა]ნებ ვარჯან და სალთხუცესო დიმიტრი და ნაზირო ლალაკტიონ.

ახლა თქვენ უნდა ხელი მიყოთ და ამ ეკლესი[ი]ს ქვიტკირის წისქ[ვი]ლი რომ არის, თქვენ უნდა მიხვიდეთ, თავს დაკ[ა]დგეთ და ეკლესი[ი]საგან უნდა გაკ[ა]კეთებინოთ. ჩვენგან ამისი გაცემა არაგზით არ იქნება და ვერცაცას მიეცემთ. მაგ წისქ[ვი]ლის გაცემა მისის სიმაღლის მეფის საწყინო იქნება და ჩვენ ამიტომ ვეღარ გავცემთ. ეკლესი[ი]ს ხარჯით გაკეთებულია და ეკლესი[ი]ს საწყინო იქნება. და მაგის გაცემა ჩვენგან აღარ შეიძლება და ვერცაცის მიეცემთ.

თებერვლის კწ, ქორონიკონს უოგ.

მე, ბაკურს დამიწერია არჭირების[1] ბძანებით და მართალ არის ეს ბრძანება და თანახმაცა ვარ.

მე, არქიმანდრიტი[2] იოანე ბატონის არჭირების[3] ბძანების თანხმა ვარ.

ბეჭედი

თუ რომ ახლავ ხელი არ მოყავით და [ა]ხლავ არ გა[ა]ქეთებინეთ, მე და თქვენი ბატონყმობა აღარ იქნება.

ხელრთვა: ნიკოლოზ

ბეჭედი: ალავერდელი ნიკოლოზ

397. [ჭყალობის წიგნი ნიკოლოზ ალავერდელისა თამაზ ბაძრაძისადმი]

[1785 წ. 10 მარტი]

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისაითა ესე უკუნისამდე ქამთა და ხანთა გასაოგებელი, მტკიცე და მოუშლელი[4] წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერინეთ ძე გიბოძეთ ჩვენ, ყოვლად სამღვდელომან ანბა ალავერდელმან ენტრონიკოვმან[5], ქისიყის მოურავის ბა[ა]ტას ძემან, უფალმან ნიკოლოზ, შენ ჩვენის პრწყინვალის დიდებულის წმინდის გიორგის ეკლესი[ი]ს ყმას აზნაურშვილს ბაქრაძე თამაზასა, შვილსა შენსა იოსებსა, შვილსა და მომავალსა სახლისა თქვენისათა.

ასე, რომე: სახნავს მამულზედ, დიახ, ნაკლებათ იყავ, მოხველ და საჭიავის მიწის წყალობას გეეყენით, ჩვენც ვისმინეთ აჯა[6] და მოხსენება თქვენი, მოგიპყარით მოწყალებისა ყურნი და განგიმარტეთ შეწყალებისა წიაღნი და გიბოძეთ მერიის ბოლოს ნათითრალში ევდემოზ[7] მღვდლის ნაგვერი მიწა გარდიგარდმო სამის დღისა. ამაზედ მეტი თუ იყოს, არ გვიბოძებია; ისევ ხატისა არის სამს დღეს გარდა; სამის დღისა კი შენთვის გვიბოძებია.

არ მოგეშალოს არცა ჩვენგანა, არცა სხვათა ჩვენთა შემდგომთა საჭეთა მპყრობელთა ალავერდელთაგან.

ქარისა ჩვენისა მოხელენო და მოსაქმენო, ესე ჩვენი წყალობა თქვენც აგრევე დაუმტკიცეთ და თანა შეშფოთად ექმენიდ და ნურავინ იკადრ[ე]ბს მოშლასა ამისსა. გწონდეს და გიბეჭდნიეროს დმერთმან წმინდის გიორგის სამსახლ[რ]მეგან და მეფისა ჩვენისა ერთგულებასა და სამსახურშიგან.

---

[1] არჭირების. [2] არქიმანდრიტა. [3] არჭირების. [4] +ესე. [5] ენტრონიკოვმან. [6] ჰჯა. [7] ევდემოზე.

ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი კურთხეულ იყოს მამისა-მიერ და ძისა და სულისა წმინდისა, ამენ.

აღიწერა ხელითა გელოვანის ძის ბექან მდივნის-შვილისა ივანესი.

მარტის ი, ქორონიკონს უოგ, წელსა ჩლვე.

ხელრთვა: ნიკოლოზ ბაქურ: აღავერდელი ნიკოლოზ

398. [წიგნი ტრიფილე წინამძღვრისა დოსითეოს ნეკრესელისადმი სვეტიცხოვლის სამწყსოს თაობაზე]

[1783 წ. 29 აპრილი]

დოსითეოსს, მაოს მაღალს ყოვლად სამღუდელოებას ნეკრესელს ჩემს მოწყალეს მამას, უფალს და მეუფეს.

ტრიფილე წინამძღვარი დიდის სასოებით და მდაბლად თაყვანისცემით ჩემს მწყალობელს წმიდას მარჯუენეს ვემთხვევი და მათს უვნებელ მშვიდობით და სიმრთელით გებას ვითხოვ ღმრთისაგან.

წიგნი მოგეწერათ და ბარტყელა გებოძათ. რომლისაც მეტ-ითით მადლობა მიირთუ ჩემგან მუუცვი წმიდათ; და რომელიც საქვედურები მოგეწერათ, ისინი თვითულ აღმომკითხველთა გულის ხმა ეჭყვეთ, რომლისა პასუხი ესრეთ მოგსწენდესთ:

ყოვლად სამღუდელო მეუფეო, მე მწიგნობარით-უბუკესობით არას დროს არავისთვის მიმიწერია წიგნი და არცა ვარ მწიგნობარ-წინამძღუარს გიწერები და ვარცა მადლითა თქვენითა.

ფაშაანისა რომ მოგეწერათ, იმის პასუხი მცხეთელებმა ასე მოგახსენეთ: თუ სვეტსცხოველს მძლავრობით და უსამართლობით ასვაში არ ართმეველენ ჰამეულს და ყმას, სვეტიცხოველი არავის რას ართმეესო. დია დიდის ხნით გაწწესება არის კახეთისა და მეფეთაგან ძუელდვე გუჯრებით დამტკიცებული რომ, რომელიც სოფელი საკუთარი ყმა და მამული არის კახეთში სვეტის-ცხოვლისა, სამწყსოც სვეტისცხოვლისა არის. ასე, რომ სხვა ეპის-კოპოსი ვერ შეეცილება. ფაშაანის მიწა და წყალი და იქ მსახ-ლობელნი კაცნი საკუთარნი ყმანი არიან სვეტისცხოვლისა თუ არა, ეს გვიბრძანეთო; თუ საკუთარნი არიან, მაშ სამწყსოც სვე-ტისცხოვლისა არის.

თუ ამას ბრძანებთ: ალაზანს გელმა რადგან არის, ნეკრე-სელს სამწყსოაო, ვეძისჰევი სადღა არის, ვგონებთ, რომ ალა-ზანს გელმაა, უფრო ფაშაანს ზევით არის, და შილდის მახლო-ბელიც არის, და საკუთარნი ყმანი და სამწყსონი არიან სვეტის-

ცხოვლისა. მართალია, რომელნიც საზიარონი არიან მეფისა და თალიკოზისა, ვითა ს ა გ ა რ ე ჯ ო, ხ ო დ ა შ ე ნ ი, კ ა ლ ა ტ უ რ ი ს ძ ე ნ ი გ უ რ ჯ ა ა ნ ი — ესენი საზიარონი არიან და ამისათვის სხვის სულის წყალობი არიან. ესე იგი ნიჭოწმიდლისა და რომელნიც საკუთარნი ყმანი არიან სვეტის ცხოვლისანი, სამწყსონიც ავეტისცხოველისანი არიან, ესე იგი ჯ ი მ ი თ ი, ა ხ ა შ ე ნ ი, ვ ე ძ ი ს კ ე ე ი და ე ს ფ ა შ ა ა ნ ი.

ამასაც მოგახსენებენ: ჩვენ ბატონმა ნეკრესელმა დაგვიბოძნოს და ხელი დაგვიდუეს, რომ ჯ ი მ ი თ ი, ა ხ ა შ ე ნ ი და ვ ე ძ ი ს კ ე ე ი რომ საკუთარნი ყმანი არიან სვეტისცხოველისა, ეისი სამწყსონი არიან, ან ამათი ებისკოპოზი ვინ არის, თუ ესენი საკუთარნი ყმანი და სამწყსონი არიან სვეტისცხოველისა, მაშ ფ ა შ ა ა ნ ი ც რადგან საკუთარი ყმა და მამულია სვეტისცხოველისა, სამწყსოც სვეტისცხოველისა არისო. აქ ბაძოსველა გიბრძანებიათ: ჩაშობრძახდით, იმისი უწმიდესობაც აქ ბძანდება, და ჩვენც აქ გახლავართ: გებრიანებათ, გუჯრით გველაპარაკეთ, გუჯარი გეჭვნებათ; გებრიანებათ — სიტყვით, ორისაც ყაბული გვაქვსო.

იორდანეს შვილის ქერივისა დედაკაცისა ასე ჰოხსენეთ ჩვენგან წინაშე ღმრთისა სწორე და ჭეშმარიტი.

იმის სამაღლეს ც ი ც ი შ ვ ი ლ ი მ ა ნ უ ჩ ა რ და ა მ ე რ ე ჯ ი ბ ი ს შვილი გამოეგზავნა იმის უწმიდესობასთან და დედაკაცც თან გამოეტანებინა და ებრძანა: მე ვიცი, ნეკრესელი ამას მწამობს, რომ მითომ მე ამ დედაკაცს უდგეო, რომელიც განაჩენი აქვს მდივანბეგებისგან მიცემული და ჩემგან დამტკიცებული. მე ის წიგნი ამილიათ. ებისკოპოსნი შევყარეთ და მდივანბეგებიც თან დაისწარით და როგორც თქვენ უსჯით წინაშე ღმრთისა, და სამართალს უზამთ, მეც იმ სამართლის თანახმა ვიქმნებით.

იმ ორთავ კაცთ შეჰყარეს ებისკოპოზნი და მდივანბეგებიც მოიყუანეს და ის დედაკაცც წარმოაყენეს და ალაპარაკეს. თითონ მდივანბეგებმა წიგნები დაუსინჯეს და სასმენელად ყოველთა წაკითხეს და ასე ბრძანეს, რომ: ამ წიგნების მოშლა და დარღუევა არა თუ ჩვენგან, ქვეყანაზედ შემცოდეს კაცისაგანაც არ შეიძლებაო. თქვენმა მადლმა, რომ განაჩენის პირიც თითონ მდივანბეგებმა გამოიკეთეს და დაამწერინეს.

თქვენის ყოვლად სამღუდელოებისაგან მე ამას ვითხოვ, რომ თქვენის მამობრივის მოწყალებისა და სიყვარულისაგან დაუგდებელი ვიყო, და თქვენის მშვიდობის ამბავს მიბძანებდეთ.

აპრილის კთ, წელსა ჩლბე.

მეუფეო წმიდაო, თქვენის ყოველად სამღუდელოებისაგან საყვარისი იყო ასე უწყალოდ მხილება, შერისხვა და განკვეთა დიკასტარიასა და დიკასტარი[ო]ს მსაჯულებისა ასე უსამართლოდ და დაუნაშავებლად.

ჯერ სწორეს შევიტყობდი; და თუ ბრალეულად აღმოჩნდებოდნენ ან მიზეზნი შეექმნებოდენ რისამე, მაშინ რაც მხილება და ყვედრება და ანკვეხვა გებრძანოთ, ყოველისავე თანა-მდებ იქმნებოდენ; და თუ არადა, რა მართებული იყო ასე მხილება და შერისხვა.

თქვენი მონა წ ი ნ ა მ ძ ღ უ ა რ ი ტბილელი

კიდევე

ესეც მოგახსენესთ მცხეთელებმა: მოიკითხეთო შიგნით და გარეთ კახეთში, კალძა და გამოღმა მხარში, ე რ წ ო ს ა, ს ა გ უ რ ა მ ო ს ა და სხეაგან, თუ სადაც სჯულთარი სოფელი არის კათოლიკოსისა. საძწყსოც კათოლიკოსისა არ იყოს. თითონ ერწოელნი ღღეს ა ხ მ ე ტ ა ს სახლობენ; საყუთარნი კათოლიკობის ყმანი და საძწყსონიც კათოლიკოსისანი არიან. ეგ ღ ა შ ა ა ნ ი ჩვენ რომ არ შეგვეწირავს, დია, დიდის ხნით ძველთაგანვე სახასოდ დადებული და წეწირული მამულია მეფეთაგან, და გუჯრებით დამტკიცებული. თუმცა მემკვიდრენი ამოსწყდნენ და გაფუჭდნენ, მაგრა ხიზანი მიგვიყვანია სვეტისცხოველის მკვიდრი ყმები და დაგვისახლებია და საძწყსოც სვეტისცხოველისა არის. მანამ აქ ჩამობრძანდებოდეთ ჩვენგან ასე მოიხსენეთ.

ა რ ხ ი მ ა ნ დ რ ი ტ მ ა ს ტ ე ფ ა ნ ე მ თქვენს ყოველად სამღუდელოებას მდაბლად თაყვანისცემა და ხელს-მოხვევნა მოახსენა. მოკითხვის მაღლობა მოგახსენა და ქრისტეს აღდგომის დღესასწაული მოგილოცათ. დია, წეუძღოდა იყო. წიგნის პასუხი კი ვერ მოგწერათ. ეს მეოთხე თვეა, რომ სულ ავად და შეუძლოდ იმყოფება.

399. [წ ყ ა ლ ო გ ი ს წ ი გ ნ ი ნ ი კ ო ლ ო ზ ა ლ ა ვ ე რ დ ე ლ ი ს ა კ ა კ ა ს უ ი უ ლ ა შ ვ ი ლ ი ს ა დ მ ი]

[1786 წ. 28 მაისი]

ქ. დაწყებათა საქმეთასა პირველად ღმრთისა მომხსენებელმან და ეგრეთვე მრა[ვლ]ობით განსაკუთრებულისა მოწიწებითა შორის წარჩინ[ებ]ულისა და მჭვდად აზოვანისა, დიდებით დიდებულისა გიორგისათა, ნებითა მის მი[ქრით]ა სრულმყოფელმან

განზრახვისა ჩვენისამან, მპყრობელ-მჭონებელმან ტაძ[რი]სა მისმან და განმგებელმან დაბათა და აგარაკთა მისთამან, მწყემსმან ცხოვართა პირმეტყველთამან და მნებან საიდუმლოსა სამეუფოთამან, დიდმან მღდელთ-მთავარმან და მალალსა სამეუფოსა ხარისხსა ზედან ლირსებით მჯდომარემან [და ეგრეთვე კეთილთხებათა მშვიდობისათა ქრისტეს ერისა დამწყსელმან ე ნ დ რ ო ნ ი კ ო ს მ ა ნ[1], ღმრთივ ზეცით კურთხეულმან, ა ნ ბ ა ა ლ ა ვ ე რ დ ე ლ მ ა ნ, პა[ა]ტა მოურავის ძემა, უ ფ ა ლ მ ა ნ ნ ი კ ო ლ ო ზ ვიგულსმოდგინეთ მგზავსად ჩვეულებისა და ალვაძარ წყალობის მოღებად თქვენ წარჩინებულისა, დიდებულის წმიდის გიორგის ყმისა მკვ[ი]დრს და თავდადებით ძველადგან ერთგულად ნამსახურსა უ ი უ ლ ა შ ვ ი ლ ს კ ა კ ი ს ა, შვილსა შენსა გ ლ ა ხ ს ა, თ ე ო დ ო რ ე ს ა, ი ვ ა ნ ე ს ა, რ ა მ ა ზ ი ს ა, შვილსა და მომავალსა [ს]ა[ხ]ლისა თქვენისათა

ასე, რომა ძველადგანაც აზადი იყავით და წიგნი დაგკარგოდათ და მამულიც შემოგვასმინეს, რომ სამი საკომლო მამული ჭეშმარიტად მოპარულიო. გამოვგზავნეთ ჩვენი მოხელე და ხელი აგიმართეთ. მოხველ და დიდათ შემოგვევედრე და მოხელე[ე]ბი შემოგეყენე და ფიცითა[ც] გვაორწ[მუნე]თ, რომ ის მამული ძველადგან შენი გაუყოფელისა და გაუყრელის ძმისა და შენი მამული იყო.

და რადგან რომ ეგ მამულები შენის გაუყრელის ძმისა და შენი იყო, ჩვენცა ვასმინეთ აგა[2] და მოხსენება თქვენი და მოგიპყარით მოწყალებისა ყურნი და გასგიმარტეთ შეწყალებისა წიაღნი და გიბოძეთ ის მამული ისევე თქვენვე, რომ ის მამული თქვენ ყოველთავის მოგეშალოთ და არცაის საქმე ჰქონდეს.

და [ა]რც აზადობა მოგეშალოს: არა კოდის პური, არა კულუსი, თვინიერ სა[ა]ზადოს გამოსაღებს გარდა; როგორაც ერთს შენისთანას აზატს კაცს შეძლებისაებრ[3] სა[ა]ზადო გამოერთო[ს], თუ პური, თუ ღვინო თუ საქლავი, ოდრეც შეძლებისაებრ შენ გამოგერთოს სა[ა]ზადო სხვა მოყალნისა და მებეგრის კაცის ამხანაგად არაფერი შენ არა გამოგერთოს რა.

ეს წყალობები გვიქნია. არ მოგეშალოს არცა ჩვენგანა და [ა]რც შემდგომთა მოსაყდრეთა ამბა ალაეერდელთაგან, რაითა მათიცა გარიგებული და გაგებული მოუშლელი იყოს. საყდრისა ჩვენისა მოხელენო და მოსაჭმენო, თქვენცა ეგრეთვე დაუმტკიცეთ და ნუ მოუშლით.

---

[1] ეკდრონიკოვანმან. [2] ჰგა. [3] შეძლებისაებრ.

დამამტკიცებელნი ამისნი კურთხეულ [იყოს] მამისა მიერ ძისა და წმიდისა სულისა, ამინ.

აღიწერა ხელითა ბექან გელოვანის ძის მდაბიურისა დავითისითა. მაისის კზ, ქორონიკონს უოგ.

ხელრთვა: ნიკოლოზ

400. [წყალობის წიგნი ნიკოლოზ ალავერდელისა გლახა იასე მღვდლის შვილისა და გოგია სულხანოვისადმი]

[1756 წ. 8 ივნისი]

წყალობითა ღმრთისათა, ჩვენ, ყოვლად სამღუდელომან არხიეპისკოპოსმან თელავისა და ალავერდისამან, აბბა ალავერდელმან ნიკოლაოს, ძემან ქისყის მოღვაწის პაატასამან, ესე წყალობის სიგელი გიბოძეთ თქვენ — ამ დიდებულის ეკლესიის აზნაურშვილებს — ალავერდის მოურავს გლახა იასე მღუდლის შვილს და ევგენის შვილს სულხანოვს გოგიას.

ასე, რომ ეკლესიას თავისის სახასო მამულის ღალა ეკარგებოდა მოუველელობით. ეს მეღალობა თქვენთვს წყალობად გვიბოძებია და გალათაც დაგვიდგია: როგორც ღალის განწესება არის, სამართლიანის რიგით აიღებდეთ გაღმა აჭადელსა და სამგლეშიო, ჩვენის ყმების მოკნულს გარდა, და გამოღმა — ქისტაურის ბოლოს და სიჩალეში.

და ამას ქვევით სადაც ჩვენი სახასო მამულებია, ყოველს წელიწადს ღალას აიღებდეთ და ჩვენს მოკელეებს გამოუცხადებდეთ. აწვდამ შეხუთედი თქვენთვს გვიბოძებია. ამას ასე ჰეშმარიტებით აღასრულებდ[ე]თ. არ მოგეშალოსთ ეს წყალობა არა ჩვენგან და არცა შემდგომთა ჩვენთაგან. ჩვენნო მოკელენო და მოსაქმენო, თქვენცა ეგრეთვე შემწე და თანაჯაჭა ექმნენით.

აღიწერა ქელითა მათის უმაღლესობის კარის ეკლესიის მდუდელ-მგალობლის გიორგისათა ბრძანებითა ყოვლად სამღუდელოსა ალავერდის ნიკოლაოსისათა, თვესა ივნისსა ვ, ქრისტეს აქეთ წელთა ჩლბე და ქართულსა უოგ.

ხელრთვა: ალავერდელი ნიკოლოზ. ბეჭედი: ალავერდელი ნიკოლოზ.

ორი ბეჭედი.

401. [ძლევის წიგნი არქიმანდრიტებისა, სამღვდელოთა და საერთოა უქმე დღის გაუბედაობის შესახებ]

[1788 წ. 14 ნოემბერი]

ქ. ჩვენ, არხიმანდრიტმა ნიკოწმიდელმა იოანემ და მისმა მაღალმა ღირსებამ დავით-გარეჯის არქიმანდრიტმა თეოდოსიმ და მისმა მაღალმა ღირსებამ ნათლისმცემლის არხიმანდრიტმა ევთვიმიმ და საგარეჯოს მოურავმა ჯამასპიმ და ერთობით სახასომ, სანინოწმიდელმა და ორთავე საწინამძღუროთ კაცთ სამღვდელოთა და საეროთა ეს აღთქმა და პირობა დავდევით:

1.* ჩვენგან მრავალი დღესასწაულისა და უქმის დღის ტეხა და რყევა და შეურაცხყოფა იყო, მაშინ ღმერთმან ჩვენც მაგიერ დაგვანახვა მრავალგვარად; და ახლა ჩვენ ამ აღთქმას და პირობას ვდებთ და განვაწესებთ და ღმერთსა ვიცავეთ და წმინდას ნინოს რომ ჩვენგან უქმის დღის გატეხა აღარ იქნაა.

2. და თუ ვინმე გავტეხოთ და ვიმეშაოთ, მაშინ არც თვით ნინოწმიდელისაგან და არც მათ მაღალ ღირსებათაგან არც სამღვდელოთაგან და არც უფროს-უფროს კაცთ საეროთაგან მესვაიშნობა, პატივი და შეპაკავლობა არ იქნება.

3. და რომელთაც კაცთ ან სამღვდელოთ ან საეროთ ამ საეფლოთ დღეთ და ანს სხვათა დღესასწაულთ შეურაცხება და უპირისყოფა მოინდომოს, სრული საკანონო გარდაჰკდეს.

და რომელსაც ერთს დაშნაშაოს და კანონს ქვეშ მყოფს კაცს გარდაჰკდომოდეს, ის იმ კაცს გარდაჰკდეს და განიკანონოს. და იმის საკანონოდ უნდა გამოერთოს ერთი ცალი ღვინო და ერთი კარგი ზროხა.

4. და რომელმაც კაცმა ან სამღვდელომა და ან საეროშ საეფლოს დღეს და ან კვირას დღეს ანიავოს, ან ძნა დადგას, ან თივა აიღოს და დადგას, ან ლაფანზედ წაიდეს, ან ქარვნის წასვლა მოინდომოს და ან ჯარი შეაბას და ან ცენაკი ახვიოს ვინმე და იმუშაოს, ეს წინა თქმული საკანონო გარდაჰკდეს.

5. და ამის მოყადაღეთ და შეუქმნეთ და ზედამხედველათ დაგვდგინებ[ი]ა სახასოდამ ამისი პატიოსანი ღირსება მღუდელი იოსებ. წმინდის დავითის მონასტრის მღუდელი იოანე, მეფის ნაცვალი იესე, ნინოწმიდელის სალთხუცესი იოანე.

---

* ტექსტი ნუხლებად დაყოფილი არ არის.

ამჭიანი ღმერთის ვაუცილებით და წმიდის ხიხოს რომ ამაზე ხმა-
თლით და ჭეშმარიტებით მოიქცნენ და პირი-უთნებელად. ...

6. და რომელიც ამათ წინააღმდეგად გამოჩნდეს და შეიქნას, ის კაცი წმინდის ნიხოს ეკლესიისაგან შეჩვენებული იყოს და ორთავე წმიდათ მოხაატერთაგან; და ორისავე ცხოვრებისა კლებულ და კვეხულ.

7. და თუ ამაში ეს მეუქმენი ხაკლულევანათ და დამნაშაოდ აღმოჩნდნენ, ამათ ორწილად და უმეტესად უნდა გარდაჰხდესთ და გასიკეთონეს.

8. და რომელმაც სოფლის კაცმა ნახოს და არ თქოს და ან ამათ არ შეატყობინოს, იმ კაცს ერთი ორად გარდაჰდეს და ეანიბატრეს.

9. და თქვენ საყვარელნო ძმანო და ღირსნო მღუდელნო და ნაცვალო და სალოხუცესო! თქვენ ამაზე ხუ დაიკონებთ და მჯნედ მოიქცეთ და სასყიდელი ჭეშტისა მიერ მიიღეთ.

ნოემბრის იდ, ქორონიკონს უოგ.

402. [ბრძანება დიკასტერიისა ნიკოლაოს ალავერდელი-სადმი სახულის ღმრთისმშობლის ხატის მოგვარების თაობაზე]

[1784 წ. 6 თებერვალი]

მათის უწმიდესობის დიკასტერია ვაუწყებთ იმის ყოველად სამღუდელოებას ალავერდელს უფალს ნიკოლაოს* და იმის მაღლის ყოველად სამღუდელოების მოხუცთ უბრძანებთ დეკანოზს, მამათმთავრებს და სხუათა.

მაღალღირსმა არხიმანდრიტმა მოძღუართ-მოძღუარმა ნიკოლაოს არზით იჩივლა იმის უწმიდესობასთან და ჩვენთან, რომ ხახულისა ღმრთისმშობლის ხატი ქამთა ვითარებისა და ავის დროსაგან თავის ეკლესიაში ვეღარ დაუსვენებიათ და მანდ წმიდის გიორგის ეკლესიისათვის შემოუხიხნავთ და მოუპარებიათ, ვითა აცხადებს წიგნი მოძებული იმის სიმაღლის დიდის ერეკლე მეფისა, რომ: «ხახულისა ღმრთისმშობლის ხატი წმიდის გიორგის ეკლესიას ალავერდს მივაბარეთო ავის დროის მიხეზითა; და როდისაც პატრონი დაეჯდეს და იქ შენობა ჩამოვარდეს

* „ნიკოლაოს" დაწერილია თავში, იქ კი ცარიელი იქნებოდა სახელის ჩასაწერად.

და დაკარგვისა აღარ ეშინოდესთ. ის ხატი ისევ ხახულისა ღმრთისმშობლის ეკლესიაში დაისვენოს და მოძღვართა-მოძღუარს მიაგებინონ; ვერც ალავერდელმა და ვერც საალავერდლომ კრებულისაგან ვერ დაუჭირონო».

ამას გარდა მაშინდელს დროს მჯდომარის აბბა ალავერდლისა ყოველად სამღვდელოს ნიკოლოზისა წიგნიც აქუს ასე წერილი რომ: «ხახულისა ღმრთისმშობლის ხატი მოგვაბარებსთ და როდისაც შიშიანობა აღარ იყოს და იქ შენობა ჩამოვარდეს, მაშინ ეს ხატი თავის ტაძარშივე დასვენდეს, ჩვენთ საყდრიონთ ვერ დაუჭიროთ».

ახლა ეთხოვნია თქვენთვის მოძღუართა-მოძღუარს, რადგან ამის სიმაღლის მეფის ბრძანებით იმ ეკლესიაზედ დადგინებულია და არ გიბოძებიათ, არ ვიცით, რის მიზეზით უჭერთ მაგ ხატსა ამისთანას წიგნების მქონებელსა.

ამის სიმაღლეს მეფესაც ჰბარებოდა რომელსმე საჭმარი იმ ეკლესიისანი და ყოველივე ღობეა, თქვენც მოგბარებული გქონიათ და თქვენც ღობეთ; თუ უწინვე მიგიბარებიათ, ქაბში გექნებათ და ეს ალავერდლის წიგნიც უნდა გამოგერთმიათ. სიტყუა აღარ ექნებოდა.

სვეტსცხოველსაც ჰბარებია ოდესმე ეგ ხატი და თავისდროს იმისთვისაც გამოუბარებიათ. თქვენც აქამდინ გბარებიათ და ახლა კი ღობეთ.

თუ იხებებთ, წიგნები მოისმინეთ ძველი იმის სიმაღლის მეფისა დიდის ირაკლისა და თქვენის მოსაყდრის აბბა ალავერდლისა.

და თუ ამ წიგნების დამრღვეველი წიგნები და ან საბუთი გაქვსთ რამე, თქვენს საყდრიონთ უბრძანეთ, აქ ჩვენთან ელაპრენენ.

თუ არა გაქვსთ რა, რას ეზარებით, ეგ ხატი მოაბარეთ, ამ მოძღუართა-მოძღუარსა ნუღარ აწუხებთ.

რადგან ამ ქალს თავისი თავი, სული და ჯორცი იმ ეკლესიისათვის დაუდგია, იქ ცხოვრებს და იმ ეკლესიის შეჭირბას ცდილობს, ეგ ხატიც თავის ეკლესიაში უნდა დასუენოს.

და ღმერთმან ნუ ქმნას, თუ ავის დროსავან შიშიანობა მოხდება, მაშინ მაგ ხატისასაც და ან რაც სხვანი საჭმარნი არიან იმ ეკლესიისა, იმათ დაუკარგავობას ეს უფრო ეცდება.

დეკემბრისას 3. [წელსა] ჩლპვ.

მდაბალი ტფილელი მიტროპოლიტი, ბეჭდით: გერმანე
ულტრსი ხელცეს-მონაზონი, ბეჭდით:
ულტრსი მწიგნობარ-წინამძღუარი, ბეჭდით: ტრიფილე

ეროვნული ბიბლიოთეკა

403. [ჯუალობის წიგნი ნიკოლოზ ალავერდელისა იასე მაჭაბარიანისადმი]

[1786 წ. 12 მარტი]

ქ. ვინათგან ჩვენ, ყოვლად სამღვდელოებამან ამბა ალავერდელმან ენდრონიკოვნემა, პა[ტ]ა მოლხავის ძემან, უფალმან ნიკოლაოზ ვალდებულ ვიქმენით და მათის სიმაღლის საქართველოს უფლისწულის მეფის ძის გიორგისგან მათის ნებადართვით გამოგიყვანეთ და დიდებულს წმინდას გიორგის ეყმევით შენ მა[ჭა]ბარიანო იასე, მღვდლის შვილი [გ]ლახა და შვილი შ[ე]ნი დიმიტრი; და მომავალი სახლისა შენისა ეკლესი[ი]ს ვამოსადეგიც იყავ; და ჩვენც გიბოძეთ მათის სიმაღლის მეფის ირაკლისგან შემოცარგლულის ალავერდის მოებაში და აქ მსახლობელნი კაცნი, ალავერდულის მკვიდრს კაცთ გარდა.

და წისქვილი ქვიტკირით ნაგები, საფენაქე და საკნავი და სასახლე პირველვე გიბოძეთ და სიგელიც მოგეცით. და [ა]ვ საქმემ შეფის ყურმოჭრა ვაითრა აქადამ წისქვილისა ზოგნი ვინმე დაობდენ და ჩვენ გავაკეთეთ; და რადგან რომ ამისის მიზეზით შემოხვედ პრწყინვალის ეკლესი[ი]ს მამულში და ეყმევ. პირველ ბოძებული წისქვილი ხელახლა გიბოძეთ ყოვლის კაცის ეცილებლად.

თუ ვინმე იდავებს მამულობით ეკლესიის წინააღმდგომობის, თქვარა არავის აქვს და [ა]რცვის ვისგანმე მ[ც]ნედრობით მისცემია.

და ეს წისქვილი თქვენ გიბოძეთ თავისის წირა პიწითა და შენ რომ ბანით აკეთებ, იმ პიწითა გვიბოძებია. არ მოგეშალოს არა ჩვენგან წყალობა ესე[1] და არც შემდგომთა ჩვენთა ალავერდელთაგან.

ხოლო დამანტკიცებელნი ამისნი კურთხეულ იყვნენ მაცხოვრისგან და ძისა და სულისა წმიდისა.

აღიწერა ხელითა მგალობლის, შეილის მღვდის დავითისითა.

მარტის იბ, ქორონიკონს უოდ.

ჩელთაგან: ნიკოლოზ. ბეჭდით: ალავერდელი ნიკოლოზ

მარცხენა კიდეზე

ქ. ჩვენ, ორთავე საქართველოს უფლისწული მეფის ძე

[1] +არა ჩვენგან.

გიორგი მის ყოველად სამღვდელოების ამბა აღვევრდელს ცაშულს სიგელს ჩვენც ვამტკიცებთ.

ქორონიკონს უოდ.

ბეჭდის: გიორგი

ქ. ჩვენ, თრთველ საქართველოსა მეფის ძე ვახტანგ მის ყოველად სამღვდელოების ამბა აღვევრდელს ნაკოლოზის მიცემულს სიგელს ჩვენცა ვამტკიცებთ.

მარტის იე. ქორონიკონს უოდ.

ბეჭდის: ლომად იყოდას ბაკურად ვახტანგ ირაკლის ნაკვეთად.

ქ. ჩვენ, საქართველოს მეფის ირაკლის ძის გიორგის ძენი დავით და იოანე მის ყოველად სამღვდელოების ამბა აღვევრდელის ნაკოლოზის ნაბოძებს სიგელს ვამტკიცებთ.

მარტის იე. ქორონიკონს უოდ.

იხვი ბეჭდის:

1. ერთს ღმერთსა ვესავ სამობით დავით ღმრთის მამის ტოძობით.
2. სასოებით მაცეს ძალი ცხოველი მრისხლის ცხორებას მისგან მოველი იოანე.

ყავი ბეჭდის: -

1. ღვთისა მოვართვი რჯა ნიადაგ ვარჯან.
2. ბიკტორ (?)
3. მონა ღთისა მღიგანი დავით

404. [წიგნი ანტონ I-ისა დავითბარათაშვილის ყინამძღვრისათვის შეწირულების მიბარების შესახებ

[1786 წ. 2 აპრილი]

ქ. ყოვლისა საქართველოს პატრიარხი. მეფის ძე ანტონი ლოცვა-კურთხევით მოგეკითხე თარხანთ ლუარსაბ და კალაუროს მოურიათ თშან.

მერმე მისს უმაღლესობას, ჩვენს ძმას შეუტყვიე ოქმი უბოძებია ლირსის მამის დავით-გარეჯელ მონასტრის წინამძღურისათვის და ჩვენც ამას ვწერთ, რომ: რომელიც ვინმეს ამ მონასტრის შეწირულობა იყოს, სამართლიანის საქმით გაეპრიეთ და მთაბარეთ წინამძღვარს თეოდოსის.

და აკლრის ქვეშან და ჩეკურმა, რადგან მახსოვარნი არიან და იცან, ისინი მიბეგანეთ და რაც სამართლიანის საქმით იმახსოვროს, დაანებეთ, და სვეტიცხოველის მამელი არ შეგცილდესთ, ამაზედ სამართლით უნდა მოიქცეთ.

აპრილის ბ, წელსა ჩღპვ.

ხელთაა: კათალიკოზი

495. [წყალობის წიგნი ანტონ I-ისა გლახა დოჯიძისადმი]

[1768 წ. 24 ივნისი]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭ. წყალობითა ღმრთისათა, ჩვენ, იესიან, დავითიან, სოლომონიან პანკრატოვანმან, ძემან ქართველთ მეფის იესესმან, ყოველისა ზემოისა საქართველოს კათალიკოს-პატრიარხმან და ჩვენმან უწმინდესისა სინოდისა ყოვლისა რუსეთისამან, პატრონმან ანტონი ესე უკუნისამდე ჟამთა და დროთა გამოსადეგი მტკიცე და უცვალებელი წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და გიბოძეთ შენ, ჩვენს ერთგულს და წესისაებრ ნამსახურსა ყმას დოჭიევს გლახასა. შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა.

ასე და აწა პირსა ზედა, რომელ მოხველ და მეტეხის ნაცვლობასა დაგვეჯე. ჩვენცა ვისმინეთ ჯა და მოსწყენება შენი და გიბოძეთ მეტეხის ნაცულობა ყოვლის მისის სამართლიანის საქმითა და სარგოთი; რომელიც სხვას ნაცვლებს ჰქონიათ, შენთვისაც ეგრეოვე წყალობა ვეიქნია და გეიბოძებია.

და თუ გისმე მეტეხის ნაცულობის სიგელი აქვს, ამ ჩვენის წყალობის სიგლით დაგვიყენებია; ამისთვის, რომ ვისაც ჩვენგან ნაბოძები ჰქონდა, არც იმათი სამკვიდრო ყოს; და რადგან მოვლა ვეღარ შეიძლოს, ამისთვის ჩამოვართვით და შენ გიბოძეთ.

გქონდესთ და გიბედნიეროს ღმერთმან ეკლესიისა და ჩვენსა ერთგულსა სამსახურსა შინა. არა მოგეშალოს ჩვენგან და არცა ჩვენთა შემდგომთა პატრიარხთაგან ჩვენგან ბოძებული ესე წყალობა.

ეგრეთვე თქვენცა, ყოვლად სანატრელნო კათალიკოს-პატრიარხნო, თქვენცა ასევე დაუმტკიცეთ, რათა თქვენიცა გაგებული ღმერთმან მტკიცე ჰყოს.

არიან ამისნი მოწამენი და თანაჴმანი ერთობით ჩვენნი მოკლენი.

აღიწერა ჰელითა გლახაყის ხუცის ანჩისხატის დეკანოზის მიკელისათა, თთესა იენისსა კდ. წელსა ჩღჰვ.

ხელრთვა: კათალიკოზი ანტონი

ჭ. ჩუენ, ყოველისა საქართველოსა პატრიარხმან, ძემან მეფისა ირაკლი მეორისამან, ვნახე რა წყალობის წიგნი ესე ნაცვლობისა ნეტარჰყოფილისა ბიძის ჩვენისაგან ბოძებული-დამტკიცებული, ჩვენც თანჴმობისაებრ ვბოძეთ და დაუმტკიცებთ.

დეკემბერსა იზ, წელსა ჩლე.

ხელრთვა: კათალიკოზი

406. [წიგნი ანტონ I-ისა იოსებ მოურავისადმი გლახა დოჭიჭისათვის ნაცვლობის ბოძების შესახებ]

[1786 წ. 21 ივნისი]

ქ. ყოველისა საქართველოს პატრიარხის, მეფის ძის ანტონის კეთილსასოვარი მეტეხის მოურაო იოსებ!

შერმე რომელიც შენი სახელო კაცნი არიან, მაგათაც გამოუცხადე, რომ მეტეხის ნაცვლობა დოჭიძეს გლახას უბოძეთ და როგორც მართებული არის, ისე უნდა დამორჩილდენ.

და რომელიც ჩვენგან საბსახური ებრძანებოდეს ხოლმე, ყველანი უნდა გაუკრებდენ, და რომელიც გაწყესება არის, თავის სარგოს მოსცემდენ ხოლმე, რაც სხვას ნაცვლებისათვის უძლევიათ.

და ყველამ კარგად შეიწყნარეთ და რიგიანათ ასაქმეთ ჩვენს ერთგულებასა და საბსახურზედ. და ხურვინ ურჩ-ექმნებით.

ივნისს კდ, წელსა ჩლპვ.

ხელრთვა: კათალიკოზი

407. [წიგნი ანტონ I-ისა საგარეჯოს მოურავის ჯამასაისადმი სამართლის ძმნის შესახებ]

[1786 წ. 11 ნოემბერი]

მისსა ბრწყინვალებას საგარეჯოს მოლრავს ჯამასაის ჩვენ მიერის ლოცვა-კურთხევით მოვაკითხავთ.

მერმე აქ ბატონიშვილის ნიკოლოზის ქვრივმა არზი მოგვართო, რომ თავის განაყოფს უჩივის. ჯერ ეროხელ უცემია და მკლავი მოუტეხია. ახლა ეს არის თავი გაუტეხია და მრავალი უცია და უთრევია.

ამისთანას ქვრივსა და თბოლზედ თვალუუ[რი] შენ უნდა გეჭიროს. ან შენ უყავ მანდ სამართალი და საუპატიო მიაცემინე ამ ქვრივისათვის; თუ არადა, აქ ჩვენს სამართალში გამოგზავნე, სამართალს ჩვენ უზამთ.

ნოემბრის ია, წელსა ჩლპვ.

ხელრთვა: კათალიკოზი

408. [ბრძანება ანტონ I-ისა იოსებ ჟურაულისადმი ოქმის დაყენების შესახებ]

[1756 წ.]

ქ. ყოველსა საქართველოს პატრიარხი შეეცის ძე ანტონი გიბრძანებ პატიოსანო მღუდელო ქურხული იოსებ!

მერმე ქელეკიძეს სვიმონს რომ ოქმი უბოძეთ დოდოს ჭალისა, ეგ ოქმი ისევ დაგვიყენებია, ამისთვის რომა, მისმა მაღალღირსებამ დავით-გარეჯის არქიმანდრიტმა თომამ გარეჯელთ წერილი მოგვეტანა მრავალის კაცის მოწმობისა, რომ ეგ ჭალა დოდოს მოსასტრისა ყოფილა. ეგ ოქმი ისევ გამოართვეი და ამას მოეც, ამისთვის რომ ეგ ადგილი ისევ მონასტერს დარჩა; და ხელნც გვიბოძებია, რადგან იმისი ყოფილა[1] გარეჯელთ მოწმობის ძალით.

მარტის კზ. წელსა ჩღპვ.

ხელთაწერი კათალიკოზი

409. [შეწირულების წიგნი ეფთვიმი გენათელისა გელათისადმი]

[1787 წ. 7 აპრილი]

... შემოგწიროთ და მოგართვით თქვენ, წმინდის ნიკოლოზის სახელზედ აღშენებულს გელათის ოთხს სვეტოვანს საყდარს ჩვენ ყოველად სამღვდელომან გენათელ მიტროპოლიტმა ევთვიმემ, ცოტაის ცრისთვის შვილმან.

ასე, რომ: მისის ღწმინდესობის კათალიკოზ-გენათლის იოსებ მაღონიშვილისაგანაც ასე იყო ნება და წადილი, იმ საყდარს წინამძღვარის უბან[რ]ბლდა დაყენებას და გლეხების შეწირვას. ძველთაც ყოფილიყო მისი დავთარი, ქამთა ვითარებისაგან დაკარგულიყო: მას ალიბ დასცალდა განახლება.

რადგან მისი გაზდილი შვილ-დატოვებული ვიყავით, ჩვენც მისი მძანება და ანდერძი აღვასრულეთ.

და ადრიდგან ჭელწიფეთაგან ქსნის ერისთავს ჭონდა ნაბოძები სასაფლაოთ. ამ ჟამში ერისთავის შვილი ელისბარი დიდად შემწე ეყოფოდა დიდებულს საყდარს გელათს. ოდესაც გამო-

[1] +ყოფილა.

ეცხადეთ კათალიკოზის სიტყვა დაბარებული, მისმა სიძალლემ მისმა ძმამ ბატონმა მეფე გ ა ნ დ ა ვ ი თ ასე ინება:

და ჩვენც ზეგოთქმული ბძანება ამ მეფის ვისმინეთ და დავიდგინეთ წინამძღვარი, დავდევით[1] საუკუნოდ საწინამძღროთ, შევსწირეთ და განუჩინეთ გლეხები ამ ქსნის ერისთვის სასიფლაოს:

ო კ რ ი ბ ა ს, ს ა წ ი რ ე ს: თავის მამულ-ადგილით ოთხი მოსახლენი გლეხნი: ქ ა რ ქ ა შ ი ძ ე ნ ი გ ი გ ი ტ ე ლ ი და მისი ძმა კ ა ც ი ე ლ ი ბათის ცოლშვილით; მეორე მოსახლე იქავ ხ ო ს ი კ ა შ ვ ი ლ ი მისის ცოლშვილით; მესამე დ ა ვ ი თ ე ლ ი და მისი შვილები; მეოთხე ნ ა ს ყ ი დ ე ლ ი და მისი შვილები. ესენი — ნ ი შ ნ ი ა ნ ი ძ ი ს სახელო და სამოურათო ნურას დროს ნუ გამოურთმევა, წინამძღვარს ის მსახურებდეს.

ამას გარდა ორი გლეხი გ ე ლ ა თ ს იქავ საყდარს მახლობელად ბ ა კ უ რ ი ძ ე ნ ი, ერთი ბ ა კ ი ჩ ე ლ ი თავისის შვილებით და მეორე დ ა ვ ი თ ე ლ ი ბ ა კ უ რ ი ძ ე ი ს შვილები — ნ ი კ ო ლ ო ზ ი და მისი ძმა.

ერთი გლეხი ნ ა გ ა რ ე ვ ს: კ ა ც ი ე ლ ი გ რ ი ძ ე და მისი შვილები.

გ ო დ ო გ ა ნ ს: ერთი მოსახლე ობლები ლ ე ე ვ ი ძ ე ორი ძმანი.

ეს გელათის სამკვიდრო ყმები იმ ოთხს სვეტოვანს შევსწირეთ სამსახურეთ. გელათის და ხატის სამსახური როგორც ეჭიროს ან სხვა საგელათო კაცი მსახურებდეს, ესენიც იგე ემსახუროს, წინამძღვარიც; და მორჩილი იყვნენ კაცებით გუნათლის... ნაცვ

არიან ამისი მოწამენი ჩვენი აზნაურშვილები კანდელაკები, ბევნ ს ა ლ თ ხ ე ც ე ს ი გ ი ო რ გ ი და ნ ი კ ო ლ ო ზ, სხვანი ერთობით ჩვენი საყდრის აზნაურშვილები.

მე, კნიაზ მდივანბეგს მეფისას დ ა ვ ი თ ს დამიწერია მეფისა და გუნათლის ბძანებით და მოწამეცა ვარ ამისი...

ოთხს კვამლს ქ ა რ ქ ა შ ი ძ ე ს მოსახლის თავს ხუთ-ხუთი კოდი ღომი, ექვს-ექვსი თორმეტიანი ღვინო. შვიდი რუბი ოთრი, — ყველას საერთოთ ესენი მართებს.

საყდრის სამსახური გელათს: მართებს ორს ბ ა კ უ რ ი ძ ე ს შვიდ-შვიდი თორმეტიანი ღვინო წინამძღვრის სამსახურად.

ნ ა გ ა რ ე ვ ს: ე რ ი ძ ე ს ექვსი თორმეტიანი ღვინო, ერთი კოდი ღომი;

---

[1] + და. [2] დაედგინეთ. [3] ცოლვით.

ლევიძის ბერიკელ ლეჟიძის შვილებს გოდოლ-
მართებს ათი კოკა ღვინო, ხუთი კოდი ღომი და პერის ჯერ თმენილა
ბია, არ ეთხოვება.

დაიწერა ქორონიკონსა ქრისტეს აქეთ ჩღპზ, თვესა აპრილსა
ზ, აღიწერა ქალაქსა ქუთათისისა.

ბეჭედი: გენათელ მიტროპოლიტი ეფთვიმი

ქ. ჩვენ, ყოვლად სამღვდელო მთავარეპისკოპოსი ანტონი ვამტკიცებ სიგელსა ამას...

ბეჭედი: მთავარეპისკოპოსი ანტონი

ჩვენ, ყოვლად სამღვდელო ქუთათელი მიტროპოლიტი დასითეოს ვამტკიცებ...

ბეჭედი: ყოვლად სამღვდელო ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოს

ქ. ჩვენ, ყოვლისა საიმერეთოსა მეფე დავით დავითიანი ვამტკიცებთ ჴელწმარიტებით ვიდრე საუკუნისა სიმტკიცითა.

ბეჭედი: მეფე იმერეთისა დავით

ქ. ჩვენ, სრულიად საიმერეთოსა დედუფალთ-დედუფალი ორბელიანის ასული ანნა ვამტკიცებ სიგელთა ამას ნებითა ღვთისათა.

ბეჭედი: სრულიად იმერთა დედოფალი ანნა

კიდეზე:

ქ. სასოსა და მეოხსა ჩუენსა. წმუსარეთა და ჭირვეოლთა და ნუგეშინის-მცემელსა ესამღუდელოესსა მაძასა, საკვირველებით წარმოჩენილსა მწყემსსა და მოძღუარს მირონ ქალაქისასა ნიკოლაოსს შემოგწირეთ და გიძღუენ მცირედი ესე ძღუენი გაუწყოთს სასაფლაოსა ჩუენსა ოთხსეტრიასსა სახელსა შენსა ზედა აღშენებულსა ჩუენ, მესაკოვემან შენმან, ქსნის ერისთვის ძემან ელიზბარ მოურავმან ქუთათისისამან და პოქოულთეხუცესმან ძლიერის მეფისა დავითისამან.

მოვიყვანეთ ონიდამ და დაგისახლეთ ქუთათისს: ერია ისრაელიშვილი აბრაჰა, მისი შვილი დავითა. მისი ძმისწული მართხია. მისი ძმა ისაკა. მისი პიძაშვილი მოშა, მისი ძმა დავითა, სანანია, სელიელა და კიდევ ჯანიაშვილი იაკობ. შეიწირე და იძღუენ ჩუენთა შესაწევნელად მრჩობლთა ცხოვრებათათვის.

ამათგან მოგვართმევდეს ბეგარა წლითი-წლად საბატონო საქმეების ფარად ხუთი მაბრჩილი[1] ძველი და წინამძღვარსა ასურვილია სა თხუთმეტი მაბრჩილი თეთრი.

და როდესაც გაიყვნენ, რამდენსაც სახლად გავიდნენ, თითომ მოსახლემ ასე გარდაუხადონ თვის-თვისად, როდესაც გაიყვნენ, ამ თხუთმეტს მაბრჩილ გარდა სხვა გადასახადი საყდარს მოახმაროს წინამძღვარმა.

ეს ურიები, რომელიც ამ დავთარში შეგვიწერავს, არც ნაძალადევათ და არც სხვათ რითმე ნაშოვი არ მყავს. ჩემს მრავალის ნამსახურითა და სიყვარულით რაჭის ერისთავმა გიორგიმ მომცა და მე შენ შემოგწირე წმიდა ნიკოლოზს.

ბეჭედი: ელიზბარ

410. [წიგნი მაქსიმე კათალიკოზისა ილუმენ სილივისტროსადმი]

[1787 წ. 22 აპრილი]

ა ფ ხ ა ზ - ი მ ე რ თ ა კ ა თ ო ლ ი კ ო ზ ი მ ა ქ ს ი მ ე ჩვენის ეკლესიის წმიდის გიორგის ი ლ უ მ ე ნ ს ს ი ლ ი ვ ი ს ტ რ ო ს ლოცვა-კურთხევით მოგეკითხავ.

მერმეთ რატომ გენი, შესამოსელი გეირგვინი არ ჩამოიტანე, ხომ წახდებოდა, რაც იყო.

ახლი წიგნები მოვსწერე გენათელს, წ ე რ ე თ ე ლ ს ზ ე რ ა ბ - ს ა ც მოვსწერე, ჩამოიტანეთ, მიეარე. არ წახდეს, ახლაც არ იქ- სება ქარგათ, აწ მაინც მოიტანეთ, თვით არა იყო რა, სულ დალე- ბოდა. სა[ქ]ნაეთრე შალი მოგივე: თერთმეტი ადლი და ცხვირსა- სოცე. ესენი გ ა ი ო ზ ი ს იყო, იმის საწირავათ გამომიგზავნია; უწირე ოცი და მოხსენებით ყოველთვის მოიხსენებდე მამაშვი- ლობას.

სხვა ბერ წ ე ლ ი კ ი ძ ე ს ჩემთვის წიგნი მოეწერა: ვინემდი ის [ს]ოქმე მომიგდოდეთ, წესს მაშულს უყვლიდოთ, ბრცაფერი სი- კეთის ძეტი მითხვედ დამიშავებიათ. თქვენი შეწეისაველი მე არა დამიხარჯავს რაო; ორასი მაბრჩილი მომიტანეს. თქვენს წინამძღვარს გაეგზავნეთ გელათს ყ ი ფ ი ა ნ ი ს ხელითათ. შეეთვალე: ბატონს შენა შეუნახეთ.

ახლა ეგ თეთრი ასოცი მაბრჩილი გენათელს მიართვი, აქ უნდა

[1] + მაბრჩილი.

გამოშვებულნის, საყდრის სალებავი მისდა ვიყიდო. ორმოცდაათ მარჩილი აქ მზარეულის დავხარჯე, ხემწიფის წყალობა გამეტანებინა და, მე დაუხარჯე; ამის ძმას მიეცი, რასაც დროს ეს წიგნი მოგვიტანდეს, მიეც; დიდი სამსახური გასწია ჩემზედ. ჩემიც რომ მიესცე, ეემართლება. მაშინვე მიეც იმის ძმას, იცოდე. ოცი მარჩილი ამ ბასილიკა გიორგობიანს მიეცი. ათი მარჩილი ამ ბერიკელას დიაკონს მიეც.

ესენი ასე გაარიგე, რასაც დროს ჩემი წიგნი მოგივიდეს, თორემ აეშლებით, იცოდე.

სხვა ამას გარდა მაგ საყდარს რასაც ემსახურები და კარგათ. შნოიანათ დაეხვედრებ, შენ იცი. სხვა მაგ საყდრის საქმე ყველა ბერიკელას დაებარე, ის გეტყვის ყოველსაფე.

ჭოროხიკოხსა 1787 წ., აპრილის კბ.

ხელდები: ჩრდილო ოფხაზ-იმერთა კათალიკოსი მაქსიმე

ქ. ეს წიგნი წმიდის გიორგის მონასტრის წინამძღვარს სილვისტროს მოელვიდეს გელათს მოსდით.

411. [წყალობის წიგნი ჯვარის მამა ანტონ დიასამიძისა გიორგი გვანცაძისადმი]

[1787 წ. 23 აპრილი]

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა ესე წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცეთ ჩვენ, ჯვარის მამამ ანტონიმ დიასამიძემ თქვენ, წმიხდის განმაცხოველებელის უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს სახელით ყმას დირბელს გვანცაძეს ბაზაურშვილს მგელობელს გიორგის, ძმასა შენსა ბვიმონს და შიოს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა.

ასე, რომ: მოხვედით და სალოსცობის წყალობას დაგვეკვენით, ძველათაც გქონებოდათ, წიგნები გქონდათ, ის წიგნები ჩამოგვართვით და მის უმაღლესობას მეფეს მივართვით და დაბჭარგოდა და ველარ ვიპოვნეთ.

და რადგან ძველთაგანაც გქონებოდათ, ახლაც კიდევ შეგიწყალეთ და გიბოძეთ საჯვარისმამოს ყმისა და მაწყვლის სახლთუხუცობა. გქონდეს და გიბჭედნიეროს ღმერთმან განმაცხოველებელის წმიხდის საფლავის სამსახურსა შინა და მისის უმაღლესობის საქართველოს მეფის ირაკლის ერთგულობასა შინა. არ მო-

გეშალოს არა ჩვენგან და არცა შემდგომად ჩვენს სხვათა ჯ[illegible]
მამათაგან.

და დამამტკიცებელნი ამისნი აკურთხნეს ღმერთმან.

აღიწერა თვესა აპრილსა კგ, ქორონიკონს **უოე**, ქრისტეს აქეთ წელსა **ჩლპზ**.

ხელრთვა: ანტონი

ჭ. ჩვენ, მეფე ქართლისა და კახეთისა და სხვათა ირაკლი მწოდე ამ ჯვარის მამისგან მიცემელს სახლთხუცობის წყალობის წიგნს ვამტკიცებთ. აპრილის კგ, ქორონიკონს **უოე**.

ჭ. ის ძველი წიგნები ჩვენ მოგვეერთვა და არ ვიცით მივაბარეთ ვისმე, თუ წიგნებში გვაქვს სადმე შენახული: და როდესაც ვიპოვნით, ამ წიგნებსაც უბოძებთ.

ბექვი: მე თეიმურაზიანთა მიერ ეკლესია ვადიდე ერეკლე

ჭ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოს პატრიარხი, მეფის ირაკლის ძე, ანტონი ჯვარის მამის მიცემელს სალთხუცობის წყალობის სიგელს ჩვენც ვამტკიცებთ. აპრილის **იგ**, ქორონიკონს **უპ**.

ხელრთვა: კათალიკოზი

ჭ. ჩვენ, ჯვარის მამა ათანასი ამ სახლთხუცობის წიგნს ვამტკიცებთ. ნოემბრის **თ**, ქორონიკონს **უპბ**.

ბექვი: ათანას... ჯუარის მამა 1793

412. [წიგნი ანტონ I-ისა გიორგი ჩოლაყაშვილისათვის სოფლის მიბარების შესახებ]

[1787 წ. 28 აგვისტო]

ჭ. ყოვლისა საქართველოს პატრიარხი მეფის ძე ანტონი ჩვენ მიერის ლოცვა-კურთხევით მოგიკითხავ ნოდარიშვილო გრიგოლ.

მერმე ჩოლაყაშვილს გიორგის ფაშანის მოურაობა უბოძეთ; უნდა ჩვენის გულისათვის ეხმარებოდეთ და იმ სოფელზედ ხელი აუმართოთ და გიორგის მაჭმაბრით საშოურაოთ. სხვას კაცს არავისა აქვს საქმე.

ივნისის კე, წელსა **ჩლპზ**.

ხელრთვა: კათალიკოზი

413. [უმეგის სამსახურისაგან განთავისუფლების წიგნი გესარიონ ჟუმნდიდლისა ვალაგანიძეებისადმი]

[1788 წ. აპრილი]

ჭ. ესე წყალობის წიგნი გიბოძე მე, დიდად სახელოვანისა ხელმწიფესა დ ა დ ი ა ნ ი ს ა კ ა ც ი ა ს ძემან[1], ყოვლად სამღვდელომან ჩ ყ ო ნ დ ი დ ე ლ მ ი ტ რ ო პ ო ლ ი ტ მ ა ნ უფალმან ბ ე ს ა რ ი ო ნ თქვენ, ჩვენთა ყმათა, ჩ ა ლ ა გ ა ნ ი ძ ი ს ლ ა ზ ა რ ეს ძეთა: მღდელს ს ი მ ე ო ნ ს და შენს ძმას ბ ა ს ი ლ ს და მ ი ქ ა ე ლ ს.

ასე, რომე: ეკლესიის ჩვენისა კეთილად მსახურნი და ჩემიც დიას, ერთგულებით მაამებელნი იცვენით; და ჩვენგან წყალობად ითხოვეთ თქვენის ყმების ჩვენის სამსახურისაგან განთავისუფლება. და გარდაუწერეთ და გარდავაცალეთ თქვენთა ყმათა ჩვენი სამსახური და ყოველივე საქდაერო საბოჟი ყოველს ფერისა: ნადირობა, ტყვირთობაზ, სახლისკეთება, მჭად-ღომობაზ, ბაზიერის, მეჯინიბისა და მზარეულისაგან მოსაბოჭრიელ რამ ფერი, ყოველივე გარდუწერე თქვენს ყმას თ ო ლ ი კ ა ვ ა თ ო ფ უ რ ი ა ს, ს ი მ ო ნ ე ლ ი ა თ ო ფ უ რ ი ა ს, ო ბ ი შ ხ ე ლ ი კ ე ს ე ლ ი ა ნ ა ს და მის ძმისწულს მ ა მ ა შ ი ა ს.

ჩვენი მოურავი და მოხელე და სხვა ჩვენი ხელობის კაცი მათს ყარზედ აღარ მიდგებოდეს, მოყვრობით სტუმრობას გარდა.

და რადგან სამღვდელოთ იყვენით და თქვენს სახლს სამღვდელოების(?) ჩვეულებაც აქვნდა, ამისად ნაცვლად დაგადევით წირვა: ათი ბატონის დ ა დ ი ა ნ ი ს კ ა ც ი ს ა თ ვ ი ს და ათი ჩვენთვის; რომ თუ თქვენ და თქვენმა ძემა და მოშვილმა არ მოშალოთ, არც ჩვენგან და არც ჩვენის შემდგომის ჩყონდიდლისაგან და არც სხეთა მეპატრონეთაგან თქვენ ეს წყალობა საუკუნოდ არ მოგეშალოსთ.

არის ამისი მოწამე...

აწ უკეთუ [ვინმე] ხელყოს დაბრეცვად მტკიცისა ამისა განჩინებასა, მოისპენ იგი პირისაგან ვეთარცა უღმრთოჲ. რათა არა ეხილოს დიდება ღმრთისა და ჰაიღოს ზეგარდმოჲსა მამისა მიერ რისხვა.

ჩდპწ, აპრილა.

დ ა დ ი ა ნ ი კ ა ც ი ა
ბ ე ს ა რ ი ო ნ ჩ ყ ო ნ დ ი დ ე ლ ი მ ი ტ რ ო პ ო ლ ი ტ ი

---

[1] კაცის ძმაჲ] კაციასაჲნ. [2] თეორიანაა. [3] მჭადეობისა.

414. [ბრძანება ნეკროსელისა მღვდელ გიორგისადმი მორიგე კაცთა გამოკვანის შესახებ]

[1788 წ. 28 ივლისი]

ჰ. წმიდაო მღვდელო, ყუდალო გიორგი!

ჩემ, ნეკრესელ ეპისკოპოსისაგან ასე მოიხსენე: მეფის წიგნი გამომომგზავნია. ეს წიგნი წაიღე და გრემიდამ დაწყებული ყვარელამდინ და ყვარელსაც თავადთა, მოკელეთა და სოფლის კაცთა წაეკითხე და შეატყობინე. ამ ოქმის პასუხი უნდა მოახსენონ თავის კელმწიფეს. ან ასე მოახსენონ: «არ წამოვალთო», ან წავიდნენ, როგორც დაბარებულიხა არიან მორიგე და ჩარექის კაცნი. ორში ერთი სიტყვა გამოართვი, ან უნდა გაილახო და ან ორში ერთი სიტყვა გამოართვი: თუ წავლენ, წავიდნენ და ამ ჩემს წიგნზე მოაწერონ: «წავედითო», თუ არ წავლენ, ამავ წიგნზე ასე მოაწერონ: «არ წავალთო». ხათრს ნურავის შეუნახავ. ასე მოიქეც, თუ გაგლახსხეს გინმე და რა იქნება, შენის კელმწიფისათვის გაილახო.

ვიცი, ასე იფიქრებ: რატომ შენ არ წამოხველო: შეუძლოთ ვიყავ, ცხენზე ჯდომა არ შემეძლო და შენც ისევე ხარ.

ამ ორს დღესზე ამის აქმბავი უნდა შეგვატყობინო, რომ მეფეს მოვახსენოთ. ეს ერკოს შვილი ბერუა გამოგვიგზავნია, თან იახელ და ამის პირით შეგვატყობინე, რა პასუხს მოგკეძეხ.

ივლისის კგ, [ქრონიკონს] ფოვ. ხელითა

415. [ბრძანება ანტონ II-ისა დავით მგალობლიშვილისადმი ფაცერის ჩადების შესახებ]

[1788 წ. 3 ნოემბერი]

ქ. ყოვლისა საქართველოს პატრიარხო! და ალავერდელო, მეფის ირაკლის ძე, ანტონი მოგიწერ მგალობლიშვილ მდივანო დავით.

მერე არხიმანდრიტისათვისაც მოგვიწერია და ლიპოტის შესაყართან ფაცერი უნდა ჩაადგმევინო. თუ სიტყვა ვისმე აქვს, ჩვენ მოველთ და პასუხს ჩვენ მივცემთ.

ეს ასე უნდა გაქრისტიანო; ამაზე ბევრითაც უნდა მოიქცე. ჩვენი

---

[1] პატრიარხი.

ნაცვალი ტუტა გამოგვეგზავნია და იგანე ბერიძე, მეფის ცერეთ ესენი უნდა დააყენო. ახლავ უნდა ჩაქდგმევინო. დაგვიანდა ნება არ იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოემბერს 8, წელსა ჩლპწ.

ხელთაგი: კათალიკოზი

416. [წყალობის წიგნი ანტონ II-ისა ზაზა სოლაღაშვილისადმი]

[1788 წ. 9 დეკემბერი]

ქ. ყოვლისა საქართველოს პატრიარხის, მეფის იოანეს ძის, ანტონის კეთილად სახსოვარო სოლაღაშვილი ზაზა.

მცირე რადღან ჩვენი ნამსახურობ იყავ და მრავალ რიგად თავდადებული, ამისთვის ჩვენც წყალობა გიყავით — მცხეთის მეკონეთხუცობა; რომ შენთან სადაოთ ხელი არავისა აქვს. შენ მიხვედოდე და თავი დაქნდებოდე და კოხს ისე ჩაადგმევინებდე. და რომელიც შენი გასწესება იყოს, ამას აიღებდე და ჩვენს საქმეზედ ბეჯითათ მაიქცოდე.

ნოემბერს 9, წელსა ჩლპწ.

ხელთაგი: კათალიკოზი

417. [წყალობის წიგნი ანტონ II-ისა გრიგოლ ნათანლისშვილისადმი]

[1788 წ. 9 დეკემბერი]

ქ. წყალობითა ღმრთისათა ჩვენ, ყოვლისა საქართველოჲსა კათოლიკოს-პატრიარხმან, დავითაანმან მეფის იოანეს ძემან, ანტონი ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ შენ, ჩვენსა ერთგულსა და ნამსახურსა ნათანლისშვილს უხუცესთხუცის გიორგის ძეს გრიგორის.

ასე, რომ: შენი წესისაებრ ნამსახურობა მოგვეგონდებოდა და ამისად სამაგიეროდ გიბოძეთ კახეთში საყათალიკოსოს სათხოვარისა და გასაღების ამღებლობა. ყოველს ფერს საჭიროს საქმეზედ შენ წარიგელინებოდე, შენ აიღებდე და ჩვენს სარჭობში მოაბარებდე; და შენს სარგოს აიღებდე უცილებლად.

ღმერთმან დიდის უკლესიისა მცხეთისა და ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შინა მოგაჯმაროს.

ამით ამისი დამხდური სრულიად სამცხეთით აზნაურ
შეელხი და კაცისა ჩვენისა მოქელეხი.

დაიწერა წყალობის წიგნი ესე თთუესა დეკემბერს თ, ქრისტესა
ლიტყჳსა ღმრთისა განკორციელებითგან ჩლჳზ, ქორონიკონს უოვ,
იოანეზსა პატრიარხობისა ჩვენისა წელიწადისასა პირველსა.

ხელითა: კათალიკოზი ანტონი

418. [წიგნი ანტონ II-ისა დოსითეოს ნეკრესელისადმი მღვდლის უკანონო ხელდასხმის შესახებ]

[1788 წ. 17 დეკემბერი]

საქართველოს პატრიარხი, მეფის ირაკლი მეორის ძე, ანტონი მოგიწერ ყოვლად სამღვდელოვ ნეკრესელ ეპისკოპოსო დოსითეოს!

მე დიდად მიკვირს შენის მეცნიერებისაგან, რომ საქართველოს მამათ-მთავარს სამწყსოს შემოსცილებიხარ და ჩვენის ყმისა და სამწყსოს ეპისკოპოსის ასაბაშვილის დიაკონის დავითისთვის მღუდელად ჭელი დაგისხამს.

როგორ მოგხვლია, რა მიზეზია, ან ვისის ბრძანებით გიქნია, უნდა მომწერო და შემატყობინო.

თუ საკათალიკოსო ეპარხია დაქვრივებული იყო და მწყემსი ღათ უჭდა, იმისის ეწმიდესობისაგან გაწერხებული და იმის სიმაღლისაგან დამტკიცებული დიაკონი ხომ იყო, და ესენი გაიგებდენ საძღუდელოსა და სულიერს საქმეებსა, რატომ ამათ არ დაეკითხე და ამათის წიგნით არ აღუთქვი. და თუ ამ ჩემს კათოლიკოსობაში იყო, ჩემს უკითხავად როგორ გაბედე ჩემის სამწყსოს მიტაცება, ორგზითვე დიდი ცოდვისი საქმე გიქნია, და წინააღმდგომი წმიდათ მამათ კანონისა.

თუ შენი სამწყსო იყო, ნეტარკვსენებულმა ბიძა-ჩვენმა იმის ეწმიდესობამ დიაკონად ჭელი რათ დაასხა. და თუ შენი სამწყსო არ იყო, ვინა ხარ, ან რა კადნიერება გაქვს შენ ჩემს სამწყსოზედ, რომ ჩემს კათოლიკოსობაში სამწყსოს შემომეცილე, და ჩემს დიაკონს ჩემს უკითხავად მღუდელად ჭელი დაასხი.

მე ასეთს ქვეყანაში ვარ ნამყოფ, რომ იქ შენისთანებისაგან ამგვარს კადნიერებას ვერ ეწყობიან, და ვერც დასთმობენ, და ვერც მე დავსთმობ, ვერც შენგან, და ვერც სხვათაგან; და არც ჩემს დროში ამისთანას ურიცობას ვისმე ვაქნევინებ.

მე კარგი პასუხი მაქვს შენთვის მოსაწერი ამისთვის, მაგრა ამ

დროებში, დია, მოუცლელად ვარ; და ჩემ [მსგავსი პასუხის მომ-
ცემად კმა არს შენდა კანონი წმიდათა მოციქულთა 35, ანტიოქიის
კრისა
22 და ეტესიასა 8; და იქიდამ პატრონს ყოველსავე, მე არაფერსა
სური გიც ამის მეტი.

მე ეგ მღუდელი დავით, კანონისაებრ მამათასა, მღუდელობი-
დამ განმიკეთია: აწლავ ვამოუცხადე, რომ ნელარა სწირავს, და
ხელარცა-რას იმღუდელმოქმედებს, ვითა ცხოვარი ჯანჭრილი სამ-
წყსოსაგან თვისისა და სხვისაგან ბიმღები ჭელის დასხმისა; ახლავ
შეატყობინე, რასაც წამს ეს ჩემი წიგნი მოგივიდეს, დაყოვნება არ
უნდა ამგვარს მამათ-კანონის წინააღმდგომს საქმესა.

დეკემბერს 16, წელსა ჩღპძ.

ხელრთვა: კათალიკოზი

419. ლრაზოტა ახლად ჯელდასხმულის მღვდელთმთავრის მისაცემელი

[1788 წ. 8 ნოემბერი]

წყალობითა ღმრთისათა, უნეტარესი და უწმიდესი პატრიარ-
ხი ანტონი, კათალიკოზი მცხეთისა და ყოველისა ანუ
ივერიისა, ძე ირაკლი მეფისა.

დიდმა მღუდელმთავარმან, ღვდელმა ღმერთმა და მაცხოვარმან
იესუ ქრისტემან დაასხნა ეკლესიასა შინა თჳსსა მო-
ციქულნი. წინაწარმეტყველნი და მოძღვარნი*.

მანვე მაცხოვარებითა თჳსითა განგებულებითა განაწესა სამ-
წყსოდ ნიქოზის ეკლესიისა, რომელსაცა შინა არიმან-
დრიტი ათანასი უნეტარესისა და უწმინდესისა პატრი-
არქისა ანტონისა და ყოველად სამღვდელოთა ეპისკოპოს-
თაგან აღირჩეა, და უკეთილშახერესისა და ღმაღლესისა მე-
ფისა ჩუენისა ირაკლი მეთრთასგან დამტკიცებით გან-
წესებულ იქმენ ეპისკოპოსად.

ხოლო წესისაებრ წმიდისა სამოციქულოჲსა ღმრთისაღმეთისა
ეკლესიისა თანა-მოქმედებითა და სრულყოფითა ყოველად წმიდისა
სელთასხმა, დიდსა შინა კათოლიკე ეკლესიასა, რომელიცა არს
მცხეთას, ჭელდასხმულ იქმენ ეპისკოპოსად ეპარხიისა მის ნიქო-
ზის ეკლესიისა თჳით ჩემგან. თანა-მწირველთა ჩემ-თანა, ყოველად
სამღუდელოთა ეპისკოპოსთა: მთავარეპისკოპოსისა პა-
ისიოსისა და ურბნისის ეპისკოპოსისა იუსტი-

* შდრ. I კორინთ. 12,28.

ნესით და წილების ეპისკოპოსი ამბრ-
სათა, რომელიცა თანა-ვაძს შენ შენდა პრწმუნებელისა საწყ-
ჯა თანჯმად მაცხოვრისა ჩუენისა უფლისა იესუ ქრისტესა
რებითისა მოძღურებისა.

პწყენის უკუე შენდა ეპისკოპოსთა ყოლსმოდგინედ თავია
თჳსისა და ყოველისა საჰწყსოსა შენისა, რომელსაცა შინა სულმან
წმიდამან დაადგინა შენ ეპისკოპოსად უფლისა და ღმრთისა ეკლე-
სიისა საჰწყსოსა, რომელიცა მოიგო პატივსსნითა სისხლითა თჳსი-
თა*, რაჲთა ვითარცა ღმრთისა მაწესებელმან დაუდგინო თავი
თჳსი სახედ საჰწყსოსა შენსა, სიტყჳთ, ცხოვრებით, სიყუარულით,
სულით, სარწმუნოებით, სიწმიდით.

და იყო ყოველთადმი მოძღურებით მყუდროდ, უზაკუნელ,
მყუდროებით განსწავლელ წინაადმდგომთა: არა ქადიერ, არა
უქმ, არა მრისხანე, არა მომთუელე, არა ქაცის მკელელ, არა სა-
ძაგელის შემძინველ, არამედ უცჳთო-მოყუარე, ღმრთის-მოყუარე,
სიწმიდის-მოყუარე**, მართალ დიმს მკრძალეე მტკიცე პრწმუნე-
ბულსა შინა სიტყუასა, რაჲთა ძლიერ იყო და ნუგეშინისცემულ კე-
თილსა შინა მოძღუარებისა.

იღუაწე კითილითა ღუაწლითა სარწმუნოებისათა და დაიცუენ
მცნებანი ღმრთისანი და უყუედრელად:*** ნუ თავსა თჳსსა საშინო
ეყოფი, არამიდ მრავალთა. რაჲთა ჰსცხოვნდენ.

ხოლო უყუთე ისილო სჯულისა გარდამაჲალობაჲ რაჲმე, ანუ
გარდაკცევაჲ რაჲმე, ძლიერი სარწმუნოებასა შინა ზედა დაადეგი
დროთა და უკუროდ ამხილე. და ეგეცრე ყოველთა სელგრძელე-
ბითა და სწავლითა.

ხოლო მყოფთა საჰწყსოსა შინა შენსა მღუდელთა და დიაკონ-
თა ჰმოძღურიდე. რაჲთა ჰმსახურებდენ აღსაშენებელად და მაცხო-
ვარებად პრწმუნებულთა თჳსთა ზრუნუათა. რომლისათჳსცა
მსწრაფელ თჳნიერ კმაჲსა გამოცდილებისა იანხილუსა და მოძღუ-
რებისა; რაჲთა არა დაასხმიდე ჴელთა, რომლითაცა არა ეზიარო
სისჴსა ცოდუათა.****

ყოველითა მოსწრაფებითა იღუაწე, რაჲთა არაოდეს თჳთ, არა-
მედ იცინაცა პრწმუნებულსა მათდა ცნობასა ჭეშმარიტებითისა სა-

---

* შდრ. საქმე მოციქ. 20,28.
** შდრ. ტიტე, 1, 7—8; I ტიმოთ. 3,3.
*** შდრ. I ტიმოთ. 6,12—14.
**** შდრ. I ტიმოთ. 5,22.

ხარებისასა და გზასა მაცხოვარებისასა არა ოდენ ეკლესიასა შინა
არამედ სახლთაცა შინა ასწავებდნ.

შორს მყავ საწყალობისაგან შენისა ყოველი ტრფიალებაჲ
ცუდმორწმუნეობაჲ.

დიაცევ მოცემულნი წმიდათა მოკაცქულთაგან და მამათა მიერ-
ნი განწესებანი ეკლესიათა და მონასტერთანი.

მოცალე იყავ კითხვასა შინა საღმრთოთა წერილთა და კანონ-
თა მსოფლიოთა და ადგილობრივთა კრებათა და წიგნთა წმიდათა
მამათასა.

იყავ ზჳაჲ მკითხველთადმი სიტყვის გებასა შინა და მაცხო-
ვარებისა მოძღვრებისა.

იღუწე, რაჲთა ყოველსა წელიწადსა, ანუ გაჭირვებით ყო-
ველსა საძსა წელიწადსა მოვლო საწყისიჲ თჳსი, რაჲთა ჰსცნა
მდგომარეობაჲ მისი, სრულჰყო ნაკლულევანებაჲ, განმართო სა-
ყუდრელნი, და უმეცარნი და მეიქუენი დაადგინო ჭეშმარიტებასა-
სადმი.

რაჲთა ყოველივე განაწესო თანჴმად დიდებისა ღმრთისა კანო-
ნითა წმიდათა მამათაჲთა და მოციქულთა ეკლესიისა და სჯულისა მე-
ფობითისა.

ხოლო უდიდესისათჳს წარმართებისა საქმისა ამის რაჲთა გა-
ქუნდეს ზრუნუაჲ სასწაველებელთათჳს, რაჲთა შეალნი სამღუდე-
ლოთანი ჰმოძღურებულ იყუნენ არათდეს სწავლითა, არამედ კე-
თილითაცა ჩუეულებითა თანამდებობისადმი მღუდელობისა, რაჲთა
ეკლესიათა აქუნდეს ღირსნი კაცნი დიდისა მის ჩინებულებისანი,
რაჲთა აღუჴანამან მათმან მღუდელობასა შინა ჰმსახურონ აღშე-
ნებასა მისსა და არა დაქცევასა.

ხოლო მიუხდომელთა საგმეთა შინა თანამდებ ხარ შენ კითხუ-
ად სწავლისა და აღმხსნისა ენტარესისა და უწმიდესისა საჭარ-
თუელოს კათალიკოზისა, ვითარცა უპირატესისა შენ არხიეპისკო-
პოსისა; ეგრეთუე საჭიროებასაცა შინა კითხუად და მოხსენებად
მისდეე.

ხოლო უნამდჳლესისათჳს გულისსმისა უფალსა შენ ზედა და-
დებულისა მწყემსობითისა თანამდებობისა მოგეცემის შენ ამას
წიგნსა თანა წარმოთქმული შენ მიერ წინაშე ღმრთისა ეკლესიისა
და მეფისა ტრფისა კურთხევისა შენისა ფიცით აღთქმაჲ.

ხოლო ცხებისათჳს მოწამობისა კვალად შენ ეპისკოპოსად
ხარისხსა ზედა ამის სამღუდელოჲსა ნიჭობის ეპარხიის მთავრობი-
სასა ხელდასხმულ და კურთხეულ იქმენ.

მოგვცა წიგნი ესე ჴელითა ჩვენითა მოწერილი და ბეჭდით უწმიდესობისა ჩუენისათა დამტკიცებული.

საშეუფოსა ქალაქსა ტფილისს განკრძალებითგვნ[ა]ხ[ა]ვს ტკვისა ჩლბწ, თთესა ოცსამსერსა ფ.

420. [ბრძანება ანტონ II-ისა იოსებ ჯუღუღულისადმი დიდოელთ ჯალის თაობაზე]

[1780 წ. 4 მაისი]

ჩ. ყოველსა საქართველოს პატრიარხი, მეფის ირაკლის ძე, ანტონი, ლოცვა-კურთხევას მოვიწერ პატიოსანთ მღუდელო ქურხელო იოსებ.

მერმე ქვლივძე საამ[ო]ა რომ არზით მოგუახსენა დიდოელთ ჯალის საქმე და ჩუენგან ოქმი ებოძა, მაშინ ჩუენ სრულებით ვერ გაგვეშინჯა, როგორ ყოფილიყო თავობით იმ ჯალის ამბავი.

ახლა ამისი მაღალი ღირსება წმიდის დავით-გარეჯის წინამძღუარი თეოდოსი მოვიდა და თვითოეულად მოგუახსენა: ნეტარხსენებულის ბიძის ჩვენისაგან ბოძებული ოქმი გვიჩვენა და საგარეჯოს მოერავისა და მუნებურთ კაცთ მუჯალმაც წინ დაგვიდგა, რომ დიდოელთა ყოფილა ის ჯალა.

ჩვენ ნეტარხსენებულის ბიძის ჩვენისაგან ბოძებულს ოქმს ვერ მოვწვლით და ვერც მონასტერს წინააღმდგომს საქმეში გავეხვევით, ჩვენც დიდოელთათვისავე გვიბოძებია.

და რომელიც ოქმი ქვლივძე საამს მიეცით, ამ წერილით დაგიმტკიცებია; გამოართვი ის ოქმი და ამ წინამძღვარს მიეც. და თუ დაჰკარგოდეს, როცა გამოჰნდეს, ამ ოქმსავე დააყენოს, ბეჭდით მოიქცეს. ასე აღასრულე და გაარიგე.

მაისს დ, წელსა ჩლჯთ.

421. [წყალობის წიგნი ანტონ II-ისა იოანე გედეონის-შვილისადმი]

[1780 წ. 20 მაისი]

...სრულიად საქართველოს [კათალიკოს-პატრიარხმან, ძემან სანატრისა ჴელმწიფე მეფისა ირაკლი მეორისაჲმან, ანტონი ესე ყამ[ო]ა და დრთა გასათვებელი წყალობის წიგნი და სიგელი გიბოძეთ თქუენ, კათედრისა ჩუენისა კათოლიკე ეკლესიისა სეტატისა

წმიდისა მკვიდრთა ყმათა აზნაურთა გედეონის შვილს სარდალს იოანეს, ძმის წულსა შენსა ერასტის და ბერ-ონს, შვილსა შენსა დავითს და ვახტანგს და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე.

ასე რომ: მოხუედით კარსა პალატისა ჩუენისასა და დისევის მოურაობას გუეპყრნით.

და ჩუენ ფიწულილესას გამოძიებით და ჭეშმარიტის სამართლის განჩსყით გამოვიძიეთ და განვიხილეთ ამისთვის; და ნეტარ-ისენებულის ბიძის ჩუენის კათოლიკოსის ანტონის მიერ ნაბოძები წყალობის წიგნი და სიგელი ბეგდით დამტკიცებული გქონდათ ამ დისევის მოურაობისა.

და ჩუენც ვისმინეთ ვედრებითი თხოვნა თქუენი და ამ წიგნად განგიახლეთ და დაგიმტკიცეთ და გიბოძეთ დისევის მოურაობა ყოვლის კაცის უცილებლად და წამოუსარჩელოდ.

რომელიც სიგელი თვინიერ ამისსა გამოჩნდეს ვისგანმე, სიგელმან ამან გააბათილოს.

გქონდესთ და გიბედნიეროსთ ღმერთმან ეკლესიისა და ჩუენისა ერთგულობასა და სამსახურსა შინა. და არა მოგეშალოს არა ჩუენგან და არცა ჩვენსა შემდგომთა ჩუენთა მოსაყდრეთაგან.

ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი იკურთხნეს ფიწულისა მიერ. არამედ თქუენ ყოვლად სანატრელო კათალიკოზ-პატრიარქნო, რომელნიცა შემდგომად ჩუენსა იქმნებოდეთ, თქუენცა ესრეთვე დამტკიცეთ, რათა თქუენიცა გაგებული მტკიცე ჰყოს ღმერთმან.

არიან ამისნი დამხდომნი ერთობით მცხეთის შვილნი.

დაიწერა ინდიკტიონსა პატრიარხობისა ჩუენისასა ა, განჰკრთ-ცელებითგან სიტყუასა ჩლბთ, თთუესა მაისსა კ. ქორონიკონს ფოზ, ქელითა მისის უწმიდესობის მთის ალექსანძრის ანჩისხატის დეკანოზის უღირსის სოლომონისათა.

422. [წყალობის წიგნი ანტონ II-ისა იოანე ჟარუმიძისადმი]

[1759 წ. 29 მაისი]

წყალობითა ღმრთისათა, ჩუენ, იესიან, დავითიან, სოლომონიან, ბაგრატოანმან, ძემან მეფისა ირაკლი მეორისამან, კათოლიკოსპატრიარხმან მცხეთისა, ქართლისა, კახეთისა და ყოვლისა[1] ივერიისამან [ანტონი] ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ შენ,

[1] + ანო.

ქარუმიძეს, სამთავისის ეკლესიის პროტოპოპს, წინა
წეს.

ასე, რომ: დიდის გულსმოდგინებით გამოვიძიეთ და გამოვიკითხეთ სარწმუნოთა და ღმრთის-მოშიშთა კაცთაგან და შემტყობელნი დარწმუნებულ ვიქმნენით, რომ სამთავისის ეკლესიაზედ ვითად ნამსახური ყოფილიყავ და შენის შეძლებით მრავალი ღუაწლი, ჭირი, შრომა დაგედვა საყრდოთგან სიბერემდე მოველით, ერთგულობით, სამსახურით და გარჯილობით.

და სამთავნელთაგან პატივისცემით მიღებულ იყავ და ყოველად სამღვდელოს მთავარეპისკოპოსს პაისიოსს თაყის სამთავნელობაში იმ ეკლესიის დეკანოზად დაედგინე და ჯელდასხმელ ექმენ პროტოპრესვიტერად.

რადგან ძველადვე იმ ეკლესიის ჯვარისმტჯრთველობაც შენა გქონიდა და არც ის მოგშლოდა, ჩვენც ამ მიზეზით გიბოძეთ და დაგიმტკიცეთ ორივე —სამთავისის ეკლესიის დეკანოზობა და ჯვარის-მტჯრთველობა, თანჯმობითა შენის ეპისკოპოსის იესეოს სამთავნელისათა; რომელნიც აწას დროს არ მოგეშალოს არა ჩვენგან არცა შემდგომთა ჩვენთა პატრიარხთაგან და არცა შემდგომთა სამთავნელთაგან.

და ამასაც გიბრძანებთ, რომ როგორც ვალი გქონია და გაქვს იმ ეკლესიის მოვლისა, ერთგულად სამსახურისა და გაძღოლისა და შენის ეპისკოპოსის მორჩილებისა, ერთგულობისა და სამსახურისა უფრო ერთგულობით და თავდადებით ჰმსახურებდე, მოუვლიდე და გაუძღუებოდე და შენის ეპისკოპოსის ყოველს წინააღმდგომობისა და საწყენის საქმისაგან ივლტოდე.

და რაოდენნიცა საეკლესიონი საჭირონი საქმარნი ნივთნი და მაშენლნი არიან სადეკანოზონი, ისინიც შენთვის გვირწმუნებია, რომ შენის ეპისკოპოსის ნებისაებრ იმ ეკლესიას კეთილ წარმართებით რიგიან მოაქმარებდე.

და ვინცავის იმ ეკლესიისანი იყუნენ მღუდელნი და დიაკონნი, ყოველთა უპირველეს შენ იმყოფებოდე.

და რომელიც სამღუდელოთაგანი შენზედ უფროსობას მოიხდომებს მუნებური და ამ ჩვენს განჩინებულს წინააღუდგება და არ შეიწყნარებს, იგი მაღლისაგან მღუდელობითისა ჩვენ მიერ განშაშულებულ იქმნების.

მაისს კთ, წელსა ჩღპთ.

ხელითა: კათალიკოზი

ჩუენ ყოველად სამღუდელომან სამთავნელ ეპისკოპოსმან იოლიოს, ენახე რა წყალობის წიგნი ესე მისისაუწყებელი მიდგსობის კათალიკოს-პატრიარხის მეფის ირაკლის ძის ანტონისგან ბოძებული, თანჯმობით დავამტკიცე.

მაისს კთ, [წელსა] ჩღპთ.

ხელთვეა: იოლიოს

423. [განწესება ერეკლე II-ისა და ანტონ II-ისა დავით-გარეჯის საქმეზე]

[1789 წ. 26 ივნისი]

ჭ. ჩვენ მაგიერად და ჩვენის შვილის, იმის უწმიდესობის კათოლიკოსის ანტონის ნაგიერად, იმის ყოველად სამღუდელოებას წინაწყმიდელს იოანეს ესრეთ ეუწყოს:

მერმე თქვენის ყოველად სამღუდელოებისაგან და მონასტრის კრებულისაგან მაგ ღირსის მამის დავით-გარესჯის საქმე მოწერილი ყველა თვითეულად ვიუწყეთ, მაგრა ახლა დრო აღარ იყო ამ საქმის სამართლის შესრულებისა. ამისთვის, რომ წინასტერი ესაზრდელოდ არ დარჩეს და დრიდგან ასე განვაგეთ:

ახლა ამ ჭეულად ამაზედ თქვენ ბეჭითი უნდა იყუნეთ, რომ თვის დროზედ როცა დაბარების დრო იყოს, ორი კარგი შემძლებელი ბერი გამოარჩიეთ მონასტრიდამ, სოფლიდამ ცხენიბი და კაცები უბოძეთ და გამოიყვანეთ. მშვიდობით გაჰყოყვანონ, გზაზედ არა წაეკიდოსთ რა. და მანდ რომ მოვიდენ, წინასტირის ყმანი კარგათ შეეწევიანენ ცხენით და კაცით. და რომელიც საჭირო ნივთი არის იმათ შესაწევნელი, ყველა მზა უყონ.

და ის ღირსნი ძმანი, რომელნიც გამოვიდნენ სულიერის მოძღვირნობით, დიდათ ბეჭითნი იყუნენ და გაისარჯენ, რომ წლის საზრდელი მოიარეწონ და შეჰკრიბონ მონასტრისათვის.

თქვენც ბეჭითი ბრძანდებოდეთ და იმისი ყოველად სამღუდელოება ბოდბელი კულავაც შეჰწე ყოფილა და ეხლაც შეეწევა.

ამაზედაც ბეჭითად ბრძანდებოდეთ: მონასტრის მოჭელეებს უბრძანეთ, რომ მონასტრის ზერებსა და მამოლებს რიგიან მოუარონ, რომ არა წახდეს რა. და რომელიც მონასტერს დასჭირდეს ჩამე, იმასაც შეეწევნენ; ან მოპრიეს ყარაული არ დააკლდეს მონასტერსა; და მონასტერშიაც უბრძანეთ, რომ ფრთხილად იყუნენ.

და ერთს ორს თთვეს უკან მოცლა იქნება, შეეცდებით ჩვენ-
ცა და ჩვენი შვილიცა, იმისი უწმიდესობა; და როცა უფლისწული
სი იქნება მაგ მონასტრისა და მაგ ძმათათვის, ღმრთის ძალში შე-
შეწევნით იმას განვაგებთ.

იუნისს კზ, ქორონიკონს უოჳ.

ბეჭედი: მე ღირსთგანბანილთა მიერ გკლესია ვადიდე ერეკლე
ხელრთვა: კათალიკოზი

424. [ბრძანება ანტონ II-ისა აბრამა ზანდარაშვილისადმი ღალის აღების თაობაზე]

[1789 წ. 9 ივლისი]

ქ. ყოვლისა საქართველოს პატრიარხი, მეფის ირაკლის ძე, ანტონი გიბრძანებ ზანდარაშვილო აბრამაე.

მერე როგორც კვლავ აგიღია ჩვენთვის ღალა, ახლაც ისე სრულებით უნდა აიღოთ და ჩვენს სარჭაში უნდა მოაბარო. და თუ სიტყვა გისმე აქვს, ჩვენ მოგვახსენოს. და როგორც აგიღია ღალა, ისე სრულებით უნდა აიღო.

ივლისს თ, ქორონიკონს უოჳ.

ხელრთვა: კათალიკოზი

425. [ბრძანება ანტონ II-ისა მოურავ ჯამასპისადმი პატარძეულელთა და ხუმელთა მიწების თაობაზე]

[1789 წ. 11 სექტემბერი]

ქ. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარხის, მეფის ძის, ანტონის ჟამ ყოველ კეთილად სახსოვარო, სავარეჯოს მოურაო ჯამასპი.

მერმე პატარძეულელნი და ხამშელნი მიწებზედ რომ დაობენ და ამათთვინ ამ საქმეზედ იმის სიმაღლეს პატონს მამაჩვენს ოქმი დაუწერია და პატარძეულთათვის უბოძებია, ჩვენც შენთვის ეს მოგვიწერია, რომ: როგორადაც ამ პატონის ოქმში აქხადებდეს, ისრე უნდა აღაბრულო.

და მანამდინ ხამშელთა და პატარძეულელთ ჩვენს წინ ვალა-პარაკებდეთ. შენ ღალა იმ სადაოს მიწისა არავის უნდა დაანებო. და მერმე როდესაც ჩვენთან ილაპარაკებენ, რომელთაც ის მიწები დარჩება, ღალაც იმათ მიეცემა.

ეს ჩვენგან მოწერილი წიგნი თქვენ ასრე უნდა აღასრულოთ.

ენკენისთვის იგ, ქორონიკონს უოჳ.

ხელრთვა: კათალიკოზი

426. [გრძანება ანტონ II-ისა იასაულისადმი სალთხუცესად ამილბარისათვის ციხის აშენებაში დახმარების გაწევის თაობაზე]

[1788 წ. 13 ოქტომბერი]

ქ. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, შეფის ირაკლის ძის, ანტონის კეთილად სახსენებელი* იასაული.

შენმე სალთხუცესი ამილბარ კომკსა და ციხეს სადმე აშენებს და ამისთანა საქმე ჩვენის ქვეყნის წესჩვეული არის.

და ეს შენთვის გვიბძანებია: უნდა დაადგე გომსა, მეტეხსა და ჩოჩეთსა და ან მაგ მკარეს, სადაც ჩვენი ყმანი იყვნენ — სახასონი თუ აზნაურშვილის ყმანი, უნდა მაგათ კომლზედ ერთი შეაბმევინო, ქვიშა და ქვა მოუზიდვინო; რომ ერთს კვირას ასრე უნდა მოეხმარონ და შეეწიონ, რადგან მაგისთანა საქმე ქვეყნისაც შესაძლი არის და მაგათიც გამოსადეგი საქმე არის.

და ორს დღეს ელამზედაც უნდა მოეხმარონს, რომ საცრისათვის ჯე მოეზიდონ.

ამისთანა საქმეზედ სხვანი ნაგ მკრის კაცნიც შეეწევიან და ორა საკვირველი იქნება, რომ ეგენი უფრო მოეხმარონ და შეეწევნენ. ამაზედ უარი არავისგან იქნება.

ეს ჩვენი ბძანება შენ ასრე უნდა აღასრულო.

ოქტომბერს 13. ქორონიკონს ჳოზ.

ხელრთვა: კათალიკოზი

427. [წყალობის წიგნი ანტონ II-ისა სახლთუხუცესს ამილბარ მაღალაძისადმი]

[1788 წ. 12 ნოემბერი]

ქ. ვენაქისა მის ჰეშმარიტისა რტო-ყოფად მაშინ ვიდრემე შეისმინების ჩუენზედა, ოდეს იგი გამოვიღებდეთ ტეეანსა კეთილთა საქმეთასა.

ხოლო კეთილისა საქმენი არა რაჲთამე სრულიქმნებიან, თჳნიერ სიყუარულისა და სიყუარული იგი შემოსრული ჩუენ შორის რაჲმე იყოს სხუა, უკეთუ არა დატევნა ღმრთისა სიყუარულად სახელდებელისა დატევნისამებრ ჩუენისა, რომლითაცა ვიწოდებით ჩუენ რტოდ მის[ს]ა.

---

* დატოვებულია ცარიელი ადგილი იასაულის სახელის ჩასაწერად.

ხოლო სიყვარულისა მოგება ჩუენ შორის მაშინ უკუე ნქმნეს, რაჟამს იგი ვიხარებდეთ კეთილ-შემოსილებასა ზედა ... და თუ სადმე ვიხარებთ, მტკიცე არს ვითარმედ ევსწადნოითცა მიცემად სხუათადმი კეთილ-შემოსილებათა.

ესეოდითარითა ამით საუნჯეებითა გაღმეძღებელი ჩუენ, წყალობითა ღმრთისაითა ანტონი კათოლიკოს პატრიარხი სამეუფოსა ქალაქისა მცხეთისა, ქართლისა, კახეთისა და ყოველისა საქართუელოისა დაეიოიანი, ძე მეფისა ირაკლი მეორისა, გაძლიერეთ წყალობისა და მოწყალებისა წიგნსა ამას შენ, თავადობისა პატივით პატივცემულსა მაღალაძეს ჩუენსა სახლთხუცესსა ამილახარს, ძმასა შენსა დავითს, შვილსა შენსა გაბრიელს, იოანეს, რევაზს, ალექსანდრეს, ძმისწულსა შენსა გიორგის და სოლომონს ესეოდითარითავს მიბეზჭაა:

მოგუგართუენით თქუენ წყალობისა როიარტაგნი ძუელთა საქართუელოისა მეფეთანი და უწმიდესთა მოსაყდრეთა ჩუენთანი, რომელითაცა ეზოძნეს თქუენთუის სახლთხუცობა ყოველისა სამცხეთოსა ქართლსა და კახეთსა შინა და დაეწერნესთ წიგნთა მათ შინა: იღებდეთ ოცისთავს ბაჟისაგან, თეთრისაგან, პურისა და ღუინისა, ცხერისა, ზროხისა და ყოველს გუარის შემოსავალისაგან.

და საათნო ვეყუენით ჩუენცა და თანაგმა ვექმნენით მათ.

ხოლო წიაბაძოთა მაბაათა ჩუენთა და სანატრელისა ბიძისა უწმიდესისა მოსაყდრისა ჩუენისა როიარტაგნი წორეიითხენით რა, ვიეძულენით ჩუენცა თუთ აბლითა ამით წერილითა განახლებად და დამტკიცებად მათდა, რომელსაცა ბრძანებენ ესრეთ.

ბრძანებს ბაბის მამა ჩუენი: «ჩუენ, მეფემან ირაკლი, ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ შენ, ჩუენსა დიდად ერთგულად, თავდადებით ნამსახურს მაღალ შვილს ამილახარს და შვილთა შენთა; ჩუენს მამა-ბაბათაგან წყალობად გქონებოდით და ჩუენცა წყალობა გიყავით და გიბოძეთ სახლთხუცობა სუეტის ცხოვლისა და ჯანიშინობა ამ წესით, რომ: ბერიგით საგანჯოსი და ბერაქეთ საგანჯოს, ჯიმითს, ახალშენს, ვეძისკევს, ერწოს, ბიწმენს, საგურამოს, რაც სუეტისცხოვლის მამულები არის და ჯვარს სახასო მამულები, სთველს თქუენ აიღებდეთ, პურს, საბალახეს, ჯუროვს და რუზედ ბრისჭასა; და სათავო არა დაგაკლდებოდესთ რა, ყოველისფერისაგან გამოსაღებს თქუენ აიღებდეთ და კათალიკოსსა და სუეტს ცხოველს თქუენ მიართმეოდეთ. სხუას კაცს ჭკლი არა აქუს, ვერცუინ

ჩვენი ბრძანება მოვიშალოს და გვრცელვინ შემოგეცილოს. ღრეშე/
კიდევ გვიბოძებია მცხეთას მაჩქათელას კონი და სიფიჩხურეთი
ზერტის მეღალობა და დიდგორზედ მთხისა ჭაშმურავობა».

ჩვენის პაპის ძმის, მეფის იმამყულიხანისაგან ბოძებული სიგელი ბრძანებს: «გიბოძეთო შენ, მაღალაძეს სახლთხუცესს ამილბარს და შვილთა შენთა შაბადინისა და აზამბურის მოურავობა ყოვლის კაცის ქელშეუვალად».

ბრძანებს უწმიდესობა მისი ბატონისშვილი კათოლიკოსი დომენტი: «გიბოძეთო შენ, მაღალაძეს სახლთხუცესს ნაქულბაქევის მოურავობა».

ბრძანებს სიგელსა შინა თჳსსა ბიძა ჩუენი, ნიტარხსენებული უწმიდესი კათოლიკოსი ანტონი, ძე მეფისა იესესი, ესრეთ: «რაოდენადაც ძუელთა კათოლიკოსთაგან წყალობად გჭონიათ, ჩუენცა ეგრეთვე წყალობა ვიყავით და გიბოძებთ ჩვენს სახლთხუცესს ამილბარს, ძმასა შენსა დავითს და შვილთა თჳსთა ჭოფილისის ქალაქს მსახლობელთ ჩუენის იკლესიის ყმათ მოურავობა, ჴაშნაკი: და ქალაქს გარეთ ავლაბარსა და გარეთუბანს მსახლობელთ მემკვიდრეთა თუ მოსოფლთა, ოდეს ან თუ დღეის იქით მოვიდნენ და ჩვენნი ყმანი შეიქნენ. — ამათიც მოურავობა: და აგრევე ანჩისხატში სასახლის ადგილი და თჳენის ბიძაშვილის ამოწყვეტილის ბურაბის წილი ყმა და მამული, რასაც ალაგს ჰქონებოდეს, მთასა თუ ბარსა, ველსა თუ ვაკოლსა, სახლკარითა, ბაღითა, ქვევრმარნითა, სასაფლაოთა, ზერითა, ხოდაბუნითა, წყლითა, წისქვილითა, საწყლისპირითი, ნასყიდითა და უსყიდითა, ყოვლის კაცის უკილებლად და ყოვლის თჳენის ნათესავის წამოსასრჩელად გვიბოძებია და დაგვიმტკიცებია».

კუალად სხვასა სიგელსა შინა ბრძანებს უწმიდესობაჲ მისი: «გიბოძეთ თჳენ, მაღალაძეს სახლთ-ხუცესს ამილბარს და ძმასა შენსა დავითს და შვილთა თჳენთა ჩვენის სოფლის აღაიანის მოურავობა, ამოწყვეტილის ჭარმაულის ნაკონები, რომელიც ვერანა ყოფილიყო და შენ აგიშენებინა».

კუალად ბრძანებს უწმიდესობაჲ მისი: «გიბოძებია სამი უმაშულო კაცი: ერთი მეკარვისშვილი, მეორე ვაჟაჲ იესეს ბიჭი და მისამე ხიზაბარელი თევდორე და მახარა თავეთის შვილებით».

და ჩუენ თანჯმა-ქმნილნი ზემო ჴსენებულთა მათ მეცეთა და სახატრელისა ბიძისა უწმიდესის მოსაყდრისა და მოძღურისა ჩუე-

ნისა როთრტაგთანი და მოძღვნებელნი და წიგნსა ამას შინა ჩუენ-
სა შთამწერელნი წყალობათა მათთანი, განგიახლებთ მათ ფხლეთ-
ამით წერილითა ჩუენითა ყოველთა კაცთაგან კელშეუვალად.

ჩუენცა ბრძანებისაებრ მათისა გვიბოძებიეს ყოველნი აქა წე-
რილნი და დაგვიდგუნიხართ მოურნედ საურავთა მათ; და გვიბრძა-
ნებიეს ჩუენცა, რათა აღლებდეთ ოცისთავს თეთრისაგან, ბაჟისა-
გან, პურისა, ღვინისა, ცხვრისა, ზროხისა და ყოვლის შემოსავლი-
საგან.

ღმერთმან საყდრისა მის ჩუენისა დიდისა ეკლესიისა მსახუ-
რებისა მისისა დიდებულებისა მაშისა ჩუენისა მეფისა და ძეთა მის-
თა ერთგულებისა და ჩუენსა მორჩილებასა შინა მოგაკმაროსთ და
შემდგომთა მოსაყდრეთა ჩუენთაგანცა მტკიცე გექმნასთ, რათა მა-
თიცა განგებული მტკიცე იქმნას.

არიან საქმესა ამას შინა თანამდები ჩუენნი კარისა ჩუენისა
მოხელენი და სრულიად სამცხეთონი აზნაურშვილნი.

დაიწერა ესე ითანეს მიერ ხუცისა სითნის იოანოძის დეკანო-
სისა, თთუესა ნოემბერსა **იბ**, წელსა ჟფლისასა **ჩლბთ**, ინდიკტიო-
სა პატრიარხობისა ჩუენისასა მეორესა.

ხელთაა: ქათალიკოზი ანტონი

428. [წიგნი ანტონ II-ისა ოთარ ამილახორისადმი სამთავნელ ეპისკოპოსის შეპირების თაობაზე]

[1789 წ. 22 დეკემბერი]

ჭ. მისს ბრწყინვალებას ამილახორს ბატონს ოთარს* და ერთობ ამილახვრის შვილება ქაიხოსროს, ბეჟანს და სხვათა ჩვენ ნათლის ღოცვა-კურთხევით მოვიკითხე.

მერმე ამ თქვენის სამთავნელ ეპისკოპოსისა ვერა გაგვეგია რა, თუ ეპისკოპოსი გინდათ, დაგვიდგუნია და კიდეცა გაჯავსთ, და თუ ეპისკოპოსი არ გინდათ, შეგვატყობინეთ და გამოვიყვანთ და მაგ ეკლესიის კარსაც დაგჭმავთ.

თუ არა და, რა მიზეზია, რომ ნიადგ ასე აჩოვლებთ. თქვენი ეპისკოპოსი ჰქვიან, ყმასა და მამულს არ აწყებებთ, შესამოსელს და წიგნებს და სხვას საეკლესიოს საჭმარს არას აძლევთ, რომ სწირონ, იღოცოს და ეკლესია შეამკონ; და როგორი ეპისკოპოსის ყოლა ან დმერთს როგორ იამება ამისთანა ყოფა.

---

* „ოთარს" წერილის თავშია, აქ კი სახელის ჩასაწერად დატოვებული აქვს ადგილი.

თუ ადარ გინდათ ეპისკოპოსი, ჩამოდით ერთობით და გამოვიცხადეთ და სხვა რიგად მოვახდენთ მაგ ეკლესიის საქმესა თუ არ ჩამოხვალთ, წერილით მაინც შეგვატყობინეთ, რა მიზეზიაა.

დეკემბერს კბ. წელსა ჩღათ.

ხელრთვა: კათალიკოზი

429. [დაგთარი კათალიკოზის სახასო და სააზნაურშვილო გლეხებისა]

[1789 წ.]

ქრონიკონს ფოზ. ამ წლის აწერილის დავთრის პირი არის მისის ეწმიდესობის კათალიკოზის სახასოსი და აზნაურშვილების გლეხისა.

ქ. უფლისციხეს

[ქ.] პაპიაშვილი მამასახლისი ყაზარა
ქ. წიტიკაშვილი მანუჩარა
ქ. ხუცესშვილი ყაზარა
ქ. წიტიკაშვილი ასატურა
ქ. ნაზარაშვილი არუთინა
ქ. გალუსტაშვილი გოგია
ქ. ქარსიძის გლახას ყმა გაბინაშვილი მატია
ქ. ამისივე ყმა ბერიკაშვილი ქიტუა

ქ. გორს

[ქ.] წვენიაშვილი როსტომა
ქ. გაბუაშვილი იოსება
ქ. ტერყაზარაშვილი ანდრია
ქ. აბრაგუნაშვილი ტერ სტეფანა
ქ. ალელი ბეჟანაშვილი ათანდილა
ქ. ტერ მოსესას შვილი ზურაბა
ქ. ოსკანაშვილი ოქანა
ქ. ჯუღურაშვილი გოგია
ქ. ხუდადაშვილი ზერაბა
ქ. კოტოშაშვილი გაბრიელა
ქ. ხითარაშვილი ნონია
ქ. ხითარაშვილი იოსეფა
ქ. ხითარაშვილი ზერაბა
ქ. მღებრიშვილი გაბრიელა
ქ. სითარაშვილი პეტრე
ქ. ხუცაშვილი დავითა
ქ. ფერიასაძე იორდანე
ქ. ფირუაშვილი დიღმელი ბეჟანა
ქ. უფლისციხელი აკოფაშვილი ივანე
ქ. არაშენდელი დიღმელაშვილი გოგია

ქ. ცხინვალს

[ქ.] ხახანაშვილი მამასახლისი მოსია
ქ. ხახანაშვილი ივანე
ქ. ვაშარ გივიშვილი კიკოლა
ქ. მოხელე ოანეზა
ქ. მოხელე პახუმაშვილი პეტრე
ქ. ქოცოს მიერი სვემანა შვილი ოსეფა

ქ. ბიზაზაშვილი ურია მოშია
ქ. ურია დანიელა
ქ. ხიხინაშვილი შაბათა

ქ. ჭორდს

[ქ.] გედევანიშვილის შოშიას ყმა ბურნაძე შიო
ქ. ამისივე მახათაძე მღვდელი იოანე
ქ. ამისივე ლომაური ივანე
ქ. ამისივე ჯალაბაძე პაპუნა
ქ. ამისივე ჯალაბაძე გოგილა
ქ. აქავ ჭარსიძის გლახას ყმა კახიაშვილი რევაზა
ქ. გედევანიშვილის იოსების ყმა არჩვაძე ზაზუნა
ქ. გედევანიშვილის სარდლის ბეკიას ყმა მარტოყოფელი სვიმონა
ქ. ამისივე ლომაური გლახა
ქ. ამისივე ლაშაძე გლახა
ქ. ამისივე რაზმაძე დავითა
ქ. ამისივე სვიმონაკა
ქ. ამისივე ხევსური პაპუნა

ქ. კულბითს

[ქ.] ოქროპირაძე მღვდელი გიორგი
ქ. ოქროპირაძე მღვდელი პეტრე
ქ. ოქროპირაძე დავით ღვდლისშვილი ბერა
ქ. ოქროპირაძე ქაქუცა
ქ. ოქროპირაძე პეტრე
ქ. ოქროპირაძე ბერუა
ქ. ოქროპირაძე თომა მღვდლის შვილი ყაბრიელ

ქ. ზერტსა

[ქ.] დილეთაშვილი ღამბარჯაშვილის ბიძაშვილები
ქ. აკოფაშვილი იჯანეზა
ქ. მაზმანაშვილი პეტრე
ქ. მაჭარაძე ღვდლი ბესარიონ
ქ. ბესიაშვილი გოგია
ქ. მაღალაშვილის ამილბარ სალთხუცის ყმა ზუბიაშვილი სტეფანე
ქ. ამისივე ცაქნელაშვილი ბერუა
ქ. ქარსიძის გლახას ყმა მინაზარაშვილი ბეკია
ქ. ამისივე მინაზარაშვილი ნასყიდა
ქ. ამისივე თოთაძე შიო
ქ. ამისივე თოთაძე გიორგის შვილი ყაბრიელა
ქ. მაღალაშვილის იაკობის ყმა ზუბიაშვილი გიორგი

ქ. ალიანში

[ქ.] აკჯაძე ბერუა
ქ. თაზიშვილის მოსეს ყმა ზარიძის შვილი რამაზა
ქ. ოდიშვილი გრისტესია
ქ. დილიმაშვილი შერმაზანი
ქ. ბატიაშვილი გიორგი
ქ. შედიაშვილი ამედა
ქ. ფეიქრისშვილი ივანე
ქ. ზარიძე ივანე
ქ. გედევანიშვილის შოშიას ყმა დარბიაშვილი გოგია
ქ. კათალიკოზისა მამუკაშვილი ზურაბა

ჭ. რუისში

[ქ-]ლევნიაშვილი თამაზი
ქ. გელდიაშვილი ბერი
ქ. გელდიაშვილი ქიტესა

ჭ. არაშენდას

[ქ-] კობაძე თამაზი
ქ. კობაძე კაკა
ქ. კობაძე ივანე
ქ. წეროვნელი კაცური
ქ. ოქროპირიძე ოთარა
ქ. ოქროპირიძე მამუკა

ჭ. ლელესთავს

[ქ-] კვალიაშვილის ყმა რევაზი-
შვილი დათუა
ქ. ამისივე ყმა ლექუმიძე და-
თუა
ქ. ამისივე ყმა ელიაშვილი სე-
სია

ჭ. ზემო ნიქოზს

[ქ-] მოხელი სოტაშვილი ბერი
ქ. ცხვარაშვილი ივანე

ჭ. ქვემო ნიქოზს

[ქ-] მოხელი ალავერდაშვილი
გოგია
ქ. დგერიელი გილაშვილი გრი-
გოლ

ჭ. ზემო ხვითს

[ქ-] მოხელი ტერიაშვილი სვი-
მონ
ქ. ელიაშვილი ზურაბი
ქ. ელიაშვილი ბექანა

ჭ. ტ[ი]რძნისს

[ქ-] ტეტუნაშვილი გოგია
ქ. ტეტუნაშვილი მოსე
ქ. ტეტუნაშვილი სიო
ქ. ტეტუნაშვილი ტატია

ჭ. ერგნეთს

დარბუაშვილი ლეთისია

ჭ. ქსუისს

სალირაშვილი ნინია

ჭ. დიდს გარეჯვარს

ატენელი დვალიშვილი შაქარა

ჭ. კახბს

თაზიშვილის თეოდოსეს ყმა შა-
ლვეტაშვილი ბეცია

ჭ. დვანს

კობაძე ბერი
ქ. დამპალაში ჭოჭველაშვილი
გოგია

ჭ. დარეთს

მოხელი ამბოკაძე გოგია
ქ. აქვე მოხელი შალიკაშვილი
ნინია

ჭ. სომხეთს

ქარსიძის გლახას ყმა დევსურა-
შვილი ზურაბი

ჭ. აჭარ ზერტს

თოთიძე ტეტია
ქ. თანდილაშვილი დათუნა
ქ. ატენელი ბერიშვილი ქიტესა
ქ. ტერტერაშვილი მამასახლისი
ზურაბი

ჭ. თორტიზას

მეტიკაშვილი ქიტესა

ქ. ხელთუბანს

ძეგველი პატარა ბერუა

ქ. სათემოში

საკათალიკოზო ამბროსაშვილი ამბროსა

ქ. ფხვენის[ს]

კომლი ორი

ქ. ქვემო ხანდაკს

გედევანიშვილის სარდლის ბეცის ყმა ხიზანაშვილი გოგია
ქ. ამისივე ყმა ხიზანაშვილი ზაზა
ქ. საკათალიკოზო მაისურაძე ივანე
ქ. გედევანიშვილის იოსების ყმა ხატისაშვილი ლევანა
ქ. ამისივე ყმა იმერლიშვილი ბეცია
ქ. ელიოზიშვილის ნინიას ყმა მამულაშვილი ლომკაცა
ქ. ამისივე ჩიტაშვილი ბერი
ქ. ამისივე კვთიაშვილი იესე
ქ. ამისივე კვთიაშვილი ბაზალა
ქ. ამისივე კაჭუა ნინია
ქ. თაზიშვილის მოსეს ყმა ბათუნაშვილი ნინია

ქ. გომს

მაღალაშვილის სალთხუცის ამილბარის ყმა ლომიაშვილი მატია
ქ. საკათალიკოზო ფეტვიაშვილი პავლე
ქ. ხითარაძე გლახა
ქ. ავბეგწვაშვილი ივანე
ქ. მშვილდისშვილი მათე
ქ. რთველაშვილი გოგია
ქ. ნატრაშვილი კაცია
ქ. მშვილდისშვილი ესტატე
ქ. ზაქარიაშვილი ბასილა
ქ. კაციაშვილი დავითა
ქ. ზაქარიაშვილი ბეცია
ქ. ორბელაშვილი პეტრე
ქ. საგინაშვილი ოთარა
ქ. სოლომანაშვილი დავითა
ქ. კაციაშვილი გრიგოლა
ქ. ბიძინაშვილი ივანე
ქ. ოცქაშვილი შიო
ქ. ხიზანაშვილი ზაზა
ქ. თაზიშვილის ყმა ბათუნაშვილი ბერუა
ქ. საგინაშვილი იესე
ქ. ბათუნაშვილი გლახა
ქ. ამბროსაშვილი თევდორე
ქ. მაღალაშვილის მეტეხის მოურავის იოსების ყმა თათარაშვილი მღვდელი გიორგი

ქ. მეტეხში

გუგულაშვილი გოგია
ქ. გზირიშვილი ივანე
ქ. ნონიკაშვილი დათუნა
ქ. ინაძე ესტატე
ქ. ნაცვლიშვილი გიორგი
ქ. ამშაიფარაშვილი გივი
ქ. გეჯაძე აბრამა
ქ. ქსოვრელი ბერი
ქ. გეჯაძე პავლია
ქ. ოთიაშვილი გლახა
ქ. ღაღიხვრეტია ზურაბა
ქ. დათაშვილი ქრისა

ქ. აბრამაშვილი ზურაბა
ქ. ოდიშაშვილი ბერტა
ქ. შარიფაშვილი დავითა
ქ. პატარქალაშვილი ტეტია
ქ. ტატანაშვილი გოგია
ქ. კოლერაშვილი ბერტა
ქ. პოპია დავითა
ქ. სალთხუცის ამილბარის ყმა ალაბაშვილი მახარე
ქ. ამისივე შამათაშვილი ბერტა მეტეხის მოურავის ყმა
ქ. ამისივე ხუციშვილი ქიტეა
ქ. ხუციშვილი მექვაბე ზურაბა
ქ. მაღალაშვილის მცხეთის მოურავის დავითის ყმა ლეკაშვილი გლახა
ქ. მაღალაშვილის სვიმონის ყმა აგრიაშვილი ივანე
ქ. ბოჭორაძის ყმა ეუტისშვილი ქიტესა
ქ. მერაბაშვილი დავითა
ქ. თუხარლის როსტომის [ყმა] მალაციძე პატარკაცი

ქ. ახალქალაქს

სულაბაშვილი გაბრიელა
ქ. მღვდელი ფოფხოტე
ქ. უმეკაშვილი ოსეფა

ქ. ზემო ხანდაკს

ქ. მაღალაშვილის სალთხუცის ამილბარის ყმა ამირეზაშვილი ქიტესა
ქ. ამისივე სამხარაძე ივანე
ქ. თუხარლის როსტომის გირგიმაშვილი გოგია
ქ. მაღალაშვილის კაკას ყმა რთველაშვილი სესია

ქ. სახირეთს

პაპუნაშვილი რუსეთიდამ მოსული ბეცია
ქ. ბარნაბიშვილი გოგია

ქ. ქვახვრელში

ჭარსიძე გლახას ყმა გაბინაშვილი როსტომა

ხიდისთავს

ლაშქარაშვილი გოგია
ქ. დვალიაშვილი დვითისია

ქ. ჩოჩეთს

თუხარლის ნაკოლოხის ყმა მალაციძე თევდორე
ქ. სალთხუცის ამილბარის ყმა ანიაშვილი პეტრე
ქ. ამისივე ხუდიაშვილი ივანე
ქ. მაღალაშვილის სვიმონის ყმა ტრძე მაშეკა
ქ. მაღალაშვილის მოურავის ყმა ლვინჯაშვილი დავითა
ქ. მაღალაშვილის გაბრიელის ყმა ნონიაშვილი ბეცია
ქ. მაღალაშვილის ზაზას ყმა სოგაზარაშვილი ესტატე
ქ. თუხარლის გოგიას ყმა გაბრიშვილი გოგია

430. [წიგნი ანტონ II-ისა ოთარ ამილახვრისადმი ეკლესიის ყმის ჯარიდან განთავისუფლების შესახებ]

[1780 წ. 25 თებერვალი]

ქ. მისს ბრწყინვალებას ამილახორს ბატონს ოთარს ქრისტეს მიერის ლოცვა-კურთხევით მოვიკითხავთ.

შერმე ეს ქართველი ხომ მოგეხსენებათ, რომ მე მახლავს და ამისი როგორ იქნება ან ჯარში და ან სხვაგან სადმე წართმევა და გაგზავნა თქვენგან თუ სხვათაგან. და თქვენ თურმე ჯარში დაგიწერიათ და თქვენის ბრწყინვალებისაგან ეს. დიაღ, ბიკვირს.

და მეორე ეს იცოდეთ: ამისი ორი კაცი რომ დაგიწერიათ ჯარში, ისინი მე ჯანდა მაბატიოთ. შეამაველი ვარ და ჯარში ის ამის კაცები არ ვინდა გაგზავნოთ და მაგიერს კეთილის-მყოფლობას ჩვენც ვიცდებით.

და ამასაც ვითხოვთ, რომ ამასა, თუ ამისს ყმებსა სხვათაგან უფრო უმეტესად შეიბრალებდეთ და თვალსა და ღირს მიუგდებით ხიდაგ; და ჩვენც ერდგულებასა თქვენსა განგვსაზღვროთ.

აღიწერა ფებერვალს კე, წელსა ჩლჯ.

ხელითა: კათალიკოზი

431. [შეწირულების წიგნი ეფთვიმე გენათელისა გამოჩინებულისადმი]

[1780 წ. 27 მარტი]

ევა შენ მრავალია ტანჯვათა ქრისტესთვის დამთმენელო და მრავალჯაზის ღვაწლისა დამდებო დიდო მოწამეო ქრისტესო გიორგი, მე, მონამან და მოსავმან შენმან ყოველად სამღვდელომ ეფთვიმე მიტროპოლიტმან, ძემან გურულის ერისთვისამან, ეფთვიმემ უძღვენ მცირედი ესე შესაწირავი წმიდასა შენსა ეკლესიასა გამოჩინებულსა ესრეთ, რომ:

ყოვთა უღიროებისაგან ჩვენა ქვეყანას გურიას მეჭიხ დიდი ნახდომა და ნამტერევა; და ჩვენის ქვეყნის, დიაღ, მრავალი კაცია სული დაყარგულიყო და ოდიშის ქვეყანას დამტყვეებულიყო. და მე კათალიკოზს ბატონიშვილს იოსებს არხიდიაკვნათ ვახლდი და იმ ქამად იმერეთსა და ოდიშს შუა დიდი მტერობა და ერთმანეთში ნახდომ-მოხდომა იყო.

და მაშინდელი დაკარგული ჩვენის ქვეყნის საერისთო კაცი გიორგი დევაძე ოდიშიდამ გამოვიყვანე ჩემის ცდით და

ჩემის ხარჯით და ეს ეკლესიის წმიდის გიორგის ლესია და მისი შემოვალი საწირაძღვრო კაცი ჯერ მამაჩემს ქრისტეფორე ეკავებინა და შემდგომად მისსა მე მჭირდა დიაკვნათ ვიყავი. და მამაჩემი ქრისტეფორე შეძლებისაებრ ნამსახურიც იყო ამ ეკლესიის კეთებაზედ და შენებაზედ.

და როდესაც მამაჩემი იმ შენს ეკლესიაზედ დაემარხა, მეც ეს ჩემი ნასამართლი და არას კაცისაგან სიდეო, ალალი, სამართლიანის გზით ნაშოვარი გიორგი დეგაძე, მისი შვილი გოგიბელა, მისი ძმა მახარობელი და იესელა, მათის ცოლ-შვილით და ყოვით მოვიყვანე და გარდამენებულის კაცის გურგენიძისეულს ადგილ-მამულზედ დაგისახლე. ამაშიდ სხვას კაცს ხელი არა აქვსთ რა, ისე ჩემი საკუთარი ნაშოვარი არის; ჯერ ჩემი სამამო საერისთო ძირის კაცია და შერმეთ ჩემგან ნაშოვარი არის. ხელი არავის [ა]რა აქვსთ ამაშიდ.

სანამ დიაკვნათ ვიყავი, მე მეჭირა ეს ეკლესია და მისი შემოვალი კაცი. და მე გენათლობა მომკვეს. და შემდგომად ჩემსა სხვა წირნამძღვარი განვაწესეთ და მას ვაორწმუნეთ. და ეს დეგაძე გურგენიძისეულს ადგილზედ დაგისახლეთ და შემოგწირე. შეიწირე შენ მრავალთა ტანჯვათა დამთმენელთ დიდო მოწამეო ქრისტესო გიორგი. და ნაცვლად ამისა მაგე მე კურნება სულთა და ხორცთა.

აწითვან ვისცა და რომელმანმე ძემან კაცისამან: მეფეთა ანუ დედოფალთა, თავადთა, ანუ შენისა ეკლესიისა წირნამძღვართა, აზნაურთა ანუ ხოხელენთა, სამღდელოთა ანუ საეროთა შლად ხელყოს და ეს ჩემ მიერ შეწირულობა მოგიშალოს, ჯერთქენ ძლიერი საჭურველი შენი, წარმოაგდებინე გუეგა თვალისა მისისა და მოუწყვიდეს საყვარელი და საწადელი გულისა მისისა; და იყავნ იგი შეკრულ ზეგარდამოთა რისხვითა და დაისაჯოს იგი დასჯითა საუკუნოთა.

ხოლო დამამტკიცებელნი და მტკიცედ დამბეჭდველნი ამისნი იყავნ კურთხეულ უკუნისამდე.

აწ არის ამა წერილისა მოწამე გამოჩინებელის წინამძღვარი წულუკიძე ნიკოლოზ, კანდელაკი ქრისტეფორე, ქორიძე გიორგი, ხელოსან[ნ]ი: შანიძე დავითელა და ხოსრუა და სხვა სულ ერთობით საწინამძღვრო კაცები.

და აღიწერა ხელითა არხიდიაკვნის იოსელიანის დავითისათა თვესა მარტსა კზ, წელთა უფლისათა ჩჟპი.

შენიშვნა: გურიული მიტროპოლიტი ეფთვიმი.

432. [წყალობის წიგნი დოსითეოს ჯუთათელისა თამაზაზ აბულაძისადმი]

[1790 წ. 8 აპრილი]

ქ. წყალობითა და შეწევნითა პირველისა სიტყვისა უფლისა ქრისტესითა ჩვენ, ყოვლად სამღუდელომ ქუთათელ მიტროპოლიტმან დოსითეოს ესე მტკიცე და უცვალებელი წიგნი წყალობისა აღვიწერე და გიბოძე შენ, ჩვენსა ერთგულებით მსახურებელსა აბულაძეს თამაზას და ძმათა შენთა ქაიხოსროს და გიორგის და შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა.

ვსრეთ და ესევითარად, რომე: ყამთა ვითარებისაგან და სოფლისა მიმოკვეთებათაგან თქვენი სამკვიდრო გლეხი სხუათ დაეპყრათ და თქვენ, ვითარცა ჭეროან იყო ჩემდა მოძართ მსახურება და ერთგულება, ეგრეთ მოსწრაფეთ, გულსმოდგინებით მსახურეთ და განამრავლეთ.

და ამისთვის ჩვენცა ვიხილეთ ნაცულად მსახურებისა წყალობაი და ესრეთ გიბოძეთ და გიწყალობეთ ჩვენ მიერ ამოყვანილი შენი სამკვიდრო გლეხი ეფრსათს ბერძნაძე გიორგი თავისის ცოლ-შვილით და აღგიღ-მამულით და სამართლიანის საქმით, რომლისაც მქონებელი იყოს; რომელიცა ვაქუნდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ერთგულებით მსახურებასა შინა ჩვენსა შენ და მომავალთა სახლისა შენისათა.

აწ რომელნიცა კაცთაგანმან ანუ სამღუდელომან და ანუ საერომან ესე ჩვენ მიერ წიგნი წყალობისა შეგიცვალოს, მისცეს უფალმან შიშველი ოუდასი, შენის ტანი დიოსკორესი, ცოცხლივ დაწოქმა დათან და [ა]ბირონასა; და ხუმცა იხილავს დიდებასა ღმრთისასა; და განიკითხოს ნაცულად ჩემსა დღესა მას დიდსა სასჯელისასა.

ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი იყვენ კურთხეულ აწ და საუკუნოდ.

აწ ამის გამრიგე და მოწმე: მოურავი აბულაძე პაპუჩა, ქეთლად აბულაძე სვიმონ და ერთობით ჩვენნი კაროსა მოხელენი.

აღიწერა თვესა აპრილსა გ. ქორონიკონს აქათ ჩღყ. ქალთა ნიკოლაოს ითბიან გაბაონელისათა.

ხელმძღ: ყოვლად სამღუდელო ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს

433. [წყალობის წიგნი ანტონ II-ისა იესეანთ ოვანეზასადმი]

[1700 წ. 24 აპრილი]

ქ. წყალობითა ღმრთისათა ჩვენ, კურთხეული მაკურთხეველმან, მეფეთა შარავანდედმან, ყოველისა საქართველოსა კათალიკოზ-პატრიარხმან, ძემან სრულიად საქართველოსა მეფისა იოაქიმ მეორისამან, ანტონი ესე წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ ჩვენს ყმას მოქალაქე იესეანთ ოვ[ა]ნეზას, წვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა.

ასე, რომე: შენს ბანაყოფს მირზას შენთვის თავისი სახლები გირაოთ მოეცა და ნეტარად ხსენებულს ბიძა ჩვენს პატრიახსაც წიგნი ებოძებინა. რომ სამკვდროდ თქვენი ყოფილიყო და ის წყალობის წიგნი გილანს დამწვარიყო; ამაში ხანს გაეცლო.

ახლა ჩვენს დროს წიგნის გაახლებას დაგვეჯე. ჩვენც ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და ის სახლები ხუცესთან გირაოთ ყოფილყო ოცდახუთ თუმნათ. ეგ ოცდახუთი თუმანი შენ ოვ[ა]ნეზამ უნდა მისცე და ის სახლები დაიხსნა.

ვინაცობა არის, იმ სახლის პატრონი მოვიდეს და ამ ქვეყანას დადგეს და ისევ ჩვენი ყმა იყოს, შენი ოცდახუთი თუმანი თავის ანგარიშით მოეცეს და ის სახლები დაიხსნას თავის პატრონს.

სხვა[1] შენთან საქმე არავის აქვს, ოღონდ არ მოვიდა. შენთვის წყალობა გვიქმნია და გვიბოძებია, ამიტომ რომ მირზა შენი სახლის კაცი იყო და უფრო მონასიები იყო, რომ შენის სახლის კაცს სახლები შენ გქონოდა; რადგან ჩვენი ეკლესიის ყმაც ყოფილ, ამ მიზეზით წყალობა გიყოფით და გიბოძეთ. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენსა ერთგულობასა შინა. არა მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა ჩვენთა მოსაყდრეთაგან.

ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხოს.

არიან ამისი მოწამენი და თანაწმანი ერთობით ჩვენნი მოპყრობანი.

აღიწერა ხელითა მაღალაძე მდივნის იოსებისათა, თვესა აპრილსა კდ, წელსა ჩლე.

რაც ამ ოცდახუთს თუმანს გარდა სხვა ხარჯი რამ მოგვიდეს მაგ სახლებზე, პასუხი იმან ვაქცეს.

ხელრთა: კათალიკოზი

ბეჭედი ხელრთა: ზაზა

---

[1] +არავის.

434. [წყალობის წიგნი ანტონ II-ისა სახლთუხუცესს ამილახარ ვახტანგისადმი]

[1790 წ. 27 აპრილი]

ჩ. წყალობითა ღმრთისათა ჩვენ იესიან, დავითიან, პანკრატოვანმან, ძემან მეფის ირაკლი მეორისამან, და ზემოჴსა საქართუელოს კათოლიკოს-პატრიარხმან, დიდმან მამათმთავარმან ანტონი, ესე უკუნისამდე ქამთა და ხანთა გამოსადეგი სამკვიდრო და ქამთა შინა საბოლოვო წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ, ხვეტას ცხოვლის სახლთუხუცესს მაღალაძეს ამილახარს, ძმასა თქუენსა დავით. შვილთა თქუენთა, ძმისწულთა და ყოველთა სახლისა თქუენისა მომავალთა.

ასე, რომ: ბორტაში შენობას ამირებდი და ციხის გაკეთებას და იმის ახლო ჩვენის ყმის კალატოზის შვილის ნაქონი მიწა, რომელიც დღეს თევდორეს შვილს ნინიას, ლუკიას და იმის სახლის კაცებს უჭირავს და ამას გარდა კიდევ შათირის შვილის ნაქონი მიწაც ბორტაშიეე, რომელიც დღეს დათას შვილს ზურაბს და იმის გვერს თევდორეს უჭირავს, იმის წყალობას გვეპყე.

ჩვენც ჩვენის მისედვით და გასინჯვით დავინახეთ და ჯეროვნად ვრაცხეთ, რომ რადგან ციხეს და შენობას ამირებდი, შენთვის ცხინდა საქიროდ საქმარი იყო.

ამისთვის ჩვენც წყალობა გიყავით იმ მამულისა, რომელიც მიწა და სამძუვარი ეს არის კალატოზის შვილის ნაქონის მიწისაჲ: აღმოსავლით კერძო შენს მიწამდის, დასავლის მჴრით შუა ბორტამდის, ბოლოს ჩრდილოთ ბორტის რუმდის და სამჴრით თქუენის ყმის მიწამდის. იგრეეე შათირის შვილის მიწის სამძუვარი აღმოსავალით კერძო შუა ბორტამდის, დასავლით უკანა ბორტამდის, სამჴრით თავს ჭოპამდის და ბოლოს ჩრდილოთ ბორტას რუმდის თქუენთუის გვიბოძებია და წყალობა გვიქნია.

ღმერთმან სუეტის ცხოვლის მსახურებასა მისის სიმაღლის ჴელმწიფე მამის ჩემის მეფის ირაკლისა და ჩემს ერთგულებაში მოგახმაროს და არა რომელთაგანმე მოგეშალოს.

აწ უკუე შემდგომად ჩვენსა ყოველად სანატრელნო კათოლიკოს-პატრიარხნო თქუენცა ასრეეე დაუმტკიცეთ და გაურიგეთ, რათა თქუენიცა გიგებული და გარიგებული ღმერთმან მტკიცე ჰყოს.

ეს მამული რომ თქვენ გიბოძებიათ, ამის მაგიერად იმ გლეხთ[ა] ლობა უყავით, რომელიც თეძმის პირს ჩვენი მიწა არისა[ა]ვილა ამაკეთებია

აღიწერა ქელითა ალექსის ძის დავითისათა, აპრილს თორმეტსა, რიცხუსა კზ, წელსა განხორციელებითგან სიტყუისა ღმრთისა ჩჟყ, ხოლო ქართველსა ქორონიკონსა ზედა უოშ.

ხელრთულ: კათალიკოზი

435. [ბრძანება ანტონ II-ისა მოურავ იოსებ მაღალაქისადმი მამულის გაყოფის თაობაზე]

[1790 წ. 27 აპრილი]

ქ. ზემოხსა საქართველოს კათალიკოს-პატრიარხის, მეფის ირაკლის ძის, ანტონის კეთილსახსოვარი მეტეხის მოურაო მაღალაქევი იოსებ.

მერე პორტაებს შუა კალატოზისშვილისა და ხათირისშვილის მიწა არის, ის სალთხუცესს ამილბარს უბოძეთ, და რომელთაც გლეხკაცებს ჯავახებს ეს მამული ეჭირათ, ან ნინიას თევდორეს შვილს, ან ნონიას და ან დათას შვილს და მისს ძმას — ამათთვის ამ მიწის მაგიერად ჩვენი მიწა რომ არის თეძმის პირას, იმ მიწის წყალობა გვიქნია.

შენ უნდა მიხვიდე და ორთავე შუა უნდა გაუყო. ის ჩვენი ხოლაბუნი მაგათთვის წყალობა გვიქნია, რომელიც თეძმის პირს არის იმ მიწის მაგიერად.

ეს წიგნიც მათ უნდა მისცე და მაგათ უნდა ჰქონდესთ.

აპრილს თერთსა კზ. ქორონიკონს უოშ.

ხელრთულ: კათალიკოზი

436. [წიგნი ანტონ II-ისა თარხნიშვილებისადმი სალთხუცეს ამილბარისათვის ციხის აშენებაში დახმარების თაობაზე]

[1790 წ. 1 ივნისი]

ქ. მისს ბრწყინვალებას თარხ[ნ]ის შვილებს ითანეს და გიორგის* ჩვენ მიერის ლოცვა კურთხევით მოვიკითხავთ.

მერე ჩვენი სალთხუცესი ამილბარ ციხეს რომ აშენებს პორტაში ია, როგორც მისის უმაღლესობის მეფის ბრძა-

---

* „ითანეს და გიორგის" საბეჭდის თაქშია, ჩვილი აქ უარიელი ადგილია დატოვებული.

ნება გაქვსთ მუშის მოხმარებისა, თუ ჩვენი სიყვარული გაქვსთ ჩვენი სახსარ, აზნაურშვილის ყმა და თქვენი ყმა რიგიანათ უხდიანთ [ა]ხმაროთ და შე[ე]წიენეთ.

თუ ის ციხე გაკეთდა, თქვენიც შესამატი იქნება და ქვეყნისაც: ჭეშმარიტად დიდად დაგიმადლებთ, როგორც ამას შე[ე]წევით და მე[ე]ხმარებით ამ საქმეზედა, და ან კიდევ როგორც ჩვენი ბრძანება იყოს, ისე უნდა მაახმაროთ.

თიბათვის ა, ქორონიკონს ჩოჩ.

ხელითა: კათალიკოზი

437. [წიგნი ანტონ II-ისა გოჯოულთხუცეს იოანესადმი სალთხუცეს ამილბარისათვის ციხის აშენებაში დახმარების თაობაზე]

[1790 წ. 1 ივნისი]

ქ. ყოველისა საქართველოს პატრიარხის მეფის იოაკლის ძის ანტონის კეთილად სახსოვარო ბოჯოულთხუცესო იოანე და გოძის მოურაო ელიოზისშვილო ნინიავ.

მერმე როგორც ჩვენი ოქმი აქვს სალთხუცეს[ს]ა და იმაში სწერია სარი და ერევნი და კაცი—ჩვენი სახასო თუ აზნაურშვილის ყმა — ყველანი უნდა შე[ე]წიონ და მა[ა]ხმაროთ, რაცა დროს მაინდომოს. და ან ხელი მოუშალეს და მუშა არ გაუვა, იცოდეთ, ჯარიმას წაგართმევთ და ავადაც მოვეპყრობით.

მისის უშიშლესობის მეფის ბრძანებაცა აქვთ თარხნიშვილებს, ამ საქმეზედა და ჩვენიცა.

თიბათვის ა, ქორონიკონს ჩოჩ.

ხელითა: კათალიკოზი

438. განჩინებითი წერილი ყმიდისა, დიდისა და სამეუფოდისა ეკლესიისა მცხეთისა

[1790 წ. 22 ივლისი]

წყალობითა ღმრთისათა, ჩუენ, ყოველისა საქართველოჲსა კათოლიკოს-პატრიარხმან, ძემან მეფისა ირაკლი მეორისამან, ანტონი ესე განჩინებითი წერილი დაგსდევ მტკიცე და უცვალებელი, რათა ნიადაგ და შემდგომითი შემდგომად ესრეთ იყოს, ბგებოდეს და დაიდგას წინაწე ყოველთა დიდთა და მცირედთაღმი, რომელიცა შესამატად დიდისა ეკლესიისათჳს ვსაჯეთ და განვაჩინეთ:

რომელიც ეკლესიის მამულები გასაყიდული და იმ მამულებისგან გამოსავალი კულუხები აზნაურებით გათანხმებული რომელნიცა პირველთა მოსაყდრეთა ჩუენთაგან, ესე სითანხე კ ა რ წ ა ნ ი ს ა და ო რ თ ა ჭ ა ლ ი ს ბაღებისა სრულ ერთობით მოკვეთილია. ამისთვის, რომ ეკლესიისათვის დიდი დასაკლისი იყო ამ ბაღების სითანხე; და ჩუენც ამისთვის შლად კელვყავით და ესრეთ განვაწესეთ, რათა:

ამიერითგან დიდსა სამეუფოსა ეკლესიასა ჩუენსა სრულებით და უკლებლად ნიადაგ წელიწადს რაგუარადაც ძველადგან დებულობაჲ ყოფილა, იმგუარად თავისი ბეგარა და კულუხი ისევ უკლებლად მოერთმეოდეს ეკლესიასა ძუელისა და ახლისა გათანხმებულის ბაღებისაგან, რომელიც რომ მოვშალეთ.

და თუ ამისდა შუამავლობა ვინმე ქმნას, ანუ დიდმან ანუ მცირემან, ქრთამითა და ანუ რომლითამე მიზეზითა, ეკლესიისა ვალსა ქუეშე იყოს დაწესებულ და წყევასა ქუეშე დადებულ.

და თუ შემდგომთა მოსაყდრეთა ჩუენთა ინებონ და შლად ამისდა ჴელჰყონ, ივინიცა იყუნენ ვალსა ქუეშე ეკლესიისასა.

და დამამტკიცებელნი ამისნი დმერთმან აკურთხნეს.

დაიწერა და დაიდვა ჩუენ მიერ განჩინებითი ესე წერილი მცხეთას ყოფასა ჩუენსა წინაშე კარსა წმიდისა და დიდისა სამეუფოსა ეკლესიისასა, იულისს **კბ**, წელსა **ჩლჭ**.

ხელრთვა: კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი. მეფის ირაკლის ძე, ა ნ ტ ო ნ ი

439. [წყალობის წიგნი გრიგოლ წინამძღვრისა პეტრე მღვდლისადმი]

[1790 წ. 7 ოქტომბერი]

როდესაც მათმან უმაღლესობამ, მეფემან საქართველოსამან ირაკლი მეორემან ინება და წინამძღურობა მიბოძა თელავის კარის ეკლესიისა და გრემის ეკლესიისა, იმის წინას წელიწადს იმ კარის ეკლესიაში იმყოფებოდა მღუდელი ი ო ა ნ ე ხ ი რ ს ე ლ ი. შეფისაგანვე დადგინებული; სოფლის საცთურით აღო ქელა და ისევ თელავს კარის ეკლესიის კრებულთან ეკლესიაში განწესდა ი ო ა ნ ე მღუდელი ხ ი რ ს ე ლ ი. დარჩა ის კარის ეკლესია უმღუდელოდ.

მაშინ მიბრძანა მისმან უმაღლესობამან: წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ო გ რ ი გ ო ლ, ეცადე და ერთი მღუდელი დაუდგინე ამ ეკლესიასაო. მე ბრძანებისაებრ გულსმოდგინე ეიქმენ და აღვასრულე. გამოვე

პატეოსანი მღვდელი პეტრე პირველ მსახლობელი იგნატ
თოს. ეს ბატონის ბრძანებელი გამოგიცხადე და შენც ვინებივრე
აიყარე შენის ცოლით და შვილით და ყოველის შენის საცხოვრებ-
ლით მიხველ და იმ ეკლესიაში დასდეგ. ეკლესიას წირვა და
ლოცვა განუწესე და რომელიც მღვდელობის წესია, ისე მსახურებ-
დ[ე] ეკლესიასა. ამ ეკლესიას გაუკეთებიხე შენე ბარძიმ-ფეშხუმი
ვეცხლისა თორმეტის თუმნისა და დავსდგი სადიდებლად ჩვენის
ჭელმწიფისა, რადგან მე შევიტყვ შენის იქ დაყენების მიზეზი და
შენც გულს-მოდგინე იქმენ.

ამისთვის ეს წერილი მოგეც: თუ შენს სახლში სამღუდელო
კაცი არ აღიხოცოს, ის ეკლესია არ გამოგერთოს, მისის უმაღლესო-
ბის ბრძანების გარდა; აგრეთვე არცა სხვათა წინამძღუართაგან. და
რაც იმ ეკლესიას შემოსავალი აქვს, არცარა საქმე ამისთანა აქვსთ
სხვათა.

ეს წიგნი მტკიცედ მომიცია მე, კარის ეკლესიის წი-
ნამძღუარს გრიგოლს პეტრე მღვდელო შვილთა შვილთა შვილთათვის.

ოქტომბერს 8, ქორონიკონს ჩოჱ.

ბეჭედი: გრიგოლ

ქ. როდესაც კურთხეულმა მეფე გიორგიმ კარის წი-
ნამძღვრობა მიბოძა, მაშინ ეს წერილი ამ პავლე მღვდელმა წარ-
მომიყენა, გრიგოლ წინამძღვარს მიეცა ეს წერილი. მეც
ამისი თანხმა შევიქენ, რომ ამ პავლე მღვდლის მეტს მღვდელს იმ
ეკლესიაში საქმე არავისა აქვს. ამისა არის კურთხეულთ მეფეთაგან
ნაბოძები; და ჩვენც, როგორც იქით უბოძებიათ, ის ბრძანება აღ-
გვისრულებია.

იელისის ქ. ქორონიკონს ჩჰწ.

კარის წინამძღვარი ელევფთერი

თაყვი

ქ. ჩვენ, მეფე სრულიად საქართველოსა ერეკლი მეორე
ვამტკიცებთ წიგნსა ამას.

გეორგობისთვის ჲვ, ქორონიკონს ჩჰგ.

ბეჭედი: ქნარს მიკუმს დავით მიყმობს ძედ კახეთს მეფედ ცხებულს
ერეკლე

წარწერა კიდეზე

ჩვენ, ბატონიშვილი იულონ ამ წიგნს ვამტკიცებთ,
რაგვარათაც წინამძღვარ გრიგოლს დაუყენები[ა] და

შეძლებამ მათს ღმაღლესობას დღემტკიცებია ჩვენც ასე დაგვმტკიცებია და დაგვიყენებია ამ ეკლესიაში.

აკაკი ალექსიძის ბიბლიოთეკა

აკვდემბრის კგ, ქორონიკონს ფპე.

ბეჭედი: ღ[მ]ის მშობლის სასოიანი იოლონ დავითიანი

440. [წიგნი ანტონ II-ისა კალაუზრელთადმი მღვდელ ლიღაბერიძისათვის სარგოს განწესების შესახებ]

[1790 წ. 8 ოქტომბერი]

ქ. ყოველსა საქართველოს პატრიარხი, ძე მეფისა ირაკლი მეორისა, ანტონი ქრისტეს მიერ ლოცვა-კურთხევას მოგიწერ კალაუზის მოურავი ოშანი და ერთობ კალაუზელთა[1].

მერმე თქვენის ახოვისაებრ იმერელ მღუდელი დიდაბერიძე დაგვიდგენია თქვენთვის მწყსელად, მოძღველად, მწირველ-მლოცველად და ყოველის მღუდელ-მოქმედების აღმასრულებელად ვახგვიწესებია. ამან სულიერად გმწყსოსთ და გაგიძღვესთ და თქვენ შეძლებისაებრ თქვენისა ჰმსახურეთ.

წელიწადში მისცემდეთ: კომლზედ ერთს კოდს პურსა, ორს ჩაფს ტკბილსა, აიაზმის სახდელად ერთს შაურს, მიცვალებულზედ შვიდს წირვას და შვიდს პანაშვიდსა, თხუთმეტს წირვას და თხუთმეტს პანაშვიდსა, ორმოცს წირვას და ორმოცს პანაშვიდსა.

თუ ამ წირვისათვის მღუდელს სადილი აჭამოს ვინმე, ორი შაური საწირავი მისცეს და ერთი შაური პანაშვიდსა. თუ პური არაფერ აჭამოს, საწირავი ერთი ბაზი მისცეს და ერთი შაური პანაშვიდსა. წლის შაბათი და წლის პანაშვიდი ამაში შემძლებელმა ყაცმა ასე აღასრულოს ეს წერილი. საშუალმა კაცმა ნახევარი და შეუძლებელმა კაცმა მესამედი.

კიდევ მიცვალებულზედ წლის თავს, ამრამის ტაბლას რომ უძახიან, ერთს ჩოხას, ერთს ახალუხს და ერთქველს ნიფხავ-პერანგს მისცემდენ. ჯვარის დაწერისათვის, ყრმის მონათლვისა და სახლის განათლებისათვის თქვენის შეძლებისაებრ ჰმსახურეთ.

თუ ამ ზემოწერილს ასე აღასრულებთ, მისცემთ და გააძლებინებთ, ხომ კარგია; თუ არადა, მაგ მღუდელს ისევ გამოეყევით და არც სხეას მღუდელს დაგიდგენთ, დიდად გიწყენთ და სულიერის მსჯავრით შეუნდობელად განიკეთხებით.

წმინდის გიორგის ეკლესიაში დაგვიყენებია და გალავნს გარეთ

---

[1] კარიულლია.

იმავ ეკლესიის მამულში, სადაც უნდოდეს სახლი დაიდგას, ხეც
რევდეს და ღელეცვდეს.

ზვარი და სხვა რაც შემოსაწირავი და ან მიცვალებულის ფა-
სახურავი მივიდეს, ამ ხუცესს მიეცეიდეს და ეკლესიას მოახმაროს.
და ზედაწესიც ესეც ხუცესი ახდიდეს, სხვას ხელი არა აქუს.

და რომელიც ამ ჩვენგან ნაბრძანებს წინ აღუდგეგბა, მძიმედ შე-
იერისხვება და გარდაქცეგბა.

ოქდომბერს ჱ, წელსა ჩღე.

და რაც მამულიდამ ეკლესიას ერგება წელიწადში, ამ ხუცეს
მიეცემოდეს და ეკლესიას რაშიც დასჭირდებოდეს, ეს ხუცესი
მოახმარებდეს.

ხელითა: კათალიკოზი

441. [წყალობის წიგნი ევთიმი წინამძღვრისა თავად ნახუცრიშვილისადმი]

[1791 წ. 80 მარტი]

ჩ. წყალობითა სამეთო, აღმა, ელლოი სამწმიდეობასა შინა
მხოლისა მეუფეგბისა ღმრთისა მაცხისა და ძისა და სულისა ყოველად
წმიდისა, ესე წყალობის სიგელი დაგიწერე და გიბოძე დიდებულ-
ლის ნათლისმცემლის მონასტრის სხუათა და სხუათა არხიმან-
დრიტმან ულიოსმან წინამძღუარმან ევთიმი დრო-
სა და ჟამსა უკეთილმსახურესისა და უმაღლესისა ქრისტეს მო-
ყუარეს ჰელმწიფეს მისის დიდებულების მეფისა ირაკლი
მეორისასა და კეთილმსახურთა დიდებულთა ძეთა მისთათა
შენ, ნახუცრიშვილს თამაზას, შვილსა შენსა ხუციას
და თომას და მომავალთა სახლისა შენისათა, ასე და ამა პირსა
ზედან:

წინაპართ უფალთ ყოველად სამლუდველოდ სამებელთაგან მო-
ხელეობა ჰქონებოდა შენს თჯახს. ამისთვის მრავალჯერ გვეხვეწე
შენის პირით და მოციქულითაც და სამებლის ბოძებული სიგე-
ლიც წამო[ა]ყენე.

რადგან რომ შენს სიტყუას ამისი წერილი და ბეჭედი ამტკი-
ცებდა, რომ შენს თჯახსა ჰქონებია ძველთაგან და ჟამთა ვითარე-
ბისაგან სხუას მისცემია; ამა მიზეზისათვის, რათგან ძველთაგან
მოხდილეობა თქუენი ყოფილა, მიქდომით ქრისტეს ღმრთისა მოწ-
ყალებისათა და დიდებულისა ნათლისმცემლისათა და წყალობით
მისის დიდებულების ჰელმწიფისა ჩუენისათა, მსგავსად მათსა მო-

ხელობის სიგელი გიბოძეთ, ყოველის მისის სამართლიანის სა-
ზით. და რომელიც მოხელის განწესება არის, ისიც მოგეცემოდეს.
და წმინდას მონასტერს ყოველის მორჩილებით და ერთგულობა-
ბით უნდა მსახურებდეთ ჩუენის ჯელმწიფისა და კეთილმსახურთა
ძეთა მათთათა; და სულით საუკუნოდ სადიდებლად წმინდამ სა-
შებამ ღმრთისმშობელმან და დიდებულმან ნათლისმცემელმან მოგ-
ცეს ბედნიერობად და კეთილობად თვისისა ღმრთაებისა დიდებად
და ჯელმწიფისა ჩუენისა ერთგულობასა შინა და მონასტრის და
მოურნისა მისისა მორჩილებით კეთილად მსახურებასა შინა.
არა მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა შემდგომთა ჩუე[ნ]თავან.
მარტსა კ, ქორონიკონს ფოთ.

ბეჭედი: ნათლისმცემლის მონასტრის არხიმანდრიტ ევთიმი.

მარცხენა კიდეზე

ქ. ჩვენ, ყოველად სამღუდელო ნიკოწმიდელ მიტრო-
პოლიტი და არხიეპისკოპოსი რუსთაველისა, ენი-
სელთ მთერავის ძე, სტეფანე ამ მაღალ ღირსთა არხიმანდრიტ-
თაგან ნამობებსა სიგელსა ვამტკიცებთ.
აგვისტოს ივ, ქორონიკონს უჟე.

ბეჭედი: სტეფანე

ქ. ნათლის[მცემლის] მონასტრის არხიმანდრიტი დო-
მენტი სიგელსა ამას ვამტკიცებ. წყალობის სიგელსა.
მაის[ს] იზ, ქორონიკონს უჟდ.

ბეჭედი: დომენტი

442. [წყალობის წიგნი ანტონ II-ისა იოსებ პეშისადმი]

[1701 წ. 9 აპრილი]

ქ. ჩვენ, ღმრთისა მიერ კურთხეულმან ღმრთივ-ცხებულთა მა-
ღალთა და აღმატებულთა მეფეთა შარავანდედმან, ყოვლისა საქარ-
თველოსა და აღმოსავლეთისა დიდმან მამათ-მთავარმან კათა-
ლიკოზ-პატრიარქმან, ძემან მეფისა იოანეს მეორისამან,
ანტონი ესე უკუნისამდე ქებათა და დრო ცვალებათა გამოსა-
დეგი მტკიცე და უცვალებელი და მიზეზ-შემოულებელი ყოვლის
კაცის მოუდევარი და უცილებელი სამკვიდრო და საბოლოვო წყა-
ლობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ, ჯა-
ხისშვილის დავითის ბუშს იოსებს, შვილსა შენსა
სეიდონს, შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა.

ასე, რომ: კახეთს გადავარდნილიყავ და იქ პატარა ვაჟკაცი ყოფილიყავ: მოხვედი და შენი თავი შემოგვეცადე და სვეტიცხოველს შენი თავი შემოსწირე შენის ნებით და ალრჩევით.

ჩვენც ეს წყალობა მოვიღეთ, რომ ჩვენს მეტს შენთან სამეტრონყოთ კელი არავისა ჰქონდეს და წელიწადში სვეტიცხოველს ხახვე[არ] ლიტრას სახოვლს, ერთს ჩარექს საკმელს მოართმევდე და აბაზს საწირავს დეკანოზს მისცემდე.

ამასდა გარდა სხვა ჩვენი გამოსალები არა გეთხოვებოდესთრა, ყოველს ფრიდამ გაგვიაზატებიხარ. დმერთმან ჩვენსა და ეკლესიის სამსახურსა შინა მოგახმაროს; არა მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა შემდგომთა ჩვენთა მოსაყდრეთა კათოლიკოს-პატრიარქთაგან.

დაიწერა ბძანება და საგელი ესე კელითა მ ა ღ ა ლ ა ძ ე მდივნის ი ო ს ე ბ ი ს ა თ ა. თვესა აპრილსა თ, წელსა ჩლჟა, ქორონიკონს ჳოთ.

ჩვლრთვა: კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი ა ნ ტ ო ნ ი
მარკჱნა კილეზე

ქ. ჩვენ, მეფე სრულიად საქართველოსა ი რ ა კ ლ ი მ ე ო რ ე მისის უწმიდესობისა მიერ ნაბოძებსა ამას საგელსა გამტკიცებთ.

აპრილის იზ, ქორონიკონს ჳოთ.

ბეჭედი: მე ფეხთგანბანილთა ვიერ ეკლესია ვედიდე ერეკლე.

ქ. ჩვენ, სრულიად საქართველოს დ ე დ ო ფ ა ლ ი ბატონს დადიანის ასული დ ა რ ე ჯ ა ნ მისის უწმიდესობის მიერ ნაბოძებს ამ საგელს ვამტკიცებთ.

აპრილის იზ, ქორონიკონს ჳოთ.

ბეჭედი: დ ე დ ო ფ ა ლ ი დ ა რ ე ჯ ა ნ

თავში ბეჭედი: რომელი განწესნათ ქუეყანასა ზედა, ცხონდ იყოს იგი ცათა შინა.

verso

ქ. მე, დ ა ვ ი თ გ ი ო რ გ ი ს ძ ე ს, ამ საგლის და ბატონის ბძანების ყაბული მაქვს. რადგან ბიძიჩემის დ ა ვ ი თ ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს ბუში გამოსდგეგ. შეც თავი დავანებე და ხელი ავიღე, არა ჩემი სახლის კაცი და მომავალი შენი მოდგეე არავინ იყოს. თუ ჩემი სახლის კაცი და ჩემი ნათესავი მოგეკდეს ვინმე, პასუხის მიმცემი მე ვიყო. შეც სვეტის ცხოვლისათვის მიმირთმევიხარ და შემიწირავხარ.

ამისი დამსწრენი: აფლაბრელი მეფუროშვილი დავ[illegible]
ია ბექდი, მაჭახლისი ანდრია ბექდი, კვეზერელი თან-
დილა ბექდი: ახაშენელი ვაჭერიასე ✝. ეროვნული ბიბლიოთეკა

მე, ნოდარ მიწობლიძეს დამიწერია დავით გიჯყრელის ნებითა და მოწამეც ვარ.

დაიწერა მარტის ა, ქორონიკონს უპ.

დავით, ნოდარ.

443. [წიგნი ანტონ II-ისა ოთარ ამილახორისადმი ყმების გაყოსალებისაგან განთავისუფლების შესახებ]

[1791 წ. 18 აპრილი]

ქ. მისს ბრწყინვალებას თავადს ამილახორს ოთარს ჩვენ მიერას ლოცვა-კურთხევით მოვიკითხავთ.

მერმე ეს ჩვენი ყმანი ზერტელები ჩამოვიდნენ და წინაშე ჩვენსა გამოცხადდეს, რომ საშინაბინძლოსა გვთხოვენ. ხომ კარგათ მოგეხსენებათ, წელს დია ზარალი მოუვიდათ, დასტყვილნი არიან და არა მოსვლიათ რა.

და ვითხოვ თქვენის ბრწყინვალებისაგან, რომ წლეულობით ამათ დაგისნიათ და ამათზე ხელი აიღოთ. და იმის უგანათლებულესობას ჩემს ძმისწულს დავითსაც მოახსენეთ, რომ ეს კაცნი უბრალო ხარჯში არაში გაირთოს.

აპრილს იწ, ქორონიკონს უოზ.

ხელრთვა: კათალიკოზი

444. [მეგრის განწესების წიგნი ეფთვიმი მენათელისა გელათისადმი]

[1791 წ. 12 მაისი]

ქ. წყალობითა ღმრთისათა, ჩვენ ყოვლად სამღვდელომ მაე-ნათელ მიტროპოლიტმან ეფთვიმი ესე საუკუნოდ შეუშლელი წიგნი დავდევი წმინდას ამას გელათის ეკლესიასა შინა, ესრეთ დაესევითარად, რომ:

ამ ეკლესიის გელათის მკვიდრის ყმას სიმონ ენთს მოსახლეს ივანე კლდიაშვილის შვილს ბასილა კლდიაშვილს ვალები დასდებოდა და გაღებულა თავის თავით გელათ

[1] +შო.

შეეძლო და ჩვენ შემოგვევლებინა და რომელიც ვალი დასდებოდა, ჩვენ გარდაგიხადეთ.

და ამისდა ნაცვალად თვითან თავის ნებითაც ინება და ჩვენც განუწესეთ და დავადევით ყოველს წელიწადს, სანამ ამისი მომავალი იქმნეს, ბატონისშვილის კათოლიკოზის იოსების მიცვალების დღეს, ცამეტს მაისს, ხუთის რების ცხვარი გელათს მოიყვანდეს და გელათის დეკანოზს მოგვრიდეს.

და გელათის დეკანოზი თვითან იმ დღეს, ცამეტს მაისს, ბატონისშვილის კათოლიკოზის იოსებისათვის სწირავდეს და პანაშვიდს გარდუხდიდეს.

და კიდე ისევ კლდიაშვილი კეთილობაზედ და პურის მოსვლის დროზედ ორს კოდს პურს გელათს სასებისყვრეთ მოიტანდეს და გენათელს მოერთმეოდეს.

ამ სახსრის მაგიერი ბეგარა ეს დაგვიდს და გაუგვიწესებია. სანამდის მისი ნათესავი სოფელსა ამას შინა იმყოფებოდეს, არც ეს ბეგარა მოეშლებოდეს. ვიდრე დაბასოულამდე სოფლისა ეს ორი კოდი პური და ეს ხუთი რუბის ცხვარი, როგორთაც ზემოთ დაგვიწერია და გაუგვიწესებია. ყოველს წელიწადს ეგრეთ იქმოდეს და არ მოიშლებოდეს.

აწ არის ამა წერილის მიწაწე: მოსელე ჩვენი კანდელაკი გოგია, მოურავი კლდიაშვილი ბერი და მისი ბიძაშვილი ცათიკა და სიმონეთის დეკანოზი ეგნატე. მდედელი გიორგი.

აღიწერა ხელითა ჩემის არხიდიაკვნის იოსელიანის დავით ბერისათა.

მაისს ია, ქორონიკონს აქეთ ჩდეჯ.

ჩვენთა შემდეომთა გენათელთა მოგახსენებ და ვედრებასა ვყოფ წინაშე თქვენსა, რომ: ამ მებეგრე კაცზედ თქვენებან თვალყურის დაყრა ექმნეს და შემოველა, მკვიდრი ამ გელათის უმა არის და მერმეთ კიდე ჩემგან დაბსნილი.

და ვინც ამას ყური არ უგდოთ და შეძლებისაებრ არ მოეხროთ, მეორეთ მოსველას ქრისტესთან პასუხი გამეცით.

ხელითა: გენათელი მიტროპოლიტი ეფთვიმე.

445. [ბრძანება ანტონ II-ისა მამულზე ხელის ამაართვის შესახებ]

[1791 წ. 26 მაისი]

ჩ- ყოვლისა საქართველოს პატრიარხი, მეფის ირაკლის ძე ანტონი ლოცვა-კურთხევას მოგიწერ მაჩაბელო ბარძიმ, გოგია ლევანიშვილო და უნაძე მამუკაც და კვანჭახაძე გაბრიელ.

მერმე მისის უმაღლესობის მეფის ოქმები იყო ჩვენზედა, რომელიც თავდებისა დმრთისმშობლის განაჩენი და ნუსხა არის, ესენი ყველა გავშინჯეთ. უწინაც ოქვენ ვემბართავთ ხელი იმ მამულზედა, გასყიდულზედა და გაუსყიდველზედა. ახლაც თქვენთვის გვიბრძანებია: როგორც იმ განაჩენში აღხდებს მეფის ბრძანება, ისე უნდა ხელი ამბართოთ და ყოველად სამღუდელოს ურჩველს იუსტიანესა და დეკანოზს უნდა მოაბაროთ.

ვისაც ბეგარა ედოს სანთლისა, საკმლისა და ზეთისა, ყველას თქვენ უნდა გამოართმევდეთ ყოველწლივ და ამათ მიაბარებდეთ. რომელიც იმ განაჩენს უკან მამული გაეყიდოსთ ვისმე და ან დაეგირავებინოს, იმაზედაც ხელი ამბართეთ და ამათ მოაბაროთ.

და ან დალა იყოს და ან კულუხი. იმაებსაც თქვენ აიღებდეთ და ამათ მოაბარებდეთ ყასყიდულს მამულზედ თუ ბეითალმანზედ.

და ან გასამყრელო იყოს ან თავისგასამტეხლო ან ჯარიმა და ან საქვრიო, ყველას ეკლესიისათვის აიღებდეთ და მოაბარებდეთ.

ესენი თქვენთვის გვიბრძანებია, რომ ასე უნდა აღასრულებდეთ.

მაისს] კვ, ქრონიკონს უოთ.

ხელმოწერა-ქათალიკოზი

446. [მღუდელმთავრობითი ძარღვა ანტონ II-ისა იოანე მღვდლისადმი]

[1792 წ. 6 იანვარი]

წყალობითა ღმრთისათა, ანტონი კათოლიკოს-პატრიარხი მცხეთისა, ქართლისა, კახეთისა და ყოველისა საქართველოჲსა.

მადლითა, ნიჭითა და ჴელდაწოფებითა ყოვლად წმიდისა და ცხოველმყოფელისა სულისათა, მოციქულთა ჩუენდა თვით დიდისა მღუდელმთავრისა, უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესითა, წმიდათა და სამღუდელოთა მისთა მოციქულთა და მოადგილეთა და მოსაყდრეთა მათთა მიერ;

კეთილ-კრძალული ესე კაცი იოანე პირუელად ფერთხილად გამოცდითა გულსმოდგინედ გამოძიებული და ღირს რწმენასმოსილ-თა მოწაფობითა და ეფროსიდა სელიერისა მამისა მღვდლისა ასულ-მიერ, მისთვს რწმენისებული ჩუენულებისამებრ და წესისა წმიდისა სამოციქულოსა აღმოსავლეთისა ეკლესიისა, კერთხევითა და გელის-დასხმითა ჩუენითა, თანაწოქმედებითა მისვე ცხოველსმყოფელისა სულისა წმიდისათა, ვაკურთხებთ ჩუენ მღვდელად ტაძარსა ზედა წმიდისა დიდისა მთავარმოწამისა გეორგის ეკლესიისა.

და დაუმტკიცებთ მას გელმწიფებაჲ, რათა სრულჰყოფდეს წმიდათა საიდუმლოთა ქრისტეანებრსა სელიერსა მცხოვრებსა კაცსა ზედა: ნათლის-ღებასა, მირონის-ცხებასა, აღსარებასა, ლიტურგიასა, გეორგეინოსნებასა ნებითა და თანხმობითა კაცისა და დედაკაცისათა და უკანასკნელსა ზეთის-ცხებასა სნეულთა ზედა; გარნა მრთელსა ზედა არა კადრებად აძისა; და ყოველსა ეკლესიურსა განკვეთასა და წესისა ქმნად ვითარცა მსახური ქრისტესი და მნე საიდუმლოთა ღმრთისათა.

ხოლო შეენის მღვდელსა მას ბრძანებისამებრ ჩუენისა და თანამდებობისამებრ თჳსისა ყოველთა სელითა შეესაკუთროს კითხუასა საღმრთოთა წერილთასა და არა სხუებრ თარგმნად მათდა, არამედ ვითარცა ეკლესიისა მწათობთა, წმიდათა და ღმერთ-შემოსილთა მამათა ჩუენთა მწყემსთა და მოძღუართა დიდითა თანჴმობითა განმარტეს.

და მცნებისამებრ მოციქულისა, რათა იყოს ფერხილ, წმიდა, კრძალულ, პატიოსან, ცეცხოთ-მოყუარე, მასწავლებელ, არა მომთურალე, არა მკელელ, არა მოლაღე, არა საძაგელის-შემძინებელ; არამედ მყუდრო, ლმობიერ, ვეცხლის-ყუარულ, თჳსისა საბლისა კეთილად განმგებელ*.

შეიღნიმცა უსხენ მორჩილნი ყოველითა სიწმიდითა, რათა ბილწთა და მდებრთა, ვითარცა იგივე მოციქული სწერს ტიმოთეს, ზლაპარითაგან იჴსნიდეს, რათა განსწავლოსვე თავ თჳსი კეთილმსახურებისადმი, იყოს ხატმორწმუნეთა სიტყუით, ცხოვრებით, სიყუარულით, სელით, სარწმენოებით, სიწმიდით და უფროსად მასწავლელ სარწმუნოებისა თჳსისა რწმუნებულისა ერისადმი, მცნებათა ღმრთისათა და სხუათა ყოველთა ქრისტეანებრთა კეთილმოგმეუდებათა ყოველთა დღეთა და უმეტესად დღეთა კჳრიაკე-

---

* შდრ. I ტიმოთ. 3,3; ტიტე 1,7—8.

თა, ვითარცა ბრძანებს მეექვსისა მსოფლიოსა კრებისა კანონსა მეათცხრამეტე და აღმსარებელთა მისდამი შეკრულად და განსხვა-
კანონისამებრ წმიდათა მოციქულთა და სწავლისამებრ ღვთისმეტყველთა. შემოსილთა მამათა და განწესებისამებრ წმიდისა აღმოსავლეთისა ეკლესიისა და ჩვენისაშებრ სწავლისა და ბრძანებისა.

ხოლო დიდთა არა ადვილ-განსასჯელთ მიზეზთა მოგუარომდეს და წინა-დაგვიდგებდეს ჩვენ.

ხოლო ტაძრისაგან რომლისადმიცა არს კურთხეულ და მისდამი მსახურად განწესებულ სხუად თვინიერ კურთხევისა ჩვენისა ვერა რაჲთამე სახითა იკადრის წარსულად მესაძისაშებრ კანონისა ანტიოხიის კრებისა. და ამათთა კანონთაცა რელლამენტისთა, ეს იგი არს განწესებათა სელიერთა მისის უწმიდესობისა მიერ მღუდელთათვის განწესებულთა, გულს-მოდგინედ და სწორად[1] იკითხვიდეს და მისებრ აღასრულებდეს.

ხოლო უკეთუ მღუდელი ესე იწყებს ცხოვრებასა უშიშრად ანუ ქმნად რაჲსამესი უგუანისა მღუდელობისასა, იქმს სიმთურალესა ანუ სიცრუესა ანუ მძარცველობასა და მტაცებლობასა ვითარისამე სახითა, ანუ სხუებრ იუწესოებს, ანუ ეკლესიისასა და სამწყსოსა თვისისათვის არა იღუწის, მიიღებს მღუდელობისაგან დაყენებასა, ვიდრემდის განვაჩართებოდეს და არ ეგნებდეს თავსა თვისსა უიშოდ და კეთილწესიერად შესაბამად მღუდელობისად.

და უკეთუ ბჭობს რაჲსამესა დამაყენებლობასა მღუდელობისასა, მიეცემის ვანკუეთისა მღუდელობითისა ხარისხისაგან მასვე ჟამსა, ოდეს ცა ჰქმნა დამაყენებლობითი საქმე.

ღირნა ჩუენ არა ვუნებავს ესე მისთვის და არც გვსურს, არამედ უფროსღა ვესწრაფით, რაჲთა ვიდრეცა ღირსად მართალის ჩინებისა თვისას და რწმენებული თუსდა სამწყსო დამწყსოს კეთილად, რაჲთა ბრძენთა და საროწმუნოთა მსახურთა სასყიდელი მიიღოს გულთაგან, რომელიცა მიაგებს თვითოეულსა საქმეთა მათთაებრ.

და არა პრისუენეს დღესა საშინელსა მეუფისა განკითხვისასა, არამედ პრქუას: «უფალო, აჰა ესრა მე და შვილნი ჩემნი». და ესმეს ტკბილი იგი ჴმა მეტყუელი: «კეთილ მონაო სახიერო და სარწმუნოო, მცირესა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალთა ზედა დაგადგინო შენ, შეედ სიხარულსა უფლისა შენისასა».

და ამისთვის ვარწმუნეთ მას ამას ზედა ჩუეულებითიცა სწავლა ჩუენ მიერი დაბეჭდილი ბეჭდითა, რომლისაცა თანამდებ არს

[1] ჴშირად.

(იხ. 81 1014)

ვინ შემძლებელ იყოს ცხოვრებისა თჳსისა შემყუანებად და საჭ/
წყისსა თჳსისა მოძღურებად.

ხოლო ცხადისათჳს მოწმობისა კეთილად არს ესე ი ო ა ნ ე ბარისხსა ზედა მ ღ უ დ ე ლ ი ბ ი ს ა ს ა ჩუენ მიერ ქედდასხმულ და კურთხეულ.

მიეცა მას ჩუენი ესე მ ღ უ დ ე ლ მ თ ა ვ რ ო ბ ი თ ი ქ ა რ ტ ი, ქედითა ჩუენითა მოწერილი და ბეჭდითა ჩუენითა დამტკიცებული, წელსა შექმნითგან სოფლისათ 7300, ხოლო განჭორციელებითგან სიტყჳსა ღმრთისა ჩქჳბ, თთუესა იანუარსა 3.

ხელითა: კათალიკოზი ანტონი ჴ

447. [ბრძანება ანტონ II-ისა სახლთუხუცეს პაატასადმი თარხნიანთათჳის ნარგევი ქონების გამოართმევის შესახებ]

[1732 წ. 14 იანვარი]

ჰ. ყოვლისა საქართველოს პ ა ტ რ ი ა რ ხ ი ს, მეფის იოანეს ძის, ა ნ ტ ო ნ ი ს კეთილად სახსოვართ: ს ა ლ თ ხ უ ც ე ს ო პ ა [ა]ტ ი ვ!

მერე შენ უნდა მიხვიდე თ ა რ ხ ნ ი ა ნ თ ა ნ ა. და ამა თ უ ხ ა რ ლ ი ა ნ თ ყმები რომ დაეჭირვებიათ, თარხნიანთ არ უნდა თავის თავით ეჭიათ ეს საქმე და დაერბიათ.

თუ რამ საბუთი ჰქონდათ, ჩვენთჳისა და იმისის უმაღლესობის წვეულებითჳს უნდა მოეხსნებინათ და პასუხს ჩვენ მიეცემდით.

ახლა რადგან ასე ქნეს ეს საქმე, ის ნარგევი სრულებით უნდა გამოურთო და ამათ მოაბარო. არის საქმით ამისი გამოურთმევლობა არ იქნება, თუ არ გამოართმევ, იცოდე, შენგან გვეწყინება და მაგითგანაც.

თუ თავისას არ დაანებებენ წიგნები, გაეგებინჳეს, რომ თავისს მთის საძოთ აუღიათ და როგორი ხაქმე[ა], რომ დაურბევიათ.

იანვარს იდ, ქორონიკონს უპ.

ხელითა: კათალიკოზი

448. [ბრძანება ანტონ II-ისა ბეცია თარხნიშვილისადმი სახლთხუცეს ამილახარისა და მოურავ დავითის მამულზე დავის გამო]

[1792 წ. 13 მაისი]

ქ. ყოვლისა საქართველოსა კათოლიკოზ-პატრიარხი, მეფის ძე ანტონი, ღოცვა-კურთხევით მოგეკითხავთ თარხნიშვილო ბეციავ.

შემდგომად ეს იყოს: სახლთხუცესი ამილახარ მცხეთის მოურავს დავითს უჩივის, ჩემი ვენახი უჭირავსო.

რადგან ზაქარიას შვილის ვენახი სალთხუცეს[ს] რგებია და ბარათი ხელთ უჭირავს, და მერმე დავით მოურავი შეხვეწია და მაგიერს დაჰპირებია და ალარც ერთი დაუნებებია, თუ ის ვენახი არ დაანებოს, ტყვმალა და ნაზერევი უნდა მოსცეს. და თუ ამაებს არ მოსცემს, თავისი ვენახი უნდა მოსცეს.

და ამას გარდა რაც მოსეს წილი სამამამთავროა, სამართლით ნახევარი სალთხუცეს[ს] უნდა მოაბარო. და რაც იმისი გამოსავალია, ნახევარი თუ არ მოეცეს, გაჩოურთვი და მოეც.

მაისის კბ, წელსა ჩლეგ.

ხელრთვა: კათალიკოზი

449. [წყალობის წიგნი ანტონ II-ისა ხოსია ბაჩანიძისადმი]

[1792 წ. 13 ივლისი]

ქ. წყალობითა ღმრთისათა, ჩვენ, კურთხევით მაკურთხეველმან, მეფეთა შარავანდედმან, ყოვლისა საქართველოს კათალიკოზ-პატრიარხმან, ძემან მეფისა ირაკლი მეორისამან, ანტონი ესე წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ ბაჩანიძე ხოსიას და ძმისწულსა შენსა ბეროს და შვილთა თქვენთა პეტრეს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა.

ასე. რომე: სანატრელს კათალიკოს ბიძა ჩვენს ანტონის და ნეტარად ხსენებულს ჩვენს ძმას ლეონს ტყვეობიდგან გამოუხსენით და რუსეთიდამ გადმოეყვანე და სვეტის ცხოველისათვის შეეწირე. მცხეთას დაესახლებინე.

მერმე მოხველ და უმამულობას სჩიოდი და მამულის წყალობას დაგვეჯე. და ჩვენც ვისმინეთ ვედრება თქვენი და გიბოძეთ

იგი სწავლად და მარადის მეცხოვრებასა შინა ქონებად, რათა ამოწყვეტილის ლაშხაურის ბეითალმანი მამული, მჭოხნებელი ყოფილიყოს სახლკარითა, მთითა და ბარითა, საწყლებითა პირთითა, სახნავითა და უხნავითა, რაც ლამხაურს სახელო რამ სჭერია, მესაფლაობა თუ მამული, ყველა თქვენთვის გვიბოძებია, რომ თქვენი მკვიდე და მოდავე არავინ იყოს.

და რადგან ლაშხაურის მამულს ღალა არა სდებია, ჩვენც ამოგვეკვეთია, რომ ღალა არ გეთხოვებოდეს.

ამას გარდა რასაც სავაჭროს ქალაქში თუ სხვაგან შეიტანდე და გამოიტანდე, ბანბასა თუ სხვას ნივთს რასმე, იმისი ბაჟი ამოგვეკვეთია, რომ ბაჟი არ გეთხოვებოდესთ.

ამიერითგან ღმერთმან ხელი მოგიმართოს ეკკლესიასა და ჩვენს სამსახურში.

შემდგომად ჩვენსა ყოველად სანატრელნო კათალიკოზ-პატრიარქნო თქვენცა ასე დაუმტკიცეთ და ნუ მოუშლით, რათა თქვენიცა გაგებული და ვარიგებული ღმერთმან მტკიცე ყოს.

არიან ამისი მოწამენი და თანახმანი ერთობით ჩვენნი მოხელენი.

აღიწერა ბძანება ესე ჴელითა მაღალაძე მღივნის იოსებისათა თვესა ივლისს ოგ. ქორონიკონს ჩჟა.

ხელთაწერ: კათალიკოზი ანტონი

თავში ბეჭედი: რომელი განჭვსნათ ქვეყანასა ზედა, ჭნილ იყოს იგი ცათა შინა.

450. [ნუსხა მღუდელთა და დიაკონთა ჯამაგირისა ანტონ II-ის ოქმით]

[1702 წ. 17 ივლისი]

ჳ ც ქ. იდიამ დეკანოზს მინალთუნი თორმეტი
ჳ ქ. კანდელაკს თუმანი ერთი
ნ ქ. ზუნბულიძე მღუდელს თუმანი ერთი
ჲ ქ. გიორგი მღუდელს მინალთუნი ცხრა
ჴ ქ. მეორე გიორგი მღუდელს მინალთუნი შვიდი
ხ ქ. დიაკონს ატანელს გიორგის მინალთუნი ექვსი
ქ. იქნა ჯამი ჳ ძ (ხუთი თუმანი და სამი მინალთუნი).

ქ. სალთხუცესო ამ ი ლ ბ ა რ!

ჩვენის დიდის ოჯარიდამ სვეტსცხოველში ვინცავინ ყოფილი არიან, ამ ნუსხით ხუთი თუმანი და სამი მინალთუნი ულხვა წლივ[1] მისცემდე და ბარათებს გამოართმევდე. ჩვენი მოხსენება ნუღარ გეჭირებაო, ყოველთვის ასე მისცემდეთ.

ღელათას 18, ქორონიკონს ჟპ.

ხელრთვა: კათალიკოზი

451. [ᲬᲘᲒᲜᲘ ᲛᲐᲫᲡᲘᲛᲔ ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲖᲘᲡᲐ ᲡᲐᲛᲬᲧᲡᲝᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲗᲐᲕᲖᲔ]

[1792 წ. 27 ივლისი]

ეს მისდა მოსახსენებელი, რომელიც კათოლიკოსად დაადგინოთ, შეწევნითა ყოვლად წმიდისა სულისათა.

ეწმიდესობისად მათისა მოსახსენებელი:

1.* ოდეს ნეტარხსენებული კათოლიკოსი მცხეთის ეპისკოპოსებ ამიერ სოფლით მიიცვალა სასუფეველად ცათა, იმ ჟამს ჩიჩუამ კაციამ ოდიშიარი საკათალიკოსო კაცი გაყიდა, ვინემ მე კათოლიკოსად ჩელდამსხმიდენ.

კათოლიკოსად რომ დამადგინეს, ოდიშს წაველი და ის ჩვენი გლეხის კაცის გამყიდველი კაცია ჩიჩუა შევაჩვენეთ ერთხმობითა უფლისა ჩუენდა მიტროპოლიტისა გრიგოლისათა, სრულიადის წყევით შევაჩვენეთ და ხელის მოწერით და ბეჭდით ჩვენით კრულებასა მივეცით.

უკეთუ ის ჩვენი საყდრის კაცი ისევ არ მოუყვანი[ა], ამ დროს დადიანმა კაციამ დიდი პირობა მოგვცა, თავდებად დავიდგა: მე მოვაყვანინებო იმ მტყუეს შეჩვენებულს კაცია ჩიჩუასაო; და თუ რომ არ მ[ო]ეყვანა ის თქვენი ეკლესიის კაციო, ორს მოსახლეს კაცს თვისას უკეთეს გამოვართმევ და ბიჭვინტის ღმრთისმშობელს მივართმევო. ასე თავდებათ დადგა დადიანი და ეს საქმე თავს იდევ; ასე პირობა დაგვიდგა: ჩემს თავს იყოს ეს საქმე, თუ ასე არ გავარდგეო.

ჩვენ ისევ იმერეთს წამოვედით და სხვამ საქმეებმა ჩვენი იქ მისვლა დააყოვნა. დადიანმა კაციამ ეს საქმე შეასრულა თუ არა, არ ვიცი. და თუ რომ ვერ შეასრულა სიცოცხლეში, მისმა შვილებმა — მისმა მონაცვლემ უნდა შეასრულოს. თორემ ეკლესიის ბრალს ქვეშე დარჩება. ვითარცა აღუთქვამს თავისის პირით, რაცა მის-

[1] ყოველწლეულ.

* ხელნაწერში ტექსტი წაშლილად გაკვეთილი არ არის.

ბა შეიღებმა შეასრულოს და ეკლესიის მრავლისაგან განათავისუფლოს
ლის თვისი მაცა.

ის შეჩვენების წიგნიც ჩიჩუასი, ამ წიგნთან მომირთმევ[illegible]

2. ამას გარდა ორი მოსახლე კაცი ბორგას სომაშურიძეს ბიჩუა დვისმამისთვის დაეწინდებინა, ბესარიონ კათოლიკოსი რომ ახალციხეს წასულიყო. და ის თეთრი ხომაშურიძეს როგორ დაუხარჯავს, ისე იქიურთ ეცოდინება.

3. ამას გარდა ორი მოსახლე კაცი სენაკს: ერთი ნიკოლოს დადიანის შვილს ბესარიონ კათოლიკოსმა ცხენი გამოართვათ იმ დროს, რომ ალარც კათოლიკოსადღა იყო; და კათოლიკოსადაც რომ ბრძანებულიყო, კაცის სულს მაინც არ გასცემდა პირუტყვში, არც იკადრებდა.

4. აქვე სენაკს ახლო ერთი გლეხი, თუ ორი ბხეიძე ბეჟანს ყოდა ესამართლოთ მიტაცებული.

ამაებას პირობა სულ მქონდა დადიანის კაცისაგან, გაგირიგებო, იმ დროს.

5. და ახლაც იდვილია და ნუ დაკარგავთ ეკლესიის ყმას. საცა გამოჩნდეს, ღვთისათვის იღვაწეთ, ნურვის უთავაზებთ. ვისც უჩრ გეკმნესთ და ეკლესიისა თქვენისა ყმა. თუ რამ კიდევ სხვა მიიმძლავრის და ისევ ეკლესიისა თქვენსა შევრდომით არ მოართვას. ნუ დაუთმობთ, ვინც უნდა იყოს.

6. ამაებას მოხსენება ეგებ ავათ ჩამომართვათ და ამისთვის ვითხოვ შენდობასა მოტევებისასა. მრწამს, უეჭველად მადლითა ყოვლად წმიდითა სულისათა, ყოველსავე კეთილად განაგებთ შეწევნითა ღმრთისათა.

7. და ყმეტესი ღვაწლი თქვენი იყავნ აფხაზეთის მოქცევისა და პიჭვინტის ეკლესიის ვანახლებისათვის. ახლავ უნდა მიტანება, დრო გაქვთ, თქვეს ვიცი, შეგეპკლებათ და კიდეც კეთილად მიგიღებენ; და ამის ძლით იქნებით ჭეშმარიტი პირველწოდებულისა დიდებულისა მოციქულისა ანდრიას მოსაყდრე.

მე ჩემის უღირსების ძლით არ შეღირსა იმ ქვეყნის ნახვა და მათი სამსახური, ვითარცა სურდა სულსა ჩემსა.

და თქვენ ვითარცა ისუმ, ხემან ღმრთისამან, მოწაფეთა წარიმართა წმიდანი შინა სლვასა ქადაგებად ყოველსა სოფელსა, იგივე ძალი და ხელმწიფება მოუნიჭოს სადიდებელად სახელისა თვისა.

8. ეს პირობაც მომცა წამოსვლის დროს დადიანმა ცი-ამ: რაც ჩემ ოდიშში საკათოლიკოსო კაცი იყოს, მათ[ი]ნ[ა]ხვა[ლ]ი საველი მე დავსჩერდეთ, სრული ფასი ანაწერით მოგართუან; ეს კათოლიკოსმა უნდა მიართვას. დადიანისთვისაც უმჯობესია, ეკლესიის ველ ქვეშ არ დარჩეს.

აფხაზ-იმერთა კათოლიკოსი მაქსიმე.

ჩდქბ წელს, ივლისის კზ რიცხვს.

ასტრახანით.

452. [წყალობის წიგნი ანტონ II-ისა სახლთუხუცესს აწილბარ მაღალაძისადმი]

[1792 წ. 2 აგვისტო]

ქ. ჩვენ, ღმრთისა მიერ კლრთხეულმან, ღმრთივ-ცხებულთა მაღალთა და აღმატებულთა მეფეთა შარავანდედმან, ყოველისა საქართველოსა და აღმოსავლეთისა დიდებან მამათ-მთავარმან კათალიკოზ-პატრიარხმან, ძემან საქართველოსა მეფისა ირაკლი მეოთხისამან, ანტონი ესე უკუნისამდე ქამთა, დროცვალებათა გამოსადეგი. მტკიცე და ეცვალებელი და მიზეზშემოეულებელი და ყოველის კაცის მოუდევარი და ფიცილებელი სამკვიდრო და საბილიკო წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენს სალთხუცეს[ს] მაღალაძე აწილბარს, ძმასა შენსა დავითს, შვილსა შენს გაბრიელს, იოანეს, რევაზს, ალექსანდრეს და იოსებს, ძმისწულსა შენსა გიორგის და სოლომონს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა.

ასე, რომე: ზერტს ამოწყვეტილის ბუდალაშვილის ნაქონს მამულს დაგვეჯენით. ჩვენც ვისმინეთ ვედრება თქვენი და გიბოძეთ ბუდალაშვილის ნაქონი მამული თაისის ნავენახობითა, ნაფუძრითა, მიწითა, წყლითა, წისქვილითა, მთითა და ბართა, რისაც მქონებელი ყოფილიყოს ქოველის სამართლიან მზღვრითა.

გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენს ერდგულად სამსახურში. არა მოგეშალოსთ ჩვენგან და არა შემდგომთა კათალიკოზ-პატრიარხთაგან ჩვენგან ბოძებული ესე წყალობა, თვინიერ დამტკიცებისა კიდე.

ეგრეთვე თქვენცა ყოველად სანატრელნო კათალიკოზ-პატრიარხნო, თქვენცა ასე დაუმტკიცეთ და ნუ მოუშლით, რათა თქვე-

ნიცა გაგებული და გარიგებული ღმერთმან მტკიცე და უნაკლული ყოს.

არიან ამისნი მოწამენი ერთობით ჩვენნი მოხელენი.

აღიწერა ბძანება ესე ქელითა მ ა ღ ა ლ ა ძ ე მ დ ი ე ნ ი ს ი ო ს ე ბ ი ს ა თ ა თვესა აგვისტოს ბ, ქორონიკონს უბ.

ხელობა: ქათალიკოზი ანტონი +

453. [ბრძანება ანტონ II-ისა გეცია გედევანიშვილისადმი სვეტიცხოვლის ეზოს აყრის შესახებ]

[1708 წ. 25 იანვარი]

ქ. ყოველსა საქართველოს ქ ა თ ა ლ ი კ ო ზ-პ ა ტ რ ი ა რ ხ ი, შეფის ირაკლის ძე, ა ნ ტ ო ნ ი გიბძანებ გ ე დ ე ვ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ო სარდალო ბ ე ც ი ა ვ!

წერე ტ[ი]რძნის[ს] ს ი მ ო ნ მ ა ღ ა ლ ა შ ვ ი ლ ი ს ქ ა ც ი რომ არის ა ქ ო ფ ა ჯ ა ღ ე ვ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, უნდა მიხვედე, ის ქაცი აყარო, ხიზანი ურეგში ჩაესხა და ახლავ მ ე ტ ე ხ ს უნდა გამოიყვანო.

მაგ ქაცთან ამათ მეტს საბატონყმოთ ხელი არაფისა აქვს. მთელი გამოღმა მხრის მეჯვალამა ხელთ უჭირავს და ე რ ი ს თ ვ ი ს შვილის რევაზის მიცემული წერილი, რომ ეს ქაცი შენიო, თუ ჩვენი საყვარული გაქვს, ახლავ აყარე და გამოიყვანე. მაგ ქაცს იეყრელობა არ იქნება.

თუ სიტყვა აქვს რამე მაგ ქაცსა, ჩვენთან ილაპარაკო[ს]. ჩვენი თქმა და იასაული იყო და მ ა ჩ ა ბ ე ლ ს არ ესაქმებინა. და ახლავ აყარე.

იანვარს კე ქორონიკონს უბა.

მაჩაბელს ამაში საქმე არ აქვს, სვეტიცხოველს ყმას ვერ წაართმევს.

ხელობა: ქათალიკოზი

454. [ქანონთა განწესება ცოდვილთათვის ანტონ II-ის მიერ]

[1708 წ. 13 აგვისტო]

1. შვდ წელ ნუ ეზიარებიან წმიდათა საიდუმლოთა. და თუ სადმე სიკუდილად მიიწიოს შვდთა მათ წელიწადთა შინა, რომლითამე მიზეზითა აზიაროს სელიერმან მამამან, და თუ მოკუდეს ანდერძი ალუეოს და დამაროხოს, და თუ მორჩეს, ისევ შვდთა წელი-

წადთა შესრულებადმდე ნუ იქმნებიან მიახლება მისი წმიდათა საიდუმლოთა.

2. ნუ შევალს ეკლესიასა შინა ვიდრე სამთა წელიწადთა სრულ-ყოფადმდე, არამედ ჰსდგეს გარე კართა ეკლესიისასა წირვასა ანუ ლოცვასა ზედა და შეშავალეთა და განმავალეთაგან დიდითა ვედრებითა ითხოვდეს და თავსა თჳსსა მოიდრეკდეს მათდამი და იტყოდეს: «შემინდევით მე, ცოდვილსა».

3. და შებდგომად საბისა წლისა შევიდეს ეკლესიასა შინა და სეფისკვერი მიეცემოდეს.

4. ოთხთავე მარხვეთა, ესე იგი, წმიდათა დიდთა ორმეოცთა მარხვეთა შინა და წმიდათა მოციქულთა და ღმრთისმშობლის მიცუალებისა და ქრისტეს-შობისთა იტყოდეს ალსარებასა და დაუფარველად აღუარებდეს ცოდუთა თჳსთა და ცრემლით სულითა შემუსრვილითა და გულითა შემუსრვილითა იბანდეს.

და რომელსაცა კაცონნი სელიერმან მამამან თჳსმან მისცეს დაფარულთათჳს ცოდუთა. რომელსაცა აღუარა მას, დაუკლებელად გარდაიჭდიდეს.

5. წმიდათა მათ დიდთა ორმეოცთა და ღმრთისმშობლის მარხუათა შინა თჳნიერ შაბათ-კჳრიისა ნუ პსუამან ღჳნოსა და ქრისტეს-შობის მარხვეთა და მოციქულთა მარხვათა შინა ოთხშაბათ-პარასკევსა ესრეთვე ნუ სუამნ და ჴსნილსა შჳდეულთა სამთა წელიწადთა ორშაბათსა ჭორცსა ნუ სჭამან და ოთხშაბათ-პარასკევსა თევზსა, თჳნიერ საუფლოსა დღესასწაულისა და განწესებულისა ტიბიკონისა.

6. მოუკლებელად თჳსსა განსწესებელსა საიდუმლოსა ლოცვასა იღოცვიდეს და წირვასა და ლოცვასა ეკლესიისასა ნუ დააკლდებიან და თჳთოეულსა დღესა შინა პყოფდეს მეტანიასა ასსა: ორმეოცსა დიდსა მეტანიასა და სამეოცსა ჴელის მეტანიასა და იტყოდეს თითოეულსა ზედა: «ღმერთო, მილხინე მე ცოდვილსა ამას და შემიწყალე მე».

7. სამსა წელიწადსა ვიდრე შესლვადმდე ეკლესიასა შინა ნუ მოიპარსავნ თმასა და ნურცა წვერსა და შეიმოსონ კჳართი და სარეცელი სამოსლისა.

8. შემდგომად ამათსა უკეთუ შემძლებელ იყოს, დაიჭანას ტყუე: და უკეთუ არა, შეძლებისაებრ თჳისისა სხუასა დამჭნელსა ვისმე შეეწიოს.

9. ერთსა წელიწადსა სულიერსა მამასა თჳსსა ორმეოცდათსა

აწირვინებდეს ცოდვის მიტევებისათვის თავისა თჯისა და გან-
ნებისათვის მის მიერ მოკლულისა.

10. რომელიც მღვდელმთავრის მისართმევი საკანონოს დე-
ბულება იყოს, შეძლებისაებრი დაუყოვნებლად მიართვას და ეს-
რეთ სრულჰყოს განწესებულნი ესე კანონნი.

წელსა ჩლვგ, თთუესა აგვისტოსა ივ.

ხელრთვა: კათალიკოზი
მდაბალი მიტროპოლიტი მიხაილ.

თავი

*[ჩვენ, სრულიად საქართველო]ჲსა კათალიკოზ-პატრიარხსა
ანტო[ნის]..**რებისა ჩვენისათჳს დაგისხამნნ კანონნი...** [ა]ს-
ლამაზისა***ჳს, რომელნიცა ჯერ-არიან გარდაჴდად**... [ცოდვილ-
თათვის].

455. [ბრძანება ანტონ II-ისა მიხაილ პეტრიაშვილისადმი სარგოს აღების შესახებ]

[1798 წ. 10 ოქტომბერი]

ჭ. ყოველსა საქართველოს კათალიკოზ-პატრიარხი
მეფის ირაკლის ძე, ანტონი მოვიწურ მიხაილ პეტრია-
შვილო.

მერმე უწინაც შენ ყოფილხარ ამ [მ]გალობლისშვილე-
ბის იასაული და ახლაც შენ დაგვიყენებიხარ. რაც ხა[რ]ჯი-
ნელისაგან და ვარჯან დიამბეგისაგან გასაბარ-
თლებული ყოფილა და პატარა დავითისა დასდებია და-
ვით მდივანსა, ის სრულებით უნდა გამოურთო და შთაბა-
რო; და წლეულობითაც ამახ უნდა აიღოს თავისი სარგო.

და თუ სიტყვა აქვს რამე, ჩვენთან ჩამოიყვანე ორნიცა და ჩვენ
მოვარიგებთ.

ოკდონბერს ით, ქორონიკონს უპა.

თუ ეს ასე არ აღასრულე, იცოდე დიდად გიწყენთ, თუ არ
გა[ა]რიგე.

ხელრთა: კათალიკოზი

---

* მარცხენა ზემო კიდე მოხეულია.
** აკლია სამი სიტყვა.
*** ჩაწერილია სტრიქონს შუა.

456. [წყალობის წიგნი ანტონ II-ისა დავით მგალობლიშვილისადმი]

[1798 წ. 28 დეკემბერი]

წყალობითა ღმრთისათა, ჩვენ, ყოვლისა საქართველოს კათალიკოზ-პატრიარხმან და ალავერდელ მიტროპოლიტმან, ძემან მეფისა ირაკლი მეორისამან, ანტონი ესე წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ ალავერდის აზნაურშვილს მგალობლიშვილს დავითს და შვილთა შენთა იოსებს, სოლომონს, იესეს და როსტომს.

ასე, რომე: თქვენის ოჯახის საერთო სახელო ალავერდის მდივნობის სარგო და შემოსავალი რამდენსამე წელიწადს დაკლებოდა შენის ბიძაშვილის დავით მდივნისაგან, რომ შენ წერა არა გცოდნოდა; და რადგან შვილიც მოგესწრა რომ წერა შეეძლო, მოხველ და შენს სამკვიდროს სახელოს მდივნობას გვთხოვდე.

ვისმინეთ ვედრება თქვენი და გიბოძეთ ალავერდის მდივნობა და მდივნობის შემოსავალი შენი წილი, რადგან მისის უმაღლესობის მეფის ვანაჩენი და ოქმები გქონდა და ალავერდლების წერილებიც ხელთ გეპირა, რომ იმათგანაც არ მოგწყდა, ჩვენც სიგლითა ამით დაგიმტკიცეთ და გიბოძეთ მდივნობის ნახევარი სახელო და სარგო.

ღმერთმან ეკლესი[ი]სა და ჩვენსა ერდგ[უ]ლ სამსახურში მოგახმაროს და არათდეს არ მოგეშალოს. არც ჩვენგან და არც ჩვენსა შემდგომთა მოსაყდრეთ ალავერდელ მიტრაპოლიტთაგან.

ალიწერა ბძანება ესე ჯელითა მადალაძე მდივნის იოსებისათა თვესა დეკემბერსა კვ. წელსა ჩქჱგ. ქორონიკონსა უპა.

ხელრთვა: კათალიკოზი

457. [წიგნი ანტონ II-ისა ვახუშტი ჯავახიშვილისადმი მეტეხელებისათვის ძროხების შაან დაბრუნების შესახებ]

[1791 წ. 28 მარტი]

ჩ. ყოვლისა საქართველოს კათალიკოზ-პატრიარხი, მეფის ირაკლის ძე, ანტონი ლოცვა-კურთხევას მოგიწერ ჯავახიშვილ ვახუშტი.

შერე მეტეხელების ძროხა წაგისხამს ტ ჯდომა. ეს, დიაღ, უჯერო საქმე არის, ჩვენის ყმის უსამართლოდ დარბევა; ან რათ დაარბიე და ან რას ემართლებოდი?

თუ სამაღლისს იღებს, და მეფე ბძანდება და თავადნი და აზნაურნი იღებენ ძროხას სამაღლისა. ჩვენ დაგვიჯერე: ეგ ძროხები ჩვენ-ვე მიეცა, თორე შენ იცი, უმართებელო არის ჩვენის ყმის დაკარგვა. შენგანა.

მარტს კზ, ქორონიკონს უპბ.

ხელთაა: კათალიკოზი

458. [ბრძანება ანტონ II-ისა სახლთხუცეს ამილბარისადმი მამულებზე ხელის ამართვის შესახებ]

[1794 წ. 15 დეკემბერი]

ქ. ყოველსა საქართველოს კათალიკოზ-პატრიარხი მეფის ირაკლის ძე ანტონი ლოცვა-კურთხევას მოგიწერ სალთხუცესო ამილბარ.

მერმე მიაის უმადლესობის ოქმი რომ გაქვს, ვისაც მეფისაგან ჰქონდეს მამული ბოძებული და ჩვენგან კი არა ჰქონდეს, ჩვენს ნახევარს წილ მამულზედ ხელი აეძართუ და ჩვენთვის სახასოდ დასდევ. აქ ჩვენთან მოვიდნენ და რომელიც მართებული არის, ისრე გავარიგებთ.

დეკემბერს იე, ქორონიკონს უპბ.

საერთო სახასო სოფლებში უნდ[ა] მოიკითხო აქეთ საგარეჯოსა[1], თუ იქით საგარეჯოსა.

ხელთაა: კათალიკოზი

459. [ბრძანება ანტონ II-ისა ბეჭან ამილახორიშვილისადმი მკვლელ დათუა გმერდწითელის იმერეთიდან გადმოქცევანის შესახებ]

[1795 წ. 21 იანვარი]

მისს ბრწყინვალებას მაჰბაძს ამილახორისშვილს ბეჭანს ჩუენ მიერის ლოცუა-კურთხეევით მოვიკითხავთ.

მერმე გვგრდწითელს დათუას ეშმაკის საბრჭით სჯულისა და ეკლესიის წინააღმდგომი საქმე მოსულია, მღუდელი შემოკდომია; იმერეთს გარდავარდნილა და წერეთელთან თურმე არის.

ახლა ჩუენ შენ ამას გიბრძანებთ, რომ: შენ უნდა გარდახვიდე იმერეთს და გარდმოიყვანო და შენთან ამყოფო; ნურსად გა-

[1] საქერეჯოსა.

უშვებ და ნურცა ვის დააწებებ, მანამ ჩუენ დავიბარებდეთ და ლიერის სამართლით საეპისკოპოსო და სულიერს კანონებს განვაწესებდეთ, რომ არსად გარდავარდეს და თავის თავსაც ერთი რიტი განსაცდელი საუკუნოდ წარსაწყმედელი არა შეამთხვიოს რა.

ამისთვის ღვთრო ვიღწვით ამ საქმეზედ, რომ ცხოვართათვის წარწყმედელთა მოსიებად მოვიდა ღმერთი და ამგვარის მოქმედის კაცისა ჩვენდამო ბრძანებულ არს სამართალი და არა სხუათაგან.

იანვარს კა, წელსა ჩლეე.

ხელითა: კათალიკოზი

460. [წყალობის წიგნი ანტონ II-ისა სახლთუხუცეს ამილბარ მალალაშვილისადმი]

[1786 წ. 20 სექტემბერი]

წყალობითა ღმრთისათა, ჩუენ, იესიან, დავითიან, სოლომონიან პანკრატოვანებან, ძეშან მათის უმაღლესობის სანატრელის მეფის მეორეს ირაკლისამან, ყოვლისა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმან ანტონი. ესე წყალობისა წიგნი და სიგელი მოგებოძეთ შენ, ჩუენსა სახლთუხუცეს მადალაშვილს ამილბარს და ძმასა შენსა დავითს და ყოველთა მომავალთა სახლისა თქუენისათა ასე და ამა პირსა ზედა, რომ:

მოხუცეთ და გვეპყენით ჩუენის სახსოს ყმის დოქიძის ამოწყუეტილის მამულს ატენშია და სხუაგან, საცა იმისი მამული არის.

ჩუენც ვისმინეთ ეგე და მოხსენება თქუენი. შეგიწყალეთ და გიბოძეთ ამ ზემოხსენებულის კაცის მამული თავისის მთითა, ბარითა, წყლითა და წისქვილითა, სანადავითა და უხნავითა და თავისის სამართლიანის სამზღუდებითა, ყოველივე სრულებით გვიბოძებია იმ დოქიძის პაპუნასი და იმისის შვილის გლახას მამული.

გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩუენს ერდგულებასა და სამსახურსა შინა, და არაოდეს არ მოგეშალოს არცა ჩუენგან და არცა შემდგომთა ჩუენთაგან.

ამის წყალობისა წიგნისა ჩუენისა დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხნეს.

აღიწერა ჴელითა ხოფის ნათლისმცემლის მონასტრის არხიმანდრიტის დოსითეოსისათა, თუესა სეკდენბერსა კ, ქრონიკონს უპგ.

ხელითა: კათალიკოზი ანტონი

461. [ბრძანება მაძლიმე კათალიკოზისა ბურჭულებისადმი უდაბნოს მონასტრის სამსახურის შესახებ]

[1778—1783 წწ.]

წყალობითა ღმრთისათა ჩვენ, კათოლიკოსი ჩრდილო აფხაზთა და ყოველისა საიმერეთოსა მამათმთავარი მაქსიმე უბრძანებთ და მოვახსენებ ყოველთა გურიელთა მართლმადიდებელთა ქრისტეანეთა, დიდთა და მცირეთა ამ ქვეყნის მემკვიდრეთა: გურიის მებატონეთა და ყოველთა დაირბაზის ერთა მისთა, თავადთა და საპატიო კაცთა, აზნაურთა, მსახურთა და გლეხთა, მამათა და დედათა.

რითაც წყლის გამოდმართთა ყოველთა ერთობით ღმრთისა მიცემა ლოცვა-კურთხევითა მოგეკითხავ და გამცნებ ყოველთა გურიის ულაბნოს მახლობელთა:

მართებული და ვალი არის ქრისტეანეთაგან, რომელსაც შეძლება ჰქონდეს და რაც სამსახური შეეძლოს ვისმე, რომ თქუენთვის ცოცხალთა და მიცვალებულთათვის უდაბნო და მონასტერი მომხსენებელი და მლოცველი ამყოფოთ და შეძლებისაებრ თქუენც უდაბნოს შეწყე და შემმატებელი და მოსამსახურე იყვნეთ, სულთა და ხორცთა თქუენთა სარგებელად.

და ამასაც მოგახსენებთ: ვინც სამართლის მათხოვარი ხართ უდაბნოსაგან, მაგ მონასტრის და უდაბნოს უფროსი და მომკითხავი ჩვენ ვართ; ვისაც მისგან სამართლის თხოვა უნდეს, ჩვენთან მოვიდეს და გვკითხოს და მათ მაგივრი სამართალი ჩვენგან წაიღონ.

და ვინც ამ ჩვენი ბრძანების და სიტყვის ურჩი შეიქნენ და არ ისმინონ ჩვენი, და უდაბნოს ან მის ბერს და მის კაცს წაართვას რამე, ღმრთის ძალით შევიძლებთ, რომ თავის ყოფისაგანაც ახერ იქმნას, და ასე მწარე შეჩვენებაში ჩავარდეს უდაბნოს მომტერე, რომ ბოლოს თავის გამოხსნაც გაუჭირდეს, ისე უწყალოთ განგდებულ იქმნას ჩვენგან და ყოველთა მართლმადიდებელთა ქრისტეანეთაგან.

ბეჭედი: ჩდილო აფხაზ-იმერთა კათალიკოსი მაქსიმე

462. [პირობის წიგნი გაიისუბნის მღვდლებისა მაძსიმე კათალიკოზისადმი]

[1775—1796 წწ.]

ქ. ესე წიგნი მოგართვით თქვენ, უფალს კათოლიკოსს მაქსიმეს, ჩვენ — გაიისუბნის მღვდლებმა სვიმონ შაშვიაშვილმა და შარეაშიძემ იოანემ.

ასე, რომ მკითხავის საქმეზედ გაგვიწყვრით: მერმე შეგვევწეთ და ასე წიგნი და პირობა მოგართვით[1], რომ ის მკითხავი დავიჭიროთ და მოგართვად.

თუ ეს წიგნი გავამტყუნოდ, მღვდელობაზედ ხელი აგიღოთ და ასი მარჩილი მოგართვად. ++

463. [ბრძანება ანტონ II-ისა სახლთხუცეს ამილბარისადმი მკვლელის თოფისა და ხმლის მიბარების შესახებ]

[1796 წ. 12 მარტი]

ქ. სალთხუცესო ამილბარ!

მერე კაცის მკვლელის თოფი და ხმალი ხომ შენ გიბოძეთ; და რაც ჩვენი საოხო იყოს, იმ თოფსა და ხმალს გარდა, ისიც მოიკითხე. და როსებს რომ მოუსსენებია ბატონისათვის, რომ: კათალიკოსმა ჩვენ იასაულებს გვიბოძოთ თოფი და ხმალო, ჩვენ იმათთვის არა გვიბოძებია რა.

თოფიც გამოართვი და ხმალიცა; და სხვაც მოიკითხე და ბატონს მიართვი თოფისა და ხმლის წილადა. ამისთვის გიბოძეთ თოფი და ხმალი, რომ გაცარცველი იყავ.

მარტს იბ, ქორონიკონს უპდ.

ხელთაა: კათალიკოზი

464. [ბრძანება ანტონ II-ისა დავით თარხნიშვილისადმი სვეტიცხოვლის მამულის თაობაზე]

[1796 წ. 21 მაისი]

ქ. ყოველისა საქართველოს კათალიკოზ-პატრიარხი, მეფის ირაკლის ძე, ანტონი ლოცვა-კურთხევას მოგიწერთ თარხნიშვილო დავით!

მერე ლიპუაშვილის მამულში ფირალაშვილი

---

1. მოგვართვი.

და გოზალიშვილი წისქვილს და სახლს თურმე აშენებს. ის ალავი სვეტისცხოვლისა არის და გუჯარშიაც სწერია. და თუ შენება დაუწყოს, ავად მ[ო]ეპყარ და ნუ ა[ა]შენებინებ.

და ორი წისქვილის წიგნი გალუსტაშვილს რომ აბარია, ისიც გამოერთვი და ამას მოაბარე.

მაისს[ი] კა, ქორონიკონს უპდ.

ვისაც ყმა ეგ იყოს, იმასაც უთხარ, ხელი აიღოს.

ხელრთვა: კათალიკოზი

465. [ყალობის წიგნი ანტონ II-ისა გოგია სეთურიძისადმი]

[1736 წ. 25 ივნისი]

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა, ჩვენ, იესიან, დავითიან, სოლომონიან, პანკრატოვანმან, ძემან მეფისა. ირაკლი მეორისამან, ყოვლისა საქართველოჲსა კათოლიკოს-პატრიარხმან ანტონი, ესე უკუნისამდე ქამთა და დროთა გამოსადეგი, მტკიცე და უცუალებელი წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ ჩვენის ეკლესიის სვეტისცხოვლის ახალს შემოწირულს ყმას ჩვენს ყავაჩს სეთურიძეს გოგიას და ძმასა შენსა ივანეს, შვილთა და მომავალთა ყოველთავე სახლისა თქვენისათა.

ასე, რომე: შენ დაკარგული იყავ და ტყუეთ იყავ და ჩვენს რუსეთს ყოფაში ტყვეობიდამ ვამოიქე და ჩვენთან მოხველ და ჩვენ გვემსახურე რუსეთს. და როდესაც საქართველოში გარდმოვედით, მაშინაც თან გარდამოგყევ და შენის შეძლებით გვმსახურებდი. და ამას გარდა შენი ძმა ტყეთ იყო და ისიც დაიხსენ და ორნივე ჩვენს ეკლესიას შემოეწირენით.

მას უკან მოხვედით, მამული რომ არა გქონდათ, უმამულო იყავით და მამულის წყალობას გვეეედრენით. ჩვენც ვისმინეთ ვედრება და მოხსენება თქუენი და ჩვენის ეკლესიისა შემოწირულისა და ჩვენის ერთგულად მსახურებისათვის გიბოძეთ მეტად ჩვენის ყმის ამოწყვეტილის, ალნიაშვილის მამახახლისის ბერუას ერთი მთელი საკომლო მამული, თავისის გენაკით, ბაღითა, ქვევრ-მაჩნითა, წყლითა, წისქვილითა, საკნავითა და უკნავითა, სარწყავითა და ურწყავითა, სათიბითა და უთიბითა, სასახლითა და საბძელ-კალოთი, საწყლისპიროთი და საჯალჯითა, რისაც

მჭონებელი ის მამასახლისი ბერეა ყოფილიყოს, ყოველთვის
ქელშეუალათ თქვენთვის გვიბოძებია.

ამ მამულისა რაც თქვენ წიგნები გქონდათ ნასაღობისა და ახ
ნაწყალობევი აღამამათხან ქალაქში რომ შემოვიდა და ქა-
ლაქი წაახდინა, მაშინ ის მამულის წიგნები ყველა ქალაქში გქონ-
დათ და იქ დაგკარგოდათ.

და თუ ამ მამულის მოდავე გამოჰსჩნდეს ვინმე, სიცრუე და
ტყუილი იქმნება და არც არავის რა დაეჯერება; ამ მამულთან ქე-
ლი არავისა აქუს თქვენს მეტსა, თქვენთვის გვიბოძებია ქვეყა;
ღმერთმან ჩვენის ეკლესიისა და ჩვენს ერდგულად მსახურებასა
შინა მოვაჯმაროსთ, ეს ჩვენგან წყალობა მამული არაოდეს არავის-
გან არა მოგეშალოსთ რა.

აღიწერა ჩვენ მიერ ბოძებული წყალობის წიგნი ესე იხდიკ-
ტიონსა კათოლიკოს-პატრიარხობისა ჩვენისასა ბერეესა, ქელითა
ჩუენის მღუდელ-მონაზონის ნეოფიტესითა, თთუესა იუნის-
სა, რიცხუსა კგ, წელსა ჩლჟვ.

ხელოება: კათალიკოზი ანტონი

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოისა, კახეთისა და სხვათა ბე ფე
ი რ ა კ ლ ი მ ე ო რ ე ვამტკიცებთ წიგნსა ამას. მარტის კა, ჭორო-
ნიკონს უპე.

ბეჭედი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე ერეკლე

ქ. ჩვენ, დ ე დ ო ფ ა ლ ი ქართლისა, კახეთისა და სხვათა და-
დიანის ასული დარეჯან ვამტკიცებთ წიგნსა ამას. მაისის ა,
ქორონიკონს უპე.

ბეჭედი: დ ე დ ო ფ ა ლ ი დ ა რ ე ჯ ა ნ

ქ. ჩვენ, სრულიად საქართველოს მეფის ირაკლის ძე ბ ა ტო-
ნ ი ს შ ვ ი ლ ი ვახტანგ მისის უწმიდესობის ჩვენის ძმისაგან
ბოძებულს წყალობას სიგელს ამას ვამტკიცებთ. სექტემბრის კთ,
ქორონიკონს უპვ.

ბეჭედი: ლომად იუდას ბაკეთად ვახტანგ ირაკლის ნაკვეთად

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოს მეფის ირაკლის ძე ფ ა რ ნა-

ვაზ მისის უწმიდესობის ჩვენია ძმისაგან ბოძებულსა წყალობის სიგელსა ამას ვამტკიცებთ. მაისის იბ, ქორონიკონს უპე.

ბეჭედი: ღმრთისმშობელმან წიაღით მფარვა ვაზ კეთილთა [illegible] მკა შემიწყნარა.

თავში ბეჭედი*

466. [წყალობის წიგნი ანტონ II-ისა დიმიტრი აბელაშვილისადმი]

[1796 წ. 10 ივლისი]

ქ. წყალობითა ღმრთისათა, ჩვენ ყოვლისა საქართველოსა კათალიკოზ-პატრიარხმან და ალავერდელ მიტროპოლიტმან, ძემან სრულიად საქართველოსა მეფისა ირაკლი მეორისამან, ანტონი ესე წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ, ჩვენის ეკლესიის აზნაურშვილს აბელაშვილს დიმიტრის და პაპუასა. შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა.

ასე, რომე: მოხვედით კარსა დარბაზ-პალატისასა ჩვენისასა და კოლთოს მოურაობას დაგვეჯვნით. ვისმინეთ აჯა და ვედრება თქვენი და გიბოძეთ კოლთოს მოურაობა. გქონდესთ და გიბედნიეროსთ ღმერთმან წმიდის გიორგის ალავერდის ეკლესი[ი]ს სამსახურსა და ჩვენსა ერდგულობასა შინა; არა მოგეშალოსთ არა ჩვენგან და არცა სხვათა ალავერდელ მიტროპოლიტთაგან ჩვენგან ბოძებული ესე წყალობა.

არიან ამისი თანახმანი ერთობით ჩვენნი მოხელენი.

აღიწერა ბძანება ესე ქელითა მაღალაძის მდივნის ითისებისათა, თვესა იულისსა ი, ქორონიკონს უპდ.

ხელრთვა: კათალიკოზი ანტონი

ქ. ჩვენ, მეფე ყოველისა საქართველოისა, კახეთისა და სხვათა გიორგი ვამტკიცებთ ამ წიგნს, ბატონის ჩვენის ძმის კათოლიკოზის ანტონისაგან ნაბოძებს.

თებერვლის გ, ქორონიკონს უპზ.

ბეჭედი: მეფე სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა გიორგი.

---

* ბეჭდის ლეგენდა არ იკითხება.

467. [წყალობის წიგნი დოსითეოს ჭუთათელისა ქაიხოსრო და ნიკოლოზ მოსიძეებისადმი]

[1796 წ. 12 აგვისტო]

ჭ. ნებითა და შეწევნითა ყოვლად წმინდისა სამებისათა, ჩვენ, ყოვლად სამღუდელომ ქუთათელ მიტროპოლიტმან დოსითეოს ესე მტკიცე და ყოველად უცვალებელი წიგნი წყალობისა აღგიწერე და გიბოძეთ შენ, ჩვენს აზნაურშვილს მოსიძეს ქაიხოსროს და ნიკოლოზს ესრეთ და ამა პირსა ზედა, რომ:

ქამთა ვითარებისა და სოფლისა ამის მიმკვეთნებისაგან შენთა სამკვიდრო გლეხთა თქვენი წინააღმდგომობა იხმარეს და ყმობისაგან თავს გართმევდნენ და ეს ჩვენ სამართლიანის მიხედვით გავსინჯეთ და ვანვიხილეთ და ძველის დავთრებისაგანაც ვსცანით, რომ თქვენი სამკვიდრო და სახაათ იყო და ამისთვის კვალად გირნებეთ და ამ წყალობის წიგნით გიბოძეთ და დაგიმტკიცეთ ვიდრე საუკუნომდე:

ალისმერეთს: გაჩაკუტაშვილი გიორგი და მახარობელი და დათუნიკაშვილები და ივანიკა: კვალად გაჩაკეტაშვილი, მხიარულაშვილი სიმონიკა და მისი ძმები, ლოფსიანიძე სიმონიკა, ხახუტელა და მათი შვილები; კვალად ლოფსიანიძე გიორგელა და სვიმონიკა, და მათი შვილები; ზეგანს: კვალად ლოფსიანიძე სეხნიელა და მისი შვილები.

ესე ყველანი თავისის ცოლ-შვილით, ადგილმამულით, ვენახით, ტყით, საწისქვილოთი და საფლავ-სამარხით და ყოვლით მათი სამართლიანის საზღვრით, რისაც მჭონებელნი იყვნენ, გვიბოძებია თქვენთვის და შვილთა და მომავალთა თქვენთათვის. გაჭუნდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენს ერთგულებაში და ჩვენის ეკლესიის მსახურებაში.

და აწ რომელმანცა ძემან კაცისამან ანუ ჩვენნან შემდგომმან ჭუთათელმან თქვენ ეს შეგიცუალოს, ჩვენდა ცოდვის ნაცვლად იგი განიკითხოს დღესა მას დიდსა საჯელისაჲსა; მისცეს უფალმან შიშთვილი იუდასი, მეხის ტეხა დიოსკორესი და ნუმცა იხილავს დიდებასა ღმრთისასა აწ და საუკუნ[ოჲ]ს.

არის ამისი მოწამე და გამრიგე: აბელაძე სვიმონ, მღვდელ-მონაზონი პეტრე, გიორგი ავალიანი, მეძმა-

რიაშვილი დავით და ზოგად ყოველნი განმგენი და მოწყლენი ჩვენნი.

აღიწერა ხელითა ნიკოლაოს დეკანოზის გაბაშვილისათა, რომელი მოწამეცა ვარ.

აღიწერა აგვისტოს იბ, ქრისტეს აქეთ ჩღყვ.

ბეჭედი: ყოველად სამღუდელო ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს.

მარცხენა კიდეზე

ქ. მე. სრულიად იმერეთისა მეფე მეორე სოლომონ გამტკიცებ სიგელსა ამას ნებითა ღმრთისათა.

468. [ᲕᲘᲪᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲒᲔᲠᲒᲐᲡᲘ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲜᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ]

[1796 წ. ჩ სექტემბერი]

ქ. ჩვენ: ყოველად სამღვდელომ სამთავნელ ეპისკოპოსმან გერვასიმ, ქარუმიძე კასპის მოურავმა იოანემ, ქარუმიძე ზაზამ, ჩიკოიძე ქაიხოსრომ, ლიპარიტის შვილმან ბერმან, თუხარელმა მსხვილოსის მოურავმა გიორგიმ, ზაალისშვილმა იოანემ, ქარუმიძე ალექსანდრემ, ყანჩაელმან ბიძინამ და ზაალ ქარუმიძე, ნაცვლისშვილმან ნინიამ, ზაალისშვილმა იოსებ, გიორგაშვილმა ბოქოლოლუხუცესმა უთრუთ, ჩიკოიძე ზაალმან, თუხარელმა რამაზამ, ალექსისშვილმან ევთიმიმ, გიორგაშვილმან პაატამ, ბასილაშვილმან შარმაზან, ზაალისშვილმან ზურაბ, ტარმაიჭამვილმან ლუარსაბ, ავთანდილ ქარუმიძის შვილმან გლახამ, ალექსისშვილმან ნინიამ, მღრაჩაშვილმან ფირან, ქავთარაძე მამამთავარმან თამაზამ;

ვეცადენით, რომ ამ ილახარის ოთარის რიგზედ სახლისაცემის უმცროს-უფროსობა და შეერთება მომხდარიყო, მაგრამ პატრონის განწესებაზედ დამდგარიყვნენ; და რომელიც ჩვენზედ და გლეხს კაცზედ რბევა-ჭრილობა, აკლება და ეკლესიის ყმის უსამართლო დებულებაზედ და დარბევაზედ ჭკვი ეღირთ; და რიგიანი უმცროს-უფროსობა და სიყვარული მომხდარიყო.

ეს ხომ არ დაიშალეს, და ჩვენ ამაზედ მეტი ჩვენის თავის მოვლა ვერ შევიძელით: მივედით სამთავისს, ყოველად სამღვდელო

სამთავნელი გერგასი წინ მივიმძღუარეთ და ამ ზემოწესენებულთ აზნაურშვილებმა ღმრთაების ეკლესიაში, მღუდელთ-მთავრის წინამძღოლით მეფის ირაკლის და იმისის შჯულების უწინაალმდეგო საქმე ამილახორის თთარის დროს დავიფიცეთ:

1.* ვიყვნეთ ერთი მეორის კაი[ს] მდომნი. და რომელიც უფლისწულებისაგან უსამართლოთ ცემა-ჭრილობა, აკლება და შვილების მოახლეთ წართმევა გვჭირებია, ამაებს ნუღარ ვიყაბულებთ.

2. თუ რომელიც ჩვენში ან გაილახოს ან დაიჭრას ან დაირბეს, ერთიანათ ერთმანეთთან დავიმართნეთ, ბატონთანაც საჩივარი ერთი იყოს და ჩვენს ბატონს ამილახორთანაცა და ლაბარაკიც ერთი იყოს.

3. და სადაც აზნაურშვილი სოფელში იდგეს და უფლისწულმა იქ ესამართლო მოინდომოს, აზნაურშვილმან გლეხს უქომაგოს და გლეხმა აზნაურშვილსა და ერთი მეორეზედ ვინც შორს იდგეს, კ[ი]დევ [ე]რთი მეორეს მივეშველნეთ.

4. ამ ჩვენის ფიცის წერილზედ რომელმაც ჯელი მოგვიწეროს, ხომ ჩვენთან იქნება. და რომელმაც ჯელი არ მოგვიწეროს, ერთიანათ მიუხდეთ, დავსწვათ და ავიკლოთ. და ცარიელი კაცი ამილახორს მივართვათ.

5. რომელიც ჩვენს მამა-პაპათ ამილახორისათვის ერთგულად უმსახურნიათ და ოჯახის ერთგულნი ყოფილან, ჩვენც ისე მოუდგეთ და უერთგულოთ.

6. და რომელმაც უფლისწულმან ცმაზედ და ამილახორზედ წიხააღმდეგი საქმე ქნას და მიგვისიოს უფლისწულზედ, ისე მივეყოვნეთ.

7. და რომელმაც უფლისწულმა ამილახორის უბარათოთ ვერც მსახური გამოიყვანოს, ვერც ურემი, ვერც ცხენი, ვერც ხარი გამოართოს, ვერც ღალა გაყოს; და რაც მამა-პაპათ დებულება არის ვერც სახასოს მოუმატოს და ვერც ეკლესიის ყმასა.

8. რომელიც ამ წერილში დაგვიწერია და პირობა და ფიცი დაგვიც, ვინც ამას გარდახდეს, იყოს პირველად წყეულ ყოვლად წმიდისა სულისაგან. ოთხის პატრიარხისაგან და ყოველის საქართველოსა კათოლიკოს-პატრიარხისაგან და საქართველოს მღუდელთ-მთავართაგან და ყოველად სამღვდელოს სამთავნელ ეპისკოპოსის გერგასისაგან.

---

* ზელნაწერში ტექსტი მუხლებად დაყოფილი არ არის.

დაიწერა წერილი ესე და პირობა და ფიცი სექტემბერს 6-7 წელსა ჩლეკ, ქორონიკონს უპდ.

9. რომელმაც ამაში მოსვენებულმა კაცმა. ამაში უმტკიცნეს ცველანი მას მიუხდეთ და დავსწვათ და ავიკლოთ.

10. და ესეც, რომ რაც ეკლესიის ყმას არა სდებია, ვერც ისინი იმსახურონ.

სექტემბერს 6, ქორონიკონს უპდ.

ყოველად საშინელო საშთავისასა ქსნისა წინამძღუარი მღვიმისა.

ხელითა: გერვასი.

* წინარე ფერცელზე დასმულია ბეჭედი და საშუალზედ ფიცის მონაწილის ეარი-ხელითა.

ჭ. მე, მოურავი თუნარელი ხელს ვაწერ შეც; ეს ჩემი ხელია ✝

მარჯვენა ფერცლის კიდეზე:

ქ. ჩვენ, ამილახორი თთარ და ჩემი საბლისკაცები, რომელიც ჭელს მოაწერს და რომელიც ურჩი იქნება. რომელზედაც თქვენ გიფიცივსთ, ჩვენც ფიცში თქვენი თანახმახი ვართ, რომ რომელიც თქვენზედ უსამართლობას იხმარებს და უსამართლოთ თქვენ შეგაწუხებს ან გლეხკაცსა. ჩვენც თქვენთანა შემწენი ვიქნებით. რომელიც ბეჭედს დავსვამთ და ხელს მოვაწერით.

			გიორგი

469. [წყალობის წიგნი ანტონ II-ისა სახლთხუცესს ამილახარისადმი]

[1796 წ 27 სექტემბერი]

ქ. ყოველისა საქართველოს პატრიარხი, მეფის იოაკლის ძე, ანტონი გიბრძანებ სახლთხუცესო ამილახარო!

მერმე ზედამხედველობა ჯიმითისა, ახაშნისა, ფშაურისა და ვეძისჯვრისა — ამათი ზედამხედველობა შენთვის წყალობა გვიქმნია და გვიბოძებია.

შენ წახვიდოდე და რაც ჩვენი განწესება-დებულება იყოს —

* მეორე ფერცლის პარტყნა ხელი კიდე მოხვეულია... ჩანს ნაშთი ხელრთვისა: „...ია სესია ამ ...“

დრამა, სახეცო, შენ მოკვლებდე და უკლებრივ ჩვენ მოგვაბარებდე.

და რაც წეგეძლოს, რიგიან ბეჯითად მოიქეც; და ეს ჩვენი ბრძანება ასე აღასრულე.

და საკანონოსაც შენ აღვებდე. შენს მეტი სხვა ნურავინ გაიგებს და ნურცა ვინ აიღებს. შენთვის[1] გვიბოძებია.

ეკლესიისთვის კ%. წელსა ჩლჟვ.

ხელთაწერი: კათალიკოზი

470. [ბრძანება ანტონ II-ისა გრიგოლ კახიშვილისადმი]

[1796 წ. 11 ოქტომბერი]

ქ. კახიშვილო გრიგოლ!

მერმე ამ მაღალაშვილს ბასილას რასაც შეწერილს სექრესთსა სთხოვდე, ჭელი აიღე. ვინც სხვა მოყალნე კაცი იყოს, იმას ვამოართვი. ამას სასოფლოს სათხოვარში საქმე არა აქვს. ეს ასე უნდა აღასრულო.

ოქტომბერს ია, ქორონიკონს უპდ.

ხელთაწერი: კათალიკოზი

ქ. ჩვენ, მეფე ირაკლი ვამტკიცებთ დეკემბერს გ. ქორონიკონს უპდ. ალბათ.

ბეჭედი: მუ ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვალიდე ერეკლე.

ქ. მოკელებო, ეს ბარათი ანუარიშ[მ]ი ჩაეგდეთ დეკემბერს გ. ქორონიკონს უპდ. როგორც ჩვენს შვილს კათოლიკოზს უბძანებია, ასე უნდა აღსრულდეს.

ბეჭედი: ჭაარს მიცემს დავით მეჭობას ძენ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე

471. [მეფირველების წიგნი დასითეოს კათათელისა კათაისის დმრთისმოგლისადმი]

[1798 წ. 1 ნოემბერი]

ეპა, შენ ყოველთა სიტყვიერთა ნათესავთა შორის უბრწყინვალესად აღმოცენებულო, სიტყვისა ღმრთისა მშობელო მარიამ!

ჩვენ, შენისა ცათა მობაძავ[ი]სა წმინდისა ეკლესიისა მეურნეთა, ყოვლად სამღვდელომ ქუთათელ მიტროპოლიტმან

[1] ქ. შენთვის.

წერეთელმან დოსითეოს ესე მტკიცე და ყოვლად უ[ძ]ვალებელი წერილი შეწირულობისა აღვსწერე და დავსდევ წმიდასა ეკლესიასა შენსა ესრეთ და ესევითარად, რომე:

ალისმერეთს გიორგი მოსიძეს და ბიძინას ჩვენი ეკლესიის გლეხნი ყოლოდა, მაგრამ აღარ მსახურობდნენ, და ჩვენც ვეცადეთ, მაგრამ სიკუდილად გამოიმეტოს თავიანთი თავი და ამ მოსიძეს ამის ნაცვლად წყალობა აღუთქვით და ეს მათი ნაყმევი კაცნი: მარკოზა ლოფსიანიძე თავის ცოლ-შვილით, დავით ლოფსიანიძე თავის ცოლშვილით და ძმისწულებით და აგრეთვე სვიმონიკა ლოფსიანიძე თავის ცოლშვილით, გოგიელა და მამისთვალა,—ესე ყოველნი თავის ადგილ-მამულით, რომლისაც მჭონებელნი იყვნენ, როგორც ძველათ შენის წმინდის ეკლესიის ყოფილა, მეც ახლად განმიახლებია და შემომიწირავს ყოვლითა გულითა და სულით ჩემითა.

და რომელმანცა ძემან კაცისამან ანუ ჩვენმან შემდგომმან ეს წერილი შესცვალოს უსამართლოებით, ჩვენდა ცოდვის ნაცვლად იგი გაწყრეთხოს დღესა მას დიდსა სასჯელისასა. მისცეს უფალმან შიშთვილ[ი] იუდასი, შენის ტეხა დიოსკურესი; და ნუმცა იხილავს დიდებასა ღმრთისა აწ და საუკუნოდ.

აწ არიან ამის მოწამენი: წინამძღუარი საბა და ზოგად ყოველნი მოხელენი ჩვენნი.

აღიწერა ქელით ნიკოლაოს დეკანოზისათა. ქრისტეს აქათ ჩლჷ, თვესა ნოენბერსა პირველსა ა.

პაჭალი: ყოვლად სამღვდელო ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს

472. [სარგოს განწესების წიგნი ანტონ II-ისა ალავერდის არქიმანდრიტისადმი]

[1797 წ. 2 თებერვალი]

ჭ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარხმან და ალავერდელ მიტროპოლიტმან, ძემან შეფისა მეფისა იოაკლისამან, ანტონიმ მისის ლმობიერებისა მიმართ მოხსენებით და იმისის ბრძანებით ალავერდის წმიდის გიორგის ეკლესიის ყმისა და მამულის განმგეობით მონელელად [დაგა]დგინეთ შეხ. მაღალღირსი არხიმანდრიტი... და ამისთვის განვიწესეთ წლითა-წლადი სარჩო-[საბრ]დოთ ცხოვრებისა ასე, რომ:

წელიწადში ათს თუმანს თეთრს და თქვენის ერთის ბერისა-

თვის ორს თუმანს და ეგრეთვე ერთის დიაკონისათვისაც ორს თუმანსვე მანსვე თეთრად მოხელეებისაგან თქვენის ბარათით უნდა [illegible] ღეოდეს.

ამას გარდა კიდევ წელიწადში ექვსი საბალნე ღვინო, შვიდი ხარვალი პური და სამი ხარვალი ქერი უნდა მოხელეთაგან გეძლეოდეს თქვენისავე ბარათით, რომ ანგარიშში შეცთომა და ნაკლებობა აღარა მოხდეს რა.

და კიდევ ოთხი მსახურიც უნდა იხსნას ეკლესიის სახასოს სოფლებიდამ, რომელნიც აზატნი და თარხანნი არიან, იქიდამ.

ეს ზემოხსენებული პური და ღვინო რო[მ] განგიწესეთ, ეს შენთვის. და ვინცა ვინ შენ გახლდებიან, ყველასათვის ეს განგვიწესებია, ასე იცოდნენ.

ფებერვალის 8, ქორონიკონს უპე.

ხელთაა: კათალიკოზი ანტონი

473. [ბრძანება ანტონ II-ისა სოფელ დუსითეოსისადმი ეკლესიის განახლების შესახებ]

[1787 წ. 26 მარტი]

ქ. ყოვლისა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარხი, მეფის ირაკლის ძე ანტონი, გიბრძანებ არხიმანდრიტო ხოფისავე დოსითეოს!

მერმე ეგ ხოფის საარხიმანდრიტო სომ ჩვენი ააშენესო არის, რომელზედაც რომ არხიმანდრიტად ჩვენ გაკურთხედ შენ და დაგადგინეთ, და იმისი ყმა და მამული ყოველივე შენ გარწმუნეთ და მოგეცით. ახლავე შენ მასალა უნდა იშოვნო და ან, რაც ეკლესიას კურთხევაში ესაჭიროება, ისინიც და ეგ სოფის ეკლესია უნდა განააახლო. შენთვის ნება მოგვეცია და ჩვენის შენდობით აკურთხე.

და[1] რაც ეკლესიას[2] ეჭირება წიგნით თუ შესაშოსლით, ყოველითავე უნდა სისრულე მისცე და კარგათ მოუარო და გაუძღვე მაგ ეკლესიას.

და შენსას და მაგ ეკლესიის საქმეს რაც გეჭირვებოდესთ, ყოველსავე ჩვენ უნდა მოგვახსენებდე დაუყოვნებლად; და ყველას ჩვენ განვმართავთ კარგათ და სისრულეს მივცემთ.

ეს ჩვენი ბრძანებული ასრე უნდა აღასრულო ყოველივე.

ფებერვალს ი%, წელსა ჩლჟ%.

ხელთაა: კათალიკოზი ანტონი

---

[1] +ან. [2] +რაც.

474. [ბრძანება დიაკვნობისა დროსითვის ნეკრესელი საძმო კათოლიკოსის ყმების მიგარების შესახებ]

[1797 წ. 26 მარტი]

მისის უწმიდესობის დიკასტირიისა მიერ ბრძანება ყოველად სამღუდელოს ნ ე კ რ ე ს ე ლ ე პ ი ს კ ო პ ო ს ი ს დ ო ს ი თ ე ო ს ი ს ზედა.

მისმან უწმიდესობამან გვიბრძანა თქვენდამო წიგნის მოწერა და იმისთვის მოგწერეთ, რომელიც ქუემო ამისა წერილ არს:

თქუენს ყოველად სამღუდელოებას, დია, კარგად მოეხსენება, რომ რაც კათოლიკოს[ს] კახეთში საკუთარი ყმები ჰყავს, სამწყსოც კათოლიკოსისა არის და ხუცესიც კათოლიკოსისა უნდა ხუცობდეს.

მანდ, შ ი ლ დ ა ს, რომ ოთხი კომლი კაცი არის კათოლიკოსის საკუთარი ყმა, ეგენი კათოლიკოსის ხუცესს უნდა ებარნენ.

თუმცა თქვენ კათოლიკოსისთვის მოგეხსენებიათ, წიგნიც აგიღიათ და იმ კაცებისთვის თქვენი ხუცესი დაგიდგენიათ; მაგრამ რადგან ძველი განწესება არ მოიშლება, ახლა ასე ბრძანა, რომ: «ძველს განწესებას ვერ მოვშლი, უჯერო იქნებათ, თუ მე იქ ხუცესი არა წყვანდეს, კიდევ იქნება, რომ მივაბარო. მაგრა რადგან იქ ხუცესიცა წყავს და ყმებიც ჩემნი არიან, ჩემს ხუცესს უნდა ებაროსოს».

ახლა ჩვენ თქვენს ყოველად სამღუდელოებას მოვახსენებთ, რომ ეგ ოთხი კომლი კაცი კათოლიკოსის ხუცებს მიაბარეთ და იმათ უხუცონ. ძველს განწესებას ნურც თქვენ მოშლით.

მარტს კვ: წელსა ჩღჯე.

მდაბალი მთავარეპისკოპოსი ხელრთა: ბ ე ს ა რ ი ო ნ ი
მდაბალი ტფილელ მიტროპოლიტი ბეჭედი: გ ე რ მ ა ნ ე
არხიმანდრიტი ბეჭედი: არხიმანდრიტი ს ტ ე ფ ა ნ ე
მწიგნობარ-წინამძღუარი ბეჭედი: ტ ა რ ი ე ლ ე

475. [წყალობის წიგნი ერეკლე II-ისა და ანტონ II-ისა მგალობელ ოთარისადმი]

[1797 წ. 20 აპრილი]

ქ. წყალობითა ღმრთისათა, ჩუენ, იესიან, დავითიან, სოლომონიან, პანკრატიევანმან, ცხებულის მეფის თეიმურაზის ძემან, მ ე ფ ე მ ა ნ ყოველისა საქართუელოისა, კახეთისა და სხუათამან ე რ ა კ ლ ი მ ე ო რ ე მ ა ნ და სასურველმან ძემან ჩუენმან, უწმიდესმან საქართუელოს კ ა თ ო ლ ი კ ო ს-პ ა ტ რ ი ა რ ხ მ ა ნ ა ნ-

ტონიმ ესე წყალობის წიგნი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ, ნაფერს ოთარს, შვილსა შენსა გრიგოლს, არტანუჯის მამულსა მოძღვალთა სახლისა შენისათა.

ასე, რომ: ლეხუმის შვილი მგალობელი ნიკოლაოს ჭკუით ამოსწყდა და რაც აღაიანში ყმა და მამული, სოდაბუნი, ზვარი, სასახლის ადგილი, საყდარი და წისქვილი, მთა და ბარი და ყოველივე რაც ლეხუმის შვილის ნაქონები არის, უკლებლად გვიბოძებია.

ეს მამული და საბკვიდრებელი პირველად ელიოზის შვილმა დაიჭირა. მგალობელს ნიკოლაოსს ორი ობოლი ქალი დარჩა და სიდაგ იმათ სარჩოს და მზითევს სთხოვდენ ელიოზის შვილს დავითსა და ყური არა უგდო რა.

მერე იმ ქალების მზითევი ჩვენ უბოძეთ და ის ლეხუმის შვილის ყმა და მამული ელიოზისშვილს სრულებით ჩამოვართვით და შენ დაგიმკვიდრეთ; ამისთვის, რომ შენმა ძმამ არხიმანდრიტმა გერასიმემ და შენ ოთარ მგალობელმა, როდესაც საქართველოში მოხვედით, მრავალი კეთილი და ღვაწლი დასდევით და ჩვენი წმიდანი ეკლესიანი გალობით განანათლეთ; დიახნი ვყავით, რომ სვეტის ცხოველის ეკლესიის ყმისა და მამულიდამ თქვენ წყალობა დაგემართებოდათ. და რადგანც თქვენე იმავ ეკლესიისანი ხართ ამ ყმისა და მამულის მემკვიდრეობა მოგეცით ყოვლის კაცის უცილებლად. ღმერთმან მშვიდობაში მოგახმაროსთ და ეკლესიის სამსახურზედა.

და რაც ამ საქმეზედ ელიოზისშვილს დავითს ან ჩვენი ან ჩვენის ძმის ნეტარხსენებულის კათოლიკოს-პატრიარხის ანტონისაგან ბოძებული წყალობის წიგნები ჰქონდეს, ყველა გაგვიბათილებია, რომ ამისა შემდგომად ალარ შეიწყნარებოდეს. ამის წყალობის წიგნი თქვენ ამას წინათ მეოთხე წელიწადია რომ გიბოძეთ. მაგრამ ის წიგნი აღამაბადხანის მოსვლის ჟამს დაგკარგოდათ. და ეს მეორე სიგელი განგიახლეთ და დაგვიმტკიცებია საუკუნოდ მტკიცედ, ბეჭდითა ჩვენითა.

აღიწერა ტფილისს, აპრილს კ, წელსა ჩლქზ.

ბეჭდი: მე ფეჭთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე ერეკლე-
ხელრთა: კათალიკოზი ანტონი

---

[1] ლეხუნის.

მარეხეხი კიდეზე.

ქ. ჩვენ, სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხვათა დიდებულთა ფალი, დადიანის ასული დარეჯან ამ წყალობის სიგელს ვამტკიცებთ. ოქტომბერს ლ, ქორონიკონს უპვ.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან

ქ. ჩვენ, მეფე სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა გიორგი ამ წყალობის წიგნს ვამტკიცებთ. დეკემბერს კთ, ქორონიკონს უპზ.

ბეჭედი: მეფე სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა გიორგი

ქ. ჩვენ, სრულიად საქართველოს, ქართლისა, კახეთისა და სხვათა დედოფალი ბატონი ციცისშვილის ასული[1] მარიამ ვამტკიცებ ამ წყალობის სიგელსა. დეკემბრის კთ, ქორონიკონს უპზ.

ბეჭედი: დედოფალი მარიამ

ქ. ჩვენ, საქართველოს უფლისწული მეფის ძე გიორგი ამ წყალობის წიგნს ვამტკიცებთ. ივნისის იბ, ქორონიკონს უპე.

ბეჭედი: გიორგი

ქ. ჩვენ, სრულიად საქართველოს მეფის იოაკლის ძე მირიან ამ წყალობის წიგნს ვამტკიცებ. ოქტომბრის ლ, ქორონიკონს უპვ.

ბეჭედი: დავითის ტომთა სჯულისა ძე ვარ იოაკლი მეფისა მირიან

ქ. ჩვენ, მეფის ძე იულონ ამ წყალობის წიგნს ვამტკიცებთ. ივნისის იბ, ქორონიკონს უპე.

ბეჭედი: ქ. ღთისმშობლის სასოიანი იულონ დავითიანი

ქ. ჩვენ, მეფის ძე ალექსანდრე ამ წყალობის წიგნს ვამტკიცებთ. თიბათვის ივ, ქორონიკონს უპვ.

ბეჭედი: დავითის რტო სახელმძღვანელი ალექსანდრე მეფის ძისა

ქ. ჩვენ, მეფის ძე ვახტანგ ამ წყალობის წიგნს ვამტკიცებთ. ივნისის იდ, ქორონიკონს უპე.

ბეჭედი: ღმრთის ნებით ვახტანგ იოაკლის ნაკვეთად

[1] ასულმა.

ქ. ჩვენ, მეფის ძე ფარნავაზ ამ წყალობის წიგნსა ვამტკიცებთ. ივნისის ი, ქორონიკონს უპვ.

ბეჭედი: დთსმშობელმან წიაღით მფარნა ვაზ კეთილთა რტოდ მეც შემიწყნარა.

verso

ქ. ჩვენ, სრულიად საქართველოს მეფის ძე მეშვიდრე, ოსეთის ეგნერალ-მაიორი და კავალერი დავით ამას ვამტკიცებთ. დეკემბრის ლა, ქორონიკონს უპზ.

ბეჭედი: დავით

ქ. ჩვენ, მეფის ძე იოანე ვამტკიცებთ. იანვრის ზ, ქორონიკონს უპმ.

ბეჭედი: იოანე

ოყში ბეჭედი*

476. [წყალობის წიგნი ანტონ II-ისა სახლთხუცეს ამილბარ მაღალაძისადმი]

[1738 წ. 9 თებერვალი]

ქ. ჩვენს, ღმრთისა მიერ კურთხეულმან ყოველისა საქართველოსა დიდმან მამათ-მთავარმან კათალიკოზ-პატრიარხმან, ძემან სრულიად საქართველოჲსა მეფისა ირაკლი მეორისამან, ანტონი ესე წყალობის წიგნი და სიგელი დავიწერეთ და გიბოძეთ შენ, ჩვენის ეკლესიქის აბნაურშვილს მაღალაძეს სალთხუცეს ამილბარს, ძმასა შენსა დავითს, შვილსა შენსა გაბრიელს, იოანეს, რევაზს, ძმისწულსა შენსა გიორგის, სოლომონს, ალექსანდრეს და იოსებს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა.

მოხველით და ჩვენის ნასყიდის სოფლის ზემო ავჭალის მოურაობას დაგვეპყენით. ჩვენც ვისმინეთ ჟამ და ვეღრება თქვენი და გიბოძეთ ზემო ავჭალის მოურაობა. როგორცათუ სხვათა მოურავებს უჭირავსთ, ავრევე თქვენთვის გეიბოძებია და წყალობა გვიქმნია, რომ ამისი შეკლე და მოდავე არავინა გყვანდეს. ღმერთმან სვეტის ცხოველისა ერდგულობასა და ჩვენსა სამსახურსა შინა მოგეხმაროსთ.

---

* ბეჭდის დეტალები კარგად არ ირჩევა.

ან წკვე თქვენცა ყოველად სანატრელნი კათალიკოზ-პატრიარქნო, თქვენცა ასევე დალმტკიცეთ და ნუ მოუშლით, რათა თქვენცა გაგებული და გარიგებული ღმერთმან მტკიცე ჰყოს.

არიან ამისი თანახმანი ერთობით ჩვენნი მოხელენი.

აღიწერა ბძანება ესე ჴელითა მაღალაძე მდივნის იოსებისათა თვესა ფებერვალს ო, ქორონიკონს ჩპვ.

ხელთაგი: კათალიკოზი ანტონი

477. [წყალობის წიგნი ანტონ II-ისა გიორგი მაღალაშვილისადმი]

[1798 წ. 1 ივნისი]

ქ. ჩვენ, ღმრთისა მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოსა კათალიკოზ-პატრიარქმან, ძემან სრულიად საქართველოსა მეფისა ირაკლი მეორისამან, ანტონი ესე წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერინეთ და გიბოძეთ შენ, ჩვენს აზნაურშვილს მაღალაშვილებს გიორგის, ქიტესის, შვილსა შენსა ვასილს, მლედველს გრიგოლს, იოსებს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა.

ასე, რომე: მოხვედით და მამულის წყალობას დაგვეკვენით. ვისმინეთ აჯა და ვედრება თქვენი და გიბოძეთ ახმეტას სვეტის ცხოველის ყმის ბეითალმახი მამული ორის დღის მიწა: აღმოსავლეთით ანდრიანთ რუმდინ, დასავლეთისაკენ მოკვერაშვილისა და მამულაშვილის მიჯნამდინ, სამხრეთისაკენ ყორემდინ რაც რუ ჩაიტანს, ჩრდილოეთისაკენ ჩოკაშვილის ყმის ღობემდინ.

ღმერთმან ჩვენსა ერდგულად სამსახურსა და სვეტიცხოველის ერდგულობასა შინა მოგახმაროს.

არიან ამისი თანახმანი ერთობით ჩვენნი მოხელენი.

აღიწერა ბრძანება ესე ხელითა მაღალაძის მდივნის იოსებისათა თვესა ივნისსა ა, ქორონიკონს ჩპვ.

ხელთაგი: კათალიკოზი

478. [ბრძანება ანტონ II-ისა მოურავ იოანესადმი დავით მღვდლისათვის მამულის მიბარების შესახებ]

[1798 წ. 8 სექტემბერი]

ქ. ყოვლისა საქართველოს კათალიკოზ-პატრიარხის, მეფის ირაკლის ძის, ანტონის კეთილად სახსოვარო მეტეხის მოურათ იოანე და მეტეხის დეკანოზო დიმიტრი.

მერე დიპლომატის მამული ამ დაკით ვლდებულ უბოძეთ და იმ მამულის წიგნები და ნამული ამ მღვდელს მოაბარეთ. და ახალქალაქელი მამასახლისის შვილი ესტატე ვლ[ა]ვნეთ და იმან რაც მამული გიჩვენოსთ, ამას მოაბარეთ. და ან კიდევ იმ მამულისა [და] გაეცნობოთ და ან დაეგირავებინოს, ისეც ამ მღვდელს დაბ[ა]ნნეინეთ. ეკლესიის მამულის გასყიდვა არ იქნება და არც იმ საეიმლოსი დაკლება.

დეკანოზო დიმიტრი, ამისი ვალი შენ გაძევს. ბეჭითად მაიქეცით, რომ ეკლესიას მამული არ დაეკარგოს.

სვეტიცხოვლის ქორონიკონს უპვ.

ხელრთვა: კათალიკოზი

479. [წყალობის წიგნი ანტონ II-ისა გიორგიშრომისადმი]

[1718 წ. 18 დეკემბერი]

ქ. წყალობითა ღმრთისათა, ჩვენ, ყოვლისა საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარხმან და ალავერდელმან, სანატრელის მეფისა ირაკლი მეორისა ძემან, ანტონი ესე უკუნისამდე ყამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და უცვალებელი წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ გიორგი შვილებს გოგიას და ავთანდილს და შვილთა თქვენთა იაკობს, ნიკიას, ლაზარეს, პავლეს, იოსებს, სვიმონს, იოელს და მომავალთა სახლისა თქვენისათა.

ასე რომე: ვინადგან მოხვედით, დაგვეაჭენით და ჩვენს ყმობას გვეეცდებინით, ვისმინეთ ვედრება თქვენი და წეგწირეთ ალავერდის წმიდის გიორგის ეკკლესიასა და გიბოძეთ ჩუენის ყმის ამოწყუეტილის კაცის ყიველ შვილის მამული. თავისის სახლით, ქვევრ-მარანით, წყლით, წისქვილით, წითით, ბარით, საკნავით, ულნავით, რასაც მქონებელი ყოფილიყოს. ყოველივე სრულებით თქვენთვის გვიბოძებია.

არ მოგეშალოს არც ჩუენგან და არცა სხუათა ალავერდელ მიტროპოლიტთაგან. ღმერთმან წმიდის გიორგის ეკლესიის საწესჩუროსა და ჩუენს ეროვნულებაში მოგახმაროსთ.

არიან ამისნი დამსწრენი და ვამრიგენი სულიერთობით საყდრიონის მოკვლენი.

მე, მისის უწმიდესობის მღვდელ-მონაზონს იოსტოსს დამიწერია.

დეკემბრის იწ, ქორონიკონს უპვ.

ხელრთვა: კათალიკოზი ანტონი

480. [ბრძანება ანტონ II-ისა სახლთხუცეს ამილახარი სადმი მსახურთა ხლების შესახებ]

[1799 წ. 2 თებერვალი]

ქ. სახლთხუცესთა მ ი ლ ბ ა რ!

როგორც მის სიმაღლის მეფის სახლთხუცესს სახასოს სოფლებიდამ მსახურები ახლავს, ეგრეთვე შენ უნდა იახლო მსახურები; ერთი საგარეჯოდამ, ერთი ჯიმითიდამ და ერთი შაშიან-კალაურიდამ; და სხვები კიდევ ჩვენის სახასო სოფლებიდამ.

და რომელთაც შენ მსახურად იახლებ, იმათი ხარჯსა და გამოსაღებში გარეგა არ იქნება. ის შენი მსახურებიც ეკლესიისა და ჩვენს სამსახურში იქნებიან.

ფეშქაშის ბ. ქორონიკონს უპზ.

ხელმოწერა: კათალიკოზი

481. [წყალობის წიგნი ანტონ II-ისა ზაქარია როსტომაშვილისადმი]

[1799 წ. 9 თებერვალი]

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოს კათალიკოზ-პატრიარხმან, მეფის ირაკლის ძემ, ანტონი გიბოძეთ შენ როსტომაშვილს ზაქარიას მცხეთის ხიდის ბაჟი ორმოცდათ თუმნათ. ხუთი თუმანი შენთვის ხალათი გვიბოძებია და ორმოცდახუთი თუმანი სვეტიცხოველს უნდა მოართო დაუთვით.

ფეშქაშის ი. ქორონიკონს უპზ.

ხელმოწერა: კათალიკოზი

482. [წყალობის განახლების სიგელი ანტონ II-ისა ოთარ ანთაძისადმი]

[1799 წ. 15 მარტი]

ქ. წყალობითა ღმრთისათა, იესიან, დავითიან, სოლომონიან, პანკრატოვანმან საქართველოს კათალიკოზ-პატრიარხმან, ძემან სანატრელისა მეფისა ირაკლი მეორისამან, ანტონი ესე წყალობის წიგნი და სიგელი შევიწყალეთ და გიბოძეთ შენ ჩვენს ახნაურშვილს ანთაძე მკალობელს ოთარს. შვილსა შენსა

გრიგოლს და არტემის, შვილთა და მომავალთა სახლის თქვენისათა.

ასე, რომ: ნეტარად ხსენებულს კათალიკოსს ანტონის კრწანისის მეღალობა და მეკალეხობა ებოძებინა სიცოცხლით. და იღამამადხან რომ მოვიდა და ქალაქი მოაოხრა. სხვა ნივთიც მრავალი რამ დაგკარგოდა და ის წყალობის სიგელიც დაგკარგოდა. მოხველ და შენის ნებათხოვისამებრ წყალობის სიგელის გაახლებას დაგვპირე.

ჩვენც გისმინეთ ვედრება თქვენი და გიბოძეთ კრწანისისა და ორთაჭალის მოღალობა და მეკალეხობა, სიცოცხლით ამით განგიახლეთ და დაგიმტკიცეთ.

ღმერთმან სვეტიცხოველისა და ჩვენსა ერდგულად სამსახურსა შინა მოგახმაროსთ; არა მოგეშალოს არა ჩვენგან და არც სხვათა კათალიკოზ-პატრიარხთაგან.

დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხოს.

არიან ამისნი თანხმანი ერთობით ჩვენნი მოხელენი.

აღიწერა ბრძანება ესე ქელითა მაღალაძის მდივნის იოსებისათა, თვესა მარტსა ით, ჭოროხიკონს უპაზ. წელსა **ჩლჟთ.**

ხელრეკა: კათალიკოზი ანტონი
თავში ბეჭდი*

483. [წყალობის წიგნი ეფთვიმი გენათლისა ბაკურაძეებისადმი]

[1789 წ. 1 აპრილი]

წყალობითა და შეწევნითა ყოველად წმიდისა სამებისათა და თანამწეობითა მარიამ დედისა ღმრთისათა, ჩვენ ყოველად სამღვდელომან გაეწათელ მიტროპოლიტმან ეფთვიმიმ ესე მტკიცე და ჭეშმარიტი, უცვალებლო წყალობის წიგნი და საფიცარი გიბოძეთ თქვენ, ჩვენის ეკლესიის გელათის მკვიდრსა და ერთგულთა მოსამსახურენს ერთობით გიორგი ბუცის ბაკურაძისა და სიმონიკა ბაკურაძის შვილებსა და შვილის შვილებსა და მათს ძესა და მომავალს ერთობით ესრეთ და ესევითარად, რომ:

თქვენი სახლის კაცის გოგიტელა ბაკურაძის შვილი ლაზარიკა ბაკურაძე უშვილოთ გარდაშენდა. და სამართლით

---

* ბეჭდის ღეღნდა კარგად არ ირჩევა.

უწვილოს კაცისაეული ჩემი იყო, მაგრამ თქვენ ერთგულათ [illegible] სახერხი იყავით და კიდეც შეუდგრეთ; და ვისმინე თქვენი [illegible] და გიბოძეთ ლაზარიკა ბაკურაძისეულობა, რაც რამეა [illegible] სახლკარი, ჭერ-მარანი, აღგილ-ბამული და ვენახი, საყანე, საბაღნე, საწისქვილე, სათლაე-საბაღნო და საძებარ-უძებარი, რომლისაც მქონე ლაზარიკა ყოფილიყოს შინ და გარეთ, მისის სამართლიანის მზღვრით, მიბოძებია.

გაქვნდეს და გიბედნიეროსთ ღმერთმან ყოველის კაცის უკლებლათ; ამისთვის თქვენ მოდგეე არავინ ვეყოლოსთ, ისე მკვიდრათ მიბოძებია. თუ თქვენ ჩვენი ეკლესიისა და ჩვენი ერთგული იქმნეთ, არავისგან მოგეშალოსთ ეს წყალობა.

და აწ თუ ვინმემ ეს ჩვენ მიერი წყალობა მოგიშალოსთ, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიერ წყეულ, კრულ და შეჩვენებულ იყოს აწდა საუკუნოდ.

აწ იქმნა ამ წერილისა მოწმე და ვამრიგე ჩვენი მოხელე: კანდელაკი გიორგი, კანდელაკი ანდრია, მცველთხუცესი გოგოლაშვილი სიმონ და სხვა ერთობით სულ სოგვნათლოთ.

და მე, უღირს ბერს მღვდელ-მთავარს დავითს დამიწერია და ბოწამეცა ვარ ამისი.

აღწერილა თვესა აპრილსა ა, ქრისტეს აქეთ ჩღჟთ.

ხელმწ: გენათელი ნატროპოლიტი ქფთველი

484. [დავთარი სამთავისის საყდრის გამოსავლისა]

[XVIII ს. II ნახ.]

1.* ქ. ბალხამისშვილის დათუნას მამულს აძეს [მეგარი]: პური ჩანქ[ხი] თორმეტი, ცხვარი ერთი, ჩებიჩი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

2. ქ. ბალხამისშვილის ელისბარის მამულს აძეს [მეგარი]: პური ჩანახი თოთხმეტი, ცხვარი ერთი, თხა ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

3. ქ. ბალხამისშვილის ბერის მამულს აძეს [მეგარი]: პური ჩანახი თორმეტი, ცხვარი ერთი, თხა ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

4. ქ. წიკლაურის ბერის მამულს აძეს:**

---

* დასაწყისი აკლია. მუხლების სათვალავი პირობითია.

** ტექსტისათვის დატოვებულია ცარიელი ადგილი.

5. ქ. წიკლაურის ქალწაშვილის გამხარდის ბეგარას აძლევს*:

6. ქ. ბალხამისშვილის მოურავს ხოსროს ბეგარას აძლევს:*

7. ქ. ბუთხუზის ქალთას ბეგარას აძლევს:*

8. ქ. ბალხამისშვილის შიოს მამულს აძლევს [ბეგარის]: ბერი ჩანახი რვა, ცხვარი ერთი, ქათამი, ერთი, კვერცხი ხუთი.

შეტყვათ-კარს

9. ქ. პავლეშვილის გვიანის მამულს აძლევს ბეგარის: ბერი ჩანახი ათი, ცხვარი ერთი, თხა ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

10. ქ. შეტყვის შვილის აბრამას მამულს აძლევს ბეგარის: ბერი ჩანახი ხუთი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

11. ქ. შეტყვის შვილის წიკლაის მამულს აძლევს ბეგარის: [ბერი] ჩანახი ხუთი, თხა ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

12. ქ. შეტყვის შვილის ბერის მამულს აძლევს ბეგარის: ბერი ჩანახი ხუთი, ჩებიში ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

13. ქ. შეტყვის შვილის გივის მამულს აძლევს და ძულის მამულს ბეგარის: ბერი ჩანახი ათი, ცხვარი ერთი, თხა ერთი, ქათამი ორი, კვერცხი ათი.

14. ქ. შეტყვის შვილის ძულის მამულს აძლევს:*

15. ქ. შეტყვის შვილის პეტრია გივის მამულს აძლევს: ბერი ჩანახი ორი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

პავლეთ-კარს

16. ქ. პავლეს შვილის დათუნას მამულს აძლევს ბეგარის: ბერი ჩანახი ოთხი, თხა ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

17. ქ. პავლეს შვილის ელისბარის მამულს აძლევს ბეგარის: ბერი ჩანახი ათი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

18. ქ. პავლეს შვილის ბერის მამულს აძლევს ბეგარის: ბერი ჩანახი ათი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

19. ქ. პავლეს შვილის მეორეს ბერის მამულს აძლევს ბეგარის: ბერი ჩანახი ათი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

20. ქ. პავლეს შვილის სიხარულის მამულს აძლევს

---

* ტექსტისათვის დატოვებულია ცარიელი ადგილი.

ბეგარი: პური ჩანახი რვა, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

21. ქ. პაველეშვილის [მეორეს] სიხარულის მამულის ძეს ბეგარი: პური ჩანახი ოთხი, თხა ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

22. ქ. პაველეშვილის ელოს მამულს ძეს ბეგარი: პური ჩანახი რვა, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

23. ქ. ონიაშვილის კაციას მამულს ძეს ბეგარი: პური ჩანახი ექვსი, თხა ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

24. ქ. ონიაშვილის გიორგის მამულს ძეს ბეგარი: პური ჩანახი ექვსი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

25. ქ. ონიაშვილის ოთარის მამულს ძეს ბეგარი: პური ჩანახი რვა, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

26. ქ. თინიაშვილის ლოთეს ბერის მამულს ძეს ბეგარი: პური ჩანახი ხუთი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

27. ქ. თინიაშვილის ლოთეს ბასილის მამულს ძეს ბეგარი: პური ჩანახი ხუთი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

28. ქ. თინიასშვილის მოურავის აბრაამის მამულს ძეს:*

29. ქ. თინიასშვილის ბერის მამულს ძეს ბეგარი: პური ჩანახი სამი, ჩუბინი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი[1].

30. ქ. თინიასშვილის მახარას მამულს ძეს ბეგარი: პური ჩანახი ექვსი, თხა ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

31. ქ. თინიაშვილის გიორგის მამულს ძეს ბეგარი: პური ჩანახი რვა, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

32. ქ. თინიასშვილის თედილას მამულს ძეს ბეგარი: პური ჩანახი ოთხი, თხა ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

33. ქ. თინიაშვილის შერმაზანის მამულს ძეს ბეგარი: პური ჩანახი რვა, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

34. ქ. თინიაშვილის ივანეს მამულს ძეს ბეგარი: პური ჩანახი ათი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

---

[1] ხუთი] ერთი.

* ტექსტისთვის დატოვებულია ცარიელი ადგილი.

35. ქ. თინიკაშვილის ბასილის მამულს აძევ-ებენ: პური ჩანახი ოთხი, თხა ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთეული.

36. ქ. თინიკაშვილის იმედას მამულს აძევებენ: პური ჩანახი ოთხი, ჩებიჩი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

37. ქ. თინიკაშვილის გიორგის მამულს აძევებენ: პური ჩანახი ოთხი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

38. ქ. თინიკაშვილის ბასილის მამულს აძევებენ: პური ჩანახი ოთხი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

39. ქ. თინიკაშვილის ზურაბას მამულს აძევებენ: პური ჩანახი ოთხი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

40. ქ. შეტაკაიშვილის დათენას მამულს აძევებენ: პური ჩანახი ოთხი, თხა ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

41. ქ. კარელიძე ბალიას მამულს აძევებენ: პური ჩანახი ხუთი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

42. ქ. კარელიძე შიოს მამულს აძევებენ: პური ჩანახი ოთხი, თხა ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

43. ქ. კარელიძე ბასილის მამულს აძევებენ: პური ჩანახი ხუთი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

44. ქ. კარელიძე სეხნიას მამულს აძევებენ და ზარიძისა ბეგარი: ჩანახი ხუთი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

45. ქ. კარელიძე ზარიძეს მამულს აძევს:*

კვერიეთს

46. ქ. წიკლაური ვამიხარდის მამულს აძევებენ: პური ჩანახი ექვსი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

47. ქ. ბავლეურთ გოდერძის მამულს აძევს:*

48. ქ. წიკლაურის მახარებელის მამულს აძევებენ: პური ჩანახი ხუთი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

49. ქ. წიკლაურის ლიმიას მამულს აძევებენ: პური ჩანახი ოთხი, თხა ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

---

* ტექსტისათვის დატოვებულია ცარიელი ადგილი.

50. ქ. წიკლაურის ელოს მამულს აძეს ბეგარი: ბერი ჩანახი ოთხი, ძახა ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

51. ქ. წიკლაურის ბადიღას მამულს აძეს ბეგარი: ბერი ჩანახი ექვსი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

52. ქ. პროკოპის მღდლის და ივანეს მამულს აძეს ბეგარი: ბერი ჩანახი ათი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი, ძახა ერთი.

53. ქ. მიდელაშვილის ბერის მამულს აძეს ბეგარი: ბერი ჩანახი ექვსი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

54. ქ. მიდელაშვილის ბასილას მამულს აძეს ბეგარი: ბერი ჩანახი ათი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

55. ქ. მიდელასშვილის იმედას მამულს აძეს ბეგარი: ბერი ჩანახი ათი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

56. ქ. მიდელაშვილის ნიკოლას მამულს აძეს ბეგარი: ბერი ჩანახი რვა, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

57. ქ. მიდელასშვილის დათუნას მამულს აძეს ბეგარი: ბერი ჩანახი ექვსი, ძახა ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

58. ქ. მიდელაშვილის ბასილას მამულს აძეს ბეგარი: ბერი ჩანახი ათი, ცხვარი ერთი, ერთი ჩებიჩი, ქათამი ორი, კვერცხი ათი.

59. ქ. მიდელაშვილის გიორგის მამულს აძეს ბეგარი: ბერი ჩანახი ექვსი, ცხვარი ერთი, კვერცხი ხუთი.

60. ქ. მიდელასშვილის ბერის მამულს აძეს ბეგარი: ბერი ჩანახი ექვსი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

61. ქ. მიდელაშვილის ივანეს მამულს აძეს ბეგარი: ბერი ჩანახი...*

62. ქ. ნავროზაშვილი გოგიას მამულს აძეს ბეგარი: ბერი ჩანახი ექვსი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

ქენქათ-კარს

63. ქ. ქენქაძე ივანეს მამულს აძეს [ბეგარის]: ბერი ჩანახი სამი, ჩებიჩი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

64. ქ. ქენქაძე გოდერძის მამულს აძეს [ბეგარის]: ბერი ჩანახი სამი, ჩებიჩი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

65. ქ. ქენქაძე აბრამის მამულს აძეს ბეგარი: ბერი ჩანახი სამი, ჩებიჩი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

66. ქ. ქენქაძე გიორგის მამულს აძეს ბეგარი: ჩანახი სამი, ჩებიჩი ერთი, კვერცხი ხუთი.

67. ქ. ქენქაძე იმედას მამულს აძეს ბეგარი: პური ჩანახი ოთხი, თხა ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

68. ქ. ქენქაძე ჯოლაბრდის შვილის გიტიას მამულს აძეს ბეგარი: პური ჩანახი ხუთი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

69. ქ. ქენქაძე ფოცხვერიას მამულს აძეს ბეგარი: პური ჩანახი ექვსი, თხა ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

70. ქ. ქენქაძე ელისბარის შვილის ბერასა მამულს აძეს[1] ბეგარი: პური ჩანახი ოთხი, თხა ერთი, კვერცხი ხუთი, ქათამი ერთი.

71. ქ. ქენქაძე პატარკაცის მამულს აძეს ბეგარი: პური ჩანახი ოთხი, თხა ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

72. ქ. ქენქაძე გოგიას მამულს აძეს [ბეგარი]: პური ჩანახი ოთხი, თხა ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

73. ქ. ქენქაძე ქიტიას მამულს აძეს ბეგარი: პური ჩანახი რვა, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

ხოზიეთს

74. ქ. გავრიზაშვილს წითას აძეს ბეგარი: პური ჩანახი ათი, ცხვარი ერთი, თხა ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

75. ქ. გამხიტაშვილს გოგიას მამულს აძეს ბეგარი: პური ჩანახი ხუთი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

76. ქ. გამხიტასშვილის ივანეს მამულს აძეს ბეგარი: პური ჩანახი ექვსი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

77. ქ. გამხიტაშვილს ქიტიას მამულს აძეს ბეგარი: პური ჩანახი რვა, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

78. ქ. ოგბაძის კუკდელს მამულს აძეს ბეგარი: პური ჩანახი ათი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი, თხა ერთი.

ამისი მამული რაც დაფანტული არის, ჯანდა შეგვარიბოთ.

79. ქ. ხასადრიშვილს ოთარას მამულს აძეს ბეგარი: პური ჩანახი სამი, ჩებიჩი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

80. ქ. ჩხიკვის მამულს სძეს:*

---

[1] ბერახა მამულსა აძეს] მამულსა აძეს ბერახა.

* ტექსტისათვის დატოვებულია ცარიელი ადგილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

81. ქ. ბეჟუაშვილის მამულს აძლევს მგელას ოსი და ბასილს ბეგარი: [პური] ჩანახი თხუთმეტი, ცხვარი ერთი, თხა ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

82. ქ ზაქუტაშვილის შერმაზანის მამულს აძლევს ბეგარი: პური ჩანახი ათი, ცხვარი ერთი, თხა ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

83. ქ. ქუნქაძე გიორგის მამულს აძლეს ბეგარი: პური ჩანახი რვა, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

84. ქ. ქუნქაძე იმედას მამულს აძლევს ბეგარი: პური ჩანახი რვა, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

85. ქ. ქუნქაძე ბერის მამულს აძლევს ბეგარი პური ჩანახი ხუთი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

86. ქ. ქუნქაძე ბერის მამულს აძლევს საქორესა ბეგარი: პური ჩანახი ათი, თხა ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

87. ქ. დთისია ქუნქაძეს საქორეს რომ მამული უპყრავს, იმაზე აძლევს [ბეგარი]: პური ჩანახი ათი, თხა ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

verso-ზე ლიტერატურული ხელით: „პირი ესე მტკიცე არს“

485. [წმალობის წიგნი გრიგოლ ცაიშელისა გოგიჩუხუ მეუნარგიასადმი]

[XVIII ს. II ნახ.]

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა. მტკიცე და ეცვალებელი წყალობის წიგნი დაგიწერეთ და გიბოძეთ ყოველად სამღვდელომან ცაიშელ მიტროპოლიტმან გრიგო[ლ] შენ, ჩვენს ერდგულს მოსამსახურეს მეუნარგიას ბოშიხუსა და შენს შვილს ბებელიძე და სხვათა შენთა შვილთა და მომავალთა.

ამა პირს ზედა, რომ: ქამთა ცოთარებისაგან აღსაზეთს გარდაგარდნილ ყოფილიყავი და ცაიშელი სოფრომ ღრღაბერიძე დასაჭვებოდა შენ და წყალობას დაგპირებოდა და გამოეყვანე ვამოლმა და ცაიშს დაესახლებინე.

და მაა შემდგომად სოფრომს ცაგერლობა მისცეს და შენ ისე უწყალობოდ დაშთენილიყავი. და მატონმა დადიანმა ქაცია

და მღდელმთავრებმან ჩემი ცოიწლობა ინებეს და ცოიმლობა-
ცეს.

და დაგვე[ა]ჯე და რითაც შემძლე იყავი, ქრთამიც მოვკვდომოდი და მესამე წელიწადს რომ რუბი და სახეცო რომ ჩამოიბოძებია, ამის ათასთავი გვთხოვე.

და ვისმინეთ თქვენი აჯა და შეხვეწა და რუბისა და სხვა საკანონოს გარდა ამ სიებისა და სახეცოს ათასთავი გვიბოძებია შენთვის და შენის შვილებისა და მომავალთათვის საუკუნოდ.

ღმერთმან ჩვენს ერდგულობაშიდ და ჩვენის ეკლესიის სამსახურში და ერდგულობა[ში მო]გახმაროს და გიბედნიეროს.

ვინც ეს ჩვენი ბოძებული წყალობის წიგნი შეეცვალოს: ანუ დიდმან ანუ მცირემან ანუ ჩვენმა შემდგომმან ცოიწყლმან, ისიც შეიშლება სჯულის ქრისტიანობისაგან, მასაც რისხვას დაესაბამოს ღმრთისა და შვიდის კრებისაგან და ოთხის პატრიარხისაგან. და ჩვენგან შეჩვენებული იყოს სულითა და ჯოკით.

ბეჭედი: ცა ი შ ელ მ ი ტ რ ო პ ო ლ ი ტ ი გ რ ი გ ო ლ

486. [გრძანება ანტონ II-ისა სალთხუცეს ამილბარისადმი გამოსალების გამოართმევის შესახებ]

[1800 წ. 20 იანვარი]

ქ. ს ა ლ თ ხ უ ც ე ს თ ა მ ი ლ ბ ა რ!

მერე ს ა ვ ა რ ე ჯ ო ს ვინცავენ თარხანში იყვნენ, ყ ვ ა რ ე ლ ს ა და ინდოეთს ხამყოფს გარდა, თუნდა ჩვენი წყალობის წიგნიცა ჰქონდესთ. კოდის პური და ქულუბი ყველას უნდა გამოართოს. ეს შემოსავალი ეკლეს[ი]ისა არის, ჩვენ ვერ ვაპატივებთ.

იანვარს ლ, ქორონიკონს უპზ.

ვინც ჩვენ გვახლავან, იმათ გარდა.

ხელრთვა: კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი

487. [წუხნა საეკლესიო გამოსალებისა ანტონ II-ის თქმით]

[1800 წ. 14 მარტი]

ქ. ქ ა ი ხ ო ს რ ო ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი ს შვილის ხიშახი ასაღები.

ქ. გ ი ვ ი ფ ა რ ე შ ი თ ს უ ც ე ს ი ს[1] არის ხიშახი ასაღები.

[ქ.] დ ა ვ ი თ ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ი ს ა არის ხიშახი ასაღებ[ი].

ქ. გ ლ უ რ ჯ ი ძ ე ი ო ს ე ბ ი ს ა არის ხიშახი ასაღებ[ი].

[1]+გიორგის.

ჭ. გელა კაკოლასი არის ნიშანი ასალებია.
ქ. მაღალაშვილი ნინიაე.
რაც ამ ნუსხით მიცვალებულები დაგვიწერია, თავადი ასპანაური ნაურნი, ყველას ნიშანი, საწირავი, გარდასახურავი, ცხენი და ტანისამოსი ყველა უკლებლათ გამოართვი. ამისი გამოურთმეველობა არ იქნება.
მარტს იდ, ქორონიკონს უპწ.
ქ. რომელმაც ნიშანი არ მოგცეს, იმათ მღუდელს გამოეცხადე; რომ ნუღარც ულოცავს, ნურც აზქარებს, ნურც ცრმას მოუნათლავს და ნურც სახლს გაუნათლავს.
ხელთა: კათალიკოზი

488. [წყალობის წიგნი ანტონ II-ისა მამასახლის ვიკირტშვილისადმი]

[1800 წ. 10 აპრილი]

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა მაკურთხეველმან, მაღალთა მეფეთა შთარავანდედმან, კათალიკოზ-პატრიარქმან და ალავერდელ მიტროპოლიტმან, ძემან სანატრელისა ჯელმწიფე ბატონის მეფის იორაკლი მეორისამან, ანტონმან ეს უკუნისამდე ყამთა, ხანთა და დროთა გამოსადეგი, მტკიცე და უცვალებელი. ემიხვეწა და მიბეზვემოუდებელი და ყოვლის კაცის მოუდევარი წყალობის წიგნი და სიგელი შეეწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ძველთაგან სვეტისცხოველის მკვიდრობასა და თავდადებით ნამსახურს ყმასა ჩვენსა კრწანელს დავითაქსი მამასახლისის სოლომონას შვილს მამასახლისს მიკირტუმას, ძმასა შენსა დავით და სახლისკაცსა შენსა ტერ-არუთინას და ოსეფას, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა.
ასე რომე: სვეტის ცხოველისა ძველთაგან დიდად ნამსახურნი ყოფილთ. აწ მოხვედით კარსა დარბაზ-პალატისა ჩვენისასა და თქვენის სახლისა და მამულისა სათარხნეს დაგვეჯენით. ჩვენც ვისმინეთ ამა და მოხსენება თქვენი და რადგან იმ დიდის ეკლესიაში ნამსახურნი ყოფილთ და ძველი წიგნებიცა გქონდათ და მამასახლისობა თქვენი ყოფილიყო კრწანისასა: და აწ[1] ახლა ჩვენც სამკვიდროთ და საბოლოოთ გიბოძეთ ჩვენმა სოფლის კრწანისის მამასახლისობა.

---

1 აწ.

და ამაა გარდა ჩვენი ორთაჭალის ბაღისა ფეროზაშვილებს კარსუკანთ ვუნახთას რომ თქვენი მკედრი ვენახი გაქვსთ. იმასა გამოხვალისა და კულესიც ვეპატიებია და ისე სულ-ცოდვა ვეყოფოთა.

და შენი სახლიც ასე გვითმობნებია, რომე არა საჭვენთ გამოსაღები არა ცეთხოვებოდესთ რა, არა ჩვენგან და არც სხვათა შენდომია ჩვენთა კათალიკოზ-პატრიარხისაგან, არცა მეფეთა და დედოფალთა და უფლისწულთაგან, არცა ქალთა გითარებისა და დროს ცვალებისაგან, არცა დიდთა და არცა მცირეთაგან არ მოგვშალოს ჩვენგან წყალობა და სითმობნე და სახელოსე.

ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხოს.

არიან ამისი თანაწმანი ერთობით ჩვენი ეკლესიქოს მოხელენი.

დიწერია ბძანება და ნიშანი ესე კელითა მ ა ღ ა ლ ა ძ ი ს წდილის ი ო ს ე ბ ი ს ა თ ი, თვესა აპრილს ი. ქორონიკონს ჳპწ.

ხელთა: კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი ა ნ ტ ო ნ ი

ქ. ჩვენ, სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხვათა მ ე ფ ე გ ი ო რ გ ი ამ ჩვენის ძმის კათალიკოზისაგან ბოძებულს წყალობის წიგნსა ამას ვამტკიცებთ. ნოემბრის ჱ, ქორონიკონს ჳპწ.

ხელთა: მ ე ფ ე გ ი ო რ გ ი

ქ. სრულიად საქართველოა მ ე მ კ ვ ი დ რ ე დ ა ვ ი თ ვამტკიცებთ. მარტის იდ. ქორონიკონს ჳპთ.

ხელსა: დ ა ვ ი თ

489. [ნასყიდობის სიგელი ანტონ II-ისა შადინაანთ ავგელისადმი

[1800 წ. 14 აპრილი]

ქ. წყალობითა ღმრთისათა, ჩვენ ყოველისა საქართველოის კ ა თ ა ლ ი კ ო ს-პ ა ტ რ ი ა რ ხ მ ა ნ, ძემან სანატრელისა ირაკლი მეორისამან, ა ნ ტ ო ნ ი, შ ა დ ი ნ ა ა ნ თ სტეფანეს მეუღლის ანდუძისა და იმისის ვარისების თანხმობითა, ესე ნასყიდობის სიგელი დაგიწერეთ და გიბოძეთ შენ, სვეტისცხოველის ყმას, მკვიდრს მოჭალაჭეს შ ა დ ი ნ ა ა ნ თ რ ო ს ტ ო მ ა ს შვილს ა ბ ე ლ ს, შვილთა შენთა ი ო ა ნ ე ს და ა ლ ე ქ ს ი ს და ყოველთა მომავალთა სახლისა თქვენისათა.

ასე, რომე: ბიძა თქვენი შადიანაშვილი სტეფანე უშვილოდ ამოსწყდა და იმისს მეუღლეს ხანფერას ცოლის სავუთილის ფამს ანდერძის წიგნი დაეწერინებინა თავისას შრომაში რისათვის თავიანთ სახლის მღუდლის თანდასწრებითა და თავისი ქონებული ცხოვრება თავისის ქრმისეული თქვენ წილად ნარგებ დიხსი შვილისა თქვენის ბიძის ბესამედი გამოეცხადებინა.

და სხუა არც ასალები და არც მისაცემი თვისიცრ თავის ქალის სიძის სტლანი მდიენის შვილის იოანე მდიენის ოქის თუნინა, რომ ესეც თავისათვის კი არა ჰქონია აღებული, ბეზარგნის შვილის ოსეფას მეუღლის თავის ქალის ანნასათვის იყო, როგორც ანდერძში აცხადებდა.

მაგრამ იოანე მღუდანმა სამართალში იღაპარაკა. და რაღგან თამასუქი მიეცა თავის სახელობით და ეს ბიძიც გარიად ჩაეწერა სჩანდა, რომ იოანეს თავისი თვთრი ხანფერასი და ბიძისათვის დაეღო და არა ოსეფას მეუღლისათვის, და სამართალმა ეს ოქი თუმანი იოანეს თვთრი ამ ბიძიდამ არგუნა.

და ეს ბიძი ხანფერას თავისს ანდერძში ასე გაეყო, რომ: როგორც გაისყიდოს თოხწილად გაჰყონო: ერთი წილი სვეტსცხოველს შესწირონო, ერთი წილი ჩემს სულს მოსახმაროსო, ერთი წილი ჩემს ქალს მოლარის მეუღლეს თინათინს მისცენო, რომ დიდი ჭირხახული აქუს ჩვენზედაო და ერთი წილიც ჩემის ქალის ობლებს — ყორდანაანთ შაქარას ქალებს მისცენო, რომ თუმცა ეს ბიძი ჩემის ქალის მზითვად შაქარასათვის მიმეცა, მაგრამ მზითვისა ზოგი კი მიეცათ, ესეც თე რამე აკლიათ, იმაში მიეცესთო.

და როდესაც ხანფერა მიცვალებულიყო, მაშინ ამისს სიძეს შაქარას და თავისს ქალს თინათინს ის ბიძი ჩვენის ეკლესიის ყმის დიდმღელის მოსესასათვის დაეგირავებინათ, რომ თითონ შაქარას ჭელით წერილი თამასუქი ეჭირა მოსესასა ოცდასამის თუმნისა. ეს ოცდასამი თუმანი და იოანე მღვდნის ოცი თუმანი რომ ორი თუმანიც სარგებელი მიეცა, სულ შეიქნა ორმოცდაბეთი თუმანი.

და რაღგან ბიძი თქვენგან წილად გამოტანილი იყო, თქვენზედვე იყო სამართალი, რომ მოგეგეყიდნა. და საბოლო თუმნად ფასი გარდაიქცა: აქედამ მეოთხედი წილი — თხუთმეტი თუმანი სვეტსცხოველსა ჩვენ მოგვერთვა და დანაჩომი სამი წილი რომ იქს ორმოცდახუთს თუმანსა, ესეც იმ მოვალეთ მიეცა.

რადგან ეს ორმოცდახუთი თუმანი კიდევ ვართხებს აფლიან და დაუხარჯავათ, თითონ თავიანთში მორიგდნენ და თითონ ეცოდინოს თუ როგორ აუღიათ და ან როგორ დაუხარჯავსთ. ან როგორ გასწყრეს ყოფენ.

და თქვენთან ამ ბაღის მართმაზედ არაფერსა აქეს სადაო და სალაპარაკო. თუ ვინმე წამოგედაოსთო, პასუხის მიმცემნი ჩვენ ვიყუნეთ, თუ ამ ბაღისა ან ნასყიდობა ძველი სიგელი იყოს, ისიც ხომ თქვენთან იქნება; და ეს ახალიც საკუთრად ამ ერთის წლისათვის ერთის მაზბუნით ორი დაგიწერიენეთ და გიბოძეთ, რომ ცალ-ცალკესი სიგელი გეგჭიროსთ, ვგებით როგორ მოხდეს და ორთავე მოიხმაროთ, -თორემ ბაღი კი გაუყოფელია. ღმერთმან ბედნიერებაში მოგახმაროსთ.

არიან ამისნი გამრიგენი და თანაწმენი ერთობით ჩვენის დიდის ეკლესიის სვეტისცხოველის აზნაურნი, მცხეთის შვილნი მოჯულენი.

აღიწერა ქალაქსა ჩვენის მღებელ-მოხაზონის ნოტარესთა, თთუესა აპრილსა, რიცხუსა იდ, წელსა ჩყ, ქართულსა ქრონიკონსა უპმ.

ხელრთვა: კათალიკოზი ანტონი

verso

ქ. მე, შანშასშვილი გიორგი ამ სიგელის ყაბული მაქვს. ბეჭედი არ მჭირდა, ეს ჩემი ხელი არის.

ხელრთვა: გიორგი

მოწმეთა ძმანი ბატონი

ქ. როგორც ამ სიგელში სწერია, ასე მოწმე ვარ თ ა ყ ო შვილი, ხელრთვა:

ქ. როგორც ამ სიგელში სწერია, ასე მოწმე ვარ ფ ი რ ა ქ ულანთ ნაზარბეგის შვილი გ ი ო რ გ ი. ბეჭედი: გ ი ო რ გ ი.

ქ. ამ სიგელის მოწმე ვარ მე, უსტა იესეს შვილი ი ე ს ე.

ქ. როგორც ამ სიგელში სწერია, ასე მოწმე ვარ ქ თ ე ა ნ თ ისას შვილი ა ლ ა. ბეჭედი:

ქ. ამ სიგელის მოწმე ვარ ო ქ ო ა თ დავითას შვილი ი ო ა ნ ე.

ქ. როგორც ამ საველში სწერია, ასევე მოწამე ვარ ქალბატონ მელიქ-მამასახლისი დარჩია. ბრძანდ: მელიქი დარჩია

ქ. მე, შალიხათ ისიას შვილი მამასახლისი თომა ამ საველის მოწამე ვარ. ბრძან: მამასახლისი თომა შადინოვი.

ამა სიგელის მოწამე ვარ ოქროპირ ანტონის შვილი ზურაბი. ხელრთულ: ზურაბ

490. [ნიგნი ანტონ II-ისა თამარ დიდებულ ბაგრატიონისა და როსტომ თაყაიშვილის ქორწინების მოწვლის შესახებ]

[1800 წ. 18 აპრილი]

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოისა კათოლიკოს-პატრიარქი, ძეძ სანატრელისა ბატონისა მეფის ირაკლი მეორისა, ანტონი, დღეგანდელს შვილს ითანეს ქალის თამარისა და თაყაიშვილის თემურის შვილის როსტომის სიძეს ძლობით ქორწინებით შეუღლვას. დავხსნით; ამისთვის, რომ ახლო ნათესავნი ჩრიან, სჯულიც აკენებს და ეკლესიისაგან შეუნდობელ იქმნებიან.

აპრილის 18, წელსა ჩყ.

ხელრთულ: კათალიკოზი

491. [ბრძანება დიაკვნისა ნოდარ ჩოკაშვილისადმი ახმეტის ეკლესიაში ალავერდელის მოხსენიების შესახებ]

[1768 წ. 27 მაისი]

მისის უწმიდესობის დიაკვნობის დიპლომია მოგიწერთ ჩოკაშვილო ბატონო ნოდარ.

მერმე გაიგონეთ, რომ მაგ ახმეტას თქვენს ეკლესიაში ალავერდელს არ იხსენებთ და არც ალავერდლის მღუდელს ამოქმედებთ. და შენს თავად გისაც მღუდელს გიხდა, მიიყვან და დაადგენ და ამბობთ სადმე, რომ: ალავერდელის ეკლესია არ არის, კათოლიკოსისა არისო და კათოლიკოსს იქსენებთ.

ჩვენ ეს, დია, დამტკიცებით ვიცით, რომ არას დროს კათოლიკოსს ახმეტაში საყდარი არა ჰქონია, არც სამწყსო ჰყოლია მათ მსახლობელთ ერწოელებს გარდა.

და ესეც სწორე და ჭეშმარიტია, რომ რომლისაც ეპარხიის

ეპისკოპოსი გარდაიცვლება, მანამ სხვა ეპისკოპოსი დაჯდება, რომ ეპარხიას და სამწყსოს კათოლიკოსი გაუძღვება და კათოლიკოსს მოიხსენებენ იმ დროს.

ჩვენ კიდევ ესეც სარწმუნოდ და ჭეშმარიტად ვიცით და დამსწრებნიცა ვართ, ეგ ეკლესია რომ აშენდა, იმ დროს ზენონ ალავერდელი ცოცხალი აღარ იყო და ალავერდის სამწყსოს კათოლიკოსი ჰმართევდა და კათოლიკოსს იხსენებდნენ და კათოლიკოსის ბრძანებით ნეკრესელმა აკურთხა ეგ ეკლესია.

კიდევ ალავერდელი რომ გარდაიცუალა, ალავერდლის სამწყსო კათოლიკოსს ეკითხებოდა და კათოლიკოსს იჭსენებდენ, მაგრა ამის მიზეზით სამწყსო და ეკლესია კი არ წართმევია ალავერდელს, არც წაერთმევა და ვერც შენ წაართმევ.

ახლა რადგან იმისმა სიმაღლემ მეფემ და იმისმა უწმიდესობამ მეფის ძეს ანტონის ჭაბუძეს ალავერდელის ეპარხია და ალავერდელ მიტროპოლიტობა, დღეს ყოველს ადგილს და საალავერდლოს ეკლესიასა და სამწყსოში ყველგან ის იხსენებს და მანდაც იმას უნდა იხსენებდეთ.

და მღუდელიც რადგან ის აქ არა ბრძანდება, იმის მოადგილის[1] არხიმანდრიტის იოანეს ბრძანებით და გამორჩევით უნდა დაიდგინებოდეს; ამისთვის, რომ ეგ ეკლესია ალავერდელისა არის; და ამ მეტაში კათოლიკოსს არას დროს არც საყდარი ჰქონია და არც სამწყსო ჰყოლია და არც კათოლიკოსი მანდ ჯსენებულა.

ჩვენგან ეს, დია, მძიმედ არის მოსაკითხი, რომ შენის თავით ეკლესიისთვის სამწყსო წაგირთმევია და სხვის ეკლესიისათვის მიგცია; და ამგვარი საქმე შენს თავად და ჩვენს უკითხავად აღგასრულებია. მაგრა ამ დროებში, დია, მოუცლელად ვიყავით და დავიდუმეთ; და გირჩევთ რომ ამ გვარს საქმეებში აღარ გაერიო, თორე კანონითა წაგათათა, დია, მძიმედ დაისჯები.

ახლა კი დაგვიდუმებია, რადგან უგუნურებით და უცოდინარობით მოგსვლია.

მაისს კჯ, წელსა ჩლბყ.

მდაბალი მიტროპოლიტი ტფილისისა ბეჭედი: გერმანე
სვეტისცხოველ[ის] და ქორის დეკანოზი ბეჭედი: ნიკოლოზ
ულიისი ხუცეს-მონაზონი ბეჭედი:
მწიგნობარი წინამძღვარი ბეჭედი: ტრიფილე

ქ. თუ სარწმუნო ნიშანი და საბუთი გაქვს რამე, იმის უწმიდესობის დიკასტირიაში გამოაცხადე, თუ არადა, ეს ესე აღასრულე.

ბეჭედი: გერმანე

---

[1] მოადგილეს.

492. [წუსხა სამთავნელისა და ჭინამძღვრის ყმეზისა]

[1800 წ. 10 ივლისი]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამთავნელის ყმა

ქ. ახმაჯს

ქ. ბასილიძე გელიტა კომლი ა

ქ. ცხვილოს

ქ. მჭედლიძე ნადირა კომლი ა, თავი ზ
ქ. მეორე მჭედლიძე ბერუა კომლი ა, თავი ა
ქ. მესამე მჭედლიძე ბატათი კომლი ა

ქ. სამთავის[ს]

ქ. ფარეშის შვილი კომლი ა
ქ. მოხევისშვილი კომლი ა
ქ. ვარდანასშვილი კომლი ა
ქ. ოვანასშვილი კომლი ა
ქ. კანდელაკი კომლი ა
ქ. დეკანოზი კომლი ა
ქ. დეკანოზის განაყოფი კომლი ა
ქ. ანდრია კომლი ა
ქ. მირზაშვილი კომლი ა
ქ. ოლანასშვილი კომლი ა
ქ. გიორგი კომლი ა
ქ. თამაზი კომლი ა
ქ. ძელყორისშვილი კომლი ა
ქ. ტოკისშვილი კომლი ა

ქ. ჭალას

ქ. ტერტერასშვილი კომლი ა
ქ. ძველისშვილი კომლი ა

ქ. გოხაზე

ქ. ამირა კომლი ა
ქ. ძალაყანი კომლი ერთი
ქ. მჭედელაძის ხუცესი კომლი ა
ქ. მჭედელაძის იმერელი კომლი ა
ქ. სამუკა იმერელი კომლი ა

ქ. ნადარბაზევს

სამთავნელის ყმა:

ქ. რევაზასშვილი კომლი ა
ქ. ხუცესი ქრისტესია კომლი ა
ქ. ნადირა კომლი ა
ქ. იორდანე კომლი ა
ქ. ბერუასშვილი კომლი ა
ქ. ხოსიტასშვილი კომლი ა
ქ. ბალია კომლი ა
ქ. მერაბასშვილი კომლი ა
ქ. ამირანასშვილი კომლი ა
ქ. მჭედელი კომლი ა
ქ. გაბრიელა კომლი ა

ქ. მამატყულასშვილი კომლი ა
ქ. გიორგი კომლი ა

ქ. უსიტყვეს

საშთავნელის ყმა:
ქ. სამნიაშვილიკომლი ა
ქ. ბერია კომლი ა
ქ. დილიმაშვილი კომლი ა
ქ. ჩიჩქოლაშვილი კომლი ა
ქ. მიქელა კომლი ა
ქ. შიუკა კომლი ა
ქ. აბისონასშვილი კომლი ა
ქ. ბერი კომლი ა
ქ. პაველიასშვილი კომლი ა
ქ. იღდგომელი კომლი ა
ქ. მუნჯი კომლი ა
ქ. დათვიასშვილი კომლი ა
ქ. მამუკა კომლი ა
ქ. მაზიტასშვილი კომლი ა
ქ. შიო ხუცესი კომლი ა
ქ. პაველიასშვილის ყმა გელა კომლი ა
ქ. ბაბილასშვილი კომლი ა
ქ. ჭიჭალისშვილი კომლი ა
ქ. დათუნა იმერელი კომლი ა

ქ. წინამძღვრის ყმა ბერშოეთ[ს]

ქ. გლარჯაძე მჭედელი კომლი ა
ქ. გლარჯაძე კომლი ა
ქ. ბებუთასშვილი კომლი ა
ქ. საყვარასშვილი კომლი ა

ქ. კოდისწყაროს

ქ. ხუცია კომლი ა
ქ. გულისსადებასშვილი ნადირბე კომლი[1] ა
ქ. ბულბელასშვილი კომლი ა
ქ. ზურაბასშვილი კომლი ა
ქ. ღვინაძე კომლი ა
ქ. ცხადიასშვილი კომლი ა
ქ. გულისსადებასშვილი გოგია კომლი ა
ქ. თამაზიშვილი კომლი ა
ქ. ხუტუნასშვილი კომლი ა
ქ. ბასილასშვილი კომლი ა

ქ. ფურნაგის[ს]

ქ. ნასყიდიშვილი კომლი ა
ქ. გამახარე კომლი ა
ქ. ქიტია კომლი ა
ქ. ვიშელასშვილი კომლი ერთი

[1] ლ კომლი ნადირბე.

ქ. სვიმნიასშვილი კომლი ა

ქ. ზარიძე კომლი ა

ოკამს

ქ. მეშველიასშვილი გველა კომლი ა, თ[ავი] ბ

ქ. ხარება კომლი ა, თ[ავი] ბ

ქ. თევდორე კომლი ა, თ[ავი] ბ

ქ. გიორგი კომლი ა, თავი ბ

ქ. ოდიკასშვილი კომლი ა, თ[ავი] ბ

ქ. მინდიასშვილი კომლი ა, თ[ავი] ბ

მე, მთავარეპისკოპოსი, ღმერთს ვფიცავ, ეს აია ჩემის ხელით ამოწერილი[ა]. ამისი დავთარი გიორგი ამილახორის შვილსა აქვს, სწორე არის ჰეშმარიტად.

იულის[ის] ი, ქორონიკონს უპყ.

ბეჭედი: მთავარეპისკოპოსი...*

493. [წყალობის წიგნი გერვასი სამთავნელისა იოანე ქარუმიძისადმი]

[1800 წ. 11 ივლისი]

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა, შეწევნითა ხატის ღმრთაებისათა, შეამდგომელობითა ყოველად უკუღრთხეულესისა დედისა ღმრთისათა და ღმრთის მხილველთა ანგელოსთა და ყოველთა წმინდათა საჭონო ყოფილთა ღმრთისათა და ღირსისა მამის ისიდორესითა;

ამათითა მისტობითა და თაყვანმდებობითა და მოწყალებითა და ძლიერებითა ჩვენ, ყოველად სამღუდელომ სამთავნელ ეპისკოპოსმან და წინამძღუარმან მღვიმისამან, გვრეასი მაჭავარიანმან ესე უკუნისამდე ჭამთა და ხანთა გასათაეებელი სამკვიდრო და საშვილისშვილო საბოლოო წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და გიბოძეთ შენ, სამთავისის დიდის ეკლესიის დეკანოზს აზნაურს ქარუმიძეს იოანეს, შვილსა შენსა გიორგის და შვილის შვილსა შენსა იოსებს და ყოველთა მომავალთა სახლისა შენისათა.

ასე, რომელ: მამაშენი გიორგი მოეყვანა სანატრელს ბენედიქტე[1] სამთავნელს და კანდელაკობა ებოძებინა და იმისი მამული, სახელო და ალავი და როგორათაც ვიცით საქართველოს ქცეულება. იმისი ყოველივე მამული თუ სახელოები აღარა ყოფილიყო[2] რა გამოჩენილი და კოზმანის მამულიც ებოძათ

[1] ბენედიქტე. [2] გამპალ.
* სახელი არ ირჩევა.

და სხვა მიწები ყოვლად სამღუდელოს ფილიპე შემდგომად სანატრელის მამის შენისათვის სამთავნელობა ებოძებინათ და მღვიმის წინამძღურობა. ეს მამულები, რომელიც კანდელაკისა არ ყოფილიყო, ისევ ჩამოერთმიებათ; და ახლა შენ საკმაო მამული არა გქონდა რა.

მოხუცელ და გვევდრე მამულსა და შენსა სახელოსა. და ბატონი ამილახორი იმათი ბრწყინვალება ოთარ შუა შემოიყვანეთ. იმათის შუამდგომელობით და ნებით მოგეცათ კანდელაკის საკუთარი სახელო, ალექსანდრე მეფისაგან შემოწირული თავისი სახასო სოფელი ნადარბაზევი, მთის სოფელი ისევ კანდელაკის სახელო, რომელსაც რომ სანატრელი კათ[ლი]კოსი ნიკოლაოს მოიხსენებს ანდერძსა თვისსა გუჯრად ჩაწერილსა ესრეთ:

შეუდგათ მეფე ალექსანდრე, ძე მეფის გიორგისა, კეთილსა კუალსა მამისა თვისისა და შექმნა ჯვარი წინამძღუარი ცხოვრებისა თვისისა დროშათ და წინსაძღოლად დიდისა მღვდელთ-მთავრისა საშთაესისა ეპისკოპოსისა და შესწირა კანდელაკი და ნადარბაზევი სოფელი მიწდომი დიდი*.

რადგან კანდელაკისა ყოფილა, ისევ შენთვისვე მოგვიცია კანდელაკობა ნადარბაზევის მოურაობა და შენი საკუთარი სახელო ჯვარის-მტვირთ[ვ]ელობა.

ამისა შემდგომად ასე განგიწესებათ შენს სარგოს იქაურსა: როგორათაც სხვას საეპისკოპოსოებში სოფლების მოურავებსა აქვსთ განწესება — ხვნა თუ მკა, ძღვენი, თუ სხვა რამ სასარგებლო სამართლიანი, იმ წესით განგეწესებია, და ისე უნდა მოგეცემოდეს იქაური სარგო.

და დმრთით რომ ნადარბაზევს მკვიდრობა მოხდეს, ჩვენგან შენ უნდა წარიგვლინებოდე იქაურს საქმეზედ და შენ ერთგულად უნდა იქცეოდე ყოვლად სამღუდელოს სამთავნელია საქმესა და ბრძანებასა ზედა.

თუ ვინმე ინებოს და მოღალე განაწესოს, იმასთან მოურავს საქმე არა აქვს რა, ეს იმისი ნება არის; და შენ შენს განწესებას გარდა ვერას მოუმატებ და არც ყოვლად სამღუდელო ინებებს რომ შენზედ რამ იუსამართლოვოს და ყოვლად სამღუდელოს მორჩილი და ერთგული უნდა იყო, რაც იმისი ნება არის, ის უნდა იქმნას.

---

* ნიკოლოზ კათალიკოზის ანდერძი იხ. იქვე, გვ. 616—617.

ამას გარდა ქავთარაძე მამამთავარმა გვიმოწმა საბუღარიზედ მიწა. თამაზიცის მიწასთან რომ თავი მოუძვეს, აქათ რომ ტყე აქვს და ზემოთ გორაკა ბოლო მუხათწყაროს მხარეს, ის მიწაც შენთვისვე დაგვინებებია როგორც სხვა შენი მამული.

გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ამ წმინდის ღმრთაების დიდის ეკლესიის და მას ზედა მსხდომარეთა ყოვლად სამღუდელოთა სამთავნელთ ერთგულებასა და სამსახურსა შინა. არ მოგეშალოს ესე წყალობა არა ჩვენგან და არც შემდგომთა ჩვენთა მოსაყდრეთაგან.

ამ წყალობაებს გარდა ნადარბაზევს ერთა საკომლო მამული მოგვიცია.

ამისა შემდგომად გევედრებით შემდგომად ჩემსა საჭედმყოფებელნო მღუდელთ-მთავარნო, ამა ჩვენსა წყალობის წიგნსა ნუ მოუშლით, რათა თქვენიცა განგებული და დამტკიცებული სხეთაგან დამტკიცდეს.

ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი კურთხეულ იყვნენ, ამინ.

აღიწერა წყალობის წიგნი ესე და სიგელი ჯილითა ჩემითა თთვესა იულისსა რიცხვსა ია, წელსა განჭორციელებითგან სიტყვისა ღმრთისა ჩჯ, ხოლო ქართულსა ქრონიკონსა ჩვენსა უპწ.

ხელრთვა: ყოვლად სამღუდელო სამთავისისა წინამძღვარი მღვიმისა გერგასი

494. [ბრძანება დიკასტერიისა იოანე ნინოწმინდელისადმი მის სამწყსოში გრძნეულთა და მკითხავთა ძებნის თაობაზე]

[1488 წ. 18 დეკემბერი]

მისის უწმიდესობის დიკასტერიის მიერ ესრეთ ეუწყოს მისს ყოვლად სამღუდელოებას ნინოწმიდელ მიტროპოლიტს იოანეს.*

მისის სიმაღლის მეფის და იმის უწმიდესობისა ბრძანება არის, რომ თქვენის ეპარხიის ხუცებს ებრძანეთ, რომლისაც სამწყსოში გრძნეულნი, ჯადოგანი, მისსანი, მკითხავნი, მეგჱიარენი და მელოგიენი და ან ამგვარის საქმის მოქმედნი იპოვებიან მოიკითხონ,

*„იოანეს“ ხაეში სწერია, აქ კი ცარიელი ადგილია დატოვებული.

შეიტყონ და ყველანი ადგილობრივ და სახელდობრივ წერილით მოგახსენონ.

საჭიარო ბრძანებაა მისის უმაღლესობისა და არა დაგვიანებით და ნუ დააგვიანებთ; თქვენც ჩვენ ადგილობრივ და სახელდობრივ წერილით მოგვწერეთ, რომ იმის სიმაღლეს და იმის უწმიდესობას მოვახსენოთ.

და რომელიც ხუცესი დაჰმალავს და სხვათაგან კი შეიტყობთ, საეკუნოდ მღუდელობიდამ განიკვეთება და ერისკაცთა თანა დადგინება.

ყოველთა ეპისკოპოსთა თანა ესრეთ მიგვიწერია.

დეკემბერს იე, წელსა ჩლპწ.

მდაბალი მიტროპოლიტი ტფილისასა ბეჭედი: გერმანე
სვეტისცხოველის და კარის დეკანოსი ბეჭედი:
სუეტისა ცხოველისა და კარისა დეკანოზი ნიკოლოზ
აღიწერა ივნისის ი, წელსა ჩყვ.

ბეჭედი: სტეფანე

519. [წიგნი ანტონ II-ისა უზენაეს მმართებლობის ექსპედიციისადმი გეითალმანი ყმა-მამულის შესახებ]

[1806 წ. 19 ოქტომბერი]

საქართველოს უზენაესს მმართებლობის აღმასრულებელის[1] ექსპედიციასა შინა.

კანონითა საეკლესიოსა სჯულისათა ყმა და მამული ეკლესიისა არ მიეცემის არავის გარეგანსა კაცსა, და კანონსა ამას შეუდგების კანონი და სჯულიცა სამოქალაქო.

და რადგან ყოველი ქონება უშვილოდ გარდაცვალებულისა ნოდარ მიწობლიძისა არის ეკლესიის ჩვენისა, და გაბრიელ წინამძღ[ვა]როვი არ არის ამხაური და ყმა ეკლესიისა ჩემისა, და შვილობილობა მის არ არის ჩემგან დამოწმებული, ამისთვის არ შეხუდების და არცა მიეცემის მას წინამძღ[ვა]როვსა ყმა და მამული იგი მიწობლიძისა, ვინადგან არს ჩემდა რწმუნებულის ეკლესიისა-

კათალიკოს-პატრიარქი ხელთაჲ: ანტონი

წელსა ჩყვ, ოქტომბერს ით, ტფილისს.

520. [გამოსალების განწესების წიგნი არქიმანდრიტ ვენედიქტესი აღდგომელ გლეხებისადმი]

[1807 წ. 25 თებერვალი]

ჭ. ესე პირობისა და გარიგების წიგნი ვიბოძეთ ჩვენ, თქვენმა ბიტონმა წმიდისა და ცხოველსმყოფელის ჯვრისტეს საფლავის არხიმანდრიტმან ჯუარის მამამ ვენდიქტემ[2] თქვენ, აღდგომაში მცხოვრებელთ გლეხთ წმიდის საფლავის ყმათ სამსახური განგიწესეთ თქვენის თხოვნით და ნებით:

---

[1] +სპოლნიტელის. [2] ვენედიქტე.

კომლზედ ყველუხი თითო საბალნე წმიდა ღვინო. როდესაც დაწდებოდეს, მობრძანდეს მოურავი ანუ მოხელე, დასჩხრეკილ[1] ღვინოებს, რომელსაც მოიწონებდეს, იმას დაბეჭდდეს და მიმართავდეს დებოდეს, რომელიც შიდას სიროჯის ჩაფი მუშაობდეს, იმით კომლად თითო საბალნე ღვინო მოგართოთ.

და ამასდა გარდა კომლათ ექვსი აბაზი მოგართოთ. და თუ ვინმე გავეყარნეთ, ასევე კომლათ ეს სამსახური უნდა გმსახუროთ. და სხუა რიგად როგორც ბატონყმობის რიგია ან გაყოლით და ან გამოყოლით ან ძღვნით და ან მორთმევით ისე უნდა გვმსახურნეთ.

ამის მეტი არა გეთხოვებოდესთ რა: არა ბეგარი, არა ზვრის მუშაობა და არა ხოდაბუხისა; თქვენი სათხოვარი ეს იყოს, კოდის პერის მაგიერი ექვსი აბაზი მოგვართოთ ხოლმე; და სხვა ღარა ~~გამოყოლით ან ძღვნით და ან მორთმევით ისე უნდა გვმსახურნეთ~~, თა შემდგომთათვის. და არცა მოგეწყალოსთ წყალობა ესე.

დაიწერა თებერვლის კე, 25-ს; ქრისტეს აქეთ ჩყჯ-ს, 1807-ს.

ბერძნულად: არხიმანდრიტი ევწედოქტე გამტკიცებ.
ამას მოსდევს სამი სტრიქონი ბერძნული ტექსტი.
ბეჭდი: წმიდის საფლავის არხიმანდრიტი ევნედიქტე* 1807

ამ წყალობის წიგნის თანადამსწრე და მოწამე ვარ ამათი მოურავი მაყაშვილი დავით და გოგია.

და კიდენ არიან თანადამსწრენი და მოწამენი ჯვარის მამის მსახურნი დიაკ მცხოვრებელნი სალთხუცესი შიო და მაქსიმეს შვილი გრიგოლ.

521. [სარგოს განწესების წიგნი არქიმანდრიტ ევნედიქტესი დავით მაყაშვილისადმი]

[1807 წ. 10 აპრილი]

ქ. ესე წიგნი და საბოლოო სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით თქუენ, თავად მაყაშვილს ნაზარს დავითს და ძმათა თქვენთა გიორგისა და იესეს, ასე რომ:

ჩვენი ხოფელი აღდგომა გაიხრებული იყო ქამთა ვითარებისაგან; და იმათმა უმოღლესობამ მეფე გიორგიმ ინება იმ აღდგომის სოფლის აშენება და თქვენ გიბრძანათ; იმისის ბრძანე-

---

1 ზღვნით.

* „წმიდის საფლავის" ასომთავრულითაა, ხოლო „არხიმანდრიტი ევნედიქტე" ბერძნულად შემოკლებით: APXBN.

ბით ააშენეთ და დიდად გაისარჯეთ. თქვენის ერთგულებით გარჯა სათვის მეფემ მოურაობა გიბოძათ და ათანასე ჯვარის მამამ მოგცათ მოურაობა მეფის ბრძანებით.

და აწ ჩვენც არხიმანდრიტი ჯვარის მამა ვენედიკტე ამ წერილს გაძლევთ, რომ: რაც მოურავის სარგებლობა იყოს გალმა მხარში, თქვენც იმ დებულობით და კანონით უნდა იმსახუროთ, როგორც ენისელში მოურავის განწესება იყოს, ასე უნდა იმსახუროთ:

კომლზედ ექვსი ჩაფი ღვინო, ერთი კოდი პური, ნახევარკოდი ქერი, ერთი დღე ხვნა, ერთი დღე მკა, ექუსი შაური თეთრი, და ძღუენი აწალწელიწადს, და ერთი მსახური, თავისგასამტეხლო და გასამყრელო.

ეს არის თქვენი განწესება ჩვენ მიერ. არ მოგეშალოს ჩვენგან და არცა შემდგომთა ჩვენთაგან. და თქვენც რომელიც ვალია, ისე ერთგულებით მოვლასა და პატრონობას უნდა აჩვენებდეთ.

წელთა ჩყზ, აპრილის ი.

ბეჭედი: იერუსალიმის არხიმანდრიტი (?)
ბერძნულად:

იერუსალიმის არხიმანდრიტი ვენედიქტე ეამტკიცებ 1807.

სხვა ხელით

იერუსალიმის არხიერეი მათე ეამტკიცებ 1819, მარტის 26.

522. [წიგნი დიკასტერიისა ტფილისის პოლიციისადმი ათანასე ბერძნიშვილისათვის ვალის გადახდევინებაზე]

[1807 წ. 18 ივნისი]

მისის უწმიდესობის საქართველოს პატრიარხის სასულიერო/სასამართლოს დიკასტერიიდამ.

ტფილისის პოლიციასა შინა

გვაქუს პატივით უწყება წერილსა ჩყზ, მაისის იზ არწმუნებს ნამდვილ წინადადებასა ამას დიკასტირიის შეკრებილება პოლიციასა, რომელ ზემოხსენებულსა თვისა რიცხვისასა შეიცვა ვალსა ქვეშე პორტაიტის მონასტრისა ბერძნიშვილი ათანასი, რომელსაც ანვარიშის გამორთმევით დაედვა ათანასის მონასტრის თეთრი შვიდი თუმანი და ექვსი მილანთუნი.

განგიცხადებთ, რათა დაუყონებლივ გამოერთვას თქვენ ზემოხსენებული თეთრი. და ანუ წარიგზავნოს ათანასი, ხალვაში ჯერ-იყოს და გამოართვან მათ და წარმოგზავნონ ამავე სასულიეროსა სასამართლოსა შინა თეთრი იგი, რომელიცა საჭირო არს მონასტრისა.

წელსა ჩყზ, ივნისის იწ.

მდაბალი მიტროპოლიტი ბექენი: მიხაელ
დიკასტირის წევრი არხიმანდრიტი ბექენ: ტრიფილე
დიკასტირის წევრი დეკანოზი ხელრთვა: სოლომონ

523. [წყალობის წიგნი ანტონ II-ისა ნიკოლოზ და იოსებ ელიოზისძეებისადმი]

[1807 წ. 24 ივნისი]

ჩვენ, მცხეთისა და სრულიად საქართველოჲსა კათოლიკოს-პატრიარხმან, ძემან მეფისა ირაკლი მეორისამან, ანტონიმ წყალობის წერილი ესე მოგიბოძეთ თქვენ, ელიოზის[1] ძეთა კარისა ჩვენისა მოჯელესა ნაზირ-ფარეშთუხუცესსა ნიკოლაოზს და ბიძისა ძესა შენსა გომის მოურავს იოსებს და მომავალთა სახლისა თქვენისათა.

ესრეთ, რომელ: მამულის წყალობას დაგვეჯერნეთ. და ვისმინეთ აჯა და ვედრება თქვენი და გიბოძეთ სოფელსა შინა გომს ჩვენი ძველი სამარნალი თავისის ქვევრებითა და ეკრეთვე ხოდაბენი, რომელიცა განსვენებულის ბიძის ჩვენის კათოლიკოზის დროს გეჭირათ. ზემორე ჴსენებულთა მამულთა ამათ სამკვიდროთ და საბოლოოთ გიმტკიცებთ ჭელისმოწერითა ჩვენითა.

ივნისის კდ-სა დღესა, ჩყზ-ს წელსა.

კათოლიკოს-პატრიარხი მცხეთისა და სრულიად საქართველოჲსა.

ხელრთვა: კათალიკოზი ანტონი +

524. [წყალობის წიგნი ანტონ II-ისა იესე მღვდლისადმი]

[1807 წ. 8 სექტემბერი]

ჭ. ჩვენ, ყოველისა საქართველოჲსა კათოლიკოს-პატრიარხმან, მეფის ირაკლიჲ ძემ, ანტონიმ ესე წერილი გიბოძეთ შენ სვეტისცხოვლის მღვდელს იესეს[2], ძმასა შენსა პეტრეს, გიორგის და იოსებს და მომავალთა სახლისა თქვენისათა.

---

[1] ილიოზისა. [2] იესეს.

ასე, რომ: რომელიც მამაშენს მიწები სჭეროდა, იმისს წერილს გვეჯვნით; და ჩვენც წყალობა გიყავით; რომელიც მამათქვენსა სჭერია ჯვარს წინ საგურის მიწა და ამავ მიწას ქვემოთ წყლის პირათ გვერდა მიწა, ბოლო იმავ მიწისა ჭყანტობზედ არის და ამავ მიწას ზემოდამ გზის პირათ ერთის დღის მიწა ზევით თარგებში, ერთის დღის მიწა და ერთის დღის კამარა ხევზედ — ესეები სჭერია მამათქვენს.

და ჩვენც წყალობა გიყავით. რომელიც მიწები გიბოძეთ ამ წერილით, შეიდის დღის მიწა არის. თუ მღვდელი იყოს თქვენს სახლში, ღალას ვერავინ გამოგართმევსთ. და თუ მღვდელი აღარ იქნება, ღალა უნდა გამოგვერთვას ამ მიწებისა.

სექდენბრის **წ**, ქორონიკონს **უჟე**.

ხელითა: კათალიკოზი

ჩვენ მიტროპოლიტი მცხეთისა და ექსარხოსი სრულიად საქართველოსა ვარლაამ ამ წყალობის წერილსა ამას ვამტკიცებთ.

აპრილის **კა**, **ჩყიგ** წელსა.

ხელითა: ვარლაამ ექსარხოსი

525. [წყალობის წიგნი ანტონ II-ისა მღვდელ დიმიტრისადმი]

[1808 წ. 6 ივნისი]

წყალობითა ღმრთისათა.

კათალიკოს-პატრიარხი მცხეთისა და ყოვლისა საქართველოჲსა და ეგრეთვე უსაშუალოდ მწყემსი ალავერდისა და ძე მეფისა ირაკლი მეორისა ანტონი წერილსა ამას გიბოძებთ შენ, ანჩისხატის დეკანოზის სოლომონის შვილს მღუდელს დიმიტრის.

ასე, რომე რადგან მამაშენი დეკანოზი სოლომონ იმყოფება სწეულებასა შინა, ამისთვის დეკანოზობა ანჩისხატის ეკლესიისა შენთვის გვიბოძებია.

მიზეზითა მით, რადგანაც მამა შენსა დეკანოზსა სოლომონს აქუნდა მრავალი ღუაწლ-დებულება ეკლესიასა მას ზედა. ამისთვის ჯეროვნად ვრაცხეთ და გიბოძეთ დეკანოზობა ანჩისხატის ეკლესიისა; და რათა მსგავსად მამისა შენისა გაქუნდეს ღვწა და მოვლა ეკლესიასა მას ზედა ჩუენსა.

ივნისის **ე** დღესა, წელსა **ჩყწ**.

ხელითა: კათალიკოზი ანტონი

526. [წიგნი ანტონ II-ისა სახლთუხუცეს გაბრიელ მაღალაშვილისადმი ეკლესიის მამულის თაობაზე]

[1808 წ. 2 ივლისი]

ქ. მაღალაშვილო სახლთუხუცესო გაბრიელ!

მერმე როდესაც ეს ჩვენი წერილი მოგივიდეს, მაშინვე მოუარეთ ამობრძანდებაზე მანდა და ქარელში თან უნდა იახლოთ, რაც იქ მამულები არის ლეთეთს ჩვენის ეკლესიის სეფეტისცხოვლისა, იმაების გასარჩევათ. და იცოდე, რომ ბეჯითად უნდა მოიქცე.

იულისის ბ, წელსა ჩყწ.

ჴელრთვა: კათალიკოზი

527. [ბრძანება ანტონ II-ისა ეკლესიის ყმათა შეუვალობის შესახებ]

[1808 წ. 20 ივლისი]

ქ. რომელნიც ნორიოს ჩვენი ეკლესიის ყმანი ხართ ერთობით კლდეისელები, თქვენთან საბატონყმოთ ჴელი არავისა აქვსთ ჩვენსა მეტსა; და ვერცა რა ვინ რას შეგაწუხებთ უბრალოთ.

ივლისის კთ, ქორონიკონს უჟვ.

ხელრთვა: კათალიკოზი

528. [წიგნი ანტონ II-ისა რევაზ ერისთავისადმი სვეტიცხოვლის ყმის მიბარების შესახებ]

[1808 წ. 25 აგვისტო]

მისს მაღალ ბრწყინვალებას ერისთავს რევაზს!

ჩვენ მიერისა ლოცვა-კურთხევით მოგიკითხავთ. მერე შიო ჰეღელაშვილის პაპა ნეტარად ხსენებულს დომენტი კათალიკოზ-პატრიარქს უყიდნია სერხეულიძე სიამარადის შვილისაგან და სვეტის ცხოვლისათვის შეუწირავს და ცეროვნის ერთს საკომლო მამულზედ დაუსახლებია; და ნასყიდობის წერილიც ამასვე აქვს, რომ ასე უცხადებს.

ეს კაცი ქაიხოსრო ჩიკვაიძეს ყვანდა და ყმათ ეჭირდებოდა. და თხუთმეტი წელიწადი იქნება, რომ ჩვენ ჩამოვეხლეთ და ეკლესიისათვის დავდევით ამისავე წერილის ძალითა.

ამ ზამთარს კიდევ მიხდომოდა და აეკლო ქაიხოსროს. წერილიც უჭირამს ამ კაცს, რომ ამასთან საბატონყმოთ საქმე არა აქვს, მაგრამ კიდევ არ ეშვებიან.

ვითხოვ თქვენის ბრწყინვალებისაგან ამ კაცზედ თვალ-ყური გეჭიროსთ, რომ უბრალოთ არავინ რა შეაწუხოს და უსამართლო არა უყონ რა. თქვენთვის მომიბარებია, მანამდისინ ერთს ბინას მივცემდე და სხვაგან დაეასახლებდე.

კათალიკოს-პატრიარზი ანტონი.

წელსა ჩყწ, აგვისტოს კე.

529. [ბრძანება ანტონ II-ისა ტეტია ეგაძისადმი ღალის აკრეფის შესახებ]

[1809 წ. 16 სექტემბერი]

ქ. ჯვარის მამულის მოღალეე ეგაძე ტეტიავ! ჯვარის მამულში როშელთაც მანდაერთ მცხეთურს მღუდლებს ნახნავი ჰქონდესთ, წინამძღვრის წილი ღალა უნდა გამოართო მაგ მღუდლებსა და წინამძღუარს ტროფილეს უნდა მოაბარო. ჩვენი წილი ღალა გამოსართმევი თუმცა ჩვენ ვაპატიოთ, წინამძღუარი ტრიფილე როდის ამატივებს თავისის მამულის ღალასა.

სექდენბერს ივ, ქოროხიკონს უჟზ.

ხელრთვა: კათალიკოზი

530. [წიგნი ანტონ II-ისა დიმიტრი ჯავახიშვილისადმი დავით მაღალაშვილისათვის მამულის მიბარების შესახებ]

[1809 წ. 22 სექტემბერი]

ქ. ბრწყინვალეო თავადო ჯავახისშვილო დიმიტრი! მერე დოქიძის გლახას ქვრივმა რომ ჭირვლა დავით მაღალაშვილსა: მამულები დამანებოს, გავყიდო; ამას წერილი აქვს, რომ ამათი საქმე გარდაწყვეტილი ყოფილა და მამული ნასყიდობით მიუცია მაგ დედაკაცს, რომ საქმე არა აქვს რა.

ამათზედ ხელი აიღეე; და ჩვენი ოქმი რომ გაქვს, ის ოქმი დავით მაღალაშვილს მოეც.

სექდენბერს კბ, წელსა ჩყთ.

ხელრთვა: კათალიკოზი

531. [წყალობის წიგნი დოსითეოს ჟუთათელისა ზაქარიას არხიმანდრიტისადმი]

[1809 წ. 16 ოქტომბერი]

წყალობითა ღმრთისათა, ჩვენ, ყოვლად სამღუდელომ ქუთათელ მიტროპოლიტმან და გამგემან საკათოლიკოსოისამან დოსითეოს ესე წყალობის წიგნი აღგიწერეთ და გიბოძეთ შენ, ჩვენის არხიმანდრიტს ზაქარიას გაენათის წმინდის გიორგის ეკლესიასა ზედა მსახდომარეს, ესრეთ და ესევითარად რომელ:

ჩვენი თანაძმა, მათი მეუფება ყოვლად უსამღვდელოესი ნიკოლაოსწმიდელ არხიეპისკოპოსი სოფრონ შეამდგომლად შემოვიდა თჳენ მიერ ჩვენთან და შენი ევედრება მათის მეუფებისაგან მოვისმინეთ; და რომელიც მათმა მეუფებამ ინება, ჩვენც დავემორჩილეთ და მათის შეამდგომლობით გიბოძეთ რაჭას საკათალიკოსო სოფელი კრიხი, ადგილ-მამულით და გლეხნი მას სოფელსა შინ მოსახლენი საკათოლიკოსონი.

შენ ჩვენგან და არცა შემდგომთა ჩვენთაგან [ეს წიგნი] არ მოვეგების, უკეთუ შენ ჩვენი ბრძანების მორჩილი იქმნე და ერთგულერთ და კეთილის გონებით ჩვენი კეთილის მდომი, შენს სიცოცხლეშიდ ეს ჩვენ მიერ წყალობის წერილი არ მო[გ]ეშალოსთ და შენ და შემდგომად როგორც საკათოლიკოსო იყო, ავრეთვე ისევ იქმნეს. და შენგან შემდგომად მამამან წინამძღვარმან შენმან მოხარისხემან არავინ სთქვას თუ, რომ საწინამძღვროდ დაგვიძს.

ოქტომბრის ია, წელთა ჩყთ.

ბეჭდ: დოსითეოს

532. [წყალობის წიგნი დოსითეოს ჟუთათელისა გიორგინტის ყმებისადმი]

[1810 წ. 2 თებერვალი]

წყალობითა ღმრთისათა, ჩვენ, ყოვლად სამღუდელომ ქუთათელ მიტროპოლიტმან და გამგემან საკათოლიკოსოისამან დოსითეოს ესე მტკიცე და უცვალებელი წიგნი წყალობისა აღგიწერეთ და გიბოძეთ შენ, გურულს მახარიკას, პაპუნიკას, სვიმონას, კიკოლას, სესიკს,

იგანის და გრიგის და სხვათა შვილთა და მომავალთა თქვენთა, ესრეთ და ესე ვითარად რომელ:

ნუქიფისშვილის კაცი იყავი და მეტად ძალი დაგრძელდა და შეგაწუხა; და მეტის შეწუხებისაგან აიყარე და იკარგოდი და ჩვენის ქვეყნიდამ სხვის სამეფოშიდ საბრძანებელშიდ მიხვიდოდი; და ჩვენ ვიგეცლეთ და ვიგულსმოდგინეთ და ჩვენის ეკლესიისათვის აღარ დაგკარგეთ და შენდა სამაგიეროთ სხუა მივეცით და შევიწყარეთ ნუქფისშვილი, როგორც გული წეუჯერდებოდა, ისე გავისტუმრეთ და თქვენ ჩვენის ეკლესიის მიქვინტისა ღმრთისმშობლისათვის[1] დაგხახლეთ ასე, რომე:

აწ ნუქფისშვილის გვირსა და მომავალს კაცს თქვენთან სიტყვა არ აქვსთ; ასე, რომე თქვენი ბატონი მიქვინტისა ღმრთისმშობლის ეკლესია იქმნება.

და აწ არც ჩვენგან და ჩვენის შემდგომისაგან ეს წიგნი შენ არ მოგეღოს და არც მიქვინტისა ღმრთისმშობლის ეკლესიის მეტი მეპატრონე გეყოლოს.

და თუ ვინმემ ეს წიგნი შეგიშალოს, ჩვენდა ნაცვლად განიკითხოს.

არის ამის მოწამე: მოურავი აბულაძე სვიმონ, ყიფიანი ბუქუა, მოურავი ბარათაშვილი იოანე და სხუანი კარისა ჩ[ვ]ენისა სამღუდელონი და საერონი და მოხელენი და ხელოსანი ხარებაა და ზაქარია.

აღიწერა ქელითა წულუკიძის შვილის დავითისათა, ფებერვლის 8, წელთა ჩყი.

ბეჭედი: ყოვლად სამღვდელო ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს

მარცხენა კიდეზე

ბეგრის საქმესაც გვეუდერეთ. და ბეგარა სხუა ჩვენგან არა გეთხოვოს რა, თვინიერ ერთის ჩარექის სანთლისა და ფარეშობის მეტი.

ბეჭედი: ყოვლად სამღვდელო ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს

---

1. ჭ წმობლისათვის.

533. [ბრძანება ანტონ II-ისა ეფრემ მღვდლისადმი იოსებ ციციანოვის განკანონების თაობაზე]

[1810 წ. 9 მარტი]

ქ. კათოლიკოს-პატრიარხი მცხეთისა და სრულიად საქართველოსა ანტონი გიბრძანებ ქარელში მსახლობელო მღუდელო ეფრემ!

მერმე ამილდაბარის შვილი ციციანოვი იოსებ კანონის გარდახდისათვის[1] სამი კვირა ეკლესიაში დასადგომად განვაწესეთ. და რადგან მოძღვარი ხარ ამისი, ამისთვის მაძნდ წმიდის გიორგის ეკლესიაში უნდა ამყოფო წირვისა, ლოცვისა და დაუცხრომელისავე მარხულობისა შეძინებითა სამი კვირა, და ეგრეთვე სხვათაცა მოღუაწებითა, რომელსაცა კარგად ყური უნდა უგდო და განამხნო.

და როდესაც სამი კვირა შეასრულოს, მაშინ ჩვენვე არზით უნდა შენ მოგვახსენო.

მარტის თ, წელსა ჩყი.

ჩელთაგა: კათალიკოზი

534. [წყალობის წიგნი ანტონ II-ისა სოლომონ მიქაძისადმი]

[1810 წ. 27 მარტი]

ქ. წყალობითა ღმრთისათა, ჩუენ, ყოველისა საქართუელოჲსა კათოლიკოს-პატრიარხმან და უსაშუალოდ მწყემსმან ალავერდისამან, სანატრელისა მეფისა ირაკლი მეორისა ძემან, ანტონი ესე წყალობის წიგნი და სიგელი გიბოძეთ შენ, ერთგულად და წესისაებრ თავდადებით ხამსახურის კაცისშვილს, სიონის ეკლესიის სალთხუცესს, იკონომოსს დეკანოზის იოანეს ძეს სოლომონ მიქაძეს და მომავალსა სახლის შენისასა ასე, რომ:

გარდაცუალებულხი შენნი წინაპარნი, და უმეტეს პაპა შენი, სალთხუცესი ოსე, რომელსაც ჯერთგულესად მჭცეველობისა მაგა ეკლესიასა ზედა სანატრელი და ღმრთისადმი განსუენებული უმაღლესი პაპაჲ ჩუენი, ცხებული მეფე თეიმურაზ ბრძანებს შენისა სახელოსად, უმოწყალესითა სიგლითა, რომელიცა თჳთ ჩუენ განვიხილეთ ესრეთ:

---

[1] +და.

ოდეს ოსმალობა ყოფილიყო ტფილისსა შინა და მაშინ, როდესაც ლისამე მზეცებრივისა შერითა აღძრულთა ქრისტეანეთა ზედა მანთა მოენდომებინათ მაგა ეკლესიისა მეჩითად შეცუალება და ესე პაპასა შენსა ოსეს ეცნა, მყოსვე, ვითარცა ერთგული ეკლესიისა, ესოდენ გარჯილიყო, რომელ ცხოვრებაცა თჳსი თითქმის ნივთად ექცია და ესოდენ მოემადლნა გული მათ ოსმანთანნი, რომელ ეკლესია ესე ოსმანთა მათგან ტყვეობისა და მეჩითად შეცულისაგან დაეხსნა.

და უკანასკნელ თჳთ ჩუენითა თუალითაცა ვიხილეთ, რომელ ოდესცა ტფილისსა ზედა მოიწია ყაჯარი აღამაჰმადხან წართყუენად, მას ჟამად ესოდენ იღუაწა ეკლესიისა მაცხოვრისთჳს მამამან შენმან, რომელ თჳსნი ნივთნი დაუტეცა ტფილისსავე და ხატი ეკლესიისა მის და ნივთნი მოარჩინა.

და ესოდენისა სამსახურისა ნაცუალად ვხედევდით, რომ ტფილელისა არსენისაგან უკანონოდ და უსამართლოდ გჭონდა ჩამორთმეული სალთხუცობა და სარგო შენი ყოველივე.

ამისთჳს ჩუენ, მწყემს-მთავრობითითა ბრძანებითა ვბრძანებთ, რომელ ქუეალდგე ბგებდე ესრეთ, ვითარცა წინაპარნი შენნი ეკლესიისა მის სახელოებსა ზედა; და ეკლესიისა ამის შემოსავლიდამ ყოველსავე მიიღებდე სარგოდ ათასთავსა; და ვითარცა მოვალეობა გაქუს, ყოველითერთ ეკლესიასა მას ეგრეთ უნდა მსახურებდე.

მიეცა წყალობითი ესე სიგელი ქალაქსა ტფილისს, ეზოსა სიონისა პატრიარხოსა.

აღიწერა ქელითა დიაკტირიისა ჩუენისა წევრის, ანჩისხატის დეკანოსის დიმიტრის ალექსიევისათა.

მარტის კზ, წელსა ჩყი.

ხელრთა: კათალიკოზი ანტონი

535. [წიგნი მაჰსიმე ჯუმათელისა დადიანისა და სახლთუხუცესის უჯეროს ქუარწინებისშესახებ]

[1810 წ. 15 მარტი]

მათს ყოვლად სამღუდელოებას:
ქუთათელ მიტროპოლიტს უფალს დოსითეოსს,
გაენათელ მიტროპოლიტს უფალს ევთიმის,
მთავარეპისკოპოსს უფალს ანტონის,
ნიკოლაოსწმიდელს უფალს სოფრომს.

მოწყალეთა მეუფეთა წმიდათა მარჯუენეთა ზედა ამბორს უყოფ სურვილით. თქვენ პირველთაგან და მე თქვენ მიერ ვარდ- მომცემია და ვიცი, რომელ ორნი პირველნი ბიძაშვილნი ორთა ყუჩაია შეირთვენ დათა და ვერცა ბიძა და დისწული.

ხოლო აწ მესმა, დადიანი და სახლთუხუცესი პირებენ თქუენი ნება დართვით, აქამდის არ დავიჯერე, მაგრამ ახლა სარწმუნოს გავს. რომ წუეულნი აწვიეს საქორწინოდ.

აწ მე კადნიერ ვიქნები და თქვენს მეუფებას ამას მოვახსენებ:

თუ აქამდის არ იქნებოდა ესევითარი მეულლეობა, ახლა რად უნდა იქმნეს. თუ იქმნებოდა, მეც უნდა მბრძანებოდა თქვენგან: შენ სამწყსოს ამ რიგად შეერთებას რად უშლი-თქვა; ამისთვის, რომ ერთის კათოლიკოსის სამწყსონი ვართ და ერთი სჯულისდება უნდა იყოს.

ჭყონდლისა და ცაისლისათუის რომ მაკითხვინეთ, სჯულის გარეშე არის ეს საქმე, არც ქმნილა, არც იქნება და არცა იქმთო. ამა მათი წერილი; თუ მაშინ არ იქმნებოდა, ახლა რა ძალი დაადგა მას. და ანუ თქვენ რომ შეშმარიტს არ ბრძანებთ.

ეს, დიად, კარგად ვიცი, თქვენი ბრძანების ურჩება არც დადიანს შეუძლია და არც სახლთუხუცესს. თუ ვინმე კადნიერ იქმნება და სჯულისა ურჩ, ყოველად მოწყალე ჭელმწიფე დასჯის მას, რამეთუ სჯული ამაღლდეს, ამისთვის იბრძვის, არა თუ დამდაბლდეს.

ერთი მეორეს ნუ მიუგდებთ: შენი სამწყსოა, შენ სთქვით. არამედ ერთად ბრძანეთ და ეს უჯერო საქმე დახსენით, სჯობს.

თუ ეს არ დახსნათ, დიდსა და მცირეზედ ბრძანება გაეცით, რომ:

ვინც ინებოს და სადა ესევითარი შეყრა, ნებაივ აყენებს, თორემ რომელსამე მისცემთ სიმაღლით და რომელსამე არა სიმდაბლით, ესე კაცთ-მოთნებაა, რომელი არა ჯერ-არს თქუენ მიერ.

ვევედრები თქვენს მეუფებას, ეს წიგნი აღმიბეჭდოთ, რომელი განმზადებულ არს სჯულისა ურჩთათვის. თქვენი მშვიდობის ამბავს წყალობად ვითხოვ.

თაწი ძმა მეუფებისა თქუენისა ყოვლად სამღუდელო

ჯუმათელ მიტროპოლიტი მაქსიმე.

წელთა 1810,
მაისის 15

536. [ბრძანება ანტონ II-ისა მეტეხის მოურავად დავით მაღალაშვილის განწესების შესახებ]

[1810 წ. 17 ივნისი]

ჩუენ, ყოვლისა საქართველოჲსა კათოლიკოს-პატრიარხმან ანტონიმ განვაწესეთ მეტეხს მოურავად იქ მცხოვრები აზნაური დავით მაღალაშვილი ნაცვლად აზნაურისა იოანე მაღალაშვილის მოურავ ყოფილისა, რომელიცა ათას რვა[ა]ს რვას წელსა ნოემბრის თვეში გარდაყენებულ იქმნა ჩვენ მიერ უწესოდ და უკანონოდ ქცევისათვის.

და ათას რვა[ა]ს ათს წელსა ივნისის თვეში მმართებლობამაც გარდა[ა]ყენა მეტეხის მოურაობიდამ მაღალაშვილი იოანე, რადგანც მეტეხელთ უჩივლეს ხსენებულსა მას მაღალაშვილს იოანეს უწესოსა და უკანონოდვე ქცევისათვის.

ივნისის იზ, ქორონიკონს უჟყ.

ხელრთვა: კათალიკოზი ანტონი

537. [წიგნი ანტონ II-ისა იოანეს მღვდლობისაგან განკვეთის შესახებ]

[1810 წ. 28 ივლისი]

უზენაეს საქართველოს მმართებლობას ისპოლნიტელის ექსპედიციასა შინა.

მივიღე რა წერილი ამა ექსპედიციისა საქმესა ზედა თელავის უეზდს ნაქალაქევს სოფელსა შინა მცხოვრებლისა მღუდელის იოანესი, განმხილველმან მისისა შემცოდეობისამან, კანონისამებრ სჯულისა, განვჰკვეთე მღუდელობისაგან და სახე მღუდელობისა აღვსძარცვე. და ჯერ-არს, რათა წარიგზავნოსცა მონასტერსა შინა დავით-გარეჯისასა მოსაგებელად სინანულისა.

ივლისის კგ-სა დღესა, ჩყი-სა წელსა.

კათალიკოს-პატრიარხი ხელრთვა: ანტონი

538. [წიგნი ანტონ II-ისა ნაცვალ ელისბარისათვის სარგოს მიცემის შესახებ]

[1810 წ. 12 ოქტომბერი]

ქ. არხიმანდრიტო ბესარიონ და სალთხუცესო პაატავ!

მერე ამ არზით რომ ეს ნაცვალი ელისბარა ასრე ჩიეის, ჩვენ ამისი სიგელი ვნახეთ, რომელიც რომ დავამტკიცეთ.

ახლა თქვენც ამ ნაცელის სიგელი გაშინჯეთ და რომელიც გაწერილი აქვს იმ სიგელში, ყოველივე უკლებრივ გამოუთვალეთ და მოაბარეთ უკლებრივ.

და მაგ დანიელს არხიმანდრიტსაც გამოუცხადეთ, რომ ყოველს წელიწადს უნაკლულოდ მისცემდეს, რაც განწესებული აქვს.

ოქტომბრის იბ, ქორონიკონს უუწ.

ხელრთვა: კათალიკოზი ანტონი

539. [წიგნი ანტონ II-ისა არქიეპისკოპოსის ვარლაამისადმი ყმა-მამულის არქიმანდრიტ დომენტისათვის მიბარების შესახებ]

[1810 წ. ა ნოემბერი]

მაღალ ყოვლად სამღუდელოო არხიეპისკოპოსო და უწმიდესის სინოდის ჩლენო ვარლაამ.

ფილოთეოსის მონასტრისადმი შეწირული ზემო ხსენებული ესე ყმა-მამული და ზეაბი, და მიიღებდენცა შემოსავალსა, თუმცა ღა რომლისამე მიზეზით მიებარა ბერძენს არხიმანდრიტს დანიელს, მაგრამ არ დამსდვა ღვაწლდებულება ვითა ვალდებულ იყო.

და ეაუმჯობესეთ კუალადვე მიბარება ნათლისმცემლის მონასტრის არხიმანდრიტს დომენტისა. და თქვენმა მაღალ ყოვლად სამღუდელოებამ პყოს მიბარებისა ამის აღსრულება. და არხიმანდრიტი დომენტი უნდა მოიქცეს ისე, ვითა ცხადჰყოფს მეფის იოაკლის მიერ მიბარების წერილი.

ნოემბრის ე, წელსა ჩყი.

ხელრთვა: კათალიკოზი ანტონი

540. [წყალობის წიგნი იოანე ცაგერლისა გეჟან ლორთქიფანიძისადმი]

[1810 წ.]

ქ. ესე წყალობის წიგნი დაგიწერე და გიბოძე მე ყოველად სამღუდელომ ცაგერელ მიტროპოლიტმან იოანემ, ძემან დადიანისა კაციასამა[ნ], შენ, ლორთქიფანიძე გეჟანს და ძეთა და მომავალთა სახლისა შენისათა, ასე და ამა პირსა ზედა, რომ:

ჩემი კაცი დავითელა მამარდაშვილი აიყარა დღეს შენ მოგენდო. და მეგვედრე და ვისმინე ვედრება შენი და მოვეგებე დავითელა ცოლშვილით. [გ]ქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმანც. ამაზედ არც მე და არც შემდგომი მღვდელმთავარი ამაში[1] შენ აღარ გედაოს.

არის ამისი მოწამე და გამრიგე მოურავი ყრუაშვილი ხოსია, დეკანოზი მარკოზ; და სხვანი ყოველნი სამღვდელონი და საერონი მოწამე არის ამის.

აღიწერა ხელითა მღვდელ-მონაზვნის ეფთვიმისათა და მოწამეცა ვარ ამისი.

ქრისტესით ჩემი

541. [კათალიკოზის სამწყსო სოფელნი და ხელქვეშევი მღვდელმთავარნი ქართლსა და კახეთში]

[1788—1811 წწ.]

უწმიდესი და უნეტარესი ყოელისა საქართველოჲსა კათოლიკოს-პატრიარხი, მეფის ირაკლი მეორის ძე, ანტონი.

ამათის უწმიდესობის და უნეტარესობის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარხის კათედრა არის მცხეთას, სადაც რომ არის ყოველისა საქართველოჲსა კათოლიკე ეკლესია სუეტისცხოველზედ აღშენებული.

ამისა კელსა ქუეშე არის:

1.* ადრითგანვე შეწირული სამწყსოდ სრულიად საქართველო საზღვრითი-საზღვრამდე.

2. ხოლო აწ, რომელნიცა ჰყავს საკუთრად თჳსად სამწყსოდ ქართლსა და კახეთსა შინა, ქალაქი-დამ დაწყებული მრთელი გამოღმა მკარი ქართლი ხევობამდინ, რომელნიც რიცხვით არიან, უშენს სოფლებს გარდა. შენნი სოფელნი ათნი.

3. ხოლო უწმიდესისა ამის სამწყსონი საარხიმანდრიტონი მონასტერნი შენნი და მათ შინა არხიმანდრიტნი ქართლსა შინა არიან რიცხვით ექვსნი.

---

[1] ამაჩი.

* ტექსტი მეხლებად დაყოფილი არ არის.

4. ხოლო მათისავე უწმიდესობისად რწმუნებული ეკლესია ალავერდისა, რომელიცა არს კახეთსა შინა უპირველესი კათედრა, ამისი სამწყსო გალმა მყარს ყვარელსა და ხეთსა შინა და შიგნით და ზემოთ კახეთსა შინა შვიდი სოფელი რიცხვით არიან ორმოცდარვა.

5. ხოლო საარხიმანდრიტონი მონასტერნი ამის ალავერდისა ეკლესიისანი არიან რიცხვით ხუთნი.

და ამასვე ჰყავს სამწყსოდ თავადი ოცდათექვსმეტი და აზნაურნი ოცდაათხუთმეტნი.

6. და მათისავე უწმიდესობისად აწ რწმუნებული სამთავროჲსა ეკლესია, რომელიცა არს მცხეთას, მახლობელ დიდისა ქართლიკე ეკლესიისა; ამისი სამწყსო არს: დადს ლიანვსა და რეხულას შუა მყოფნი სოფელნი შვიდნი რიცხვით სამეოცნი.

და ამასვე ჰყავს სამწყსოდ თავადნი ორნი და აზნაურნი ოცდაათხნი გვარნი.

ხოლო მათის უწმიდესობის ჴელისქუეშენი მღუდელმთავარნი რომელნიცა აწ არიან:

ქართლსა შინა

1. ტფილისისა მიტროპოლიტი არსენი, რომელსაცა ჰყავს სამწყსოდ აწ შვიდნი სოფელნი რიცხვით ათრვამეტნი.

და ამასვე ჰყავს სამწყსოდ თავადნი სამნი და აზნაურნი თხნი.

2. რუისისა მიტროპოლიტი იესტინე, რომელიცა აწ სცხოვრებს რუისს; რომელსაცა ჰყავს სამწყსოდ აწ შვიდნი სოფელნი რიცხვით ორმოცდაექვსი.

კახეთსა შინა

1. ბოდბისისა მიტროპოლიტი იოანე, რომელიცა აწ სცხოვრებს წმიდასა ნინას; რომელსაცა ჰყავს სამწყსოდ აწ შვიდნი სოფელნი რიცხვით ოცდაათერთმეტნი.

და ამასვე ჰყავს სამწყსოდ თავადნი ოცდარვანი.

2. ნინოწმიდისა მიტროპოლიტი მიხაილ, რომელიცა სცხოვრებს ნინოწმიდას; რომელსაცა ჰყავს სამწყსოდ აწ შვიდნი სოფელნი რიცხვით ოცდაათნი.

და ამასვე ჰყავს სამწყსოდ თავადნი ოცდაერთი და აზნაურნი ოთხმოცდათხუთმეტნი.

8. წილკანისა მიტროპოლიტი იოანე, რომელიცა აწ სცხოვრებს წილკანს; რომელსაცა ჰყავს სამწყსოდ აწ შვენნი სოფელნი რიცხვით ორმოცდაექვსი და ჯეობანი, მოჯევინი, მთიულნი, გუდამაყრელნი, ხანდოელნი, ჭართალელნი.

და ამასვე ჰყავს სამწყსოდ აზნაურნი ათოთხმეტნი.

4. ურბნისისა ეპისკოპოსი იეღიოს, რომელიცა აწ სცხოვრებს ურბნისს; რომელსაცა ჰყავს სამწყსოდ აწ შვენნი სოფელნი რიცხვით ოცი.

და ამასვე ჰყავს სამწყსოდ თავადი ხუთი და აზნაური რვა.

5. სამთავისისა ეპისკოპოსი დერვასი, რომელიცა აწ სცხოვრებს სამთავისს; რომელსაცა ჰყავს სამწყსოდ აწ შვენნი სოფელნი რიცხვით ათშვიდმეტნი.

და ამასვე ჰყავს სამწყსოდ თავადი ერთი და აზნაურნი ხუთნი

და ამასვე ჰყავს სამწყსოდ თავადი ერთი. ხოლო ამისივე დავე მიმართ არს რწმუნებული საეპარხიმანდრიტონი უდაბნო მონასტერნი ორნი.

3. რუსთავისა არხიეპისკოპოსი სტეფანე რომელიცა აწ სცხოვრებს მარტყოფსა შინა; რომელსაცა ჰყავს სამწყსოდ აწ შვენნი სოფელნი რიცხვით რვანი.

და ამასვე ჰყავს სამწყსოდ თავადი ერთი.

4. ნეკრესისა მიტროპოლიტი ამბროსი, რომელიცა სცხოვრებს შილდას, რომელსაცა ჰყავს სამწყსოდ აწ შვენნი სოფელნი რიცხვით ათოთხმეტნი.

და ამასვე ჰყავს სამწყსოდ თავადი ხუთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ნიქოზისა ეფისკოპოსი ათანასი, რომელიცა აწ სცხოვრებს ნიქოზს; რომელსაცა ჰყავს სამწყსოდ აწ შენნი სოფელნი რიცხვით რვანი.

542. [შეწირულების წიგნი ანტონ II-ისა ანჩისხატის ეკლესიისადმი]

[1788—1811 წწ.]

ჭ. ყოველისა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარხი, მეფის ძე ანტონი გიბძანებ ყოველწლივ ჩვენის კათოლიკე ეკლესიის სვეტისცხოველის კარის იჯარის ამღებთა მეიჯარეთა.

მერე ტფილისს ჩვენი ეკლესია სანთლითა და საკმლით დიდათ ნაკლულევანია ანჩისხატი, და ჩვენს სადღეგრძელოდ და სულიერად წარსაძართებელად წელიწადში სამი თუმანი და ხ (ექვსი მინალთუნი) სანთლისა და საკმლის ფასად შეგვიწირავს და მიგვირთმევია.

ჩვენის კარის იჯარას ვინც აიღებდეთ ხოლმე, ყოველს წელს, რაც ზევით დაგვიწერია რიცხვით, იმას ანჩისხატის დეკანოზს მისცემდეთ უკლებლად. და დეკანოზი როგორც ეკლესიას ეჭირება სანთელ-საკმელი, ისე მოახმარებს.

და როდისაც მისცემდეთ, ბარათს გამოართმევდეთ დეკანოზისა. და იმ ბარათს ჩვენნი მოკელეები ანგარიშში გაგიტარებენ.

და გიბრძანებთ კარისა ჩვენისა მოკელეთო და მოსაქმენო! ჩვენგან შეწირულსა და დამტკიცებულსა ამას ნურავინ წინა აღუდგებით, თვინიერ შეწევნისა და თანადგომისა, რომ ყოველს წელს ასე უნდა ეძლეოდეს უკლებრად და ულაპარაკოდ.

ხელრთვა: კათალიკოზი ანტონი

543. [წყალობის წიგნი ანტონ II-ისა სვიმონ მაღალაშვილისადმი]

[1788—1811 წწ.]

ჭ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა, ჩვენ, სრულიად საქართველოჲსა კათოლიკოს-პატრიარხმან, მეფის ირაკლის შეორის ძემან, ანტონი ესე წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ, ჩვენის დიდის ეკლესიის სვეტისცხოველის ყმას, ჩვენს აზნაურშვილს მაღალაშვილს სვიმონს, შვილ-

სა შენსა იოანეს და ზაქარიას და ყოველთაე მომავალ-
თა სახლისა თქუენისათა.

ასე რომე, მოხვედით და რომელიც რომ თქვენ ძველთ წესნი-
ლოები გქონდათ ჩვენის ეკლესიისა, იმაებრს წყალობას დაგვეაჯვე-
ნით. ჩვენც ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გიბოძეთ ჭადა-
გობა ასე და ამ განწესებით, რომ:

1.* ვინც ეფისკოპოზი რომ ეკურთხება და სამოჭელიოს გამო-
ერთმეება, ჯვარისმტვირთ[ველი] საკურთხებელი იქნება, შენ უნდა
მოიყვანდე ხოლმე და კურთხევის შემდგომად ქარი უნდა მოგეცე-
მოდეს, ვინც ეკურთხებოდეს იმისაგან.

2. ამას გარდა რომელსაც შემცოდეზედ წყევა მივიდოდეს,
შენგან უნდა გამოეცხადებოდეს და მოქცეულზედ შენდობის მიცე-
მა შენგან უნდა გამოეცხადებოდეს.

3. და ამას გარდა საიდამც ნიშანი აიღებოდეს, ის ნიშანიც
შენგან უნდა აიღებოდეს და ყოველთვის ეგრეთვე წასახურავიც
შენგან უნდა აიღებოდეს.

4. კიდევ ულუფა უნდა გქონდესთ ორის კაცისა და ორის
ცხენისა.

5. ამას გარდა მღედელი ეკურთხებოდეს, ეროს აბაზს უნდა
მოგეცემდეს და დიაკონი ეკურთხებოდეს, ორს შაურს უნდა მოგ-
ეცემდეს.

6. ამას გარდა ეფის[კოპოზი]...**

544. [წყალობის წიგნი ეფთვიმი გენათელისა დავით კლდიაშვილისადმი]

[1812 წ. 3 ივნისი]

ქ. ჩვენ, ყოველად სამღუდელომ გაენათელ მიტრო-
პოლიტმან ეფთვიმიმ ესე წყალობის წიგნი გიბოძე თქვენ
ჩემის ეკლესიის გელათის და ჩენს ერთგულს მემკვიდრეს ყმას აზ-
ნაურშვილებს და მოურავს კლდიაშვილს დავითს და შენს
ბიძაშვილს მღუდელს ანდრიას და ფირანს და თქვენთა
შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა ესრეთ და ესევითარად,
რომ:

გოგებრ ჭუმბურიძე გარდაშენდა, არაფერი დარჩენია

* ტექსტი შუხლებად დაყოფილი არ არის.
** ბოლო აკლია.

შვილი და მომავალი; და იმ გოგებს შენი დავთრის კაცი ყოლოდეს დოღონაძე გაბრიელა, ქაქუჩა და თამაზ[illegible] ფეებისაგან დავთარი თქვენ გეკაეებინა ამ დოღონაიის; და [illegible] გოგები უშვილძიროთ გარდაშენდა, შენი დავთრის კაცი ისევ თქვენ გიბოძე ეს სამი ბიჭი დოღონაძეები.

და კიდევ იესიკა ღვინეფაძე და მისი ძმა იობიკი უშვილოთ გარდაშენდა, აღარავინ იყო; და ერთი მეგრელი გორდელი ბიჭი დათიკა ჯუხაძე ნაყიდი ყავდა და უბატონოთ იყო, და ისეც თქვენთვის მიბოძებია.

ის დოღონაძეები და ეს ჯუხაძე თავისის მიწა-წყლით, აღგილმამულით, სახლ-კარით და საძებარ-უძებრით თქვენთვის გვიბოძებია. გაქვნდეს და გიბედნიეროს ღმერთმან. თუ თქვენ ჩვენი და ჩვენის ეკლესიის ერთგული იქმნეთ, არც ჩვენგან და არცა შემდგომთა ჩემთა გენათელთაგან არასოდეს ეს წყალობა არ მოგეშალოს.

არის ამისი მოწამე გელათის დეკანოზი იოანე, მღვდელი გრიგოლაშვილი იესე და მე არხიმანდრიტს იოსელიანს დავითს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი.

წელთა უფლისათა ჩყიბ, ივნისის გ.

ბეჭდი: გენათელი მიტროპოლიტი ევთვიმი

545. [ყმად შეწირულების წიგნი ევთვიმი გენათელისა ნახსიტელა ალფაიძისადმი]

[1812 წ. 1 აგვისტო]

ქ. ჩვენ, ღირსად სამღუდელომ გაენათელ მიტროპოლიტმან ევთვიმიმ ესე მტკიცე და ჰეშმარიტი, უტყუარი, უხერხო და უმიზეზო წყალობის წიგნი და საფიცარი გიბოძე თქვენ, ჩემის ეკლესიის ძირითგან მემკვიდრეს, ქველობანს მოსახლეს გლეხს, ალფაიძეს ნახსიტელას და შენს ძმისწულებს დავითელას და ლაზარიკას და თქვენთა შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა, ასე და ამა პირსა ზედა, რომ:

ხოსიკა ხოხიაშვილი და მისი ძმა ივანიკა ჩემის ეკლესიის გელათის აზნაურშვილები და ყმა იყვნენ და ჟამისაგან გარდაშენდენ; ასე, რომ მათი მოდგმა აღარაფერი დარჩენილა და არც მემკვიდრე. თქვენი ბატონი აღარავინ იყო; და თქვენ პირველ ძველთაგანაც სახსოვრად ეკლესიის გელათისათვის ყოფილხართ.

და რადგან მემკვიდრე ბატონი თქვენი ამოვარდნეს, ისევ ლათის ეკლესიას და სახელისა ღმრთისმშობელს და გაფნავიწყალა ღმრთისმშობელს საკუთრად სახასოდ მიგართვი.

რაც ბეგარა და სამსახური უწინ გქონდა და სახასო კაცს გმართებოდეს, იმ ბეგრითა და იმ სამსახურით უნდა ემსახუროთ ეკლესიასაცა და იმახედ მჯდომს გენათელსაც.

და არც ჩემგან და არც შემდგომის ჩემის გენათლისაგან აწ დღეის იქით თქვენ საზნაურშვილოთ აღარ გაიცეთ. ისე მკვიდრად და საუკუნოდ სახასოდ მიბრთმევიხარ.

სხვას კაცს და არც აზნაურშვილს ვისმეს თქვენგან ხელი არავის არა აქვს რა, თვინიერ გელათის ეკლესიასა და გენათელს გარდა; თქვენის მიწა-წყლითა და ადგილ-მამულით და ყოფაცხოვრებით მიბრთმევიხარ.

და აწ რამანც ძემან კაცისაგან, დიდმან ანუ მცირემან, გენათელმან ანუ მოხელემან თქვენ ეს წერილი შეგიშალოს და კიდევ ხელახლავ საზნაურშვილოთ გაგხადოსთ, წმინდისა სამებისაგან და ათორმეტთა მისთა წმინდათა მოციქულთაგან და შვიდთა მსოფლიოთა წმიდათა კრებათაგან წყეულ, კრულ და შეჩვენებულ იყოს სულით და ხორცით აწ და საუკუნოდ.

ხოლო დამამტკიცებელნი და დამბეჭდველნი ამისნი აკურთხოს ყოვლად ძლიერმან ღმერთმან.

აწ იქმნა ამა წერილისა მოწამე და დამწერი ჩემი არხიმანდრიტი იოსელიანი დავით.

წელთა უფლისათა ჩყიბ, აგვისტოს ა.

ბეჭედი: გენათელი მიტროპოლიტი ეფთვიმი

546. [ᲣᲛᲐᲦ ᲨᲔᲤᲘᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲔᲤᲗᲕᲘᲛᲘ ᲒᲔᲜᲐᲗᲔᲚᲘᲡᲐ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐ ᲐᲚᲤᲐᲘᲫᲘᲡᲐᲓᲛᲘ]

[1812 წ. #7 სექტემბერი]

ქ. წყალობითა და შეწევნითა ღმრთისათა ჩვენ ყოვლად სამღუდელომ გაენათელ მიტროპოლიტმან ეფთვიმიმ ესე მტკიცე და ბეშმარიტი, უტყუარი, უხვერხო და ეშმისგზო წიგნი და საფიცარი გიბოძე შენ, ძეელითგანვე გელათის ეკლესიის მკვიდრს შეწირულს გლეხს, გოდოგანს სოფელშიდ მოსახლეს, აღფაიძეს ზაქარიას და შენს შვილსა და მომავალს ესრეთ და ესევითარად, რომ:

პირველათაც ეკლესიის გელათის სახსოვრად სამკვიდროთ ყოფილიყავი და ყამთა ვითარებისაგან საამწყემშვილოთ გამბდარიყავ და იესიკა ხოხიაშვილს ყავდი და ის გმსახურებდა. იესიკა ხოხიაშვილი უშვილ-ძიროთ გარდაშენდა შვილი აღარ დარჩა.

და რადგან უშვილოთ გარდავიდა, როგორც უმალვე პირველად ეკლესიის სახსოვრ ყოფილხარ, ისევ ხელახლავ სახსოვრ დიდის ეკლესიის გელათისათვის შეგიწირივიხარ. როგორც იმ შენს პატრონს ხოხიაშვილს ემსახურებოდი ბევრით თუ სვეფ სამსახურით, ეკლესიას გელათსა და მაზედ მჯდომს გენათელსაც ისე ემსახურე.

და აწ დღეის იქეთ არც შენ და არც შენი შვილი და მომავალი, არც მე და არც ჩემ[მ]ა შემდგომმა გენათელმა საამწყემშვილოთ ვასაცემათ შენ აღარ გაგხადოს და არც გელათის შემკვიდრობა შენ არ მოგეშალოს; ისე საუკუნოდ, სამკვიდროთ გელათისათვის შეგიწირივიხარ.

და აწ დღეის იქეთ თუ შენ ვინმემ და გენათელნა და ანუ მისმა მოხელემ და ან სხვამ ვინმემ შეგიშალოს ეს ჩემ მიერი ბოძებული წიგნი და ან გაცემა და საამწყემშვილოთ გაგხადოს ვინმემ, წმიდისა სამებისაგან ათორმეტთა წმიდათა მისთა მოციქულთაგან და შვიდთა მსოფლიოთა კრებათაგან წყეულ, კრულ და შეჩვენებულ იყოს სულით და ხორცით.

და დამამტკიცებელნი და დამბეჭდველნი ამისნი აკურთხოს ღმერთმან თავით და თავისის ცოლითა და შვილით და თავის ოჯახით.

აწ იქმნა ამა წერილის მოწამედ: ჩემი მოძღვარი მისი ლირსებ მღვდელი გრიგოლა შვილი იესე, ნიშნიანიძე მღუდელი და მჭალობელი ლუკა, ქვარიანი გოგია, ფარეში აბულაძე სიმონა.

და შე. არხიმანდრიტს იოსელიანს დავითს პატონი ჩემის ბრძანებით დამიწერია და წოწამეცა ვარ ამისი.

წელთა უფლისათა ჩყიბ, სექდემბერს კზ.

ბეჭდი: გენათელი მიტროპოლიტი ეფთვიმი

547. [წყალობის წიგნი დოსითეოს ჯუთათელისა ლაზარე ავალიანისადმი]

[1818 წ. 12 იანვარი]

ქ. წყალობითა ღმრთისათა, ჩვენ, ყოვლად სამღვდელომან ქუთათელ მიტროპოლიტმან დოსითეოზ და განმგემან საკათალიკოზოსმან ესე მტკიცე და შეუცვალებელი და

არასოდეს მოსაშლელი ვიდრე უკუნისამდე საბოლოოთ გასათავებელი წყალობის წიგნი აღგიწერეთ და გაბოძეთ შენ, ბიჭვინთელს ღმრთისმშობლის ყმას აზნაურს, საჩინოს მცხოვრებელს ლიანს ლაზარეს და შვილთა და მომავალთა შენთა ესრეთ და ესევითარად, რომ:

მრავალგზის გვეუვედრეთ და ვისმინეთ ვედრება თქვენი და გიბოძეთ ორი ბაჟი საჩინოს მცხოვრებელი მახარაძე კვირიელა და თედორიკა თავისი მიწა-წყლით, სახლ-კარით, ჭერმარნით და რისიც მჭირნეველნი იყვნენ მისი სამართლიანის სამძღვრით. მოგცეს და მოგახმაროს ღმერთმა ჩვენს ერდგულებაშიდ.

აწ უკეთუ შენ[1] ჩვენი და ჩვენის ეკლესი[ი]ს ერდგული და ბრძანების მორჩილი იქნე, არც ჰვენგან და არც ჩვენთა შემდგომთა მეპატრონეთაგან არც შენ და არც შენს შვილსა და მამავალს ეს ჩვენშიერი ბოძებული წყალობის წერილი არ მოგეშალოსთ.

და უკეთუ ვინმე იკადროს ძალავრებით შლად ხელყოფაი წიგნისა ამის, ისიმც განიკითხვის ჩვენის ცოდვის ნუქფად მსაჯულის წინაშე დღესა მას სასჯელისასა. და ხუროა იხილაე კაცი იგი დიდებასა ღმრთისასა და თანა ეწიენ მას რისხვა ღმრთისა, შიშთვალი იუდასი, ძრწოლა კაენისა, კეთრი გეზისა, მეხისტენა დიოსკორე უკეთურისა, დანთქმა დათან და აბირონისა.

ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი იყავნ კურთხეულ მამისაგან, ძისაგან და სულისა წმინდისაგან.

აწ კაცთაგან არის ამ წერილის მოწამე: თავადი წულუკიძე დავით, გოგოლაშვილი პეტრე, მოურავი მეძმარიეშვილი ბერი და შოშიტა, ხელოსანი ადამა ჩიბურდანიძე და სხვანი ერთობით ჩვენი სამღვდელონი და საერონი.

აღიწერა ხელითა თავადის მოურავის წერეთლის ბექანისათა იანვრის იბ, წელსა ჩყიგ.

ბეჭედი: დოსითეოს

მარცხენა კიდეზე ორი ბეჭედი:

1. მოურავი ლორთქიფანიძე ოტია
2. ლორთქიფანიძე...

---

1 შენი.

ჩუენ, იმერეთის მმართებლობის მდივანბეგნი, მათის ყოვლად სამღუდელოების ქუთათელ მიტროპოლიტის დეკანოზი თეოსი მიერ გაცემულს წერილს ვმოწმობთ ჩუენის მეშვეობის დასხმით.

სამი ბეჭედი:

1. თავადი წულუკიძე სეხნია
2. დავით
3. თავადი მდივანბეგი აბაშიძე გიორგი

548. [წყალობის წიგნი დოსითეოს ქუთათელისა არქიმანდრიტ გერასიმესადმი]

[1818 წ. 14 ხელტემბერი]

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა, ესე წყალობის წიგნი აღგიწერეთ და გიბოძეთ ჩუენ, ყოვლად სამღუდელომან ქუთათელ მიტროპოლიტმან დოსითეოს შენ, ჩუენს მოძღუარს მოწამეთის არხიმანდრიტს უფალს გერასიმეს, ესეეითაოდ, რომ:

შენის ძმის კაცი ნიკოლოზა მალამბერიძე ცხენკურელი ეყიდა ჩუენს კაცს ბაბადოღლის შვილებს ოთხთა ძმათა და ის სამნი ძმანი დიდის ჭირისაგან ამოვარდნენ ცოლით და შვილით, და ერთი უმცროსი ძმა დარჩა მათ სიმონა ცოცხალი და მათი საცხოვრებელი სიმონას დარჩა. და ამისთვის საძმოდ ეს ნასყიდი ბიჭი ნიკოლოზა მალამბერიძე მე ავიყვანე და გამოვართვი და შენ ჩემს მოძღუარს მოგეცი ყოვლის კაცის უცილებელად, რომ შენ ამაში მოდავე ამისი აღარავინ მოგადგეს არცავინ დიდი და არცავინ მცირე.

ესრეთ ჩემის წერილით და ბეჭდით დამტკიცებული მიბოძებია. გაჭუნდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ყოვლის კაცის უსადუოთ.

არის ამის თანამოწამე და გამრიგე ჩუენი ძმისწული წერეთელი ბექან და ერთობით ჩუენნი სამღუდელონი კრებულნი და მოხელენი ჩუენნი.

მე, მღვდელს ოსე გაბაშვილს დამიწერია და თანამოწამეცა ვარ ამისი.

სეკდენბრის იდ, ქრისტეს აქეთ ჩყიგ.

ბეჭედი: ყოვლად სამღვდელო ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს

549. [ნიშნის ამოწერის წიგნი ცაგერელ იოანესი დავით გელოვანისადმი]

[1814 წ. 5 თებერვალი]

ქ. ზეგარდამოთა მადლითამან კურთხეულმან ყოვლად სამღვდელომან დადიანის კაცის ძემან ცაგარელ მიტროპოლიტმან უფალმან იოანემ ეს წყალობის უტყუველი და მტკიცე შეუცვალებელი და ვიდრე სოფლის დასასრულამდე განსათავებელი წიგნი დაგიწერიხე და გიბოძე შენ, გელოვანს დავითს და შენს მეუღლეს დადიშქელიანის ასულს მარიამს და თქვენს შვილს ალმასხანს და მანუჩარს და სხვათა თქვენთა ძეთა და მომავალთა.

ასე, რომ: ყოველის თქვენის შეძლებით ჩვენის ეკლესიის მოსამსახურე და ჩვენი ერთგული და მაამებელი იყვენით და ჩვენგან წყალობად ითხოვეთ. და თუმც ძნელი საქმე იყო, მაგრამ შენის მორჩილებისათვის ეს საქმე მე ვიტვირთე და შეძლების მსგავსად ქთაბიც მოგართვით და ამოგიწერეთ ნიშანი შენ და შენს მეუღლეს დადიშქელიანის ასულს მარიამს და თქვენს ძეს ალმასხანს და მანუჩარს და სხვათა თქვენთა ძეთა და მომავალთა ყოველთავე, ასე რომ:

არც ჩვენგან და არც ჩვენის შემდგომის ცაგერლისავან თქვენ ნიშანი არ გეთხოვოს; ისე საუკუნოდ ამოგვიწერია, რომ არ გეთხოვებოდეს.

აწ ვინც ჩვენმა შემდგომან მღდელთმთავარმან თქვენს ეს ჩვენი მოცემული წერილი შეგიშალოს და თქვენ ნიშანი გთხოვოს, შეჩვენებულ იყოს ოვავად დაუსაბამოსა ღმრთისაგან, ათორის მოციქულისაგან, შვიდის კრებისაგან და ოთხთა პატრიარხთაგან და ჩვენმან და ჩვენის ცაგერის ეკლესიისაგან კრულ იყოს სულით და ხორცით.

ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი კურთხეულ [იყვენ] უკუნისამდე.

ამისდა მოწამედ [არიან]: ჩვენი ყვარისმტვირთველი მღუდელ-მონაზონი ბესარიონ და ჩვენი მოხელე მასთან დაშნიანი გიორგი და მისი შვილი მღუდელი პავლე. დამიწერია მე, მისის ყოვლად სამღუდელოების უფლის ცაგერლის იოანეს მოძღვარს მღუდელს ჭალაჭანიძეს ვასილს, ქრისტესით ჩყ[ი]დ, თებერვლის 5, 1814.

ხელრთვა: ცაგერელი იოანე

ორი ხელით: ცაგერელი მიტროპოლიტი იოანე

550. [ბეგარის განწესება ნიკოლაოსწმიდელ სოფრონიოსისა ჩიკვაიძეებისადმი]

[1814 წ. 30 მაისი]

ქ. ჩვენ, ყოველად სამღვდელომან რაჭის არხიეპისკოპოსმან ნიკოლაოსწმიდელმან სოფრონიოს ესე წიგნი ალგიწერეთ თქვენ, ერთობით რაჭამდი მოსახლეთ ჩიკვაიძეთ: დავითის შვილს და შვილის შვილს, პაატას შვილს და შვილის შვილს, ოსიყმის შვილს და შვილის შვილს, თქვენთა შვილთა და მომავალთა ამაზედ, რომელ:

თქვენ რადგან ჩვენი სამწყსო იყავით და აზნაურშვილი, ნიშნის თხოვნა დაგიწყეთ, რომელიც არასოდეს, არას ნიკოლაოსწმიდელს არ ეთხოვნა. მაგრამ მე, რადგან დიდი შრომა მაქვნდა ჩემს მონასტერზედ და მსურდა შემკობა, და შემოსავალი ცოტა იყო, ამისთვის მიხდომდა, რომ შემოსავალი განმემრავლებია.

და ვსთხოვე უფალს ღვნერალ-მაიორს სვიმონოვიჩს შემწეობა, და მიჩინა უფალი მაიორი და კავალერი თავადი წერეთელი გრიგოლ თქვენზედ; და ჩვენ ძალით მოგეკიდეთ.

მაგრამ თქვენ მაინც მოსველით და დაიფიცეთ ხატზედ, რომ არას თქვენს ძველს ნიშანი არ მართებოდეს. და ამაშიდ სამართლით ჩვენც თანახმა ვიქენით და დაგაფიცეთ და შემდგომად თავისუფალი შეიქენით ნიშნისაგან.

და ჩემის სიყვარულით ჩემის ეკლესიისათვის თითო კოდი პური დაიდევით მესამე-მესამე წელიწადს და ჩვენც მადლობელი ვიქენით ამისი.

არის ამისი მოწამე უფალი მაიორი და კავალერი თავადი გრიგოლ წერეთელი, პადპარუჩიკი ბაქრაძე იოანე, პერეოჩიკი ჭიჭინაძე იოსებ, ყვარისმტ[ვ]ირთველი მღვდელი ჭიჭინაძე იოსებ.

და მე, მდაბალი არხიმანდრიტი ვსწერ უფალი ნიკოლაოსწმიდლის ბრძანებით.

ჩყიდ წელსა, მაისის კი.

ბუჭდ: ყოველად სამღვდელო ნიკოლაოზწმიდელ არხიეპისკოპოსი სოფრონიოს.

გმოწმობ წერილსა ამას ნიკოლაოსწმიდელ არხიეპისკოპოსის სოფრონიოსისას თავადი მაიორი გრიგოლ წერეთელი.

ვმოწმობ წერილსა ამას მდაბალი არხიმანდრიტი ხელრთვა.

551. [წყალობის წიგნი დოსითეოს ქუთათელისა მარკოზელა ჯანგავაძისადმი]

[1815 წ. 7 აპრილი]

ქ. წყალობითა ღმრთისათა, ჩვენ ყოვლად სამღვდელომ ქუთათელ მიტროპოლიტმან დოსითეოს ესე მტკიცე და უცვალადო წიგნი წყალობისა აღვიწერეთ და გიბოძეთ შენ ჩვენის ეკლესიის ქუთათის ღმრთისმშობლის ყმას ჯანგავაძეს მარკოზელას და კაკოლიას და შვილთა და მოშაგალთა თქვენთა ესრეთ, რომელ:

თქვენი სახლისკაცები მოშსცრელი სენისგან გარდაიცვალენ და თქვენ გიბოძეთ იმ თქვენის სახლისკაცების გარდაცვალებულისწყლება სრულებით, რომლისაც მჭირებელნი იყვნენ: ადგილმამული, სახლკარი და ყოველივე ტყით და ველით, წყლით და საფლავით შენ გიბოძეთ.

და რომელიც იმ ადგილის მემკვიდრეს ჯანგავაძეს ბეგარა ეჭიროთა, ყოველივე ის მსახურება შენ უნდა აღასრულო ჩვენდამო. და ეს ჩვენ მიერ წყალობა შენ არც ჩვენგან და არცა შემდგომთა ჩვენთაგან შენ ეს არ მოგეშალოს.

და უკეთუ მძლავრებით მოგიღონ, ისემც გაბიეთხვის ნაცვლად ჩვენდა დღესა მას სასჯელისასა.

არის ამის მოწამე: მოურავი აბუღაძე ქაიხოსრო, გოგოლაშვილი პეტრე. მე, დავით წულუკიძე ვსწერ. აპრილის ზ. წელთა ჩყიე.

ბეჭდი: ყოველად სამღვდელო ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს.

552. [ყმად შეწირულების წიგნი ეფთვიმი გენათელისა კიკოლა ალფაიძისადმი]

[1816 წ. 22 სექტემბერი]

ქ. ნებითა და წყალობითა ღმრთისათა, ჩვენ ყოვლად სამღვდელომ გაესათელ მიტროპოლიტმან ეფთვიმემ ესე ამიერიდგან უკუნისამდე უცვალადო და აროდეს არ მოსაშალი წყალობის უმიზეზო და უტყუარი წიგნი დავიწერე და გიბოძე შენ ძველთ ჩვენის დიდებულის გაენათის ეკლესიის სამკვიდრო კაცს ივანე ალფაიძის შვილს ალფაიძეს კიკოლაოს და შენთა შვილთა და მოშაგალთა სახლისა შენისათა.

ესრეთ, რომ: ჰიჭინაძეს ყავდით ყმათ: და რომელსაც ჰიჭინაძეს თქვენ ყავდით, ის ჰიჭინაძე უშვილოთ ამოწყდა. იმათი აღარავინ დარჩენილა. პირველათაც ხახულისა და გელათისაა ღმრთისმშობლის შეწირული ყოფილხართ, ახლაც მისთვის შეგწირეხარ.

ასრე ხელის-წერილი მიბოძებია: არ ჩემგან და არც შემდგომთა ჩემთა მეპატრონეთაგან არც შენ და არც შენი შვილი და მომავალი არ გაიცე; და არც საახსნურმშვილო საყმოთ არაოდეს[1] ადარ იქმნეთ და გაეხათის ეკლესიის და ხახულისა და გელათის ღმრთისმშობლის მეტი პატრონი არავინ გეყოლოს. ასრე მტკიცედ და ყოვლის კაცის უდეოთ შემიწირავხარ.

და უკეთუ ვინმემ შლად ხელყოს წერილისა ამის და აზნაურშვილის საყმოთ გაეხადოს, იმას შეერისხოს ხახულისა და გელათისა ღმრთისმშობელმა და შეჩვენებული იყოს წმიდის სამებისაგან, ათორმეტთა მოციქულთაგან და ზეგარდმო მოცემულის მადლისაგან, ჩემგანაც შეჩვენებული იყოს სულით და ხორცით.

დამამტკიცებელი და დამბეჭდველი[2] ამისი კურთხეულ იყოს სელითა ღმრთისათა ვიდრე უკუნისამდე, ამინ.

ახრის ამისი მოწმე: მედვიდეთ უფასო გოგოლა შვილი სვიმონ, გელათის მოხელე მდვდელი ნუჭი და სხვანი ერთობით გელათის მოხელენი და ხელოსნები.

და მე წინამძღვარს იოსებს დამიწერია ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ჩყივ, სექტემბრის კბ.

ტფილისის ქალაქს იყავი და ამ ჩემის იმედით და წიგნით წამოგეყვანე და ისე შეგწირე გაელათის ეკლესიას

ბეჭედი: გენათელი მიტროპოლიტი ევთვიმი

553. [წყალობის წიგნი დოსითეოს ჯუთათელისა პაპუნიკა ჯანელიძისადმი]

[1816 წ. 9 ოქტომბერი]

წყალობითა ღმრთისათა, ჩვენ ყოვლად სამღვდელო ქუთათელ მიტროპოლიტმან დოსითეოს ესე წყალობის წერილი გიბოძე თქვენ ჯანელიძეს პაპუნიკას და შენს შვილსა და მომავალს. ცხაძეს დაეიდას და შენს შვილსა და მომავალს ესრეთ და ესევითარად, რომელ:

---

[1] არაოდეს. [2] დამბეჭდველი.

ქონეთის ეკლესიის კაცები ბერიკელა ჯანგლიძე და გიორგელა გადაშენდა უძეოთ და თქვენ მამწყალეს ჯანელიძეს ეყიდეთ და იმ ეკლესიას შეგწირეთ. უადგილო მამული იყავით და ჩვენ წყალობა გიყავით და გიბოძეთ ზემოხსენებულის კაცის ბერიკელა და გიორგელა ჯანელიძისეული ადგილ-მამული ჰურ-მარნით, საფლავ-სამარხით, ტყითა, წყლითა, საძეგარ-უძეგრით, საბალახით; მისისეულობა რაც რამ ჰქონდათ, უკლებად გვიბოძებია და ეკლესიისათვის დაგვისახლებიხარ. შენშიდ ჭელი არავის აქვს თვინიერ იმ ეკლესიის მსახურების მეტი.

და ბეგარა დაგვიდვია, როგორც იმათ ემართათ. რამოთენათაც გაიყოთ, იმოდენი ოროლი ყურეში და ხუთი ფარა უნდა ეკლესიას მიართვათ და ეკლესიას უნდა ემსახუროთ.

არის ამისი მოწამე: ქუთაისს დეკანოზი გაბაონი ნიკოლოს, ლორთქიფანიძე ბერი, ავალიანი სიმონ და იესე და მღვდელი პანტელეიმონ და ერთობით ჩვენი კრებული სამღვდელონი და საერონი.

აწ ვინც და რამანც ძემან კაც[ი]სამან შლად ჭელყოს წერილისა ამის, მყის თანად ეწიენ რისხვა ღმრთისა, შიშთვილი იუდასი, ქეთრი გეზისი, ცოცხლივ დანთქმა დათან და აბირონისი; და არისმცა ნაწილი მისი იუდა მიმცემელთან, პილატე მსაჯულთან და კაიაფა მღვდელთ-მთავართან; და ნუმცა იხილავს დიდებას ღმრთისასა.

ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი იკურთხნეს უფლისა მიერ სულით და ხორცით, ამინ.

მე, არხიდიაკონი ლოდაბერიძე ანტონი ვსწერ და მოწამეცა ვარ ამა წერილის.

ოქტომბრის თ, წელთა ჩყიე.

ბეჭედი: ყოვლად სამღვდელო ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს

554. [წყალობის წიგნი დოსითეოს ქუთათელისა ანდრია მარჯანოვისადმი]

[1817 წ. 4 იანვარი]

წყალობითა ღმრთისათა, ჩვენ ყოვლად სამღვდელომ ქუთათელ მიტროპოლიტმან დოსითეოს ესე მტკიცე, უცვალოდ, საუკუნო და სამარადისო წიგნი წყალობისა ვიდგიწერეთ და გიბოძეთ შენ ჩემს ერთგულსა და ერთგულებით მსახურებელს და ჩვენის ეკლესიისა მსახურებაზედ დიდად გულსმოდგინედ ერთ-

ცელებით თავდადებულს ჩვენის ეკლესიის ქუთაისის ღმრთის-
მშობლის ყმას კეთილშობილს მარჯანოვს ანდრიას იერ-
სეს ძეს და შვილთა და მომავალთა შვილთა და სახლისა-შვილთა
სათა საშვილისშვილოდ, ესრეთ და ესეევითარად, რომელ:

რაოდენ ძალგედვა ყოველის შენის შეძლებით და ღონისძიებით მეცადინობდი ჩვენის ეკლესიისა და ჩვენს ერთგულებით მსახურებას და მორჩილებას. და ამისთვის ნაცვლად ჩვენც ვიგულვეთ და ვიგულსმოდგინეთ და გიბოძეთ ჩვენის ეკლესიის ქუთათის[ის] ღმრთისმშობლის კაცი მ ა ღ ლ ა კ ს სოფელსა შინა მცხოვრებელნი გლეხი გ ა ბ რ ი ე ლ ა ხ ა ზ ა რ ა ძ ი ს შვილები გ ო გ ი ე ლ ა და მ ა რ კ ო ზ ი ა და პ ე ტ რ ე ლ ა ხ ა ზ ა რ ა ძ ე ნ ი.

ესენი თავისის ცოლშვილით სახლკარით ადგილ-მამულით და ყოველივე მათის საცხოვრებელით საძებრით და უძებრით, რომლისაც მჭირნეებელნი არიან, გვიბოძებია. მოუცავს და გიბეჭდნიეროს ღმერთმან მტკიცედ და შეურყეველად ჩ[ვ]ენის ეკლესიის ერთგულებასა და ჩ[ვ]ენს მორჩილებაშიდ.

უკეთუ შენ ჩ[ვ]ენის ეკლესიისა და ჩვენი ერთგულების მჭირნეებელი და ბრძანების მორჩილი იქმნე, არცა ჩვენგან და არცა შემდგომთა ჩვენთა მეპატრონეთაგან არცა შენ და არცა შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა ეს ჩვენ მიერი წერილი წყალობისა არ მოვეგებოსთ. ესრეთ ჩ[ვ]ენის ბეჭდის დასხმით დაგვიმტკიცებია.

და უკეთუ ვინმემ იკადროს ჩვენ მიერისა წერილისა ამის მძლავრებით ჴოლება და შლად ქცევა, მყის თანა ეწიენ მას რისხვა ღმრთისა, შიშთვილი იუდასი, ძრწოლა კაენისა, კეთრი გეზისა, მეხისტეხა დოსკორე უკეთურისა და დანთქმა დათან და აბირონისა; და ნუმცა იხილავს დიდებასა ღმრთისასა და მასამც [რისხვას] თავად დაუსაბამო ღმერთი; და ისემც განიკითხვის ნაცვლად ჩვენდა დღესა მას სასჯელისასა განკითხვითა საშინელითა.

ხოლო დამამტკიცებელნი და დამბეჭდველნი ამისნი იკურთხნეს მამან ღმერთმან საუკუნემან კურთხევითა აბრაჰამ ისაკ და იაკობისათა ვითარცა ვენახი სხმო კეთი შვილიერებითა აწ და მუკუნისამდე.

აწ არის ამა წერილისა შემამდგომელი ჩ[ვ]ენი სასურველი ძმისწული თ[ქვ]ენი მოურავი ბ ე ჟ ა ნ წ ე რ ე თ ე ლ ი და კეთილად მოწამე მაღალღირსი ჩ[ვ]ენი მოძღვარი უფალი მოწამეთ მონასტრის არხიმანდრიტი გ ე რ ა ს ი მ ე, გ ო გ ო ლ ა შვი-

ლი პეტრე, მოურავი მეძმარიაშვილი სვიმონ, ქ[ა]თაისის სასახლის ხელოსანი ადამიკა ჩიბურდანიძე[ა]შვილი ჯანისშვილი მახარა.

აღიწერა ჭელითა თ[ვა]დის დავით წულუკიძისათა ქუთაისის სასახლესა შინა, იანვრის დ, ჩყიზ წელსა.

ბეჭდი: ყოვლად სამღვდელო ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს
ყოვლად სამღვდელო მიღვაწებისკოპოსი ბეჭდი

ჩვენ, იმერეთის მართებლობის მდივანბეგნი ძათის ყოვლად უსამღვდელოესობის ქუთათელ მიტროპოლიტის დოსითეოსის ბოძებულს წყალობის წერილს [ვ]მოწმობთ ჩვენის ბეჭდების დასხმით.

ოთხი ბეჭდი: 1. თავადი წულუკიძე სეხნია
2. თავადი მდივანბეგი აბაშიძე გიორგი
3. მიქელაძე დავით
4. დავით

555. [წყალობის წიგნი სტეფანე რუსთველისა თევდორე ორჟონდაშვილისადმი]

[1817 წ. 4 მაისი]

ჩვენ, ყოვლად სამღვდელომან რუსთველ არხიეპისკოპოსმა, ენისელთ მოურავის ძემ, სტეფანემ გიბოძე ნორიოს ორის დღის მიწა შენ ჩვენის ეკლესიის ყმას ორჟონდაშვილს თევდორეს, შვილსა შენსა ქაცესას, შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა.

ასე, რომ: უმამოელი იყავ და ნორიოს ორის დღის მიწა იყო შემოწირული — ერთის დღისა შუბაშისშვილისაგან[1] და და ერთის დღისა კოკიტაშვილის ივანესაგან ქობილიანთ საყდართან არის ორივ ერთად, რომლისა სამხღვრებში ამას ქვემორე აღიწერება.

შუბაშისშვილის მიწის სამხღვეთი: თავს კოკიტაშვილის მიწამდის, ბოლო ცოფურაშვილის ბახილ მღვდლის მიწამდის, ერთი გვერდი ჯუღურაშვილის მიწაჲდის და მეორე გვერდი დელუბაშისშვილის მიწამდის. კოკიტაშვილის შემოწირული მიწა გიუნაშვილის მიდგმამდის.

---

1 შუბასშვილისაგან.

ეს ორის დღის მიწა ორივე ერთად არის და შენთვის გვიბრძანებია. ღმერთმან მოგახმაროს ჩვენის ეკლესიის სამსახურსა და ჩვენსა ერთგულებასა, არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა შენ[ს] ჩვენთა ყოველად სამღვდელოთაგან.

არის ამისი მოწამე თვით ღმერთი; და კაცთაგან ჩვენი სახლთხუცესი იოსებ და ჩვენი ნაცვალი ანდრიაშვილი დავით. და მე, იერომონახს იოანეს დამიწერია ბატონის ბრძანებით და მოწამეცა ვარ.

მაისის დ, ქორონიკონს ფე. წელთა ჩყიზ.

ბეჭედი: სტ'ეფანე

556. [წყალობის წიგნი ეფთვიმი გენათლისა კიკოლა მარგველაშვილისადმი]

[1817 წ. 11 მაისი]

ჭ. წყალობითა ღმრთისათა, ჩვენ, ყოვლად სამღვდელო გენათელ მიტროპოლიტმან[1] ეფთვიმეჲ ესე მტკიცე და ჭეშმარიტი წყალობის წიგნი დაგიწერე და გიბრძანე თქვენ, ჩემის ეკლესიის მკვიდრს გლეხს გოდოგანს მოსახლეს მარგველაშვილს კიკოლას და შენს ძმისწულს გოგიას და შვილთა თქვენთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა ესრეთ და ესევითარად, რომ:

ჩემი ეკლესიის მდდელი გოდოგანს მოსახლე იესე კვინიხიძე და მისი ძმა დავითელა გარდამშენდა უქეთ, რომ ძეობა არ დარჩენია; და მისსეულს ალაგს თქვენ მეყვედრეთ. და ვისმინე ვედრება თქვენი და მოხსენება და გიბოძე იესე კვინიხიძის და მისი ძმის დავითელასსოფლობა ალავი, მამული, ჭურმარახით, საფლავ-სამარხით, ტყით, ველით, გასავლით და გამოსავლით, საძებრით და უძებრით და სამართლიანის საზღ[ვ]რით; მიბოძებია და მოგეცეს ღმერთმან და გიბედნიეროს ჩვენსა და ჩვენის ეკლესიის ერთგულობასა და სამსახურში მკვიდრად.

თუმც ჩვენი და ჩვენი ეკლესიის ერთგული და მოსამსახურე იქმნეთ, არც ჩვ[ე]ნგან და არც ჩვენთა შემდგომთა გენათლისაგან არაოდეს არ მოგეშალოს ჩვენი[2] ამიერიდგან ბოძებული წყალობა და წყალობის წიგნ[ი]; ასე ეცილებლათ მიბოძებია.

---

[1] მიტროპოლიტმან. [2] ვ[ჩ]ვენი.

რომელმან ძემან კაცისამან დიდმან თუ, ანუ მცირემან, სულდგელმან, ანუ საეროშან ესე ჩემი წყალობის წიგნი შლად ხელყოს, მასამც შოერისხდი დედოფალთ ღმრთისმშობელთ დაისაჯოს ცოლი ყავ წიგნისა მისგან და შეჩვენებული ყოს ღმერთმან კაცი იგი.

და დამამტკიცებელნი და დამბეჭდ[ვ]ელი აკურთხოს ღმერთმან.

აწი არის ამისი მოწამე: წინამძღვარი ლომსაბერიძე ვასილ, არხიდიაკონი გვეტაძე ნიკოლოზ და გოდოგნის ბელოსანი ლევიძე კიკოლა. და მე, გოგია ქვარიანს დამიწერია ბატონი ჩემის ბრძანებით და მოწამეც ვარ ამის.

აღიწერა წიგნი ქორონიკონსა ჩყიზ, მაისს ია.

ბეჭედი: გენათელი მიტროპოლიტი ეფთვიმი

557. [წყალობის წიგნი დოსითეოს ჟუთათელისა დავით კლდიაშვილისადმი]

[1817 წ. 1 ივლისი]

წყალობითა ღმრთისათა, ჩვენ, ყოვლად სამღვდელომ ქუთათელ მიტროპოლიტმან დოსითეოს ესე მტკიცე და უცვალადო და ყოვლის იქვეისაგან თავისუფალი წიგნი წყალობისა აღვიწერეთ და გიბოძეთ შენ, ჩვენს ფრიად საყვარელს მეგობარს კეთილშობილს აზნაურს მოურავს კლდიაშვილს დავითს და შვილთა და მომავალთა შენთა ესრეთ და ესევითარად, რომელ:

იესეს და როსტომა ძმანი ჩხეიძე[ე]ბისაგან აღგილ-მამული ვიყიდე ჩემის სათესით და ჩვენს კაცს პაატელა გძელიძეს მიეცა. და შემდგომად ის ჩვენი კაცი პაატელა გძელიძე ბომბორელი სენისაგან სრულიად გარდაიცვალა თავის ცოლ-შვილით, ასე რომე მის აღარა დაშთომილა რაჲ; და რადგან ისე უძეოდ გარდავიდა, ის ჩვენი ნასყიდი პარტახი ისევ ჩვენ-თვის შეიქმნა და ჩვენ გვეპყრა.

და შენ გვაცოდე: და ჩვენც ვისმინეთ კეთრება და მოხსენება შენსიერი ჩვენდამო და გიბოძეთ ის ჩვენი ნასყიდი აღგილ-მამული, რომელიცა პაატელა გძელიძეს ეპყრა დიმს აღგილ-მამული, ტყე. ველი, მიწა-წყალი, რომლისაც მქონებელი ის პაატელა იყო დიმს მისი საცხოვრებელი ყოველივე. გვიბოძებია მკვიდრად და საშვილისშვილოდ; ასე, რომე ამაშიდ კაცს აიტყუა არავის აქვს და ექვნება. ჩემის კონდაკის ნალვაწით მიყიდნია, მოგახმაროს ღმერთმან ჩვენს სიყვარულშიდ.

აწ არც ჩვენგან და არცა შემდგომთა ჩვენთაგან შენდა შეცილებად და მომავალთა შენთა ეს ჩვენსიერი წყალობის წერილი არ[ა]ვინ[ა] გელოსთ.

და უკეთუ ვინმე იკადროს დაღვეევად წერილისა ამის, მყის თანა ეწიენ მას რისხვა ღმრთისა, შიშაველი იუდასი, ძრაზოლა კაენის, მეხის ტეხა დათასკორე უკეთურისა, კეთრი გეზისა, დანთქმა დათან და აბირონისა; და ნუმცა იხილავს დიდებასა ღმრთისასა.

ხოლო დამამტკიცებელნი და მჭიშნედ დამბეჭდველნი ამისნი აკურთხნეს და განამტკიცნეს უფალმან ღმერთმან საუკუნემან კურთხევითა აბრაჰამ, ისაკ და იაკობისათა, ამინ.

არის ამის შუამდგომელი ჩვენი კარისა განმგე, სასურველი ძმისწული ჩვენი, თავადი მოურავი ბეჟან, მოღრავი გოგილაძე.

აღიწერა ქელათა და თავადის დავით წულუკიძისათა. ივლისის ა, წელთა ჩყიზ.

ორი ბეჭედი: 1. ყოვლად სამღვდელო ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს
2. არ არჩევა.

558. [ᲫᲛᲐᲓ ᲖᲔᲬᲘᲠᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲔᲫᲗᲕᲘᲗᲛᲔ ᲒᲔᲜᲐᲗᲔᲚᲘᲡᲐ ᲡᲣᲚᲐᲫᲕᲔᲚᲘᲫᲔᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ]

[1818 წ. 7 ივნისი]

ჭ. ნებითა და შეწევნითა დაუსაბამოსა ღმრთისა ჩვენ, ყოველად სამღვდელომან გაენათელ მიტროპოლიტმან ეფთვიმიმ ესე მარად მტკიცე და აროდეს არ მოსაშალი საბალაოდ გასათავებელი სიგელი და დიდებულის ჩვენის ეკლესიის გაენათის საუკუნოდ მისცა მოსამსახურედ ყმად შეწირულობის წიგნი გიბოძეთ და მოგეცა ყოველისა კაცისა ჭელშეუვალი თქვენ, სვიმონ სულაქველიძის შვილებს, ძმობით პეტრეს, გოგიას და გაბრიელს და თქვენს შვილსა და მომავალს ესრეთ და ასევითარად, რომე:

პირველათაც თქვენი მომავალობა სამკვიდრო მოსამსახურე ყმა გაენათის ეკლესიის ხახულისა და გაენათისა ღმრთის[მშობლის] ყოფილიყო და ჟამთა ვითარებისაგან ისევე გაენათის ყმის აზნაურის ჭიჭინაძის ყმათ შექმნილიყავით.

და ათას რვაას და თორმეტს წელში ქვეყანასა ზედა მომსვრელი სენი მოიწია. და ესაც თქვენ ყვანდით ყმათ და მსახუროზდით

დიდებულის ეკლესიის გაენათის ყმას აზნაურს მამუკა ჭიჭინაძეს და მის შვილს, ჩემს გაზრდილს დიაკონს იესე ჭიჭინაძეს, ესენი, რომელიც თქვენი მპყრობელი იყო ორნივე მამა-შვილნი უშვილ-ძიროთ გარდაიცვალენ ამიერ სოფლით. მათი აღარა დარჩენილა რა. და იმ მიცვალებულებს ძმანი და სახლის კაცნი დიდი ხნის გაყრილნი და გაყოფილნი ყვანდათ.

და რადგან სჯულითა განწესებულ არს: უშვილოდ გადასრულის ეკლესიის ყმის კაცის დანაშთომი ისევე ეკლესიასვე დარჩება; ამისთვის თქვენ მისი საბკვიდრო მოსამსახურე ყმა ისევე ვიგულსმოდგინე და დიდებულს თქვენს პატრონსა და ბატონს გაენათის ეკლესიას და გაენათის ღმრთისმშობელს შევსწირე თქვენი თავი, თქვენი ყოფა და თქვენი მამავლობა და ოჯახი.

საუკუნოდ შემიწირვიხართ დიდებულის გაენათისთვის ასე, რომ მხოლოდ თქვენ და თქვენი ოჯახი და მომავალობა ეკლესიისათვის მოსამსახურედ თუ იქმნეთ, თორემ მისდღემჩი საზნაურშვილოდ საყმოდ აღარ შეიქმნეთ არაოდეს არც ჩვენგან და არც სხვათა ჩვენთა შემდგომთა მებატონეთა და გაენათელთაგან.

ხოლო უკეთუ ვინმე ინებოს და ეს ჩემ მიერ შეწირულობა თავისა ყმის, თქვენი ოჯახის და თქვენი თავის დიდებულს ეკლესიას გაენათს და ხახულისა და გაენათისა ღმრთისმშობელს და თქვენ ოჯახს მოუშალოს და ისევე საზნაურშვილოთ გაგზავნოსთ და ან სხვა კაცის საყმოდ თვინიერ გაენათის ეკლესიისა, დიდმან ვინმე და ახუ მცირემან, თუ ვინმე ამ წერილს ასე შლად ხელი მიყოს, იყოს კაცი იგი ზეგარდმოთა რისხვითა ღმრთისათა შეკრულ და შეჩვენებულ სულითა და ხორცითა შეიდთა კრებათაგან, ათორმეტთა მოციქულთა და ოთხთა მსოფლიოთა პატრიაქთაგან; და ნუმცა იხილავს პირი მისი ნათელსა ღმრთისასა; და იყოს მისად შემრისხველ და შურის-მეძიებელ თვით დედა ემმანუელისა, ხახულისა და გაენათისა ღმრთისმშობელი და მისთანა ყოველნი ანგელოზნი ღმრთისანი.

ხოლო დამამტკიცებელნი ამისი იყოს კურთხეულ კურთხევითა ზეგარდამოთა კაცთაგან.

ამა წერილის მოწამე: არხიდიაკონი ჩემი ნიკოლოზ გვეტაძე, გაენათის მღვდელი ნიკოლოზ დოღონაძე, აზნაური გრიგოლ შვილი გრიგოლ, ყმა ჩემი ჩარაძე გოგია და ნიშნიანაძე შოშიკა.

და მე, დავით მღვდელი ცქიტიშვილი ვწერ ჩემსა პატრონის და მეუფის გაენათლის ეფთვიმის ბრძანებითა მოწამეცა ვარ ამისი.

ჩყიწ წელსა, ივნისის ზ დღესა.

ბეჭედი: გენათელი მიტროპოლიტი ეფთვიმი

559. [შეწირულების წიგნი დოსითეოს ჯუთათელისა წინამძღვარ სვიმონისადმი]

[1818 წ. 30 ნოემბერი]

წყალობითა ღმრთისათა, ჩვენ, ყოვლად სამღვდელო ქუთათელ მიტროპოლიტმა დოსითეოს ესე წერილი გიბოძე შენ, ვანის ეკლესიის წინამძღვარს სვიმონს და შენს ეკლესიას და მას შინა სვენებულს მთავარანგელოს მიხაილს და გაბრიელს.

ასე, რომ: ჩვენ ვახუშტიმ ჩემს ეკლესიას ღმრთისმშობელს ერთი გლეხი შესწირა ნიკოლეისშვილი დავითელა და ის გლეხი დიდის სენისაგან ამოწყდენ; და ერთი პატარა ბიჭი დარჩა ორის წლის. რომელსა სახელად ეწოდების გოგელა და იმისი გამოზრდა ჩვენთვის საძნელო იყო; და არც რამე ჩვენი ეკლესიის შესამატი იქმნა; და იმის ბიძანები შენი ეკლესიისთვის შეეწირა; და ამის ძალით ის პატარა ბიჭი შენი ეკლესიას შევსწირე და მცირედი რაიმე მივიღე შენგან და ის მიღებული სხვა ჩემი ეკლესიის ყმაზე დავხარჯე, რომელიც სენისა მიერ დაბნეულნი იყვნენ. და ეს ზემოხსენებული ბიჭი შენი ეკლესიისათვის შემიწირავს ყოველის კაცის უცილოდ, რომ იმასთან ხელი არავის აქვს, თავისი სამართლიანის მიწა-წყლით და მისი ყოველისფრით საძებრით და უძებრით.

და ვინც ეს ჩემსა შემდგომად გამოსწიროს, შეჩვენებული იყოს წმიდის სამებისაგან, ათორთა მოციქულთაგან, შვიდის კრებისაგან და ოთახის პატრი[ა]ქისაგან და სრულიად აღმოსავლეთის ეკლე[სიისაგან]. და ჩვენს მაგიერად ის განიკითხოს დღესა მას სასჯელისასა.

არის ამისი მოწამე: თავადი წერეთელი ბექან და მე ბერი ბესარიონ ვწერ.

წელთა ჩყიწ, ნოემბრის ლ.

ბეჭედი: ყოველად სამღვდელო ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენიშვნები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1. წიგნი, რომელი მოწერა დიდმან ეფთვმე დიდსა ბერსა გიორგის

ხელნაწერთა ინსტიტუტი. A 737. კრებული. ეტრატი. 15×13 სმ. ნუსხური XIII საუკუნისა. თავი და ბოლო აკლია. შეიცავს 338 გვერდს. ცდა მომძღვრალი და ფურცლები დამლილია. ჩვენს საბუთს კრებულის 293—306 გვერდები უჭირავს. განკვეთილობის ნაშნად ნახმარია ერთი, ორი ან სამი წერტილი. საბუთი თარიღდება ექვთიმე მთაწმიდელის წინამძღვრობის წლებით.

თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 83—87.

2. კათხვა-მიგებაა, რომელი მოსცა თეოდორე ხაბაწმიდელსა ეფთვმი მთაწმიდელმან

ხელნაწერთა ინსტიტუტი. A 450. კრებული. ეტრატი. XVII ს. ნუსხური. ჩვენს საბუთს კრებულის 562—569 გვერდები უჭირავს. ამავე რედაქციისა. ოღონდ ზოგიერთი გვიანდელი ჩანართებით, A 381 ნუსხაც, რომელიც დაწერილია მხედრულად (გვ. 491—496). საბუთი თარიღდება ექვთიმეს წინამძღვრობის წლებით. ეს საბუთი № 1 საბუთის ანალოგიურია, მაგრამ რედაქციულად მისგან დიდად განსხვავდება (სხვა ადრესატი, დაწერილია კათხვა-მიგების სახით და ტექსტიც განსხვავებულია).

3. დაწერილი მელქიზედეკ კათალიკოზისა სვეტიცხოველისადმი

ცსსა, ფ. 1448. სამ. № 5018ა. პირი. ქაღალდის გრაგნილი. 187×21.7 სმ. თავი აკლია. ნუსხური XII საუკუნისა. ნაწერი გაცხოველებულია. საბუთი დაკრულია სუფთა სიფენ ქაღალდზე. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ამავე ფონდში დაცულია საბუთის მეორე პირი 5018ბ, რომელიც დაწერილია XVIII საუკუნის მხედრულით ქაღალდის გრაგნილზე. განკვეთილობის ნიშნად აგრეთვე სიტყვის შემდეგ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ჩვენს გამოცემაში 5018ა ნუსხა აღნიშნულია A ლიტერით, ხოლო 5018ბ ჩელნაწერი — B-ით. A ნუსხის თავი და ზოგიერთი სხვა ხარვეზი აღდგენილია B ნუსხის მიხედვით. ჩვენი გამოცემა ემყარება აგრეთ. ნ. ბერძენიშვილის მიერ დადგენილ ტექსტს (საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. VI, 1929—1930 წწ., გვ. 285—296; საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IV, 1967, გვ. 280—287). მაგრამ, როგორც მკითხველი დაინახავს, ჩვენი გამოცემა და ტექსტის ზოგიერთი წაკითხვა-აღდგენა განსხვავდება ნ. ბერძენიშვილის გამოცემისაგან.

4. ნიკორწმიდის იადგარი

ხელნაწერი დაკარგულია. ტექსტი პირველად დედნის მიხედვით დაბეჭდა თ. ჟორდანიამ (ქრონიკები, II. გვ. 44—49). საბუთი დაწერილა ყოფილა ნუსხურად ეტრატზე, რომელსაც თავი და ბოლო მოგლეჯილი ჰქონია.

ამ გამოცემის საფუძველზე და საქართველოს ცხრარიქვაში დაცული კ ა ბ ა ძ ი ს მიერ გადაწერილი საბუთის პირის გათვალისწინებით, ტექსტი ხელმეორედ გამოსცა მ ა მ ი ა ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ მა (მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 34, გვ. 33—38), რომელმაც ბევრი დამახინჯებული ადგილი შეასწორა და აღადგინა.

ჩვენი გამოცემის საფუძვლად უდევს ს. კ ა ბ ა ძ ი ს მიერ გადაწერილი პირი (ფ. 1449. სიბ. № 1563), რომელიც აღნიშნულია A ლიტერით, თ. ქ ო რ დ ა ნ ი ს გამოცემა — B-თი, ხოლო მ. ბერძნიშვილს ტექსტი — C-თი.

ხელნაწერიდან ავტორის შესახებ ცნობები. ანდაზის ავტორის ვინაობის დასადგენად საყურადღებოა ის ცნობა, რომელიც დაცულია საბუთის ბოლოს, სადაც ნათქვამია: „მე დ ა მ ხ ვ დ ა ა ნ დ ა ზ ა რ ი ნახევარ დაწერილი ა; და გავასრულე ყოველითავე სასრულითა; შევმოსე და მოვეცუარე და შევეშვე; და მისის დაწერისა და შეკაზმისათვს მიეცა დრაჰკანი დუკატი ი ე" (იხ. იქვე, გვ. 33).

ეყრდნობა რა ამ ცნობას, ტექსტის პირველი გამომცემელი თ. ქ ო რ დ ა ნ ი ა წერს: „ფრასი: „მე დ ა მ ხ ვ დ ა" გვაფიქრებინებს, რომ სიგლას მიმცემელ ხელნაწერიდის უცნობი წინამძღვარია, რომლის უწინ სხვა წინამძღვარი მჯდარა ხელნაწერიდას. რიდგან ამასთან სიგლადამ სჩანს, რომ შემწირველი მდიდარი და წარჩინებული გვარის კაცია, ამის გამო ჩვენ ეპვი არა გვაქვს, რომ ამ სიგლის მიმცემელი არის კ ა ი ე რ ი ლ ე, ძ ე ე რ ი ს თ ა ვ თ-ე რ ი ს თ ა ვ ი ს რ ა ტ ი ს ა. ამ კაიერლეს შეწირულობათაგან აქამდი დარჩენილა ხელნაწერიდაში ძვირფასი ფურცელი. წარჩინებულის წარწერით: „ვ. მე. კ ა ბ ა ძ ე რ ჯ ო ფ ი ლ მ ა ნ კ ა ი ე რ ი ლ ე, ძ ე მ ი ნ ს ე ლ ე ვ რ თ ხ ე ლ ი ს ა ე რ ი ს თ ა ვ თ-ე რ ი ს თ ა ვ ი ს ა რ ა ტ ი ს ა მ ა ნ, მოვიდე ხატი ესე ჯუარისანი ნუგეშინის მცემელად და სალხინებელად სულისა ჩემისა ცოდვილისად და სადღეგრძელებელად ძისა ჩემისა, ერისთავთ-ერისთავისა რატის ერისთავისა რატისად". ამ კარიკლეს გათრეი II-ის შეფობაში აღუშენებია სამხრის ეკლესიო ხელნაწერიდისა, როგორც ამაზე მოგვითხრობს წარწერა იმავე ფურცელზე". (ქრონიკები, II, გვ. 44).

ნ. მეტრიწონის ქართველთა მოწამეთა ტიპიკონი

ტიპიკონის ძველქართული ტექსტი აბეჭდება მ ა ხ ე ი ლ თ ა რ ხ ნ ი შ ვ ი ლ ი ს გამოცემის მიხედვით (Typicon Grrgorii Pacuriani, edidit Michael Tarchnišvili, Louvain. 1954. მოთავსებულია სერიაში: Corpus scriptorum christianorum orientalium. tomus 2). მანვე ამავე სერიის მეოთხე ტომში გამოაქვეყნა ტიპიკონის ქართული ტექსტის ლათინური თარგმანი.

მ. თარხნიშვილის გამოცემაში ქართული ტექსტი დაბეჭდილია გაუმართავად, ხელნაწერის ორთოგრაფიისა და გაბეჭდვითლობის ნიშნების დაცვით.

ჩვენს გამოცემაში ტექსტის ორთოგრაფია და პუნქტუაცია გამართულია, ტექსტი დაყოფილია აბზაცებად.

ტიპიკონის ქართული ტექსტი ორგამეცემეტე თავით მთავრდება; შემდეგ ჩამოთვლილია გრიგოლ ბაკურიანის შეწირულობანი მის მიერ აშენებული მეტრიწონის მონასტრისადმი (იხ. ჩვენი გამოცემის 95—101 გვერდები), რაც ცალკე 34-ე თავად გამოუყვიათ (ტექსტში შეცდომით გამოყოფილია 36 თავი). ამას მოსდევს ტიპიკონის შეორეული ნაწილის, დამტკიცების ხელმოწერებისა და ტიპიკონის შემდგენლის ანდერძის შემცველი ტექსტი. წესდების ეს ნაწილი 35-ე თავად ხოლო ანდერძი მის ქვეთავად გამოუყვიათ (გვ. 101—105). გარდა ამისა ჩვენს გამოცემაში გასწორებულია ზოგიერთი წაკითხვა, რაც მითითებულია სათანადო ადგილის სქოლიოებში.

მიუხედავად ამისა ტექსტი ჯეროვნად გამართული მაინც არ არის; იგი კიდევ საკმაო რაოდენობით შეიცავს ხარვეზებს, დამახინჯებულ და შეუცნობელ ადგილებს, რომელთა გასწორება-აღდგენისათვის დიდი მუშაობაა საჭირო.

მაგრამ ამგვარი გამოცემაც ტიპიკონის ტექსტისა, რაც მაბალითვრაფიულ ამოცანას წარმოადგენს, დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას ქართული სამართლის ისტორიის ამ უძნიშვნელოვანესი ძეგლის შესწავლისათვის.

სამეცნიერო საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით მოელის ტიპიკონის ქართული ტექსტის კრიტიკულ გამოცემას, რომელიც არსებული ნუსხების საფუძველზე დასაბეჭდად მოამზადა გამოჩენილმა მეცნიერმა ივანე ჯავახიშვილმა.

პეტრიწონის ტიპიკონი შედგენილია ბერძნულ და ქართულ ენაზე. ტიპიკონის ბერძნული ტექსტი პეტხარესტის ნაკლული და დამახინჯებული ხელნაწერის მიხედვით გამოსცა ლუი პტიმ (Louis Petit) 1904 წელს (Византийский Временник. Санкт Петербург, 1904, XXXII+63, № 1 დამატების სახით). ნუსხის ნაკლული ტექსტი გამომცემელმა შეავსო გ. ფუსეოსის მიერ გამოცემული ახალბერძნული თარგმანის მიხედვით.

ტიპიკონის სრული ძველბერძნული ტექსტი ახალქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ივან. სიმ. ყაუხჩიშვილმა 1963 წელს (გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტომი მეხუთე, გვ. 83—302). ტექსტი დადგენილია ორი უძველესი ბერძნული ქიოსის (A ლიტერით) და პუხარესტის (B ლიტერით) ნუსხების მიხედვით.

ქიოსური ნუსხა (№ 1598) შეიცავს ტიპიკონის ქართულ (გვ. 1—145) და ბერძნულ (გვ. 146—298) რედაქციებს. ქართული ტექსტის პირველი გამომცემელი მ. თარხნიშვილი, ეხება რა ბერძნულ-ქართული რედაქციების ურთიერთობას, აღნიშნავს, რომ: „არც ერთი ამ რედაქციათაგან არ შეიძლება მიჩნეულ იქნას მეორის თარგმანად".

ბერძნული ტექსტი ქიოსური ნუსხისა, როგორც ეს აღნ. სიმ. ყაუხჩიშვილმა დაადგინა, XI საუკუნის მიწურულს ან XII ს. დასაწყისს მიეკუთვნება. ხოლო რაც შეეხება ამავე ნუსხის ქართულ ტექსტს, მაღალგრაფიული ნიშნებით XIII—XIV საუკუნეზე გვიანდელი არ უნდა იყოსო (იქვე, გვ. 272). მისივე დაკვირვებით, არის ადგილები ბერძნული გადმოწერისა ქართულ ტექსტზე, და პირიქით, არის ადგილები იბერიზმებისა ბერძნულში: ამასთანავე არის ადგილები სრულიად თავისუფალი გადმოწერისაგან „თუ რომელი ვარიანტია დედანი — ბერძნული თუ ქართული — ამის კვლევა სჭირდება. ქართული ტექსტის ბერძნიზმები (მაგ.: დოშიარი, ვიქიანარი, კანანარხი, კანონი, კულარი, კრასაული||კრასოვოლი, ლოღარიის ქმნა, პანაგური, პანაშვიდა, პლანინა, პრასტანი, როჭი, ქსენდოში, შვიეფტონი) არ გამოდგება ქართული ტექსტის ბერძნულისაგან წარმოშობილობის საბუთად, რადგან ბევრი მათგანი ბერძნულიდან ქართულში დიდი ხნის წინათ არის შემოსული და დამკვიდრებული როგორც ქართული ლექსიკური მასალა" (გვ. 268).

ტიპიკონის ბერძნულ-ქართული რედაქციების დამოკიდებულების გარკვევისათვის მეტად მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს ქართული ტექსტის ბოლო — 35 თავი, სადაც ნათქვამია: „დაიწერა და დაემტკიცა წესი ესე განგებისაჲ... წერილითა ბერძულითა და ქართულითა... და ამისთჳს დაიწერა ბერძულად და ქართულად. [რამეთუ] ქართველნი არიან და არა იციან ბერძნული წარკითხვაჲ; და ვერ-არს, რაჲთა ქართულად წერილსა აღმოაკითხვიდენ და გუ-

ლის-ჭმა პეოდენ აღწერილსა განსახლერებულსა ამას შინა ტიპიკონსა (გვ. 101—102). წესდების შემდგენლის სიტყვით ტიპიკონის ბერძნული ტექსტი არის „თავადი ტიპიკონი", ხოლო ქართული რედაქცია „შემკული სწორა ამისი და დაწერა ევრეთვე სახედ". მაშასადამე, ბერძნული ტექსტი არის პირველადი ნაწილი, ხოლო ქართული რედაქცია მისი სწორი მეორე ნაწილი. ორივე ტექსტი აუტენტურია, ორივე თავისი პირველწყაროდან—საკუთარი დედნიდან მომდინარეობს და ორივეს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს, ორივე თავისთავადი და უნიკალურია.

ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ქოისერ ნუსხაში ქართულ ტექსტს უშუალოდ მოსდევს ბერძნული ტექსტი.

აკად. აკაკი შანიძის აზრით, ქართული ტექსტი გადაწერილია არა უადრეს XIII საუკუნის ნახევრისა. ამრიგად ჩვენამდე მოღწეული ქართული რედაქცია თავის დედანს საუკუნენახევრითაა დაშორებული.

პეტრიწონის ტიპიკონს ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის ისტორიისათვის. იგი წარმოადგენს ქართული კორპორაციული სამართლის შესანიშნავ ძეგლს, რომელიც შეიცავს ძვირფას ნორმატიულ მასალას ქართულ მონასტერთა თურიდიული წესწყობილების შესასწავლად. სხვა ასეთ სრულ ისტორიულურ ძეგლს ჩვენამდე არ მოუღწევია. „განგების ვეპხისა წუალთაჲ" დაახლოებით საუკუნენახევრით გვიან არის შედგენილი და ჩვენამდე მოღწეულია მეტად დიდი ხარვეზებით.

პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი კანონიკური სამართლის მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლია. თანამედროვე ევროპის დიდ სახელმწიფოებს იმ დროს არ გააჩნდათ სამონასტრო წესწყობილების მომწესრიგებელი ამგვარი სჯულდება.

ტიპიკონის ბერძნული ტექსტის ნაკლული და დამახინჯებული რედაქციის პირველი გამომცემელი ლუი პტი დიდი სიხარულით აღნიშნავდა: „მიგვრამ ამ უბედურებას, რომელსაც მე პირველი ვარ რომ დავტირი, არაფერი ეშველება, სანამ მსოფლიო სამატრიარქოთ მზია სინათლეზე არ გამოიტანს თავისი კატაკომბებიდან ტიპიკონის დედანს. და რადგან ამას, რასაკვირველია, დაელოდებიან. იმედია მაპატიებთ, რომ ამ შესანიშნავ ძეგლს ვაქვეყნებ მისი ნაკლულეულნი სახითაც კი".

სწორედ ქართველ მეცნიერთ წილად ხვდათ ბედნიერება მზის სინათლეზე გამოეტანათ ქართული სამართლის ეს უნიკალური ძეგლი. მ. თარხნიშვილის მიერ ამ წესდების ძველქართული ტექსტის აღმოჩენა და მისი ქართულათინური გამოცემა დიდი მეცნიერული მნიშვნელობის ფაქტად და განსვენებული დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს.

ამასთან ტიპიკონის ლათინური თარგმანის წინასიტყვაობაში მან პირველმა მიუთითა, რომ ქართული რედაქციის ერთი სხვა ხელნაწერი შენონახულია კენტუკი ქოისის კოლეჯის ბიბლიოთეკაში 1598-ე ნომრით. ეს სწორედ ის ძველესი ნუსხაა, რომლის მიკროფილმი აკად. აკ. შანიძის დიდი მეცადინეობით მოიპოვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკამ.

ფრიად საყურადღებოა აგრეთვე ტიპიკონის სრული ბერძნული ტექსტის ახალქართული თარგმანით გამოცემა, რომელიც განახორციელა ცნობილმა მეცნიერმა აკად. ს. ყაუხჩიშვილმა. ამგვარად ჩვენ მოგვეპოვება კრიტიკულად

დედნისეული ბერძნული ტექსტი, რომელიც გამართულია სანიმუშოდ, ერთვის კომენტარების დასრულებას.

ეს გამოცემა დაიბეჭდა სერიაში: „ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ". ცნობილია, რომ ტაბაკონი ქართული ეკლესიის სამართლის ძეგლია, ქართული სჯულდებაა, რომელიც შედგენილია ქართველი კაცის წიგნ ქართული მონასტრისათვის. ამიტომ საინტერესო იყო მისი ცალკე გამოცემა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული და ამჯერად ვერ მოხერხდა.

პეტრიწონის ტაბაკონის ბერძნული და ქართული რედაქციების შეფასების საკითხს ეხება ბ. ვ. მეტრეველის სტატია, რომელიც დაიბეჭდა სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ისტორიულ-ფილოლოგიურ ჟურნალში № 1, 1965 წ., გვ. 103—116.

განიხილავს რა ტაბაკონის ორივე რედაქციაში დაცულ ცნობებს, სტატიის ბოლოს ავტორი დაასკვნის: „ამრიგად «ტაბაკონის» ბერძნულ და ძველქართულ რედაქციებში, ასევე აგრეთვე პაკურიანის შესახებ არსებულ ბერძნულ, ქართულ და სომხურ პირველწყაროებში შემონახული ცნობები გვიჩვენებენ: 1. პაკურიანი სომეხი იყო, გართული ალსარების მიმდევარი, ტაოელი. 2. პეტრიწონის მონასტერში იყვნენ სომეხი ქალკედონელები, იყო სომხური იღვდლმსახურება. 3. ტაბაკონის სამ ენაზე — ბერძნულსა, ქართულსა და სომხურზე დაწერის შესახებ ცნობა, დაცული ბერძნულ რედაქციაში, სწორია" (გვ. 116)*.

ამჟამად ჩვენ მხოლოდ პირველ საკითხს შევეხებით. აზრი იმის შესახებ, რომ გრიგოლ პაკურიანის ძე წარმოშობით იყო სომეხი, პირველად გამოთქმული აქვს XII საუკუნის პირველი ნახევრის ბიზანტიელ მწერალ ქალს ანნა კომნენეს, რომელიც წერს: გრიგოლ ძე პაკურიანისა იყო „წარმოშობით სომხის წარჩინებული გვარისა" (გეორგიკა, ტომი მეექვსე, 1966, გვ. 60; Александа, 1965, გვ. 97).

ეყრდნობოდა რა ზემოაღნიშნულ ცნობას, აკად. ნ. მარი სწერდა: „Очевидно, сам основатель грузинского монастыря Петрицона, халкедонит, был армянин по крови, по происхождению. Безукоризненно верно в этом отношении свидетельство Анны Комниной" (Н. Я. Марр, Ар«ауи, монгольское название христиан и связи с вопросом об армянах халкедонитах, СПБ, 1906, გვ. 2, 3).

ანნა კომნენეს ცნობას გრიგოლ პაკურიანის ძის სომხური წარმოშობის შესახებ გარდა ნ. მარისა ბევრნი იზიარებდა.

თვით აღმოსავლელი სომხური წყარო — XII საუკუნის სომეხი მემატიანე მათეოს ურჰაელი წერს, რომ: „გრიგოლ პაკურიანის ძე ტაოით ქართველი იყო" (სომხური გამოცემა, 1858, გვ. 148). ეჭვიანია, რომ მათეოს ურჰაელის ცნობა უფრო სანდო და სარწმუნოა ვიდრე ანნა კომნენესი.

გამოჩენილი რუსი ბიზანტინისტი ბ. ბენეშევიჩი, რომელმაც პირველად დაბეჭდა ცნობა პეტრიწონის ტაბაკონის არსებობის შესახებ, წერდა: „ктитор был грузином, а потому и монастырь предназначался для грузин" (Материалы для истории Византийской империи. I: Неизданные монастырские уставы: ЖМНП, 1887, т. 254, ноябрь, გვ. 76).

ამავე აზრისაა „ალექსიადის" რუსი მთარგმნელი და ცნობილი მკვლე-

---

* ვსარგებლობ ელ. ცაგარეიშვილის თარგმანით.

ვარი ი. ლიუბარსკი, რომელიც წერს: „Григорий Бакуриани—в будущем великий доместик и севаст. Анна ошибочно называет его армянином. На самом деле Бакуриани происходил из знатного грузинского рода" (Анна Комнина, Алексиада, вступительная статья, перевод, комментарий Я. Н. Любарского, Москва, 1965, გვ. 465).

გრიგოლ ბაკურიანის ძის ქართველობის სრულიად უეჭველად ხდის ტიბიკონის ძველბერძნულ რედაქციაში დაცული ცნობები. ბერძნული ტექსტის შესაბამისში ნათქვამია: „...აღვაშენე მე გრიგოლმა, ღვთის ნებით სევასტოსმა და მთელი დასავლეთის დომესტიკოსმა, ღვიძლმა შვილმა ნეტარი ბაკურიანისა, ბრწყინვალე ერისთავთ-ერისთავისა, რომელიც წარმოშობით ვარ აღმოსავლეთი მხარეებიდან, იბერთა უბრწყინვალესი ვეარიდან" (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი მეხუთე, 1963, გვ. 99).

აქედ. ს. ყაუხჩიშვილმა ცხადყო, რომ ბერძნული ტექსტის „იბერია" და „იბერია" უცილობლად ქართველსა და საქართველოს ნიშნავს. ამიტომ ვეღარია პ. პერადიანის აზრი, თითქოს ტიბიკონში დაცული „ბაკურიანის ავტოგრაფიული ჩასმის ცნობა „ქართველი" და „ქართველთა ტომიდან" და სხვა გამოთქმები უქარველეს ყოვლისა „ქართულ ალმსარებლობას ნიშნავს" (გვ. 103), რომ „ქართველი" სინონიმია „ქართული ალმსარებლობისა" (გვ. 105).

ტიბიკონის ძველქართული რედაქციის აღმოჩენამ და გამოცემამ, რომელიც სრულიად უეჭველი იყო ნ მარისათვის, კიდევ უფრო ცხადყო მცდარობა აზრისა გრიგოლ ბაკურიანის ძის სომხური წარმოშობის შესახებ. აღმოჩნდა, რომ ჩვენს წინაპრებსაც ბერძნული სიტყვები „იბერია" და „იბერია" ესმოდათ მხოლოდ როგორც „ქართველი" და „საქართველო", როგორც თავისი ეროვნული კუთვნილებისა და თავისი სამშობლოს გამომხატველი ცნებები. ტიბიკონის ქართული ტექსტის შესავალში გრიგოლ ბაკურიანის ძე ამბობს: „აღიწერა და დაიწყებულა ბრძანებითა ჩემ გრიგოლისათა, ნებითა ღმრთისაჲთა სევასტოსისა და დიდისა დომესტიკოსისა დასავლეთისათა, ძისა სანატრელისა ერისთავთა ერისთავისა ბაკურიანისაჲთა აღმოსავლელისა და ქართველისაჲთა". იქვე გრიგოლ ბაკურიანის ძე ჩიზგასმით აღნიშნავს, რომ ჩვენ — „ქართველნი ვართ ნათესავით მწვანი და მჭედრობითა აღზრდილნი და მარადის ქორეველსა ცხორებასა ჩვეულნი" (იხ. იქვე, გვ. 35, 36). ამრიგად გრიგოლ ბაკურიანის ძე თვითონვე აცხადებს: მე ქართველი ვარ, ქართული მონასტერი ავაშენე, მისი წესი და განგება შევადგინე და დავამტკიცე.

ცნობილი ბიზანტინისტი ე. პონიგმანი, საისტორიო წყაროების ცნობებს ანალიზს რომ უკეთებს, ბაკურიანების ასეთ გენეალოგიურ ხეს წარმოგვიდგენს: ბაგრატ — გრიგოლ ბაკურიანის პაპის მამა, ჯორჯი ერისთავთ-ერისთავი — გრიგოლის პაპა, ვაჩე — გრიგოლის მამა, ფევდატი და ფევრსი — გრიგოლის ბიძები (E. Honigmann. Die Ostgrenze des Byzantinischen Reiches von 363 bis 1071, nach griechischen, arabischen, syrischen und armenischen Quellen. Bruxelles, 1935, გვ. 222).

გრიგოლ ბაკურიანის ძის წინაპრები წარჩინებული ადამიანები, მხედართმთავრობები, ბიზანტიის პოლიტიკური ცხოვრების აქტიური მონაწილენი ყოფილან. რაც შეეხება თვითონ გრიგოლს, როგორც ტიბიკონიდან ჩანს, იგი წარმო-

შობილია იბერთა უბრწყინვალესი გვარიდან, არის ძე ბაგრატიანისა — ბრწყინვალე ერისთაეთ ერისთავისა, დაჯილდოებულია „სვეტისტაობის" პატივით, უმორჩილეს მეწყობა ნამდვილობა დასავლეთის დომენტიკოსისა. მას სხვადასხვა დროს უმსახურებია გარსში, თეოდოსიუპოლში, ზემო ლენის თემში, სომხეთში, იბერიასა და სირიაში. 1064 წელს იგი იცავდა ანის აღ-არსლან სულთანის ჯარების შემოტევისაგან. იმპერატორების მიხეილ VII დუკას (1071—1078) და ნიკიფორე III ბოტანიატეს (1078—1081) დროს იგი იყო ყარსისა და თეოდოსიოპოლის დუკა, აგრეთვე გამგებელი ზემო ლენის თემისა.

ტიპიკონიდან ჩანს, რომ იგი ფლობს მამულებს: ანისში, ტაოში, არმენიაკთა თემში, მოსინოპოლში, ფილიპოპოლში, ატრიდთანში, სოფელ სიკონში და სოფელ ხარბეტიკონში, ვოლერონში. რომელთა ხრიზობეღლებიან ოქრობეჭდები მას პოძებული აქვს უმაღლეს ხელისუფალთაგან.

გრიგოლ ბაკურიანი იყო ფაბლოესი თანამოსაგრე იმპერატორ ალექსი I კომნენოსისა (1081—1118 წწ.). ანნა კომნენეს ცნობით, მან ყველაზე მეტი დახმარება გაუწია მას იმპერატორად აღზევებაში. გრიგოლ ბაკურიანის ძე დიდი წხედრული შემართებით იბრძოდა შემოსეულა მტრების წინააღმდეგ და პოლის დაღუპა სკვითებთან ბრძოლაში ველიატოვის პორცის მისადგომებთან. ანნა კომნენე ასე გადმოგვცემს მის დაღუპვას: „ხოლო დომესტიკოსი გაშმაგებით იბრძოდა, მტრის წინააღმდეგ ძლიერი მხედრული შემართების დროს მტრის დაეჯახა და იქვე სული დალია. დანარჩენი ჯარი დაიფანტა ზოგი სად და ზოგი სად. ეს რომ შეიტყო თვითმპყრობელმა (ალექსი I), დაიტირა დაღუპულები, ყველანი ცალ-ცალკე და ერთად. ხოლო დომესტიკოსის სიკვდილის გამო განსაკუთრებით სწუხდა და ცრემლებს ღვრიდა: განიდან ძალიან უყვარდა ეს კაცი ჯერ კიდევ მისი მეფედ გამოცხადებამდე" (ალექსიადა, VI, გვ. 87—88).

გრიგოლ ბაკურიანისძეს, როგორც ჩვენი პატიანედან ჩანს, ახლო ურთიერთობა ჰქონია საქართველოს მეფე გიორგი II-სთან (1072—1089). ამ მეგობრობას დაცით აღმაშენებლის ისტორიკოსი ასე გადმოგვცემს: „და წარვიდა მეფე გიორგი მაჭელსა თჳსსა ტაოს, და მოვიდა პანას. ხოლო მუნ მოვიდა წინაშე მათსა ხორგარი აღმოსავლელისა გრიგოლ ბაკურიანის ძე, რომელსა ჰქონდეს ოლთისნი, და კარნე-ქალაქი, და კარი, და დიდად განიხარნეს და განისუენნეს; და მოსცა გიორგი მეფემან კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქუეყანა და განაყარნეს" (ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 318).

პეტრიწონის ტიპიკონიდან ჩანს, რომ დიდი დომესტიკოსი განსაკუთრებული დიდებითა და პატივით იყო მოსილი სამეფო კარზე ბიზანტიის იმპერატორ მიხეილ VII დუკას (1071—1078) დროს. იმპერატორს გრიგოლ ბაკურიანისათვის სამი ხრისობული (ოქრობეჭდი). ყელს სასუენებელი ჯუარი და ამოდიში უბოძებია. მიხეილ მეფე იყო პირველი ქმარი მარიამ დედოფლისა — საქართველოს მეფის ბაგრატ IV კურაპალატის ასულისა, რომელიც მფარველობდა და დიდი პატივისცემით ეპყრობოდა თავის თანამეტომს გრიგოლ ბაკურიანისძეს.

მეტად საგულისხმოა ავრამიც „ალექსიადის" ერთი ადგილი (IX, 5), სადაც ნათქვამია: ნიკიფორე დიოგენეს ალექსი კომნენოსის ყურადღებად მოკვლის გეგმა რომ ჩაეფუშა, მან „გადაწყვიტა გაეცლევით ეხსნა თავი და გადა-

სულიყო დედოფალ მარიამის ქრისტებოლესის მამულებში, ან პეტრიწონში, ან პეტრიწონში“ (გეორგიკა, VI, გვ. 89). მოტანილი ადგილი 1094 წლის აშბებს ეხება. პეტრიწონის მონასტერი კი 11 წლით ადრეა დაარსებული გოლ ბაკურიანის მიერ. სავარაუდებელია, რომ ქართული კულტურის კერა პეტრიწონში ადრეც არსებობდა. ამის გამო გრიგოლ ბაკურიანის მიერ ქართული სავანის მამულში მონასტრის დაარსება სრულიად გასაგები ხდება. ამასთან ისიც საგულისხმებელია, რომ პეტრიწონის მონასტერი გრიგოლ ბაკურიანის დაღუპვის შემდეგ მარიამ დედოფლის მფარველობით სარგებლობდა.

ანნა კომნენეს ცნობა გრიგოლ ბაკურიანისძის სიმხნევე წარმომჩენლობის შესახებ არ შეიძლება საწყვნოთ მივიჩნიოთ იმის გამოც, რომ 1086 წელს, როცა დიდი დომესტიკოსი დაიღუპა, ანნა 3 წლისა იყო. მისი ცხოვრების ძირითადი თარიღებია: დაიბადა 1084 წელს, გათხოვდა 1097 წელს, გაიძევეს მონასტერში 1118 წელს, სადაც დაბერა სიცოცხლის ბოლომდე (1153/55 წწ.). „ალექსიადის“ წერა დაიწყო 1139 წელს, როცა უკვე 55 წლისა იყო, და დაამთავრა სიცოცხლის ბოლო წლებში, როცა უკვე 70 წელს მიღწეული იყო. ამრიგად ანნა კომნენეს თხზულება დაწერილია გრიგოლ ბაკურიანის დაღუპვიდან 50—60 წლის შემდეგ. „ალექსიადა“ მოიცავს ბიზანტიის 50 წლის ისტორიას (1069—1118 წწ.).

ასეთ ვითარებაში ძნელი წარმოსადგენი არ არის ის შეცდომა, რომელიც დაშვებული აქვს „ალექსიადის“ ავტორს. საქმე ის არის, რომ გრიგოლ ბაკურიანის ვინაობას ორი სიტყვით რომ გადმოსცემს, ანნა კომნენე ემყარება არა რაიმე წერილობით წყაროს, არამედ ზეპირ გადმოცემას, სხვის ნათქვამსა და ნაამბობს, რასაც 50 წლის შემდეგ მეხსიერებით აღადგენს. ცნობილია რომ ანნა კომნენე არაშორეთად სარგებლობს მცქეთა, დედოფალთა და საწყდო ქარის დიდ მოხელეთა ნათქვამ-ნაამბობით და მათი შემდგომი გადმოცემისას ზოგჯერ უზუსტობასა და შეცდომებს უშვებს.

ანნა კომნენე მოწმეა მას მაჯერ გადმოცემული ამბების უმეტესი ნაწილისა. ამასთან ერთად იგი ბევრ წერილობით წყაროსაც იყენებს (ისტორიკოსთა თხზულებები, წერილები, ხრისობულები, ხელშეკრულებები და სხვ.). მაგრამ იყენებს მათ თავისებურად, წყაროს ზუსტად არ მისდევს, ახდენს ამბების კონტამინაციას, მათ შერწყმა-შერევას, რის გამო მის ნაშრომში ადგილი აქვს აშკარა ანაქრონიზმებს. ორი სხვადასხვა დროის ამბების ვიზიდების შერეულს. თანაც ზოგჯერ თხრობის მხატვრულობითაა და მოვლენათა დრამატიზაციით რომ არის გატაცებული, მას ყურადღების გარეშე რჩება მოვლენათა დეტალები და ფაქტების გადმოცემისას შეცდომებს უშვებს. ასე ვსყვრობა იგი თავისი წეულის ნიკიფორე ვრიენის საისტორიო თხზულებას — „ნანაწერებს“, მიქელ პსელოსის „ქრონოგრაფიას“, ითანე სკილიცეს გამგრძელებლის, ევთვიმი ზიგაბენისა და სხვათა თხზულებებს.

ზემოაღნიშნულის გამო „ალექსიადის“ რუსი გამომცემელი და მკვლევარი ი. ლიუბარსკი დასკვნის: „Итак, признавая „Алексиаду“ в целом достаточно надежным источником, современный исследователь, однако, не вправе во всех случаях доверять Анне, особенно если речь идет о внутренней истории соседних с Византией государств и об оценке деятельности Алексея I комнина“ (Анна Комнина, Алексиада, 1965, გვ. 32).

დამოლის ერთ ცნობასაც მოვიტანთ, ანნა კომნენე იმპერატორ ალექსი VII-ისა და მარიამ დედოფლის ვაჟის — კონსტანტინე დუკას საერთო იყო. ბიზანტიაში არსებული ჩვეულების მიხედვით დანიშნულ ტახტის სამკვიდრო ტახტზე ასვლის ასაკამდე ბავშვი ტახტზე ასვლის ასაკში აზრდებოდა. ამ რას წერს ამის შესახებ ანნა კომნენე: „მე ჯერ კიდევ რვა წლისა ვიყავი, როცა ვიზრდებოდი დედოფალთან, ძალიან უყვარდა მას და ყველა თავის საიდუმლოებას მიზიარებდა მე... ხშირად მსმენია, რომ დედოფალს თვითონაც ეთქვამს, თუ რა გადახდა მას თავს და რა დიდი შიში გადაიტანა, უპირატესად ვაჟის გამო, როდესაც ნიკიფორეს უარი თქვა სამეფო ტახტზე" (გეორგიკა, VI, გვ. 64—65).

ამრიგად, ანნა კომნენე მარიამ დედოფლის, ბაგრატ IV ასულის, ოჯახში აზრდებოდა, მისი სარძლო-შვილობილი იყო, რომელსაც დედოფალი ყველა თავის საიდუმლოებას ეზიარებდა. მიუხედავად ამისა, თუმცა ეს ძნელი წარმოსადგენია, ანნამ არ იცის ან მას არ ახსოვს, რომ მისი დედობილი — დედოფალი მარიამ ქართველი მეფის ასულია; არსად თავის თხზულებაში მას ქართველად არ ახსენიებს, თუმცა მარიამ დედოფლის ცხოვრებას ვრცლად და დაწვრილებითაც გადმოსცემს.

ამის შემდეგ, ვფიქრობთ, სადავო არ უნდა იყოს, რომ ანნა კომნენეს ცნობა გრიგოლ ბაკურიანის სომხური წარმოშობის შესახებ მცდარია. ხოლო იმაზე პერიოდის სომეხი მემატიანის მათეოს ურჰაელის ცნობა, რომ „გრიგოლ ბაკურიანის ძე ტომით ქართველი იყო", ფრიად საინტერესოა.

6. ძეგლისწერა რუის-ურბნისის კრებისა

ტექსტი იბეჭდება ხელნაწერთა ინსტიტუტის ორი უძველესი ნუსხის A 76 და Rt, VI, № 5 (III) მიხედვით. A 76 ნუსხა წარმოადგენს კრებულს, რომელიც დაწერილია ქაღალდზე XII საუკუნის ნუსხურით. ტექსტს კრებულის 238—248 გვერდები უჭირავს. ჭაღალდი ალაგ-ალაგ გაცრეცილია და ტექსტიც ვადასულია. A 76 ნუსხა გამოცემაში აღნიშნულია A ლიტერით, ხოლო Rt, VI, 5 აღნიშნულია B-თი. A ნუსხის ხარეებები აღდგენილია B ნუსხის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ფოტობირს ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის № 25 ხელნაწერისა. ტექსტს 612—638 გვერდები უჭირავს, დაწერილია XII საუკუნის ნუსხურით.

ტექსტი თავებად, ქვეთავებად, წუხლებად და აბზაცებად ჩვენ დაგვყავით.

რუის-ურბნისის კრება, როგორც ცნობილია, მოწვეულ იქნა დავით აღმაშენებლის მიერ, ხოლო „კრებაი მოქმედი" (თავმჯდომარე) კათალიკოსი იოანე IV სადარელი იყო.

თ. ყორდანია, ქრონიკები, II, გვ. 56—72.

7. შიომღვიმის წინამძღვრის რიგი გაჩენილი მამა ხვიმეონის მიერ

ხელნაწერთა ინსტიტუტი Ad 721. პირი. XVII საუკუნის ნუსხური. თავი აკლია. ქაღალდი. 25×14,5 სმ. მარცხენა ზემო კუთხეში შემორჩენილია ცალკეული სიტყვები. გაკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი. ალაგ-ალაგ ი და ჲ-ზეტიანი შეინიშნება. საბუთის მერმინდელი სათაური: „უ დ ი ბ ნ ი ს წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი ს რ ი გ ი თავი აკლდა".

საბუთი დათარიღებულია XII საუკუნით, მაგრამ მასში ნახმარი ზოგიერთი

ტერმინი და სიტყვა: „დიდებული", „აზნაური", „ბატარა" და სხვ., თუ ნაშრომ შემდგომ არ განუახლებიათ. ამ დათარიღებას საეჭვოდ ხდის.

თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ისტ. საბ. შიომღვიმის მონასტრისა, 1895 წ., გვ. [illegible]

8. დაწერილი შიომღვიმის კრებულისა ტოხაჩხძეებისადმი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 3. დედანი. ეტრატი ოთხ კეფად. 184×42 სმ. თავი აკლია. მარჯვენა კიდე ალაგ-ალაგ მოგლეჯილია. ჩვენი ტექსტი მეხუთე სტრიქონიდან იწყება. წინა ოთხი სტრიქონიდან შემორჩენილია ცალკეული სიტყვები. ტექსტი ნუსხურია. ჩვენს გამოცემაში გასწორებულია ო-ნისა და უ-ნის უმართებულო ხმარება.

თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, შიომღვიმის საბუთები, გვ. 24—25 (შემოკლებით).

9. წესი და განგება უცნობი მონასტრისა

ს. ქ ა ყ ა ბ ა ძ ე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, I, 1914 წ., გვ. 71—73.

გამომცემელი წერდა: „ტექსტი დაწერილი ყოფილა ნუსხა ხუცურად. მაგრამ ნაწერი სულ გადასულია და ძლიერ დიდის გაჭირვებით იკითხება... ტექსტი ტიპიკონისა დავბეჭდე შეუცვლელად ისე, როგორც შეიძელ მისი ამოკითხვა. თავი და ბოლო აკლია და აქა-იქ ზოგი ადგილების წაკითხვა გადასწერობისა გამო ყოველად შეუძლებელი იყო. ეს ტიპიკონი წარმოადგენს ნაწყვეტს ერთერთ სომხითის მონასტრის განგებისას, ბოლნისას ახლოს, შესაძლებელია თვით ბოლნისისას ან ეგებ წუდრულამენისას, რომელიც ბოლნისის პირისპირ მდებარეობდა" (გვ. 71).

ჩვენს გამოცემაში წარმოდგენილია ცდა შემორჩენილი ტექსტის აღდგენისა, მაგრამ ტექსტის შეტისმეტი ფრაგმენტულობის გამო ასეთი აღდგენა სათუო და არასაიმედოა. საბუთს დათარიღებთ ი ვ ა ნ ე მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ ი ს წლების მიხედვით, 1191 წელს იქნე მსახურთუხუცესი გახდება, ხოლო 1212 წელს — ათაბაგი. საბუთიც ამ წლებში უნდა იყოს შედგენილი.

10. განგება ვაჰანის ქუაბთაჲ

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 933. დედანი. ეტრატი 13 კეფად. 562×19 (27,5) სმ. ეტრატის recto უჭირავს ტიპიკონის ტექსტს, გ ი თ რ გ ი კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი ს სიმტკიცის ხელრთვასა და ერთ მინაწერს, რომელიც მ უ რ ვ ე ნ ტ რ ი ბ ა ჩ ს ძ ს ეკუთვნის; ხოლო verso მთლიანად 20 სხვადასხვა მინაწერს ეჭირავს. ტიპიკონის ტექსტი დაწერილია XIII საუკუნის ნუსხურით.

ვაჰანის ქუაბთა განგების ტექსტი მინაწერებითურთ პირველად თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა მ გამოსცა (შიომღვიმის საბუთები, გვ. 30—49).

ძეგლის მეორე, სანიმუშო და ცალკე წიგნად გამოცემა ეკუთვნის ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ს (ვაჰანის ქუაბთა განგება, 1939 წ.) ეს გამოცემა მხოლოდ ტიპიკონის ტექსტს შეიცავს, მინაწერების გარეშე. ტექსტს წამძღვარებული აქვს ვრცელი გამოკვლევა, რომელშიც გაშუქებულია ვაჰანის ქუაბის აღგილმდებარეობის, ტიპიკონის შედგენის თარიღისა და შემდგენლის ვინაობის, ხელნაწერის

შედგენილობის, ტექსტის კრიტიკისა და დადგენის საკითხები (გვ. 9—60); აქვე მოსდევს ძეგლის კრიტიკული ტექსტი (გვ. 61—91), რომელსაც დართული აქვს ლექსიკონი და სახელთა საძიებელი (გვ. 95—131).

ლ. მუსხელიშვილის აზრით, „მთელი გრაგნილი თავდაპირველად, სულ ნაკლებ, 15 კეფისაგან შედგებოდა, დღეს კი, თუ ჩამატებულს მე-8[1] კეფს გამოვაკლებთ, შენახულია მხოლოდ 12 კეფი. სამს დაკარგულ კეფზე მოთავსებული იყო: 1. მთელი შესავალი, სადაც ნიშანდობლივ მოხსენიებული იქნებოდა ძეგლის დამდები, მიზები მისი დადების. შეიძლება თარიღიც და სხვ.; 2. ბ თავის ზანდუკი პირველი სტროფონებითურთ; 3. უმნიშვნელოვანესი ნაწილი ბ თავისა; 4. მთელი გ თავი; 5. დ თავის ზანდუკი პირველი სტროფონებითურთ" (გვ. 24).

ტაბიკოვის ტექსტი იბეჭდება ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ს გამოცემის მიხედვით. ჩვენ მხოლოდ ალაგ-ალაგ ტექსტი ამზიცებად დავყავით. ტექსტის ხარვეზები და დამოწმებული წყაროები სქოლიოებში მიეთითეთ; ხოლო გ ი ო რ გ ი კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი ს ხელნაწერის ქარაგმები გავხსენით. ტექსტი გავმართეთ და მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ ი ს ანდერძთან ერთად ცალკე ქვესათაურით გამოვყავით.

11. დაწერილი ეტიფანე კათალიკოსისა ანელ ხუცესთა სარგოს განწესების შესახებ

ტექსტი იბეჭდება ნ. ბ ე რ ი ს გამოცემის მიხედვით (Известия Императорской Академии наук, 1910, გვ. 1437—1439).

12. წყალობის დაწერილი მიქელ კათალიკოზისა მსახურთუხუცეს გაჩე გურამაისძისადმი

ცსსა. ფონდი 1448. საბ. № 9253. დედანი. ეტრატი შავ კეფად. 329×24 სმ. თავი დაზიანებულია. ხელნაწერი. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თრი წერტილი.

გამოქვეყნებულია ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს მიერ (საისტორიო მოამბე, I, 1945, გვ. 3—5).

13. წყალობის დაწერილი არსენ ბყონდიდელ მწიგნობართ-უხუცესისა მგელა აბულასტარისძისადმი

ცსსა. ფონდი 1448. საბ. № 5003. დედანი. ეტრატი ოთხ კეფად. 181×25,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თრი წერტილი.

გამოქვეყნებულია ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს მიერ (საისტორიო მოამბე, II, 1925, გვ. 131—133; საისტორიო კრებული, II, 1928, გვ. 74—78 (მეორეჯერ შესწორებული).

14. განჩინება საეკლესიო კრებისა მიიმღვიმის მეუღლობის შესახებ

ხელნაწერი დაკარგულია. გამოქვეყნებულია თ. ყ ო რ დ ა ნ ი ა ს მიერ (მიიმღვიმის საბუთები, გვ. 50—52).

15. დადგენილება საეკლესიო კრებისა ულუ-დავითისადმი

ცსსა. ფონდი 1448. საბ. № 6501. დედანი. ქაღალდი. 45,5×25 სმ. ხმედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია თრი წერტილი.

გამოქვეყნებულია:

1. თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, 163—166.
2. გ. გოზალიშვილი (საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 220—223).
3. ი. ჯაველიშვილი, ქართული ერის ისტორია, V, 1953, გვ. 157—159.

16. დაწერილი შიომღვიმის ქრებულისა ზოსიმე ტოხაისძისადმი ხამწირველოს ნოძების შესახებ

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 4. ეტრატი ორ კეფად. 112×20 სმ. დაზიანებული. XIII საუკუნის ნუსხური. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი, ორი ან სამი წერტილი. საბუთის თავში, რომელიც დმრთისმეტყველურ შესავალს შეიცავს, ეტრატის ძარცხენა და ზარჯვენა კიდეები ამოგლეჯილია. შუაში შემორჩენილი ტექსტი 9 სტრიქონს შეიცავს.

თ. ჟორდანია, შიომღვიმის საბუთები, გვ. 59—61.

17. დაწერილი ჭარაისძეთა გიორგი მუშირისძისადმი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 4. ტექსტი ამოწერილია XIII საუკუნის მხედრული საბუთის ტყავის მხარეზე.

თ. ჟორდანია, შიომღვიმის საბუთები, გვ. 61—62.

18. დაწერილი ბერჯოლთა დემეტრე ტოხაისძისადმი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 4. ტექსტი ამოწერილია XIII საუკუნის მხედრული ხელით საბუთის ტყავის მხარეზე.

თ. ჟორდანია, შიომღვიმის საბუთები, გვ. 62.

19. წყალობის დაწერილი ნიკოლოზ კათალიკოზისა არვანბეგ სიბაისძისადმი

ქსმა. ფონდი 1448, საქ. № 5037. დედანი. ეტრატი ხუთ კეფად. 125,5×16,7 სმ. თავი დაზიანებულია. ზედრული. ყოველი სტრიქონის შემდეგ ორწერტილი.

გამოქვეყნებულია ს. ყაუხჩიშვილის მიერ (საისტორიო მოამბე, I, 1945 წ. გვ. 5—6).

20. სიბატიოს დაწერილი ცაიშელ დანიელისა ლაბსყელდაშისადმი

პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, 1941 წ., გვ. 28. გამოცემულია საბუთის ათარიღებს 1442—1452 წლებით. ჩვენს გამოცემაში საბუთი თარიღდება დემეტრე მეფის (თავდადებულის) ზეობის წლებით.

21. შეწირულების დაწერილი გელათის დეკანოზ იაკობისა ხახულის ღმრთისმშობლისადმი

ხელნაწერი დაკარგულია. ტექსტი იბეჭდება თ. ჟორდანიას გამოცემის მიხედვით (ქრონიკები, II, გვ. 128—129).

22. დაწერილი შიომღვიმის კრებულისა ბასილ ალავერდელისადმი სამწერლოს გაჩენის შესახებ

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 1586. დედანი. ეტრატი. 35×23 სმ. მხედრული. ნაკვეთი. ნაწილობრივ ქვემო კიდე და ბოლო მოხეულია. ალაგ-ალაგ ტექსტი გადასულია. ნესხერა. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი.

23. ჭართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების ხითარისნის გუჯარი

ტექსტი იბეჭდება თ. ჟორდანიას გამოცემისა (ქრონიკები, II, 195—198) და ხელნაწერთა ინსტიტუტის Hd 8712 ნაირის მიხედვით. პირველი აღნიშნულია A ლიტერით, ხოლო მეორე B-თი. ჟორდანიას გამოცემით საბუთს უწია ქორონიკონი 3, ხოლო Hd 8712 ხელნაწერს — ქორონიკონი 89.

24. ერთგულების დაწერილი ნიკოლოზ მანჭუნერლისა იოვანე კათალიკოსისადმი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 547. დედანი. ქაღალდი. 36,5×23 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი. თავი აკლია.

გამოქვეყნებულია შემოკლებით: ე ხ ე შ ტ ი, საქართველოს ისტორია, I, დ. ბ ა ქ რ ა ძ ი ს რედაქციით, 1885 წ., გვ. 286.

თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 330.

საბუთის სრული ტექსტი გამოსცა ქ რ ი ს ტ ი ნ ე შ ა რ ა შ ი ძ ე მ (სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, 1961 წ., გვ. 28—29).

დ. ბ ა ქ რ ა ძ ე საბუთს XIV საუკუნით ათარიღებს; თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა 1505—1526 წწ. მაგრამ დასძენს: „ჩვენ მაინც საეჭვოდ დაგვიდგია ჩვენი ქრონოლოგიური განმარტება ამ საგნისა". ქ რ. შ ა რ ა შ ი ძ ე თარიღს 1505—1515 წლებით განსაზღვრავს. მაგრამ ამ ხანებში კათალიკოსი იოანე არ იხსენიება.

ჩვენ საბუთის ვათარიღებთ დავით IX-ის მეფობის წლებით, პალეოგრაფიული ნიშნებისა და ქაღალდის ჭვირნიშნის მიხედვით.

25. ერთგულების წიგნი გერასიმე მანჭუნერლისა მიქაელ კათალიკოსისადმი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 522. დედანი. ქაღალდი. 28×24,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი. ი-წყება და უ-ნაკლული.

საბუთის სრული ტექსტი გამოსცა ქრ. შ ა რ ა შ ი ძ ე მ (მასალები, გვ. 23—24).

საბუთი თარიღდება მიქაელ კათალიკოსის ზეობის წლებით.

26. ერთგულების წიგნი მანგლელ-თბილელ იოანესი კათალიკოს თეოდორესადმი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 525. დედანი. თავი და ბოლო აკლია. ქაღალდი. 13,8×29 სმ. მხედრული. განკვეთილების ნიშნად ნახმარია ერთი ან სამი წერტილი. საბუთი თარიღდება თეოდორე კათალიკოსის ზეობის წლებით.

27. ერთგულების წიგნი ხერაძეთან მაწყუერლისა თეოდორე კათალიკოზისადმი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 320. ლედანი. 37×29 სმ. თავი და ბოლო აკლია. ქაღალდი. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი, ორი ან სამი წერტილი.

საბუთის სრული ტექსტი გამოსცა ქ რ. მ ა რ ა შ ი ძ ე მ (მასალები, გვ. 24—25).

საბუთი თარიღდება თეოდორე კათალიკოზის ზეობის წლებით.

28. წყალობის წიგნი მანგლელ-ახბილელ იოანესი ჭორებისკოპოს დანიელ ნეჭეძისადმი

ცსსა. ფონდი 1448. საბ. № 5240. ეტრატი. 24,5×18 სმ. საბუთის recto დაწერილია ნესხურით, ხოლო verso ხელმრუელით. ნესხური ტექსტი თითქმის მთლიანად გადასულია. ეტრატი წარმოადგენს პალიმსესტს.

გამოქვეყნებულია: ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. ისტორიული საბუთები, წიგნი II, 1913 წ., გვ. 6—7.

29. ქართლ-კახეთის საკათალიკოსო მამულების ხითარხნის გუჯარი

ცსსა. ფონდი 1448. საბ. № 5016. ლედანი. ეტრატი შვიდ კეფად. 282×32 სმ. პირველი კეფის წარცხვნა კიდე დაზიანებულია. მეშვიდე კეფზე მხოლოდ გ ი ო რ გ ი მ ე ფ ი ს ხელრთვაა. სიგელი წარმოადგენს პალიმსესტს. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამი წერტილი.

გამოქვეყნებულია: ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. მცხეთის საკათალიკოსო მამულების გუჯარი 1447—1448 წ. გიორგი IX მიერ ბოძებული (ცალკე ამონაბეჭდი).

30. კეთილის გამოსაღების წიგნი დავით კათალიკოზისა მეკულულე ჯეარის მსახლობელთადმი

ცსსა. ფ. 1449, საბ. № 1525. პირი.

ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ისტორიული საბუთები, III, გვ. 32—34.

31. ერთგულების წიგნი ლასურიძე კუმურდოელ იოვანესი კათალიკოს დავითისადმი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2082 ლედანი. 29,6×26 სმ. თავი აკლია. ქაღალდი. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამი წერტილი.

საბუთის სრული ტექსტი გამოსცა ქ რ. მ ა რ ა შ ი ძ ე მ (მასალები, გვ. 25—27).

საბუთი თარიღდება დავით კათალიკოზის ზეობის წლებით.

32. ხამთავისის სამწყსოს ლრამისა და შესავლის წიგნი

ტექსტი იმეცდება ხელნაწერთა ინსტიტუტის ორი ხელნაწერის — Ad 559 (ლედანი, ქაღალდის გრაგნილი) და Au 604 პირის მიხედვით. ორივე ნუსხა XVII საუკუნისაა. ჩვენს გამოცემაში Ad 559 ნუსხა აღნიშნულია A ლიტე-

რით, ხოლო Ad 604—B ლიტერით. გამოცემის საფუძვლად უდევს Ad 559 ნუსხა.

საშთავისის სამწყსოს დრამისა და შესაგლის წიგნი განახლებულია ჭყონდიდის მიერ 1673 წელს. განახლების სიგელში ნათქვამია: „საშთაეისის ღმრთაების საყდარს სამწყსოს დრამისა და შესაგლის ძველითგან ვანაჩენი წიგნი და გეჯარი ჰქონდა. ვნახეთ და დიდ დაძველებულ იყო და, ჩუენად სალოცავრძელოდ და გასამარჯეებლად, როგორაც ამ ხატის სიგელში ეწერა, ისეე ამ რიგათ და იმავე წესით განუახლეთ და დაუმტკიცეთ სიგელი ესე“ (იხ. გვ. 206).

მაგრამ არკვევა, რომ საშთავისის დრამისა და შესაგლის ძველი განახენი წიგნი უკვე შაჰნავაზის დროსაც პირვანდელი სახით არ იყო მიღწეული. დედნის ფურცლების დაზიანებისა და დაშლილობის გამო საბუთის გადმოწერით ტექსტი შეუსაბამოდ გადაადგილებიათ. ეს შეუსაბამობა სიგელის განმახლებელს ვერ შეუნიშნავს, თუ მისი აღნაშენა საჭიროდ არ მიუჩნეია, საბუთი ისევე განუახლებია და დაუმტკიცებია.

Ad 559 ნუსხაში ტექსტი შერწყმულია ერთ საბუთად. სინამდვილეში იგი ორმ სხვადასხვა დროს შედგენილ საბუთს შეიცავს:

1. საშთავისის სამწყსოს დრამისა და შესაგლის წიგნი, რომელიც თუ უფრო ადრე არა, ყოველ შემთხვევაში XV საუკუნის პირველ ნახევარში უნდა იყოს შედგენილი.

2. საშთავისის სამწყსოს საეკლესიოს წიგნი შედგენილა 1459 წელს ცხრაზმისშვილის კრებულსა და მამასახლისების მიერ.

3. შაჰნავაზის 1673 წლის ბრძანება სიგელის განახლებისა და დამტკიცების შესახებ.

4. საეკლესიო წიგნი გრიგოლ საშთავნელისა შემქონისადმი.

ამასთან საჭიროა აღინიშნოს, რომ თვით შაჰნავაზის ბრძანებაც სიგელის განახლების შესახებ XVII საუკუნის ხელნაწერებში თავის ადგილას არ არის. ბრძანების ტექსტი საბუთის თავში, ხოლო ქორონიკონი და ხელრთვა საბუთის ბოლოშია დართული.

იგივე უნდა ითქვას გრიგოლ საშთავნელის საეკლესიო წიგნზეც, რომელიც სრულიად უადგილოდ ჩართულია Ad 559 ნუსხაში საბუთის ბოლოს — შაჰნავაზის ბრძანების ქორონიკონსა და ხელრთვას შორის (იხ. გვ. 209).

ტექსტის პირვანდელი სახის აღდგენის მიზნით შაჰნავაზის ბრძანება თავის ადგილას — საბუთის ბოლოს გადავიტანეთ, ხოლო საშთავნელის საეკლესიო წიგნი, რომელიც საშთავისის სიგელის ორგანულ ნაწილს არ შეადგენს, სქოლიოში ჩავიტანეთ (იხ. გვ. 209—210).

ამასთან ცხადად ჩანს, რომ საშთავისის სამწყსოს დრამისა და შესაგლის წიგნის ძველი ნაწილი სოფელ გოლგოთით მთავრდება. ამიტომ გადამწერთა მიერ შეცდომით უადგილო ადგილას ჩართული ტექსტი: „ძველის გუჯრისაგან ესე ოდენ შეგეძლეთ გარდმოწერა“, აქ — სოფელ გოლგოთასთან გადმოვიტანეთ (იხ. გვ. 204).

ამის შემდეგ სოფელ ცახისძირიდან იწყება დრამისა და შესაგლის წიგნის ახალი ნაწილი (იხ. გვ. 205). ცახისძირიდან ტექსტი სრულიად განსხვავებულია. მის სახელზე გამსაკუთრებით მიუთითებს ის, რომ „დრამაო“ ფუძედან გადასახადიდან უკვე ნატურალურ გადასახადად ქცეუ-

ლა. ასეთი სახე კი დრამას სწორედ XVII საუკუნეში აქვს. გარდა ამისა, საინტერესოა, რომ სიგელის ამ ახალ ნაწილში ადარ იხსენიება ძველი სიგელის ავტორი საღვთო მამა „კაბაწი", მის ნაცვლად შემოდის „ქართველი".

ზემოხსენებულის გამო უეჭველია, რომ სიგელის ეს ახალი ნაწილი შედგენილია XVII საუკუნეში, ალბათ სიყელის განმაახლებლის შამნავაზის მიერ, და დართული აქვს დრამისა და შესაფლის ძველ წიგნს, რომლის ტექსტი დაზიანებულობის გამო ადარ აკითხებოდა.

სიგელის ეს ახალი ნაწილი ქვესათაურით გამოვყავით.

ტექსტის სხვა შეცდომებისა გადაადგილებანი, რომელნიც გასწორებული და აღდგენილია ჩვენს მიერ, მითითებულია სქოლიოებში.

ამრიგად, ჩვენს განკარგულებაში სიგელის ტექსტი ორ დამოუკიდებელ საბუთად ქცეულდება: 1. ს ა მ თ ა ვ ი ს ი ს ს ა მ წ ყ ს ო ს დ რ ა მ ი ა ს და შ ე ს ა ფ ლ ი ს წ ი გ ნ ი (საბ. № 31) და 2. ს ა მ თ ა ვ ი ს ი ს ს ა მ წ ყ ს ო ს ს ა ე კ ა ნ ო ნ ო ს წ ი გ ნ ი (საბ. № 32).

ს. ყ ა ყ ა ბ ა ძ ი ს აზრით, „სამთავნელის სარწმუნოება შედგენილი უნდა იყოს XI ს. უწინარეს, X საუკუნეში, ეფრო X საუკუნის მეოხე ნახევარში" (საისტორიო კრებული, IV, გვ. 8); ხოლო რაც შეეხება სამთავნელის საკანონის წიგნს, XIV საუკუნის დასასრულს ან XV საუკუნის პირველ ნახევარს მიაკუთვნებს (იქვე, გვ. 13).

ს ა მ თ ა ვ ი ს ი ს ს ა მ წ ყ ს ო ს დ რ ა მ ი ს ა და შ ე ს ა ფ ლ ი ს წ ი გ ნ ს ჩვენ XV საუკუნის პირველი ნახევრით ვათარიღებთ. შესაძლოა, ძეგლი უფრო ძველიც იყოს, მაგრამ მისი XIII საუკუნეზე ადრეულ ძეგლად მიჩნევა გამორიცხულია.

რაც შეეხება ს ა მ თ ა ვ ი ს ი ს ს ა მ წ ყ ს ო ს ს ა ე კ ა ნ ო ნ ო წ ი გ ნ ს, მისი შედგენის თარიღია 1459 წელი — ქორონიკონი **ჩმზ**. ეს თარიღი აღნიშნულია საკანონო წიგნის შესაფლში, რომელიც გადაწერილა შუცდომით, ხელნაწერებში უადგილო ადგილას — დრამისა და შესაფლის წიგნებია ჩართული (იხ. გვ. 204, 206).

ი. ქ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 272—277 (შემოკლებით). ს. ყ ა ყ ა ბ ა ძ ე, საისტორიო კრებული, IV, 1929, გვ. 8—15.

30. სამთავისის სამწყსოს საკანონოს წიგნი ცხრაზმის ჯვრის კრებულისა და მამახახლისებისა გრიგოლ სამთავნელისადმი

ხელნაწერია ანატიტეტი. Ad 559 და Ad 604 (იხილე წინ., № 32 საბუთის აღწერილობა და შენიშვნები).

31. წყალობის წიგნი მარკოზ კათალიკოზისა ბერინასშვილ მეჯინიბეთუხუცეს მამისახლისადმი

ცისა. ფონდი 1448. საბ. № 5024. დედანი. ეტრატის გრაგნილი. 34,5×21 სმ. მხედრული. გაბეჭდვითალობის ნიშნად ყოველი სტრიქონის შემდეგ ნახმარია სამი წერტილი.

32. შეწირულების წიგნი კათალიკოს აბრამ აბალაიისა მცხეთის მეტეხთა ღმრთისმშობელისადმი

ცისა. ფონდი 1449. საბ. № 1487. პირი. გამოქვეყნებულია: ს. ყ ა ყ ა ბ ა ძ ე, ისტორიული საბუთები, II, 19—20.

36. წყალობის წიგნი დავით კათალიკოსისა მახარებელ მაღალაძისადმი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 1352. დედანი. ეტრატის გოგნილი 2 ფურცელი. 165×21,2 სმ. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თხი-ლის წერტილი.

37. წყალობის წიგნი დავით კათალიკოზისა ოქროპირ მაღალაძისადმი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1493 გ. პირი. საბუთის ეზის ქვრონიკონი „რ“ (1412 წ.), მაგრამ გადმწერის შეცდომაა, რადგან ამ დროს არ არსებობა არც კათალიკოსი დავითი და არც მეფე ბაგრატი. ჩვენი აზრით, უნდა იყოს ქრონიკონი რკ (1472 წ.). ეს საბუთი შინაარსით წინა (№ 35) საბუთის ანალოგიური.

38. ერთგულების წიგნი ანჩელ არქიმანდრიტ აბელისძე ქეროპიანისა დავით კათალიკოსისადმი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 512. დედანი. თავი აკლია. გაღალდი. 40,5×14,6 სმ. შეღებული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამი წერტილი.

შემოკლებით დაბეჭდილია თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 267—268.

39. მცნებაჲ სასჯულოჲ

ტექსტი იბეჭდება ორი ხელნაწერის მიხედვით:

ცსსა. ფ. 1446. სად. № 5020. დედანი. ეტრატის გრაგნილი 6 ფურცად. 210×18,5 სმ. ნუსხური. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან სამი წერტილი. პირველ კანზე ტექსტი არ არის. მეექვსე კანი ძლიერ დაზიანებულია. პარცხენა კიდეზე და შუაწიც ეტრატი აღოგლეჯილია. ტექსტი დაწერილია ორივე მხარეზე. ილაგ-ილაგ გადასულია. გამოცემაში ეს ხელნაწერი აღნიშნულია A ლიტერით.

ხელნაწერთა ინსტიტუტის Sd 2920. პირი. მხედრული. ჩვენ გამოცემაში აღნიშნულია B ლიტერით. კანებში ჩასმული ტექსტი ამოგვიწერია B ნუსხის მიხედვით.

ხელნაწერებში ტექსტი მუხლებად გაკვეთილი არ არის.

გამოქვეყნებულია შემოკლებით: თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, 294—297.

